https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი პოტერი

და ფენიქსის ორდენი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯ. კ. როულინგი

ჰარი ჰოფერი

და

ფენიქსის ორდენი



ინგლისურიდან თარგმნა

ირაკლი ბერიაშვილმა

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეძღვნება ნილს, ჯესიკასა და დევიდს,
რომლებმაც ჩემი ცხოვრება
ჯადოსნურად აქციეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი პირველი

თავდასხმა დადლიზე

ჯერ კიდევ პაპანაქება ზაფხულის ცხელი დღე იდგა. პრივიტ დრაივზე ჩარიგებული კვადრატული სახლები საღამო ხანის მდუმარებაში ჩაძირულიყო.

მუდამ გაკრიალებულ მანქანებს სქლად დასდებოდა მტვერი. აღარც მდელოები ხასხასებდა ზურმუხტისფრად: ერთნაირად გადახრუკულ-გადაყვითლებულიყო. წყლის ნაკლებობის გამო პრივიტ დრაივის მცხოვრებლებს შლანგებით სარგებლობა აუკრძალეს. და რადგან არ შეეძლოთ, ისეთი სანუკვარი საქმე ეკეთებინათ, როგორიც მანქანების რეცხვა და გაზონების გაკრეჭაა, სახლებში ისხდნენ, ფანჯრები ფართოდ გამოეღოთ და ამაოდ ელოდნენ მაცოცხლებელ ნიავს. ერთადერთი, ვინც შინ არ იჯდა, ნომერი ოთხი სახლის ყვავილნარში გულაღმა გაშოტილი შავთმიანი, სათვალიანი ბიჭი იყო.

ავადმყოფური შესახედაობის გამხდარ, მოუქნელ ბიჭს აშკარად ეტყობოდა, რომ როგორღაც უცებ აეყარა ტანი. ჯინსი ძველი და ჭუჭყიანი ეცვა, მაისური – გახუნებული და ფართხუნა, კედები – პირდაღებული. მოკლედ, ჰარი პოტერის გარეგნობა მაინცდამაინც დიდ სიმპათიებს ვერ იწვევდა მეზობლებში. მათი აზრით, მსგავსმა ფეთხუმებმა მართლმსაჯულების წინაშე უნდა აგონ პასუხი. მაგრამ ბიჭი ამ საღამო ჟამს, ჰორტენზიის დიდ ბუჩქს მოფარებული, სრულიად შეუმჩნეველი იყო როგორც მეზობლებისთვის, ისე გამვლელ-გამომვლელისთვისაც. მისი დანახვა მხოლოდ ძია ვერნონსა და დეიდა პეტუნიას შეეძლოთ – თუ სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან თავს გამოყოფდნენ და ყვავილნარს მოათვალიერებდნენ.

ჰარი კმაყოფილი იყო ამ სამალავით. მაგარ, გახურებულ მიწაზე წოლა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, მაგრამ, სამაგიეროდ არავინ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭამდა თვალებით, არავინ უკრაჭუნებდა კბილებს და არც არავინ აყრიდა მომაბეზრებელ კითხვებს, როგორც ბიძასთან და დეიდასთან ერთად სასტუმრო ოთახში ტელევიზორის ცქერისას ხდებოდა ხოლმე, როცა სულ ამაოდ ცდილობდა, ყური მაინც მოეკრა საინტერესო ამბისთვის.

უცებ, თითქოს ეს აზრი ღია ფანჯარაში შეფრინდაო, ვერნონ დერსლიმ, ჰარის ბიძამ, თქვა:

– კარგია, რომ ბიჭი აქ აღარ დაყიალობს. ჰო, მართლა, სად არის?

– არ ვიცი, – გულგრილად უპასუხა დეიდა პეტუნიამ, – სახლში ნამდვილად არ არის.

ძია ვერნონმა გესლიანად ჩაიფრუტუნა.

– წარმოგიდგენია? ბიჭს ახალი ამბები აინტერესებს! ერთი ვიცოდე, რა უდევს თავში. ნორმალურ ბიჭს რაში უნდა სჭირდებოდეს ახალი ამბები. აი, ჩვენი დადლი ეგეთ რამეებში ვერ ერკვევა. მგონი, ისიც კი არ იცის, ვინ არის პრემიერ-მინისტრი! ასეა თუ ისე, ჩ ვ ე ნ ს ახალ ამბებში მ ი ს ი ა ნ ე ბ ზ ე არაფერია...

– შშშ! – წაიშიშინა დეიდა პეტუნიამ, – ფანჯარა ღიაა.

– ჰო, მაპატიე, ძვირფასო, დამავიწყდა.

დერსლები გაჩუმდნენ. ჰარი რაღაც სარეკლამო აბდაუბდას უგდებდა ყურს, თან ქუჩაში ნელი, მოკლე ნაბიჯით მიმავალ მისის ფიგს, კატების მოყვარულ დამთხვეულ მოხუცს გაჰყურებდა. მოლუშული ფიგი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ჰარის უხაროდა, რომ ბუჩქი ფარავდა. მისის ფიგი იქვე, შორიახლოს ცხოვრობდა. ამ ბოლო დროს მას რატომღაც ჩვეულებად ექცა, ყოველ შეხვედრაზე ჰარი საუზმეზე დაეპატიჟებინა. მიეფარა თუ არა დედაბერი თვალს, ფანჯრიდან ისევ მოისმა ძია ვერნონის ხმა:

– დადლი სტუმრად არის ვინმესთან?

– პოლკინსებთან, – ხმაში სინაზე შეეპარა დეიდა პეტუნიას, – იმდენი მეგობარი ჰყავს, ისეთი პოპულარულია, რომ...

ჰარიმ კინაღამ ჩაიფრუტუნა. დერსლები საოცარ სიბრმავეს იჩენდნენ ყველაფრისადმი, რაც კი მათ შვილს, დადლის ეხებოდა.

ისინი გულუბრყვილოდ იჯერებდნენ მის ტყუილებს, თითქოს ზაფხულის არდადეგების ყოველ საღამოს ხან ერთი ძმაკაცის მშობლები იწვევდნენ ვახშამზე, ხან – მეორისა. ჰარიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ არანაირ წვეულებებზე არ ეპატიჟებოდნენ. საღამოობით ლიტლუინგინგის ქუჩებში ხეტიალის დროს ჰარის თავისი თვალით უნახავს, როგორ ერთობოდნენ დადლი და მისი ძმაბიჭები იმით, რომ საბავშვო პარკს აოხრებდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და ქვებს უშენდნენ ქუჩაში მიმავალ მანქანებსა და ბავშვებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქმის მთელი არდადეგები ჰარიმ ქალაქში ბოდიალსა და ურნებში ჩაყრილი გაზეთების თვალიერებაში გაატარა.

მელოდიაზე, რომელსაც შვიდი საათის ახალი ამბები უნდა მოჰყოლოდა, ჰარიმ ყურები ცქვიტა. დაიძაბა: მთელი თვის ლოდინის შემდეგ იქნებ ახლა მაინც თქვან რამე?

„ესპანეთის აეროპორტებში მეორე ყვირაა, გრძელდება საბარგო სამსახურის მუშათა გაფიცვა, რამაც დამსვენებელთა გადაადგილება საგრძნობლად შეაფერხა..."

– ჩემი ნება რომ იყოს, მათ სამუდამო მკვდარ საათს მოვუწყობდი, – წაიბუზღუნა ძია ვერნონმა და წამყვანის ბოლო ფრაზა ჰარიმ ველარ გაიგონა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა; რამე რომ მომხდარიყო, დასაწყისშივე იტყოდნენ: მკვლელობები და სტიქიური უბედურებები ხომ გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აეროპორტში გაჩხერილი ტურისტები.

ჰარიმ მშვიდად ამოისუნთქა და ლაჟვარდისფერ ცას ახედა. მთელ ზაფხულს ერთი და იგივე მეორდებოდა – გულისგამაწვრილებელი მოლოდინი, წუთიერი სულის მოთქმა, თანდათან მომატებული დაძაბულობა და სულ ერთი და იგივე კითხვა: „რატომ არაფერი მოხდა აქამდე?"

ჰარი მაინც უსმენდა, იქნებ რაიმე ისეთი წვრილმანი რაღაც გაეგო, რისი ჭეშმარიტი აზრიც მაგლებისთვის გაუგებარი დარჩებოდა. მაგალითად, აუხსნელი გაუჩინარება ან სხვა რამე უცნაური შემთხვევა. მაგრამ ესპანეთის აეროპორტების ამბავს ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვები მოაყოლეს...

– იმედია, ჩვენი ძვირფასი მეზობელიც ისმენს, – წაიღრინა ძია ვერნონმა, – ღამის სამ საათზე ჩუმ-ჩუმად რომ რწყავს თავის მდელოს.

გვალვებს ვერტმფრენის ამბავი მოჰყვა, იძულებითი დაჯდომისას ძლივს რომ გადაურჩა დამსხვრევას, ამას – ცნობილი მსახიობისა და მისი არანაკლებ სახელგანთქმული ქმრის განქორწინების ამბავი.

– თითქოს ძალიან გვაინტერესებდეს მათი უხამსი სასიყვარულო თავგადასავლები, – წაისისინა დეიდა პეტუნიამ, რომელიც მანიაკალური სიხარბით კითხულობდა ამ თემაზე ყველაფერს, რაც მის გამხმარ ხელებში მოხვედრილ ჟურნალებში ეწერა.

ჰარიმ თვალები დახუჭა – ჰორიზონტზე დაკიდებული მზე მწარედ იკბინებოდა. ამასობაში დიქტორი განაგრძობდა: „დაბოლოს, ჭყეტელა თუთიყუშმა ბანგიმ, რომელიც ბარნსლში, „ხუთ ბუმბულში" ცხოვრობს, სიცხისგან თავის დასაცავ ორიგინალურ საშუალებას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიაგნო: წყლის თხილამურებით სრიალი ისწავლა. უფრო დაწვრილებით ამაზე ჩვენი კორესპონდენტი, მერი დორკინსი, მოგახსენებთ.“

ჰარიმ თვალი გაახილა. რახან წყლის თხილამურებით მოსეირნე თუთიყუშებზე გადავიდნენ, დანარჩენის მოსმენას აზრი აღარ ჰქონდა. ფრთხილად გადაბრუნდა, მუხლებზე წამოიწია და დააპირა, ფრთხილადვე გასცლოდა ფანჯარას.

მაგრამ ადგილიდან დაძვრაც ვერ მოასწრო, რომ უცნაური ამბები წაეწყო ერთმანეთს. ხმამაღალი ტკაცანის ექომ ძილის მომგვრელი სიჩუმე გააპო. გაჩერებული მანქანის ქვეშიდან ტყვიასავით გამოვარდა კატა და აორთქლდა; ოთახში დეიდა პეტუნიამ შეჰკივლა; მამაკაცის გინებას დერსლების სასტუმრო ოთახიდან ჭურჭლის მსხვრევის ხმა მოჰყვა. თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, ჰარი წამოხტა და ხმალივით გაიძრო ჯინსში გარჭობილი ჯადოსნური ჯოხი, მაგრამ წელში გამართვა არ დასცალდა – თავი ისე აარტყა დერსლების ფანჯრის ჩარჩოს, რომ ამ ხმაზე დეიდა პეტუნიამ კიდევ ერთხელ და უფრო ხმამაღლა იკივლა.

ჰარის მოეჩვენა, რომ თავი შუაზე გაეპო. სიმწრისგან ცრემლები გადმოსცვივდა. ქუჩისკენ გააპარა მზერა და შეეცადა გაეგო, რამ გაიტკაცუნა. ის-ის იყო, რის ვაი-ვაგლახით გაიმართა კიდეც წელში, რომ ფანჯრიდან ორი ვეებერთელა მუქწითელი ხელი მარყუჟივით წაეჭირა ყელში.

– დააგდე... ახლავე! – შიგ ყურში ჩაჰბღავლა ძია ვერნონმა, – ახლავე... სანამ არავის დაუნახავს!

– გამიშვი... – წაიხროტინა ჰარიმ.

ბრძოლა რამდენიმე წამს გაგრძელდა. ჰარი ცდილობდა, მარცხენა ხელით როგორმე მოეცილებინა ძია ვერნონის სოსისივით კოტიტა თითები, მარჯვენაში კი მაგრად ჩაებღუჯა ჯადოსნური ჯოხი. როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, ბიჭის სხეულიდან უხილავმა ძალამ გადმოხეთქა. ძია ვერნონმა ისე დაიწკმუტუნა, თითქოს დენმა დაარტყაო, და თითები გაშალა. აცახცახებულმა ჰარიმ ძლივ-ძლივობით ჩაისუნთქა ჰაერი და ჰორტენზიის ბუჩქზე დაეცა. მერე ადგა და მიიხედ-მოიხედა. მაინც ვერ მიხვდა, რამ გაიტკაცუნა ასე ხმამაღლა. მეზობელი ფანჯრებიდან რამდენიმე ცნობისმოყვარე იცქირებოდა. ჰარიმ სწრაფად შეინახა ჯოხი და შეეცადა, უცოდველი გამომეტყველება მიეღო.

– საღამო მშვიდობისა! – გასძახა ძია ვერნონმა მოპირდაპირე სახლის დიასახლისს, რომელიც ფარდას ამოფარებული იყურებოდა ქუჩაში, – გაიგონეთ, როგორ იბუთქა ვიღაცის გაუმართავმა ძრავამ? მე და პეტუნიაც, ცოტა არ იყოს, შევშინდით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძია ვერნონი მანამდე მანჭავდა ბრიყვულ სიფათს, სანამ ყველა მეზობელი არ გაუჩინარდა. მერე კი სულელური ღიმილი მძვინვარე გამომეტყველებით შეცვალა და ჰარი თავისთან იხმო.

ჰარიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისეთ მანძილზე გაჩერდა, რომ ძია ვერნონი ვერ მისწვდომოდა.

– მაინც რის მიღწევას ცდილობ ამით? ახლავე მითხარი! – სიბრაზისგან ჩახლეჩილი ხმით მოითხოვა ძია ვერნონმა.

– რით... „ამით"? – გულგრილად იკითხა ჰარიმ. თან ისევ აქეთ-იქით იხედებოდა, რომ იქნებ როგორმე დაენახა, რამ გაიტკაცუნა.

– კაცმა არ იცის, რის ბათქაბუთქი ატეხე პირდაპირ ჩვენს...

– მე არ ვყოფილვარ, – შეაწყვეტინა ჰარიმ.

ძია ვერნონის ფართო, აჭარხლებული სახის გვერდით ცხენისებური მოგრძო სახეც გამოჩნდა – დეიდა პეტუნიაც გაბრაზებული იყო.

– რატომ იმალებოდი ფანჯრის ძირას?

– სწორედაც! მშვენიერი კითხვაა, პეტუნია! აბა, მოგვახსენე, რას აკეთებდი ფანჯრის ძირას, ჰა?

– ახალ ამბებს ვუსმენდი, – მშვიდად უპასუხა ჰარიმ. ვერნონმა და პეტუნიამ აღშფოთებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

– ჰმ! ახალ ამბებს უსმენდა! ისევ ახალ ამბებს!

– ახალი ამბები ყოველდღე იცვლება, მთელი მუღამი მაგაშია, – განუმარტა ჰარიმ.

– ნუ ფილოსოფოსობ! ნეტავ ვიცოდე, რა გიდევს მაგ თავში! ტვინს ნუ მიბურღავ მაგ შენი ახალი ამბებით. მშვენივრად იცი, რომ შენი მოდგმის შესახებ...

– ჩუმად, ვერნონ! – სუნთქვას ამოაყოლა დეიდა პეტუნიამ და ძია ვერნონიც ისე აჩურჩულდა, რომ ჰარი ძლივს არჩევდა სიტყვებს:

– ...შენი მოდგმის შესახებ ჩ ვ ე ნ ს ახალ ამბებში არაფერი იქნება!

– რახან თქვენ იტყვით! – დაუბრუნა პასუხი ჰარიმ. გაოცებული დერსლები ერთხანს ჩუმად მისჩერებოდნენ, მერე კი დეიდა პეტუნიამ თქვა:

– საზიზღარი ცრუპენტელა! აი, ვინ ხარ შენ. მაინც რას აკეთებენ ის შენი... – პეტუნიაც ისე აჩურჩულდა, რომ მომდევნო სიტყვას ჰარი ტუჩების მოძრაობით მიუხვდა, – ბუები, რა, ამბები აღარ მოაქვთ შენთვის?

– დიახ, დიახ! – გამარჯვებულის იერით წაიჩურჩულა ძია ვერნონმა, – ვნახოთ, როგორ დაიძვრენ თავს! გგონია, არ ვიცით, რომ იმ დამპალი ჩიტების საშუალებით იგებ ახალ ამბებს? ჰარი წამით შეყოყმანდა. არც ისე ადვილი იყო სიმართლის თქმა. დერსლები ვერც კი ხვდებოდნენ, რა ძნელი იყო მისთვის ამის აღიარება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბუებს... არავითარი ამბები არ მოაქვთ ჩემთვის, – უხალისოდ თქვა ჰარიმ.

– არ მჯერა, – მიახალა დეიდა პეტუნიამ.

– არც მე, – ბეჭედი დაასვა ძია ვერნონმა.

– ძალიან კარგად ვიცით: რაღაც სისაძაგლე გაქვს ჩაფიქრებული, – განაცხადა დეიდამ.

– რა თქმა უნდა, ვიცით, იდიოტები ხომ არა ვართ, – მხარი აუბა ძია ვერნონმა.

– ჰოო, აი, ეს კი ნაღდად ახალი ამბავია! – წამოისროლა ჰარიმ, დერსლების ახალ საალერსო სიტყვებს აღარ დაელოდა, შებრუნდა, მდელო გადაჭრა, დაბალ ღობეს გადააბიჯა და ქუჩას გაუყვა.

რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ შარში გაეხვია. მოგვიანებით აუცილებლად მოუწევდა განრისხებული ძია ვერნონისა და დეიდა პეტუნიას წინაშე თავის მართლება უხეშობისთვის, მაგრამ ახლა სულ სხვა რამ აღელვებდა. თავში უფრო მნიშვნელოვანი რამ უტრიალებდა.

ჰარი დარწმუნებული იყო, ტკაცანი ვიღაცის აპარაციამ გამოიწვია. ზუსტად ასეთი ტკაცანით ქრებოდა ხოლმე ჰაერში შინაური ელფი დობი. მაგრამ ნუთუ შეიძლება, დობი აქ, პრივიტ დრაივზე აღმოჩნდეს? ნუთუ ის ახლა, ამწამს ფეხდაფეხ, კვალში მიჰყვება ჰარის? ამ აზრმა აიძულა, ქუჩა მოეთვალიერებინა. არსად არავინ ჩანდა და თანაც – ჰარი ამაში დარწმუნებული იყო – დობის უჩინრად ყოფნა არ შეეძლო.

გზა ისე განაგრძო, ხეირიანად არც კი იცოდა, საით მიდიოდა: ბოლო დროს იმდენჯერ ჰქონდა შემოვლილი ეს ქუჩები, რომ ფეხებს თავისით მიჰყავდათ საყვარელ ადგილებამდე. დროდადრო უკან იხედებოდა. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ დეიდამისის გადამხმარ ყვავილნარში წამოწოლილს რაღაც ჯადოსნური არსება უთვალთვალებდა. მაგრამ რატომ არ გამოელაპარაკა? რატომ იმალება?

გუნება უფრო და უფრო ეშხამებოდა. ახლა არაფერში აღარ იყო დარწმუნებული. შესაძლოა, ტკაცანის ხმა სულაც არ იყო ჯადოსნური. ხომ შეიძლება, თავისი სანატრელი სამყაროდან რაიმე ნიშნის მოლოდინმა ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რომ სრულიად ჩვეულებრივი ხმა ჯადოსნურად მოეჩვენა? იქნებ, უბრალოდ, რაღაც გასკდა რომელიმე მეზობლის სახლში?

სევდა ლოდივით დააწვა გულზე. ისევ მოიცვა უიმედობის შეგრძნებამ, მთელი ზაფხული რომ აწამებდა.

დილის ხუთ საათზე ისევ წამოახტუნებს მაღვიძარა, რათა ფეხის ქირა მისცეს ბუს „დილის მისნის“ მორიგი ნომრისთვის, მაგრამ რა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აზრი აქვს ამას? არაფერი. თვალს გადაავლებს პირველ გვერდს და გაზეთს გადააგდებს. ნეტავ როდის მიხვდებიან იდიოტი გამომცემლები, რომ ვოლდემორი აღდგა? ჰო-ჰო, რა სათაური იქნებოდა! დანარჩენი ყველაფერი კი მისთვის სულერთია.

ბუს, დიდი-დიდი, მისი მეგობრების – რონისა და ჰერმიონის – წერილები მოეტანა. მაგრამ კარგა ხანია, აღარც იმის იმედი ჰქონდა, რომ მათ წერილებში რაიმე ახალ ამბავს წაიკითხავდა.

„რა თქმა უნდა, ვერაფერს გწერთ ჩვენ-რომ-ვიცით, იმის შესახებ... აკრძალული გვაქვს, დავწეროთ რაიმე მნიშვნელოვანი... ვაითუ, წერილი ვიღაც ისეთს ჩაუვარდეს ხელში... საქმე ბევრი გვაქვს, მაგრამ დეტალებს ვერ შეგატყობინებთ... საკმაოდ ბევრი რამ ხდება, შეხვედრისას მოგიყვებით...“

მაგრამ როდის მოხერხდება ეს „შეხვედრა“? ზუსტ თარიღს არავინ ასახელებს. დაბადების დღის მისალოც ბარათში ჰერმიონი სწერდა: „ვფიქრობ, სულ მალე შევხვდებით“. ნეტავ რამდენად მალე იქნება ეს „მალე“? ამ ბუნდოვანი მინიშნებებით მიხვდა, რომ ჰერმიონი და რონი ერთად იყვნენ. ალბათ უფრო – რონის მშობლებთან. ძალიან უჭირდა შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ ისინი მხიარულად ატარებდნენ დროს „ბუნაგში“, თვითონ კი უსაქმურად დაყიალობდა პრივიტ დრაივზე. ისე იყო მათზე გაბრაზებული, რომ გაუხსნელად გადააგდო დაბადების დღისთვის გამოგზავნილი ორი კოლოფი შოკოლადი. თუმცა, ვახშმობისას, როცა დეიდა პეტუნიამ უგემური სალათი მიაწოდა, ძალიანაც ინანა.

ნეტავ რას აკეთებენ რონი და ჰერმიონი? და რატომ ზის უსაქმურად ჰარი? ვითომ არ დაამტკიცა, რომ მათზე მეტის გაკეთება შეუძლია? ნუთუ უკვე დაივიწყეს ყველაფერი? განა ჰარი არ იყო მაშინ სასაფლაოზე? განა ჰარი არ შეესწრო სედრიკის სიკვდილს? განა ჰარი არ მიაკრეს საფლავის ქვას მოსაკლავად?

„ნუ ფიქრობ ამაზე“, – ზაფხულის განმავლობაში, ალბათ, უკვე მეასედ შეახსენა თავს. ისიც კმარა, რომ ღამის კოშმარებში ერთთავად სასაფლაოზეა. დღისით მაინც უნდა ამოიგდოს თავიდან.

მაგნოლია კრესენტზე გაუხვია. გარაჟების გასწვრივ ვიწრო შუკა გაიარა, სადაც ოდესღაც პირველად დაინახა თავისი ნათლია. სირიუსი, ალბათ, ხვდება, რა დღეშია ახლა ჰარი.

მართალია, ახალი ამბები მის წერილებშიც იმაზე მეტი არ იყო, რამდენიც რონისა და ჰერმიონის წერილებში, მაგრამ სირიუსის გამაფრთხილებელ-გამამხნევებელი ფრაზები ერჩივნა თანატოლების გამაღიზიანებელ ნართაულებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ვიცი, რომ იმედი გაგიცრუვდება... ჭკვიანად მოიქეცი, ყველაფერი კარგად იქნება... ფრთხილად იყავი... წინდაუხედავ ნაბიჯებს ნუ გადადგამ...“

რას იზამ, ფიქრობდა ჰარი, როცა მაგნოლია კრესენტიდან მაგნოლიის ქუჩაზე გადაუხვია და ნახევრად ჩაბნელებული საბავშვო პარკისკენ გასწია. თითქმის ისე იქცევა, როგორც სირიუსი ურჩევს. ყოველ შემთხვევაში, თავი დააღწია ცდუნებას, ჩემოდანი ჩაელაგებინა და „ბუნაგისკენ“ მოეცოცხა. ჰო, ძალიანაც წესიერად იქცევა, თუ გავითვალისწინებთ, რა საზიზღარ გუნებაზეა და როგორი უილაჯობა ეუფლება პრივიტ დრაივზე უაზრო ყიალით; რა მოსაბეზრებელია ყვავილნარში გორაობა იმის იმედით, რომ რაღაცას მაინც გაიგებს, რაც ნათელს მოჰფენს ლორდ ვოლდემორის საქმეებს. თუმცა, ცოტა არ იყოს, დამამცირებლად ეჩვენებოდა, რომ სიფრთხილისკენ მოუწოდებდა ის კაცი, ვინც აზკაბანში თორმეტ წელიწადს იჯდა, იქიდან როგორღაც მოახერხა გაქცევა, მერე კი მოტაცებული ჰიპოგრიფით სადღაც გაფრინდა.

ჰარი პარკის მომცრო დაკეტილ ჭიშკარს გადაევლო და საქანელებისკენ გაუყვა გზას. იქაურობა მზით იყო გადახუნებული. პარკიც ქუჩებივით ცარიელი დახვდა. იმ ერთადერთ საქანელაზე ჩამოჯდა, რომელიც დადლისა და მის ძმაბიჭებს გადარჩენოდათ. ხელები ჯაჭვს შემოხვია და ფიქრებში ჩაიძირა. დერსლების ყვავილნარში ველარ დაიმალება, ხვალიდან ახალი ამბების მოსმენის სხვა საშუალება უნდა გამოძებნოს. მანამდე კი კიდევ ერთი შფოთიანი, მძიმე ღამე ელოდება: სედრიკის სიკვდილთან დაკავშირებული კოშმარი თუ არა, ჩიხით ან დაკეტილი კარით დამთავრებული ბნელი და გრძელი დერეფნები მაინც არ ასცდება, ღამით – მტანჯველი სიზმრები, დღისით – იმის შეგრძნება, რომ მახეში ხარ გამომწყვდეული. ჰარი ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდებოდა. ძველი ნაიარევი შუბლზე უფრო ხშირად და უსიამოვნოდ ჩხვლეტდა, მაგრამ საეჭვო იყო, რომ ამ ამბით ძალიან დაინტერესებულიყვნენ რონი, ჰერმიონი ან სირიუსი. ადრე ნაიარევის ტკივილი იმაზე მიუთითებდა, რომ ვოლდემორი ძალას იკრებდა, მაგრამ ახლა, როცა ბნელი ბატონი მთლიანად აღდგა, ისინი წუწუნის პასუხად, ალბათ, შეახსენებენ, რომ ამ შეგრძნებებში ახალი არაფერია, და დაამატებენ, ჰო-ჰო, რა გაგვაკვირვეო! რისთვის უნდა აეტეხათ ხმაური?

ამ აღმაშფოთებელმა უსამართლობამ ისე გააცოფა, რომ კინაღამ იღრიალა. ჰარი რომ არა, ისინი ხომ იმასაც ვერ გაიგებდნენ, ვოლდემორი რომ აღდგა! ჯილდოდ კი რა მიიღო? ოთხი კვირაა, ჯადოსნური სამყაროდან სრულიად მოწყვეტილი ლიტლ-უინგინგში ყურყუტებს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადახრუკულ ყვავილნარში გორაობს და ისმენს, როგორ დასეირნობენ თუთიყუშები წყლის თხილამურებით. ასე იოლად როგორ დაივიწყა დამბლდორმა? რატომ აღმოჩნდნენ რონი და ჰერმიონი იქ, სადაც ჰარი არ მიიწვიეს? რამდენ ხანს უნდა ითმინოს სირიუსის შეგონებები: ჩუმად იჯექი, ჭკვიანად მოიქეციო? კიდევ რამდენ ხანს უნდა შეიკავოს თავი და არ მისწეროს „დილის მისნის“ იდიოტ გამომცემლებს, რომ ვოლდემორი დაბრუნდა? აი, ასეთი მრისხანე აზრები ბობოქრობდა ჰარის თავში. აი, ეს აწვალებდა და ტანჯავდა.

ამასობაში დაღამდა. ჰაერში გამხმარი ბალახის სურნელი იდგა. თბილი და ხავერდოვანი ღამის სიჩუმეს მხოლოდ კანტიკუნტად ჩავლილი მანქანების ხმა არღვევდა.

ჰარიმ არ იცოდა, რამდენ ხანს იჯდა საქანელაზე. ფიქრებიდან რაღაც ხმაურმა გამოარკვია. თავი ასწია. ქუჩის ფარნების მკრთალ სინათლეზე პარკში მომავალი ბიჭების ჯგუფი დაინახა. ერთი მათგანი მეტისმეტად ხმამაღლა მღეროდა რაღაც უხამს სიმღერას, დანარჩენები ხარხარებდნენ. ზოგიერთი ძვირფას სპორტულ ველოსიპედს მოაგორებდა. დროდადრო ბორბლების ჩუმი ჭრიალი ისმოდა.

ჰარიმ იცოდა, ვინც იყვნენ. წინ, რა თქმა უნდა, მისი დეიდაშვილი დადლი დერსლი მოუძღოდათ. შინ თავისი ერთგული ამფსონების თანხლებით ბრუნდებოდა.

დადლი ისეთივე ვეებერთელა იყო, როგორც ადრე, მაგრამ ერთწლიანმა მკაცრმა დიეტამ და ახლად გამოვლენილმა ტალანტმა შესამჩნევად შეცვალა მისი ფიგურა. ძია ვერნონი აღტაცებით უყვებოდა ყველას, ვისაც არ ეზარებოდა ამის მოსმენა, რომ დადლი სულ ახლახან გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის სკოლების ჩემპიონი მძიმეწონიან ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. ამ „კეთილშობილმა სახეობამ“, როგორც უყვარდა ხოლმე თქმა ძია ვერნონს, დადლი უფრო მრისხანე გახადა, ვიდრე დაწყებით კლასებში იყო, როცა თავის მუშტებს ჰარიზე ავარჯიშებდა. ახლა ჰარის სულაც აღარ ეშინოდა თავისი დეიდაშვილისა, მაგრამ მისი გამოჩენა მაინცდამაინც არ გახარებია. დადლის კარგად ჰქონდა დამუშავებული დარტყმა. მეზობელ ბიჭებს შიშის ზარს სცემდა, უფრო მეტად, ვიდრე „ეს პოტერი“, რომელიც, როგორც მათ დერსლები არწმუნებდნენ, ხელიდან წასული ყალთაბანდი იყო და წმინდა ბრუტუსის სახელობის გამოუსწორებელ ბიჭუნათა სასწავლებელში სწავლობდა.

პარკში მომავალ მუქ სილუეტებს რომ უყურებდა, ჰარი ფიქრობდა, ნეტავ ვინ გატყიპეს ამ საღამოსო. „აბა, ერთი შემომხედეთ, – გულში ეხვეწებოდა, – თვალი გაახილეთ... მიიხედ-მოიხედეთ... აქ სულ მარტო ვარ... ასეთი იოლი და ტკბილი ლუკმა“...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუ ახლა დადლის ძმაბიჭები დაინახავენ, რა თქმა უნდა, პირდაპირ მისკენ წამოვლენ. და რას იზამს მაშინ დადლი? თავისი ამფსონების წინაშე თავის მოჭრას მოერიდება, მაგრამ ჰარის პროვოცირებისაც შეეშინდება... კარგი საყურებელი იქნება ორ ცეცხლშუა ჩავარდნილი დადლი – გაღიზიანებული, მასხრად აგდებული და თან უძლური. მაგრამ თუ რომელიმე მისი ძმაბიჭი გაიქაჩება, ჰარი ამისთვისაც მზად არის – ჯადოსნური ჯოხი თან აქვს. ერთი სცადონ... სულაც არ არის წინააღმდეგი, ჯავრი იყაროს მათზე, ვინც წარსულში ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია.

მაგრამ მათ არ მოუხედავთ, არ დაუნახავთ ჰარი. ისინი თითქმის უკვე მიადგნენ პარკის ჭიშკარს. ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ არ შეხმიანებოდა. აყალმაყალის წამოწყება არც ისე ჭკვიანური საქციელია. უფლება არა აქვს, ჯადოქრობა გამოიყენოს. უფლება არა აქვს, სკოლიდან გარიცხვის საფრთხეში ჩაიგდოს თავი.

დადლისა და მისი ძმაბიჭების ხმა ნელ-ნელა მიწყდა. უკვე აღარც ჩანდნენ, მაგნოლიის ქუჩას მიუყვებოდნენ.

„აი, ასე, სირიუს, – დაბოღმილი ფიქრობდა ჰარი, – შეგიძლია, კმაყოფილი იყო. არავითარი წინდაუხედავი ნაბიჯები. ჭკვიანად ვიქცევი, შენგან განსხვავებით“.

წამოდგა და წელში გაიმართა. დეიდა პეტუნიასა და ძია ვერნონს, როგორც ჩანს, მიაჩნდათ, რომ დადლი, როგორ გვიანაც უნდა დაბრუნებულიყო შინ, ზუსტად დროზე მოდიოდა. ჰარისთვის კი წუთით შეგვიანებაც მიუტევებელ დანაშაულად ითვლებოდა. ძია ვერნონი საკუჭნაოში ჩაკეტვით ემუქრებოდა, თუ კიდევ გაბედავდა შინ დადლიზე გვიან მოსვლას. ჰარიმ მთქნარება შეიკავა და ისევ ისე დაბოღმილმა გასწია პარკის გასასვლელისკენ.

მაგნოლიის ქუჩაზე, ისევე როგორც პრივიტ დრაივზე, ვეებერთელა, ერთმანეთის მსგავსი, ერთნაირად უსახური სახლები იდგა, გაზონები კი საპარიკმახეროში გაკრეჭილი გეგონებოდათ. პატრონებიც თავიანთი სახლებივით უზარმაზარები, ერთნაირად უსახურები, ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ და ისეთივე გაკრიალებული მანქანებით დასეირნობდნენ, როგორიც ძია ვერნონს ჰყავდა. ლიტლ-უინგინგი უფრო შეღამებულზე მოსწონდა ჰარის: ფარდებჩამოფარებული ფანჯრები სიბნელეში ბრილიანტის კვადრატებივით ანათებდა. შეეძლო, ისე გაევლო ქუჩაში, რომ არ მოესმინა ბუზღუნი თავისი „ანტისაზოგადოებრივი“ გარეგნობის თაობაზე. ნაბიჯს აუჩქარა და მაგნოლიის ქუჩაზე ისევ დაინახა დადლის კომპანია. გზაჯვარედინთან ძმაბიჭები დადლის ემშვიდობებოდნენ. ჰარი იასამნის ბუჩქს მოეფარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გოჭივით ატეხა ჭყვიტინი, – იხსენებდა მალკოლმი დანარჩენების სიცილ-ხარხარში.

– მშვენიერი დარტყმა იყო, დიდო დი, – აღნიშნა პირსმა.

– აბა, რა ვქნათ, ხვალ იმავე დროს? – იკითხა დადლიმ.

– მოდი, ჩემთან შევიკრიბოთ, ჩვენები შინ არ იქნებიან, – შესთავაზა გორდონმა.

– ესე იგი, შევთანხმდით, – თქვა დადლიმ.

– ნახვამდის, დად!

– ხვალამდე, დიდო დი!

ჰარიმ მოიცადა, სანამ დადლის ძმაბიჭები სახლებში გაიკრიფებოდნენ. როცა მათი ხმები ისევ მიწყდა, მაგნოლია კრესენტის კუთხეში შეუხვია და სწრაფად განაგრძო გზა. დადლი აუჩქარებლად მიდიოდა და ცხვირში რაღაცას უნიჭოდ ღიღინებდა.

– გამარჯობა, დიდო დი!

დადლიმ მოიხედა.

– ა, შენა ხარ?

– დიდი ხანია, რაც „დიდ დი“-დ იქეცი? – ჰკითხა ჰარიმ.

– მოკეტე, – შეუღრინა დადლიმ და ისევ მიაბრუნა თავი.

– მაგარი სახელია, – ჩაიღიმა ჰარიმ და დეიდაშვილს გვერდით გაჰყვა, – მაგრამ შენ ჩემთვის ყოველთვის პატარა დადლიკოდ დარჩები.

– გითხარი, მოკეტე-მეთქი! – შეუღრინა დადლიმ და ლორივით ვარდისფერი ხელები მუშტებად შეკრა.

– საინტერესოა, შენმა მეგობრებმა თუ იციან, დედიკო რას გეძახის?

– მომწყდი თავიდან!

– რატომღაც დედიკოს არ მიმართავ ასე. რას იტყვი, მაგალითად, „პაწაწინაზე“ და „ჩემო სიხარულოზე“? ხომ არ გირჩევნია, რომ ასე მოგმართო?

დადლის ხმა არ ამოუღია. როგორც ჩანს, მთელი ყურადღება იმაზე გადაიტანა, რომ თავი შეეკავებინა და ჰარის არ დასტაკებოდა.

– ჰა, დღეს ვინ გატყიპე? – ჰარის ღიმილი გაუქრა, – მორიგი ძუძუმწოვარა? გავიგე, ორი დღის წინ მარკ ევანსი გიცემია.

– დაიმსახურა, – წაიბურტყუნა დადლიმ.

– მართლა?

– თავხედურად მომექცა.

– ჰოო? იქნებ გითხრა, რომ უკანა ჩლიქებზე მოსიარულე ღორი ხარ? თუ ასეა, ეს თავხედობა კი არა, წმინდა წყლის სიმართლეა.

დადლის ლოყაზე კუნთი აუთამაშდა. ჰარის უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა დადლის ჭკუიდან გადაყვანა. სხვა გამოსავალს ვერ ხედავ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, თავისი დარდი და ნაღველი დეიდაშვილზე უნდა გადმოენთხია.

ვიწრო შუკაში გადაუხვიეს, ჰარიმ პირველად სწორედ აქ ნახა სირიუსი. ეს ყველაზე მოკლე გზა იყო მაგნოლია კრესენტიდან პრივიტ დრაივზე გასასვლელად. შუკაში არავინ ჩანდა და შედარებით ბნელოდა კიდეც. ცალ მხარეს – გარაჟების კედლები, მეორე მხარეს კი მაღალი ღობე ნაბიჯების ხმას ახშობდა.

– ეგ რაღაც დაგაქვს თან და ფიქრობ, რომ დიდი ვინმე ხარ? – ჰკითხა დადლიმ ცოტა ხნის შემდეგ.

– რა „რაღაც"?

– ის, რასაც მალავ.

ჰარიმ ისევ გაიღიმა.

– ოჰო, არც ისეთი გამოშტერებული ყოფილხარ, როგორც ერთი შეხედვით ჩანხარ. ისიც კი ვიფიქრე, რომ ერთდროულად სიარული და ლაპარაკი არ შეგეძლო.

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი დააძრო. დადლიმ ცერად გახედა და სწრაფად თქვა:

– შენ აკრძალული გაქვს! გგონია, არ ვიცი? ერთი გაქნევა, და გაგრიცხავენ კიდეც იმ შენი ნაგიჟრების სკოლიდან.

– დარწმუნებული ხარ, დიდო დი, რომ იქ წესები არ შეცვლილა?

– არ შეცვლილა, – ცოტა არ იყოს, ყოყმანით თქვა დადლიმ.

ჰარიმ გაიცინა.

– მაგ რაღაცის გარეშე არაფრის თავი არ გაქვს, არა? – დაიღრინა დადლიმ.

– ჩემი შენ გითხარიო. ოთხი ძმაბიჭი მაინც უნდა გედგას გვერდით, რომ ძუძუმწოვარა ბავშვებს გაუსწორდე. ნეტავ რა ტიტულებით ტრაბახობ? რამდენი წლისა იყო შენი მეტოქე? შვიდისა? რვისა?

– სხვათა შორის, თექვსმეტისა იყო. ეს – ცნობისთვის, – ისევ დაიღრინა დადლიმ, – მერე მთელი ოცი წუთი ასულიერებდნენ. წონით კი შენზე ორჯერ მეტს იწონიდა. დამაცადე, მამას ვუთხრა, ეგ რაღაც რომ ამოიღე...

– ესე იგი, მაშინვე მამიკოსთან გავრბივართ, არა? მისი პაწაწკინტელა ჩემპიონი ძალზე შეაშინა საძაგელი ჰარის ჯოხმა.

– რატომღაც ღამით ისეთი მამაცი ვერა ხარ, – დაგესლა დადლიმ.

– ახლა რა, ღამე არ არის, დადლიკო? ღამე, – ამას შენ გასაგონად ვამბობ, – ის დროა, როცა ბნელა.

– მე კი იმ დროზე გეუბნები, როცა გძინავს!

დადლი შეჩერდა. შეჩერდა ჰარიც და დეიდაშვილს შეაცქერდა. მართალია, დადლის სიფათი ცუდად ჩანდა სიბნელეში, ჰარიმ მის სახეზე მაინც შენიშნა გამარჯვებულის კმაყოფილება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ გავიგო: მამაცი ვერა ვარ, როცა მძინავს? – იკითხა ნირწამხდარმა ჰარიმ, – მაინც რისი უნდა მეშინოდეს ამ დროს, ბალიშისა?

– წუხელ რაღაცას მოვკარი ყური, – ჩუმად თქვა დადლიმ, – ძილში ლაპარაკობდი, კვნესოდი.

– ეგ როგორ გავიგო? – გაიმეორა ჰარიმ, მაგრამ მუცელში თითქოს ყინულივით ცივმა რაღაცამ დაუარა. წუხელ, უკვე მერამდენედ, ისევ სასაფლაოზე იყო.

დადლიმ ღვარძლიანად გადაიხარხარა, თითქოს ძაღლი აყეფდაო. მერე კი წვრილი, მტირალა ხმით გამოაჯავრა:

– „არ მოკლათ სედრიკი! არ მოკლათ სედრიკი!“ ვინ არის ეს სედრიკი, შენი შეყვარებული?

– მე... ყველაფერს იტყუები, – უნებურად თქვა ჰარიმ და პირი გაუშრა. იცოდა, რომ დადლი არ ტყუოდა. როგორ გაიგებდა სედრიკის ამბავს, მართლა რომ არ მოესმინა?

– „მამა! მამა! მიშველე! ჩემი მოკვლა უნდა! ვაი! ვაი!“

– მოკეტე! – წყნარად უთხრა ჰარიმ, – მოკეტე, დადლი. გაფრთხილებ.

– „მიშველე, მამა! მიშველე, დედა! სედრიკი მოკლეს! მიშველე, მამა! მას უნდა, რომ“... მომაცილე ეგ რაღაცა!

დადლი უკან-უკან წავიდა და კედელს აეკრა. ჰარი იდგა, ჯადოსნურ ჯოხს პირდაპირ გულში უმიზნებდა. გრძნობდა, როგორ ჩქეფდა ძარღვებში თოთხმეტწლიანი სიძულვილი დადლისადმი. რას არ მისცემდა, ოღონდ უფლება ჰქონოდა, ახლავე, ამწუთას გასწორებოდა, ისე მოეჯადოებინა, რომ შინ საცეცებიან მწერად გადაქცეული მიხოხებულიყო.

– ამაზე კრინტი აღარ დაძრა! – შეუღრინა ჰარიმ, – გასაგებია?

– გასწიე იქით ეგ რაღაცა!

– გეკითხები: გასაგებია?

– მომაცილე ეგ რაღაცა!

– გასაგებია?

– მომაცილე ეგ რაღაცა...

დადლიმ უცნაურად, კანკალით ჩაისუნთქა, თითქოს ყინულივით ცივ წყალში ჩაუშვესო.

თვით ღამესაც რაღაც დაემართა. მუქლურჯი, ვარსკვლავებიანი ცა უცებ ერთიანად გაშავდა. ყველაფერი სიბნელეში ჩაიძირა – აღარსად იყო აღარც ვარსკვლავები, აღარც მთვარე, აღარც შესახვევის თავსა და ბოლოში მბჟუტავი ფარნების შუქი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა: აღარ ისმოდა აღარც მანქანების შორეული ხმა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღარც ხეების შრიალი. ზაფხულის ალერსიანი საღამოს ნაცვლად სულის გამყინავი სიცივე გამეფდა. იქაურობა ყოვლისმომცველმა, მდუმარე წყვდიადმა შთანთქა, თითქოს ვეებერთელა ხელმა მთელ ვიწრო შუკას ყინულის მკვრივი ქსოვილი წააფარაო.

ჰარის წამით მოეჩვენა, რომ უნებლიეთ გამოიყენა ჯადოსნური ჯოხი, არადა, მთელი ძალით ცდილობდა, არ აჰყოლოდა ცდუნებას. მაგრამ მალევე გამოერკვა: ვარსკვლავების ჩაქრობა მის ძალებს აღემატებოდა. აქეთ-იქით მიტრიალ-მოტრიალდა, იქნებ რამე მაინც გავარჩიოო, მაგრამ მრუმე სიბნელე თვალებზე უხილავ პირბადესავით ჩამოჰფარებოდა.

ჰარის ყურს დადლის განწირული ხმა მისწვდა:

– რ-რას შ-შვრები? გ-გეყოფა!

– არაფერსაც არ ვშვრები! ჩუმად იყავი და არ გაინძრე!

– ვ-ვერაფერს ვერ ვხედავ! დ-დავბრმავდი! მე...

– მოკეტე, რომ გეუბნები!

ჰარი სარგადაყლაპულივით იდგა, დაბრმავებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ისეთი სუსხი დატრიალდა, რომ მთელი ტანით აძაგძაგდა. კანი აებურძგლა, თმა ყალყზე დაუდგა, თვალებდაჭყეტილი აცქერდებოდა სიბნელეს, მაგრამ უშედეგოდ. გარშემო მხოლოდ წყვდიადი იყო.

ეს შეუძლებელია... არ შეიძლება, ისინი აქ იყვნენ... ლიტლ-უინგინგში... სმენა დაძაბა... სანამ დაინახავდა, ჯერ ხომ ხმა უნდა გაეგონა...

– მ-მამას ვეტყვი! – სლუკუნებდა დადლი, – ს-სადა ხარ? რ-რას ა-აკეთებ?..

– მოკეტავ თუ არა? – წაისისინა ჰარიმ, – ვცდილობ, გავი... ჰარი გაშეშდა, ახლაღა გაიგონა ის, რისიც ეშინოდა. ხანგრძლივი ხროტინა, ხრინწიანი სუნთქვა. შუკაში მათ გარდა კიდევ რაღაც იყო. სიცივისგან აკანკალებული ჰარი ძრწოლამ აიტანა.

– შ-შეჩერდი! მორჩი ახლავე! მორჩი, თორემ მ-მოგაკერებ, გესმის?

– დადლი, გაჩუმ... ბუჰ!

მძიმე მუშტი ჰარის ყბაში მოხვდა და ძირს დასცა. თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. ამ ერთი საათის განმავლობაში უკვე მეორედ მოეჩვენა, რომ თავი შუაზე გაუსკდა. გაშხლართული ეგდო მიწაზე, ჯოხი ხელიდან გავარდნოდა.

– იდიოტი ხარ, დადლი! – დაიღრიალა ჰარიმ. ტკივილისგან თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. ძლივძლივობით დადგა მუხლებზე და გამწარებულმა დაიწყო სიბნელეში ხელის ფათური. დადლი ბრმად მიფრატუნობდა სადღაც, გზადაგზა კედლებს აწყდებოდა და ლამის ძირს ეცემოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დადლი, დაბრუნდი! პირდაპირ ხელებში ჩაუვარდები!

გაისმა შემზარავი წამოკივლება და დადლის ფეხის ხმაც მიწყდა. იმავე წამს ჰარიმ იგრძნო, როგორ უახლოვდებოდა უკნიდან სიცივე. ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა – ისინი, სულ ცოტა, ორნი იყვნენ.

– დადლი, ხმა არ ამოიღო, გესმის? რაც უნდა მოხდეს, ჩუმად იყავი! სად არის ჩემი ჯოხი? – გაცოფებული ჩურჩულებდა ჰარი და ობობასავით აცეცებდა თითებს მიწაზე, – მაინც სად არის... ჩემი ჯოხი... ჩქარა... ლუმოს!

ისე სჭირდებოდა სინათლე, რომ თავისდა უნებურად წარმოთქვა შელოცვა და თვალებს არ დაუჯერა, როცა მხსნელი ნათება მარჯვენა ხელთან სულ ახლოს დაინახა: ჯადოსნური ჯოხის წვერი განათდა. ჰარიმ ხელი სტაცა, წამოხტა, მიიხედ-მოიხედა და ლამის გულ-მუცელი ამოუტრიალდა:

ჰაერში ლივლივით მოსრიალებდა სახეზე კაპიუშონჩამოფარებული მოსასხამიანი მაღალი ფიგურა და გზადაგზა ღამის ჰაერს იწოვდა.

ჰარიმ ბორძიკით დაიხია უკან და ჯადოსნური ჯოხი შემართა.

– ექსპექტო პატრონუმ!

ჯოხის წვერიდან ვერცხლისფერი ორთქლის ნაკადი გამოიჭრა. დემენტორმა მოძრაობა შეანელა, მაგრამ შელოცვამ ისე არ იმოქმედა, როგორც საჭირო იყო. დემენტორი უახლოვდებოდა. ჰარი უკან იხევდა. პანიკამ გონება დაუბინდა.

„გონება უნდა მოვიკრიბო...“

დემენტორის მოსასხამიდან ლორწოვანი ქერცლით დაფარული წყვილი რუხი ხელი გამოჩნდა და მისკენ გაიწია. საშინელმა ხმაურმა ყურები გამოუჭედა.

– ექსპექტო პატრონუმ!

საკუთარი ხმა ჰარის თითქოს შორიდან მოესმა. კიდევ ერთი ვერცხლისფერი ნაკადი გამოიჭრა ჯოხის წვერიდან, წელანდელზე უფრო სუსტი. ალბათ, მეტი აღარ შეუძლია. ალბათ, შელოცვა აღარ გამოსდის.

გონებაში მწივანა, საზარელი სიცილი გაისმა. დემენტორის მყრალი, სიკვდილივით ცივი სუნთქვა უვსებდა ფილტვებს. ჰარი ამ მყრალ სუნთქვაში იძირებოდა.

„უნდა ვიფიქრო... რაღაც სასიხარულოზე“...

მაგრამ სიხარულის ნატამალიც არ გააჩნდა... დემენტორი ყინულივით ცივ თითებს ნელ-ნელა უჭერდა ყელში. საზარელი სიცილი სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა, გონებაში ვიღაც ალაპარაკდა:

– ქედი მოიხარე სიკვდილის წინაშე, ჰარი... იქნებ ვერც კი იგრძნო ტკივილი... ვერაფერს გეტყვი... მე ხომ არასდროს მოვმკვდარვარ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა, აღარ უწერია რონისა და ჰერმიონის ნახვა...

მათმა სახეებმა გაუელვა გონებაში. კანკალით ჩაისუნთქა ჰაერი და:

– ექსპექტო პატრონუმ!

ჯადოსნური ჯოხის წვერიდან ვეებერთელა ვერცხლისფერი ირემი გამოიჭრა. რქები იმ ადგილას დაჰკრა დემენტორს, სადაც გული უნდა ჰქონოდა, და უკან გადააგდო. ირემმა ისევ შეუტია. ღამურას დამსგავსებული დამარცხებული დემენტორი სწრაფად შორდებოდა იქაურობას.

– ახლა აქეთ! – დაუყვირა ჰარიმ ირემს და „დადლი, დადლის“ ძახილით და მაღლა შემართული მოციმციმე ჯადოსნური ჯოხით ხელში დეიდაშვილისკენ გავარდა.

ათიოდე ნაბიჯზე დადლი დაინახა: მიწაზე იწვა და ხელისგულები სახეზე აეფარებინა. მეორე დემენტორი თავს წამოსდგომოდა. დადლისთვის მაჯებში ჩაევლო ლორწოვანი ხელები და ნელა, ლამის სიყვარულით ცდილობდა სახიდან ჩამოცილებას. კაპიუშონით დაფარული თავი ისე ახლოს მიჰქონდა დადლის სახესთან, თითქოს კოცნას უპირებდა.

– აი, ისიც! – დაიყვირა ჰარიმ.

გვერდით გრიგალივით ჩაიქროლა ვერცხლისფერმა ირემმა. დემენტორის უთვალებო სახე სულ რაღაც ერთ-ორ სანტიმეტრზეღა იყო დადლის სახისგან, როცა მშველელი ვერცხლისფერი რქებით დაეძგერა. ზევით ავარდნილი დემენტორი თავის თანამოძმესავით ჰაერში გასრიალდა და მალევე გაუჩინარდა წყვდიადში. ირემმა ჭენებით მიაღწია ქუჩის ბოლოს, იქ კი ვერცხლისფერ ნისლად გალღვა.

ისევ გამოანათა მთვარემ, ვარსკვლავებმა და ქუჩის ფარნებმა. შუკაში თბილმა ნიავმა დაუბერა. ბაღებში ხეები აშრიალდა, გაისმა მაგნოლია კრესენტზე ჩავლილი მანქანის ხმა. ჰარი ისევ დაძაბული და გაშეშებული იდგა. ადვილი არ იყო იმ საშინელებიდან ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნება. იგრძნო, რომ მაისური ტანზე მისწებებოდა – ერთთავად ოფლში ცურავდა.

არაფრით უნდოდა იმის დაჯერება, რაც მოხდა. დემენტორები აქ, ლიტლ-უინგინგში იყვნენ! დადლი მოკრუნჩხული იწვა მიწაზე. ცახცახებდა, კვნესოდა. ჰარი ჩაცუცქდა, უნდოდა გაეგო, შეეძლო თუ არა წამოდგომა. უცებ ზურგს უკან ფეხის ხმა გაიგონა. ანგარიშმიუცემლად ასწია ჯადოსნური ჯოხი და მკვეთრად შებრუნდა.

მისკენ ქოშინით მორბოდა მისის ფიგი, დამთხვეული მოხუცი მეზობელი. სახეზე ჭაღარა თმა ჩამოშლოდა, სანოვაგით სავსე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბადურას მოაქანავებდა. ცოტაც და, ნაჭრის ფოსტლები ფეხიდან გასძვრებოდა. ჰარიმ სცადა, ჯადოსნური ჯოხი დაემალა, მაგრამ...

– რას მალავ, სულელო ბიჭო! – შეჰყვირა მისის ფიგმა, – აქ შეიძლება, სხვებიც დაძრწიან! ერთი სული მაქვს, შუაზე გავგლიჯო მანდანგუს ფლეტჩერი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოთხე

ბუები! ბუები!..

– რა? – უაზროდ იკითხა ჰარიმ.

– სადღაც წაბრძანდა, – თითების მტვრევით თქვა მისის ფიგმა, – თურმე ნუ იტყვი, ვილაცასთან შეხვედრა ჰქონია დანიშნული ვილაცის ცოცხიდან ჩამოცვენილი ქვაბების თაობაზე. ვეუბნებოდი, ფეხს თუ მოიცვლი, ტყავს გაგაძრობ-მეთქი. და, აი, ხომ ხედავ! დემენტორები! კიდევ კარგი, რომ ბატონ ტაიბლესს გამოვუძახე, მაგრამ აქ დგომისა და ლაპარაკის დრო არა გვაქვს! ჩქარა, შინ უნდა მიგიყვანო. რა საშინელებაა! მოვკლავ, ნამდვილად მოვკლავ!

– მაგრამ...

იმ ამბავმა, რომ მისმა ბებერმა, კატებზე გადარეულმა მეზობელმა იცოდა, ვინ იყვნენ დემენტორები, ჰარიზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც თვით დემენტორებთან შეხვედრამ.

– თქვენ... თქვენ ჯადოქარი ხართ?

– მე სქვიბი ვარ და ეს მშვენივრად მოეხსენება მანდანგუსს! აბა, რანაირად დაგეხმარებოდი დემენტორებთან ბრძოლაში? სრულიად დაუცველი მიგატოვა, არადა, ხომ ვაფრთხილებდი...

– მანდანგუსი მიცავდა? მოიცათ... ესე იგი, მანდანგუსი იყო, პირდაპირ ჩემი სახლის წინ რომ მოახდინა აპარაცია?

– დიახ, დიახ, მაგრამ, საბედნიეროდ, ბატონ ტაიბლესს ვუბრძანე, ყოველი შემთხვევისთვის, მანქანის ქვეშ ემორიგევა. სწორედ მან გამაგებინა ახალი ამბავი, მაგრამ შენს სახლთან რომ მოვედი, იქ უკვე აღარ იყავი... ახლა კი... აჰ, რას იტყვის დამბლდორი? ეი, შენ! – შეუყვირა მიწაზე გაშხლართულ დადლის, – აბა, ჩქარა ასწიე ეგ შენი გასივებული უკანალი!

– თქვენ იცნობთ დამბლდორს? – გაოცდა ჰარი.

– რა თქმა უნდა, ვიცნობ. ვინ არ იცნობს დამბლდორს? მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წასვლის დროა. თუ ისინი დაბრუნდნენ, მე ვერაფერს გიშველი. ცხოვრებაში იატაკის ტილოც კი არაფრად გადამიქცევია.

მოხუცი დაიხარა, დანაოჭებული ხელები დადლის ვეებერთელა მკლავში ჩასჭიდა და მოქაჩა.

– ადექი, შე ნეხვის გროვავ, ადექი-მეთქი!

მაგრამ დადლის ან არ შეეძლო განძრევა, ან არ უნდოდა. იწვა მიწაზე და ცახცახებდა. სახეზე ნაცრისფერი ედო, ტუჩები მაგრად მოეკუმა.

– მიმიშვით, – ჰარი მკლავში ჩაეჭიდა, მთელი ძალით ასწია და ძლივძლივობით წამოაყენა ფეხზე. დადლის თვალები ებლიტებოდა, თითქოს სადაცაა გრძნობას დაკარგავსო. შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული. ჰარიმ ოდნავ შეუშვა თუ არა ხელი, დადლი გადაქანდა.

– სწრაფად! – ისტერიკულად იყვირა მისის ფიგმა. ჰარიმ დადლის ვეებერთელა მკლავი მხრებზე გადაიდო და სიმძიმისგან წელში მოხრილმა ქუჩისკენ წაათრია. მისის ფიგი წინ მიფრატუნობდა. შესახვევს რომ მიაღწიეს, შეშფოთებულმა მიიხედ-მოიხედა.

– ჯოხი მზად გქონდეს, – გააფრთხილა ჰარი, – დაივიწყე საიდუმლოს შენახვის წესდება. სულერთია, მაინც პასუხს გაგებინებენ! ესეც შენი არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვა... სწორედ ამისი ეშინოდა დამბლდორს... რა არის ეს, იქ, ქუჩის ბოლოში? აა, მხოლოდ და მხოლოდ, ბატონი პრენტისი... არ შეინახო ჯოხი, ბიჭუნა, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, ჩემი დახმარების იმედი ნუ გექნება.

არც ისე იოლი იყო, ჯოხი მომზადებული ჰქონოდა და თან დადლიც ეთრია. გაღიზიანებულმა ჰარიმ მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდში დეიდაშვილს, მაგრამ მას, როგორც ჩანს, არავითარი სურვილი არ ჰქონდა, დამოუკიდებლად ევლო, მომჩვარული სხეულით ჩამოჰკიდებოდა ჰარის მხრებზე და ვეებერთელა ტერფებს მიწაზე მიათრევდა.

– მისის ფიგ, რატომ ადრე არ მითხარით, რომ სქვიბი იყავით? – იკითხა დაძაბულობისგან აქოშინებულმა ჰარიმ, – მთელი ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ ვიყავი თქვენთან, რატომ არაფერი მითხარით?

– დამბლდორის ბრძანებაა. თვალყური ისე უნდა მედევნებინა შენთვის, რომ არაფერი შეგემჩნია. ჯერ კიდევ ძალიან პატარა ხარ. ვიცი, რომ ჩემთან ყოფნა მაინცდამაინც არ გსიამოვნებდა, მაგრამ თუ დაინახავდნენ, რომ ჩემთან კარგად გრძნობდი თავს, დერსლები აღარ გამოგიშვებდნენ. დამიჯერე, ეს ყველაფერი არც ისე იოლი იყო... გეფიცები, – თქვა ტრაგიკული ხმითა და თითების მტვრევით, – ამას რომ გაიგებს დამბლდორი – როგორ მიგატოვა მანდანგუსმა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შუაღამემდე უნდა ემორიგევა! ახლა სად ბრძანდება? რა შევუთვალო დამბლდორს? მე ხომ აპარაცია არ შემიძლია.

– მე ბუ მყავს. შემიძლია, გათხოვოთ, – დაიკვნესა ჰარიმ. გრძნობდა, რომ დადლის სიმძიმისგან სადაცაა წელში გადაწყდებოდა.

– ჰარი, შენ ვერ გაიგე! დამბლდორმა სწრაფად უნდა იმოქმედოს. სამინისტროს არასრულწლოვანების მიერ ჯადოქრობის გამოყენების შემთხვევების დაფიქსირების საკუთარი საშუალებები აქვს. მათ უკვე ყველაფერი იციან. დაიხსომე ჩემი სიტყვა.

– მაგრამ მე ხომ დემენტორებისგან ვიცავდი თავს! მათ ეს კი არა, სხვა რაღაცა უნდა აწუხებდეთ – რა უნდოდათ დემენტორებს ამ ქუჩაზე! არა ვარ მართალი?

– ო, ჩემო საყვარელო. კარგი იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო, მაგრამ ვშიშობ... მანდანგუს ფლეტჩერ, ჩემი ხელით დაგახრჩობ!

გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და იქაურობა ალკოჰოლისა და თამბაქოს სუნით გაიჟღინთა. პირდაპირ მათ წინ დაგლეჯილპალტოიანი კაცი აისვეტა. ჯმუხი იყო, გაუპარსავი, მოკლე, დაგრეხილი ფეხები და გრძელი, აწეწილი წითური თმა ჰქონდა. ჩასისხლიანებული თვალები და შეშუპებული უპეები ნაღვლიანი ძაღლის იერს აძლევდა. ხელში ვერცხლისფერი ფუთა ეჭირა, ჰარიმ უცებ იცნო უჩინმაჩინის მოსასხამი.

– რაო, ფიგ, საყვარელო? – იკითხა და სამივე სათითაოდ შეათვალიერა, – თუ არ ვცდები, საიდუმლოს შენახვის წესდება უნდა დაგეცვა.

– მე შენ გიჩვენებ საიდუმლოს! – უყვირა მისის ფიგმა, – დემენტორები! გესმის, შე უქნარა, უნდილო ქურდო?

– რის დემენტორები? რა დემენტორები? აქ? – გაუკვირდა მანდანგუსს.

– დიახ, აქ, შე ღამურას სკინტლო! – დაიღრიალა მისის ფიგმა, – ამ ბიჭს დემენტორები დაესხნენ თავს, შენ კი ამისი დაცვა გქონდა დავალებული.

– არ გადამრიო... – ძლივს ამოიჩურჩულა მანდანგუსმა. ხან მისის ფიგს უყურებდა, ხან – ჰარის, ხან – ისევ დედაბერს, – რას ამბობ, მე კი...

– შენ კი მოპარული ქვაბების საყიდლად აითესე! ხომ გეუბნებოდი, ფეხი არ მოიცვალო-მეთქი! არ გეუბნებოდი?

– მე... იცი... მე... ეს... იცი... ეს... ძალიან სარფიანი გარიგება იყო... – თავს იმართლებდა დამფრთხალი და გასაცოდავებული მანდანგუსი.

მისის ფიგმა ბადურა მოიქნია და პირდაპირ სახეში სთხლიშა. ხმით თუ ვიმსჯელებთ, ბადურაში კატისთვის განკუთვნილი საჭმელი უნდა ყოფილიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვაი, მეტკინა... გეყოფა, გეყოფა, შე ბებერო ქოფაკო! ვინმემ დამბლდორს უნდა შეატყობინოს.

– ჰო... ვიღაცამ უნდა შეატყობინოს! – გაჰკიოდა მისის ფიგი და ბადურას უბრაგუნებდა მანდანგუსს, – და ეს ვიღაცა შენ იქნები. ეტყვი, რატომ არ იყავი იქ, სადაც უნდა ყოფილიყავი!

– თმა ჩამოგეშალა, – დაიყვირა წელში მოხრილმა მანდანგუსმა და თავზე წაიფარა ხელები, – მივდივარ, მივდივარ!

მანდანგუსი ხმამაღალი ტკაცანით გაუჩინარდა.

– დიდი იმედი მაქვს, რომ დამბლდორი მიახრჩობს! – შესძახა განრისხებულმა მისის ფიგმა, – აბა, წავედით ჰარი, რაღას უცდი?

ჰარიმ გადაწყვიტა, შერჩენილი ძალა ლაპარაკში არ დაეხარჯა და არ ეწუწუნა მისის ფიგთან, რომ ზურგზე მოკიდებული დადლის თრევა არც ისე იოლი იყო. გონდაკარგული დეიდაშვილი ისევ მხრებზე მოიგდო და ბანცალით განაგრძო გზა.

– კარამდე მიგაცილებ, – უთხრა მისის ფიგმა, როცა პრივიტ დრაივზე შეუხვიეს, – ყოველი შემთხვევისთვის, ვაითუ, ორი კი არა, უფრო მეტნი იყვნენ... რა საშინელებაა... შენ თვითონ მოგიხდა მათი მოგერიება... დამბლდორმა კი თქვა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ შენ ჯადოქრობის გამოყენება დაგჭირდეს... კარგი, რაც იყო, იყო, მომხდარს რაღას უშველი...

– ესე იგი, დამბლდორი... მითვალთვალებს? – ამოიოხრა ჰარიმ.

– რა თქმა უნდა, – გაღიზიანდა მისის ფიგი, – შენ რა, გეგონა, მას შემდეგ, რაც ივნისში მოხდა, შენ ნებაზე გასეირნებდა? ესეც თქვენი გონიერი ბიჭი! მე კი მეუბნებოდნენ, ჭკვიანი ბიჭიაო... კარგი, შინ შედი და გარეთ აღარ გამოხვიდე, – უთხრა მისის ფიგმა, როცა ნომერ ოთხ სახლს გაუსწორდნენ, – იმედია, მალე დაგიკავშირდებიან.

– თქვენ რას იზამთ? – სწრაფად ჰკითხა ჰარიმ.

– პირდაპირ სახლისკენ მოვუსვამ, – თქვა მისის ფიგმა და ბნელი ქუჩა შიშით მოათვალიერა, – ახალ მითითებებს დაველოდები. ფეხი არსად გაადგა, გესმის? ღამე მშვიდობისა.

– მოიცათ, მოიცათ! რაღაც უნდა გკითხოთ...

მაგრამ მისის ფიგი უკვე შორს იყო, ნაჭრის ფოსტლების ტყაპუნითა და კატის საჭმლით სავსე ბადურის ქნევით სახლისკენ მიცუხცუხებდა.

– მოიცათ! – ერთხელ კიდევ გასძახა ჰარიმ. მილიონი რამ უნდოდა ეკითხა მისთვის, რადგან მას უშუალო კავშირი ჰქონდა დამბლდორთან, მაგრამ ორიოდე წამში მისის ფიგი სიბნელეში გაუჩინარდა. გაბრაზებულმა ჰარიმ ზურგზე მოკიდებული დადლი გაისწორა და მძიმედ გაუყვა ბაღის ბილიკს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰოლში სინათლე ენთო. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი უკან, ქამარში გაირჭო და ზარი დარეკა. კარის მინის მიღმა დეიდა პეტუნიას საოცრად დამახინჯებული სილუეტი ურჩხულივით ამოისვეტა.

– დადლი! სად ხარ აქამდე, მე უკვე ვნერ... რა... დადლი, რა დაგემართა?

ჰარიმ ცერად ახედა დადლის და ვეებერთელა მკლავებიდან გამოუძვრა. სწორედ რომ, დროზე დაუძვრა: გამწვანებულ-გაფითრებული დადლი ადგილზე შექანდა, მერე პირი დააღო და ზედ კართან ხალიჩაზე აღებინა.

– დადლი! დადლიკუნა! რა დაგემართა? ვერნონ! ვერნონ!

სასტუმრო ოთახიდან შეშინებული ძია ვერნონი გამოვარდა. ლომ-ვეშაპის მსგავსი ულვაშები უთრთოდა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა ღელავდა. ძია ვერნონი დეიდა პეტუნიას შეეშველა და ორივემ ერთად გამოათრია დადლი, რომ საკუთარ ნარწყევში არ ჩაწოლილიყო.

– ვერნონ, ცუდად არის!

– რა მოგივიდა, შვილო? რა მოხდა? რამე ისეთი ხომ არ ჭამე მისის პოლკინსთან?

– ასე სად ამოიგანგლე, საყვარელო? შენ რა, მიწაზე იწექი?

– მოიცა! გცემეს, შვილო? გცემეს, არა?

დეიდა პეტუნიამ შეჰკივლა.

– ვერნონ, დარეკე პოლიციაში! პოლიციაში დარეკე! დადლიკუნა, საყვარელო, უთხარი დედიკოს რამე! მითხარი, რა გიქნეს!

ჰარის გაუხარდა, რომ ამ არეულობაში მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. სანამ ძია ვერნონი კარს მიხურავდა, სახლში შეძვრა. სანამ დერსლები სამზარეულოში შექოთქოთდნენ, ჰარი უჩუმრად გაიპარა კიბისკენ.

– ეს ვინ გიქნა, შვილო? თქვი, ვინ იყო. სად წამივა, მიწიდან ამოვთხრი!

– ჩუ! ვერნონ, რაღაცის თქმა უნდა! რა იყო, დადლი, უთხარი დედიკოს...

ჰარიმ ის-ის იყო ფეხი შედგა კიბის საფეხურზე, რომ დადლის ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა.

– აი, იმან!

ჰარი ადგილზე გაშეშდა: ცალი ფეხი კიბეზე დარჩა; იდგა მოღუშული და ტუჩებმოკუმული და ფიქრობდა, ახლა აქ ამბავი ატყდებაო?!

– ბიჭო! მოდი აქ!

შიშმა და სიბრაზემ ჰარის ერთად დარია ხელი. ნელა ჩამოდგა ფეხი კიბიდან და დერსლებისკენ წავიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქუჩის სიბნელის შემდეგ იდეალურად სუფთა სამზარეულო უჩვეულოდ განათებული მოეჩვენა. დეიდა პეტუნიამ სკამზე დასვა დადლი. ოფლში გაწურულს სახეზე ისევ მწვანე-ნაცრისფერი ედო. ძია ვერნონი ჭურჭლის საშრობთან იდგა და ჰარის წვრილი, მოჭუტული თვალებით შესცქეროდა.

– რა უყავი ჩემს შვილს? – მრისხანედ დაიღრინა.

– არაფერი, – უპასუხა ჰარიმ, თუმცა, მშვენივრად იცოდა, რომ არ დაუჯერებდნენ.

– რა გიყო, დადლიკუნა? რა დაგიშავა? – ათრთოლებული ხმით ჰკითხა დეიდა პეტუნიამ შვილს, თან ჩამოთხვრილ ტყავის პიჯაკს უწმენდდა, – ეს ის იყო... შენც ხომ იცი, საყვარელო... ის რაღაც გამოიყენა, არა?

დადლიმ ნელა დაუქნია აკანკალებული თავი.

დეიდა პეტუნიამ დაიგმინა, ძია ვერნონმა ხელები მომუშტა.

– არაფერიც! – მკვახედ იყვირა ჰარიმ, – მე არაფერი დამიშავებია, ეს...

ამ დროს ფანჯარაში ბუ შემოფრინდა, ლივლივით გადაუფრინა მთელ სამზარეულოს და ნისკარტში გაჩრილი პერგამენტის დიდი კონვერტი ჰარის ფეხებთან დაუგდო. მერე მაცივრის კიდეს ბოლოთი შეეხო, ელეგანტური კამარა შეკრა და იმავე ფანჯრიდან გაფრინდა.

– ბუები! – იღრიალა ძია ვერნონმა და ფანჯარა მიაჯახუნა. გვარიანად დაბერილი ძარღვი საფეთქელზე ავის მომასწავებლად აუთრთოლდა, – ისევ ეს ბუები! არავითარ ბუებს აღარ მოვითმენ ჩემს სახლში!

ჰარი აღარ უსმენდა, კონვერტი გახია და წერილი ამოიღო. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

„ძვირფასო ჰარი პოტერ!

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღეს, საღამოს ცხრა საათსა და ოცდასამ წუთზე, მაგლებით დასახლებულ რაიონში და მაგლის თანდასწრებით თქვენ პატრონუსის შელოცვა გამოიყენეთ.

არასრულწლოვანთა ედადოქრობის ზომიერი შეზღუდვის შესახებ კანონის უხეში დარღვევისთვის თქვენ გარიცხული ხართ ჰოგვორცსის მაგიისა და ედადოქრობის სკოლიდან. უმოკლეს დროში სამინისტროს წარმომადგენელი საცხოვრებელ ადგილზე გეწვევათ, რათა გაანადგურონ თქვენი ედადოსნური ედოხი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვინაიდან, ედადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის მიერ მიღებული საიდუმლოს შენახვის წესდების მე-13 პარაგრაფის თანახმად, ამასწინანდელი დარღვევისთვის უკვე მიიღეთ ოფიციალური გაფრთხილება, დიდი სინანულით გაცნობებთ, რომ პირადად თქვენს გამოცხადებას ველით მაგიის სამინისტროს სადისციპლინო მოსმენაზე 12 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

გისურვებთ ედანმრთელობას.

გულწრფელად თქვენი **მაფალდა ჰოპკირკი**.

მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტი. მაგიის სამინისტრო.“

ჰარიმ ორჯერ გადაიკითხა წერილი. ძია ვერნონისა და დეიდა პეტუნიას ხმები სადღაც შორიდან ესმოდა. გულ-მუცელი გაეთოშა. ეს ახალი ამბავი მოწამლული ისარივით ჩაეჭედა გონებაში. ჰოგვორტსიდან გარიცხეს! ყველაფერი დასრულდა. ველარასოდეს დაბრუნდება სკოლაში.

თავი ასწია და დერსლებს გახედა. ჰაერში მუშტებშემართულ ძია ვერნონს ჭარხლისფერი დასდებოდა და მთელი ხმით ყვიროდა. დეიდა პეტუნიას ცალი ხელი დადლის ზურგზე ჰქონდა შემოხვეული, მეორით მისი შუბლი ეჭირა – დადლის ისევ ერეოდა გული.

წამიერი გაოგნების შემდეგ ჰარის ტვინი ისევ აუმუშავდა.

„უმოკლეს დროში სამინისტროს წარმომადგენელი საცხოვრებელ ადგილზე გეწვევათ, რათა გაანადგუროს თქვენი ჯადოსნური ჯოხი“. რით შეიძლება უპასუხოს ამ გამოწვევას? უნდა გაიქცეს, თანაც – ახლავე! არ იცოდა, საით, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო – სადაც უნდა იყოს, ჰოგვორტსი იქნება ეს თუ სხვა ადგილი, ჯოხი აუცილებლად დასჭირდება. თითქოს ცხადში სიზმარს ხედავსო, ჯოხი ამოიღო, შებრუნდა და სამზარეულოდან გასვლა დააპირა.

– საით მიბრძანდები?! – დაუღრიალა ძია ვერნონმა. ჰარიმ არ უპასუხა. მაშინ ძია ვერნონმა სამზარეულო გადაჭრა და ჰოლში გასასვლელი გადაუღობა, – ჯერ ყველაფერი არ გამირკვევია!

– გამატარეთ! – მშვიდად უთხრა ჰარიმ.

– არსადაც არ წახვალ, დარჩები და ამიხსნი, რატომ გახდა ჩემი შვილი...

– თუ არ გამატარებთ, იცოდეთ, შეგილოცავთ! – მუქარით თქვა ჰარიმ და ჯოხი შემართა.

– ტყუილად მეჭიმები! – დაიღრინა ძია ვერნონმა, – კარგად ვიცი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ აკრძალული გაქვს ამ რაღაცის ხმარება საგიჟეთს გარეთ, რომელსაც, რატომღაც, სკოლას ეძახით!

– უკვე გამომაგდეს საგიჟეთიდან, – აცნობა ჰარიმ, – ასე რომ, რასაც მინდა, იმას ვიზამ. სამ წამს გაძლევთ. ერთი... ორი... ხმამაღალი ტკაცანი გაისმა. დეიდა პეტუნიამ წამოიკივლა. ძია ვერნონმა დაიღმუვლა და ჩაიკეცა. ამ საღამოს ჰარი უკვე მესამედ ცდილობდა, გაერკვია, რამ გაიტკაცუნა. თვითონ ხომ მშვენივრად იცოდა, რომ ბრალი არ მიუძღოდა. მაშინვე შენიშნა: ფანჯრის გარეთა რაფაზე დარეტიანებული და აქოჩრილი ბუ იჯდა, რომელიც მიხურული ფანჯრის მინას დასჯახებოდა.

– ბუები! ბუები! – განწირული ხმით ღმუოდა ძია ვერნონი. ჰარის ყურადღება არ მიუქცევია ყვირილისთვის, ფანჯარას ეცა და გამოაღო. ბუმ ფეხი გამოუწოდა, ზედ პერგამენტის პატარა გრაგნილი ჰქონდა შებმული. ჰარიმ წერილი გამოართვა. ბუ შეფართხალდა, ბუმბული გაისწორა და გაფრინდა. ჰარიმ აკანკალებული ხელებით გახსნა მეორე ბარათი, რომელიც ნაჩქარევად იყო ნაწერი. აქა-იქ შავი მელნის ლაქები ეტყობოდა.

„ჰარი...

დამბლდორი ახლახან მივიდა სამინისტროში და შეეცდება, ყველაფერი ჩაფარცხოს. არ გამოხვიდე დეიდაშენისა და ბიძაშენის სახლიდან. შელოცვებს ნუ გამოიყენებ! არავის დაანებო ჯადოსნური ჯოხი.

არწურ უისლი"

დამბლდორი ცდილობს ყველაფრის მოგვარებას... ეს რას უნდა ნიშნავდეს? ნუთუ მაგიის სამინისტროს აჯობებს? ნუთუ ჰარის კიდევ რჩება სკოლაში დაბრუნების შანსი? ის-ის იყო, გულში იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა, რომ ისევ პანიკაში ჩავარდა: როგორ უნდა შეინარჩუნოს ჯოხი, ჯადოქრობა თუ არ გამოიყენა? გამოდის, რომ სამინისტროს წარმომადგენლებთან მოუწევს შებრძოლება. ამისთვის კი ნაღდად გარიცხავენ. კარგი იქნება, თუ აზკაბანში არ ჩასვამენ.

გონება ციებცხელებიანივით უმუშავებდა: გარისკოს და გაიქცეს, თუ იჯდეს და ელოდოს სამინისტროს წარმომადგენელს? პირველი ვერსია უფრო მომხიბლავი ეჩვენებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ბატონი უისლი მის ინტერესებს იცავდა... და, საერთოდაც, დამბლდორს ამაზე უარესი საქმეებიც ჩაუფარცხავს.

– კარგი, – თქვა ჰარიმ, – გადავიფიქრე. ვრჩები. მოწყვეტით დაეხეთქა სკამზე დადლისა და დეიდა პეტუნიას წინ. დერსლები აშკარად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გააოცა ამ გადაწყვეტილებამ. სასოწარკვეთილი დეიდა პეტუნია ძია ვერნონს შეჰყურებდა. მას კი გადარეულივით უფეთქავდა ძარღვი გაწითლებულ საფეთქელზე.

– საიდან გაჩნდნენ ეს წყეული ბუები? – დაიღრინა ძია ვერნონმა.

– პირველი – მაგიის სამინისტროდან, ჩემი გარიცხვის ცნობა მოიტანა, – მშვიდად უპასუხა ჰარიმ და სმენა დაძაბა, ცდილობდა, გარედან შემოსული ხმებით გამოეცნო სამინისტროს წარმომადგენლის მოსვლა. აურზაურსა და ალიაქოთში ვერაფერს გაიგონებდა, ამიტომ ჯობდა, დაუყოვნებლივ ეპასუხა ძია ვერნონის კითხვებისთვის, – მეორე – ჩემი მეგობრის, რონის მამისგან. ისიც სამინისტროში მუშაობს.

– მაგიის სამინისტროში? – დაიყმუვლა ძია ვერნონმა, – შენნაირები მუშაობენ სამთავრობო ორგანოებში? მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი გასაგებია და არცაა გასაკვირი, რომ ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ მიექანება.

პასუხისთვის არც დაუცდია, ბურღივით მიაბჯინა თვალები და უბრძანა:

– აბა, ახლავე თქვი, რატომ გაგრიცხეს!

– იმიტომ, რომ ჯადოქრობა გამოვიყენე.

– აჰა! – შეჰყვირა ძია ვერნონმა და ისეთი ძალით დასცხო მუშტი მაცივარს, რომ იქიდან დადლის დიეტური სასუსნავი გადმოცვივდა და იატაკზე მიმოიფანტა, – როგორც იქნა, აღიარე, არა?! რა უქენი ჩვენს დადლის?

– არაფერი, – უწინდებურად მშვიდი ხმა აღარ ჰქონდა ჰარის, – მე არაფერი მიქნია...

– შენ იყავი, – მოულოდნელად ამოიდგა ენა დადლიმ და დეიდამ და ძიამ ერთდროულად აუქნიეს ხელები ჰარის, გაჩუმდიო, თვითონ კი შვილისკენ დაიხარნენ.

– მიდი, შვილო, თქვი, – გაამხნევა ძია ვერნონმა, – რა გიყო?

– გვითხარი, საყვარელო, – ჩასჩურჩულა დეიდა პეტუნიამ.

– თავისი ჯოხი დამიმიზნა, – წაიბუტბუტა დადლიმ.

– მარტო დავუმიზნე და მეტი არაფერი... – გაბრაზდა ჰარი.

– ხმა ჩაიწყვიტე! – თითქოს პირი შეკრესო, ერთხმად იღრიალეს ძია ვერნონმა და დეიდა პეტუნიამ.

– მიდი, თქვი, შვილო, – გაიმეორა ძია ვერნონმა და მრისხანედ შეუთამაშდა ულვაში.

– უცებ ჩამობნელდა, – ძლივს ამოიხრიალა დადლიმ და შეაკანკალა, – ძალიან დაბნელდა. აცივდა. მ-მერე რაღაც-რაღაცეები მ-მესმოდა თ-თავში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მშობლებმა შიშით გადახედეს ერთმანეთს. ამქვეყნად ყველაზე უფრო ჯადოქრები არ უყვარდათ, მერე – მეზობლები, რომლებიც არაფრად დაგიდევდნენ შლანგებით მორწყვის აკრძალვას. მაგრამ ადამიანები, რომლებსაც რაღაც უცნაური ხმები ესმით, ყველაზე მეტად აფრთხობდათ. დეიდამ და ძიამ, როგორც ჩანს, დაასკვნეს, რომ დადლი ჭკუიდან იშლებოდა.

– რა რაღაც-რაღაცეები გესმოდა, ჩემო თვალისჩინო? – ოხვრასავით ამოიჩურჩულა მიტკალივით გაფითრებულმა და თვალცრემლიანმა დეიდა პეტუნიამ.

მაგრამ დადლის, ეტყობა, არაფრის ახსნა აღარ შეეძლო. ისევ შეაკანკალა და დიდი ქერათმიანი თავი გააქნია. ჰარიმ, იმ ყრუ შიშის მიუხედავად, რომელიც პირველი ბუს გამოჩენისთანავე დაეუფლა, ცნობისმოყვარეობისმაგვარი რაღაც იგრძნო. დემენტორები ადამიანს აიძულებენ, ხელმეორედ განიცადოს ცხოვრებაში გადატანილი ყველაზე ცუდი ამბები. საინტერესოა, მაინც რა გაიგონა თავისზე უფრო სუსტების დაჩაგვრის მოყვარულმა ამ გაზულუქებულმა ბიჭმა?

– რატომ დაეცი, შვილო? – იკითხა ძია ვერნონმა არაბუნებრივად ჩუმი ხმით. ასე, ალბათ, მძიმე ავადმყოფს თუ დაელაპარაკებოდა.

– ფ-ფეხი წამოვკარი, – თქვა დადლიმ ენის ბორძიკით, – მერე კი...

თავის ნაპატივებ მკერდზე უჩვენა. ჰარი მიხვდა: დადლის სულის გამყინავი სიცივე და ასეთივე წებოვანი სიცივით გავსებული ფილტვები გაახსენდა, როცა სხეულიდან მთელ სიხარულსა და ყველანაირ იმედს გწოვენ.

– საშინელებაა, – ამოიხრიალა დადლიმ, – სიცივე, სასტიკი სიცივე.

– გასაგებია, – თქვა ძია ვერნონმა ხაზგასმულად მშვიდი ხმით. დეიდა პეტუნიამ შვილს ხელისგული შუბლზე დაადო, – მერე? მერე რა მოხდა, დადლიკო?

– მერე... ვიგრძენი... თითქოს...

– თითქოს არასოდეს აღარაფერი გაგიხარდება, – გულგრილად უკარნახა ჰარიმ.

– ჰო, – წაიჩურჩულა აკანკალებულმა დადლიმ.

– მაშ, ასე! – თქვა ძია ვერნონმა, წელში გაიმართა და ჩვეულ ტონალობამდე აუწია ხმას, – შენ მოაჯადოვე ჩემი შვილი, მას რაღაც ხმები მოესმა და გადაწყვიტა, რომ სამუდამო უბედურება აქვს მისჯილი ან რაღაც ამგვარი. მართალი ვარ?

– რამდენჯერ უნდა აგიხსნათ? – მოთმინება დაეკარგა ჰარის და თვითონაც აუწია ხმას, – მე არაფერი ჩამიდენია! დემენტორების ბრალია ყველაფერი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ, როგორ? დე... რა სისულელეებს როშავ?

– დე-მენ-ტო-რი, – გაიმეორა ჰარიმ დამარცვლით, – ორი დემენ-ტორი.

– რას წარმოადგენენ ეგ შენი წყეული დემენტორები?

– ისინი სდარაჯობენ აზკაბანს, ჯადოქრების ციხეს, – ჩაურთო დეიდა პეტუნიამ.

თავზარდამცემი სიჩუმის ორი წამი, და დეიდა პეტუნიამ პირზე აიფარა ხელი, თითქოს საშინელება წამოაყრანტალაო. ძია ვერნონი თვალებგადმოკარკლული შეაჩერდა. ჰარი გაოგნდა. მისის ფიგი კიდევ არა უშავს, მაგრამ დეიდა პეტუნია?

– თქვენ საიდან იცით? – გაკვირვებულმა ჰკითხა.

დეიდა პეტუნია, ეტყობა, თავისივე ნათქვამმა დააფრთხო. ძია ვერნონს დამნაშავესავით შეხედა, მერე ოდნავ ჩამოუშვა პირზე აფარებული ხელი და ცხენის კბილები გამოაჩინა.

– მე ეს... დიდი ხნის წინათ მოვკარი ყური... როგორ უყვებოდა ის საშინელი ადამიანი... ჩემს დას... – ძლივს ამოღერღა.

– თუ თქვენ ჩემს მშობლებს გულისხმობთ, სახელით რატომ არ ახსენებთ? – ხმამაღლა ჰკითხა ჰარიმ, მაგრამ დეიდას არ უპასუხია. ეტყობა, თავგზა ჰქონდა არეული.

ჰარი განცვიფრებული იდგა. დიდი ხნის წინანდელი ერთი შემთხ-ვევის გარდა, როცა დეიდა პეტუნიამ „წყეული" უწოდა ჰარის დედას, საკუთარი და აღარ უხსენებია. დაუჯერებელი იყო, რომ ამ ქალს ასე დიდხანს ახსოვდა ჯადოქრული სამყაროს ამბები. დეიდა პეტუნია ხომ სულ იმას ამტკიცებდა, ეს სამყარო არ არსებობსო.

ძია ვერნონმა პირი გააღო, მერე დამუწა; მერე ისევ გააღო, ისევ დამუწა; მერე თითქოს გაახსენდა, რომ რაიმეს სათქმელად პირის გაღება იყო საჭირო, მესამედაც გააღო და წაიხროტინა:

– ესე იგი... ეს... ისინი... რომ... მართლა... არსებობენ... ეს... რა ჰქვია... დემენტ... ჰა?

დეიდა პეტუნიამ თავი დაუქნია.

ძია ვერნონმა მზერა დადლიზე გადაიტანა, მერე ჰარის შეხედა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე მათგანი შესძახებდა, დღეს პირველი აპრილიაო! და რადგან ხმა არავის ამოუღია, ისევ აამოძ-რავა ტუჩები, მაგრამ სანამ რაიმეს თქმას მოახერხებდა, მესამე ბუ გამოჩნდა: ღია ფანჯარაში შებუმბლულ ყუმბარასავით შემოიჭრა და სამზარეულოს მაგიდაზე დასკუპდა. სამივე დერსლი შიშისგან შეხტა. ჰარიმ ბუს მორიგი ოფიციალური შესახედაობის კონვერტი გამოაძრო ნისკარტიდან. სანამ ხსნიდა, ბუ უკანვე, სიბნელეში გაუჩინარდა.

– საკმარისია... ყელში ამოგვივიდა... ეს... დამპალი... ბუები, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უაზროდ ბუტბუტებდა ძია ვერნონი, მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა ფანჯარას და მეორედ მიაჯახუნა.

„**ძვირფასო ჰარი პოტერ,**

ჩვენი პირველი წერილის შემდეგ, რომელიც, დაახლოებით, ოცდაორი წუთის წინ გამოგიგზავნეთ, დამატებით გაცნობებთ, რომ მაგიის სამინისტრომ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება თქვენი ჯადოსნური ჯოხის განადგურების თაობაზე. თქვენ შეგიძლიათ, შეინახოთ თქვენი ჯოხი სადისციპლინო მოსმენამდე, რომელიც დანიშნულია 12 აგვისტოს. სწორედ მაშინ იქნება მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილება.

ჰოგვორცსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის დირექტორთან კონსულტაციის შემდეგ სამინისტრო დათანხმდა, ამ დროამდე გადადოს სკოლაში თქვენი დარჩენის საკითხი. ამგვარად, გამოძიების დასრულებამდე ვალდებული ხართ, თავი დროებით გარიცხულად ჩათვალოთ.

საუკეთესო სურვილებით,

გულწრფელად თქვენი **მაფალდა ჰოპკირკი**.

მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტი.

მაგიის სამინისტრო.“

ჰარიმ ზედიზედ სამჯერ წაიკითხა წერილი. მართალია, მაინცდამაინც არ დამშვიდებულა, ოდნავ კი მოეშვა გულზე: გამოდის, რომ ჯერჯერობით არ გარიცხეს. როგორც ჩანს, ყველაფერი 12 აგვისტოს მოსმენაზე გადაწყდება.

– აბა? – იკითხა ძია ვერნონმა და ჰარი რეალობას დაუბრუნდა, – კიდევ რას იწერებიან? რა განაჩენი გამოგიტანეს? თქვენს მოდგმაში სიკვდილით დასჯა მიღებულია?

ბოლო შეკითხვაში აშკარად იგრძნობოდა იმედი.

– მოსმენაზე უნდა გამოვცხადდე, – უპასუხა ჰარიმ.

– და იქ მოგისჯიან?

– ალბათ.

– კარგი იქნებოდა, – ჩაილაპარაკა ძია ვერნონმა.

– კეთილი, თუ სათქმელი აღარაფერია... – ჰარი წამოდგა. ახლა განსაკუთრებით უნდოდა მარტო დარჩენა და ფიქრი. იქნებ რამე მისწეროს რონს, ჰერმიონს ან სირიუსს.

– როგორ არა, ეშმაკმა დალახვროს! – დაიღრიალა ძია ვერნონმა, – აბა, დაჯექი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კიდევ რა გინდათ? – იკითხა გაღიზიანებულმა ჰარიმ.

– დადლი, აი, რა! – დაიღრინა ძია ვერნონმა, – მინდა, ზუსტად ვიცოდე, რა მოუვიდა ჩემს შვილს!

– ძალიან კარგი! – დაიყვირა გაცოფებულმა ჰარიმ და ჯადოსნური ჯოხის წვერიდან წითელი და ოქროსფერი ნაპერწკლები გადმოიფრქვა. დერსლები შეკრთნენ, – მე და დადლიმ მაგნოლია კრესენტსა და პრივიტ დრაივს შორის შუკაში შევუხვიეთ, – სწრაფად განაგრძო ჰარიმ, თან ცდილობდა, სიბრაზე მოეთოკა, – დადლიმ ჩემი გაღიზიანება მოინდომა, მე კი ავდექი და ჯოხი ამოვიღე. ამოვიღე, მაგრამ არ გამომიყენებია. ამ დროს გამოჩნდა ორი დემენტორი...

– ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ეს დემენტოიდები? – გაცოფებულმა იკითხა ძია ვერნონმა, – მაინც რას აკეთებენ? რას?!

– მე უკვე გითხარით. ისინი მთელ სიხარულს სწოვენ ადამიანს, – აუხსნა ჰარიმ, – და თუ საშუალება მიეცათ, კოცნიან...

– კოცნიან? – გადმოკარკლა თვალები ძია ვერნონმა, – როგორ თუ კოცნიან!

– თვითონ ასე ეძახიან. კოცნისას პირიდან სულს სწოვენ ადამიანს.

დეიდა პეტუნიამ წამოიკივლა.

– პირიდან... სულს? არა, მათ ხომ არ შეეძლოთ... მას კიდევ დარჩა...

დადლის მხრებში წაავლო ხელი და შეანჯღრია, თითქოს ამოწმებდა, დარჩა შიგ რამე თუ არა.

– რა თქმა უნდა, დარჩა. რომ წაეღოთ, აუცილებლად მიხვდებოდით, – ირონიულად თქვა ჰარიმ.

– მოიგერიე, ხომ, შვილო? – ხმამაღლა ჰკითხა ძია ვერნონმა იმ ადამიანის იერით, რომელიც ცდილობს, საუბარი მისთვის სასურველ თემაზე გადაიტანოს, – ერთი-ორჯერ შენებურად მოაკერე და მორჩა, ხომ?

– დემენტორს შენებურად ვერ მოაკერებ, – კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

– მაშინ რატომ არაფერი სჭირს, – დაიგრგვინა ძია ვერნონმა, – რატომ არ დაცარიელდა, ჰა?

– იმიტომ, რომ პატრონუსი გამოვიყენე.

შრრრრ! – ხმაურითა და ფრთების ფართხუნით სამზარეულოს ბუხრიდან საცობივით გამოვარდა მეოთხე ბუ და ნაცრის კორიანტელი დააყენა.

– ღმერთო, დაგვიფარე! – იღრიალა ძია ვერნონმა და სქელი ულვაშებიდან ორი ბლუჯა გამოიგლიჯა, – არავითარი ბუები არ დავინახო ჩემს სახლში! გასაგებია? არავითარ შემთხვევაში არ მოვითმენ ამას!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამასობაში ჰარიმ პერგამენტის გრაგნილი შეხსნა ბუს ფეხიდან. დარწმუნებული იყო, რომ წერილს დამბლდორი უგზავნიდა, რომელსაც ნათელი უნდა გაეხადა ყველაფერი: დემენტორები, მისის ფიგი, სამინისტროს განზრახვა, ისიც, თუ როგორ აპირებდა დამბლდორი ამ საქმის ჩაფარცხვას. იმდენად იყო დარწმუნებული, რომ იმედგაცრუება დაეუფლა, როცა სირიუსის ხელწერა იცნო. აღარ უსმენდა ბუების გამო აბობოქრებულ ძია ვერნონს. აღარც ბუხრის საკვამლე მილიდან გაფრენილი ბუს მიერ დაყენებული კორიანტელისთვის მიუქცევია ყურადღება, ისე დაიწყო წერილის კითხვა.

„ორწყურმა ახლახან გვაცნობა, რაც მოხდა. ორავითარ შემთხვევაში არ გამოხვიდე სახლიდან!"

ასეთი რეაქცია ამ ყველაფერზე იმდენად შეუსაბამოდ მოეჩვენა ჰარის, რომ პერგამენტი გადააბრუნა, იქნებ მეორე მხარეს რამე წერიაო, მაგრამ ამაოდ.

სიბრაზემ ისევ დარია ხელი. ნუთუ ქება არავისგან დაიმსახურა? მან ხომ მარტომ მოიგერია ორი დემენტორის თავდასხმა? ბატონი უისლი და სირიუსი კი ისე იწერებიან, თითქოს რამე დააშავა და დატუქსვა იმ დროისთვის გადადეს, როცა ნათელი გახდება, ვის რა ზიანი მიაყენა.

– ...კმარა ეს ბუები! ბუების მთელი ფარა... ფუი, გუნდი უნდა მეთქვა... დაფრინავს ჩემს სახლში! კმარა! იცოდე, ამას ვერ მოვითმენ...

– წერილების მოტანაში ხელს ვერ შევუშლი! – მკვახედ უთხრა ჰარიმ და სირიუსის წერილი დაჭმუჭნა.

– მე კი მინდა, სიმართლე ვიცოდე, რა მოხდა, – ისევ აღრიალდა ძია ვერნონი, – თუ დადლის მართლა დემენტოიდები დაესხნენ თავს, მაშინ შენ რატომ გრიცხავენ? ეტყობა, აკრძალული რაღაც ჩაიდინე. ეს შენ თვითონაც აღიარე!

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა, ცდილობდა, დაწყნარებულიყო. თავი ისევ ასტკივდა. ახლა ყველაზე მეტად ის უნდოდა, ამ სამზარეულოდან გაქცეულიყო, დერსლებს გასცლოდა.

– პატრონუსის შელოცვა იმიტომ გამოვიყენე, რომ დემენტორები მომეშორებინა, – აუხსნა ჰარიმ, თან ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, – ეს ერთადერთი საშუალებაა მათგან თავის დასაცავად.

– მაგრამ აქ რა ჯანდაბა ესაქმებოდათ მაგ შენ დემენტოიდებს? – აღშფოთებით იკითხა ძია ვერნონმა.

– წარმოდგენა არა მაქვს, – უილაჯოდ უპასუხა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნათურების კაშკაშა სინათლეზე თავი მტკივნეულად უფეთქავდა. სიბრაზემ გაუარა. დაღლილობასა და სიცარიელესღა გრძნობდა. დერსლები თვალს არ აცილებდნენ.

– ეს ყველაფერი შენი ბრალია, – დაბეჯითებით უთხრა ძია ვერნონმა, – ვიცი, ეს შენ გამო მოხდა. სხვა რა ოხრობა უნდოდათ აქ? სხვა რა საქმე უნდა ჰქონოდათ იმ შუკაში? მხოლოდ შენ ხარ... – ძია ვერნონმა ვერ გაბედა, წარმოეთქვა სიტყვა „ჯადოქარი", – ამ არემარეში ერთადერთი შენ ხარ ისეთი...

– არ ვიცი, რა საქმე ჰქონდათ აქ, – თქვა ჰარიმ, მაგრამ ძია ვერნონის სიტყვებმა მისი გაწამებული ტვინი ისევ აამუშავა. მართლაცდა, რა უნდოდათ დემენტორებს ლიტლ-უინგინგში? ნუთუ შემთხვევით გამოჩნდნენ იქ, სადაც ჰარის უნდა გაევლო? ნუთუ ვინმემ გამოგზავნა? ხომ არ დაკარგა მაგიის სამინისტრომ დემენტორებზე კონტროლი? იქნებ აზკაბანი მიატოვეს და ვოლდემორს მიემხრნენ, როგორც დამბლდორი წინასწარმეტყველებდა?

– ესე იგი, ეს დემენტოიდები თქვენს რაღაც ციხეს იცავენ? – ისე ჰკითხა ძია ვერნონმა, თითქოს ჰარის ფიქრების კვალს მძიმე ნაბიჯებით მიჰყვებაო.

– ჰო, – თქვა ჰარიმ.

ოღონდ ამ თავის ტკივილმა გაუაროს; ოღონდ ამ სამზარეულოს გაეცალოს და ბნელ საძინებელში თავის ფიქრებთან განმარტოვდეს, სხვა აღარაფერი უნდა...

– ყველაფერი ნათელია, შენს დასაპატიმრებლად მოვიდნენ! – საზეიმო ხმით წარმოთქვა ძია ვერნონმა, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ჭეშმარიტებას მიაგნო, – ასე არ არის, ჩემო მეგობარო? შენ მართლმსაჯულებას ემალები!

– რა თქმა უნდა, არა, – ისე გააქნია ჰარიმ თავი, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო. ტვინი გამალებით უმუშავებდა.

– მაშინ, რატომ?..

– ალბათ, იმან გამოგზავნა, – ჩუმად, უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ჰარიმ.

– ვინ „იმან"? ვინ გამოგზავნა?

– ლორდმა ვოლდემორმა, – უპასუხა ჰარიმ და სადღაც გულის სიღრმეში აღნიშნა დერსლების უცნაური საქციელი: საკმარისი იყო, გაეგონათ „ჯადოქარი" ან „ჯადოსნური ჯოხი", რომ შემკრთალიყვნენ და შიშისგან შეეკივლათ. ყველა დროის უბოროტესი ჯადოქრის სახელის ხსენებაზე კი ოდნავაც არ შეცბუნებულან.

– ლორდმა... როგორ თქვი? – შუბლშეჭმუხვნით იკითხა ძია ვერნონმა. წვრილ თვალებში რაღაცის მიხვედრის პირველი უსუსური

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიშნები გაჩნდა, – ეს სახელი თითქოს გამიგონია... ეს ის არის, რომელმაც...

– დახოცა ჩემი მშობლები. სრული სიმართლეა, – დაუდასტურა ჰარიმ.

– მაგრამ ის ხომ სადღაც გადაიკარგა, – გაღიზიანებულმა თქვა ძია ვერნონმა. ეტყობოდა, სულაც არ ენაღვლებოდა, რა ძნელი იყო ჰარისთვის დედისა და მამის სიკვდილის გახსენება, – აორთქლდაო, ზუსტად ეგრე თქვა კუნძულზე იმ ოქლაქმა.

– დაბრუნდა, – მძიმედ ამოიოხრა ჰარიმ.

ძალიან უცნაური იყო დეიდა პეტუნიას საოპერაციოსავით გაკრიალებულ სამზარეულოში უახლესი მაცივრისა და ფართოეკრანიანი ტელევიზორის გვერდით დგომა და ძია ვერნონთან ლორდ ვოლდემორზე საუბარი. ლიტლ-უინგინგში დემენტორების გამოჩენამ თითქოს ნაპრალი გააჩინა უზარმაზარ უხილავ კედელში, რომელიც ერთმანეთისგან საიმედოდ ყოფდა ჯადოსნურ სამყაროს პრივიტ დრაივის სამყაროსგან, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ყოველგვარი ჯადოქრობა. ჰარის ორგვარი ცხოვრება ერთმანეთს შეერწყა, ყველაფერი თავდაყირა დადგა: დერსლებს ჯადოსნური სამყაროს დეტალები აინტერესებთ; მისის ფიგი ალბუს დამბლდორს იცნობს; ლიტლ-უინგინგის ქუჩებში დემენტორები დასეირნობენ, თვითონ კი, შესაძლოა, აღარასოდეს დაბრუნდეს ჰოგვორტსში. თავი გასკდომაზე ჰქონდა.

– დაბრუნდა? – წაიჩურჩულა დეიდა პეტუნიამ.

ისე უყურებდა ჰარის, როგორც არასდროს. ჰარიმ უცებ პირველად იგრძნო ცხოვრებაში, რომ დეიდა პეტუნია დედამისის და იყო. ასე ძლიერ მაინცდამაინც ახლა რატომ იგრძნო ეს, ამას კი ვერ გეტყოდათ. მხოლოდ ერთი რამ იცოდა: მის გარდა, სამზარეულოში იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც მშვენივრად მოეხსენებოდა, რას ნიშნავდა ლორდ ვოლდემორის დაბრუნება. დეიდას არასოდეს შეუხედავს ასე. მისი დიდი უფერული თვალები, რომელიც სულ არ მიუგავდა დისას, არ დავიწროებულან არც ზიზღითა და არც სიძულვილით – მათში შიში ჩასახლებულიყო. მას ყოველთვის დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, დაემტკიცებინა ჯადოქრობის არარსებობა; დაემტკიცებინა, რომ მისი და ძია ვერნონის სამყაროს გარდა სხვა სამყარო არ არსებობდა. ახლა ამ სურვილისგან აღარაფერი დარჩა.

– ჰო, – თქვა ჰარიმ. ის ახლა სწორედ მას, სულ სხვა თვალით დანახულ დეიდას ელაპარაკებოდა, – ერთი თვის წინ დაბრუნდა. ჩემი თვალით ვნახე.

დეიდა პეტუნიას თითები დადლის მსუქან მხრებს ჩააფრინდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოიცა, – ჩაერია ძია ვერნონი. ხან ცოლს შეხედავდა, ხან – ჰარის, მერე – ისევ ცოლს. გაოგნებული და დაბნეული იყო მათ შორის გაჩენილი ურთიერთგაგებით, – მოიცა. შენ ამბობ, რომ ეს ლორდ ვოლანდი... თუ რა ჰქვია... დაბრუნდა?

– ჰო.

– ის, რომელმაც შენი მშობლები დახოცა?

– ჰო.

– და ახლა დემენტოიდები მოგიგზავნა?

– როგორც ჩანს, ეგრეა, – თქვა ჰარიმ.

– გასაგებია, – ძია ვერნონმა მიტკალივით გაფითრებული ცოლისგან ისევ ჰარიზე გადაიტანა მზერა და შარვალი შეისწორა. აშკარად ჩანდა, რომ ნელ-ნელა სივდებოდა, ვეებერთელა ჭარხლისფერი სახე ჰარის თვალწინ რეზინის ბუშტივით იბერებოდა, მკერდზე პერანგი დაეჭიმა, – ახლა ყველაფერი გასაგებია. აბა, ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან!

– რა? – იკითხა ჰარიმ.

– რაც გაიგონე, აი, რა! გაეთრიე! – ისე შეჰყეფა ძია ვერნონმა, რომ დეიდა პეტუნია და დადლი შეხტნენ, – გაეთრიე! არ უნდა აგვეყვანე მაშინ! ბუები, როგორც საკუთარ ბუდეში, ისე მოფრინავენ ჩვენთან. პუდინგი ფეთქდება, ნახევარი სახლი, ეშმაკმა უწყის, რას დაემსგავსა, დადლის კუდი გამოუვიდა, მარჯი ჭერში დააჭენებს, ან ეს მფრინავი ფორდ „ანგლია“ რად ღირს! წადი! გაეთრიე! კმარა! ყელში ამომიხვედი! თუ ვიღაც დარტყმული ნადირობს შენზე, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ უნდა ეგდო და ჩემი ცოლ-შვილი საფრთხეში ჩააგდო! რაკი შენი უვარგისი მშობლების კვალს გაჰყევი, აქ აღარაფერი გესაქმება! წაეთრიე!

ჰარი სარგადაყლაპულივით იდგა და მარცხენა ხელით სამინისტროდან, ბატონი უისლისა და სირიუსისგან მოსულ წერილებს ჭმუჭნიდა. „არავითარ შემთხვევაში არ გამოხვიდე სახლიდან“. „არ დატოვო დეიდისა და ბიძის სახლი“.

– შენ რა, დაყრუვდი? – იღრიალა ძია ვერნონმა. წინ გადმოიხარა და ისე ახლოს მიუტანა აჭარხლებული სახე, რომ ჰარის ცხვირ-პირში დორბლი შეეშხეფა, – გაეთრიე! ნახევარი საათის წინ ხომ ძალიან გინდოდა წასვლა! სავსებით ვიწონებ შენს გადაწყვეტილებას. მოუსვი აქედან და ახლოს აღარ გაეკარო ჩვენს სახლს! წარმოდგენა არა მაქვს, რატომ აგიყვანეთ მაშინ. მართალი იყო მარჯი, თავშესაფარში უნდა ჩაგვებარებინე. ჩვენდა საუბედუროდ, გულჩვილობა გამოვიჩინეთ. ვიფიქრეთ, მაგ რაღაც შხამს გამოგაცლიდით, ნორმალურ ადამიანად გაქცევდით! მაგრამ ჯიში გაქვს დამპალი და არაფერი გეშველება... წყეული ბუები!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეხუთე ბუ შურდულივით გამოვარდა საკვამლე მილიდან და იატაკზე დაენარცხა. მერე ჰაერში შეფართხალდა. ჰარიმ ხელი გასწია ალისფერი კონვერტის გამოსართმევად, მაგრამ ბუმ თავზე გადაუფრინა და პირდაპირ დეიდა პეტუნიასკენ გაფრინდა. დეიდა პეტუნიამ წამოიკივლა, თავზე ხელები წაიფარა და დაიხარა. ბუმ წითელი კონვერტი პეტუნიას ზედ თავზე დააგდო, ჰაერში მოტრიალდა და საკვამლე მილიდანვე გაფრინდა.

ჰარიმ კონვერტის ასაღებად გაიწია, მაგრამ დეიდამ დაასწრო.

– გახსენით, თუ გინდათ, – უთხრა ჰარიმ, – მაგრამ მაინც გავიგონებ, რაც მანდ წერია. ეგ ღრიალა წერილია.

– მიეცი, პეტუნია, – დაიყვირა ძია ვერნონმა, – ხელი არ ახლო, შეიძლება, საშიშია.

– ჩემს სახელზეა გამოგზავნილი, – თქვა დეიდა პეტუნიამ აკანკალებული ტუჩებით, – ჩემს სახელზე, ვერნონ, შეხედე!

„პრივიტ დრაივი, ნომერი ოთხი სახლის სამზარეულო, ქალბატონ პეტუნია დერსლის...“

დეიდა პეტუნია შიშისგან გახევდა: წითელ კონვერტს ბოლი აუვიდა.

– გახსენით, – აჩქარებდა ჰარი, – დროზე! თუმცა, ჩემთვის სულერთია.

– არა... – დეიდას ხელი უკანკალებდა, ველურივით ათვალიერებდა სამზარეულოს, თითქოს გადარჩენის გზას ეძებსო, მაგრამ გვიანღა იყო – კონვერტი აალდა. დეიდა პეტუნიამ შეჰკივლა და ხელი უშვა.

სამზარეულო საზარელმა ღრიალმა გაავსო – მაგიდაზე დავარდნილი ცეცხლმოდებული წერილი ღრიალებდა:

„ჩემი მითითება არ დაგავიწყდეთ, პეტუნია!“

ცოტაც და, დეიდა პეტუნიას გული წაუვიდოდა. დადლის გვერდით სკამზე დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა. კონვერტის ნარჩენები სამარისებურ სიჩუმეში იფერფლებოდა.

– ეს რაღას ნიშნავს? – ჩახლეჩილი ხმით იკითხა ძია ვერნონმა, – რას... რატომ არ... პეტუნია!

დეიდა პეტუნია დუმდა. დადლი პირდაღებული შესცქეროდა დედას. სიჩუმე ავის მომასწავებლად გაიწელა. გაოგნებული ჰარი დეიდას შესცქეროდა. თავი ისე სტკიოდა, ეგონა, სადაცაა გამისკდებაო.

– პეტუნია, ჩემო მზეო, – ნაზად წაიღუღუნა ძია ვერნონმა, – პ-პეტუნია!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეიდამ თავი ასწია. ისევ კანკალებდა. ნერწყვი გადაყლაპა და:

– ბიჭი... ბიჭი ჩვენთან დარჩება, ვერნონ, – მისუსტებული ხმით თქვა.

– რ-რა?

– ჩვენთან დარჩება, – ისე გაიმეორა, ჰარისთვის არ შეუხედავს. მერე სკამიდან წამოდგა.

– ის... მაგრამ როგორ, პეტუნია...

– თუ გავაგდებთ, მეზობლები ჭორაობას დაიწყებენ, – გაფითრებულ დეიდა პეტუნიას სწრაფად უბრუნდებოდა ლაპარაკის ჩვეული მანერა, – ათასი კითხვა გაუჩნდებათ, დაინტერესდებიან, რა დაემართა, სად გაქრა. მისი დატოვება მოგვიწევს.

ძია ვერნონი გახვრეტილი საბურავივით ჩაიფუშა.

– მაგრამ, პეტუნია, საყვარელო...

პეტუნიას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ჰარის მიუბრუნდა:

– იჯექი შენს ოთახში, სახლიდან ფეხი არ გაადგა. ახლა წადი და დაიძინე.

ჰარი არ განძრეულა.

– ვისგან არის ეს ღრიალა?

– ნურაფერს მეკითხები! – მოუჭრა დეიდა პეტუნიამ.

– კავშირი გაქვთ ჯადოქრებთან?

– გითხარი, დაწექი-მეთქი.

– ეს რას ნიშნავს?

– ლოგინში!

– ვერაფერი გამიგია...

– ხომ გაიგე, რაც გითხარი? ახლავე დაწექი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მესამე

მცველთა რაზმი

„მე ახლახან მოვიგერიე დემენტორების თავდასხმა და შეიძლება, ჰოგვორტსიდან გამრიცხონ. მინდა, ვიცოდე, რა ხდება და როდის დავაღწევ თავს ამ სახლს."

შევიდა თუ არა ჩაბნელებულ საძინებელში, ჰარი მაშინვე მიუჯდა მაგიდას და ეს სიტყვები პერგამენტის სამ სხვადასხვა ფურცელზე დაწერა. პირველი წერილი სირიუსისთვის უნდა გაეგზავნა, მეორე – რონისთვის, მესამე – ჰერმიონისთვის. ჰედვიგი სანადიროდ იყო წასული, გალია საწერ მაგიდაზე ცარიელი იდგა. ბუს მოლოდინში ჰარი ბოლთას სცემდა. თავში ჩაქუჩივით უკაკუნებდა რაღაცა. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობისგან თვალები ეწვოდა, ისე იყო აგზნებული, ვერაფრით იძინებდა. არც დადლის თრევამ ჩაიარა უკვალოდ – ზურგი საშინლად ტეხდა. მტკივნეულად უფეთქავდა წყვილი კოპი, რომლებიც სამახსოვროდ დარჩა ფანჯრის ჩარჩოსა და დადლის მუშტისგან.

თავისი უილაჯობით გაწამებული წინ და უკან დააბიჯებდა საძინებელში, კბილებს აკრაჭუნებდა, ხელებს მუშტავდა და ფანჯარასთან ყოველ მიახლოებაზე მრისხანედ გასცქეროდა ცარიელ, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. დემენტორების თავდასხმა, მისის ფიგისა და მანდანგუს ფლეტჩერის საიდუმლო თვალთვალი, დროებითი გარიცხვა ჰოგვორტსიდან, საქმის გარჩევა მაგიის სამინისტროში – და ამდენი რამის შემდეგ მაინც არავის სურს აუხსნას, რა ხდება.

ან ეს ღრიალა რას ნიშნავდა? ვისი მუქარა გაისმა ასე საზარლად სამზარეულოში?

რატომ ზის აქ ამდენ ხანს გალიაში გამომწყვდეულივით?

რატომ არაფერს აგებინებენ? თავნება ბავშვივით რატომ ექცევ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იან? არ გამოხვიდე სახლიდან! არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენო ჯადოსნური ჯოხი!..

სასკოლო ჩემოდანს რომ ჩაუარა, წიხლი წაჰკრა, მაგრამ, ჯავრის ამოყრის ნაცვლად, უარესი დაემართა – ფეხის ცერი იტკინა.

ის იყო, კოჭლობით მივიდა ფანჯარასთან, რომ ჰედვიგი პატარა მოჩვენებასავით ფრთების ჩუმი შრიალით შემოფრინდა ოთახში.

– როგორც იქნა! – წაიბუზღუნა ჰარიმ, როცა ჰედვიგი უხმაუროდ დასკუპდა გალიაზე, – ეგ მერე ჭამე, ახლა დავალება უნდა შემისრულო!

ჰედვიგმა საყვედურით შეხედა დიდი, მრგვალი, ქარვისფერი თვალებით. ნისკარტით მკვდარი ბაყაყი ეჭირა.

– მობრძანდი აქ!

ჰარიმ სამი პატარა პერგამენტის გრაგნილი აიღო და თასმით მიაბა ფეხზე.

– ერთი წერილი – სირიუსს, მეორე – რონს, მესამე – ჰერმიონს. და არ გაბედო ამომწურავი პასუხების გარეშე დაბრუნება. თუ საჭირო იქნება, ნისკარტი იხმარე, იქამდე არ მოასვენო, სანამ დაწვრილებით არ დაწერენ ყველაფერს. გასაგებია?

ჰედვიგმა, რომელსაც ბაყაყი ჯერ კიდევ ნისკარტში ჰქონდა გაჩრილი, თანხმობის ნიშნად ყრუდ დაიკივლა.

– მაშინ, გაფრინდი!

ბუ მაშინვე მოსწყდა ადგილს. ჰარი გაუხდელად მიეგდო ლოგინზე და ბნელ ჭერს მიაჩერდა. ისედაც მოშხამულ გუნებას დანაშაულის გრძნობაც დაემატა ბუსთან ასე მკაცრად ლაპარაკის გამო. ამ სახლში ჰედვიგი მისი ერთადერთი მეგობარი იყო. როცა სირიუსისგან, რონისა და ჰერმიონისგან პასუხებს მოიტანს, აუცილებლად მოვეფერებიო, – გადაწყვიტა.

სხვა გზა არა აქვთ, ყველაფერი უნდა მოსწერონ, თანაც მალე. დემენტორების თავდასხმას ვერ წაუყრუებენ. ხვალ დილით რომ გაიღვიძებს, შეიძლება, თანაგრძნობით სავსე სამი მოზრდილი წერილი დახვდეს. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ შეადგენენ „ბუნაგში“ მისი დაუყოვნებლივ გადაბარგების გეგმას. ამ დამამშვიდებელ ფიქრებში ჩაძირულს ღრმად ჩაეძინა.

* * *

მეორე დილით ჰედვიგი არ დაბრუნებულა. ჰარიმ მთელი დღე საძინებელში გაატარა, მხოლოდ ტუალეტში გადიოდა. დეიდა პეტუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიამ სამჯერ შემოუცურა საჭმელი სარკმელში, რომელიც ძია ვერნონმა სამი წლის წინ გამოუჭრა. ყოველთვის, როცა დეიდის ფეხის ხმას გაიგონებდა, ცდილობდა, ღრიალაზე ეკითხა რამე, მაგრამ როგორც კარის სახელურს არ უპასუხია, ისე – დეიდა პეტუნიას. თუ ამ ვიზიტებს არ ჩავთვლით, დერსლები ცდილობდნენ, მის საძინებელს ახლოს არ გაჰკარებოდნენ. თავის მხრივ, არც ჰარი ცდილობდა მათ შეწუხებას. ახალ აყალმაყალს მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მოჰყოლოდა: ისე გაბრაზდებოდა, რომ კიდევ ერთხელ გამოიყენებდა ჯადოქრობას.

ასე გრძელდებოდა სამ დღეს. ამ ხნის განმავლობაში ხან მოზღვავებული ენერგია არ ასვენებდა, ვერ ახერხებდა აზრების მოკრებას და მხოლოდ ბოლთას სცემდა საძინებელში, თან ყველაზე ბრაზობდა, რომ არაფერი იღონეს, მარტო დატოვეს და ახლა თავის გულს ასკდებოდა; ხანაც გაირინდებოდა, საათობით ეგდო საწოლზე, უაზროდ იყურებოდა სადღაც და იტანჯებოდა სამინისტროში საქმის გარჩევის გულის გამაწვრილებელ მოლოდინში.

რა მოხდება, თუ მის სასარგებლო გადაწყვეტილებას არ მიიღებენ? რა იქნება, თუ მართლა გარიცხავენ, ჯოხს კი შუაზე გადაუმტვრევენ? რა უნდა ქნას მაშინ, რა გზას დაადგეს? მთელი დღე და მოსწრება სულ დერსლებთან იცხოვროს? თანაც, ახლა, როცა უკვე შეიცნო სხვა სამყარო, თავისი შესაფერისი სამყარო. იქნებ საცხოვრებლად სირიუსთან გადავიდეს? ხომ თვითონვე შესთავაზა შარშან, გაქცევის წინ? მაგრამ დართავენ კი ჰარის მარტო ცხოვრების ნებას? ის ხომ ჯერ კიდევ მცირეწლოვანია. გამორიცხული არ არის, რომ საკითხს მის ნაცვლად სხვები გადაწყვეტენ. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ საიდუმლოს შენახვის საერთაშორისო წესდების დარღვევისთვის აზკაბანში გამოამწყვდიონ. ყოველთვის, როცა ამას გაიფიქრებდა, მაშინვე საწოლიდან წამოხტებოდა და ბოლთის ცემას მოჰყვებოდა ხოლმე.

ჰედვიგის გაფრენიდან მეოთხე საღამოს ჰარი სწორედ ასე სასოწარკვეთილი იწვა საწოლზე და ჭერს მიშტერებოდა. თავში აზრის ნატამალიც არ უტრიალებდა. უცებ საძინებელში ძია ვერნონი შემოვიდა. ჰარიმ ნელა მოაშორა თვალი ჭერს და მას შეხედა. ძია ვერნონი თავის საუკეთესო კოსტიუმში გამოწყობილიყო, სახეზე ენით უთქმელი თვითკმაყოფილება ეწერა.

– ჩვენ მივდივართ, – თქვა მან.

– რაა?

– ჩვენ – ესე იგი, დეიდაშენი, დადლი და მე – ახლა მივდივართ.

– შესანიშნავია, – ჩაიბურტყუნა ჰარიმ და ისევ ჭერს შეაცქერდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვენს დაბრუნებამდე არავითარ შემთხვევაში არ გამოხვიდე ოთახიდან.

– კარგი.

– არ მიეკარო არც ტელევიზორს, არც რადიოს და, საერთოდ, ჩვენს ნივთებს.

– კეთილი.

– და არაფერი გამოიღო მაცივრიდან.

– არ გამოვიღებ.

– მე გარედან ჩაგკეტავ.

– ჩამკეტეთ.

ძია ვერნონმა უნდობლად შეხედა ჰარის. ასეთი მორჩილება საეჭვოდ მოეჩვენა. მერე ბრაგაბრუგით გავიდა ოთახიდან და კარი გაიხურა. ჰარიმ გაიგონა, როგორ გადატრიალდა გასაღები საკეტში. ამას მოჰყვა ძია ვერნონის მძიმე ნაბიჯების ხმა კიბეზე, რამდენიმე წუთის შემდეგ, ეზოდან – ჯახუნის, ძრავას გრუხუნისა და ადგილიდან დაძრული მანქანის ხმა.

დერსლების გამგზავრებაზე ჰარის ბევრი არ უფიქრია. მისთვის სულერთი იყო, შინ იყვნენ თუ არა. ადგომისა და საძინებელში სინათლის ჩართვის თავიც არ ჰქონდა. სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. იწვა და ფანჯრიდან შემოსულ საღამოს ხმებს უსმენდა. ფანჯარა იმ ბედნიერი წუთის მოლოდინით დატოვა ღია, როცა ჰედვიგი დაბრუნდებოდა. ცარიელ სახლში დროდადრო რაღაც ტკაცუნობდა, მილები ბუყბუყებდა. ერთიანად თავის უბედურებაში ჩაძირული ჰარი გაშტერებული იწვა და არაფერზე ფიქრობდა.

უცებ სრულიად გარკვევით გაიგონა, როგორ დაიმსხვრა სამზარეულოში რაღაცა.

სწრაფად წამოჯდა საწოლზე და სმენად იქცა. დერსლები ასე ჩქარა ვერ დაბრუნდებოდნენ. თან არც მანქანის ხმა გაუგონია. რამდენიმე წამმა სიჩუმეში გაიარა. მერე ლაპარაკი შემოესმა.

„ქურდები“, გაიფიქრა ჰარიმ და საწოლიდან წამოდგა, მაგრამ მაშინვე იაზრა, რომ ქურდები ასე ხმამაღლა არ ილაპარაკებდნენ. ტუმბოზე დადებულ ჯადოსნურ ჯოხს სტაცა ხელი და კარისკენ შებრუნდა. წამიც და, საკეტმა ხმამაღლა გაიჩხაკუნა. კარი გაიღო.

ჰარი გაუნძრევლად იდგა. კარის ღიობიდან გაჰყურებდა ჩაბნელებულ კიბის ბაქანს და ცდილობდა, მცირე გაფაჩუნებაც კი არ გამოჰპარვოდა. მაგრამ სიჩუმე არ დარღვეულა. წამით შეყოყმანდა, მერე უხმაუროდ და სწრაფად გავიდა კიბეზე. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ქვევით, ნახევრად ბნელ ჰოლში, ქუჩის ფარნიდან შემოსული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სინათლის ფონზე რვა თუ ცხრა ადამიანის სილუეტი დაინახა. ყველა მას უყურებდა.

– დაუშვი ჯოხი, მეგობარო, თორემ ვინმეს თვალს გამოსთხრი, – გაისმა დაბალი ბუზღუნა ხმა.

გული გადარეულივით უცემდა. ჰარიმ ხმა იცნო, მაგრამ ჯოხი არ დაუშვია.

– პროფესორო მუდი? – დაეჭვებით იკითხა ჰარიმ.

– „პროფესორობის" თაობაზე ვერაფერს გეტყვი, – დაიღრინა ხმამ, – გაკვეთილები არასდროს ჩამიტარებია. ჩამოდი, ერთი წესიერად შეგხედო.

ჰარიმ ოდნავ დაუშვა ჯოხი, მაგრამ ისევ მაგრად უჭერდა ხელს და ადგილიდან არ დაძრულა. დაეჭვებისთვის საკმაო საფუძველი ჰქონდა. ცხრა თვის განმავლობაში დადიოდა თვითმარქვიას გაკვეთილებზე, რომელიც თავს მრისხანეთვალა მუდიდ ასაღებდა და ბოლოს ჰარის მოკვლაც კი სცადა. თუმცა, სანამ ჰარი გადაწყვეტდა, როგორ მოქცეულიყო, მეორე ხრინწიანი ხმა შემოესმა:

– ყველაფერი რიგზეა, ჰარი, ჩვენ შენს წასაყვანად მოვედით.

გული კინაღამ საგულიდან ამოუვარდა. ეს ხმაც ეცნო, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადზე მეტი იყო, არ გაეგონა.

– პ-პროფესორო ლუპინ?– თან სჯეროდა, თან არც სჯეროდა, – ეს თქვენ ხართ?

– კიდევ დიდხანს ვიდგებით ამ სიბნელეში? – ეს უკვე ქალმა იკითხა, ჰარის მისი ხმა არ ეცნო, – ლუმოს!

ქვევით ჯადოსნური ჯოხის წვერი აინთო და ჰოლი შუქმა გაანათა. ჰარიმ თვალები დაახამხამა. კიბის ქვედა საფეხურთან შეგროვილები მას მისჩერებოდნენ.

მასთან ყველაზე ახლოს რემუს ლუპინი იდგა. არცთუ ისე ხნიერი იყო, მაგრამ საოცრად დაღლილი და ავადმყოფი ჩანდა. მას შემდეგ, რაც ჰარიმ უკანასკნელად ნახა, თმაში ჭაღარა მომატებოდა, შელახულ მანტიაზე კი – საკერებლები. გულითადად უღიმოდა ჰარის და ჰარიც, ამ განცდების მიუხედავად, შეეცადა, ღიმილითვე ეპასუხა.

– ო-ო-ო, ზუსტად ისეთია, როგორიც მეგონა! – შესძახა ჯადოქარმა ქალმა, რომელსაც შემართული ხელით ეჭირა მოციმციმე ჯოხი. როგორც ჩანს, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. ფერმკრთალი, ვიწრო სახე, შავი ბრდღვიალა თვალები და მოკლედ შეჭრილი, ყალყზე დამდგარი მყვირალა იისფერი თმა ჰქონდა, – გამარჯობა, ჰარი!

– ჰო, შენ მართალი იყავი, რემუს, – თქვა მელოტმა შავკანიანმა ჯადოქარმა, რომელიც ყველაზე უკან იდგა. წამღერებით, დაბალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბანით ლაპარაკობდა, ცალ ყურზე ოქროს რგოლი ეკიდა, – ჯეიმსის ალიკვალია.

– ოღონდ თვალებით არ ჰგავს, – ხრინწიანი ხმით შეუსწორა ჭაღარა ჯადოქარმა. ისიც დანარჩენების უკან იდგა, – თვალები ლილისი აქვს.

მრისხანეთვალა მუდი დაეჭვებული უყურებდა ჰარის თავისი სხვადასხვანაირი თვალებით. ერთი, პატარა და მუქი, მძივს მიუგავდა, მეორე – დიდი, მრგვალი და კაშკაშა ცისფერი ჰქონდა. ამ ჯადოსნური თვალით მუდის შეეძლო არა მარტო კედლებსა და კარებს მიღმა დანახვა, არამედ უკანაც – საკუთარი კეფის მიღმა.

– რემუს, დარწმუნებული ხარ, რომ ის არის? – დაიგრგვინა მუდიმ, – კაი სეირი იქნება, თუ მის მაგივრად რომელიღაც „სიკვდილის მხვრელს“ მივიყვანთ. რაღაც ისეთი უნდა ვკითხოთ, რაც მხოლოდ ნამდვილმა პოტერმა შეიძლება, იცოდეს. ანდა ვინმემ იქნებ სიმართლის ელექსირი წამოიღო თან?

– ჰარი, აბა, მითხარი, რა არის შენი პატრონუსი? – ჰკითხა ლუპინმა.

– ხარირემი, – ნერვიულად უპასუხა ჰარიმ.

– ის არის, მრისხანეთვალავ, – თქვა ლუპინმა.

ჰარი ნელა დაუყვა კიბეს. გზადაგზა ჯადოსნურ ჯოხს ჯინსის უკანა ჯიბეში იდებდა, თან ისევ გრძნობდა კიბის ძირში შეკრებილი ადამიანების დაჟინებულ მზერას.

– ჯოხს ნუ იჩრი შარვალში, ბიჭო! – იყვირა მუდიმ, – უცებ რომ იფეთქოს? უკეთესი ჯადოქრებიც მინახავს ცალი დუნდულით დარჩენილები!

– მაინც ვინ დაკარგა ცალი დუნდულა, შეიძლება, გავიგო? – დაინტერესდა იისფერთმიანი ქალი.

– რა მნიშვნელობა აქვს! უბრალოდ, არ არის საჭირო ჯადოსნური ჯოხების გაჩრა უკანა ჯიბეში, – იღრიალა მრისხანეთვალამ, – ყველას ფეხებზე ჰკიდია უსაფრთხოების ელემენტარული ზომები! – ხის ფეხის კაკუნით სამზარეულოსკენ წავიდა, – გაითვალისწინე, რომ ჩემი თვალით მინახავს, – გულმოსულმა დაამატა, როცა ქალმა ჭერისკენ აღაპყრო თვალები.

ლუპინმა ხელი გაუწოდა ჰარის და ღონივრად შეანჯღრია.

– ჰა, როგორ ხარ? – ჰკითხა და დაკვირვებით შეათვალიერა.

– მ-მშვენივრად...

ჰარის არ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა. სრულ ოთხ კვირას ჩამიჩუმი არ ისმოდა, პრივიტ დრაივიდან მის გამოხსნაზე არავითარი მინიშნებაც კი არ ყოფილა. ახლა კი, ჰოი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საოცრებავ, ჯადოქრების მთელი გუნდი ისე შემოიჭრა სახლში, თითქოს დიდი ხნის წინათ შეკრეს პირიო. ჰარიმ თვალი მოავლო ლუპინის გარშემო შეკრებილ ადამიანებს. ისინი ისევ ყურადღებით ათვალიერებდნენ. როგორღაც უხერხულად იგრძნო თავი – მეოთხე დღეა, სავარცხელი არ აეღო ხელში.

– მე... ბედმა გაგიღიმათ, რომ დერსლები შინ არ არიან... – წაიბუტ-ბუტა ჰარიმ.

– ჰა-ჰა! გაგიღიმათო! – გაიცინა იისფერთმიანმა ქალმა, – ისინი ხომ მე ჩამოვიცილე გზიდან. მაგლების ფოსტით ბარათი გავუგზავნე, რომელშიც ვწერდი, რომ სრულიად ინგლისის პროვინციების გაზონების საუკეთესო მომვლელთა კონკურსის ფინალში მოხვდნენ. ახლა ისინი გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე მიემგზავრებიან... უფრო სწორად, ასე ჰგონიათ.

ჰარიმ წარმოიდგინა ძია ვერნონის სახე, როცა მიხვდება, რომ არავითარი სრულიად ინგლისის პროვინციების გაზონების საუკეთესო მომვლელთა კონკურსი არ არსებობს.

– მივდივართ? – იკითხა ჰარიმ, – ახლავე?

– თითქმის ახლავე, – უპასუხა ლუპინმა, – როგორც კი წასვლის ნებართვას მივიღებთ.

– საით? „ბუნაგში“? – იმედით იკითხა ჰარიმ.

– არა, „ბუნაგში“ არა, – ლუპინმა ხელით ანიშნა, სამზარეულოში გამომყევიო. ჯადოქრების მთელი ჯგუფიც მათ გაჰყვა. ყველანი ისევ ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ჰარის, – ეს მეტისმეტად სარისკოა. შტაბ-ბინა ისეთ ადგილას მოვაწყვეთ, რომლის აღმოჩენა შეუძლებელია. ამას დიდი დრო დასჭირდა...

მრისხანეთვალა მუდი სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და მათარიდან რაღაცას წრუპავდა. მისი ჯადოსნური თვალი ციბრუტივით ტრიალებდა და დერსლების სამზარეულოს კუთხე-კუნჭულს ათვალიერებდა.

– ეს ალასტორ მუდია, ჰარი, – წარუდგინა მაგიდასთან მჯდომი ლუპინმა.

– ჰო, ვიცი, – ჰარი ოდნავ უხერხულად გრძნობდა თავს. მთელ წელიწადს ეგონა, რომ ამ ადამიანს იცნობდა, ახლა კი თავიდან აცნობდნენ ერთმანეთს.

– ეს კი ნიმფადორაა...

– ნუ მეძახი ნიმფადორას, რემუს! – შეუტია ახალგაზრდა ქალმა, – უბრალოდ, ტონქსი დამიძახეთ!

– ნიმფადორა ტონქსი, რომელსაც ურჩევნია, მხოლოდ გვარით მოიხსენიონ, – დაასრულა ლუპინმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენც ასე ამჯობინებდი, ქარაფშუტა დედაშენს შენთვის ნიმფადორა რომ დაერქმია, – წაიდუდღუნა ტონქსმა.

– ეს კი კინგსლი შეკლბოლტია, – ლუპინმა მაღალ, შავკანიან ჯადოქარზე მიუთითა, რომელიც თავის დაკვრით მიესალმა, – ელფიას დოჟი, – ახლა ხრინწიანი ხმით მოლაპარაკე ჯადოქარმა დაუკრა თავი. – დედალუს დიგლი...

– ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, – დაიწრიპინა აღელვებულმა დიგლმა და იისფერი ცილინდრი დაუვარდა. დიგლი უბრალო რამეზეც კი ღელავდა ხოლმე.

– ემელინ ვენსი, – ზურმუხტისფერმანტიიანმა, მედიდური შესახედაობის ქალმა თავი დახარა, – სტარჯის პოდმორი, – კვადრატულნიკაპიანმა და ხშირჩალისფერთმიანმა ჯადოქარმა ოინბაზურად ჩაუკრა თვალი, – და ჰესტია ჯონსი, – ტოსტერის გვერდით მდგომმა ვარდისფერლოყებიანმა ჯადოქარმა ქალმა მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია.

ჰარი უხერხულად ესალმებოდა მათ, ვინც ლუპინმა წარუდგინა. ყველა ისევ მას მისჩერებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც არამკითხემ უცებ დასტაცა ხელი და პირდაპირ სცენაზე დასვა. ვერც ის გაეგო, რატომ იყვნენ ასე ბევრნი.

– ხედავ, რამდენი მოხალისე გულშემატკივარი გეახლა? მოდი და, ნუ გაგიკვირდება! – თქვა ლუპინმა, თითქოს ჰარის აზრები წაიკითხაო, თან ტუჩის კუთხეები ოდნავ უთამაშებდა.

– რაც მეტი, მით უკეთესი, – თქვა მოლუშულმა მუდიმ, – ჩვენ შენი დაცვა ვართ, პოტერ.

– ნიშანსღა ველოდებით, რომ გზა თავისუფალია, – ლუპინმა სამზარეულოს ფანჯარაში გაიხედა, – კიდევ თხუთმეტიოდე წუთს მოვიცდით.

– ერთი ამათ უყურე, რა პეწენიკებს უცხოვრიათ აქ, – წამოიძახა ტონქსმა, რომელიც განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებდა სამზარეულოს, – აი, მამაჩემი კი, იმის მიუხედავად, რომ ისიც მაგლია, ნამდვილი ბებერი ფეთხუმია. გამოდის, რომ ეგენიც ჩვენსავით სხვადასხვანაირები არიან.

– ო... დიახ, – დაეთანხმა ჰარი, – მომისმინეთ... – ისევ ლუპინისკენ შებრუნდა, – რა ხდება, არავინ არაფერს მეუბნება. რა იცით ვოლდ...

– ჩუ! ჩუ! – უცებ ყველა მხრიდან მოესმა ჯადოქრების გაფრთხილება. დედალუს დიგლს ისევ დაუვარდა ცილინდრი.

– ჩუმად! – დაიღრინა მუდიმ.

– რატომ? – იკითხა ჰარიმ.

– აქ დისკუსიას ვერ გავმართავთ, ძალიან სარისკოა, – თქვა მუდიმ, თან ჩვეულებრივი თვალით უყურებდა ჰარის. ჯადოსნურით ისევ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭერს მისჩერებოდა, – ფუ, შენი, – შეუკურთხა და ხელი ჯადოსნურ თვალთან მიიტანა, – მას შემდეგ, რაც იმ ნაძირალამ ამ თვალით ისარგებლა, ერთთავად იჭედება.

და თითქოს ნიჟარიდან წყალი ჩაიცალაო, უსიამოვნო ბუყუნით გამოიძრო თვალი.

– ალასტორ, ალბათ, გესმის, რა საზიზღრობაა, არა? – ისე, სხვათა შორის შენიშნა ტონქსმა.

– ჰარი, გეთაყვა, ერთი ჭიქა წყალი მომიტანე, – სთხოვა მუდიმ.

ჰარიმ ჭურჭლის სარეცხი მანქანიდან სუფთა ჭიქა ამოიღო და ონკანიდან წყალი ჩამოასხა. ჯადოქრები გულდასმით აკვირდებოდნენ მის ყოველ მოძრაობას. მათი ეს გადაჭარბებული ყურადღება ბიჭს უკვე კარგა გვარიანად აღიზიანებდა.

– აი, ყოჩაღ, – მუდიმ ჰარის ჭიქა გამოართვა, ჯადოსნური თვალი შიგ ჩააგდო და კარგად შეანჯღრია. თვალი შიშინით დაბზრიალდა, თან ყველა სათითაოდ შეათვალიერა, – უკანა გზაზე სამასსამოცგრადუსიანი ხედვის კუთხე დამჭირდება.

– როგორ მივალთ იქამდე? ჰო, აღარ გეკითხებით სად, მაგრამ როგორ? – დაინტერესდა ჰარი.

– ცოცხებით, – უპასუხა ლუპინმა, – ეს ერთადერთი საშუალებაა. აპარაციისთვის ჯერ კიდევ პატარა ხარ. ფლუფხვნილი გამორიცხულია – ბუხრებს ისინი აკონტროლებენ, ხოლო თუ თვითონ შევეცდებით პორტაჟის აგებას, ეს მარტო ჩვენი სიცოცხლის ფასად როდი დაგვიჯდება.

– რემუსი ამბობს, რომ ცუდად არ დაფრინავ, – დაბალი ბანით ჩაურთო კინგსლი შეკლბოლტმა.

– არაჩვეულებრივად დაფრინავს, – დაუდასტურა ლუპინმა და საათს დახედა, – ასეა თუ ისე, მიდი, ნივთები შეაგროვე, სიგნალამდე მზად უნდა ვიყოთ.

– მე მოგეხმარები, – ხალისიანად შესთავაზა ტონქსმა და ჰარის კიბეზე აჰყვა. გზადაგზა ხარბად ათვალიერებდა ყველაფერს.

– სასაცილო ადგილია, – შენიშნა ტონქსმა, – მეტისმეტად სუფთაა. გესმის, რას ვგულისხმობ? ოო, აი, აქ გაცილებით უკეთესია, – დაამატა, როცა ისინი ჰარის ოთახში შევიდნენ. აქ გაცილებით მეტი ჭუჭყი და უწესრიგობა სუფევდა, ვიდრე მთელ დანარჩენ სახლში. ჰარი ბოლო ოთხ დღეს საზიზღარ გუნებაზე იყო და აზრადაც არ მოსვლია ოთახის დალაგება. წიგნების დიდი ნაწილი იატაკზე ეყარა, ჰედვიგის გალია ერთიანად მოსვრილი იყო და ყარდა. იატაკზე მიტოვებულ ღია ჩემოდანში ერთად ეყარა მაგლური და ჯადოქრული ტანისამოსი, ზოგი ნივთი კი ჩემოდნის გვერდით ეგდო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ფაციფუცით შეუდგა წიგნების ჩემოდანში ჩაყრას. ტონქსი მოღიავებულ გარდერობთან შეჩერდა და სარკეში თავის გამოსახულებას კრიტიკულად მიაშტერდა.

– იცი, რა? რატომღაც მგონია, რომ იისფერი ჩემი ფერი არ არის, – ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა და ჩამოვარდნილ კულულზე წაივლო ხელი, – არ გეჩვენება, რომ რაღაც ავადმყოფურ იერს მაძლევს?

ჰარიმ ჩემოდანში ჩააგდო „დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქვიდიჩის გუნდები", ტონქსს ახედა და გაუგებარი რაღაცა ჩაილაპარაკა.

– ნამდვილად ავადმყოფურ იერს მაძლევს, – დაბეჯითებით დაასკვნა ტონქსმა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო, თვალები მოჭუტა. წამის შემდეგ მისი თმა კაშკაშა ვარდისფერ საღეჭ რეზინს დაემსგავსა.

– როგორ ახერხებთ ამას? – ჰკითხა გაკვირვებულმა ჰარიმ.

– მე მეტამორფოზმაგუსი ვარ, – უპასუხა ქალმა, თვალები ფართოდ გაახილა და ისევ შეუდგა თავისი გამოსახულების შესწავლას. თავს ხან ასე ატრიალებდა, ხან – ისე, რათა თმა ყოველი მხრიდან შეეთვალიერებინა, – ეს იმას ნიშნავს, რომ სურვილისამებრ შემიძლია ვცვალო ჩემი გარეგნობა, – დაამატა მან, როცა სარკეში ჰარის შეცბუნებული სახე დაინახა, – ჰო, ასეთი დავიბადე. აურორად რომ მამზადებდნენ, დამალვასა და შენიღბვაში უმაღლესი ნიშნები მივიღე, ყოველგვარი დაზუთხვის გარეშე. არაჩვეულებრივი იყო.

– აურორად? – მოკრძალებით ჩაეკითხა ჰარი. როცა მომავალზე ფიქრობდა, მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ ჰოგვორტსის დამთავრების შემდეგ ბოროტ ჯადოქრებს შებრძოლებოდა.

– დიახ, – ამაყად მიუგო ტონქსმა, – კინგსლიც აურორია, მაგრამ რანგით ოდნავ მაღლა დგას ჩემზე. სულ ერთი წელია, რაც დიპლომი მივიღე. კინაღამ ჩავიჭერი შეუმჩნევლად შეღწევასა და თვალთვალში. საშინლად ტლანქი ვარ. გაიგონე, როგორ გავტეხე თეფში, როცა სამზარეულოში შემოვედით?

ჰარის სულ გადაავიწყდა ნივთების შეგროვება და სასწრაფოდ ჰკითხა:

– შეიძლება მეტამორფოზმაგიის შესწავლა?

ტონქსმა ჩაიხითხითა.

– რა, დროდადრო ნაიარევის დამალვას აპირებ? – თან ჰარის ნაიარევს შეავლო თვალი.

– მსგავსი არაფერი მიფიქრია, – ჩაიბურტყუნა ჰარიმ და შებრუნდა. არ უყვარდა, როცა მის ნაიარევს ათვალიერებდნენ.

– არა. ამას ასე იოლად ვერ შეძლებ, – თქვა ტონქსმა. – მეტამორფოზმაგუსები იშვიათად გვხვდებიან. ეს თანდაყოლილი თვისებაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯადოქრების უმრავლესობა გარეგნობის შესაცვლელად ჯადოსნურ ჯოხს ან ნაყენს იყენებს. მაგრამ მგონი, უნდა ავჩქარდეთ, ჰარი, ჩვენ აქ ნივთების შესაგროვებლად ამოვედით, – დამნაშავესავით დაამატა და არეულ-დარეული ოთახი მოათვალიერა.

– ჰო, რა თქმა უნდა, – ჰარი მიბრუნდა და კიდევ რამდენიმე წიგნი აიღო.

– შეეშვი, არ გინდა, მე უფრო ჩქარა შევაგროვებ, – უთხრა ტონქსმა და ჯადოსნური ჯოხი წრიული მოძრაობით შემოატარა იატაკზე.

წიგნები, ტანისამოსი, ტელესკოპი, სასწორი ერთად აიჭრა ჰაერში და ასევე ერთად ჩაფრინდა ჩემოდანში.

– მაინცდამაინც კოხტად ვერ ჩავალაგე, – შენიშნა ტონქსმა, როცა ჩემოდანში ჩაიხედა, – აი, დედაჩემს, მაგალითად, შეუძლია, ყველა ნივთი მშვენივრად ჩააწიკწიკოს, წინდებიც კი თავისით იკეცება, მაგრამ მე ასე არ შემიძლია. რაღაც განსაკუთრებული მოძრაობაა საჭირო...

ტონქსმა ისე, თითქოს სხვათა შორის აიქნია ჯადოსნური ჯოხი; ჰარის ცალი წინდა ოდნავ შეფართხალდა და ისევ ნივთების გროვაზე დაეშვა.

– კარგი, რაც არის, არის, – ტონქსმა ჩემოდანი დახურა, – ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ჩაეტია. ახლა მოდი, ცოტა მოვასუფთაოთ, – ჯადოსნური ჯოხი ჰედვიგის გალიისკენ მიმართა, – სქოუჯიფაი! – სკინტლი და რამდენიმე ცალი ბუმბული გაქრა, – რას იზამ, საკმარისი არ არის, მაგრამ სულ არარაობას... გულახდილად რომ ვთქვა, ამ საყოფაცხოვრებო შელოცვებში მაინცდამაინც ძლიერი არა ვარ. აბა, რამე ხომ არ გვრჩება? ქვაბი? ცოცხი? ვაიმე! „ელვა“...

ჰარის ხელში ცოცხის დანახვაზე ტონქსს თვალები გაუფართოვდა. ეს იყო ჰარის სიხარული და სიამაყე, სირიუსის ნაჩუქარი ნივთი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდა.

– მე კი ისევ „კომეტა 260“-ით დავჩაქჩაქებ, – შური ვერ დამალა ტონქსმა, – კარგი, რას იზამ... ჯოხი ისევ უკანა ჯიბეში გიდევს? დუნდულებიც ადგილზე გაქვს? შესანიშნავია, წავედით. ლოკომოტორ, ჩემოდანო!

ჰარის ჩემოდანი რამდენიმე სანტიმეტრით აიწია ჰაერში. ტონქსს ჯადოსნური ჯოხი დირიჟორივით ეჭირა ხელში. ჩემოდანი ლივლივით წავიდა კარისკენ და მერე კიბეზე დაეშვა. ტონქსმა ჰედვიგის გალია მარცხენა ხელში დაიკავა, ჰარიმ კი ცოცხი ჩაბღუჯა და კვალდაკვალ მიჰყვა.

მუდის ჯადოსნური თვალი ადგილზე დაებრუნებინა. გარეცხვის შემდეგ ისე სწრაფად ტრიალებდა, რომ ჰარის თავბრუ დაეხვა. კინგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სლი შეკლბოლტი და სტარჯის პოდმორი მიკროტალღოვან ღუმელს იკვლევდნენ. ჰესტია ჯონსს კარადის უჯრაში ნაპოვნი კარტოფილის საფცქვნელი ეჭირა და ხარხარებდა. ლუპინი დერსლებისთვის განკუთვნილ წერილს აწებებდა.

– დროზე მოხვედით, – უთხრა ჰარისა და ტონქსს, – ჩემი ვარაუდით, დაახლოებით, წუთიღა დაგვრჩა. ბაღში უნდა გავიდეთ და მზად ვიყოთ. ჰარი, ბიძაშენსა და დეიდაშენს წერილს ვუტოვებ, რომელშიც ვთხოვ, რომ შენზე არ ინერვიულონ...

– ნერვიულობით თავს არ მოიკლავენ, – თქვა ჰარიმ.

– ...და ვარწმუნებ, რომ საფრთხე არ გემუქრება...

– ეგ კი ნამდვილად ეწყინებათ.

– ...და აქ მომავალ ზაფხულს დაბრუნდები.

– ისევ?! კარგით რა...

ლუპინმა გაიღიმა და არაფერი უპასუხა.

– მოდი აქ, მეგობარო! – წაიბურტყუნა მუდიმ და ჯადოსნური ჯოხით თავისკენ მოუხმო ჰარის, – დეილუზიონირება უნდა გაგიკეთო.

– რა უნდა გამიკეთო? – აღელდა ჰარი.

– დეილუზიონირების შელოცვა, – თქვა მუდიმ და ჯოხი შემართა, – ლუპინი ამბობს, რომ შენ უჩინმაჩინის მოსასხამი გაქვს, მაგრამ ფრენისას შემოგეხევა. ასე უფრო საიმედო იქნება. აბა, ერთი...

და ბიჭს მთელი ძალით დასცხო ჯოხი. ჰარის ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კვერცხი დაალეწეს თავზე. იმ ადგილიდან, სადაც ჯოხი მოხვდა, მთელ სხეულში ცივი ნაკადულები ჩაეღვარა.

– აი, ეს მესმის, ალასტორ, – აღტაცებით შეაქო ტონქსმა, თან ჰარის მუცელს უყურებდა.

ჰარიმ საკუთარ ტანს დახედა, უფრო სწორად, იმას, რაც ადრე ტანს წარმოადგენდა, იმიტომ, რომ ახლა მას ტანთან საერთო აღარაფერი ჰქონდა. არა, უჩინარი არ გამხდარა, უბრალოდ, სამზარეულოს იმ ხელსაწყოს ფერი მიიღო, რომლის წინაც იდგა. ერთი სიტყვით, ადამიან-ქამელეონად იქცა.

– წავედით! – ბრძანა მუდიმ და ჯადოსნური ჯოხით უკანა კარი გააღო.

ყველანი ძია ვერნონის იდეალურად მოვლილ მდელოზე გაცვივდნენ.

– ნათელი ღამეა, – წაიბუზღუნა მუდიმ, თან ჯადოსნური თვალი ცას მოავლო, – მცირე ღრუბლიანობა არ გვაწყენდა. მაშ, ასე, ყური დამიგდე, – ცოტა არ იყოს, მკაცრად მიმართა ჰარის, – ერთ ჯგუფად გავფრინდებით. შენ წინ ტონქსი იქნება, ეცადე, ახლოს იყო. ლუპინი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვემოდან დაგიცავს, მე – უკნიდან, დანარჩენები ჩვენ გარშემო განლაგდებიან. ეს განლაგება არავითარ შემთხვევაში არ დაარღვიო, გასაგებია? თუ რომელიმე ჩვენგანს მოკლავენ...

– შეიძლება, ასეთი რამ მოხდეს? – შეშფოთდა ჰარი, მაგრამ მუდიმ თითქოს ვერც კი გაიგონა.

– ...დანარჩენები ფრენას აგრძელებენ ისე, რომ განლაგება არ დაირღვეს. ჰარი, თუ შენ გარდა, ყველა დაიღუპება, მაშინ თამაშში დამხმარე რაზმი ჩაერთვება. ის ჯერჯერობით იცდის. ფრენას აღმოსავლეთით გააგრძელებ. შენს დაცვას ის რაზმი შეეცდება.

– რაღაც ძალიან მხიარულ ამბებს ჰყვები, მრისხანეთვალა, ჰარი იფიქრებს, რომ საქმეს არასერიოზულად ვეკიდებით, – შენიშნა ტონქსმა, რომელიც ჰარის ჩემოდანსა და ჰედვიგის გალიას თასმებით საკუთარ ცოცხზე ამაგრებდა.

– მე მხოლოდ ჩვენს გეგმას ვაცნობ ბიჭს, – დაიღრინა მუდიმ, – ჩვენი ამოცანაა, შტაბ-ბინაში უვნებელი მივიყვანოთ. და თუ ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა...

– არავისაც არ დაუჯდება სიცოცხლის ფასად, – მშვიდი ბანით თქვა კინგსლი შეკლბოლტმა.

– ყველანი ცოცხებზე! აი, პირველი სიგნალიც! – მკაფიოდ წარმოთქვა ლუპინმა და ცაზე მიუთითა. ძალიან მაღლა, ვარსკვლავების ფონზე, კაშკაშა წითელი ნაპერწკლების კონა გაიშალა. ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ჯადოსნური ჯოხის ნაპერწკლები იყო. მარჯვენა ფეხი გადააბიჯა თავის „ელვას“, მაგრად ჩაეჭიდა ტარს და იგრძნო, როგორ ათრთოლდა ცოცხი, თითქოს მასაც ერთი სული ჰქონდა, ჰაერში აჭრილიყო.

– მეორე სიგნალი! წინ! – დასჭექა ლუპინმა, როცა ცაში ახალმა, ამჯერად, მწვანე ნაპერწკლებმა იფეთქეს.

ჰარი სწრაფად აიჭრა ზევით. საღამოს ცივი ჰაერი თმაში ეძგერა. პრივიტ დრაივის ჩაწიკწიკებული ბაღები ელვის სისწრაფით დაშორდნენ და ნელ-ნელა მუქმწვანე და შავ ლაქებად იქცნენ. ქარმა ხელად გამოუფერთხა თავიდან უსიამოვნო ფიქრები. სიხარულისგან გული საგულეში ვეღარ ეტეოდა: ჰარი ისევ დაფრინავდა; ის შინ ბრუნდებოდა საძულველი პრივიტ დრაივიდან! სწორედ ამაზე ოცნებობდა მთელ ზაფხულს... დროის ამ ხანმოკლე და მშვენიერ მონაკვეთში მისი ყველა საზრუნავი არარაობად იქცა, უკიდეგანო, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაში გალღვა.

– საჭე – მარცხნივ, საჭე – მარცხნივ, რომელიღაც მაგლი თვალებდაჭყეტილი იცქირება ზევით! – მოესმა უკნიდან მუდის ხმა. ტონქსმა მკვეთრად მოუხვია, ჰარი უკან მიჰყვა, თან თვალს არ აშორებდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავის ჩემოდანს, რომელიც შეშლილივით ქანაობდა ტონქსის ცოცხის ქვეშ, – უფრო მაღლა უნდა ავიდეთ... კიდევ ოთხასიოდე მეტრით!

მაღლა-მაღლა წავიდნენ. ცივი ჰაერისგან ჰარის თვალები აუცრემლიანდა. ქვევით უკვე აღარაფერი ჩანდა ერთი ბეწო სინათლის ლაქებად ქცეული ქუჩის ფარნებისა და მანქანების ფარების გარდა. ორი მათგანი, შეიძლება, ძია ვერნონის მანქანას უნათებს გზას... ალბათ, სწორედ ახლა უკან, თავიანთ დაცარიელებულ სახლში ბრუნდებიან, თან ცოფებს ყრიან გაზონების ცრუ კონკურსის გამო... გაიფიქრა თუ არა ეს, ჰარიმ ხმამაღლა გადაიხარხარა, მაგრამ მისი სიცილი ჩაახშო მფრინავი ჯადოქრების მანტიების შრიალმა, ღამის ქარის წუილმა და თასმების წრიპინმა, რომლებითაც ჩემოდანი და გალია იყო დამაგრებული. მთელი თვეა, ჰარი ასეთი ხალისიანი, ასეთი ბედნიერი არ ყოფილა.

– მიმართულება: სამხრეთი! – დაიყვირა მრისხანეთვალამ, – წინ ქალაქია!

მარჯვნივ მოუხვიეს, რათა ქვევით გადაშლილ სინათლის ბრჭყვიალა ქსელს გარიდებოდნენ.

– ახლა – სამხრეთ-აღმოსავლეთით და ისევ ზევით! იქ დაბალი ღრუბლებია, შევეფარებით! – გასცა ბრძანება მუდიმ.

– კიდევ რას იტყვი, ღრუბლებში მაფრინე ახლა! – შეუყვირა გაბრაზებულმა ტონქსმა, – სულ გავილუმპებით!

ამის გაგონებაზე ჰარის გულს შემოეყარა. „ელვის“ ტარზე ჩაბღუჯული თითები უკვე გაშეშებოდა სიცივისგან და ძალიან ნანობდა, რომ ქურთუკი არ ჩაიცვა.

ყველანი მრისხანეთვალას ბრძანებებს ემორჩილებოდნენ და დროდადრო იცვლიდნენ კურსს. ყინულივით ცივ ქარზე ჰარის თვალები ეჭუტებოდა. ერთადერთი შემთხვევა ახსენდებოდა, როცა ცოცხზე შემჯდარს ზუსტად ასე სციოდა – მესამე კურსზე ჰაფლეპაფელთა წინააღმდეგ ქვიდიჩის მატჩში, რომელიც ქარიშხალში გაიმართა. ჰარის მცველი ჯადოქრები, როგორც ვეებერთელა მტაცებელი ფრინველები, განუწყვეტლივ ტრიალებდნენ მის გარშემო. დროის შეგრძნება დაკარგა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენ ხანს მიფრინავდნენ. ეჩვენებოდა, რომ საათზე მეტი მაინც გავიდა.

– კურსი – სამხრეთ-დასავლეთით! – დაიგრგვინა მუდიმ, – ქვევით ავტოსტრადაა, უნდა მოვერიდოთ!

ჰარი ისე გაიყინა, რომ გზებზე მოძრავი მანქანების მყუდრო, მშრალი სალონი ინატრა, მერე კი, უფრო მეტი სევდით – ფლუ-ფხვნილით მოგზაურობა: ბუხრებში ციბრუტივით ტრიალი იქნებ არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ იქ თბილად მაინც ხარ... გვერდით მთვარის შუქზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აბრჭყვიალებული მელოტი თავითა და საყურით ჩაუქროლა კინგსლი შეკლბოლტმა. ახლა მარჯვნიდან ჯადოსნურჯოხშემართული ემელინ ვენსი მოჰყვებოდა. თავს აქეთ-იქით ატრიალებდა... მერე ისიც ზემოთ მოექცა, თავისი ადგილი სტარჯის პოდმორს დაუთმო...

– დროის მდევარია საჭირო, ვნახოთ, ხომ არავინ მოგვდევს, – დაიყვირა მუდიმ.

– გაგიჟდი, ალასტორ? – იკივლა ტონქსმა, – ლამისაა, ცოცხებს მივეყინოთ! თუ ასე ყოველ წუთს ვიცვალეთ კურსი, ერთ კვირაში ვერ მივაღწევთ. არადა, თითქმის მივედით!

– ვიწყებთ დაშვებას! – გაისმა ლუპინის ხმა, – ჰარი, ტონქსს მიჰყევი და არ ჩამორჩე!

ტონქსი მკვეთრად დაეშვა ქვევით. ჰარი უკან მიჰყვა. გეზი მოციმციმე სინათლის ზღვისკენ აიღეს. ასეთი რამ ცხოვრებაში არასდროს ენახა – თვალუწვდენელ სივრცეზე გადაშლილი ურთიერთგადამკვეთი ხაზების კაშკაშა ქსელის გაჩახჩახებულ მონაკვეთებს ბნელი ადგილები ცვლიდა. სულ ქვევით და ქვევით ეშვებოდნენ. ჰარი უკვე სათითაოდ არჩევდა მანქანის ფარებს, ქუჩის ფარნებს, საკვამლე მილებს, ტელეანტენებს. ძალიან უნდოდა, ჩქარა დაშვებულიყვნენ, თუმცა, ისეთი გაყინული იყო, რომ ეგონა, გვარიანი გათბობის გარეშე ცოცხიდან ვერავინ ააგლეჯდა.

– აი, ჩვენც მოვედით! – შეჰყვირა ტონქსმა და ორიოდე წამის შემდეგ მიწაზე დადგა ფეხი.

ჰარი მის შორიახლოს, გადამხმარ პატარა მოედანზე დაეშვა. ტონქსი უკვე ხსნიდა ცოცხზე დამაგრებულ ჩემოდანს. ჰარი ჯერ ისევ კანკალებდა, მაგრამ მაშინვე აქეთ-იქით მიმოიხედა. გარშემოჯარული სახლების გამურული ფასადები მაინცდამაინც სტუმართმოყვრულად არ გამოიყურებოდა. ზოგიერთი ფანჯარა ჩამტვრეული იყო, კარებს საღებავი აქერცლოდა, კიბის საფეხურებთან ნაგვით სავსე ტომრები ეყარა.

– სად ვართ? – იკითხა ჰარიმ.

– ერთი წუთით მოიცადე, – ჩუმად თქვა ლუპინმა.

მუდი გაფიჩხებული თითებით მანტიის ჯიბეებში რაღაცას ეძებდა.

– როგორც იქნა! – ჩაიბურტყუნა, ხელი ასწია და ვერცხლისფერი სანთებელასმაგვარი რაღაცა გააჩხაკუნა.

უახლოესმა ფარანმა ჩუმად გაიტკაცუნა და ჩაქრა. კიდევ ერთი გაჩხაკუნება, და მეორეც გამოირთო. დანარჩენი განათებული ფარნებიც ასე, ერთიმეორის მიყოლებით ჩააქრო მუდიმ. ახალი მთვარის შუქი და ფარდებჩამოფარებული ფანჯრებიდან გამოსული სუსტი სინათლეებიღა დარჩა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დამბლდორისგან ვითხოვე, – თქვა მუდიმ და ჩამქრობი ჯიბეში ჩაიდო, – ეს იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე მაგლს ფანჯარაში გამოხედვა მოუნდება. ახლა კი წავედით, და რაც შეიძლება, ცოცხლად.

ჰარის იდაყვზე წაავლო ხელი და ბალახიანი მდელოდან გზის მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარისკენ წაიყვანა. ლუპინმა და ტონქსმა ჰარის ჩემოდანი წაიღეს და უკან მიჰყვნენ. დანარჩენებს ჯადოსნური ჯოხები მოემარჯვებინათ და აქეთ-იქიდან იცავდნენ სამეულს. უახლოესი შენობის ზედა სართულიდან რადიოს მოგუდული ხმა ისმოდა. დამტვრეული ჭიშკრის იქით ნაგვით სავსე ახორხლილი ტომრებიდან დამპალი სუნი სცემდათ.

– გამომართვი, – ხმადაბლა თქვა მუდიმ, ჰარის დეილუზიონირებულ ხელში პერგამენტის ნაგლეჯი ჩაუდო და ჯადოსნური ჯოხით გაუნათა, – სწრაფად წაიკითხე და დაიხსომე.

ჰარიმ ქაღალდის ნაგლეჯს დახედა. ჩაწიკწიკებული ხელწერა ეცნო:

„ფენიქსის ორდენის შტაბ-ბინის მისამართია: ლონდონი, გრიმოს მოედანი, 12.“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოთხე

გრიმოს მოედანი, 12

– ეს რა ორდენია?.. – დაინტერესდა ჰარი.

– აქ მაგისი დრო არ არის, – წაიბუზღუნა მუდიმ, – მოითმინე, სანამ შევალთ!

ჰარის პერგამენტის ნაგლეჯი გამოართვა და ჯადოსნური ჯოხით ცეცხლი წაუკიდა. ჰარიმ თვალი გააყოლა ცეცხლმოკიდებულ ფურცელს, მერე კი პირდაპირ მის წინ აღმართული შენობა შეათვალიერა. სახლი ნომერი 11, მარცხნივ – ნომერი 10, მარჯვნიდან – ნომერი 13.

– მაგრამ სად არის...

– გუნებაში გაიმეორე ის, რაც ახლახან წაიკითხე, – ჩუმად უთხრა ლუპინმა.

ჰარი ასეც მოიქცა და როგორც კი მივიდა სიტყვებამდე „გრიმოს მოედანი, 12“, ნომერ 11-სა და ნომერ 13 სახლებს შორის, სად იყო, სად არა, გაჩნდა ძველი, დაფხავებული კარი, მერე კი – ჭუჭყიანი კედლები და გამურული ფანჯრები. დამატებითი სახლი თითქოს მის თვალწინ გაიბერა და მეზობლები აქეთ-იქით გასწია. ჰარი პირდაღებული შესცქეროდა. ნომერ 11 სახლში რადიო ძველებურად, თითქოს არაფერი მომხდარაო, ისევ ისე ჟღრიალებდა. ეტყობა, იქ მცხოვრებმა მაგლებმა ვერაფერიც ვერ იგრძნეს.

– მიდი, ჰარი! – დაიღრინა მუდიმ და ხელი წაჰკრა ზურგში.

ჰარი ქვის გალეული საფეხურებით ავიდა პარმაღზე, თან საიდანღაც გაჩენილ კარს თვალს არ აცილებდა. გაცრეცილი შავი საღებავი ალაგ-ალაგ აქერცლოდა. კარის ვერცხლისფერი ჩაქუჩი დაკლაკნილ გველს წააგავდა. არც საფოსტო ყუთი ეკიდა, არც გასაღების ღრიჭო ჩანდა სადმე.

ლუპინი ერთხელ შეეხო კარს ჯადოსნური ჯოხით. ჰარიმ გაიგონა ლითონის ხმამაღალი ღრჭიალი და ჯაჭვის ჩხარუნი. კარი ჭრიალით გაიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სწრაფად შედი, ჰარი! – წასჩურჩულა ლუპინმა, – მაგრამ შორს არ წახვიდე და ხელი არაფერს ახლო.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, ერთიანად ჩაბნელებულ ჰოლში აღმოჩნდა. ნესტის, მტვრისა და სიდამპლის მოტკბო სუნი იდგა, ისეთი, მხოლოდ დიდი ხნის მიტოვებულ სახლებში რომ იცის. ჰარი შემობრუნდა. დანარჩენებიც მიჰყვებოდნენ. ლუპინსა და ტონქსს მისი ჩემოდანი და ჰედვიგის გალია მოჰქონდათ. მუდი კიბის თავში იდგა და ისევ უბრუნებდა ქუჩის ფარნებს შუქს. მოედანს ისევ მოეფინა ნარინჯისფერი სინათლე. მუდი კოჭლობით შევიდა სახლში, კარი მიხურა და ისედაც ბნელ ჰოლში უკუნმა სიბნელემ დაისადგურა.

– ესეც ასე, აბა...

ჯადოსნური ჯოხი მაგრად დაჰკრა თავში ჰარის. ჰარიმ იგრძნო, როგორ ჩაეღვარა ზურგში რაღაც ცხელი, და მიხვდა, რომ დეილუზიონირების შელოცვამ მოქმედება შეწყვიტა.

– ახლა ცოტა დამაცადეთ, სანამ რაღაც სინათლისმაგვარს მოგცემთ, – წაიჩურჩულა მუდიმ.

მოგუდული ხმები შემაშფოთებლად ჟღერდა და ჰარის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ამ სახლში მომაკვდავი იწვა. გაისმა ჩუმი შიშინი და კედლებზე ძველებურმა გაზის ლამპებმა გამოიღვიძეს. სუსტმა მოციმციმე შუქმა შპალერჩამოხეული გრძელი უჟმური დერეფანი გაანათა. იატაკზე დაძენძილი ხალიჩა ეფინა. ჭერში ულიმღამოდ ბჟუტავდა ობობას ქსელით დაფარული ჭაღი; კედლებზე ოკრობოკროდ ეკიდა დრო-ჟამისგან ჩამუქებული პორტრეტები. ჰარის რაღაც შრიალი მოესმა. ჭაღსაც და მოყანყალებულ მაგიდაზე დადგმულ შანდლებსაც გველის ფორმა ჰქონდათ.

მოისმა აჩქარებული ნაბიჯების ხმა და დერეფნის ბოლოში ქალბატონი უისლი, რონის დედა გამოჩნდა. ქალბატონი უისლი გულღია, კეთილი ღიმილით შეეგება. ჰარის მათი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ქალი უფრო გამხდარი და ფერმიხდილი ეჩვენა.

– ო, ჰარი, როგორ მიხარია შენი ნახვა, – ჩურჩულით მიეხალისა ქალბატონი უისლი და ისე მოხვია ხელები, რომ ბიჭს ნეკნებმა ტკაცატკუცი დაუწყო. მერე ცოტა მანძილზე გასწია და კრიტიკულად შეათვალიერა, – ავადმყოფურად გამოიყურები. კარგი კვება გჭირდება, მაგრამ ვახშამდე ცოტა მოცდა მოგიწევს, – მერე აღელვებული ხმით იქვე მდგომ ჯადოქრებს მიმართა: – ის ახლახან მოვიდა, კრება დაიწყო.

დაინტერესებული და აღელვებული ჯადოქრები იმ კარისკენ წავიდნენ, საიდანაც წუთის წინ ქალბატონი უისლი გამოვიდა. ჰარი ის-ის იყო, ლუპინს მიჰყვა, რომ ქალბატონმა უისლიმ შეაჩერა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ჰარი, კრება მხოლოდ ორდენის წევრებისთვის არის. რონი და ჰერმიონი ზევით არიან. მათთან ერთად მოიცდი, სანამ კრება არ დამთავრდება. ამის მერე ვივახშმებთ. ეცადე, ჩუმად ილაპარაკო დერეფანში, – ისევ ისეთივე აღელვებული ჩურჩულით დაამატა მან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ რამეს გააღვიძებ.

– მე არ მეს...

– მერე, მერე აგიხსნი, ახლა მეჩქარება. კრებაზე უნდა ვიყო. მანამდე გიჩვენებ, სად დაიძინებ.

თითი ტუჩებთან მიიტანა, აქეთ-იქიდან ჩამოშვებული გრძელი, ჩრჩილის შეჭმული მძიმე ფარდების გვერდით ჩაატარა. ჰარის ვარაუდით, მათ უკან კიდევ ერთი კარი უნდა ყოფილიყო. შემდეგ ჩაუარეს ქოლგების ჩასაყუდებელს, რომელიც ტროლის მოჭრილ ფეხს წააგავდა, და ბნელ კიბეს აუყვნენ. კედელზე ჰარიმ დეკორატიულ ფირფიტებზე ერთ რიგად ჩამწკრივებული რამდენიმე დანაოჭებული თავი შენიშნა. კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს შინაური ელფების თავები იყო. ყველას ერთნაირად წაგრძელებული დინგისმაგვარი ცხვირი ჰქონდა.

ჰარი თანდათან უფრო აიტანა ძრწოლამ. რა უნდა ჰქონდეს საერთო ამ სახლთან, რომელიც ისე გამოიყურება, თითქოს ყველაზე ბოროტ ჯადოქარს ეკუთვნის?

– ქალბატონო უისლი, რატომ...

– ჩემო ძვირფასო, რონი და ჰერმიონი ყველაფერს აგიხსნიან, მე კი უნდა გავიქცე, – შეშფოთებით წაიჩურჩულა ქალბატონმა უისლიმ, – აი, – ისინი უკვე მესამე სართულზე იყვნენ,

– მარჯვნივ შენი კარია, დაგიძახებ, როცა კრება დამთავრდება. და ქალბატონი უისლი სწრაფად დაეშვა ქვევით.

ჰარიმ გადაჭრა კიბის ჭუჭყიანი ბაქანი, საძინებლის გველისებრი სახელური მოატრიალა და კარი გააღო.

გააღო კარი და დაინახა მაღალჭერიანი უჟმური ოთახი, შიგ ორი საწოლი იდგა. წამსვე გაისმა ფრინველის ხმამაღალი კივილი, ამას კიდევ უფრო ხმამაღალი შეძახილი მოჰყვა და ჰარის თვალებს აფუებული თმის გორგალი აეფარა: მკლავებგაშლილი ჰერმიონი ისე დაეძგერა, რომ კინაღამ წააქცია, პიგვიჯენი კი, რონის პაწია ბუ, ფეთიანივით დასტრიალებდა თავს ზემოთ.

– ჰარი! რონ, შეხედე, ჰარი მოსულა! ჩვენ კი ვერც გავიგეთ, როგორ შემოხვედი სახლში. ჰა, როგორა ხარ, ყველაფერი რიგზეა? ალბათ, საშინლად გაბრაზებული ხარ ჩვენზე! ნამდვილად გაბრაზებული იქნები. ხომ ვიცი, რომ ჩვენი წერილები მაინცდამაინც ვერ გაგახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არებდა, მაგრამ არაფრის მოწერა არ შეგვეძლო. დამბლდორმა სასტიკად აგვიკრძალა. არადა, იმდენი რამე გვაქვს მოსაყოლი! ალბათ, შენც უამრავ რამეს მოგვიყვები! დემენტორებისა და სამინისტროში მოსმენის ამბავი რომ გავიგეთ... ეს აღმაშფოთებელია! მე წავიკითხე, მათ არ შეუძლიათ, გაგრიცხონ, უფლება არა აქვთ! არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის კანონში არის პუნქტი სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებაში ჯადოქრობის გამოყენებაზე.

– ამოასუნთქე, ჰერმიონ, – ღიმილით უთხრა რონმა და კარი მიხურა, – ამ ერთ თვეში, რაც მათ ერთმანეთი არ ენახათ, ის კიდევ რამდენიმე სანტიმეტრით გაზრდილიყო და კიდევ უფრო გატლანქებულიყო, მაგრამ გრძელი ცხვირი, ცეცხლოვანი წითური თმა და ჭორფლი ძველებურად ამშვენებდა.

ჰერმიონი ისევ ისე სახეგაბრწყინებული გადგა განზე, მაგრამ ჰარიმ პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ ჰაერში მსუბუქი შრიალი გაისმა, მუქი კარადის თავიდან რაღაც თეთრი გადმოფრინდა და ნაზად დაასკუპდა მხარზე.

– ჰედვიგ!

ჰარიმ მაშინვე მოფერება დაუწყო, თოვლივით ქათქათა ბუმ კი ნისკარტი დააკაპუნა და ალერსიანად უკბინა ყურზე.

– რომ იცოდე, რა დღეში იყო! – თქვა რონმა, – ისე დაგვკორტნა, როცა უკანასკნელად მოგვიტანა შენი წერილები, კინაღამ დაგვხოცა. აი, ნახე...

რონმა მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ჯერ კიდევ შეუხორცებელი, საკმაოდ ღრმა ჭრილობა დაანახა.

– ჰო, მესმის, – თქვა ჰარიმ, – ვწუხვარ, მაგრამ ძალიან მინდოდა პასუხების მიღება...

– ჩვენ რა, შენ გგონია, არ გვინდოდა, გვეპასუხა? – თავის მართლება დაიწყო რონმა, – ჰერმიონი დაიტანჯა, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ შენ რაღაც სისულელეს ჩაიდენდი, თუ სრულიად მარტოდმარტო იჯდებოდი, მაგრამ დამბლდორმა...

– სასტიკად აგიკრძალათ, – აიტაცა ჰარიმ, – ჰერმიონმა ხომ მითხრა.

საუკეთესო მეგობრების დანახვით მოვარდნილი თბილი ტალღა უეცრად დაიშრიტა და მუცელში ყინულის სიცივე ჩაეღვარა. მთელ თვეს ნატრობდა რონთან და ჰერმიონთან შეხვედრას, ახლა კი უცებ იგრძნო, რომ ძალიან არ დასწყდებოდა გული, თუ მარტო დარჩებოდა.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი არ უყურებდა მეგობრებს, ისე ეფერებოდა ჰედვიგს.

– მან თქვა, ასე აჯობებსო, – ხმა გაებზარა ჰერმიონს, – დამბლდორს ვგულისხმობ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გასაგებია, – ჰარიმ ჰერმიონის ხელებზედაც შეამჩნია ჰედვიგის ნისკარტის ნაკვალევი და გულის სიღრმეში აღიარა, რომ სულაც არ თანაუგრძნობდა.

– ალბათ, ეგონა, რომ მაგლებთან ნაკლები ხიფათი გელოდა... – დაიწყო რონმა.

– ჰოო? – წარბი ასწია ჰარიმ, – ამ ზაფხულს რომელიმე თქვენგანს დემენტორები ხომ არ დასხმიან თავს?

– არა, მაგრამ... მან ხომ ფენიქსის ორდენის ხალხს დაავალა შენი მეთვალყურეობა...

ჰარის თითქოს იატაკი გამოეცალა ფეხქვეშ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კიბეზე ჩადიოდა და საფეხურზე ფეხი დაუცდა. გამოდის, ყველამ იცოდა, რომ მას უთვალთვალებდნენ, ყველამ – მის გარდა.

– ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც კარგად გამოუვიდათ...

– თავს ძალას ატანდა ჰარი, რომ მშვიდად ელაპარაკა, – ისე კარგად მითვალთვალებდნენ, რომ ჩემით მომიხდა თავის დაცვა.

– დამბლდორი საშინლად გაბრაზდა, – თქვა ჰერმიონმა წარმოუდგენელი მოწიწებით, – ჩვენ იქ ვიყავით, როცა შეიტყო, რომ მანდანგუს ფლეტჩერმა თვითნებურად მიატოვა მორიგეობა. დამბლდორი ცოფებს ყრიდა.

– მე კი მოხარული ვარ, რომ ფლეტჩერმა მიმატოვა, – ცივად თქვა ჰარიმ, – სხვაგვარად ჯადოსნურ ჯოხს არ გამოვიყენებდი და დამბლდორი მაიძულებდა, მთელ ზაფხულს პრივიტ დრაივზე მეყურყუტა.

– მაგრამ ნუთუ... ნუთუ არ გაწუხებს მაგიის სამინისტროში გამოძახება? – ჩუმად ჰკითხა ჰერმიონმა.

– არა, – გამომწვევად იცრუა ჰარიმ. მხარზე დასკუპებულ ბედნიერ ჰედვიგთან ერთად მეგობრებს მოსცილდა და იქაურობის თვალიერება დაიწყო. მაგრამ ნესტიანსა და მოჟამულ ოთახს მაინცდამაინც დიდი სიამოვნება არ მიუნიჭებია. შიშველ კედლებს ატყავებული შპალერი და კოხტა ჩარჩოში ჩასმული ცარიელი ტილო ამშვენებდა. როცა ჰარი ამ ჩარჩოს ჩაუვლიდა, ვილაცის ჩუმი ხითხითი ესმოდა.

– მაინც რატომ დასჭირდა დამბლდორს ამ ყველაფრის დამალვა? – ისევ ნაძალადევი სიმშვიდით იკითხა ჰარიმ. – თქვენ რა... ისა... აზრადაც არ მოგსვლიათ, გეკითხათ?!

ჰარიმ ზუსტად იმ დროს ასწია თავი, როცა რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს. ესე იგი, სწორედ ისე იქცევა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდათ. ამ დასკვნამ მაინცდამაინც ვერ გამოუკეთა გუნება.

– ჩვენ ვუთხარით დამბლდორს, რომ გვინდოდა ყველაფერი გვეც-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნობებინა შენთვის, – ჰარის დარწმუნება სცადა რონმა, – ნამდვილად ვუთხარი, ჰარი, ეჭვი არ შეგეპაროს. მაგრამ ის ახლა საშინლად მოუცლელია. რაც აქ ჩამოვედით, სულ ორჯერ ვნახეთ. ეტყობა, ძალიან ცოტა დრო აქვს. ერთი სიტყვით, გვაიძულა, პირობა მიგვეცა, რომ მნიშვნელოვანს არაფერს მოგწერდით. თქვა, რომ ბუ, შეიძლება, გზაში გამოიჭირონო.

– რომ ნდომებოდა, რამენაირად მოახერხებდა კიდეც ყველაფრის შეტყობინებას, – ცივად მოუჭრა ჰარიმ, – მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ცნობების გაგზავნა ყოველგვარი ბუების გარეშეც შეიძლება.

ჰერმიონმა რონს გადახედა.

– ეს მეც ვიფიქრე. მაგრამ მან ამჯობინა, რომ შენ არაფერი გცოდნოდა.

– იქნებ ფიქრობს, რომ ჩემი ნდობა არ შეიძლება? – ჰარი პირდაპირ სახეში მიაცქერდა მეგობრებს.

– მოიცა, ნუ სულელობ, – აილეწა რონი.

– ანდა ფიქრობს, რომ ჩემი თავის დაცვა არ შემიძლია.

– არა! რა სისულელეა, – შეეპასუხა ჰერმიონი.

– მაშ, რატომ მონაწილეობთ თქვენ ყველაფერში, რაც აქ ხდება, მე კი ამ დროს დერსლებთან ვყურყუტებ? – გაცეცხლდა ჰარი და ხმას აუწია, – რატომ გაქვთ თქვენ უფლება, ყველაფერი იცოდეთ, მე კი – არა?!

– მთლად ეგრეც არ არის! – შეაწყვეტინა რონმა, – დედა კრებაზე არ გვიშვებს, გვეუბნება, ჯერ პატარები ხართო!

ახლა კი ველარ მოითმინა ჰარიმ და აყვირდა:

– ჰო-ჰო, კრებაზე არ უშვებენ! საწყლები! მაგრამ თქვენ ხომ აქ ხართ, ხომ ასეა?! თქვენ ერთად ხართ, მე კი მთელი თვე დერსლებთან ობი მომეკიდა! მე გაცილებით მეტი გავაკეთე, ვიდრე თქვენ – ორივემ ერთად. და ეს მშვენივრად იცის დამბლდორმა. ვინ გადაარჩინა ფილოსოფიური ქვა? ვინ სძლია რიდლს? ვინ დაგიცვათ დემენტორებისგან?

მთელი თვის ნაგროვები სიმწარე და რისხვა ერთიან ნაკადად დაიძრა. მთელი ეს დრო ტანჯავდა უილაჯობის შეგრძნება, ტკივილი, რომ მისი მეგობრები ერთად არიან, ის კი მარტოა; გაცოფება, როცა შეიტყო, რომ უჩუმრად უთვალთვალებდნენ... ყველაფერმა ამან, რასაც სირცხვილის გრძნობაც თან ახლდა, ბოლოს ერთბაშად ამოხეთქა. ყვირილით შეშინებული ჰედვიგი მხრიდან ისევ კარადაზე გადაფრინდა. პიგი შეშფოთებული აკივლდა და უფრო სწრაფად დაიწყო ფრენა მათ თავებს ზემოთ.

– ვის სცდიდნენ შარშან დრაკონებით, სფინქსებითა და სხვა ათასი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოხრობით? ვინ დაინახა პირველმა, როგორ აღდგა ის? ვინ იყო იძულებული, დამალოდა მას? მე!

თავზარდაცემული რონი პირღია იდგა და არ იცოდა, რა ეთქვა. ჰერმიონი უკვე სატირლად იყო მზად...

– ნეტავ, რატომ უნდა ვიცოდე, რა ხდება? ნეტავ, რატომ უნდა შეიწუხოთ თავი იმისთვის, რომ რაღაც-რაღაცეები მეც მითხრათ?!

– ჰარი, ჩვენ გვინდოდა, გვეცნობებინა, ნამდვილად გვინდოდა... – დაიწყო ჰერმიონმა.

– გინდოდათ, მაგრამ არც ისე ძალიან! ასე რომ ყოფილიყო, ბუს გამომიგზავნიდით! თურმე ნუ იტყვი, დამბლდორმა აიძულა, პირობა მიეცათ...

– მართლა გვაიძულა...

– მთელ თვეს იდიოტივით ვიჯექი პრივიტ დრაივზე! მთელ თვეს ნაგვის ყუთებში ვიქექებოდი, გაზეთებს ვაგროვებდი, რომ რამე გამეგო...

– ჩვენ გვინდოდა...

– მე კი მგონია, რომ მყუდროდ იყავით მოკალათებულები და გულიანად დამცინოდით!

– არა-მეთქი, პატიოსან...

– ჰარი, ჩვენ ნამდვილად ძალიან, ძალიან ვწუხვართ! – განწირული ხმით იკივლა ჰერმიონმა, თვალებში ცრემლი აუბრჭყვიალდა, – ჰარი, შენ ცამდე მართალი ხარ! შენს ადგილას მეც გავცოფდებოდი!

ჰარიმ ერთხან დაჟინებით უყურა ჰერმიონს. მერე ისევ შებრუნდა და ოთახში აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ჰედვიგმა გულისწყრომით გამოხედა კარადის თავიდან. კარგა ხანს ხმა აღარავის ამოუღია. სიჩუმეს მხოლოდ იატაკის სევდის მომგვრელი ჭრიალი არღვევდა.

– სად ვარ, რა ჰქვია ამ ადგილს? – უცებ იკითხა ჰარიმ.

– ფენიქსის ორდენის შტაბ-ბინა, – უცბადვე უპასუხა რონმა.

– ბოლოს და ბოლოს, იქნებ ვინმემ მითხრას, მაინც რა ჯანდაბაა ეს ფენიქსის ორდენი?!

– ეს საიდუმლო საზოგადოებაა, – სწრაფად აუხსნა ჰერმიონმა, – დამბლდორმა დააფუძნა და თვითონვე ჩაუდგა სათავეში. მეტწილად ისინი მონაწილეობენ, ვინც იბრძოდა ჩვენ-რომ-ვიცით, იმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მისი წინა გამოჩენისას.

ჰარი გაინაბა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა იკითხა:

– ვინ არიან საზოგადოების წევრები?

– არც ისე ბევრნი არიან.

– ჩვენ ოცამდე წევრს ვიცნობთ, – თქვა რონმა, – მაგრამ ვფიქრობთ, უფრო მეტნი უნდა იყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი გაუნძრევლად იდგა.

– აბა? – პასუხის მოლოდინში ხან რონს შეხედავდა, ხან – ჰერმიონს.

– ისა... – აირია რონი, – რა „აბა“?

– ვოლდემორი, აი, რა! – ისეთი ხმით იყვირა ჰარიმ, რომ მეგობრები ერთდროულად შეხტნენ, – რა იცით ახალი? რა ჩაიფიქრა? სად არის? როგორ შეებრძოლებით?

– ხომ გითხარით, ჩვენ ორდენის კრებაზე არ გვიშვებენ, – ნერვები მოეშალა ჰერმიონს, – ამიტომ წვრილმანები არ ვიცით. მხოლოდ საერთო იდეას მოვკარით ყური, – სწრაფად დაამატა მან, როცა ჰარის მრისხანე სახეს შეხედა.

– იცი, ფრედმა და ჯორჯმა ყურების დამაგრძელებელი გამოიგონეს, – ახარა რონმა, – ძალიან სასარგებლო რამეა.

– რის დამაგრძელებელი?

– ყურებისა, ყუ-რე-ბის! ეს კია, ბოლო ხანს შევწყვიტეთ მალულად მოსმენა. დედამ გაიგო და შავი დღე გვაყარა. ახლა ფრედსა და ჯორჯს თავიანთი დამაგრძელებლები დამალული აქვთ, რომ დედამ არ გადაყაროს. მანამდე კი საკმაოდ კარგად ვიყენებდით. ასე გავიგეთ, რომ ორდენის ზოგიერთი წევრი გამოაშკარავებულ „სიკვდილის მხვრელებს“ უთვალთვალებს. მათ აღრიცხვას აწარმოებენ. იცი...

– ზოგი ორდენისთვის ახალ წევრებს ეძებს, – განაგრძო ჰერმიონმა.

– ზოგი რაღაცას სდარაჯობს, – თქვა რონმა, – იქ ერთთავად რაღაცის დაცვაზე ლაპარაკობენ.

– შემთხვევით, მე ხომ არ მდარაჯობენ? – ირონიულად იკითხა ჰარიმ.

– მოიცა, მგონი, ეგრე უნდა იყოს! – რონმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს გონება გაუნათდაო.

ჰარიმ ჩაიფრუტუნა. ისევ წინ და უკან სიარულს მოჰყვა. ყველაფერს ათვალიერებდა, რონისა და ჰერმიონისთვის კი ერთხელაც არ შეუხედავს. ბოლოს შეჩერდა და იკითხა:

– აბა, რას აკეთებდით, თუ კრებებზე არ გიშვებდნენ? თქვენ ხომ მწერდით, ბევრი საქმე გვაქვსო?

– ეგ მართალია, – სწრაფად უპასუხა ჰერმიონმა, – სახლს ვასუფთავებთ. ის ხომ დიდხანს იყო ცარიელი და რამ აღარ დაიბუდა. სამზარეულო და საძინებლების დიდი ნაწილი უკვე მზად არის, ხვალ სასტუმრო ოთახებს... ვაი!..

ორი ხმამაღალი ტკაცანით შუა ოთახში მოულოდნელად რონის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფროსი ძმები, ტყუპები – ჯორჯი და ფრედი – გაჩნდნენ. პიგვიჯენმა კიდევ უფრო უმატა კივილს და კარადის თავზე ჰედვიგის გვერდით დასკუპდა.

– მორჩით, ბოლოს და ბოლოს! – დაღლილი ხმით უთხრა ჰერმიონმა ტყუპებს.

ძმები რონივით წითურები იყვნენ, მაგრამ მასზე ცოტათი უფრო ჯმუხები და არც მთლად რონივით აყლაყუდები.

– ჰარის გაუმარჯოს! – გაბრწყინებული სახით მიესალმა ჯორჯი, – შენმა კეთილხმოვანმა ჟღურტულმა ჩვენს ყურამდე მოაღწია.

– შენა, ჰარი, სიბრაზეს გულში ნუ იკლავ, ამოანთხიე! – ურჩია ფრედმა, მასაც ტყუპისცალივით უბრწყინავდა თვალები, – თორემ ორმოცდაათ კილომეტრზე შეიძლება, ყველამ ვერ გაიგონოს შენი ხმა!

– ესე იგი, აპარაციის კურსი უკვე გაიარეთ? – ჩაიბურტყუნა ჰარიმ.

– თანაც, უმაღლესი შეფასება მივიღეთ, – დაიტრაბახა ფრედმა. ხელში კანისფერი გრძელი ზონარი ეჭირა.

– კიბით რომ ჩამოსულიყავით, სულ ოცდაათი წამით მეტი დაგჭირდებოდათ, – შენიშნა რონმა.

– დრო ფულია, ძმაო, – თქვა ფრედმა, – და, საერთოდ, ჰარი, შენ აფუჭებ სმენადობას. ყურების დამაგრძელებელი, – განმარტა მან, როცა ჰარის აზიდულ წარბებს შეხედა, და ზონარი მაღლა ასწია; აღმოჩნდა, რომ ზონარი კიბეს ჩაუყვებოდა, – ჩვენ ვცდილობთ, გავიგოთ, რა ხდება ქვევით.

– ოღონდ, ფრთხილად, – ურჩია რონმა, – თუ დედამ ისევ დაინახა...

– ახლა მათ დიდი კრება აქვთ, ამისთვის ნაღდად ღირს გარისკვა, – შეაწყვეტინა ფრედმა.

კარი გაიღო და კიდევ ერთი წითური თავი გამოჩნდა.

– ო, ჰარი, გამარჯობა! – მხიარულად მიესალმა ჯინი, რონის უმცროსი და, – შენი ხმა მომესმა, – მერე ფრედსა და ჯორჯს მიუბრუნდა: – ყურების დამაგრძელებლით არაფერი გამოგვივა. დედამ სამზარეულოს კარი მიუწვდომლობის შელოცვით მოაჯადოვა.

– საიდან იცი? – ჰკითხა ჯორჯმა როგორღაც ჩაწყვეტილი ხმით.

– ტონქსმა მითხრა, როგორ უნდა გამერკვია, – თქვა ჯინიმ, – უბრალოდ, ისვრი კარისკენ, რაც ხელში მოგხვდება, და თუ ვერ მიაღწევს, მორჩა, მიუწვდომელია. კიბიდან ნეხვის ბომბები ვესროლე, მაგრამ უკან მომიბრუნდა. ტყუილად არ გქონდეთ იმედი, რომ ყურების დამაგრძელებელს შეუცურებთ.

ფრედმა ამოიოხრა.

– საწყენია. ისე მინდოდა, გამეგო, რას აკეთებს ბებრუხანა სნეიპი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სნეიპი?! – გაუკვირდა ჰარის, – ისიც აქ არის?

– აბა, რა! – უპასუხა ჯორჯმა, კარი დახურა და ერთ-ერთ საწოლზე ჩამოჯდა. ფრედი და ჯინი გვერდით მიუსხდნენ, – ახლა ანგარიშს აბარებს. აი, მესმის საიდუმლო!

– ნაძირალა, – კბილებში გამოსცრა ფრედმა.

– ის ახლა ჩვენს მხარეზეა, – უსაყვედურა ჰერმიონმა. რონმა ჩაიფრუტუნა და განაჩენი გამოუტანა:

– მაინც ნაძირალაა. ერთი გაჩვენათ, როგორ გვიყურებს, როცა ერთმანეთს ვხვდებით!

– არც ბილს უყვარს, – ისე თქვა ჯინიმ, თითქოს ამით ყველაფერი ნათელი ხდებოდა.

ჰარის ჯერ ვერ გაერკვია, რისხვა გაუნელდა თუ არა, მაგრამ ყველაფერი ისე აინტერესებდა, რომ სიბრაზეს მოერია, მოპირდაპირე საწოლზე ჩამოჯდა და იკითხა:

– ბილიც აქ არის? მე ეგვიპტეში მეგონა.

– შინ გადმოყვანა ითხოვა. უნდა, რაღაცით მაინც დაეხმაროს ორდენს, თანაც, იმასაც ამბობს, აკლდამები მომენატრაო, მაგრამ აქ აუცილებლად რაღაცით კარგად აინაზღაურებს ამ დანაკლისს, – ეშმაკურად ჩაიცინა ფრედმა.

– რას გულისხმობ?

– გახსოვს მეტიჩარა ფლერ დელაკური? – ჰკითხა ჯორჯმა, – ახლა ისიც გრინგოტსის ბანკში მუშაობს, თავის „ანგლესაულს“ აუმჯობესებს...

– და ბილიც ხშირ-ხშირად უტარებს კერძო გაკვეთილებს, – გესლიანად დაამატა ფრედმა.

– ჩარლიც ორდენის წევრია, – თქვა ჯორჯმა, – მაგრამ ის ჯერ რუმინეთშია. დამბლდორს უნდა, რაც შეიძლება მეტი უცხოელი ჯადოქარი გადმოიბიროს და ჩარლიც თავისუფალ დროს მათთან კონტაქტის დამყარებას ანდომებს.

– ეს ხომ პერსისაც შეეძლო? – გაიკვირვა ჰარიმ. ბოლო ინფორმაცია, რაც მან უისლების მესამე ძმის შესახებ იცოდა, ის იყო, რომ მაგიის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტში მუშაობდა.

პერსის ხსენებაზე ჰერმიონმა და უისლებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. რონმა დაძაბულობისგან შეცვლილი ხმით გააფრთხილა ჰარი:

– დედასთან და მამასთან პერსიზე კრინტი არ დაძრა.

– ვითომ რატომ?

– საკმარისია, მამამ მისი სახელი გაიგონოს, რომ ყველაფერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემოემტვრევა, რაც იმ დროს ხელში უჭირავს, დედა კი ტირილს იწყებს, – აუხსნა ფრედმა.

– პირდაპირ საშინელებაა, – ნაღვლიანად თქვა ჯინიმ.

– მე მგონი, სამუდამოდ გაიყარა ჩვენი გზები, – თქვა ჯორჯმა უჩვეულოდ ბოროტი გამომეტყველებით.

– ასეთი რა მოხდა? – იკითხა ჰარიმ.

– პერსიმ და მამამ იჩხუბეს, – უპასუხა ფრედმა, – ასეთი არასოდეს მინახავს მამა. ჩვენთან ხომ მხოლოდ დედა ყვირის ხოლმე.

– არდადეგების პირველი კვირა იყო. ჩვენ უკვე აქეთ წამოსასვლელად ვემზადებოდით, პერსი რომ მოვიდა და გამოგვიცხადა, დამაწინაურესო, – დაიწყო მოყოლა რონმა.

– მართლა? – გაოცდა ჰარი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰარიმ მშვენივრად იცოდა, როგორ ოცნებობდა პერსი კარიერაზე, მაგიის სამინისტროში თავის პირველ თანამდებობაზე მაინცდამაინც დიდი წარმატება არ ჰქონია. პერსიმ საკმაოდ უხეში შეცდომა დაუშვა, როცა ვერ შენიშნა, რომ მის უფროსს ლორდი ვოლდემორი აკონტროლებდა (თუმცა, სამინისტროში ეს არც დაიჯერეს – გადაწყვიტეს, რომ ბატონი კრაუჩი ჭკუიდან შეიშალა).

– ჩვენც ძალიან გაგვიკვირდა, – თქვა ჯორჯმა, – პერსის ხომ უამრავი უსიამოვნება შეხვდა კრაუჩის გამო, გამოძიება და ასე შემდეგ. პერსი უნდა მიმხვდარიყო, რომ კრაუჩმა აურია, და ზემდგომებისთვის უნდა მოეხსენებინა, მაგრამ პერსის ხომ იცნობ. კრაუჩმა თავის მაგივრად დატოვა. მეტი რაღა უნდოდა?!

– მაშ, რატომ დააწინაურეს?

– ამას ვერც ჩვენ მივხვდით, – რონს გულში უხაროდა, რომ ჰარიმ ყვირილი შეწყვიტა, ამიტომ ძალიან ცდილობდა, საუბარი მშვიდად გაგრძელებულიყო, – შინ საშინლად თვითკმაყოფილი გამოგვეცხადა, ჩვეულებრივზე უფრო თვითკმაყოფილი, რა თქმა უნდა, თუ შეგიძლია, ეს წარმოიდგინო. მამას უთხრა, რომ ფაჯის მოადგილეობა შესთავაზეს. ეს, რა თქმა უნდა, ურიგო ამბავი არ არის ახალგაზრდა კაცისთვის, რომელმაც ჰოგვორტსი სულ ერთი წლის წინ დაამთავრა. მინისტრის უმცროსი თანაშემწეობა! ეტყობა, ფიქრობდა, რომ მამა აღფრთოვანდებოდა.

– მაგრამ მამა სულაც არ აღფრთოვანებულა, – მოიღუშა ფრედი.

– რატომ? – იკითხა ჰარიმ.

– ფაჯი სამინისტროში პირდაპირ ცოფებს ყრის: არავის არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს დამბლდორთანო, – აუხსნა ჯორჯმა.

– სამინისტროში „დამბლდორი“ ახლა სალანძღავი სიტყვაა, – დაა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მატა ფრედმა, – ისინი ფიქრობენ, რომ დამბლდორი ტყუილუბრალოდ ამღვრევს წყალს, როცა აცხადებს, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღდგა.

– მამა ამბობს, ფაჯმა ყველას აგრძნობინა, რომ მას, ვინც დამბლდორთან ერთადაა, სამინისტროში არაფერი ესაქმებაო, – განაგრძო ჯორჯმა.

– უბედურება ის არის, რომ ფაჯი მამაჩემს ეჭვით უყურებს. იცის, რომ დამბლდორთან მეგობრობს. ამასთანავე, კარგა ხანია, მიაჩნია, რომ მამაჩემის კეთილგანწყობა მაგლების მიმართ მსუბუქი შეშლილობის ნიშანია.

– მაგრამ პერსი რა შუაშია? – იკითხა თავგზაარეულმა ჰარიმ.

– იმ შუაშია, რომ მამამ იცის, რატომ აიყვანა ფაჯმა მოადგილედ პერსი; მას უნდა, რომ პერსიმ ჩვენს ოჯახსა და დამბლდორს უთვალთვალოს.

ჰარიმ ჩუმად დაუსტვინა.

– ჰოო, პერსის კიდევ მოსწონს ეს საქმე.

რონმა უხალისოდ ჩაიცინა.

– პერსი დასაბმელი გახდა, რას აღარ ამბობდა. ისიც კი თქვა, რომ სამინისტროში მისვლის პირველივე დღიდან მამის შელახული რეპუტაციის აღდგენისთვის იბრძოდა; რომ მამას თავმოყვარეობის ნატამალი არ გააჩნია და ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვიყავით... როგორ ვთქვა, მოკლედ, არც ისე ბევრი ფული გვქონდა...

– რა-ა? – ყურებს არ უჯერებდა ჰარი.

– ჰო, ჰო, – ჩუმად დაუდასტურა რონმა, – მერე უარესი მოხდა. იდიოტი უწოდა მამას დამბლდორთან მეგობრობის გამო, და თქვა, რომ დამბლდორი დიდ უსიამოვნებას გადაეყრება და მამა მასთან ერთად ჩაიძირება. აი, პერსიმ კი იცის, ვის მხარეზე უნდა იყოს. ამიტომ სამინისტროში დარჩება და თუ დედა და მამა სამინისტროს ინტერესების ღალატს აპირებენ, ის ყველას გასაგონად აცხადებს, რომ აღარ თვლის თავს ჩვენი ოჯახის წევრად. იმავე საღამოს თავისი ნივთები შეაგროვა და გაემგზავრა. ახლა ლონდონში ცხოვრობს.

ჰარიმ ხმადაბლა შეიკურთხა. მიუხედავად იმისა, რომ რონის ძმებს შორის პერსი ყველაზე ნაკლებად მოსწონდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ის ასეთ რამეს გაუბედავდა ბატონ უისლის.

– დედაჩემი გადაირია, – განაგრძო რონმა, – ალბათ, გესმის – ბევრი იტირა... მერე ადგა და ლონდონში გაემგზავრა პერსისთან დასალაპარაკებლად, მაგრამ მან ცხვირწინ მიუხურა კარი. არ ვიცი, როგორ იქცევა, როცა მამას სამსახურში ხვდება. ალბათ, ისე უჭირავს თავი, თითქოს არც იცნობს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ პერსიმ ხომ იცის, რომ ვოლდემორი აღდგა! – ჩაილაპარაკა ჰარიმ, – სულელი სულაც არ არის. უნდა ესმოდეს, რომ დედა და მამა უმიზეზოდ არ გარისკავდნენ.

– სხვათა შორის, ამ შეხლა-შემოხლაში შენც გახსენეს, – რონმა ცერად გახედა ჰარის, – პერსიმ განაცხადა, რომ ამის ერთადერთი დასტური შენი სიტყვებია. სიტყვები კი... მოკლედ... მისი აზრით, შენი ნდობა არ შეიძლება.

– პერსი სერიოზულად აღიქვამს „დილის მისნის“ პუბლიკაციებს, – გესლიანად თქვა ჰერმიონმა. დანარჩენებმა თავი დაუქნიეს.

– რა პუბლიკაციებს? – იკითხა ჰარიმ. მეგობრებმა, ცოტა არ იყოს, შიშით შეხედეს.

– შენ რა... შენ რა, „დილის მისანს“ არ იღებდი? – აღელდა ჰერმიონი.

– ვიღებდი, როგორ არა! – მიუგო ჰარიმ.

– და შენ... ისა... ყურადღებით კითხულობდი? – კიდევ უფრო შეშფოთებულმა ჰკითხა ჰერმიონმა.

– რა თქმა უნდა, პირველიდან ბოლო გვერდამდე არა, – აიჯაგრა ჰარი, – ვოლდემორზე რომ ყოფილიყო რამე, ალბათ, დიდი სათაურით დაბეჭდავდნენ. ასე არ არის?

ამ სახელის ხსენებაზე ყველა შეკრთა. ჰერმიონმა სწრაფადვე განაგრძო:

– სწორედაც პირველიდან ბოლო გვერდამდე უნდა წაგეკითხა, რომ არაფერი გამოგრჩენოდა. კვირაში ორჯერ მაინც... ისა... შენზე გაისეირნებენ ხოლმე.

– მაგრამ უსათუოდ მომხვდებოდა თვალში...

– ეგეთი რამ თვალში ვერ მოგხვდება, თუ მარტო პირველ გვერდს კითხულობ, – თავი გადააქნია ჰერმიონმა, – მე დიდ სტატიებზე არ გეუბნები. ისინი ისე, სხვათა შორის გახსენებენ ხოლმე, შენ მათთვის სათადარიგო ხუმრობა ხარ.

– არ მესმის...

– მოკლედ, ეს ყველაფერი სრული სისაძაგლეა, – ჰერმიონი შეეცადა, მშვიდად აეხსნა, – ისინი ისევ რიტას მონაჩმახით სარგებლობენ.

– მაგრამ მან ხომ თითქოს შეწყვიტა წერა!

– ჰო, ეს ქალი სიტყვას ასრულებს. თუმცა, სხვა გზა არც აქვს, – ამაყად თქვა ჰერმიონმა, – მაგრამ დღევანდელ ამბებს სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი.

– რა დღევანდელ ამბებს? – მოთმინება დაელია ჰარის.

– გახსოვს, როგორ წერდა, რომ შენ წამდაუწუმ გრძნობას კარგავ; რომ ნაიარევის საშინელ ტკივილსა და სხვა ამგვარ რამეებს უჩივი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მახსოვს, – ჰარისთვის არც ისე იოლი იყო რიტა სკიტერის პუბ-ლიკაციების დავიწყება.

– ჰოდა, ისინი დღესაც ისევ ძველებურად ხატავენ შენს პორტრეტს: წერენ, როგორ ხარ გატუტუცებული; როგორ გიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა; როგორ გიყვარს ტრაგიკულ გმირად თავის გასაღება და კიდევ ბევრ ამდაგვარს, – ძალიან სწრაფად ჩამოარაკრაკა ჰერმ-იონმა, თითქოს ასე ჩამორაკრაკებული ძალიან აღარ ატკენდა გულს, – დროდადრო გესლიანად ხუმრობენ: თუ, მაგალითად, საუბარია რაღაც ტვინის საჭყლეტ ამბავზე, წერენ: „ჰარი პოტერის საკადრისი არაკია". თუ ვინმეს რამე უმნიშვნელო რამ გადახდა თავს; თუ ვინმე რაიმე თავშესაქცევ ფათერაკს გადაეყარა, მაშინვე დაამატებენ: „იმედი ვიქონიოთ, რომ შუბლზე ნაიარევი არ დააჩნდება, თორემ ჩვენგან აუცილებლად მოითხოვენ, რომ მასზე ვილოცოთ..."

– სულაც არ მინდა, რომ ჩემზე ილოცონ! – გაცეცხლდა ჰარი.

– ვიცი, რომ არ გინდა, – სწრაფად თქვა, ცოტა არ იყოს, დამფრთხ-ალმა ჰერმიონმა, – ვიცი, ჰარი. მაგრამ ვერ მიხვდი, რა უნდათ? მათ სურთ, რომ აღარავინ აღარ დაგიჯეროს. და ამ ყველაფრის უკან ფაჯი დგას. მათ სურთ, რომ ჩვეულებრივმა ჯადოქრებმა ტუტუც ბიჭად ჩაგთვალონ, რომელმაც საკუთარი თავი თვითონვე აქცია სასაცილოდ; რომელიც მხოლოდ იმიტომ ჰყვება დაუჯერებელ ამბებს, რომ განადიდონ და ელოლიაონ.

– მე არ მითხოვია... მე არ მინდოდა... ვოლდემორმა ჩემი მშობლები დახოცა! – სულმოუთქმელად შეჰყვირა ჰარიმ, – ცნობილი იმიტომ გავხდი, რომ ჩემი ოჯახი ამოწყვიტა, მაგრამ მე ვერ მომკლა. ვის რაში სჭირდება ასეთი სახელი? ნუთუ ფიქრობენ, რომ არ...

– ჩვენ ვიცით, ჰარი, – ჯინიმ გულით სცადა, დაერწმუნებინა.

– და, რა თქმა უნდა, არც ერთ სიტყვას არ წერენ იმაზე, როგორ დაგესხნენ თავს დემენტორები, – განაგრძო ჰერმიონმა, – როგორც ჩანს, ვიღაცამ გააფრთხილა, კრინტი არ დაეძრათ ამაზე. არადა, ხომ ნამდვილი სენსაცია იქნებოდა! თავაშვებული, მორჩილებას თავდაღ-ნეული დემენტორები! ისიც კი არ დაუწერიათ, როგორ დაარღვიე საიდუმლოს შენახვის საერთაშორისო წესდება. გვეგონა, დაწერდ-ნენ, ეს ხომ მშვენივრად მოერგებოდა სულელი ბაქიას პორტრეტს, როგორადაც უნდათ, რომ წარმოგადგინონ. ეტყობა, შენს გარიცხვას უცდიან, აი, მაშინ ატეხენ ერთ ამბავს. გადაგივლიან... მე, რა თქმა უნდა, მინდოდა, მეთქვა, თუ გაგრიცხავენ-მეთქი, – უცებ შეასწორა ჰერმიონმა, – ეს არ უნდა მოხდეს, თუ ისინი პატივს სცემენ საკუთარ კანონებს. ვერაფერში დაგადანაშაულებენ.

ისინი კვლავ სამინისტროში მოსმენის საკითხს მიადგნენ; ჰარის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი ამაზე ფიქრიც არ უნდოდა. სანამ ახალ სალაპარაკო თემას მოძებნიდა, კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა.

– აბა, დავითესეთ!

ფრედმა თავისკენ მოქაჩა ყურების დამაგრძელებელი. გაისმა ხმამაღალი ტკაცანი და ის და ჯორჯი გაქრნენ. რამდენიმე წამის შემდეგ საძინებლის კარში ქალბატონი უისლი გამოჩნდა.

– კრება დასრულდა. ქვევით ჩადით და ივახშმეთ. ყველას ერთი სული აქვს, როდის გნახავენ, ჰარი. შეიძლება, გავიგო, საიდან გაჩნდა სამზარეულოს კართან ნეხვის ბომბები?

– ბო, – ურცხვად იცრუა ჯინიმ, – ნეხვით თამაში უყვარს.

– გასაგებია. მე კი მეგონა, კრეჩერია-მეთქი, ეგეთი რამეების ოსტატია. დერეფანში არ იხმაუროთ. ჯინი, საშინლად ჭუჭყიანი ხელები გაქვს, რას აკეთებდი? თუ შეიძლება, ვახშმის წინ დაიბანე.

ჯინი დანარჩენებს დაეჭყანა და დედას გაჰყვა. ჰარი რონთან და ჰერმიონთან დარჩა. შეშფოთებული მეგობრები ისე შესცქეროდნენ, თითქოს ეშინოდათ, რომ ახლა, როცა დანარჩენები წავიდნენ, ისევ აყვირდებოდა. მათმა ნერვიულობამ ჰარი ოდნავ დაარცხვინა.

– იცით, მე... – ხმადაბლა დაიწყო, მაგრამ რონმა თავი გადააქნია, ჰერმიონმა კი ჩუმად თქვა:

– ასეც ვფიქრობდი, რომ გაბრაზდებოდი. იოტისოდენადაც არ გვწყინს, მაგრამ შენც უნდა გაგვიგო, მართლა ვცდილობდით დამბლდორის დაყოლიებას...

– ვიცი, – შეაწყვეტინა ჰარიმ.

წამით ჩაფიქრდა ისეთი სალაპარაკო თემის ძებნაში, დირექტორთან რომ არ იქნებოდა დაკავშირებული, რადგან დამბლდორზე ერთი გაფიქრებაც კი საკმარისი იყო, რომ ისევ აფეთქებულიყო. ბოლოს იკითხა:

– კრეჩერი ვინღაა?

– აქაური შინაური ელფი, – უპასუხა რონმა, – ერთი დამთხვეული ვინმეა. მსგავსი არაფერი მინახავს.

ჰერმიონმა წარბი შეიკრა:

– არაფერი დამთხვეულიც არ არის, რონ.

– მისი ცხოვრების ნათელი მიზანია, რომ თავი მოაჭრან და მემორიალურ დაფაზე გამოფინონ, დედამისის თავივით, – თქვა გაღიზიანებულმა რონმა, – ეს რა, ნორმალურია?

– კარგი, კარგი, ოდნავ უცნაურად თუ იქცევა, ეს მისი ბრალი არ არის.

რონმა შეთქმულივით შეხედა ჰარის და თვალები ამოატრიალა:

– ჰერმიონი ვერა და ვერ მოშორდა თავის ელამ-ს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ელამ-ს კი არა, ᲔᲚᲐᲛ-ს, – აღშფოთდა ჰერმიონი, – ეს ელფთა დამოუკიდებლობის აღდგენის მოძრაობაა, გასაგებია? სხვათა შორის, დამბლდორსაც მიაჩნია, რომ ჩვენ უფრო ჰუმანურად უნდა მოვეპყროთ კრეჩერს.

– კარგი, დაწყნარდი, – დაუყვავა რონმა, – წავიდეთ, შიმშილისგან სული მძვრება.

რონი პირველი გავიდა კიბის ბაქანზე, მაგრამ სანამ ქვევით ჩავიდოდნენ, შეჩერდითო, წაიჩურჩულა და ხელით შეაჩერა ჰარი და ჰერმიონი, – ჯერ კიდევ დერეფანში არიან, შეიძლება, რაიმეს მოვკრათ ყური.

უხმაუროდ დაეყრდნენ მოაჯირს და სამივემ ქვევით ჩაიხედა. ბნელი დერეფანი ჯადოქრებით იყო სავსე. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც ჰარის გზაში მოაცილებდა. ყველა აღელვებული ჩურჩულებდა. ჯგუფის შუაში ჰარიმ თვალი მოჰკრა ჰოგვორტსის სკოლის ყველაზე საძულველი მასწავლებლის, პროფესორ სნეიპის, გაქონილ თმასა და ნისკარტა ცხვირს. ჰარი მოაჯირზე გადაიწია – ძალიან აინტერესებდა, რა საქმე ჰქონდა სნეიპს ფენიქსის ორდენში.

უცებ მის თვალწინ საიდანღაც ზონარი გაჩნდა. აიხედა და კიბის ზემოთა ბაქანზე ფრედი და ჯორჯი დაინახა, რომლებიც ბნელ დერეფანში შეგროვილი ხალხის თავზე ყურების დამაგრძელებელს უშვებდნენ. თუმცა, სულ რაღაც წამის შემდეგ ჯადოქრები გასასვლელისკენ დაიძრნენ და მალევე გაუჩინარდნენ.

ჰარის ფრედის ხმადაბალი გინება მოესმა. ზონარი უკანვე ასრიალდა. მერე გაიგონეს, როგორ გაიღო და დაიხურა შემოსასვლელი კარი.

– სნეიპი არასოდეს ჭამს აქ, – ხმადაბლა უთხრა რონმა ჰარის, – და ძალიანაც კარგს შვრება. წავედით.

– არ დაგავიწყდეს, ჰარი, დერეფანში არ უნდა ვიხმაუროთ, – ჩურჩულით შეახსენა ჰერმიონმა.

კედელზე გამოფენილ ელფების თავებს რომ ჩაუარეს, შემოსასვლელ კართან ლუპინს, ქალბატონ უისლისა და ტონქსს მოჰკრეს თვალი. შელოცვებით საგულდაგულოდ კეტავდნენ კარს.

– სამზარეულოში ვივახშმებთ, – ხმადაბლა გადაულაპარაკა კიბის ბოლოში მდგარმა ქალბატონმა უისლიმ ჰარის, რონსა და ჰერმიონს, – ჰარი, ძვირფასო, ფეხის წვერებზე გაიარე დერეფანში, აი, იმ კარისკენ წადი...

ბუჰ!

– ტონქს! – განწირული ხმით იკივლა ქალბატონმა უისლიმ იატაკზე გაშხლართული ტონქსის დანახვაზე.

– მაპატიეთ! – შეევედრა ტონქსი. – სულ ამ იდიოტური ქოლგების ჩასაყუდებლის ბრალია, ეს უკვე მეორედ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკანასკნელი სიტყვები სულის შემძვრელმა ჭყივილმა გადაფარა.

ჩრჩილისგან შეჭმული ხავერდის ფარდები, რომლის მახლობლადაც ჰარიმ ადრე ჩაიარა, გადაიწია, მაგრამ იმის იქით არავითარი კარი არ იყო. წამით მოეჩვენა, რომ ფანჯარაში იხედებოდა, მიღმა კი შავჩაჩიანი დედაბერი იდგა და ისეთი განწირული ხმით ყვიროდა, თითქოს აწამებენო. თუმცა, მერე მიხვდა, რომ ნატურალური ზომის პორტრეტი იყო, ოღონდ ყველაზე უფრო ნამდვილის მსგავსი და ყველაზე უფრო უსიამოვნო, რაც კი აქამდე ენახა.

დედაბერს პირიდან დუჟი გადმოუვიდა, თვალები ამოუტრიალდა, ყვითელი კანი დაეჭიმა. დერეფნის მთელ გაყოლებაზე სხვა პორტრეტებმაც გაიღვიძეს და ისეთ გოდებას მოჰყვნენ, რომ ჰარიმ უნებურად თვალები დახუჭა და ყურებზე ხელები აიფარა.

ლუპინი და ქალბატონი უისლი დედაბრისკენ გაიქცნენ და ფარდების დახურვას შეეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. დედაბერი უფრო ხმამაღლა აჭყივლდა და ბრჭყალებიანი ხელები ზევით ასწია, თითქოს სახეების ჩამოღადვრას უპირებთო.

– გარყვნილებო! ნაძირალებო! ჭუჭყისა და ბიწიერების ნაშიერნო! მუქსისხლიანებო! მახინჯებო! გაეთრიეთ აქედან! როგორ ბედავთ ჩემი წინაპრების სახლის წაბილწვას...

ტონქსმა ადგილზე დადგა ტროლის ფეხის მსგავსი ვეებერთელა ქოლგების ჩასაყუდებელი და თან სულ ბოდიშს იხდიდა. ქალბატონმა უისლიმ თავი ანება ფარდის ჯაჯგურს და დერეფანში სირბილს მოჰყვა, რომ დამხშობი შელოცვით დაეწყნარებინა დანარჩენი პორტრეტები. კარიდან, რომლის წინაც ჰარი იდგა, ელვასავით გამოვარდა გრძელთმიანი შავგვრემანი მამაკაცი.

– მოკეტე, საზიზღარო ბებერო კუდიანო! ახლავე მორჩი კივილს! – შეუღრინა დედაბერს და ფარდებს ჩაავლო ხელი.

დედაბერს მკვდრისფერი დაედო სახეზე.

– შენა ხაااااარ?! – დაიჭყივლა დედაბერმა და თვალები გადმოკარკლა, – ჩვენი ჯიშის წამბილწველო! საზიზღარო! გამყიდველო! ჩვენი სისხლისა და ხორცის შემარცხვენელო!

– გითხარი, მოკეტე-მეთქი! – ისევ შეუღრინა კაცმა და მან და ლუპინმა წარმოუდგენელი ძალისხმევით, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს ფარდის ჩამოფარება.

დედაბრის ჭყივილი ნელ-ნელა მიწყდა და ჩუმ ექოდღა ისმოდა.

კაცმა შუბლიდან გრძელი შავი თმა გადაიყარა და ჰარისკენ აქოშინებული შემობრუნდა... მისი ნათლია სირიუსი.

– ჰარის გაუმარჯოს, – პირქუშად მიესალმა, – როგორც ვხედავ, უკვე გაიცანი დედაჩემი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეხუთე

ფენიქსის ორდენი

– შენი...

– ჰო, ჩემი ძვირფასი ბებრუხანა დედიკო, – დაუდასტურა სირიუსმა, – გვინდოდა, ერთი თვით აქედან მოგვეშორებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტილოს უკუღმა პირზე სამუდამო მიწებების შელოცვით იმოქმედა. აბა, წავიდეთ, სანამ ისევ გაუღვიძიათ.

– მაგრამ აქ რა უნდა დედაშენის პორტრეტს? – ჰკითხა შეცბუნებულმა ჰარიმ, როცა ოდნავ დაწინაურდნენ, დერეფნიდან გავიდნენ და ქვის ვიწრო კიბით სამზარეულოსკენ დაეშვნენ.

– შენთვის რა, არაფერი უთქვამთ? ეს ჩემი მშობლების სახლია, – უპასუხა სირიუსმა, – მაგრამ მე ბლექების უკანასკნელი ნაშიერი ვარ და ეს სახლი ახლა მე მეკუთვნის. ჰოდა, დამბლდორს შტაბბინად შევთავაზე. ეს, ალბათ, ერთადერთი სასარგებლო რამაა, რისი გაკეთებაც ახლა შემიძლია.

ჰარი უფრო გულითად შეხვედრას ელოდა. სირიუსის ხმაში სიმკაცრემ და სინანულმა გააკვირვა. ნათლიას კიბის ბოლომდე ჩაჰყვა და სარდაფში მოთავსებულ სამზარეულოში შევიდა. ამ, გამოქვაბულისმაგვარ უხეშ, ქვისკედლებიან სათავსოში ისეთივე პირქუში სიბნელე იყო, როგორც ზემოთ, დერეფანში. იქაურობას სამზარეულოს მეორე ბოლოში კერიაზე დანთებული ცეცხლი ანათებდა. კვამლის სქელი ფარდა ისე ეკიდა ჰაერში, როგორც ბრძოლის ველზე – დენთის ბოლი. ამ ფარდის იქიდან მრისხანედ გამოიყურებოდა ბნელ ჭერზე ჩამოკიდებული მასიური თუჯის ქვაბებისა და ტაფების ბუნდოვანი მოხაზულობა. აუარებელ სკამსა და სავარძელს შორის, რომლებიც კრების მონაწილეებისთვის მოეტანათ, პერგამენტებით, ფიალებითა და ცარიელი ბოთლებით სავსე ხის გრძელი მაგიდა იდგა. იქვე რაღაც ჩვრები დაეხვავებინათ. მაგიდის შორეულ კიდესთან ჩუმად საუბრობდნენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთმანეთისკენ დახრილი ბატონი უისლი და მისი უფროსი ვაჟი ბილი.

ქალბატონმა უისლიმ ჩაახველა. მისი ქმარი, გამხდარი, ოდნავ შემელოტებული ჟღალთმიანი, რქისსათვალიანი კაცი შეკრთა, თავი ასწია და წამოდგა.

– ჰარი! – წამოიძახა, სწრაფად მიეგება და ენერგიულად ჩამოართვა ხელი, – ძალიან მიხარია შენი ნახვა.

მის მხარს ზემოდან ბილი ჩანდა, გრძელი თმა ძველებურად, ცხენის კუდივით ჰქონდა შეკრული, იდგა და სწრაფად ახვევდა მაგიდაზე დატოვებულ პერგამენტებს.

– როგორ იმგზავრე, ჰარი! – ჰკითხა ბილმა, თან ცდილობდა, პერგამენტების გროვა ერთბაშად აელო, – იმედი მაქვს, მრისხანეთვალამ გრენლანდიის გავლით არ ჩამოგიყვანა!

– კი უნდოდა, მაგრამ... – დაიწყო ტონქსმა და ბილის დასახმარებლად გაიწია, მაგიდაზე მდგარ სანთელს გამოედო და პერგამენტის ფურცელზე წააქცია, – ვაი, ვაი, ვაი... მაპატიეთ...

– არა უშავს, საყვარელო, – საკმაოდ მკაცრად თქვა ქალბატონმა უისლიმ, ჯადოსნური ჯოხი გაიქნია და პერგამენტი აღადგინა. შელოცვამ იქაურობა გაანათა და ჰარიმ შენობის გეგმის მსგავს ნახაზს მოჰკრა თვალი.

ქალბატონმა უისლიმ მისი მზერა დაიჭირა. გეგმას ხელი დასტაცა, ბილის ხელებში ჩაბღუჯულ დანარჩენ გრაგნილებს ზემოდან დააგდო და მკვახედ თქვა:

– ეს ყველაფერი კრების შემდეგ სასწრაფოდ უნდა ალაგდეს, – მერე სამზარეულოს ძველებურ კარადასთან მივიდა და თეფშები გადმოიღო.

ბილმა ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა, ჩაიბუტბუტა: „ევანესკო!“ – და გრაგნილები გაქრა.

– დაჯექი, ჰარი, რაღას დგახარ, – უთხრა სირიუსმა ჰარის, – მანდანგუსს უკვე იცნობ, არა?

იმან, რაც ჰარის ჩვრების გროვა ეგონა, ერთი გრძლად ამოიხვრინა, შეკრთა და ნელა გაიმართა სკამზე.

– ვინ მახსენა ამწუთას? – ნამძინარევი ხმით წაიბურტყუნა მანდანგუსმა, – მეც სირიუსს ვუერთდები...

ჭუჭყიანი ხელი მაღლა ასწია, თითქოს ამ ჟესტით მის მხარდაჭერას ადასტურებდა. ნაღვლიანი, ჩასისხლიანებული თვალებით სადღაც შორს იყურებოდა.

ჯინიმ ჩაიხითხითა.

– კრება დამთავრდა, დანგ, – აცნობა სირიუსმა, სანამ დანარჩენები სუფრასთან სხდებოდნენ, – ჰარიც უკვე აქ არის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰა? – მანდანგუსი თვალებზე ჩამოშლილი წითური თმის საფარიდან დაბღვერილი მიაშტერდა ჰარის, – ეშმაკმა დალახვროს! სწორედ ის არის. ჰა, როგორა ხარ, ჰარი?

– არა მიშავს რა, – უპასუხა ჰარიმ.

მანდანგუსს ჰარისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე მოიქექა ჯიბეები, შავი შებოლილი ჩიბუხი ამოიღო, პირში გაირჭო, ჯადოსნური ჯოხის ბოლოთი მოუკიდა და ნეტარებით შეისუნთქა. სულ რაღაც რამდენიმე წამში მანდანგუსი სქელ მომწვანო კვამლში გაეხვია.

– ბოდიში მომირთმევია! – დაიძახა ხრინწიანმა ხმამ აქოთებული ღრუბლიდან.

– უკანასკნელად გაფრთხილებ, მანდანგუს, – დაჰკივლა ქალბატონმა უისლიმ, – ძალიან გთხოვ, ნუ ეწევი ამას სამზარეულოში, მით უფრო მაშინ, როცა ვახშმობას ვაპირებთ!

– ჰო, კარგი, მაპატიე, მოლი, – მანდანგუსმა ჩიბუხი ისევ ჯიბეში შეინახა. კვამლის ღრუბელი გაქრა, მაგრამ ჰაერში ისევ დარჩა საზიზღარი სუნი – თითქოს ჭუჭყიანი წინდები დაწვესო.

– და თუ შუაღამემდე გინდათ, მოასწროთ ვახშმობა, დამეხმარეთ, – მიმართა ქალბატონმა უისლიმ შეკრებილებს, – არა, შენ იჯექი, ჰარი, ნამგზავრი ხარ, დაისვენე.

– რა უნდა გავაკეთოთ, მოლი? – ხალისით წამოხტა ტონქსი.

ქალბატონმა უისლიმ შეშფოთებულმა შეხედა.

– ეე... არა, ტონქს, გმადლობ, არ არის საჭირო, შენც საკმარისად დაიღალე დღეს, დაისვენე.

– არა, არა! ძალიან მინდა, დაგეხმარო! – სიხარულით გამოიდო თავი ტონქსმა, სანამ სამზარეულოს კარადასთან მიირბენდა, საიდანაც ჯინი უკვე იღებდა ჭურჭელს.

სულ მალე რამდენიმე დიდი დანა, ბატონი უისლის მეთვალყურეობით, თავისით, დაუხმარებლად ჭრიდა ხორცსა და ბოსტნეულს. ქალბატონი უისლი ჭერზე ჩამოკიდებულ ქვაბს ურევდა, დანარჩენები სუფრას აწყობდნენ: მაგიდაზე ალაგებდნენ თეფშებს, ფიალებს, სხვადასხვა საჭმელს. ჰარი, სირიუსი და მანდანგუსი მაგიდასთან დარჩნენ. მანდანგუსი ისევ ისე სევდიანად შესცქეროდა ჰარის.

– იმ ამბების შემდეგ აღარ გინახავს ბებერი ფიგი? – ჰკითხა მანდანგუსმა.

– არა, – უპასუხა ჰარიმ, – საერთოდ არავინ მინახავს.

– იცი, რა, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ დაგტოვებდი, მაგრამ ძალიან სარფიანი გარიგება იყო, – უთხრა შესაბრალისი ხმით.

ჰარიმ იგრძნო, როგორ შეეხო ფეხზე რაღაც და შეკრთა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ბო იყო, ჰერმიონის წითურა, დაბრეცილთ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ათებიანი კატა. ბო კრუტუნით გაეხახუნა ფეხზე, მერე შეხტა და სირიუსის მუხლებზე მოიკალათა. სირიუსმა ყურის ძირი მოჰფხანა და მოღუშული შებრუნდა ჰარისკენ:

– ზაფხული როგორ გაატარე?

– საზიზღრად, – უპასუხა ჰარიმ.

სირიუსის სახეზე პირველად გადაირბინა ღიმილისმაგვარმა რაღაცამ.

– შენს ადგილას, არ ვიწუწუნებდი.

– ვითომ, რატომ? – გაუკვირდა ჰარის.

– მე, პირადად, მხოლოდ გამახარებდა დემენტორების თავდასხმა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხელად გამიფანტავდა მოწყენილობას. სული გაიხარებდა. შენ გგონია, რომ ძალიან ცუდ დღეში იყავი, მაგრამ ხომ არავის დაუბიხარ, შეგეძლო, გაგესეირნა, მუხლი გაგეშალა, გეჩხუბა... აი, მე კი მთელი თვე გამოკეტილი ვარ.

– რატომ? – წარბი შეიკრა ჰარიმ.

– იმიტომ, რომ მაგიის სამინისტრო ისევ მეძებს, ვოლდემორმა კი, ალბათ, უკვე შეიტყო გრძელკუდასაგან, რომ ანიმაგუსი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემმა გადაქცევა-გადმოქცევამ აზრი დაკარგა. ახლა ძალიან ცოტა თუ შემიძლია გავაკეთო ფენიქსის ორდენისთვის... ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს დამბლდორი.

იმ გულგრილი ტონით, როგორითაც სირიუსმა წარმოთქვა ეს სახელი, ჰარი მიხვდა, რომ არც ის იყო ჰოგვორტსის სკოლის დირექტორით კმაყოფილი და ნათლიის მიმართ გული სითბოთი აევსო.

– მაგრამ შენ ის მაინც იცი, რა ხდება, – გაამხნევა ჰარიმ სირიუსი.

– ჰო, ეს ასეა, – ირონიულად თქვა სირიუსმა, – მოთმინებით ვისმენ სნეიპის ანგარიშს, გზადაგზა იძულებული ვარ, გადავყლაპო მისი გადაკრულად ნათქვამი, რომ ის, თურმე, ნუ იტყვით, სიცოცხლეს რისკავს, მე კი აქ მყუდროდ ვარ მოკალათებული... თან იმასაც მეკითხება, როგორ მიდის დასუფთავების საქმე.

– რა დასუფთავების საქმე? – ვერ მიუხვდა ჰარი.

– ვცდილობთ, ეს სახლი ადამიანის საცხოვრებელს დავამსგავსოთ, – სირიუსმა ჯადოსნური ჯოხი ულიმღამო სამზარეულოს მოატარა, – უკვე ათი წელიწადია, ჩემი ძვირფასი დედიკო გარდაიცვალა და ამ სახლში, თუ შინაურ ბებერ ელფს არ ჩავთვლით, არავის უცხოვრია. ის კი ამ ბოლო დროს მთლად შეიშალა და კარგა ხანია, აღარაფერს აკეთებს.

– სირიუს, სუფთა ვერცხლია, არა, მეგობარო? – ჰკითხა სირიუსს მანდანგუსმა ცარიელი ფიალის თვალიერებით. აშკარად ეტყობოდა, რომ მათ საუბარს არ უსმენდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, – უპასუხა სირიუსმა და გულგრილად შეხედა ფიალას, – მეთხუთმეტე საუკუნისაა. მშვენიერი ნივთია ბლექების საგვარეულო დამღით. გობლინური ნამუშევარია.

– ახალივით იქნება, – ჩაიბუტბუტა მანდანგუსმა, თან სახელოთი აპრიალებდა ფიალას.

– ფრედ, ჯორჯ... ნუთუ ხელით არ შეგეძლოთ? – იყვირა ქალბატონმა უისლიმ.

ჰარი, სირიუსი და მანდანგუსი ამ ყვირილზე შებრუნდნენ და იმავე წამს მაგიდის ქვეშ დურთეს თავი. როგორც ჩანს, ფრედმა და ჯორჯმა მოთუშული ხორცით სავსე დიდ ქვაბს, ბურბურახით სავსე რკინის მათარას, პურის საჭრელ ფიცარსა და მასზე მოთავსებულ დანას უბრძანეს, თავისით დალაგებულიყვნენ მაგიდაზე. გამურული ქვაბი მაგიდაზე გასრიალდა, ზედაპირზე გრძელი შავი ზოლი დატოვა და მკვეთრად დაამუხრუჭა კიდესთან. მათარა ზრიალით დავარდა ძირს და ბურბურახი იატაკზე დაიღვარა. დანა დაფიდან ჩამოცურდა და ავი ძაგძაგით ჩაერჭო ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ორიოდე წამის წინ სირიუსის მარჯვენა ხელი იდო.

– ღვთის გულისთვის, – ხელები აღაპყრო ქალბატონმა უისლიმ, – რა საჭირო იყო ამის გაკეთება?.. არა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! რაკი ჯადოქრობის ნება გაქვთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯოხი უთავბოლოდ უნდა იქნიოთ აქეთ-იქით!

– ჩვენ მხოლოდ დროის მოგება გვინდოდა! – განმარტა ფრედმა, დანას ეცა და ძლივს ამოაძრო მაგიდიდან, – გვაპატიე, სირიუს... არ გვინდოდა...

ჰარი და სირიუსი გულიანად ხარხარებდნენ, სკამიანად უკან გადავარდნილი მანდანგუსი ლანძღვა-გინებით დგებოდა ფეხზე, ხმაურზე სამზარეულოს კარადის ქვეშ შემძვრალი ბო სიბნელიდან დიდი ყვითელი თვალებით იჭყიტებოდა.

– ბიჭებო, დედათქვენი მართალია, თქვენ ახლა სრულწლოვანები ხართ და შესაბამისადაც უნდა მოიქცეთ! – დატუქსა ბატონმა უისლიმ შვილები და ქვაბი მაგიდის შუაში დააბრუნა.

– არც ერთ თქვენს ძმას მსგავსი არაფერი ჩაუდენია! – ბობოქრობდა ქალბატონი უისლი. ბურბურახით სავსე ახალი მათარა მაგიდაზე დაახეთქა და თითქმის სულ დაღვარა, – ბილი ყოველ ფეხის გადადგმაზე აპარაციის აუცილებლობას ვერ ხედავდა! არც ჩარლი ცდილობდა ყველაფრის შელოცვას, რაც კი ხელში მოხვდებოდა! პერსი...

ქალბატონი უისლი მოულოდნელად გაჩუმდა და სუნთქვაშეკრულმა და, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა გახედა ქმარს. ბატონ უისლის სახე გაჰქვავებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოდი, ვივახშმოთ, – თქვა ბილმა.

– საოცრად მადის აღმძვრელად გამოიყურება, – ლუპინმა მოთუშული ხორცის ნაჭერი თეფშზე დადო და მაგიდის მეორე მხარეს მოლის გადააწოდა.

ერთხანს მხოლოდ დანებისა და ჩანგლების წკრიალი და სკამების ჭრიალი ისმოდა. მერე ქალბატონი უისლი სირიუსს მიუბრუნდა:

– აი, რის თქმას ვაპირებდი შენთვის, სირიუს. სასტუმრო ოთახში, საწერ მაგიდაში, რაღაც შეძვრა, ერთთავად წრიალებს და ქანაობს. ეს, რა თქმა უნდა, ბოგარტი შეიძლება, იყოს, მაგრამ, ალბათ, ალასტორს მაინც უნდა ვთხოვოთ, ნახოს, სანამ გამოვუშვებთ.

– როგორც ინებებთ, – გულგრილად თქვა სირიუსმა.

– ფარდები დოკსებითაა სავსე, – განაგრძო ქალბატონმა უისლიმ, – იქნებ ხვალ ამასაც მივხედოთ.

– პირდაპირ ხელები მექავება, – თქვა სირიუსმა. ჰარიმ მის ხმაში მწარე ირონია იგრძნო, მაგრამ არ იცოდა, სხვებმაც შეამჩნიეს თუ არა.

ჰარის პირდაპირ მჯდომი ტონქსი ჰერმიონსა და ჯინის ართობდა – მთელი საღამო თავის ცხვირს სხვადასხვა ფორმას აძლევდა. თვალებს მოჭუტავდა, სახეს დაძაბავდა და ხან ბასრ ნისკარტს გაიზრდიდა, რომელიც სნეიპის ცხვირს აგონებდათ, ხან ერთი ბეწო სოკოსავით დააპატარავებდა; ხანაც ორივე ნესტოდან თმის ბღუჯას წამოზრდიდა. როცა ჰერმიონმა და ჯინიმ თავიანთი საყვარელი ცხვირებიც შეუკვეთეს, ჰარი მიხვდა, რომ ეს აქ ჩვეულებრივი გასართობი იყო.

– ტონქს, შეიძლება ღორის დინგი?

ტონქსმა დინგი გაიკეთა და ჰარის მოეჩვენა, რომ მაგიდის მეორე მხრიდან ქალად გადაქცეული დადლი უღიმოდა.

ბატონი უისლი, ბილი და ლუპინი ცხარედ კამათობდნენ გობლინების პრობლემაზე.

– ისინი ჯერჯერობით ჩრდილში არიან, – თქვა ბილმა, – დღემდე ვერ გამიგია, სჯერათ თუ არა, რომ აღდგა. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ნეიტრალური პოზიციაც დაიკავონ, მოკლედ, განზე გადგნენ.

– დარწმუნებული ვარ, არასოდეს მიემხრობიან ჩვენ-რომ-ვიცით, იმას, – თავი გადააქნია ბატონმა უისლიმ, – მათაც ხომ იწვნიეს: არ გახსოვთ, ნოტინგემის ახლოს გობლინების მთელი ოჯახი რომ ამოწყვიტეს!

– ჩემი აზრით, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რას შესთავაზებენ, – თქვა ლუპინმა, – მე ოქროს არ ვგულისხმობ. თუ ის თავნებობის უფლებას დაჰპირდა, რასაც ჩვენ ასწლეულობით ვუკრძალა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდით, შეიძლება, ამ ანკესს წამოეგონ. ესე იგი, რაგნოკთან დღემდე არაფერი გამოგივიდა, ბილ?

– ის ახლა ჯადოქრებს მაინცდამაინც არ სწყალობს, – უპასუხა ბილმა, – ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია ბეგმანის ამბავი. მიაჩნია, რომ სამინისტრომ მას ხელი დააფარა: გობლინებმა ხომ ვერაფრით დაიბრუნეს თავიანთი ოქრო...

მაგიდის შუაგულში მსხდომების ხმამაღალმა მხიარულებამ ბილის ბოლო სიტყვები ჩაახშო. ფრედი, ჯორჯი, რონი და მანდანგუსი ისე ხარხარებდნენ, კინაღამ სკამებიდან გადმოცვივდნენ.

– მერე კი, – სიცილისგან აცრემლებული მანდანგუსი ძლივსღა სუნთქავდა, – მერე, პატიოსან ჯადოქრობას გეფიცებით, მეუბნება: „ძვირფასო დანგ, სად იშოვე ეს გომბეშოები. იცი, რა, ვიღაც უნამუსო ქურდბაცაცამ ყველა ერთბაშად ამწაპნა“. მე კი ვეუბნები: „ყველა გომბეშო აგწაპნა? რა საშინელებაა, უილ. ასე რომ, შენ ახლები გჭირდება“. და ეს უტვინო გარგოილი – ეშმაკმა წამიღოს, თუ ვიტყუებოდე – თავის ყველა გომბეშოს ხელმეორედ ყიდულობს, თანაც, გაცილებით ძვირად...

– მანდანგუს, არა მგონია, ძალიან გვჭირდებოდეს შენი კომერციული თავგადასავლების მოსმენა, დიდი მადლობა, – მიახალა ქალბატონმა უისლიმ. სიცილისგან დაოსებული რონი უღონოდ დაემხო მაგიდაზე.

– დიდი ბოდიში, მოლი, – ცრემლი მოიწმინდა მანდანგუსმა და ჰარის თვალი ჩაუკრა, – მაგრამ თუ სიმართლე გინდათ, უილი თავის დროზე მეჭეჭებიან ჰარისს იმდენი ევაჭრა, რომ თითქმის მუქთად დასცინცლა. ასე რომ, მაინცდამაინც ცუდად არ მოვქცეულვარ.

– არ ვიცი, მანდანგუს, სად გასწავლიდნენ, რა არის კარგი და რა – ცუდი, მაგრამ ვშიშობ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი გამოტოვე, – ცივად შენიშნა ქალბატონმა უისლიმ.

ახარხარებულმა ფრედმა და ჯორჯმა ბურბურახის თასებში ჩარგეს ცხვირი. ჯორჯს სლოკინი აუტყდა. ქალბატონი უისლი რევანდის პუდინგის მოსატანად წამოდგა და რატომღაც სირიუსს ალმაცერად გახედა. ჰარი ნათლიას მიუბრუნდა.

– მოლი დასანახავად ვერ იტანს მანდანგუსს, – ხმადაბლა თქვა სირიუსმა.

– როგორ მოხვდა ორდენში? – ძალიან ჩუმად იკითხა ჰარიმ.

– საჭირო კაცია, – წასჩურჩულა სირიუსმა, – ყველა თაღლითსა და გაიძვერას იცნობს. არც არის გასაკვირი, რომ თვითონაც თაღლითია. ერთხელ დიდ უბედურებას გადაარჩინა დამბლდორმა და მას შემდეგ ძალიან ერთგულია მისი. კარგია, როცა შენს მხარეს ასეთი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცი გეგულება. მას ესმის ის, რასაც ჩვენ ვერ ვიგებთ. მაგრამ მოლის მიაჩნია, რომ სუფრასთან მისი დასმა მეტისმეტია. მოლიმ ვერ აპატია მორიგეობის თვითნებურად მიტოვება, როცა შენ გიცავდა.

კრემიანი რევანდის პუდინგის სამი ულუფის შემდეგ ჰარიმ იგრძნო, როგორ მოუჭირა ჯინსმა (არადა, ეს ჯინსი ადრე დადლის ეკუთვნოდა!). კოვზი რომ დადო, სუფრასთან საუბარი უკვე მოთავებული იყო: ბატონი უისლი მაძღარი და მოთენთილი მიესვენა სავარძლის ზურგს. ტონქსმა ცხვირს ჩვეული ფორმა დაუბრუნა და ახლა ტკბილად ამთქნარებდა. ჯინიმ სამზარეულოს კარადის ქვეშიდან ბო გამოიტყუა, იატაკზე ფეხმორთხმული დაჯდა და ბურბურახის საცობებს აგორებდა. კატა თავდავიწყებით დასდევდა საცობებს.

– ვფიქრობ, ძილის დროა, – მთქნარებით თქვა ქალბატონმა უისლიმ.

– ჯერ არა, მოლი, ცოტა მოიცადე, – სირიუსმა ცარიელი თეფში გასწია და ჰარისკენ შებრუნდა: – შენი გამკვირვებია! მეგონა, აქ მოხვიდოდი თუ არა, კითხვებს დამაყრიდი ვოლდემორის შესახებ.

ატმოსფერო ოთახში ისევე სწრაფად შეიცვალა, როგორც დემენტორების გამოჩენისას. თუ წამის წინ სამზარეულოში მთვლემარე მოთენთილობა იყო გამეფებული, ახლა ყველა გამოფხიზლდა და დაიძაბა. ვოლდემორის სახელის ხსენებაზე მაგიდის გარშემო ჰაერი ათრთოლდა. ლუპინმა ღვინის დასალევად აღებული თასი ისევ მაგიდაზე დადგა.

– რა, ასე არ მოვიქეცი? – ხმას აუწია ჰარიმ, – რონსა და ჰერმიონს ვკითხე, მაგრამ მითხრეს, ორდენის წევრები არ ვართო და...

– სრული სიმართლე უთქვამთ, – შენიშნა ქალბატონმა უისლიმ, – შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ.

ქალბატონი უისლი სავარძელში გასწორდა და სახელურებზე დაწყობილი ხელები მომუშტა. სახეზე მოთენთილობის კვალიც აღარ ემჩნეოდა.

– ეს როდის აქეთ არის ასე, რომ კითხვების დასასმელად ფენიქსის ორდენის წევრობაა საჭირო? – იკითხა სირიუსმა, – ჰარი მთელ თვეს მაგლების სახლში იყო გამომწყვდეული, უფლება აქვს, იცოდეს, რა ხდე...

– მოიცა! – ხმამაღლა შეაწყვეტინა ჯორჯმა.

– მაინცდამაინც ჰარიმ რატომ უნდა გაიგოს ყველაფერი? – გაბრაზდა ფრედი.

– ჩვენც მთელი თვეა, ვცდილობთ რაღაც-რაღაცეების გაგებას, მაგრამ სიმართლის ნატამალიც არ გვაღირსეთ! – დაიყვირა ჯორჯმა.

– თქვენ ძალიან ახალგაზრდები ხართ და არც თქვენ ხართ ორდე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნის წევრები, – გამოაჯავრა დედას ფრედმა, – აი, ჰარი კი სხვა საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ სრულწლოვანიც კი არ არის!

– ჩემი ბრალი სულაც არ არის, რომ ორდენის საქმეებზე არავინ არაფერი გითხრათ, – მშვიდად მიუგო სირიუსმა, – თქვენმა მშობლებმა გადაწყვიტეს ასე. რაც შეეხება ჰარის...

– შენ უფლება არ გაქვს, თვითნებურად გადაწყვიტო, რა სჭირდება ჰარის და რა – არა! – მკვახედ შეაწყვეტინა ქალბატონმა უისლიმ, მუდამ კეთილი სახე უცებ მრისხანე გაუხდა, – იმედია, დამბლდორის სიტყვები ჯერ არ დაგვიწყებია.

– მაინც რომელი სიტყვები? – თავაზიანად იკითხა სირიუსმა, თუმცა, ხმაზე ეტყობოდა, ორთაბრძოლისთვის მზად იყო.

– რომელი და ის, რომ ჰარიმ არ უნდა იცოდეს იმაზე მეტი, რაც საჭიროა, რომ იცოდეს, – ქალბატონმა უისლიმ განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვა ბოლო სამი სიტყვა.

რონი, ჰერმიონი, ფრედი და ჯორჯი თითქოს ჩოგბურთის თამაშს უყურებენო, ხან სირიუსისკენ მიაბრუნებდნენ თავს, ხან – ქალბატონი უისლისკენ. მუხლებზე დამდგარ ჯინის ირგვლივ გაფანტული საცობები დავიწყებოდა და საუბარს პირდაღებული უსმენდა. ლუპინი თვალს არ აშორებდა სირიუსს.

– არც ვაპირებ, იმაზე მეტი ვუამბო, რამდენიც საჭიროა, რომ იცოდეს, – იუარა სირიუსმა, – მაგრამ, რადგანაც სწორედ ის იყო ვოლდემორის დაბრუნების მოწმე (ყველანი ისევ შეკრთნენ), მას მეტი უფლება აქვს, ვიდრე ბევრ სხვას...

– ჰარი ფენიქსის ორდენის წევრი არ არის! – განაცხადა ქალბატონმა უისლიმ, – მხოლოდ თხუთმეტი წლისაა და...

– და იმდენივე განსაცდელი გადაიტანა, რამდენიც ორდენის წევრთა უმრავლესობამ, – შეეპასუხა სირიუსი, – ზოგიერთი კი უკანაც ჩამოიტოვა.

– მე არ ვაპირებ მისი დამსახურების დაკნინებას! – იყვირა ქალბატონმა უისლიმ და სავარძლის სახელურებზე დაწყობილი მუშტები აუძაგძაგდა, – მაგრამ ის ჯერ კიდევ...

– აღარ არის ბავშვი! – გაღიზიანდა სირიუსი.

– მაგრამ არც დიდია! – ქალბატონ უისლის ლოყებზე ალმური მოედო, – შენ ჰარი ჯეიმსი ხომ არ გგონია, სირიუს?!

– გმადლობთ, მოლი, მაგრამ მე საკმაოდ კარგად ვიცი, ვინც არის, – ცივად უპასუხა სირიუსმა.

– მაინცდამაინც დარწმუნებული არა ვარ! – შეედავა ქალბატონი უისლი, – ზოგჯერ ისე ლაპარაკობ მასზე, თითქოს შენი საუკეთესო მეგობარი გაგიცოცხლდა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მერე, რა არის ამაში ცუდი? – ჩაერია ჰარი.

– ის, ჰარი, რომ შენ მამაშენი არა ხარ, როგორადაც უნდა ჰგავდე, – უპასუხა ქალბატონმა უისლიმ, თვალებით კი ისევ სირიუსს ბურღავდა, – შენ ჯერ კიდევ სწავლობ და უფროსებს, რომლებიც პასუხს აგებენ შენზე, ეს არ უნდა დაავიწყდეთ!

– შენ გინდა თქვა, რომ მე უპასუხისმგებლო ნათლია ვარ?

– ხმას აუწია სირიუსმა.

– მე მხოლოდ ის მინდა, ვთქვა, სირიუს, რომ შენ წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმა გახასიათებს. ამიტომაც ითხოვს დამბლდორი, რომ შინიდან არ გახვიდე...

– იცი, რას გეტყვი, მოდი, დამბლდორის მითითებები განზე გადავდოთ! – ხმამაღლა შეაწყვეტინა სირიუსმა.

– არტურ! – ეცა ქალბატონი უისლი ქმარს, – არტურ, რას გაჩუმებულხარ, მხარი დამიჭირე!

ბატონ უისლის მაშინვე არ უპასუხია, სათვალე მოიხსნა, ნელა გაწმინდა მანტიით, ფრთხილადვე გაიკეთა და მერეღა ამოიღო ხმა:

– მოლი, დამბლდორს ესმის, რომ ვითარება შეიცვალა. ის თანახმაა, რომ ახლა, როცა ჰარი შტაბ-ბინაშია, მეტ-ნაკლებად საქმის კურსში ჩავაყენოთ.

– ჰო, მაგრამ ერთია „მეტ-ნაკლებად“, მეორე კი – თავიდან ბოლომდე ყველაფრის მოყოლა!

– რაც შემეხება მე, – ჩუმად დაიწყო ლუპინმა. როგორც იქნა, მზერა მოარიდა სირიუსს და მისკენ სწრაფად შებრუნებულ ქალბატონ უისლის შეხედა. ქალბატონ უისლის ეგონა, მოკავშირე გამომიჩნდაო, – მიმაჩნია, რომ ჯობს, ჰარიმ ჩვენგან იცოდეს ფაქტები, – რა თქმა უნდა, ყველა არა, მოლი, მხოლოდ საერთო სურათი, – ვიდრე დამახინჯებული სახით გაიგოს სხვისგან.

ლუპინი ძალიან მშვიდი და აუღელვებელი ჩანდა, მაგრამ ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა: ლუპინმა დანამდვილებით იცოდა, რომ რამდენიმე ყურის დამაგრძელებელი მაინც გადაურჩა ქალბატონი უისლის მიერ მოწყობილ წმენდას.

– ესეც ასე, – თქვა ქალბატონმა უისლიმ, მძიმედ სუნთქავდა და ჯერ კიდევ უშედეგოდ ცდილობდა მხარდამჭერების პოვნას, – რას იზამ... ვხედავ, რომ უმცირესობაში ვარ, ოღონდ აი, რა მინდა, გითხრათ: დამბლდორს უეჭველად ექნებოდა საიმისო მიზეზი, რომ ჰარის მეტისმეტად ბევრი არ სცოდნოდა. როგორც ადამიანს, რომელსაც ჰარის ინტერესები გულთან ახლოს მიმაქვს...

– ის შენი შვილი არ არის, – ჩუმად თქვა სირიუსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შვილივით არის, – გაცეცხლდა ქალბატონი უისლი, – სხვა ვინ ჰყავს?

– მე ვყავარ!

– ჰო, ეგ მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ შენ ძალიან გიჭირდა მასზე ზრუნვა, სანამ აზკაბანში იყავი გამომწყვდეული, – შეახსენა ქალბატონმა უისლიმ.

სირიუსი სკამიდან წამოიწია.

– მოლი, აქ შენ ერთადერთი არა ხარ, ვინც ჰარიზე ზრუნავს, – მკვახედ მიახალა ლუპინმა, – დაჯექი, სირიუს!

ქალბატონ უისლის ქვედა ტუჩი აუკანკალდა. გაფითრებული სირიუსი ნელა დაჯდა სკამზე.

– ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მოვისმინოთ, რას იტყვის თვითონ ჰარი, – განაგრძო ლუპინმა, – ის უკვე საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ თავისი ბედი თვითონვე გადაწყვიტოს.

– ამიხსნით თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება?! – უცებ წამოისროლა ჰარიმ.

ქალბატონი უისლისთვის არ შეუხედავს. მართალია, მალამოსავით მოეცხო მისი სიტყვები, რომ შვილივით უყვარდა, მაგრამ მისმა მეტისმეტმა მეურვეობამ, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა. სირიუსი მართალია: ის ბავშვი აღარ არის.

– ძალიან კარგი, – ხმა გაებზარა ქალბატონ უისლის, – ჯინი... რონ... ჰერმიონ... ფრედ... ჯორჯ! ახლავე გადით სამზარეულოდან.

ყველამ ერთდროულად იფეთქა:

– ჩვენ სრულწლოვანები ვართ, – დაიღრიალეს ფრედმა და ჯორჯმა.

– ჰარისთვის შეიძლება, ჩემთვის კი არა? – იყვირა რონმა.

– დედა, მეც მინდა, მოვისმინო, – აწკმუტუნდა ჯინი.

– არა! – იკივლა ქალბატონმა უისლიმ და თვალების ბრიალით წამოდგა ფეხზე, – კატეგორიულად გიკრძალავთ...

– მოლი, შენ არა გაქვს უფლება, აუკრძალო ფრედსა და ჯორჯს, – მოქანცული ხმით თქვა ბატონმა უისლიმ, – ისინი სრულწლოვანები არიან.

– ისინი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობენ.

– მაგრამ, იურიდიული თვალსაზრისით, უკვე მოზრდილები არიან, – თქვა ბატონმა უისლიმ ისეთივე დაღლილი ხმით.

ქალბატონი უისლი ახლა უკვე ალისფრად ავარვარდა.

– მე... კარგი, რა გაეწყობა, ფრედსა და ჯორჯს შეუძლიათ, დარჩნენ, მაგრამ რონი...

– ჰარი ისედაც მოგვიყვება ყველაფერს მე და ჰერმიონს! – გამომ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წვევად თქვა რონმა, – ხომ მოგვიყვები? – დაეჭვებით შეხედა თვალებში ჰარის.

ჰარის სულ ერთი წამით გაუელვა ფიქრმა, რონისთვის ეთქვა, რომ კრინტსაც არ დაძრავდა – ერთი იგრძნოს, როგორია გამოყრუებული ჯდომაო, მაგრამ საკმარისი იყო, ერთმანეთისთვის შეეხედათ, რომ ბოროტი ზრახვები მაშინვე აორთქლებულიყო.

– რა თქმა უნდა, მოგიყვებით, – შეჰპირდა ჰარი. რონსა და ჰერმიონს თვალები გაუბრწყინდათ.

– შესანიშნავია! – შესძახა ქალბატონმა უისლიმ, – შესანიშნავი! ჯინი, ახლავე ლოგინში!

ჯინი წავიდა, მაგრამ არც ისე უხმაუროდ. სანამ კიბეზე ადიოდა, მისი გაავებული წუწუნი ისმოდა, ხოლო როცა დერეფანს გაუყვა, მის წუწუნს ქალბატონი ბლექის სულის შემძვრელი ჭყივილი დაემატა. ლუპინი მოხუცის დასამშვიდებლად გაეშურა. სირიუსმა მაშინღა ამოიღო ხმა, როცა ლუპინი დაბრუნდა, სამზარეულოს კარი მიხურა და თავის ადგილზე დაჯდა:

– მაშ ასე, ჰარი, რა გინდა, რომ გაიგო?

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა და ის კითხვა დასვა, მთელ უკანასკნელ თვეს რომ აწუხებდა.

– სად არის ვოლდემორი? – ისე იკითხა, რომ ყურადღება არ მიუქცევია, როგორ იმოქმედა ამ სახელის გაგონებამ დანარჩენებზე, – რას აკეთებს? ვცდილობდი, მომესმინა მაგლების უკანასკნელი ცნობები, მაგრამ იქ სრული სიწყნარეა – არაფერი საეჭვო და არავითარი უცნაური მკვლელობები.

– უცნაური მკვლელობები ჯერჯერობით არც მომხდარა, – თქვა სირიუსმა, – როგორც ჩვენთვისაა ცნობილი... ცოდნით კი საკმაოდ ბევრი ვიცით.

– ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, ვიდრე მას ჰგონია, – ჩაურთო ლუპინმა.

– ვითომ რატომ შეწყვიტა ხალხის ხოცვა? – იკითხა ჰარიმ. მშვენივრად იცოდა, რომ ბოლო ერთ წელიწადში ვოლდემორმა უამრავი მკვლელობა ჩაიდინა.

– ცდილობს, ყურადღება არ მიიქციოს, – აუხსნა სირიუსმა, – ეს მისთვის სახიფათო იქნებოდა; საქმე ის არის, რომ მისმა დაბრუნებამ ისე არ ჩაიარა, როგორც მას სურდა. გეგმები ჩაეფუშა.

– უფრო სწორად, შენ ჩაუფუშე, – კმაყოფილებით ჩაიცინა ლუპინმა.

– ეგ როგორ? – ვერ მიხვდა ჰარი.

– შენ არ უნდა გადარჩენილიყავი! – აუხსნა სირიუსმა, – არავის,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი „სიკვდილის მხვრელების“ გარდა, არ უნდა სცოდნოდა, რომ ის კვლავ ძლიერია. მაგრამ შენ ყველაფერი ნახე და თან გადარჩი კიდეც.

– და ყველაზე ნაკლებად ის უნდოდა, რომ მისი დაბრუნების ამბავი დამბლდორს სცოდნოდა, – დაამატა ლუპინმა, – მაგრამ, შენი წყალობით, დამბლდორმა მაშინვე შეიტყო ყველაფერი.

– მერე, რაში გამოგვადგა? – იკითხა ჰარიმ.

– შენ რა, ხუმრობ? – ჩაერთო საუბარში ბილი, – დამბლდორი ერთადერთია, ვისაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის ყოველთვის უფრთხოდა!

– შენი წყალობით, დამბლდორმა ხელახლა შეკრიბა ფენიქსის ორდენი ვოლდემორის დაბრუნებიდან სულ რაღაც ერთ საათში, – თქვა სირიუსმა.

– მაინც რას აკეთებს ეს ორდენი? – იკითხა ჰარიმ და ყველა სათითაოდ შეათვალიერა.

– ყველანაირად ცდილობს ვოლდემორის გეგმების ჩაშლას, – უპასუხა სირიუსმა.

– საიდან იცით, რა გეგმები აქვს? – სწრაფად იკითხა ჰარიმ.

– დამბლდორი რაღაც-რაღაცეებს ეჭვობს, – თქვა ლუპინმა, – დამბლდორის ეჭვები კი, ჩვეულებრივ, ძალიან ახლოა ჭეშმარიტებასთან.

– და მაინც, რას ფიქრობს დამბლდორი მის გეგმებზე?

– პირველ ყოვლისა, ვოლდემორს სურს, აღადგინოს საკუთარი არმია, – თქვა სირიუსმა, – უწინ საკმაოდ ბევრნი ემორჩილებოდნენ: ჯადოქრები, რომლებიც მან დააშინა ან მოაჯადოვა; ერთგული „სიკვდილის მხვრელები“; ათასი ჯურის ბნელი არსება... შენ იცი, რომ გოლიათების გადმობირებასაც აპირებდა, თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ჯგუფი, რომელიც მიზანში ჰყავდა ამოღებული. რა თქმა უნდა, ის არ შეეცდება, შტურმით აიღოს მაგიის სამინისტრო ათიოდე „სიკვდილის მხვრელის“ მეშვეობით.

– თქვენ კი ხელს უშლით ახალი მომხრეების გადაბირებაში?

– ჰო, როგორც შეგვიძლია, – უპასუხა ლუპინმა.

– კი მაგრამ, როგორ?

– მთავარია, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი დავარწმუნოთ, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის ნამდვილად აღდგა. ვაიძულოთ ისინი, ფხიზლად იყვნენ, – აუხსნა ბილმა, – მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არც ისე იოლია.

– რატომ?

– სამინისტროს პოზიციის გამო, – თქვა ტონქსმა, – ჰარი, შენ ხომ ნახე კორნელიუს ფაჯი ჩვენ-რომ-ვიცით, იმის დაბრუნების შემდეგ. ჰოდა, იმ დღიდან მოყოლებული აზრი არ შეუცვლია: არაფრით უნდა, დაიჯეროს, რომ ის ნამდვილად დაბრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ, რატომ? – სასოწარკვეთილმა იკითხა ჰარიმ, – რატომ არის ასეთი იდიოტი? თუ დამბლდორი...

– აი, მოარტყი კიდეც მიზანში, – მწარედ ჩაიცინა ბატონმა უისლიმ, – მთავარი პრობლემა სწორედ დამბლდორია!

– ფაჯს მისი ეშინია, – ნაღვლიანად თქვა ტონქსმა.

– ვისი, დამბლდორისა? – არ დაიჯერა ჰარიმ.

– მისი შესაძლებლობები აშინებს, – ბატონმა უისლიმ სცადა, აეხსნა, – ფაჯი ფიქრობს, რომ დამბლდორს მაგიის მინისტრობა სურს და ამიტომ მისი ჩამოგდება უნდა.

– მაგრამ დამბლდორს მსგავსი არაფერი...

– რასაკვირველია, არ უნდა, – დაეთანხმა ბატონი უისლი, – ის არასოდეს მიისწრაფოდა მინისტრის პოსტისკენ, მიუხედავად იმისა, რომ მილისენტ ბაგნოლდის წასვლის შემდეგ ძალიან ბევრს სწორედ მისი მინისტრობა გაუხარდებოდა. მართვის სადავეები მაშინ ფაჯს ხვდა წილად, მაგრამ მას არ დავიწყებია, როგორი პოპულარული იყო დამბლდორის გამინისტრების იდეა, მიუხედავად იმისა, რომ დამბლდორს ძალაუფლების მოპოვების პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამს.

– სულის სიღრმეში ფაჯმა იცის, რომ დამბლდორი მასზე გაცილებით ჭკვიანია, უფრო ძლიერი ჯადოქარია და მინისტრობის პირველ წლებში მუდმივად სთხოვდა დამბლდორს დახმარებასა და რჩევას, – თქვა ლუპინმა, – მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, გემო გაუგო ძალაუფლებას და უფრო თავდაჯერებული გახდა. ძალიან მოსწონს მაგიის მინისტრობა და საკუთარი თავიც დაარწმუნა იმაში, რომ ყველაზე ჭკვიანია; რომ დამბლდორი, უბრალოდ, შფოთს თესავს შფოთის გულისთვის.

– რა სისულელეა! – გაბრაზდა ჰარი, – როგორ შეიძლება, ფიქრობდეს, რომ დამბლდორი ტყუის? გამოდის, რომ მეც ტყუილს ვამბობ?

– იმის აღიარება, რომ ვოლდემორი აღდგა, სამინისტროსთვის ახალი თავსატეხის გაჩენას ნიშნავს. არადა, თოთხმეტი წელიწადია, მსგავსს არაფერს გადაჰყრია, – მწარედ თქვა სირიუსმა, – ფაჯს, უბრალოდ, სიმართლისთვის თვალის გასწორება არ შეუძლია. მისთვის უფრო ხელსაყრელი და მომგებიანია, იფიქროს, რომ დამბლდორი ტყუის; რომ დამბლდორს ერთი სული აქვს, როგორმე წყალი შეუყენოს ფაჯს.

– ახლა გესმის, რა ხდება? – ჰკითხა ლუპინმა, – სანამ სამინისტრო ამტკიცებს, რომ ვოლდემორი საშიში არ არის, ძნელია, დაარწმუნო ადამიანები, რომ იგი აღდგა, მით უმეტეს, თუ თვითონაც არ უნდათ ამის დაჯერება. ამასთან, სამინისტრო ზეწოლას ახდენს „დილის მისანზე“ და უკრძალავს დამბლდორის „ნალაყბევის“ ბეჭდვას. ამიტომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიგითმა ჯადოქრებმა არაფერი იციან, რა მოხდა და ეს არცოდნა მათ „სიკვდილის მხვრელების“ იოლ სამიზნეებად აქცევს, როცა ისინი იმპერიუსის წყევლას იყენებენ.

– მაგრამ თქვენ ხომ ეუბნებით ხალხს ყველაფერს? – ჰარიმ რიგრიგობით შეხედა ბატონ უისლის, სირიუსს, ბილს, მანდანგუსს, ლუპინსა და ტონქსს, – ხომ ეუბნებით ხალხს, რომ ის აღდგა?

ყველამ როგორღაც უხალისოდ გაიღიმა.

– იცი, ყველა დარწმუნებულია, რომ უამრავი ხალხი მყავს დახოცილი, ერთი სიტყვით, მკვლელი ვარ, სამინისტრომ კი ჩემი დაჭერისთვის ჯილდოდ ათასი გალეონი დააწესა. ასე რომ, ქუჩაში ვეღარ გავალ და სააგიტაციო ფურცლებს ვეღარ დავარიგებ, – მწარედ ჩაილაპარაკა სირიუსმა.

– არც მე ვარ სასურველი სტუმარი ჯადოქრების სახლებში, – თქვა ლუპინმა, – ბოლოს და ბოლოს, მაქცია ვარ. ჯადოქრებს კი მაქციები დიდად რომ არ უყვართ, ეგ შენც მშვენივრად მოგეხსენება.

– ტონქსი და არტურიც ფრთხილად უნდა იყვნენ, აქეთ-იქით ყბედობა თუ დაიწყეს, თანამდებობებს დაკარგავენ, – განაგრძო სირიუსმა, – ჩვენთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია, სამინისტროში ჩვენი ხალხი გვყავდეს. ვოლდემორს იქ აუცილებლად ეყოლება თავისიანები.

– თუმცა, ზოგიერთები მაინც დავარწმუნეთ, – თქვა უისლიმ, – აი, მაგალითად, ტონქსი. ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და სულ ახლახან გახდა ორდენის წევრი. მაგრამ ის, რომ ჩვენს მხარეს გადმოდიან აურორები – უზარმაზარი წარმატებაა. კინგსლი შეკლბოლტი ფასდაუდებელი ადამიანია. სირიუსზე ნადირობას ჩაუყენეს სათავეში, ბრუსტვერი კი სამინისტროს თავგზას ურევს – უმტკიცებს, რომ სირიუსი ტიბეტშია.

– მაგრამ, თუ არც ერთი თქვენგანი ხმამაღლა არ ამბობს, რომ ვოლდემორი აღდგა... – დაიწყო ჰარიმ.

– ეგ ვინ თქვა! – შეეპასუხა სირიუსი, – როგორ ფიქრობ, რატომ შეხვდა დამბლდორს ასეთი უსიამოვნება?

– მაინც, როგორი?

– ყველანაირად ცდილობენ, სახელი გაუტეხონ, – თქვა ლუპინმა, – არ წაიკითხე წინა კვირის „მისანი?“ იქ ეწერა, რომ ჯადოქრების საერთაშორისო კონფედერაციამ იგი პრეზიდენტობიდან გადააყენა – დაბერდა და ბრჭყალები გაუცვდაო. მაგრამ ეს ტყუილია. მის წინააღმდეგ სამინისტროს ჯადოქრებმა მას შემდეგ მისცეს ხმა, რაც მან ვოლდემორის დაბრუნების შესახებ გააკეთა განცხადება. ის ახლა ჯადოქართა უზენაესი სასამართლოს – ვიზენგამოტის უმაღლესი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მსაჯული აღარ არის და ამბობენ, შეიძლება, მერლინის პირველი ხარისხის ორდენიც ჩამოართვანო.

– მაგრამ დამბლდორი ამბობს, რომ ეს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, მთავარია, ბაყაყების შოკოლადის ქაღალდებზე დატოვონ მისი სურათები, – ჩაიცინა ბილმა.

– სასაცილოს ვერაფერს ვხედავ, – მკაცრად დატუქსა შვილი ბატონმა უისლიმ, – თუ ის კვლავაც გააგრძელებს სამინისტროს გაღიზიანებას, შეიძლება, აზკაბანშიც გამოამწყვდიონ, ეს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. სანამ ჩვენ-რომ-ვიცით, მისთვის ცნობილია, რომ დამბლდორი თავისუფალია და მისი განზრახვაც მშვენივრად იცის, მეტისმეტად ვერ გათამამდება. როგორც კი დამბლდორს მოაცილებენ, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მაშინვე გაეხსნება ხელ-ფეხი.

– მაგრამ თუ ვოლდემორი ცდილობს, გადაიბიროს „სიკვდილის მხვრელები“, როგორ შეიძლება, მისი დაბრუნება საიდუმლოდ დარჩეს? – იკითხა ჰარიმ.

– ვოლდემორი კარდაკარ კი არ დადის ხალხის გადმოსაბირებლად – ატყუებს, აჯადოებს, შანტაჟს უწყობს. საიდუმლო მოქმედების დიდი გამოცდილება აქვს და გადაბირება მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა. მას სხვა გეგმებიც აქვს, რომელთა ხორცშესხმას ყოველგვარი ხმაურის გარეშე აპირებს. ახლა სწორედ ამას უთმობს მთავარ ყურადღებას, – აუხსნა სირიუსმა.

– მომხრეების გარდა კიდევ რა სჭირდება? – იკითხა ჰარიმ. უცებ მოეჩვენა, რომ სირიუსმა, სანამ უპასუხებდა, ლუპინს გახედა.

– ის, რაც შეიძლება მალულად მოიპოვოს. ჰარი ისევ შეშფოთებული უყურებდა.

– ასე ვთქვათ, რაღაც იარაღისმაგვარი, – დაამატა სირიუსმა, – ის, რაც ადრე არ ჰქონდა.

– როცა ძლიერი იყო?

– ჰო.

– რა იარაღი? უფრო საშინელი, ვიდრე „ავადა კედავრას“ წყევლა?

– საკმარისია! – დაიძახა ქალბატონმა უისლიმ, რომელიც აქამდე კარს იყო მოფარებული.

ჰარის არ გაუგია მისი დაბრუნება. ქალბატონ უისლის გულხელი დაეკრიბა და თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა.

– მინდა, რომ ყველანი დასაძინებლად წახვიდეთ, – მოითხოვა მან და ერთიმეორის მიყოლებით შეათვალიერა ფრედი, ჯორჯი, რონი და ჰერმიონი.

– შენ არ გაქვს უფლება, გვიბრძანო... – დაიწყო ფრედმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სირიუს, შემომხედე! – არ ცხრებოდა ერთიანად აცახცახებული ქალბატონი უისლი, – შენ უკვე საკმარისად ბევრი რამ უთხარი ჰარის. იქნებ, ორდენშიც მიგელო?!

– ვითომ, რატომ არა? – სწრაფად იკითხა ჰარიმ, – შემოვალ, მე მინდა შემოსვლა. მე უნდა ვიბრძოლო!

– არა.

ეს უკვე ქალბატონ უისლის არ უთქვამს. ეს ლუპინმა თქვა.

– ჩვენ მხოლოდ ზრდასრულებს, სრულწლოვან ჯადოქრებს ვიღებთ, – განაგრძო მან, – მათ, ვინც სკოლა დაამთავრეს, – დაამატა, როცა შენიშნა, რომ ფრედმა და ჯორჯმა რაღაცის სათქმელად დააღეს პირი, – ორდენის წევრობა ბევრ ისეთ ხიფათთან არის დაკავშირებული, რომელზეც არც ერთ თქვენგანს წარმოდგენაც არა აქვს... მოლი მართალია, სირიუს! ჰარის საკმარისი ვუამბეთ.

სირიუსმა ოდნავ აიჩეჩა მხრები, მაგრამ კამათი არ დაუწყია. ქალბატონმა უისლიმ მკაცრად მოუხმო შვილებსა და ჰერმიონს. ისინი რიგრიგობით ადგნენ. ჰარიმაც აღიარა თავისი მარცხი და ლასლასით მიჰყვა კუდში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეექვსე

ბლექების უძველესი და უკეთილშობილესი საგვარეულო

ქალბატონი უისლი მოქუფრული აჰყვა მათ ზედა სართულზე.

– ახლავე ყველანი დაწექით, თქვენი ხმა აღარ გავიგონო, – ბრძანა, როცა მეორე სართულზე ავიდნენ, – ხვალ მძიმე დღე გველის. ჯინის, ალბათ, უკვე სძინავს, – დაამატა და ჰერმიონს შეხედა, – არ გააღვიძო!

– სძინავს, მაშ! – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ფრედმა, როცა ჰერმიონმა ძილი ნებისა უსურვა დანარჩენებს, ბიჭებმა კი ზევით განაგრძეს გზა, – მე ვიყო ფლობერჭია, თუ ჯინი ახლა ჰერმიონს არ ელოდებოდეს, რომ ამ ქალბატონმა მარცვალ-მარცვალ ჩაუკაკლოს ყველაფერი.

– ძილი ნებისა, რონ, ჰარი, – დაემშვიდობა ქალბატონი უისლი, როცა მესამე სართულზე ავიდნენ და ბიჭებს საძინებლის კარი გაუღო, – სწრაფად – ლოგინში!

– ღამე მშვიდობისა, – გასძახეს ჰარიმ და რონმა ტყუპებს.

– ტკბილ სიზმრებს გისურვებთ, – თვალი ჩაუკრა ფრედმა. შევიდა თუ არა ჰარი ოთახში, ქალბატონმა უისლიმ ჩხაკუნით მიხურა კარი. საძინებელი წეღანდელზე უფრო ბნელი და ნესტიანი ეჩვენა. კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოში ჩასმული ცარიელი ტილო ისე ღრმად და თანაბრად სუნთქავდა, თითქოს მის უხილავ ბინადარს ეძინა. ჰარიმ პიჟამა ჩაიცვა, სათვალე მოიხსნა და ცივ ლოგინში შეძვრა. ამასობაში რონი კარადის თავისკენ პირის ჩასატკბარუნებლებს ისროდა, რათა დაემშვიდებინა ჰედვიგი და პიგვიჯენი, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს ფრთების ფართხუნითა და ბრჭყალების რაკუნით.

– ყოველღამე ვერ ვუშვებთ სანადიროდ, – დანანებით თქვა რონმა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თან წაბლისფერ პიჟამას იცვამდა, – დამბლდორს არ უნდა, რომ ამ კვარტალში მეტისმეტად ბევრი ბუ დაფრინავდეს. ძალიან საეჭვო იქნებოდა. ჰო... კინაღამ დამავიწყდა...

კართან მივიდა და ჩაკეტა.

– ეგ რაღა საჭიროა?

– კრეჩერის გამო, – აუხსნა რონმა და სინათლე ჩააქრო, – პირველ ღამეს სამ საათზე გამომეცხადა. მთელ სახლში დაძრწის. დამიჯერე, ძალიან გაგიხარდება, თვალს რომ გააჭყეტ და დაინახავ, როგორ დასუნსულებს საძინებელში. კარგი, რაც არი, არი... – ლოგინში შეძვრა და ჰარისკენ გადაბრუნდა, რომელიც ჭუჭყიანი ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქზე ხედავდა მის სილუეტს, – აბა, რას ფიქრობ?

ჰარი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რას გულისხმობდა რონი.

– ჩემი აზრით, ძალიან ცოტა რამ გვითხრეს იმაზე მეტი, რასაც თვითონაც მშვენივრად მივხვდებოდით, – დაიწყო ჰარიმ, – მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ორდენი ცდილობს, მომხრეები შეუმციროს ვოლ...

რონმა კანკალით ჩაისუნთქა ჰაერი.

– ...დემორს, – მტკიცედ დაასრულა ჰარიმ, – როდის შეძლებ მისი სახელის წარმოთქმას? სირიუსი და ლუპინი უკვე ახერხებენ.

რონმა ყურადღება არ მიაქცია ჰარის კომენტარს და მაშინვე დაეთანხმა:

– ჰო, მართალი ხარ, ეს ყველაფერი ისედაც ვიცოდით ყურის დამაგრძელებლის მეშვეობით. ახალი მხოლოდ ის იყო რომ...

ტკაც!

– ვაიმე! ვაიი!

– გაჩუმდი, რონ, დედა გაიგონებს.

– ორივეს პირდაპირ ჩემს მუხლებზე მოგინდათ აპარაცია?!

– შენ გგონია, სიბნელეში ადვილია?

ჰარიმ რონის საწოლიდან ჩამომხტარი ფრედისა და ჯორჯის ლანდები შენიშნა. მერე ზამბარების ჭრიალი გაისმა – ეს ჯორჯი ჩამოჯდა ჰარის ფეხებთან. ლეიბი ჩაიზნიქა.

– რა, უკვე დაიწყეთ ლაპარაკი იმ... – მოუთმენლად აქაქანდა ჯორჯი.

– იარაღზე, რომელიც სირიუსმა ახსენა? – იკითხა ჰარიმ.

– უფრო სწორად, წამოსცდა, – სიამოვნებით გაუსწორა ფრედმა, რომელიც ახლა რონის გვერდით იჯდა, – უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენმა ძველმა და კეთილმა მსახურმა დამაგრძელებელმა ამაზე არაფერი გვითხრა.

– მაინც რა უნდა იყოს? – იკითხა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნებისმიერი რამ, – მიუგო ფრედმა.

– მაგრამ არსებობს კი „ავადა კედავრაზე“ უარესი წყევლა? – იკითხა რონმა, – რა შეიძლება იყოს სიკვდილზე უარესი?

– მაგალითად, ისეთი რაღაც, რაც ერთბაშად ხოცავს უამრავ ადამიანს, – ივარაუდა ჯორჯმა.

– იქნებ წამებით სიკვდილის რაღაც განსაკუთრებული საშუალება? – შიშით იკითხა რონმა.

– ადამიანებისთვის ტკივილის მისაყენებლად ის კრუციატუსის წყევლას იყენებს, ამაზე მეტი საჭირო არც არის, – თქვა ჰარიმ.

ყველანი გაჩუმდნენ. ჰარიმ იცოდა, რომ დანარჩენებიც ცდილობდნენ იმ საშინელების წარმოდგენას, რაც ამ უცნობ იარაღს შეეძლო, დაეტრიალებინა.

– თქვენი აზრით, ვის ხელში უნდა იყოს ახლა ეს იარაღი? – იკითხა ჯორჯმა.

– იმედია, ჩვენებისა, – აღელდა რონი.

– თუ ასეა, დამბლდორს უნდა ჰქონდეს, – ვარაუდი გამოთქვა ფრედმა.

– სად? ჰოგვორტსში?– დაინტერესდა რონი.

– რა თქმა უნდა! – კვერი დაუკრა ჯორჯმა, – ფილოსოფიურ ქვასაც იქ არ ინახავდა?

– ეს იარაღი, ალბათ, იმ ქვაზე დიდი იქნება, – თქვა რონმა.

– აუცილებელი არ არის, დიდი იყოს, – შეეპასუხა ფრედი.

– ჰო, ზომები და ძალა სხვადასხვა რამეა, – დაეთანხმა ჯორჯი, – ავიღოთ, მაგალითად, ჯინი.

– რას გულისხმობ? – იკითხა ჰარიმ.

– შენ რა, არასოდეს გიგრძნია მისი გათვალვა?

– ჩშშშ! – ფრედი წამოდგა, – ყური დაუგდეთ!

ყველანი გაინაბნენ. კიბეზე ვიღაც ამოდიოდა.

– დედაა, – თქვა ჯორჯმა და ტყუპებს დიდხანს არ უფიქრიათ, ხმამაღალი ტკაცანი გაისმა და ჰარიმ იგრძნო, როგორ შემსუბუქდა საწოლი. რამდენიმე წამის შემდეგ კარს უკან იატაკის ფიცარმა დაიჭრიალა. ქალბატონი უისლი, როგორც ჩანს, კართან იდგა და უსმენდა, ლაპარაკობდნენ თუ არა.

ჰედვიგმა და პიგმა ნაღვლიანად წამოიკივლეს. ისევ დაიჭრიალა ფიცარმა და ჰარიმ და რონმა გაიგონეს, როგორ აუყვა კიბეს ქალბატონი უისლი ფრედისა და ჯორჯის შესამოწმებლად.

– სულ გვითვალთვალებს, არ გვენდობა, – დანანებით თქვა რონმა.

ჰარი დარწმუნებული იყო, რომ ვერ დაიძინებდა. ამ საღამოს იმდენი საფიქრალი გაუჩნდა, რომ ხანგრძლივი სიფხიზლისა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განსჯისთვის მოემზადა. რონთან საუბრის გაგრძელებაც სურდა, მაგრამ ქალბატონი უისლი საფეხურების ჭრიალით უკან ბრუნდებოდა, ხოლო როცა მისი ნაბიჯების ხმა მიწყდა, გარკვევით გაიგონა, როგორ ამოდიოდნენ კიბეზე სხვა არსებები... კარს მიღმა რბილად დაფაჩუნობდნენ მრავალფეხა ქმნილებები. ჰაგრიდი, ჯადოსნურ არსებათა მოვლის მასწავლებელი, ამბობდა: „რა ლამაზები არიან, ჰარი, არა? წლეულს ყველანაირ იარაღს შევისწავლით..." და ჰარიმ დაინახა, რომ მათ, თავების მაგივრად, ზარბაზნის ლულები ჰქონდათ. აი, ეს ლულები მისკენ ტრიალდებიან... ის იხრება...

ჰარი საბნის ქვეშ ლეკვივით მოკუნტული იწვა. უცებ ოთახში ჯორჯის ხმა გაისმა:

– დედამ თქვა, ადექითო. საუზმე სამზარეულოშია, მერე კი სასტუმრო ოთახში გელოდებათ. იქ ათჯერ მეტი დოკსია, ვიდრე თავიდან გვეგონა, დივნის ქვეშ კი მკვდარი პუფსკინების ვეებერთელა ბუდე აღმოაჩინა.

ნახევარი საათის შემდეგ ჩაცმულ-ნასაუზმები ჰარი და რონი მეორე სართულზე, ჭუჭყიან, მომწვანო-მონაცრისფრო გობელენებიან, მაღალჭერიან სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხალიჩას მტვრის ბუღი ასდიოდა, ჭაობისფერი ხავერდის ფარდებიდან კი უხილავი მწერების ზუზუნი ისმოდა. ყველანი იქ მოგროვილიყვნენ – ქალბატონი უისლი, ჰერმიონი, ჯინი, ფრედი და ჯორჯი. რაღაც უცნაურად გამოიყურებოდნენ: ცხვირ-პირი ნაჭრით აეკრათ და ყველას შავი სითხით სავსე, პულვერიზატორწამოცმული საკმაოდ მოზრდილი ბოთლი ეჭირა ხელში.

– სახე დაიფარეთ და პულვერიზატორები აიღეთ, – უბრძანა ქალბატონმა უისლიმ რონსა და ჰარის და წვრილფეხება მაგიდაზე მდგარ ასეთსავე ბოთლებზე მიუთითა, – ეს დოკსიციდია. ცხოვრებაში არ მინახავს პარაზიტების ასეთი შემოსევა! რას აკეთებდა მთელ ათ წელიწადს ეგ უქნარა შინაური ელფი?

მიუხედავად იმისა, რომ ჰერმიონს სახე სანახევროდ დაეფარა პირსახოცით, ჰარიმ მაინც შენიშნა, რა თვალით შეხედა ქალბატონ უისლის.

– კრეჩერი დაბერდა. ალბათ, აღარ შეუძლია...

– ძალიან გაოცდები, ჰერმიონ, როცა გაიგებ, რამდენი შეუძლია კრეჩერს, თუკი მოისურვებს, – თქვა სირიუსმა, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა სისხლით მოთხვრილი ჩანთით. შიგ, როგორც მერე გაირკვა, მკვდარი ვირთხები ეყარა, – ბაკბიკს ვაჭმევდი, – დაამატა, როცა ჰარის გაკვირვებულ თვალებს შეხედა, – ზემოთ მყავს დამწყვდეული, დედაჩემის საძინებელში. ხოლო რაც შეეხება ამ მაგიდას...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვირთხებიანი ჩანთა სავარძელზე დააგდო და საწერი მაგიდისკენ დაიხარა. ჰარიმ შეამჩნია, როგორ ძაგძაგებდა მაგიდის დაკეტილი ტუმბო.

– ჰო, მოლი, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბოგარტია, – სირიუსმა გასაღების ჭუჭრუტანაში შეიხედა, – მაგრამ სანამ გამოვუშვებთ, მრისხანეთვალა მუდიმ, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ნახოს. მშვენივრად ვიცნობ ჩემს დედიკოს, მისგან ყოველთვის რაღაც საშინელებას უნდა ელოდო.

– მეც ასე ვფიქრობ, სირიუს, – დაეთანხმა ქალბატონი უისლი.

ერთმანეთს ხაზგასმული თავაზიანობით მიმართავდნენ. ჰარისთვის აშკარა იყო, რომ ორივეს მშვენივრად ახსოვდა წუხანდელი შელაპარაკება.

კარზე ხმამაღლა დარეკეს. ამ ხმას მაშინვე მოჰყვა ერთმანეთში არეული ყვირილი და გოდება, როგორც წინადღეს, როცა ტონქსს ქოლგების ჩასაყუდებელი წაექცა.

– რამდენჯერ ვუთხარი, ზარს ნუ რეკავთ-მეთქი! – გაჯავრდა სირიუსი. მისი ნაბიჯების ხმა ჯერ კიბეზე გაისმა, მერე – კართან. ამასობაში ქალბატონი ბლექის ჭყივილი ექოდ ისმოდა მთელ სახლში:

– გარყვნილებო! ნაძირალებო! ჭუჭყისა და ბიწიერების ნაშიერნო! მუქსისხლიანებო! მახინჯო ღორებო!

– ჰარი, გეთაყვა, დახურე კარი, – სთხოვა ქალბატონმა უისლიმ.

ჰარი შეეცადა, რაც შეიძლება, ნელა შეესრულებინა ქალბატონ უისლის თხოვნა, – უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა ქვევით. მალე ყვირილი შეწყდა. როგორც ჩანს, სირიუსმა შეძლო ფარდის ჩამოფარება. ჰარიმ გაიგონა დერეფანში სირიუსის ნაბიჯების ხმა. მერე დაიწკრიალა შემოსასვლელის ჯაჭვმა და კინგსლი შეკლბოლტის ხმაც გაისმა:

– ახლახან შემცვალა სტარჯისმა, მუდის უჩინმაჩინის მოსასხამი წაიღო, მე კი დამბლდორისთვის ანგარიში უნდა დავტოვო...

კეფაზე ქალბატონი უისლის მზერამ ჰარი აიძულა, სასტუმროს კარი მიეხურა და დოკსებზე შეტევისთვის მომზადებულ ჯგუფთან დაბრუნებულიყო.

ქალბატონი უისლი დივანზე დადებულ გილდეროი ლოკჰარტის შინაური მღრღნელების ცნობართან დაიხარა. წიგნი დოკსებისადმი მიძღვნილ თავზე იყო გადაშლილი.

– გთხოვთ, ძალიან ფრთხილად იყოთ: დოკსი იკბინება, კბილები შხამიანი აქვს. მე, რა თქმა უნდა, მაქვს შხამის საწინააღმდეგო წამალი, მაგრამ არ მინდა, რომ მისი გამოყენება დამჭირდეს.

ქალბატონი უისლი წელში გაიმართა, ფარდებისკენ შებრუნდა და დანარჩენებს ხელით ანიშნა, ახლოს მისულიყვნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორც კი გეტყვით, მაშინვე დაიწყეთ. პირდაპირ ჩვენკენ გამოფრინდებიან, მაგრამ სითხეს აწერია, რომ კარგი ნაკადი მაშინვე შეაჩერებთ. იმათ, რომლებიც მოძრაობის უნარს დაკარგავენ, აი, ამ ვედროში ჩაყრით.

ქალბატონი უისლი ცეცხლის ხაზს მოსცილდა და თავისი პულ-ვერიზატორი ასწია.

– ყურადღება... დავიწყეთ!

სულ რამდენიმე წამში, ჰარისკენ ქსოვილის ნაკეციდან ხოჭოსებური ბრჭყვიალა ფრთების ზუზუნით კარგა მოზრდილი დოკსი გამოფრინდა. მინიატურულ სხეულს შავი, ხშირი ბეწვი უფარავდა. ოთხივე პატარა თათი მრისხანედ მოემუშტა და ნემსებივით წვრილ, პაწაწინა ბასრ კბილებს კრეჭდა. ჰარი დოკსიციდის ხსნარის ნაკადით შეეგება. დოკსი ჰაერშივე გაშეშდა და ხმაურით დავარდა გაქუცულ ხალიჩაზე. ჰარიმ ხელი დაავლო და ვედროში ჩააგდო.

– ფრედ, რას აკეთებ? – გაისმა ქალბატონი უისლის უკმაყოფილო ხმა, – მიასხი და მოიშორე თავიდან.

ჰარიმ დაინახა, რომ ფრედს ცერითა და საჩვენებელი თითით ეჭირა აფართხალებული დოკსი და მხიარულად გასძახა დედას:

– ახლავე! – მერე დოკსს სითხე მიასხურა და გათიშა. როგორც კი ქალბატონი უისლი შებრუნდა, ჰარის თვალი ჩაუკრა და დოკსი ჯიბეში ჩაიდო.

– დოკსის შხამით ექსპერიმენტის ჩატარება გვინდა საშატალოე საუზმეზე, – ჩურჩულით გაანდო საიდუმლო ჯორჯმა. ჰარიმ ერთი ნაკადით მოხერხებულად ჩამოაგდო პირდაპირ მისი ცხვირისკენ წამოსული ორი დოკსი, ჯორჯისკენ მიიწია და ჩურჩულითვე ჰკითხა:

– რა არის საშატალოე საუზმე?

– ტკბილეული, რომლისგანაც ავად გახდები, – აუხსნა ჯორჯმა, თან ფრთხილ მზერას არ აშორებდა ქალბატონი უისლის ზურგს, – არა, სერიოზულად არა, მაგრამ ისე კი, რომ გაკვეთილიდან გასვლა მოახერხო, როცა მოგესურვება. მე და ფრედმა ამ ზაფხულს გამოვიგონეთ. ორი ბოლო აქვს, კოდირებული ფერებით. თუ ფორთოხლისფერ ნახევარს შეჭამ, გული აგერევა. მაგრამ როგორც კი გაკვეთილიდან საავადმყოფო ფლიგელში მიგაბრძანებენ, ალისფერს ჩაყლაპავ...

– „...და შენ ძველებურად ჯანმრთელი და მხნე ხარ, აკეთე რაც სულსა და გულს მოეხასიათება, იმის ნაცვლად, რომ უსარგებლო მთქნარებაში დაკარგო მთელი საათი“. ყოველ შემთხვევაში, ასე ვწერთ რეკლამაში, – ხმადაბლა განაგრძო ფრედმა, რომელიც შეუმჩნევლად გამოერიდა ქალბატონი უისლის მხედველობის არეს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქა-იქ დაცვენილ დოკსებს იატაკიდან კრეფდა და ჯიბეში იწყობდა, – მაგრამ, მართალი გითხრა, გამოგონება ჯერ კიდევ დასახვეწია. ჯერჯერობით ჩვენს ცდისპირებს უჭირთ ღებინების შეჩერება, რომ ალისფერი ნახევარი გადაყლაპონ.

– ცდისპირებს?

– ესე იგი, ჩვენ, – დააზუსტა ფრედმა, – მორიგეობით.

ჯორჯი თავის თავზე სცდიდა გულის წასვლის აბებს, სისხლმდენი კანფეტები კი, რომელიც ცხვირიდან სისხლდენას იწვევს, ორივემ გავსინჯეთ.

– დედას ეგონა, რომ დუელი გავმართეთ, – თქვა ჯორჯმა.

– ესე იგი, მაღაზიის გახსნა არ გადაგიფიქრებიათ? – დაინტერესდა ჰარი, თან პულვერიზატორს უტრიალებდა, ვითომ ასწორებდა.

– ჯერჯერობით იმის საშუალება არა გვაქვს, მაღაზიისთვის შენობა შევიძინოთ, – უპასუხა ფრედმა და კიდევ უფრო დაუწია ხმას. ქალბატონი უისლი მორიგი შეტევის წინ ცოტა ხანს შეჩერდა, რათა დოლბანდის ბოლოთი გაოფლილი შუბლი მოეწმინდა, – ახლა შეკვეთებს ფოსტით ვიღებთ. წინა კვირას რეკლამა „დილის მისანში“ გამოვაქვეყნეთ.

– ყველაფერი შენი დამსახურებაა, მეგობარო, – უთხრა ჯორ-ჯმა, – მაგრამ არ იდარდო... დედა ვერც კი ხვდება. „მისანს“ აღარ კითხულობს, იმიტომ, რომ ათას სისულელესა და ტყუილს ბეჭდავენ შენზე და დამბლდორზე.

ჰარიმ ჩაიცინა. მართალია, ძალიან უნდოდა, ტყუპებს ჯადოს-ნური ფოკუსებისა და ოინების მაღაზიის გახსნაში დახმარებოდა და ამისთვის სამი ჯადოქრის ტურნირში მიღებული პრიზი – ათასი გალეონი – აჩუქა კიდეც, მაგრამ ძალიან ახარებდა ის გარემოება, რომ ქალბატონმა უისლიმ ამის თაობაზე არაფერი იცოდა, რადგან ამგვარი ბიზნესი შვილებისთვის შეუფერებლად მიაჩნდა.

ფარდების დედოკსიკაციას ლამის მთელი დილა მოანდომეს. ქალ-ბატონმა უისლიმ მხოლოდ ნაშუადღევს მოიხსნა დამცავი დოლ-ბანდი და დაღლილი ჩაესვენა გაქუცულ სავარძელში. ჩასვენებით კი ჩაესვენა, მაგრამ მაშინვე წამოხტა შემზარავი კივილით – სავარ-ძელზე მკვდარი ვირთხებით სავსე ჩანთა იდო. გვარიანად გაწუწული ფარდები უსიცოცხლოდ ეკიდა. ნაკეცებში აღარაფერი ზუზუნებდა. ერთიმეორის გვერდით იდგა გონდაკარგული დოკსებით სავსე ვედრო და მათივე შავი კვერცხებით სავსე თასი. ბო ფრთხილად ყნოსავდა, ფრედი და ჯორჯი კი ხარბი თვალებით შეჰყურებდნენ ამოდენა სიმდიდრეს.

– ამას სადილის შემდეგ მივხედავთ, – ქალბატონმა უისლიმ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუხრის ორივე მხარეს მდგარ მინებიან დამტვერილ კარადებზე მიუთითა. კარადები ათასი ხარახურით იყო სავსე: დაჟანგებული ხანჯლების კოლექციაო, ბრჭყალებიო, გველის დაგორგლილი ტყავიო, ვერცხლის გაცრეცილი კოლოფებიო, რომელზეც ჰარისთვის უცნობ ენაზე ეწერა რაღაც... ყველაზე უსიამოვნო კი სისხლით სავსე ბროლის ნატიფი გრაფინი იყო, საცობი დიდი ოპალით ჰქონდა დამშვენებული.

ქვევით ისევ გაისმა ზარის ხმამაღალი ზრიალი. ყველა ქალბატონ უისლის შეაცქერდა.

– აქ დარჩით, – მტკიცედ თქვა ქალბატონი ბლექის ჭყივილის ფონზე და ვირთხებიანი ჩანთა აიღო, – სენდვიჩებს აქ მოგიტანთ.

ოთახიდან გავიდა და საგულდაგულოდ გაიხურა კარი. ყველანი მაშინვე ფანჯარას ეცნენ და ქვევით ჩაიხედეს. სახლის პარმაღთან ვიღაცის გაჩეჩილი წითური თავი და ერთმანეთზე აკოკოლავებული რამდენიმე ქვაბი დაინახეს.

– მანდანგუსი! – მიხვდა ჰერმიონი, – რისთვის მოათრია ეს ქვაბები?

– ალბათ, დასამალად, – იაზრა ჰარიმ, – როგორ ფიქრობთ, რას აკეთებდა იმ საღამოს, როცა ჩემთვის უნდა ედარაჯა? რას და, ვიღაც-ვიღაცეების ქვაბებს აგროვებდა.

– ჰო, მართალი ხარ! – დაუდასტურა ფრედმა.

ამასობაში კარი გაიღო და მანდანგუსი თავის ქვაბებიანად შემოსასვლელში გაუჩინარდა, – დედაჩემს მაინცდამაინც არ მოეწონება ეს ამბავი...

ის და ჯორჯი ოთახის კართან მივიდნენ და გატრუნულებმა მიუგდეს ყური. ქალბატონი ბლექი აღარ ჭყიოდა.

– მანდანგუსი სირიუსსა და კინგსლის ელაპარაკება, – ამოიჩურჩულა დაძაბულობისგან მოღუშულმა ფრედმა. – ხეირიანად ვერ გამირჩევია... მოდი, რაც არის არის, ყურების დამაგრძელებლით ვცადოთ!

– შეიძლება, ღირდეს კიდეც, – თქვა ჯორჯმა, – ზევით ავალ, ერთ-ორ ცალს ავიღებ...

მაგრამ სწორედ ამ დროს ქვევით ისე აყვირდნენ, ყურების დამაგრძელებელი ნამდვილად აღარ იყო საჭირო. ყველამ გარკვევით გაიგონა ქალბატონი უისლის ხმა:

– ჩვენ აქ მოპარული ნივთების საწყობი არა გვაქვს!

– როგორ მიყვარს, როცა დედა მე არ მიყვირის, – სიხარულით აღიარა ფრედმა და კმაყოფილი ღიმილით გააღო კარი, რათა ქალბატონი უისლის ყვირილი უკეთ გაეგონათ, – ერთობ სასიამოვნო გარდაქმნაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა უპასუხისმგებლობაა! თითქოს მოპარულ ქვაბებზე მეტი საფიქრალი არ გვქონდეს! საიდან მოათრიე?

– რა იდიოტები არიან! რატომ ააყვირეს! – გადააქნია თავი ჯორჯმა, – ახლა რაღაცაზე თუ არ გადაატანინეს ყურადღება, შეიძლება, ისე გახურდეს, მთელ დღეს ველარ გაჩერდეს! ჰარი, რაც მანდანგუსი მორიგეობიდან მოტყდა და დაუცველი მიგატოვა, დედაჩემი ხელსაყრელ შემთხვევას ეძებს, რომ დაეტაკოს და შავი დღე აყაროს. აი, სირიუსის დედიკომაც ამოიღო ხმა.

ქალბატონი უისლის საყვედურები დერეფანში ატეხილ ჭყივილსა და გოდებაში ჩაიძირა.

ჯორჯმა კარის მიხურვა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო – ოთახში შინაური ელფი შემოძვრა.

მთლად შიშველი იყო, თუ არ ჩავთვლით თეძოებზე შემოხვეულ ნაჭერს, და ძალიან დაბერებული ჩანდა. კანი ისე ეკიდა, შიგ რამდენიმე მისნაირი ჩაეტეოდა. ყველა შინაური ელფის მსგავსად, ისიც მელოტი იყო, მაგრამ ღამურასებური აწკეპილი დიდი ყურებიდან ჭაღარა თმის ბღუჯა მოუჩანდა. გაცრიატებული თვალები შესწითლებოდა, გრძელი, ხორციანი ცხვირი დინგს მიუგავდა.

ელფს ყურადღება არავისთვის მიუქცევია, წელში ორად მოკაკული ნელა და მიზანმიმართულად ოთახის მეორე ბოლოსკენ წაჩანჩალდა, გზადაგზა თავისთვის ბაყაყის ყიყინის მსგავსი ხმით ბუტბუტებდა:

– მთელი სახლი ისედაც აქოთებულია და ახლა ქურდბაცაცაც დაემატა! მაგრამ ვითომ ეს კი რამით უკეთესია, ეს დედაბერი, გვარეულობის შემარცხვენელი თავისი გველის წიწილებით. ჩემი ქალბატონის სახლი წაბილწეს, ოჰ, ჩემო საწყალო ქალბატონო! რომ იცოდეს, რომ იცოდეს, რა ნაგავს უშვებენ შინ, რას ეტყოდა ბებერ კრეჩერს? ვაი, სირცხვილო! გარყვნილებო, მუქსისხლიანებო, მაქციებო, ბიწიერების ნაშიერნო! საწყალი ბებერი კრეჩერი, რა უნდა ქნას, რა შეუძლია...

– კრეჩერს გაუმარჯოს! – ძალიან ხმამაღლა მიესალმა ფრედი და კარი მიაჯახუნა.

შინაური ელფი სარგადაყლაპულივით გაშეშდა, ბუტბუტი შეწყვიტა და, ვითომდა გაოცებისგან, მეტისმეტად აშკარად, მაგრამ მეტისმეტად ყალბად შეკრთა.

– კრეჩერს ახალგაზრდა ბატონი არ დაუნახავს, – ფრედისკენ შებრუნდა, მძიმედ დაუკრა თავი, მერე ისე, რომ ხალიჩისთვის თვალი არ მოუშორებია, ჩუმად, მაგრამ საკმაოდ გარკვევით დაამატა: – გვარის შემარცხვენელი საძაგელი გველის წიწილი, აი, ვინ ხარ შენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქვი? – იკითხა ჯორჯმა, – მაპატიე, მაგრამ ბოლო წინადადება კარგად ვერ გავიგონე.

– კრეჩერს არაფერი უთქვამს, – ჩაილაპარაკა ელფმა და ამჯერად მას დაუკრა თავი. მერე კი ისევ ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით წაიბუტბუტა: – აი, მისი ტყუპისცალიც, საზიზღარი ჯოჯო.

ჰარიმ არ იცოდა, გაეცინა, თუ თავი შეეკავებინა. ელფი წელში გაიმართა, გაბოროტებით მოათვალიერა ყველა და ვითომ იქ არავის ესმოდა, ისევ განაგრძო ბუტბუტი:

– ...და ეს მუქსისხლიანი თავხედიც აქ დგას. ოჰ, ჩემი ქალბატონი რომ ხედავდეს, ცრემლად დაიღვრებოდა. აი, ახალიც, კრეჩერმა არ იცის, რა ჰქვია. აქ რას აკეთებს? კრეჩერმა არ იცის...

– ეს ჰარია, კრეჩერ, – ფრთხილად უთხრა ჰერმიონმა, – ჰარი პოტერი.

კრეჩერს უფერული თვალები გაუფართოვდა და წელანდელზე უფრო სწრაფად და გააფთრებით აბუტბუტდა:

– მუქსისხლიანი ისე ელაპარაკება კრეჩერს, თითქოს მისი მეგობარი იყოს. ოჰ, ჩემს ქალბატონს რომ დაანახა, რა ხალხთან აქვს საქმე კრეჩერს, ოი, რას იტყოდა...

– მეორედ აღარ უწოდო მუქსისხლიანი, – ერთდროულად შეუტიეს გაცეცხლებულმა რონმა და ჯინიმ.

– არა უშავს, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – ცოტა ვერ არის ჭკუაზე, თვითონაც ვერ გაუგია, რას...

– მორჩი, ჰერმიონ, თავს ნუ იტყუებ, მშვენივრად იცის, რასაც ლაპარაკობს, – შეაწყვეტინა ფრედმა და ზიზღით შეხედა კრეჩერს.

კრეჩერი ბუტბუტს განაგრძობდა, თან თვალს არ აშორებდა ჰარის.

– ნუთუ მართალია? ნუთუ ეს მართლა ჰარი პოტერია? კრეჩერი ნაიარევს ხედავს, ესე იგი, ეს სიმართლეა, ეს ის ბიჭია, რომელმაც ბნელი ბატონი შეაჩერა, კრეჩერს უკვირს, როგორ მოახერხა...

– ჩვენ ყველას გვიკვირს, კრეჩერ, – უთხრა ფრედმა.

– ისე, აქ რას აკეთებ? – ჰკითხა ჯორჯმა.

კრეჩერის ვეებერთელა თვალები ახლა მას შეაცქერდა.

– კრეჩერი ასუფთავებს, – ცალყბად ჩაილაპარაკა კრეჩერმა.

– ძალიან წააგავს სიმართლეს, – თქვა ვიღაცამ ჰარის ზურგს უკან.

სირიუსი დაბრუნებულიყო, კარებში იდგა და გაბრაზებული უყურებდა ელფს. დერეფანში ხმაური შეწყდა – ეტყობა, ქალბატონმა უისლიმ და მანდანგუსმა სამზარეულოში გადაინაცვლეს. სირიუსის დანახვაზე კრეჩერმა ისე დაუკრა თავი, დინგისმაგვარი ცხვირი იატაკს დააბჯინა.

– სწორად დადექი, – უბრძანა გაღიზიანებულმა სირიუსმა, – ახლა კი მიპასუხე, რა ჩაიფიქრე?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კრეჩერი ასუფთავებს, – გაიმეორა ელფმა, – კრეჩერი ერთგულად ემსახურება ბლექების უკეთილშობილეს და უძველეს საგვარეულო სახლს...

– უკეთილშობილესს, უბინძურესსა და უსაზიზღრესს, – თქვა სირიუსმა.

– ბატონს ძალიან უყვარს ხუმრობა, – ჩაილაპარაკა კრეჩერმა და ისევ დაუკრა თავი. შემდეგ კვლავ აბუტბუტდა: – ბატონი საზიზღარი უმადური ღორია, დედას გული ატკინა...

– გულისმაგვარი არაფერი ჰქონია დედაჩემს! – შეუტია სირიუსმა, – ბებრუხანა მხოლოდ ბოროტებითა და ღვარძლით ცოცხლობდა.

კრეჩერმა ისევ დაუკრა თავი.

– როგორც ბატონი ინებებს, – რისხვით ჩაიბურტყუნა, – ბატონი დედამისის ფეხსაცმლის გაწმენდის ღირსიც არ არის. ოჰ, ჩემი საწყალი ქალბატონი, რას ატირდებოდა, რომ ენახა, როგორ ემსახურება კრეჩერი, ოჰ, როგორ გაუცრუა იმედები...

– მე გკითხე, რა ჩაიფიქრე-მეთქი, – ცივად შეახსენა სირიუსმა, – ყოველთვის, როცა მოდიხარ და თავს ისე გვაჩვენებ, ვითომ ასუფთავებ, რაღაცას აუცილებლად წააცუნცულებ ხოლმე შენს ოთახში. გეშინია, არ გადავაგდოთ.

– კრეჩერს არასოდეს არაფერი მიაქვს, თუ ის სათანადო ადგილას დევს ბატონის სახლში, – შეეპასუხა ელფი, მერე კი ისევ აბუტბუტდა: – ქალბატონი არ აპატიებდა კრეჩერს, გობელენი რომ გადაეგდოთ. შვიდი საუკუნეა ეს გობელენი ამ სახლშია, კრეჩერმა უნდა გადაარჩინოს; კრეჩერი უფლებას არ მისცემს ბატონს, გვარის წამბილწავებსა და მათ ნაშიერებს, საოჯახო ავლადიდება გაანადგურონ...

– ასეც ვფიქრობდი, – თქვა სირიუსმა და ზიზღით შეავლო მზერა კედელს, – ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემმა ძვირფასმა დედიკომ უკანა მხრიდან სამუდამო მიწებების შელოცვით დაამუშავა. მაგრამ თუ მოვახერხე, აუცილებლად მოვიშორებ თავიდან. ახლა კი, კრეჩერ, მოუსვი აქედან.

ბრძანების შეუსრულებლობა კრეჩერმა ვერ გაბედა, მაგრამ გასასვლელისკენ რომ წაფრატუნდა, სირიუსს ზიზღით შეხედა, თან წამითაც არ შეუწყვეტია ბუტბუტი:

– რაც აზკაბანიდან დაბრუნდა, კრეჩერს აქეთ-იქით არბენინებს. ოჰ, ჩემი საცოდავი ქალბატონი, ნეტავ, რას იტყოდა, რომ ენახა, რას დაემსგავსა სახლი: ნაძირალებით გაივსო, ძვირფასეულობას ყრიან, ჩემმა ქალბატონმა დაიფიცა, რომ ეს მისი შვილი აღარ არის, ის კი აქ არის და, ყველაფერთან ერთად, იმასაც ამბობენ, რომ მკვლელია...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ენას თუ არ გააჩერებ, ნამდვილად გავხდები მკვლელი! – ბოლმით დაჰყვირა სირიუსმა და ელფს კარი მიუჯახუნა.

– სირიუს, მაგ ელფს რაღაც თავში ვერა აქვს რიგზე, – კრეჩერის დაცვა სცადა ჰერმიონმა, – ალბათ, ჰგონია, რომ ჩვენ არაფერი გვესმის.

– ძალიან დიდხანს იყო მარტო, – აუხსნა სირიუსმა, – დედაჩემის პორტრეტის უგუნურ ბრძანებებს ასრულებდა და თავის თავს ელაპარაკებოდა. მაგრამ, ამას გარდა, საკმაოდ მავნე ვინმე იყო ყოველთვის...

– რომ შეიძლებოდეს მისი გათავისუფლება, – ოცნებით თქვა ჰერმიონმა, – მაშინ, ვინ იცის...

– არ შეიძლება! მეტისმეტად ბევრი იცის ორდენის შესახებ, – ცივად თქვა სირიუსმა, – ესეც არ იყოს, ალბათ, ნერვიულობისგან მოკვდება. ერთი სცადე და უთხარი, აქედან წადიო! ნახავ, რა დღეში ჩავარდება.

სირიუსი მთელ კედელზე გადაჭიმულ გობელენთან მივიდა, რომლის გადარჩენასაც აპირებდა კრეჩერი. ჰარი და დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ.

გობელენი არნახულად ძველი იყო, ერთიანად გაცრეცილი, ალაგ-ალაგ დოკსებს გამოეხრათ, მაგრამ ოქრომკედით ნაქარგი ისე ბრჭყვიალებდა, რომ მშვენივრად ჩანდა საგვარეულო შტო, რომელიც, რამდენადაც ჰარიმ გაიგო, ადრეულ შუა საუკუნეებში იღებდა სათავეს. გობელენს სულ ზემოთ დიდი ასოებით ეწერა: „ბლექების უკეთილშობილესი და უძველესი საგვარეულო“, ოდნავ ქვევით კი – დევიზი: „სისხლის მარადიული სიწმინდე“.

– შენი სახელი აქ არ არის! – წამოიძახა ჰარიმ, როცა ყურადღებით ჩაათვალიერა გენეალოგიური შტოს ქვედა ნაწილი, რომელიც თანამედროვეობას ეხებოდა.

– აი, სად ვიყავი, – სირიუსმა პატარა, მრგვალი, თითქოს სიგარეტით ამომწვარი ნახვრეტი აჩვენა ქსოვილზე, – ჩემმა დედიკომ ამომწვა, როცა სახლიდან გავიქეცი. კრეჩერი გამუდმებით ამაზე ბუტბუტებს.

– სახლიდან გაიქეცი?

– ჰო, თექვსმეტი წლისა. ყელამდე ვიყავი და მეტი აღარ შემეძლო.

– მერე, სად წახვედი? – ჰკითხა უაღრესად განცვიფრებულმა ჰარიმ.

– მამაშენთან, – მიუგო სირიუსმა, – ბებიაშენი და პაპაშენი საოცარი ადამიანები იყვნენ, ღვიძლი შვილივით მიმიღეს. სკოლის არდადეგები მათთან გავატარე, ხოლო როცა ჩვიდმეტისა გავხდი, საკუთარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საცხოვრებელიც ვიშოვე. ბიძაჩემმა ალფარდმა დიდი მემკვიდრეობა დამიტოვა, ალბათ ისიც ამიტომ მოაშორეს ამ გობელენიდან. ასე იყო თუ ისე, მას შემდეგ საკუთარ თავზე თვითონვე ვზრუნავდი. თუმცა, საკვირაო სადილზე პოტერებთან ყოველთვის სასურველი სტუმარი ვიყავი.

– მაგრამ... რატომ...

– გავიქეცი აქედან? – სირიუსმა მწარედ ჩაიცინა და გრძელ, აჩეჩილ თმაზე გადაისვა ხელი, – იმიტომ, რომ ყველა ძალიან მეჯავრებოდა, – ჩემი მშობლები, წმინდასისხლიანების თავგადაკლული დამცველები, რომლებსაც ღრმად სწამდათ, რომ ბლექად ყოფნა ლამის იმავეს ნიშნავდა, რასაც სამეფო წარმომავლობა... იდიოტი ძმა, რომელსაც თავისი უნებისყოფობის გამო მათი სჯეროდა... აი, ისიც.

სირიუსმა შტოს სულ ძირში ატაკა თითი, იქ, სადაც ეწერა „რეგულუს ბლექი“, გვერდით კი – დაბადებისა და გარდაცვალების (მას შემდეგ თხუთმეტი წელიწადი გავიდა) თარიღები.

– რეგულუსი ჩემზე უმცროსი იყო, – თქვა სირიუსმა, – და გაცილებით უკეთესი შვილი გამოდგა, რასაც წამდაუწუმ მახსენებდნენ.

– დიდი ხნის წინ მომკვდარა...

– ჰო, უტვინო იდიოტი... „სიკვდილის მხვრელი“ გახდა.

– ხუმრობ?!

– კარგი რა, ჰარი. ნუთუ ვერ ხვდები, როგორი ჯადოქრებიც იყვნენ ჩემი ნათესავები, – აბუზღუნდა სირიუსი.

– შენი... შენი მშობლებიც „სიკვდილის მხვრელები“ იყვნენ?

– არა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მერწმუნე, ვოლდემორის იდეები ძალიანაც მოსწონდათ. ისინი სულითა და გულით ემხრობოდნენ ჯადოქრების კასტის სიწმინდეს; მაგლური სისხლის ნარევისგან გათავისუფლებას; მიაჩნდათ, რომ წმინდა სისხლის ჯადოქრებს უნდა ემართათ ყველაფერი. მარტო ისინი კი არა, ძალიან ბევრნი ფიქრობდნენ, რომ ვოლდემორს საკმაოდ ჯანსაღი იდეები ჰქონდა... სანამ თავიანთი თვალით არ დაინახეს, რას წარმოადგენდა... მაგრამ როცა მშობლები მიხვდნენ, რომ ვოლდემორი ძალაუფლებისთვის უკან არაფერზე დაიხევდა, შეშინდნენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ რეგულუსი, რომელიც მაშინვე მიემხრო ვოლდემორს, მაინც გმირად მიაჩნდათ.

– აურორებმა მოკლეს? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, ვოლდემორმა მოკლა. უფრო სწორად, ვოლდემორის ბრძანებით მოკლეს. რეგულუსი არც ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, რომ ვოლდემორს თვითონ გაესვარა ხელი. მისი დაღუპვის შემდეგ გავარკვიეთ, რომ რეგულუსი სულ ახალი ჩართული იყო თამაშში,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა გაიგო, რა საქმეზე უპირებდნენ გაგზავნას, შიშმა აიტანა და უკან დახევა გადაწყვიტა. მაგრამ ვოლდემორს გადადგომის შესახებ განცხადებას ხომ ვერ დაუწერ – ან სიცოცხლის ბოლომდე უნდა ემსახურო, ანდა სიკვდილი არჩიო.

– სადილი მზადაა! – გაისმა ქალბატონი უისლის ხმა.

ოთახში სახეალეწილი და ჯერ კიდევ გაბრაზებული ქალბატონი უისლი შემოვიდა. მაღლა აღმართული ჯადოსნური ჯოხის წვერზე სენდვიჩებითა და ტკბილი ღვეზელებით სავსე ვეებერთელა ლანგარი ქანაობდა. ყველანი მოშივებულები იყვნენ და მაშინვე მისკენ გაემართნენ, მაგრამ ჰარი გობელენზე დახრილ სირიუსთან დარჩა.

– რამდენი წელი იქნება, ამ გობელენისთვის არც კი შემიხედავს... აი, ფინეას ნაიჯელუსი... ჩემი პაპის პაპა... ჰოგვორტსის სკოლის ყველაზე არაპოპულარული დირექტორი... არამინტა მელიფლუა... დედაჩემის დეიდაშვილი... ცდილობდა, სამინისტროში გაეტანა კანონი, რომელიც მაგლების დევნას დაუშვებდა. ეს კი ჩემი ძვირფასი დეიდა ელადორაა. მისგან იღებს სათავეს შინაური ელფების თავის მოკვეთის ტრადიცია, როცა ისინი იმდენად მოხუცდებოდნენ, რომ ჩაის ლანგრის ტარება აღარ შეეძლოთ... რაღა თქმა უნდა, საკმარისი იყო, ოჯახში დაბადებულიყო ასე თუ ისე ნორმალური თვისებების მქონე ადამიანი, რომ მაშინვე მოეკვეთათ. მაგალითად, ტონქსი, მე მას აქ ვერ ვხედავ. შესაძლოა, კრეჩერი ამიტომაც არ ასრულებს მის ბრძანებებს, საერთოდ კი, ვალდებულია, გაუგონოს ოჯახის ნებისმიერ წევრს...

– ტონქსი თქვენი ნათესავია? – გაუკვირდა ჰარის.

– ჰო, დედამისი, ანდრომედა, ჩემი საყვარელი ბიძაშვილია, – აუხსნა სირიუსმა და ისევ გულმოდგინედ განაგრძო გობელენის თვალიერება, – ნახე ერთი, ანდრომედაც მოუშორებიათ...

სირიუსმა ქალის ორ სახელს – ბელატრისასა და ნარცისას შორის ამომწვარ ნახვრეტზე მიუთითა:

– ანდრომედას დები კი ისევ აქ არიან, იმიტომ რომ, ვისაც საჭირო იყო, იმას გაჰყვნენ ცოლად – წმინდა სისხლის რესპექტაბელურ ჯადოქრებს. ანდრომედა კი მაგლზე, ტოდ ტონქსზე გათხოვდა და ამიტომაც...

სირიუსმა ისე აამოძრავა ჯადოსნური ჯოხი, თითქოს ნახვრეტებს აკეთებსო, და მწარედ ჩაიცინა. ჰარის კი სულაც არ ეცინებოდა: ანდრომედასგან დარჩენილი ნახვრეტის მარჯვნივ ამოქარგულ სახელებს ათვალიერებდა. ოქრომკედის ორმაგი ხაზი ერთმანეთთან აერთებდა ნარცისა ბლექსა და ლუციუს მალფოის, ერთადერთი ვერტიკალური ხაზი კი ამ სახელებიდან დრაკოსკენ მიდიოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ რა, მალფოების ნათესავი ხარ?!

– წმინდა სისხლის ყველა ოჯახი ერთმანეთის ნათესავია, – აუხსნა სირიუსმა, – თუ შენს ვაჟს ან ქალიშვილს მხოლოდ წმინდა სისხლის წარმომადგენელზე დაქორწინების ნებას დართავ, მაშინ არჩევანი ძალიან შეზღუდულია. ასეთები, ესე იგი, ჩვენნაირები, თითქმის აღარ არიან. მოლიც ჩემი მოყვარეა, არტური, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩემი გარე ბიძაშვილი. მაგრამ მათ აქ ტყუილად დაუწყებ ძებნას – უისლები ხომ ჯიშის აშკარა წამბილწველები არიან.

ამასობაში ჰარიმ მარცხნივ, ბელატრისა ბლექზე გადაიტანა მზერა. ოქრომკედის ორმაგი ხაზი მას როდოლფუს ლესტრეინჯთან აერთებდა.

– ლესტრეინჯი... – ხმამაღლა წაიკითხა ჰარიმ. ამ სიტყვამ რაღაც ააფორიაქა მის მეხსიერებაში. საიდანღაც ახსოვდა, მაგრამ ვერ გაეხსენებინა, საიდან. ამ სახელზე სადღაც შიგნით უცნაური და უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა.

– ისინი აზკაბანში სხედან, – მოკლედ მოჭრა სირიუსმა. ჰარიმ ინტერესით შეხედა.

– ბელატრისა და მისი ქმარი როდოლფუსი იქ კრაუჩ-უმცროსთან ერთად ჩასვეს, – განაგრძო სირიუსმა, – მათ გზას გაუყენეს როდოლ-ფუსის ძმა რაბასტანიც.

და, აი, უცებ ჰარის მოაგონდა. ბელატრისა ლესტრეინჯი დამ-ბლდორთან საფიქრელაში – აზრებისა და მოგონებების უცნაურ საცავში – ნახა. მოსამართლეების წინაშე მდგომმა მაღალმა, შავთ-მიანმა, ქუთუთოებჩამოსივებულმა ქალმა განაცხადა, რომ კვლავ ვოლდემორის ერთგულია; რომ ამაყობს მისი დაცემის შემდეგ თავისი მცდელობით, როგორმე მოძებნოს იგი; და რომ დადგება დღე, როცა ის, ერთგულების სანაცვლოდ, ჯილდოს მიიღებს.

– შენ არასოდეს გითქვამს, რომ ბელატრისა შენი...

– მერე რა, რომ ჩემი ბიძაშვილია? – გაღიზიანდა სირიუსი, – მე რომ მკითხო, არც ერთი მათგანი არ არის ჩემი ნათესავი, ბელატრისა კი – მით უმეტეს. შენი ხნის რომ ვიყავი, მას შემდეგ არც მინახავს, თუ არ ჩავთვლი წამიერ თვალის შევლებას აზკაბანში მისი მიყვანის დღეს. გგონია, ასეთი ნათესაობა ძალიან მეამაყება?

– მაპატიე, – სწრაფად მოუბოდიშა ჰარიმ, – არ მინდოდა... უბრალოდ, ძალიან გამიკვირდა...

– რა მნიშვნელობა აქვს, თავს ტყუილად იმართლებ, – ჩაიბურტყუ-ნა სირიუსმა. გობელენს ზურგი შეაქცია, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და სასტუმრო ოთახს თვალი მოავლო: – როგორ არ მიყვარს აქაურობა! რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ისევ ამ სახლში ვიყურყუტებდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის მშვენივრად ესმოდა მისი. კარგად იცოდა, რა გრძნობაც დაეუფლებოდა, უკვე გაზრდილსა და იმ აზრს შეჩვეულს, რომ სამუდამოდ გამოეთხოვა პრივიტ დრაივის ნომერ ოთხ სახლს, კვლავ იქ დაბრუნება და ცხოვრება თუ მოუწევდა.

– რა თქმა უნდა, იდეალური ადგილია შტაბ-ბინისთვის, – თქვა სირიუსმა, – სანამ მამაჩემი აქ ცხოვრობდა, სახლი ჯადოქრებისთვის ცნობილი უსაფრთხოების ყველა საშუალებით აღჭურვა. მისი აღმოჩენა შეუძლებელია. ამიტომ მაგლები, ძალიანაც რომ მოინდომონ, აქ ვერ მოხვდებიან. ახლა კი, როცა დამბლდორმაც დაამატა საკუთარი დაცვა, უფრო უსაფრთხო ადგილს ვერსად იპოვი. სხვათა შორის, დამბლდორი ორდენის მესაიდუმლეა, ამიტომ არც ერთ ადამიანს არ შეუძლია, მიაგნოს შტაბ-ბინას, თუ, რა თქმა უნდა, პირადად არ ეტყვის, სად მდებარეობს. მისამართი, რომელიც გუშინ საღამოს მუდიმ გიჩვენა, დამბლდორის ხელით იყო დაწერილი... – სირიუსმა ისე ჩაიცინა, თითქოს შეჰყეფაო, – ჩემს მშობლებს რომ შეეძლოთ იმის დანახვა, რისთვის ვიყენებთ მათ სახლს... თუმცა, ჩემი დედიკოს პორტრეტი, ვფიქრობ, რაღაც წარმოდგენას მაინც შეგიქმნიდა...

ორიოდე წამს ჩუმად იბღვირებოდა, მერე ამოიოხრა:

– სიამოვნებით გავიდოდი აქედან თუნდაც სულ ცოტა ხნით მაინც და რამე სასარგებლოს გავაკეთებდი. დამბლდორს ვკითხე, ხომ შეიძლება, ჰარი სამინისტროში გავაცილო, ცხადია, მაწანწალას გარეგნობით-მეთქი, ისე, მორალური მხარდაჭერისთვის. შენ რას იტყვი?

ჰარის გულ-მუცელი ამოუტრიალდა. სამინისტროში მოსმენა გუშინდელი ვახშმობის შემდეგ ერთხელაც არ გახსენებია. ქვეყნად ყველაზე ახლობელ ადამიანებთან შეხვედრამ, უამრავმა ახალმა ამბავმა და შთაბეჭდილებამ ერთბაშად გამოუბერტყა თავიდან მოსმენაზე ფიქრი. ახლა კი შიშმა ისევ დარია ხელი. ჰერმიონსა და უისლებს გახედა, სიცილ-კისკისით რომ ილუკმებოდნენ და სცადა, წარმოედგინა, რას იგრძნობდა, ჰოგვორტსში უიმისოდ რომ გამგზავრებულიყვნენ.

– ნუ ღელავ, – დაუყვავა სირიუსმა. ჰარი მიხვდა, რომ ნათლია მთელი ამ ხნის განმავლობაში მას უყურებდა, – დარწმუნებული ვარ, არაფერი გემუქრება. საიდუმლოს შენახვის საერთაშორისო წესდებაში არის პუნქტი, რომელიც ნებას რთავს ჯადოქრობის გამოყენებას საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

– მაგრამ თუ მაინც გამრიცხეს? – ჩუმად იკითხა ჰარიმ, – შეიძლება, აქ დავბრუნდე და შენთან ვიცხოვრო?

სირიუსმა ნაღვლიანად გაიღიმა.

– ვნახოთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამდენს აღარ ვიდარდებდი... რომ ვიცოდე, დერსლებთან დაბრუნებას არ მაიძულებენ, – ჯიუტად განაგრძობდა ჰარი.

– წარმომიდგენია, რა საშინელ დღეში ხარ იქ, ამ სახლს რომ ამჯობინებ, – წარბი შეიკრა სირიუსმა.

– ჰარი! სირიუს! ჩქარა, თორემ აღარაფერი დაგრჩებათ, – დაიძახა ქალბატონმა უისლიმ.

სირიუსმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა, დაბღვერილმა შეხედა გობელენს და ჰარისთან ერთად სენდვიჩების ლანგრისკენ წავიდა.

ნაშუადღევს, შემინული კარადების დალაგებისას, ჰარი ცდილობდა, სამინისტროზე არ ეფიქრა. საბედნიეროდ, სამუშაო დიდ გულისყურს ითხოვდა, იმიტომ რომ, ნივთები, როცა მათ მტვრიანი თაროებიდან იღებდნენ, წინააღმდეგობას უწევდნენ. სირიუსი გვარიანად დაშავდა ვერცხლის სათუთუნისგან: დაკბენილი ხელის მტევანი სულ რამდენიმე წამში ხელთათმნის ფორმის უსიამოვნო ყავისფერმა ქერქმა დაფარა.

– საშიში არაფერია, – სირიუსი ყურადღებით ითვალიერებდა ხელს, მერე მსუბუქად შეეხო ჯადოსნური ჯოხით და კანს ნორმალური ფერი დაუბრუნდა. – მეჭეჭის ფხვნილი უნდა იყოს, – თქვა და სათუთუნე სხვა ხარახურასთან ერთად ტომარაში მოისროლა.

მოგვიანებით ჰარიმ დაინახა, როგორ დაიხვია ჯორჯმა ხელზე ნაჭერი, როგორ აიღო უჩუმრად სათუთუნე და იმავე ჯიბეში ჩაიდო, სადაც დოკსები ჰყავდა შენახული.

ჰარიმ თაროდან უსახური მრავალხელა მაშისმაგვარი ხელსაწყო ჩამოიღო. ხელსაწყო უცებ ამოძრავდა, ობობასავით გაირბინა ხელზე და კანის დაჩხვლეტა სცადა. სირიუსმა ხელი დაავლო და კარგა მოზრდილი წიგნით გასრისა. წიგნს ერქვა: „ჭეშმარიტი დიდგვაროვანნი. ჯადოქართა გენეალოგია“. სხვა უამრავ ნივთს შორის აღმოაჩინეს, მაგალითად, ასეთი რამეებიც: მუსიკალური ყუთი, რომელმაც, მომართეს თუ არა, ჟღრიალა, ავის მომასწავებელი მელოდია წამოიწყო, რომლისგანაც ყველამ უცნაური სისუსტე იგრძნო და ჩაეძინებოდათ კიდეც, ჯინის რომ არ მოეფიქრებინა ყუთის დახურვა; მასიური მედალიონი, რომელიც ვერავინ გახსნა; რამდენიმე ძველისძველი ბეჭედი; დაბოლოს, მტვრიან ყუთში – პირველი ხარისხის მერლინის ორდენი, რომელიც სირიუსის პაპისთვის გადაეცათ „სამინისტროს წინაშე დამსახურებისთვის“.

– ეს იმას ნიშნავს, რომ მის დამჯილდოებლებს ბლომად ოქრო ჩაუთვალა, – ზიზღით თქვა სირიუსმა და ორდენი ნაგვის ტომარაში ჩაუძახა.

ოთახში რამდენჯერმე გვერდულად შემოიპარა კრეჩერი. თეძოებზე შემოხვეული ნაჭრის ქვეშ ხან რას დამალავდა, ხან რას, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალულად გაეტანა, მაგრამ როგორც კი გამოიჭერდნენ, საშინელი წყევლა-კრულვით იკლებდა იქაურობას. როცა სირიუსმა ბლექების ჰერალდიკური ნიშნით შემკული ოქროს დიდი ბეჭედი გამოსტაცა, კრეჩერს რისხვის ცრემლები წასკდა და ასე, ცრემლების ფრქვევითა და ქვითინით წალასლასდა. გზადაგზა ისეთი სიტყვებით თათხავდა სირიუსს, ჰარის არასოდეს მსგავსი არაფერი გაეგონა.

– მამისეულია, – თქვა სირიუსმა და ოქროს ბეჭედსაც ნაგვის ტომარაში გადაუძახა, – კრეჩერი მისი ისეთივე ერთგული არ იყო, როგორც დედაჩემისა, მაგრამ წინა კვირას მაინც სცადა მისი ძველი შარვლის მოტაცება.

* * *

ქალბატონი უისლი მომდევნო დღეებშიც პოულობდა მათთვის უამრავ სამუშაოს. მარტო სასტუმრო ოთახის დასუფთავებას სამი დღე დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს, არასასურველი ნივთებიდან იქ მხოლოდ ბეჭდების საგვარეულო შტოსგამოსახულებიანი გობელენი და მოცახცახე საწერი მაგიდა დარჩა. გობელენი ვერაფრით ააგლიჯეს კედელს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდი ერთხელაც არ გამოჩენილა შტაბ-ბინაში. ამიტომაც დანამდვილებით ვერ გაიგეს, რამ მოიკალათა საწერ მაგიდაში.

სასტუმრო ოთახის მერე პირველ სართულზე მოთავსებული სასადილო ოთახის ჯერი დადგა. როცა ბუფეტში ჩაბუდებული თეფშისოდენა ობობები აღმოაჩინეს, რონი ჩაის დასალევად გავიდა და საათ-ნახევარი აღარ დაბრუნებულა. ჰერალდიკური ნიშნებითა და ბლექების დევიზით მორთული მთელი საგვარეულო ფაიფური სირიუსმა უცერემონიოდ ჩაყარა ტომარაში. ასეთივე ბედი ეწია ვერცხლის გაუფერულებულ ჩარჩოებში ჩასმულ ძველ ფოტოებსაც. ამ ფოტოებზე გამოსახული ადამიანები შემზარავად გაჰკიოდნენ, როცა მათი დამცავი მინები იმსხვრეოდა.

სნეიპს შეეძლო, ამ საქმიანობისთვის დასუფთავება ეწოდებინა, მაგრამ, ჰარის აზრით, ეს ნამდვილი ომი იყო: სახლი, კრეჩერის მხარდაჭერით, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მათ. შინაური ელფი ძველებურად მიძვრებოდა ყველგან, სადაც ისინი იყრიდნენ თავს, და ცდილობდა, ნაგვის ტომრებიდან მოეპარა ყველაფერი, რასაც მოახერხებდა, მისი ბუტბუტი კი სულ უფრო შეურაცხმყოფელი ხდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სირიუსმა ძველი ჩვარი მოუქნია. კრეჩერმა წყლისფერი თვალებით შეხედა და თქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამიტომაც ჰქვია ბატონის ნებას ბატონისა, – მერე ზურგი შეაქცია და ძალიან ხმადაბლა აბუტბუტდა: – მაგრამ ბატონი არ გააგდებს კრეჩერს! არ გააგდებს იმიტომ, რომ კრეჩერმა იცის, რა ჩაიფიქრეს; იცის, რომ მუქსისხლიანებსა და ნაძირალებს შეეკრა და ბნელი ბატონის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს...

აქ კი ვეღარ მოითმინა სირიუსმა – ჰერმიონის პროტესტის მიუხედავად, თეძოებზე შემოხვეულ ტილოში ჩაავლო ხელი და ოთახიდან გაუძახა.

კარზე დღეში რამდენჯერმე რეკავდა ზარი, რასაც მაშინვე მოჰყვებოდა სირიუსის დედის ჭყივილი. ჰარი და მისი მეგობრები კი ცდილობდნენ, რაღაცისთვის მაინც მოეკრათ თვალი და ყური, სანამ ქალბატონი უისლი შეწყვეტილ სამუშაოსთან არ მიაბრუნებდა. თუმცა, ამ ნაუცბათევად დანახულითა და ყურმოკრული საუბრის ნაწყვეტებით ბევრს ვერაფერს იგებდნენ. რამდენჯერმე სნეიპიც მოვიდა, მაგრამ ჰარი, საბედნიეროდ, არც ერთხელ არ გადაჰყრია პირისპირ. ერთხელ თავისი ტრანსფიგურაციის მასწავლებელი, პროფესორი მაკგონაგელი დაინახა: მაგლური კაბითა და პალტოთი მეტისმეტად უცნაურად გამოიყურებოდა. პროფესორს, როგორც ჩანს, ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა და დიდხანს არ დარჩენილა. ზოგჯერ მომსვლელები ცოტა ხანს რჩებოდნენ და იქ მყოფებს დასუფთავებაში ეხმარებოდნენ. მაგალითად, ტონქსი იქ იმყოფებოდა იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ზედა სართულის ტუალეტში მიმალული სისხლისმსმელი მოჩვენება აღმოაჩინეს; ლუპინმა კი, რომელიც სირიუსის სახლში ცხოვრობდა, მაგრამ კარგა ხნით მიემგზავრებოდა ხოლმე ორდენის რაღაც საიდუმლო საქმეებზე, დასადგმელი საათის შეკეთებაში მიიღო მონაწილეობა. ამ საათს უცნაური და უსიამოვნო ჩვევა ჰქონდა: გამვლელ-გამომვლელს თავისი მექანიზმის მოზრდილ დეტალებს ესროდა. ქალბატონ უისლის ოდნავ მოულბა გული მანდანგუსზე. ეს მაშინ მოხდა, როცა მანდანგუსმა რონი ხელიდან გამოსტაცა კარადიდან გამოღებულ ალისფერ მანტიას, რომელსაც, რატომღაც ბიჭის დახრჩობა უნდოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰარის ძველებურად ცუდად ეძინა; მიუხედავად იმისა, რომ ისევ ესიზმრებოდა დერეფნები და დაკეტილი კარი; მიუხედავად იმისა, რომ ნაიარევი ძველებურად წიწკნიდა, ზაფხულის განმავლობაში პირველად ტკბებოდა ცხოვრებით. სანამ საქმეს აკეთებდა, კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ უსაქმოდ დარჩებოდა თუ არა, მის სიმშვიდეს ბზარი უჩნდებოდა; როცა ილაჯგაწყვეტილი იწვა ლოგინზე და ჭერზე მოლივლივე ჩრდილებს შეჰყურებდა, ისევ უბრუნდებოდა ფიქრი უკვე კარს მომდგარ მოსმენაზე. როცა იმის წარმოდგენას ცდილობდა, რა მოხდებოდა, თუ გარიცხავდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნენ, გრძნობდა, როგორ ესობოდა შიში ნემსებივით. გარიცხვისა ისე ეშინოდა, რონთან და ჰერმიონთანაც კი გაურბოდა ამაზე საუბარს. ისინიც, თავის მხრივ, გრძნობდნენ მის განწყობას და ამ საკითხზე მასთან არასოდეს ლაპარაკობდნენ. თუმცა, ჰარის არაერთხელ შეუმჩნევია, როგორ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში და რა შეწუხებულები გამოაპარებდნენ ხოლმე თვალს მისკენ. დროდადრო წარმოიდგენდა, სამინისტროს რომელიღაც წარმომადგენელი როგორ გადაუტეხდა შუაზე ჯადოსნურ ჯოხს და დერსლებთან დაბრუნებას უბრძანებდა... მაგრამ ჰარი მათთან არ დაბრუნდება. ეს მტკიცედ გადაწყვიტა. აქ მოვა, გრიმოს თორმეტში, და სირიუსთან იცხოვრებს.

ოთხშაბათ საღამოს, როცა ყველანი მაგიდას უსხდნენ და ვახშმობდნენ, ქალბატონმა უისლიმ ჩუმად უთხრა:

– ჰარი, ხვალ დილისთვის შენი საუკეთესო ტანისამოსი დაგიუთოვე. მინდა, რომ დღეს თავი დაიბანო. პირველი შთაბეჭდილება ძალიან ბევრს ნიშნავს.

ჰარის მოეჩვენა, რომ აგური გადააყლაპეს. რონი, ჰერმიონი, ფრედი, ჯორჯი და ჯინი ერთბაშად გაჩუმდნენ და მას შეხედეს. ჰარიმ თავი დაუქნია და შეეცადა, ლუკმა დაეღეჭა, მაგრამ პირი საშინლად გაშრობოდა.

– იქ რით უნდა წავიდე? – ჰკითხა ქალბატონ უისლის, თან ცდილობდა, თავი უდარდელად მოეჩვენებინა.

– არტური თან წაგიყვანს სამსახურში, – რაც შეიძლება, რბილად უპასუხა ქალბატონმა უისლიმ.

ბატონმა უისლიმ ღიმილით აუხსნა:

– ჩემს კაბინეტში იჯდები, სანამ მოსმენა დაიწყება.

ჰარიმ სირიუსზე გადაიტანა მზერა, მაგრამ სანამ რამეს იკითხავდა, პასუხი ქალბატონმა უისლიმ გასცა:

– პროფესორ დამბლდორს მიზანშეუწონლად მიაჩნია, რომ სირიუსი შენთან ერთად წამოვიდეს, და მე...

– ...სრულიად ეთანხმები მას, – კბილებში გამოსცრა სირიუსმა.

ქალბატონმა უისლიმ ტუჩები მოკუმა.

– როდის გითხრათ დამბლდორმა? – ჰკითხა ჰარიმ და სირიუსს გახედა.

– წუხელ მოვიდა, როცა შენ გეძინა, – უპასუხა ბატონმა უისლიმ.

სირიუსმა მდუმარედ ჩაარჭო ჩანგალი კარტოფილის ნაჭერს. ჰარიმ თვალები დახარა. იმ ამბავმა, რომ დამბლდორი უშუალოდ მოსმენის წინ მოვიდა აქ და არც კი მოისურვა მისი ნახვა, უფრო მოუშხამა გუნება, მანამდე კი ეგონა, რომ ამაზე უარესი აღარაფერი დაემართებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეშვიდე

მაგიის სამინისტრო

დილით ჰარის ექვსის ნახევარზე გაეღვიძა. ისე ერთბაშად გამოფხიზლდა, თითქოს ვიღაცამ პირდაპირ ყურში ჩაჰყვირაო. რამდენიმე წამს გაუნძრევლად იწვა, გრძნობდა, სადისციპლინო მოსმენაზე ფიქრი როგორ უვსებდა ტვინის თითოეულ უჯრედს. მერე, მეტის მოთმენა რომ ვეღარ შეძლო, უცებ წამოხტა და სათვალე გაიკეთა. ქალბატონ უისლის საწოლის ფეხებთან დაელაგებინა ახალგარეცხილი ჯინსი და მაისური. ჰარიმ სასწრაფოდ ჩაიცვა. კედელზე ჩამოკიდებულმა ცარიელმა სურათმა ჩაიცინა.

გულაღმა გაშოტილ რონს ღრმად ეძინა. არც კი განძრეულა, როცა ჰარიმ ოთახში გაიარა, გარეთ გავიდა და კარი ჩუმად მიხურა. ცდილობდა, არ ეფიქრა იმაზე, როგორ შეხვდებოდნენ მომავალში ის და რონი ერთმანეთს, როცა, ალბათ, ერთად აღარ ისწავლიდნენ ჰოგვორტსში. ჩუმად ჩავიდა კიბეზე, დერეფანში კრეჩერის წინაპართა თავებს ჩაუარა და სამზარეულოში შევიდა.

ეგონა, იქ არავინ დახვდებოდა, მაგრამ კარს მიუახლოვდა თუ არა, ხმადაბალ საუბარს მოჰკრა ყური. კარი შეაღო და ქალბატონი და ბატონი უისლები, სირიუსი, ლუპინი და ტონქსი დაინახა. მაგიდასთან ისხდნენ და მას ელოდებოდნენ. დალიანდაგებულ მუქ წითელ ხალათში გამოწყობილ ქალბატონი უისლის გარდა, ყველას საგარეო ტანისამოსი ეცვა. ჰარის დანახვაზე ქალბატონი უისლი წამოხტა, ჯადოსნური ჯოხი შემართა, ბუხრისკენ წავიდა და დაიძახა:

– საუზმე!

– დილა მშვიდობისა, ჰარი, – დაამთქნარა ტონქსმა. ამჯერად ქერა ხვეული თმა ჰქონდა, – როგორ გეძინა?

– მშვენივრად, – მიუგო ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე კი არც დავწოლილვარ, – კიდევ ერთხელ დაამთქნარა ტონ-ქსმა, – მოდი აქ, დაჯექი.

ტონქსმა სკამი გამოუწია, თან მეორე სკამს გამოსდო და წააქცია.

– რას შეჭამ, ჰარი? – ჰკითხა ქალბატონმა უისლიმ, – შვრიის ფაფას? ცხელ ფუნთუშებს? შებოლილ თევზს? ლორიან ერბო-კვერცხს? გახუხულ პურს?

– მარტო... მარტო გახუხულ პურს, გმადლობთ, – თქვა ჰარიმ.

ლუპინმა ჯერ ჰარის შეხედა, მერე ტონქსს მიუბრუნდა:

– რას ამბობდი სკრიმჯერზე?

– ა... ჰო... ფრთხილად უნდა ვიყოთ მასთან, მე და კინგსლის უცნ-აურ რაღაცეებს გვეკითხებოდა...

ჰარიმ შვება იგრძნო, რადგან არავინ სთხოვდა საუბარში ჩართ-ვას. მუცელი საშინლად უწრიალებდა. ქალბატონმა უისლიმ წინ ორი ნაჭერი გახუხული პური და ფორთოხლის ჯემი დაუწყო. მოკბეჩით კი მოკბიჩა, მაგრამ გინდ ის დაუღეჭავს და გინდა – ხალიჩა. ქალბატონი უისლი გვერდით მიუჯდა, ზურგზე მაისურის ნაოჭები გაუსწორა და იარლიყი კისერში ჩაუბრუნა. ჰარის მაინცდამაინც არ ესიამოვნა.

– ...იძულებული ვარ, დამბლდორს ვუთხრა, რომ ხვალ ღამის ცვლაში ვერ ვიმორიგევებ, ძ...ძალიან დავიღალე, – დაასრულა ტონ-ქსმა მთქნარებით.

– მე შეგცვლი, – შეჰპირდა ბატონი უისლი, – მშვენივრად ვგრძნობ თავს, ოღონდ ეს არის, ანგარიში მაქვს დასაწერი...

ჯადოქრის მანტიის ნაცვლად, ბატონ უისლის წვრილზოლიანი შარვალი და ტყავის ძველი პიჯაკი ეცვა. ტონქსიდან მზერა ჰარიზე გადაიტანა:

– თავს როგორ გრძნობ?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– ყველაფერი ძალიან სწრაფად დამთავრდება, – გაამხნევა ბატონ-მა უისლიმ, – რამდენიმე საათი და, თავისუფალი იქნები.

ჰარის არაფერი უთქვამს.

– მოსმენა ჩემს სართულზე მოეწყობა, ამელია ბონსის კაბინეტში. ამელია ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარეა. ძირითადად ის დაგისვამს კითხვებს.

– ამელია ბონსი კარგი ვინმეა, ჰარი. სამართლიანია, ყურადღებით მოგისმენს, – დაამშვიდა ტონქსმა.

ჰარიმ თავი დაუქნია, მაგრამ ხმის ამოღება ვერც ახლა მოახერხა.

– არ დაიბნე, – მკაფიოდ უთხრა სირიუსმა, – იყავი თავაზიანი და მარტო ფაქტებით ილაპარაკე.

ჰარიმ კიდევ ერთხელ დაუქნია თავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კანონი შენს მხარეზეა, – დაიჩურჩულა ლუპინმა, – არასრულწლოვან ჯადოქრებსაც შეუძლიათ ჯადოქრობის გამოყენება, როცა მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

უცებ ჰარიმ იგრძნო, რომ კისერში რაღაც ძალიან ცივი ჩაეღვარა. ის იყო გაიფიქრა, ვიღაცამ დეილუზიონირების შელოცვა გამოიყენაო, რომ მალევე მიხვდა, ქალბატონი უისლი მის დაუმორჩილებელ თმას სველი სავარცხლით ებრძოდა და თან ვიშვიშებდა:

– ოდესმე მაინც დალაგდება თუ არა?!

ჰარიმ თავი გადააქნია.

ბატონმა უისლიმ საათს დახედა და ჰარის მიუბრუნდა:

– ჩვენი წასვლის დროა. ცოტა ადრე კია, მაგრამ აქ ყურყუტს სამინისტროში მოცდა სჯობს.

– კარგი, – მექანიკურად თქვა ჰარიმ, პურის ნაჭერს ხელი უშვა და ადგა.

– ყველაფერი კარგად იქნება, ჰარი, – გაამხნევა ტონქსმა და მხარზე მოეფერა.

– წარმატებას გისურვებ, – თქვა ლუპინმა, – დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

– თუ არადა, პირადად მე მივხედავ ამელია ბონსს, – შუბლშეკვრით შეჰპირდა სირიუსი.

ჰარიმ უნდილად გაიღიმა. ქალბატონი უისლი მოეხვია და მიესიყვარულა:

– ყველანი შენთან ვართ.

– დიდი მადლობა... აბა, კარგად იყავით... – დაემშვიდობა ჰარი ყველას და ბატონ უისლის ფეხდაფეხ მიჰყვა. დერეფანში გავლისას ესმოდა, როგორ ქსუტუნებდა სირიუსის დედა ფარდებს მიღმა. ბატონმა უისლიმ კარი გააღო და ისინი ცივი და ნაცრისფერი დილის ბინდბუნდში მოედანზე გავიდნენ.

– თქვენ ხომ საერთოდ, სამსახურში ფეხით არ დადიხართ? – იკითხა ჰარიმ, როცა სწრაფად გაუყვნენ ტროტუარს.

– არა, როგორც წესი, აპარაციას ვიყენებ, – უპასუხა ბატონმა უისლიმ, – მაგრამ შენ, რა თქმა უნდა, ეს არ შეგიძლია და, საერთოდაც, უკეთესი იქნება, თუ ყოველგვარი ჯადოქრობის გარეშე გამოვცხადდებით... ეს სასიკეთო შთაბეჭდილებას მოახდენს, თუ გავიხსენებთ, რომ შენ ბრალს გდებენ... ბატონ უისლის ხელი პიჯაკქვეშ ჰქონდა დამალული. ჰარი ხვდებოდა, რომ ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა მომარჯვებული. უსახური ქუჩები თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ როგორც კი პატარა, უბადრუკ მეტროს სადგურს მიუახლოვდნენ, ხალხის ნაკადმა იმატა. თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაფლული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგლების უშუალო სიახლოვეს აღმოჩნდებოდა თუ არა, ბატონი უისლი ძლივს მალავდა აღფრთოვანებას.

– რა საოცრებაა, – წაიჩურჩულა მან და ბილეთების ავტომატებზე უჩვენა, – გამომგონებლობის მწვერვალია.

– გაფუჭებულია, – ჰარიმ წარწერა დაანახა.

– და მაინც... – ბატონი უისლი აღტაცებული შესცქეროდა ავტომატებს.

ბილეთები ნახევრად მძინარე მოლარისგან იყიდეს (ჰარიმ იყიდა, იმიტომ რომ ბატონი უისლი შეჩვეული არ იყო მაგლური ფულის თვლას), ხუთი წუთის შემდეგ კი ვაგონი დგანდგარითა და ძაგძაგით მიაქანებდათ ლონდონის ცენტრისკენ. ბატონი უისლი წამდაუწუმ ამოწმებდა ფანჯარასთან დაკიდებულ მეტროპოლიტენის სქემას.

– კიდევ ოთხი გაჩერება, ჰარი... სამიღა დარჩა... კიდევ ორი უნდა გავიაროთ...

როგორც კი ერთ-ერთ ცენტრალურ სადგურზე მატარებლიდან გადმოვიდნენ, ისინი გაწკეპილტანისამოსიანი ქალებისა და კაცების ნაკადმა წაიღო. მერე ესკალატორს აუყვნენ, გაიარეს ფოიე (ბატონი უისლი მოხიბლული უყურებდა, როგორ ყლაპავდა აპარატი მის ბილეთს) და გავიდნენ მანქანებით გადაჭედილ ფართო ქუჩაში, რომელზედაც სოლიდური შენობები ჩარიგებულიყო.

– სად ვართ? – იკითხა დაბნეულმა ბატონმა უისლიმ. ჰარის წამით გული შეუქანდა: ნუთუ სქემის ამდენი თვალიერების შემდეგ ბატონი უისლი მაინც შეცდა და იმ სადგურზე არ ჩამოვიდნენ? მაგრამ ბატონმა უისლიმ იქვე დაამატა: – ჰო, რა თქმა უნდა... აქეთ, ჰარი, – და გვერდით ქუჩისკენ წაიყვანა.

– მაპატიე, აქ მეტროთი არასოდეს მოვსულვარ, მაგლური თვალთახედვით კი ყველაფერი ცოტა სხვანაირად გამოიყურება, – აუხსნა მან, – მართალი გითხრა, არასოდეს მისარგებლია ამ შესასვლელით.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ, მით უფრო პატარა და უსახური ხდებოდა სახლები. ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩაზე გავიდნენ. აქ სულ რამდენიმე უბადრუკი შენობა, ლუდის ბარი და გადავსებული ნაგვის კონტეინერი იდგა. ჰარის ვერაფრით წარმოედგინა, რომ მაგიის სამინისტრო ასეთ უსახურ ადგილას იქნებოდა.

– მოვედით, – ხალისიანად განაცხადა ბატონმა უისლიმ და ძველ, გაქუცულ, მინებჩამტვრეულ ტელეფონის წითელ ჯიხურზე აჩვენა. ჯიხური ცარცით მოხატულ ყრუ კედელთან იდგა, – გთხოვთ. – თქვა და თანამგზავრს კარი გაუღო. ჰარი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული შევიდა ჯიხურში. ბატონი უისლიც შიგ შეეკვეხა და კარი მიხურა. აქ ორივესთვის სამყოფი ადგილი ნამდვილად არ იყო. ჰარი ტელეფონის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აპარატს მიეჭეჭყა. აპარატი მრუდედ ეკიდა, თითქოს ვიღაც ხულიგანს მისი ჩამოგლეჯა უცდიაო. ბატონმა უისლიმ ყურმილი აიღო.

– ბატონო უისლი, მე მგონი, ტელეფონიც გატეხილია, – შენიშნა ჰარიმ.

– არა, არა, დარწმუნებული ვარ, მუშაობს, – თავდაჯერებით თქვა ბატონმა უისლიმ. ყურმილი თავს ზემოთ ეჭირა და თან დისკს აკვირდებოდა, – აბა... ექვსი, – ნომრის აკრეფა დაიწყო, – ორი... ოთხი... ისევ ოთხი... ისევ ორი...

როცა დისკი ჩუმი ჭრიჭინით დაუბრუნდა თავის ადგილს, ჯიხურში ქალის ცივი ხმა გაისმა, თან შორიდან ან ყურმილიდან კი არა, ხმა ისეთი ნათელი და მკვეთრი იყო, გეგონებოდა, უხილავი ქალი აქვე, გვერდით დგასო:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მაგიის სამინისტროში. თუ შეიძლება, დაასახელეთ თქვენი გვარი და მოსვლის მიზანი.

– ეე... – ენა დაება ბატონ უისლის. ეტყობოდა, არ იცოდა, ყურმილით ეპასუხა თუ არა. მერე ერთგვარი კომპრომისი მოძებნა და ყურმილის ის ნაწილი, რომელშიც ლაპარაკობენ, ყურთან მიიტანა, – არტურ უისლი, მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტი. სადისციპლინო მოსმენაზე გამოძახებულ ჰარი პოტერს ვაცილებ...

– გმადლობთ, – თქვა ქალის ცივმა ხმამ, – გთხოვთ, აიღოთ სამკერდე ნიშანი და წინიდან დაიმაგროთ მანტიაზე.

რაღაცამ გაიჩხაკუნა, გაიტკაცუნა და ჰარიმ მონეტების დასაბრუნებელი ლითონის ნაპრალიდან ჩამოსრიალებული კვადრატული ფორმის ვერცხლის სამკერდე ნიშანი დაინახა. ზედ ეწერა: „ჰარი პოტერი. სადისციპლინო მოსმენა“. ჰარიმ ნიშანი მაისურზე მიიბნია. კვლავ გაისმა ქალის ხმა:

– პატივცემულო სტუმარო, თქვენ შემოწმება უნდა გაიაროთ და დაარეგისტრიროთ თქვენი ჯადოსნური ჯოხი მორიგე ჯადოქართან, რომლის პოსტიც ატრიუმის მეორე ბოლოში მდებარეობს.

ტელეფონის ჯიხურის იატაკი შეირყა და ნელა ჩაცურდა ქვევით. ჰარი შიშით უყურებდა, როგორ მიიწევდა მაღლა და მაღლა მინებს იქით დარჩენილი ტროტუარი, სანამ სიბნელე არ შეიკრა მათ თავებს ზემოთ. ამის შემდეგ ჰარი ერთხანს ვეღარაფერს ხედავდა. მხოლოდ რაღაც მექანიზმის მონოტონური ხმა ესმოდა. მიწისქვეშ გადაადგილების რამდენიმე წუთის შემდეგ (თუმცა, ჰარის მოეჩვენა, რომ ეს მგზავრობა გაცილებით დიდხანს გაგრძელდა) ფეხსაცმელი ოქროსფერი სინათლის ზოლმა გაუნათა. სინათლე ნელ-ნელა გაფართოვდა, მთელ სხეულზე მოედო, თვალებში ეცა და აიძულა, დაეხამხამებინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგიის სამინისტრო სასიამოვნო დღეს გისურვებთ, – თქვა ქალის ხმამ.

ჯიხურის კარი გაიღო, ბატონი უისლი გავიდა, ჰარიც უკან მიჰყვა და გაოცებისგან პირი დააღო:

ძალიან გრძელი, ბრწყინვალე დარბაზის ბოლოში იდგნენ. მუქი, ლაქწასმული პარკეტის იატაკი სარკესავით ბზინავდა. ლაპლაპა მოლურჯო ჭერზე ოქროს სიმბოლოები კაშკაშებდა. ისინი წამდაუწუმ იცვლიდნენ ადგილსა და სახეს, რითაც ჭერს ვეებერთელა ციური განცხადებების დაფას ამსგავსებდნენ. მუქი ხის პრიალა პანელით დაფარულ კედლებზე უამრავი მოოქრული ბუხარი მოეწყოთ. რამდენიმე წამში ერთხელ მარცხენა კედლის ხან ერთ, ხან მეორე ბუხარში ზუზუნით ჩნდებოდა ჯადოქარი. მარჯვენა მხარეს, ბუხრების წინ, სამინისტროდან წამსვლელთა პატარა რიგები იდგა.

დარბაზის შუაგულში დიდი ოქროსფიგურებიანი შადრევანი იყო. მრგვალი აუზის ცენტრში ყველაზე მაღალი ფიგურა გამოხატავდა კეთილშობილ ჯადოქარს, რომელსაც ჯადოსნური ჯოხი ჰაერში შეემართა. მის გარშემო იდგნენ ჯადოქარი ქალი, კენტავრი, გობლინი და შინაური ელფი. ეს სამნი ორივე ჯადოქარს თაყვანისცემით შესცქეროდნენ. ჯადოსნური ჯოხების ბოლოებიდან, კენტავრის ისრის ბუნიკიდან, გობლინის შლაპის წვეროდან და ელფების ყურებიდან წყლის ბრჭყვიალა ნაკადი მოჩქეფდა. წყლის ჩხრიალი აპარაციის ტკაცატკუცს, ფეხსაცმლის ჭრაჭუნსა და შრიალს უერთდებოდა. ასობით ჯადოქარს, დილის კვალობაზე, მეტწილად, მოღუშულებს, ატრიუმის მოპირდაპირე მხარისკენ ეჭირა გეზი. სულ ბოლოს ოქროს კარი მოჩანდა.

– იქით, – თქვა ბატონმა უისლიმ.

ისინი სამინისტროს თანამშრომელთა ნაკადს შეუერთდნენ. ზოგიერთს პერგამენტების გროვა ეჭირა ხელში, ზოგს – გახუნებული პორტფელი, ზოგიც „დილის მისანს“ კითხულობდა. შადრევანს რომ გაუსწორდნენ, ჰარიმ აუზის ფსკერზე ვერცხლის სიკლები და ბრინჯაოს კნატები შენიშნა. გვერდით, პატარა გახუნებულ დაფაზე, ეწერა:

ჯადოსნური საძმოს შადრევნის მთელი შემოსავალი გადაეცემა წმინდა მუნგოს კლინიკას.

„თუ ჰოგვორტსიდან არ გამრიცხავენ, ათ გალეონს შევწირავ“, – სასოწარკვეთით გაიფიქრა ჰარიმ.

– აქეთ, ჰარი, – დაუძახა ბატონმა უისლიმ და ოქროს კარისკენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიმავალი ხალხის ნაკადს ჩამოშორდნენ. მათგან მარცხნივ, მაგიდასთან ლურჯად მოღაღანე მანტიამოსხმული, უხეიროდ გაპარსული ჯადოქარი იჯდა. მის თავზემოთ პატარა დაფა იყო გაკრული, ზედ ეწერა „დაცვა“. მცველმა „დილის მისნის“ კითხვას თავი ანება.

– მე სტუმარს ვაცილებ, – აუხსნა ბატონმა უისლიმ და ჰარიზე უჩვენა.

– აქეთ მობრძანდით, – თქვა მორიგემ მოწყენილი ხმით. ჰარი მიუახლოვდა, ჯადოქარმა გრძელი, მანქანის ანტენასავით წვრილი და დრეკადი ოქროს წკეპლა ასწია და ჰარის ზევიდან ქვევით ჩამოუსვა.

– ჯადოსნური ჯოხი, – ჩაიბურტყუნა მორიგე ჯადოქარმა მცველმა, – ოქროს წკეპლა დადო და ხელი გამოიშვირა.

ჰარიმ ჯოხი მისცა, მცველმა რაღაც სასწორისმაგვარ თითბრის მოწყობილობაზე დადო, რომელსაც მხოლოდ ცალი პინა ჰქონდა. მექანიზმი აძაგძაგდა, ძირში გაკეთებული ნაპრალიდან პერგამენტის ვიწრო ზოლი გამოსრიალდა. ჯადოქარმა მოხია და წაიკითხა:

– ოცდაათი სანტიმეტრი, ფენიქსის ბუმბულით, ოთხი წელიწადია, ხმარობენ. ასეა?

– ასეა, – ნერვიულად დაუდასტურა ჰარიმ.

– ეს – მე, – თქვა მცველმა და პერგამენტი თითბრის პატარა სადგისზე ჩამოაცვა, – ეს კი – თქვენ, – ჯადოსნური ჯოხი უკანვე დაუბრუნა ჰარის.

– გმადლობთ.

– ერთი წუთით... – დინჯად თქვა მორიგემ.

მზერა ვერცხლის სამკერდე ნიშნიდან ჰარის ნაიარევ შუბლზე გადაუხტა.

– გმადლობ, ერიკ, – მკაცრად მოუჭრა ბატონმა უისლიმ, ჰარის მხარზე მოხვია ხელი და ოქროს კარისკენ მიმავალი ხალხის ნაკადს მიჰყვნენ.

ჰარიმ და ბატონმა უისლიმ გაიარეს კარი და უფრო მცირე დარბაზში აღმოჩნდნენ, სადაც ოქროს მოაჯირებს იქით, სულ ცოტა, ოცი ლიფტი მოჩანდა. ჰარი და ბატონი უისლი, სხვებთან ერთად, ერთ მათგანთან შეჩერდნენ. იქვე წვერიანი ახმახი ჯადოქარი იდგა. ხელში დიდი მუყაოს ყუთი ეჭირა, საიდანაც ფხაჭუნი მოისმოდა.

– როგორაა საქმეები, არტურ? – იკითხა ჯადოქარმა.

– აქ რა გაქვს, ბობ? – თავის მხრივ იკითხა ბატონმა უისლიმ და ყუთს შეხედა.

– ზუსტად არ ვიცით, – სერიოზულად თქვა ჯადოქარმა, – ჩვეულებრივი წიწილა გვეგონა, იმან კი ალის გამოფრქვევა დაიწყო. ექს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პერიმენტული სელექციის აკრძალვის სერიოზულ დარღვევასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ლიფტი ჭრიალითა და ზათქით დაეშვა, ოქროს გისოსები გაიხსნა და ჰარი და ბატონი უისლი დანარჩენებთან ერთად კაბინაში შევიდნენ. კედელთან მიჭეჭყილ ჰარის ზოგიერთი მგზავრი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა, ის კი ცდილობდა, შუბლზე ქოჩორი ჩამოეფარებინა, თან იატაკს ჩაშტერებოდა, რომ მათთვის არ შეეხედა. გისოსები გრუხუნით შეიკრა და ლიფტი ჯაჭვების ღრჭიალით ნელა წავიდა ზევით. ისევ გაისმა იმ ქალის ხმა, ტელეფონის ჯიხურში რომ გაიგონა.

– მეშვიდე დონე: ჯადოსნური თამაშებისა და სპორტის დეპარტამენტი. ქვიდიჩის ბრიტანულ-ირლანდიური ლიგის შტაბი, კენჭობანას კლუბი და ჯადოსნური ხუმრობების საპატენტო სექტორი.

ლიფტის კარი გაიღო. ჰარიმ უღიმღამო დერეფანი დაინახა. კედლებზე აცაბაცად დაეკიდათ ქვიდიჩის გუნდების სარეკლამო პლაკატები. ცოცხებით დახუნძლულმა ჯადოქარმა ლიფტიდან ძლივს გააღწია და დერეფანს გაუყვა. კარი დაიხურა, ლიფტმა დგანდგარით განაგრძო გზა. მერე ქალის ხმამ ისევ გამოაცხადა:

– მეექვსე დონე: ჯადოსნური ტრანსპორტის დეპარტამენტი, ფლუ-ფხვნილის ქსელის ცენტრი, ლითონზე კონტროლის სექტორი, პორტაჟების სამმართველო და აპარაციის საგამომცდელო ცენტრი.

კარი კვლავ გაიღო და ხუთი თუ ექვსი კაცი გავიდა. ამასობაში კაბინაში ქაღალდის რამდენიმე ჩიტი შემოფრინდა. ნელა, უაზროდ დასტრიალებდნენ მგზავრებს თავზე. ჰარიმ ყურადღებით შეათვალიერა. ყველა ჩიტი მკრთალი იისფერი იყო, ფრთის გასწვრივ დამღა ჰქონდათ: „მაგიის სამინისტრო“.

– სამსახურებრივი წერილებია დეპარტამენტიდან დეპარტამენტში, – ჩუმად აუხსნა ბატონმა უისლიმ, – ადრე ბუებით სარგებლობდნენ, მაგრამ ისეთი ჭუჭყი იყო... მაგიდებზე სულ სკინტლი ცვიოდა...

სანამ ლიფტი ზრიალითა და დგანდგარით მიიწევდა ზევით, სამსახურებრივი წერილები კაბინის ჭერზე დაკიდებული ლამპის გარშემო ტრიალებდნენ.

– მეხუთე დონე: საერთაშორისო ჯადოსნური თანამშრომლობის დეპარტამენტი – სავაჭრო სტანდარტების დამდგენი საბჭო, ჯადოსნური კანონმდებლობის საერთაშორისო ბიურო და ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის ბრიტანეთის ფილიალი.

როცა კარი გაიღო, გამსვლელთა თავებს ზემოთ ორმა სამსახურებრივმა წერილმა გადაიფრინა, სანაცვლოდ რამდენიმე ახალი შემოფრინდა. ისინიც ლამპის გარშემო დატრიალდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეოთხე დონე: ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტი, მხეცების, არსებებისა და სულების განყოფილება, გობლინებთან კავშირის სამმართველო და მავნებლებთან ბრძოლის საკონსულტაციო ბიურო.

– მაპატიეთ, – თქვა ალმფრქვევწიწილიანმა ჯადოქარმა და გავიდა. მას თან გაჰყვა მფრინავი წერილების მთელი გუნდი. კარი კვლავ ჭრიალით დაიხურა.

– მესამე დონე: ჯადოსნური შემთხვევებისა და კატასტროფების დეპარტამენტი, ჯადოქრული შეცდომების გამოსწორების დეპარტამენტი, ობლივიატორთა შტაბი და მაგლებთან საზოგადოებრივი ურთიერთობის კომიტეტი.

ამ სართულზე კაბინიდან ყველა გავიდა, გარდა ჰარის, ბატონი უისლის და ჯადოქარი ქალისა, პერგამენტის გრძელ გრაგნილს რომ კითხულობდა, რომლის ბოლო იატაკზე დასთრევდა. სანამ კაბინა ქანაობა-ქანაობით ზევით მიიწევდა, დარჩენილი მფრინავი წერილები ისევ ლამპას უვლიდნენ გარს. მერე კარი გაიღო და ხმამ გამოაცხადა:

– მეორე დონე: ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების დეპარტამენტი, მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტი, აურორთა შტაბი და ვიზენგამოტის ადმინისტრაციული სამსახურები.

– მოვედით, – თქვა ბატონმა უისლიმ და ჯადოქარ ქალთან ერთად გავიდნენ დერეფანში. აქეთ-იქით უამრავი კარი იყო, – ჩემი კაბინეტი დერეფნის ბოლოშია.

– ეს როგორ ხდება, ბატონო უისლი, – იკითხა ჰარიმ, როცა გაუარეს ფანჯარას, საიდანაც დღის შუქი იღვრებოდა, – ჩვენ რა, მიწისქვეშ არა ვართ?

– ჰო, მიწისქვეშეთში ვართ, – დაუდასტურა ბატონმა უისლიმ, – ეს ჯადოსნური ფანჯრებია. თუ როგორი ამინდი უნდა იდგეს ამ ფანჯრებს მიღმა, ამას ჯადოსნური მეურნეობის დეპარტამენტი წყვეტს. ახლახან გადავიტანეთ ორთვიანი ქარიშხალი – ამგვარი ხერხით აგრძნობინებდნენ, რომ ხელფასის მომატება სურდათ... აქეთ, ჰარი.

კუთხეში შეუხვიეს, ორფრთიანი მასიური მუხის კარი გაიარეს და აღმოჩნდნენ დიდ დარბაზში, რომელიც ერთიმეორისგან გამოცალკევებულ პატარ-პატარა განყოფილებებად იყო დაყოფილი. დარბაზი ლაპარაკისა და სიცილისგან გუგუნებდა. მფრინავი წერილები მინირაკეტებივით დაფრინავდნენ წინ და უკან. უახლოესი განყოფილების მოაჯირზე გვერდულად ეკიდა დაფა: „აურორთა შტაბი“.

ჰარი მალულად იყურებოდა კარებში. აურორთა სამუშაო ოთახების კედლებზე უამრავი რაღაც გაეკრათ, აქ იყო იმ ჯადოქრების სურათები, რომლებზეც ძებნა იყო გამოცხადებული; ახლობელთა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფოტოები; ქვიდიჩის საყვარელი გუნდების პლაკატები; ამონაჭრები „დილის მისნიდან". ერთ განყოფილებაში ალისფერმანტიიანი მამაკაცი მაგიდაზე ფეხებშეწყობილი იჯდა და ბატის ფრთას ანგარიშს ჰკარნახობდა. კაცს უკან შეკრული თმა უფრო გრძელი ჰქონდა, ვიდრე ბილს. ოდნავ მოშორებით ცალთვალახვეული ჯადოქარი ტიხარს იქით კინგსლი შეკლბოლტს ელაპარაკებოდა.

– დილა მშვიდობისა, უისლი, – უგულოდ გადმოუგდო კინგსლიმ, როცა ახლოს მივიდნენ, – შეიძლება, ერთი წუთით?

– თუ მართლა ერთი წუთით, თანახმა ვარ, – უთხრა ბატონმა უისლიმ, – სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მაქვს.

ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ძალიან შორიდან იცნობდნენ ერთმანეთს. ჰარიმ პირი დააღო, რათა კინგსლის მისალმებოდა, მაგრამ ბატონმა უისლიმ დროზე დააბიჯა ფეხი. ისინი ბოლო განყოფილებისკენ გაჰყვნენ კინგსლის.

ჰარი დაიზაფრა – ყველა მხრიდან სირიუსის სახე უცქეროდა. კედლებზე უხვად იყო გაკრული ძველი ფოტოები და გაზეთებიდან ამონაჭრები, იმ ფოტოს ჩათვლით, რომელზედაც სირიუსი მეჯვარე გახლდათ პოტერების ქორწილში. ერთადერთი თავისუფალი ადგილი მსოფლიოს რუკა იყო, რომელზედაც წითელთავიანი ჭიკარტები ძვირფასი თვლებივით ელვარებდნენ.

– აი, – საქმიანად თქვა კინგსლიმ და ბატონ უისლის ხელში პერგამენტების დასტა ჩაუტენა, – მე მჭირდება სრული ინფორმაცია მაგლების მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ფრენისას იყვნენ შემჩნეული უკანასკნელი წლების განმავლობაში. ჩვენ გვაქვს ცნობები იმის თაობაზე, რომ ბლექი ისევ სარგებლობს თავისი ძველი მოტოციკლით, – ჰარის თვალი ჩაუკრა და ჩურჩულით დაამატა: – აჩვენე ჟურნალი, დაინტერესდება, – მერე კი ისევ ჩვეულებრივი ხმით განაგრძო: – იჩქარეთ, უისლი, თქვენი ანგარიშის დაგვიანებამ ცეცხლნაკადი იარაღის შესახებ ჩვენი გამოძიება მთელი თვით შეაყოვნა.

– თუ ჩემი ანგარიში წაიკითხეთ, გეცოდინებათ, რომ იარაღი ცეცხლნაკადი კი არა, ცეცხლსასროლია, – ცივად შენიშნა ბატონმა უისლიმ, – რაც შეეხება ინფორმაციას მოტოციკლის შესახებ, ვფიქრობ, მოცდა მოგიწევთ. ახლა ძალიან ბევრი საქმე მაქვს, – ხმას დაუწია და დაამატა: – შეეცადე, შვიდამდე გათავისუფლდე, მოლის დღეს ვახშამზე გუფთა აქვს.

მომყევიო, ხელით ანიშნა ჰარის და კინგსლის განყოფილებიდან გავიდა. მუხის მეორე კარი რომ გაიარეს, მორიგ გასასვლელში გავიდნენ, მერე მარცხნივ შეუხვიეს, დერეფანი უკან მოიტოვეს და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მარჯვნივ, ახალ დერეფანში გავიდნენ, რომელშიც ოდნავ ბჟუტავდა სინათლე და მოუვლელიც ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, ჩიხს მიადგნენ. მარცხენა მოღიავებული კარიდან საკუჭნაო მოჩანდა, მარჯვენა კარის ფერგადასული თითბრის ფირფიტაზე ეწერა: „მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტი“.

ბატონი უისლის უბადრუკი კაბინეტი ლამის საკუჭნაოზე პატარა იყო. ერთმანეთზე მიტყუპებული ორი საწერი მაგიდის გვერდით გავლა ჭირდა – მეორე მხარეს ჩამწკრივებული იყო კარტოთეკის კარადები, რომლებზედაც საქაღალდეები იყო დახვავებული. კედელზე დარჩენილი ერთი ბეწო ცარიელი ადგილი აშკარად ღაღადებდა ბატონ უისლის მიდრეკილებებზე: აქ იყო ავტომობილების რამდენიმე პლაკატი, სურათი მანქანიდან ამოღებული ძრავის გამოსახულებით, საფოსტო ყუთის ორი ფოტო, რომლებიც მაგლების საბავშვო წიგნებიდან უნდა ყოფილიყო ამოჭრილი, და შტეფსელთან მავთულების მიერთების სქემა.

შემოსული მასალებისთვის განკუთვნილი ათასი ხარახურით სავსე ყუთს ამშვენებდა ძველისძველი ტოსტერი, რომლის გაუთავებელი სლოკინი სევდით ავსებდა ოთახს. აქვე იყო ტყავის წყვილი ხელთათმანი, რომელიც უსაქმურობისგან ცერებს ათამაშებდა. ყუთის გვერდით უისლების ოჯახური ფოტო იდო. ჰარიმ შეამჩნია, რომ ფოტოზე პერსი არ ჩანდა.

– სამწუხაროდ, ფანჯარა არა გვაქვს, – მოიბოდიშა ბატონმა უისლიმ, ტყავის პიჯაკი გაიძრო და სკამის ზურგს შემოაცვა, – ვთხოვეთ, მაგრამ იმათ მიაჩნიათ, რომ ეს ზედმეტი ფუფუნებაა. დაჯექი, ჰარი, პერკინსი ჯერ არ მოსულა.

ჰარი პერკინსის მაგიდასთან მდგარ სკამზე რის ვაი-ვაგლახით მოთავსდა. ბატონმა უისლიმ კი კინგსლის მიცემული პერგამენტების დასტის ქექვა დაიწყო.

– ჰმ! – ჩაიცინა, როცა იქიდან ჟურნალი „ქარაგმები“ გამოაძრო, – ჰო... – სწრაფად გადაფურცლა ჟურნალი, – ჰო, ის მართალია, სირიუსი გემოზე გაერთობა... ოჰო! ეს რაღაა?

ღია კარში მფრინავი წერილი შემოსრიალდა, ფრთები დაიქნია და ასლოკინებულ ტოსტერს დაასკუპდა. ბატონმა უისლიმ გაშალა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

– „საზოგადოებრივ საპირფარეშოში აღმოჩენილია მესამე მფრქვევი უნიტაზი, ამჯერად – ბეთნალ გრინში. დაუყოვნებლივ მიხედეთ“. ეს უკვე მეტისმეტია...

– მფრქვევი უნიტაზი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ანტიმაგლური ოინებია, – წარბი შეიკრა ბატონმა უისლიმ, – ლონდონის სულ სხვადასხვა რაიონში აღმოჩნდება ხოლმე. წინა კვირას ორი შემთხვევა იყო – ერთი უიმბლდონში, ერთიც – ელეფანტ ენდ კასტლში. მაგლი უნიტაზის ჩარეცხვას შეეცადა და, იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი წყალს წაელო... ხომ წარმოგიდგენია, რა იქნებოდა. საცოდავები, იმათ... საქტენიკებს, თუ არ ვცდები... აი, მილებისა და ამგვარი რაღაცეების შემკეთებლებს...

– სანტექნიკოსებს?

– ჰო, სწორედ ეგრეა. ისინიც, ცხადია, მხოლოდ მხრებს იჩეჩენ. მარტო იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ვიპოვით, ვინც ამით ერთობა.

– ვინ უნდა მოძებნოს, აურორებმა?

– რა თქმა უნდა, არა. მათთვის ეს წვრილმანი საქმეა. ალბათ, ეს უფრო ჯადოსნური წესრიგის ორგანოების პატრულს დაევალება... აი, პერკინსიც მოვიდა, გაიცანი, ჰარი.

კაბინეტში აქოშინებული შემოვიდა უწყინარი სახის გამხდარი, ბებერი, ჭაღარათმიანი ჯადოქარი.

– არტურ! – პერკინსი განერვიულებული ჩანდა, ჰარისთვის არც შეუხედავს, – ძალიან კარგი, თორემ არც კი ვიცოდი, რა მექნა. დაგლოდებოდი თუ შენს საძებნელად წამოვსულიყავი. ეს-ეს არის, ბუ გამოგიგზავნე, ეტყობა, გზაში ასცდით... ათი წუთის წინ სასწრაფო შეტყობინება მოვიდა...

– უკვე ვიცი მფრქვევი უნიტაზების შესახებ, – შეაწყვეტინა ბატონმა უისლიმ.

– არა, უნიტაზი არა, ეს პოტერების ბიჭის საქმეზე მოსმენას ეხება. დრო და ადგილი შეცვალეს – რვა საათზე ქვევით, ნომერ მეათე სასამართლოს ძველ დარბაზში გაიმართება...

– ძველ დარბაზში... ქვევით... მაგრამ მე ხომ მითხრეს... ოჰ, მერლინ!

ბატონმა უისლიმ საათს დახედა და წამოხტა.

– ჩქარა, ჰარი, ჩვენ იქ ხუთი წუთის წინ უნდა ვყოფილიყავით!

პერკინსი კარტოთეკას აეკრა, რათა ბატონი უისლისთვის გასვლის საშუალება მიეცა. ჰარიც მიჰყვა ბატონ უისლის და გზადაგზა ქოშინით ეკითხებოდა:

– რატომ შეცვალეს დრო? – ჰარის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პერკინსის სამუშაო მაგიდაზე მთელი შიგნეულობა დატოვა.

– წარმოდგენა არა მაქვს, კიდევ კარგი, რომ ადრე მოვედით! კატასტროფა იქნებოდა, რომ არ გამოცხადებულიყავი!

ლიფტთან ბატონი უისლი მოწყვეტით შეჩერდა და თითი პირდაპირ ატაკა ღილაკს, რომლის ისარიც ქვევით უჩვენებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩქარა, ჩქარა!

ლიფტი გრუხუნით გაჩერდა. ისინი კაბინაში შეცვივდნენ. ყოველ შეჩერებაზე ბატონი უისლი ლანძღვა-გინებით იკლებდა მეცხრე დონის ღილაკს.

– მაგ დარბაზით წლობით არ უსარგებლიათ, – გაბრაზებულმა თქვა, – არ მესმის, რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ის... ვითომ... მაგრამ არა...

ამ დროს ლიფტში ფუმფულა ჯადოქარი ქალი შემოვიდა ოხშივარადენილი თასით და ბატონი უისლი გაჩუმდა.

– ატრიუმი, – გამოაცხადა ქალის ცივმა ხმამ, – მერე ოქროს გისოსები გაიხსნა და ჰარიმ შორიდანვე დაინახა ფიგურებიანი შადრევანი. ფუმფულა ქალი ლიფტიდან გავიდა, კაბინაში კი მიწისფერი და მწუხარესახიანი ჯადოქარი შემოვიდა.

– დილა მშვიდობისა, არტურ, – მიესალმა ბატონ უისლის, როცა ლიფტი დაიძრა. ხმა თითქოს სამარიდან ისმოდა, – მიწისქვეშეთში მაინცდამაინც ხშირი სტუმარი არ ხარ.

– სასწრაფო საქმეა, ბოუდ, – უპასუხა ბატონმა უისლიმ, მოუთმენლობისგან ადგილზე ვერ ისვენებდა, თან შეშფოთებული უყურებდა ჰარის.

– გასაგებია, – თქვა ბოუდმა და ჰარი შეათვალიერა, – რა თქმა უნდა.

ბოუდის ჩაციებულ მზერას სიმშვიდე არ მოუტანია ჰარისთვის. თუმცა, არც საიმისო სულიერი ძალა ჰქონდა, რომ თანამგზავრისთვის ყურადღება დაეთმო.

– საიდუმლოებების დეპარტამენტი, – გამოაცხადა ქალის ცივმა ხმამ.

– ცოცხლად, ჰარი! – უბრძანა ბატონმა უისლიმ, როცა ლიფტის კარი ღრჭიალით გაიღო.

ისინი სწრაფად გაუყვნენ დერეფანს, რომელიც სულ არ ჰგავდა იმ დერეფნებს, ზევით რომ ნახა ჰარიმ. კედლები შიშველი იყო. არც კარი ჩანდა სადმე, არც ფანჯრები, გარდა დერეფნის ბოლოში დატანებული ერთადერთი სრულიად შავი კარისა. ჰარი ფიქრობდა, რომ სწორედ იქ შევიდოდნენ, მაგრამ ბატონმა უისლიმ ხელი სტაცა და მარცხნივ წაიყვანა, იქ კიბე დახვდათ.

– ქვევით, ქვევით, – ბატონი უისლი კისრისტეხით ჩაუყვა საფეხურებს, – აქ ლიფტიც კი არ არის... რატომ გადაწყვიტეს, აქ მოეწყოთ, ვერ გამიგია...

კიბეზე ჩაირბინეს, ახლა სხვა დერეფნით გაიქცნენ. აქაურობა ძალიან ჰგავდა სნეიპის ბუნაგს ჰოგვორტსის მიწისქვეშეთში. ქვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კედლებზე დამაგრებულ კავებში ჩირაღდნები ენთო. აქეთ-იქით რკინისურდულებიანი რამდენიმე მასიური ხის კარი იყო, რომლებსაც რკინითვე მოჭედილი გასაღების ჭრილი ჰქონდა დატანებული.

– სასამართლო დარბაზი... ნომერი ათი... მგონი... ჩვენ თითქმის... ჰო.

ბატონი უისლი მკვეთრად შეჩერდა რკინის ვეებერთელაბოქლომიანი, შავად გამურული კარის წინ და კედელს მიეყრდნო. გული ხელით ეჭირა.

– შედი, – ძლივს ამოთქვა, თან ხელით კარზე უჩვენა, – შედი, შედი.

– მაგრამ თქვენ... თქვენ ჩემთან ერთად არ წამოხვალთ?

– არა, არა, ჩემი წამოსვლა არ შეიძლება. წარმატებას გისურვებ!

ჰარის გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, რკინის მძიმე სახელური მოატრიალა და სასამართლო დარბაზში შევიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მერვე

მოსმენა

ჰარი ცდილობდა, მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ განცვიფრებისაგან მაინც სუნთქვა შეეკრა. ეს უკიდეგანო, შემზარავი მიწისქვეშეთი წამსვე იცნო. აქაურობა მარტო ნანახი კი არ ჰქონდა, ის აქ ნამყოფი იყო, როცა დამბლდორის საფიქრელაში ჩაიხედა. სწორედ აქ, მის თვალწინ ცოლ-ქმარ ლესტრეინჯებს აზკაბანში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

მუქი ქვის კედლებს ჩირაღდნების მკრთალი შუქი ანათებდა. მარცხნივ და მარჯვნივ ცარიელი სკამების რიგები აღმართულიყო, მაგრამ წინ, სადაც სკამები შემაღლებულ ადგილას ჩაერიგებინათ, ადამიანების მუქი სილუეტები მოჩანდა. ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ, მაგრამ როგორც კი ჰარის ზურგს უკან მძიმე კარი მიიხურა, დარბაზში ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

– თქვენ დააგვიანეთ, – გაისმა მამაკაცის ცივი ხმა.

– მაპატიეთ, – ნერვიულად თქვა ჰარიმ, – მე... არ ვიცოდი, რომ დრო შეცვალეს.

– ამაში ვიზენგამოტი არ არის დამნაშავე, – შეეპასუხა ხმა, – დილით ბუ გამოგიგზავნეთ. დაბრძანდით.

ჰარიმ დარბაზის შუაგულში მდგარ სავარძელს გახედა. სახელურებზე ჯაჭვები ეკიდა. საფიქრელაში ნანახი ჰქონდა, როგორ გაცოცხლდნენ ეს ჯაჭვები და როგორ დააბეს ბრალდებული. ქვის იატაკზე ჰარის თითოეული ნაბიჯი ხმამაღალ ექოდ ისმოდა. ის ფრთხილად ჩამოჯდა სავარძლის კიდეზე, ჯაჭვებმა მუქარით დაიჩხარუნეს, მაგრამ ხელები არ დაუბამთ. ჰარიმ ცუდად იგრძნო თავი და მის წინ მსხდომებს ახედა.

ორმოცდაათნი მაინც იქნებოდნენ. უკლებლივ ყველას ქლიავისფერი მანტია ეცვა, მკერდის მარცხენა მხარეს ვერცხლისფერი 3

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰქონდათ ამოქარგული. ყველა ჰარის დაჰყურებდა, ერთნი – მეტის-მეტად მკაცრად, მეორენი – შეუფარავი ცნობისმოყვარეობით.

წინა რიგის შუაში კორნელიუს ფაჯი, მაგიის მინისტრი იჯდა. ჩამ-რგვალებულ, ჯმუხ მამაკაცს დღეს არ ეხურა თავისი განუშორებელი ლიმონისფერი შლაპა; ის კეთილი ღიმილიც სადღაც გამქრალიყო, რომლითაც ადრე მიმართავდა ხოლმე ჰარის. ფაჯს მარცხნივ კვადრატულნიკაპიანი წარმოსადეგი ჯადოქარი ქალი ეჯდა. ქალს ძალიან მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა ჰქონდა, ცალ თვალში მონოკლი უბრწყინავდა. საკმაოდ შიშის მომგვრელად გამოიყურე-ბოდა. მარჯვნივ მეორე ჯადოქარი ქალი ეჯდა, მაგრამ ისე ღრმად იყო გადაწოლილი სკამის ზურგზე, რომ სახე არ უჩანდა.

– ძალიან კარგი, – თქვა ფაჯმა, – როგორც იქნა, ბრალდებული გამოცხადდა. შეგვიძლია, დავიწყოთ. მზად ხართ? – შეუძახა ვიღაც იქ მჯდომს.

– დიახ, სერ, – გამოეპასუხა ენთუზიაზმით სავსე ნაცნობი ხმა. პერსი, რონის ძმა, პირველი რიგის სულ განაპირას იჯდა. ჰარი მოლო-დინით შეაცქერდა, იქნებ მისალმებისნაირი რამე მაინც მანიშნოსო, მაგრამ ამაოდ. პერსის ბატის ფრთა მოემარჯვებინა და რქის სათ-ვალით პერგამენტს დასჩერებოდა.

– თორმეტი აგვისტოს სადისციპლინო მოსმენას გახსნილად ვაცხადებ, – რიხიანად წარმოთქვა ფაჯმა და პერსი მაშინვე შეუდგა ოქმის წერას, – ირჩევა საქმე არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის კანონისა და საიდუმლოს შენახვის საერთა-შორისო წესდების დარღვევის შესახებ, სარის საგრაფოში, ქალაქ ლიტლ-უინგინგში, პრივიტ დრაივის ნომერ ოთხ სახლში მცხოვრებ ჰარი ჯეიმს პოტერის მიერ. დაკითხვას აწარმოებენ: კორნელიუს ოსვალდ ფაჯი, მაგიის მინისტრი; ამელია სუზენ ბონსი, ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარე; დოლორეს ჯეინ ამბრიჯი, მინისტრის პირველი მოადგილე; სასამართლოს მდივანია პერსი იგნაციუს უისლი...

– დაცვის მოწმე, – ალბუს პერსივალ ვულფრიკ ბრაიან დამბლდო-რი, – ხმადაბლა გაისმა უკნიდან.

ჰარი ისე სწრაფად შებრუნდა, რომ კისერი ეტკინა. დამბლდორი მშვიდად მოაბიჯებდა, გრძელი მუქლურჯი მანტია ეცვა, სახეც უდრეკ სიმშვიდეს გამოხატავდა, ჩირაღდნების შუქზე ვერცხლ-ისფრად უელავდა შეჭაღარავებული თმა და გრძელი წვერი. ჰარის რომ გაუსწორდა, ფაჯს მოკაუჭებულ ცხვირზე დამჯდარი სათვალის ზემოდან გახედა.

ვიზენგამოტის წევრები ერთმანეთში აჩურჩულდნენ. ყველას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მზერა მისკენ იყო მიპყრობილი. მოსამართლეების ნაწილი განაწყენებული ჩანდა, ნაწილი – ოდნავ შეშინებული, უკანა რიგებიდან ორმა ხანში შესულმა ჯადოქარმა ქალმა მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია დამბლდორს.

დირექტორის დანახვაზე, თითქოს ფენიქსის სიმღერას უსმენსო, ჰარი უხიფათობისა და იმედის ძლიერმა გრძნობამ გაავსო. ძალიან მოუნდა, რომ დამბლდორს მისთვის შეეხედა, მაგრამ ის თვალს არ აშორებდა აშკარად აღელვებულ ფაჯს.

– აა, დამბლდორ, – ჩაილაპარაკა შესამჩნევად დაბნეულმა მინისტრმა, – ჰო, ესე იგი, თქვენ... ეე... მიიღეთ ჩვენი... ეე... ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსმენის დრო და... ეე... ადგილი შეცვლილია?

– თქვენს გზავნილს, ეტყობა, გზაში ავცდი, მაგრამ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, სამინისტროში სამი საათით ადრე მოვედი. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა, – მშვიდად მიუგო დამბლდორმა.

– ჰო... კეთილი... როგორც ჩანს, კიდევ ერთი სავარძელი დაგვჭირდება... უისლი, გეთაყვა...

– ნუ შეწუხდებით, ნუ შეწუხდებით, – სასიამოვნო ხმით დაამშვიდა დამბლდორმა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, მსუბუქად გაიქნია და ჰარის გვერდით, სად იყო და სად არა, რბილი, ჩითგადაკრული სავარძელი გაჩნდა. დამბლდორი დაჯდა, იდაყვები სავარძლის სახელურებზე დააწყო, გრძელი თითების წვერები ერთმანეთს შეატყუპა და თავაზიანი ინტერესით შეაჩერდა ფაჯს. ვიზენგამოტის წევრები კვლავინდებურად ჩურჩულებდნენ და იშმუშნებოდნენ. მხოლოდ მაშინ გაჩუმდნენ, როცა ფაჯი ისევ ალაპარაკდა:

– ჰო, – თქვა და პერგამენტები ააშრიალა, – კეთილი. მაშ ასე, ბრალდება. ჰო...

პერგამენტების დასტიდან საჭირო ფურცელი გამოაძრო, ღრმად ჩაისუნთქა და კითხვა დაიწყო:

– „ბრალდებულს ბრალი ედება შემდეგში: მან შეგნებულად, წინასწარ განზრახვით და თავისი ქმედების უკანონობის სრული შეგნებით, მაგიის სამინისტროდან ამავე მიზეზით ადრე მიღებული გაფრთხილების მიუხედავად, ამა წლის ორ აგვისტოს, საღამოს ცხრა საათსა და ოცდასამ წუთზე, გამოიყენა პატრონუსის შელოცვა მაგლებით დასახლებულ რაიონში მაგლისვე თანდასწრებით, რითაც დაარღვია ათას რვაას სამოცდათხუთმეტ წელს მიღებული „არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის კანონის „გ“ მუხლი და ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის მიერ მიღებული საიდუმლოს შენახვის წესდების მეცამეტე თავი“.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვენ ხართ ჰარი ჯეიმს პოტერი, მცხოვრები სარის საგრაფოს ქალაქ ლიტლ-უინგინგში, პრივიტ დრაივის ნომერ ოთხ სახლში? – იკითხა ფაჯმა, თან პერგამენტის ზემოდან უყურებდა ჰარის.

– დიახ, – დაუდასტურა ჰარიმ.

– თქვენ მიიღეთ სამი წლის წინ სამინისტროს გაფრთხილება ჯადოქრობის უკანონო გამოყენების თაობაზე?

– დიახ, მაგრამ...

– და, მიუხედავად ამისა, ორ აგვისტოს, საღამოს, თქვენ გამოიყენეთ პატრონუსის შელოცვა? – იკითხა ფაჯმა.

– დიახ, – თქვა ჰარიმ, – მაგრამ...

– ამასთან, გესმით, რომ აკრძალული გაქვთ სკოლის გარეთ ჯადოქრობის გამოყენება, სანამ ჩვიდმეტი წელი არ შეგისრულდებათ?

– დიახ, მაგრამ...

– ამასთან, იცოდით, რომ იმყოფებოდით მაგლებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონში?

– დიახ, მაგრამ...

– ზუსტად იცოდით, რომ მოცემულ მომენტში უშუალო სიახლოვეს მაგლი იმყოფებოდა?

– დიახ, – გაბრაზებით უპასუხა ჰარიმ, – იმიტომ, რომ... მონოკლიანმა ჯადოქარმა დაბალი, ძლიერი ხმით გააწყვეტინა:

– თქვენ მოახერხეთ სრულფასოვანი პატრონუსის გამოძახება?

– დიახ, იმიტომ...

– სხეულებრივი პატრონუსისა?

– რა თქვით? – შეეკითხა ჰარი.

– თქვენი პატრონუსი ნათლად გამოხატული ფორმით გამოგეცხადათ და არა უბრალოდ ორთქლის ან კვამლის სახით?

– დიახ, – უპასუხა ჰარიმ, გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა ეუფლებოდა გაღიზიანება და სასოწარკვეთა, – ჩემი პატრონუსი ყოველთვის ხარირემია.

– ყოველთვის? – დაიგუგუნა მადამ ბონსმა, – თქვენ რა, ადრეც გამოგიძახებიათ პატრონუსი?

– დიახ, – არ უარყო ჰარიმ, – პირველად – შარშან.

– თქვენ თხუთმეტის ხართ?

– დიახ და...

– ეს სკოლაში ისწავლეთ?

– დიახ, მესამე კურსზე პროფესორმა ლუპინმა მასწავლა, იმიტომ, რომ...

– შთამბეჭდავია, – თქვა მადამ ბონსმა, – ნამდვილი პატრონუსი – მის ასაკში, საოცრად შთამბეჭდავია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზოგიერთები ისევ აჩურჩულდნენ. აქა-იქ მოწონების ნიშნად დააქნიეს თავი, ზოგი მოღუშული აქნევდა თავს აქეთ-იქით.

– საქმე ის კი არ არის, რამდენად შთამბეჭდავი იყო ეს ჯადოქრობა, – ზიზღით ჩაილაპარაკა ფაჯმა, – და თუ მართლა შთამბეჭდავი იყო, მით უარესი – სკოლის მოსწავლემ ეს ყველაფერი მაგლის წინაშე ჩაიდინა.

ისინი, ვინც მოღუშულები იყვნენ, თანხმობის ნიშნად ხმადაბლა აჩურჩულდნენ. მაგრამ ის, რამაც ჰარი აიძულა, ალაპარაკებულიყო, პერსის ოდნავ შესამჩნევი პირფერული თავის დაქნევა იყო.

– ეს იმიტომ გავაკეთე, რომ დემენტორები მომეგერიებინა! – ხმამაღლა თქვა ჰარიმ. ამჯერად აღარავის მისცა საშუალება, შეეწყვეტინებინათ.

მის გასაკვირად, სიჩუმე ჩამოწვა.

– დემენტორები? – პაუზის შემდეგ იკითხა მადამ ბონსმა, ხშირი წარბები ასწია და კინაღამ მონოკლი გაუვარდა, – ახალგაზრდავ, ამით რა გინდათ, თქვათ?

– ის მინდა ვთქვა, რომ იმ შუკაში მე და ჩემს დეიდაშვილს ორი დემენტორი დაგვესხა თავს!

– აა... – ისევ წამოიწყო ფაჯმა, ამჯერად გესლიანად გაიღიმა და ვიზენგამოტს მოავლო თვალი, თითქოს მსაჯულებს აგულიანებდა, ერთად ვიმხიარულოთო, – რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც ამგვარს მოვისმენდით.

– დემენტორები – ლიტლ-უინგინგში? – გაოცებულმა იკითხა მადამ ბონსმა, – ვერაფერი გამიგია.

– რა ვერ გაგიგიათ, ამელია? – ფაჯი კვლავ იღიმებოდა,

– ახლავე აგიხსნით: დემენტორები... თავის დასაძრომად შესანიშნავი გამოგონებაა. ნამდვილად შესანიშნავი. მაგლებს ხომ დემენტორების დანახვა არ შეუძლიათ, ასე არ არის, ყმაწვილო? ძალიან მოსახერხებელია, ძალიან... მაგრამ ეს მხოლოდ თქვენი სიტყვებია, არ არსებობს არავითარი დამამტკიცებელი საბუთები...

– მე არ ვტყუი! – ხმამაღლა დაიძახა ჰარიმ და ჩურჩულის ახალი ტალღა გადაფარა, – ისინი ორნი იყვნენ, შესახვევის თავიდან და ბოლოდან გვიახლოვდებოდნენ. უცებ ძალიან დაბნელდა და აცივდა, ჩემმა დეიდაშვილმა იგრძნო ეს და გაიქცა...

– კმარა, კმარა! – ზიზღით იყვირა ფაჯმა, – სამწუხაროდ, იძულებული ვარ, შევწყვიტო ეს უეჭველად კარგად გაზუთხული ზღაპარი...

დამბლდორმა ჩაახველა. სასამართლო დარბაზში ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

– დადლი დერსლი იმ შუკაში დემენტორების გამოჩენის ერთადერთი მოწმე არ ყოფილა, – თქვა დამბლდორმა მშვიდად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფაჯს გაბერილი სახე უცბად მოუმჩვარდა, თითქოს ჰაერი გამოუშვესო. ერთხანს დამბლდორს შეჰყურებდა. მერე, თითქოს არაფერი მომხდარაო, ძველი გამომეტყველება დაიბრუნა და თქვა:

– ვშიშობ, დამბლდორ, რომ ზღაპრების მოსმენის დრო არ გვაქვს. მინდა, სწრაფად გადავწყვიტო საკითხი...

– შეიძლება ვცდებოდე, – განაგრძო დამბლდორმა თავაზიანად, – მაგრამ მგონია, რომ ბრალდებულის უფლებების ქარტიის თანახმად, მას უფლება აქვს, წარმოადგინოს მოწმეები თავის დასაცავად. მადამ ბონს, – მიმართა დამბლდორმა მონოკლიან ჯადოქარს, – ეს გათვალისწინებული ხომ არის ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების მიერ მიღებული ნორმებით?

– გათვალისწინებულია, – ჩაიბუბუნა მადამ ბონსმა, – თქვენ ცამდე მართალი ხართ.

– კარგი, კარგი, – მშრალად თქვა ფაჯმა, – სად არის მოწმე?

– მე ის ქალი თან მოვიყვანე, – თქვა დამბლდორმა, – კარს იქით იცდის, შემიძლია უკვე...

– არა, თქვენ არა... უისლი, შემოიყვანეთ, – დაიღრინა ფაჯმა. პერსი სწრაფად წამოხტა, შემაღლებული ადგილიდან ქვის საფეხურები ჩამოირბინა და ისე ჩაუარა გვერდით დამბლდორსა და ჰარის, რომ ზედაც არ შეუხედავს.

წამის შემდეგ მობრუნდა და თან ჩვეულებრივზე უფრო მეტად შეშინებული და დამთხვეული მისის ფიგი მოჰყავდა. ჰარის მაინცდამაინც არ მოეწონა, რომ მოხუცმა ქალმა არც ახლა ჩათვალა საჭიროდ, ნაჭრის ფოსტლების მაგივრად სხვა ფეხსაცმელი ჩაეცვა.

დამბლდორი ადგა, თავისი სავარძელი ფიგს დაუთმო, შემდეგ კი თავისთვის კიდევ ერთი სავარძელი გააჩინა.

– თქვენი სახელი და გვარი! – ხმამაღლა ჰკითხა ფაჯმა, როცა ფიგი დამფრთხალი ჩამოჯდა სავარძლის კიდეზე.

– არაბელა დორინ ფიგი, – უპასუხა მისის ფიგმა კანკალით.

– საერთოდ, ვინ ხართ, რას წარმოადგენთ? – იკითხა ფაჯმა უკმაყოფილო და ქედმაღლური ტონით.

– მე ლიტლ-უინგინგის მცხოვრები ვარ, ჩემი სახლი არც ისე შორსაა ჰარის სახლიდან, – მიუგო მისის ფიგმა.

– ჩვენ არ გაგვაჩნია მონაცემები იმის თაობაზე, რომ ლიტლ-უინგინგში, ჰარი პოტერის გარდა, ვინმე სხვა ჯადოქარი ცხოვრობს, – დაუყოვნებლივ ჩაერთო მადამ ბონსი, – იქ მომხდარი... მომხდარი ამბების გამო იქაურობა ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

– მე სქვიბი ვარ, – აუხსნა მისის ფიგმა, – ამიტომ შეიძლება, არცა გყავდეთ აღნიშნული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სქვიბი? – იკითხა ფაჯმა და ეჭვით შეათვალიერა, – ჩვენ ამას შევამოწმებთ. მერე ჩემს ხელქვეით უისლის მიეცით ცნობები თქვენი მშობლების შესახებ. ერთი ეს მითხარით, შეუძლიათ სქვიბებს დემენტორების დანახვა? – დაინტერესდა ფაჯი და ირგვლივ მოავლო მზერა.

– თანაც როგორ! – აღშფოთდა მისის ფიგი.

ფაჯმა წარბები ასწია და ქალბატონ ფიგზე გადაიტანა მზერა.

– ძალიან კარგი, – თითქოს შორიდან მოისმა ფაჯის ხმა,

– და რა შეგიძლიათ, მოგვიყვეთ?

– ორ აგვისტოს, საღამოს ცხრა საათისთვის, კატების საჭმლის საყიდლად მივდიოდი პრივიტ დრაივზე მდებარე ერთ-ერთ ზოომაღაზიაში, – ისე არაკრაკდა მისის ფიგი, თითქოს ზეპირად დასწავლილს აფრქვევსო, – ამ დროს მაგნოლიისა და პრივიდ დრაივს შორის, შუკაში რაღაც ხმაური გავიგონე. მივედი, გავიხედე და გაქცეულ დემენტორებს მოვკარი თვალი...

– გაქცეულს? – მკვახედ იკითხა მადამ ბონსმა, – დემენტორები არ დარბიან, დასრიალებენ.

– სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, – სწრაფად გამოასწორა მისის ფიგმა და გამომშრალი ლოყები ოდნავ შეუწითლდა, – ისინი მისრიალებდნენ ორი ყმაწვილისკენ.

– როგორ გამოიყურებოდნენ? – იკითხა მადამ ბონსმა და ისე მოჭუტა თვალები, რომ მონოკლი ღრმად ჩაეფლო კანში.

– ერთი საკმაოდ მსხვილი იყო, მეორე – გამხდარი...

– არა, არა, – გაღიზიანებულმა შეაწყვეტინა მადამ ბონსმა, – დემენტორებზე გეკითხებით. აგვიწერეთ.

– ო, – თქვა მისის ფიგმა, – სიწითლე ახლა კისერზე გადაუვიდა, – დიდები იყვნენ. დიდები, წამოსასხამებით.

ჰარიმ საშინელი სიცარიელე იგრძნო მუცელში. ყველაფერი ის, რასაც მისის ფიგი ამბობდა, ისე ჟღერდა, თითქოს დემენტორები სურათზე ჰყავდა ნანახი. არადა, არც ერთ სურათს არ შეეძლო გადმოეცა ამ არსებებთან სიახლოვის ნამდვილი განცდა; რა ამაზრზენად მოძრაობენ მიწის ზედაპირიდან რამდენიმე სანტიმეტრზე; რა მყრალი სუნი უდით; როგორი აუტანელი ბუყბუყით ისრუტავენ ჰაერს...

მეორე რიგში მაღალი შავულვაშიანი ჯადოქარი ხუჭუჭა მეზობლის ყურთან დაიხარა და რაღაც წასჩურჩულა. მეზობელმა ჩაიცინა და თავი დაუქნია.

– დიდები... წამოსასხამებით... – ცივად გაიმეორა მადამ ბონსმა, ფაჯმა კი დამცინავად ჩაიღიმა, – გასაგებია. კიდევ გინდათ, თქვათ რამე?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – თქვა მისის ფიგმა, – მე ისინი ვიგრძენი. ძალიან აცივდა, საღამო კი... როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულის თბილი საღამო იყო. და მე მომეჩვენა... რომ ბედნიერებამ მიატოვა ეს სამყარო... და მე გამახსენდა... საშინელი რაღაცეები...

მისის ფიგს ხმა აუკანკალდა და ჩაუწყდა.

მადამ ბონსს თვალები ოდნავ გაუფართოვდა. წარბქვეშ ჰარიმ მონოკლისგან დატოვებული წითელი ნაკვალევი შენიშნა.

– რას აკეთებდნენ დემენტორები? – იკითხა ბონსმა და ჰარიმ იმედის მოზღვავება იგრძნო.

– ბიჭებს უახლოვდებოდნენ, – უპასუხა მისის ფიგმა უფრო მტკიცედ და დაბეჯითებით. სიწითლე ნელ-ნელა გადაუვიდა სახიდან, – ერთი ბიჭი დაეცა. მეორე უკან იხევდა და ცდილობდა, მოეგერიებინა. ეს ჰარი იყო. მან ორჯერ სცადა, მაგრამ მხოლოდ ვერცხლისფერი ორთქლი გამოუშვა. მესამე ცდაზე, როგორც იქნა, პატრონუსი გამოიხმო. ხარირემმა ჯერ პირველი დემენტორი გააძევა, მერე, ჰარის თხოვნით, მეორისგან დაიცვა ჰარის დეიდაშვილი. და, ჰო... ზუსტად ასე იყო, – ბორძიკით დაასრულა ფიგმა.

მადამ ბონსი უხმოდ დასცქეროდა ზემოდან. ფაჯი პერგამენტებს აშრიალებდა და საერთოდ არ უყურებდა მოწმეს. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა შეხედა და აგრესიულად იკითხა:

– სულ ეს არის, რაც ნახეთ?

– დიახ, სულ ეს არის, რაც ვნახე, – გაიმეორა მისის ფიგმა.

– ძალიან კარგი, – თქვა ფაჯმა, – შეგიძლიათ, წახვიდეთ. მოხუცმა ფიგმა შეშინებული მზერა ფაჯიდან დამბლდორზე გადაიტანა, მერე ადგა და კარისკენ წაფრატუნდა. ჰარიმ გაიგონა, როგორი ყრუ ჯახანით მიიხურა კარი.

– არც ისე დამაჯერებელი ჩვენებაა, – მედიდურად დაასკვნა ფაჯმა.

– არ ვიცი, არ ვიცი, – შეედავა მადამ ბონსი ბუბუნით, – ამ ქალმა ზუსტად აღწერა ყველაფერი, რაც დემენტორებთან არის დაკავშირებული. და ვერ წარმომიდგენია, რაში უნდა სჭირდებოდეს იმის მოგონება, რომ დემენტორები იქ იყვნენ, თუ სინამდვილეში არ იყვნენ.

– მაგლების პროვინციულ ქალაქში დასეირნობდნენ და შემთხვევით გადააწყდნენ ჯადოქარს? – გესლიანად ჩაილაპარაკა ფაჯმა, – ძალიან მცირე ალბათობაა. ასეთ რაღაცას თავად ბეგმანიც კი არ...

– მაგრამ არა მგონია, რომელიმე ჩვენგანი ფიქრობდეს, რომ დემენტორები შემთხვევით აღმოჩნდნენ იქ, – წყნარად შენიშნა დამბლდორმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფაჯის მარჯვნივ მჯდომი ჯადოქარი ქალი, რომლის სახესაც ჩრდილი ფარავდა, ოდნავ შეინძრა. დანარჩენები ჩუმად და გაქვავებულები ისხდნენ.

– და რას უნდა ნიშნავდეს ეს? – ყინულივით ცივი ხმით იკითხა ფაჯმა.

– იმას, რომ, ჩემი აზრით, მათ ნაბრძანები ჰქონდათ, იქ მისულიყვნენ, – აუხსნა დამბლდორმა.

– ვინმეს რომ ებრძანებინა ორი დემენტორისთვის ლიტლ-უინგინგში სასეირნოდ წასვლა, ჩვენ, ვფიქრობ, გვეცოდინებოდა ეს ამბავი, – დაიღრინა ფაჯმა.

– სულაც არა, თუკი დავუშვებთ, რომ დემენტორები ახლა მარტო სამინისტროს ბრძანებებს არ ასრულებენ, – მშვიდად შეედავა დამბლდორი, – კორნელიუს, მე უკვე მოგახსენეთ ჩემი მოსაზრებები ამის შესახებ.

– ჰო, მომახსენეთ, – დაუდასტურა ფაჯმა ხაზგასმით, – და მე მას აბდაუბდად მივიჩნევ. დემენტორები აზკაბანში არიან, დამბლდორ, იქ, სადაც უნდა იყვნენ, და აკეთებენ იმას, რასაც მათგან ვითხოვთ.

– მაშინ ჩვენს თავს უნდა ვკითხოთ, ორ აგვისტოს რატომ გაგზავნა ვიღაცამ სამინისტროდან ორი დემენტორი იმ შესახვევში, – ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა დამბლდორმა.

სრული სიჩუმე ჩამოწვა. ფაჯის მარჯვნივ მჯდომი წინ გადაიხარა და ჰარიმ, როგორც იქნა, მოახერხა მისი დანახვა.

დაბალი, სქელ-სქელი ქალი იყო, უფერულ გომბეშოს წააგავდა. სახე ფართო და მოფლაშული ჰქონდა, კისერი – მოკლე, ზუსტად ისეთი, როგორიც ძია ვერნონს; პირი – დიდი, ისიც მოფლაშული; თვალები – მსხვილი, მრგვალი და ოდნავ გადმოკარკლული. პატარა შავი ხავერდის ბაფთაც კი, მოკლედ შეკრეჭილ ხუჭუჭ თმაზე რომ დაესკუპებინა, აი, ისიც კი იმ დიდ ბუზს მოგაგონებდათ, რომელსაც გომბეშო სადაცაა დაიჭერდა თავისი გრძელი წებოვანი ენით.

– სიტყვა ეძლევა მინისტრის პირველ მოადგილეს, დოლორეს ჯეინ ამბრიჯს, – გამოაცხადა ფაჯმა.

ჰარი გააოცა ამ ქალის წვრილმა, ჩამოუყალიბებელმა ხმამ. ჰარი ყიყინის გაგონებას უფრო ელოდა, ვიდრე ამისთანა ხმას.

– დარწმუნებული ვარ, რომ სწორად ვერ გაგიგეთ, პროფესორო დამბლდორ, – თქვა მან გაპრანჭული ღიმილით, რაც სულაც არ დასტყობია მის თვალებს, – სისულელეა ჩემი მხრიდან, მაგრამ ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს თქვენ ვარაუდობთ, რომ მაგიის სამინისტრომ ვიღაცას უბრძანა, ამ ყმაწვილს თავს დასხმოდა!

სიტყვებს ჯადოქარმა ქალმა ისეთი ცივი სიცილი მოაყოლა, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის თმა ყალყზე დაუდგა. მასთან ერთად ვიზენგამოტის რამდენიმე წევრმაც გაიცინა. თუმცა, აშკარა იყო, რომ არც ერთ მათგანს არ ეცინებოდა.

დამბლდორმა თავაზიანად აუხსნა:

– დემენტორები მხოლოდ მაგიის სამინისტროს ბრძანებებს ასრულებენ. ეს ფაქტია. ერთი კვირის წინ ჰარისა და მის დეიდაშვილს ორი დემენტორი დაესხა თავს. ესეც ფაქტია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სამინისტროში ვიღაცამ უბრძანა მათ, ამ ყმაწვილს თავს დასხმოდნენ. თუმცა, ისიც შეიძლება, რომ ეს ორი დემენტორი სამინისტროს აღარ ემორჩილება...

– უკლებლივ ყველა დემენტორს სამინისტრო აკონტროლებს! – დაიღრინა კიბორჩხალასავით გაწითლებულმა ფაჯმა.

დამბლდორმა ოდნავ დახარა თავი და ისევ ასწია.

– მაშინ, უეჭველია, სამინისტრო ჩაატარებს სრულ გამოძიებას, რატომ იყო ორი დემენტორი აზკაბანიდან ასე შორს და რატომ დაესხნენ თავს ამ ყმაწვილს.

– თქვენი გადასაწყვეტი არ არის, დამბლდორ, როგორ უნდა მოიქცეს სამინისტრო! – ისევ დაიღრინა ფაჯმა, ახლა უკვე ისე იყო ალისფრად ავარვარებული, მასთან თავად ძია ვერნონიც კი არაფერს წარმოადგენდა.

– რა თქმა უნდა, ჩემი გადასაწყვეტი არ არის, – რბილად დაეთანხმა დამბლდორი, – მე მხოლოდ იმის რწმენა გამოვთქვი, რომ ეს საკითხი უყურადღებოდ არ დარჩება.

დამბლდორმა მადამ ბონსს შეხედა. ჯადოქარმა წარბი შეიკრა და მონოკლი გაისწორა.

– მინდა, აქ მყოფებს შევახსენო, რომ ამ დემენტორების საქციელი, ბრალდებულის წარმოსახვის ნაყოფიც რომ არ იყოს, დღეს ჩვენი განსჯის საგანი არ არის! – განაცხადა ფაჯმა, – ჩვენ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ დავადგინოთ, დაარღვია თუ არა ჰარი პოტერმა არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის კანონი!

– რა თქმა უნდა, – გამოეპასუხა დამბლდორი, – მაგრამ იმ შუკაში დემენტორების ყოფნის საკითხი პირდაპირ კავშირშია ამ საქმესთან. კანონის მეშვიდე მუხლში ნათქვამია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჯადოქრობის გამოყენება დაშვებულია. განსაკუთრებულ შემთხვევად ითვლება, კერძოდ, ის სიტუაციაც, როცა პირდაპირი საფრთხე ემუქრება ჯადოქრობის გამომყენებლის, ან იქ მყოფი ჯადოქრების, ან მაგლების სიცოცხლეს...

– ჩვენ ვიცნობთ მეშვიდე მუხლს, გმადლობთ! – იყვირა ფაჯმა.

– რა თქმა უნდა, იცნობთ, – თავაზიანად მიუგო დამბლდორმა, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ჩვენ ყველანი უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ჰარი პოტერის მიერ იმ ვითარებაში პატრონუსის შელოცვის გამოყენებას სრულიად ამართლებს განსაკუთრებული გარემოება, რომელზეც ხსენებულ მუხლშია საუბარი.

– თუკი იქ ნამდვილად იყვნენ დემენტორები, რაშიც ეჭვი მეპარება!

– თქვენ ეს თვითმხილველისგან მოისმინეთ, – შეაწყვეტინა ფაჯს დამბლდორმა, – თუ მაინც გეპარებათ ეჭვი, კიდევ ერთხელ გამოიძახეთ, ახალი კითხვები დაუსვით. დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით გიპასუხებთ.

– მე... ის... არა! – გაცოფდა ფაჯი, თან ნერვიულად აშრიალებდა პერგამენტებს, – მე... მე მინდა, რომ ეს საქმე დღეს დავასრულოთ, დამბლდორ!

– მაგრამ თქვენთვის, ცხადია, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რამდენჯერ მოუსმენს სასამართლო მოწმეს, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს სერიოზული შეცდომის რისკი, – თქვა დამბლდორმა.

– სერიოზული შეცდომისა, როგორ არა! – იყვირა ფაჯმა, – სკოლის გარეთ ჯადოქრობის ამ აღმაშფოთებელი ბოროტად გამოყენების გამართლების ნაცვლად, თქვენ, დამბლდორ, ერთხელ მაინც დაეკითხეთ თავს, უკვე რამდენი სისულელე და ზღაპარი მოიგონა ამ ყმაწვილმა?! ალბათ, დაგავიწყდათ, სამი წლის წინათ როგორ გამოიყენა ლივლივის შელოცვა...

– ეს მე არ ვყოფილვარ, შინაური ელფი იყო! – თქვა ჰარიმ.

– აი, ხედავთ! – იღრიალა ფაჯმა და თეატრალური ჟესტით მიუთითა ჰარიზე, – შინაური ელფი! მაგლის სახლში! კიდევ რა გინდათ?!

– ის ელფი, რომელზეც საუბრობთ, ახლა ჰოგვორტსის სკოლაში მუშაობს, – აცნობა დამბლდორმა, – თუ გნებავთ, ახლავე გამოვიძახებ ჩვენების მისაცემად.

– მე... არ... მე არ მაქვს შინაური ელფების მოსმენის დრო! ასე იყო თუ ისე, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის... ვინ გაბერა მამიდა მარჯი? – იღრიალა ფაჯმა და მაგიდას ისე დაჰკრა მუშტი, რომ სამელნე გადააბრუნა.

– და თქვენ თქვენი კეთილი ბუნების გამო, მაშინ სიმკაცრე არ გამოიჩინეთ, ეტყობა, ანგარიში გაუწიეთ იმ ფაქტს, რომ ხანდახან საუკეთესო ჯადოქრებსაც კი არ შეუძლიათ თავის შეკავება, – წყნარად ჩაილაპარაკა დამბლდორმა. თან მშვიდად შეჰყურებდა ფაჯის მცდელობას, მელანი წაეშალა პერგამენტებიდან.

– იმაზე კი ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს, როგორ ოინბაზობს სკოლაში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამინისტროს არა აქვს უფლება, ჰოგვორტსის მოსწავლეები დასაჯოს სკოლაში ჩადენილი დანაშაულის გამო. ამიტომ ვერც ჰარის საქციელი იქნება ამ მოსმენის საგანი, – თქვა დამბლდორმა სიცივეგარეული თავაზიანობით.

– ოჰო! – წამოიძახა ფაჯმა, – ესე იგი, ჩვენი საქმე არ არის, სკოლაში როგორ იქცევა? სერიოზულად ფიქრობთ ასე?

– სამინისტროს არა აქვს ჰოგვორტსის მოსწავლეთა გარიცხვის უფლება და მე თქვენ შეგახსენეთ ეს, კორნელიუს, ორ აგვისტოს, საღამოს, – თქვა დამბლდორმა, – მას არა აქვს არც ჯადოსნური ჯოხის ჩამორთმევის უფლება, სანამ ბრალდება არ არის დადასტურებული. ესეც იმავე ორი აგვისტოს საღამოს შეგახსენეთ. ის სისწრაფე, რომლითაც ხელი მოჰკიდეთ კანონის დაცვას, აღტაცებას იმსახურებს, მაგრამ ამ სიჩქარეში, რა თქმა უნდა, წინასწარ განზრახვის გარეშე, კინაღამ თვითონვე დაარღვიეთ კანონი.

– კანონები შეიძლება შეიცვალოს! – გაშმაგდა ფაჯი.

– რა თქმა უნდა, – თავი დაუქნია დამბლდორმა, – და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ, კორნელიუს, ამ კანონებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცვლით. ვიზენგამოტიდან ჩემი იძულებითი წასვლის შემდეგ რამდენიმე კვირაც არ გასულა და სასამართლო სრული შემადგენლობით განიხილავს ისეთ წვრილმან საკითხს, როგორიც არასრულწლოვანთა მიერ ჯადოქრობის გამოყენებაა.

ზოგიერთი ჯადოქარი უხერხულად შეიშმუშნა. ფაჯს მუქი აგურისფერი დაედო. გომბეშოსმაგვარი ჯადოქარი ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე შესცქეროდა დამბლდორს.

დამბლდორმა განაგრძო:

– როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ნებას მისცემდა ამ სასამართლოს, ჰარი იმ ჯადოქრობისთვის დაესაჯა, რომლისთვისაც მას ოდესმე მიუმართავს. ჰარი პოტერს კონკრეტული ბრალდება წაუყენეს, მან კი თავის დასაცავად საკმაო საბუთები წარმოგიდგინათ. ისღა დაგვრჩენია, თქვენს ვერდიქტს დაველოდოთ.

დამბლდორი გაჩუმდა და ისევ შეაერთა თითის წვერები. გაცოფებული ფაჯი მშიერი მგელივით შეჰყურებდა. ჰარიმ დამბლდორისკენ გააპარა მზერა, ეგონა, იმედის მომცემ რაიმეს შევამჩნევო. სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ დამბლდორი სწორად მოიქცა, ვიზენგამოტს რომ აგრძნობინა, გადაწყვეტილების მიღების დროაო. დირექტორს არც ამჯერად მიუქცევია ყურადღება ჰარისთვის, ის ისევ შემაღლებულზე მდგარ სკამებს მისჩერებოდა, სადაც მოსამართლეები ჩურჩულით უზიარებდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი თავის ფეხსაცმელებს დააცქერდა. უსაშველოდ გაბერილი გული ხმაურით ასკდებოდა ნეკნებს. ჰარის ეგონა, რომ მოსმენა უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა. სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ კარგი შთაბეჭდლება დატოვა მსაჯულებზე: წესიერად რამდენიმე სიტყვაც ვერ ვთქვიო. ფიქრობდა, რომ, ალბათ, უფრო დაწვრილებით უნდა მოეყოლა ყველაფერი; უნდა ეთქვა, როგორ დაეცა, როგორ გადაურჩნენ დემენტორების კოცნას ის და დადლი...

ორჯერ გაიხედა ფაჯისკენ და რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ გული ისე გასივებოდა, რომ ჰაერი არ ეყო. ორჯერვე მხოლოდ ის მოახერხა, რომ ღრმად ჩაესუნთქა და ისევ ფეხსაცმელებისთვის დაებჯინა თვალები.

მერე ჩურჩული შეწყდა. ჰარიმ ვერ გაბედა, მოსამართლეებისთვის შეეხედა. ბევრად, ბევრად უფრო იოლი იყო საკუთარი ზონრების თვალიერება.

– ვინ არის მომხრე, რომ ბრალდებული ყველა პუნქტით გამართლდეს? – დაიგრგვინა მადამ ბონსმა.

ჰარიმ უცებ ასწია თავი. ჰაერში ხელების ტყე აღმართულიყო, მთელი ტყე... ნახევარზე მეტს აეწია ხელი! გული ყელში მოებჯინა, ცდილობდა, ხელები დაეთვალა, მაგრამ ვერ მოასწრო, მადამ ბონსმა იკითხა:

– ვინ არის მომხრე, რომ ბრალდებული დამნაშავედ ვცნოთ?

ფაჯმა ხელი ასწია. მასთან ერთად – ექვსიოდე კაცმა, მათ შორის – მისგან მარჯვნივ მჯდომმა ჯადოქარმა, ულვაშიანმა ჯადოქარმა – მეორე რიგში და მისმა ხუჭუჭა მეზობელმა.

თითქოს ყელში ძვალი გაეჩხირაო, ისე მოათვალიერა ფაჯმა მსაჯულები, მერე ხელი დაუშვა. ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა და შეკავებული რისხვით სავსე ხმით თქვა:

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი... გამართლებულია ყველა პუნქტით.

– შესანიშნავია, – ხალისით თქვა დამბლდორმა, წამოდგა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ორივე სავარძელი გააქრო, – უნდა ვაღიარო, რომ ჩემი წასვლის დროა. კარგად ბრძანდებოდეთ. და ჰარისთვის არც შეუხედავს, სწრაფად გავიდა დარბაზიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრე

ბოგარტი

ჰარი არ ელოდა დამბლდორის ასე უცაბედად წასვლას. ისევ იმ ბორკილებიან სავარძელში იჯდა. ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო, თუმცა დიდ შვებას გრძნობდა. მსაჯულები საუბრით წამოიშალნენ. ბოლოს ჰარიც ადგა. მოეჩვენა, რომ ოდნავ ყურადღებასაც არავინ აქცევდა, გარდა გომბეშო-ჯადოქრისა: რაკი დამბლდორი იქ აღარ იყო, ახლა ჰარის შეჰყურებდა. ჰარიმ თვალი აარიდა და შეეცადა, ფაჯისთვის ან მადამ ბონსისთვის თავი შეეხსენებინა, რათა გაეგო, შეიძლებოდა თუ არა, ისიც წასულიყო. მაგრამ ფაჯს, როგორც ჩანს, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ შეემჩნია ჰარი, მადამ ბონსი კი თავისი პორტფელით იყო გართული. ჰარიმ ჯერ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა გასასვლელისკენ, მერე კი, ხმა რომ არავინ გასცა, ნაბიჯს აუჩქარა.

კართან უფრო სირბილით მივიდა, გამოაღო და კინაღამ ზედ შეასკდა ბატონ უისლის: თურმე კარზე იყო აკრული და ისე ელოდა. ფერმკრთალი და შეშინებული ჩანდა.

– დამბლდორს არაფერი უთქვამს...

– გამამართლეს, – ახარა ჰარიმ და კარი გამოხურა, – ყველა ბრალდება მომიხსნეს!

ბატონ უისლის სახე გაუბრწყინდა და მხრებში ჩაავლო ხელები.

– შესანიშნავია, ჰარი! ჰო, რა თქმა უნდა, ხომ არ შეიძლებოდა, დამნაშავედ ეცანით, ყველა ფაქტი შენს სასარგებლოდ იყო. და მაინც ვერ ვიტყვი, რომ მთლად დარწმუნებული ვიყავი...

ბატონმა უისლიმ ენა მოიკვნიტა, რადგან დარბაზის კარი ისევ გაიღო და მოსამართლეები ერთიმეორის მიყოლებით გამოლაგდნენ.

– ეშმაკმა დალახვროს! – წამოიძახა ბატონმა უისლიმ და ჰარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განზე გაიყვანა, რათა მათთვის გზა დაეთმოთ, – სრული შემადგენლობით გასამართლებდნენ?

– როგორც ჩანს, ასეა, – ჩუმად მიუგო ჰარიმ.

ორმა თუ სამმა ჯადოქარმა მისალმების ნიშნად თავი დაუქნია ჰარის; რამდენიმემ, მათ შორის – მადამ ბონსმა, დილა მშვიდობისა უსურვა ბატონ უისლის, მაგრამ უმეტესობა თვალს არიდებდა. კორნელიუსი და „გომბეშო“ თითქმის სულ ბოლოს გამოვიდნენ. ფაჯმა ისე შეავლო თვალი ორივეს, თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევდა, „გომბეშო“ კი ისევ ისეთი დაჟინებით შეაცქერდა ჰარის, თითქოს აფასებსო. სულ ბოლოს პერსი გამოვიდა. ისიც ფაჯივით მოიქცა: ისე ჩაუარა გვერდით მამასა და ჰარის, წარბიც კი არ შეუხრია და პერგამენტის მოზრდილი შეკვრითა და ბატის ფრთების კონით ხელში წელგამართული და თავაწეული გაუყვა დერეფანს. ბატონ უისლის თითქოს უფრო გაულრმავდა ნაოჭები, თუმცა, სხვა მხრივ, არ შეიმჩნია, რომ წინ საკუთარმა შვილმა ჩაუარა.

– თვალის დახამხამებაში მიგიყვან შტაბ-ბინაში, ყველას გაახარებ, – მხოლოდ იმის შემდეგ თქვა ბატონმა უისლიმ, როცა კიბეზე პერსის ფეხის ხმა მიწყდა. წავიდეთო, ხელით ანიშნა ჰარის, – მე ბეთნალ გრინში მივდივარ, უნიტაზების საქმეზე, გზად შენ მიგიყვან. წავედით, წავედით...

– უნიტაზს რა უნდა უყოთ? – ჩაიცინა ჰარიმ. უცებ ყველაფერი ათჯერ უფრო სასაცილო მოეჩვენა. რადგან გაამართლეს და ჰოგვორტსში დაბრუნების ნება მისცეს, გონებაში ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა.

– ჩვეულებრივი კონტრშელოცვაა საჭირო, – აუხსნა ბატონმა უისლიმ, როცა კიბეზე ადიოდნენ, – საქმე მარტო ის კი არ არის, შეკეთდება თუ არა, ძალიან მაინტერესებს, როგორი აზროვნების ხალხი დგას ამ „საქმიანობის“ მიღმა. მაგლების ამგვარი შეწუხება ზოგიერთ ჯადოქარს შეიძლება, გასართობადაც მოეჩვენოს, მაგრამ ამაში უფრო ღრმა და უფრო მავნე ჩანაფიქრი მჟღავნდება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. და მე...

ბატონი უისლი ისე გაჩუმდა, რომ სათქმელი არ დაუმთავრებია. მეცხრე დონის დერეფანში, მათგან რამდენიმე ნაბიჯზე, კორნელიუს ფაჯი იდგა და ჩუმად ესაუბრებოდა მაღალ, გალოკილთმიან და ფერმკრთალ, ჩამოგრძელებულსახიან მამაკაცს.

ეს კაცი ნაბიჯების ხმაზე შემობრუნდა, სიტყვა შუაზე გაუწყდა, ცივი ნაცრისფერი თვალები დაუვიწროვდა და დაჟინებით მიაცქერდა ჰარის.

– ყოჩაღ, პოტერ პატრონუსო, – ცივად თქვა ლუციუს მალფოიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის სუნთქვა შეეკრა. თითქოს რაღაც მკვრივსა და უსიამოვნოს გადააწყდაო. ეს ცივი ნაცრისფერი თვალები ბოლოს „სიკვდილის მხვრელის“ კაპიუშონის ჭრილში ნახა. ეს დამცინავი ხმა ბოლოს ბნელ სასაფლაოზე გაიგონა, იქ, სადაც ლორდი ვოლდემორი აწამებდა. ჰარის ვერ წარმოედგინა, რომ ლუციუს მალფოი კიდევ გაბედავდა მისთვის თვალებში შეხედვას. და საერთოდ, ვერ იფიქრებდა, რომ ეს ადამიანი აქ, მაგიის სამინისტროში აღმოჩნდებოდა, კორნელიუს ფაჯთან მშვიდობიანად მოსაუბრე. სულ რამდენიმე კვირის წინათ არ უთხრა ჰარიმ ფაჯს, რომ მალფოი „სიკვდილის მხვრელია“?!

– მინისტრმა ახლახან შემატყობინა თქვენი საქმის ბედნიერი დასასრულის ამბავი, პოტერ, – საგანგებოდ გაწელა სიტყვები ლუციუს მალფოიმ, – მაოცებს ძალიან ვიწრო ხაფანგიდან გამოძრომის თქვენი საოცარი უნარი... ვიტყოდი, გველური უნარი-მეთქი.

ბატონმა უისლიმ ჰარის წინდახედულად მოჰკიდა ხელი მხარზე.

– დიახ, – უპასუხა ჰარიმ, – ცუდად არ გამომდის თავის დაღწევა.

ლუციუს მალფოიმ ბატონ უისლიზე გადაიტანა მზერა.

– არტურ უისლიც აქ ბრძანდება! რა სასიამოვნო შეხვედრაა! აქ რას აკეთებთ, არტურ?

– მე აქ ვმუშაობ, – მშვიდად უპასუხა ბატონმა უისლიმ.

– როგორ, აქ? – იკითხა მალფოიმ, წარბები აჭიმა და ბატონი უისლის მხრებს უკან, კარზე გადაიტანა მზერა, – აქამდე მეგონა, რომ მეორე სართულზე... თან იმას საქმიანობთ, რომ შინ ეზიდებით მაგლების გამოგონებებს და აჯადოებთ.

– არა, მე სულ სხვა საქმე მაქვს, – შეუღრინა ბატონმა უისლიმ, თითები მარწუხებივით ჩაერჭო ჰარის მხრებში.

– თქვენ რას აკეთებთ აქ? – ჰკითხა ჰარიმ მალფოის.

– არა მგონია, რომ ჩემი პირადი საუბარი მინისტრთან რამენაირად გეხებოდეთ, პოტერ, – უპასუხა მან და მანტია გაისწორა. ჰარიმ გარკვევით გაიგონა წკრიალის ხმა. ასეთ ხმას ოქროთი სავსე ჯიბე თუ გამოსცემს, – ის, რომ თქვენ დამბლდორის ფავორიტი ხართ, სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთივე დამოკიდებულებას, ვიტყოდი, თავზე ხელის გადასმას უნდა ელოდეთ სხვებისგან... მინისტრო, თქვენს კაბინეტში ავიდეთ?

– რა თქმა უნდა, – ფაჯმა ბატონ უისლისა და ჰარის ზურგი შეაქცია, – აქეთ მობრძანდით, ლუციუს.

და ორივენი ხმადაბალი საუბრით გაშორდნენ იქაურობას. ბატონმა უისლიმ მანამდე არ გაუშვა ხელი ჰარის, სანამ ის ორნი ლიფტში არ გაუჩინარდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ ფაჯთან რაიმე საქმე აქვს, რატომ კაბინეტთან არ ელოდებოდა? – იკითხა აღშფოთებულმა ჰარიმ, – აქ რას აკეთებდა?

– ალბათ, სასამართლო დარბაზში შესვლას ცდილობდა, – ივარაუდა ბატონმა უისლიმ და აღელვებულმა მიიხედა უკან, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ გაიგონოსო, – უნდოდა გაეგო, გაგრიცხეს თუ არა. ახლა მიგიყვან და დამბლდორს წერილს დავუტოვებ. უნდა იცოდეს, რომ მალფოი ისევ ესაუბრებოდა ფაჯს.

– მაინც, რა პირადულ საქმეებზე უნდა ლაპარაკობდნენ?

– ალბათ, ფულზე, – გაბრაზებით თქვა ბატონმა უისლიმ, – უკვე რამდენი წელიწადია, მალფოი ფულს არიგებს აქეთიქით. ამ ფულით საჭირო ადამიანებს უახლოვდება... მერე თხოვნით მიდის ამ ხალხთან, რომ მისთვის არახელსაყრელი კანონების მიღება გადადონ. ლუციუს მალფოის სერიოზული კავშირები აქვს!

ლიფტი გაჩერდა. ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით მფრინავი წერილების მთელ გუნდს, რომლებიც ბატონ უისლის დასტრიალებდნენ თავს. გაღიზიანებულმა ბატონმა უისლიმ ხელი აუქნია და ატრიუმის ღილაკს დააჭირა თითი. კარი ღრჭიალით დაიხურა.

– ბატონო უისლი, – ნელა დაიწყო ჰარიმ, – თუ ფაჯს მალფოისნაირ „სიკვდილის მხვრელებთან“ აქვს საქმე, თუ ისინი პირისპირ საუბარს ახერხებენ, რანაირად უნდა გავიგოთ, რომ იმპერიუსის ჯადოთი არ შეკრეს?

– არ გეგონოს, რომ ჩვენ მაგაზე არ გვიფიქრია, – ჩუმად მიუგო ბატონმა უისლიმ, – დამბლდორს მიაჩნია, რომ ფაჯი ჯერჯერობით მაინც საკუთარი ინიციატივით მოქმედებს, მაგრამ ამან არ უნდა დაგვამშვიდოსო. თუმცა, კმარა ახლა ამაზე. კარი გაიღო და ისინი მთლად დაცარიელებულ დერეფანში გავიდნენ. მორიგე ჯადოქარს ისევ თავის „დილის მისანში“ ჩაერგო ცხვირი. უკვე ოქროს შადრევანიც ჩამოიტოვეს, როცა ჰარის რაღაც გაახსენდა.

– ერთი წუთით... – უთხრა ბატონ უისლის, ჯიბიდან ფულის ქისა ამოიღო და უკან გაბრუნდა.

შადრევანთან მივიდა და ჯადოქრის ლამაზ ოქროს ქანდაკებას შეხედა სახეში. ახლოდან, ცოტა არ იყოს, უნებისყოფო და ბრიყვი ეჩვენა. ჯადოქარი ქალი სილამაზის კონკურსის მონაწილის დაშაქრული ღიმილით იღიმებოდა; გობლინსა და კენტავრს კი, იმის გათვალისწინებით, რაც ჰარიმ იცოდა ამ არსებების შესახებ, ნამდვილად არ შეეძლოთ, ასეთი დორბლიანი სინაზით შეეხედათ ადამიანებისთვის, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი. მხოლოდ მონურად ერთგული და ლაქუცა შინაური ელფი გამოიყურებოდა დამაჯერებლად. ჰარის გაეღიმა იმის წარმოდგენაზე, თუ რას იტყოდა ჰერმიონი, ელფის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქანდაკება რომ დაენახა. შადრევნის აუზში მთელი ქისა ჩაბერტყა, სადაც ათ გალეონზე მეტი მაინც იქნებოდა.

* * *

– ასეც ვიცოდი! – იყვირა გახარებულმა რონმა და ჰაერში მუშტი მოიქნია, – ყოველთვის მშრალად ახერხებ წყლიდან გამოსვლას!

– სხვა გადაწყვეტილებას ვერც მიიღებდნენ, – თქვა ჰერმიონმა. სანამ ჰარი სამზარეულოში შემოვიდოდა, ჰერმიონი თავის ჭკუაზე აღარ იყო, ახლა კი აკანკალებული ხელი აეფარებინა თვალებზე, – შენ წინააღმდეგ არც ერთი საბუთი არ ჰქონდათ, არც ერთი.

– თუკი ზუსტად იცოდით, რომ გამამართლებდნენ, ასე ძალიან რა გიხარიათ? – ღიმილით იკითხა ჰარიმ.

ქალბატონმა უისლიმ თვალები ფრედის წინსაფრით მოიწმინდა, ჯორჯი და ჯინი კი ველურ საომარ ფერხულში ჩაებნენ, თან მღეროდნენ: „გაამართლეს, გაამართლეს...“

– გეყოფათ! დაწყნარდით! – იყვირა ბატონმა უისლიმ, თუმცა, თვითონაც ილიმებოდა, – სირიუს, სამინისტროში ლუციუს მალფოის შევხვდით...

– რაა? – წამოიძახა სირიუსმა.

– გაამართლეს, გაამართლეს...

– კარგი, დაწყნარდით! ჰო, მეცხრე დონეზე ვნახეთ, ფაჯს ელაპარაკებოდა. მერე კი ფაჯმა თავის კაბინეტში წაიყვანა. დამბლდორმა ეს უნდა იცოდეს.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა სირიუსი, – ნუ ღელავ, ყველაფერს გადავცემთ.

– ახლა კი ბეთნალ გრინში უნდა წავიდე, იქ ღებინებაშეყრილი უნიტაზი მელოდება. მოლი, მე შემაგვიანდება, ტონქსი უნდა შევცვალო, თუმცა, ვახშამდე შეიძლება კინგსლიც მოვიდეს...

– გაამართლეს, გაამართლეს...

– ფრედ, ჯორჯ, ჯინი, გეყოფათ! – ბრძანა ქალბატონმა უისლიმ, როცა ქმარი სამზარეულოდან გავიდა, – ჰარი, მოდი აქ, დაჯექი და ჭამე, დილით ხომ არ გისაუზმია.

რონი და ჰერმიონი ცხვირწინ ჩამოუსხდნენ. ახლა მათ გაცილებით ბედნიერი სახეები ჰქონდათ, ვიდრე მაშინ, როცა ჰარი პირველად მოვიდა ამ სახლში. ჰარის, მართალია, ლუციუს მალფოისთან შეხვედრამ გუნება წაუხდინა, მაგრამ ახლა ისევ მოეშვა გულზე და უდარდელად გაიღიმა. დოინჯშემოყრილი კრეჩერიც კი, რომელიც,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხადია, ატეხილი ხმაურის მიზეზით დაინტერესდა, ისეთი მახინჯი აღარ ეჩვენებოდა.

– აბა, რა! თუკი თვით დამბლდორმა იკისრა შენი დაცვა, გადაწყვეტილება სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, – სახეგაბადრულმა რონმა ყველას ბლომად გადაუღო თეფშზე კარტოფილის პიურე.

– ჰო, მაგრად მომეხმარა, – დაეთანხმა ჰარი და გულში გაივლო: ეს რომ არ ვაღიარო, ჩემი მხრიდან უმადურობა იქნებაო. მით უფრო, თუ ბავშვურად მოიქცეოდა და დაამატებდა: ოღონდ, სამწუხარო ის არის, რომ ერთი სიტყვაც კი არ მაღირსა. ერთი გამოხედვაც კიო.

როგორც კი ეს გაიფიქრა, ნაიარევი ისე ძლიერ აეწვა, რომ ზედ ხელი მიიდო.

– რა დაგემართა? – შეშფოთდა ჰერმიონი.

– ნაიარევი, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ, – მაგრამ არაფერია... ამ ბოლო დროს ხშირად მემართება...

დანარჩენებმა ვერაფერი შენიშნეს. ჰარის სასწაულებრივი გადარჩენით გახარებულები, ყველანი სადილს დააცხრნენ. ფრედი, ჯორჯი და ჯინი თან მღეროდნენ კიდეც. ჰერმიონს შეწუხებული სახე ჰქონდა, მაგრამ სანამ კიდევ რამეს იტყოდა, რონმა დაასწრო:

– აი, ნახავთ! დღეს საღამოს დამბლდორი გვეწვევა ამ ამბის აღსანიშნავად.

– არა მგონია, მოახერხოს, რონ, – ეჭვი გამოთქვა ქალბატონმა უისლიმ, თან ჰარის შემწვარი ქათმის ვეება ნაჭერი მიაწოდა, – მას ახლა ძალიან ბევრი საქმე აქვს.

– გაამართლეს, გაამართლეს...

– გაჩუმდით! – იყვირა ქალბატონმა უისლიმ.

* * *

მომდევნო დღეებში ჰარიმ უნებურად შეამჩნია, რომ სახლის ერთერთი ბინადარი მაინცდამაინც აღტაცებული არ იყო ჰოგვორტსში მისი დაბრუნებით. სირიუსმა, რა თქმა უნდა, სიხარულის გამოხატვა სცადა, როცა გაიგო, რომ ჰარი გაამართლეს: დანარჩენებივით სახეგაბრწყინებულმა მაგრად, ძალიან მაგრად ჩამოართვა ხელი, მაგრამ სულ მალე წინანდელზე უფრო მოღუშული და უკარება გახდა, თითქმის არავის ელაპარაკებოდა, ჰარისაც კი, და სულ უფრო მეტ დროს დედის ოთახში ჩაკეტილ ბაკბიკთან ატარებდა.

– აზრადაც არ გაივლო, რომ შენი ბრალია! – მკაცრად უთხრა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონმა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ მეოთხე სართულზე ობმოკიდებული ბუფეტის წმენდის დროს ჰარიმ თავისი ფიქრი გაანდო მას და რონს, – შენი ადგილი ჰოგვორტსშია და ეს სირიუსმა შესანიშნავად იცის. მე მიმაჩნია, რომ ეგოისტურად იქცევა.

– მეტისმეტად მკაცრი ხარ მის მიმართ, – უსაყვედურა წარბშეკრულმა რონმა, თან თითებზე მიწებებულ ობს იცილებდა, – აბა, წარმოიდგინე, რომ შენ რჩებოდე აქ მარტოდმარტო!

– რატომ მარტოდმარტო?! – შეეპასუხა ჰერმიონი, – სხვა თუ არაფერი, აქ ფენიქსის ორდენის შტაბ-ბინაა! უბრალოდ, ეგონა, რომ ჰარი მასთან ერთად იცხოვრებდა.

– არა მგონია, ასე იყოს, – არ დაეთანხმა ჰარი, – სირიუსმა არ მიპასუხა, როცა ვკითხე, შენთან დარჩენა თუ შეიძლება-მეთქი.

– უბრალოდ, არ უნდოდა, მეტისმეტად დიდი იმედი ჰქონოდა, – გონივრულად განსაჯა ჰერმიონმა, – ალბათ, თავს დამნაშავედაც გრძნობს იმის გამო, რომ ნაწილობრივ მაინც უნდოდა, სკოლიდან გაერიცხე.

– მორჩი! – ერთხმად იყვირეს რონმა და ჰარიმ. ჰერმიონმა მხრები აიჩეჩა.

– როგორც გენებოთ. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, რომ რონის დედა მართალია: სირიუსს შენ მამაშენში ერევი, ჰარი.

– შენი აზრით, რა, ჭკუაზე ვერ არის? – გაცეცხლდა ჰარი.

– არა, უბრალოდ, სირიუსი ძალიან დიდხანს იყო მარტო ჩაკეტილი, – ალალად თქვა ჰერმიონმა.

ამ დროს ოთახში ქალბატონი უისლი შემოვიდა.

– კიდევ არ დაგიმთავრებიათ? – იკითხა და თავი ბუფეტში შეყო.

– მე კი მეგონა, იმისთვის მოხვედი, რომ შესვენება გამოგეცხადებინა, – უსაყვედურა რონმა, – იცი, უკვე რამდენი ობი ჩამოვწმინდეთ, რაც აქ ვცხოვრობთ?

– თქვენ თვითონ ამბობდით, რომ გინდოდათ, ორდენისთვის გემუშავათ, – შეახსენა ქალბატონმა უისლიმ, – თქვენი ამოცანაა, შტაბ-ბინა საცხოვრებლად ვარგისი გახადოთ.

– თავი შინაური ელფი მგონია, – წაიბუზღუნა რონმა.

– თუ უკვე მიხვდი, რა საშინელი ცხოვრება აქვთ ელფებს, იქნებ უფრო აქტიურად იბრძოლო მათი უფლებებისთვის! – იმედი გამოთქვა ჰერმიონმა, როცა ქალბატონი უისლი გავიდა, – სხვათა შორის, იდეა მაქვს: თუ გვინდა, რომ ყველას დავანახოთ, რა საშინელებაა მთელი ცხოვრება სახლის დამლაგებლად მუშაობა, რაღაც საფასურად შეგვეძლო გრიფინდორის სასტუმრო ოთახის რეცხვა-დასუფთავება; მთელი შემოსავალი კი საზოგადოების სალაროში შეგვეტანა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს ჩვენს თვითშეგნებასაც აამაღლებდა და ხაზინასაც შეავსებდა.

– რამდენი უნდა გადაგიხადოთ, რომ შენს სულელურ საზოგადოებაზე ლაპარაკს მორჩე? – წაიდუდღუნა გაღიზიანებულმა რონმა, მაგრამ ისე, რომ მხოლოდ ჰარის გაეგონა.

* * *

რაც უფრო ახლოვდებოდა არდადეგების დასასრული, ჰარის მით უფრო მეტად ენატრებოდა ჰოგვორტსი. ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა ჰაგრიდს; როდის ითამაშებდა ქვიდიჩს; როდის ჩაისეირნებდა ბოსტნების გავლით სათბურებთან. ბედნიერება იყო მარტო ამ მტვრიანი და დამპალი სახლიდან წასვლაც კი, სადაც ბუფეტებისა და კარადების ნახევარი ჯერაც არ გაეღოთ; სადაც ყოველი ბნელი კუთხე-კუნჭულიდან კრეჩერის ჩახრინწული, შეურაცხმყოფელი ბუტბუტი ისმოდა. თუმცა, ჰარი ცდილობდა, სირიუსის თანდასწრებით ამაზე არ ელაპარაკა. ცხოვრება იმ ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, რომელიც ვოლდემორთან საბრძოლველად შეიქმნა, არც ისე საინტერესო და ამაღელვებელი გამოდგა, როგორც თავიდან ეგონა. ფენიქსის ორდენის წევრები რეგულარულად მიდი-მოდიოდნენ, ხან სავახშმოდაც რჩებოდნენ, ხანაც სულ რამდენიმე წუთს წაიჩურჩულებდნენ და ისევ მიდიოდნენ. ქალბატონი უისლი თავგამოდებით ცდილობდა, ჰარისა და მისი მეგობრების ყურამდე თვით ყურების დამაგრძელებლითაც კი რაიმე მნიშვნელოვანს არ მიეღწია. სამწუხაროდ, არავის, როგორც ჩანს, თვით სირიუსსაც კი, აზრად არ მოსვლია, რომ ჰარის უფლება ჰქონდა, იმაზე მეტი სცოდნოდა, ვიდრე აქამდე იცოდა.

არდადეგების ბოლო დღეს, როცა ჰარი ჰედვიგის სკინტლით მოსვრილ კარადას ასუფთავებდა, რონმა საძინებელში ორი კონვერტი შემოიტანა.

– სახელმძღვანელოების სია, – გამოაცხადა და სკამზე შემდგარ ჰარის ერთი კონვერტი ესროლა, – როგორც იქნა. მე კი მეგონა, დავავიწყდით-მეთქი...

ჰარიმ დარჩენილი ნაგავიც მოხვეტა, ნაგვის პაკეტში ჩაყარა და რონის თავს ზემოთ, კუთხეში მდგარ კალათაში გადაისროლა. კალათამ სულის ერთი მოთქმით გადასანსლა პაკეტი და დააბოყინა. ჰარიმ კონვერტი გახია. შიგ პერგამენტის ორი ფურცელი იდო. ერთზე ეწერა, სწავლა პირველ სექტემბერს იწყებაო, მეორეზე კი აუცილებელი წიგნების სია იყო ჩამოწერილი. ჰარიმ სია ჩაიკითხა და თქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახალი მარტო ორია: მირანდა გოშოკის „შელოცვების ქრესტომათია“ მეხუთე კურსისთვის და უილბერტ სლინკჰარდის „დაცვითი მაგიის თეორია“.

ტკაც!

ფრედი და ჯორჯი იქვე, ჰარის გვერდით გაჩნდნენ აპარაციით. ჰარი უკვე ისე იყო ამას შეჩვეული, რომ სკამიდან აღარ ჩამოვარდნილა.

– ჩვენ აქ ერთი კითხვა გაგვიჩნდა: ვინ ჩართო სიაში სლინკჰარდის წიგნი? – ვითომც აქ არაფერიაო, ისე იკითხა ფრედმა.

– ვინ და... ეს იმას ნიშნავს, რომ დამბლდორმა, ბოლოს და ბოლოს, ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი იშოვა, – მაშინვე გამოთქვა თავისი აზრი ჯორჯმა.

– არ არის რო, დრო? – შენიშნა ფრედმა.

– რაზე ლაპარაკობთ? – დაინტერესდა ჰარი და იატაკზე ჩამოხტა.

– რამდენიმე კვირის წინ დამაგრძელებლის საშუალებით მშობლების ლაპარაკს მოვკარით ყური და შევიტყვეთ, რომ დამბლდორს ვერა და ვერ მოეძებნა ამ თანამდებობისთვის შესაფერი კაცი.

– ისე, გასაკვირი სულაც არ არის, თუ გავიხსენებთ, რა დაემართა წინა ოთხს, – თქვა ჯორჯმა.

– ერთი დაითხოვეს, მეორე მოკვდა, მესამემ მეხსიერება დაკარგა, მეოთხემ ცხრა თვე კიდობანში გაატარა, – თითებზე ჩამოთვალა ჰარიმ, – ჰო, მესმის, რასაც გულისხმობთ.

– რა დაგემართა, რონ? – უცებ იკითხა ფრედმა.

რონმა არ უპასუხა. ჰარი შემობრუნდა. რონი გაუნძრევლად იდგა, პირი დაეღო და ჰოგვორტსიდან გამოგზავნილ წერილს დასჩერებოდა.

– რა იყო? – მოთმინება დაელია ფრედს, რონს ზურგიდან მოუარა და წერილში ჩაიჭყიტა.

ფრედს რონის მსგავსად ჩამოუვარდა ქვედა ყბა.

– პრეფექტად? – თვალებს არ უჯერებდა ფრედი, – პრეფექტად?

ჯორჯი გამოქანდა, რონს კონვერტი ხელიდან გამოჰგლიჯა და გადააბრუნა. ხელისგულზე ალისფერ-ოქროსფერი რაღაც გადმოუვარდა.

– შეუძლებელია, – ძლივს თქვა ჯორჯმა.

– რაღაც შეცდომაა! – ფრედმა რონს წერილი გამოსტაცა და სინათლეზე გახედა, თითქოს ამოწმებდა, ნამდვილია თუ არაო, – არც ერთი ჭკუათმყოფელი რონს პრეფექტად არ დანიშნავს.

ტყუპებმა ერთდროულად შეხედეს ჰარის.

– ასიანი გვეგონა, რომ პრეფექტი შენ იქნებოდი! – ისეთი ტონით შესძახა ფრედმა, თითქოს ჰარიმ რაღაცაში მოატყუაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვფიქრობდით, რომ დამბლდორს შენ გარდა სხვა ვარიანტი არ ჰქონდა! – გაბრაზებით თქვა ჯორჯმა.

– სამი ჯადოქრის ტურნირიც მოიგე და კიდევ რა არ გააკეთე! – უკვირდა ფრედს.

– მე ვფიქრობ, ეს რაღაც იდიოტური მოსაზრებების გამო მოხდა, – უთხრა ჯორჯმა ფრედს.

– ალბათ, – დაეთანხმა ჩაფიქრებული ფრედი, – ჰო, ჰარი, როგორც ჩანს, ბევრი თავსატეხი გაუჩინე. რას იზამ, სხვა თუ არაფერი, მათი არჩევანი მაინც შევიტყვეთ, – ჰარის მხარზე დაუტყაპუნა ხელი და რონს მრისხანედ გადახედა.

– პრეფექტი... ბიჭუკელა რონი პრეფექტია!

– წარმომიდგენია დედიკოს რეაქცია. გული მერევა უკვე. ოო! – დაიკვნესა ჯორჯმა და პრეფექტის ნიშანი ისეთი ზიზღით მიუგდო რონს, თითქოს შეეშინდა, არ დავისვაროო.

რონს ამ ხნის განმავლობაში სიტყვაც არ დაეძრა, ერთი კი შეხედა ნიშანს და ჰარის გაუწოდა, თითქოს ეხვეწებოდა, გამაგებინე, ნამდვილია თუ არაო. ჰარიმ ნიშანი გამოართვა. გრიფინდორის ლომის თავზე მთავრული **ᴘ** იყო გამოსახული. ზუსტად ასეთი ნიშანი ნახა ჰოგვორტსის სკოლაში მისვლის პირველივე დღეს პერსის მკერდზე.

კარი ჯახანით გაიღო. ოთახში ჰერმიონი შემოიჭრა – თმაგაჩეჩილი და ლოყებაწითლებული. ხელში კონვერტი ეჭირა.

– თქვენ... თქვენც მიიღეთ?

ჰარის ხელში პრეფექტის ნიშანი დაუნახა და იკივლა:

– ვიცოდი! ვიცოდი! – და თავისი წერილი გააქნია ჰაერში, – მეც, ჰარი, მეც!

– არა, არა, – სწრაფად მიუგო ჰარიმ და ნიშანი რონს ჩაუდო ხელში, – მე კი არა, რონია.

– რაა?

– რონია პრეფექტი და არა მე, – აუხსნა ჰარიმ.

– რონი? – ჰარმიონი პირდაღებული დარჩა, – მაგრამ... დარწმუნებული ხართ? მინდოდა მეთქვა...

ჰერმიონი გაწითლდა. რონმა გამომწვევად შეხედა:

– წერილი ჩემს სახელზე მოვიდა.

– მე... – ჰერმიონი დაიბნა, – აუ... რა მაგარია! გილოცავ, რონ! ეს მართლა...

– მოულოდნელია, – უკარნახა ჯორჯმა.

– არა, რატომ... – სახე მთლად აუჭარხლდა ჰერმიონს, – სულაც არა. რონმა უამრავი რაღაც გააკეთა... ის ნამდვილად... კარი ფართოდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაიღო და ოთახში ქალბატონი უისლი შემოვიდა ახლად გარეცხილი მანტიების დასტით.

– ჯინიმ მითხრა, ბოლოს და ბოლოს, წიგნების სია მივიღეთო, – თქვა და საწოლებზე ორ დასტად დააწყო მანტიები, – მომეცით, დღეს მრუდე ქუჩაზე მივდივარ და სანამ თქვენ ნივთებს ჩაალაგებთ, წიგნებს მოგიტანთ. რონ, ახალ პიჟამას გიყიდი, ძველი უკვე ძალიან დაგიმოკლდა, ძალიან სწრაფად იზრდები... რა ფერისა გინდა?

– წითელი, მოოქრული, სამკერდე ნიშნის შესაფერი, – გესლიანად ურჩია ჯორჯმა.

– რის შესაფერი? – დაიბნა ქალბატონი უისლი, მუქი წითელი წინდები დაკეცა და რონის დასტას ზემოდან დაადო.

– რისი და, სამკერდე ნიშნისა, – ისე თქვა ფრედმა, თითქოს უსიამოვნო რაღაცის მოცილებას ჩქარობსო, – მისი ახალი, ბრჭყვიალა პრეფექტის ნიშნისა.

ამ სიტყვების შინაარსმა ძლივს მიაღწია პიჟამებით გართული ქალბატონი უისლის გონებამდე.

– მისი... მაგრამ... რონ, შენ ხომ არ... – რონმა ნიშანი აჩვენა.

ქალბატონმა უისლიმ ზუსტად ისე იკივლა, როგორც ჰერმიონმა.

– დაუჯერებელია! უბრალოდ, დაუჯერებელია! რონ, ძვირფასო, რა მშვენიერია! პრეფექტი! ეს უკვე ჩვენი ოჯახის ტრადიციად იქცა!

– ესე იგი, მე და ფრედი ოჯახის წევრები არა ვართ? კარის მეზობლები ვართ? – აღშფოთდა ჯორჯი, როცა დედამ ის განზე გასწია, რომ უმცროსი ვაჟი გულში ჩაეკრა.

– როგორ გაუხარდება მამას! რონ, ისე ვამაყობთ შენით! რა შესანიშნავია! მერე კი შეიძლება, ჰედ ბოიც გახდე, როგორც ბილი და პერსი, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია! რა სიხარულია, რა სიხარულია ამ არეულ-დარეულ დროში, პირდაპირ აღტაცებული ვარ, რონ...

ფრედი და ჯორჯი მის ზურგს უკან შეწყობილად გამოსცემდნენ ღებინების ხმებს, მაგრამ ქალბატონ უისლის არაფერი ესმოდა, მაგრად მოეხვია ხელები რონისთვის და გრძნობამორეული უკოცნიდა პრეფექტის ნიშანზე უფრო წითელ სახეს.

– დე... არ გინდა... დაწყნარდი, დე... – ბუტბუტებდა რონი და დედის მკლავებიდან გათავისუფლებას ცდილობდა.

ქალბატონმა უისლიმ, როგორც იქნა, ხელი გაუშვა, ძლივს მოითქვა სული და თქვა:

– ახლა რა უნდა ვქნათ? პერსის ბუ ვაჩუქეთ, მაგრამ შენ ხომ უკვე გყავს.

– რას გულისხმობ? – რონი ყურებს არ უჯერებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საჩუქარი გეკუთვნის! – სიყვარულით აუხსნა ქალბატონმა უისლიმ, – იქნებ, ახალი ლამაზი მანტია გვეყიდა?

– არ არის საჭირო, უკვე ვუყიდეთ, – ისე მოქუფრულმა თქვა ფრედმა, თითქოს მთელი არსებით ნანობს ამგვარ გულუხვობასო.

– ან იქნებ ახალი ქვაბი? ძველს, ჩარლისეულს, კარგა ხანია, ჟანგი მოეკიდა. ანდა ახალი ვირთხა, შენ ხომ ძალიან გიყვარდა სკაბერზი...

– დე, შეიძლება ახალი ცოცხი? – როგორც იქნა, გაბედა რონმა.

ქალბატონ უისლის სახე ჩამოუგრძელდა. ცოცხი არც ისე იაფი იყო.

– სულაც არ არის აუცილებელი, რომ საუკეთესო ვიყიდოთ, – სწრაფად დააყოლა რონმა, – უბრალოდ... ძველი უკვე მომბეზრდა.

ქალბატონი უისლი შეყოყმანდა, მერე გაეღიმა.

– რა თქმა უნდა, შეიძლება... კარგი, თუ ცოცხიც საყიდელი მაქვს, უნდა ვიჩქარო, ნახვამდის, ნახვამდის... წარმოგიდგენია? ჩემი პატარა რონი პრეფექტია! და არ დაგავიწყდეთ ჩემოდნების ჩალაგება... პრეფექტი... რას მაკანკალებს... ერთიანად ვკანკალებ...

კიდევ ერთხელ აკოცა რონს ლოყაზე, ხმამაღლა დაისრუტუნა და ოთახიდან გავიდა.

ფრედმა და ჯორჯმა ერთმანეთს გადახედეს.

– არაფერი მოხდება, თუ არ გაკოცებთ, რონ? – დამცინავი თანაგრძნობით ჰკითხა ფრედმა.

– თუ გინდა, მუხლს მოვიდრეკთ შენ წინაშე, – დაამატა ჯორჯმა.

– კარგით რა, მოკეტეთ, – გული მოუვიდა რონს.

– თორემ რა? გაკვეთილების შემდეგ დაგვტოვებ? – გესლიანი ღიმილით ჰკითხა ფრედმა.

– ერთი მანახა, როგორ მოახერხებს, – ჩაიცინა ჯორჯმა.

– თუ ასე გააგრძელებთ, ისე დაგტოვებთ, თქვენი მოწონებული! – გაჯავრებით მიახალა ჰერმიონმა.

ფრედმა და ჯორჯმა გადაიხარხარეს. რონმა ჩაიბურტყუნა:

– კარგი, ჰერმიონ, გეყოფა.

– ჯორჯ, გესმის, ჯორჯ? ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ, – თქვა ფრედმა და ვითომ შიშისგან აკანკალდა, – კანონის ამ ორ უანგარო მცველთან ხუმრობა ხეირს არ დაგვაყრის.

– ჰო, როგორც ჩანს, ჩვენს უკანონო ცელქობას ბოლო მოეღო, – მწუხარედ გააქნია თავი ჯორჯმა.

და ტყუპები ხმამაღალი ტკაცანით გაუჩინარდნენ.

– ორი ხეპრე, – გაცოფებულმა ჰერმიონმა ჭერს ახედა, საიდანაც ფრედისა და ჯორჯის ხმამაღალი ხარხარი ისმოდა, – ნუ მიაქცევ ყურადღებას, უბრალოდ, ძალიან შურთ შენი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, არა მგონია, – არ დაიჯერა რონმა და თვითონაც ახედა ჭერს, – ყოველთვის იმას ამბობდნენ, რომ მხოლოდ ბრიყვები და უტვინოები ხდებიან პრეფექტები... და მაინც, – უფრო ხალისიანად დაამატა: – მათთვის არასოდეს უყიდიათ ახალი ცოცხი! დასანანია, რომ დედასთან ერთად არ შემიძლია წასვლა და ამორჩევა. „ნიმ-ბუსისთვის“, რა თქმა უნდა, ფული არ გვეყოფა, მაგრამ „ქლინსვი-პის“ ახალი მოდელია გამოსული, არც ის იქნებოდა ურიგო... იცი, გავიქცევი, დავეწევი და ვეტყვი, რომ „ქლინსვიპი“ მინდა...

თქვა თუ არა, ისარივით გავარდა ოთახიდან, ჰარი და ჰერმიონი მარტო დატოვა.

ჰარის რატომღაც არ უნდოდა ჰერმიონის შეხედვა. საწოლთან მივიდა, ქალბატონი უილსის მიერ დაწყობილი სუფთა მანტიების დასტა აიღო და თავისი ჩემოდნისკენ წავიდა.

– ჰარი... – ყოყმანით დაიწყო ჰერმიონმა.

– გილოცავ, ჰერმიონ, – ისეთი გულითადობა ჩააქსოვა თავის ხმას, რომ თვითონვე ეუცხოვა, – მაგარია, ბრწყინვალეა, შესანიშნავი.

– გმადლობ. ჰარი... შ-შეიძლება, ჰედვიგი მათხოვო, რომ მშობლებს შევატყობინო? ძალიან გაუხარდებათ. კარგად იციან, რას ნიშნავს სიტყვა „პრეფექტი“, – სთხოვა ჰერმიონმა.

– რა სალაპარაკოა, წაიყვანე, – უთხრა ჰარიმ ისეთივე გულითადი და საოცრად უცხო ხმით.

ჩემოდნისკენ დაიხარა, მანტიები ჩააწყო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს რაღაცას ეძებდა. ამასობაში ჰერმიონი კარადასთან მივიდა და ჰედვიგს დაუძახა. გავიდა რამდენიმე წამი, კარი გაჯახუნდა, მაგრამ ჰარის ისევ ჩემოდანში ჰქონდა თავი ჩაყოფილი და სმენად იყო გადაქცეული. მის ყურამდე მხოლოდ ცარიელი სურათის ქირქილი და სანაგვე ყუთის ხველება აღწევდა: ეტყობა, ჰედვიგის სკინტლი ყელში გაეჩხირა.

მერე წელში გასწორდა და ოთახი მოათვალიერა. არც ჰერმიონი და არც ჰედვიგი იქ აღარ იყვნენ. ნელა მივიდა საწოლთან, მხარ-თეძოზე წამოწვა და უაზრო თვალებით მიაშტერდა კარადის ქვედა ნაწილს.

დიახ, ასე გამოვიდა: საერთოდ არ ახსოვდა, რომ მეხუთე კურსზე პრეფექტებს ნიშნავდნენ. ისე ეშინოდა სკოლიდან გარიცხვისა, რომ ერთხელაც არ გახსენებია არც პრეფექტის ნიშანი და არც ის, ვინ მიიღებდა ამ ნიშანს. მაგრამ რომ გახსენებოდა?.. რომ დაფიქრებუ-ლიყო ამაზე?.. ნეტავ რას ელოდა?

„ყოველ შემთხვევაში, ამას ნამდვილად არ ელოდი“, – სამართლი-ანად აღნიშნა ვიღაცამ მის გონებაში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის სახე დაემანჭა, მერე კი ხელებში ჩამალა. არა, თავს ვერ მოიტყუებდა. ნიშნების დარიგება რომ გახსენებოდა, თვითონ ექნებოდა პრეფექტობის იმედი. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთივე ქედმაღალია, როგორც დრაკო მალფოი? ნუთუ ისიც თავის თავს სხვებზე მაღლა აყენებს? ნუთუ ფიქრობს, რომ რონზე უკეთესია?

„არა," – გამომწვევად უპასუხა იმავე ხმამ.

„მაშ, რა?" – აწრიალებული ეკითხებოდა თავის თავს ჰარი და ცდილობდა, ყველაფერში გარკვეულიყო.

„ქვიდიჩს მე უკეთ ვთამაშობ, – თქვა ხმამ, – მაგრამ სხვა დანარჩენში ნამდვილად არ ვჯობივარ".

„სრული სიმართლეა," ფიქრობდა ჰარი. სწავლით რონზე უკეთესად არ სწავლობს, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რაც გაკვეთილებს მილმა ხდება? რა ვუყოთ იმ განსაცდელს, რაც უამრავჯერ დაატყდათ თავს მას, ჰერმიონსა და რონს ჰოგვორტსში სწავლის პირველივე დღიდან? ან იმას რა ვუყოთ, რასაც შეიძლება გარიცხვაზე უარესი დასასრული ჰქონოდა?

„ჰო, ჰერმიონი და რონი მეტწილად ჩემთან ერთად იყვნენ", – ისევ მოესმა თავში.

„მაგრამ არა ყოველთვის, – შეეპასუხა თავის თავს, – ისინი არ დამხმარებიან ქვირელთან ბრძოლაში; არც რიდლთან და ბასილისკოსთან უბრძოლიათ; არც იქ ყოფილან, როცა მარტო ვებრძოდი დემენტორებს აზკაბანიდან სირიუსის გაქცევისას; სასაფლაოზეც მარტო ვიყავი, როცა ვოლდემორი დაბრუნდა." ჰარის ზუსტად ისეთივე უსამართლობის შეგრძნება დაეუფლა, როგორიც სირიუსის სახლში პირველად მოსვლისას.

„მე გაცილებით მეტი გავაკეთე, – გაიფიქრა აღშფოთებულმა, – მე უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე რომელიმე მათგანმა!"

„მაგრამ ხომ შეიძლება, – გაისმა მიუკერძოებელი ხმა, – ხომ შეიძლება, დამბლდორი პრეფექტებად იმისთვის კი არ ნიშნავს ადამიანებს, რომ დროდადრო შარში ეხვევიან ხოლმე... შესაძლოა, მისთვის უფრო სხვა თვისებებია მნიშვნელოვანი... რონს, ალბათ, ისეთი რაღაც აქვს, რაც შენ არ გაქვს..." ჰარიმ თვალი გაახილა, თითებს შორის კარადის ფეხები მოჩანდა, ბრჭყალებიან თათს რომ წააგავდა, და ფრედის სიტყვები გაახსენდა: „არც ერთი ჭკუათამყოფელი რონის პრეფექტად არ დანიშნავს".

ჰარიმ ჩაიცინა, მაგრამ წამის შემდეგ თავისი თავი შეეზიზღა. რონს ხომ დამბლდორისთვის პრეფექტობა არ უთხოვია. ის არაფერ შუაშია. და ახლა რა, ჰარი, რონის საუკეთესო მეგობარი, იმაზე გაიბუტება, რომ სამკერდე ნიშანი ვერ მიიღო? ტყუპებთან ერთად იხითხითოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონის ზურგს უკან? მთელი სიამოვნება ჩაუშხამოს რონს, რომელმაც ცხოვრებაში პირველად აჯობა რაღაცაში?

ამ დროს კიბეზე ისევ მოესმა რონის ნაბიჯების ხმა. წამოდგა, სათვალე გაისწორა და, სანამ რონი ოთახში შემოკუნტრუშდებოდა, ღიმილი გადაიკრა სახეზე.

– დავეწიე! – ახარა რონმა, – მითხრა, რომ თუ შეძლებს, „ქლინსვიპს“ მიყიდის.

– მაგარია, – ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა მიხვდა, რომ წეღანდელი „გულთბილი“ ტონი სადღაც გამქრალიყო, – მისმინე, რონ, მაგარი ხარ.

რონს სახე ჩამოუგრძელდა.

– ფიქრადაც არ მომსვლია, რომ მე ამირჩევდნენ. მეგონა, შენ დაგნიშნავდნენ.

– არა, რას ამბობ, ხომ იცი, რომ წარამარა რაღაც თავსატეხს გავუჩენ ხოლმე ყველას, – ფრედის ნათქვამი გაახსენდა ჰარის.

– ჰო, ჰო, ალბათ... თუმცა, მოდი, ჩემოდნებს მივხედოთ. მათი ნივთები ისე იყო მიმოფანტული, რომ საღამომდე აგროვებდნენ და ტენიდნენ ჩემოდნებში. ჰარიმ შეამჩნია, რომ რონმა არც თვითონ მოისვენა და არც პრეფექტის ნიშანი მოასვენა – ხან საწოლთან მდგარ ტუმბოზე დადებდა, ხან ჯიბეში ჩაიტენიდა, ხან ამოიღებდა და ჩალაგებული მანტიების დასტაზე მიუჩენდა ადგილს; თითქოს აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა წითელი ფერი შავ ფონზე. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ოთახში ფრედი და ჯორჯი შემოცვივდნენ და რონს ურჩიეს, სამუდამო მიწებების შელოცვით შუბლზე მიემაგრებინა ნიშანი, რონმა სიყვარულით შეახვია წაბლისფერ წინდებში და ჩემოდანში ჩაკეტა.

ექვსი საათისთვის ქალბატონი უისლი წიგნებითა და ქაღალდში გახვეული რაღაც გრძელი საგნით დაბრუნდა. რონმა დანატრებულის კვნესით გამოართვა საჩუქარი.

– არც კი იფიქრო გახსნა. ხალხი უკვე ვახშმობას აპირებს, ყველანი ქვევით ჩადით, – უთხრა ქალბატონმა უისლიმ, მაგრამ როგორც კი თვალს მიეფარა, რონმა ფეთიანივით შემოახია ქაღალდი და ანთებული თვალებით შეუდგა ახალი ცოცხის თვალიერებას.

სამზარეულოში ქალბატონმა უისლიმ ათასგვარი სასუსნავით გაწყობილი სუფრის თავზე ალისფერი ალამი გამოკიდა, რომელზეც მსხვილი ასოებით ეწერა:

ვულოცავთ ახალ პრეფექტებს –
რონსა და ჰერმიონს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელი არდადეგების განმავლობაში ჰარის ერთხელაც არ უნახავს ქალბატონი უისლი ასეთი ბედნიერი და ხალისიანი.

– დღეს ჩვეულებრივი ვახშმის ნაცვლად, პატარა სადღესასწაულო წვეულება გვექნება, – განაცხადა ქალბატონმა უისლიმ, როცა ბავშვები სამზარეულოში შევიდნენ, – რონ, მამაშენი და ბილი სულ მალე მოვლენ. ორივეს ბუ გავუგზავნე, აღტაცებულები არიან.

ფრედმა თვალები ამოატრიალა.

სირიუსი, ლუპინი, ტონქსი და კინგსლი შეკლბოლტიც სამზარეულოში იყვნენ. მალე ოთახში მძიმე ნაბიჯით შემოვიდა მრისხანეთვალა მუდი.

– ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან ხარ, ალასტორ, – ღიმილით შეეგება ქალბატონი უისლი, როცა მუდიმ მხრებიდან სამგზავრო მოსასხამი მოიხსნა, – კარგა ხანია, გვინდოდა გვეთხოვა შენთვის: შეგიძლია, ჩაიხედო სასტუმრო ოთახის საწერი მაგიდის უჯრაში და გვითხრა, რა არის იქ? ჩვენ ვერ გავბედეთ გაღება – ხომ შეიძლება, რაღაც საშინელება იყოს.

– რა პრობლემაა, მოლი.

მრისხანეთვალას კაშკაშა ცისფერი ჯადოსნური თვალი ზევით აუტრიალდა და სამზარეულოს ჭერს მიაშტერდა.

– სასტუმრო... – დაიღრინა მუდიმ და თვალის გუგა დაუვიწროვდა, – მაგიდა კუთხეში დგას? ვხედავ, ვხედავ... ჰო, ეს ხომ ბოგარტია... გინდა, რომ ავიდე და გავარკვიო, რა ხდება?

– არა, არა, მერე, მე თვითონ, – დაამშვიდა ქალბატონმა უისლიმ, – დაისვენე, რამე დალიე. ჩვენ აქ, უნდა გაგიმხილო, პატარა დღესასწაული გვაქვს... – ალისფერ ალამზე მიუთითა, – უკვე მეოთხე პრეფექტია ოჯახში! – და ერთიანად გაბრწყინებულმა რონს თმა აუჩეჩა.

– პრეფექტი? – დაიბუბუნა მუდიმ და ნორმალური თვალით შეხედა რონს, ჯადოსნური კი ისე შეაბრუნა, რომ ის ახლა სადღაც უკან იყურებოდა. ჰარის უცნაური გრძნობა დაეუფლა, მოეჩვენა, რომ თვალი მას უყურებდა და სირიუსისა და ლუპინისკენ გაიწია.

– ძალიან კარგი, მომილოცავს, – თქვა მუდიმ და თან ნორმალურ თვალს არ აცილებდა რონს, – ძალაუფლების მქონე ადამიანები ხშირად ეხვევიან უსიამოვნებებში. მაგრამ, რადგან დამბლდორმა დაგნიშნა, დარწმუნებულიც არის, რომ ძალა შეგწევს, ბევრ განსაცდელს გაუმკლავდე...

რონი ნამდვილად არ ელოდა ამგვარ შეფასებას, მაგრამ სანამ პასუხის გაცემას მოახერხებდა, მამამისი და უფროსი ძმა მოვიდნენ. ქალბატონი უისლი ისეთ კარგ გუნებაზე იყო, რომ საყვედურიც კი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ უთქვამს მანდანგუს ფლეტჩერის მოყვანისთვის. მანდანგუსს გრძელი, ალაგ-ალაგ უცნაურად გამობერილი პალტო ეცვა. მან კატეგორიული უარი თქვა პალტოს გახდასა და მუდის სამგზავრო მოსასხამის გვერდით დადებაზე.

– ერთი კარგი სადღეგრძელო უნდა ვთქვა, – ბრძანა ბატონმა უისლიმ, როცა ყველამ შეავსო თასი, – რონსა და ჰერმიონს გაუმარჯოს, გრიფინდორის ახალ პრეფექტებს!

რონი და ჰერმიონი სახეგაბრწყინებულები იღიმებოდნენ. ყველამ გამოცალა სასმისი. მერე კი ტაშიც დასცხეს.

– აი, მე კი არასოდეს ვყოფილვარ პრეფექტი, – მხიარულად აღიარა ტონქსმა ჰარის ზურგს უკან, როცა ყველანი მაგიდისკენ გაემართნენ. თმა ამ საღამოს პამიდვრის ფერისა ჰქონდა და წელამდე სწვდებოდა, ამის გამო ჯინის უფროსი და გეგონებოდათ, – ჩემმა ხელმძღვანელმა თქვა, რომ რაღაც საჭირო თვისებები მაკლია.

– მაინც, როგორი? – იკითხა ჯინიმ და შემწვარი კარტოფილი გადაიღო.

– ისეთები, რომლებიც აუცილებელია, რომ შენ თვითონ კარგად მოიქცე, – აუხსნა ტონქსმა.

ჯინიმ გაიცინა, ჰერმიონს კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არ იცოდა, გასცინებოდა თუ არა. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ბურბურახით სავსე თასიდან მოზრდილი ყლუპი მოსვა და ხველაც აუტყდა.

– შენ, სირიუს? – იკითხა ჯინიმ და ზურგზე ხელი დაჰკრა ჰერმიონს.

ჰარის გვერდით მდგარმა სირიუსმა, ჩვეულებისამებრ, ყეფისმაგვარი სიცილით უპასუხა:

– აზრად არავის მოსვლია პრეფექტად ჩემი დანიშვნა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ, უმეტესწილად, გაკვეთილების შემდეგ ჯეიმსთან ერთად ვიხდიდი სასჯელს. აი, ლუპინი სხვა საქმეა, დამჯერი ბავშვი იყო და სამკერდე ნიშნითაც დადიოდა.

– დამბლდორს, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ ჩემს ერთგულ მეგობრებზე გავლენას მოვახდენდი. ალბათ, არ არის საჭირო იმის თქმა, რომ სრული კრახი განვიცადე, – აღნიშნა ლუპინმა.

ჰარის გულზე მოეშვა. არც მამამისი ყოფილა პრეფექტი. უცებ იგრძნო, რომ აქ ჯდომა სიამოვნებდა. თეფში გაივსო და გაორმაგებული სითბოთი გადახედა სამზარეულოში მყოფთ.

რონი აღფრთოვანებით უყვებოდა ყველას თავისი ახალი ცოცხის ამბავს.

– აჩქარება – ნულიდან სამოცდაათამდე ათ წამში. როგორია, ჰა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„კომეტა 92“-ს მხოლოდ სამოცამდე შეუძლია გაზარდოს, ისიც – ზურგქარის დროს. ასე წერია ცოცხების კატალოგში...

ჰერმიონი ძალიან სერიოზულად ესაუბრებოდა ლუპინს ელფების უფლებების შესახებ.

– ვითომ ეს ისეთივე უაზრო სისასტიკე არ არის, როგორც მაქციების გარიყვა საზოგადოებიდან? ყველაფერი ერთი საზარელი ფესვიდან იზრდება – იმ იდეიდან, რომ ჯადოქრები სხვა არსებებზე უკეთესები არიან...

ქალბატონი უისლი ბილს ისევ მისი ვარცხნილობის თაობაზე ეკამათებოდა:

– ეს უკვე აღარაფერს ჰგავს, არადა, მშვენიერი ბიჭი ხარ, გაცილებით უფრო ლამაზი იქნებოდი, თმა რომ მოკლედ შეგეჭრა. ასე არ არის, ჰარი?

– აბა, რა გითხრათ... – წაიბუტბუტა ჰარიმ, რომელიც მხარდაჭერის თხოვნამ ცოტათი შეაცბუნა. მერე ჯორჯისა და ფრედისკენ გადაინაცვლა, რომლებიც კუთხეში მანდანგუსთან ერთად ჩურჩულებდნენ.

ჰარის დანახვაზე მანდანგუსი გაჩუმდა. მაგრამ ფრედმა თვალი ჩაუკრა და ხელით თავისკენ უხმო.

– ნუ ღელავ, – უთხრა მანდანგუსს, – ჰარის შეგიძლია ენდო, ის ჩვენი სპონსორია.

– ნახე, რა მოგვიტანა ფლეტჩერმა, – ჯორჯმა ჰარის ერთი მუჭა დანაოჭებული შავი ფანტელები უჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რაღაცეები გაუნძრევლად იწვნენ, შიგნიდან რაკუნი ისმოდა.

– ტენტაკულის შხამიანი მარცვლებია, – აუხსნა ჯორჯმა,

– საშატალოე საუზმისთვის გვჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებად ითვლება და არ იყიდება, ამიტომ არც ისე იოლი საშოვნელია.

– აბა, მანდანგუს, ათი გალეონი – ერთ პარტიაში, თანახმა ხარ? – იკითხა ფრედმა.

– რომ იცოდეთ, რა შრომის ფასად დამიჯდა, – თქვა თვალებჩასისხლიანებულმა მანდანგუსმა და ჩამოსივებული უპეები უფრო ჩამოეკიდა, – როგორც გენებოთ, ბიჭებო... ოცი, და დავამთავროთ. არც ერთ კნატს არ დავაკლებ.

– ნახე, რა ხუმარაა, – უთხრა ფრედმა ჰარის.

– ეგრეა. მაგისი ყველაზე მაგარი ხუმრობა ექვსი სიკლია ერთ ჩანთა ნარლის ბუმბულში, – თქვა ჯორჯმა.

– ცოტა ჩუმად, – გააფრთხილა ჰარიმ.

– რა იყო, – გაუკვირდა ფრედს, – დედიკო ისე ღულუნებს რონის პრეფექტობაზე, რომ საშიში არაფერია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეიძლება, მუდიმ შეგასწროთ თვალი, – აუხსნა ჰარიმ. მანდანგუსი აწრიალდა.

– კარგი, რაც არის, არის. იყოს ათი, და მოვრჩეთ ამ საქმეს.

– დაარტყი ხელი, ჰარი, – გაუხარდა ფრედს, როცა მანდანგუსმა ტყუპებს ხელებში გადმოუბერტყა ჯიბეები და მაშინვე საჭმლისკენ გაეშურა, – წამო, ზევით ავიტანოთ...

მიმავალ ძმებს რომ გაჰყურებდა, ჰარიმ უხერხულობა იგრძნო. ადრე თუ გვიან, ბატონი და ქალბატონი უისლები აუცილებლად შეიტყობდნენ ფრედისა და ჯორჯის მიერ ჩაფიქრებული ჯადოსნური ფოკუსებისა და ოინების მაღაზიის ამბავს. გაიგებდნენ და იმითაც დაინტერესდებოდნენ, საიდან აქვთ ბიჭებს ამდენი ფულიო. როცა სამი ჯადოქრის ტურნირში მოგებულ ჯილდოს აძლევდა ტყუპებს, ჰარი ფიქრობდა, რომ ეს, მისი მხრიდან, ჩვეულებრივი, ძალზე ბუნებრივი საქციელი იყო. მაგრამ ვაითუ ამ საქციელმა ახალი განხეთქილება გამოიწვიოს ამ ოჯახში და პერსის კვალს კიდევ ორი შვილი გაჰყვეს?! ჩათვლის კი ამის შემდეგ ქალბატონი უისლი თავის შვილობილად ჰარის, თუ გაიგებს, რომ სწორედ ის დაეხმარა ფრედსა და ჯორჯს, ქალბატონი უისლის აზრით, სრულიად შეუფერებელ საქმიანობაში?

დანაშაულის შეგრძნებით დამძიმებული ჰარი ისევ იქ იდგა, სადაც ტყუპებმა მიატოვეს. უეცრად თავისი სახელი გაიგონა. საერთო ლაზღანდარობის გუგუნში მის ყურამდე მიაღწია კინგსლი შეკლბოლტის ბანმა:

– დამბლდორმა პრეფექტად პოტერი რატომ არ დანიშნა?

– ალბათ, საამისო მიზეზი ჰქონდა, – უპასუხა ლუპინმა.

– ამით ყველას აგრძნობინებდა, რომ სჯერა მისი. მე სწორედ ასე მოვიქცეოდი, – არ ცხრებოდა კინგსლი, – მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში, როცა „მისანი“ მას წამდაუწუმ კბენს... ჰარი არ შებრუნებულა. არ უნდოდა, ლუპინსა და კინგსლის სცოდნოდათ, რომ ყველაფერი გაიგონა. ოდნავაც არ შიოდა, მაგრამ მაინც მანდანგუსთან ერთად გასწია სუფრისაკენ. კარგი განწყობილება ისევე სწრაფად გაუქრა, როგორც ეწვია.

ახლა ყველაზე მეტად ზევით, ლოგინში ყოფნა უნდოდა. მრისხანეთვალა მუდი ქათმის ბარკალს ყნოსავდა იმით, რაც ცხვირის მაგივრად შერჩენოდა. დარწმუნდა, რომ მოწამლული არ იყო და კბილები ჩაასო.

– წითელი მუხის ტარი ლაქით არის დაფარული, რომელიც შელოცვისგან იცავს. ჩამონტაჟებული ვიბრაციის დამხშობი... – უყვებოდა რონი მოთმინებით სავსე ტონქსს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალბატონმა უისლიმ დაამთქნარა.

– წავალ, ბოგარტის ამბავს გავარკვევ და დავწვები... არტურ, თუ შეიძლება, მიხედე ბიჭებს, ძალიან გვიან არ დაწვნენ. ჰარი, საყვარელო, ღამე მშვიდობისა.

ქალბატონი უისლი სამზარეულოდან გავიდა. ჰარიმ გაიფიქრა, შეუმჩნევლად მეც ხომ არ გავყვეო.

– ჰა, პოტერ, ყველაფერი რიგზეა? – ამოიხავლა მუდიმ.

– დიახ, – იცრუა ჰარიმ.

მუდიმ მათარიდან მოსვა და ღია ცისფერი თვალით ცერად გამოხედა.

– წამოდი, რაღაც საინტერესოს გაჩვენებ.

მანტიის შიდა ჯიბიდან ძველი, ერთიანად გაცრეცილი ჯადოსნური ფოტო ამოიღო.

– აი, ასეთი იყო ფენიქსის ორდენი დასაწყისში, – წაიღრინა მუდიმ, – გუშინ საღამოს შემთხვევით ვიპოვე, უჩინმაჩინის მეორე წამოსასხამს რომ ვეძებდი. ამ ჩვენმა თავაზიანმა პოდმორმა საჭიროდ არ ჩათვალა, დაებრუნებინა ჩემი საუკეთესო, ამას წინათ რომ ითხოვა... ვიფიქრე, იქნებ ხალხს ნახვა მოუნდეს-მეთქი.

ჰარიმ სურათი გამოართვა. ფოტოზე პატარა ჯგუფი იყო აღბეჭდილი. როგორც კი ჰარი დაინახეს, ზოგიერთმა, მისალმების ნიშნად, ხელი დაუქნია, ზოგმაც ბოკალი ასწია.

– ეს მე ვარ, – თქვა მუდიმ და თითით უჩვენა. თუმცა მუდი უამისოდაც ადვილად შეიძლებოდა გამოგეცნოთ, მხოლოდ თმა ჰქონდა უფრო მუქი და ცხვირიც – ჯერ კიდევ მთელი, – ჩემ გვერდით დამბლდორია, მეორე მხარეს – დედალუს დიგლი... ეს კი მერლი მაკინონია. ის ორი კვირის შემდეგ მოკლეს. ისიც და მთელი მისი ოჯახიც. ეს – ფრენკ და ალისა ლონგბოტომები...

ალისა ლონგბოტომის დანახვაზე ჰარის ისედაც აწრიალებულ კუჭს ნერვიული კრუნჩხვა დაემართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი არასოდეს ენახა, უცებ ეცნო მისი პირმრგვალი, სასიამოვნო სახე – ნევილ ლონგბოტომი პირწავარდნილი დედამისი იყო.

– საწყლები, – დაიღრინა მუდიმ, – სიკვდილი სჯობს იმას, რაც მათ დაემართათ... ეს კი ემელინ ვენსია. შენ მას იცნობ... ეს, რაღა თქმა უნდა, ლუპინი... ბენჯი ფენვიკი. მაგასაც გვარიანად მოხვდა, მერე ნაწილ-ნაწილ ვაგროვებდით... აბა, ერთი მიიწ-მოიწიეთ, – თქვა და თითი სურათს გაუსვ-გამოუსვა. ფიგურები გაიწივნენ, ზოგი – მარცხნივ, ზოგი – მარჯვნივ და უკეთ გამოაჩინეს უკანა პლანზე მსხდომნი, – ეს ედგარ ბონსია, ამელია ბონსის ძმა, ისიც ოჯახიანად გაუუჟეს, საოცარი ჯადოქარი იყო... სტარჯის პოდმორი, ღმერთო, რა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახალგაზრდაა აქ... კარადოს დირბორნი, ექვსი თვის შემდეგ გაუჩინარდა, გვამიც კი ვერ აღმოვაჩინეთ... ჰაგრიდი, ეს კაცი, რა თქმა უნდა, სულ არ შეცვლილა... ელფიას დოჯი. შენ მას შეხვედრიხარ. სულ დამავიწყდა, რომ მაშინ ამ სულელურ შლაპას ატარებდა... გედეონ პრუეტი... მისი და მისი ძმის – ფაბიანის გასანადგურებლად ხუთი „სიკვდილის მხვრელი" დასჭირდათ. ძმები გმირულად დაიღუპნენ... იმოძრავეთ, იმოძრავეთ...

ფიგურები ისევ გადაჯგუფდნენ. წინ სულ უკან მდგომები გამოვიდნენ.

– აბერფორტი, დამბლდორის ძმა. მხოლოდ ერთხელ ვნახე, საოცარი ტიპი იყო... ეს დორკას მედოუსია, ის თვითონ ვოლდემორმა მოკლა... სირიუსი, მაშინ ჯერ კიდევ მოკლე თმა ჰქონდა... და აი, ისინი, ვინც, ვფიქრობ, დაგაინტერესებს!

ჰარის რაღაც გადაუბრუნდა შიგნით. ფოტოდან გაბრწყინებული თვალებით მისჩერებოდნენ დედა და მამა. მათ შორის წყალწყალათვალებიანი პატარა კაცუნა იჯდა, ჰარიმ მაშინვე იცნო გრძელკუდა – ის, ვინც ვოლდემორს პოტერების ადგილსამყოფელი შეატყობინა და ამით მათ დახოცვას შეუწყო ხელი.

– აბა? – იკითხასავით მუდიმ.

ჰარიმ მუდის დაკენკილ, ნაიარევებით დაღარულ სახეში შეხედა და მიხვდა, რომ მუდის ეგონა, ენით აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა ჰარის.

– ჰო, – ჰარიმ გაღიმება სცადა, – ისა... იცით, ახლაღა გამახსენდა, რომ ჩემოდანში არ ჩამიდია...

სანამ მოიფიქრებდა, რა არ ჩადო ჩემოდანში, სირიუსი მივიდა მათთან და მუდის ჰკითხა: „ეს რა გაქვს მანდ, მუდი?" ჰარიმ ისარგებლა იმით, რომ მუდი სირიუსისკენ შებრუნდა, სწრაფად გადაჭრა სამზარეულო, კარში გაძვრა და დერეფანში ავიდა.

ძალიან იყო აღელვებული და ვერ მიმხვდარიყო, რა დაემართა. მშობლების ფოტო ადრეც ჰქონდა ნანახი, გრძელკუდას კი ცოცხალსაც შეხვედროდა... აბა, ასე როგორ შეიძლება, როცა სულაც არ ელოდება... „ასეთი რამ არავის მოეწონება", – ფიქრობდა გაჯავრებული.

თანაც, ამ გაღიმებულ, მხიარულ ადამიანებში... ბენჯი ფენვიკი, რომლისგანაც მხოლოდ ნაკუწებიღა დარჩა... გმირულად დაღუპული გედეონ პრუეტი... ლონგბოტომები, რომლებიც წამებით მიიყვანეს სიგიჟემდე... ყველანი ბედნიერები იქნევენ ხელს ფოტოდან, და ასე გაგრძელდება სამუდამოდ, რადგან არც კი იციან, რა ბედი ელით. თუკი მუდის მიაჩნია, რომ ეს ძალიან საინტერესოა, ღმერთმა შეარგოს, მაგრამ ჰარისთვის ძალიან ძნელია...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმით კმაყოფილმა, რომ გვერდით აღარავინ იყო, ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი და ელფების თავებით მორთულ კიბეს აუყვა. მეორე სართულის ბაქანს რომ მიუახლოვდა, რაღაც ხმა მოესმა. სასტუმრო ოთახში ვილაც ტიროდა.

– ვინ ხარ? – იკითხა ჰარიმ.

პასუხი არავის გაუცია. ტირილი გრძელდებოდა. ერთბაშად რამდენიმე საფეხურს აახტა, კიბის ბაქანი გადაირბინა და სასტუმრო ოთახის კარი შეაღო.

ბნელ კედელთან ქალი იდგა. ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა. ტირილისგან მთელი სხეული უცახცახებდა. ძველ, დამტვერილ ხალიჩაზე, მთვარის შუქით განათებულ ადგილას, აშკარად მკვდარი რონი იწვა.

ჰარის სუნთქვა შეეკრა, მოეჩვენა, რომ იატაკში იძირებოდა. ტვინი ყინულის მარწუხებში მოექცა – რონი... არა, შეუძლებელია...

მაგრამ ეს ხომ ნამდვილად შეუძლებელია... რონი ქვევით არის...

– ქალბატონო უისლი... – ძლივს ამოიღო ხმა ჰარიმ.

– რ-რ-რიდიკულუს! – ამოიტირა ქალბატონმა უისლიმ და აკანკალებული ხელით მიმართა ჯადოსნური ჯოხი რონისკენ.

ტკაც!

მკვდარი რონი ზურგზე გაშხლართულ მკვდარ ბილად გადაიქცა. თვალები შუშასავით ცარიელი და ცივი ჰქონდა. ქალბატონი უისლი უფრო ხმამაღლა აქვითინდა.

– რ-რიდიკულუს! – ისევ დაიყვირა. ტკაც!

ახლა იატაკზე ბილი კი არა, ბატონი უისლი იწვა. ისიც მკვდარი იყო. სათვალე გვერდზე მოჰქცეოდა, სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა.

– არა! – ამოიკვნესა ქალბატონმა უისლიმ, – არა... რიდიკულუს! რიდიკულუს! რიდიკულუს!

ტკაც!

მკვდარი ტყუპები. ტკაც! მკვდარი პერსი. ტკაც! მკვდარი ჰარი...

– ქალბატონო უისლი, გადით აქედან! – იყვირა ჰარიმ და იატაკზე გაშოტილ საკუთარ გვამს დააცქერდა.

– რა ხდება აქ?

ოთახში ლუპინი შემოვარდა, უკან სირიუსი მოსდევდა. შორიდან მუდის მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა. ლუპინმა ქალბატონ უისლის შეხედა, მერე – ჰარის უსიცოცხლო გვამს და უცებ ყველაფერს მიხვდა. ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და მტკიცედ და გარკვევით თქვა:

– რიდიკულუს!

მკვდარი ჰარი გაქრა. იმ ადგილის ზემოთ, სადაც ის იწვა, ვერცხლისფერი ბურთი გაჩნდა. ლუპინმა კიდევ ერთხელ გაიქნია ჯადოსნური ჯოხი და ბურთი კვამლის ზოლად იქცა, მერე კი ისიც გაქრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ო... ო... ო... – მოთქვამდა ქალბატონი უისლი. მერე ხელები სახეზე აიფარა და გულამოსკვნილი აქვითინდა.

– მოლი, გაჩერდი, მოლი... – დაუყვავა ლუპინმა.

წამის შემდეგ ქალბატონი უისლი ლუპინის მხარს ასველებდა ცრემლით.

– მოლი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბოგარტი იყო, – ამშვიდებდა ლუპინი და თავზე ხელს უსვამდა, – მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ბოგარტი...

– მე მათ... დროდადრო... მკვდრებს ვხედავ! – მწარედ მოთქვამდა ქალბატონი უისლი, – დროდადრო!.. სიზმრებში სულ ამას ვხედავ...

სირიუსი იმ ადგილს ათვალიერებდა ხალიჩაზე, სადაც ახლახან ბოგარტი იწვა. მუდი ჰარის უყურებდა. ჰარი თვალს არიდებდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მრისხანეთვალა ჯადოსნურ თვალს ადევნებდა, როცა სამზარეულოდან გამოდიოდა.

– ა... ა... არ უთხრათ არტურს, – სლუკუნით იხვეწებოდა ქალბატონი უისლი და გამწარებით იწმენდდა თვალებს სახელოთი, – ა... არ მინდა, გაიგოს... რომ ასეთი სულელი ვარ...

ლუპინმა ცხვირსახოცი მიაწოდა.

– მაპატიე, ჰარი. რა უნდა იფიქრო ჩემზე ამის შემდეგ? – აკანკალებული ხმით თქვა, – ბოგარტსაც კი ვერ მოვერიე...

– რას ამბობთ, – ჰარი შეეცადა, გაეღიმა.

– უბრალოდ, ძ... ძ... ძალიან გავიტანჯე, – თქვა და ისევ გადმოსცვივდა ცრემლები, – ნახევარი ოჯახი ორდენშია, სასწაული იქნება, თუ ყველანი გადავრჩით... პერსი კი არ გველაპარაკება... რამე რომ მოხდეს... ჩვენ კი ისევ დამდურებული ვართ. მე და არტური რომ დავიღუპოთ, ვინ მიხედავს რონსა და ჯინის?

– გეყოფა, მოლი, – მკაცრად უთხრა ლუპინმა, – ამჯერად ისე არ არის საქმე, როგორც მაშინ. ორდენი უკეთაა მომზადებული, დროზეც დავიწყეთ და ისიც ვიცით, რა უნდა ვოლდემორს...

ამ სახელის გაგონებაზე ქალბატონმა უისლიმ იკივლა.

– სირცხვილია, მოლი, ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა მიეჩვიო... გამიგონე, მე არ გპირდები, რომ არავინ დაშავდება, ამას ვერავინ შეგპირდება, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. შენ ეს არ გესმის, იმიტომ, რომ მაშინ ორდენში არ იყავი. მაშინ ყოველ ჩვენგანზე ოცი „სიკვდილის მხვრელი“ მოდიოდა. სულ სათითაოდ გაგვისწორდნენ.

ჰარის ისევ ის ფოტო გაახსენდა, მშობლების გაბრწყინებული სახეები. იცოდა, რომ მუდი ისევ უთვალთვალებდა.

– პერსიზე ნუ ნაღვლობ, – მოულოდნელად თქვა სირიუსმა, – თავი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სი ფეხით მობრუნდება უკან. ცოტა დააცადე. როგორც კი ვოლდე-მორი თავს გაამჟღავნებს, სამინისტრო მთელი შემადგენლობით ითხოვს პატიებას. პირადად მე სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ვაპატიებ, – სინანულით დაასრულა სირიუსმა.

– რაც შეეხება რონისა და ჯინის ბედს, თუ რამე მოხდა, როგორ ფიქრობ, შიმშილით დავხოცავთ?– ოდნავ შესამჩნევი ღიმილით თქვა ლუპინმა.

ქალბატონი უისლის ცრემლიან თვალებში ღიმილმა გამოანათა.

– რა სულელი ვარ, – გაიმეორა და ცრემლი მოიწმინდა. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ, საძინებლის კარს რომ კეტავდა, ჰარი სულაც არ ფიქრობდა, რომ ქალბატონი უისლი სულელი იყო. მას ისევ თვალ-წინ ედგა დედა და მამა, გაცრეცილი ფოტოდან რომ უღიმოდნენ და არ იცოდნენ, რომ მათი და ბევრი მათი მეგობრის აღსასრული სულ ახლოს იყო. დროდადრო ბოგარტსაც წარმოიდგენდა, რომელიც მორიგეობით იღებდა უისლების ოჯახის წევრების სახეს.

უცებ ნაიარევმა ისევ მტკივნეულად გაკაწრა. მუცელში კი თითქოს ყველაფერი აეთქვიფა.

– მორჩი ახლა, გაიგე? – მტკიცედ თქვა და შუბლი მოისრისა. ტკივილი ნელ-ნელა მიყუჩდა.

– საკუთარ თავთან საუბარი სიგიჟის პირველი ნიშანია, – გესლი-ანად გამოეხმაურა კედლიდან ცარიელი სურათი.

ჰარიმ შენიშვნა ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა. თითქოს წლები მოემატა. ვერაფრით დაეჯერებინა, რომ სულ რაღაც ერთი საათის წინ ფრედისა და ჯორჯის მაღაზია და რონის პრეფექტად დანიშვნა აღელვებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეათე

ლუნა ლავგუდი

ჰარი ძილში შფოთავდა. სიზმრებში დროდადრო ხმაამოუღებლად გამოჩნდებოდნენ ხოლმე მშობლები. ქალბატონი უისლი მკვდარ კრეჩერს დასტიროდა, გვირგვინით შემკული რონი და ჰერმიონი კი თავს წამოსდგომოდნენ. მერე ჰარი, უკვე მერამდენედ, ისევ იმ დერეფანში აღმოჩნდა, რომელიც ჩაკეტილი კარით მთავრდებოდა. რაღაცამ უცებ გამოაღვიძა – ნაიარევი წიწკნიდა, უკვე ჩაცმული რონი კი ეუბნებოდა:

– ადექი ჩქარა, გესმის, დედა უკვე კედლებზე დადის, მატარებელზე დაგვაგვიანდებაო.

სახლში ყველაფერი დუღდა. ფაციფუცით დაიწყო ჩაცმა. იქიდან, რაც მის ყურს მისწვდა, ის დასკვნა გააკეთა, რომ ფრედმა და ჯორჯმა თავიანთი ჩემოდნები შელოცვის დახმარებით ჩაუშვეს ძირს. ჩემოდნებმა კიბეზე მიმავალი ჯინი წააქციეს, რომელმაც მუცლით ისრიალა პირველ სართულამდე. ახლა ქალბატონი ბლექი და ქალბატონი უისლი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხმამაღლა ყვირილში.

– კრეტინებო! შეიძლებოდა სერიოზულად დაშავებულიყო ბავშვი!

– ჭუჭყიანი მუქსისხლიანები! გაეთრიეთ ჩემი წინაპრების სახლიდან!

როცა ჰარი ფეხზე იცვამდა, ოთახში აღელვებული ჰერმიონი შემოვარდა. მხარზე ჰედვიგი ეჯდა, ხელში კი აფართხალებული ბოეჭირა.

– ჰედვიგი ახლახან დაბრუნდა ჩემი მშობლებისგან, – ბუმ ვალმოხდილად ჩათვალა თავი, ფრთები დაიქნია და თავის გალიაზე გადაფრინდა, – უკვე მზად ხარ?

– თითქმის. ჯინი როგორ არის? – ჰკითხა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგად – თქვა ჰერმიონმა, – მაგრამ ახლა მრისხანეთვალა გრძანებს, რომ მანამდე ვერ გავემგზავრებით, სანამ სტარჯის პოდმორი არ მოკვდა, უიმისოდ დაცვა არასაკმარისი იქნებაო.

– დაცვა? – არ დაიჯერა ჰარიმ, – კინგს ქროსის სადგურამდე მისასვლელად დაცვა გვჭირდება?

– ჩვენ არა, შენ გჭირდება დაცვა, – შეუსწორა ჰერმიონმა.

– რატომ? – გაღიზიანდა ჰარი, – როგორც ვიცი, ვოლდემორი ახლა გაყუჩებულია. რა, ნაგვის ყუთიდან გადმოხტება და თავს დამესხმება?

– არ ვიცი. მე მხოლოდ ის გადმოგეცი, რასაც მრისხანეთვალა ამბობს, – თქვა როგორღაც გონებადაბნეულმა ჰერმიონმა და საათს დახედა, – ასეა თუ ისე, თუ მალე არ გავალთ, აუცილებლად დავაგვიანებთ მატარებელზე.

– ამწუთში ყველანი ქვევით ჩამოდით! – დაიკივლა ქალბატონმა უისლიმ. ჰერმიონი დაფეთებული გავარდა ოთახიდან. ჰარიმ ჰედვიგი უცერემონიოდ შეტენა გალიაში, ჩემოდანს დასტაცა ხელი და ჰერმიონს მიჰყვა.

ქალბატონი ბლექის პორტრეტი გამწარებული კიოდა, მაგრამ არავინ ცდილობდა ფარდის გადაფარებას – დერეფანში ატეხილი ხმაური მაინც გააღვიძებდა.

– ჰარი, შენ და ტონქსი ჩემთან წამოხვალთ! – იყვირა ქალბატონმა უისლიმ, რათა როგორმე გადაეფარა გაუთავებელი კივილი: „მუქსისხლიანებო! უჯიშოებო! უწმინდურებო!“

– ჩემოდანი და ბუ დატოვე, ბარგს ალასტორი მიხედავს... ღმერთო ჩემო, სირიუს, დამბლდორმა ხომ თქვა, არაო!

სწორედ იმ დროს, როცა ჰარი ჩემოდნებით სავსე დერეფანში ქალბატონი უისლისკენ მიიკვლევდა გზას, სად იყო და სად არა, დერეფანში ვეებერთელა, დათვისოდენა შავი ძაღლი გაჩნდა.

– აბა, რა უნდა გითხრა... – განწირული ხმით თქვა ქალბატონმა უისლიმ, – იცოდე, საკუთარი თავით აგებ პასუხს! მერე მთავარი კარი გააღო და გარეთ, სექტემბრის ძალადაკარგულ მზეზე გავიდა. ჰარი და ძაღლი უკან მიჰყვნენ. კარი დაიხურა და ქალბატონი ბლექის ხმა მაშინვე შეწყდა.

– ტონქსი სად არის? – იკითხა ჰარიმ და მიმოიხედა. როგორც კი პარმაღიდან ტროტუარზე ჩავიდნენ, სახლი ნომერი თორმეტი გაქრა.

– აი, გველოდება, – ცივად თქვა ქალბატონმა უისლიმ, თან ცდილობდა, გვერდით მიმავალი შავი ძაღლისთვის ყურადღება არ მიექცია.

ქუჩის კუთხეში მოხუცი ქალი ყველას მიესალმა. დახვეულ ჭაღარა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კულულებზე ბრტყელთავა, აპრეხილფარფლებიანი იისფერი შლაპა დაეკოსებინა.

– სალამი ჰარი, – თვალი ჩაუკრა მოხუცმა, – ჯობს, რომ ვიჩქაროთ, მოლი, – დაამატა და საათს დახედა.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – დაიკვნესა ქალბატონმა უისლიმ და ნაბიჯს აუჩქარა, – მაგრამ მრისხანეთვალას უნდოდა, რომ სტარჯისს დავლოდებოდით. კარგი იქნებოდა, არტურს კიდევ მოეხერხებინა სამინისტროდან მანქანის მოყვანა... მაგრამ ახლა ფაჯი ცარიელ სამელნესაც კი არ ათხოვებს... ნეტავ როგორ უძლებენ მაგლები ჯადოქრობის გარეშე მოგზაურობას...

ვეებერთელა შავმა ძაღლმა მხიარულად შეჰყეფა და მათ გარშემო დაიწყო სირბილი, ხან მტრედებს გაეკიდებოდა, ხან – საკუთარ კუდს. ჰარი თავს ვერ იკავებდა სიცილისგან. სირიუსი კარგა ხანს იყო კარჩაკეტილში. ქალბატონმა უისლიმ დეიდა პეტუნიასავით აიბზუა ცხვირი.

ოც წუთში კინგს ქროსის სადგურზე იყვნენ. გზაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ეს იყო, სირიუსმა ჰარის გასახარად ორი თუ სამი კატა დააფრთხო. სადგურში რომ შევიდნენ, თითქოს აქეთ-იქით უმიზნო ბორიალს მოჰყვნენ მეცხრე და მეათე პლატფორმებს შორის. როგორც კი ხელსაყრელ დროს იპოვიდნენ, თითოეული მათგანი ბარიერის ზღუდეს მიეყრდნობოდა და დაუბრკოლებლად ხვდებოდა ცხრა და სამ მეოთხედ პლატფორმაზე, სადაც ორთქლისა და შავი ბოლის ქშენით უკვე ჩამომდგარიყო ჰოგვორტსის ექსპრესი. ბაქანი სავსე იყო მოსწავლეებითა და გამცილებლებით. ჰარიმ ნაცნობი არომატი შეისუნთქა და იგრძნო, როგორ გაშალა ფრთები – ნამდვილად საკუთარ სახლში ბრუნდებოდა...

– ნეტავ დანარჩენებმა არ დააგვიანონ, – წუხდა ქალბატონი უისლი. ერთთავად უკან, რკინის თაღისკენ იცქირებოდა – იქით, საიდანაც ისინი უნდა გამოჩენილიყვნენ.

– რა კარგი ძაღლია, ჰარი! – აღფრთოვანებით თქვა მაღალმა ბიჭმა.

– გმადლობ, ლი, – გაუღიმა ჰარიმ. სირიუსმა გამალებით ააქიცინა კუდი.

– როგორც იქნა, – შვებით ამოისუნთქა ქალბატონმა უისლიმ, – ესეც ალასტორი თავის ბარგიანად, შეხედეთ...

თაღიდან თვალებზე მებარგულის კეპჩამოფხატული მუდი გამოფრატუნდა. წინ ჩემოდნებით დახუნძლულ ურიკას მოაგორებდა.

– ყველაფერი რიგზეა, – ხმადაბლა უთხრა ქალბატონ უისლისა და ტონქსს, – არავინ გვითვალთვალებს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამდენიმე წამის შემდეგ ბაქანზე ბატონი უისლი და ჰერმიონი გამოჩნდნენ. მუდის ურიკა თითქმის დაცლილი ჰქონდათ, როცა ლუპინი, ფრედი, ჯორჯი და ჯინიც მოვიდნენ.

– მშვიდობაა? – დაიღრინა მუდიმ.

– ჰო, – უპასუხა ლუპინმა.

– სტარჯისს მაინც ვუჩივლებ დამბლდორთან, – თქვა მუდიმ, – ამ კვირაში უკვე მეორედ დაგვაღალატა. მანდანგუსივით ყალთაბანდი ხდება.

– კარგი, თავს მიხედეთ, – თქვა ლუპინმა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ჰარის ყველაზე ბოლოს დაემშვიდობა, მხარზე წამოუტყაპუნა, – შენც, ჰარი. ფრთხილად იყავი.

– ჰო, ყურები – დაცქვეტილი, თვალები კი – კეფაზე, – დაამატა მუდიმ და იმანაც ჩამოართვა ხელი ჰარის, – და გახსოვდეთ, ეს ყველას ეხება: წერილებში მეტისმეტად ნუ გალაღდებით. თუ რამე საეჭვოა, სულაც ნუ მოიწერებით.

– ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, – ტონქსი ჰერმიონსა და ჯინის გადაეხვია, – იმედი მაქვს, მალე შევხვდებით.

მემანქანემ გამაფრთხილებელი საყვირი მისცა. ბაქანზე მდგარი მოსწავლეები ვაგონებისკენ გაეშურნენ.

– სწრაფად, სწრაფად, – აგზნებული ქალბატონი უისლი განურჩევლად ყველას ეხვეოდა. ისე იყო დაბნეული, რომ ჰარის ორჯერ გამოემშვიდობა, – მოიწერეთ... კარგად მოიქეცით... თუ რამე დაგრჩათ, გამოგიგზავნით... ჩქარა, ვაგონებში, ჩქარა...

უცებ ვეება შავი ძაღლი უკანა თათებზე შედგა, წინები ჰარის დააწყო მხრებზე. ქალბატონმა უისლიმ ჰარის ვაგონის კარისკენ უბიძგა და კბილებში გამოსცრა:

– თუ ღმერთი გწამს, სირიუს, ისე მოიქეცი, როგორც ძაღლს შეეფერება!

– ნახვამდის! – დაიძახა ჰარიმ ღია ფანჯრიდან, როცა მატარებელი დაიძრა.

რონი, ჰერმიონი და ჯინი გამცილებლებს უქნევდნენ ხელს. ტონქსის, ლუპინის, მუდის, ქალბატონი და ბატონი უისლების ფიგურები სწრაფად გასრიალდნენ უკან, მაგრამ შავი ძაღლი კუდის ქნევით კარგა ხანს მიჰყვებოდა ვაგონს სირბილით. ბაქანზე მდგომი ხალხი იცინოდა, როცა ხედავდა, როგორ მისდევდა მატარებელს ძაღლი. მერე მატარებელმა მოუხვია და სირიუსიც გაქრა.

– არ უნდა გამოვეცილებინეთ, – შეშფოთებით თქვა ჰერმიონმა.

– კარგი რა, – გაუწყრა რონი, – საწყალი, რამდენი თვეა, სახლიდან არ გამოსულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, ბიჭებო, – ფრედმა ტაში შემოჰკრა, – არ შემიძლია, მთელ დღეს აქ ვიდგე და ვიჟღურტულო, ლის უნდა მოველაპარაკო საქმეზე. აბა, კარგად, შეხვედრამდე, – ის და ჯორჯი მარჯვნივ გაუყვნენ დერეფანს.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა, ფანჯრებს მიღმა სულ უფრო სწრაფად გარბოდნენ სახლები.

– არ მოვძებნოთ კუპე? – შესთავაზა ჰარიმ. რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს.

– ე... – ძლივს თქვა რონმა.

– ჩვენ... ისა... ჩვენ პრეფექტების ვაგონში უნდა გამოვცხადდეთ, – როგორც იქნა, ამოღერღა შეცბუნებულმა ჰერმიონმა.

რონი არ უყურებდა ჰარის. უცებ ძალიან დაინტერესდა მარცხენა ხელის ფრჩხილებით.

– ჰო, გასაგებია. კარგი, – თქვა ჰარიმ.

– მთელი გზა იქ კი არ ვისხდებით, – ჩქარა დაამატა ჰერმიონმა, – წერილში ნათქვამია, რომ ინსტრუქცია უნდა მივიღოთ ჰედბოისგან, მერე კი დროდადრო ვიაროთ დერეფნებში და წესრიგი დავიცვათ.

– გასაგებია, – გაიმეორა ჰარიმ, – რა გაეწყობა... ესე იგი, მოგვიანებით შევხვდებით.

– რა თქმა უნდა, – მიუგო რონმა და შეწუხებულმა დაამატა: – არ იფიქრო, რომ ძალიან მინდა იქ წასვლა, მერჩივნა... მაგრამ ჩვენგან მოითხოვენ... იმას ვამბობ, რომ მე ეს არ მახარებს, მე პერსი არა ვარ, – გამომწვევად დაამთავრა.

– ეგ ნამდვილად ვიცი, – გაეღიმა ჰარის, მაგრამ როცა ჰერმიონი და რონი თავ-თავიანთი ჩემოდნებით, ბოთი და პიგის გალიით პირველი ვაგონისკენ წავიდნენ, ჰარის მარტოობის უჩვეულო გრძნობა დაეუფლა. ის პირველად მგზავრობდა ჰოგვორტსის ექსპრესით რონის გარეშე.

– წამო, – უთხრა ჯინიმ, – ცარიელი კუპე ვიპოვოთ და მათაც დავუკავოთ ადგილები.

– კარგი, – ჰარიმ ცალი ხელით ჰედვიგის გალია აიღო, მეორით – ჩემოდანი და დერეფანს გაუყვნენ. გზადაგზა უკვე გავსებულ მინისკარიან კუპეებში იხედებოდნენ. ჰარიმ შეამჩნია, რომ ბევრი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ზოგიერთები მუჯლუგუნებს წაჰკრავდნენ ხოლმე გვერდით მჯდომს და მასზე უთითებდნენ. ხუთი ვაგონი რომ გაიარეს, ჰარის გაახსენდა, რომ „დილის მისანი“ მთელი ზაფხულის განმავლობაში უბურღავდა ტვინს მკითხველს, როგორი ცრუპენტელა და მეტიჩარაა ჰარი. უეცრად უსიამოვნო კითხვა აეკვიატა: ნეტავ თუ სჯერათ გაზეთებში წაკითხულის ამათ, ვინც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა თვალებდაჭყეტილი მისჩერებია და რაღაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს?

ბოლო ვაგონში ნევილ ლონგბოტომი ნახეს, ჰარის გრიფინდორელი თანაკურსელი. ნევილს მრგვალი სახე დაძაბულობისგან უხურდა, ერთი ხელით ჩემოდანს მიათრევდა, მეორით თავისი გომბეშო ტრევორი ეჭირა, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა ხელიდან დასხლტომას.

– ჰარის გაუმარჯოს, – ამოიძახა ნევილმა, – გამარჯობა, ჯინი, ყველა დაკავებულია, თავისუფალი ადგილი ვერ ვიპოვე.

– არაფერიც, – ჯინის უკვე მოესწრო ნევილის გვერდით გაძრომა და კუპეში შეხედვა, – აქ სულ თავისუფალია, მარტო სულელუნა ლავგუდია.

ნევილმა ჩაიბურტყუნა, რომ, უბრალოდ, არავის შეწუხება არ უნდოდა.

– ნუ სულელობ, – გაიცინა ჯინიმ, – კარგი გოგოა. – კარი გააღო და კუპეში თავისი ჩემოდანი შეათრია. ჰარი და ნევილიც შეჰყვნენ.

– გამარჯობა, ლუნა, – მიესალმა ჯინი, – შეიძლება?

ფანჯარასთან მჯდარმა გოგონამ თავი ასწია. ქერა, გვარიანად ჭუჭყიანი და დაუვარცხნელი თმა წელამდე სწვდებოდა. ძალიან ღია ფერის წარბები და გადმოკარკლული თვალები ჰქონდა, რაც გაკვირვებულ იერს აძლევდა. ჰარი უცებ მიხვდა, რატომ არ უნდოდა ნევილს ამ კუპეში შესვლა. ეტყობა, ლუნა როგორღაც ჭკუაზე ვერ იყო. ჯადოსნური ჯოხი მარცხენა ყურს უკან გაერჭო. ყელზე ბურბურახის საცობების ასხმულა ეკიდა. ჟურნალი, რომელსაც მათ მოსვლამდე ჩაჰყურებდა, უკუღმა ეჭირა. შემოსულები მოათვალიერა და მზერა ჰარიზე შეაჩერა. შემდეგ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

– გმადლობ, – გაუღიმა ჯინიმ. ჰარიმ და ნევილმა სამი ჩემოდანი და ჰედვიგის გალია საბარგო ბადეზე შემოდეს და დასხდნენ. ლუნა გადაბრუნებულ ჟურნალს ზემოდან იყურებოდა. ჟურნალს „ქარაგმები“ ერქვა. დროდადრო თვალებს ახამხამებდა, მაგრამ გაცილებით იშვიათად, ვიდრე ნორმალური ადამიანები. ლუნა თვალს არ აშორებდა ჰარის, რომელიც მის პირდაპირ ჩამოჯდა და ახლა უკვე ნანობდა ამას.

– კარგად გაატარე ზაფხული, ლუნა? – ჰკითხა ჯინიმ.

– ჰო, – არაამქვეყნიური ხმით უპასუხა ლუნამ ისე, რომ ჰარისთვის თვალი არ მოუშორებია, – ჰო, არც ისე ცუდად. შენ ჰარი პოტერი ხარ, – დაამატა გოგონამ.

– ჰო, მგონი ასეა, – თქვა ჰარიმ.

ნევილმა ჩაიხითხითა. ლუნამ ახლა მას მიაპყრო წყლისფერი თვალები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, შენ კი, არ ვიცი, ვინ ხარ.

– მე – არავინ, – სწრაფად თქვა ნევილმა.

– ტყუილია, – ჩაერია ჯინი, – ნევილ ლონგბოტომი – ლუნა ლავგუდი. ლუნა ჩემი თანაკურსელია, ოღონდ რეივენქლოშია.

– ენაღლეტია განძზე მეტია, – წამღერებით თქვა ლუნამ. სახე ჟურნალს უკან ჩამალა და გაჩუმდა. ჰარიმ და ნევილმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს. ჯინიმ სიცილი შეიკავა.

მატარებელი დგანდგარით მიქროდა ფართო ველებზე. რაღაც უცნაური დღე იყო, ვაგონს ხან მზის შუქი გაავსებდა, ხან ყომრალი ღრუბლები ჩააბნელებდა.

– გამოიცანი, რა მაჩუქეს დაბადების დღეზე, – თქვა ნევილმა.

– ახალი მოსაგონარა? – ჰკითხა ჰარიმ. გაახსენდა ბურთულა, რომელიც ნევილს ბებიამ გამოუგზავნა უხეირო მეხსიერების გასაუმჯობესებლად.

– არა. თუმცა, ძალიან კი გამომადგებოდა; ძველი კარგა ხანია დავკარგე... არა, აი, ნახე... – ხელი ჩანთაში მოაფათურა და ციცქნა ქოთანში ჩარგული მცენარე ამოიღო. ნაცრისფერ კაქტუსს წააგავდა. ოღონდ, ეკლებით კი არა, ბუსუსებით იყო დაფარული.

– „მიმბულუს მიმბლეტონია“, – ამაყად გამოაცხადა. ჰარიმ მცენარე შეათვალიერა. ძლივს შესამჩნევად ფეთქავდა და, ცოტა არ იყოს, ავის მომასწავებლად გამოიყურებოდა. დაავადებულ შიდა ორგანოს წააგავდა.

– დიდი იშვიათობაა, – გაბრწყინებული სახით თქვა ნევილმა, – არც კი ვიცი, არის თუ არა ჰოგვორტსის სათბურებში მსგავსი რამ. ერთი სული მაქვს, როდის ვაჩვენებ პროფესორ სპრაუტს. პაპაჩემმა ელჯიმ ასურეთიდან ჩამომიტანა. შევეცდები, გავამრავლო.

ჰარიმ იცოდა, რომ ნევილის საყვარელი საგანი ჰერბოლოგია იყო. აი, თვითონ ჰარისთვის რომ გეკითხათ, ვერც კი წარმოედგინა, რა შეიძლებოდა კარგი დაგენახათ ამ დამჭკნარ-დაბეჩავებულ სიმახინჯეში.

– ეს... ისა... რამეს აკეთებს? – იკითხა ჰარიმ.

– უამრავ რაღაცას! – ამაყად თქვა ნევილმა, – საოცარი თვითდამცავი მექანიზმი აქვს. გამომართვი ტრევორი ერთი წუთით...

გომბეშო ჰარის მუხლებზე დაუსვა და ჩანთიდან ბატის ფრთა ამოიღო. ჟურნალს ზემოდან ლუნა ლავგუდის დაჭყეტილი თვალები გამოჩნდა. ნევილმა მიმბულუს მიმბლეტონია თვალებთან მიიტანა, დაძაბულობისგან ენაგამოყოფილმა მცენარეზე ადგილი შეარჩია და მკვეთრად უჩხვლიტა ბატის ფრთის წვერი.

თითოეული ბებერადან სითხის ძლიერი ნაკადი გადმოიღვარა – სქელი, მუქი მწვანე, აყროლებული. გარშემო ყველაფერი მოსვარა –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭერი, ფანჯარა, ლავგუდის ჟურნალი. ჯინიმ, მართალია, მოასწრო და სახეზე ხელები აიფარა, მაგრამ ახლა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჭაობის მცენარის ქუდი ეხურა თავზე. აი, ჰარიმ კი ხელები სახეზე ვერ აიფარა, რადგან გასასხლტომად მომზადებული ტრევორი ეჭირა და ამიტომ სითხე პირდაპირ ცხვირ-პირში შეესხა. სითხეს მყრალი ნეხვის სუნი ასდიოდა.

ნევილი მთლიანად მწვანე სითხეში იყო ამოვლებული და ახლა გამწარებული აქნევდა თავს, იქნებ როგორმე თვალებიდან მაინც მოეცილებინა.

– მაპატიეთ, – ძლივს მოითქვა სული, – ადრე არ მიცდია... არ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. მაგრამ ნუ ღელავთ, ეს აყროლებული სითხე შხამიანი არ არის, – ნერვიულად დაამატა და თან უყურებდა, როგორ გადმოაფურთხა ჰარიმ იატაკზე.

სწორედ ამ დროს კუპეს კარი გაიღო.

– ო... გამარჯობა, ჰარი, – გაისმა აღელვებული ხმა, – როგორც ჩანს, უდროო დროს მოვედი...

თავისუფალი ხელით ჰარიმ სათვალე გაწმინდა. კარში ჯერ ისევ მოღიმარი, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა იდგა. გრძელი თმა შავად ულაპლაპებდა. ეს ჩო ჩენგი იყო, ქვიდიჩში რეივენქლოს გუნ-დის სიკერი.

– ე... გამარჯობა, – ულიმღამოდ მიესალმა ჰარი.

– მ-მ... – ენა დაება ჩოს, – უბრალოდ, მისასალმებლად შემოგი-არეთ... აბა, კარგად იყავით...

სახეაწითლებულმა კარი გაიხურა. ჰარი სკამის ზურგს მიეყრდნო და ამოიკვნესა. ერჩივნა, ჩოს შედარებით უკეთესი ხალხის თანხ-ლებით ენახა, თანაც იმ დროს, როცა ენამოსწრებული ხუმრობით ართობდა მეგობრებს. ამის ნაცვლად, ნევილ ლონგბოტომთან და სულელუნა ლავგუდთან ერთად გომბეშოთი ხელში და აყროლებული სითხით მოსვრილი ნახეს.

– დიდი ამბავი, – გაამხნევა ისინი ჯინიმ, – აი, ნახეთ, სულ იოლად ჩამოგრეცხავთ, – ჯინიმ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, – სქოუჯიფაი!

მყრალი სითხე გაქრა.

– მაპატიეთ, – ხმადაბლა გაიმეორა ნევილმა.

რონი და ჰერმიონი მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გამოჩნდნენ. ამ დროისთვის საუზმის ურიკა უკვე ჩავლილი იყო. ჰარიმ, ჯინიმ და ნევილმა ახლახან მოუღეს ბოლო გოგრის ნამცხვარს და შოკოლადის ბაყაყებს მისდგნენ, როცა კარი გაიღო და კუპეში გრიფინდორის პრეფექტები: ჰერმიონი – ბოთი და რონი – გალიაში დამწყვდეული პიგვიჯენით – შემოვიდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შიმშილით ვკვდები, – თქვა რონმა, პიგი ჰედვიგის გვერდით დააბრძანა, ჰარის შოკოლადის ბაყაყი გამოართვა და თავისუფალ ადგილზე დაეხეთქა. მერე ბაყაყს ქაღალდი შემოაცალა, თავი მოაკვნიტა, თვალები დახუჭა და საზურგეზე ისე მიწვა, თითქოს მუშაობისგან სიქა გასძვრაო.

– მეხუთეკურსელებს თითოეულ ფაკულტეტზე ორ-ორი პრეფექტი ჰყავთ, – ძალიან უკმაყოფილო გამომეტყველებით თქვა ჰერმიონმა და დაჯდა, – ბიჭი და გოგონა.

– აბა, თუ გამოიცნობ, ვინ არის სლიზერინის პრეფექტი, – თვალი არ გაუხელია, ისე თქვა რონმა.

– მალფოი, – ხელად უპასუხა ჰარიმ. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი ყველაზე ცუდი მოლოდინი გამართლდებოდა.

– რა თქმა უნდა, – წიწაკანაჭამივით დაიმანჭა რონი, ბაყაყის ნარჩენი პირში ჩაიგდო და კიდევ ერთი აიღო.

– და ის გასივებული ძროხა პენსი პარკინსონი, – ღვარძლიანად თქვა ჰერმიონმა, – ასეთი სქელისა და მოუქნელისგან რა პრეფექტი უნდა გამოვიდეს, კეტდარტყმულ ტროლს ჰგავს.

– ჰაფლეპაფელებისა? – იკითხა ჰარიმ.

– ერნი მაკმილანი და ჰანა ებოტი, – ხმა ჩაეხრინწა რონს.

– რეივენქლოელებისა კი – ენტონი გოლდშტეინი და პადმა პეტილი, – თქვა ჰერმიონმა.

– შენ პადმა პეტილთან ერთად იყავი საშობაო მეჯლისზე, – გაისმა იმქვეყნიური ხმა.

ყველანი ლუნა ლავგუდისკენ შებრუნდნენ. ის კი ჟურნალის ზემოდან თვალის დაუხამხამებლად მიშტერებოდა რონს. რონმა შოკოლადი გადაყლაპა.

– ვიცი, რომ ვიყავი, – ოდნავ გაკვირვებულმა თქვა.

– მაინცდამაინც არ მოეწონე, – შეატყობინა ლუნამ, – ამბობს, რომ ცუდად მოექეცი. არ ეცეკვე. თუმცა, მე, პირადად, ასე უფრო მერჩივნა, – დაამატა ფიქრებში წასულმა, – არ მიყვარს ცეკვა.

და ისევ ჟურნალს ამოეფარა. რონი ერთხანს ყბაჩამოვარდნილი შეჰყურებდა გარეკანს, მერე ჯინისკენ შებრუნდა, თითქოს მისგან ელოდა ახსნა-განმარტებას, მაგრამ ჯინიმ, სიცილისგან თავი რომ შეეკავებინა, თითებს დააჭირა კბილები. შეფიქრიანებულმა რონმა თავი გადააქნია, მერე კი საათს დახედა.

– ჩვენ დროდადრო დერეფანში უნდა ვიაროთ, – უთხრა ჰარისა და ნევილს, – ცუდი საქციელისთვის შეგვიძლია, დავსაჯოთ. ერთი სული მაქვს, კრაბი და გოილი გამოვიჭირო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პრეფექტის უფლებები ბოროტად არ უნდა გამოიყენო, რონ, – მკაცრად გააფრთხილა ჰერმიონმა.

– მალფოი, ცხადია, ამას არ იზამს, – სარკასტულად გამოეპასუხა რონი.

– შენ რა, იმის დონემდე აპირებ დაცემას?

– არა, უბრალოდ, მინდა, იმისი ძმაკაცები მანამდე ჩავიგდო ხელში, სანამ ჩემებს დაერევა.

– კარგი, რონ, ასე არ შეიძლება...

– გოილს საწერად დავსვამ, გაგიჟდება, არ უყვარს წერა, – მხიარულად თქვა რონმა. ხმა გოილის ღრუტუნს მიამსგავსა, სახე ისე მოჭყანა, თითქოს აზრებს იკრებსო და ხელით ნელ-ნელა გამოიყვანა ჰაერში: – მე... არ... უნდა... გამოვიყურებოდე... როგორც... ბაბუინის... უკანალი.

ყველამ გაიცინა, ყველაზე ხმამაღლა კი – ლუნა ლავგუდმა. გახარებული, ისე აჭყივლდა, რომ ჰედვიგმა გაიღვიძა და უკმაყოფილოდ ააფართხუნა ფრთები. გომბეშო კი ყიყინით შეხტა საბარგო ბადეზე. ლუნა ისე იცინოდა, ჟურნალი ხელიდან გაუვარდა, ფეხებზე ჩასრიალდა და იატაკზე დავარდა.

– ოი! აღარ შემიძლია!

გადმოკარკლული თვალებიდან ცრემლი სდიოდა, რონს უყურებდა და სიცილისგან ცახცახებდა. რონი, ცოტა არ იყოს, აირია, დანარჩენებს შეხედა, რომლებიც ახლა რონის სახის გამომეტყველებაზე და ლუნა ლავგუდის უაზრო კისკისზე იცინოდნენ. ლუნას ფერდებზე შემოეჭირა ხელები და წინ და უკან ქანაობდა.

– დამცინი, არა? – იკითხა მოღუშულმა რონმა.

– უკანალი... ბაბუინის... – სიცილისგან იხრჩობოდა ლუნა. ყველა მას მისჩერებოდა. ჰარიმ კი იატაკზე დავარდნილ ჟურნალს დახედა და ისეთი რამ დაინახა, მაშინვე სტაცა ხელი. სანამ ლუნას თავდაყირა ეჭირა ეს ჟურნალი, კაცი ვერ გაარჩევდა, რა იყო გამოსახული გარეკანზე, მაგრამ ახლა ჰარი მიხვდა: გარეკანიდან კორნელიუს ფაჯის კარიკატურა იცქირებოდა. მხოლოდ ღია მწვანე შლაპით თუ იცნობდით. ერთ ხელში ფაჯს ოქროთი სავსე ტომარა ეჭირა, მეორით გობლინს ახრჩობდა. წარწერა იტყობინებოდა:

„სადამდე შეტოპავს ფაჯი გრინგოტსის ბანკის ხელში ჩასაგდებად?“

ოდნავ ქვემოთ კი ამ ნომერში მოთავსებული სხვა სტატიების მოკლე შინაარსი იყო გადმოცემული:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„კორუფცია ქვიდიჩის ლიგაში: რა მეთოდებით იმარჯვებს „ტორნადო?“
„გახსნილია ძველი რუნების საიდუმლო.“
„სირიუს ბლექი: ბოროტმოქმედი თუ მსხვერპლი?“

– შეიძლება, ვნახო? – ჰკითხა ჰარიმ ლუნას.

ლუნამ თავი დაუქნია, თან ისევ რონს უყურებდა და სიცილით კვდებოდა.

ჰარიმ ჟურნალი გადაშალა და სტატიების ჩამონათვალი შეათვალიერა. ამ წუთამდე ერთხელაც არ გახსენებია ის გამოცემა, რომელიც ბატონმა უისლიმ სირიუსისთვის გამოართვა კინგსლის. ახლა მიხვდა, რომ საუბარი ჟურნალის სწორედ ამ ნომერს შეეხებოდა.

საჭირო გვერდი იპოვა და აღელვებული შეუდგა კითხვას. ისიც საკმაოდ უნიჭო კარიკატურით იყო ილუსტრირებული. წარწერა რომ არა, ჰარის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეს სირიუსი იყო. მისი ნათლია ჯადოსნური ჯოხით ხელში ადამიანების ძვლების გროვაზე იდგა. სტატია ასე იყო დასათაურებული:

„სირიუს ბლექი
სისხლმოწყურებული მკვლელი თუ ესტრადის
უდანაშაულო ვარსკვლავი?“

მხოლოდ რამდენჯერმე გადაკითხვის შემდეგ დარწმუნდა, რომ თვალი არ ატყუებდა. როდის აქეთ გახდა სირიუსი ესტრადის ვარსკვლავი?

„უკვე თოთხმეტი წელიწადია, რაც სირიუს ბლექს თორმეტი მაგლისა და ერთი ჯადოქრის მოკვლაში ადანაშაულებენ. ორი წლის წინათ აზკაბანიდან თავხედური გაქცევა დაედო საფუძვლად მაგიის სამინისტროს მიერ ჩატარებულ აქამდე არნახულ გამოძიებას. დღემდე არც ერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის იმსახურებს დაპატიმრებასა და დემენტორებისთვის გადაცემას.

მაგრამ ასეა კი?

სულ ახლახან საოცარი ამბავი შევიტყვეთ: შესაძლოა, სირიუს ბლექს არ ჩაუდენია ის დანაშაული, რისთვისაც აზკაბანში გამოამწყვდიეს. როგორც ლიტლ-ნორტონში ექენთი ვეის 18-ში მცხოვრები დორის პარკისი ამტკიცებს, არ შეიძლება ბლექი მკვლელობის დროს იქ ყოფილიყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— საზოგადოებამ არ იცის, რომ სირიუს ბლექი გამოგონილი გვარია, — ამბობს ქალბატონი პარკისი, — ის, ვინც სირიუს ბლექად მიაჩნიათ, სხვა არავინაა, თუ არა ჯორკო ბორდმენი, ყოფილი ესტრადის მომღერალი, წარსულში პოპულარული ჯგუფის — „ჰობგობლინების“ სოლისტი. ეს ჯგუფი თითქმის თერთმეტი წლის წინათ დაიშალა, მას შემდეგ, რაც ლიტლ-ნორტონში გამართულ კონცერტზე ერთ-ერთი მაყურებლის მიერ ნასროლი თალგამი მას ყურში მოხვდა. მე ის მაშინვე ვიცანი, როგორც კი გაზეთში დაბეჭდილი ფოტო ვნახე. ბორდმენს არ შეეძლო იმ დანაშაულის ჩადენა, რადგან იმ დღეს რომანტიკული ვახშამი გვქონდა სანთლის შუქზე. მე უკვე მივწერე მაგიის მინისტრს და დღე-დღეზე ველოდები ცნობას, რომ ჯორკოს, იმავე ბორდმენს, ყველა ბრალდებას მოუხსნიან“.

ბოლომდე ჩაიკითხა და ერთხანს კიდევ დაჰყურებდა გვერდს. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ბოლოს გაიფიქრა, იქნებ ხუმრობაა. შეიძლება, ჟურნალი მისტიკაზეა დახელოვნებულიო. რამდენიმე გვერდი გადაფურცლა და ფაჯზე დაწერილი სტატია იპოვა.

„კორნელიუს ფაჯი, მაგიის მინისტრი, უარყოფს ბრალდებას, თითქოს ის გამინისტრების დღიდან, რაც ხუთი წლის წინ მოხდა, გრინგოტსის ჯადოსნური ბანკის ხელში ჩაგდებას ლამობს. ფაჯმა არაერთხელ განაცხადა, რომ ჩვენს ოქროს შემნახველებთან მხოლოდ „მშვიდობიანი თანამშრომლობა“ სურს. მაგრამ ასეა კი?

მინისტრთან დაახლოებული წყაროებიდან სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ ფაჯის სანუკვარი ოცნება გობლინების ოქროს მარაგზე კონტროლის დამყარებაა და ამისთვის, თუ საჭირო გახდა, ძალის გამოყენებაზეც თანახმაა.

— მისთვის ასეთი რამ უცხო არ არის, — ამბობს სამინისტროს თანამშრომელი, — ვიწრო წრეში ტყუილად არ უწოდებენ ფაჯს „გობლინების რისხვას“. როცა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ თავისიანები უგდებენ ყურს, ის მხოლოდ იმაზე ჰყვება, როგორ გაანადგურა გობლინები: ზოგი მისი ბრძანებით დაახრჩვეს; ზოგს ფანჯრიდან გადაუძახეს; ზოგი მოწამლეს; ზოგი კი ღვეზელად გამოაცხვეს...“

ჰარიმ კითხვა შეწყვიტა. ფაჯის უამრავი ცუდი თვისების მიუხედავად, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ იძლევა განკარგულებას ღვეზელში გობლინების ჩასაყოლებლად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთხანს ფურცლავდა ჟურნალს. ცოტ-ცოტა ხნით ჩერდებოდა რომელიმე გვერდზე. თვალში მოხვდა „ტორნადოს“ მიმართ წაყენებული ბრალდება იმის თაობაზე, რომ ქვიდიჩის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის გუნდმა შანტაჟი, ცოცხებთან დაკავშირებული მაქინაციები და წამება გამოიყენა; ერთ გვერდზე რომელიღაც ჯადოქარი ამტკიცებდა, რომ „ქლინსვიპ 6-ით“ მთვარეზე გაფრინდა და საბუთად ერთი ტომარა მთვარის ბაყაყები ჩამოიტანა; დაბოლოს, წააწყდა სტატიას ძველი რუნების თაობაზე, რომელმაც ნათელი გახადა, რატომ ეჭირა ჟურნალი თავდაყირა ლუნას. ავტორი ამტკიცებდა, რომ, თუ რუნებს თავდაყირა დავაყენებთ, მივიღებთ შელოცვას, რომლის დახმარებითაც არასასურველ ადამიანს ყურები შეიძლება, ლიმონად ვუქციოთ. ამის ფონზე ჟურნალის მტკიცება, რომ სირიუსი „ჰობგობლინების“ ჯგუფის სოლისტი იყო, ლამის სიმართლეს ჰგავდა.

– რამე საინტერესოა? – ჰკითხა რონმა, როცა ჰარიმ ჟურნალი დახურა.

– რა თქმა უნდა, არაფერი, – გესლიანად თქვა ჰერმიონმა, სანამ ჰარი რამეს უპასუხებდა, – ყველამ იცის, რომ ეს ჟურნალი მაკულატურაა.

– მაპატიეთ, – ჩაერია საუბარში ლუნა. მისი ხმა უკვე იმქვეყნიურს აღარ ჰგავდა, – ამ ჟურნალის რედაქტორი მამაჩემია.

– მე... ისა... – დაიბნა ჰერმიონი, – იქ, რა თქმა უნდა... არის რაღაც... საინტერესო... მინდოდა, მეთქვა...

– შეიძლება, ავიღო? – ცივად იკითხა ლუნამ, ჰარის ხელიდან გამოჰგლიჯა ჟურნალი, ორმოცდამეჩვიდმეტე გვერდზე გადაშალა, სწრაფად ამოატრიალა და მის უკან გაუჩინარდა. ამ დროს კარი მესამედ გაიღო.

ჰარი შეტრიალდა. ცხადია, მოულოდნელი არაფერი მომხდარა: დრაკო მალფოის გაბღენძილი სახის დანახვა, მისი ძმაბიჭების – კრაბისა და გოილის – სიფათებს შორის, მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო.

– რა ხდება? – მკაცრად ჰკითხა ჰარიმ, სანამ მალფოი პირს გააღებდა.

– ზრდილობიანად, პოტერ, თორემ დაისჯები, – ნელა, ხაზგასმით თქვა მალფოიმ. უკან გადავარცხნილი ქერა თმითა და წაწვეტებული ნიკაპით მამის ზუსტი ასლი იყო, – იცი, შენგან განსხვავებით, მე პრეფექტად დამნიშნეს და ამიტომაც, შენგან განსხვავებით, უფლება მაქვს, დამნაშავენი დავსაჯო.

– იქნებ ასეც არის, მაგრამ შენ, ჩემგან განსხვავებით, წუნკალა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხარ, ამიტომ თავი დაგვანებე და ახლავე მოუსვი აქედან, – უპასუხა ჰარიმ.

რონმა, ჰერმიონმა, ჯინიმ და ნევილმა გაიცინეს. მალფოის ტუჩები მოელრიცა.

– იქნებ მითხრა, პოტერ, როგორია უისლის შემდეგ მეორე ნომრად ყოფნა? – იკითხა მალფოიმ.

– მოკეტე, მალფოი! – უხეშად უბრძანა ჰერმიონმა.

– მგონი, მტკივნეულ ადგილს შევეხე, – გესლიანად ჩაიცინა მალფოიმ, – ფრთხილად იყავი, პოტერ, მეძებარივით ავიღებ შენს კვალს და ვაი, შენი ბრალი, თუ სადმე წაგიცდა ფეხი.

– გაეთრიე! – იყვირა ჰერმიონმა და წამოხტა.

მალფოიმ ჩაიხითხითა, ბოროტად შეხედა ჰარის და ზანტად მიმავალი კრაბისა და გოილის თანხლებით გაშორდა იქაურობას.

ჰერმიონმა კარი მიაჯახუნა და ჰარისკენ შებრუნდა. ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ ჰერმიონმაც გაიგო მალფოის სიტყვებში დაფარული აზრი და შეშფოთებული იყო.

– თითო ბაყაყიც მოგვეცი, – თქვა რონმა. ის ნამდვილად ვერაფერს მიხვდა.

ნევილისა და ლუნას თანდასწრებით ჰარის თავისუფლად ლაპარაკი არ შეეძლო. მან და ჰერმიონმა კიდევ ერთხელ შეხედეს ერთმანეთს შეშფოთებულებმა, მერე კი ჰარიმ ფანჯარაში დაიწყო ყურება.

ამ წუთამდე ფიქრობდა, რომ სირიუსმა მხოლოდ გასართობად გააცილა ჰარი სადგურზე. უცებ ნათლიის საქციელი ძალიან გაუფრთხილებელ, რისკიან ნაბიჯად მოეჩვენა... ჰერმიონი მართალს ამბობდა... არ იყო საჭირო მისი გამოყოლა. რა მოხდება, თუ ლუციუს მალფოიმ შენიშნა შავი ძაღლი და დრაკოს უთხრა? რა მოხდება, თუ მალფოი მიხვდა, რომ ცოლ-ქმარმა უისლებმა, ლუპინმა, ტონქსმა და მუდიმ იციან, სად იმალება სირიუსი? ან იქნებ სიტყვა „მეძებარი“, რომელიც მალფოიმ გამოიყენა, მხოლოდ დამთხვევაა?

ამინდი, სანამ ისინი სულ უფრო ჩრდილოეთით მიდიოდნენ, წამდაუწუმ იცვლებოდა. ხან ვაგონის ფანჯრებზე დუნედ ჩამოედინებოდა წვიმის წვრილი ღარები, ხან ფერმკრთალი მზე გამოიხედავდა, რომელსაც მალევე ყლაპავდა ყომრალი ღრუბლები. როცა დაბნელდა და ვაგონში ლამპები აინთო, ლუნამ ჟურნალი დაახვია, ჩანთაში ჩადო და თანამგზავრების თვალიერებას შეუდგა.

ფანჯარასთან მჯდომი ჰარი შუბლით მინას მიეყრდნო და შორს ჰოგვორტსის სილუეტის გარჩევას ცდილობდა, მაგრამ უმთვარო ღამე იდგა, ჭვარტლიანი მინა კი წვიმის წვეთებით იყო დახაზული.

– ალბათ, დროა, ჩავიცვათ, – როგორც იქნა, თქვა ჰერმიონმა. მან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და რონმა პრეფექტების ნიშნები ფრთხილად დაიბნიეს მკერდზე. ჰარიმ შეამჩნია, როგორ უყურებდა თავის გამოსახულებას რონი შავ ფანჯარაში.

მატარებელმა სვლა შეანელა და ყოველი მხრიდან ნაცნობი ხმები გაისმა. მოსწავლეები თავიანთი ბარგი-ბარხანით გასასვლელად ემზადებოდნენ. და რადგან ჰერმიონსა და რონს ამ ყველაფერზე თვალი უნდა სჭეროდათ, დერეფანში გავიდნენ და ბო და პიგი ჰარისა და დანარჩენებს დაუტოვეს.

– მომეცი, ამ ბუს მე წამოვიყვან, – შესთავაზა ლუნამ ჰარის. ამ დროს ნევილი შიდა ჯიბეში გულდაგულ იტენიდა ტრევორს.

– ე... კარგი, გმადლობ, – ჰარიმ გალია მისცა და თვითონ უფრო მოხერხებულად დაიჭირა ჰედვიგი.

ნელ-ნელა გაიკრიფნენ დერეფანში, სადაც უკვე იგრძნობოდა საღამოს გრილი ჰაერი და დანარჩენებთან ერთად ასევე ნელა წავიდნენ ვაგონის კარისკენ.

ჰარიმ იგრძნო ტბისკენ მიმავალი ბილიკის გასწვრივ ჩარიგებული ფიჭვების სურნელი. ბაქანზე ჩავიდა და ჰაგრიდის ხმის მოლოდინში – აბა, პირველკურსელები ჩემთანო! – მიმოიხედა.

მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. სულ სხვა ხმა მოესმა, ქალისა:

– პირველკურსელებო, გთხოვთ, აქ შეგროვდეთ! პირველკურსელებო, ჩემთან!

ფარანი ქანაობით მიუახლოვდა და მის შუქზე ჰარიმ დაინახა პროფესორ გრაბლი-პლენკის წინ წამოწეული ნიკაპი და სადა ვარცხნილობა. ეს ჯადოქარი ქალი შარშან ერთხანს ჰაგრიდის ნაცვლად უტარებდათ ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილებს.

– ჰაგრიდი სად არის? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ.

– არ ვიცი, – თქვა ჯინიმ, – განზე გავიწიოთ, ვაგონიდან გამომსვლელებს გზას ვუღობავთ.

– ჰო, რა თქმა უნდა...

სანამ ბაქნიდან, მერე კი სადგურის შენობიდან გავიდოდნენ, ჰარი და ჯინი ერთმანეთს ასცდნენ. ჰარი ერთთავად სიბნელეს გასცქეროდა – ჰაგრიდს ეძებდა. სადმე აქ უნდა ყოფილიყო, ჰარი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. ჰაგრიდთან შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი სიხარული იყო. მაგრამ ის არსად ჩანდა.

„ხომ არ შეიძლება, სკოლიდან წასულიყო, – საკუთარ თავს ეკითხებოდა და ნელა მიიკვლევდა ბრბოში გზას გასასვლელისკენ, – ალბათ, გაცივდა, ან რაღაცა დაემართა."

რონსა და ჰერმიონს დაუწყო ძებნა. უნდოდა, ეკითხა, რას ფიქრობდნენ პროფესორ გრაბლის ხელმეორედ გამოჩენაზე. ვერსად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოჰკრა თვალი და ხალხის ნაკადმა ჰოგსმიდის სადგურთან გამავალ ბნელ და წვიმისგან დასველებული გზის პირზე გაიყვანა.

ქუჩაში ასამდე უცხენო ეტლი იდგა ხოლმე. მეორე კურსიდან მოყოლებული, ამ ეტლებით მიჰყავდათ მოსწავლეები სკოლაში. ის იყო, უნდა შებრუნებულიყო რონისა და ჰერმიონის მოსაძებნად, რომ მისი მზერა ისევ ეტლებმა მიიპყრო.

დღეს შიგ ცხენები შეებათ. ხელნებს შორის იდგნენ რაღაც არსებები. თუმცა, მთლად ცხენებს არ ჰგავდნენ, რაღაცით ქვეწარმავლებს მოგაგონებდნენ. ხორცი თითქმის არ ჰქონდათ. შავი ტყავი ისე შემოჰკვროდათ ჩონჩხზე, წვრილი ძვლებიც კი გარკვევით უჩანდათ. თავი დრაკონისა ჰქონდათ, თვალები – ერთიანად თეთრი და ფართოდ გახელილი, ქედზე კი – გიგანტური ღამურას ვეებერთელა შავაპკიანი ფრთები. ეს უხმოდ და გაუნძრევლად მდგარი არსებები სიბნელეში უცნაურად და ავის მომასწავებლად გამოიყურებოდნენ. ჰარი ვერ მიმხვდარიყო, რისთვის დასჭირდათ ეს ამაზრზენი ცხენები – ეტლები ხომ თვითონაც მშვენივრად მოძრაობდნენ.

– პიგი სადღაა? – უკნიდან მოესმა რონის ხმა.

– ლუნამ წამოიყვანა, – უპასუხა ჰარიმ და სწრაფად შებრუნდა. ერთი სული ჰქონდა, ჰაგრიდის თაობაზე დალაპარაკებოდა რონს, – შენი აზრით, სად უნდა იყოს?..

– ჰაგრიდი? არ ვიცი, – უპასუხა შეწუხებულმა რონმა, – კარგი იქნება, თუ არაფერი დაემართა...

ოდნავ მოშორებით დრაკო მალფოი კრაბის, გოილის, პენსი პარკინსონისა და კიდევ ორიოდე ძმაბიჭის დახმარებით უცერემონიოდ მიარღვევდა გაუბედავ მეორეკურსელთა რიგებს, რათა ეტლი მთლიანად მის კომპანიას დარჩენოდა. რამდენიმე წამის შემდეგ ბრბოდან აქოშინებული ჰერმიონი გამოვიდა.

– ახლახან მალფოი საზიზღრად მოექცა ერთ პირველკურსელს. აუცილებლად ვუჩივლებ! სამი წუთიც არ გასულა, რაც პრეფექტის ნიშანს ატარებს და უკვე განურჩევლად ჩაგრავს ხალხს... სად არის ბო?

– ჯინისთან, – მიუგო ჰარიმ, – აი, ისიც...

ჯინი ასხმარტალებულ ბოსთან ერთად გამოჩნდა.

– გმადლობ, – ჰერმიონმა კატა გამოართვა ჯინის, – წამო, თავისუფალი ეტლი ვიპოვოთ, სანამ ჯერ კიდევ დროა...

– მე ჯერ პიგი უნდა ვიპოვო! – გააპროტესტა რონმა, მაგრამ ჰერმიონი უკვე უახლოესი ცარიელი ეტლისკენ მიდიოდა. ჰარი რონთან დარჩა.

– როგორ ფიქრობ, ეს რა ცხოველებია? – იკითხა და თავი უცნაური არსებებისკენ გაიქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ცხოველები?

– აი, ეს ცხენები...

საიდანღაც ლუნა გამოჩნდა, გალიით ბუ მოჰყავდა. ციცქნა პიგი, როგორც ყოველთვის, აღელვებული კიოდა.

– აი, გამომართვით, – ლუნამ ბუ მიაწოდა რონს, – რა საყვარელი ბუა, არა?

– ჰო, არა უშავს, – უპასუხა მოღუშულმა რონმა, – კარგი, წავიდეთ, დავსხდეთ... რა თქვი, ჰარი?

– ეს რა უცნაური ცხენებია-მეთქი! – უთხრა ჰარიმ და რონთან და ლუნასთან ერთად იმ ეკიპაჟისკენ წავიდა, რომელშიც უკვე მოკალათებულიყვნენ ჯინი და ჰერმიონი.

– რა ცხენები?

– ეტლებში რომ არიან შებმულები, – გაღიზიანდა ჰარი. ისინი ამ არსებებისგან სულ ორიოდე ნაბიჯზე იდგნენ. „ცხენები“ ისევ არაფრის მთქმელი თეთრი თვალებით იცქირებოდნენ. რონმა გაოცება ვერ დამალა:

– ვერ გავიგე, რას მეუბნები.

– აი, რას, შეხედე!

ჰარიმ ხელი ჩაავლო და ისე შეაბრუნა, რომ რონის სახე პირდაპირ ფრთიანი ცხენის კეხის წინ აღმოჩნდა. რონმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ისევ ჰარისკენ შებრუნდა.

– მაინც, რას უნდა შევხედო?

– აი, ამას, ხელნებს შორის რომ დგას, ეტლში რომ არის შებმული! პირდაპირ შენ თვალწინ...

რონი ისევ გაოცებული შეჰყურებდა და ჰარის უცნაურმა ფიქრმა გაუელვა.

– შენ... შენ რა, ვერ ხედავ?

– ვის?

– იმათ, ეტლში რომ არიან შებმული.

რონი სერიოზულად შეშფოთდა.

– რა დაგემართა, ჰარი?

– მე? არაფერი...

ჰარი გაოგნდა. აი, აქ, მის თვალწინ არ დგას? შავი ცხენი. პრიალა კანი სადგურის ფანჯრებიდან გამომავალ შუქს ირეკლავს. ნესტოებიდან ღამის ცივ ჰაერში ბღუჯა-ბღუჯა უშვებს ორთქლს... და მაინც, თუ რონი არ ხუმრობს, – ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, სულელური ხუმრობა კია, – ესე იგი ის საერთოდ ვერ ხედავს მათ.

– იქნებ დავმსხდარიყავით? – ყოყმანით იკითხა რონმა და შეფიქრიანებული შეაცქერდა ჰარის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, დავსხდეთ, – დაეთანხმა ჰარი, – წამოდი.

– ნუ ღელავ, – გაისმა უცებ არაამქვეყნიური ხმა, როცა რონი ეტლში ავიდა, – ნუ ღელავ, ჭკუიდან არ იშლები. მეც ვხედავ მათ.

– ხედავ? – საშინლად აღელვებული ჰარი ლუნასკენ შებრუნდა. გოგონას დიდ ვერცხლისფერ თვალებში ფრთიანი ცხენების ანარეკლი დაინახა.

– ჰო, – თქვა ლუნამ, – ყოველთვის, როცა აქ ჩამოვდივარ. ეს ეტლები ყოველთვის მათ დაჰყავთ. ასე რომ, ნუ ღელავ. შენ ჩემზე უფრო გიჟი არა ხარ.

ოდნავ გაიღიმა და რონს დაცხავებულ კაბინაში შეჰყვა. ჯერ კიდევ შეფიქრიანებული ჰარიც ეტლში ავიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთერთმეტე

გამანაწილებელი ქუდის ახალი სიმღერა

ჰარის არ უნდოდა, დანარჩენებს სცოდნოდათ, რომ მას და ლუნას ერთნაირი ჰალუცინაციები აქვთ, თუ, რა თქმა უნდა, ეს მართლა ჰალუცინაცია იყო! ამიტომ თავის ადგილზე რომ დაჯდა და კარიც მიხურა, ცხენებზე სიტყვა აღარ დაუძრავს. თუმცა, დროდადრო მაინც მალულად გახედავდა ხოლმე ფანჯრიდან ცხენების მუქ სილუეტებს.

– ყველამ ნახეთ გრაბლი-პლენკი? – იკითხა ჯინიმ, – ნეტავ რას აკეთებს აქ? ჰაგრიდი სკოლას ხომ არ მიატოვებდა, ასე არ არის?

– გამიხარდებოდა, რომ წასულიყო. ჩემი აზრით, დიდი ვერაფერი მასწავლებელია, – თქვა ლუნამ.

– ძალიანაც მშვენიერი მასწავლებელია, – ერთხმად გააპროტესტეს ჰარიმ, რონმა და ჯინიმ.

ჰარიმ ჰერმიონს გახედა. ჰერმიონმა ჩაახველა და სწრაფად თქვა:

– ჰო... ძალიან კარგია.

– აი, ჩვენ კი, რეივენქლოში, მიგვაჩნია, რომ ის, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, – მოურიდებლად თქვა ლუნამ.

– ესე იგი, თქვენთან იუმორის გრძნობაზე ცოტა მწყრალად არიან, – შეულრინა რონმა. ამასობაში ეტლი ბორბლების ჭრიალით დაიძრა.

ლუნამ რონის უხეშობა არ შეიმჩნია. ერთხანს ისე გულგრილადაც კი უყურებდა, როგორც უინტერესო ტელეგადაცემას უყურებენ ხოლმე.

ქარავანივით ჩამწკრივებული ეტლები რახრახითა და რწევით მიუყვებოდნენ გზას. როცა მათმა ეკიპაჟმა ფრთოსანი ტახის ქანდაკებით დაბოლოებულ ქვის ორ მაღალ სვეტს შორის გაიარა და სკოლის ტერიტორიაზე შევიდა, ჰარი იმის იმედით აეკრა ფანჯარას, რომ აკრძალული ტყის პირზე მდგარ ჰაგრიდის ქოხში სინათლეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაინახავდა, მაგრამ გარშემო მრუმე სიბნელე ჩამოწოლილიყო. ამასობაში ჰოგვორტსის ციხე-კოშკიც წამოადგათ თავზე – ნახ-შირივით შავი ცის ფონზე აქა-იქ კაშკაშა მართკუთხედებად ენთო ფანჯრები.

ეტლები ღრჭიალით შეჩერდნენ მუხის კარისკენ მიმავალ ქვის კიბეებთან. ჰარი პირველი გადმოვიდა. შებრუნდა და ისევ გახედა ტყის პირზე მდგარ ქოხს. იმ მხარეს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. იმის იმედით, იქნებ ცხენები მართლა მომეჩვენაო, ჰარიმ უხალისოდ გადაიტანა მზერა ეტლებზე და, რა თქმა უნდა, ისევ დაინახა ჩონჩხზე ტყავგადაკრული არსებები. ისინი ჩუმად იდგნენ, ღამის გრილი ჰაერისთვის მიეშვირათ ცხვირ-პირი და არაფრის მთქმელ თეთრ თვალებს აცეცებდნენ.

ჰარიმ სხვა დროსაც დაინახა რაღაც ისეთი, რასაც რონი ვერ ხედავდა, მაგრამ ის სარკის ანარეკლი იყო და არა ისეთი ნამდვი-ლი, როგორც ასამდე ვეება არსება, თანაც, საკმაოდ ძლიერი, რომ ეტლის თრევა შესძლებოდა. თუ ლუნას დაეჯერება, ისინი ყოველთ-ვის იყვნენ, მაგრამ არ ჩანდნენ. ახლა კი ჰარიმაც შენიშნა. მაგრამ რონმა... რონმა რატომ ვერ დაინახა?

– აღარ მოდიხარ? – გაისმა რონის ხმა.

– ჰო... რა თქმა უნდა, – სწრაფად უპასუხა ჰარიმ და კარისკენ მიმავალ ხალხს შეერია.

ჰოლი ჩირაღდნებით იყო გაჩახჩახებული, ფეხის ხმა ექოდ ისმოდა ქვის იატაკზე. ყველა მარჯვნივ, ორფრთიანი კარისკენ მიდიოდა. იქ დიდი დარბაზი იყო. სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად იქ ბანკეტი იმართებოდა.

დიდ დარბაზში მოსწავლეები კლუბების მიხედვით სხდებოდნენ ოთხ გრძელ მაგიდასთან. ზემოდან უვარსკვლავო შავი ცა დაჰყ-ურებდათ, ისეთივე, როგორიც მაღალი ფანჯრებიდან ჩანდა. მაგ-იდების გასწვრივ, ჰაერში, სანთლები დალივლივებდნენ და დარ-ბაზში მოხეტიალე ვერცხლისფერ მოჩვენებებსა და მოსწავლეებს ანათებდნენ. ბავშვები ზაფხულის ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს, ძველ ნაცნობებს ესალმებოდნენ, ერთმანეთის ახალ მანტიებსა და ვარცხნილობებს ათვალიერებდნენ. ჰარიმ ისევ შეამჩნია, როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, როცა მათ გვერდით ჩაუვლიდა. კბილი კბილს დააჭირა და შეეცადა, ისე დაეჭირა თავი, თითქოს ვერც ვერავის ამჩნევდა და არც არავისთან არაფერი ესაქმებოდა.

ლუნა ჩამოსცილდათ და რეივენქლოელთა მაგიდისკენ გასწია. როგორც კი მიაღწიეს გრიფინდორის მაგიდას, მეოთხეკურსელებმა ჯინის დაუძახეს და ისიც მათთან დაჯდა. ჰარიმ, რონმა, ჰერმიონმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ნევილმა მაგიდის შუაში ოთხი ადგილი იპოვეს. მარჯვნივ თითქმის უთავო ნიკი, გრიფინდორელთა მოჩვენება ეჯდათ, მარცხნივ – პარვატი პეტილი და ლევენდერ ბრაუნი. ეს ორი ისე ხაზგასმული მეგობრობითა და უდარდელობით მიესალმა, რომ ჰარის ეჭვი არ შეჰპარვია – სულ რაღაც წუთის წინ მწარედ გაჭორეს. თუმცა, ახლა ჰარის თავში სულ სხვა რამ უტრიალებდა – მოსწავლეებს თავს ზემოთ მასწავლებელთა მაგიდას უყურებდა, რომელიც მთავარი კედლის გასწვრივ იდგა.

– აქ არ არის.

რონი და ჰერმიონიც იქით იყურებოდნენ, თუმცა, განსაკუთრებული დაკვირვებაც არ იყო საჭირო – ჰაგრიდის სიმაღლის კაცის დანახვას ბევრი ძალისხმევა არ სჭირდებოდა.

– ხომ არ შეიძლება, სულ წასულიყო სკოლიდან, – შეშფოთდა რონი.

– რა თქმა უნდა, არა, – დაბეჯითებით დაადასტურა ჰარიმ.

– იქნებ რამე დაემართა? – შეწუხდა ჰერმიონი.

– არა მგონია, – სწრაფად თქვა ჰარიმ.

– მაშინ, სად უნდა იყოს?

პაუზის შემდეგ ჰარიმ ძალიან ჩუმად, ისე, რომ ნევილს, პარვატისა და ლევენდერს არ გაეგონათ, თქვა:

– შეიძლება, ჯერ არ დაბრუნებულა. ალბათ, გახსოვთ, საზაფხულო სამუშაოების შემდეგ... იმის მერე, რაც დამბლდორის დავალება უნდა შეესრულებინა.

– ჰო, ჰო... შეიძლება, – დაეთანხმა რონი და თითქოს დამშვიდდა კიდეც. მაგრამ ჰერმიონი მაინც ათვალიერებდა მასწავლებელთა მაგიდას, თითქოს იქ აპირებდა ჰაგრიდის გაუჩინარების ნამდვილი მიზეზის პოვნას.

– ეს ვინღაა? – მკვახედ იკითხა და მასწავლებელთა მაგიდის შუა ნაწილისკენ მიუთითა.

ჰარიმაც იქით გაიხედა. ჯერ თავის მოოქრულ, მაღალზურგიან სავარძელში მჯდარი პროფესორი დამბლდორი დაინახა. მუქი იისფერი, ვერცხლისფერი ვარსკვლავებით გაწყობილი მანტია ეცვა, შლაპაც ასეთივე ეხურა. დამბლდორი გადაიხარა გვერდით მჯდომი ქალისკენ, რომელიც რაღაცას ეჩურჩულებოდა. დაბალი იყო, სქელსქელი, მოკლედ შეჭრილი ხუჭუჭა წაბლისფერი თმა ჰქონდა. თავი მყვირალა ვარდისფერი ლენტით წაეკრა, ასეთივე ფერის ნაქსოვი ფუმფულა კოფთა ეცვა და ვიღაცის შინაბერა დეიდას ჰგავდა. აი, ოდნავ მოაბრუნა თავი, რომ თასიდან მოესვა და ჰარიმ, თავისდა გასაოცრად, იცნო ეს ფერმკრთალი გომბეშოს სახე და გადმოკარკლულთვალებქვეშ ჩამოკიდებული უპეები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს ხომ ამბრიჯია!

– ვინ, ვინ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– ეს ქალი ჩემი საქმის მოსმენაზე იყო, ფაჯთან მუშაობს.

– იფ, რა კოფთაა! – ჩაიცინა რონმა.

– ფაჯთან მუშაობს... – წარბშეკრულმა გაიმეორა ჰერმიონმა, – მაშ, აქ რას აკეთებს?

– წარმოდგენა არა მაქვს.

ჰერმიონი თვალმოჭუტული ათვალიერებდა მასწავლებელთა მაგიდას.

– არა, – ჩაიბუტბუტა, – რა თქმა უნდა, არა...

ჰარი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა, მაგრამ არაფერი უკითხავს. ყურადღება პროფესორ გრაბლი-პლენკზე გადაიტანა, რომელიც ის-ის იყო გამოჩნდა მასწავლებელთა მაგიდის უკან, ბოლოსკენ გაემართა და ის ადგილი დაიკავა, სადაც ჰაგრიდი უნდა მჯდარიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ პირველკურსელებმა უკვე გადაცურეს ტბა და ციხე-კოშკში შევიდნენ. მართლაც, რამდენიმე წამის შემდეგ ჰოლის კარი გაიღო. დარბაზში შეშინებული ახალბედების გრძელი მწკრივი შემოვიდა. წინ მოუძღოდათ პროფესორი მაკგონაგელი, რომელსაც პატარა სკამზე დასვენებული ჯადოსნური ქუდი მოჰქონდა. ქუდი ბევრ ადგილას იყო დაკემსილ-დაკერებული. ქუდის თავზე, გაცრეცილ ფარფლებთან, ფართო ჭრილი მოჩანდა.

დარბაზში საუბარი უცებ შეწყდა. პირველკურსელები მასწავლებელთა მაგიდის წინ სახით მოსწავლეებისკენ ჩამწკრივდნენ. პროფესორმა მაკგონაგელმა მათ წინ მოწიწებით დადგა სკამი და უკან დაიწია.

პირველკურსელები სანთლის ალზე ძალიან ფერმკრთალები ჩანდნენ. მწკრივის შუაში მდგარი ერთი ბიჭუნა ცახცახებდა. ჰარის გაახსენდა, რა საშინელი წამები გადაიტანა თვითონ, როცა მათ ადგილას იდგა გამოცდის მოლოდინში. იმ გამოცდას უნდა გადაეწყვიტა, რომელ კლუბში მოხვდებოდა.

მთელი სკოლა სუნთქვაშეკრული იცდიდა. და აი, ჭრილმა პირი დააღო და ჯადოსნური ქუდი ამღერდა:

როცა მე სულ ახალთახალი ვიყავი,
ჰოგვორტსი ფაიხსნა მაშინ,
და სკოლა ვინც შექმნა, იმედით ელოდა
ურღვევ და უმტკიცეს კავშირს:
ერთად ვაშენოთ და ერთად ვასწავლოთო,
ოთხმა მეგობარმა ბრძანა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და თუ იმ ოთხეულს რაიმე გაეგრიდა
ვინმე იფიქრებდა, განა?
ვინც კი სლიზერინს და გრიფინდორს ნახავდა,
ეგონა ნამდვილი ძმები,
ხოლო ჰაფლეპაფი, ხოლო რეივენქლო –
უჭეშმარიტესი დები!
მაინც რა შეემთხვათ? რატომ დაიშალნენ?
ერთად რად არ დარჩნენ, რადა?
მე ვიცი, რაც მოხდა, და ახლა გიამბობთ
იმ ძველ და სევდიან ამბავს:
თქვა ჯერ სლიზერინმა: „ვისაც ჩვენ ვასწავლით,
სისხლი უნდა ჰქონდეს სუფთა“,
მერე რეივენქლომ: „ყველა ჩვენს მოწაფეს
გონება უეჭიდეს უნდა“,
ხოლო გრიფინდორმა: „მას უნდა ვასწავლოთ,
ვისაც მამაცი აქვს სული“,
ბოლოს ჰაფლეპაფმა: „თუ ვინმე დარჩება,
მივიღებ კეთილი გულით“.
რადგან თავ-თავისი ჰქონდათ ფაკულტეტი,
საქმე მიდიოდა კარგად
და ყველას მიჰყავდა ისეთი მოსწავლე,
ვინც მისთვის ვარგისი ჩანდა:
სლიზერინს – ვერაგი, გრიფინდორს – მამაცი,
ჭკვიანს რეივენქლო ზრდიდა,
ხოლო დანარჩენი ჰაფლეპაფს რჩებოდა
სკოლის დაარსების დღიდან.
მაგრამ წვეთწვეთობით შეღლილი შეეპარათ –
ამლას რა ბევრი რამ უნდა?!
ყველა თითო-თითოდ სხვებს ექიშპებოდა,
ყველას პირველობა სურდა,
და გეგონებოდა, ომი დაიწყო:
ყოველ წუთს დუელი, ბრძოლა,
მეგობარს მეგობრის დაჯაბნა უნდოდა,
თავზე გვექცეოდა სკოლა!
მერე კი, ერთ დილას, ადგა სლიზერინი,
დაგვცოვა, წავიდა დინჯად,
და თუმცა ქიშპობა მინელდა, ეს წასვლა
გულში ყველას ჩაგვრჩა ხინჯად,
რადგან იმის შემდეგ, რაც დარჩნენ სამნილა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ერთი მოაკლო ომმა,
ჩვენი ოთხი კლუბი ისე ვერ ერთობდა,
როგორც ჩაიფიქრა ოთხმა.
მე კი კვლავ აქა ვარ, ქუდი ძველისძველი,
განაწილება მდევს ვალად,
და რომც არ მინდოდეს, სხვა აბა, რა გზა მაქვს,
ოთხად უნდა გაგყოთ ახლა,
მაგრამ მაინც გეცყვით: ეჭვი მეპარება,
სწორად ვიქცევი თუ არა?
იქნებ ეს გაყოფა დიდი შეცდომაა
და შემოგვიბრუნდეს ავად?
წარსული გვაფრთხილებს, აწმყოც მიგვანიშნებს,
რომ საფრთხე დაბრუნდა ძველი,
დღეს სკოლას გარედან მტერი ემუქრება,
დიდი, ულმობელი მტერი.
ამიტომ ყველანი უნდა შევკავშირდეთ,
თორემ დავემხობით მყისვე;
მე ჩემი გითხარით, უკვე გაგაფრთხილეთ
და... განაწილებას ვიწყებ.[1]

ქუდი გაჩუმდა და გაირინდა. ტაში დასცხეს, მაგრამ ამჯერად, – ჰარის არ ახსოვდა, რომ მსგავსი რამ ადრეც მომხდარიყო, – ტაშს ჩუმი გადალაპარაკება და ჩურჩული მოჰყვა. ჰარი სხვებთან ერთად უკრავდა ტაშს, თან მშვენივრად ესმოდა, რით იყო გამოწვეული ეს უჩვეულო ჩურჩულ-ქაქანი.

– ცოტა მეტი ხომ არ მოუვიდა წლეულს? – იკითხა რონმა და გაკვირვებით ასწია წარბები.

– ეგრე გამოდის, – დაეთანხმა ჰარი.

აქამდე ჯადოსნური ქუდი მხოლოდ იმ თვისებებს აღწერდა, რომლებიც ამა თუ იმ კლუბში მოსახვედრად იყო საჭირო. არც თავისი როლი ავიწყდებოდა ახალბედების მომავლის განსაზღვრაში. ჰარიმ ვერაფრით გაიხსენა, რომ ქუდს ერთხელ მაინც მიეცა რჩევა ჰოგვორტსისთვის.

– ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ქუდს სკოლა გაეფრთხილებინოს? – იკითხა შეშფოთებულმა ჰერმიონმა.

– ცხადია, ყოფილა, – ავტორიტეტულად განაცხადა თითქმის უთავო ნიკმა. თან ნევილში გაიარა და ისე დაიხარა ჰერმიონისკენ

[1] თარგმნა ც. ხოცუაშვილმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

(ნევილი შეკრთა, შეგრძნება, სიმართლე რომ ვთქვათ, მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო), – ქუდს თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია, გააფრთხილოს ყველა, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის...

მაგრამ ამ დროს თითქმის უთავო ნიკმა შენიშნა, რომ პროფესორი მაკგონაგელი, რომელსაც ახლა პირველკურსელები უნდა გამოეძახებინა, მოჩურჩულეებს მრისხანე მზერით ხვრეტდა. თითქმის უთავო ნიკმა გამჭვირვალე თითი ტუჩებთან მიიტანა, ზნეკეთილი ბავშვივით გასწორდა სკამზე და გაყუჩდა. ჩურჩული შეწყდა. პროფესორმა მაკგონაგელმა საბოლოოდ მოავლო მრისხანე მზერა ოთხივე მაგიდას, პერგამენტის გრძელ გრაგნილს დახედა და პირველი სახელიც წარმოთქვა:

– იუან აბერკრომბი.

წინ ბორძიკით გამოვიდა დამფრთხალი ბიჭი, რომელიც ჰარიმ ცოტა ხნით ადრე შენიშნა. ბიჭმა ქუდი დაიხურა, მაგრამ დიდი, აშვერილი ყურების წყალობით, ბოლომდე ვერ ჩამოეცვა. ქუდი წამით ჩაფიქრდა, მერე ჭრილი ოდნავ ამოძრავდა და გაისმა:

– გრიფინდორი!

ჰარიმ და ყველა გრიფინდორელმა ტაში დასცხეს, იუან აბერკრომბი კი მათი მაგიდისკენ წალასლასდა და დაჯდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მხოლოდ იმას ნატრობდა, მიწა გასკდომოდა და აღარავის შესჩხეროდა თვალებში.

ახალბედების გრძელი მწკრივი ნელ-ნელა დაილია. გვარების დასახელებასა და ქუდის გადაწყვეტილებებს შორის შუალედებში ჰარის რონის მუცლის ბუყბუყი ესმოდა. სულ ბოლოს ცელერ როუზი ჰაფლეპაფში ჩარიცხეს, პროფესორმა მაკგონაგელმა ქუდი და სკამი აიღო და დარბაზიდან გავიდა. სკოლის დირექტორი, პროფესორი დამბლდორი წამოდგა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ხანებში დამბლდორის მიმართ ბევრჯერ უსიამოვნო გრძნობა გაუჩნდა, დარბაზის წინაშე მდგარი დამბლდორი როგორღაც დამამშვიდებლად მოქმედებდა. ცხენდრაკონებმა და ჰაგრიდის არყოფნამ, ჰოგვორტსში დაბრუნება გაუუფერულეს, არადა, როგორ მოუთმენლად ელოდა ამ წუთს. ეს უსიამოვნებანი ისე გამოერია, როგორც ყალბი ნოტები ნაცნობ მელოდიაში. თუმცა, ერთი რამ მაინც ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავი ბანკეტის წინ: სკოლის დირექტორი ფეხზე მდგარი ესალმება მოსწავლეებს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ახლებო! – დარბაზი დამბლდორის ხმამ გაავსო, – კეთილი იყოს ბუდეში მობრუნება, ძველო გვარდიავ, – დამბლდორმა ხელები გაშალა, სახეზე ღიმილი გადაე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრა, – ლაპარაკის დრო კიდევ დადგება, ახლა კი სხვა რამის დროა – შეესიეთ სუფრას!

საერთო სიცილსა და ტაშისცემაში დამბლდორი მოხერხებულად მოეწყო სკამზე და გრძელი წვერი მხარზე გადაიგდო, რათა თეფშში არ ჩავარდნოდა. ამასობაში დარბაზში, კაცმა არ იცის, საიდან, საჭმელი გაჩნდა, თან ისეთი რაოდენობით, რომ ხუთივე მაგიდა ხორცის, ნამცხვრების, სალათების, პურის, საწებლებისა და გოგრის წვენით სავსე დოქებისგან იზნიქებოდა.

– მშვენიერია, – დაიკვნესა დამშეულმა რონმა და თითქმის უთავო ნიკის სევდიანი მზერის თანხლებით თეფში კატლეტებით გაივსო.

– შენ რაღაცის თქმას აპირებდი განაწილების წინ, – შეახსენა მოჩვენებას ჰერმიონმა, – ქუდის გაფრთხილების თაობაზე.

– ჰო, დიახ, – ნიკს საბაბი გაუჩნდა, აღარ ეყურებინა რონისთვის, სულმოუთქმელად, ლამის ურცხვი მადით რომ ნთქავდა შემწვარ კარტოფილს, – მე რამდენჯერმე მაქვს მოსმენილი მისი გაფრთხილება იმ დროს, როცა სკოლას დიდი უბედურება ემუქრებოდა. და ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებდა: გაერთიანდით და შინაგან ძალებს მოუხმეთო.

– აიდა იჰი უდა ო ოლა უედუეა ეუება? – იკითხა რონმა.

„ასეთი გამოტენილი პირით თუნდაც ამის თქმაც კი დიდი მიღწევაა," – გაიფიქრა ჰარიმ.

– მაპატიეთ, ვერ გავიგე, – ზრდილობიანად თქვა თითქმის უთავო ნიკმა.

ჰერმიონმა მრისხანედ შეხედა რონს. მან კი რის ვაი-ვაგლახით გადაყლაპა ვეებერთელა ლუკმა და თქვა:

– საიდან იცის ქუდმა, რომ სკოლას უბედურება ემუქრება?

– წარმოდგენა არა მაქვს, – უპასუხა ნიკმა, – თუმცა, ვინაიდან დამბლდორის კაბინეტში ცხოვრობს, შემიძლია ვივარაუდო, რომ იქაურ ჰანგებზე მღერის.

– და ქუდს უნდა, რომ ყველა ჯგუფმა თანხმობით იცხოვროს? – იკითხა ჰარიმ, თან სლიზერინელთა მაგიდისკენ იყურებოდა, სადაც დრაკო მალფოი მბრძანებლობდა, – სათქმელად ადვილია, მაგრამ მეეჭვება...

– ასე არ უნდა ფიქრობდე, – უსაყვედურა ნიკმა, – მშვიდობიანი თანამშრომლობა ყველაფრის გასაღებია. ჩვენც, მოჩვენებებიც, გუნდებად ვართ დაყოფილები, მაგრამ ერთმანეთთან მეგობრულ კავშირს არ ვწყვეტთ. გრიფინდორსა და სლიზერინს შორის პირველობისთვის უშეღავათო ბრძოლის მიუხედავად, სიზმარშიც კი არ ვისურვებდი სისხლიან ბარონთან დაპირისპირებას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან გეშინია მისი, – უთხრა რონმა.

თითქმის უთავო ნიკმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

– მე მეშინია? გავბედავ და ვიტყვი, რომ მე, სერ ნიკოლას დე მიმსი-პორპინგტონს, არასდროს არავისთვის მიმიცია ჩემს გამბედაობაში დაეჭვების საბაბი. ჩემს ძარღვებში მჩქეფარე კეთილშობილი სისხლი...

– სისხლი? – იკითხა რონმა, – ვითომ გაქვს კი...

– ფიგურალური გამოთქმაა, – შეაწყვეტინა თითქმის უთავო ნიკმა. იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ კანზე დაკიდებული თავი სახიფათოდ უცახცახებდა, – იმედი მაქვს, რომ მე, ვისთვისაც მიუღწეველია ჭამა-სმის სიამოვნება, მაინც მაქვს უფლება, ვიხმარო ის სიტყვები, რომლებსაც საჭიროდ ვთვლი. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ კარგა ხანია, შევეჩვიე მოსწავლეების ხუმრობას ჩემი სიკვდილის თაობაზე.

– ნიკ, ის სულაც არ აპირებდა შენს დაცინვას, – დაამშვიდა ჰერმიონმა და რონი თვალებით გაანადგურა.

საუბედუროდ, რონს ისევ ისე ჰქონდა გამოტენილი პირი, რომ იფიქრებდი, სადაცაა, გასკდებაო. მხოლოდ ესღა მოახერხა: „ა მაა ა ვაიებდი“, – რაც ნიკმა, როგორც ჩანს, საკმარის ბოდიშად არ მიიღო, ჰაერში აიჭრა, ბუმბულიანი შლაპა გაისწორა, მაგიდის მეორე ბოლოსკენ გასრიალდა და კოლინ და დენის ქრივებს შორის ჩაჯდა.

– კარგი რა, რონ! – შეულრინა ჰერმიონმა.

– რა მოხდა? – აღშფოთდა რონი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, გადაყლაპა ლუკმა, – რა, უბრალო შეკითხვა არ შეიძლება დავუსვა?

– ვერაფერს ხვდები, რა... – გაღიზიანებულმა თქვა ჰერმიონმა. ბანკეტის ბოლომდე ორივე გაბუტული იჯდა.

ჰარი შეჩვეული იყო რონისა და ჰერმიონის კინკლაობას და არც ჩარევა უცდია. უფრო გონივრულად ეჩვენა, ბიფშტექსზე, თირკმლის პაშტეტსა და ნამცხვრის ვეებერთელა ნაჭერზე დაეხარჯა დრო.

როცა ჭამა დაამთავრეს და დარბაზი ისევ აყაყანდა, დამბლდორი კვლავ წამოდგა. ხმაური მაშინვე შეწყდა. ყველანი დირექტორისკენ შებრუნდნენ. ჰარიმ სასიამოვნო მოთენთილობა იგრძნო. სადღაც ზევით ლოგინი ელოდებოდა – არაჩვეულებრივად რბილი და თბილი.

დირექტორმა დაიწყო:

– ახლა, როცა ამ მშვენიერი ვახშმის მონელებას შევუდექით, მე, როგორც ყოველთვის, სასწავლო წლის დასაწყისში, მინდა, რამდენიმე მოკლე ცნობას მივაპყრო თქვენი ყურადღება: პირველკურსელებმა უნდა დაიხსომოთ, რომ ტყე აკრძალული ზონაა მოსწავლეებისთვის. იმედია, რამდენიმე ჩვენმა უფროსკლასელმა უკვე დაიხსომა (ჰარიმ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა და ჰერმიონმა ჩაიცინეს). ბატონმა ფილჩმა, სკოლის დარაჯმა, მთხოვა, როგორც თვითონ ამბობს, ოთხას სამოცდამეორედ შეგახსენოთ, რომ ჰოგვორტსის დერეფნებში ჯადოქრობის გამოყენება აკრძალულია. კიდევ არის რამდენიმე აკრძალვა, რომელთა ჩამონათვალი ბატონი ფილჩის კაბინეტის კარზეა გამოკრული. მასწავლებელთა შემადგენლობაში ორი ცვლილებაა. მოხარული ვართ, კვლავ ჩვენს რიგებში ვიხილოთ პროფესორი გრაბლი-პლენკი, რომელიც ჯადოსნური არსებების მოვლის კურსს წაგიკითხავთ. ასევე დიდი სიამოვნებით მინდა, წარმოგიდგინოთ პროფესორი ამბრიჯი, ბნელი ძალებისგან თავდაცვის პედაგოგი.

გაისმა თავაზიანი, მაგრამ საკმაოდ უხალისო ტაში. რონმა და ჰერმიონმა შეშფოთებულებმა გადახედეს ერთმანეთს. დამბლდორს არ უთქვამს, რამდენ ხანს დარჩება სკოლაში გრაბლი-პლენკი.

– ქვიდიჩის გუნდებში შერჩევა...

დამბლდორი გაჩუმდა და გაკვირვებით შეხედა პროფესორ ამბრიჯს. და რადგან ამბრიჯი ფეხზე მდგარი თითქმის იმ სიმაღლისა იყო, რა სიმაღლისაც დამჯდარი, ყველა მაშინვე ვერ მიხვდა, რატომ გაჩუმდა დამბლდორი. მაგრამ უცებ ამბრიჯის ხმადაბალი „უჰუ“ გაისმა და ყველაფერი ნათელი გახდა – ამბრიჯი წამომდგარიყო და სიტყვის თქმას აპირებდა.

დამბლდორი სულ რაღაც ერთ წამს იყო დაბნეული. მერე მოხერხებულად მოეწყო სკამზე და ამბრიჯს ისეთი მზერა მიაპყრო, თითქოს ქვეყანაზე მისი გამოსვლის მეტი არაფერი აინტერესებდა. თუმცა, სხვა მასწავლებლებმა ასე ოსტატურად ვერ შენიღბეს თავიანთი გაოცება. პროფესორ სპრაუტის წარბები გაწეწილ თმაში გაუჩინარდა. პროფესორ მაკგონაგელს კიდევ უფრო გაუთხელდა ტუჩები. აქამდე არც ერთ ახალ მასწავლებელს არ გაუბედავს, დამბლდორისთვის სიტყვა შეეწყვეტინებინა. ბევრ მოსწავლეს ჩაეცინა, ამ ქალმა ნაღდად არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ჰოგვორტსში.

– გმადლობთ, დირექტორო, – პრანჭვა-გრეხით დაიწყო ამბრიჯმა, – ასეთი გულთბილი მისალმებისთვის.

გოგოსავით წრიპინა ხმა ჰქონდა. ჰარიმ ისევ იგრძნო აუხსნელი სიძულვილისა თუ ზიზღის მოზღვავება. ერთი რამ დანამდვილებით იცოდა: ამ ქალში ყველაფერი, სულელური ხმით დაწყებული და ფუმფულა ვარდისფერი კოფთით დამთავრებული, ზიზღს იწვევდა. ამბრიჯმა კიდევ ერთხელ ჩაიწმინდა ყელი და განაგრძო:

– ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებაა კვლავ ჰოგვორტსში მოხვედრა! – ისევ გაიღიმა და წვეტიანი კბილები გამოაჩინა, – და ჩემკენ მომართული ამდენი ბედნიერი პატარა სახის დანახვა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ დარბაზს გადახედა, მაგრამ ბედნიერი სახეები რატომღაც ვერ შეამჩნია. პირიქით, ყველანი გაოცებულნი იყვნენ იმით, რომ მათ ხუთი წლის ბავშვებივით მიმართავდნენ.

– მოუთმენლად ველი თითოეული თქვენგანის გაცნობას. დარწმუნებული ვარ, კეთილ მეგობრებადაც ვიქცევით!

მოსწავლეებმა ერთმანეთს გადახედეს. ზოგიერთმა ძლივს შეიკავა სიცილი.

– მე თანახმა ვარ, მანამდე ვიმეგობრო მასთან, სანამ კოფთის თხოვება არ დამჭირდება, – წასჩურჩულა პარვატიმ ლევენდერს და ორივე უხმოდ ახითხითდა.

პროფესორმა ამბრიჯმა ისევ გამოსცა თავისი „უჰუ, უჰუ“, მაგრამ როცა კვლავ ალაპარაკდა, აღტაცებული ნოტები მის ხმაში თითქმის აღარ ისმოდა. ტონი უფრო საქმიანი გახდა, სიტყვები – გაზუთხულივით მოსაწყენი.

– მაგიის სამინისტრო ახალგაზრდა ჯადოქრების აღზრდას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის იშვიათი ნიჭი, რომელიც განგებამ გიბოძათ, ტყუილუბრალოდ გაიფლანგება, თუ ამ ნიჭს არ განვავითარებთ, უფრო ბასრს არ გავხდით მზრუნველი დარიგებებით. უძველესი ჩვევები, რომლებიც ჯადოსნურ თანამეგობრობას ყველა დანარჩენისგან გამოარჩევს, თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს – თუ არადა, სამუდამოდ დავკარგავთ. წინაპრების მიერ დაგროვილი ჯადოსნური ცოდნის გაფრთხილება, გამრავლება და გაუმჯობესება მათი უპირველესი მოვალეობაა, ვინც საკუთარი თავი მასწავლებლობის კეთილშობილურ საქმეს მიუძღვნა. პროფესორმა ამბრიჯმა სული მოითქვა, ოდნავ დაუკრა თავი კოლეგებს, მაგრამ არც ერთ მათგანს ყურადღების ამ გამოხატულებისთვის არ უპასუხია. პროფესორმა მაკგონაგელმა ისე მრისხანედ შეკრა მუქი წარბები, რომ მტაცებელ ფრინველს დაემსგავსა. ჰარიმ აშკარად დაინახა, რა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს მაკგონაგელმა და პროფესორმა სპრაუტმა, როცა ამბრიჯმა მორიგი „უჰუ, უჰუ“ ატეხა და შემდეგ განაგრძო:

– ამ უძველესი სკოლის ხელმძღვანელობის რთულ საქმიანობაში ჰოგვორტსის ყოველ ახალ დირექტორს რაღაც ახალი მოჰქონდა. ასეც უნდა იყოს, რადგან პროგრესის გარეშე ჩვენი ხვედრი უძრაობა და ლპობა იქნებოდა. მაგრამ პროგრესის წახალისება მხოლოდ პროგრესისთვის სწორი არ არის, რადგან ტრადიციების დიდი ნაწილი, რომელმაც დროს გაუძლო, გადახედვას არ საჭიროებს. ასე რომ, აუცილებელია წონასწორობის დაცვა ახალსა და ძველს შორის, მუდმივსა და ცვლილებებს შორის, ტრადიციასა და ნოვატორობას შორის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ იგრძნო, რომ ყურადღება შეუსუსტდა. გონება ხან ჩაერთვებოდა, ხან გამოერთვებოდა. მოსწავლეები ჩურჩულებდნენ, ხითხითებდნენ. რეივენქლოს მაგიდასთან ჩო ჩენგი გაცხოველებით საუბრობდა დაქალებთან. ჩოს გვერდით მჯდომმა ლუნა ლავგუდმა ისევ თავისი ჟურნალი ამოიღო. ჰაფლეპაფელთა მაგიდასთან ერნი მაკმილანი ერთადერთი იყო, ვინც პროფესორ ამბრიჯს უსმენდა, მაგრამ ისეთი უაზრო მზერა ჰქონდა, ჰარის ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ერნი მოსაჩვენებლად იჯდა ასე. მკერდზე პრეფექტის ახალთახალი ნიშანი ეკეთა, ამიტომ შესაბამისადაც უნდა მოქცეულიყო.

პროფესორი ამბრიჯი მოსწავლეების ამ თავაშვებულობას თითქოს ყურადღებას არ აქცევდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ახლა მის თვალწინ დაუნდობელი ამბოხიც რომ დაწყებულიყო, ის თავისას მაინც ბოლომდე იტყოდა. თუმცა, მასწავლებლები წინანდებურად ყურადღებით უსმენდნენ. იგრძნობოდა, რომ ჰერმიონიც ყურს უგდებდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ რაც ესმოდა, მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა.

– ...იმიტომ, რომ ზოგიერთ ცვლილებას ნამდვილი გაუმჯობესება მოსდევს, ზოგი კი დროთა განმავლობაში თავის უსარგებლობას გაამჟღავნებს ხოლმე. სწორედ ასევე ზოგიერთი ძველი ჩვეულება უნდა შევინარჩუნოთ, ზოგიერთზე კი, რომლებმაც ჭირი მოგვჭამეს, უარი უნდა ვთქვათ. მაშ, გადავდგათ ნაბიჯი ახალ ერაში, საჯაროობის, ეფექტურობისა და პასუხისმგებლობის ერაში. ან შევინარჩუნოთ ის, რაც შენარჩუნების ღირსია, სრულვყოთ, რაც უნდა სრულვყოთ და აღმოვფხვრათ ის, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაში.

ამბრიჯი დაჯდა. დამბლდორმა ტაში დაუკრა. მასწავლებლებმა დირექტორს მიჰბაძეს, მაგრამ ჰარიმ შენიშნა, რომ ზოგიერთმა ერთი-ორჯერ წაატყაპუნა. მასწავლებლებს რამდენიმე მოსწავლეც შეუერთდა, მეტწილად ისინი, ვინც საერთოდ აღარ უსმენდა სიტყვის დასასრულს, და სანამ ნამდვილ ტაშს დასცხებდნენ, დამბლდორი ისევ წამოდგა.

– გმადლობთ, პროფესორო ამბრიჯ, ასეთი შინაარსიანი გამოსვლისთვის, – ოდნავი თავის დაკვრით თქვა მან, – ახლა კი გავაგრძელებ. ქვიდიჩის გუნდში შერჩევა...

– მართლაც შინაარსიანი იყო, – ხმადაბლა დაადასტურა ჰერმიონმა.

– ოლონდ არ თქვა, რომ მოგეწონა, – ჩუმად გაკენწლა სიმაძღრისგან სახეალაპლაპებულმა რონმა, – ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უნდილი სიტყვა, რაც კი მომისმენია. მე ხომ პერსისთან ერთად ვიზრდებოდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– „შინაარსიანი“ და „მომეწონა“ სხვადასხვა რამეა, – აუხსნა ჰერმიონმა, – ეს გამოსვლა ბევრ რამეზე მიუთითებს.

– მართლა? – გაუკვირდა ჰარის, – მე თუ მკითხავთ, წყალ-წყალა სიტყვები იყო.

– ამ წყალში მნიშვნელოვანი რაღაცაა გახსნილი, – მოღუშულმა თქვა ჰერმიონმა.

– რას ამბობ? – ვერ მიხვდა რონი.

– როგორ მოგწონთ, აი, თუნდაც ეს: „პროგრესის წახალისება მხოლოდ პროგრესისთვის სწორი არ არის?“ ანდა: „აღმოვფხვრათ ის, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაში?“

– და რას უნდა ნიშნავდეს ეს? – მოუთმენლად იკითხა რონმა.

– გეტყვი, რასაც ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამინისტრო ჰოგვორტსის საქმეებში ერევა, – ბოლმიანად თქვა ჰერმიონმა.

გარშემო ყველა ახმაურდა და აფუსფუსდა. დამბლდორმა ზეიმი დახურულად გამოაცხადა. მოსწავლეები წამოიშალნენ და გასასვლელისკენ გაემართნენ. ჰერმიონი აღელვებული წამოხტა.

– რონ, ჩვენ ხომ პირველკურსელებს გზა უნდა ვუჩვენოთ!

– ჰო, მართლა, – თქვა რონმა, რომელსაც, აშკარა იყო, სულ გადაავიწყდა თავისი პრეფექტობა, – ჰეი, ჰეი! ღლაპებო!

– რონ!

– აბა, ვინ არიან, შენი აზრით, გოლიათები?

– შეიძლება პატარები არიან, მაგრამ არ გაბედო და ღლაპები აღარ დაუძახო! პირველკურსელებო! – დაიძახა ჰერმიონმა, – აქეთ, ჩემკენ წამოდით!

ახალბედების ჯგუფი მორიდებით წავიდა გრიფინდორისა და ჰაფლეპაფის მაგიდებს შორის გასასვლელში. რამდენადაც შეეძლო, ყველა ფეხს ითრევდა, რათა პირველი არ ყოფილიყო. ყველანი მართლა ძალიან პატარები ჩანდნენ. ჰარი დარწმუნებული იყო, როცა პირველად მოვიდა აქ, მაინც უფრო მოზრდილად გამოიყურებოდა. ბავშვებს გულთბილად გაუღიმა. იუან აბერკრომბის გვერდით მიმავალი ქერათმიანი ბიჭი ისარნაკრავივით გაშეშდა, იუანს იდაყვი წაჰკრა და რაღაც ჩასჩურჩულა. აბერკრომბიც შეკრთა და შიშჩამდგარი თვალებით მალულად გახედა ჰარის. ჰარიმ იგრძნო, როგორ ჩამოერეცხა ღიმილი სახიდან იმ აყროლებულ სითხესავით.

– დროებით, – ნირწამხდარმა უთხრა რონსა და ჰერმიონს, მარტო წავიდა დიდი დარბაზის კარისკენ, თან ყოველნაირად ცდილობდა, არ შეემჩნია, როგორ უყურებდნენ, როგორ ჩურჩულებდნენ და ერთმანეთს მასზე უთითებდნენ. ისე გაიარა მოსწავლეებით სავსე ჰოლი, აქეთ-იქით არ გაუხედავს, მერე სირბილით აიარა მარმარილოს კიბე,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთი-ორი საიდუმლო გასასვლელი და მოსწავლეთა დიდი ნაწილი უკან მოიტოვა.

„სრული იდიოტი უნდა იყო, რომ ამას არ ელოდე“, – ბრაზობდა თავის თავზე, როცა შეთხელებულ დერეფნებს მიუყვებოდა. რა გასაკვირია, რომ მის დანახვაზე თვალები დაჭყიტეს – ის ხომ ორი თვის წინ დაბრუნდა სამი ჯადოქრის ტურნირიდან თანაგუნდელის გვამით და განაცხადა, რომ ვოლდემორი ნახა. სულ მალე საზაფხულო არდადეგები დაიწყებოდა. რომც შესძლებოდა, უბრალოდ, დრო არ ჰქონდა, ყველასთვის დაწვრილებით მოეყოლა, რაც სასაფლაოზე ნახა.

გრიფინდორელთა საერთო ოთახისკენ მიმავალი დერეფნის ბოლოს რომ მიაღწია, ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტს მიადგა და მაშინღა გაახსენდა, რომ ახალი პაროლი არ იცოდა.

– ე... – ძლივს ამოთქვა და ფუშფუშა ქალბატონს შეაჩერდა. ქალ-ბატონი მკაცრად უყურებდა, თან ნაოჭებს ისწორებდა ვარდისფერ ატლასის კაბაზე, მერე ქედმაღლურად განაცხადა:

– პაროლის გარეშე შესვლა არ შეიძლება!

– ჰარი, მე ვიცი!

უკნიდან ვიღაცის ქოშინი მოისმა. ჰარი შებრუნდა და ნევილი დაინახა.

– ვერაფრით გამოიცნობ. სულ იოლად დავიხსომე, – დამჭკნარი კაქტუსი გააქნია: – მიმბულუს მიმბლეტონია!

– სწორია, – ბრძანა ფუშფუშა ქალბატონმა და განზე გაიწია. პორ-ტრეტს მიღმა მრგვალი შესასვლელი გამოჩნდა. ჰარი და ნევილი მაშინვე შიგ შეძვრნენ.

გრიფინდორელთა საერთო ოთახი ისეთივე იყო – მყუდრო და სასიამოვნო. ისევ ის გაცრეცილი რბილი სავარძლები და მოყანყ-ალებული ძველებური მაგიდები იდგა. ბუხართან, სადაც მხიარულად ტკაცუნობდა ცეცხლი, რამდენიმე მოსწავლე ხელებს ითბობდა. ოთახის მეორე მხარეს ფრედ და ჯორჯ უისლები რაღაცას აკრავდ-ნენ განცხდებების დაფაზე. ჰარი ყველას მიესალმა და პირდაპირ გასწია კარისკენ, რომელიც ბიჭების საძინებლებისკენ გადიოდა. ახლა ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ნევილი უკან მიჰყვა.

დინ ტომასი და სიმუს ფინიგანი პირველები შესულიყვნენ საძინებ-ელში და თავ-თავიანთ საწოლებთან, კედლებზე, ფოტოსურათებსა და პლაკატებს აკრავდნენ. სანამ ჰარი შევიდოდა, ეტყობა, ლაპარა-კობდნენ, მაგრამ დაინახეს თუ არა, მაშინვე გაჩუმდნენ. ჰარის ერთი კი გაუელვა თავში, ჩემზე ხომ არ ჭორაობდნენო, მაგრამ მერე ისიც იფიქრა, მგონი, უკვე საბოლოოდ შევიშალე ჭკუიდანო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გამარჯობა! – თქვა და ჩემოდანი გახსნა.

– გაუმარჯოს, – უპასუხა დინმა, თან „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელთა გუნდის ფერებით გაწყობილ პიჟამას იცვამდა, – როგორ ჩაიარა არდადეგებმა, კარგი იყო?

– არა უშავდა, – მიუგო ჰარიმ. ზაფხულის ამბების მოყოლას კარგა დიდი დრო დასჭირდებოდა, საამისო ძალა და სურვილი კი არ ჰქონდა, – თქვენ როგორ გაერთეთ?

– ისე რა, – ჩაიცინა დინმა, – ერთი კი ნაღდად ვიცი, რომ სიმუსზე კარგად. სწორედ ახლა მიყვებოდა.

– რა მოხდა, სიმუს? – იკითხა ნევილმა, თან ფრთხილად დადგა ტუმბოზე თავისი მიმბულუს მიმბლეტონია.

სიმუსს მაშინვე არ უპასუხია. ერთხანს შეყოვნდა, ამოწმებდა, სწორად იყო თუ არა გაკრული პლაკატი, რომელზეც ქვიდიჩის გუნდი „ტორნადო“ იყო გამოსახული. მერე თქვა:

– დედას არ უნდოდა, გამოვეშვი.

– რა? – გაშეშდა ჰარი.

– დედას არ უნდოდა ჰოგვორტსში ჩემი გამოშვება.

როგორც იქნა, სიმუსი შემობრუნდა, ჰარისთვის არც შეუხედავს, და ჩემოდნიდან პიჟამა ამოიღო.

– რატომ? – იკითხა გაოცებულმა ჰარიმ. იცოდა, სიმუსის დედა ჯადოქარი იყო და ვერ წარმოედგინა, რომ უცებ დერსლებს დაემსგავსებოდა.

სიმუსს ხმა არ ამოუღია, სანამ პიჟამის ღილები არ შეიკრა. მერე ყოყმანით დაიწყო:

– როგორ გითხრა... როგორც ჩანს... შენ გამო.

– ჩემ გამო? – ჰარის გული აუჩქარდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გაუსაძლისი სიმძიმე დაემხო თავზე.

– როგორ გითხრა, – სიმუსი ისევ ცდილობდა, თვალი არ გაესწორებინა ჰარისთვის, – დედა... ე... არა. მარტო შენ გამო კი არა, დამბლდორიც...

– დედაშენს რა, „დილის მისნისა“ სჯერა? – იკითხა ჰარიმ, – ფიქრობს, რომ მე ცრუპენტელა ვარ, დამბლდორი კი – სულელი?

როგორც იქნა, სიმუსმა შეხედა.

– ჰო, დაახლოებით ეგრეა...

ჰარის არაფერი უთქვამს. ჯადოსნური ჯოხი ტუმბოზე დააგდო, მანტია მოიხსნა, გაბრაზებულმა ჩატენა ჩემოდანში და პიჟამა ჩაიცვა. უკვე ყელში ამოუვიდა ყველაფერი: გამუდმებით მას უყურებენ თვალებდაჭყეტილები; გამუდმებით მასზე ჭორაობენ! თუნდაც ერთმა რომ იცოდეს, ერთს მაინც რომ ჰქონდეს წარმოდგენა, როგორია მის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადგილზე ყოფნა!.. ქალბატონი ფინიგანი, სულელი დედაკაცი, ამას ვერც წარმოიდგენს! – გაცოფებული ფიქრობდა ჰარი.

ლოგინში შეძვრა და ის იყო, ფარდები უნდა ჩამოეფარებინა, რომ სიმუსმა ჰკითხა:

– მოიხედე... მაინც რა მოხდა იმ ღამეს... როცა... იცი, რაზეც გეუბნები... როცა სედრიკ დიგორი დაიღუპა და... მოკლედ, ყველაფერი, რაც მოხდა?..

სიმუსი ნერვიულად, თან საოცარი ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა. დინი, აქამდე ჩემოდანში რომ იქექებოდა ფოსტლების საძებნად, უცებ გაირინდა – ყურები ცქვიტა.

– მე რატომ მეკითხები? – მკვახედ უპასუხა ჰარიმ, – დედაშენივით „დილის მისანი“ წაიკითხე, რა გიშლის ხელს? იქ იპოვი ყველაფერს, რაც უნდა იცოდე.

– დედაჩემზე ასე ნუ ლაპარაკობ! – გაბრაზდა სიმუსი.

– ყველაზე ასე ვილაპარაკებ, ვინც ცრუპენტელას დამიძახებს, – ვალში არ დარჩა ჰარი.

– ცოტა ზრდილობიანად, ჰარი!

– როგორც მინდა, ისე ვილაპარაკებ! – შეუტია ბრაზმორეულმა ჰარიმ და ტუმბოზე დადებულ ჯადოსნურ ჯოხს დასტაცა ხელი, – თუ არ მოგწონს ჩემთან ერთად ოთახში ყოფნა, წადი, მაკგონაგელს სთხოვე, გადაგიყვანოს. დედაშენიც ნაკლებად ინერვიულებს.

– დედაჩემს თავი დაანებე, პოტერ!

– რა ხდება აქ?

კარში რონი გამოჩნდა. გადიდებული თვალებით შეჰყურებდა ხან მუშტებმომარჯვებულ სიმუსს, ხანაც – ჰარის, რომელიც საწოლზე მუხლებით იდგა და სიმუსისთვის ჯადოსნური ჯოხი დაემიზნებინა.

– თავი დაანებოს დედაჩემს! – იღრიალა სიმუსმა.

– რა? – არ დაიჯერა რონმა, – კარგი ერთი, ჰარი არ იზამდა ამას, – ჩვენ ხომ ვნახეთ დედაშენი და ძალიანაც მოგვეწონა.

– მოგვწონდა, სანამ დამპალი „დილის მისნის“ ჭორებს არ აჰყვებოდა, – იყვირა ჰარიმ გაბზარული ხმით.

– აი, თურმე რა, – ჩაილაპარაკა რონმა, – ჰო, ყველაფერი გასაგებია.

– იცი რა? – გაცეცხლებულმა სიმუსმა ცერად გახედა ჰარის, – ეს მართალს ამბობს, მე მართლა არ მინდა ამ შეშლილთან ერთ ოთახში ცხოვრება!

– ასე არ შეიძლება, სიმუს, – დაუყვავა რონმა და ნელ-ნელა გაუწითლდა ყურები, რაც კარგის მაჩვენებელი არ იყო.

– არ შეიძლება? – დაიღრიალა სიმუსმა, რომელიც, რონისგან გან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სხვავებით, მიტკალივით გაფითრდა, – ესე იგი, შენ გჯერა მთელი იმ ნაბოდვრისა, რასაც ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე ჰყვება? ესე იგი, შენი აზრით, სიმართლეს ამბობს?

– დიახ, სიმართლეს ამბობს! – უყვირა რონმა.

– მაშინ, შენც შეშლილი ყოფილხარ, – მიახალა სიმუსმა.

– ჰო? მაგრამ, შენდა საუბედუროდ, მეგობარო, მე პრეფექტიც ვარ! – აუხსნა რონმა და თითით სამკერდე ნიშანზე უჩვენა, – ასე რომ, თუ არ გინდა, გაკვეთილების შემდეგ დაისაჯო, დაუფიქრდი, რას ლაპარაკობ!

რამდენიმე წამს სიმუსს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მზად იყო, სასჯელის ფასად მაინც ეთქვა ის, რაც ენაზე ადგა, მაგრამ მერე ზიზღით ჩაიცინა, მკვეთრად შებრუნდა, ლოგინზე დაეხეთქა და ისეთი ძალით ჩამოსწია ფარდა, რომ ჩამოფხრიწა. რონმა კიდევ ერთხელ მრისხანედ გახედა სიმუსს, მერე დინსა და ნევილს მიუბრუნდა:

– კიდევ ვის მშობლებს აქვთ ჰარის საწინააღმდეგო?

– ჩემი მშობლები მაგლები არიან, – მხრები აიჩეჩა დინმა, – მათ ჰოგვორტსში დატრიალებული ამბების შესახებ არაფერი იციან. მე კი არც ისეთი სულელი ვარ, რომ ყველაფერი ჩამეკაკლა.

– შენ არ იცნობ დედაჩემს, ნებისმიერს, რასაც უნდა, იმას წამოაცდენინებს, – მკვახედ უთხრა სიმუსმა, – თან შენები ხომ „დილის მისანს“ არ იღებენ. მათ არ იცინ, რომ ჩვენი დირექტორი ვიზენგამოტიდან გამოაბრძანეს, ჯადოქრების საერთაშორისო კონფედერაციიდანაც დაითხოვეს, იმიტომ, რომ თავში ყველაფერი რიგზე ვერა აქვს.

– ბებიაჩემი ამბობს, რომ ეს ყველაფერი სისულელეა! – იყვირა ნევილმა წვრილი ხმით, – ის ამბობს, რომ დამბლდორი კი არა, თვითონ „მისანი“ ვერ არის ჭკუაზე. ხელმოწერაც კი გააუქმა. ჩვენ ჰარისი გვჯერა, – გულუბრყვილოდ თქვა ნევილმა. ლოგინში შეწვა, საბანი ნიკაპამდე წაიფარა და ბუსავით უყურებდა სიმუსს, – ბებია ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის ოდესმე დაბრუნდებაო. ბებიამ თქვა, თუ დამბლდორი ამბობს, რომ ის აქ არის, ესე იგი, აქ არისო.

ნევილის სიტყვებმა მადლიერებით აუვსო გული ჰარის. მეტი არავის არაფერი უთქვამს. სიმუსმა ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, ფარდა გაამთელა და მის უკან ჩაიმალა. დინი ჩაწვა ლოგინში, გადაბრუნდა და გაყუჩდა. მას შემდეგ, რაც ნევილმა ყველაფერი თქვა, რის თქმაც შეეძლო, სიყვარულით უცქერდა მთვარით განათებულ თავის კაქტუსს.

რონი ძილის წინ ტანსაცმლის დალაგებას შეუდგა. ჰარიმ ისევ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დადო ბალიშზე თავი. სიმუსი ყოველთვის მოსწონდა, ამიტომ მასთან ჩხუბმა ძალიან ააღელვა. ვინ იცის, კიდევ რამდენისგან გაიგებს, რომ მატყუარა და დამთხვეულია!

დამბლდორი? ნუთუ ისიც ასე იტანჯებოდა, როცა ჯერ ვიზენ-გამოტმა, მერე კი ჯადოქრების საერთაშორისო კონფედერაციამ თავისი რიგებიდან გააძევეს? იქნებ იმიტომაც გაურბოდა ეს ბოლო თვეები ჰარისთან შეხვედრას, რომ გაბრაზებულია მასზე? ის, რაც მოხდა, რაღაც თვალსაზრისით აერთიანებდა მათ. დამბლდორმა დაუჯერა ჰარის და გამოექომაგა კიდეც მთელი სკოლის წინაშე, მერე კი – ჯადოქრების ფართო წრეშიც. ნებისმიერმა, ვისაც ჰარი მატყუარად მიაჩნია, უნდა ჩათვალოს, რომ დამბლდორიც იტყუება ან თავში ყველაფერი რიგზე ვერა აქვს...

რონი დაწვა და ბოლო სანთელიც ჩააქრო, ჰარი კი ამ დროს ძალიან უბედურად გრძნობდა თავს და ფიქრობდა: ადრე თუ გვიან ყველა დაინახავს, რომ ჩვენ მართლები ვართ, მაგრამ სანამ ეს მოხდება, კიდევ ვინ იცის, რამდენი შეტევის მოგერიება მოგვიწევსო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთორმეტე

პროფესორი ამბრიჯი

დილით სიმუსმა სწრაფად ჩაიცვა და ტყვიასავით გავარდა ოთახიდან. ჰარი ჯერ კიდევ წინდებს იცვამდა.

– რაო, იმისი ეშინია, თუ დიდხანს იქნება ჩემთან ერთად ოთახში, თვითონაც არ შეიშალოს? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ, როგორც კი სიმუსის მანტიის კალთა კარს მიეფარა.

– მაგაზე ნუ ინაღვლებ, ჰარი, – დაამშვიდა დინმა და ჩანთა მხარზე მოიგდო, – ის, უბრალოდ...

მაგრამ დინს ნამდვილად არ შეეძლო, ეთქვა, მაინც რა „უბრალოდ," და უხერხული პაუზის შემდეგ ისიც ოთახიდან გავიდა.

რონმა და ნევილმა ერთნაირად შეხედეს ჰარის, თითქოს თვალებით ეუბნებოდნენ: ეგ შენი სადარდებელი არ არის, სიმუსმა იდარდოსო. მაგრამ სანუგეშებლად ეს სულაც არ იყო საკმარისი. კიდევ რამდენი ამისთანა რამ უნდა გადაიტანოს?

– რა მოხდა, ჰარი? – ხუთიოდე წუთის შემდეგ ჰკითხა ჰერმიონმა, სასაუზმოდ მიმავალ ჰარისა და რონს სასტუმრო ოთახში რომ წამოეწია, – ისეთი სახე გაქვს... ეს რაღაა?

ჰერმიონი განცხადებების დაფას მიაჩერდა, ზედ ახალთახალი დიდი ფურცელი იყო გაკრული.

„მოხვეწე ფული ფოცხით!

სახარჯო ფულის შემოსავალი ჩამორჩება შენს ხარჯებს? გინდა, მოითბო ხელი ცოცხალი ოქროთი? გრიფინდორის საერთო ოთახის საშუალებით დაუკავშირდი ფრედ და ჯორჯ უისლებს, რომლებიც მზად არიან, შემოგთავაზონ მსუბუქი და თითქმის უმწყინარეული საშუშო – არასრული საშუშო დღით (ოღონდ მთელ ჰასუსისმგებლობას დამქირავებელი ყისრულობს)".

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს უკვე მეტისმეტია, – გაჯავრდა ჰერმიონი და ფრედისა და ჯორჯის მიერ გაკრული ფურცელი ჩამოხსნა, – უნდა დაველაპარაკოთ, რონ.

რონი აირია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენ პრეფექტები ვართ, – შეახსენა ჰერმიონმა, როცა პორტრეტის ხვრელში ძვრებოდა, – ჩვენ თუ არა, ვინ უნდა შეაჩეროს ეს უმსგავსობა?

რონმა არაფერი უპასუხა, მაგრამ მისი მოღუშული სახის მიხედვით ჰარი მიხვდა: ფრედისა და ჯორჯის შეჩერების პერსპექტივა, იმ დროს, როცა ისინი რაიმეთი იყვნენ ანთებულები, მაინცდამაინც არ ახარებდა.

– და მაინც, რა დაგემართა, ჰარი? – ხელმეორედ შეეკითხა ჰერმიონი, – ვილაცაზე ძალიან ხარ გაბრაზებული.

კიბე ჩაიარეს. ძველი ჯადოქრების პორტრეტები ერთმანეთთან საუბრით იყვნენ გართულები და მოსწავლეებს ყურადღებას არ აქცევდნენ.

– სიმუსს მიაჩნია, რომ ჰარი ტყუილს ამბობს ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე, – მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება რონმა, როცა მიხვდა, რომ ჰარი არ აპირებდა პასუხის გაცემას.

– ლევენდერიც ასე ფიქრობს, – თქვა წარბშეკრულმა ჰერმიონმა.

– ტკბილად ჭუკჭუკებდი მასთან ერთად, როგორი მატყუარა და კარიერისტი ვარ, არა? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ.

– არა, – მშვიდად უპასუხა ჰერმიონმა, – ვურჩიე, ბარაქიან პირში დაატიოს ლაქლაქა ენა და ძალიან კარგი იქნება, თუ წამდაუწუმ აღარ დაგვეტაკები მე და რონს. არ ვიცი, შენიშნე თუ არა, რომ ჩვენ შენს მხარეს ვართ.

– მაპატიე, – ხმადაბლა მოუბოდიშა ჰარიმ მცირე პაუზის შემდეგ.

– არა უშავს, – შეიფერა ჰერმიონმა, მერე თავი გადააქნია, – გახსოვთ, რა თქვა დამბლდორმა ზაფხულის არდადეგებისწინა ზეიმზე?

ჰარიმ და რონმა გაკვირვებულებმა შეხედეს. ჰერმიონმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა.

– დამბლდორმა თქვა, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის განთქმულია მტრობისა და შულლის დათესვაში. ჩვენ შეგვიძლია, ამას მხოლოდ მეგობრობასა და ნდობაზე დაფუძნებული ერთიანობით ვებრძოლოთო...

– ნეტავ როგორ იმახსოვრებ? – აღტაცებული შეაცქერდა რონი.

– ვუსმენ, რონ, სულ ეს არის, – ცივად მოუჭრა ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეც, მაგრამ ასე სიტყვასიტყვით...

– საქმე ის არის, – ხმამაღლა, ხაზგასმით განაგრძო ჰერმიონმა, – რომ დამბლდორი სწორედ ამგვარ ვითარებას გულისხმობდა. სულ ორი თვეა, რაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღდგა და ჩვენ უკვე ლამის მტრად მოვეკიდეთ ერთმანეთს. გამანაწილებელი ქუდი გახსოვთ? ისიც გვაფრთხილებდა: ერთად იყავით, გაერთიანდითო...

– მაგრამ გუშინ საღამოს ჰარიმ ზუსტად ათიანში გაარტყა, – შენიშნა რონმა, – თუ ეს იმას ნიშნავს, რომ სლიზერინს უნდა დავუძმაკაცდეთ, აქედან არაფერი გამოვა.

– მე კი ვფიქრობ, ძალიან სამწუხაროა, რომ კლუბებს შორის ურთიერთობის დამყარებას არ ვცდილობთ, – გაბრაზებით შეედავა ჰერმიონი.

ამასობაში მარმარილოს კიბეც ჩაათავეს. ჰოლში რამდენიმე რეივენქლოელი მეოთხეკურსელი მიდიოდა. ჰარი დაინახეს თუ არა, სასწრაფოდ შეჯგუფდნენ, თითქოს ეშინოდათ, ცალ-ცალკე მდგომებს თავს არ დაგვესხასო.

– მიდი და ეგეთებთან დაამყარე ურთიერთობა, – გესლიანად თქვა ჰარიმ.

დიდ დარბაზში რეივენქლოელებს შეჰყვნენ და ინსტინქტურად მასწავლებელთა მაგიდისკენ გაიხედეს. პროფესორი გრაბლი-პლენკი იქ იყო და რაღაცაზე ესაუბრებოდა ასტრონომიის მასწავლებელს, პროფესორ სინისტრას. ჰაგრიდი ისევ არ ჩანდა. ჯადოსნური ჭერი ზუსტად გამოხატავდა ჰარის გუნებაგანწყობას – ცოტაც და, მოჟამული ცა წვიმას დასცხებდა.

– დამბლდორს ისიც კი არ უთქვამს, რა ხნით გვეწვია ეს გრაბლი-პლენკი, – თქვა ჰარიმ, როცა გრიფინდორელთა მაგიდისკენ მიდიოდნენ.

– იქნებ... – დაფიქრდა ჰერმიონი.

– რა – იქნებ? – ერთდროულად იკითხეს ჰარიმ და რონმა.

– იქნებ... იქნებ არ უნდოდა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ჰაგრიდი სკოლაში არ არის?

– ეგ როგორ, – გაიცინა რონმა, – შეიძლებოდა, რომ არ შეგვემჩნია?

სანამ ჰერმიონი უპასუხებდა, ჰარის მაღალი, გრძელნაწნავიანი გოგონა მიუახლოვდა.

– გამარჯობა, ანჯელინა.

– გამარჯობა, – ცოცხლად მიესალმა გოგონა, – როგორ გაატარე ზაფხული? – და პასუხისთვის არც დაუცდია, – იცი, მე ახლა გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდის კაპიტანი ვარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კაი ამბავია, – გაუღიმა ჰარიმ და იმედი მიეცა, იქნებ ისეთი გრძელ-გრძელი ნოტაციების მოსმენამ აღარ მოგვიწიოს, ოლივერ ვუდი რითაც გვაწამებდაო.

– ოლივერის ნაცვლად ახალი მეკარე გვჭირდება. შესარჩევი თამაში პარასკევს, ხუთ საათზეა. მინდა, რომ მთელი გუნდი შევიკრიბოთ. უნდა ვნახოთ, როგორ ჩაეწერება ახალბედა.

– კარგი, მოვალ, – შეჰპირდა ჰარი. ანჯელინამ გაუღიმა და წავიდა.

– სულ დამავიწყდა, რომ ვუდმა უკვე დაამთავრა სკოლა, – დაბნეულად ჩაილაპარაკა ჰერმიონმა, მაგიდასთან რონის გვერდით დაჯდა და გახუხული პურით სავსე თეფში თავისკენ მისწია, – გუნდისთვის, ალბათ, დიდი დანაკარგია.

– ჰო, ნამდვილად ასეა, – ჰარი მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა, – კარგი მეკარე იყო...

– და მაინც, ახალი სისხლი ზედმეტი არ იქნება. თქვენ როგორ ფიქრობთ? – გამოთქვა აზრი რონმა.

ზედა ფანჯრებიდან სტვენითა და ფართხუნით შემოფრინდა წერილებითა და გზავნილებით დატვირთული ასობით ბუ. თითოეული თავის პატრონთან დაეშვა, გზადაგზა წვიმის წვეთები დააპკურეს მოსაუზმეებს – გარეთ, ეტყობა, კოკისპირულად წვიმდა. ჰედვიგი არ ჩანდა, რაც ჰარის სულაც არ გაჰკვირვებია. ერთადერთი, ვისაც შეეძლო მოწერა, სირიუსი იყო, მაგრამ იმასაც, საეჭვოა, რომ ერთ დღე-ღამეში რამე ახალი გაეგო. ჰერმიონმა ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქა განზე მაშინვე გასწია, რათა ადგილი გაეთავისუფლებინა გაწუწული ბუსთვის, რომელსაც დამბალი „დილის მისანი“ ნისკარტით ეჭირა.

– თუ ღმერთი გწამს, რაში გჭირდება? – ჰკითხა გაღიზიანებულმა ჰარიმ და იმავე წამს სიმუსი გაახსენდა. მერე დაინახა, როგორ ჩადო ჰერმიონმა სპილენძის კნატი ბუს ფეხზე გამობმულ ტყავის ტომსიკაში. ბუ მაშინვე გაფრინდა, – მე ასეთი მაკულატურა ნაჩუქარიც კი არ მინდა.

– უნდა ვიცოდე, რას წერს მოწინააღმდეგე, – თქვა წარბშეკრულმა ჰერმიონმა, გაზეთი აიფარა და მხოლოდ მაშინღა გამოჩნდა, როცა ჰარიმ და რონმა საუზმე დაამთავრეს.

– არაფერიც არ წერია არც შენზე, არც დამბლდორზე, არც არაფერზე, – გამოაცხადა, გაზეთი მრგვლად დაახვია და იქვე, თავის თეფშთან დადო.

პროფესორი მაკგონაგელი მაგიდებთან მიდიოდა და გაკვეთილების ცხრილებს არიგებდა.

– ერთი შეხედე, – დაიკვნესა რონმა, – მაგიის ისტორია, გაორმაგე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბული შხამ-წამლები, მისნობა და გაორმაგებული ბნელი ძალებისგან თავდაცვა... ბინსი, სნეიპი, ტრელოუნი და ეს ამბრიჯი – ყველა ერთ დღეს! კარგი იქნება, ფრედმა და ჯორჯმა დააჩქარონ თავიანთი საშატალოე საუზმე...

– ეს რა მესმის! ნეტავ ყური ხომ არ მატყუებს? – იკითხა ფრედმა, რომელიც ის-ის იყო გამოჩნდა ჯორჯთან ერთად, – ჰოგვორტსის პრეფექტს გაკვეთილების გაცდენა სურს? – თქვა და ჰარის გვერდით ჩამოჯდა.

– აი, დატკბი, ნახე, რა გვაქვს დღეს, – მოღუშულმა რონმა თავისი ცხრილი გაუწოდა, – ყველაზე ცუდი ორშაბათია ჩემს ცხოვრებაში.

– მესმის შენი, ძამიკო, – ფურცელი გადაათვალიერა და თავი დაუქნია ფრედმა, – რა გაეწყობა, შემიძლია იაფად მოგცე სისხლმდენი კანფეტები.

– იაფად? ვაჰ, ასე უცებ რაზე აგიჩუყდა გული? – ეჭვით იკითხა რონმა.

– იმაზე, რომ სისხლი წამოგივა და აღარც გაჩერდება. სისხლდენის შემაჩერებელი ჯერ არა გვაქვს, – აუხსნა ჯორჯმა და შებოლილი თევზი გადაიღო.

– რასაც სულით და გულით გილოცავთ, – მოღუშულმა რონმა ცხრილი ჯიბეში ჩაიტენა, – მირჩევნია, ისევ გაკვეთილებზე ვიჯდე.

– სხვათა შორის, თქვენი საშატალოე საუზმის თაობაზე გამახსენდა, – ჰერმიონმა რიგრიგობით გაბურღა თვალებით ჯორჯი და ფრედი, – გრიფინდორის დაფაზე ის განცხადება არ უნდა გამოგეკრათ.

– ეს ვინ გვარიგებს ჭკუას? – იკითხა გაკვირვებულმა ჯორჯმა.

– მე, – უპასუხა ჰერმიონმა, – და რონი.

– თუ ღმერთი გწამს, მე ნუ გამრევ, – სწრაფად თქვა რონმა. ჰერმიონს ნაპერწკლები გადმოსცვივდა თვალებიდან.

ფრედმა და ჯორჯმა ჩაიხითხითეს.

– ჰერმიონ, სულ მალე სხვანაირად ამღერდები, – უთხრა ფრედმა და კვერზე სქლად წაუსვა კარაქი, – უკვე მეხუთე კურსზე ხარ, მალე შენ თვითონ მოგვთხოვ საშატალოე საუზმეს.

– ვითომ მაინცდამაინც მეხუთე კურსზე რატომ შეგეხვეწებით? – იკითხა ჰერმიონმა.

– მეხუთე კურსი **ბუა**-ს წელიწადია, – აუხსნა ჯორჯმა.

– მერე რა?

– ის, რომ წინ გამოცდები გაქვთ. ისე დაგტვირთავენ, წელი მოგწყდებათ, – კმაყოფილებით თქვა ფრედმა.

– ჩვენი კურსის ნახევარს **ბუა**-ს წინ ნერვებმა უმტყუნა, – მხიარუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლად აუბა მხარი ჯორჯმა, – აქეთ – ცრემლები, იქით – ისტერიკები... პატრიცია სიმფსონს ერთთავად გული მისდიოდა...

– კენეტ ტაულერი ერთიანად ბუშტუკებით დაიფარა, ეგრე არ იყო? – მოგონებებში წავიდა ფრედი.

– ეს იმიტომ, რომ პიჟამაში ბუშტუკების ფხვნილი ჩაუყარე, – შეახსენა ჯორჯმა.

– მართალია, ეგრე იყო, – ჩაიცინა ფრედმა, – სულ დამავიწყდა... იცით, ძნელია, ყველაფერი გახსოვდეს.

– ასეა თუ ისე, მეხუთე კურსი კოშმარია, – თქვა ჯორჯმა, – ყოველ შემთხვევაში, მათთვის, ვისაც გამოცდების შედეგები აღელვებს. მე და ფრედი მშვენივრად ვგრძნობდით თავს.

– ჰოო? მერე, რას მიაღწიეთ? სამ-სამი ქულა – თითოეულს, – შეახსენა რონმა.

– დიდი ამბავი. ჩვენს ცხოვრებას მაინც არაფერი ექნება საერთო აკადემიური მიღწევების სამყაროსთან, – მოიგერია ფრედმა.

– ჩვენ სერიოზულად განვიხილეთ საკითხი, გაგვეგრძელებინა თუ არა სწავლა მეშვიდე კურსზე, – ხალისიანად აღიარა ჯორჯმა, – ახლა, როცა უკვე გვაქვს...

ენა მოიკვნიტა, როგორც კი ჰარის დაძაბულ მზერას გადაეყარა. კიდევ ცოტაც და, ჯორჯს უსათუოდ წამოსცდებოდა რამე სამი ჯადოქრის ტურნირში გამარჯვებისთვის მოგებულ ფულად ჯილდოსთან დაკავშირებით.

– როცა უკვე გვაქვს დამაკმაყოფილებელი ნიშნები **ბუა**-სათვის, რაში გვჭირდება **კატა**?– სწრაფად გამოძვრა მდგომარეობიდან ჯორჯი, – მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტეთ, რომ დედაჩვენისთვის მეტისმეტი იქნებოდა ჩვენი წასვლა სკოლიდან იმ დროს, როცა პერსი ასე დამპლურად მოიქცა...

– მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, ეს ბოლო წელიწადი უქმად გავატაროთ, – ფრედმა ნაზად მოათვალიერა დარბაზი, – ჩვენ ამას მცირე საბაზრო გამოკვლევისთვის გამოვიყენებთ. ზუსტად გავარკვევთ, რა სურს ჰოგვორტსის რიგით მოსწავლეს ჯადოსნური ფოკუსებისა და ოინების მაღაზიისგან. გულდასმით დავამუშავებთ გამოკვლევის შედეგებს და შევეცდებით, მოთხოვნის შესაბამისად წარმოვადგინოთ საქონელი.

– მაგრამ საწყისი კაპიტალის შოვნას სად აპირებთ? – დამცინავად ჰკითხა ჰერმიონმა, – თქვენ აუარებელი ინგრედიენტი და მასალა დაგჭირდებათ, რაღა თქმა უნდა, შენობაც...

ჰარი ტყუპებს არ უყურებდა. სახეზე ალმური მოედო. განგებ ჩააგდო ჩანგალი ძირს და ასაღებად მაგიდის ქვეშ დაიხარა. ზემოდან ფრედის ხმა მოისმა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაც უფრო ნაკლებს იკითხავ, მით ნაკლებ ტყუილს მოისმენ, ჰერმიონ, – წამო, ჯორჯ, თუ ვიჩქარებთ, შეიძლება, ჰერბოლოგიის გაკვეთილამდე ყურების დამაგრძელებლებით წავივაჭროთ.

მაგიდის ქვეშიდან რომ თავი ამოყო, ჰარიმ მიმავალი ტყუპების ზურგებს მოჰკრა თვალი. თითოეულს რამდენიმე ნაჭერი გახუხული პური მიჰქონდა თან.

– რას ნიშნავს ეს ყველაფერი? – ჰერმიონი ხან ჰარის უყურებდა, ხან რონს, – რას ნიშნავს „რაც უფრო ნაკლებს იკითხავ...“ გამოდის, მათ უკვე აქვთ ოქრო საქმის დასაწყებად?

– მე თვითონაც ძალიან მინდა, ვიცოდე, – შუბლი შეიჭმუხნა რონმა, – ამ ზაფხულს ახალი მანტია მიყიდეს. აზრზე არა ვარ, საიდან აქვთ ამდენი ფული...

ჰარიმ გადაწყვიტა, საუბარი ნაკლებად სახიფათო თემაზე გადაეტანა.

– როგორ ფიქრობთ, მართლა გამოცდების გამო იქნება მძიმე წელიწადი?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა რონმა, – ეს ნაღდია – **ბუა** მნიშვნელოვანი რამ არის, მასზეა დამოკიდებული, როგორ სამუშაოს იშოვი, და ამისთანა რაღაცეები. ბილმა მითხრა, რომ წელს პროფესიის ასარჩევ კონსულტაციებს გავივლით და წელსვე უნდა გადავწყვიტოთ, რა საგნები ჩავაბაროთ კურსზე.

– თქვენ უკვე გადაწყვიტეთ, რა უნდა აკეთოთ ჰოგვორტსის შემდეგ? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონსა და რონს, როცა დიდი დარბაზიდან გავიდნენ და მაგიის ისტორიის კლასისკენ გაემართნენ.

– მე ჯერ არა, – ნელა ჩაილაპარაკა რონმა, – თუმცა... უცებ რაღაცნაირად დაიმორცხვა.

– რა – თუმცა... – აღარ მოეშვა ჰარი.

– ურიგო არ იქნება აურორობა, – თქვა რონმა ვითომ დაუდევრად.

– მშვენიერია! – მოუწონა ჰარიმ.

– მაგრამ ეგ ელიტარული პროფესიაა, – განაგრძო რონმა,

– ძალიან უნდა მოვინდომო, რომ იქ მოვხვდე. შენ, ჰერმიონ?

– არ ვიცი, – თქვა ჰერმიონმა, – ძალიან მინდა, ნამდვილად მნიშვნელოვანი საქმე ვაკეთო...

– ბნელ ძალებთან ბრძოლა მნიშვნელოვანი საქმეა! – შესძახა ჰარიმ.

– ჰო, მაგრამ ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი საქმე არ არის ქვეყანაზე, – ღრმააზროვნად შენიშნა ჰერმიონმა, – მე, მაგალითად, შემიძლია, სერიოზულად მოვკიდო ხელი ელფების უფლებებისთვის ბრძოლას...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ და რონმა ძლივს შეიკავეს თავი, ერთმანეთისთვის რომ არ გადაეხედათ.

მაგიის ისტორია, საყოველთაო მოსაზრებით, ყველაზე მოსაწყენი საგანი იყო იმ საგნებს შორის, რომელსაც ჯადოსნურ სამყაროში ოდესმე ასწავლიდნენ. პროფესორი ბინსი, მათი მოჩვენება-მასწავლებელი, ყრუ, მონოტონური ხმით ლაპარაკობდა, რომელიც მეათე წუთზე ძლიერი მთქნარების გარანტიას იძლეოდა, თბილ ამინდში კი – უკვე მეხუთე წუთზე. თანაც სწავლების ერთადერთი მეთოდი ჰქონდა – ბუტბუტებდა და ბუტბუტებდა. შენ კი ან ჩაიწერდი, ანდა, თუ ჩაწერა არ შეგეძლო, იჯდებოდი და გამოშტერებული მიაჩერდებოდი სივრცეს. ჰარი და რონი, ავად თუ კარგად, ჯერ კიდევ ახერხებდნენ ამ საგანში გამსვლელი ქულების მოგროვებას, მაგრამ მხოლოდ იმის წყალობით, რომ გამოცდების წინ ჰერმიონი თავის კონსპექტს ათხოვებდა ხოლმე. მხოლოდ ის უმკლავდებოდა პროფესორის ძილის მომგვრელი ხმის ზემოქმედებას.

დღეს უნდა გაეძლოთ გოლიათებთან ბრძოლის თემისადმი მიძღვნილი ლექციისთვის. პირველივე ათ წუთში ჰარი მიხვდა, რომ სხვა მასწავლებელი ამ თემაზე, ალბათ, უფრო საინტერესოდ ილაპარაკებდა. მერე მისი ტვინი გაითიშა და მთელი დარჩენილი დრო რონს ჩამოხრჩობანას ეთამაშებოდა. ჰერმიონი დროდადრო მკაცრად გამოხედავდა ხოლმე ორივეს.

როცა ბინსმა ლექცია დაამთავრა, საკლასო დაფაში გაიარა და გაუჩინარდა, ჰერმიონმა ცივად ჰკითხა შესვენებაზე მიმავალ მეგობრებს:

– როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ წელს კონსპექტებს არ გათხოვებთ?

– **ბუა**-ში ჩავიჭრებით, – უპასუხა რონმა, – შენი სინდისი ამას გაუძლებს, ჰერმიონ?

– ჰოდა, რასაც იმსახურებთ, იმას მიიღებთ, – მოიგერია ჰერმიონმა, – თქვენ ხომ სულაც არ ცდილობთ, მოუსმინოთ!

– ვცდილობთ რომელია! ისე ვცდილობთ, მეტი არ შეიძლება. უბრალოდ, ჩვენ არც შენნაირი ტვინი გვაქვს, არც მეხსიერება; არც შენნაირი გულისყურით შეგვიძლია მოსმენა. შენი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ ჩვენზე ჭკვიანი ხარ, – თავის მართლებას შეეცადა რონი.

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, – შეუტია ჰერმიონმა. მაგრამ ნესტიან ეზოში ამ პირველ გასვლაზე მისი გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდით, მშვიდობიანად იყო განწყობილი.

ნისლიანი ციდან წვიმა წვრილად ცრიდა და კედელს აკრული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსწავლეები თითქოს ბურუსში დნებოდნენ. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა მყუდრო ადგილი იპოვეს აივნის ქვეშ, საიდანაც მსხვილი წვეთები ცვიოდა. სექტემბრის სუსხისგან თავის დასაცავად მანტიის საყელოები აიწიეს და იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რა დავალებას მისცემდა პირველივე გაკვეთილზე სნეიპი. ის-ის იყო, ივარაუდეს, რაღაც განსაკუთრებით დახლართული რამე იქნებაო: სნეიპი საგანგებოდ შეეცდება, ორთვიანი არდადეგების შემდეგ მოულოდნელი რამ დაგვატეხოს თავსო, – რომ შენობის კუთხეს ვიღაც გამოეყო და პირდაპირ მათკენ წამოვიდა.

– გამარჯობა, ჰარი!

ეს ჩო ჩენგი იყო და, რაც უფრო საკვირველად მოეჩვენათ, – ისევ მარტო. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. ჩოს თითქმის ყოველთვის მოხითხითე გოგონების გუნდი ერტყა გარს. ჰარის გაახსენდა, როგორ გაუჭირდა მისი დამარტოხელება, რომ საშობაო მეჯლისზე დაეპატიჟა.

– გამარჯობა, – მიესალმა ჰარი და იგრძნო, როგორ აუხურდა სახე. „ყოველ შემთხვევაში, აყროლებული წვენით არ ვარ მოთხუპნილი“, – გაიმხნევა თავი. როგორც ჩანს, ჩოც იმავეს ფიქრობდა.

– ვხედავ, იმ საზიზღრობით არ ხარ მოსვრილი.

– ჰო, – ჰარიმ გაიღიმა და შეეცადა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს მათი უკანასკნელი შეხვედრის გახსენება დამამცირებელი კი არა, სასაცილო იყო, – შენ როგორ ხარ, კარგად გაატარე ზაფხული?

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უკვე ინანა – ჩო ხომ სედრიკის მეგობარი იყო და მისმა სიკვდილმა ისევე ჩაუმწარა ზაფხული, როგორც ჰარის. ჩოს სახეზე დაძაბულობა შეეტყო, მაგრამ მაინც უპასუხა:

– იცი, არცთუ ისე ცუდად...

– შენ რა, „ტორნადოს“ ნიშანი გაქვს? – ჰკითხა უცებ რონმა და ჩოს მანტიაზე მიბნეულ მოოქრულ ლაჟვარდისფერ „ტ“-ზე უჩვენა, – ამ გუნდის გულშემატკივარი ხარ?

– დიახ, – უპასუხა ჩომ.

– ყოველთვის ამ გუნდს ქომაგობდი თუ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიგის ჩემპიონატში გაიმარჯვა? – ჰკითხა რონმა, ჰარის აზრით, ყოვლად უადგილო ბრალმდებლის ტონით.

– მე მათ ექვსი წლიდან ვქომაგობ, – ცივად მიუგო ჩომ, – კარგი, აბა, კარგად იყავი, ჰარი.

და ჩო წავიდა. ჰერმიონმა შეიცადა, სანამ ჩო ეზოს გადაივლიდა, და რონს რისხვა დაატეხა თავს:

– ღმერთო ჩემო, რა უტაქტო ხარ, რონ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რატომ? მე მხოლოდ ვკითხე...

– ვითომ ძნელი მისახვედრი იყო, რომ შენთან კი არა, ჰარისთან უნდოდა ლაპარაკი?

– ელაპარაკა მერე, მე რა, დავუშალე?

– მაინც რას ეცი ქვიდიჩის რომელიღაც გუნდის გამო?

– ვეცი? არავისაც არ ვცემივარ, მე მხოლოდ...

– ვისი რა საქმეა, თუ ის „ტორნადოს" ქომაგობს?

– რა საქმეა და, ის, რომ ეს ნიშანი უმეტესობამ შარშანდელ სეზონში იყიდა...

– მერე რა?

– რა და, ის, რომ ნამდვილი გულშემატკივრები არ არიან, უბრალოდ, აეწებნენ.

– წავედით გაკვეთილზე, – გულგრილად თქვა ჰარიმ. რონი და ჰერმიონი ისე ხმამაღლა კამათობდნენ, რომ ზარის ხმა ვერ გაიგონეს. კამათი სნეიპის კაბინეტისკენ მიმავალ მიწისქვეშეთშიც გრძელდებოდა. ჰარის უამრავი დრო ჰქონდა იმაზე საფიქრელად, რომ ისეთი მეგობრების გადამკიდე, როგორებიც რონი და ნევილი იყვნენ, ორ წუთსაც ვერ გამონახავდა ჩოსთან სასაუბროდ.

„და მაინც, ხომ მოუნდა ჩემთან მოსვლა და ლაპარაკი", გაიფიქრა ჰარიმ, როცა საკლასო ოთახის კართან გამწკრივდნენ. ჩო სედრიკის მეგობარი იყო და სულ იოლად შეიძლებოდა, ჰარი შესჯავრებოდა, იმიტომ, რომ სამი ჯადოქრის ტურნირის ლაბირინთიდან ცოცხალი დაბრუნდა, სედრიკი კი დაიღუპა. მაგრამ არა, ჩო ძალიან თბილად ელაპარაკებოდა. ისე არა, როგორც შეშლილს, მატყუარასა და სედრიკის სიკვდილში დამნაშავე ადამიანს... ჩო ხომ თვითონ, თავისი ნებით მოვიდა სალაპარაკოდ, უკვე მეორედ – გუშინდელს აქეთ... ამგვარმა ფიქრებმა ჰარის გუნება გამოუკეთა. სნეიპის ბუნაგში შესასვლელი კარის ავის მომასწავებელმა ღრჭიალმაც კი ვერაფერი დააკლო გულში გაჩენილ იმედის პატარა ნაპერწკალს. საკლასო ოთახში რომ შევიდნენ, რონთან და ჰერმიონთან ერთად ჩვეული ადგილისკენ გაემართა, დაჯდა და ყურადღებაც არ მიუქცევია, რომ მისი მეგობრები ისევ უყვიროდნენ ერთმანეთს.

– აბა, დავწყნარდეთ, – ცივად ბრძანა სნეიპმა და კარი მიხურა.

ეს ბრძანება სრულიად ზედმეტი იყო: როგორც კი კარი მიიხურა, წამსვე მდუმარებამ და უძრაობამ დაისადგურა. როგორც წესი, სნეიპის გამოჩენაც საკმარისი იყო ხმაურის შესაწყვეტად.

– სანამ დღევანდელ გაკვეთილს დავიწყებთ, მინდა შეგახსენოთ, რომ ივნისში რთული გამოცდა გელით, სადაც გამოჩნდება, როგორ შეითვისეთ ჯადოსნური შხამ-წამლების მომზადება, – სნეიპმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სწრაფად მოათვალიერა კლასი, – მიუხედავად იმისა, რომ აქ მყოფთა უმრავლესობას უეჭველად კრეტინები შეადგენენ, მაინც მაქვს იმედი, რომ, ავად თუ კარგად, მიიღებთ **ბუა**-სთვის აუცილებელ თუნდაც „დამაკმაყოფილებელ" შეფასებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ დაიმსახურებთ... ჩემს უკმაყოფილებას.

სნეიპის მზერა ნევილზე შეჩერდა, რომელმაც ძლივს გადაყლაპა ნერწყვი.

– მეხუთე კურსის დამთავრების შემდეგ ბევრი თქვენგანი, ცხადია, ჩემთან აღარ ისწავლის, – განაგრძო სნეიპმა, – იმ პირობით, რომელიც გამოსაშვები გამოცდებისთვის არის გამიზნული, შხამწამლების კლასში მეცადინეობას განაგრძობენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, დანარჩენებს ჩემთან გამომშვიდობება მოუწევთ.

სნეიპმა ჰარის შეხედა და პირი მოეღრიცა. ჰარი თვალებში შესცქეროდა და თვითკმაყოფილებას განიცდიდა იმის გამო, რომ მეხუთე კურსიდან შხამ-წამლების გაკვეთილებს სამუდამოდ მოეღებოდა ბოლო.

– მაგრამ განშორების იმ სასიამოვნო წუთამდე კიდევ მთელი წელიწადია, – შეპარვით თქვა სნეიპმა, – და ამიტომ, მოინდომებთ თუ არა უმაღლესი ატესტაციის დამსახურებას, გირჩევთ, მოიკრიბოთ ძალები და შეეცადოთ **ბუა**-ს ისეთი ნიშნების მიღებას, როგორსაც ჩემი მოწაფეებისგან ველი. დღეს ჩვენ მოვამზადებთ ნაყენს, რომელიც ხშირად გვხვდება მეხუთეკურსელთა საგამოცდო დავალებაში. ეს დამამშვიდებელი ბალზამია. ის გვეხმარება შიშისა და მოუსვენრობის დაძლევაში. მაგრამ ფრთხილად იყავით: თუ ინგრედიენტებს დაუფიქრებლად მოექცევით, შეიძლება, პაციენტი ღრმა, ხანდახან კი მარადიულ ძილში ჩაძიროთ. ამიტომ ყურადღება მიაქციეთ იმას, რასაც აკეთებთ (ჰერმიონი ოდნავ გაიმართა სკამზე, სახეზე უკიდურესი ყურადღება გამოეხატა). ინგრედიენტები და მომზადების წესი დაფაზე წერია, – სნეიპმა ჯადოსნური ჯოხი შემართა (ეს წარწერები მაშინვე გაჩნდა დაფაზე). ყველაფერი, რაც გჭირდებათ, კარადაშია, – ისევ შემართა ჯადოსნური ჯოხი (კარადის კარი გაიღო), – საათ-ნახევარს გაძლევთ... დაიწყეთ.

როგორც ჰარი, რონი და ჰერმიონი ვარაუდობდნენ, სნეიპმა ისეთი რთული ნაყენი შეარჩია, ჩაკირკიტებით მუშაობა რომ სჭირდებოდა. ინგრედიენტები ქვაბში მკაცრად განსაზღვრული დროის შემდეგ და მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით უნდა დაემატებინათ. მორევაც კი მკაცრად განსაზღვრული სიხშირით იყო საჭირო, ჯერ – საათის ისრის, მერე კი – საწინააღმდეგო მიმართულებით. უკანასკნელი ინგრედიენტის დამატების წინ ცეცხლის ტემპერატურა განსაზ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღვრულ ნიშნულამდე უნდა შემცირებულიყო, ისიც განსაზღვრული დროით.

– თქვენს ნაყენს მოვერცხლისფრო ორთქლი უნდა ასდიოდეს, – გააფრთხილა კლასი სნეიპმა, როცა გაკვეთილის ბოლომდე ათი წუთიღა რჩებოდა. მთლად გაოფლიანებულმა ჰარიმ სასოწარკვეთით მოათვალიერა მიწისქვეშეთი. მის ქვაბს ხშირი მუქი ნაცრისფერი ორთქლი ასდიოდა. რონის ქვაბი მომწვანო ნაპერწკლებს ისროდა. სიმუსი გამწარებული უჩხიკინებდა მინავლებულ ცეცხლს თავისი ჯადოსნური ჯოხით. ჰერმიონის ქვაბის თავზე კი მოციმციმე ვერცხლისფერი ნისლი იდგა. სნეიპმა სწრაფად ჩაუარა გვერდზე, არაფერი უთქვამს, მოკაუჭებული ცხვირიც კი არ დაუწევია, მხოლოდ შეხედა და გაიარა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვერაფერს შეედავებოდა. მაგრამ ჰარის ქვაბთან სნეიპი დამცინავი გამომეტყველებით შეჩერდა.

– თქვენი აზრით, რა არის ეს, პოტერ?

პირველ რიგში მსხდომმა სლიზერინელებმა სიამოვნებით ასწიეს თავი. მათ ძალიან მოსწონდათ, როცა სნეიპი ჰარის დასცინოდა.

– დამამშვიდებელი ბალზამი, – ამოღერღა ჰარიმ.

– მითხარით, პოტერ, კითხვა იცით?

დრაკო მალფოიმ გაიცინა.

– ვიცი, – უპასუხა ჰარიმ და ჯადოსნურ ჯოხს მაგრად მოუჭირა ხელი.

– მაშინ, თუ შეიძლება, წამიკითხეთ ინსტრუქციის მესამე პუნქტი.

ჰარიმ დაფას შეხედა. ფერად-ფერადი ორთქლით გავსებულ მიწისქვეშეთში დაფაზე დაწერილის წაკითხვა არც ისე იოლი იყო.

– „დავამატოთ დანაყილი მთვარის ქვა, სამჯერ მოვურიოთ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, შვიდ წუთს ვადუღოთ ნელ ცეცხლზე, მერე დავამატოთ შხამას სიროფის ორი წვეთი“.

წაიკითხა და გული გადაუბრუნდა: შხამას წვეთები არ დაუმატებია, უბრალოდ, ხარშავდა შვიდ წუთს, მერე კი ინსტრუქციის მეოთხე პუნქტზე გადავიდა.

– ყველაფერი გააკეთეთ, რაც მესამე პუნქტში წერია, პოტერ?

– არა, – ძალიან ჩუმად თქვა ჰარიმ.

– მაპატიეთ, ვერ გავიგონე.

– არა, – გაიმეორა ჰარიმ უფრო ხმამაღლა, – შხამა დამავიწყდა.

– ვიცი, რომ დაგავიწყდათ, პოტერ, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი ნამუშევარი ჩირადაც არ ღირს. ევანესკო!

ჰარის მიერ მომზადებული ნაყენი გაქრა. ბიჭი გამოშტერებული დასცქეროდა ცარიელ ქვაბს.

– იმათ, ვინც ინსტრუქციის წაკითხვა მოახერხა, ვთხოვ: მომზადე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბული ნაყენი კოლბაში ჩაასხით, მიაწებეთ ქაღალდი, რომელზედაც გარკვევით ეწერება თქვენი სახელი და გვარი და ჩემს მაგიდაზე დადგით შესამოწმებლად, – თქვა სნეიპმა, – ახლა კი საშინაო დავალება ხუთშაბათისთვის: დამიწერთ მოხსენებას მთვარის ქვის თვისებებისა და შხამ-წამლებში მისი გამოყენების შესახებ.

როცა გარშემო ყველა ავსებდა კოლბებს, ჰარი თავის ნივთებს აგროვებდა და ათუხთუხებული ფიქრობდა: ვითომ რონზე უარესად გამოუვიდა? მისი ნაყენი ხომ ახლა ლაყე კვერცხივით ყარდა! ნევილმა კი ნაყენი ცემენტის ხსნარს დაამსგავსა და ახლა იძულებული იყო, ქვაბის ძირიდან ეფხიკა. მიუხედავად ამისა, დღევანდელი სამუშაოსთვის მხოლოდ მან მიიღო ნულოვანი შეფასება. ჯადოსნური ჯოხი ჩანთაში შეინახა და გულდამძიმებული დაჯდა სკამზე. დანარჩენები კოლბებში ასხამდნენ ნაყენს, საცობებს უკეთებდნენ და სნეიპთან მიჰქონდათ. როგორც იქნა, ზარი დაირეკა. ჰარი პირველი გავიდა მიწისქვეშეთიდან და, როცა რონი და ჰერმიონი დიდ დარბაზში შევიდნენ, ის უკვე სადილობდა. ჭერი ამ დილით უფრო მოიქუფრა, მაღალ ფანჯრებს წვიმა უშხაპუნებდა.

– სნეიპი საშინლად უსამართლოდ მოგექცა, – ნუგეშისცემა სცადა ჰერმიონმა, გვერდით დაუჯდა და კარტოფილიანი ღვეზელი გადაიღო, – შენი ნაყენი გოილის ნაყენზე უკეთესი მაინც იყო. როცა კოლბაში ჩაასხა, აფეთქდა და მანტიაზე ცეცხლი მოედო.

– განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, – თავი არ აუწევია, ისე თქვა ჰარიმ, – როდის იყო, სნეიპი სამართლიანად მექცეოდა?

პასუხი არავის გაუცია. სამივემ იცოდა, რომ სნეიპმა და ჰარიმ მაშინვე აითვალწუნს ერთმანეთი, როგორც კი ჰარიმ პირველად შეაბიჯა ჰოგვორტსში.

– მე კი თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ წელს მაინც აღარ გამხეცდებოდა, – თქვა გაოცებულმა ჰერმიონმა, – იმიტომ რომ... თქვენ ხომ გესმით... – აქეთ-იქით მიმოიხედა. მათგან მარცხნივ და მარჯვნივ რამდენიმე სკამი თავისუფალი იყო, არც ახლომახლო იდგა ვინმე, – ახლა, როცა ის ორდენშია...

– რა მნიშვნელობა აქვს? „ცხვრის ტყავში გახვეული მგელია“... – ღრმააზროვნად ჩაილაპარაკა რონმა, – მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ დამბლდორს ყველაფერი ვერ უნდა ჰქონდეს წესრიგში, რადგან სნეიპს ენდობა. სად არის იმის საბუთი, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას აღარ ემხრობა?

– ვფიქრობ, დამბლდორს საკმარისი საბუთები აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შენ არ გიზიარებს, რონ, – უხეშად გამოეპასუხა ჰერმიონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იცით რა, მოკეტეთ ორივემ, – დაღლილი ხმით თქვა ჰარიმ, როცა რონმა პასუხის გასაცემად პირი გააღო. ჰერმიონი და რონი, როგორც იყვნენ, ისევე დარჩნენ, ნაწყენი სახეებით, – მომბეზრდა თქვენი მოსმენა. სულ კინკლაობთ, მეტი აღარ შემიძლია.

ღვეზელი თეფშზე დადო, ჩანთა მხარზე მოიგდო და იქაურობას გაეცალა.

მარმარილოს კიბეებს ზევით აუყვა. ორ-ორ საფეხურს აბიჯებდა. სიბრაზე ჯერ კიდევ არ განელებოდა და რონისა და ჰერმიონის განცვიფრებული სახეების გახსენება სიამოვნებას ჰგვრიდა. „ახია მაგათზე, – ფიქრობდა, – დროა, მოკეტონ... გამუდმებით იყეფებიან, მეტს არაფერს აკეთებენ... კედლებზე გავა კაცი...“

სასადილოსკენ მიმავალ მოსწავლეებს გვერდს უქცევდა. კიბის ბაქანზე სერ კადოგანის, რაინდის დიდ პორტრეტს ჩაუარა. სერ კადოგანმა მახვილი ამოიღო და გამეტებით მოუქნია. მაგრამ მას ყურადღებაც არ მიუქცევია.

– დაბრუნდი, ქოფაკო! ჩემ წინ დადექი და შემებრძოლე! – გაისმა მუზარადიდან სერ კადოგანის მოგუდული ხმა. მერე კი, როცა გამოკიდება სცადა და შემდეგ სურათში გადაირბინა, იქ გამოსახულმა მეცხვარე ძაღლმა გამოაძევა.

დიდი დასვენების დარჩენილი დრო ჰარიმ ჩრდილოეთის კოშკის სარქველის ქვეშ გაატარა. ზარის შემდეგ პირველი ავიდა სიბილ ტრელოუნის კლასისკენ მიმავალ ვერცხლისფერ კიბეზე.

სასწავლო საგნებიდან, შხამ-წამლებს თუ არ ჩავთვლით, ჰარის ყველაზე ძალიან წინასწარმეტყველება ეჯავრებოდა. მიზეზი ის იყო, რომ ყოველ ორ-სამ გაკვეთილზე ერთხელ ტრელოუნი ჰარის უდროო სიკვდილს უწინასწარმეტყველებდა ხოლმე. ძალიან გამხდარი ქალი რამდენიმე შალში იყო გახვეული, ზემოდან კი უთვალავი მძივი და ძეწკვი უბრჭყვიალებდა; სათვალე საოცრად უდიდებდა თვალებს და ჰარის ერთთავად რაღაც მწერს ახსენებდა. ახლა სიბილ ტრელოუნი წვრილფეხება მრგვალ მაგიდებზე ტყავისყდიან, გაცრეცილ წიგნებს ალაგებდა. შარფშემოხვეული ლამპები და მინავლებული ბუხარი ისე ცუდად ანათებდნენ ოთახს, რომ ტრელოუნიმ, როგორც ჩანს, ვერ შენიშნა, როგორ შეიპარა და როგორ მოყუჩდა ბნელ კუთხეში ჰარი. ხუთ წუთში თანდათან შემოლაგდნენ დანარჩენი მოსწავლეებიც. რონმა, ამოყო თუ არა თავი სარქველიდან, მიმოიხედა, დაინახა ჰარი და პირდაპირ მისკენ წავიდა, უფრო სწორად, იმდენად პირდაპირ, რამდენადაც მთელი ეს მაგიდები, სკამები და ფუმფულა პუფები მისცემდა ამის საშუალებას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე და ჰერმიონი ჩხუბს მოვრჩით, – აცნობა რონმა და ჰარის გვერდით დაჯდა.

– მომილოცავს, – წაიბუზღუნა ჰარიმ.

– მაგრამ ჰერმიონს მიაჩნია, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ სხვის ჯავრს ჩვენზე არ იყრიდი, – უთხრა რონმა.

– მე არ...

– მე მხოლოდ მისი სიტყვები გადმოგეცი, – შეაწყვეტინა რონმა, – მაგრამ ვეთანხმები. თუ სიმუსმა და სნეიპმა რამე გაწყენინეს, ჩვენ რა შუაში ვართ?

– მე არც ვამბობ, რომ...

– გამარჯობა, – მიესალმა პროფესორი ტრელოუნი ბავშვებს ჩვეული, დაბალი ხმით და ჰარი გაჩუმდა. გაღიზიანებას ახლა სირცხვილის გრძნობაც დაერთო, – კეთილი იყოს თქვენი მოსვლა მისნობის გაკვეთილზე ახალ სასწავლო წელს. მთელი არდადეგები მე, რა თქმა უნდა, ყურადღებით გადევნებდით თვალს და რაოდენ სასიამოვნოა, რომ მშვიდობით დაბრუნდით ჰოგვორტსში, რაც, რაღა თქმა უნდა, წინასწარ ვიცოდი.

თქვენ წინ მაგიდებზე დევს ინიგო იმაგოს „სიზმრების ამხსნელის“ ეგზემპლარები. სიზმრების ახსნა ძალიან მნიშვნელოვანი საშუალებაა მომავლის განსაჭვრეტად და სავსებით შესაძლებელია, რომ ნათელმხილველობის ამ დარგის ცოდნა **ბუა**-ს გამოცდებზე შეამოწმონ. თუმცა, რა თქმა უნდა, მე არ მიმაჩნია, რომ საგამოცდო წარმატებას ან წარუმატებლობას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, როცა საუბარია მისნობის წმიდათაწმიდა ხელოვნებაზე. ნათელმხილველისთვის ნიშნები და ატესტატები ძალიან ცოტას ნიშნავს. მაგრამ, რადგან დირექტორს მიაჩნია, რომ გამოცდა უნდა მოგიწყოთ...

ხმა ნელ-ნელა დაილია, რითაც ყველას მიანიშნა, რომ, პროფესორ ტრელოუნის აზრით, მისი საგანი გამოცდებისმაგვარ უხამს მატერიებზე მაღლა დგას.

– გადაშალეთ წიგნი შესავალზე და წაიკითხეთ, რას წერს იმაგო სიზმრების ახსნის ხელოვნებაზე. მერე წყვილებად დაიყავით და „სიზმრების ამხსნელის“ დახმარებით შეეცადეთ, ახსნათ ერთმანეთის სულ ბოლო სიზმრები. შეუდექით.

ამ გაკვეთილში კარგი მხოლოდ ის იყო, რომ სხვებისგან განსხვავებით არ გაუორმაგებიათ. იმ დროისთვის, როცა შესავლის კითხვა დაასრულეს, სიზმრების ახსნისთვის, სულ რაღაც, ათი წუთიღა დარჩათ. ჰარისა და რონის მეზობელ მაგიდასთან დინმა და ნევილმა შეადგინეს წყვილი და ნევილი მაშინვე შეუდგა საკმაოდ ვრცელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კოშმარის აღწერას, რომელშიც გიგანტურ მაკრატელზე ჩამოცმული ბებიამისის შლაპა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ჰარი და რონი კი მოღუშულები უცქეროდნენ ერთიმეორეს.

– მე სიზმრებს არასოდეს ვიხსომებ, – თქვა რონმა, – ასე რომ, მიდი, შენ მოყევი.

– ერთი მაინც ხომ უნდა გახსოვდეს, – გაღიზიანდა ჰარი. საქმე ის არის, რომ ჰარი არავისთვის აპირებდა თავისი სიზმრების მოყოლას. ისედაც მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა სასაფლაოს კოშმარი. ამის ასახსნელად არც რონი, არც პროფესორი ტრელოუნი და არც ეს სულელური „სიზმრების ამხსნელი" სჭირდებოდა.

– თუ არ ვცდები, წუხელ დამესიზმრა, რომ ქვიდიჩს ვთამაშობდი, – თქვა რონმა და შუბლი შეიჭმუხნა, რათა უკეთ გაეხსენებინა, – შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს?

– ალბათ, იმას, რომ გიგანტური კალმარი ან რაღაც ამის მსგავსი შეგჭამს, – ივარაუდა ჰარიმ, თან „ამხსნელის" ფურცლებს გულგრილად ათვალიერებდა. წიგნში სიზმრების ფრაგმენტების მოძებნა ძალიან მოსაწყენი რამ იყო და არც საშინაო დავალება ეჩვენებოდა სიხარულის მომგვრელად. მთელი ერთი თვის განმავლობაში სიზმრების დღიური უნდა ეწარმოებინათ. როცა ზარი დაირეკა, ჰარი და რონი პირველები ჩაძვრნენ ძირს. რონი ხმამაღლა ბუზღუნებდა:

– რა უბედურებაა ამდენი დავალება! ბინსმა – ნახევარი მეტრი სიგრძის წერითი სამუშაო გოლიათებთან ომზე; სნეიპმა – მთელი გრაგნილი – მთვარის ქვის გამოყენებაზე; ახლა კი ეს ტრელოუნი – სიზმრების ერთთვიანი დღიურით! ესე იგი, მართალი თქვეს ფრედმა და ჯორჯმა. ახლა თუ ეს ამბრიჯიც რამეს დაგვავალებს...

როცა ბნელი ძალებისგან თავდაცვის საკლასო ოთახში შევიდნენ, პროფესორი ამბრიჯი უკვე მაგიდასთან იჯდა. გუშინდელივით ისევ ის ფუმფულა ვარდისფერი კოფთა ეცვა, კინკრიხოზე შავი ხავერდის ბაფთა დაეკოსებინა. ჰარის უნებურად მოზრდილ გომბეშოზე სულელურად დასკუპებული დიდი ბუზი გაახსენდა.

ყველა ცდილობდა, ჩუმად ყოფილიყო. პროფესორ ამბრიჯს ჯერჯერობით არ იცნობდნენ და არავინ იცოდა, დისციპლინის როგორი დამცველი გამოდგებოდა.

– გამარჯობა! – მიესალმა ამბრიჯი მოსწავლეებს.

– გამარჯობა, – წაიდუდუნა რამდენიმემ.

– მოიცათ, მოიცათ, მოიცათ, – არ მოეწონა პროფესორ ამბრიჯს, – არა, ჩემო მეგობრებო, ეს არაფრად ვარგა. მე გთხოვთ, მიპასუხოთ: „გამარჯობა, პროფესორო ამბრიჯ". აბა, კიდევ ერთხელ: გამარჯობა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გამარჯობა, პროფესორო ამბრიჯ! – ერთხმად იყვირა კლასმა.

– ეს უკვე კარგია, – ტკბილი ხმით წაიმღერა პროფესორმა ამბრიჯმა, – სულაც არ არის ძნელი, არა? ჯადოსნური ჯოხები შევინახოთ, ამოვიღოთ ბატის ფრთები.

მოსწავლეებმა მოღუშულებმა გადახედეს ერთიმეორეს: არც ერთი საინტერესო გაკვეთილი არ დაწყებულა ჯადოსნური ჯოხების შენახვის ბრძანებით. ჰარიმ თავისი ჯოხი ჩანთაში ჩაჩურთა და ბატის ფრთა, სამელნე და პერგამენტი ამოიღო. პროფესორმა ამბრიჯმა, პირიქით, ჩანთიდან საოცრად მოკლე ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და მკვეთრად მიაკაკუნა დაფაზე, სადაც მაშინვე გაჩნდა სიტყვები:

ბნელი ძალებისგან თავდაცვა
ძირითად პრინციპებთან დაბრუნება

– დასაწყისისთვის აღვნიშნავ, რომ ამ საგნის სწავლება დღემდე საკმაოდ წყვეტილი და ფრაგმენტული იყო. ასე არ არის? – იკითხა პროფესორმა ამბრიჯმა, კლასისკენ შებრუნდა და ხელები მუცელზე დაიწყო, – მასწავლებლები მუდმივად იცვლებოდნენ, თან არავინ თვლიდა საჭიროდ, სამინისტროს მიერ მოწონებული პროგრამით ეხელმძღვანელა. სამწუხაროდ, შედეგად ის მივიღეთ, რომ თქვენ ახლა გაცილებით დაბალ დონეზე ხართ, ვიდრე მომავალი **ბუა**-ს გამოცდების სასწავლო წლის წინ უნდა იყოთ.

ალბათ, გესიამოვნებათ იმის გაგება, რომ ამ ნაკლს აუცილებლად გამოვასწორებთ. წლევანდელ სასწავლო წელს თქვენ შეისწავლით თავდაცვით ჯადოქრობას გულმოდგინედ მომზადებული, თეორიულად გამართული და სამინისტროს მიერ მოწონებული პროგრამით. თუ შეიძლება, ჩაიწერეთ კურსის მიზნები.

ისევ მიუკაკუნა დაფას. იქ ახალი წარწერები გაჩნდა:

კურსის მიზნები

1. ბნელი ძალებისგან თავდაცვის პრინციპების გათავისება.
2. როგორ გავერკვეთ სიტუაციებში, როცა თავდაცვითი ჯადოქრობის გამოყენება დაშვებულია და კანონს არ ეწინააღმდეგება.
3. თავდაცვითი მაგიის ჩართვა საერთო წარმოდგენათა სისტემაში პრაქტიკული გამოყენებისთვის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორიოდე წუთს ოთახში მხოლოდ ბატის ფრთების წრიპინი და პერგამენტის შრიალი ისმოდა. როცა ყველამ ყველაფერი ჩაიწერა, პროფესორმა ამბრიჯმა იკითხა:

– ყველას გაქვთ „დაცვითი მაგიის თეორიის“ სლინკჰარდისეული ეგზემპლარი?

– დიახ, პროფესორო ამბრიჯ, – ერთხმად უპასუხეს მოსწავლეებმა.

– კეთილი, – მოიწონა პროფესორმა ამბრიჯმა, – ახლა გთხოვთ, გადაშალოთ მეხუთე გვერდზე და წაიკითხოთ პირველი თავი – „საფუძვლები დამწყებთათვის“. საუბრისგან თავი შეიკავეთ.

პროფესორი ამბრიჯი ისევ თავის მაგიდასთან დაჯდა და საკლასო ოთახს გომბეშოსავით გადმოკარკლული თვალებით მიაცქერდა. ჰარიმ მეხუთე გვერდიდან „თავდაცვითი ჯადოქრობის თეორიის“ კითხვა დაიწყო.

ესეც, დაახლოებით, ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორიც პროფესორ ბინსის ლექცია. ჰარი ცდილობდა, გულისყური მოეკრიბა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მალევე აღმოაჩინა, რომ სულ ერთსა და იმავე ფრაზას კითხულობდა. ასე გავიდა რამდენიმე მდუმარე წუთი. მის გვერდით მჯდარი რონი ფურცელზე ერთ წერტილს მიშტერებოდა და დაბნეული აწვალებდა ბატის ფრთას. ჰარიმ მარჯვნივ გაიხედა და ისე გაოცდა, რომ მაშინვე გამოერკვა გარინდებისგან. ჰერმიონს თავისი წიგნი არც კი გადაეშალა, ხელი აეწია და თვალებით ბურღავდა პროფესორ ამბრიჯს.

ჰარის არ ახსოვდა შემთხვევა, რომ ჰერმიონი მასწავლებლების მიერ მიცემულ დავალებას ასე უპასუხისმგებლოდ მოჰქცეოდა, ცდუნებისთვის გაეძლო და ნებისმიერი წიგნი არ გადაეშალა. ჰარი თვალებით ეკითხებოდა, მაგრამ ჰერმიონმა ოდნავ შესამჩნევად გააქნია თავი, აგრძნობინა, რომ საუბარში აყოლას არ აპირებდა. ისევ დაჟინებით უყურებდა პროფესორ ამბრიჯს, რომელიც ასევე დაჟინებით იყურებოდა სხვა მხარეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე მარტო ჰარი კი არა, ყველა გაოცებული მისჩერებოდა ჰერმიონს, ასე მონდომებული რომ ცდილობდა პროფესორ ამბრიჯის ყურადღების მიპყრობას.

როცა თითქმის ნახევარი კლასი, წიგნის ნაცვლად, ჰერმიონს შეაცქერდა, პროფესორი ამბრიჯი მიხვდა, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს იქ არაფერიც არ ხდებოდა.

– თქვენ ამ თავის შესახებ გინდათ მკითხოთ, საყვარელო? – ისე მიმართა ჰერმიონს, თითქოს ახლაღა შეამჩნიაო.

– უნდა გკითხოთ, ოღონდ არა ამ თავის შესახებ, – უპასუხა ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საქმე ის არის, რომ ახლა ჩვენ ვკითხულობთ, – შეახსენა პროფესორმა ამბრიჯმა და წვრილი, ბასრი კბილები გამოაჩინა, – ყველა დანარჩენი ბუნდოვანი საკითხი შეგვიძლია, გაკვეთილის ბოლოს გადავწყვიტოთ.

– მე არ მესმის თქვენი კურსის მიზანი, – თქვა ჰერმიონმა. პროფესორმა ამბრიჯმა წარბები ასწია.

– თქვენი სახელი, თუ შეიძლება.

– ჰერმიონ გრეინჯერი.

– იცით, ძვირფასო გრეინჯერ, კურსის მიზანი, როგორც მეჩვენება, სავსებით გასაგები იქნება, თუ ყურადღებით წაიკითხავთ ამ თავს, – ხაზგასმულად ალერსიანი ხმით დამოძღვრა პროფესორმა ამბრიჯმა.

– ჩემთვის ეს მიზანი გაუგებარია, – მოუჭრა ჰერმიონმა, – იქ არაფერია ნათქვამი თავდაცვითი შელოცვების გამოყენებაზე.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. ზოგი მოსწავლე შუბლშეჭმუხნილი კითხულობდა კურსის სამ მიზანს, რომელიც ჯერ კიდევ ეწერა დაფაზე.

– თავდაცვითი შელოცვების გამოყენებაზე? – გაიმეორა პროფესორმა ამბრიჯმა და სწრაფად ჩაიცინა, – რაღაც ვერ წარმომიდგენია სიტუაცია, მის გრეინჯერ, რომ აქ რომელიმეს თავდაცვითი შელოცვა დასჭირდეს. იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ გაკვეთილის დროს შეიძლება ვიღაცა დაგესხათ თავს?

– ჩვენ რა, ჯადოქრობას არ გამოვიყენებთ? – ხმამაღლა იკითხა რონმა.

– ჩემს გაკვეთილებზე ვისაც რამის თქმა სურს, ხელი უნდა ასწიოს...

– უისლი, – უკარნახა რონმა და ხელი ასწია.

პროფესორმა ამბრიჯმა ცოტა უფრო ფართოდ გაიღიმა და ზურგი შეაქცია რონს. ჰარიმ და ჰერმიონმა იმავე წამს ასწიეს ხელი. პროფესორმა ამბრიჯმა გომბეშოს მზერა წამით ჰარიზე შეაჩერა და ჰერმიონს მიუბრუნდა:

– დიახ, მის გრეინჯერ, კიდევ გაინტერესებთ რამე?

– დიახ, მაინტერესებს. ბნელი ძალებისგან თავდაცვის შესწავლის მთელი არსი ხომ ის არის, რომ თავდაცვითი შელოცვები გამოვიყენოთ? – იკითხა ჰერმიონმა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით, განათლების საკითხებში სამინისტროს ექსპერტი? – ისევ ყალბი ალერსიანი ხმით ჰკითხა პროფესორმა ამბრიჯმა.

– არა, მაგრამ...

– თუ ასეა, მე მგონი, თქვენი კვალიფიკაცია საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ იმსჯელოთ, რაში გამოიხატება ჩემი გაკვეთილების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„მთელი არსი“. ახალი სასწავლო პროგრამა დამუშავებულია თქვენზე გაცილებით უფროსი და გაცილებით ჭკვიანი ჯადოქრების მიერ. თავდაცვით შელოცვებს ყოველგვარი რისკის გარეშე, უხიფათოდ გაეცნობით...

– მერედა, რა აზრი აქვს ამას, თუ თავს დაგვესხმებიან არც ისე უხიფათო სახით?.. – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ.

– ხელი, პოტერ! – წაიმღერა პროფესორმა ამბრიჯმა. ჰარიმ ხელი ასწია. პროფესორმა ამბრიჯმა მასაც სწრაფად შეაქცია ზურგი, მაგრამ ახლა რამდენიმე ხელი აღიმართა.

– თქვენი სახელი, თუ შეიძლება, – პროფესორი ამბრიჯი დინს მიუბრუნდა.

– დინ ტომასი.

– გისმენთ, ტომას.

– მე ვეთანხმები ჰარის, – თქვა დინმა, – თუ თავს დაგვესხმებიან, რისკის გარეშე არ გამოვა.

– მე იძულებული ვარ, გავიმეორო, – პროფესორ ამბრიჯს ისევ ნერვების მომშლელი ღიმილი გადაჰკვროდა სახეზე, – თქვენ რა, ჩემს გაკვეთილზე თავდასხმას ელოდებით?

– არა, მაგრამ...

პროფესორმა ამბრიჯმა შეაწყვეტინა:

– არ მინდა, გავაკრიტიკო სკოლაში დადგენილი წესები, მაგრამ ამ გაკვეთილებზე თქვენ, როგორც ჩანს, უპასუხისმგებლო ჯადოქრების ზემოქმედების ქვეშ მოექეცით, ჭეშმარიტად უპასუხისმგებლოებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ, – ამბრიჯმა ავად ჩაიცინა, – მეტისმეტად საშიში ნახევრად ადამიანებისა.

დინი აღშფოთდა:

– თუ თქვენ პროფესორ ლუპინს გულისხმობთ, ის ერთ-ერთი საუკეთესო...

– ხელი, ტომას! ნება მომეცით, გავაგრძელო. თქვენ გაგაცნეს შელოცვები, რომლებიც მეტისმეტად რთულია თქვენი ასაკის მოსწავლეებისთვის და პოტენციურად შეიცავს საფრთხეს. თქვენ შეგაშინეს, შთაგაგონეს, თითქოს დღე-დღეზე ბნელი ძალების თავ-დასხმას უნდა ელოდოთ...

– ასე არ არის, – დაიძახა ჰერმიონმა, – ჩვენ, უბრალოდ...

– თქვენი ხელი, ჰერმიონ გრეინჯერ!

ჰერმიონმა ხელი ასწია. პროფესორმა ამბრიჯმა ზურგი შეაქცია.

– როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩემი წინამორბედი თქვენ წინაშე არა მარტო წარმოთქვამდა აკრძალულ შელოცვებს, თქვენ წინააღ-მდეგაც იყენებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და ბოლოს მანიაკი აღმოჩნდა, ასე არაა? – გაცეცხლდა დინი, – და, მიუხედავად ამისა, მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ.

– თქვენი ხელი, ტომას! – დაიჩხავლა პროფესორმა ამბრიჯმა, – სამინისტროს აზრით, თეორიული ცოდნა სავსებით საკმარისია გამოცდის ჩასაბარებლად, სწორედ ამისკენ უნდა იყოს მიმართული სკოლის პროგრამა... თქვენი სახელი, თუ შეიძლება? – იკითხა მან და პარვატის შეხედა. მან ის-ის იყო ასწია ხელი.

– პარვატი პეტილი. ბნელი ძალებისგან თავდაცვის გამოცდაზე პრაქტიკული არაფერი იქნება? ჩვენ არ უნდა ვაჩვენოთ, რომ შეგვიძლია კონტრშელოცვის გამოყენება?

– თუ თეორია კარგად გეცოდინებათ, ხელს არაფერი შეგიშლით, უფროსების მეთვალყურეობით გამოცდაზე აჩვენოთ ზოგიერთი შელოცვა, – ოდნავ მოულბა ხმა პროფესორ ამბრიჯს.

– ყოველგვარი პრაქტიკის, ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე? – გაიკვირვა პარვატიმ, – თუ სწორად გაგიგეთ, პირველად უშუალოდ გამოცდაზე დაგვრთავენ შელოცვის გამოყენების ნებას.

– ვიმეორებ, თუ თეორია კარგად გეცოდინებათ...

– რა ხეირია ეგეთი თეორიისგან რეალურ ცხოვრებაში? – ხმამაღლა იკითხა ჰარიმ და ისევ შემართა მუშტი. პროფესორმა ამბრიჯმა ჰარის შეხედა და შეუსწორა:

– ეს სკოლაა, პოტერ, და არა რეალური სამყარო.

– ესე იგი, ჩვენ არ მოგვამზადებენ საიმისოდ, რაც სკოლის გარეთ გველის?

– არავითარი საშინელება თქვენ იქ არ გელით, პოტერ.

– ვითომ? – იკითხა ჰარიმ. უკმაყოფილების გრძნობამ, მთელ დღეს რომ უგროვდებოდა, მოთმინების ფიალა აუვსო.

– თუ ღმერთი გწამთ, ვინ შეიძლება, დაგესხათ თავს თქვენ და თქვენისთანა ბავშვებს? – იკითხა პროფესორმა ამბრიჯმა საზიზღრად დათაფლული ხმით.

– მ-მ...მოიცათ, დავფიქრდე... – თქვა ვითომ ღრმა ფიქრებში წასულმა ჰარიმ დამცინავად, – იქნებ... ვოლდემორი?

რონს სუნთქვა შეეკრა. ლევენდერ ბრაუნმა წამოიკივლა. ნევილი სკამიდან ჩამოცურდა. პროფესორ ამბრიჯს წარბიც არ შესტოკებია. ეს იყო, ბოროტი კმაყოფილებით შეხედა ჰარის.

– ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, პოტერ.

კლასი გაყურსული იჯდა. ზოგი ამბრიჯს უყურებდა, ზოგი – პოტერს.

– ახლა კი რაღაც-რაღაცეებზე პირდაპირ და გულახდილად მინდა დაგელაპარაკოთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროფესორი ამბრიჯი ადგა, წინ გადაიხარა და კოტიტათითებიანი ხელებით დაეყრდნო მაგიდას.

– თქვენ შთაგაგონეს, ვითომ ვილაც ჯადოქარი მკვდრეთით აღდგა...

– ის მკვდარი არც ყოფილა, – გაბრაზებით შეეპასუხა ჰარი, – მაგრამ რომ აღდგა, ეს სიმართლეა!

– პოტერ, თქვენ უკვე დააკარგვინეთ გრიფინდორს ათი ქულა, ახლა საკუთარ თავსაც ნუ მიაყენებთ ზიანს, – არც კი გაუხედავს ჰარისკენ, სულმოუთქმელად წარმოთქვა პროფესორმა ამბრიჯმა, – ვიმეორებ, თქვენ გითხრეს, რომ ვილაც ბნელი ჯადოქარი ისევ თავისუფლად დასეირნობს. ეს ტყუილია.

– არა, ეს ტყუილი არ არის! – იყვირა ჰარიმ, – ჩემი თვალით ვნახე და შევებრძოლე კიდეც!

– თქვენ დაისჯებით, პოტერ! – ზარ-ზეიმით გამოაცხადა პროფესორმა ამბრიჯმა, – ხვალ გაკვეთილების შემდეგ, ხუთ საათზე, ჩემს კაბინეტში მობრძანდებით. ისევ გიმეორებთ ყველას – ეს ტყუილია. მაგიის სამინისტრო თავდებად გიდგებათ, რომ არავითარი ბნელი ჯადოქრები არ გემუქრებიან. და თუ რამე მაინც გაწუხებთ, არ მოგერიდოთ, თავისუფალ დროს შემოიარეთ ჩემთან. თუ ვინმე გაფორიაქებთ ამქვეყნად მობრუნებულ ბნელ ჯადოქრებზე ლაპარაკით, მინდა, რომ ვიცოდე. მე აქ იმიტომ ვარ, რომ დაგეხმაროთ. მე თქვენი მეგობარი ვარ. ახლა კი კეთილინებეთ და განაგრძეთ კითხვა. მეხუთე გვერდი, „საფუძვლები დამწყებთათვის“.

პროფესორი ამბრიჯი დაჯდა. ჰარი პირიქით, ფეხზე წამოდგა. ყველა მას მისჩერებოდა. სიმუსი შეშინებულ-აღტაცებული უყურებდა.

– ჰარი, შეჩერდი! – წასჩურჩულა ჰერმიონმა და სახელოზე მოქაჩა. მაგრამ ჰარიმ ხელი გამოჰგლიჯა.

– ესე იგი, თქვენი აზრით, სედრიკ დიგორი თავისით მოკვდა, არავის მოუკლავს? – იკითხა ჰარიმ გაბზარული ხმით.

მთელმა კლასმა კანკალით ჩაისუნთქა. არავის, ჰერმიონისა და რონის გარდა, ჯერ არ მოესმინა ჰარისგან იმ ღამის ამბები, როცა სედრიკი დაიღუპა. დაძაბული მზერა ყველამ ჰარიდან პროფესორ ამბრიჯზე გადაიტანა, რომელიც უკვე ყოველგვარი ყალბი ღიმილის გარეშე მიაჩერდა ჰარის.

– სედრიკ დიგორის სიკვდილი უბედური შემთხვევა იყო, – ცივად თქვა მან.

– არა! ეს მკვლელობა იყო! – შეეპასუხა ჰარი და იგრძნო, რომ ერთიანად ცახცახებდა. აქამდე თითქმის არავისთვის მოეყოლა ეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამბავი, მით უფრო – ოცდაათი თვალებგადიდებული თანაკლასელისთვის, – სედრიკი ვოლდემორმა მოკლა და თქვენ ეს მშვენივრად იცით.

პროფესორ ამბრიჯს სახეზე არაფერი დასტყობია. წამით ჰარის მოეჩვენა, რომ ახლა დაუყვირებდა. მაგრამ პროფესორმა რბილი, წვნიკი ხმით წაიმღერა:

– აქ მოდით, ძვირფასო პოტერ.

ჰარიმ ფეხი გაჰკრა სკამს, რონსა და ჰერმიონს ჩაუარა და მასწავლებლის მაგიდისკენ წავიდა. ისე იყო გაცოფებული, აღარ აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. კლასი სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა.

პროფესორმა ამბრიჯმა ჩანთიდან პერგამენტის პატარა გრაგნილი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა, ბატის ფრთა მელანში ჩააწო და წერას შეუდგა. ყველანი დუმდნენ. დაახლოებით წუთის შემდეგ პერგამენტი დაახვია და გრაგნილი ჯადოსნური ჯოხით დაბეჭდა.

– პროფესორ მაკგონაგელს წაუღეთ, – უთხრა პროფესორმა ამბრიჯმა ჰარის და გრაგნილი გაუწოდა.

ჰარის არაფერი უთქვამს. პერგამენტი გამოართვა, რონისა და ჰერმიონისთვის არც შეუხედავს, ოთახიდან ისე გავიდა და კარი გაიჯახუნა. სწრაფად გაიარა დერეფანი და კუთხეში შეუხვია თუ არა, პივსს გადაეყარა, დიდპირა პატარა პოლტერგეისტს, რომელიც ჰაერში გულაღმა მიცურავდა და სამელნეებს ათამაშებდა.

– ჰი, ეს ხომ დამთხვეული პატარა პოტერია, – ჩაიხითხითა პივსმა და ორი სამელნე გაუვარდა. სამელნეები გატყდა და კედლები მელნით მოითხუპნა. ჰარიმ ძლივს მოასწრო განზე გახტომა.

– მომწყდი თავიდან, პივს!

– ოო! სახელოვანი პოტი ცუდ გუნებაზეა! – თქვა პივსმა, გვერდით აედევნა, თან ცერად უყურებდა, – რა მოხდა ამჯერად, ჩემო მშვენიერო დამთხვეულო მეგობარო? უცნაური ხმები გვესმის? მოჩვენებები არ გვასვენებენ? უცნობ... – აქ პივსმა, ცოტა არ იყოს, სათაკილო ხმა გამოსცა, – ენაზე ვლაპარაკობთ?

– თავი დამანებე! – იყვირა ჰარიმ და უახლოესი კიბით ძირს დაეშვა. პივსი მოაჯირზე ზურგით გაწოლილი მიჰყვა.

„ცხვირი აგიბზუებია,
წყუილების გულა სარ.
შენნაირი მეცრჩარა
ნეცავ ვინმეს უნასავს?"

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოკეტე!

მარცხენა მხარეს კარი გაიღო და მოღუშულმა, ოდნავ შეშფოთებულმა პროფესორმა მაკგონაგელმა გამოიხედა თავისი კაბინეტიდან.

– რატომ ღრიალებთ, პოტერ? და რატომ არ ხარ გაკვეთილზე? – მკაცრად ჰკითხა ჰარის.

ამასობაში პივსმა სიხარულით ჩაიხითხითა და გაუჩინარდა.

– თქვენთან გამომგზავნეს, – მშრალად უპასუხა ჰარიმ.

– გამოგგზავნეს? რას ჰქვია – გამოგგზავნეს?

ჰარიმ პროფესორ ამბრიჯის ბარათი გადასცა. მაკგონაგელმა პერგამენტი გამოართვა და მოიღუშა. ჯადოსნური ჯოხის შეხებით გრაგნილი გახსნა და კითხვას შეუდგა. მართკუთხამინებიანი სათვალე ეკეთა, აშკარად ჩანდა, რომ თვალები ხან მარჯვნივ გაურბოდა, ხან – მარცხნივ და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ეჭუტებოდა.

– წამოდით ჩემთან, პოტერ.

ჰარი კაბინეტში შეჰყვა. კარი თავისით დაიხურა.

– ესე იგი, ეს სიმართლეა? – მრისხანედ მიმართა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– რა არის სიმართლე, – იკითხა ჰარიმ ოდნავ უფრო აგრესიული ტონით, ვიდრე აპირებდა, – პროფესორო? – დაამატა უხეში ტონის ოდნავ შესარბილებლად.

– სიმართლეა, რომ პროფესორ ამბრიჯს უყვირეთ?

– დიახ, – დაუდასტურა ჰარიმ.

– და სიცრუეში დაადანაშაულეთ?

– დიახ.

– თქვენ მას უთხარით, რომ „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“, აღდგა?

– დიახ.

პროფესორი მაკგონაგელი საწერ მაგიდასთან დაჯდა და წარბშეკრულმა შეხედა ჰარის. მერე უთხრა:

– აიღეთ ორცხობილა, პოტერ.

– რა ავიღო?

– ორცხობილა, – გაღიზიანებულმა გაიმეორა და შოტლანდიურ კუბოკრულნახატიან კოლოფზე მიუთითა, ქაღალდების დასტაზე რომ იდო, – და დაბრძანდით.

ჰარის ადრინდელი შემთხვევა გაახსენდა, როცა დასჯის მაგივრად, პროფესორმა მაკგონაგელმა ქვიდიჩის გუნდში ჩართო. მაკგონაგელის პირდაპირ ჩამოჯდა და ჯანჯაფილიანი ტრიტონი აიღო. მაშინდელივით ახლაც უხერხულობას გრძნობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროფესორმა მაკგონაგელმა ბარათი მაგიდაზე დადო და ჰარის ძალიან სერიოზულად შეხედა.

– პოტერ, ცოტა ფრთხილად უნდა მოიქცეთ.

ჰარიმ ტრიტონის ორცხობილა გადაყლაპა და პროფესორს შეაჩერდა. მაკგონაგელის ტონი მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო: არც მშრალი, არც მკაცრი, არც საქმიანი. ხმა ბევრად უფრო ჩუმი, შეშფოთებული და ბევრად უფრო ადამიანური ჰქონდა, ვიდრე ოდესმე.

– დოლორეს ამბრიჯის გაკვეთილებზე ცუდად მოქცევა შეიძლება, უფრო ძვირად დაგიჯდეთ, ვიდრე გუნდური ქულების დაკარგვა და გაკვეთილების შემდეგ დატოვებაა.

– არ მესმის...

– დაფიქრდით, პოტერ! – მოწყვეტით ბრძანა პროფესორმა მაკგონაგელმა და უცებ დაუბრუნდა ჩვეული ტონი, – თქვენ იცით, საიდანაც მოვიდა, და უნდა გესმოდეთ, ვის აბარებს ანგარიშს.

შესვენების ზარი დაირეკა. სულ მალე იქაურობა კლასებიდან გამოცვენილი მოსწავლეების ფეხების ბრაგაბრუგმა და ჟივილ-ხივილმა გააყრუა.

– აქ წერია, რომ მთელი ეს კვირა, ხვალიდან მოყოლებული, ყოველდღე უნდა დარჩეთ გაკვეთილების შემდეგ, – უთხრა პროფესორმა მაკგონაგელმა და ისევ დახედა ბარათს.

– ყოველდღე, მთელი კვირა! – თავზარი დაეცა ჰარის, – მაგრამ, პროფესორო, თქვენ არ შეგიძლიათ...

– არა, არ შემიძლია, – მოუჭრა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– მაგრამ...

– ამბრიჯი თქვენი მასწავლებელია და სრული უფლება აქვს, დაგსაჯოთ. ხვალ ხუთ საათზე მის კაბინეტში უნდა იყოთ. და დაიხსომეთ, დოლორეს ამბრიჯთან ხუმრობა არ გაგივათ.

– მაგრამ მე ხომ მხოლოდ სიმართლე ვთქვი! – აღშფოთდა ჰარი, – ვოლდემორი აღდგა და თქვენ ეს იცით. პროფესორმა დამბლდორმაც იცის...

– თუ ღმერთი გწამთ, პოტერ! – პროფესორმა მაკგონაგელმა გაბრაზებულმა გაისწორა სათვალე (ვოლდემორის ხსენებაზე მთელი სხეულით შეკრთა), – საქმე ის კი არ არის, მართალი თქვით თუ არა, საქმე ის არის, რომ წყნარად უნდა იჯდეთ და თავი შეიკავოთ!

ტუჩებმოკუმული და ნესტოებდაბერილი წამოდგა. ჰარიც ადგა.

– კიდევ აიღეთ ნამცხვარი, – პროფესორმა კოლოფი ჰარისკენ გასწია.

– არა, გმადლობთ, – ცივად თქვა ჰარიმ.

– ნუ სულელობთ! – დაუცაცხანა პროფესორმა მაკგონაგელმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობთ, – ჰარიმ ნამცხვარი აიღო და უხალისოდ გადაუხადა მადლობა.

– თქვენ რა, არ მოგისმენიათ დოლორეს ამბრიჯის სიტყვა სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ბანკეტზე?

– მოვისმინე, როგორ არა. მან თქვა, პროგრესი უნდა ამოვძირკვოთო... თუ... მოკლედ, ეს ნიშნავს, რომ მაგიის სამინისტროს ჰოგვორტსის საქმეებში ჩარევა სურს, – მიუგო ჰარიმ. პროფესორი მაკგონაგელი ერთხანს კიდევ უყურებდა. მერე ჩაიცინა, მაგიდას შემოუარა და კარი გაულო.

– რა გაეწყობა. ის მაინც მახარებს, რომ ჰერმიონ გრეინჯერს უსმენთ, – უთხრა და კაბინეტიდან გააცილა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცამეტე

დოლორესის დამატებითი გაკვეთილები

იმ დღეს დიდ დარბაზში ვახშმობას მაინცდამაინც დიდი სიამოვნება არ მიუნიჭებია ჰარისთვის. დოლორეს ამბრიჯთან მისი წაკინკლავების ამბავი საოცარი სისწრაფით გავრცელდა ჰოგვორტსში. სუფრასთან მჯდარ ჰარის ყოველი მხრიდან ჩურჩული ესმოდა. სასაცილო ის იყო, რომ მოჩურჩულეებს, როგორც ჩანს, უხაროდათ კიდეც, რომ ჰარის ყველაფერი ესმოდა. იმის იმედი ჰქონდათ, წონასწორობიდან გამოვა, აყვირდება და მისგანვე გავიგებთ, მაშინ რაც მოხდაო.

– ამბობს, ჩემი თვალით ვნახე, სედრიკი როგორ მოკლესო.

– მისი ნათქვამიდან ისე გამოდის, ვითომ თვითონ შეებრძოლა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას...

– კარგი ერთი...

– ნეტავ ვის ატყუებს?..

– ჩშშ...

– აი, რა ვერ გამიგია, – ჩამქრალი ხმით დაიწყო ჰარიმ და აკანკალებული ხელებით დააწყო დანა და ჩანგალი, – რატომ დაიჯერა ყველამ ეს ამბავი ორი თვის წინ, როცა დამბლდორმა უამბო?

– ჰარი, სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ თუნდაც მაშინ დაიჯერეს, – მოიღუშა ჰერმიონი, – მოდი, წავიდეთ აქედან.

ჰერმიონმაც დააწყო დანა-ჩანგალი, უფრო ზუსტად, დაახეთქა. რონმა ნაღვლიანად შეხედა ვაშლის ღვეზელის დარჩენილ ნაჭერს და მეგობრებს გაჰყვა. სანამ დარბაზიდან გავიდოდნენ, ყველა მათ უყურებდა.

– ვითომ რატომ არ ხარ დარწმუნებული, რომ დამბლდორს დაუჯერეს? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონს, როცა მეორე სართულზე ავიდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, შენ ყველაფერს არ ითვალისწინებ, – წყნარად უთხრა ჰერმიონმა, – შენ მაშინ უცებ გამოჩნდი მდელოზე სედრიკის სხეულიანად... ლაბირინთში რა მოხდა, არავის დაგვინახავს... ხოლო ის, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღდგა, სედრიკი მოკლა და შენ შეგებრძოლა, მხოლოდ დამბლდორის ნაამბობით ვიცით.

– მაგრამ ეს ხომ სიმართლეა! – აღშფოთდა ჰარი.

– ვიცი, ჰარი, ამიტომ, თუ შეიძლება, ნუ დამეტაკები ხოლმე, – სთხოვა ილაჯგაწყვეტილმა ჰერმიონმა, – მე იმას გეუბნები, რომ როცა ყველანი არდადეგებზე წავიდნენ, სიმართლე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ თავში ჩამჯდარი, შინ კი ორი თვის მანძილზე გაზეთში კითხულობდნენ, რომ შენ იდიოტი ხარ, დამბლდორი კი – ჭკუანაკლული მოხუცი.

სანამ გრიფინდორის დერეფანს კოშკისკენ მიუყვებოდნენ, ფანჯრებს წვიმა უშხაპუნებდა. ჰარის მოეჩვენა, რომ სწავლის პირველი დღე თითქმის მთელ კვირას გაგრძელდა, მაგრამ სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, უამრავი საშინაო დავალება უნდა შეესრულებინა. მარჯვენა თვალს ზემოთ ყრუ ტკივილმა ჩაიბუდა. ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტთან რომ შეუხვიეს, ჰარიმ წვიმით დასველებული ფანჯრიდან ჩაბნელებულ მდელოს გახედა. ჰაგრიდის ქოხში ისევ არ ენთო სინათლე.

– მიმბულუს მიმბლეტონია, – თქვა ჰერმიონმა ისე, რომ ფუშფუშა ქალბატონის შეკითხვისთვის არ დაუცდია, პორტრეტი გაიწია და მეგობრები ხვრელში გადაძვრნენ.

საერთო ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ბო სავარძლიდან ჩამოხტა და ბუხრის წინ თავ-თავიანთ საყვარელ სავარძლებში ჩამჯდარი მეგობრებისკენ კნავილით გაემართა. ჰერმიონს მუხლებზე შეახტა და ისე მოიკალათა, ფუმფულა წითურ ბალიშს დაემსგავსა. ჰარი ცეცხლს მიაშტერდა. საშინლად დაღლილი იყო და გამოშიგნულივით გრძნობდა თავს.

– ეს რა ქნა დამბლდორმა?! – ისე უცებ წამოიყვირა ჰერმიონმა, რომ ჰარი და რონი შეკრთნენ. ბო ნაწყენი ჩახტა მუხლებიდან. ჰერმიონმა ისეთი ძალით დასცხო მუშტი სავარძლის სახელურს, რომ ნაკერებიდან სარჩულის ნაკუწები გამოცვივდა, – ეს ვიღაც საზიზღარი ქალი ჩვენს მასწავლებლად როგორ მოიწვია?! თანაც, **ბუა**-ს გამოცდების წელს!

– ბნელი ძალებისგან თავდაცვის იდეალური მასწავლებელი ჯერ არ გვყოლია, – შეახსენა ჰარიმ, – გახსოვთ, რას ამბობდა ჰაგრიდი? არავის უნდა ამ საგნის სწავლება, იმიტომ, რომ დაწყევლილიაო.

– ჰო, მაგრამ გაგონილა ისეთის დაქირავება, რომელიც ჯადო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქრობის გამოყენებას კრძალავს? არ მესმის, რა აქვს გუნებაში დამ-ბლდორს.

– თანაც, ნახავთ, ეს ქალი ენის მიმტანებსაც მოძებნის, – მოიღუშა რონი, – გახსოვთ, რა თქვა? უნდა, რომ მასთან მივიდნენ და უთხრან, ვინ ამბობს, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღდგა.

– აბა, რა! აქ ხომ თვითონაც იმიტომ არის, რომ ყველას გვით-ვალთვალოს. ეს ხომ ცხადია, სხვა რისთვის გამოგზავნიდა ფაჯი?! – მკვახედ თქვა ჰერმიონმა.

– ოღონდ ახლა ისევ არ იჩხუბოთ, – ძლივს ამოილუღლუღა ჰარიმ, როცა რონმა პასუხის გაცემა დააპირა, – იქნებ, უბრალოდ... უბრალოდ, საშინაო დავალებას მივხედოთ... ეს მაინც მოვიშოროთ...

კუთხეში დაწყობილი ჩანთები აიღეს და ბუხართან მდგარ სავარძ-ლებში ჩასხდნენ. გრიფინდორელები უკვე ბრუნდებოდნენ ვახშმიდან. ჰარი ცდილობდა, პორტრეტის ხვრელისკენ არ გაეხედა, მაგრამ სხვების მზერას მაინც გრძნობდა.

– მოდით, ჯერ სნეიპი მოვითავოთ, – შესთავაზა მეგობრებს რონმა და ფრთა სამელნეში ჩააწო, – „მთვარის ქვის... თვისებები... და მისი გამოყენება... შხამ-წამლების მომზადებაში...“ – ბუტბუტით გამოჰყ-ავდა პერგამენტზე ეს სიტყვები, – აი, ასე, – ხაზი გაუსვა სათაურს და იმედით შეაცქერდა ჰერმიონს, – მაინც რა თვისებები აქვს მთვარის ქვას და როგორ გამოიყენება შხამ-წამლებში?

მაგრამ ჰერმიონი ყურს არ უგდებდა. ის ოთახის შორეული კუთხ-ისკენ იცქირებოდა, სადაც მიამიტი პირველკურსელებით გარშემორ-ტყმული ფრედი, ჯორჯი და ლი ჯორდანი ისხდნენ. ყველა, როგორც ჩანს, ფრედის მოზრდილი ქაღალდის პაკეტიდან ამოღებულ რაღაცას ღეჭავდა.

– არა, ნამდვილად თავს გავიდნენ, – აღშფოთდა ჰერმიონი, – წამოდი, რონ.

– რა თქვი? სად წავიდეთ? – რონი აშკარად ცდილობდა, დრო მოეგო, – არა... არა, ჰერმიონ... როგორ უნდა ავუკრძალოთ ნუგბარის დარიგება?

– მშვენივრად იცი, რომ ეს უბრალო ტკბილეული კი არა, სისხლმ-დენი და ღებინების კანფეტებია. და კიდევ ვინ იცის, რა არა...

– გულის წასვლის კაკლები... – ჩუმად უკარნახა ჰარიმ. თითქოს უჩინარი ურო დასცხეს თავშიო, პირველკურსელები ერთიმეორის მიყოლებით ერთბაშად მომჩვარდნენ თავ-თავიანთ სავარძლებში. ზოგი პირდაპირ იატაკზე ჩამოცურდა გულწასული, ზოგიც ენაგად-მოგდებული გადმოეკიდა სავარძლის სახელურს. ისინი, ვინც მათ შესცქეროდა, გულიანად იცინოდნენ. ჰერმიონი შეუპოვარი ნაბიჯით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წავიდა ფრედისა და ჯორჯისკენ, რომლებიც ბლოკნოტმომარჯვებულები ყურადღებით აკვირდებოდნენ საცდელ ობიექტებს. რონი წამოდგა, ორიოდე წამს ასე იდგა, მერე კი ჩაიბურტყუნა: თვითონაც მშვენივრად მოახერხებსო, – და სავარძელში რაც შეიძლება ღრმად ჩაიმალა.

– გეყოფათ! – ჰერმიონი ფრედსა და ჯორჯს დაადგა თავზე. ბიჭებმა გაკვირვებულებმა ასწიეს თავი.

– შენ მართალი ხარ, – დაეთანხმა ჯორჯი, – მგონი, ცოტა გადავაჭარბეთ დოზას.

– მე მგონი, ამ დილას გითხარით, უფლება არა გაქვთ, ეს საზიზღრობა მოსწავლეებზე გამოსცადოთ-მეთქი!

– ჩვენ ხომ ფულს ვუხდით მათ, – აღშფოთდა ფრედი.

– რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ მათ საფრთხეში აგდებთ!

– რა სისულელეა! – მოუჭრა ფრედმა.

– დაწყნარდი, ჰერმიონ, არაფერი დაემართებათ! – მშვიდად უთხრა ლიმ, პირველკურსელებს ჩამოუარა და პირში მუქი წითელი კანფეტები ჩაუტენა.

– შეხედე, გონზე მოდიან, – თქვა ჯორჯმა.

ზოგიერთები მართლაც შეინძრნენ. ზოგი, ვინც იატაკზე იწვა ან სავარძლის სახელურზე იყო გადმოკიდებული, ისე შეშინდა, ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ ფრედსა და ჯორჯს არ გაუფრთხილებია ისინი, რა შეიძლებოდა გამოეწვია „ტკბილეულს“.

– როგორ გრძნობ თავს, ნორმალურად? – თანაგრძნობით ჰკითხა პატარა შავთმიან გოგონას, რომელიც პირდაპირ მის ფეხებთან იწვა.

– მე... მგონი, ჰო, – სუსტი ხმით უპასუხა გოგონამ.

– მშვენიერია, – გამხიარულდა ფრედი, მაგრამ იმავე წამს ჰერმიონმა ბლოკნოტი და გულყრის კაკლების პაკეტი ხელიდან გამოჰგლიჯა.

– არაფერიც არ არის მშვენიერი!

– რას შვრები, ხომ ხედავ, არავინ მომკვდარა! – გაბრაზდა ფრედი.

– აღარ გაბედოთ! ვინმე რომ სერიოზულად გახდეს ავად, მერე რაღას იზამთ?!

– არავინ გახდება ავად, ჩვენ უკვე გამოვცადეთ საკუთარ თავზე. მხოლოდ გვინდოდა დავრწმუნებულიყავით, რომ ყველაზე ერთნაირად მოქმედებს...

– თუ არ შეწყვეტთ, მე...

– გაკვეთილების შემდეგ დაგვტოვებ? – ისე ჰკითხა ფრედმა, თითქოს გულისხმობდა, ერთი ვნახავ, როგორ მოახერხებო.

– საწერად დაგვსხამ? – ჩაიცინა ჯორჯმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთახში გაიცინეს. ჰერმიონს სიბრაზისგან თითქოს სიმაღლე მოემატა, თვალები დაუვიწროვდა, ხშირ თმაში გეგონებოდა, ნაპერწკლებმა გაიტკაცუნა და მრისხანებისგან ათრთოლებული ხმით უთხრა:

– არა, უბრალოდ, დედათქვენს მივწერ.

– შენ ამას არ იზამ, – თავზარი დაეცა ჯორჯს.

– მაგასაც ნახავთ, თუ არ ვიზამ, – მკაცრად თქვა ჰერმიონმა, – თუ გინდათ, რომ ყლაპოთ ეს იდიოტური კანფეტები, ყლაპეთ, რამდენიც გენებოთ, მაგრამ უფლებას არ მოგცემთ, პირველკურსელებს დაურიგოთ!

ფრედი და ჯორჯი მეხდაცემულებივით იდგნენ. ჰერმიონმა კიდევ ერთხელ შეხედა ტყუპებს მკაცრად, პაკეტი და ბლოკნოტი ფრედს უკანვე მიუგდო და თავის სავარძელს დაუბრუნდა.

რონი ისე იყო ჩაცურებული სავარძელში, რომ ცხვირი მუხლებთან ჰქონდა მიტანილი.

– რონ, გმადლობ, მხარდაჭერისთვის, – გესლიანად გადმოუგდო ჰერმიონმა.

– მარტომაც მშვენივრად გაართვი თავი, – ჩაიბუტბუტა რონმა.

ჰერმიონი ერთხანს თავის სუფთა ფურცელს დაჰყურებდა, მერე კი გაღიზიანებულმა თქვა:

– აზრი არა აქვს. გულს ვერ ვუდებ. მე დასაძინებლად მივდივარ, – მერე ჩანთა გახსნა.

ჰარიმ იფიქრა, წიგნებს ჩააწყობსო, მაგრამ ჰერმიონმა ჩანთიდან შალის ორი მახინჯი საგანი ამოიღო. ფრთხილად დააწყო ბუხრის წინ მდგარ მაგიდაზე, ზემოდან დაჭმუჭნილი პერგამენტი და გატეხილი ბატის ფრთა დაადო, მერე უკან დაიხია, რათა უკეთ შეეფასებინა.

– მერლინს გაფიცებ, რას აკეთებ? – ჰკითხა რონმა და ეჭვით შეხედა.

– ეს შინაური ელფების ქუდებია, – უპასუხა გახალისებულმა ჰერმიონმა და, როგორც იქნა, წიგნების ჩალაგება დაიწყო, – ამ ზაფხულს მოვქსოვე. ჯადოქრობის გამოუყენებლად ძალიან ნელა ვქსოვ, მაგრამ იმედია, ახლა საქმე უფრო სწრაფად წავა.

– შენ რა, ელფებს უტოვებ ამ ქუდებს? – ნელა ჩაილაპარაკა რონმა, – მანამდე კი ათასი ნაგვით რთავ?

– ზუსტად, – გამომწვევად დაუდასტურა ჰერმიონმა და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

– ასე არ შეიძლება, – გაუბრაზდა რონი, – შენ ცდილობ, ეშმაკობით შეაჩეჩო ეს ქუდები. გინდა, გაათავისუფლო ისინი, მაგრამ არ გაინტერესებს, მათ სურთ თუ არა გათავისუფლება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისინი თავისუფლებაზე ოცნებობენ, – შეედავა ჰერმიონი და სახე ერთიანად აუწითლდა, – და არ გაბედო ქუდებისთვის ხელის ხლება, გაიგე? – გააფრთხილა და ოთახიდან გავიდა.

რონმა მოიცადა, სანამ გოგონების საძინებელში გამავალი კარი დაიხურებოდა, შალის ქუდებიდან მთელი ნაგავი გადმობერტყა და გულმოსულმა თქვა:

– დაინახონ მაინც, რას უძღვნიან საჩუქრად. ხოლო რაც შეეხება ამას... – საგულდაგულოდ დაახვია პერგამენტი, რომელზეც სნეიპის მიერ მიცემული საშინაო დავალების სათაური იყო გამოყვანილი, – ტყუილად არ მოვიკლავ თავს, ჰერმიონის გარეშე მაინც ვერაფერს დავწერ. წარმოდგენა არა მაქვს მთვარის ქვაზე. შენ?

ჰარიმ თავი გააქნია და იგრძნო, გოლიათებთან ბრძოლის შესახებ დასაწერ თემაზე ფიქრმა როგორ გაუძლიერა მარჯვენა საფეთქლის ტკივილი. ძალიან კარგად იცოდა, რომ დილით ინანებდა, რატომ არ შევასრულე დავალებაო, მაგრამ მაინც ჩატენა წიგნები ჩანთაში.

– მეც წამოვალ დასაძინებლად.

კარისკენ რომ მიდიოდა, სიმუსს ჩაუარა გვერდით, მაგრამ არც შეუხედავს. ჰარის მოეჩვენა, რომ სიმუსმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მაინც ნაბიჯს აუჩქარა და თავგადასავლების გარეშე მიაღწია უკაცრიელ სპირალურ ქვის კიბეს და შვებით ამოისუნთქა.

* * *

შემდეგი დილაც წინასავით უჟმური გამოდგა – წვიმიანი და ტყვიისფერი. საუზმისას მასწავლებელთა მაგიდასთან ჰაგრიდი ისევ არ გამოჩენილა.

– სამაგიეროდ, დღეს სნეიპის გაკვეთილი არა გვაქვს, – ხალისიანად თქვა რონმა.

ჰერმიონმა დაამთქნარა და ყავა დაისხა. აშკარად კარგ გუნებაზე ჩანდა, თითქოს რაღაც უხაროდა. როცა რონმა ჰკითხა, ნეტა ვიცოდე, რა გიხარიაო, უპასუხა:

– ქუდები ადგილზე აღარ დამხვდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ელფებს ნამდვილად უნდათ თავისუფლება.

– არ ვიცი, არ ვიცი... შეიძლება ვერც მიხვდნენ, რომ ქუდები იყო. მე რომ მკითხო, ქუდებს კი არა, ნაქსოვ ბუშტებს უფრო ჰგავდა, – ცივი წყალი გადაასხა რონმა.

ჰერმიონი მთელი დილა აღარ დალაპარაკებია.

იმ დღეს ორმაგ შელოცვებს ორმაგი ტრანსფიგურაცია მოჰყვე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა. პროფესორმა ფლიტვიკმა და პროფესორმა მაკგონაგელმა გაკვეთილების პირველი თხუთმეტი წუთი **ბუა**-ს გამოცდებზე ილაპარაკეს.

– თქვენ უნდა გახსოვდეთ, – დაიწრიპინა ტანმოკლე ფლიტვიკმა, ჩვეულებისამებრ, ერთმანეთზე დაწყობილ წიგნებზე შედგა, რომ მაგიდას ერთი თავით მაინც ასცილებოდა, – რომ ეს გამოცდები თქვენს მომავალზე გავლენას მოახდენს. თუ ჯერ კიდევ არ დაფიქრებულხართ მომავალ პროფესიაზე, ახლა სწორედ დაფიქრების დროა. მანამდე კი ჩვეულებრივზე მეტი მუშაობა მოგვიწევს, რათა გამოცდებზე ღირსეულად წარდგეთ.

ამის შემდეგ საათზე მეტხანს გამოძახების შელოცვებს იმეორებდნენ, რომელთა გარეშეც, როგორც პროფესორმა ფლიტვიკმა ბრძანა, გამოცდაზე არაფერი გამოუვიდოდათ. გაკვეთილის ბოლოს კი იმდენი საშინაო დავალება მისცა, რამდენიც არასოდეს მიუცია.

ამაზე უარესი თუ არა, უკეთესი არც ტრანსფიგურაციის გაკვეთილი გამოდგა.

– სერიოზული პრაქტიკის, სიბეჯითისა და შეუპოვრობის გარეშე, შეუძლებელია **ბუა**-ს ჩაბარება, – მკაცრად თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, – მე ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რომ ამ კლასის თითოეულმა წევრმა წარმატებით არ ჩააბაროს ტრანსფიგურაციის გამოცდა – მხოლოდ შრომაა საჭირო (ნევილმა ჩუმად ამოიკვნესა). დიახ, თქვენც, ლონგბოტომ, – მიუბრუნდა პროფესორი მაკგონაგელი, – ცუდად არ სწავლობთ, მაგრამ თავდაჯერება გაკლიათ. მაშ, ასე, დღეს ვიწყებთ გაუჩინარების შელოცვის შესწავლას. აღდგენის შელოცვებზე გაცილებით იოლია. აღდგენის შელოცვებს კი სისტემატურად უშუალოდ გამოცდებისთვის მზადების პერიოდში შეისწავლით. თუმცა, გაუჩინარების შელოცვა **ბუა**-ს პროგრამაში ერთ-ერთ რთულ შელოცვად ითვლება.

პროფესორმა მაკგონაგელმა სრული სიმართლე თქვა. ჰარისთვის გაუჩინარების შელოცვა მართლა ძნელი გამოდგა. ორმაგი გაკვეთილის ბოლოსთვის ვერც მან და ვერც რონმა ვერ მოახერხეს ლოკოკინას გაქრობა. თუმცა, რონმა ოპტიმისტურად განაცხადა, რომ მისი ლოკოკინა ოდნავ გაფერმკრთალდა. ჰერმიონმა კი უკვე მესამე ცდაზე წარმატებით გააქრო თავისი ლოკოკინა, ამის გამო გრიფინდორისთვის ათი ქულაც დაიმსახურა და საშინაო დავალებასაც გადაურჩა. დანარჩენებს კი ნაბრძანები ჰქონდათ, ლოკოკინასთან სახვალიო შებრძოლებისთვის საღამოს უსათუოდ ევარჯიშათ.

ამოდენა საშინაო დავალებით დაშინებულმა ჰარიმ და რონმა დიდი დასვენება ბიბლიოთეკაში გაატარეს, სადაც შხამ-წამლების მომზა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დებაში მთვარის ქვის გამოყენების შესახებ არსებულ ლიტერატურას კითხულობდნენ. ჰერმიონი ჯერ კიდევ ნაწყენი იყო რონზე, ამიტომ მათ არ გაჰყოლია. ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილის დაწყებამდე ჰარის ისევ ასტკივდა თავი.

ამინდმა ისევ აურია. ციოდა და ქარიც ქროდა. ჰაგრიდის ქოხისკენ მიმავლებს, სახეზე წვიმის წვეთები ეცემოდათ. პროფესორი გრაბლი-პლენკი მოსწავლეებს ქოხიდან ათიოდე ნაბიჯზე ელოდებოდა. მის წინ ხარაჩოებზე დამაგრებული გრძელი მაგიდა იყო გაჭიმული. მაგიდაზე რაღაცის ტოტები ეყარა. როცა ჰარი და რონი მაგიდას მიუახლოვდნენ, უკნიდან ხარხარი მოესმათ. დრაკო მალფოიც თავის სლიზერინელ ძმაკაცებთან ერთად აქეთ მოაბოტებდა. ეტყობა, რაღაც ძალიან სასაცილო თქვა, რადგან კრაბს, გოილს, პენსი პარკინსონსა და კიდევ რამდენიმეს ვერაფრით შეეკავებინათ ჭიხვინი. იმის მიხედვით, როგორ უყურებდნენ ჰარის, ძნელი არ იყო გამოგეცნო, ვის დასცინოდნენ.

– ყველანი აქ ხართ? – იყვირა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა, როცა მაგიდასთან სლიზერინელები და გრიფინდორელები შეგროვდნენ, – მაშინ, დავიწყოთ. ვინ მეტყვის, რა ჰქვია ამას?

პროფესორმა წვრილი ტოტების გროვაზე მიუთითა. ჰერმიონმა ხელი ასწია. ზურგს უკან მალფოი დაკრეჭილი კბილებით აჯავრებდა ჰერმიონს, ვითომ ერთი სული ჰქონდა, შეკითხვაზე ეპასუხა. პენსი პარკინსონმა სიცილისგან დაიწკმუტუნა, მაგრამ წკმუტუნი მაშინვე გულისშემძვრელ კივილად იქცა. მაგიდაზე დაწყობილი ტოტები წამოხტნენ. ეს იყო ველური ხის არსებები, ყავისფერ ხელფეხიანები. თითოეულ ხელზე ორ-ორი წანაზარდი, ქერქით დაფარული სასაცილო სახეები და ბაღლინჯოსფერი თვალები ჰქონდათ.

– ო-ო-ო, რა საოცარია! – წამოიძახეს პარვატიმ და ლევენდერმა, რითაც ძალიან ატკინეს გული ჰარის. კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, თითქოს ჰაგრიდს არასდროს საინტერესო არაფერი უჩვენებიაო. ჰო, რა თქმა უნდა, ფლობერჭიები ცოტათი მოსაწყენები იყვნენ, მაგრამ სალამანდრებსა და ჰიპოგრიფებზე ამას ვერ იტყოდი, აი, ცეცხლაკუდა კი, მართლაც, საოცარი არსება იყო.

– აბა, გოგონებო, ჩუმად! – ბრძანა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა და ცოცხალ ჯოხებს ერთი მუჭა ყავისფერი მარცვალი დაუყარა. არსებები მაშინვე დააცხრნენ საკვებს, – აბა, ვინ მეტყვის, რა ჰქვია ამ არსებებს? მის გრეინჯერ?

– ტყისკაცუნები. ესენი ხის მცველები არიან, ცხოვრობენ იმ ხეებზე, რომლებსაც ჯადოსნური ჯოხების დასამზადებლად იყენებენ, – უპასუხა ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხუთი ქულა გრიფინდორს, – გამოაცხადა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა, – დიახ, ეს ტყისკაცუნებია და, როგორც სწორად აღნიშნა ჰერმიონ გრეინჯერმა, მეტწილად იმ ჯიშის ხეებზე ცხოვრობენ, რომლებსაც ჯადოსნური ჯოხებისთვის იყენებენ. თუ იცის ვინმემ, რით იკვებებიან?

– ნამისჭიებით, – სწრაფად თქვა ჰერმიონმა და ჰარი მიხვდა, რატომ ინძრეოდნენ ყავისფერი მარცვლები, – ან ციცინათელების კვერცხებით, თუკი იშოვიან.

– ძალიან კარგი, კიდევ ხუთი ქულა გრიფინდორს, – გამოაცხადა გრაბლი-პლენკმა, – მაშ, ასე, თუ თქვენ იმ ხის მასალა გჭირდებათ, რომელზედაც ეს არსებები ცხოვრობენ, უნდა მოიმარაგოთ ნამისჭიები, რათა ყურადღება მათზე გადაატანინოთ და დააწყნაროთ. შესახედავად უწყინარები არიან, მაგრამ თუ გააბრაზეთ, შეეცდებიან, აი, ამ ბასრი თითებით ამოგთხარონ თვალები. ახლა კი ახლოს მოიწიეთ, სამ-სამად დაიყავით, თითო ტყისკაცუნა და ნამისჭია აიღეთ და კარგად დააკვირდით. გაკვეთილის ბოლომდე თითოეულმა თქვენგანმა უნდა ჩაიხატოს ტყისკაცუნა და მონიშნოს მისი სხეულის ყველა ასო.

მოსწავლეები ჯგუფად წავიდნენ მაგიდისკენ. ჰარიმ განგებ შემოუარა მაგიდას, რათა პროფესორ გრაბლი-პლენკის გვერდით მოხვედრილიყო, და სანამ დანარჩენები ტყისკაცუნებს არჩევდნენ, ჰკითხა:

– ჰაგრიდი სად არის?

– ეს თქვენ არ გეხებათ, – მკაცრად მიუგო პროფესორმა გრაბლი-პლენკმა. დაახლოებით, ასეთივე პასუხი გასცა შარშანაც, როცა ჰაგრიდს ცვლიდა. ამასობაში დრაკო მალფოი დამცინავი ღიმილით გადმოიხარა ჰარის ზურგს უკნიდან და ყველაზე მსხვილ ტყისკაცუნას დასტაცა ხელი.

– გამორიცხული არ არის, – ხმადაბლა, მარტო ჰარის გასაგონად თქვა მალფოიმ, – რომ ის უტვინო სერიოზულად დასახიჩრდა.

– მოკეტე, თორემ ისე დაგასახიჩრებ, პატრონმა ვერ გიცნოს, – კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

– გამორიცხული არ არის, რომ მეტისმეტად დიდ რაღაცას გადაეყარა, ალბათ იცი, რასაც ვგულისხმობ.

მალფოიმ კიდევ ერთხელ ჩაიცინა და გაშორდა. ჰარიმ უეცრად ძალიან ცუდად იგრძნო თავი. ნუთუ მალფოიმ რამე იცის? მამამისი ხომ „სიკვდილის მხვრელი“ იყო. ხომ შეიძლება, ისეთი რაღაც იცის ჰაგრიდზე, რაც ჯერ არ შეუტყვიათ ფენიქსის ორდენში. ჰარიმ ისევ შემოუარა მაგიდას და რონისა და ჰერმიონისკენ წავიდა. ისინი ცოტა მოშორებით ბალახზე ჩაცუცქულები ცდილობდნენ, დაეშოშმინებინათ ტყისკაცუნა, რომ როგორმე ჩაეხატათ. ჰარიმ პერგამენტი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ბატის ფრთა ამოიღო, მეგობრებთან ჩაიცუცქა და ჩურჩულით გადასცა ის, რაც მალფოისგან გაიგო.

– ჰაგრიდს რომ რამე მოსვლოდა, დამბლდორს ეცოდინებოდა, – მაშინვე იაზრა ჰერმიონმა, – ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჰარი, მალფოის სწორედ ის უნდა, რომ შეშფოთება შეგვატყოს. ჯობს, ტყისკაცუნა დაიჭირო, სახე უნდა ჩავიხატო...

– ჰო, – მათთანაც მიაღწია ხმამ. ლაპარაკის გაწელილ-გატყლარჭული მანერით უცებ გამოიცნობდით მალფოის, – ორიოდე დღის წინათ მამაჩემი მინისტრს ესაუბრა. როგორც ჩანს, სამინისტროს უნდა, ბოლო მოუღოს ჰოგვორტსში სწავლების არაპროფესიულ მეთოდებს. ასე რომ, თუ ეს ყეყეჩი კუნძი ისევ გამოჩნდა აქ, მაშინვე სადმე შორს უკრავენ თავს.

– ოოჰ!

ჰარიმ ისე მაგრად მოუჭირა ხელი არსებას, რომ კინაღამ გადაამტვრია. იმან კი საპასუხოდ ბასრი თითები დაუსვა და ხელზე ორი ღრმა ჭრილობა დაუტოვა. ჰარიმ ხელი გაშალა. კრაბი და გოილი ჰაგრიდის მომავალ დათხოვნაზე რომ ხარხარებდნენ, უფრო გულიანად აჭიხვინდნენ, როცა დაინახეს, როგორ მოუსვა ტყისკენ ცოცხალმა ჯოხმა და ხეების ფესვებში მიიმალა. როცა მდელოზე შორეული ზარის ხმა გაისმა, ჰარიმ დაახვია თავისი სისხლით მოთხუპნილი ნახატი და ჰერმიონის ცხვირსახოცით გადახვეული ხელით ჰერბოლოგიის გაკვეთილს მიაშურა. ყურებში ისევ მალფოის დამცინავი ხარხარი ედგა.

– თუ კიდევ ერთხელ გაბედავს, ყეყეჩი უწოდოს ჰაგრიდს... – დაიღრინა ჰარიმ.

– ჰარი, შეეშვი მალფოის, არ დაგავიწყდეს, რომ პრეფექტია, შეიძლება, ცხოვრება გაგიმწაროს...

– საინტერესოა, მაინც როგორია ეს მწარე ცხოვრება? იქნებ გამესინჯა მრავალფეროვნებისთვის მაინც? – გესლიანად თქვა ჰარიმ.

რონმა გაიცინა, მაგრამ ჰერმიონი მოიღუშა. სამივე ნელა მიდიოდა ბოსტნების გვერდით. ცას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, ეწვიმა თუ არა.

– მინდა, რომ ჰაგრიდი ჩქარა დაბრუნდეს, მეტი არაფერი, – ხმადაბლა თქვა ჰარიმ, როცა სათბურებს მიაღწიეს, – ოღონდ, ახლა არ მითხრათ, რომ ეს გრაბლი-პლენკი უკეთესი მასწავლებელია! – დაამატა მუქარით.

– არც ვაპირებდი, – მშვიდად უთხრა ჰერმიონმა.

– იმიტომ, რომ ჰაგრიდისნაირი ვერასოდეს გახდება, – დარწმუნებით თქვა ჰარიმ. თან, თავისდა სამწუხაროდ, მშვენივრად ესმო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, რომ გაკვეთილი, რომელიც ახლახან ჩაატარა გრაბლი-პლენკმა, სანიმუშო იყო.

უახლოესი სათბურის კარი გაიღო და იქიდან რამდენიმე მეოთხეკურსელი, მათ შორის, ჯინიც გამოვიდა.

– გამარჯობა, – სამივეს მიესალმა და გვერდით ჩაუარა. ცოტა ხნის შემდეგ ლუნა ლავგუდი გამოჩნდა. თავის კლასელებს კუდში მოჰყვებოდა. ცხვირი მიწით მოსვროდა, გრძელი თმა ცხენის კუდივით შეეკრა. ჰარი რომ დაინახა, გადმოკარკლული თვალები აღელვებისგან კიდევ უფრო გადმოუცვივდა. ლუნა პირდაპირ მისკენ წამოვიდა. თანაკლასელებმა ცნობისმოყვარე მზერა გამოაყოლეს. ლუნამ ღრმად ჩაისუნთქა და, არც კი მისალმებია, ისე წამოისროლა:

– მე მჯერა, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღდგა. ისიც მჯერა, რომ მას შეებრძოლე და გადარჩი.

– ეე... ჰო, – ძლივს ამოღერღა ჰარიმ.

ლუნას ყურებზე ფორთოხლისფერი ბოლოკები ეკიდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩათ პარვატისა და ლევენდერს და ხითხითისაგან კინაღამ გაიგუდნენ.

– იცინეთ, რამდენიც გინდათ! – ხმას აუწია ლუნამ, რომელსაც მოეჩვენა, რომ მის სიტყვებზე იცინოდნენ, – იყო დრო, როცა ადამიანებს ეგონათ, რომ არ არსებობდნენ ისეთი არსებები, როგორებიცაა რქაგრეხილი ციკლოპები!

– მაგრამ ხომ მართლები აღმოჩნდნენ, ასე არ არის? – გაღიზიანებულმა იკითხა ჰერმიონმა, – ქვეყნად არც არიან და არც ყოფილან ასეთი არსებები.

ლუნამ თვალებით გაანადგურა ჰერმიონი და გაეცალა. ფორთოხლისფერი ბოლოკები დამთხვეულებივით ქანაობდნენ მის ბიბილოებზე. ახლა მარტო პარვატი და ლევენდერი კი არა, სხვებიც იფხრიწებოდნენ სიცილისგან.

– თუ შეიძლება, მორჩით იმ ერთადერთი ადამიანის დაჩაგვრას, ვისაც ჩემი სჯერა, – სთხოვა ჰარიმ ჰერმიონს, როცა საკლასო ოთახისკენ მიდიოდნენ.

– თავს ნუ ისაწყლებ, ჰარი, სხვებიც მოიძებნებიან, – უსაყვედურა ჰერმიონმა, – მაგ შენს ლუნაზე კი ჯინი უკვე მომიყვა. მას მხოლოდ იმისი სჯერა, რისი დამტკიცებაც შეუძლებელია. იმ კაცის ქალიშვილისგან, ვინც ჟურნალ „ქარაგმებს“ გამოსცემს, სხვას რას უნდა ელოდე.

ჰარის ფრთოსანი ცხენები გაახსენდა. მაშინ ლუნამ უთხრა, რომ ისიც ხედავდა მათ. ჰარის გული დაუმძიმდა. ნუთუ იტყუებოდა? ფიქრები ერნი მაკმილანმა გააწყვეტინა, მასთან მივიდა და კარგა ხმამაღლა უთხრა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მინდა იცოდე, პოტერ, რომ შენს მხარეზე მარტო შეშლილები არ არიან. პირადად მე ყველაფერი მჯერა. ჩვენი ოჯახი ყოველთვის დამბლდორს უჭერდა მხარს, მეც მის მხარეს ვიქნები.

– ე... დიდი მადლობა, ერნი, – თქვა გაოცებულმა და გახარებულმა ჰარიმ. მისთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისეთი ადამიანის მხარდაჭერა, ვისაც საყურეებად ბოლოკი არ ეკიდა. ერნის სიტყვებზე ლევენდერ ბრაუნს იმწამსვე ღიმილი გაუქრა, ხოლო როცა ჰარი რონისა და ჰერმიონისკენ შებრუნდა, თვალი მოჰკრა, რომ სიმუსს შეცბუნებული, მაგრამ მაინც ჯიუტი გამომეტყველება ჰქონდა.

პროფესორმა სპრაუტმა გაკვეთილი, რაღა თქმა უნდა, **ბუა**-ს გამოცდების მნიშვნელობაზე ლაპარაკით დაიწყო. ჰარის აზრით, კარგი იქნებოდა, მასწავლებლებს, ბოლოს და ბოლოს, შეეწყვიტათ ერთი და იმავეს ჩიჩინი. როგორც კი გაახსენდებოდა, რამდენი დავალება აჰკიდეს, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მთელი შიგნეულობა თოკით გადაუკვანძეს. ეს გრძნობა განსაკუთრებით მაშინ გაუძლიერდა, როცა გაკვეთილის ბოლოს პროფესორმა სპრაუტმა მორიგი წერითი საშინაო დავალება მისცა. დაქანცულები და პროფესორ სპრაუტის საყვარელი სასუქით, დრაკონის ნეხვით აყროლებულები კოშკისკენ დაიძრნენ. ცოტას ლაპარაკობდნენ. კიდევ ერთი მძიმე დღე უკან დარჩა.

ჰარის ძალიან შიოდა და რადგან სასჯელის პირველი სეანსი პროფესორ ამბრიჯთან ხუთზე ჰქონდა დანიშნული, ჩანთა კოშკში არც კი აუტანია, ისე გაეშურა სავახშმოდ. ამ უცნობი განსაცდელის წინ ცოტა უნდა მომაგრებულიყო. მაგრამ დიდ დარბაზში შესვლაც ვერ მოასწრო, რომ გაბრაზებული ხმა გაისმა:

– ეი, პოტერ!

– რა იყო, – ჩაიბურტყუნა დაღლილმა და დაინახა, რომ ანჯელინა ჯონსონი გაცეცხლებული მოდიოდა მისკენ.

– ახლავე გეტყვი, რაც იყო, – თქვა და თითი ატაკა მკერდში, – მაინც როგორ მოახერხე სასჯელის აკიდება მაინცდამაინც პარასკევს, საღამოს ხუთი საათისთვის?

– რა? – იკითხა ჰარიმ, – არ მეს... ა, ჰო, მეკარეების შესარჩევი...

– გაგახსენდა! – აღშფოთდა ანჯელინა, – ხომ ვთქვი, მთელი გუნდი მჭირდება-მეთქი, მინდოდა, მენახა, როგორ მოერგებოდა ახალი მოთამაშე! ვითომ არ იცი, რომ საგანგებოდ შევუკვეთე მინდორი ამ დროისთვის? შენ კი ათესვას აპირებ!

– არაფერსაც არ ვაპირებ! – იუარა ამ უსამართლობით განაწყენებულმა ჰარიმ, – ამბრიჯმა დამსაჯა ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე სიმართლის თქმისთვის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ ასეა, მაშინ ახლავე წადი და სთხოვე, პარასკევისთვის გაგათავისუფლოს, – მოითხოვა ანჯელინამ, – ჩემი საქმე არ არის, როგორ დაითანხმებ, თუ გინდა, უთხარი, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, იმის ამბავი მოვიგონე-თქო, მაგრამ პარასკევს სათამაშო მინდორზე უნდა იყო!

მკვეთრად შეტრიალდა და წავიდა.

– იცით, რა? – უთხრა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, როცა დიდ დარბაზში შევიდნენ, – ერთი „ჯადოქრული სპორტი დღეს“ უნდა გადავათვალიერო, ოლივერ ვუდი ვარჯიშზე ხომ არ დაიღუპა. ეტყობა, ანჯელინას სხეულში ვუდის სული ჩასახლდა.

– მაინც როგორ გგონია, ამბრიჯი პარასკევს გაგათავისუფლებს? – უიმედოდ იკითხა რონმა, როცა გრიფინდორელთა მაგიდას მიუსხდნენ.

– ძალიან მეეჭვება, – წარბშეკრულმა უპასუხა ჰარიმ და ცხვრის ხორცი გადაიღო, – მაგრამ ვცდი, რას ვკარგავ? სანაცვლოდ, მაგალითად, ორი დამატებითი სასჯელის მოხდას შევთავაზებ... – ლუკმა გადაყლაპა და დაამატა: – კარგი იქნება, თუ დღეს დიდხანს არ გამაჩერებს. სამი წერითი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი; მაკგონაგელისთვის გაუჩინარების შელოცვაში უნდა წავივარჯიშოთ; ფლიტვიკისთვის კონტრშელოცვა უნდა ვიპოვოთ; ჩანახატიც გვაქვს გასაკეთებელი და ეს სულელური სიზმრების დღიური – ტრელოუნისთვის!

რონმა დაიკვნესა და თვალები რატომღაც ჯადოსნური ჭერისკენ აღაპყრო.

– როგორც ჩანს, გაავდრდება.

– რა შუაშია წვიმა, როცა საშინაო დავალებაზე ვლაპარაკობთ? – წარბი აწკიპა ჰერმიონმა.

– არაფერ შუაშიც არ არის, – სწრაფად უპასუხა რონმა, მაგრამ ყურები წამოუწითლდა.

ხუთს რომ ხუთი წუთი უკლდა, ჰარი მეგობრებს გამოემშვიდობა და მეოთხე სართულზე, ამბრიჯის კაბინეტისკენ გასწია. როცა დააკაკუნა, შემობრძანდითო, უპასუხა დაშაქრულმა ხმამ. ფრთხილად შევიდა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

მშვენივრად ახსოვდა ეს კაბინეტი წინა სამი მფლობელის დროიდან. გილდეროი ლოკჰარტის დროს კედლები მისი პორტრეტებით იყო მორთული. ლუპინის დროს აქ აუცილებლად დაგხვდებოდა გალიაში ან აკვარიუმში გამომწყვდეული რამე უცხო არსება. თვითმარქვია მუდის დროს კი კაბინეტი საიდუმლო შეთქმულების გასახსნელი ინსტრუმენტებითა და ხელსაწყოებით იყო გამოტენილი.

ახლა აქაურობა მთლიანად შეცვლილიყო. ყველაფერზე ქსოვილი გადაეფარებინათ, ზოგან – მაქმანიანი, ზოგან – უბრალო. გამხმარყ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვავილებიანი რამდენიმე ლარნაკი თავ-თავის ხელსახოცზე იდგა. ერთ-ერთ კედელზე დეკორატიული თეფშების კოლექცია ეკიდა. ზედ ფერადი კნუტები იყო გამოხატული, რომლებიც ისეთი უშნოები იყვნენ, რომ ჰარი გაოცებული შესცქეროდა, სანამ პროფესორმა ამბრიჯმა ხელმეორედ არ ამოიღო ხმა:

– საღამო მშვიდობისა, პოტერ.

ჰარი შეკრთა და შემობრუნდა. აქამდე იმიტომ ვერ შენიშნა, რომ ჭრელაჭრულა ყვავილებით მოხატული მისი მანტია საწერი მაგიდის ფერადი გადასაფარებლის ფონზე სულაც არ ჩანდა.

– საღამო მშვიდობისა, პროფესორო ამბრიჯ, – უფერული ხმით გამოეპასუხა ჰარი.

– რას დგახართ, დაბრძანდით, – პროფესორმა ამბრიჯმა პატარა მაგიდისკენ ანიშნა. იქვე მაღალზურგიანი სკამი იდგა. მაგიდას არშია-შემოვლებული სუფრა ეფარა, ზედ კი სუფთა პერგამენტი იდო და აშკარად ჰარის ელოდებოდა.

– ეე... – შეყოყმანდა ჰარი და ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, – პროფესორო ამბრიჯ, სანამ დავიწყებდეთ, მე... მე მინდა, გთხოვოთ...

პროფესორ ამბრიჯს გადმოკარკლული თვალები დაუვიწროვდა.

– გისმენთ.

– საქმე ის არის, რომ მე გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდში ვთამაშობ. პარასკევს, ხუთ საათზე, მეკარის შესარჩევ ვარჯიშზე უნდა ვიყო და ვიფიქრე... ვიფიქრე, იქნებ გაგეთავისუფლებინეთ იმ საღამოს, სასჯელს კი სხვა დღეს მოვიხდიდი...

სანამ სათქმელს დაამთავრებდა, უკვე მიხვდა, რომ არაფერი გამოვიდოდა.

– როგორ გეკადრებათ, – ამბრიჯმა ისე გაიღიმა, თითქოს ეს-ეს არის ძალიან იშვიათი და გემრიელი ბუზი გადაყლაპაო, – რას ამბობთ, პოტერ. თქვენ თვითრეკლამის მიზნით საზიზღარი და საზიანო ამბების გავრცელებისთვის ხართ დასჯილი და თქვენი გულისთვის არავინ არაფერს შეცვლის. რა თქმა უნდა, არა. თქვენ აქ გამოცხადდებით ხუთ საათზე, ხვალაც, ზეგაც, პარასკევსაც. თქვენი დასჯა ისე წარიმართება, როგორც ჩაფიქრებულია. კარგი იქნება, თუ იმის გაცდენა მოგიწევთ, რის გაცდენაც არ გსურთ. ეს უფრო ჭკუის სასწავლებელს გახდის იმ გაკვეთილს, რომელიც უნდა ჩაგიტაროთ.

ჰარიმ იგრძნო, როგორ აუვარდა სისხლი თავში და საფეთქლებმა ბაგაბუგი დაუწყო. როგორ, ჰარი თვითრეკლამის მიზნით საზიზღარ და ზიანის მომტან ისტორიებს ჰყვება?

ამბრიჯს თავი ოდნავ გადაეხარა გვერდზე, ისევ ისე იღიმებოდა, თითქოს ზუსტად იცოდა, რაზე ფიქრობდა ჰარი და ახლა იმას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცდიდა, ისევ აყვირდებოდა თუ არა. უკიდურესი ძალისხმევით ჰარიმ მზერა მოარიდა, ჩანთა სკამის გვერდით, იატაკზე დააგდო და დაჯდა.

– აი, ასე, – ალერსიანად თქვა ამბრიჯმა, – ჩვენ უკვე ვერევით თავს, ასე არ არის? ახლა, პოტერ, თქვენ ჩემთვის სტრიქონების განსაზღვრულ რაოდენობას დაწერთ. არა, თქვენი ბატის ფრთით არა. თქვენ ჩემი, სპეციალური ბატის ფრთით დაწერთ. აი, გამომართვით.

ამბრიჯმა შავი ფრთა გაუწოდა, ძალიან გრძელი, წვრილი და საოცრად მახვილწვერიანი.

– ახლა გთხოვთ, დაწეროთ ფრაზა: „მე არ უნდა ვიცრუო“,

– რბილად უთხრა ამბრიჯმა.

– რამდენჯერ? – იკითხა ჰარიმ რაც შეიძლება ზრდილობიანად.

– იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება, რომ აზრი ჩაგებეჭდოთ, – ალერსიანად აუხსნა ამბრიჯმა, – დაიწყეთ.

თავისი საწერი მაგიდისკენ წავიდა, დაჯდა და პერგამენტების დასტისკენ დაიხარა, რომელიც, უეჭველად, წერითი სამუშაოები იყო. ჰარიმ შავი ფრთა აიღო, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც აკლდა.

– მელანი არ მოგიციათ, – თქვა მან.

– ო, მელანი არ დაგჭირდებათ, – დაარწმუნა პროფესორმა ამბრიჯმა და ჩაიცინა.

ჰარიმ ფრთა მოიმარჯვა და დაწერა: „მე არ უნდა ვიცრუო“. დაწერა და ამოიკვნესა. პერგამენტზე დაწერილი ასოები ალისფრად კაშკაშებდა. იგივე სიტყვები, თითქოს სკალპელით ამოჭრესო, მარჯვენა ხელის ზურგზეც გამოისახა. მაგრამ ვერც კი მოასწრო თვალი მოეცილებინა ამ ახალთახალი ჭრილობისთვის, რომ პრიალა კანი გადაეკრა, სულ ცოტა სიწითლეღა დარჩა.

ჰარიმ ამბრიჯს გახედა. ის გომბეშოსებური გაფლაშული პირით იღიმებოდა.

– დიახ?!

– არა, არაფერი, – ხმადაბლა თქვა ჰარიმ.

ისევ დახედა პერგამენტს, ისევ დაწერა: „მე არ უნდა ვიცრუო“, და ისევ იგრძნო მწვავე ტკივილი. სიტყვები ისევ ამოიკვეთა ხელის ზურგზე და ისევ შეხორცდა რამდენიმე წამში.

ჰარი წერდა და წერდა სიტყვებს პერგამენტზე, როგორც თვითონ მიხვდა, საკუთარი სისხლით. უხილავი სკალპელიც ისევ და ისევ კვეთდა კანზე ამ სიტყვებს, რომელიც სწრაფადვე ხორცდებოდა.

გარეთ ჩამობნელდა. ჰარი არ ეკითხებოდა ამბრიჯს, როდის დასრულდებოდა ეს ყველაფერი. ერთხელაც არ შეუხედავს საათისთვის. იცოდა, რომ ამბრიჯი სულ უთვალთვალებდა, ამიტომ ცდილობდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არაფერი შეემჩნია; მთელ ღამეს რომ მოუწიოს აქ ჯდომა და საკუთარი ხელის ფატვრა, მაინც არაფერს შეიმჩნევს.

– აქ მოდით, – უთხრა მან ბოლოს, როცა, ჰარის ვარაუდით, რამდენიმე საათი გავიდა.

ჰარი ადგა. მარჯვენა ხელის მტევანი დაბუჟებოდა. დახედა. ჭრილობები შეხორცებულიყო, მაგრამ კანი გაწითლებული ჰქონდა და უხურდა.

– მიჩვენეთ ხელი, – უთხრა პროფესორმა ამბრიჯმა. ჰარიმ ხელი გაუწოდა. როცა ამბრიჯი შეეხო თავისი კოტიტა თითებით, რომლებზეც ძველმოდური, უმსგავსი ბეჭდები ჰქონდა წამოცმული, კანკალისგან ძლივს შეიკავა თავი.

– ვაი, რომ, შედეგები ჯერჯერობით მოკრძალებულია, – ღიმილით თქვა ამბრიჯმა, – არა უშავს, ხვალ საღამოს განვაგრძობთ, ასე არ არის? შეგიძლიათ, წახვიდეთ.

ჰარი უსიტყვოდ გამოვიდა კაბინეტიდან. სკოლა დაცარიელებულს ჰგავდა. ალბათ, შუაღამე გადასული იყო. ერთხანს ნელა მიაბიჯებდა დერეფანში, მაგრამ როგორც კი კუთხეში შეუხვია, გაიქცა – აქედან ამბრიჯი ველარ გაიგონებდა ნაბიჯების ხმას.

* * *

ისე იყო დაღლილი, არც გაუჩინარების შელოცვებისთვის ეყო ძალ-ღონე, არც ჩანახატის გასაკეთებლად, არც წერითი სამუშაოების შესასრულებლად. დილით კი სასაუზმოდ არ წასულა, იქნება მისნობის გაკვეთილისთვის რაღაც მაინც მოვასწროო, და სახელდახელოდ შეთხზა ორი ყალბი სიზმარი. საოცარი ის იყო, რომ არც რონს ჰქონდა დავალება შესრულებული.

– საღამოს რამ შეგიშალა ხელი? – ჰკითხა ჰარიმ მეგობარს, რომელიც აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, იქნებ შთაგონება მეწვიოსო. რონმა წაიბუტბუტა, „სხვა რაღაცას ვაკეთებდიო“, და, პერგამენტზე დახრილმა, რამდენიმე სიტყვა დაფხაჭნა.

– ეეჰ, გამოდგება, რა, – თქვა და დღიური დახურა, – დავწერე, ვითომ დამესიზმრა, რომ ახალ ფეხსაცმელს ვყიდულობდი. თუმცა არ მგონია, აქედან რამე გამოწუროს.

ორივე სწრაფი ნაბიჯით გაემართა ჩრდილოეთის კოშკისკენ.

– რა მოხდა ამბრიჯთან, რა გაგაკეთებინა?

ჰარი წამით შეყოყმანდა, მერე კი უპასუხა:

– სტრიქონები მაწერინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეტი არაფერი?

– არაფერი.

– ჰო, მართლა, პარასკევს გიშვებს?

– არა, – თქვა ჰარიმ.

რონმა თანაგრძნობით გადააქნია თავი.

ის დღეც საზიზღარი გამოდგა ჰარისთვის. რადგან გაუჩინარების შელოცვაში არ უვარჯიშია, ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე ჩაფლავდა. მთელი დიდი დასვენება ჩანახატზე დახარჯა. ამასობაში მაკგონაგელმა, გრაბლი-პლენკმა და სინისტრამ ახალი საშინაო დავალებები მისცეს, რომელთა შესრულების შანსი ამბრიჯის სასჯელის გამო ნაღდად არ ჰქონდა. ამას ისიც დაერთო, რომ ვახშამზე ანჯელინა ჯონსონმა ისევ გამოიჭირა და როცა გაიგო, პარასკევს ვარჯიშზე ვერ მივიდოდა, უთხრა, რომ იმედგაცრუებულია საქმისადმი მისი დამოკიდებულებით და რომ მოთამაშემ, რომელსაც გუნდში დარჩენა სურს, ვარჯიში ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოს.

– დასჯილი ვარ, ვერ გაიგე? – იღრიალა ჰარიმ, როცა ანჯელინა შებრუნდა და წავიდა, – როგორ ფიქრობ, იმ ბებერ გომბეშოსთან ყოფნა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ქვიდიჩის თამაში?

– ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სტრიქონებს გაწერინებს და მეტი არაფერი, – ნუგეშისცემა დაუპირა ჰერმიონმა, როცა ჰარი ისევ დაჯდა და ბიფშტექსსა და ღვეზელს უმადოდ შეხედა, – არც ისე საშინელი სასჯელია.

ჰარიმ პირი გააღო, მერე ისევ დახურა და თავი დაუქნია. თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რატომ უმალავდა ჰერმიონსა და რონს, რაც ამბრიჯის კაბინეტში მოხდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ არ უნდოდა, მეგობრები შეწუხებულიყვნენ. მათი წუხილი უფრო აუტანელს გახდიდა მის ტანჯვას. იმასაც ბუნდოვნად გრძნობდა, რომ რაც იქ ხდებოდა, არავის უნდა გაეგო, რადგან მასა და ამბრიჯს შორის შეუპოვარი ბრძოლა იყო გამართული და გადაწყვეტილი ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში მისთვის სიამოვნება არ მიენიჭებინა თავისი წუწუნით.

– რა ამბავი საშინაო დავალებაა, გაგიჟდება კაცი, – ლამის იტირა რონმა.

– არ მესმის, გუშინ საღამოს რატომ არაფერი გააკეთე? – ჰკითხა ჰერმიონმა, – ჰო, მართლა, სად იყავი?

– მე... მე... სასეირნოდ გავედი, – პირდაპირ პასუხს თავის აარიდა რონმა.

ჰარი მიხვდა, რომ მარტო მას კი არა, სხვასაც ჰქონდა რაღაც საიდუმლო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მეორე საღამოს პირველზე უკეთ არ ჩაუვლია. ხელის მტევანზე კანი ახლა უფრო სწრაფად ულიზიანდებოდა, სულ ცოტა ხანში კი გაუწითლდა და დაუსივდა. ალბათ, ისე სწრაფად აღარ შეხორცდებაო, გაიფიქრა ჰარიმ, – მალე სიტყვები ხელში ჩამებეჭდება და ამბრიჯი თავის ჟინს დაიკმაყოფილებსო. მიუხედავად ამისა, მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დაუკვნესია (ამბრიჯმა ისევ ნაშუაღამევს გაუშვა), ერთი სიტყვაც არ უთქვამს, „საღამო მშვიდობისას“ და „ღამე მშვიდობისას“ გარდა.

აი, საშინაო დავალების საქმე კი მთლად კარგად ვერ მიდიოდა. ამიტომ დაბრუნდა თუ არა გრიფინდორელების ოთახში, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად იყო დაღლილი, არ დაწოლილა, სახელმძღვანელოები ამოიღო და სნეიპის მიერ მიცემული დავალების წერას შეუდგა. ღამის სამის ნახევრამდე წერდა. იცოდა, რომ დიდი ვერაფერი ნაშრომი გამოაცხო, მაგრამ რა უნდა ექნა. სხვა თუ არაფერი, რაღაცას მაინც ჩააბარებს, თუ არადა, ახალ სასჯელს დაიმსახურებს, ამჯერად – სნეიპისგან. მერე რის ვაი-ვაგლახით წაჯღაბნა პასუხები მაკგონაგელის შეკითხვებზე, რაღაც შეთხზა ჯადოსნური არსებების მოვლაზე გრაბლი-პლენკისთვის, ძლივს მილასლასდა საწოლამდე, გაუხდელად დაეგდო და მაშინვე ჩაეძინა.

* * *

ხუთშაბათმა აუტანელი დაღლილობის გამო ბურანში ჩაიარა. რონიც გამოუძინებელი იყო. ჰარი ვერ მიმხვდარიყო, მას რაღა დაემართა. დასჯის მესამე საღამო მხოლოდ იმით გამოირჩეოდა წინა ორისგან, რომ ორი საათის შემდეგ სიტყვები – „მე არ უნდა ვიცრუო“ აღარ წაიშალა ხელიდან. ასოებიდან სისხლი წვეთავდა. წამახული ფრთის წრიპინის წამიერმა შეწყვეტამ პროფესორი ამბრიჯი მისკენ მიახედა.

– აა, – რბილად თქვა და ხელის დასათვალიერებლად მივიდა, – ეს უკვე კარგია. გასახსენებლად გამოგადგება, ასე არ არის? დღეისთვის კმარა.

– ხვალ მოვიდე? – იკითხა ჰარიმ და ჩანთა მარცხენით აიღო, მარჯვენა ძალიან სტკიოდა.

– რა თქმა უნდა, – გულითადი ღიმილით უპასუხა ამბრიჯმა, – იმედია, შემდეგ საღამოს ამ შეგონებას უფრო ღრმად ჩავიბეჭდავთ.

აქამდე ჰარის ვერ წარმოედგინა, რომ ოდესმე ეყოლებოდა ისეთი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მასწავლებელი, რომელიც სნეიპზე მეტად შესჯავრდებოდა. გრიფინდორის კოშკისკენ მიმავალმა კი აღიარა, რომ სნეიპს ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა. „ბებერი ქოფაკი, – ფიქრობდა, როცა კიბით მერვე სართულზე ადიოდა, – შეშლილი ბებრუხანა...“

– რონ?

კიბის ზედა ბაქანზე მარჯვნივ შეუხვია თუ არა, კინაღამ რონს დაეჯახა. რონი ლაჩლან ლენჩის ქანდაკების უკან იდგა ცოცხს ჩაბღაუჭებული. ჰარის დანახვაზე მოულოდნელობისგან შეხტა და თავისი ახალი „ქლინსვიპ-11“-ის დამალვა სცადა.

– აქ რას აკეთებ? – გაუკვირდა ჰარის.

– მე... არაფერს. შენ თვითონ რა გინდა აქ?

ჰარი მოიღუშა.

– კარგი ერთი, შეგიძლია, მე მაინც მითხრა! აქ ვის ემალები?

– მე... ფრედსა და ჯორჯს, თუ მაინცდამაინც გინდა, იცოდე. ახლახან გაიარეს პირველკურსელებთან ერთად. ალბათ, ისევ რაღაცას ცდიან. საერთო ოთახში არაფერი გამოუვათ, იქ ჰერმიონია.

ძალიან სწრაფად, როგორღაც ციებცხელებიანივით ლაპარაკობდა.

– მაგრამ ცოცხი რაში გჭირდება? საით აპირებ გაფრენას?

– ჰკითხა ჰარიმ.

– მე... ისა... კარგი, გეტყვი, ოღონდ არ დამცინო, მოსულა? – თავის დაცვა სცადა რონმა, მაგრამ აშკარად შეეტყო, რომ უფრო და უფრო წითლდებოდა, – ვიფიქრე, ახლა, როცა ნორმალური ცოცხი მაქვს, იქნებ გრიფინდორის გუნდში მეკარედ ამიყვანონ-მეთქი. სულ ეს არის. მიდი, იცინე.

– რა არის სასაცილო, – გაუკვირდა ჰარის, – მშვენიერი იდეაა! გადასარევი იქნება, გუნდში რომ მოხვდე. ისე, ერთხელაც არ მინახავს, როგორ თამაშობ მეკარედ. კარგად გამოგდის?

– არა უშავს, – რონმა შვებით ამოისუნთქა, – ჩარლი, ფრედი და ჯორჯი არდადეგებზე რომ ვარჯიშობდნენ, მე სულ მეკარედ მაყენებდნენ ხოლმე.

– ესე იგი, ახლა მეკარის ილეთებს ამუშავებდი?

– სამშაბათიდან მოყოლებული... ისე, ჩემით. შევეცადე, ქუაფლი მომეჯადოებინა და ჩემკენ გამოფრენილიყო, მაგრამ ძალიან ძნელი ყოფილა. და საერთოდაც, დარწმუნებული არა ვარ, რომ რამე გამომივა, – რონს შეშფოთებული სახე ჰქონდა, – ფრედი და ჯორჯი სიცილით გაიფხრიწებიან, შერჩევაზე რომ მივალ. მას შემდეგ, რაც პრეფექტად დამნიშნეს, სულ დამცინიან.

– სამწუხაროა, რომ იქ არ ვიქნები, – ნაღვლიანად თქვა ჰარიმ, როცა ერთად წავიდნენ საერთო ოთახისკენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, მეც ვწუ... ჰარი, რა დაგემართა ხელზე?

ჰარიმ ის-ის იყო მარჯვენა ხელით ცხვირი მოიფხანა. მეგობრის შეძახილზე ხელი სწრაფად უკანვე წაიღო, მაგრამ რონისა და „ქლინსვიპისა“ არ იყოს, ვერც მან მოახერხა დამალვა.

– ისეთი არაფერი, გამეჭრა...

რონმა მაჯაზე წაავლო ხელი და მტევანი თვალებთან მიიტანა. საკმაოდ დიდხანს მდუმარედ დასცქეროდა კანზე ამოჭრილ სიტყვებს. ბოლოს ფერდაკარგულმა ხელი შეუშვა.

– თუ არ ვცდები, შენ თქვი, უბრალოდ, სტრიქონებს მაწერინებსო.

ჰარი შეყოყმანდა, მაგრამ რადგან რონი გულახდილი იყო მასთან, თვითონაც ყველაფერი უამბო.

– უჰ, ეგ დამპალი ნეხვის გროვა! – აღშფოთდა რონი, როცა ფუშფუშა ქალბატონთან შეჩერდნენ. ქალბატონს თავი მკერდზე ჩამოეგდო და უზრუნველად თვლემდა, – მთლად გიჟი ყოფილა. მიდი, მაკგონაგელს უთხარი!

– არა, – სწრაფად უპასუხა ჰარიმ, – ამით მხოლოდ ვასიამოვნებ ამბრიჯს. ამით იმას ვაღიარებ, რომ მომერია. არა, არ მინდა.

– მოგერია? მაგრამ ამის პატიება ხომ არ შეიძლება!

– ესეც არ იყოს, არ ვიცი, მაკგონაგელს მასზე რაიმე გავლენა აქვს თუ არა, – თქვა ჰარიმ.

– მაშინ, დამბლდორს უთხარი!

– არა, – იუარა ჰარიმ.

– რატომ?

– უჩემოდაც ბევრი საზრუნავი აქვს, – თქვა ჰარიმ, თუმცა, ნამდვილი მიზეზი სულ სხვა იყო. იმიტომ არ უნდოდა რამე ეთქვა დირექტორისთვის, რომ ივნისის შემდეგ დამბლდორი ერთხელაც არ დალაპარაკებია.

– და მაინც, მე მგონი... – დაიწყო რონმა, მაგრამ გამოღვიძებულმა ფუშფუშა ქალბატონმა გააწყვეტინა:

– იტყვით თუ არა პაროლს? რა, მთელი ღამე უნდა გელოდოთ, სანამ საუბარს მორჩებით?

* * *

პარასკევიც ისეთივე გამოდგა, როგორიც კვირის დანარჩენი დღეები – ცას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. დიდ დარბაზში რომ შევიდა, ჰარიმ, მიუხედავად იმისა, რომ ჰაგრიდის დანახვის იმედი არ ჰქონდა, მაინც გააპარა თვალი მასწავლებელთა მაგიდისკენ, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი გონება მაშინვე სადღეისო პრობლემებზე გადაერთო, ისეთებზე, როგორიც საშინაო დავალებების მთელი გროვა და პროფესორ ამბრიჯის კაბინეტში წამება იყო. ორი რამ ასულდგმულებდა ჰარის იმ დღეს. ერთი, რომ ხვალ უკვე დასვენების დღე იყო, და მეორეც – მიუხედავად იმისა, რომ ეს ბოლო დღე ამბრიჯთან, ალბათ, ძალიან მძიმე იქნებოდა, მისი კაბინეტიდან, მართალია, შორიდან, მაგრამ მაინც მოჩანს ქვიდიჩის მოედანი და თუ ბედი გაუღიმებდა, იქნებ დაენახა, როგორ გაივლიდა რონი შერჩევას. ეს იყო სინათლის ძალიან მკრთალი შუქი, მაგრამ ჰარის ყველაფერი ახარებდა, რაც კი ოდნავ მაინც გაფანტავდა გარშემო ჩამოწოლილ სიბნელეს. არც ერთი სასწავლო წელი არ დაწყებულა ასე საშინლად.

საღამოს ხუთ საათზე ჰარის დიდი იმედი ჰქონდა, რომ უკანასკნელად აკაკუნებდა ამბრიჯის კაბინეტის კარზე. ნაცნობმა ხმამ ოთახში შეიპატიჟა. მაგიდაზე, რომელსაც არშიაშემოვლებული სუფრა ჰქონდა გადაფარებული, სუფთა პერგამენტი ელოდა. გვერდით მახვილწვერიანი ფრთა იდო.

– იცით, რაც უნდა გააკეთოთ, პოტერ, – ტკბილად გაუღიმა ამბრიჯმა.

ჰარიმ ფრთა აიღო და ფანჯარას გახედა. სულ რამდენიმე სანტიმეტრით მარჯვნივ რომ გასწიოს სკამი... თავი ისე მოაჩვენა, ვითომ უფრო ახლოს უნდოდა მაგიდასთან სკამის მიდგმა, სინამდვილეში, მარჯვნივ გასწია. ახლა უკვე ხედავდა, როგორ დაფრინავდა შორს, ქვიდიჩის მოედანზე, გრიფინდორის გუნდი, ხედავდა გოლპოსტებთან გაჩერებულ ათიოდე მუქ ფიგურასაც. ესენი ალბათ ისინი იყვნენ, ვინც თავის რიგს უცდიდა შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად. ამ სიშორიდან რონის ცნობა შეუძლებელი იყო.

„მე არ უნდა ვიცრუო", – დაწერა ჰარიმ. ჭრილობები კანზე ისევ გაიხსნა და იქიდან სისხლმა გამოჟონა.

„მე არ უნდა ვიცრუო". ჭრილობები გაღრმავდა. ხელი გაუხურდა და ასტკივდა.

„მე არ უნდა ვიცრუო". სისხლმა მაჯისკენ გაიკვალა გზა. კიდევ ერთხელ იხელთა დრო და ფანჯარაში გაიხედა. ის მეკარე, რომელიც ამ დროს ჰარიმ დაინახა, ძალიან ცუდად იცავდა კარს. იმ რამდენიმე წამში, სანამ ჰარი ფანჯარაში იყურებოდა, ქეითი ბელმა ორჯერ მოასწრო ქუაფლის ჩაგდება. იმის იმედით, რომ რონი არ იყო, ჰარიმ გასისხლიანებულ პერგამენტზე გადაიტანა მზერა.

„მე არ უნდა ვიცრუო".

„მე არ უნდა ვიცრუო".

როგორც კი ხელსაყრელ დროს მოიხელთებდა, მაგალითად, როცა ამბრიჯის ბატის ფრთის წრიპინი ან გამოწეული უჯრის ჭრიალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ესმოდა, ჰარი გარეთ იყურებოდა. მესამე კანდიდატს არა უშავდა რა, მეოთხე არ ვარგოდა, მეხუთემ მოხერხებულად აიცდინა ბლაჯერი, მაგრამ მაშინვე საკმაოდ იოლად ასაღები ქუაფლი გაუშვა. გარეთ სწრაფად ბინდდებოდა. ჰარიმ არ იცოდა, მოასწრებდა თუ არა მეექვსისა და მეშვიდის დანახვას.

„მე არ უნდა ვიცრუო".

„მე არ უნდა ვიცრუო".

მთელი პერგამენტი უკვე სისხლით იყო მოსვრილი. ჰარიმ კიდევ ერთხელ ასწია თავი, მაგრამ ისე ჩამობნელებულიყო, რომ ველარაფერი გაარჩია.

– მოდით, აბა, ვნახოთ, შეითვისეთ თუ არა გაკვეთილი, – გაისმა ამბრიჯის შემპარავი ხმა.

ჰარისთან მივიდა და ბეჭდებით მორთული კოტიტათითებიანი ხელი გაუშვირა. ჰარიმ ხელი გაუწოდა, ამბრიჯმა კანში ჩაბეჭდილი სიტყვების თვალიერება დაიწყო. ჰარის უცებ სულ სხვა ტკივილმა დაუარა, ოღონდ ხელში კი არა, შუბლის ნაიარევზე. მაშინვე რაღაც უცნაური გრძნობაც გაუჩნდა გულის კოვზთან.

ხელი სწრაფად გამოჰგლიჯა ამბრიჯს, წამოხტა და დაჟინებით მიაცქერდა. ამბრიჯი მომჩვარული ვეებერთელა პირით იღიმებოდა.

– გტკივათ, არა? – ისეთივე შემპარავი ხმით ჰკითხა. ჰარის არ უპასუხია. გული გამალებით უცემდა, თავში ფიქრმა გაუელვა: ნეტავ რას გულისხმობს, დასისხლიანებულ ხელს თუ იმას, რაც ახლახან შუბლზე ვიგრძენიო?

– კეთილი. ვფიქრობ, რომ საჭირო დარიგება მიიღეთ, პოტერ. შეგიძლიათ, წახვიდეთ.

ჰარიმ ჩანთას ხელი დასტაცა და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

„მშვიდად, – ეუბნებოდა თავის თავს, როცა კიბეზე არბოდა, – მშვიდად, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც ფიქრობ..."

– მიმბულუს მიმბლეტონია! – სუნთქვას ამოაყოლა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტის წინ.

საერთო ოთახში მხიარული შეძახილებით შეხვდნენ. ერთიანად გაბრწყინებული რონი თასით ხელში მისკენ გამოექანა, გზადაგზა ბურბურახი ეღვრებოდა.

– ჰარი, გავიმარჯვე! მეკარედ მიმიღეს!

– მართლა? აუ, მაგარია! – თქვა ჰარიმ და გაღიმება სცადა. გული ისევ ბაგაბუგით უცემდა, ხელიდან სისხლი სდიოდა და რაღაც მტკივნეულად ჩხვლეტდა შიგნიდან.

– აი, ცოტა მოსვი, – რონმა ბოთლი შეაჩეჩა, – ვერაფრით დამიჯერებია... ჰერმიონი სადღა გაქრა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ არის, აქ, – დაამშვიდა ფრედმა. ისიც ბურბურახს წრუპავდა. მერე ხელით ბუხრის წინ სავარძელზე მიანიშნა. ჰერმიონს ჩაეთვლიმა, თასიდან ლამის გადმოღვროდა ბურბურახი.

– ჩემი ამბავი რომ გაიგო, მოხარული ვარო, მითხრა, – ცოტა ჩამქრალი ხმით მოაყოლა რონმა.

– ეძინოს, – სწრაფად თქვა ჯორჯმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ჰარიმ გარშემომყოფ პირველკურსელებს ცხვირიდან სისხლდენის კვალიც შეატყო.

– რონ, მოდი აქ! ვნახოთ, მოგერგება თუ არა ოლივერის ძველი სათამაშო მანტია, – დაუძახა ქეითი ბელმა, – იმის გვარი შეიძლება მოვაცილოთ და შენით შევცვალოთ...

რონი ბელისკენ წავიდა, ჰარისთან კი ანჯელინა მივიდა და მოღუშული მიაჩერდა.

– მაპატიე, ჰარი, ცოტა გავცხარდი, გუნდის ხელმძღვანელობა სანერვიულო საქმეა. ახლა ვფიქრობ, რომ ყოველთვის სამართლიანი არ ვიყავი ვუდთან.

ერთხანს უყურა, მერე უცერემონიოდ განაცხადა:

– ვიცი, რომ რონი შენი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ უნდა გითხრა, რომ მაინცდამაინც აღტაცებული არა ვარ. თუმცა, იმედია, ივარჯიშებს და საქმეც გამოსწორდება. მისი ძმები კარგი მოთამაშეები იყვნენ. თუ სიმართლე გინდა, იმიტომ ავიყვანე, რომ იმაზე მეტს ველოდები, რაც დღეს მიჩვენა. ვიკი ფრობიშერი და ჯეფრი ჰუპერი უკეთ დაფრინავდნენ, მაგრამ ჰუპერი ნამდვილი მტირალაა, სულ რაღაცას წუწუნებს, ვიკი კი, კაცმა არ იცის, რამდენი საზოგადოების წევრია. პირდაპირ მითხრა, თუ ვარჯიში მკითხაობის კლუბის კრებას დაემთხვევა, კლუბს ვარჩევო. ასეა თუ ისე, პირველი ვარჯიში ხვალ ორ საათზე გვაქვს. ასე რომ, კეთილი ინებე და ამჯერად მაინც მოდი. და ძალიან გთხოვ, როგორც შეძლებ, დაეხმარე რონს, კარგი?

ჰარიმ თავი დაუქნია და ანჯელინა ალისია სპინეტთან დაბრუნდა. ჰარი ჰერმიონის გვერდით დაჯდა. როცა ჩანთა იატაკზე დადო, ჰერმიონი შეკრთა და გაეღვიძა.

– ა, შენა ხარ, ჰარი? კარგია, არა, რონი რომ აიყვანეს? მე რაღაც ძალიან... ძალიან დავიღალე, – თქვა და დაამთქნარა, – გუშინ ღამის პირველ საათამდე ქუდებს ვქსოვდი. საშინელი სისწრაფით ქრება!

ჰარიმ შალის ქუდებით მოფენილი ოთახი მოათვალიერა. წინდაუხედავ ელფებს შეიძლებოდა, სულაც შემთხვევით აეღოთ.

– მშვენიერია, – გულგრილად თქვა მან, თან გრძნობდა, რომ გაგიჟდებოდა, ვინმესთვის ახლავე ყველაფერი რომ არ მოეყოლა, – იცი, ჰერმიონ, ახლა ამბრიჯის კაბინეტში ვიყავი და როცა შემეხო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონი ყურადღებით უსმენდა. ბოლოს დაფიქრებით თქვა:

– შენ გგონია, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის ისევე აკონტროლებს ამბრიჯს, როგორც ქვირელს?

– დამეთანხმე, რომ შეიძლება, ასეა, – ხმადაბლა უთხრა ჰარიმ.

– ჰო, შეიძლება, – ყოყმანით დაეთანხმა ჰერმიონი, – მაგრამ არა მგონია, ისე ფლობდეს ამბრიჯს, როგორც – ქვირელს. ის ხომ ახლა სავსებით ცოცხალია და საკუთარი სხეულიც აქვს. ასე რომ, სხვის სხეულში ჩასახლება არ სჭირდება. უფრო ის მგონია, რომ იმპერიუსის წყევლით ჰყავს მონუსხული...

ერთხანს ჰარი უყურებდა, როგორ ჟონგლიორობდნენ ფრედი, ჯორჯი და ლი ჯორდანი ბურბურახის ცარიელი ბოთლებით. მერე ჰერმიონმა თქვა:

– მაგრამ ხომ შეიძლება, ნაიარევი ისე, თავისით აგტკივდეს. გახსოვს, როგორ ახსნა ეს ფაქტი დამბლდორმა? მიზეზი ის არის, რას გრძნობს ამ დროს ჩვენ-რომ-ვიცით, ის. იმის თქმა მინდა, რომ ეს შეიძლება ამბრიჯთან არც იყოს დაკავშირებული. უბრალოდ, დამთხვევაა.

– ბებერი გომბეშო, – მოჭრა ჰარიმ, – უჰ, ერთი შემეძლოს სამაგიეროს გადახდა...

– ჰო, საზიზღარი ვინმეა, მაგრამ... ჰარი, უნდა უთხრა დამ-ბლდორს, რომ ნაიარევი გტკიოდა.

ამ ორ დღეში უკვე მეორედ ურჩევდნენ დამბლდორთან წასვლას, მაგრამ ის მაინც უარზე იდგა.

– ასეთი რაღაცეებით თავს ვერ მოვაბეზრებ. ახლახან შენ თვითონ თქვი, რომ ეს არც ისე საგანგაშოა. ამ ზაფხულს ხშირად მაწუხებდა ნაიარევი, დღეს ცოტა უფრო მეტად ამტკივდა, სულ ეს არის...

– ჰარი, დარწმუნებული ვარ, დამბლდორს უნდა, რომ ამგვარი რაღაცეებით აწუხებდნენ...

– ჰო, – მანამდე წამოსცდა ჰარის, სანამ ენას კბილს დააჭერდა, – მხოლოდ ეს აინტერესებს ჩემში, ჩემი ნაიარევი.

– ასე ნუ ლაპარაკობ, ეგ ხომ ეგრე არ არის!

– სირიუსს მივწერ, ვნახოთ, რას მიპასუხებს...

– ჰარი, წერილებში ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება! – შეშფოთ-და ჰერმიონი, – ნუთუ დაგავიწყდა? მუდმ ხომ გვითხრა, ძალიან ფრთხილად იყავითო! ვერავინ მოგცემს გარანტიას, რომ ბუს ხელში არ ჩაიგდებენ!

– კარგი, მაშინ არ მივწერ! – გაღიზიანდა ჰარი და ადგა, – წავალ, დავწვები. მიულოცე რონს ჩემგან, კარგი?

– ვერ მოგართვეს! – გულზე მოეშვა ჰერმიონს, – შენ თუ დასაძინე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბლად მიდიხარ, მეც ხომ მაქვს უფლება, დავიძინო. საშინლად დავიღალე, ხვალ კი ახალი ქუდები უნდა მოვქსოვო. ჰარი, იქნებ შენც ჩაერთო! ძალიან სახალისო რამეა. სულ უკეთ და უკეთ გამომდის, ლამაზი სახეები გამომყავს, პომპონებსაც ვუკეთებ და კიდევ ბევრ რამეს.

ჰარიმ ჰერმიონის სიხარულით გაბრწყინებულ სახეს შეხედა და სცადა, ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს მისმა შემოთავაზებამ ცოტათი დაინტერესა.

– ეე... არა, ალბათ ვერ მოვახერხებ, ხვალ ნაღდად ვერ მოვახერხებ, იმდენი გაკვეთილი გვაქვს... – თავი დაიძვრინა და დაღლილი წაფრატუნდა კიბისკენ. ჰერმიონმა, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულმა გააყოლა თვალი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთოთხმეტე

პერსი და მაწანწალა

მეორე დილით ჰარიმ პირველმა გაიღვიძა. ერთხანს იწვა და უყურებდა, როგორ დაფარფატებდა მტვერი ფარდის ჭრილიდან შემოსულ მზის სხივებში. უხაროდა, რომ შაბათი იყო. მეცადინეობის პირველი კვირა მაგიის ისტორიის ერთ უსასრულოდ გრძელ გაკვეთილად ეჩვენებოდა.

მდუმარება და ცინცხალი მზის სხივი იმას ნიშნავდა, რომ მზე ეს-ეს არის ამოვიდა. საწოლის ფარდა გადასწია, ადგა და ჩაცმა დაიწყო. ჩიტების შორეული ჭიკჭიკისა და გრიფინდორელთა ღრმა სუნთქვის გარდა, არაფერი ისმოდა. უხმაუროდ გახსნა ჩანთა, პერგამენტი და ბატის ფრთა ამოიღო და საერთო ოთახისკენ წავიდა.

პირდაპირ ბუხართან მდგარ თავის საყვარელ სავარძელს მიაშურა. ცეცხლი კარგა ხნის ჩამქრალი იყო. ჰარი მოხერხებულად მოეწყო, პერგამენტი გაშალა და მიმოიხედა. დღის ბოლოსთვის დაგროვილი ნაგავი – პერგამენტის დაჭმუჭნილი ნაგლეჯები, კანფეტის ქაღალდები და ცარიელი ბოთლები დღეს არსად ჩანდა. არც ჰერმიონის მიერ ელფებისთვის მოქსოვილი ქუდები იყო. უხალისოდ გაიფიქრა, ვინ იცის, თავისდა უნებურად უკვე რამდენი ელფი გათავისუფლდაო. მერე სამელნეს თავი მოხსნა, ფრთა ჩააწო, პრიალა მოყვითალო პერგამენტი მოიმარჯვა და ღრმად ჩაფიქრდა. იჯდა, ჩამქრალ ბუხარს შესცქეროდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა დაეწერა.

ახლალა მიხვდა, როგორ უჭირდათ რონსა და ჰერმიონს ამ ზაფხულს წერილების წერა. როგორ მოუყვეს სირიუსს ყველაფერი, რაც ამ კვირაში მოხდა; როგორ ჰკითხოს ის, რაც მოსვენებას უკარგავს; თანაც ისე ჰკითხოს, რომ სხვები ვერაფერს მიხვდნენ, თუ შემთხვევით წერილს ხელში ჩაიგდებენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდხანს იჯდა ბუხარს მიჩერებული, ბოლოს რაღაც მოიფიქრა, ფრთა მელანში ჩააწო და წერა დაიწყო:

„ძვირფასო ბომბორა,

იმედია, რომ ჯანმრთელად ხარ. პირველი კვირა აქ საშინელება იყო და მიხარია, რომ, როგორც იქნა, დასრულდა.

ჩვენ ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი გვყავს. ამბრიჯი თითქმის ისეთივე საყვარელია, როგორც დედაშენი. წერილს იმიტომ გწერ, რომ ის, რაზეც ამ ზაფხულს გწერდი, ისევ განმეორდა გუშინ საღამოს, როცა ამბრიჯთან სასჯელს ვიხდიდი.

ძალიან გვენატრება ჩვენი ყველაზე დიდი მეგობარი, იმედია, მალე დაგვიბრუნდება.

გთხოვ, რაც შეიძლება, ჩქარა მიპასუხო. აბა, კარგად.

ჰარი."

წერილს რამდენჯერმე გადაავლო თვალი, შეეცადა, უცხო თვალით წაეკითხა. ბოლოს იმედი მიეცა, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა და ვერც ადრესატს გამოიცნობდნენ. იმის იმედი კი ჰქონდა, რომ სირიუსი გაუგებდა ჰაგრიდზე გადაკრულად ნათქვამს და შეატყობინებდა მის ამბავს. ღიად ამის კითხვა არ უნდოდა – არავის უნდა გაეგო, სად იყო და რას აკეთებდა ჰაგრიდი.

წერილი მოკლე გამოვიდა, მაგრამ საკმაოდ დიდხანს იწერებოდა. ამასობაში მზემ ლამის ოთახი გაავსო, ზემოთ, საძინებელში ახმაურდნენ. პერგამენტი ფრთხილად დაახვია, პორტრეტის ხვრელში გაძვრა და საბუეს მიაშურა.

– შენს ადგილას ამ გზით არ ვივლიდი, – უთხრა დერეფნის კედლიდან გამომძვრალმა თითქმის უთავო ნიკმა, – პივსმა გადაწყვიტა, ოინი მოუწყოს პარაცელსუსის ქანდაკებასთან პირველივე გამვლელს.

– მთელი ოინი ის არის, რომ პარაცელსუსი თავზე დაეცემა? – ჰკითხა ჰარიმ.

– როგორი სასაცილოც უნდა იყოს, ასეა, – მოწყენილი ხმით უპასუხა თითქმის უთავო ნიკმა, – პივსი არასოდეს გამოირჩეოდა მახვილგონიერებით. ეცადე, სისხლიანი ბარონი იპოვო, იქნებ იმან მოარჯულოს... აბა, კარგად, ჰარი.

– კარგად, – უპასუხა ჰარიმ და მარცხნივ კი არა, მარჯვნივ გაუხვია, საბუისკენ მიმავალი გრძელი და უხიფათო გზა აირჩია.

თანდათან გუნება გამოუკეთდა. ფანჯრებში ნათელი ცა მოჩანდა. დღეს ვარჯიში უნდა ჰქონდეთ. როგორც იქნა, ქვიდიჩის მოედანზეც გავა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კოჭზე რაღაც გაეხახუნა. ფეხებთან დაიხედა და ფილჩის გამხდარი კატა, მისის ნორისი, დაინახა. კატამ ლამპასავით ყვითელი თვალები შეანათა და უილფრედ მდუმარის ქანდაკების უკან გაუჩინარდა.

– ისეთს არაფერს ვაკეთებ, – მიაძახა ჰარიმ. კატას აშკარად ეტყობოდა, რომ პატრონთან დაბეზღებას აპირებდა, მაგრამ რატომ და რისთვის, ჰარი ვერ მიმხვდარიყო, მას ხომ სრული უფლება ჰქონდა, შაბათ დილით საბუეში წასულიყო!

მზე უკვე მაღლა იდგა, როცა ჰარი საბუეში შევიდა. უმინებო ფანჯრებიდან მზის სხივის ვერცხლისფერი კონები იღვრებოდა. გარდიგარდმო გადებულ ხარიხებზე მზის შუქით შეწუხებული ბუები ისხდნენ. ზოგიერთს ეტყობოდა, რომ ახლახან დაბრუნებულიყო ნადირობიდან. ჰარი თავაწეული მიაბიჯებდა და თვალებით ჰედვიგს ეძებდა. ფეხქვეშ იატაკზე დაგებული ჩალა შრიალებდა, ხანდახან ხრაშახრუშიც გაისმოდა, როცა წვრილ-წვრილი ცხოველების ძვლებს დაადგამდა ფეხს.

– აი, სად ყოფილხარ, – თქვა, როცა სულ ზემოთ, თაღს ქვეშ დაინახა, – მოდი აქ, წერილი მაქვს შენთვის.

ჰედვიგმა ხმადაბლა წამოიკივლა, დიდი თეთრი ფრთები გაშალა და მხარზე დაასკუპდა.

– ჰო, აქ ბომბორა წერია, – უთხრა ბუს და წერილი ნისკარტში ჩაუდო. მერე, თვითონაც არ იცოდა, რატომ, ჩურჩულით დაამატა: – მაგრამ სირიუსს უნდა მიუტანო, გასაგებია?

ჰედვიგმა ყვითელი თვალები დაახამხამა, ეს ნიშნავდა, რომ გაიგო.

– აბა, შენ იცი, ჭკვიანად იფრინე!

ჰარიმ ფანჯარასთან მიიყვანა და ბუ კრიალა ცისკენ აიჭრა. ჰარი მანამ გაჰყურებდა, სანამ ჰედვიგი ერთ პატარა შავ წერტილად არ იქცა და ბოლოს არ გაქრა. მერე მზერა ჰაგრიდის ქოხზე გადაიტანა – ქოხი აქედან კარგად მოჩანდა და აშკარად ეტყობოდა, იქ არავინ იყო – ფარდები ჩამოეფარებინათ, საკვამურიდან კი ბოლი არ ამოდიოდა.

აკრძალული ტყის ხის კენწეროებს ნიავი აქანავებდა. ჰარის სიამოვნებდა ტყის ყურება და დილის ცინცხალი ჰაერი. მალე ქვიდიჩსაც ითამაშებდა... უცებ ჭალიდან ვეებერთელა უცნაური ფრთოსანი ცხენი-რეპტილია ამოიჭრა. ზუსტად ისეთი იყო, ჰოგვორტსის ეტლებში რომ იყვნენ შებმულნი. ჰაერში დიდი წრე შემოხაზა და ისევ ჭალაში ჩაეშვა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ჰარიმ თვალებს არ დაუჯერა. თუმცა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

საბუის კარი გაიღო. ჰარი მოულოდნელობისგან შეკრთა, შემობრუნდა და ჩო ჩენგი დაინახა. ხელში წერილი და რაღაც ფუთა ეჭირა.

– გამარჯობა, – მექანიკურად მიესალმა ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოი... გამარჯობა, – შეკრთა ჩოც, – მეგონა, ასე ადრე აქ არავინ იქნებოდა... ახლაღა გამახსენდა, დღეს დედაჩემის დაბადების დღეა და...

გოგონამ ფუთა აჩვენა.

– ჰოო, – წაიბუტბუტა ჰარიმ. უეცრად თითქოს ტვინი გადაეკეტა. უნდოდა, რამე საინტერესო ეთქვა, მაგრამ გონებით ისევ საშინელ ფრთოსან ცხენს დასტრიალებდა, – კარგი ამინდია, – ესღა თქვა და ფანჯარაზე უჩვენა. დაბნეულობისგან არ იცოდა, რა ექნა ან რა ეთქვა. ამინდი. ჰო, ამინდზე ლაპარაკობდა...

– ჰო, – ჩომ შესაფერისი ბუ შეათვალიერა, – ზუსტად საქვიდიჩო ამინდია. მთელი კვირა გარეთ არ გამოვსულვარ. შენ?

– არც მე, – მიუგო ჰარიმ.

ჩომ სკოლის ერთ-ერთი ბუ შეარჩია და თავისკენ მოუხმო. ფრინველი ხელზე დაასკუპდა და ფუთის დასამაგრებლად ფეხი გაუწოდა.

– გრიფინდორს უკვე ახალი მეკარე ჰყავს?

– ჰო. ჩემი მეგობარი რონ უისლი, იცნობ?

– ეს ის არ არის, „ტორნადოს“ რომ ვერ იტანს? – ცივად ჰკითხა ჩომ, – თამაში შეუძლია?

– შეუძლია, – უპასუხა ჰარიმ, – თუმცა, არ მინახავს, როგორ თამაშობს. სასჯელს ვიხდიდი.

ჩომ ცოტა ხანს თავი მიანება ფუთის შებმას, თავი ასწია და ხმადაბლა თქვა:

– საზიზღარი ვინმეა ეს ამბრიჯი! იმიტომ დაგსაჯა, რომ სიმართლე თქვი სედრიკზე... როგორ მოკვდა... ყველამ მოისმინა, ეს მთელმა სკოლამ იცის. შენ კარგად მოიქეცი, რომ მაგრად დაუდექი.

ჰარიმ მაშინვე ისეთი საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, ეგონა, სადაცაა ჰაერში ავფრინდებიო. რაში აინტერესებს ეს იდიოტური მფრინავი ცხენები? ჩოს მიაჩნია, რომ ის ვაჟკაცურად მოიქცა! ერთი წამით გაიფიქრა, ხომ არ ეჩვენებინა მისთვის დასერილი ხელი, ისე, შემთხვევით, სანამ ფუთის მიმაგრებაში ეხმარება... მაგრამ იმავე წამს, როცა ამ მაცდურმა აზრმა გაუელვა, საბუის კარი ისევ გაიღო.

ქოშინითა და ვიშვიშით შემოვიდა ფილჩი. მომჩვარული, დაძარღვული ლოყები წითელი ლაქებით დაფარვოდა, ნიკაპი უკანკალებდა, მეჩხერი ჭაღარა თმა აბურძგნოდა. ეტყობოდა, სირბილით მოდიოდა აქეთ. უკან მისის ნორისი მოჰყვებოდა, ბუებს ათვალიერებდა და ხარბად კნაოდა. ზევიდან დამფრთხალი ბუების ფრთების შრიალი მოისმა, ვეებერთელა რუხმა ბუმ ავად დააკაპუნა ნისკარტი.

– აჰა, – ფილჩმა ჩამოკონწიალებული ლოყები მრისხანედ შეათახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თახა და ჰარისკენ წავიდა, – მაცნობეს, რომ ნეხვის ბომბების დიდ პარტიაზე შეკვეთის გაგზავნას აპირებ!

ჰარიმ გულხელი დაიკრიბა და მოღუშული მიაცქერდა.

– ვინ გითხრათ, რომ ნეხვის ბომბებს ვუკვეთავ?

ჩოც დაბღვერილი შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს, ბუ კი, ეტყობა, ცალ ფეხზე დგომით დაიღალა და განაწყენებულმა დაიკივლა. ჩომ ამ შეხსენებას ყურადღება არ მიაქცია.

– მე ჩემი წყაროები მაქვს, – თვითკმაყოფილებით წაისისინა ფილჩმა, – აბა, მომეცი შენი წერილი!

– არ შემიძლია, უკვე გავგზავნე, – უთხრა ჰარიმ და გულში გაუხარდა, რომ მოასწრო წერილის გაგზავნა.

– გაგზავნე? – ფილჩს სიბრაზისგან სახე დაემანჭა.

– გავგზავნე, – მშვიდად დაუდასტურა ჰარიმ.

ფილჩმა პირი დააღო, რამდენჯერმე დაანკლაპუნა და თვალებით მოჩხრიკა ჰარის მანტია.

– მე საიდან ვიცი, იქნებ მანტიაში გაქვს?

– იქიდან...

– მე დავინახე, როგორ გაგზავნა, – ჩაერია ჩო. ფილჩი ახლა იმას მიუბრუნდა.

– დაინახე?

– დიახ, დავინახე, – ხმა გაუმკაცრდა ჩოს.

ჩამოვარდა სიჩუმე, ფილჩი გაღიზიანებული უყურებდა გოგონას. ისიც ასევე მისჩერებოდა. ბოლოს ფილჩი შებრუნდა და კარისკენ წალასლასდა. კარის სახელურს რომ მოჰკიდა ხელი, ჰარისკენ მოტრიალდა:

– თუ რამე შევიტყვე ნეხვის ბომბებზე...

თქვა და კიბისკენ წატყაპუნდა. მისის ნორისმა ერთხელ კიდევ შეავლო ხარბი მზერა ბუებს და უკან გაჰყვა.

ჰარიმ და ჩომ ერთმანეთს გადახედეს.

– გმადლობ, – თქვა ჰარიმ.

– არაფრის, – ჩო გაწითლდა და, ბოლოს და ბოლოს, მიამაგრა ფუთა ბუს, – შენ ხომ მართლა არ შეგიკვეთია ბომბები?

– არა, რა თქმა უნდა, – დაარწმუნა ჰარიმ.

– საიდან მოიტანა? – იკითხა ჩომ და ბუ ფანჯრისკენ წაიყვანა.

ჰარიმ მხრები აიჩეჩა. ჩოზე არანაკლებ იყო გაოგნებული, მაგრამ ეს ახლა მაინცდამაინც არ აწუხებდა.

საბუიდან ერთად გამოვიდნენ. დერეფნის შესასვლელთან, რომელიც ციხე-კოშკის მარცხენა ფრთისკენ მიდიოდა, ჩომ უთხრა:

– მე აქეთ მივდივარ... დროებით... ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დროებით.

ჩომ გაუღიმა და წავიდა. ფრთაშესხმულმა ჰარიმ გზა განაგრძო. მთელი ამ საუბრის განმავლობაში ერთხელაც არ უგრძნია თავი უხერხულად. „შენ კარგად მოიქეცი, რომ მაგრად დაუდექი“. ჩომ შეაქო... არ გაუკიცხავს იმისთვის, რომ ცოცხალი გადარჩა.

რა თქმა უნდა, შარშან ჩომ სედრიკი აირჩია. თუმცა, საცეკვაოდ სედრიკზე ადრე რომ გაეწვია, ყველაფერი შეიძლება სულ სხვანაირად ყოფილიყო... როგორც ჩანს, ნამდვილად წუხდა იმის გამო, რომ უარს ეუბნებოდა მიწვევაზე.

– დილა მშვიდობისა, – მხიარულად მიესალმა რონსა და ჰერმიონს, როცა გრიფინდორელთა მაგიდასთან ჯდებოდა.

– რაღაც ძალიან კმაყოფილი ჩანხარ, – გაიკვირვა რონმა.

– ჰო... მალე ქვიდიჩი დაიწყება, – ხალისიანად უპასუხა და ერბოკვერცხიანი თეფში თავისკენ მისწია.

– აა... გასაგებია, – რონმა გახუხული პური დადო და გოგრის წვენი მოწრუპა, – იცი, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ჩემთან ერთად ცოტა ადრე რომ წამოხვიდე? იქნებ ცოტა გამახურო ვარჯიშის წინ. შეჩვევა მჭირდება.

– ჰო, რა თქმა უნდა, – შეჰპირდა ჰარი.

– იცით, რა, მე არ გირჩევთ, – ჩაერია ჰერმიონი, – ორივეს აუარებელი გაკვეთილი გაქვთ სასწავლი, თქვენ კი...

მაგრამ სათქმელი აღარ დაუმთავრებია, დილის ფოსტა მოვიდა. ჰერმიონთან ნისკარტში გაზეთგაჩრილი აქოჩრილი ბუ დაეშვა. საშაქრესთან მეტისმეტად ახლოს დაჯდა და ფეხი გაუწოდა. ჰერმიონმა ტყავის ქისაში კნატი ჩაუგდო და როცა ფრინველი ჰაერში აიჭრა, „დილის მისნის“ პირველ გვერდს კრიტიკული მზერა მოავლო.

– რამე საინტერესოა? – იკითხა რონმა.

ჰარის გაეღიმა. მიხვდა, რომ რონს უნდოდა, ჰერმიონისთვის სალაპარაკოდ სხვა თემა მიეცა.

– არა, – ამოიოხრა ჰერმიონმა, – ჭორებია „ალქაჯი დების“ ბასგიტარისტზე, თურმე თხოვდება.

ჰერმიონმა გაზეთი გაშალა და სახეზე აიფარა. ჰარიმ ერბოკვერცხის მეორე ულუფა გადაიღო. რონი ოდნავ შეწუხებული გაჰყურებდა მაღალ ფანჯრებს.

– მოიცათ, – უცებ თქვა ჰერმიონმა, – ვაი, ეს რა არის?.. სირიუსი!

– რა მოხდა? – იკითხა ჰარიმ და ისე სტაცა გაზეთს ხელი, რომ შუაზე გადახია. მას და ჰერმიონს ნახევარ-ნახევარი გაზეთი შერჩათ ხელში.

– „მაგიის სამინისტრომ სანდო წყაროებიდან ცნობა მიიღო, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მასობრივი მკვლელობების გამო გასამართლებული სირიუს ბლექი... და ა. შ. და ა. შ... ამჟამად ლონდონში იმალება!“ – ჩაწყვეტილი ხმით ჩაიკითხა ჰერმიონმა.

– ლუციუს მალფოი. რაზედაც გინდათ, დავნაძლევდეთ, – გაცეცხლდა ჰარი, – ალბათ, სადგურის ბაქანზე იცნო სირიუსი...

– როგორ, – შეშფოთდა რონი, – შენ გინდა თქვა, რომ...

– შშ, – გააჩუმეს რონი.

– „...სამინისტრო აფრთხილებს ჯადოქრულ საზოგადოებრიობას, რომ ბლექი ძალიან საშიშია... ცამეტი ადამიანი მოკლა... აზკაბანის ციხიდან გაიქცა...“ მორიგი ბოდვაა, – დაასკვნა ჰერმიონმა. გაზეთის თავისი ნახევარი დადო და შეშინებულმა შეხედა რონსა და ჰარის, – ესე იგი, ისევ ვერ გამოვა სახლიდან, ეს არის და ეს. დამბლდორი ხომ აფრთხილებდა, არ შეიძლებაო. ჰარიმ მოლუშულმა დახედა „მისნის“ მეორე ნახევარს. გვერდის დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა მადამ მალკინის რეკლამას „მანტიები ნებისმიერი შემთხვევისთვის“.

– ვაჰ! – დაიძახა ჰარიმ და გაზეთი მაგიდაზე გაშალა, რომ რონსა და ჰერმიონსაც დაენახათ, – ერთი ამას შეხედეთ!

– ჩემი მანტიაც მეყოფა, – უთხრა რონმა.

– არა, აი, ამ პატარა შენიშვნას.

რონი და ჰერმიონი გაზეთისკენ დაიხარნენ. შენიშვნა სულ რამდენიმესტრიქონიანი იყო და სვეტის სულ ძირში მოეთავსებინათ.

„წესრიგის დამრღვევი სამინისტროში

სტარჯის პოდმორი, ოცდათვრამეტი წლისა, მცხოვრები კლეპამში, ლაბრუნუმ-გარდენსის ნომერ ორში, ვიზენგამოტის წინაშე წარდგა. მას ბრალად ედებოდა 31 აგვისტოს მაგიის სამინისტროში შეჭრა და ძარცვის მცდელობა. იგი ღამის პირველ საათზე დააკავა მორიგე ჯადოქარმა ერიკ მანჩმა. პოდმორი სრულიად საიდუმლო ოთახში შესვლას ცდილობდა. სტარჯის პოდმორმა უარი განაცხადა დაცვაზე. იგი დამნაშავედ ცნეს ორივე პუნქტის მიხედვით და აზკაბანში ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს.“

– სტარჯის პოდმორი? – გაიხსენა რონმა, – ეს ის არ არის, თავი თითქოს ჩალით რომ აქვს დაფარული? ის ხომ ორდ...

– ჩშშ, – შეაწყვეტინა ჰერმიონმა და შეშინებულმა მიმოიხედა.

– ექვსი თვე აზკაბანში, – წაიჩურჩულა შეძრწუნებულმა ჰარიმ, – მხოლოდ იმისთვის, რომ რომელიღაც კარში შესვლა სცადა!

– რა გულუბრყვილო ხარ! კარი რა შუაშია. ნეტავ რა უნდოდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამინისტროში ღამის პირველ საათზე? – ჩურჩულით იკითხა ჰერმიონმა.

– შენ ფიქრობ, ორდენის დავალებით აკეთებდა რაღაცას? – ჩურჩულითვე იკითხა რონმა.

– მოიცათ, – ჩაერია ჰარი, – სტარჯისს ჩვენ უნდა გამოვეცილებინეთ, გახსოვთ?

ორივე მას მიაჩერდა.

– ჰო, ის სადგურამდე უნდა გამოგვყოლოდა, არ გახსოვთ? და მუდი შეწუხებული იყო, რომ არ მოვიდა. ესე იგი, მას არ შეეძლო სამინისტროში მათი დავალებით წასვლა. ასე არ არის?

– შეიძლება, ფიქრობდნენ, რომ არ ჩავარდებოდა, – ივარაუდა ჰერმიონმა.

– ვიღაცამ დააბეზღა! – დაასკვნა რონმა, – არა... მომისმინეთ! – ჰერმიონის მრისხანე გამოხედვამ აიძულა, ხმისთვის დაეწია, – სამინისტროს ეჭვი აქვს, რომ ის დამბლდორის კაცია, და... რა ვიცი... მე მგონი, არსად შესვლასაც არ ცდილობდა – სამინისტროში შეიტყუეს. უბრალოდ, მოიფიქრეს, როგორ გამოეჭირათ – მახე დაუგეს!

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი და ჰერმიონი ჩაფიქრდნენ. ჰარის მოეჩვენა, რომ ეს ვერსია ყურით მოთრეულს ჰგავდა. ჰერმიონი კი უფრო სერიოზულად ჩაფიქრდა.

– იცით, სულ არ გამიკვირდება, თუ ეს, მართლაც, ასეა, – თქვა და გაზეთის ნახევარი დაკეცა. ჰარიმ დანა და ჩანგალი დადო და უცებ ჰერმიონი თითქოს გონს მოეგო.

– კარგი, ჩემი აზრით, ახლა სპრაუტის მიერ თვითგანოყიერებად ბუჩქებზე მოცემულ დავალებას უნდა მივხედოთ და თუ სწრაფად დავამთავრებთ, სადილამდე მაკგონაგელის გაუჩინარების შელოცვასაც მოვასწრებთ.

საშინაო დავალებების გახსენებაზე ჰარიმ ოდნავი სინდისის ქენჯნა იგრძნო, მაგრამ ისეთი ნათელი და ლურჯი იყო ცა... ის კი მთელი კვირა არ მჯდარა თავის „ელვაზე“...

– საღამოსაც ხომ შეიძლება, – თქვა რონმა, როცა მხარზე გადებული ცოცხებით ქვიდიჩის სათამაშო მოედნისკენ მიდიოდნენ, ჰერმიონის მრისხანე გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ **ბუა**-ს გამოცდებს ჩააფლავებდნენ, ჯერ კიდევ ყურში ედგათ, – თან ხვალაც მთელი დღე გვაქვს. უბედურება ის არის, რომ მეტისმეტად გულთან მიაქვს მთელი ეს დავალებები... – რონი გაჩუმდა, მერე კი შეშფოთებულმა დაამატა: – როგორ ფიქრობ, სერიოზულად თქვა, არ გადაგაწერინებთო?

– მე მგონი, ჰო, – უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ ვარჯიშზე წასვლაც აუცილებელია, თუ არ გვინდა, რომ გუნდიდან გამოგვაგდონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალია, – გამხიარულდა რონი, – დრო ყველაფრისთვის გვეყოფა.

ქვიდიჩის მოედანს რომ მიუახლოვდნენ, ჰარიმ მარჯვნივ გაიხედა, იქით, სადაც აკრძალული ტყის ბნელი კენწეროები ირხეოდა. არაფერი აფრენილა იქიდან, ცა მოკრიალებული იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ბუს, რომლებიც საბუის კოშკურების თავზე ტრიალებდნენ. საზრუნავი ისედაც ბევრი აქვს, მფრინავი ცხენი კი არაფერს უშავებს და მასზე ფიქრიც თავიდან ამოიგდო.

გასახდელში კარადიდან ბურთები გამოიღეს და საქმეს შეუდგნენ. რონი გოლპოსტებს იცავდა, ჰარი კი ქუაფლის გატანას ცდილობდა. ჰარის აზრით, რონს ურიგოდ არ გამოსდიოდა – ნატყორცნი ბურთების სამი მეოთხედი მაინც მოიგერია და სულ უფრო და უფრო თავდაჯერებით თამაშობდა. ორი საათის შემდეგ ციხე-კოშკში სადილზე დაბრუნდნენ. ჰერმიონმა დაუფარავად აგრძნობინა, რომ უპასუხისმგებლოები არიან. სადილის შემდეგ კი საერთო ვარჯიშზე წავიდნენ. მთელი გუნდი, ანჯელინას გარდა, გასახდელში იყო.

– ყველაფერი რიგზეა, რონ? – ჰკითხა ჯორჯმა და თვალი ჩაუკრა.

– ჰო, – თქვა რონმა, თუმცა, სანამ აქეთ მოდიოდა, შესამჩნევად მიყუჩდა.

– მზად ხარ, სეირი გვიჩვენო, პრეფექტო? – სპორტული ფორმიდან აჩეჩილი თავი გამოყო და დამცინავი ღიმილით ჰკითხა ფრედმა.

– მოკეტე, – შეულრინა სახეგაქვავებულმა რონმა, რომელიც პირველად იცვამდა ფორმას. ოლივერ ვუდის სპორტული ფორმა თითქმის ზედგამოჭრილივით მოერგო, ოღონდ მხრებში ოდნავ განიერი ჰქონდა.

ფორმაში გამოწყობილი ანჯელინა კაპიტნის ოთახიდან გამოვიდა.

– ყურადღება! ვიწყებთ. ალისია და ფრედ, თუ შეიძლება, ბურთების ყუთი. ვილაც-ვილაცეები ჩვენს საყურებლად არიან მოსულები. გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ეს ისე, თითქოს სხვათა შორის თქვა, მაგრამ ჰარიმ რატომღაც გაიფიქრა, რომ ანჯელინამ იცოდა, ვინ იყვნენ ეს „ვილაც-ვილაცეები“. მართლაც, როგორც კი გასახდელიდან მინდორზე გამოვიდნენ, სტვენითა და უხამსი შეძახილებით შეხვდა სლიზერინელთა გუნდი და მათი ათიოდე ქომაგი, რომლებიც ჯგუფად შეგროვილიყვნენ ტრიბუნაზე. მათი ხმა ექოდ ისმოდა მთელ სტადიონზე.

– ვაა, უისლი და ქვიდიჩი?! – დამცინავად წაიმღერა მალფოიმ, – რა შელოცვებით ასწავლეს ფრენა ამ დამპალ კუნძს? კრაბი, გოილი და პენსი პარკინსონი ახარხარდნენ. რონი ცოცხს მოახტა და აფრინდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი უკან მიჰყვა. უკნიდანაც კი კარგად ჩანდა, როგორ გაუწითლდა ყურები რონს.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ურჩია ჰარიმ მეგობარს, – მატჩის შემდეგ ვნახავ, როგორ გაიცინებენ.

– აი, ეს მომწონს, ჰარი, – შეაქო ანჯელინამ, იღლიაში ამოჩრილი ქუაფლით ზევით აიჭრა და გუნდის წინ დაიწყო ლივლივი, – ვიწყებთ გასახურებელ პასებს, ვმონაწილეობთ ყველა...

– ეი, ჯონსონ, ეგ რა გიქნია თმისთვის? – იღრიალა ქვემოდან პენსი პარკინსონმა, – ვის გაუგონია, თმა ჭიებს ჰგავდეს?

ანჯელინამ ჩამოშლილი დაწნული კულულები შუბლიდან გადაიყარა და მშვიდად გასცა ბრძანება:

– გავიშალოთ და ვნახოთ, რისი მაქნისები ვართ.

ჰარი უკან, მოედნის ნაპირისკენ გაფრინდა, რონი – მეორე მხარეს, გოლპოსტებთან. ანჯელინამ ცალ ხელში დაიჭირა ქუაფლი და მთელი ძალით გატყორცნა ფრედისკენ, იმან ჯორჯს მიაწოდა, ჯორჯმა – ჰარის, ჰარიმ – რონს. რონს ხელიდან გაუვარდა.

სლიზერინელები მალფოის თაოსნობით გამაყრუებლად აჭიხვინდნენ. რონი ბურთის დასაჭერად ქვევით გაქანდა, კინაღამ წონასწორობა დაკარგა, გვერდზე უხერხულად გადაიხარა, გაწითლდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავის ადგილზე დაბრუნება. ჰარიმ დაინახა, როგორ გადახედეს ერთმანეთს ჯორჯმა და ფრედმა, თუმცა, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ხმა არ ამოუღიათ, რისთვისაც ჰარიმ გულში მადლობა გადაუხადა.

– ისროლე, რონ! – ვითომც აქ არაფერიაო, ისე იყვირა ანჯელინამ.

რონმა ალისიას ესროლა ქუაფლი, ალისიამ – ჰარის, ჰარიმ – ჯორჯს.

– ეი, პოტერ, ნაიარევი არ გაწუხებს? – დაუძახა მალფოიმ, – წამოწოლა ხომ არ გინდა? დროა უკვე, მთელი კვირაა, საავადმყოფო ფლიგელში არ ყოფილხარ. პირად რეკორდს ამყარებ?

ჯორჯმა ქუაფლი ანჯელინას მიაწოდა, იმან ჰარის დაუბრუნა. ჰარი ამ პასს არ ელოდა, მაგრამ მაინც დაიჭირა თითის წვერებით და მაშინვე მიაწოდა რონს. რონმა სცადა დაჭერა, მაგრამ არ გამოუვიდა.

– ცოტა ყურადღებით! – დაუყვირა ანჯელინამ რონს, რომელიც ქუაფლს მისდევდა.

როცა რონი თავის ადგილზე დაბრუნდა, ძნელი სათქმელი იყო, რა უფრო წითლად მოჩანდა – ქუაფლი თუ რონის სახე. მალფოი და დანარჩენი სლიზერინელები სიცილისგან იგუდებოდნენ.

მესამე ცდაზე რონმა, როგორც იქნა, დაიჭირა ქუაფლი და სიხა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რულისგან ისე გასტყორცნა, რომ ქეითს ბურთი ხელებში გაუძვრა და სახეში მოხვდა.

– მაპატიე, – დაიკვნესა რონმა და მისკენ გაქანდა. უნდოდა დაენახა, ძლიერად დაშავდა თუ არა.

– დაბრუნდი ადგილზე, არაფერი მოსვლია! – დაიღრინა ანჯელინამ, – როცა შენიანს აწოდებ ბურთს, ეცადე, რომ ცოცხიდან არ ჩამოაგდო! საამისოდ ბლაჯერები გვყავს!

ქეითს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. ტრიბუნებზე სლიზერინელები ფეხებს აბაკუნებდნენ, ლამის გადაფიჩინდნენ სიცილისგან. ფრედი და ჯორჯი ქეითთან მიფრინდნენ.

– აჰა, გამომართვი, – ფრედმა ჯიბიდან ამოღებული პატარა და ჟოლოსფერი რაღაცა გაუწოდა, – უცებ შეგიჩერებს.

– კარგი, – დაიყვირა ანჯელინამ, – ფრედ, ჯორჯ, ჩოგნები და ბლაჯერები აიღეთ. რონ, გოლპოსტებთან! ჰარი, როცა გეტყვი, სნიჩი აუშვი. რონის დაბომბვას ვიწყებთ.

ჰარი ტყუპებს მიჰყვა.

– რონს ყველაფერი უკუღმართად გამოსდის, – ჩაიბურტყუნა ჯორჯმა, როცა ბურთებით სავსე ყუთთან დაეშვნენ.

– უბრალოდ, ღელავს, – გაამართლა ჰარიმ, – დილით ერთად ვივარჯიშეთ, ნორმალურად თამაშობდა.

– იმედი მაქვს, კიდევ გვაჩვენებს, რა შეუძლია, – მოიღუშა ფრედი.

ისევ ჰაერში აიჭრნენ. ანჯელინამ დაუსტვინა. ჰარიმ სნიჩი გაათავისუფლა, ფრედმა და ჯორჯმა – ბლაჯერი. ამ წუთიდან ჰარი ვეღარ ამჩნევდა, რას აკეთებდნენ სხვები. მისი ამოცანა იყო ფრთხიალა ოქროსფერი ბურთის დაჭერა, რომელიც გუნდს ას ორმოცდაათ ქულას მოუტანდა. ეს კი ზედმიწევნით სისწრაფესა და მოხერხებულობას მოითხოვდა. დროდადრო აჩქარდებოდა, გვერდზე დახრილი შეასრულებდა ვირაჟს, მიუახლოვდებოდა ჩეიზერებს და ისევ დაშორდებოდა. თბილი შემოდგომის ჰაერი სახეში ურტყამდა, ყურებში სლიზერინელების შორეული ყვირილი ედგა... მაგრამ ძალიან ჩქარა ისევ სასტვენის ხმა გაისმა.

– მორჩა... მორჩა... მორჩა! – იყვირა ანჯელინამ, – რონ, შუა რგოლს არ იცავ!

ჰარიმ რონს გახედა. ის მარცხენა რგოლთან ლივლივებდა, დანარჩენი ორი უყურადღებოდ მიეტოვებინა.

– უჰ, მაპატიე.

– ჩეიზერებს სდარაჯობ და ერთთავად გვერდზე ინაცვლებ, – შენიშვნა მისცა ანჯელინამ, – ან ცენტრში დადექი, სანამ გვერდითა რგოლებს დაცვა არ სჭირდება, ან არადა აქეთ-იქით იფრინე, ერთ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადგილზე ნუ გაჩერდები. ბოლო სამი ბურთი სწორედ ამიტომ გაუშვი!

– მაპატიე, – გაიმეორა რონმა. ლურჯი ცის ფონზე ალისფერ ტივ-ტივასავით მოუჩანდა სახე.

– ქეით, შენ რა, ვერ შეიჩერე სისხლი?

– უფრო მომემატა, – გაბზარული ხმით თქვა ქეითმა და სახელოთი მოიწმინდა ცხვირ-პირი.

ჰარიმ ფრედს გახედა. ის შეშფოთებული იქექებოდა ჯიბეებში. მერე რაღაც ჟოლოსფერი ამოიღო, შეათვალიერა და შეშინებული შებრუნდა ქეითისკენ.

– აბა, კიდევ ერთხელ ვსინჯოთ, – თქვა ანჯელინამ. ყურადღებას არ აქცევდა სლიზერინელებს, რომლებმაც წამოიწყეს სიმღერა: „გრიფინდორი დებილი, გრიფინდორი ბოთე“, მაგრამ მაინც ოდნავ შებოჭილი იჯდა ცოცხზე.

ამჯერად ანჯელინას სასტვენმა სულ რაღაც სამ წუთში შეაწყვეტინა თამაში. ჰარიმ ის-ის იყო მოპირდაპირე გოლპოსტებთან სნიჩი შენიშნა და შეჩერება მაინცდამაინც არ ესიამოვნა.

– კიდევ რა მოხდა? – გაღიზიანებულმა ჰკითხა იქვე, გვერდით მდგომ ალისიას.

– ქეითი, – მოკლედ უპასუხა ალისიამ.

ჰარი შებრუნდა და დაინახა, რომ ანჯელინა, ფრედი და ჯორჯი ქეითისკენ მიექანებოდნენ. ისიც ალისიასთან ერთად იქით გაფრინდა. ნათელი იყო, რომ ანჯელინამ დროზე შეაჩერა თამაში. მიტკალივით გაფითრებულ ქეითს ღვარად მოსდიოდა სისხლი.

– საავადმყოფო ფლიგელშია წასაყვანი, – თქვა ანჯელინამ.

– ჩვენ მივიყვანთ, – უთხრა ფრედმა, – შეცდომით... ისა... სისხლმდენი აბი გადაყლაპა.

– კარგი, ბიტერებისა და ჩეიზერის გარეშე ვარჯიშის გაგრძელებას აზრი არა აქვს, – წარბი შეიკრა ანჯელინამ, როცა ფრედი, ჯორჯი და ქეითი ციხე-კოშკისკენ გაფრინდნენ, – მორჩა, ჩაიცვით.

სლიზერინელებმა უხამსი შეძახილებით გასახდელამდე მიაცილეს.

ნახევარი საათის შემდეგ ჰარი და რონი პორტრეტის ხვრელიდან საერთო ოთახში შევიდნენ.

– როგორ ჩაიარა ვარჯიშმა? – ცივად იკითხა ჰერმიონმა.

– ვარჯიშმა? – გაიმეორა ჰარიმ.

– ძალიან ცუდად, – ყრუდ დაასრულა რონმა და ჰერმიონის გვერდით სავარძელში ჩაეშვა.

ჰერმიონი ოდნავ მოლბა.

– დასაწყისისთვის არა უშავს, – დაამშვიდა რონი, – ნელ-ნელა უნდა ჩაერთო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვინ თქვა, რომ ჩემ გამო ჩაიარა ცუდად? – შეუღრინა რონმა.

– არავინ, – დაიბნა ჰერმიონი, – ვიფიქრე...

– შენ გგონია, თამაში არ ვიცი?

– არა, რას ამბობ! შენ თქვი, „ცუდადო", ჰოდა, მეც...

– უნდა ვიმეცადინო, – გაბრაზებით განაცხადა რონმა და კარისკენ გააბოტა.

– ძალიან ცუდად ითამაშა?

– არა, – ისე თქვა ჰარიმ, როგორც ნამდვილ მეგობარს შეეფერებოდა.

ჰერმიონმა წარბი ასწია.

– ალბათ, უკეთესად შეეძლო, მაგრამ შენ სწორად თქვი, ასე თუ ისე, პირველი ვარჯიშია...

იმ საღამოს რონმა და ჰარიმ მაინცდამაინც გული ვერ დაუდეს მეცადინეობას. ჰარის ესმოდა, რომ რონი თავის თავზე ბრაზობდა ცუდი თამაშის გამო და თვითონაც ჯერ კიდევ ყურში ედგა „გრიფინდორი ბოთე!"

მთელი კვირა წიგნებში თავჩარგულებმა გაატარეს. საერთო ოთახი ხან იცლებოდა, ხან ისევ ივსებოდა. ისინი კი ისხდნენ და ისხდნენ. კარგი დარი იდგა და გრიფინდორელები მეტწილად ჰაერზე ატარებდნენ დროს, ამ წელს, შესაძლოა, უკანასკნელად ტკბებოდნენ მზითა და სითბოთი. საღამოს ჰარიმ ისე იგრძნო თავი, თითქოს ტვინში ჩაქუჩებს ურტყამდნენ.

– იცი, მომავალ კვირას, ალბათ, უფრო სერიოზულად უნდა ჩავუსხდეთ გაკვეთილებს, – უთხრა რონს, როცა, ბოლოს და ბოლოს, განზე გადადეს მაკგონაგელისთვის განკუთვნილი საკმაოდ რთული მოხსენება გაუჩინარების შელოცვის შესახებ და უხალისოდ შეუდგნენ პროფესორ სინისტრას მიერ იუპიტერის თანამგზავრებზე მიცემული ასეთივე გრძელი დავალების შესრულებას.

– ჰო, – დაეთანხმა რონი, მეხუთე გაფუჭებული პერგამენტი ბუხარში შეაგდო და თვალები მოიფშვნიტა, – იქნებ ვთხოვოთ ჰერმიონს, გვაჩვენოს, რა გააკეთა?

ჰარიმ ჰერმიონისკენ გაიხედა. ჰერმიონს მუხლებზე თავისი კატა დაესვა და მხიარულად ეჭიკჭიკებოდა ჯინის. ხელებში საქსოვი ჩხირები უელავდა – შინაური ელფისთვის მორიგ უფორმო წინდას ქსოვდა.

– არა, – მტკიცედ იუარა ჰარიმ, – ხომ იცი, რომ არ გვაჩვენებს.

და ისევ განაგრძეს მუშაობა. მალე ფანჯრებს მიღმა ჩამობნელდა. საერთო ოთახი ნელ-ნელა დაცარიელდა. თორმეტის ნახევარზე მათ მთქნარებით მიუახლოვდა ჰერმიონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამთავრებთ?

– არა, – მოკლედ მოჭრა რონმა.

– იუპიტერის ყველაზე დიდი თანამგზავრი განიმედია და არა კალისტო, – რონის ნაშრომში თითით უჩვენა სტრიქონზე, – ხოლო ვულკანები იოზეა.

– გმადლობ, – წაიბუტბუტა რონმა და შეცდომა გადახაზა.

– მაპატიე, მე მხოლოდ...

– ჰო, რა თქმა უნდა, მხოლოდ გასაკრიტიკებლად მოდიხარ...

– რონ...

– ნოტაციების მოსასმენად არ მცალია, გასაგებია? ყელამდე სამუშაო მაქვს.

– ვაი, შეხედე!

ჰერმიონმა უახლოეს ფანჯარაზე უჩვენა. გარედან რაფაზე ლამაზი ბუ იჯდა და რონს უყურებდა.

– ჰერმესი ხომ არ არის? – გაუკვირდა ჰერმიონს.

– უხ, შენი! – ჩუმად თქვა რონმა, ბატის ფრთა დააგდო და წამოხტა, – რა მოელანდა პერსის, რას მწერს?

ფანჯარა გააღო. ჰერმესი ოთახში შემოფრინდა, რონის ნაშრომზე დაჯდა და ფეხი გაუწოდა. რონმა წერილი შეხსნა. ბუ მაშინვე გაფრინდა და დახატულ იოზე მელნის კვალი დატოვა. რონმა გრაგნილზე წარწერა წაიკითხა: „რონალდ უისლის, გრიფინდორის კლუბი, ჰოგვორტსი," – და სავარძელში ჩაჯდა.

– პერსის ხელია, – რონმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და ჰარისა და ჰერმიონს შეხედა, – რა ვქნა?

– გახსენი! – მოუთმენლად თქვა ჰერმიონმა, ჰარიმაც თავი დაუქნია.

რონმა გრაგნილი გაშალა და კითხვა დაიწყო. რაც უფრო მეტს კითხულობდა, მით მეტად ეღრუბლებოდა სახე. როცა დაამთავრა, სახეზე ზიზღი ეხატა. წერილი ჰარისა და ჰერმიონს გადაუგდო. ორივემ ერთად დაიწყო კითხვა.

„ძვირფასო რონ,

ახლახან შევიტყვე (თვით მაგიის მინისტრისგან, რომელმაც ეს თქვენი ახალი მასწავლებლისგან, პროფესორ ამბრიჯისგან გაიგო), რომ შენ ჰოგვორტსის პრეფექტი გახდი.

ძალიან მესიამოვნა ამ ამბის გაგება და, უწინარეს ყოვლისა, მინდა, მოგილოცო. უნდა ვაღიარო, ყოველთვის ვშიშობდი, რომ ფრედისა და ჯორჯის კვალს გაჰყვებოდი და არა - ჩემსას. ამიტომ შეგიძლია წარმოიდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გინო, რა გრძნობით მივიღე ცნობა იმის თაობაზე, რომ თავი დაანებე ხელმძღვანელობის მოთხოვნების უგულებელყოფას და რეალური პასუხისმგებლობა იტვირთე.

მაგრამ მხოლოდ მოსალოცად არ გწერ, რონ, მინდა, რამდენიმე რჩევა მოგცე. სწორედ ამიტომ გიგზავნი ღამით და არა დილის ფოსტით. იმედი მაქვს, წერილს ცნობისმოყვარე თვალებისგან შორს წაიკითხავ და უხერხულ შეკითხვებს თავს დაალწევ.

იქიდან, რაც მინისტრმა შენს დანიშვნაზე მითხრა, დავასკვენი, რომ შენ კვლავ მეგობრობ ჰარი პოტერთან. უნდა გითხრა, რონ, რომ არაფერი ისე არ ეშუქრება შენი სამკერდე ნიშნის დაკარგვას, როგორც ამ მოსწავლესთან შენი ძმაკაცობის გაგრძელება. ეჭვი არ მეპარება, ჩემი სიტყვები გაგაკვირვებს და იტყვი, რომ პოტერი ყოველთვის დამბლდორის საყვარელი მოსწავლე იყო, მაგრამ უნდა გითხრა, რომ დამბლდორი, ალბათ, დიდხანს ველარ დარჩება ჰოგვორტსის დირექტორად. გავლენიანი ადამიანები კი სულ სხვაგვარად – ალბათ, სწორადაც – აფასებენ პოტერის საქციელს. მეტს აღარაფერს გეტყვი, მაგრამ თუ ხვალინდელ „დილის მისანს" გადაათვალიერებ, მშვენიერ წარმოდგენას შეიქმნი იმაზე, თუ საით უბერავს ქარი... შესაძლოა, შენი მონა-მორჩილის სახელსაც გადაანყდე!

რონ, სერიოზულად გეუბნები, არ უნდა დაუშვა, ადამიანებმა იფიქრონ, რომ შენ და პოტერი ერთი ჭკუისა ხართ. ეს შენ მომავალში ძალიან დაგაზარალებს. მე სკოლის შემდგომ კარიერას ვგულისხმობ. შენთვის ცნობილი უნდა იყოს (რადგან სასამართლოში მამაჩვენმა მიაცილა), რომ ამ ზაფხულს ის დისციპლინურ მოსმენაზე წარდგა ვიზენგამოტის სრული შემადგენლობის წინაშე, რომელსაც მისთვის არც ისე კარგად ჩაუვლია. თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, ის მხოლოდ ფორმალურად გაამართლეს და ბევრი, ვისაც ველაპარაკე, წინანდებურად დარწმუნებულია მის ბრალეულობაში.

შეიძლება, გეშინია პოტერთან ურთიერთობის განყვეტისა – ვიცი, რომ დროდადრო წონასწორობას კარგავს და შეურაცხადიც ხდება. თუ შენ ეს განუხებს ან თუ მის საქციელში რაიმე შემაშფოთებელი შენიშნე, დაბეჭითებით გთხოვ, დოლორეს ამბრიჯს მიმართო. ეს კეთილშობილი ქალბატონი მხოლოდ მოხარული იქნება, რჩევით დაგეხმაროს.

ახლა წერილის მეორე ნაწილზე გადავდივარ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, დამბლდორის რეჟიმს ჰოგვორტსში მალე მოეღება ბოლო. შენ მისი კი არა, სკოლისა და სამინისტროს ერთგული უნდა იყო. ძალიან შევნუხდი, როცა გავიგე, რომ ჰოგვორტსში აუცილებელი გარდაქმნების ჩასატარებლად, რასაც მხურვალედ მიესალმება სამინისტრო, პროფესორ ამბრიჯს ძალიან მცირე მხარდაჭერა აქვს სკოლის პერსონალის მხრიდან (თუმცა, მომავალი კვირიდან მას უფრო გაუიოლდება საქმე – ისევ ხვალინ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დელ „დილის მისანს“ მიმართე). კიდევ ერთს გეტყვი: მოსწავლეს, რომელიც დღეს მხარში ამოუდგება პროფესორ ამბრიჯს, ორი წლის შემდეგ ჰედ ბოიდ გახდომის მშვენიერი შანსი მიეცემა.

ვწუხვარ, რომ იშვიათად გნახულობდი ამ ზაფხულს. გული მტკივა, მშობლებს რომ ვაკრიტიკებ, მაგრამ ვშიშობ, ვერ ვიცხოვრებ მათ ჭერქვეშ, სანამ ისინი დამბლდორის საშიშ გარემოცვასთან არიან დაკავშირებულნი (თუ გადაწყვეტ, რომ მისწერო დედას, შეატყობინე, რომ ვინმე სტარჯის პოდმორი, დამბლდორის უახლოესი მეგობარი, სულ ცოტა ხნის წინ აზკაბანში ჩაამწყვდიეს სამინისტროში უკანონო შეჭრისთვის. შეიძლება, ამან მაინც დაანახოს იმ წვრილმანი დამნაშავეების ჭეშმარიტი სახე, რომლებსაც საუკეთესო მეგობრებად თვლიან). ჩემთვის დიდ წარმატებად ვთვლი, რომ თავიდან ავიცილე ამგვარ ადამიანებთან სამარცხვინო ურთიერთობა - მინისტრმა უდიდესი შემწყნარებლობა გამოიჩინა ჩემ მიმართ - და იმედი მაქვს, რონ, ოჯახური კავშირები არ შეგიშლის ხელს, მიხვდე ჩვენი მშობლების შეხედულებებისა და საქციელის სიმცდარეს. მჭერა, რომ დროთა განმავლობაში თვითონვე შეიგნებენ, როგორ ცდებოდნენ, და თუ ეს დღე დადგა, სულითა და გულით შევუნდობ მათ.

ძალიან გთხოვ, კარგად ანონ-დანონო ყველაფერი, რაც აქ დავწერე, განსაკუთრებით კი ჰარი პოტერის თაობაზე, და კიდევ ერთხელ გილოცავ პრეფექტად დანიშვნას.

შენი ძმა პერსი.“

ჰარი რონისკენ შებრუნდა.

– კარგი, – ისე თქვა, თითქოს ეს ყველაფერი ხუმრობად მიიღოო, – თუ გინდა ჩემთან ურთიერთობის გაწყვეტა, ვფიცავ, შეურაცხადი არ გავხდები.

– მომეცი, – ხელი გაუწოდა რონმა, – ის... (რონმა წერილი შუაზე გადახია) ... ყველაზე დიდი (ოთხ ნაწილად გადახია) ...ნაძირალაა (რვა ნაწილად გადახია) ... ქვეყანაზე, – და ნაგლეჯები ბუხარში შეყარა, – მოდი, დილამდე უნდა მოვრჩეთ,– რონმა პროფესორ სინისტრას დავალება თავისკენ მისწია. ჰერმიონი გაოცებული შეჰყურებდა, მერე უცებ უთხრა:

– მოდი აქ.

– რა იყო? – გაიკვირვა რონმა.

– მომეცი, გადავათვალიერებ და შევასწორებ.

– მართლა? ჰერმიონ, შენ ჩვენი მხსნელი ხარ! – გაიხარა რონმა, – რა შემიძლია, რომ შენთვის გავაკეთო...

– შეგიძლია თქვა: „პირობას ვდებთ, რომ საშინაო დავალებას აღარ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადავდებთ შუაღამისთვის“, – გამხიარულებული ჰერმიონი ორივე ხელით დასწვდა მათ სამუშაოებს.

– დიდი მადლობა, – ამოიკნავლა ჰარიმ. პერგამენტი გაუწოდა, ისევ ჩაესვენა სავარძელში და თვალები მოისრისა.

შუაღამე გადასული იყო. საერთო ოთახი დაცარიელდა. დარჩნენ მხოლოდ სამნი და ბო. წრიპინებდა ჰერმიონის ფრთა, შრიალებდა ცნობარების ფურცლები. ჰარი ძალიან დაიღალა, მუცელში კი სიცარიელის უცნაური, საზიზღარი შეგრძნება ჰქონდა, რომელიც დაღლილობით კი არა, ახლა უკვე მინავლებულ ღუმელში შავ ფიფქებად ქცეული წერილით იყო გამოწვეული. იცოდა, რომ ჰოგვორტსის ნახევარს გიჟად თუ არა, უცნაურად მაინც მიაჩნია. ისიც იცოდა, რომ „დილის მისანი“ თვიდან თვემდე ტალახში სვრიდა, მაგრამ როცა იგივე ამოიკითხა პერსის წერილშიც, როცა წაიკითხა, როგორ ურჩევდა პერსი ძმას, ურთიერთობა გაეწყვიტა ჰარისთან და პროფესორ ამბრიჯთანაც დაებეზღებინა, არაჩვეულებრივი სიცხადით შეიგნო თავისი მდგომარეობა. ოთხ წელიწადს სწავლობდა პერსისთან ერთად; მის სახლში ცხოვრობდა ზაფხულის არდადეგებზე; მასთან ერთად იმყოფებოდა კარავში ქვიდიჩის მსოფლიო ჩემპიონატზე; პერსიმ უმაღლესი შეფასებაც კი მისცა სამი ჯადოქრის ტურნირში მეორე გამოცდისას. ახლა კი ძმას სწერს, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და შეურაცხადიაო.

უეცრად ნათლიის მიმართ უაღრესი თანაგრძნობით აღივსო. მის ნაცნობებს შორის სირიუსი, ალბათ, ერთადერთი იყო, ვინც ნამდვილად ჩასწვდებოდა მის გრძნობებს – თვითონაც ხომ ამ დღეში იყო. ჯადოქრების სამყაროში სირიუსი თითქმის ყველას მკვლელად, ვოლდემორის დამქაშად მიაჩნია. ამ ცილისწამებით ცხოვრობდა თოთხმეტ წელიწადს...

ჰარიმ თვალები დააფახურა. ცეცხლში ისეთი რაღაც მოეჩვენა, რაც იქ არ უნდა ყოფილიყო. გაიელვა და გაქრა. არა... შეუძლებელია... ეტყობა, იმიტომ მომეჩვენა, რომ სირიუსზე ვფიქრობდიო...

– გადაწერე, – უთხრა ჰერმიონმა რონს და პერგამენტი და ჩასწორებული ფურცელი მიუჩოჩა, – და ჩემი დაწერილი დასკვნაც მიამატე.

– ჰერმიონ, შენ საოცარი ადამიანი ხარ, – წაილუღლუღა რონმა, – და თუ ოდესმე კიდევ უხეშად მოგექცევი...

– მივხვდები, რომ შენ ისევ ის ხარ, – დაასრულა ჰერმიონმა, – ჰარი, შენ ყველაფერი ნორმალურად გაქვს, აი, ამის გარდა, ბოლოში. ალბათ, კარგად ვერ გაიგონე პროფესორ სინისტრას ნათქვამი. ევროპა ყინულით იყო დაფარული და არა ბინულით... რა დაგემართა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი სავარძლიდან ჩამოცურდა და გაცრეცილ, აქა-იქა ამომწვარ ხალიჩაზე დაჩოქილი ცეცხლს შესცქეროდა.

– ეი, ჰარი, – შეუძახა რონმა, – მანდ რას აკეთებ?

– სირიუსის თავი დავინახე ცეცხლში.

ჰარიმ ძალიან მშვიდად უპასუხა. ბოლოს და ბოლოს, შარშანაც ნახა აქ სირიუსის თავი და ელაპარაკა კიდეც. მაგრამ ამჯერად ისე სწრაფად გაქრა, დარწმუნებული არ იყო, რომ ნამდვილად დაინახა.

– სირიუსის თავი! – გაიმეორა ჰერმიონმა, – როგორც მაშინ, სამი ჯადოქრის ტურნირზე, როცა შენთან დალაპარაკება მოუნდა? მაგრამ ახლა რატომ – ეს ხომ მეტისმეტი იქნება... – ცეცხლს შეხედა და იკივლა: – სირიუს?

რონს ბატის ფრთა გაუვარდა. აბრიალებულ ცეცხლის ალში სირიუსის თავი მოჩანდა, გრძელი შავი თმა გაღიმებულ სახეზე ჩამოშლოდა.

– კინაღამ ვიფიქრე, რომ სხვებზე ადრე წახვიდოდით დასაძინებლად, ყოველ საათში ერთხელ შემოვიხედავდი ხოლმე.

– ყოველ საათს ბუხარში ძვრებოდი? – სიცილით ჰკითხა ჰარიმ.

– რამდენიმე წამით, ხომ უნდა შემემოწმებინა, რა ხდებოდა.

– ვინმეს რომ დაენახე? – შეშფოთდა ჰერმიონი.

– თუ არ ვცდები, ერთმა პირველკურსელმა გოგონამ მომკრა თვალი. მაგრამ ნუ ღელავ, – თქვა სირიუსმა, როცა შენიშნა, რომ ჰერმიონმა ტუჩებზე ხელი აიფარა, – მაშინვე დავიმალე. ალბათ, უცნაური კუნძი ვეგონე.

– მაგრამ ეს ხომ დიდი რისკია... – დაიწყო ჰერმიონმა.

– შენ რა მოლივით ლაპარაკობ, – შეაწყვეტინა სირიუსმა, – ეს ერთადერთი საშუალება იყო, რომ ჰარისთვის წერილზე შიფრის გამოუყენებლად მეპასუხა. შიფრი ხომ, როგორც მოგეხსენებათ, იშიფრება.

წერილის ხსენებაზე ჰერმიონი და რონი ჰარისკენ შებრუნდნენ.

– წერილი გაუგზავნე და ჩვენ არაფერი გვითხარი?! – უსაყვედურა ჰერმიონმა.

– დამავიწყდა, – თავი იმართლა ჰარიმ. საბუეში ჩოსთან შეხვედრამ ყველაფერი გამოუბერტყა თავიდან, – ასე ნუ მიყურებ. საინტერესოსა და საიდუმლოს იმ წერილიდან ვერაფერს შეიტყობდნენ, ასე არ არის, სირიუს?

– ჰო, ძალიან კარგად იყო შედგენილი, – გაიღიმა სირიუსმა, – თუმცა, ცოტა ვიჩქაროთ, თორემ შეიძლება, ხელი შეგვიშალონ... შენი ნაიარევი...

– რა თქვი?.. – დაიწყო რონმა, მაგრამ ჰერმიონმა შეაწყვეტინა: – მერე აგიხსნით, განაგრძე, სირიუს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, ვერაფერი სასიამოვნოა, როცა ნაიარევი გტკივა, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯერჯერობით მაინც სახიფათო არაფერია. შარშან ხომ მთელ წელიწადს გტკიოდა?

– ჰოდა, დამბლდორმა თქვა, რომ ეს მაშინ ხდება, როცა ვოლდემორს ძლიერი გრძნობები მოეძალება, – აუხსნა ჰარიმ და, როგორც ყოველთვის, ყურადღება არ მიუქცევია, როგორ შეკრთნენ რონი და ჰერმიონი, – ასე რომ, არ ვიცი, შეიძლება გაბრაზებული იყო ან კიდევ სხვა რამ აშფოთებდა იმ საღამოს, როცა სასჯელს ვიხდიდი.

– ჰო, ახლა ის დაბრუნდა და უფრო ხშირად აგტკივდება, – თქვა სირიუსმა.

– მაშ, შენი აზრით, ეს იმიტომ არ მოხდა, რომ ამბრიჯი შემეხო, როცა სასჯელს ვიხდიდი?

– არა მგონია, – თქვა სირიუსმა, – მე ვიცი, რა რეპუტაცია აქვს და შეუძლებელია, „სიკვდილის მხვრელი“ იყოს.

– ძალიან კარგადაც შეიძლება, შენ არ იცი, როგორი ფლიდია, – მოიღუშა ჰარი. რონმა და ჰერმიონმა კი ერთსულოვნად დაუკრეს კვერი.

– ჰო, მაგრამ კაცობრიობა არ იყოფა კარგ ადამიანებად და „სიკვდილის მხვრელებად“, – სევდიანი ღიმილით თქვა სირიუსმა, – თუმცა, მშვენივრად ვიცი, რა საზიზღარი სულიერიც ბრძანდება... ერთი მოგესმინათ, რას ამბობს მასზე ლუპინი.

– ლუპინი ამბრიჯს იცნობს? – სწრაფად იკითხა ჰარიმ, რადგან იმწამსვე გაახსენდა, რა თქვა ამბრიჯმა პირველივე გაკვეთილზე საშიში ნახევრადადამიანების შესახებ.

– არა, – უთხრა სირიუსმა, – მაგრამ ორი წლის წინათ სწორედ ამბრიჯმა შეადგინა კანონი მაქციების წინააღმდეგ, რის გამოც ახლა ლუპინი უმუშევარი დადის.

ჰარის თვალწინ დაუდგა, როგორი ჩამოძონძილი დადიოდა ლუპინი ამ ბოლო დროს, და კიდევ უფრო შეზიზღდა ამბრიჯი.

– რა დაუშავეს მაქციებმა? – გაბრაზდა ჰერმიონი.

– ვფიქრობ, ეშინია მათი, – სირიუსს ართობდა ჰერმიონის გაცეცხლება, – ეტყობა, ვერ იტანს ნახევრადადამიანებს. შარშან აგიტაციას ეწეოდა, წყლის კაცები დავიჭიროთ და საჭდეები ჩამოვკიდოთო. წარმოგიდგენიათ ამაზე დროისა და ენერგიის დახარჯვა, როცა ისეთი გაფუჭებული ვინმე, როგორიც კრეჩერია, თავისუფლად დაიარება.

რონმა გაიცინა, ჰერმიონს კი ეწყინა.

– სირიუს, ცოტა მეტი ყურადღება რომ მიგექცია კრეჩერისთვის, აუცილებლად შეიცვლებოდა, – უსაყვედურა ჰერმიონმა, – სხვა თუ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არაფერი, შენ მისი ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი ხარ, პროფესორმა დამბლდორმა თქვა...

– რა ხდება ამბრიჯის გაკვეთილებზე? – გააწყვეტინა სირიუსმა, – ნახევრადადამიანების დახოცვას გასწავლით?

– არა, – ჰარის ყურადღება არ მიუქცევია ნაწყენი ჰერმიონისთვის, რომელსაც კრეჩერის დაცვის საშუალება არ მისცეს, – ის საერთოდ არ გვაძლევს ჯადოქრობის გამოყენების უფლებას.

– სულელურ სახელმძღვანელოებს ვკითხულობთ, მეტი არაფერი, – დაამატა რონმა.

– გასაგებია, სამინისტროდან მოსული ცნობებით, ფაჯს არ უნდა, რომ ბრძოლა ისწავლოთ, – აუხსნა სირიუსმა.

– ბრძოლა ვისწავლოთ? – გაოცდა ჰარი, – ის რა, ფიქრობს, რომ აქ ჯარს ვაგროვებთ ჯადოქრების წინააღმდეგ?

– სწორედ ასე ფიქრობს, – დაუდასტურა სირიუსმა, – უფრო ზუსტად კი, იმის ეშინია, რომ ამ საქმეს დამბლდორი უდგას სათავეში – საკუთარ არმიას აყალიბებს, რათა მაგიის სამინისტრო ჩაიგდოს ხელში.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა... მერე რონმა თქვა:

– ცხოვრებაში არ მომისმენია მსგავსი სისულელე, სულელუნა ლავგუდის ბოდვა ამასთან რა მოსატანია.

– ესე იგი, იმიტომ არ გვასწავლიან ბნელი ძალებისგან თავდაცვას, რომ ფაჯს ეშინია, შელოცვები მაგიის სამინისტროს წინააღმდეგ არ გამოვიყენოთ? – აღშფოთდა ჰერმიონი.

– ეგრეა, – დაუდასტურა სირიუსმა, – ფაჯს ჰგონია, რომ დამ-ბლდორი ყველაფერზე წავა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. დღითი დღე უფრო და უფრო გიჟდება. აი, ნახეთ, დამბლდორი რამე შეთითხნილი ბრალდებით თუ არ დააპატიმრეს.

ჰარის პერსის წერილი გაახსენდა.

– ხომ არ იცი, ხვალინდელ „დილის მისანში“ რამე სტატია იქნება დამბლდორის შესახებ? რონის ძმა პერსი იწერება, რომ იქნებაო.

– არ ვიცი. ამ შაბათ-კვირას ორდენიდან არავინ მინახავს, ყველა საქმეშია ჩაფლული. მე და კრეჩერი მარტონი ვართ სახლში, – მიუგო სირიუსმა. მის ხმაში წყენა იგრძნობოდა.

– არც ჰაგრიდზე ისმის რამე?

– ეე... აქამდე უნდა დაბრუნებულიყო კიდეც, – თქვა სირიუსმა, – არავინ იცის, რა დაემართა, – და სამ შეწუხებულ სახეს რომ შეხედა, დაამატა: – მაგრამ დამბლდორი მშვიდად არის, ნურც თქვენ აფორი-აქდებით. დარწმუნებული ვარ, ცოცხალი და უვნებელია.

– მაგრამ თუ უკვე უნდა დაბრუნებულიყო... – მორიდებით იკითხა ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მასთან ერთად მადამ მაქსიმი იყო. ჩვენ მას დავუკავშირდით და გვითხრა, შინ რომ ვბრუნდებოდით, ერთმანეთს მაშინ დავემშვიდობეთო. მაგრამ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ რამე ხიფათი შეემთხვა ან რაღაც რიგზე ვერ არის.

ჰარის, რონსა და ჰერმიონს მისი ნათქვამი მაინცდამაინც დამაჯერებლად არ ეჩვენათ და შეშფოთებულებმა გადახედეს ერთმანეთს. სირიუსმა სასწრაფოდ დაამატა:

– და საერთოდაც. მეტისმეტად ხშირად ნუ იკითხავთ მის ამბავს. ასე მხოლოდ მეტ ეჭვს გააჩენთ მისი არყოფნის გამო, დამბლდორს კი ეს არ უნდა. ჰაგრიდი ძლიერია, არ დაიკარგება, – რაკი დაინახა, რომ ვერც ახლა დაარწმუნა ბავშვები, იკითხა: – კიდევ როდის გაგიშვებენ ჰოგსმიდში? მე მგონი, ძაღლად გადაქცევა კარგი აზრია, სადგურზე მშვენივრად გაგაცილეთ. მე გადავწყვიტე...

– არა! – ერთხმად წამოიძახეს ჰერმიონმა და ჰარიმ. ჰერმიონმა კი ჰკითხა:

– სირიუს, ნახე „დილის მისანი“?

– ა, ეს? – ჩაიცინა სირიუსმა, – ერთთავად მკითხაობენ, სად შეიძლება, ვიყო. ვერაფრით ვერ გამოუცნიათ.

– ჰო, მაგრამ ამჯერად შესაძლოა, გამოიცნეს კიდეც, – შეეპასუხა ჰარი, – მატარებელში მალფოიმ საკმაოდ უცნაური რამ თქვა, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ შენ იყავი. მამამისიც სადგურზე იყო, ლუციუს მალფოის ხომ იცნობ? ასე რომ, ფრთხილად იყავი. მალფოიმ თუ კიდევ ერთხელ გიცნო...

– კარგი, კარგი, გავიგე, – შეაწყვეტინა სირიუსმა, – უბრალოდ, ვიფიქრე, რომ ჩემი ნახვა მოგინდებოდათ...

– ჰო, მაგრამ არ გვინდა, რომ აზკაბანში გამოგამწყვდიონ! – უთხრა ჰარიმ.

ცეცხლის ალიდან სირიუსი ჩუმად შეჰყურებდა ჰარის. წარბებს შორის ღრმა ნაოჭი გასჩენოდა.

– უფრო ნაკლებად ჰგავხარ მამაშენს, ვიდრე მეგონა, – თქვა ბოლოს ცოტა ცივად, – ჯეიმსს, შენგან განსხვავებით, რისკი არ აშინებდა.

– მომისმინე...

– ალბათ, ჩემი წასვლის დროა. კრეჩერი კიბეზე ჩამოდის, – თქვა სირიუსმა, მაგრამ ჰარიმ არ დაიჯერა, – ესე იგი, როცა თქვენთან დავაპირებ ბუხარში მოსვლას, დრო წინასწარ შეგატყობინოთ? თუ, რა თქმა უნდა, შენთვის ძალიან სარისკო არ იქნება.

ტკაც! და იქ, სადაც ადრე თავი იყო, ცეცხლის ალიღა დარჩა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთხუთმეტე

ჰოგვორტსის გენერალური ინსპექტორი

პერსის მიერ ხსენებული სტატიის მოსაძებნად მთელი „დილის მისნის“ ჩაკითხვას აპირებდნენ. მაგრამ საფოსტო ბუმ რძის ქილიდან აფრენაც ვერ მოასწრო, რომ ჰერმიონმა, – უუჰო, – დაიძახა და მაგიდაზე გაშალა გაზეთი. სათაურის ქვემოდან ღიმილითა და თვალების ხამხამით დოლორეს ამბრიჯის ვეებერთელა ფოტო შესცქეროდათ.

სამინისტრო განათლების რეფორმას აცხარებს

დოლორეს ამბრიჯი დანიშნულია გენერალური ინსპექტორის ახალ თანამდებობაზე

– ამბრიჯი – გენერალურ ინსპექტორად? – მოიღუშა ჰარი და გახუხული პური ხელიდან გაუვარდა, – ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ჰერმიონმა ხმამაღლა წაიკითხა:

„გუშინ საღამოს მაგიის სამინისტრომ გადამჭრელ ღონისძიებას მიმართა: გამოსცა დეკრეტი, რომელიც სამინისტროს უპრეცედენტო კონტროლის უფლებას აძლევს ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაზე. უკანასკნელ ხანს მინისტრი მზარდი შეშფოთებით ადევნებდა თვალს ჰოგვორტსის მოღვაწეობას, – გვითხრა მინისტრის უმცროსმა თანაშემწემ პერსი უისლიმ, – ეს გადაწყვეტილება მიღებულია მშობლების პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სკოლა არასასურველი მიმართულებით მიექანება.

ბოლო ხანებში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მინისტრი კორნელიუს ფაჯი ახალ კანონებს ჯადოქრობის სკოლის სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის იყენებს. სულ ახლახან, 30 აგვისტოს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიღებულ იქნა დეკრეტი N 22, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, როცა დირექტორს არ შეუძლია მოძებნოს კანდიდატი, სამინისტრო თვითონ არჩევს ამ თანამდებობისთვის შესაფერის ადამიანს.

— სწორედ ასე დაინიშნა ჰოგვორტსში პროფესორი ამბრიჯი, — განაცხადა გუშინ საღამოს ბატონმა პერსი უისლიმ, — დამბლდორმა ვერავინ შეარჩია და ამიტომ მინისტრმა ამბრიჯს უბოძა ეს თანამდებობა. შესანიშნავი არჩევანია...“

— ამბრიჯია შესანიშნავი არჩევანი? — ხმამაღლა თქვა ჰარიმ.

— მოიცა, ჯერ სად ხარ... — წარბშეკრულმა ჰერმიონმა კითხვა განაგრძო:

„...შესანიშნავი არჩევანია. ძირფესვიანად შეიცვალა ბნელი ძალებისგან თავდაცვის სწავლება, ამას გარდა, ახლა მინისტრი უზრუნველყოფილია მიმდინარე ინფორმაციით იმის შესახებ, თუ რა ხდება სკოლაში სინამდვილეში.

ამ უკანასკნელ ფუნქციას ოფიციალური ხასიათი მისცა განათლების შესახებ თავისი № 23 დეკრეტით, რომელიც აფუძნებს ჰოგვორტსის გენერალური ინსპექტორის თანამდებობას.

— ეს მინისტრის მორიგი ნაბიჯია, შეაჩეროს ის, რასაც ბევრი სკოლის დაცემად თვლის, — განაცხადა უისლიმ, — ინსპექტორი უფლებამოსილია, შეამოწმოს კოლეგა-მასწავლებლების მუშაობა, რათა შენარჩუნდეს სწავლების პროცესის მაღალი დონე. ეს თანამდებობა პროფესორ ამბრიჯს მის პედაგოგიურ ვალდებულებებთან დამატებით შესთავაზეს და ჩვენ მოხარული ვართ, რომ პროფესორი დაგვთანხმდა.

ჰოგვორტსის სკოლის მოსწავლეების მშობლებმა ეს ნაბიჯი ენთუზიაზმით მიიღეს.

— როგორც კი შევიტყვე, რომ დამბლდორის მოღვაწეობა ობიექტური კონტროლის ქვეშ მოექცა, შვებით ამოვისუნთქე, — განაცხადა წუხელ ბატონმა ლუციუს მალფოიმ, — უკანასკნელ წლებში ბევრი ჩვენგანი, ვისთვისაც სულერთი არ არის ჩვენი შვილების ბედი, შეშფოთებულები ვიყავით დამბლდორის უამრავი ექსცენტრული გადაწყვეტილებით და მოხარული ვართ, რომ სამინისტროს განზრახული აქვს სიტუაციის თვალყურის დევნება სკოლაში.

ამ ექსცენტრულ გადაწყვეტილებებს განეკუთვნება საკამათო საკადრო პოლიტიკა, რის თაობაზეც უკვე წერდა გაზეთი; ასე და ამგვარად ჩაირიცხნენ შტატში მაქცია რემუს ლუპინი, ნახევარგოლიათი რუბეუს ჰაგრიდი და პარანოიით შეპყრობილი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბნელი ძალების წინააღმდეგ ყოფილი მებრძოლი მრისხანეთვალა მუდი.

ვრცელდება ხმები, რომ ალბუს დამბლდორს, ადრე ვიზენგამოტის უმაღლეს მსაჯულსა და ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის პრეზიდენტს, აღარ შესწევს ძალა, შეასრულოს ამ პრესტიჟული სკოლის ხელმძღვანელის მოვალეობა.

– მიმაჩნია, რომ გენერალური ინსპექტორის დანიშვნა პირველი ნაბიჯია იქითკენ, რომ ჰოგვორტსს ჰყავდეს ისეთი დირექტორი, რომელსაც მთლიანად ვენდობით, – განაცხადა წუხელ სამინისტროს რწმუნებულმა თანამშრომელმა.

გენერალური ინსპექტორის თანამდებობის შემოღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ვიზენგამოტის უხუცესებმა, გრიზელდა მარჩბენქსმა და ტიბერიუს ოგდენმა, პოსტები დატოვეს.

– ჰოგვორტსი სკოლაა და არა კორნელიუს ფაჯის დაწესებულების ფილიალი, – თქვა მადამ მარჩბენქსმა, – ეს ალბუს დამბლდორის დისკრედიტაციის მორიგი აღმაშფოთებელი მცდელობაა.

(გობლინების ძირგამომთხრელ ორგანიზაციასთან მადამ მარჩბენქსის შესაძლო კავშირებზე დაწვრილებით მოგითხრობთ მე-17 გვერდზე)".

ჰერმიონმა კითხვა დაამთავრა და მეგობრებს გადახედა.

– ახლა გასაგებია, საიდან გაჩნდა ჩვენთან ამბრიჯი. ფაჯმა გაიტანა ეს დეკრეტი და თავს მოგვახვია ეს ბებერი ალქაჯი! თან სხვა მასწავლებლების შემოწმების უფლებაც მისცა!

– ჰერმიონს სუნთქვა ეკვროდა, თვალები უელავდა, – წარმოუდგენელია! საზიზღრობაა!

– გეთანხმები, – თქვა ჰარიმ და თავის მარჯვენა ხელზე ამბრიჯის წყალობით ჩაბეჭდილი სიტყვების თეთრ მოხაზულობას დახედა.

რონი ახითხითდა.

– რა დაგემართა? – ერთდროულად ჰკითხა ორივემ.

– ერთი სული მაქვს, როდის დაიწყებს მაკგონაგელის შემოწმებას. ამბრიჯი ვერც კი ხვდება, რა მეხი დაატყდება თავს.

– კარგი, წავედით, – ჰერმიონი წამოხტა, – შეიძლება, უკვე ამოწმებს ბინსს, არ უნდა დავაგვიანოთ.

მაგრამ პროფესორი ამბრიჯი მაგიის ისტორიის გაკვეთილს არ დასწრებია. არც სნეიპის მიწისქვეშეთში შხამ-წამლების გაორმაგებულ გაკვეთილზე გამოჩენილა, სადაც ჰარიმ თავისი ნაშრომის ზედა კუთხეში მსუყე „ც" აღმოაჩინა.

– მე ის ნიშნები დაგიწერეთ, რომლებსაც თქვენს ნამუშევრებ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში **ბუა**-ს გამოცდებზე მიიღებდით, – თვითკმაყოფილი ღიმილით განაცხადა სნეიპმა, – ეს იმიტომ, რომ რეალური წარმოდგენა შეიქმნათ, რა გელით გამოცდაზე. მთლიანობაში ნამუშევრების დონე კოშმარულია. გამოცდაზე უმრავლესობა ჩაფლავდება. იმედია, მეტ მონდომებას გამოიჩენთ ცხოველების შხამების საწინააღმდეგო წამლების სახეობებზე მორიგი დავალების შესრულებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩერჩეტები, რომლებიც არადამაკმაყოფილებელ ნიშანს მიიღებენ, გაკვეთილების შემდეგ დარჩებიან.

მალფოი ხმამაღლა აჭიხვინდა და მერე თეატრალური ჩურჩულით წარმოთქვა:

– ვილაცამ „ც“ დაირტყა.

ჰარიმ დაინახა, როგორ გადმოხედა ჰერმიონმა ცერად, რომ ჰარის ნიშნისთვის მოეკრა თვალი, ამიტომ სწრაფად ჩადო ნამუშევარი ჩანთაში – თავისი მიღწევების გამომზეურებისგან თავი შეიკავა.

ამჯერად მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სნეიპისთვის არ მიეცა საბაბი, ერთხელ კიდევ დაემცირებინა კლასის წინაშე, ამიტომ სამჯერ გადაიკითხა დაფაზე დაწერილი თითოეული მითითება. მისი ხსნარი ისეთი გამჭვირვალე ფირუზისფერი არ გამოვიდა, როგორც ჰერმიონისა, მაგრამ ცისფერი მაინც იყო და არა ვარდისფერი, როგორც ნევილისა. გაკვეთილების ბოლოს თავისი კოლბა სნეიპს გამარჯვებული კაცის თავდაჯერებულობით მიუტანა.

– ახლა ისე ცუდად არ გამოვიდა, როგორც წინა კვირას, – უთხრა ჰერმიონმა, როცა კიბით ჰოლში ავიდნენ და სასადილოდ გაემართნენ, – საშინაო დავალებაც კარგად შეასრულეთ?

არც რონს უპასუხია და არც ჰარის, მაგრამ ჰერმიონი არ ცხრებოდა:

– მე არც ველოდი მაღალ შეფასებებს, რადგან ისე წერდა, როგორც **ბუა**-ს გამოცდაზე, მაგრამ ამ ეტაპზე გამსვლელი ქულაც ურიგო არ არის, მართალს არ ვამბობ?

ჰარიმ გაურკვევლად ჩაიცინა.

– რა თქმა უნდა, გამოცდებამდე ბევრი რამ შეიძლება, შეიცვალოს, დრო კიდევ ბევრია. ჩვენ თავს არ დავზოგავთ. დღევანდელი ნიშნები კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საწყისი ეტაპი. ასე არ არის? ჰოდა, ასეც განვაგრძოთ...

ისინი გრიფინდორის მაგიდას მიუსხდნენ.

– ჩემთვის რომ „შ“ დაეწერათ, სიხარულით გადავირეოდი.

– ჰერმიონ! – იფეთქა რონმა, – თუ გინდა გაიგო, რა ნიშნები მივიღეთ, პირდაპირ თქვი.

– არა, რატომ... თუკი არ გინდათ, თქვათ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე „ს“ მივიღე, – თქვა რონმა და მათლაფაში წვნიანი დაისხა, – კმაყოფილი ხარ?

– სასირცხვილო არაფერია, – ჩაერია ფრედი, რომელიც ის-ის იყო მივიდა მაგიდასთან ჯორჯსა და ჯორდანთან ერთად და ჰარის მარ-ჯვნივ მიუჯდა, – ცუდი არაფერი არ არის პატიოსან და ჯანმრთელ „ს“-ში.

– მაგრამ ვითომ „ს“ სუსტს არ ნიშნავს? – გაიკვირვა ჰერმიონმა.

– ჰო, სუსტს, – დაუდასტურა ლი ჯორდანმა, – მაგრამ ეს უკეთე-სია, ვიდრე „ც“.

ჰარიმ იგრძნო, როგორ აელანძა სახე და ჩაახველა. როცა ეს პატარა სცენა გაითამაშა, თავისდა საუბედუროდ, აღმოაჩინა, რომ ჰერმიონი ჯერ კიდევ **ბუა**-ს თემას უტრიალებდა.

– ესე იგი, უმაღლესია „შ“ – შესანიშნავი, – ამბობდა ჰერმიონი, – მერე მოდის „დ“...

– არა, „მ“, – შეუსწორა ჯორჯმა, – მოსალოდნელზე მაღალი. ყოვ-ელთვის მიმაჩნდა, რომ მე და ფრედს ყველა საგანში „მ“ გვეკუთ-ვნის – ყველანაირ მოლოდინს ვაჭარბებთ, თუნდაც იმიტომ, რომ გამოცდაზე გამოვცხადდით.

ჰერმიონის გარდა, ყველამ გაიცინა, ის თავისას აგრძელებდა:

– ესე იგი, „მ“-ს შემდეგ მოდის „დ“ – დამაკმაყოფილებელი, და ეს ბოლო გამსვლელი ნიშანია, არა?

– ჰო, – თქვა ფრედმა, ფუნთუშა წვნიანში ჩააწო და დაუღეჭავად გადაყლაპა.

– მერე „ს“ – სუსტი... და ბოლოს „ც“ – ცუდი, არა? – დაასრულა რონმა.

– და კიდევ „ტ“, – შეახსენა ჯორჯმა.

– „ტ“? „ტ“ რაღაა? – იკითხა ჰერმიონმა.

– ტროლი, – ცოცხლად უპასუხა ჯორჯმა.

ჰარიმ ისევ გაიცინა, თუმცა, ვერ მიხვდა, ხუმრობა იყო ეს თუ არა. უცებ წარმოიდგინა, როგორ ცდილობს ჰერმიონისგან თავისი „ტ“-ს დამალვას გამოცდებზე და მაშინვე გადაწყვიტა, რომ ამის შემდეგ უფრო ბეჯითად იმეცადინებდა.

– ბიჭებო, ინსპექტორი უკვე დაგესწროთ გაკვეთილზე? – იკითხა ფრედმა.

– არა, – უპასუხა ჰერმიონმა, – თქვენ?

– ახლახან გვქონდა, სადილის წინ... შელოცვები, – უპასუხა ჯორ-ჯმა.

– მერე? – ერთდროულად იკითხეს ჰარიმ და ჰერმიონმა. ფრედმა მხრები აიჩეჩა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისეთი არაფერი. ამბრიჯი კუთხეში იჯდა და თავისთვის რაღაცას ინიშნავდა ბლოკნოტში. ფლიტვიკს ხომ იცნობთ, ისე ექცეოდა, როგორც სტუმარს, თითქოს სულაც არ უშლიდა ხელს. თვითონ ამბრიჯი ცოტას ლაპარაკობდა. ალისიას ერთი-ორი შეკითხვა მისცა, როგორ ტარდება გაკვეთილებიო. ალისიამ უთხრა, ძალიან კარგადო. სულ ეს იყო.

– არა მგონია, ფლიტვიკს უსიამოვნება შეხვდეს, – თქვა ჯორჯმა, – მასთან ყველა კარგად აბარებს გამოცდას.

– სადილის შემდეგ რა გაქვთ? – ჰკითხა ფრედმა ჰარის.

– ტრელოუნი...

– თუ „ტ“-ა, ბარემ „ტ“ იყოს!

– ...და თვით ამბრიჯიც.

– კარგად მოიქეცი და თავი შეიკავე, – ურჩია ჯორჯმა, – თუ კიდევ ერთ ვარჯიშს გააცდენ, ანჯელინა ჭკუიდან შეიშლება.

მაგრამ ჰარიმ ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილამდე იხილა ამბრიჯი. როცა მისნობის დაბინდულ კლასში ჩანთიდან სიზმრების დღიურს იღებდა, რონმა იდაყვი გაჰკრა, მიიხედა და დაინახა, როგორ ამოდიოდა იატაკში ამოჭრილი საძვრენიდან თვით გენერალური ინსპექტორი. მხიარულად აჟივჟივებული ბავშვები უცებ დადუმდნენ. უეცარმა სიჩუმემ პროფესორი ტრელოუნი აიძულა, უკან გაეხედა. ხელში დასარიგებლად გამზადებული „სიზმრების ამხსნელის“ ეგზემპლარები ეჭირა.

– გამარჯობა, პროფესორო ტრელოუნი, – ჩვეული ფართო ღიმილით მიესალმა ამბრიჯი, – ვიმედოვნებ, მიიღეთ ჩემი ბარათი ინსპექციის თარიღისა და დროის შესახებ.

ტრელოუნიმ უკმაყოფილო სახით დაუქნია თავი, სტუმარს ზურგი შეაქცია და სახელმძღვანელოების დარიგება განაგრძო. ამბრიჯმა ჩვეული ღიმილით მოჰკიდა ხელი უახლოესი სავარძლის საზურგეს, გაათრია და ზუსტად ტრელოუნის სავარძლის უკან დადგა. ჩაჯდა, ფერადი ჩანთიდან ვეებერთელა ბლოკნოტი ამოიღო და გაკვეთილის დაწყების მოლოდინში თავი ასწია.

პროფესორმა ტრელოუნიმ ოდნავ აკანკალებული ხელებით მკერდზე ჩამოიფარა შალი და სათვალის სქელი მინებიდან კლასს გადახედა.

– დღეს გავაგრძელებთ წინასწარმეტყველური სიზმრების შესწავლას, – შეეცადა, როგორც ყოველთვის, იდუმალი ხმით ელაპარაკა, თუმცა, ხმა მაინც უთრთოდა, – თუ შეიძლება, დაიყავით წყვილებად და სახელმძღვანელოს დახმარებით შეეცადეთ, ახსნათ პარტნიორის ბოლო ღამის სიზმარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავის სავარძელში ჩაჯდომა დააპირა, მაგრამ უკან მჯდომი ამბრიჯი რომ დაინახა, მარცხნივ, პარვატისა და ლევენდერისაკენ გაუხვია, რომლებიც უკვე არჩევდნენ პარვატის სიზმარს.

ჰარიმ „სიზმრების ამხსნელი“ გადაშალა. თან მალულად გაჰყურებდა ამბრიჯს. ის უკვე რაღაცას ინიშნავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ადგა და ტრელოუნის აედევნა, ყურს უგდებდა მის საუბარს მოსწავლეებთან, თან დროდადრო შეკითხვებსაც იძლეოდა. ჰარიმ სასწრაფოდ დახარა თავი წიგნზე და რონს უთხრა:

– ჩქარა მოიფიქრე სიზმარი, ბებერი გომბეშო სადაცაა მოგვიახლოვდება.

– წინა გაკვეთილზეც მე მოვიგონე, ახლა შენი ჯერია, – გააპროტესტა რონმა.

– არ ვიცი, რა ვქნა, – სასოწარკვეთით შესჩივლა ჰარიმ, რადგან ბოლო ღამეების ვერც ერთი სიზმარი ვერ გაიხსენა, – ვიტყვი, რომ დამესიზმრა, ვითომ სნეიპი ჩემს ქვაბში დავახრჩვე.

რონმა ჩაიფრუტუნა და „ამხსნელი“ გადაშალა.

– კარგი. უნდა დაასახელო შენი ასაკი, როდის ნახე სიზმარი და ასოების რაოდენობა თემაში... რა თემა გვაქვს? „დავახრჩვე“, „ქვაბი“ თუ „სნეიპი“?

– სულერთია, აირჩიე, რომელიც გინდა, – ფრთხილად მიმოიხედა ჰარიმ.

ტრელოუნი ნევილს მისი სიზმრების დღიურზე ეკითხებოდა, ამბრიჯი უკან ედგა და შენიშვნებს იწერდა ბლოკნოტში.

– ჰა, როდის ნახე ეს სიზმარი? – ჰკითხა გამოთვლებით დაკავებულმა რონმა.

– არ ვიცი... წუხელ... რა ვიცი, როცა გინდა, – ჰარი ყურს უგდებდა, რას ამბობდა ამბრიჯი, ახლა მას და რონს პროფესორებისგან ერთი მაგიდაღა ჰყოფდათ.

– მაშ ასე, – თქვა ამბრიჯმა, – რამდენი ხანია, რაც ეს თანამდებობა გიჭირავთ?

პროფესორი ტრელოუნი მოიღუშა, გულხელი დაიკრიბა, მხრებში აიწურა, თითქოს სამარცხვინო დაკითხვისგან თავის დაცვას აპირებსო. ერთხანს ჩუმად იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, კითხვა არც ისე დამამცირებლად ჩათვალა, და უკმაყოფილოდ მიუგო:

– თითქმის თექვსმეტი წელიწადი.

– საკმაოდ დიდი დროა, – აღნიშნა პროფესორმა ამბრიჯმა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა, – და სამუშაოდ დამბლდორმა მიგიღოთ?

– დიახ, – მოკლედ უპასუხა პროფესორმა ტრელოუნიმ. პროფესორმა ამბრიჯმა ისევ ჩაინიშნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და თქვენ ცნობილი წინასწარმეტყველის, კასანდრა ტრელოუნის შვილიშვილის შვილიშვილი ხართ?

– დიახ, – დაუდასტურა ტრელოუნიმ და წელში გაიმართა. კიდევ ერთი ჩანაწერი გააკეთა ბლოკნოტში.

– მაგრამ, როგორც ვიცი, თუ ვცდები, შემისწორეთ, კასანდრას შემდეგ თქვენ პირველი ხართ ოჯახში, ვინც ამ ნიჭით არის დაჯილდოებული.

– ეს... ეე... ხშირად მესამე თაობას გადაეცემა ხოლმე. გომბეშოს ღიმილი ამბრიჯის სახეზე კიდევ უფრო გაფართოვდა.

– რა თქმა უნდა, – ხმა დაითაფლა და კიდევ რაღაცა ჩაინიშნა, – მაშ, იქნებ მეც მიწინასწარმეტყველოთ რამე? – და ღიმილით მიაჩერდა ტრელოუნის.

ტრელოუნი გაშრა, საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

– არ მესმის თქვენი, – ნერვიულად შემოიჭირა შალი წვრილ კისერზე.

– მე თქვენ გთხოვთ, მიწინასწარმეტყველოთ, – დამარცვლით გაუმეორა ამბრიჯმა.

ახლა არა მარტო რონი და ჰარი შესცქეროდნენ უჩუმრად, თითქმის მთელი კლასი გაინაბა. ტრელოუნი მძივებისა და სამაჯურების ჩხაკუნით წელში გასწორდა და შეურაცხყოფილმა გამოაცხადა:

– შინაგანი ჭვრეტა ვერ ხედავს ბრძანებით.

– გასაგებია, – წაიღუღუნა პროფესორმა ამბრიჯმა და რაღაც ჩაიწერა ბლოკნოტში.

– მე... თუმცა... მოიცათ! – პროფესორი ტრელოუნი ცდილობდა, ჩვეული იმქვეყნიური ხმით ელაპარაკა, მაგრამ იდუმალების ეფექტი ოდნავ გააფერმკრთალა რისხვისგან აკანკალებულმა ხმამ, – მგონი, რაღაცას ვხედავ... ეს თქვენ გეხებათ... ჰო, რაღაცას ვგრძნობ... რაღაც ბნელს... დიდ ხიფათს... პროფესორმა ტრელოუნიმ აკანკალებული თითი მიაშვირა პროფესორ ამბრიჯს, ის კი წარბაწეული ისევ გულთბილად იღიმებოდა.

– ვშიშობ... ვშიშობ, რომ დიდი ხიფათი გელით! – დრამატული ხმით ამცნო პროფესორმა ტრელოუნიმ.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. პროფესორი ამბრიჯი ისევ წარბაწეული უყურებდა პროფესორ ტრელოუნის. მერე ისევ რაღაც ჩაინიშნა ბლოკნოტში და რაც შეიძლება რბილად თქვა:

– კეთილი, თუ სულ ეს არის, რაც შეგიძლიათ, მითხრათ... ამბრიჯი გაშორდა ტრელოუნის. ის კი მილურსმულივით იდგა ერთ ადგილზე და აღელვებული ქოშინებდა.

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გადახედეს და ჰარიმ იგრძნო, რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა: პროფესორი ტრელოუნი დიდი გაიძვერა ვინმე იყო, მაგრამ ამბრიჯი ისეთ ზიზღს იწვევდა, რომ მთლიანად ტრელოუნის მხარეზე იყვნენ, უფრო სწორად, იმ ორიოდე წუთს, სანამ ტრელოუნი თავზე არ წამოადგათ.

– აბა! – უჩვეულოდ მკვახედ თქვა და გრძელი თითები ჰარის ცხვირწინ გაატკაცუნა, – მაჩვენეთ ერთი, როგორ დაიწყეთ სიზმრების დღიურის შედგენა.

სანამ ტრელოუნი ჰარის სიზმრებს ხმამაღლა ხსნიდა (ყველა სიზმარი, ისიც კი, სადაც ჰარი შვრიის ფაფას ჭამდა, მის უდროო გარდაცვალებას იუწყებოდა), მისდამი თანაგრძნობის კვალიც კი აღარ დარჩა. მთელი ეს დრო პროფესორი ამბრიჯი ორიოდე ნაბიჯზე იდგა და ბლოკნოტში რაღაცას იწერდა. ზარის შემდეგ კი პირველი ჩავიდა ვერცხლისფერ კიბეზე. ათი წუთის შემდეგ, როცა ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილზე მივიდნენ, ამბრიჯი უკვე იქ ელოდებოდათ. ცხვირში ღიღინებდა და თავისთვის რაღაცას ულიმოდა. ჰარიმ და რონმა „დაცვითი მაგიის თეორია“ ამოიღეს და ჰერმიონს მოუყვნენ, რა მოხდა ტრელოუნის გაკვეთილზე (ჰერმიონი არითმანტიის გაკვეთილიდან მოვიდა). მან რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს პროფესორმა ამბრიჯმა წესრიგისკენ მოუწოდა კლასს და ოთახში სიჩუმემ დაისადგურა.

– ჯადოსნური ჯოხები შეინახეთ, – ღიმილით გასცა განკარგულება და ამაოდ დაიმედებულებმა, რომ ამჯერად მაინც დასჭირდებოდათ ჯოხები, უკანვე, ჩანთაში ჩააბრუნეს, – წინა გაკვეთილზე ჩვენ პირველი თავი დავასრულეთ. გთხოვთ, გადაშალოთ წიგნი მეცხრამეტე გვერდზე. ვიწყებთ მეორე თავს: „თავდაცვის საერთო თეორიები და მათი წარმოშობა“. საუბრისგან თავი შეიკავეთ, – და იმავე ფართო, თვითკმაყოფილი ღიმილით მაგიდასთან დაჯდა.

მოსწავლეებმა ღრმად ამოიოხრეს და ერთდროულად გადაშალეს წიგნები. ჰარიმ უხალისოდ გაიფიქრა, ეყოფოდათ თუ არა წიგნის თავები მთელ სასწავლო წელს და უკვე აპირებდა წიგნის გადაშლას, რომ შენიშნა, როგორ ასწია ხელი ჰერმიონმა. პროფესორმა ამბრიჯმაც დაინახა, მაგრამ, როგორც ჩანს, მსგავსი შემთხვევებისთვის უკვე გამომუშავებული ჰქონდა ტაქტიკა. თავი არ მოუკატუნებია, ვითომ ვერ ხედავდა აწეულ ხელს, პირიქით, წამოდგა, წინა რიგს ჩაუარა, ჰერმიონის წინ შეჩერდა, დაიხარა და სხვებს რომ არ გაეგონათ, ჩურჩულით ჰკითხა:

– ამჯერად რა გვსურს, მის გრეინჯერ?

– უკვე წავიკითხე მეორე თავი.

– მაშინ, გადადით მესამეზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისიც წავიკითხე. მთელი წიგნი წავიკითხე.

პროფესორმა ამბრიჯმა თვალები დააფახურა, მაგრამ სწრაფად მოეგო გონს.

– მაშინ, იქნებ მითხრათ, რას ამბობს სლინკჰარდი მეთხუთმეტე თავში კონტრშელოცვების თაობაზე?

– ის ამბობს, რომ ეს სწორი დასახელება არ არის. ის ამბობს, რომ კონტრშელოცვებს ხალხი თავიანთ შელოცვებს იმიტომ უწოდებს, თითქოს ეს უფრო მისაღებად ჟღერს.

პროფესორმა ამბრიჯმა წარბები ასწია და ჰარი მიხვდა, რომ ჰერმიონის პასუხმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

– მაგრამ მე არ ვეთანხმები, – განაგრძო ჰერმიონმა. ამბრიჯის წარბები კიდევ უფრო ზევით აცოცდა, გამოხედვაც უფრო ცივი გაუხდა.

– არ ეთანხმებით?

– არა, – ჰერმიონი, ამბრიჯისგან განსხვავებით, არ ჩურჩულებდა. წკრიალა ხმით ლაპარაკობდა, ასე რომ, ახლა მათ მთელი კლასი უსმენდა, – ბატონ სლინკჰარდს არ უყვარს შელოცვები, ასე არ არის? მაგრამ, ვფიქრობ, ისინი ძალიან სასარგებლოა, თუ თავდაცვისთვის გამოვიყენებთ.

– თქვენ ასე ფიქრობთ? – პროფესორმა ამბრიჯმა თავი ანება ჩურჩულით ლაპარაკს და წელში გაიმართა, – მე მგონი, ამ კლასში ბატონი სლინკჰარდის აზრი უფრო გვაინტერესებს, ვიდრე თქვენი, ძვირფასო გრეინჯერ.

– მაგრამ... – შეპასუხება დააპირა ჰერმიონმა.

– კმარა, – ამბრიჯი თავის მაგიდასთან მივიდა. მერე კლასისკენ შებრუნდა. მხიარულების ნატამალიც აღარ ეტყობოდა, – გრიფინდორს ხუთ ქულას ვაკლებ.

კლასში ჩურჩულმა გადაირბინა.

– რატომ? – გაბრაზებით იკითხა ჰარიმ.

– ოღონდ ახლა არ ატყდე, – ჩურჩულით შეევედრა ჰერმიონი.

– მეცადინეობის მიმდინარეობის გაუმართლებელი დარღვევისთვის, – მშვიდად გამოაცხადა პროფესორმა ამბრიჯმა, – მე აქ იმიტომ ვარ, რომ სამინისტროს მიერ მოწონებული მეთოდიკა დავნერგო, რომელიც სულაც არ აგულიანებს მოსწავლეებს, თავიანთი აზრი გამოთქვან მოვლენებსა და საგნებზე, რომლებშიც ძალიან ცუდად ერკვევიან. თქვენი წინა პედაგოგები, როგორც ჩანს, მეტისმეტ თავისუფლებას გაძლევდნენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი, შესაძლოა, პროფესორ ქვირელის გამოკლებით, რომელიც საუკუნეების მანძილზე შემოწმებული თემებით მაინც იზღუდავდა თავს, ვერ დააკმაყოფილებდა სამინისტროს ინსპექციას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, ქვირელი შესანიშნავი პედაგოგი იყო, – ხმამაღლა თქვა ჰარიმ, – ოღონდ ერთი მცირე ნაკლი ჰქონდა: მისი პერანგის საყელოდან ვოლდემორი ამოყოფდა ხოლმე თავს.

ჩამოვარდა გამაყრუებელი სიჩუმე. მსგავსი სიჩუმე არასოდეს მოესმინა ჰარის. მერე კი:

– ვფიქრობ, დამატებითი მეცადინეობის კიდევ ერთი კვირა სარგებლობას მოგიტანთ, პოტერ, – შემპარავად ჩაილაპარაკა ამბრიჯმა.

* * *

ჰარის სულ ახლახან შეხორცებული ჭრილობიდან დილით ისევ სისხლი სდიოდა. წინა საღამოს, როცა სასჯელს იხდიდა ამბრიჯთან, ერთი არ დაუწუწუნია – გადაწყვიტა, თავისი წუწუნით სიამოვნება არ მიენიჭებინა ამბრიჯისთვის. წერდა და წერდა: „მე არ უნდა ვიცრუო“, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია, მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობები სულ უფრო უღრმავდებოდა.

სასჯელის მოხდის მეორე კვირაში ყველაზე ცუდი მაინც, როგორც ჯორჯი ვარაუდობდა, ანჯელინას რეაქცია იყო. სამშაბათს, როცა ჰარი საუზმისთვის მივიდა, ანჯელინა ისეთი ყვირილით დაატყდა თავს, რომ მასწავლებელთა მაგიდიდან პროფესორმა მაკგონაგელმა მოირბინა.

– მის ჯონსონ, როგორ ბედავთ დიდ დარბაზში ასეთი ხმაურის ატეხას? ხუთი საჯარიმო ქულა გრიფინდორს!

– პროფესორო, პოტერი ისევ დატოვეს გაკვეთილების შემდეგ.

მაკგონაგელი ჰარისკენ შებრუნდა.

– ახლა რაღა მოხდა, პოტერ? დაგსაჯეს? ვინ?

– პროფესორმა ამბრიჯმა, – წაიდუდუნა ჰარიმ და სწორკუთხა სათვალისთვის თვალის გასწორებისა შეეშინდა.

– ეგ როგორ? – მაკგონაგელმა ხმას დაუწია, რათა ცნობისმოყვარე რეივენქლოელებს არ გაეგონათ, – წინა ოთხშაბათის გაფრთხილების მიუხედავად, ისევ ვერ შეიკავეთ თავი პროფესორ ამბრიჯის გაკვეთილზე?

– ვერა, – თვალები დახარა ჰარიმ.

– პოტერ, თავს უნდა მოერიოთ! სერიოზულ უსიამოვნებებს გადაეყრებით. კიდევ ხუთ ქულას ვართმევ გრიფინდორს.

– მაგრამ... რატომ?.. პროფესორო! – ჰარი გააცეცხლა ამ უსამართლობამ, – მე უკვე დამსაჯეს, კიდევ ხუთ ქულას რატომ გვართმევთ?

– იმიტომ, რომ სასჯელი, როგორც ჩანს, თქვენზე არ მოქმედებს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაცხარდა პროფესორი მაკგონაგელი, – ნულარ შემეპასუხებით, პოტერ! ხოლო რაც შეგეხებათ თქვენ, მის ჯონსონ, ძალიან გთხოვთ, თუკი სამომავლოდ კაპიტნად გსურთ დარჩენა, ხმა სტადიონზე გაავარჯიშოთ!

პროფესორი მაკგონაგელი მასწავლებელთა მაგიდასთან დაბრუნდა. ანჯელინამ ზიზღით შეხედა ჰარის და იქაურობას გაშორდა. ჰარი კი რონის გვერდით დაჯდა.

– გრიფინდორი იმიტომ დააჯარიმა, რომ ყოველ საღამოს ხელს მიჯიჯგნიან! ეს რა, სამართლიანია?!

– არა, – თანაგრძნობით თქვა რონმა და ბეკონის ნაჭერი გადაუღო თეფშზე, – ვერ ხედავ, გაცოფებულია!

ჰერმიონი „დილის მისანს“ ფურცლავდა.

– შენი აზრით, მაკგონაგელი მართალია? – გაბრაზებული მიუბრუნდა ჰარი კორნელიუს ფაჯის პორტრეტს, რომელიც ჰერმიონის სახეს ფარავდა.

– ვწუხვარ, რომ დაგაჯარიმა, მაგრამ ვფიქრობ, სწორად გაგაფრთხილა, ამბრიჯთან ძიძგილაობას მორჩიო, – გაისმა ჰერმიონის ხმა ფაჯს მიღმა, რომელიც ენერგიულად იქნევდა ხელებს პირველ გვერდზე, აშკარად სიტყვით გამოდიოდა.

შელოცვებზე ჰარი არ დალაპარაკებია ჰერმიონს, მაგრამ როცა ტრანსფიგურაციაზე მივიდნენ, წამში დაავიწყდა წყენა. კუთხეში განუყრელი ბლოკნოტით ხელში ამბრიჯი იჯდა. დაინახა თუ არა, საუზმეზე მომხდარი ამბავი მაშინვე გაუფრინდა თავიდან.

– ძალიან კარგი, – წასჩურჩულა რონმა, როცა თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, – ახლა კი თავისას მიიღებს ამბრიჯი. პროფესორი მაკგონაგელი მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა კლასში. თავი ისე ეჭირა, თითქოს ამბრიჯის იქ ყოფნა ვერ შენიშნა.

– დავწყნარდეთ, – თქვა და ყველანი გაჩუმდნენ, – ფინიგან, კეთილი ინებეთ და დავალებების დასარიგებლად გამობრძანდით. მის ბრაუნ, აიღეთ, გეთაყვა, ეს ყუთი... ნუ სულელობთ, ძვირფასო, თაგვები არ შეგჭამენ... და თითო-თითო ჩამოარიგეთ...

– უჰუ, უჰუ...

ამ ბრიყვული ჩახველებით შეაწყვეტინა პირველ საღამოს პროფესორმა ამბრიჯმა სიტყვა დამბლდორს. პროფესორმა მაკგონაგელმა არჩია, არ გაეგონა. სიმუსმა ჰარის ნამუშევარი გადასცა. ჰარიმ ისე გამოართვა თავისი ნამუშევარი, რომ სიმუსისთვის არ შეუხედავს, და გულზე მოეშვა, როცა „დ“-ს მოჰკრა თვალი.

– ახლა ყური დამიგდეთ. დინ ტომას, თუ კიდევ ერთხელ ასე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოექცევით თაგვს, გაკვეთილების შემდეგ დაგტოვებთ... ბევრმა თქვენგანმა მოახერხა ლოკოკინების გაქრობა, ისინიც კი, რომლებსაც ნიჟარების ნარჩენები შემორჩათ, მაინც ჩასწვდნენ გარდაქმნის პრინციპებს. დღეს ჩვენ...

– უჰუ, უჰუ...

– დიახ! – პროფესორი მაკგონაგელი შებრუნდა, წარბები ერთ მთლიან სწორ ხაზად გაეწელა.

– მინდოდა გამეგო, პროფესორო, მიიღეთ თუ არა ჩემი ბარათი, სადაც მითითებულია თქვენი გაკვეთილის...

– როგორც ჩანს, მივიღე, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად გკითხავდით, რას აკეთებთ ჩემს გაკვეთილზე, – მიუგო პროფესორმა მაკგონაგელმა და უყოყმანოდ შეაქცია ზურგი პროფესორ ამბრიჯს. მოსწავლეებმა კმაყოფილებით გადახედეს ერთმანეთს, – ვიმეორებ, დღეს უფრო რთულ გაუჩინარებაზე ვივარჯიშებთ. ჩვენი დღევანდელი ობიექტი, თაგვები...

– უჰუ, უჰუ...

მაკგონაგელი გაცეცხლებული შებრუნდა ამბრიჯისკენ:

– საინტერესოა. როგორ აპირებთ სწავლების ჩემი მეთოდების გაცნობას, თუ გადაწყვეტილი გაქვთ, ყოველ წამს შემაწყვეტინოთ? გაითვალისწინეთ, მე არავის ვაძლევ გაკვეთილზე ლაპარაკის უფლებას, როცა თვითონ ვლაპარაკობ.

პროფესორ ამბრიჯს ისეთი სახე გაუხდა, თითქოს სილა გააწნესო, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ბლოკნოტი გადაშალა და გამწარებით დაიწყო წერა.

მაკგონაგელს მისკენ არც გაუხედავს, ისე მიმართა კლასს:

– როგორც უკვე გითხარით, რაც უფრო რთულია ცხოველის აგებულება, მით უფრო რთულია მისი გაუჩინარება. ლოკოკინა უხერხემლო არსებაა და მისი გაქრობა რთული არ არის. თაგვი ძუძუმწოვარია, მასთან მუშაობა გაცილებით ძნელია. ამიტომ ამგვარი სახის ჯადოსნური მოქმედების განხორციელება შეუძლებელია, თუ საუზმეზე ვიოცნებებთ. მაშ, ასე, შელოცვა უკვე ვიცით, ახლა კი ვნახოთ, რა გამოგვივა...

– რანაირად უნდა მისაყვედუროს ამბრიჯთან თავშეუკავებლობის გამო! – ღიმილით წასჩურჩულა ჰარიმ რონს. მაკგონაგელზე გაბრაზებამ უკვე გადაუარა.

პროფესორი ამბრიჯი ფეხდაფეხ არ დასდევდა პროფესორ მაკგონაგელს, ალბათ მიხვდა, რომ ის ამას არ მოითმენდა. სამაგიეროდ გაცილებით მეტს წერდა და როცა მაკგონაგელმა ბავშვები დაითხოვა, მოღუშული წამოდგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დასაწყისისთვის ცუდი არ არის, არა? – თქვა რონმა, თაგვის გრძელი დაკლაკნილი კუდი აიღო და ყუთში ჩააგდო.

მოსწავლეები გასასვლელისკენ დაიძრნენ. ჰარიმ დაინახა, რომ ამბრიჯი მასწავლებლის მაგიდასთან მივიდა, და რონს ხელი წაჰკრა, რონმა – ჰერმიონს და სამივე განგებ ჩამორჩა, რათა მათთვის მოესმინათ.

– რამდენი ხანია, რაც ჰოგვორტსში ასწავლით? – იკითხა პროფესორმა ამბრიჯმა.

– დეკემბერში ოცდაცხრამეტი წელი შესრულდება, – მოკლედ მოჭრა მაკგონაგელმა და ჩანთა დაკეტა. ამბრიჯმა ჩაიწერა და თქვა:

– ძალიან კარგი, ინსპექციის შედეგებს ათი დღის შემდეგ შეიტყობთ.

– მოუთმენლად ველი, – ცივად უპასუხა მაკგონაგელმა და კარისკენ წავიდა, – ნუ შეყოვნდებით, ახალგაზრდებო, – უთხრა ჰარის, ჰერმიონსა და რონს და გარეთ გაუძღვა.

ჰარიმ ვერ მოითმინა, ოდნავ გაუღიმა და შეეძლო დაეფიცა, რომ მაკგონაგელმაც გაუღიმა.

ჰარის ეგონა, ამბრიჯს ახლა მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ ნახავდა, მაგრამ შეცდა. როცა ტყისკენ მიმავალ მდელოზე გავიდნენ, ჯადოსნურ არსებათა მოვლის გაკვეთილზე მხოლოდ გრაბლი-პლენკი კი არა, პროფესორი ამბრიჯიც იქ დახვდათ თავისი ბლოკნოტით.

– ამ გაკვეთილებს, ჩვეულებრივ, თქვენ არ ატარებთ, ხომ ასეა? – გაიგონა ჰარიმ შეკითხვა, როცა გრძელ მაგიდას მიუახლოვდნენ, რომელზეც ცოცხალი ჯოხების მსგავსი რამდენიმე დატყვევებული ტყისკაცუნა ფხაჭუნით ეძებდა ნამისჭიას.

– მართალი ბრძანდებით, – უპასუხა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა. ხელები ზურგზე ჰქონდა შემოწყობილი და დროდადრო ფეხის წვერებზე წამოიწეოდა ხოლმე, – მე პროფესორ ჰაგრიდს ვცვლი.

ჰარიმ შეშფოთებით გადახედა რონსა და ჰერმიონს. მალფოი კრაბთან და გოილთან ჩურჩულებდა; რა თქმა უნდა, მოხარული იქნებოდა, სამინისტროს წარგზავნილისთვის რამე ჩაეწვეთებინა ყურში.

– უჰუ, უჰუ... – ამბრიჯმა ხმას დაუწია, მაგრამ ჰარის მაინც ესმოდა, – საინტერესოა... დირექტორმა მიზეზი რატომღაც არ ამიხსნა... თქვენ ვერ მეტყოდით, რატომ გაიჭიმა ჰაგრიდის შვებულება?

ჰარიმ დაინახა, რომ მალფოიმაც ცქვიტა ყურები.

– ვშიშობ, რომ ვერა, – ხალისით უპასუხა გრაბლი-პლენკმა, – ამის თაობაზე თქვენზე მეტი არ ვიცი, დამბლდორმა ბუ გამომიგზავნა და შემომთავაზა, ორიოდე კვირა აქ წამემუშავა. მეც დავთანხმდი. სულ ეს არის, რაც ვიცი. ასე რომ... იქნებ დავიწყოთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, თუ შეიძლება, – თქვა პროფესორმა ამბრიჯმა და ბლოკნოტში რაღაცა ჩაინიშნა.

ამჯერად სხვა ტაქტიკა აირჩია: მოსწავლეებს შორის დაიწყო სიარული და ჯადოსნურ არსებებზე რაღაცეებს ეკითხებოდა. მეტწილად კარგად პასუხობდნენ და ჰარის გუნება ოდნავ გამოუკეთდა, სხვა თუ არაფერი, ჰაგრიდს არ ღალატობდნენ.

– თქვენ, როგორც კოლექტივის დროებით წევრს და, ამდენად, უფრო ობიექტურსაც, როგორ მოგწონთ ჰოგვორტსი? გრძნობთ მხარდაჭერას ხელმძღვანელობისგან? – ჰკითხა პროფესორმა ამბრიჯმა გრაბლი-პლენკს, როცა დინ ტომასის დაკითხვას მორჩა.

– ო, რა თქმა უნდა, დამბლდორი შესანიშნავი დირექტორია, – გულმხურვალედ თქვა გრაბლი-პლენკმა, – ძალიან მომწონს ვითარება სკოლაში, ძალიან!

ამბრიჯმა მიმიკით ზრდილობიანად გამოხატა ეჭვი, თან რაღაც ჩაინიშნა ბლოკნოტში და განაგრძო:

– რის შესწავლას აპირებთ წლეულს, თუ, რა თქმა უნდა, ჰაგრიდი არ დაბრუნდა?

– ჩვენ იმ არსებებს შევისწავლით, რომლებიც გაცილებით ხშირად გვხვდება **ბუა**-ს გამოცდებზე. არც ისე ბევრილა დარჩა – მათ უკვე შეისწავლეს ცალრქიანი ცხენები და ნიფლერები. ახლა გადავალთ ხოჭმაჭოებსა და ნიზლერებზე, ვისწავლით ზღარბებისა და ნარლების გარჩევას, ერთი სიტყვით...

– როგორც ჩანს, თქვენ იცით თქვენი საგანი, – თქვა ამბრიჯმა და ისევ რაღაც ჩაინიშნა ბლოკნოტში.

ჰარის არ მოეწონა, განსაკუთრებული ხაზგასმით რომ წარმოთქვა სიტყვა „თქვენ“. კიდევ უფრო ნაკლებად მოეწონა შეკითხვა, რომელიც გოილს დაუსვა.

– მითხრეს, კლასში ვიღაც დაშავდაო, მართალია?

გოილი სულელურად გაიღრიჭა. პასუხის გასაცემად კი მალფოი წამოხტა:

– მე. მე გამკრა ჰიპოგრიფმა.

– ჰიპოგრიფმა? – გაიმეორა პროფესორმა ამბრიჯმა და საქმიანად ჩაინიშნა.

– ეგ მალფოის ბრალი იყო, ჰაგრიდს არ დაუჯერა! – გაბრაზებული ჩაერია ჰარი.

რონმა და ჰერმიონმა ამოიგმინეს. ამბრიჯი ნელა შებრუნდა ჰარისკენ.

– კიდევ ერთი საღამო გაკვეთილების შემდეგ, – ნაზად თქვა მან, – კარგი. დიდი მადლობა, პროფესორო გრაბლი-პლენკ, ვფიქრობ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაფერი გასაგებია. ინსპექციის შედეგებს ათი დღის განმავლობაში შეგატყობინებთ.

– კეთილი, – თქვა პროფესორმა გრაბლი-პლენკმა. ამბრიჯი კი მდელოს გავლით ციხე-კოშკისკენ წავიდა.

* * *

ჰარი ამბრიჯის კაბინეტიდან, დაახლოებით, შუაღამისას გამოვიდა. ხელიდან ისე სდიოდა სისხლი, რომ ზედ შემოხვეული ნაჭერი სულ გაიჟღინთა. ეგონა, საერთო ოთახში აღარავინ დახვდებოდა, მაგრამ იქ რონი და ჰერმიონი ელოდნენ. ძალიან გაუხარდა, მით უფრო, რომ ჰერმიონი სულაც არ იყო კრიტიკულად განწყობილი.

– აი, – აღელვებულმა ჰერმიონმა ყვითელი სითხით სავსე ჯამი მიუწია, – ეს მრავალფეხას დაკონსერვებული საცეცების გაწურული ნაყენია, უნდა გიშველოს.

ჰარიმ გასისხლიანებული ხელი ჯამში ჩაყო და შვება იგრძნო. ტკივილი გაუქრა. ბო კრუტუნით ეხახუნებოდა ფეხებზე, მერე შეახტა და მუხლებზე მოკალათდა.

– გმადლობ, – თქვა ჰარიმ და მარცხენა ხელით ყურისძირში მიეფერა.

– მაინც მგონია, რომ უნდა უჩივლო, – წყნარად ურჩია რონმა.

– არა, – მოკლედ მოჭრა ჰარიმ.

– მაკგონაგელი გაცოფდება, რომ გაიგოს.

– ალბათ, – დაეთანხმა ჰარი, – და როგორ ფიქრობ, რამდენი დღე დასჭირდება ამბრიჯს, კიდევ ერთი დეკრეტის გამოსაცემად: „ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამს გენერალური ინსპექტორის მისამართით, მაშინვე გაირიცხება სკოლიდან“? რონმა პირი გააღო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და ისევ დახურა.

– საშინელი დედაკაცია, – ხმადაბლა თქვა ჰერმიონმა, – საშინელი. სწორედ ახლა ვეუბნებოდი რონს, შენს მოსვლამდე, ამ ამბავს რაღაც უნდა მოვუხერხოთ-მეთქი.

– მე შხამი შევთავაზე, – დასერიოზულდა რონი.

– არა... უნდა დავამტკიცოთ, რომ უვარგისი მასწავლებელია; რომ მის ხელში ვერაფერსაც ვერ ვისწავლით.

– ჩვენ რა შეგვიძლია? – დაამთქნარა რონმა, – ახლა გვიანია, მან თანამდებობა მიიღო და ამ ადგილს აღარ მოაცილებენ. ფაჯი ამას არ იზამს.

– იცით... – გაუბედავად დაიწყო ჰერმიონმა, – დღეს ვფიქრობდი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შიშით გახედა ჰარის, – ვიფიქრე, იქნებ დროა, ჩვენ თვითონ... თვითონ მოვაბათ თავი ამ საქმეს-მეთქი.

– რა საქმეს? – დაეჭვებულმა იკითხა ჰარიმ, თან ხელს ისევ ჯამში ალაღლაღებდა.

– თვითონ ვისწავლოთ ბნელი ძალებისგან თავდაცვა.

– კარგი ერთი, – დაიკვნესა რონმა, – თითქოს სამუშაო გვაკლდეს. ხომ იცი, რომ მე და ჰარის ისევ დაგვიგროვდა საშინაო დავალებები, ჯერ კი მხოლოდ მეორე კვირაა.

– მაგრამ ეს საშინაო დავალებებზე უფრო მნიშვნელოვანია! – შეედავა ჰერმიონი.

ჰარიმ და რონმა თვალები დაჭყიტეს.

– მე კი მეგონა, ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი იყო ქვეყანაზე! – აღიარა რონმა.

– რა სისულელეა, – თქვა ჰერმიონმა და ჰარიმ შიშით შეამჩნია, რომ ჰერმიონი ისევე იყო ანთებული, როგორც მაშინ, როცა ელფების უფლებებზე ლაპარაკობდა, – ჰარიმ მართალი თქვა ამბრიჯის პირველ გაკვეთილზე, ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რაც სკოლის კედლებს გარეთ გველოდება. ჩვენ უნდა შეგვეძლოს თავის დაცვა. და თუ ვერაფერი ვისწავლეთ მთელი წლის მანძილზე...

– ვითომ რამეს მოვახერხებთ ჩვენ თვითონ? – უნიათოდ იკითხა რონმა, – კარგი, წავალთ ბიბლიოთეკაში, წავიკითხავთ შელოცვებს, შევეცდებით, ვივარჯიშოთ. მერე რა გამოვა აქედან?

– არა, მე გეთანხმებით, რომ ჩვენ უკვე გავიარეთ ის სტადია, როცა მხოლოდ წიგნებით შეიძლება რამის სწავლა, – დაეთანხმა ჰერმიონი, – ჩვენ გვჭირდება მასწავლებელი, ნამდვილი მასწავლებელი, რომ გვაჩვენოს, როგორ ვისარგებლოთ შელოცვებით და შეგვისწოროს, თუ შეგვეშლება.

– თუ ლუპინს გულისხმობთ... – დაიწყო ჰარიმ.

– არა, ლუპინს არა. ის ორდენში საქმიანობს, თანაც, მასთან ხშირად შეხვედრასაც ვერ მოვახერხებთ, მხოლოდ ჰოგსმიდში თუ ვნახავთ, ისიც – დასვენების დღეებში, – აუხსნა ჰერმიონმა.

– მაშინ ვინ? – იკითხა მოღუშულმა ჰარიმ. ჰერმიონმა ღრმად ამოიოხრა:

– ვითომ ცხადი არ არის, ვინ? შენ, ჰარი.

ჩამოვარდა სიჩუმე. ღამის ნიავმა რონის ზურგს უკან ფანჯარა ოდნავ შემოაღო და ბუხარში ალი შეირხა.

– რა, მე?

– შენ გვასწავლი ბნელი ძალებისგან თავდაცვას.

ჰარი ჰერმიონს მიაშტერდა. მერე რონისკენ შებრუნდა იმის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმედით, რომ ისეთივე გაღიზიანებულ მზერას წააწყდებოდა, როგორითაც ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, როცა ჰერმიონი ელფების უფლებების დაცვისმაგვარ დიდ პროექტებზე იწყებდა საუბარს. მაგრამ, თავისდა სამწუხაროდ, რონის თვალებში ვერც გაღიზიანება შენიშნა და ვერც გაოცება.

რონი წარბშეკრული, დაძაბული ფიქრობდა. მერე თქვა:

– მშვენიერი აზრია.

– რა არის მშვენიერი? – ჰკითხა ჰარიმ.

– რომ შენ გვამეცადინო.

– მაგრამ...

ჰარიმ გაიღიმა, იფიქრა, მეხუმრებიანო.

– მე ხომ მასწავლებელი არა ვარ, მე არ შემიძლია...

– ჰარი, წლეულს შენ საუკეთესო ხარ ბნელი ძალებისგან თავდაცვაში, – უთხრა ჰერმიონმა.

– მე? – ღიმილით გაიბადრა ჰარი, – შენ ხომ ყველა გამოცდაზე გამისწარი!..

– სინამდვილეში სულაც არ გამისწრია, – მშვიდად თქვა ჰერმიონმა, – მესამე კურსზე შენ საუკეთესო იყავი. ეს იყო პირველი ნამდვილი გამოცდები და პირველი მასწავლებელი, რომელმაც საგანი იცოდა. მაგრამ მე გაკვეთილებს არ ვგულისხმობ. გაიხსენე, რა გააკეთე!

– რა გავაკეთე?

– დარწმუნებული არ ვარ, რომ ასეთი გონებაშეზღუდული მასწავლებელი მინდა, – ეშმაკურად გაუღიმა რონმა ჰერმიონს. მერე ჰარისკენ შებრუნდა: – მოდი, ერთად ვიფიქროთ, – და ჩაფიქრებული გოილის ბრიყვული გამომეტყველება მიიღო, – აჰა... პირველ წელს ფილოსოფიური ქვა გადაარჩინე ჩვენ-რომ-ვიცით, იმისგან.

– უბრალოდ, ბედმა გამიღიმა, ცოდნა და უნარი რა შუაშია... – გააპროტესტა ჰარიმ.

– მეორე წელს ბასილისკო მოკალი და რიდლი გაანადგურე.

– ჰო, მაგრამ ფოუკსი რომ არ გამოჩენილიყო...

– მესამე წელს, – რონმა ხმას აუწია, – შენ ერთდროულად ასამდე დემენტორი მოიგერიე...

– შენ ხომ იცი, რომ ეს ბედნიერი შემთხვევა იყო... დროის მდევარი რომ არ...

– შარშან, – რონი თითქმის ყვიროდა, – ისევ შეებრძოლე ჩვენ-რომ-ვიცით, იმას.

– მომისმინე, – ჰარის ახლა კი ბრაზი მოერია, რადგან უკვე ჰერმიონიც იცინოდა, – შეგიძლიათ, მომისმინოთ? ეს ყველაფერი ლამაზად ჟღერს, მაგრამ მე, უბრალოდ, ბედი მწყალობდა, დროდადრო ვერც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი ვხვდებოდი, რას ვაკეთებდი, არაფერსაც არ ვგეგმავდი, ბრმად ვმოქმედებდი და თითქმის ყოველთვის ვიღაც მეხმარებოდა.

რონი და ჰერმიონი ისევ იღიმებოდნენ. ჰარი კი უფრო და უფრო ბრაზდებოდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

– რა გაცინებთ, ჩემზე უკეთ მიცნობთ? იქ მე ვიყავი თუ ვინმე სხვა? მე ვიცი, იქ რაც ხდებოდა, გასაგებია? და იმიტომ კი არ გამოვძვერი, რომ ბრწყინვალედ ვფლობ ბნელი ძალებისგან თავდაცვის ხერხებს, არამედ იმიტომ... იმიტომ, რომ დროზე მეხმარებოდნენ ან სწორად გამოვიცნობდი ხოლმე... ყველაფერს ალალბედზე ვაკეთებდი, დაუფიქრებლად... მორჩით ღრეჭას!

მრავალფეხას ნაყენიანი ჯამი იატაკზე დავარდა და გატყდა. ჰარი მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ ფეხზე იდგა. ვერც კი შენიშნა, როდის წამოხტა. ბო დივნის ქვეშ შეძვრა. მეგობრები აღარ იცინოდნენ.

– თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, ეს რა არის! თქვენ მას არასოდეს გადაჰყრიხართ! გგონიათ, უბრალოდ დავიხსომე ხუთიოდე შელოცვა და ისე გამოვიყენე, როგორც გაკვეთილზე? არაფერი ამის მსგავსი! იმ დროს ერთი წამით არ გცილდება იმის შეგრძნება, რომ შენსა და სიკვდილს შორის არაფერია, გარდა... შენი გონებისა, ან გამბედაობისა, ანდა, რა ვიცი... როცა ჯერ კიდევ საღად აზროვნებ და იცი, რომ წამის მეასედში შენი აღსასრული დადგება, ან წამება გელის... ან ისე ხდება, რომ მეგობრები კვდებიან შენ თვალწინ... გაკვეთილზე მსგავსი არაფერი უსწავლებიათ, არც აუხსნიათ, რა უნდა იღონო ამ დროს. თქვენ კი აქ ისეთი სახეებით სხედხართ, თითქოს თქვენ წინ ჭკუის კოლოფი იდგეს, დიგორი კი შტერი იყო და ყველაფერი წესიერად ვერ გააკეთა... თქვენ არ გესმით, რომ სულ თავისუფლად შეიძლებოდა, მის ადგილზე მე ვყოფილიყავი! ასეც იქნებოდა, თვითონ ვოლდემორს რომ არ დავჭირვებოდი.

რონი გაშრა.

– ჩვენ ეგ არ გვითქვამს. არც დიგორი დაუდანაშაულებია ვინმეს, შენ ყველაფერს უკულმა... – სასოწარკვეთილმა შეხედა ჰერმიონს. ისიც გაოცებული იყო.

– ჰარი, – მორიდებით დაიწყო ჰერმიონმა, – ნუთუ არ გესმის? სწორედ ამიტომაც გთხოვთ შენ... ჩვენ გვინდა, ვიცოდეთ, როგორია ვოლ... ვოლდემორის პირისპირ დგომა.

ჰერმიონმა პირველად წარმოთქვა ვოლდემორის სახელი და ამან უფრო იმოქმედა ჰარიზე, ვიდრე მისმა სიტყვებმა. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, წამსვე დაწყნარდა, სავარძელში ჩაჯდა და მაშინღა იგრძნო, რომ ხელი ისევ საშინლად სტკიოდა. ძალიან ინანა, რომ მრავალფეხასნაყენიანი ჯამი დაამსხვრია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იფიქრე ამაზე, – წყნარად სთხოვა ჰერმიონმა, – კარგი?

ჰარიმ არ იცოდა, რა ეთქვა, უკვე რცხვენოდა თავისი გაალმასების გამო. თავი დაუქნია, თუმცა, მაინცდამაინც კარგად ვერ ხვდებოდა, რაზე ეთანხმებოდა.

ჰერმიონი წამოდგა და შეეცადა, ბუნებრივად ეთქვა:

– კარგი, მე წავალ დასაძინებლად. რონიც ადგა.

– წავიდეთ? – ყოყმანით ჰკითხა ჰარის.

– ჰო... ახლავე. ცოტას მივალაგებ.

ჰარიმ დამსხვრეულ ჯამზე მიუთითა. რონმა თავი დაუქნია და წავიდა.

– რეპარო! – ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ნამტვრევებისკენ მიმართა. ჯამი გამთელდა, თითქოს არც დამტვრეულიყოს, მაგრამ ნაყენის დაბრუნება შეუძლებელი იყო.

უცებ ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ ისევ სავარძელში მომყუდროება და დაძინება მოუნდა. მაგრამ თავს ამის უფლება არ მისცა და თვითონაც რონს მიჰყვა. ღამით ისევ დაესიზმრა გრძელი დერეფანი და დაკეტილი კარი. როცა გაიღვიძა, ნაიარევი ისევ წიწკნიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთექვსმეტე

„ღორის თავი“

ჰერმიონს ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ შეუხსენებია ჰარისთვის, რომ ბნელი ძალებისგან თავდაცვა ესწავლებინა. სასჯელის მოხდა ამბრიჯთან დასრულდა, მაგრამ ჰარის ეჭვი ეპარებოდა, რომ ხელზე ამოჭრილი სიტყვები ოდესმე წაიშლებოდა. რონი კიდევ ოთხ ვარჯიშზე იყო და ბოლო ორზე უკვე აღარ უყვიროდნენ. ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე სამივემ მოახერხა თაგვების გაქრობა, ჰერმიონმა კნუტების გაქრობაც კი ისწავლა. მაგრამ სექტემბრის მიწურულის ერთ ქარიან საღამოს, როცა სამივენი ბიბლიოთეკაში ისხდნენ და სნეიპის წამლისთვის ინგრედიენტებს არჩევდნენ, ამ თემას ისევ მიუბრუნდნენ.

– მომისმინე, ჰარი, იმის მერე აღარ გიფიქრია ბნელი ძალებისგან თავდაცვაზე? – უცებ ჰკითხა ჰერმიონმა.

– რა თქმა უნდა, მიფიქრია, – ჩაიბუზღუნა ჰარიმ, – როგორ არ უნდა ვიფიქრო, როცა ეს დედაბერი გვასწავლის.

– არა, იმაზე გეუბნები, რაც მე და რონმა... რონმა შეშფოთებით გახედა, ჰერმიონი მოიღუშა.

– კარგი. იმაზე, რაც მე გთხოვე – რომ გვასწავლო.

ჰარი პასუხს აგვიანებდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს „აზიურ შხამსაწინააღმდეგო წამლებს“ ჩაჰკირკიტებდა, რადგან არ უნდოდა, თავისი ფიქრები გაემხილა.

ფიქრით კი, მართლაც, ბევრი იფიქრა ამ ორი კვირის განმავლობაში. ხანდახან ეს იდეა გიჟური ეჩვენებოდა. დროდადრო კი მაინც ფიქრობდა იმ შელოცვებზე, რომლებიც ყველაზე მეტად დაეხმარა ბნელ არსებებთან და „სიკვდილის მხვრელებთან“ შეხვედრისას, და თავისდა უნებურად გაკვეთილების გეგმებს აწყობდა...

ბოლოს, როცა უკვე აღარ შეიძლებოდა თავის მოკატუნება,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითქოს „აზიური წამლებით“ იყო დაინტერესებული, გამოტყდა:

– ჰო, ხანდახან ვფიქრობდი.

– მერე?

– რა ვიცი, – ჰარი გაჩუმდა და რონს გახედა.

– მე თუ მკითხავთ, ეს აზრი თავიდანვე მომეწონა, – ხალისით ჩაერთო საუბარში რონი, როცა დარწმუნდა, რომ ჰარი ჩხუბის ატეხას არ აპირებდა.

ჰარი სავარძელში აწრიალდა.

– ხომ გითხარით, მეტწილად ბედი მწყალობდა-მეთქი, ასე არ არის?

– ჰო, ჰარი, – დაუყვავა ჰერმიონმა, – მაგრამ სულერთია, მაინც ვერ უარყოფ, რომ შენ ბნელი ძალებისგან თავდაცვა გეხერხება. შარშან ერთადერთი იყავი, ვინც სრულად მოახერხა იმპერიუსის წყევლასთან გამკლავება; შენ შეძელი პატრონუსის გამოძახება და გააკეთე ის, რის გაკეთებაც მოზრდილ ჯადოქრებსაც არ შეუძლიათ. ვიქტორი ყოველთვის ამბობდა...

რონი ისე სწრაფად შებრუნდა ჰერმიონისკენ, რომ კინაღამ კისერი იღრძო და ხელით რამდენჯერმე მოისრისა.

– ჰო? რაო, რა თქვა ვიკიმ?

– „რა თქვა ვიკიმ“, – გამოაჯავრა ჰერმიონმა, – ვიკიმ თქვა, რომ ჰარი იმას აკეთებს, რის გაკეთებაც მე არ შემიძლიაო. არადა, მაშინ დურმსტრანგის მეხუთე კურსზე იყო.

რონმა ეჭვით შეხედა.

– შენ რა, დღემდე არ გაგიწყვეტია ურთიერთობა?

– მერე რა მოხდა? – მშვიდად ჰკითხა ჰერმიონმა, თუმცა სახე ოდნავ აუვარდისფრდა, – რა, მიმოწერით მეგობრობა აკრძალულია?

– იმას მარტო მიმოწერით არ უნდოდა მეგობრობა.

ჰერმიონმა გაღიზიანებულმა გადააქნია თავი და ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია რონისთვის და ჰარის უთხრა:

– რას იტყვი, გვასწავლი?

– მხოლოდ შენ და რონს, არა?

– იცი... – ისევ გაუბედავად დაიწყო ჰერმიონმა, – ოღონდ, ნუ გადაირევი. ჰარი, მე მართლა ვფიქრობ, რომ შენ უნდა ასწავლო ყველას, ვისაც კი ამის სწავლა უნდა. ყველას ხომ გვინდა ვოლ... ვოლდემორისგან თავის დაცვა. რონ, ნუ სულელობ. უსინდისობა იქნება, თუ ამ შესაძლებლობას სხვებს არ მივცემთ.

ჰარი წუთით ჩაფიქრდა.

– კარგი. ეჭვი მეპარება, რომ თქვენ გარდა, სხვაც მოინდომებს ჩემგან რაიმეს სწავლას. ხომ არ დაგავიწყდა, რომ შეშლილი ვარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნამდვილად გაგიკვირდება, როცა გაიგებ, რამდენს უნდა შენი მოსმენა, – ჰერმიონი ჰარისკენ დაიხარა, რონიც, ჯერ კიდევ დაბ-ღვერილი, ახლოს მიუჩოჩდა, – მოდი, ასე ვთქვათ: ყველა მსურველმა ოქტომბრის პირველ დასვენების დღეს ჰოგსმიდში მოვიყაროთ თავი და მოვილაპარაკოთ. ხომ კარგი იქნება?

– რატომ იქ და არა – სკოლაში? – იკითხა რონმა.

– იმიტომ, – დაუწყო ახსნა ჰერმიონმა და ჩინური კომბოსტოს მღრღნელის ნახატიდან ასლის გადმოღება განაგრძო, – იმიტომ, რომ ამბრიჯს მაინცდამაინც არ ესიამოვნება, თუ გაიგებს, რაც ჩავიფიქრეთ.

* * *

ჰარი მოუთმენლად ელოდა ჰოგსმიდში წასვლის დღეს, მაგრამ იყო ერთი რამ, რაც აწუხებდა.

სექტემბრის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც სირიუსი გამოეცხა-დათ ბუხარში, მისგან აღარაფერი ისმოდა. ჰარიმ იცოდა, რომ აწყ-ენინეს, როცა სთხოვეს, აღარ გარისკოო. მიუხედავად ამისა, მაინც შიშობდა, რომ სირიუსი ფეხებზე დაიკიდებდა სიფრთხილეს და ისევ გამოჩნდებოდა. როგორ უნდა მოიქცნენ, როცა ჰოგსმიდში ვეებერ-თელა შავი ნაგაზი პირდაპირ დრაკო მალფოის თვალწინ მათთან მიირბენს?

– საყვედურს ხომ ვერ ვეტყვით იმისთვის, რომ ცოტა ჰაერზე გასეირნება მოუნდა? – თქვა რონმა, როცა ჰარიმ მას და ჰერმიონს თავისი ფიქრები გაუზიარა, – უკვე ორი წელიწადია, მასზე ძებნაა გამოცხადებული. დიდი ბედნიერება არ არის, მაგრამ ადრე თავისუ-ფლად მაინც დადიოდა. ახლა კი იმ საშინელ ელფთან ერთად გამო-კეტილში ზის.

ჰერმიონმა საყვედურით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს კრეჩე-რის აუგად მოხსენიების გამო.

– უბედურება ისაა, რომ სანამ ვოლ... ვოლდემორი, – დამშვიდდი რა, რონ, – დღის სინათლეზე არ გამოსულა, იძულებულია, იმალე-ბოდეს. ასე არ არის? – ჰკითხა ჰერმიონმა ჰარის, – ამ იდიოტურ სამინისტროში მანამდე ვერ ირწმუნებენ სირიუსის უდანაშაუ-ლობას, სანამ არ აღიარებენ, რომ დამბლდორი მასზე ყოველთვის სიმართლეს ამბობდა. და როცა ეს ბრიყვები ნამდვილი „სიკვდილის მხვრელების“ დაჭერას დაიწყებენ, ნათელი გახდება, რომ სირიუსი ერთ-ერთი მათგანი არ არის. ჯერ ერთი, დამღა არ ადევს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა მგონია, სირიუსი ისეთი სულელი იყოს, რომ ისევ მოვიდეს, – ორივე დაამშვიდა რონმა, – დამბლდორს ეს ძალიან არ მოეწონება, სირიუსს კი სჯერა დამბლდორისა. მაშინაც კი, როცა რაღაცაში არ ეთანხმება ხოლმე.

მაგრამ ჰარი მაინც შეწუხებული იყო და ჰერმიონი შეეცადა, საუბრის თემა შეეცვალა.

– მომისმინე, მე და რონმა ვივარაუდეთ, ვის ენდომებოდა ნამდვილი თავდაცვის შესწავლა, გამოვკითხეთ და მართლაც, ზოგიერთი დაინტერესდა. შეხვედრა ჰოგსმიდში დავუნიშნეთ.

– კარგი, – დაბნეული დაეთანხმა ჰარი.

– ნუ ნერვიულობ, – წყნარად უთხრა ჰერმიონმა, რადგან შეამჩნია, რომ ჰარი ისევ სირიუსზე ფიქრობდა,– სირიუსის გარეშეც ბევრი თავსატეხი გაქვს.

და მართლაც, ჰარი ძლივს ასწრებდა საშინაო დავალების შესრულებას, თუმცა, ახლა, როცა ამბრიჯთან ყოველდღიური პატიმრობა შეწყდა, ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა. ჩამორჩენით რონი უფრო ჩამორჩა, კვირაში ორჯერ ჰარისთან ერთად ვარჯიშის გარდა, პრეფექტის მოვალეობასაც მიჰქონდა დრო. ჰერმიონი კი, რომელიც მათზე მეტ საგანს სწავლობდა, მარტო საშინაო დავალებებს კი არა, ელფებისთვის ტანისამოსის მოქსოვასაც ასწრებდა. უნდა ითქვას, რომ თანდათან ისე დაოსტატდა, კიდევ ცოტაც და, ალბათ, მის მოქსოვილ წინდებს ქუდებისგან გაარჩევდით.

ჰოგსმიდში წასვლის დილა ქარიანი გათენდა. საუზმის შემდეგ ყველანი ფილჩის წინ გამწკრივდნენ. ფილჩი იმ ბავშვების გრძელ სიას ამოწმებდა, რომლებსაც მშობლებმა ან მეურვეებმა სოფელში წასვლის ნება დართეს. სირიუსი რომ არა, იქ ვერც მოხვდებოდა – ჰარიმ სინდისის ქენჯნა იგრძნო.

როცა ფილჩს მიუახლოვდა, სკოლის დარაჯმა ისე ძლიერ შეისუნთქა ჰაერი, თითქოს რაღაცის დაყნოსვას აპირებსო. მერე თავი ისე დაუქნია, რომ ლოყები აუთახთახდა, ჰარი ქვის კიბეებს დაუყვა და დილის ცინცხალ მზეზე გავიდა.

– ნეტავ რას გყნოსავდა? – ჰკითხა რონმა, როცა სამივენი ჭიშკრისკენ მიმავალ ფართო ბილიკს გაუყვნენ.

ჰარიმ ჩაიცინა.

– ნეხვის ბომბებს ეძებს. სულ დამავიწყდა მეთქვა.

და ჰარი მოუყვა, როგორ გაგზავნა წერილი სირიუსთან, როგორ შემოვარდა ფილჩი და მოითხოვა, წერილი ეჩვენებინა. ჰარის გასაკვირად, ჰერმიონი უფრო მეტად დაინტერესდა ამ ამბით, ვიდრე თვითონ ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დაგაბეზღეს, რომ ნეხვის ბომბებს უკვეთავ? ვის უნდა დაებეზ-ღებინე?

– რა ვიცი, – ჰარიმ მხრები აიჩეჩა, – შეიძლება, მალფოიმ მოინ-დომა გამასხარავება.

ქვის მაღალ სვეტებს შორის გაიარეს და მარცხნივ, სოფლისკენ მიმავალ გზაზე შეუხვიეს.

– მალფოი? – დაეჭვდა ჰერმიონი, – ჰო... შეიძლება. და სოფლამდე ჩაფიქრებული მიდიოდა.

– საით წავიდეთ? – იკითხა ჰარიმ, – „სამ ცოცხში"?

– არა, – გამოერკვა ჰერმიონი, – იქ ყოველთვის ჭედვა და ხმაურია. ყველანი „ღორის თავში" დავიბარე – ეს ლუდხანა მთავარ გზაზე არ არის... ჩემი აზრით, საეჭვო ადგილია, მაგრამ მოსწავლეები იქ არ დადიან და ჩვენ ვერავინ დაგვიგდებს ყურს.

მთავარ ქუჩაზე ჯადოსნური ოინების მაღაზია „ზონკოს" ჩაუარეს და იქ, რა თქმა უნდა, ფრედს, ჯორჯს და ლი ჯორდანს მოჰკრეს თვალი. მერე ფოსტას გასცდნენ, საიდანაც თანაბარი ინტერვა-ლებით ბუები გამოფრინდებოდნენ ხოლმე. ბოლოს ვიწრო ქუჩაზე შეუხვიეს, რომლის ბოლოშიც ლუდხანა იყო. კარის თავზე, ჟანგიან ლურსმანზე, ხის გაცრეცილი აბრა ეკიდა, ზედ ღორის მოჭრილი თავი იყო გამოხატული. აბრა ქარის დაბერვაზე ჭრიალებდა. კარის წინ სამეული, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა.

– შევიდეთ? – გაუბედავად იკითხა ჰერმიონმა.

ჰარი პირველი შევიდა შიგნით. „ღორის თავი" სულ სხვანაირი იყო, ვიდრე თბილი და მყუდრო, გაკრიალებული „სამი ცოცხი". „ღორის თავი" ერთი გასაცოდავებული, მყრალი სუნით გაჟღენთილი ჭუჭყ-იანი ოთახი იყო. ალბათ, თხების სადგომადაც იყენებდნენ. ფანჯრებს კი ჭუჭყიანი ქონის ისეთი სქელი ფენა ედო, რომ დღის შუქი შიგნით ძლივს აღწევდა. ოთახს გაჩორკნილ მაგიდებზე დადგმული სანთლის ნამწვები ანათებდა. იატაკი, ერთი შეხედვით, მიწისა გეგონებოდათ, მაგრამ ტალახდადებული ქვისა გამოდგა.

ჰარის სკოლაში მისვლის პირველი წელი და ჰაგრიდის მონაყოლი გაახსენდა, თუ როგორ მოიგო დრაკონის კვერცხი ვიღაც კაპიუშო-ნიანი უცნობისგან. „ღორის თავში" საოცარ ადამიანებს შეხვდები", – თქვა მაშინ ჰაგრიდმა. ჰარის გაუკვირდა, რატომ არ მოეჩვენა უცნაურად ჰაგრიდს, უცნობი სახეს რომ მალავდა, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ აქ, როგორც ეტყობოდა, ასეთი რამ მიღებული იყო. ერთს თავი მთლიანად ჰქონდა შებინტული, მხოლოდ პირის ადგილას დატოვებულ ნაპრალში განუწყვეტლივ ისხამდა რაღაც აბოლებულ სითხეს. ფანჯარასთან კაპიუშონში თავშემალული ორი კაცი იდგა და,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძლიერი აქცენტი რომ არა, ჰარი დემენტორებს მიამსგავსებდა. ბნელ კუთხეში, ბუხართან, ქალი იჯდა, სქელი მუქი ვუალი ისე ჰქონდა ჩამოფარებული, ფეხსაცმლამდე სწვდებოდა. ქალს მხოლოდ ცხვირის წვერი მოუჩანდა.

– არ ვიცი, ჰერმიონ, – წაიბუტბუტა ჰარიმ, როცა დახლისკენ წავიდნენ, – როგორ ფიქრობ, არ შეიძლება ვუალის ქვეშ ამბრიჯი იმალებოდეს?

ჰერმიონმა ქალი შეათვალიერა.

– ამბრიჯი უფრო დაბალია. და თუ მაინც მოვა აქ, ხელს ვერანაირად ვერ შეგვიშლის. მე ორჯერ თუ სამჯერ გადავიკითხე სკოლის წესები. ჩვენ არაფერი დაგვირღვევია. საგანგებოდ ვკითხე პროფესორ ფლიტვიკს, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს „ღორის თავის“ მონახულება-მეთქი. მან თქვა, შეიძლებაო. მაგრამ მირჩია, საკუთარი ჭიქებით მოვსულიყავით. ყველაფერი გადავათვალიერე: კანონით არ არის აკრძალული მოსწავლეების ჯგუფური მუშაობა საშინაო დავალების შესრულების მიზნით. ოღონდ, ჩემი აზრით, ამის სახალხოდ გაკეთება არ ღირს.

– ჰო, აბა რა, – დაუდასტურა ჰარიმ, – მით უფრო, რომ ჯგუფი საშინაო დავალებისა არ იქნება.

უკანა ოთახიდან ბარმენი გამოვიდა, შარიანი შესახედაობის თმაწვერგაჭაღარავებული მოხუცი. მაღალი იყო, გამხდარი, ჰარის ვიღაცას აგონებდა ბუნდოვნად.

– აბა? – ჩაიბურტყუნა.

– სამი ბურბურახი, თუ შეიძლება, – თქვა ჰარიმ. ბარმენმა საიდანღაც სამი ძალიან ჭუჭყიანი, ძალიან მტვრიანი ბოთლი გამოაძრო და რახუნით დადგა მაგიდაზე.

– ექვსი სიკლი.

– მე გადავიხდი, – სწრაფად თქვა ჰარიმ და ვერცხლის მონეტა მიაწოდა.

ბარმენმა ახედ-დახედა და მზერა ნაიარევზე შეაჩერა. მერე შებრუნდა და ფული ძველებური სალაროს ხის ყუთში ჩააგდო, რომელიც თავისით გაიღო. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ოთახის ყველაზე შორეულ კუთხეს მიაშურეს. დასხდნენ და იქაურობას თვალი მოავლეს. შებინტულმა თითით დახლზე დააკაკუნა და კიდევ ერთი აბოლებული სასმელი მიიღო.

– იცით, რა? – რონმა აღტაცებული მზერა მოავლო ბარს, – ჩვენ აქ ყველაფერი შეგვიძლია, შევუკვეთოთ. ბებერი, რაც გვინდა, იმას მოგვცემს, მაგას ფეხებზე ჰკიდია. ყოველთვის მინდოდა ცეცხლოვანი ვისკის გასინჯვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რონ, არ დაგავიწყდეს, პრეფექტი ხარ! – აღშფოთდა ჰერმიონი.

– ჰო, მართლა, – ღიმილი ჩაუქრა რონს.

– აბა, რას ამბობდი, ვის უნდაო მოსვლა? – ჰარიმ ჟანგიანი სარქველი მოაცილა ბოთლს და მოსვა.

– ორ-სამ კაცს, – ჰერმიონმა საათს შეხედა და მოუთმენლად შებრუნდა კარისკენ, – ვუთხარი, ამ დროს მოდით-მეთქი, ადგილიც უნდა იცოდნენ. შეხედეთ, მგონი, ისინი არიან.

კარი გაიღო. მზის სხივის მტვრიანმა კონამ ოთახი შუაზე გაჭრა და ისევ ჩაქრა, – ღია კარში მთელი ბრბო გამოჩნდა.

პირველები ჯინი, ნევილი, დინი და ლევენდერი შემოვიდნენ, მათ პარვატი და პადმა პეტილები მოჰყვნენ ჩოსთან (ჰარის კუჭმა მალაყი გააკეთა) და მის ერთ მუდამ მოხითხითე დაქალთან ერთად. მერე მეოცნებე სახით, თითქოს შემთხვევით შემოეხეტაო, ლუნა ლავგუდი შემოვიდა, მერე – ქეითი ბელი, ალისია სპინეტი და ანჯელინა ჯონსონი, კოლინ და დენის ქრიევები, ერნი მაკმილანი, ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლი, ჰანა ებოტი, ჰაფლეპაფელი გრძელნაწნავიანი გოგონა – ჰარიმ არ იცოდა მისი სახელი, – და სამი რეივენქლოელი ბიჭი – ენტონი გოლდსტეინი, მაიკლ კორნერი და ტერი ბუტი. მათ მოჰყვა მაღალი, გამხდარი, ცხვირპაჭუა ქერათმიანი ბიჭი. ჰარიმ იცნო: ჰაფლეპაფის გუნდის წევრი იყო. პროცესიას ამთავრებდნენ ფრედ და ჯორჯ უისლები თავიანთ მეგობარ ლი ჯორდანთან ერთად. სამივეს „ზონკოდან“ წამოღებული საქონლით სავსე ქაღალდის ტომრები ეჭირა ხელში.

– ორი-სამი კაცი, არა? – ჩამქრალი ხმით იკითხა ჰარიმ, – ორი-სამი კაცი?

– რას იზამ, ეტყობა, ეს აზრი ბევრს მოეწონა, – სიხარული ვერ დამალა ჰერმიონმა, – რონ, სკამებს ვერ მოიტან?

ამ დროს ბარმენი ჭუჭყიანი ჩვრით წმენდდა ჭიქებს. მათ დანახვაზე საქმიანობა შეწყვიტა. ალბათ, ცხოვრებაში არ ენახა ამდენი ხალხი ლუდხანაში.

– გამარჯობა, – მიესალმა ფრედი, რომელიც პირველი მივიდა დახლთან და სწრაფად გადაითვალა თანამგზავრები, – შეიძლება ოცდახუთი ბურბურახი?

ბარმენი ერთხანს იდგა და შეჰყურებდა, მერე ისე დააგდო ჩვარი, თითქოს მნიშვნელოვან საქმეს მოსწყვიტესო და დახლს ქვემოდან მტვრიანი ბოთლების ამოლაგება დაიწყო.

– დალიეთ და ჯიბეები მოიჩხრიკეთ, – ფრედი თან ლაპარაკობდა, თან ბოთლებს აწოდებდა ბიჭებს, – მე ყველასთვის არ მეყოფა ოქრო.

ჰარი გაშტერებული უყურებდა, როგორ ინაწილებდნენ სტუმრები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბურბურახს, როგორ მხიარულობდნენ და როგორ იღებდნენ ჯიბეებიდან მონეტებს. უყურებდა მათ და ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო, რომ ეს ამდენი ხალხი მისი გულისთვის შეგროვდა აქ. უცებ გაიაზრა, რომ მისგან სიტყვით გამოსვლას ელოდებიან, ცივმა ოფლმა დაასხა და ჰერმიონს მიუბრუნდა:

– რა უთხარი ასეთი? რას ელიან ჩემგან?

– ხომ გითხარი, უბრალოდ, უნდა მოგისმინონ, – დაამშვიდა ჰერმიონმა. მაგრამ ჰარი თვალებიდან ისეთ ცეცხლს აფრქვევდა, სასწრაფოდ დაამატა: – შენგან ჯერ არავინ არაფერს თხოულობს, ჯერ მე ვიტყვი.

– ჰარის გაუმარჯოს, – მიესალმა ნევილი და მის პირდაპირ ჩამოჯდა.

ჰარიმ გაულიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს – პირი გაუშრა. ჩომ მხოლოდ გაულიმა და რონის გვერდით დაჯდა. მისი დაქალი, ხუჭუჭთმიანი ქერა გოგო არ იღიმებოდა, ჰარის ეჭვით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: ჩემი ნება რომ ყოფილიყო, საერთოდ არ მოვიდოდიო.

ჰარის, ჰერმიონისა და რონის გარშემო ორ-ორნი, სამ-სამნი სხდებოდნენ. ზოგი აღელვებული ჩანდა, ზოგს ცნობისმოყვარეობა ეწერა სახეზე. ლუნა ლავგუდი ისევ ისეთი მეოცნებე სახით იჯდა და სივრცეს გაჰყურებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყველანი დასხდნენ, გაჩუმდნენ და ჰარის მიაჩერდნენ.

– მაშ, ასე... – ჰერმიონს აღელვებისგან ხმა ჩვეულებრივზე უფრო გაუწვრილდა, – კარგი, ესე იგი...

ახლა მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. თუმცა, ხანდახან ჰარისაც გადახედავდნენ ხოლმე.

– მაშ, ასე... ეე... თქვენ უკვე იცით, რატომ შევიკრიბეთ... ერთი სიტყვით... ჰარის აზრად მოუვიდა... უფრო სწორად (ჰარიმ გაცეცხლებულმა შეხედა), მე მომივიდა აზრად, რომ მათთვის, ვისაც ბნელი ძალებისგან თავდაცვის სწავლა უნდა, სასარგებლო იქნებოდა... უფრო სწორად, ვისაც ნამდვილად უნდა სწავლა, და არა ის აბდაუბდა, რომელსაც ამბრიჯი გვთავაზობს... – უფრო თამამად და თავდაჯერებით განაგრძო ლაპარაკი, – იმიტომ, რომ ეს თავდაცვა კი არა, ცარიელი ლაყბობაა („დიახ, დიახ," – დაუდასტურა ენტონი გოლდსტეინმა და ჰერმიონმა კიდევ უფრო თამამად განაგრძო). ჰოდა, ვიფიქრე, რომ ამ საქმისთვის მე თვითონ მიმეხედა, – ცერად გახედა ჰარის: – მე ნამდვილ თავდაცვას ვგულისხმობ, ნამდვილ შელოცვებს...

– მაგრამ **ბუა**-ს გამოცდის ჩაბარებას ბნელი ძალებისგან თავდაცვაში, ალბათ, მაინც აპირებ, არა? – ჰკითხა მაიკლ კორნერმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, ვაპირებ. მაგრამ მე ნამდვილად მინდა, თავდაცვას დავეუფლო, იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ, – ჰერმიონმა ღრმად ჩაისუნთქა, – იმიტომ, რომ ლორდი ვოლდემორი დაბრუნდა.

რეაქცია მყისიერი და მოსალოდნელი იყო. ჩოს დაქალმა დაიწკმუტუნა და ბურბურახი გადაისხა; ტერი ბუტი შეკრთა, პადმა პეტილი მოიბუზა; ნევილმა კი რაღაც უცნაურად წაიკნავლა და შეეცადა, ჩახველებად გაესაღებინა. თან ყველანი მოლოდინით შეაცქერდნენ ჰარის.

– ყოველ შემთხვევაში, ასეთია გეგმა, – თქვა ჰერმიონმა, – თუ გინდათ მონაწილეობის მიღება, უნდა გადავწყვიტოთ, როგორ...

– სად არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა? – მებრძოლის ჟინით თქვა ჰაფლეპაფის ქერათმიანმა მოთამაშემ.

– დამბლდორს სჯერა, რომ დაბრუნდა, – უპასუხა ჰერმიონმა.

– ალბათ, გინდოდა გეთქვა, რომ ამისი სჯერა? – თქვა და ჰარიზე უჩვენა.

– შენ თვითონ ვინ ხარ? – უკმეხად ჰკითხა რონმა.

– ზაქარია სმიტი. ვფიქრობ, უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, რამ აფიქრებინა, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა?

– მომისმინე, – ჩაერია ჰერმიონი, – ჩვენ აქ ამისთვის არ შევკრებილვართ.

– არა უშავს, ჰერმიონ, – შეაჩერა ჰარიმ.

მხოლოდ ახლაღა მიხვდა ჰარი, რისთვის შეიკრიბა აქ ამოდენა ხალხი. ჰერმიონს კი ეს უნდა სცოდნოდა. ზოგიერთები, შესაძლოა, უმრავლესობაც, იმიტომ იყვნენ მოსული, რომ უშუალოდ ჰარისგან მოესმინათ ეს ამბავი.

– რამ მაფიქრებინა, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა?

– თქვა და ზაქარიას პირდაპირ თვალებში შეხედა, – საკუთარი თვალით ვნახე! დამბლდორი მთელ სკოლას მოუყვა, რა მოხდა შარშან. და თუ თქვენ მისი არ გჯერათ, მაშინ არც მე დამიჯერებთ. მე კი თქვენს დასარწმუნებლად სულაც არ ვაპირებ მთელი დღის გაცდენას.

ყველა სუნთქვაშეკრული უსმენდა. ჰარის მოეჩვენა, რომ ბარმენმაც კი ყურები ცქვიტა.

ზაქარია, როგორც ჩანს, ვერ დაკმაყოფილდა:

– შარშან დამბლდორმა მხოლოდ ის თქვა, რომ სედრიკ დიგორი მოკლა ჩვენ-რომ-ვიცით, იმან, და რომ მისი გვამი შენ მოიტანე ჰოგვორტსში. დეტალები არ მოუყოლია. მას არ უთქვამს, როგორ მოკლეს დიგორი. ჩვენ კი გვინდა, რომ ვიცოდეთ...

– თუ თქვენ იმის მოსასმენად მოხვედით, როგორ კლავს ვოლდე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მორი, მაშინ ვერაფრით დაგეხმარებით, – თქვა ჰარიმ. ბოლო დროს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა და ახლა ისევ აფეთქდა – ის გაურბოდა ჩოს მზერას, ზაქარიას აგრესიულ სახეს კი თვალს არ აცილებდა, – არ მინდა სედრიკ დიგორიზე ლაპარაკი, გასაგებია? ასე რომ, თუ ამისთვის მოხვედით, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ.

გაბრაზებულმა გადახედა ჰერმიონს. ის იყო დამნაშავე: მან გადაწყვიტა, მისგან რაღაც საოცრება შეექმნა და ყველანი განსაცვიფრებელი ამბის მოსასმენად მოლაგდნენ. მიუხედავად ამისა, არავის უცდია წასვლა, ზაქარია სმიტსაც კი, თუმცა, ისევ ეჭვით შეჰყურებდა ჰარის.

– მაშ ასე, – თქვა ჰერმიონმა გაწვრილებული ხმით, – ვიმეორებ, თუ გინდათ თავდაცვის სწავლა, უნდა გადაწყვიტოთ, როგორ მოვაგვაროთ ეს საქმე, სად და რა სიხშირით შევიკრიბოთ ხოლმე.

– მართალია, რომ პატრონუსის გამოხმობა შეგიძლია? – ჰკითხა გრძელნაწნავიანმა გოგონამ ჰარის. ოთახში ინტერესიანმა ჩურჩულმა გადაიარა.

– ჰო, – ცოტა არ იყოს, გამომწვევად უპასუხა ჰარიმ.

– ნამდვილი პატრონუსისა?

ჰარის მეხსიერებაში რაღაც გატოკდა.

– შენ, შემთხვევით, მადამ ბონსს ხომ არ იცნობ? – ჰკითხა იმ გოგონას.

გოგონამ გაიღიმა:

– მამიდაჩემია. მე სუზენ ბონსი ვარ. მამიდა მომიყვა სამინისტროში ჩატარებული მოსმენის ამბავს. ესე იგი, ეს მართალია? შენ პატრონუს-ირემი გამოიხმე?

– ჰო.

– უჰ, შენი! – წამოიძახა ლიმ, – მე ეგ არ ვიცოდი!

– დედამ გააფრთხილა რონი, რომ ბევრი არ ეყრანტალა, – აუხსნა ფრედმა და ჰარის გაუღიმა, – თქვა, რომ შენ ისედაც არ გაკლია ყურადღება.

– ჰო, ეგრეა, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ. ვიღაც-ვიღაცეებმა გაიცინეს.

ვუალიანი ქალი სკამზე შეტოკდა.

– და შენ დამბლდორის კაბინეტიდან წამოღებული მახვილით მართლა მოკალი ბასილისკო? – იკითხა ტერი ბუტმა.

– ჰო... მოვკალი, ჰო.

ჯასტინ ფლინჩ-ფლეჩლმა დაუსტვინა. ძმებმა ქრივებმა აღტაცებულ-შეშინებული თვალებით გადახედეს ერთმანეთს, ლევენდერ ბრაუნმა კი ჩუმად თქვა: „აუჰ!“ ჰარიმ იგრძნო, რომ წითლდებოდა და ყველანაირად ცდილობდა, მზერა აერიდებინა ჩოსთვის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პირველ კურსზე კი ფილოლოგიური ქვა გადაარჩინა... – ხმამაღლა გამოაცხადა ნევილმა.

– ფილოსოფიური, – კბილებში გამოსცრა ჰერმიონმა.

– ჰო, ჩვენ-რომ-ვიცით, იმისგან, – დაასრულა ნევილმა. ჰანა ებოტს თვალები გალეონებივით დაუმრგვალდა.

– რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დავალებებზე, რომელთა შესრულებაც სამი ჯადოქრის ტურნირზე მოუხდა შარშან, – თქვა ჩომ (ჰარიმ უნებურად შეხედა. ჩო უყურებდა და იღიმებოდა. ჰარის კუჭი ისევ ყირაზე გადავიდა), – სძლია დრაკონს, სირინოზებს, ობობას...

ოთახს მოკრძალებულმა ჩურჩულმა გადაუარა. ჰარის გული შეეკუმშა. მთელი ძალით ცდილობდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონოდა, რომ თვითკმაყოფილი არ მოსჩვენებოდათ. ამ საქებარი სიტყვების გამო მას უფრო გაუჭირდა იმის თქმა, რასაც აუცილებლად აპირებდა.

– მომისმინეთ, – ყველანი უცებ გაჩუმდნენ, – სულაც არ ვაპირებ, თავმდაბლად მოგაჩვენოთ თავი და გავიპრანჭო... მაგრამ საქმე ის არის, რომ მე ძალიან მეხმარებოდნენ.

– მაგრამ არა დრაკონების წინააღმდეგ, – უცებ გამოეპასუხა მაიკლ კორნერი, – შენ გადასარევად დაფრინავდი.

– კარგი... ვთქვათ, ასე იყო... – ჰარი გრძნობდა, რომ ამის უარყოფა ბავშვური საქციელი იქნებოდა.

– არც ამ ზაფხულს მოგხმარებია ვინმე დემენტორების მოგერიებაში, – შეახსენა სუზენ ბონსმა.

– ჰო, კარგი. რაღაც-რაღაცეები სხვის დაუხმარებლად გავაკეთე. ეს მართალია, მაგრამ აი, რა მინდა გითხრათ...

– გინდა, თავი დაიძვრინო და არ გვიჩვენო შენი ნომრები? – ჰკითხა ზაქარია სმიტმა.

– ერთი აზრი მომივიდა, – მანამდე ჩაერია რონი, სანამ ჰარი უპასუხებდა, – ზაქარია, იქნებ მოკეტო?

ჰარი ყველაზე მეტად, ალბათ, სიტყვა „დაიძვრინომ“ გადარია. ყოველ შემთხვევაში, ზაქარიას ისე უყურებდა, თითქოს ამქვეყნად ყველაზე მეტად მისთვის სიფათში მოდება უნდოდა. ზაქარია გაწითლდა, მაგრამ არ დაშოშმინდა:

– ჩვენ მასთან სასწავლებლად მოვედით, ის კი გვიხსნის, რომ სინამდვილეში არაფერი შეუძლია.

– ჰარის ეგ არ უთქვამს, – დაიღრინა ფრედმა.

– შენ რა, ყურები გინდა, გაგისუფთაო? – დაინტერესდა ჯორჯი და „ზონკოს“ ქაღალდის ტომრიდან საშინელი შესახედაობის ლითონის ინსტრუმენტი ამოიღო.

– ან იქნებ სხვა რომელიმე ორგანო? – დაამატა ფრედმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გეყოფათ! – ჩაერია ჰერმიონი, – განვაგრძოთ. აბა, რას იტყვით, შევთანხმდით, რომ ჰარიმ გვამეცადინოს?

შეკრებილები თანხმობის ნიშნად ახმაურდნენ. ზაქარია გულხელ-დაკრეფილი იდგა და დუმდა. ეტყობა, იმიტომ, რომ გაფაციცებით ადევნებდა თვალს ფრედის ინსტრუმენტს.

– კარგი, – ჰერმიონმა გაიხარა, რომ, როგორც იქნა, რაღაცაზე შეთანხმდნენ, – ახლა მეორე საკითხი: რა სიხშირით ვიმეცადინებთ. ჩემი აზრით, კვირაში ერთხელ მაინც უნდა შევიკრიბოთ, სხვანაირად აზრი არა აქვს...

– მოიცა, ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენს ვარჯიშებს არ დაემთხვას, – თქვა ანჯელინამ.

– არც ჩვენსას, – აიტაცა ჩომ.

– არც ჩვენსას, – დაამატა ზაქარია სმიტმა.

– ვფიქრობ, ისეთ საღამოს ავირჩევთ, რომელიც ყველასთვის ხელსაყრელი იქნება, – მოუთმენლობა დაეტყო ჰერმიონს, – ეს მნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენ თავი უნდა დავიცვათ „სიკვდილის მხვრელებისგან“, ვოლ... ვოლდემორის მსახურებისგან.

– აი, ეს მესმის! – წამოიძახა ერნი მაკმილანმა, რომლის რეპლიკასაც კარგა ხანია ელოდა ჰარი, – მე მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი რამაა, დანარჩენ ყველაფერზე მნიშვნელოვანია წლეულს, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე **ბუა**-ს გამოცდებია! – მან მრისხანედ მოათვალიერა კომპანია, თითქოს „არას“ შეძახილებს ელოდა, მაგრამ ყველანი ჩუმად იყვნენ. – მე, მაგალითად, ვერ გამიგია, ასეთ კრიტიკულ მომენტში სამინისტრომ რატომ მოგვახვია თავს ეს არაფრის მაქნისი მასწავლებელი. კარგი, ბატონო, სამინისტროს არ უნდა აღიაროს, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა, მაგრამ ისეთი მასწავლებლის შემოტენა, რომელიც განზრახ არ გვაძლევს თავდაცვის შელოცვების შესწავლის საშუალებას...

– ჩვენ ვფიქრობთ, ამბრიჯი იმიტომ არ გვაძლევს ამის საშუალებას, რომ წარმოუდგენლად გიჟური აზრი აწუხებს, თითქოს... თითქოს პროფესორი დამბლდორი მოსწავლეებისგან საკუთარ არმიას აყალიბებს, რომელსაც სამინისტროს წინააღმდეგ გამოიყენებს, – თქვა ჰერმიონმა.

ყველას თავზარი დასცა ამ ახალმა ამბავმა, ყველას, ლუნა ლავგუდის გარდა, რომელმაც დაიწრიპინა:

– ძალიან ჰგავს სიმართლეს. კორნელიუს ფაჯს ხომ მართლა ჰყავს საკუთარი არმია.

– რა? – გაოცდა ამ მოულოდნელი ინფორმაციით რეტდასხმული რონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, ფაჯს ჰელიოპათების საკუთარი არმია ჰყავს, – საზეიმოდ განაცხადა ლუნამ.

– შეუძლებელია! – თქვა ჰერმიონმა.

– შესაძლებელია, – მოუჭრა ლუნამ.

– ვინ არიან ჰელიოპათები? – შეცბა ნევილი.

– ცეცხლის სულები, – გადმოკარკლული თვალები კიდევ უფრო გადმოეკარკლა ლუნას, რის გამოც გაცილებით უფრო შეშლილი გამომეტყველება მიიღო, – ცეცხლის ვეებერთელა არსებები. ისინი მიწაზე დაქრიან, გადახრუკულ ნაკვალევს ტოვებენ და...

– და არ არსებობენ, ნევილ, – დამცინავად ჩაურთო ჰერმიონმა.

– არსებობენ! – გაბრაზდა ლუნა.

– მაპატიე, მაგრამ როგორ დაგვიმტკიცებ?

– რამდენიც გინდა, იმდენი მოწმეა. და თუ შენ ისეთი გონებაშეზ-ღუდული ხარ, რომ სანამ ცხვირწინ არ დაგიდებენ...

– უჰუ, უჰუ, – ჯინიმ ისე ზუსტად გამოაჯავრა ამბრიჯს, რომ ზოგიერთებმა შეშინებულებმა მიმოიხედეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცინეს, – თუ არ ვცდები, უნდა გადაგვეწყვიტა, რა სიხშირით ჩაგვეტარებინა ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილები.

– ჰო, ჯინი, მართალი ხარ, – თქვა ჰერმიონმა.

– მე მგონი, კვირაში ერთხელ ნორმალურია, – აზრი გამოთქვა ლი ჯორდანმა.

– ოღონდ... – დაიწყო ანჯელინამ.

– ვიცით, ვიცით, ქვიდიჩს არ შევუშალოთ ხელი, – დაასრულა ჰერმიონმა, – ახლა გადავწყვიტოთ, სად.

ეს უფრო რთული გამოდგა. ყველა ჩუმად იყო.

– ბიბლიოთეკაში? – შესთავაზა ქეითი ბელმა.

– არა მგონია, მადამ პინსს ძალიან გაუხარდეს, იქ შელოცვის გაკვეთილებს თუ მოვაწყობთ, – დაეჭვდა ჰარი.

– იქნებ ცარიელ საკლასო ოთახში? – მოიფიქრა დინმა.

– ჰო-ჰო, – თქვა რონმა, – იქნებ მაკგონაგელმა შეგვიშვას თავისა-ში, ხომ უშვებდა ჰარის, როცა სამი ჯადოქრის ტურნირისთვის ემზა-დებოდა.

მაგრამ ჰარი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად მაკგ-ონაგელი სტუმართმოყვარეობას არ გამოიჩენდა. მართალია, ჰერმ-იონმა თქვა, რომ სასწავლო წრეები და ჯგუფები საშინაო დავალების შესასრულებლად დაშვებულია, მაგრამ ეს ჯგუფი სულ იოლად შეი-ძლება, მეამბოხეთა ჯგუფად ჩათვალონ.

ბოლოს ჰერმიონმა მოისაზრა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, რამეს მოვიფიქრებთ, როცა გადავწყვეტთ პირველი გაკვეთილის დროსა და ადგილს, ყველას შევატყობინებთ.

შემდეგ ჩანთა ამოქექა, ბატის ფრთა და პერგამენტი ამოიღო და წამით შეყოყმანდა, თითქოს მნიშვნელოვანი განცხადების გასაკეთებლად ძალებს იკრებსო.

– კარგი იქნებოდა, ყველას ხელი მოგვეწერა, რომ ვიცოდეთ, ვინ ესწრებოდა. და კიდევ... ვფიქრობ, – ღრმად ჩაისუნთქა, – ალბათ, არ ღირს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი. ასე რომ, თუ ხელს მოაწერთ, ეს იმის დასტური იქნება, რომ არავის ეტყვით ჩვენს გეგმებზე, არც ამბრიჯს და არც სხვას.

ფრედმა მაშინვე აიღო ფრთა და ხელი მოაწერა. მაგრამ ჰარიმ შენიშნა, რომ ხელმოწერის საჭიროებამ ზოგიერთები მაინცდამაინც არ გაახარა.

– ეე, – გაწელა ზაქარიამ და ჯორჯს მიწოდებული პერგამენტი არ გამოართვა, – ერნი მეტყვის, როდის უნდა შევიკრიბოთ.

მაგრამ თვითონ ერნისაც ვერ გადაეწყვიტა ხელის მოწერა. ჰერმიონმა წარბი ასწია.

– იცი... ჩვენ პრეფექტები ვართ. თუ სიას მიაგნებენ... შენ თვითონ არ თქვი, თუ ამბრიჯი გაიგებსო...

ჰარიმ კი შეახსენა:

– წუთის წინ შენ თქვი, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა წლეულს!

– მე... ჰო, მე ასე მიმაჩნია... უბრალოდ...

– ერნი, შენ რა, მართლა გგონია, რომ ეს სია აქა-იქ დამრჩება? – გესლიანად იკითხა ჰერმიონმა.

– არა. რა თქმა უნდა, არა, – ერნი ოდნავ დამშვიდდა, – რა თქმა უნდა, მოვაწერ ხელს.

ერნის შემდეგ უარი აღარავის უთქვამს, თუმცა, ჰარიმ შეამჩნია, რომ ჩოს დაქალმა თავის მეგობარს საყვედურით შეხედა, სანამ ხელს მოაწერდა. როცა სიაში ბოლო – ზაქარიაც – ჩაეწერა, ჰერმიონმა პერგამენტი აიღო და ფრთხილად ჩაიდო ჩანთაში. შეკრებილებს უცნაური გრძნობა დაეუფლათ. ახლა ისინი თითქოს ფიცით იყვნენ შეკრულნი.

– აბა, დრო გარბის, – ხალისიანად თქვა ფრედმა, – მე, ჯორჯსა და ლის ჯერ კიდევ საყიდელი გვაქვს, ცოტა არ იყოს, საჩოთირო თვისებების საგნები. აბა, ნახვამდის.

ბავშვები ორ-ორად, სამ-სამად დაიშალნენ. სანამ წავიდოდა, ჩომ ჩანთის შესაკრავს დაუწყო წვალება. ხშირი შავი თმა წინ ჩამოშლოდა და მთლიანად უფარავდა სახეს. მაგრამ დაქალი თავზე ედგა, ხელები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გულზე დაეკრიბა და ენას აწკლაპუნებდა, ასე რომ, ჩოს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, უნდა გაჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეგობარი აჩქარებდა, კართან კიდევ ერთხელ მოიხედა და ჰარის ხელი დაუქნია.

– ჩემი აზრით, ყველაფერი კარგად აეწყო, – თქვა კმაყოფილმა ჰერმიონმა, როცა სამივენი „ღორის თავიდან“ მზის სინათლეზე გამოვიდნენ. ჰარისა და რონს თავ-თავიანთი ბურბურახის ბოთლები ეჭირათ.

– ეს ზაქარია მოუშორებელი მეჭეჭია, – რონმა გაბრაზებულმა გახედა მიმავალ სმიტს.

– არც მე მომწონს მაინცდამაინც, – თქვა ჰერმიონმა, – იცი, გაიგონა, როგორ მოველაპარაკე ერნისა და ჰანას ჰაფლეპაფელთა მაგიდასთან და თვითონაც მოისურვა წამოსვლა. რა უნდა მექნა? მაგრამ რაც მეტი ხალხია, მით უკეთესი. აი, არც მაიკლ კორნერი მოვიდოდა თავისი მეგობრებით, ჯინისთან რომ არ დასეირნობდეს...

რონს სასულეში გადასცდა ბურბურახის უკანასკნელი წვეთები.

– რა? – რონის ყურებმა უმი ხორცის ფერი მიიღო, – ჯინი დასეირნობს... ჩემი და დასეირნობს... რას ამბობ? მაიკლ კორნერთან?

– ვფიქრობ, ამიტომაც მოვიდა მეგობრებთან ერთად. რა თქმა უნდა, არც ის არის წინააღმდეგი, ბნელი ძალებისგან თავდაცვა ისწავლოს, მაგრამ ჯინის რომ არ ეთქვა მაიკლისთვის ჩვენი გეგმების შესახებ...

– ეგ როდის... როდის...

– ჰელოუინზე გაიცნეს ერთმანეთი და შარშან წლის ბოლოს დამეგობრდნენ, – მშვიდად აუწყა ჰერმიონმა.

სამეულმა ზემოთა ქუჩაზე შეუხვია და საწერი მოწყობილობების მაღაზია „წეროსთან“ შეჩერდა. ვიტრინაში ხოხბის ფრთების მდიდრული თაიგული იწონებდა თავს.

– ჰმ, უარს არ ვიტყოდი ახალ ფრთაზე.

ჰერმიონი მაღაზიაში შევიდა, ჰარი და რონი შეჰყვნენ.

– მაიკლ კორნერი – ეგ რომელია? – მრისხანედ იკითხა რონმა.

– შავთმიანი.

– მე არ მომეწონა.

– ოჰ, რა გამაკვირვე, – წაიბუტბუტა ჰერმიონმა.

– მე მეგონა, ჯინის ჰარიზე აბოდებდა, – თქვა რონმა და ჰერმიონს ჩამწკრივებულ სპილენძის სამელნეებისკენ გაჰყვა. ჰერმიონმა სიბრალულის თვალით შეხედა და თავი გააქნია.

– ჯინის აბოდებდა ჰარიზე, მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა, აღარ აბოდებს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ აღარ მოსწონხარ, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დელიკატურად აუხსნა ჰერმიონმა ჰარის, თან შავბუმბულიან ოქროს ჯადოსნურ ფრთას ათვალიერებდა.

ჰარის ჯერ კიდევ ჩოს გამოსამშვიდობებელი ჟესტი ედგა თვალწინ და ეს თემა ისე საინტერესოდ არ მოეჩვენა, როგორც რონს, რომელიც სიბრაზისგან ერთიანად ცახცახებდა. თუმცა, უცებ მიხვდა იმას, რისთვისაც ლუდხანაში ყურადღება არ მიუქცევია.

– ჰო, ამიტომაც გაიკრიფა ენად ჯინი, არა? – ჰკითხა ჰერმიონს, – წინათ საერთოდ არ მელაპარაკებოდა.

– ასეა, – დაუდასტურა ჰერმიონმა, – მე მგონი, აი, ამას ავირჩევ.

დახლთან მივიდა და თხუთმეტი სიკლი და ორი კნატი დადო. რონი ისევ არ ეშვებოდა.

– რონ, – მკაცრად თქვა ჰერმიონმა, შემობრუნდა და შემთხვევით ფეხზე დააბიჯა ფეხი, – სწორედ ამიტომაც არ გითხრა ჯინიმ, მაიკლს რომ ხვდება. იცოდა, რომ გულს გაუწყალებდი. ასე რომ, მორჩი წუწუნს, ძალიან გთხოვ.

– ეს რას ნიშნავს? ვინ ვის უწყალებს გულს? ვინ წუწუნებს? – ქუჩაშიც ბუზღუნებდა რონი და წყევლა-კრულვას უთვლიდა კორნერს.

ჰერმიონმა ჰარის გახედა და ხმადაბლა უთხრა, რომ რონს არ გაეგონა:

– გვეყოფა მაიკლსა და ჯინიზე ლაპარაკი. როგორ გაქვს საქმე ჩოსთან?

– რას გულისხმობ?

შიგნით თითქოს წყალი აუდუღდა და ყელზე მოაწვა, სახე აენთო. ნუთუ ეს ყველაფერი ასე ადვილი შესამჩნევია?

ჰერმიონმა გაიღიმა.

– უბრალოდ, თვალს არ გაცილებდა.

ჰარის ადრე არასოდეს შეუმჩნევია, რა ლამაზია სოფელი ჰოგსმიდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეჩვიდმეტე

დეკრეტი №24

დასვენების დღეებში ჰარი შესანიშნავ გუნებაზე იყო – ასეთი რამ პირველად ხდებოდა მთელი სემესტრის მანძილზე. კვირის დიდი ნაწილი რონთან ერთად საშინაო დავალებებს მოანდომა. მართალია, ამაში სასიამოვნო ბევრი არაფერი იყო, მაგრამ შემოდგომის მზიანი დღე იდგა და იმის ნაცვლად, რომ საერთო ოთახში მაგიდასთან ეყურყუტათ, სამუშაოიანად ტბის ნაპირას, ვეებერთელა წიფლის ძირას გადაბარგდნენ. ჰერმიონს, ბუნებრივია, სამეცადინო არ ჰქონდა, თან ძაფი და ჩხირები წამოიღო და ახლა მის თვალწინ თავისით საქმიანობდნენ ჰაერში, სულ ახალ და ახალ წინდებსა და შარფებს ქსოვდნენ.

ჰარის ენით აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა ის აზრი, რომ ამბრიჯსა და სამინისტროს აუჯანყდნენ და რომ ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებდა. დროდადრო შაბათის თავშეყრა ახსენდებოდა: თურმე რამდენს ნდომებია მასთან ბნელი ძალებისგან თავდაცვის შესწავლა... როგორ უსმენდნენ... ჩომაც შეაქო სამი ჯადოქრის ტურნირში გამარჯვებისთვის... იმის გაფიქრებამ, რომ ამ ხალხს ის მატყუარად და შეშლილად კი არა, იმ ადამიანად მიაჩნია, რომელიც პატივისცემას იმსახურებს, ისეთი ხალისი შემატა, რომ ორშაბათს დილითაც კი, როცა ყველაზე უსიამოვნო გაკვეთილები ჰქონდათ, მშვენიერ გუნებაზე გაიღვიძა.

ის და რონი საძინებლიდან ჩამოდიოდნენ, თან ანჯელინას მიერ შეთავაზებულ ფრენის ახალ ხერხზე ლაპარაკობდნენ – „ზარმაცას ილეთი“ საღამოს ვარჯიშზე უნდა დაემუშავებინათ. ისე იყვნენ გართულები, რომ მხოლოდ მზით განათებული საერთო ოთახის შუაგულშიღა შეამჩნიეს დაფასთან შეგროვილი ბავშვები.

განცხადებების დაფაზე იმოდენა ფურცელი მიემაგრებინათ, რომ ყველაფერს ფარავდა: ნახმარი სახელმძღვანელოების სიას, ფილჩის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეგულარულ შეხსენებას სკოლაში მოქცევის წესებზე; ქვიდიჩის ვარჯიშის განრიგს; შეთავაზებას შოკოლადის ბაყაყების სურათების გაცვლის თაობაზე; უკანასკნელ განცხადებებს საკონტროლოებზე; ჰოგსმიდში გასეირნების დღეებსა და განცხადებებს დაკარგულ და ნაპოვნ ნივთებზე. ახალი განცხადება მსხვილი შრიფტით იყო დაბეჭდილი, ქვემოთ ოფიციალური ბეჭედი და ჩუქურთმებიანი ხელმოწერა იწონებდა თავს.

ჰოგვორტსის გენერალური ინსპექტორის

ბრძანებულება

მოსწავლეთა ყოველგვარი ორგანიზაციები, საზოგადოებები, გუნდები, წრეები და კლუბები ამ ბრძანებულებით გაუქმებულად ცხადდება.

ორგანიზაციად, საზოგადოებად, გუნდად, წრედ და კლუბად ითვლება სამი ან მეტი მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფის რეგულარული შეკრება.

რეორგანიზაციაზე ნებართვისთვის მიაკითხეთ გენერალურ ინსპექციას (პროფესორ ამბრიჯს).

ვერავითარი ორგანიზაცია, საზოგადოება, გუნდი, წრე თუ კლუბი ვერ იარსებებს გენერალური ინსპექტორის ნებართვის გარეშე.

ნებისმიერი მოსწავლე, რომელიც მხილებულ იქნება გენერალური ინსპექტორის მიერ არასანქციირებული ორგანიზაციის, საზოგადოების, გუნდის, წრისა და კლუბის წევრობაში, სკოლიდან გაიჩიცხება.

ამ ბრძანებულების საფუძველია დეკრეტი №24 განათლების შესახებ.

ხელმოწერილია: დოლორეს ჯეინ ამბრიჯი, გენერალური ინსპექტორი.

ჰარიმ და რონმა განცხადება შეცბუნებულ მეორეკურსელთა უკან მდგომებმა წაიკითხეს.

– ესე იგი, დახურავენ კენჭობანას გუნდს? – ჰკითხა ერთმა მეორეს.

– ვფიქრობ, თქვენს გუნდს არაფერი ემუქრება, – ისეთი მრისხანე გამომეტყველებით თქვა რონმა, რომ მეორეკურსელი შეკრთა და იქაურობას გაშორდა, – ჩვენ კი, როგორც ჩანს, ბედმა გვიმუხთლა, არა, ჰარი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ხელმეორედ კითხულობდა ბრძანებულებას. იმ საოცრად მხიარული განწყობილებიდან კვალიც კი აღარ დარჩა. თანდათან მძვინვარებამ შეიპყრო.

– არ მჯერა, რომ ეს უბრალო დამთხვევაა, – ხელები თავისთავად მომუშტა, – რაღაც იყნოსა.

– მაგრამ, როგორ? – არ დაიჯერა რონმა.

– ეტყობა, ლუდხანაში გვისმენდნენ. სიმართლე რომ გითხრა, არა მგონია, იქ მოსულთაგან ყველას ნდობა შეიძლებოდეს. ნებისმიერს შეეძლო, ამბრიჯთან დავებეზღებინეთ.

არადა, ეგონა, რომ მისი სჯეროდათ, აღტაცებულები იყვნენ!

– ზაქარია სმიტი, – წამოიძახა რონმა და მუშტი ხელისგულს დასცხო, – ანდა ის გაიძვერა... მაიკლ კორნერი.

– ჰერმიონმა თუ წაიკითხა? – ჰარი გოგონების საძინებლის კარისკენ შებრუნდა.

– უნდა ვუთხრათ, – რონი კარისკენ გაიქცა.

მეექვსე საფეხურს რომ მიაღწია, რაღაცამ ხმამაღლა დაიღმუვლა და კიბე ერთიან პრიალა ქვად იქცა. ერთხანს რონი ისევ ცდილობდა ზევით ასვლას, ხელებს ქარის წისქვილივით იქნევდა, მაგრამ დაეცა და ძირს, ჰარის ფეხებთან ჩამოცურდა.

– ეტყობა, გოგონების საძინებელში ასვლა არ შეიძლება, – უთხრა ჰარიმ. თან ადგომაში ეხმარებოდა, თან ძლივს იკავებდა სიცილს.

ქვაზე მხიარული სიცილით ჩამოსრიალდა ორი მეოთხეკურსელი გოგონა. წამოხტნენ და ჰარისა და რონს მიაჩერდნენ.

– ოო, ეს ვინ ცდილობდა ჩვენთან შემოღწევას?!

– მე, – თქვა თმააბურძგნილმა რონმა, – ამას როგორ ვიფიქრებდი?! რა უსამართლობაა, – მიუბრუნდა ჰარის, – ჰერმიონს ჩვენს საძინებელში მოსვლა შეუძლია, ჩვენ კი რატომღაც არა...

– ეს ძველი წესია, – აუხსნა ჰერმიონმა, მსუბუქად ჩამოსრიალდა და პირდაპირ მათ წინ დასკუპდა, – „ჰოგვორტსის ისტორიაში“ წერია: დამფუძნებლებმა ჩათვალეს, რომ ბიჭები უფრო უწესოები არიან, ვიდრე გოგონები. იქ რა გინდოდათ?

– შენთან მოვდიოდი. ერთი ამას შეხედე! – რონმა დაფისკენ წაიყვანა.

ჰერმიონმა ბრძანებულება ჩაიკითხა და სახე გაუქვავდა.

– ვიღაცამ ჩაუკაკლა, – კბილებში გამოსცრა რონმა.

– არა, ამას ვერ დავიჯერებ! – ჩუმად უპასუხა ჰერმიონმა.

– ნუ ხარ გულუბრყვილო. შენ თუ ასეთი წესიერი ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა...

– არავის შეეძლო, იმიტომ, რომ ხელმოწერილ პერგამენტს შევუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლოცე, – ჯიუტად გაიმეორა ჰერმიონმა, – დამშვიდდი, თუ ვიღაცამ დაგვაბეზღა ამბრიჯთან, გავიგებთ ვინც იყო და ძალიანაც ინანებს.

– რას უზამ, რო? – დაინტერესდა რონი.

– ისეთ დღეს დავაყრი, მის ფონზე ელოიზ მიჯენის მუწუკები საყვარელ ჭორფლად მოგეჩვენებათ. წავიდეთ სასაუზმოდ და ვნახოთ, რას ფიქრობენ დანარჩენები. საინტერესოა, ეს ყველა კლუბში ჩამოკიდეს?

როგორც კი დიდ დარბაზში შევიდნენ, ნათელი გახდა, რომ გრიფინდორის კლუბი ერთადერთი არ იყო, სადაც ბრძანებულება გამოაკრეს. ყველა აგზნებული ლაპარაკობდა, ჩვეულებრივზე მეტად ფაციფუცობდნენ და მაგიდებს შორის გადი-გამოდიოდნენ. ყველა წაკითხულს არჩევდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ის იყო მაგიდასთან დასხდნენ, რომ მათთან ნევილი, დინი, ფრედი, ჯორჯი და ჯინი მიცვივდნენ.

– ნახეთ?

– როგორ ფიქრობთ, გაიგო?

– რა უნდა ვქნათ?

ყველა ჰარის შესცქეროდა. მან აქეთ-იქით გაიხედა, შორიახლო რომელიმე მასწავლებელი არ იყოსო, და ხმადაბლა თქვა:

– ჩვენ მაინც გავაკეთებთ ამას.

– ვიცოდი, რომ ეგრე იტყოდი, – გაბრწყინებულმა ჯორჯმა მხარზე დაჰკრა ხელი.

– პრეფექტები ჩვენ მხარეზე არიან? – იკითხა ფრედმა და დამცინავი ღიმილით გადახედა რონსა და ჰერმიონს.

– რა თქმა უნდა, – ცივად უპასუხა ჰერმიონმა.

რონმა მიმოიხედა.

– აი, ერნი და ჰანა ებოტი მოდიან. და ისინიც, რეივენქლოელები და სმიტიც... რაღაც არც ერთს ეტყობა მუწუკები...

ჰერმიონი შეშფოთებული ჩანდა.

– ეს არაფერს ნიშნავს. იდიოტები ახლა აქ არ გამოჩნდებიან – შეეშინდებათ, არ დავეჭვდეთ... დასხედით! – კბილებში გამოსცრა და ხელით ანიშნა, რეივენქლოელთა მაგიდასთან დაბრუნდითო, – მერე! მერე დაგელაპარაკებით!

– მაიკლს ვეტყვი, – აცმუკდა ჯინი და სკამიდან წამოხტა, – ნამდვილი სულელია...

თქვა თუ არა, რეივენქლოელთა მაგიდისკენ გაქანდა. ჰარიც იქით იყურებოდა. ჩო იმ გოგონას ელაპარაკებოდა, „ღორის თავში“ რომ მოიყვანა. ნეტავ მოვა მეორე შეკრებაზე თუ ბრძანებულებისა შეეშინდება?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ამ ბრძანებულების მთელ ბოროტებას მაშინღა ჩახვდნენ, როცა დიდი დარბაზიდან მაგიის ისტორიის გაკვეთილზე წავიდნენ.

– ჰარი! რონ!

მათკენ სასოწარკვეთილი გამორბოდა ანჯელინა.

– ყველაფერი კარგადაა, – ხმადაბლა უთხრა ჰარიმ, როცა მიუახლოვდა, – არ გადაგვიფიქრებია...

– გესმით, რომ ეს ქვიდიჩსაც ეხება? ჩვენ მასთან უნდა გამოვცხადდეთ და გრიფინდორის გუნდის შემადგენლობა შევუთანხმოთ!

– რა? – ძლივს ამოთქვა ჰარიმ.

– ხუმრობ? – გაოგნდა რონი.

– ბრძანებულება ხომ წაიკითხეთ, იქ წერია „გუნდები"! მისმინე, ჰარი, გემუდარები, ნუღა აუხირდები ამბრიჯს, თორემ საერთოდ არ მოგვცემს თამაშის უფლებას!

– კარგი, კარგი, – შეჰპირდა ჰარი, როცა შეატყო, რომ ანჯელინა ლამის ტიროდა, – ნუ ღელავ, შევეცდები, თავი შევიკავო.

– ამბრიჯი დღეს მაგიის ისტორიას დაესწრება, – მოიღუშა რონი, – ბინსი ჯერ კიდევ არ შეუმოწმებია. დაგენაძლევებით, უკვე იქ იქნება.

მაგრამ რონი შეცდა. როცა საკლასო ოთახში შევიდნენ, იქ მარტო პროფესორი ბინსი დახვდათ. ჩვეულებისამებრ, სავარძლიდან რამდენიმე სანტიმეტრზე ჰაერში ლივლივებდა და, როგორც ჩანს, უკვე მზად იყო, გოლიათებთან ომებზე თხრობა გაეგრძელებინა. ჰარი არც კი ცდილობდა ლექციის მოსმენას, რაღაცას ხატავდა პერგამენტზე და ყურადღებას არ აქცევდა ჰერმიონის მრისხანე გამოხედვას, რომელიც დროდადრო მუჯლუგუნებს წაჰკრავდა ხოლმე. ერთ-ერთმა განსაკუთრებით მტკივნეულმა მუჯლუგუნმა აიძულა, თავი აეწია.

– რა გინდა? – უკმაყოფილოდ ჰკითხა.

ჰერმიონმა ფანჯარაზე უჩვენა. ჰარი შებრუნდა. გარეთ ჰედვიგი იჯდა და ჰარის შეჰყურებდა. ფეხზე წერილი ჰქონდა შებმული. გაუგებარი იყო: ახლახან ისაუზმეს, რატომ არ მოიტანა წერილი იქ, სადაც ყოველთვის მოჰქონდა? დანარჩენი მოსწავლეებიც ერთმანეთს ჰედვიგს უჩვენებდნენ.

– ვგიჟდები ამ ბუზე, ისეთი ლამაზია... – წასჩურჩულა ლევენდერმა პარვატის.

ჰარიმ პროფესორ ბინსს შეხედა. პროფესორი უშფოთველად დუდუნებდა და ვერ ამჩნევდა, რომ ახლა იმაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე სხვა დროს. ჰარი ჩუმად ჩასრიალდა სკამიდან, წელში მოხრილმა გაირბინა მაგიდების შორის, ფანჯარაზე საკეტი ასწია და ჩუმად გამოაღო.

ეგონა, რომ ჰედვიგი წერილიან ფეხს გამოუწვდიდა, მერე კი საბუე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში გაფრინდებოდა. მაგრამ როგორც კი ფანჯარა გაიღო, ჰედვიგმა ერთი სევდიანად დაიკვნესა და ფანჯრის რაფაზე დასკუპდა. ჰარიმ პროფესორს გახედა, ისევ დაიკუზა და მხარზე შემჯდარ ბუსთან ერთად თავის ადგილზე დაბრუნდა. ჰედვიგი მუხლებზე დაისვა და წერილის შეხსნა დააპირა.

ახლაღა შეამჩნია, რომ ჰედვიგი რაღაცნაირად გაბურძგნილი იყო – ბუმბული ყალყზე ედგა, ერთი ფრთა კი არ ეკეცებოდა.

– დაჭრილია! – ჰარი ბუსკენ დაიხარა. რონმა და ჰერმიონმა კისრები წაიგრძელეს, ჰერმიონს ბატის ფრთაც კი გაუვარდა ხელიდან, – შეხედეთ, რაღაც დაემართა ფრთაზე!

ჰედვიგი კანკალებდა. როცა ჰარიმ ხელი შეახო ფრთებზე, თითქოს გაბერესო, ბუმბული ერთიანად ყალყზე დაუდგა. ბუმ საყვედურით შეხედა.

– პროფესორო ბინს, – ხმამაღლა თქვა ჰარიმ. ყველანი მისკენ შებრუნდნენ, – თავს ცუდად ვგრძნობ.

პროფესორმა თავისი ჩანაწერებიდან თავი აიღო და, როგორც ყოველთვის, თითქოს გაუკვირდა, რომ ხალხით სავსე კლასი დაინახა.

– ცუდად გრძნობთ თავს? – დაბნეულად იკითხა.

– ძალიან ცუდად, – დაუდასტურა ჰარიმ და ადგა. ჰედვიგი ზურგს უკან ჰყავდა დამალული, – ალბათ, საავადმყოფო ფლიგელში მომიწევს წასვლა.

– ჰო, – თქვა პროფესორმა, თან წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაზე იყო ლაპარაკი, – ჰო, საავადმყოფო ფლიგელი.. მიბრძანდით, პერკინს...

ჰარი დერეფანში გამოვიდა. ჰედვიგი ისევ მხარზე შეისვა და კარიდან მოშორებით, უხიფათო ადგილას რომ იგრძნო თავი, შეჩერდა. დაფიქრდა. რა თქმა უნდა, დახმარებისთვის მაშინვე ჰაგრიდს მიაშურებდა, მაგრამ კაცმა არ იცის, სად არის ჰაგრიდი. რჩებოდა მხოლოდ პროფესორი გრაბლი-პლენკი, ის თუ უშველიდა ჰედვიგს.

ფანჯრიდან ჩაბნელებულ მიდამოს გახედა. გარეთ ქარი დათარეშობდა. ჰაგრიდის ქოხთან არავინ ჩანდა. თუ გრაბლი-პლენკი გაკვეთილზე არ არის, მაშინ სამასწავლებლოში იქნება. ჰარი ქვევით დაეშვა, ჰედვიგი მხარზე ქანაობდა და ხმადაბლა კრუსუნებდა.

სამასწავლებლოს კართან ქვის ორი ურჩხული გადაეღობა. ერთერთმა დაიჩხავლა:

– გაკვეთილზე რატომ არ ხარ, შვილო?

– სასწრაფო საქმე მაქვს, – მოკლედ მოუჭრა ჰარიმ.

– აა, სასწრაფო? – დაიწივლა მეორემ, – ნახე რა პასუხი გაგვცა, რა თქვენი საქმეაო, რა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ დააკაკუნა. კარს უკან ფეხის ხმა მოისმა. მერე კარიც გაიღო. მის წინ პროფესორი მაკგონაგელი იდგა. სწორკუთხა სათვალემ მრისხანედ გაიბრჭყვიალა.

– თქვენ, რა, ისევ დაგსაჯეს, პოტერ?

– არა, პროფესორო, – სასწრაფოდ გაიმართლა თავი ჰარიმ.

– მაშ, რატომ არ ხართ გაკვეთილზე?

– ეტყობა, სასწრაფო საქმე აქვს, – ჩაიქირქილა მეორე ურჩხულმა.

– პროფესორ გრაბლი-პლენკს ვეძებ. ჩემი ბუ დაჭრილია.

– რა თქვით? ბუ დაჭრილია?

პროფესორ მაკგონაგელის ზურგს უკან პროფესორი გრაბლი-პლენკი გამოჩნდა აბოლებული ჩიბუხითა და „დილის მისნით“ ხელში.

– დიახ, – ჰარიმ ფრთხილად აიყვანა ჰედვიგი, – ყველაზე გვიან მოფრინდა და თან რაღაც სჭირს ფრთაზე, ნახეთ...

პროფესორმა გრაბლი-პლენკმა ჩიბუხი კბილებით დაიჭირა და ჰედვიგი გამოართვა.

– ჰოო, – ჩიბუხი პირში შეუთამაშდა, – აშკარაა, რომ თავს დაესხნენ. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ უნდა ყოფილიყო. თესტრალები ხშირად თავს ესხმიან ფრინველებს, მაგრამ აქაურები ჰაგრიდმა მოაშინაურა და არაფერს უშავებენ ბუებს.

ჰარიმ არ იცოდა, ვინ იყვნენ თესტრალები, და არც აინტერესებდა, მხოლოდ ის უნდოდა გაეგო, გამოკეთდებოდა თუ არა ჰედვიგი. მაგრამ პროფესორმა მაკგონაგელმა დაჟინებით შეხედა ჰარის და ჰკითხა:

– პოტერ, ხომ არ იცით, შორიდან მოფრინავდა?

– ალბათ, ლონდონიდან.

ჰარიმ მისი გამოხედვა დაიჭირა და იმის მიხედვით, თუ როგორ შეიკრა მაკგონაგელმა წარბები, მიხვდა: მისთვის ნათელია, რომ „ლონდონი“ „გრიმოს მოედნის ნომერ თორმეტს“ ნიშნავდა. პროფესორმა გრაბლი-პლენკმა მანტიიდან მონოკლი ამოიღო, თვალზე მოირგო და ყურადღებით დაათვალიერა ჰედვიგის ფრთა.

– თუ დამიტოვებთ, ალბათ, რაღაცას მოვუხერხებ. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღით შორეული გაფრენები გამორიცხულია.

– კარგი... გმადლობთ, – თქვა ჰარიმ და იმავე წამს დასვენების ზარიც დაირეკა.

– არაფრის, – ჩახლეჩილი ხმით უპასუხა გრაბლი-პლენკმა და სამასწავლებლოსკენ შებრუნდა.

– ერთი წუთით, ვილჰელმინა, – შეაჩერა მაკგონაგელმა, – პოტერის წერილი!

– ვაიმე, წერილი! – ჰარის სულ დაავიწყდა ფეხზე მიბმული წერილი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრაბლი-პლენკმა წერილი ჰარის მისცა და ჰედვიგი ოთახში შეიყვანა. ბუ ისეთი თვალებით შეჰყურებდა ჰარის, თითქოს ვერ დაეჯერებინა, რომ უცხო ადამიანს ჩაუგდეს ხელში.

ჰარის სინდისი ქენჯნიდა. მიბრუნდა და წასვლა დააპირა, მაგრამ პროფესორმა მაკგონაგელმა შეაჩერა:

– პოტერ!

– დიახ, პროფესორო.

მაკგონაგელმა აქეთ-იქით მიმოიხედა, ორივე მხრიდან დერეფანში მოსწავლეები მოდიოდნენ.

– მხედველობაში იქონიეთ, – ხმადაბლა და სწრაფად თქვა, თან ჰარის ხელში პერგამენტის გრაგნილს დასცქეროდა, – კავშირის არხებს ჰოგვორტსში შეიძლება უთვალთვალებენ, გასაგებია?

– მე... – პასუხის გაცემა დააპირა ჰარიმ, მაგრამ მოსწავლეების ჯგუფი უკვე ორიოდე ნაბიჯზე იყო.

პროფესორმა მაკგონაგელმა თავი დაუქნია და სამასწავლებლოში შევიდა, ჰარი კი მოსწავლეების ტალღამ ეზოში გაიყოლა. კუთხეში, მოფარებულ ადგილას საყელოაწეულები იდგნენ რონი და ჰერმიონი და მას ელოდნენ. ჰარიმ წერილი გაშალა და უცებ გადაიკითხა სირიუსის ხელით დაწერილი ხუთი სიტყვა:

„ლლეს, იმავე ადგილას, იმავე დროს".

– როგორაა ჰედვიგი? – კითხვით შეეგება ჰერმიონი.

– სად წაიყვანე? – ჰკითხა რონმა.

– გრაბლი-პლენკთან. მაკგონაგელიც ვნახე. მომისმინეთ... ჰარიმ მაკგონაგელის ნათქვამი გადასცა. რა უცნაურიც უნდა ყოფილიყო, არ გაჰკვირვებიათ. პირიქით, მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

– რა ხდება? – იკითხა ჰარიმ და ჯერ რონს შეხედა, მერე ჰერმიონს, მერე ისევ რონს.

– სწორედ ახლა ვეუბნებოდი რონს: რა მოხდება, ვინმემ რომ ჩაიგდოს ჰედვიგი ხელში? ადრე ხომ გზაში არავინ ესხმოდა თავს?

– ვისგან არის წერილი? – იკითხა რონმა და ჰარის პერგამენტი გამოართვა.

– ბომბორასგან, – ჩუმად თქვა ჰარიმ.

– „იმავე ადგილას, იმავე დროს"? ესე იგი, საერთო ოთახის ბუხარში?

– ეტყობა, – თქვა ჰერმიონმა, როცა წერილს თვალი გადაავლო და შეშფოთებულმა დაამატა: – იმედია, სხვას არავის წაუკითხავს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ წერილი დაბეჭდილი იყო და, საერთოდ... – ჰარი შეეცადა, ჰერმიონი კი არა, უფრო საკუთარი თავი დაემშვიდებინა, – თან ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა, სად და როდის შევხვდით.

– არ ვიცი, – დაეჭვებულმა ჰერმიონმა ჩანთა მხარზე გადაიკიდა, რადგან ზარი დაირეკა, – არც ისე ძნელია ჯადოქრობის საშუალებით ხელმეორედ დაბეჭდო პერგამენტი... და თუ ვინმე უთვალთვალებს ფლუ-ფხვნილის ქსელს... ოღონდ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავაფრთხილოთ, რომ არ მოვიდეს – ხომ შეიძლება, ჩვენი წერილიც ჩაუვარდეთ ხელში! ქვის საფეხურებით სნეიპის მიწისქვეშეთში რომ ჩადიოდნენ, გზადაგზა ამ ამოცანაზე იმტვრევდნენ თავს. მაგრამ ქვევით დრაკო მალფოის ხმაზე გამოფხიზლდნენ. მალფოი კართან იდგა, ბეჭედდასმულ პერგამენტს იქნევდა და იმაზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა, ვიდრე საჭირო იყო:

– ამბრიჯმა მაშინვე მისცა ნებართვა სლიზერინის ქვიდიჩის გუნდს – ჩვენ თამაშს ვაგრძელებთ. დილითვე მასთან წავედი. ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა – ამბრიჯი კარგად იცნობს მამაჩემს, ის ხშირად დადის სამინისტროში... მაგრამ მისცემენ თუ არა გრიფინდორს თამაშის უფლებას, ამას კიდევ დავინახავთ...

– არ აჰყვეთ, – შეევედრა ჰერმიონი მეგობრებს, იმიტომ, რომ მუშტებმომარჯვებული ჰარი და რონი უკვე გაცოფებულები უყურებდნენ, – მაგას სწორედ ეგ უნდა...

– აქ მთავარია სამინისტროში ნაცნობობა, – კიდევ უფრო ხმამაღლა აგრძელებდა მალფოი და ბოროტად იყურებოდა ჰარისა და რონისკენ, – ამათ, ჩემი აზრით, ძალიან მცირე შანსი აქვთ. მამაჩემი ამბობს, რომ სამინისტროში კარგა ხანია, ეძებენ საბაბს არტურ უისლის გასათავისუფლებლად... ხოლო რაც შეეხება პოტერს, მამაჩემი ამბობს, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხია – სამინისტროში მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, წმინდა მუნგოს კლინიკაში დააწვინონ – იქ სპეციალური განყოფილებაა გიჟებისთვის.

მალფოიმ იდიოტური გამომეტყველება მიიღო – ყბა ჩამოაგდო და თვალები ამოატრიალა. კრაბი და გოილი ჩვეულებისამებრ ახარხარდნენ, პენსი პარკინსონმა კი წივილით გაიცინა.

ჰარის მხარში რაღაც დაეჯახა და განზე გაისროლა. ჰარიმ იმავე წამს დაინახა, რომ ეს ნევილი იყო, რომელიც მალფოისკენ მიექანებოდა.

– ნევილ, შეჩერდი!

ჰარი უკნიდან ეცა და მანტიაში სტაცა ხელი. ნევილი მუშტებს იქნევდა და გაშეშებული მალფოისკენ მიიწევდა.

– რონ, მომეხმარე! – იყვირა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორღაც მოახერხა, ცალი ხელი კისერზე შემოეხვია ნევილისთვის და ცოტა ხანს შეეჩერებინა. კრაბი და გოილი უკვე საბრძოლველად მოემზადნენ – მალფოის გადაეფარნენ. რონი ხელებში ეცა ნევილს და ორივემ, როგორც იქნა, მოაშორეს სლიზერინელებს. ნევილს სახე ასჭარხლებოდა, კისერზე შემოხვეული ხელი ლაპარაკს უშლიდა, მაგრამ ცალკეულ სიტყვებს მაინც ისროდა.

– არა... დაცინვა... არ გაბედო... მუნგოს... ვაჩვენებ... მაგას... საკლასო ოთახის კარი გაიღო. კარში სნეიპი იდგა. შავმა თვალებმა გრიფინდორელები მოათვალიერა და ჰარიზე, რონსა და ნევილზე შეჩერდა.

– პოტერ, უისლი, ლონგბოტომ, ჩხუბობთ, არა? – გაისმა ცივი, ქედმაღლური ხმა, – ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს. ხელი გაუშვით ლონგბოტომს, პოტერ, თუ არადა, გაკვეთილების შემდეგ დარჩებით. აბა, ყველანი კლასში.

ჰარიმ ხელი უშვა ნევილს. ის ქშინავდა, თვალებით ბურღავდა ჰარის.

– უსათუოდ უნდა შემეჩერებინე, – უთხრა ჰარიმ და ჩანთა აიღო, – კრაბსა და გოილს ერთ ლუკმად არ ეყოფოდი.

ნევილმა არ უპასუხა. ჩანთას დაავლო ხელი და ოთახში შევიდა.

– ეგრე რამ გააბრაზა? – იკითხა რონმა.

ჰარის არაფერი უთქვამს. მან იცოდა, ასე რატომ განიცდიდა ნევილი იმ ადამიანებზე ლაპარაკს, რომლებიც წმინდა მუნგოს კლინიკაში იმყოფებოდნენ ტვინის ჯადოსნური დაზიანებების გამო. მაგრამ დამბლდორს პირობა მისცა, რომ ლონგბოტომის საიდუმლოს არ გაამხელდა. ნევილს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ჰარიმ ყველაფერი იცოდა.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ბოლო რიგში თავიანთი ადგილები დაიკავეს. ამოიღეს პერგამენტი, ბატის ფრთები და სახელმძღვანელო „ათასი ჯადოსნური ბალახი და სოკო“. კლასში ჩურჩულით განიხილავდნენ ნევილის საქციელს, მაგრამ, როცა სნეიპმა ხმაურით მიხურა კარი, ყველა ერთბაშად გაჩუმდა.

– გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, – თქვა სნეიპმა ჩვეული დამცინავი ინტონაციით, – დღეს ჩვენ სტუმარი გვყავს.

მიწისქვეშეთის ბნელ კუთხეზე მიუთითა. იქ ამბრიჯი იჯდა განუყრელი ბლოკნოტით ხელში. ჰარიმ წარბები შეკრა და ცერად გახედა მეგობრებს. სნეიპი და ამბრიჯი ყველაზე საძულველი მასწავლებლები იყვნენ და ჰარის ვერც კი გადაეწყვიტა, ვისთვის ესურვებინა რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება.

– დღეს ჩვენ ვაგრძელებთ გამამაგრებელ ხსნარზე მუშაობას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვენს ნამუშევრებს იმავე მდგომარეობაში იპოვით, როგორშიც წინა გაკვეთილზე დატოვეთ. თუ მაშინ ყველაფერი სწორად გააკეთეთ, ამ უქმეებზე ნაერთი უკვე დაიწმინდებოდა. ინსტრუქცია, – ჯოხი გაიშვირა, – დაფაზეა. შეუდექით მუშაობას.

პირველ ნახევარ საათს ამბრიჯი მხოლოდ რაღაცას ინიშნავდა ბლოკნოტში. ჰარის ძალიან აინტერესებდა, როგორ დაკითხავდა სნეიპს; იმდენად აინტერესებდა, რომ ისევ უყურადღებოდ მოექცა ნაყენს.

– სალამანდრას სისხლი, ჰარი! – დაიკვნესა ჰერმიონმა და ხელზე სტაცა ხელი, რომ მესამედ არ ჩაესხა არასწორი ინგრედიენტი, – ბროწეულისა კი არა, სალამანდრასი!

– ჰო, – დაბნეულად მიუგო ჰარიმ, რადგან ისევ იმ ბნელ კუთხეს მისჩერებოდა.

სწორედ ამ დროს ამბრიჯი წამოდგა და დინ ტომასის ქვაბთან დახრილი სნეიპისკენ გაემართა.

– მაშ ასე, თავისი დონის გათვალისწინებით, კლასი ცუდად არ უნდა იყოს მომზადებული. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ ღირდეს ისეთ წამალზე მუშაობა, როგორიც გამამაგრებელი ხსნარია. ვფიქრობ, სამინისტრო ამჯობინებდა, ეს ნაყენი ამოელო სასწავლო კურსიდან.

სნეიპი ნელა გაიმართა წელში და ამბრიჯისკენ შეაბრუნა თავი.

– დიდი ხანია, ჰოგვორტსში ხართ? – იკითხა ამბრიჯმა და ბატის ფრთა მოიმარჯვა.

– თოთხმეტი წელიწადი, – სნეიპს სახეზე ნერვიც არ შესტოკებია.

ჰარიმ რამდენიმე წვეთი დაამატა ხსნარს და ისევ განაგრძო თვალყურის დევნება. ხსნარი სახიფათოდ აშიშინდა და ფირუზის-ფრიდან ფორთოხლისფრად იქცა.

– თუ არ ვცდები, თავდაპირველად ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის თანამდებობაზე შეიტანეთ განცხადება.

– დიახ, – ხმადაბლა უპასუხა სნეიპმა.

– მაგრამ თქვენი ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, არა?

სნეიპს ტუჩები მოეღრიცა.

– როგორც ხედავთ.

ამბრიჯმა ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა.

– და ჰოგვორტსში მოსვლის შემდეგ რეგულარულად მოითხოვდით ამ თანამდებობას, ასე არ არის?

– დიახ, – სნეიპმა ოდნავ შეატოკა ტუჩები. ეტყობოდა, ძალიან გაბრაზებული იყო.

– ხომ არ იცით, დამბლდორი ასე ჯიუტად რატომ გეუბნებოდათ უარს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯობს, თვითონ მას ჰკითხოთ, – ჩაიბურტყუნა სნეიპმა.

– აუცილებლად ვკითხავ, – შეჰპირდა ამბრიჯი დათაფლული ღიმილით.

– ვიმედოვნებ, ამას კავშირი აქვს საქმესთან.

– პირდაპირი, – თქვა პროფესორმა ამბრიჯმა, – სამინისტროს უნდა, რომ დანამდვილებით იცოდეს... ეე... პედაგოგთა ნამსახურობის ნუსხა.

ამბრიჯი პენსი პარკინსონთან მივიდა და გამოკითხვა დაუწყო. სნეიპმა ჰარის გახედა. ჰარიმ თვალები დახარა. მისი ნაყენი როგორღაც საზიზღრად შედედდა და დამწვარი რეზინის სუნი აუშვა.

– ისევ შეფასების გარეშე დარჩით, პოტერ, – კმაყოფილებით თქვა სნეიპმა და ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით ქვაბი დააცარიელა, – მომავალი გაკვეთილისთვის დამიწერთ დავალებას ამ ნაყენის სწორად შედგენაზე, თან მიანიშნებთ, სად და რატომ შეცდით, გასაგებია?

– დიახ, – გაცოფებულმა უპასუხა ჰარიმ.

სნეიპმა კლასს საშინაო დავალება მისცა. საღამოს ქვიდიჩში ვარჯიშობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰარის კიდევ ორი ღამე უნდა გაეტეხა. ამის გაფიქრებაზე დილანდელი შესანიშნავი განწყობა სადღაც გაუქრა. ახლა მხოლოდ იმას ნატრობდა, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს დღე.

– მე, ალბათ, წინასწარმეტყველებას გავაცდენ, – ნაღვლიანად თქვა სადილის შემდეგ, როცა ეზოში იდგნენ და ქარი მათ მანტიებსა და შლაპის ფარფლებს აფრიალებდა, – თავს მოვიავადმყოფებ, ამასობაში კი სნეიპის დავალებას დავწერ და ღამის თევა აღარ მომიწევს.

– მისნობის გაკვეთილს ვერ გამოტოვებ, – მკაცრად გააფრთხილა ჰერმიონმა.

– ამას ვინ ამბობს! შენ არ იყავი, მისნობაზე საერთოდ უარი რომ გამოაცხადე? ვერ იტან ტრელოუნის! – აღშფოთდა რონი.

– საქმე ის არ არის, ვიტან თუ ვერ ვიტან, – თეატრალურად წარმოთქვა ჰერმიონმა, – უბრალოდ, ჩემი აზრით, საზიზღარი პედაგოგი და ბებერი თაღლითია. მაგრამ ჰარიმ უკვე გააცდინა მაგიის ისტორია და, ჩემი აზრით, დღეს არაფრის გაცდენა აღარ შეიძლება.

შენიშვნა სამართლიანი იყო და ნახევარი საათის შემდეგ მთელ ქვეყნიერებაზე გაბრაზებულმა ჰარიმ დახუთულ, ნელსურნელებით გაჟღენთილ მისნობის კაბინეტში თავისი ადგილი დაიკავა. პროფესორმა ტრელოუნიმ ისევ დაარიგა „სიზმრების ამხსნელი“. ჰარიმ იფიქრა, იმის ნაცვლად, გამოგონილ სიზმრებში აზრი მეძებნა, უფრო სასარგებლო იქნებოდა, სნეიპის დავალება მეკეთებინაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა, როგორც ჩანს, მარტო ის არ იყო საზიზღარ გუნებაზე. პროფესორმა ტრელოუნიმ „სიზმრების ამხსნელის“ ეგზემპლარი ჰარისა და რონს შუა მაგიდაზე დააგდო, განზე გადგა და ტუჩები მოკუმა. მერე წიგნი სიმუსსა და დინს ისე გადაუგდო, კინაღამ თავში მოარტყა სიმუსს. კიდევ ერთი ეგზემპლარი ისეთი ძალით ატაკა ნევილს მკერდში, რომ ბიჭი სკამიდან ჩაცურდა.

– გააგრძელეთ! – გაბზარული ხმით იყვირა პროფესორმა, – იცით, რაც უნდა გააკეთოთ! თუ ისეთი სუსტი მასწავლებელი ვარ, რომ აქამდე წიგნის გადაშლაც ვერ გასწავლეთ? ბავშვები გაკვირვებულები შეაცქერდნენ, მერე ერთმანეთს გადახედეს. ჰარი ყველაფერს მიხვდა: ტრელოუნის თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და როცა სწრაფად დაბრუნდა თავის მაღალზურგიან სავარძელთან, ჰარიმ რონს წასჩურჩულა:

– ალბათ, ინსპექციის შედეგები აცნობეს.

– პროფესორო, – მორიდებით დაიწყო პარვატი პეტილმა (ის და ლევენდერი აღტაცებულები იყვნენ ტრელოუნით), – პროფესორო, მოხდა რამე?

– მოხდა?! – აკანკალებული ხმით წამოიძახა, – რა თქმა უნდა, არაფერი! მე შეურაცხყოფა მომაყენეს, რა თქმა უნდა... მე ცილს მწამებენ, უსაფუძვლო ბრალდებებს მიყენებენ... რაც შეეხება დანარჩენს, არაფერიც არ მოხდა, სულ არაფერი!

კანკალით ჩაისუნთქა ჰაერი, პარვატისგან შებრუნდა და სათვალის ქვემოდან ცრემლები გადმოსცვივდა.

– აღარაფერს ვიტყვი თექვსმეტი წლის უმწიკვლო მუშაობაზე... როგორც ჩანს, ამ წლებმა შეუმჩნევლად ჩაიარეს... მაგრამ მე არ მივცემ შეურაცხყოფის უფლებას, არ მივცემ!

– ვინ მოგაყენათ შეურაცხყოფა, პროფესორო? – ჩაიჟღურტულა პარვატიმ.

– ძლიერთა ამა ქვეყნისა, – ყრუ ქვითინით ამოთქვა ტრელოუნიმ, – იმათ, ვისი თვალებიც ამქვეყნიური ბიწიერებით არის დაბრმავებული; ვინც ვერ ხედავს ისე, როგორც მე ვხედავ; ვინც არ იცის ის, რაც მე ვიცი... რა თქმა უნდა, ჩვენი, ნათელმხილველებისა ყოველთვის ეშინოდათ, ყოველთვის გვდევნიდნენ... სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი ბედი.

ამოისლუკუნა, სველი ლოყები შალის კიდით შეიმშრალა, მერე სახელოდან ნაქარგი ცხვირსახოცი გამოაძრო და გამაყრუებლად მოიხოცა – ისეთივე უხამსი ხმით, როგორც პივსმა.

რონმა ჩაიხითხითა, ლევენდერმა რისხვით გამოხედა.

– პროფესორო, პროფესორმა ამბრიჯმა ხომ არა? – ჰკითხა პარვატიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნუ მიხსენებთ მაგ ქალის სახელს! – პროფესორი ტრელოუნი სავარძლიდან მძივების ჩხრიალით წამოხტა და სათვალე აულაპლაპდა, – კეთილი ინებეთ და მუშაობა განაგრძეთ!

გაკვეთილის ბოლომდე მაგიდებს შორის დადიოდა, ცრემლებს ღვრიდა და რაღაცას, ალბათ, მუქარის სიტყვებს ბუტბუტებდა.

– ...დიახაც, რომ წავალ... დამამცირებელი მდგომარეობა... გამოსაცდელი ვადით... ამას ჯერ კიდევ ვნახავთ... როგორ ბედავს...

– შენ და ამბრიჯს რაღაც გაქვთ საერთო, – უთხრა ჰარიმ ჰერმიონს, როცა ისევ შეხვდნენ ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილზე, – ისიც ბებერ თაღლითად თვლის ტრელოუნის და, როგორც ჩანს, გამოსაცდელი ვადით დატოვა.

ამ დროს ამბრიჯი შემოვიდა თავისი შავი ბაფთითა და თვითკმაყოფილი ღიმილით.

– გამარჯობა, ბავშვებო!

– გამარჯობა, პროფესორო ამბრიჯ, – უსიცოცხლოდ უპასუხეს.

– შეინახეთ ჯადოსნური ჯოხები!

ამჯერად ამბრიჯის სიტყვებს ჩოჩქოლი არ მოჰყოლია – ჯადოსნური ჯოხების ამოღება არც არავის უცდია.

– გადაშალეთ, თუ შეიძლება, „დაცვითი მაგიის თეორიის“ ოცდამეთოთხმეტე გვერდი და წაიკითხეთ მესამე თავი: „ჯადოსნურ თავდასხმაზე არააგრესიული პასუხის საფუძვლები“. საუბრისგან...

– თავი შევიკავოთ, – ჩურჩულით დაასრულა სამმა მეგობარმა.

* * *

– ვარჯიში არ გვექნება, – გამოაცხადა მოღუშულმა ანჯელინამ, როცა ვახშმის შემდეგ საერთო ოთახში შევიდნენ.

– მაგრამ მე სიტყვაც არ შემიბრუნებია მისთვის, – თავზარი დაეცა ჰარის, – გეფიცები, ანჯელინა, ერთი სიტყვაც არ მითქვამს.

– ვიცი, ვიცი. ასე თქვა, მე თვითონ უნდა გავერკვიოო.

– რაში უნდა გაერკვიოს? – აღშფოთდა რონი, – სლიზერინელებს მისცა ნებართვა, ჩვენ რატომ არ უნდა მოგვცეს?

ჰარიმ წარმოიდგინა, როგორ სიამოვნებდა ამბრიჯს, ამათ რომ გაურკვეველ მდგომარეობაში ამყოფებდა! წარმოიდგინა, რა სიამოვნებას მოჰგვრიდა გუნდის დაშლის მუქარა და რატომ არ უნდოდა ამ იარაღის ხელიდან გაშვება.

– ნუ ბრაზობ. ყველაფერ ამას სასიამოვნო კუთხით შეხედე, – ურჩია ჰერმიონმა, – სხვა თუ არაფერი, დრო გაგიჩნდა სნეიპის დავალების შესასრულებლად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა გაკვირვებით შეხედა, ჰარიმ კი შეუღრინა:

– სასიამოვნო? „რაც შეიძლება მეტი სნეიპი და რაც შეიძლება ნაკლები ქვიდიჩი“?

სავარძელში ჩაეხეთქა, ჩანთიდან შხამ-წამლების შესახებ თავისი ჩანაწერი ამოიღო და მუშაობას შეუდგა. გულის დადება ძალიან გაუჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, სირიუსის გამოჩენამდე ჯერ დიდი დრო იყო. და მაინც ხუთ წუთში ერთხელ ცეცხლს გახედავდა ხოლმე, ყოველი შემთხვევისთვის. საერთო ოთახში წარმოუდგენელი გნიასი იდგა: ფრედი და ჯორჯი თავიანთი საშატალოე საუზმის აბებს სრულყოფდნენ – მოწონების შეძახილების თანხლებით მორიგეობით უჩვენებდნენ მაყურებლებს.

ჯერ ფრედი მოკბეჩდა ფორთოხლისფერი ბოლოდან, რის შემდეგაც შთამბეჭდავად ირევდა გულს ვედროში, მერე მუქწითელი ბოლოდან ჩაკბეჩდა და გულისრევა მაშინვე წყდებოდა. ლი ჯორდანი, რომელიც ჩვენების დროს ასისტენტის როლს ასრულებდა, ყოველ ჯერზე აუჩქარებლად აქრობდა ნარწყევს იმავე შელოცვით, რომელსაც სნეიპი იყენებდა ჰარის მომზადებულ ნაყენზე.

გულისრევის გაუთავებელი ხმები, მაყურებელთა მხიარული შეძახილები – ეს ყველაფერი ძალიან უშლიდა ხელს ჰარის, მეხსიერებაში აღედგინა გამამაგრებელი ხსნარის სწორი შემადგენლობა. ჰერმიონისგანაც ბევრი არაფერი ხეირი იყო. ვედროში ჩასხმული მასის ჩხრიალზე ზიზღით ხმამაღლა ასრუტუნებდა ცხვირს. ჰარის რატომღაც ესეც ნერვებს უშლიდა.

– მაშინ, მიდი და შეაჩერე! – ველარ მოითმინა, როცა მეოთხედ გადახაზა არასწორად მითითებული გრიფონის დაფქული ბრჭყალების წონა.

– არ შემიძლია. მათ ხომ სკოლის წესები არ დაურღვევიათ,

– კბილებში გამოსცრა ჰერმიონმა, – მათ უფლება აქვთ, შეჭამონ ნებისმიერი საზიზღრობა და მე არ ვიცი წესი, რომელიც იდიოტებს აუკრძალავდა მის ყიდვას, თუ, რა თქმა უნდა, დამტკიცებული არ არის აბების მავნებლობა, რაც ამ შემთხვევაში არ ჩანს.

– ვერ გამიგია, ფრედმა და ჯორჯმა მარტო სამ-სამი **ბუა** რატომ მიიღეს, – თქვა ჰარიმ, თან ტყუპებს შესცქეროდა, რომლებიც კმაყოფილი მყიდველებისგან ოქროს აგროვებდნენ, – თავისი საქმის ოსტატები არიან.

– იმ ეფექტური ოინების ოსტატები, რომლებსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, – მოუჭრა ჰერმიონმა.

– არავითარი სარგებლობა? – ირონიულად იკითხა რონმა, – უკვე ოცდაექვსი გალეონი შეაგროვეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძმებ უისლების გარშემო შეყრილი ბრბო უცბად არ დაშლილა. მერე ფრედი, ჯორჯი და ლი კარგა ხანს ითვლიდნენ მოგებას, ასე რომ, საერთო ოთახი მხოლოდ ნაშუაღამევს დაცარიელდა. ფრედმა ჰერმიონს გამომწვევად აუჩხარუნა ცხვირწინ მონეტებით სავსე კოლოფი და, როგორც იქნა, ბიჭების საძინებლის კარიც მიიხურა. ჰარიმ ბევრი ვერაფერი მოასწრო, მაგრამ გადაწყვიტა, დღეისთვის საკმარისიაო. როცა წიგნებს ალაგებდა, სავარძელში მთვლემარე რონმა ხმადაბლა დაიხრუტუნა, გაეღვიძა, თვალების ფშვნეტით შეხედა ბუხარს და დაიძახა:

– სირიუს!

ჰარი მკვეთრად შებრუნდა და ცეცხლში სირიუსის აბურძგნილი თავი დაინახა.

– გაუმარჯოს, – ღიმილით მიესალმა სირიუსი.

– გაუმარჯოს, – ერთხმად უპასუხეს და ბუხრის წინ ჩაცუცქდნენ. ბო ხამამაღალი კრუტუნით მივიდა ბუხართან და, სიცხის მიუხედავად, ცხვირი შიგ შეყო.

– როგორ მიდის საქმე? – იკითხა სირიუსმა.

– ისე რა, – მიუგო ჰარიმ, ჰერმიონმა კი ბო უკან გამოსწია, რათა ულვაშები არ შეტრუსოდა, – სამინისტრომ კიდევ ერთი დეკრეტი გამოსცა და ახლა არც ქვიდიჩის გუნდი გვყავს...

– არც ბნელი ძალებისგან თავდაცვის წრე? – აიტაცა სირიუსმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– როგორ გაიგე? – გაუკვირდა ჰარის.

– ცოტა ჭკვიანურად უნდა შეარჩიოთ შეხვედრის ადგილი, – გემრიელად გაიღიმა ნათლიამ, – „ღორის თავი“ მომინდომეს...

– მაგრამ „სამ ცოცხს“ ხომ სჯობს! – შეეპასუხა ჰერმიონი, – ეგ ლუდხანა მუდამ სავსეა ხალხით.

– ესე იგი, ნაკლები შანსია, რომ ყურს დაგიგდებენ. ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა მოგიწევს, ჰერმიონ.

– ვინ გვითვალთვალებდა? – იკითხა ჰარიმ.

– მანდანგუსი, სხვა ვინ იქნებოდა?

სამივემ პირი დააღო, სირიუსმა გაიცინა:

– ის იყო ქალის ვუალჩამოფარებული.

– მანდანგუსი? – ჰარი ყურებს არ უჯერებდა, – რას აკეთებდა „ღორის თავში“?

– შენი აზრით, რა უნდა ეკეთებინა? – თქვა სირიუსმა, – შენ გითვალთვალებდა, რა თქმა უნდა.

– დღემდე მითვალთვალებენ? – გაბრაზდა ჰარი.

– გითვალთვალებენ. და არცთუ ტყუილად. რადგან იმაზე უკეთესი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერაფერი მოიფიქრე, რომ ბნელი ძალებისგან თავდაცვის არალეგალური ჯგუფი შეგეკრიბა.

მაგრამ სირიუსი არც შეშფოთებული იყო და არც გაბრაზებული ჩანდა. პირიქით, სიამაყით შეჰყურებდა ჰარის.

– რატომ გვემალებოდა მანდანგუსი? – ნირწამხდარმა იკითხა რონმა, – ჩვენ ძალიან გაგვიხარდებოდა მისი დანახვა.

– „ღორის თავიდან" ოცი წლის წინათ გააძევეს, – აუხსნა სირიუსმა, – ამ ლუდხანის მეპატრონეს კი კარგი მეხსიერება აქვს. სტარჯისის დაპატიმრებასთან ერთად მუდის უჩინმაჩინის მოსასხამი დავკარგეთ, ასე რომ, ბოლო ხანებში მანდანგუსი ქალად გამოეწყობა ხოლმე... სხვათა შორის... ჯერ შენთან მაქვს საქმე, რონ, დედაშენს დავპირდი, რომ აუცილებლად გადმოგცემდი.

– ვაჰ, რაო? – უხალისოდ ჰკითხა რონმა.

– დედაშენმა თქვა: არავითარ შემთხვევაში არ ჩაეწეროს ბნელი ძალებისგან თავდაცვის წრეშიო. აუცილებლად გაგრიცხავენ და ცხოვრებას გაიუბედურებო; წინ კიდევ დიდი დრო გაქვს საიმისოდ, რომ თავდაცვა ისწავლო და ახლა ამაზე თავის შეწუხება არ ღირსო. ამას გარდა, – სირიუსმა ჰარისა და ჰერმიონზე გადაიტანა მზერა, – ჰარისა და ჰერმიონს ურჩევს, თავი გაანებონ მაგ საქმეს, თუმცაღა, აღიარებს, მათ ვერ ვუბრძანებო და ამიტომ უბრალოდ გთხოვთ, გახსოვდეთ, თქვენთვის მხოლოდ კარგი მინდაო. ამ ყველაფერს მოგწერდით, მაგრამ შეიძლება ბუ ხელში ჩაიგდონ, რასაც კარგი არაფერი მოჰყვებაო, პირადად თქმა კი არ შეუძლია – დღეს მორიგეობს.

– რაო? სად მორიგეობს? – გაუკვირდა რონს.

– რა მნიშვნელობა აქვს... ორდენის საქმეზე... ასე რომ, მე დამეკისრა, ეს ყველაფერი გადმომეცა, შენგან კი დასტურია საჭირო, რომ ყველაფერი გითხარი, იმიტომ რომ, როგორც ჩანს, დედაშენი არც მე მენდობა.

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, ბო ისევ ცდილობდა, თავზე მოჰფერებოდა სირიუსს, რონი კი ხალიჩის ნახვრეტს აწვალებდა.

– ესე იგი, შენ გინდა, მე ვთქვა, რომ თავდაცვის წრეში აღარ მივიღებ მონაწილეობას? – წაიბუტბუტა ბოლოს.

– მე? რა თქმა უნდა, არა! – გაუკვირდა სირიუსს, – ვფიქრობ, ეს მშვენიერი აზრია!

– მართლა? – გაუხარდა ჰარის.

– აბა რა! შენ გგონია, მე და მამაშენი ფეხქვეშ გავეგებოდით ამ კუდიან დედაბერ ამბრიჯს?

– მაგრამ წინა სემესტრში სულ იმას მეუბნებოდი, არ გარისკო, ფრთხილად იყავიო!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შარშან ეჭვი გვქონდა, რომ ვილაცას ჰოგვორტსში შენი მოკვლა უნდოდა, – გაღიზიანდა სირიუსი, – წლეულს ვიცით, რომ შენი მოკვლა ჰოგვორტსის გარეთ სურს ვილაცას. ამიტომ მგონია, რომ თავდაცვის შესწავლა კარგი იდეაა.

– მაგრამ რომ გაგვრიცხონ? – იკითხა ჰერმიონმა და ეშმაკური ღიმილით შეხედა.

– ჰერმიონ, აზრი ხომ შენ მოგივიდა! – შეახსენა ჰარიმ.

– ვიცი. უბრალოდ, მაინტერესებს, რას ფიქრობს სირიუსი.

– ალბათ, უკეთესია, აქედან გაგაგდონ და თავის დაცვა შეგეძლოთ, ვიდრე დაუცველები მორჩილად ისხდეთ სკოლაში.

– ოქროს სიტყვებია, – აღტაცებით დაადასტურეს რონმა და ჰარიმ.

– კარგი. ერთი მითხარით, როგორ აპირებთ ჯგუფის ორგანიზებას? სად იკრიბებით?

– მთელი უბედურებაც ეგ არის, არ ვიცით, სად შევიკრიბოთ, – შესჩივლა ჰარიმ.

– ქოთქოთა ქოხზე რას იტყვით? – შესთავაზა სირიუსმა.

– ვაჰ, რა მაგარი აზრია! – წამოიძახა რონმა, მაგრამ ჰერმიონი უკმაყოფილოდ აწრიალდა.

– სირიუს, როცა თქვენ ქოთქოთა ქოხში იკრიბებოდით, მხოლოდ ოთხნი იყავით, თან ყველას ცხოველებად გადაქცევა შეგეძლოთ და თუ მოისურვებდით, ალბათ, ერთ უჩინმაჩინის მოსასხამშიც დაეტეოდით. ჩვენ კი ოცდარვანი ვართ და არც ერთი არაა ანიმაგუსი, თანაც, ერთი უჩინმაჩინის მოსასხამი კი არა, მთელი კარავი გვჭირდება... – აუხსნა ჰერმიონმა.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა სირიუსი ჩამქრალი ხმით, – თუმცა, დარწმუნებული ვარ, რამეს მოიფიქრებთ. საკმაოდ ფართო საიდუმლო შესასვლელი იყო დიდი სარკის უკან, მეხუთე სართულზე. იქაც შეიძლებოდა წავარჯიშება.

ჰარიმ თავი გადააქნია.

– ფრედი და ჯორჯი ამბობენ, ჩახერგილია თუ ჩამოინგრაო.

– აა... – მოიღუშა სირიუსი, – მოვიფიქრებ რამეს. და კიდევ...

სირიუსს არ დაუმთავრებია. სახე უცებ დაეძაბა და ბუხრის ყრუ კედლისკენ შებრუნდა.

– სირიუს? – შეფუცხუნდა ჰარი.

მაგრამ სირიუსი უკვე გაქრა. ჰარი შეფიქრიანებული იყურებოდა ცეცხლში, მერე რონსა და ჰერმიონს შეხედა.

– რა იქნა ასე უცებ?..

ჰერმიონი შეშინებული წამოხტა და ბუხარს მიაჩერდა. ცეცხლში აქეთ-იქით მოფათურე ხელი გამოჩნდა, თითქოს რაღაცას ეძებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მახინჯი, ძველმოდური ბეჭდებით დახუნძლული, კოტიტათითებიანი ხელი სამივემ იცნო და აქეთ-იქით გაცვივდნენ. ბიჭების საძინებლის კართან ჰარი შებრუნდა. ამბრიჯის ხელი ისევ ფათურობდა ბუხარში, თითქოს იცოდა, სად იყო წუთის წინ სირიუსის თმა, და ყველანაირად ცდილობდა, უცბად ჩაებღუჯა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთვრამეტე

დამბლდორის არმია

– ამბრიჯი შენს წერილებს კითხულობდა, ჰარი. სხვა ვერაფრით ავხსნი.

– ფიქრობ, რომ ის დაესხა თავს ჰედვიგს? – გაცოფდა ჰარი.

– თითქმის დარწმუნებული ვარ, – წარბშეკრულმა უპასუხა ჰერმიონმა, – ბაყაყს მიხედე, გარბის.

ბაყაყი მხიარულად მიხტოდა მაგიდის მეორე კიდისკენ. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი მიმართა მისკენ.

– აკციო! – ბაყაყი მორჩილად გადმოუსკუპდა ხელში. შელოცვები ყველაზე მოხერხებული გაკვეთილი იყო საიდუმლო საუბრებისთვის. გარშემო ისეთი გნიასი იდგა, რომ ძნელად თუ ვინმე რამეს გაიგონებდა. ბაყაყების ყიყინით, ყვავების ჩხავილითა და ფანჯარაზე წვიმის შხაპუნით გაყრუებულ ოთახში ჰარი, რონი და ჰერმიონი დაუბრკოლებლად ჩურჩულებდნენ იმაზე, თუ როგორ გადაურჩა სირიუსი ამბრიჯის კლანჭებში მოხვედრას.

– მე ჯერ კიდევ მაშინ დავეჭვდი, როცა ფილჩმა ნეხვის ბომბების შეკვეთაში დაგადანაშაულა. ამაზე უფრო სულელურს ვერაფერს მოიფიქრებდა, – ჩურჩულებდა ჰერმიონი, – თუ შენი წერილი წაიკითხეს, მაშინ ხომ ეცოდინებოდათ, რომ არავითარ ბომბებს არ უკვეთავდი. ანდა რაში სჭირდებოდათ ეს სულელური ხუმრობა? მერე ვიფიქრე, იქნებ ვინმე საბაბს ეძებდა შენი წერილის წასაკითხად-მეთქი. ამბრიჯი იოლად მოაწყობდა ამას. ფილჩს ჩააწვეთებდა, ის კი შავ სამუშაოს შეასრულებდა – წერილს წაგართმევდა. ამბრიჯი კი ან მოჰპარავდა, ან შენს დასჯას მოსთხოვდა. ფილჩი წინააღმდეგობას არ გაუწევდა – როდის იყო, მოსწავლეთა უფლებებს იცავდა? ჰარი, ბაყაყი გაგეჭყლიტება.

ჰარიმ ხელს დახედა. ბაყაყი ისე მოეჭყუნა, რომ თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. სწრაფად დასვა მაგიდაზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გუშინ საღამოს ყველაფერი ბენვზე ეკიდა, – თქვა ჰერმიონმა, – საინტერესოა, ამბრიჯმა იცის, რა ახლოს იყო წარმატებასთან? სილენციო!

ბაყაყი, რომელზეც ჰერმიონი დამუნჯების შელოცვას სწავლობდა, შუა ყიყინზე გაჩუმდა და საყვედურით მიაცქერდა.

– ბომბორა რომ დაეჭირა...

– დღეს დილით უკვე აზკაბანში იჯდებოდა, – მის მაგივრად დაამთავრა ჰარიმ და დაბნეულმა გაიქნია ჯადოსნური ჯოხი. ბაყაყი მწვანე ბუშტივით გაიბერა და წვრილი ხმით დაუსტვინა.

– სილენციო! – სწრაფად თქვა ჰერმიონმა და ჯოხი ბაყაყისკენ მიმართა, – ბაყაყი მაშინვე დაიჩუტა, – ასე აღარ უნდა მოიქცეს. ეს არის და ეს. ოღონდ არ ვიცი, როგორ შევატყობინოთ. ბუს გაგზავნა არ შეიძლება.

– ვფიქრობ, თვითონაც არ გარისკავს, – თქვა რონმა, – არც ისეთი სულელია. მშვენივრად იცის, რომ კინაღამ ჩავარდა. სილენციო!

ვეებერთელა მახინჯმა ყვავმა აგდებულად შესჩხავლა შიგ სახეში.

– სილენციო! სილენციო!

ყვავმა კიდევ უფრო ხმამაღლა დაიჩხავლა.

– ჯოხი არასწორად გიჭირავს, – ჰერმიონი კრიტიკულად შესცქეროდა მის მცდელობას, – აქეთ-იქით ნუ იქნევ, პირდაპირ ყვავს მიუშვირე.

– ყვავები ბაყაყებზე ჯიუტები არიან, – გულდაწყვეტით თქვა რონმა.

– კეთილი, გავცვალოთ, – ჰერმიონმა ხელი სტაცა რონის ყვავს, თავისი მსუქანი ბაყაყი კი რონს მისცა, – სილენციო!

ყვავი ისევ ამოძრავებდა ნისკარტს, მაგრამ ჩხავილი აღარ ისმოდა.

– ძალიან კარგია, მის გრეინჯერ! – გაისმა მათ უკან პროფესორ ფლიტვიკის გაწვნიკული ხმა. სამივე შეკრთა, – ახლა კი თქვენ სცადეთ, უისლი.

– დიახ, დიახ, ახლავე, – შეფუცხუნდა რონი და მაშინვე აუჭარხლდა სახე, – ეე... სილენციო!

მეტისმეტი მონდომებისგან ჯოხი შიგ თვალში ატაკა ბაყაყს. ბაყაყმა გამაყრუებლად დაიყიყინა და იატაკზე ჩახტა.

ასე რომ, სულაც არ გაჰკვირვებიათ, როცა რონსა და ჰარის დაავალეს, დამუნჯების შელოცვაში თავისუფალ დროსაც წაემეცადინათ.

თავსხმა წვიმის გამო სტუდენტებს უფლება მისცეს, შესვენება შენობაში გაეტარებინათ. თავისუფალი ადგილი მოძებნეს მეორე სართულზე ბავშვებით სავსე საკლასო ოთახში , სადაც პივსი ჭალთან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაფარფატებდა და დროდადრო მინის მილით მელნის ბურთულებს აფურთხებდა. ის იყო, დასხდნენ, რომ აყაყანებულ ბრბოში მათკენ წამოსული ანჯელინა ჯონსონი დაინახეს.

– ნებართვა მივიღე. შეგვიძლია, შევიკრიბოთ!

– მშვენიერია! – შესძახეს რონმა და ჰარიმ.

– ჰო, – ანჯელინას თვალები უბრწყინავდა, – მაკგონაგელთან მივედი და მგონი, დამბლდორს მოელაპარაკა. მოკლედ, ამბრიჯი იძულებული გახდა, დაეთმო. აბა, შვიდ საათზე მოედანზე გელოდებით – ჩამორჩენა უნდა ავინაზღაუროთ. არ დაგავიწყდეთ, რომ პირველ მატჩამდე სულ რაღაც სამი კვირა დარჩა!

ანჯელინა მათ გაშორდა, მელნის ბურთულა აიცილა და თვალს მიეფარა.

რონმა ფანჯარას გახედა და ღიმილი ჩაუქრა – წვიმა ისევ მთელი ძალით უხათქუნებდა მინებს.

– იმედია, საღამომდე გადაიღებს. რა დაგემართა, ჰერმიონ? ჰერმიონიც ფანჯარას უყურებდა, მაგრამ თითქოს ვერ ხედავდა. მზერა სადღაც მინებს იქით იყო მიმართული. რაღაცაზე მოღუშული ფიქრობდა.

– არაფერი. ისე გავიფიქრე... – თქვა და ისევ ფანჯრებს გაუშტერა თვალი.

– სირიუ... ბომბორაზე? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, მთლად მასზე არა... – ნელა ჩაილაპარაკა, – უფრო... სწორად ვიქცევით... როგორ ფიქრობთ?

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გადახედეს.

– ჰო. ახლა კი ყველაფერი ნათელია. არ შეგიძლია, უფრო გასაგებად თქვა? – უთხრა რონმა.

ჰერმიონმა ისე შეხედა, თითქოს ახლაღა გაახსენდა, რომ ისიც აქ იყო.

– უბრალოდ, გავიფიქრე, სწორად ვიქცევით, ბნელი ძალებისგან თავდაცვის წრეს რომ ვაყალიბებთ? – გარკვევით და მტკიცედ იკითხა ჰერმიონმა.

– რაო? – ერთხმად წამოიძახეს რონმა და ჰარიმ.

– ეს ხომ შენი იდეა იყო! – აღშფოთდა რონი.

– ვიცი, – ჰერმიონმა თითები ერთმანეთს გადააჭდო, – მაგრამ ბომბორასთან საუბრის შემდეგ...

– კი მაგრამ, ის ხომ ჩვენს მხარეზეა, – თქვა ჰარიმ.

– დიახ, სწორედ ამიტომაც შევყოყმანდი, სწორად ვიქცევით თუ არა, – თქვა ჰერმიონმა და ისევ ფანჯარას გახედა.

პივსი მათ თავზემოთ დალივლივებდა. მინის მილი მომარჯვებული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰქონდა. პივსის თავდასხმის მოლოდინში სამივემ უნებლიეთ ჩანთები წაიფარა თავზე.

– მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ, – გაბრაზებით თქვა ჰარიმ, როცა ჩანთები იატაკზე დაყარეს, – სირიუსმა მხარი დაგვიჭირა და ამიტომაც ფიქრობ, რომ უარი უნდა ვთქვათ?

ჰერმიონს საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა. თავის ხელებს დააცქერდა და ისე უპასუხა:

– გულახდილად თქვი, შენ კი გჯერა მისი?

– ჰო, მჯერა. ყოველთვის კარგ რჩევებს მაძლევდა.

მელნის ბურთულამ მათთან ახლოს გაიფრინა და შიგ ყურში მოხვდა ქეითი ბელს. ქეითი წამოხტა და რაც კი ხელში მოხვდა, ყველაფერი პივსს ესროლა. ჰერმიონი ერთხანს გაცეცხლებულ ქეითს უყურებდა, მერე ფრთხილად, სიტყვების შერჩევით თქვა:

– არ გეჩვენებათ, რომ სირიუსი ძალიან წინდაუხედავი გახდა მას შემდეგ, რაც გრიმოს მოედანზე საკუთარ სახლში გამოამწყვდიეს? არ გეჩვენებათ, რომ... თითქოს... როგორ ვთქვა... ჩვენით ცხოვრობს?

– რას ნიშნავს „ჩვენით ცხოვრობს“? – გაუკვირდა ჰარის.

– იმას, რომ... ის, რა თქმა უნდა, აღტაცებული იქნება, თუ სამინისტროს ცხვირწინ საიდუმლო ორგანიზაციას მოუწყობენ... ჩემი აზრით, იმის გამოა სასოწარკვეთილი, რომ ჩაკეტილია და არაფრის გაკეთება შეუძლია... და როგორ ვთქვა... ჩვენ გვაგულიანებს.

რონი გაოცდა:

– სირიუსი მართალია, მართლა დედაჩემივით ლაპარაკობ.

ჰერმიონმა ტუჩი მოიკვნიტა და არ უპასუხა. ზარი დაირეკა. იმავ წამს პივსი სწრაფად დაეშვა ძირს და მთელი სამელნე ქეითი ბელს გადაასხა თავზე.

* * *

საღამო ახლოვდებოდა, გამოდარებას კი პირი არ უჩანდა. ასე რომ, შვიდ საათზე ქვიდიჩის მოედნისკენ მიმავალი ჰარი და რონი ერთიანად გაილუმპნენ და შიგადაშიგ ბალახზეც უსრიალებდათ ფეხი. ცას მუქი ნაცრისფერი ედო, ელავდა და როცა თბილ, ნათელ გასახდელში შევიდნენ, შვებით ამოისუნთქეს. თუმცა, იცოდნენ, რომ ეს შვება დროებითი იყო. ფრედი და ჯორჯი უკვე საშატალოე საუზმის გამოყენებაზე ფიქრობდნენ, რათა ვარჯიშიდან თავი დაეძვრინათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშინვე მიხვდება, – ხმადაბლა ამბობდა ფრედი, – გუშინ პირ-ღებინების კანფეტები არ უნდა შემეთავაზებინა.

– იქნებ ციებ-ცხელებისა გვეცადა, ჯერ არავის უნახავს, –გამოთქვა აზრი ჯორჯმა.

– მოქმედებს რო? – იმედით იკითხა რონმა, რადგან წვიმა კიდევ უფრო ჯიუტად ასხამდა სახურავზე, ქარი კი უფრო გამწარებული აღმუვლდა.

– საერთოდ, ჰო, – მიუგო ფრედმა, – ეგრეევე სიცხეს გაძლევს.

– თან ჩირქიან მუწუკებსაც გამოგაყრის, – დაამატა ჯორჯმა, – მაგრამ ჯერ არ მოგვიფიქრებია, როგორ უნდა მოვიშოროთ.

– ვერავითარ მუწუკებს ვერ ვხედავ, – თქვა რონმა და თან ტყუპებს ათვალიერებდა.

– ვერც დაინახავ, ისეთ ადგილზეა, ხალხს რომ არ უჩვენებენ, – მიუგო მოღუშულმა ფრედმა.

– მაგრამ ახლა გინდა ცოცხზე დამჯდარხარ და გინდა... კაპიტნის ოთახიდან ანჯელინა გამოვიდა.

– ყური დამიგდეთ, ბიჭებო, ვიცი, იდეალური ამინდი არ არის, მაგრამ გამორიცხული არაა, სლიზერინთან სწორედ ასეთ პირობებში მოგვიხდეს თამაში. ამიტომ ღირს, ჩვენი თავი გამოვცადოთ, როგორ ვითამაშებთ. ჰარი, მოუხერხებ რამეს შენს სათვალეს, რომ ხელი არ შეგიშალოს, როგორც მაშინ, ჰაფლეპაფელებთან თამაშისას?

– ჰერმიონმა მოუხერხა, – ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, მინებზე დააკაკუნა და წარმოთქვა: – იმპერვიუს!

– მოდი, ყველამ ვცადოთ, – თქვა ანჯელინამ, – თუ წვიმა სახეში არ შეგვესხმება, ეს ძალიან გააუმჯობესებს ხილვადობას. აბა, ერთად: იმპერვიუს! მორჩა, წავედით.

ჯოხები ჯიბეში ჩაიწყვეს, ცოცხები მხრებზე გაიდეს და ანჯელინასთან ერთად გავიდნენ გასახდელიდან.

კოჭამდე ტალახში მინდვრის შუაგულამდე მიაღწიეს. იმპერვიუსის შელოცვის მიუხედავად, მაინც ძალიან ცუდი ხილვადობა იყო. დღე უკვე ილეოდა, დედამიწას კი წვიმის ფარდა ჩამოჰფარებოდა.

– აბა, სასტვენის ხმაზე დაიწყეთ! – დაიძახა ანჯელინამ. ჰარი მიწას მოსწყდა და ჰაერში აიჭრა. ქარი ოდნავ უცვლი-

და მიმართულებას. წარმოდგენა არ ჰქონდა, ასეთ ამინდში სნიჩი როგორ უნდა შეემჩნია. ერთადერთი ბლაჯერიც კი, რომელიც ვარჯიშზე წამოიღეს, სულ უკანასკნელ წამს შენიშნა და რომ არ გადმოვარდნილიყო, „ზარმაცას ილეთი“ გამოიყენა. დასანანია, რომ ანჯელინამ ვერ დაინახა, თუმცა, საერთოდაც ვერაფერს ხედავდა – არც ერთს არ ჰქონდა წარმოდგენა, რას აკეთებდნენ დანარჩენი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოთამაშეები. ქარი ძლიერდებოდა. აქედანაც კი ისმოდა ტბაზე დაშვებული წვიმის შიშინი.

ანჯელინამ ერთ საათს მაინც აწვალა გუნდი, სანამ მარცხს შეურიგდებოდა. გალუმპული და უკმაყოფილო თანაგუნდელები გასახდელში რომ მიჰყავდა, მაინც ამტკიცებდა, ვარჯიშმა ტყუილუბრალოდ არ ჩაიარაო, მაგრამ მის ხმას დამაჯერებლობა აკლდა. განსაკუთრებით ნირწამხდარნი ფრედი და ჯორჯი იყვნენ. ორივე გაჩაჩხული მიაბიჯებდა და ფეხის ყოველ გადადგმაზე იმანჭებოდნენ. ჰარი პირსახოცით თავს იმშრალებდა, თან ტყუპების წუწუნს უსმენდა.

– მგონი, რამდენიმე გამისკდა, – ყრუდ დაიგმინა ფრედმა.

– მე – არა, – დაიჭყანა ჯორჯი, – საშინლად მკბენს, ეტყობა, უფრო დამებერა.

– ვაი! – იყვირა ჰარიმ.

ტკივილისგან თვალები დახუჭა და სახეზე პირსახოცი აიფარა. ნაიარევზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა. უკვე რამდენიმე კვირაა, ასე არ სტკენია.

– რა დაგემართა? – ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

ჰარიმ პირსახოცი მოიშორა. გასახდელი თითქოს გაიდლაბნა: ჰარი უსათვალოდ იყო, მაგრამ მაინც იგრძნო, რომ ყველა მას შეჰყურებდა.

– არაფერი. თითი ვიტაკე თვალში.

მაგრამ რონს მრავალმნიშვნელოვნად გახედა და როცა გუნდის წევრები გასახდელიდან გადიოდნენ, ორივე განგებ ჩამორჩა.

– რა მოხდა? – ჰკითხა რონმა, როგორც კი ალისია კარს მიეფარა, – ნაიარევი?

ჰარიმ თავი დაუქნია.

– მაგრამ შეუძლებელია, სადმე ახლოს იყოს, ასე არ არის?

– რონი ფანჯარასთან მივიდა და წვიმიან უკუნს შიშით გახედა.

– ასეა, – ჰარი სკამზე დაჯდა და შუბლი მოისრისა, – ის, ალბათ, ძალიან შორსაა აქედან. ატკივებით კი... იმიტომ ამტკივდა... რომ ბრაზობს.

ჰარი სულაც არ აპირებდა ამის თქმას – სიტყვები ისე მოესმა, თითქოს სულ სხვამ წარმოთქვა. თუმცა, მაშინვე მიხვდა, რომ სიმართლე ითქვა. როგორ, რანაირად, არ იცოდა, მაგრამ მიხვდა კი. სადაც უნდა ყოფილიყო ახლა ვოლდემორი, რაც უნდა ეკეთებინა, ამ წუთებში უეჭველად განრისხებული იყო.

– დაინახე? – დაიზაფრა რონი, – მოჩვენება იყო თუ რა?

ჰარი გაუნძრევლად იჯდა, იატაკს დასცქეროდა და შეტევის შემდეგ ნელ-ნელა მოდიოდა გონს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაურკვეველ ლანდებში გაეხვია, უცნაური ხმები ესმოდა...

– მას უნდა, რომ რაღაც გააკეთონ, მაგრამ ეს „რაღაც“ ძალიან ნელა კეთდება.

და ისევ გაოცებულმა გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ იგრძნო, რომ ისევ სიმართლე ითქვა.

– შენ საიდან იცი? – გაუკვირდა რონს.

ჰარიმ თავი გააქნია, ხელისგულები თვალებზე აიფარა და ისე ძლიერ მიიჭირა, რომ ცეცხლოვანი წერტილები აუთამაშდნენ. იგრძნო, რომ რონი გვერდით მიუჯდა და უყურებდა.

– ადრეც ამიტომ იყო? – მისუსტებული ხმით იკითხა რონმა, – როცა ამბრიჯის კაბინეტში აგტკივდა, ჩვენ-რომ-ვიცით, ის ბრაზობდა?

ჰარიმ ისევ გააქნია თავი.

– აბა, რა იყო მაშინ?

ჰარი შეეცადა, გაეხსენებინა, როგორ იყო მაშინ. ამბრიჯს სახეში უყურებდა... ნაიარევი სტკიოდა... მუცელში უცნაური შეგრძნება ჰქონდა... თითქოს სიხარულისგან შეაძაგძაგაო... მაგრამ მაშინ ამას ვერ მიხვდა – თავი ძალიან უბედური ეგონა.

– არა, მაშინ იმიტომ, რომ ის კმაყოფილი იყო. ფიქრობდა, რომ... რაღაც სასიამოვნო უნდა მომხდარიყო. ჰოგვორტსში გამომგზავრების წინაღამეს კი... – ჰარიმ გაიხსენა, როგორ ასტკივდა მაშინ ნაიარევი გრიმოს მოედანზე, მისი და რონის საძინებელში, – ვოლდემორი გაცოფებული იყო.

ჰარი რონისკენ შებრუნდა, ის დაჭყეტილი შეჰყურებდა.

– შენ ტრელოუნის მაგივრად უნდა აგიყვანონ.

– ეს ჩვეულებრივი წინასწარმეტყველება არ არის.

– არა, იცი, სინამდვილეში რა ხდება? – შეშინებულმა და, ამავე დროს, მოკრძალებით უთხრა რონმა, – ჰარი, შენ ჩვენ-რომ-ვიცით, იმის აზრებს კითხულობ!

ჰარიმ თავი გააქნია.

– არა, უფრო სწორად, მის განწყობას ვგრძნობ. და ეს განწყობა როგორღაც პატარ-პატარა გაელვებასავით მოდის. დამბლდორმა თქვა, რომ შარშანაც დაახლოებით იგივე ხდებოდა. თქვა, რომ, როცა ვოლდემორი ძალიან ახლოს იყო ან ძალიან ბრაზობდა, მე ამას ვგრძნობდი. ჰო, ახლა კი იმასაც ვგრძნობ, როცა კმაყოფილია.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქარი და წვიმა შენობას აწყდებოდა.

– ვინმეს უნდა უთხრა.

– ადრე სირიუსს ვუთხარი.

– ახლაც უთხარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაინც როგორ? – შუბლი შეიკრა ჰარიმ, – ამბრიჯი ბუებსა და ბუხარს უთვალთვალებს, დაგავიწყდა?

– მაშინ – დამბლდორს.

– ხომ გითხარი, დამბლდორმა იცის, – ჰარი წამოდგა, კაუჭიდან მანტია ჩამოხსნა და შიგ გაეხვია, – რა აზრი აქვს კიდევ ერთხელ თქმას?

რონი დაფიქრებული შეჰყურებდა ჰარის, მერე უთხრა:

– დამბლდორს, ალბათ, ენდომებოდა ამის გაგება. ჰარიმ მხრები აიჩეჩა:

– წავიდეთ, დამუნჯების შელოცვაში უნდა წავივარჯიშოთ.

სწრაფად გაუყვნენ ბნელ მდელოს. სველ ბალახზე ფეხი უსრიალებდათ. ორივე ჩუმად იყო. ჰარი დაძაბული ფიქრობდა. მაინც რა დასჭირდა ვოლდემორს, ისეთი, რის დაყოვნებაზეც ასე ბრაზობს?

„მას სხვა გეგმებიც აქვს... და უნდა, რომ ზედმეტი ხმაურის გარეშე შეასრულოს... ის, რაც მხოლოდ მალულად შეიძლება მოიპოვოს... ერთგვარი... იარაღი. ის, რაც ადრე არასოდეს ჰქონდა“, – გაახსენდა სირიუსის ნათქვამი.

დიდი ხანი იყო, რაც ჰარი ამ სიტყვებზე არ დაფიქრებულა. მეტისმეტად ჩაეფლო ჰოგვორტსის საქმეებში, მეტისმეტად დიდ სულიერ ძალას მოითხოვდა ამბრიჯთან ომი, სამინისტროს უსამართლო ჩარევა, მაგრამ ახლა ეს სიტყვები ისევ გაახსენდა და იძულებული გახდა, ისევ დაფიქრებულიყო. ვოლდემორის მძვინვარება გასაგებია, თუ მან ვერაფრით მოიხელთა ის რაღაც იარაღი. ორდენმა შეუშალა ხელი? გეგმები ჩაუფუშა? სად ინახება ეს იარაღი? ვისთან არის ახლა?

– მიმბულუს მიმბლეტონია, – მოესმა რონის ხმა.

ჰარი გამოერკვა და რონს პორტრეტის ხვრელში მიჰყვა. საერთო ოთახში ბო ბუხრის პირას მდგარ სავარძელთან იწვა. როგორც ჩანს, ჰერმიონი ადრე წავიდა დასაძინებლად. მაგიდაზე ელფებისთვის განკუთვნილი უთავბოლოდ ნაქსოვი ქუდები ეწყო. ჰარის გაუხარდა კიდეც ჰერმიონის არყოფნა – აღარ უნდოდა ნაიარევზე ლაპარაკი. რონი შეშფოთებული შესცქეროდა, ჰარიმ კი შელოცვების წიგნი ამოიღო და დავალების წერას შეუდგა. თუმცა, მხოლოდ მოსაჩვენებლად დაიწყო წერა, იმიტომ, რომ, როცა რონი დასაძინებლად წავიდა, სულ რამდენიმე სტრიქონი ჰქონდა დაწერილი.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, ის კი სულ კითხულობდა და კითხულობდა სურავანდისა და ცემინების ბალახების გამოყენების თაობაზე, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ შესდიოდა თავში.

„ეს ბალახები ყველაზე უკეთ იწვევს ტვინის ანთებას და ამიტომაც გამოიყენება შემაცბუნებელი და გამაბრუებელი ნაყენებისთვის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუ ბუნებამ ინება და კაცი სიფიცხითა და წინდაუხედაობით დაასაჩუქრა“...

ჰერმიონმა თქვა, რომ სირიუსი გრიმოს მოედანზე გამოკეტილში ჯდომამ წინდაუხედავი გახადა.

„ყველაზე უკეთ იწვევს ტვინის ანთებას და ამიტომაც გამოიყენება“...

...„დილის მისანში“ გამოჭიმავენ; დაწერენ, რომ ჰარის ტვინის ანთება აქვს, თუ იყნოსავენ, რომ ვოლდემორის განწყობას გრძნობს...

„...გამოიყენება შემაცბუნებელი და გამაბრუებელი ნაყენისთვის“...

„შემაცბუნებელი“ შესაფერისი სიტყვაა; რატომ გრძნობს ვოლდემორის განცდებს? რა საზარელი კავშირია მათ შორის და რატომ არ შეუძლია დამბლდორს, ნორმალურად აუხსნას?

„...თუ ბუნებამ ინება“... აუ, როგორ ეძინება...

„დაასაჩუქროს კაცი სიფიცხით“...

ბუხართან მიდგმულ სავარძელში კი მშვენიერი სითბო და სიმყუდროვეა, როცა გარეთ წვიმა ფანჯრის მინებს უშხაპუნებს, ბო კრუტუნებს და ბუხარში შეშა ტკაცუნობს...

წიგნი მოდუნებული ხელიდან გაუვარდა და ყრუ ხმაურით

დაეცა ხალიჩაზე. თავი გვერდზე ჩამოუვარდა.

ისევ უფანჯრო დერეფანში მიდის და სიჩუმეში საკუთარი ნაბიჯების ხმა ესმის. ნელა უახლოვდება კარს, რომელიც დერეფნის ბოლოსაა, სულ უფრო გამალებით უცემს გული... როგორმე რომ მოახერხოს და გააღოს... შიგ შევიდეს...

აი, ხელის გაწვდენაზეა... გაიწოდა...

– ჰარი პოტერ, სერ!

შეკრთა და გაეღვიძა. სანთლები ჩამქრალიყო, მაგრამ მის გვერდით რაღაც მოძრაობდა.

– ვინ არის? – ჰარი სავარძელში გაიმართა. ბუხარი მინავლებულიყო, საერთო ოთახში ბნელოდა.

– დობის თქვენი ბუ ჰყავს, სერ! – გაისმა წრიპინა ხმა.

– დობი? – ენა დაება ჰარის და სიბნელეს მიაშტერდა. შინაური ელფი დობი მაგიდასთან იდგა, იქ, სადაც ჰერმიონმა ათიოდე მოქსოვილი ქუდი დატოვა. დიდი წაწვეტებული ყურები ჰერმიონის მიერ მოქსოვილი ქუდების მთელი კოლექციიდან ამოეშვირა. ქუდები ერთიმეორეზე აეკოკოლავებინა, ისე რომ, თავი საოცრად გრძელი უჩანდა, სულ ზემოთ კი, პომპონზე, საღსალამათი ჰედვიგი იჯდა და ნისკარტს აკაპუნებდა.

– დობიმ პოტერის ბუს მოყვანა იკისრა, – თაყვანისცემით შესცქ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქეროდა თვალებში ელფი, – პროფესორმა გრაბლი-პლენკმა თქვა, რომ სრულიად ჯანმრთელია, სერ.

მდაბლად დაუკრა თავი და ფანქარივით ცხვირი გაცრეცილ ხალიჩას დაჰკრა. ჰედვიგმა აღშფოთებით შეჰკივლა და სავარძლის სახელურზე გადაფრთხიალდა.

– გმადლობ, დობი!

ჰარი თავზე ეფერებოდა ჰედვიგს და თვალებს აფახურებდა, ცდილობდა, დერეფნისა და კარის საოცრად მკვეთრი მოჩვენება როგორმე მოეშორებინა თავიდან. კარგად რომ დააკვირდა დობის, შეამჩნია, რომ ელფს რამდენიმე კაშნე და უთვალავი წინდა ეცვა – ფეხები ტანზე უფრო სქელი ჰქონდა.

– შენ რა, მთელი ტანისამოსი მიითვისე, რაც ჰერმიონმა მოქსოვა?

– ო, არა, სერ, – მხიარულად თქვა ელფმა, – დობიმ ვინკისაც წაუღო.

– როგორაა ვინკი?

– ძველებურად სვამს, სერ, – ნაღვლიანად თქვა ელფმა და ჩოგბურთის ბურთივით დიდი, მრგვალი, მწვანე თვალები ძირს დახარა, – და სულაც არ აინტერესებს ტანსაცმელი, სერ ჰარი პოტერ. ისევე როგორც ყველა დანარჩენ შინაურ ელფს. არავის აღარ უნდა გრიფინდორის კოშკის დალაგება, როცა იქაურობა ქუდებითა და წინდებით არის მოფენილი. ისინი ამას შეურაცხყოფად იღებენ, სერ. აი, დობი კი წინააღმდეგი არ არის. მას მუდამ სურს ჰარი პოტერთან შეხვედრა და დღეს ეს სურვილი აუსრულდა! – დობიმ ისევ მდაბლად დაუკრა თავი, – მაგრამ სერ პოტერი, მგონი, დაღონებულია, – განაგრძო მან, გასწორდა და მორიდებით შეხედა თანამოსაუბრეს, – დობიმ გაიგონა, როგორ ლაპარაკობდა ძილში. ჰარი პოტერმა ცუდი სიზმარი ნახა?

– არც ისე, – ჰარიმ დაამთქნარა და თვალები მოისრისა,

– უარესებიც მინახავს. დობიმ ჰარის თავისი მწვანე თვალები მიანათა, მერე ყურები ჩამოყარა და გრძნობით თქვა:

– დობის ძალიან უნდა, დაეხმაროს ჰარი პოტერს, იმიტომ, რომ ჰარი პოტერმა დობი გაათავისუფლა და ახლა გაცილებით, გაცილებით ბედნიერია.

ჰარიმ გაიღიმა:

– შენ ვერ დამეხმარები, დობი, მაგრამ გმადლობ შემოთავაზებისთვის.

დაიხარა, შხამ-წამლების წიგნი აიღო და დახურა. ბუხრის მკრთალმა შუქმა ხელის მტევანზე თეთრი ნაჭდევები გაანათა – ამბრიჯთან გატარებული საღამოების კვალი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუმცა, არა, დობი, რაღაცაში შეგიძლია, დამეხმარო, – ნელა ჩაილაპარაკა მან.

ელფი გახარებული შემობრუნდა.

– ოღონდ მითხარით, სერ ჰარი პოტერ!

– მე უნდა მოვძებნო ადგილი, სადაც ბნელი ძალებისგან თავდაცვაში ოცდარვა ადამიანი ისე ივარჯიშებს, რომ მასწავლებლებმა ვერ გაიგონ. განსაკუთრებით, – ხელი თავისთავად მოიმუშტა, – ამბრიჯმა.

ჰარი ელოდა, რომ ელფის სახიდან ღიმილი გაქრებოდა და ყურებს ჩამოყრიდა; ელოდა, რომ, ეს შეუძლებელიაო, მოისმენდა პასუხად; ანდა ეტყოდა, შევეცდები მოვძებნო, მაგრამ წარმატების იმედი ნაკლებად მაქვსო. მისდა გასაკვირად, დობი შეხტა, ყურები მხიარულად შეათამაშა და ტაში შემოჰკრა.

– დობიმ მშვენიერი ადგილი იცის, სერ! დობიმ ეს სხვა ელფებისგან გაიგონა, როცა ჰოგვორტსში მოვიდა. ამ ადგილს „მიდი-მოდი“ ოთახი ჰქვია, სხვანაირად – „მიშველე-ოთახი“.

– რატომ? – დაინტერესდა ჰარი.

– იმიტომ, რომ ამ ოთახში მხოლოდ მაშინ შეიძლება შესვლა, როცა ძალიან გჭირდება. ხან არის ეს ოთახი, ხან – არა. მაგრამ, როცა გაჩნდება ხოლმე, ისეა მოწყობილი, როგორც გაჭირვებულ კაცს სჭირდება. დობიმ უკვე ისარგებლა ამ ოთახით, – დამნაშავესავით თქვა ელფმა და ხმას დაუწია, – როცა ვინკი ძალიან გამოთვრა, დობიმ მიშველე-ოთახში დამალა. იქ ყველაფერი იყო ნაბახუსევისთვის – ბურბურახი და ელფის ზომის მშვენიერი საწოლი. დობიმ იცის, სერ, რომ ბატონმა ფილჩმა იქ საწმენდი საშუალებები იპოვა, როცა მარაგი გაუთავდა, და...

– და თუ ძალიან მოგინდა ტუალეტში, – შეაწყვეტინა ჰარიმ. გაახსენდა, რა თქვა შარშანდელ ჰელოუინზე დამბლდორმა, – ღამის ქოთნებით იქნება მოფენილი?

– დობი ვარაუდობს, რომ ასე იქნება, – სერიოზულად უპასუხა ელფმა, – ეს საოცარი ოთახია.

– რამდენმა იცის იმ ოთახის ამბავი?

– ძალიან ცოტამ, სერ. ადამიანები მაშინ აღმოაჩენენ ხოლმე, როცა ძალიან სჭირდებათ, მაგრამ მერე ველარ პოულობენ, წარმოდგენა არა აქვთ, რომ ის ყოველთვის არის და მხოლოდ იმას ელოდება, ვინმეს მოემსახუროს.

– ბრწყინვალეა, თუ მართლა ასეა, – ჰარის გული აუჩქარდა, – ჩვენთვის ზედგამოჭრილია! დობი, როდის მაჩვენებ?

– ნებისმიერ დროს, სერ ჰარი პოტერ, – თქვა ჰარის გახალისებით აღფრთოვანებულმა დობიმ, – თუ გინდათ, ახლავე წავიდეთ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის ერთი სული ჰქონდა, მაშინვე წასულიყვნენ. წამოიწია კიდეც სავარძლიდან, რომ საძინებლიდან უჩინმაჩინის მოსასხამი მოეტანა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ თუ რაღაცამ ჰერმიონის ხმით ყურში წასჩურჩულა: „წინდაუხედავი“. ყველაფერთან ერთად, გვიანიც იყო, თან ძალიან დაიღალა და სნეიპის დავალებაც დასამთავრებელი ჰქონდა.

– დღეს არა, – გულის ფანცქალით თქვა, – ეს სერიოზული საქმეა. არ მინდა, გავაფუჭო. ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო. დობი, არ შეგიძლია, წინასწარ მითხრა, ზუსტად სად არის ეს „მიშველეოთახი“ და იქ როგორ უნდა მოვხვდე?

* * *

ისინი დატბორილ ბოსტნებს მიუყვებოდნენ ჰერბოლოგიის გაორმაგებულ გაკვეთილზე. ქარი მანტიის კალთებს უფრიალებდათ. პროფესორ სპრაუტის ხმა ძლივს ესმოდათ – სათბურის თავზე წვიმა სეტყვასავით აბრახუნებდა.

ქარიშხალი სადილის შემდეგაც გაგრძელდა. ჯადოსნური არსებების მოვლის გაკვეთილი თავისუფალ საკლასო ოთახში გადაიტანეს, მეორე სართულზე. სადილობისას კი ყველას გასახარად ანჯელინამ გუნდის წევრებს გამოუცხადა, ვარჯიში გადავდეთო.

– მშვენიერია, – ჩუმად უთხრა ჰარიმ, – თავდაცვაში პირველი გაკვეთილის ჩასატარებლად ადგილი გამოინახა. დღეს, რვა საათზე, მერვე სართულზე, ზუსტად შეშლილი ბარნაბას გობელენის პირდაპირ. შეგიძლია, გადასცე ქეითსა და ალისიას?

ანჯელინა ოდნავ შეცბა, მაგრამ შეჰპირდა, რომ დანარჩენებს შეატყობინებდა. ჰარი სოსისებსა და პიურეს დააცხრა. მერე გოგრის წვენის აღება დააპირა და დაინახა, რომ ჰერმიონი უყურებდა.

– რა იყო? – სავსე პირით იკითხა.

– დობის გეგმები უხიფათო არ არის. გახსოვს, მოჯადოებული ბლაჯერით იდაყვი რომ ჩაგიმსხვრია?

– ეს ოთახი დობის გამოგონილი არ არის. დამბლდორმაც იცის მის შესახებ, ჩემთან ახსენა ჰელოუინზე.

ჰერმიონს სახე გაუნათდა.

– დამბლდორმა ახსენა?

– ისე, გაკვრით, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ.

– თუ ასეა, კი ბატონო, – ხალისიანად თქვა ჰერმიონმა და ამ თემას აღარ მიჰბრუნებია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დღის მნიშვნელოვანი ნაწილი რონთან ერთად „ღორის თავში“ ჩაწერილი ბავშვების პოვნას მოანდომეს, რათა შეხვედრის ადგილი შეეტყობინებინათ. ჰარის გული დასწყდა, რომ ჩო და მისი დაქალი თვითონ კი არა, ჯინიმ იპოვა. დღის ბოლოსთვის ოცდახუთივე მოსწავლე გაფრთხილებული იყო.

შვიდის ნახევარზე ჰარი, რონი და ჰერმიონი საერთო ოთახიდან გამოვიდნენ. ჰარის ონავრების რუკა ეჭირა ხელში. მეხუთეკურსელებს ცხრა საათამდე შეეძლოთ, ესეირნათ დერეფნებში, მაგრამ მერვე სართულზე რომ ავიდნენ, სამივენი შეშფოთებულები იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

– შეჩერდით! – ბრძანა ჰარიმ, როცა კიბის ბოლო საფეხურიც აიარეს. პერგამენტი გაშალა, ჯადოსნური ჯოხი დააკაკუნა და თქვა: ვფიცავ, რომ მოვაწყობ ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს ოინების გარდა.

ცარიელ ფურცელზე ჰოგვორტსის რუკა დაიხატა. შავ წერტილებს სახელები ეწერა და მიუთითებდა, სად იმყოფებოდა ეს ხალხი.

– ფილჩი მესამე სართულზეა, – რუკა თვალებთან მიიტანა ჰარიმ, – მისის ნორისი კი – მეხუთეზე.

– ამბრიჯი? – აღელვებულმა იკითხა ჰერმიონმა. ჰარიმ აჩვენა.

– თავის კაბინეტში. ყველაფერი რიგზეა. წავედით.

ისინი იმ ადგილისკენ გაემართნენ, რომელიც დობიმ მიასწავლა. შიშველ კედელთან ვეებერთელა გობელენი ეკიდა; მასზე გამოსახული შეშლილი ბარნაბა ჯიუტად ცდილობდა, ტროლებისთვის ბალეტი ესწავლებინა. გაბრაზებული ტროლები კი ჩოგნებით უმოწყალოდ სცემდნენ.

– კარგი, – თქვა ჰარიმ, როცა ჩრჩილისგან შეჭმულმა ტროლმა ცეკვის მასწავლებლის ჯოხით ცემას თავი ანება და მათკენ გამოიხედა, – დობიმ მითხრა: სამჯერ გაიარეთ ამ კედელთან და მთელი ძალით იფიქრეთ იმაზე, რაც გჭირდებათო. ასეც მოიქცნენ. პირველივე ფანჯარასთან უკან ბრუნდებოდნენ და კაცის სიმაღლის ლარნაკამდე მიდიოდნენ. რონს დაძაბულობისგან თვალები მოებრიცა, ჰერმიონი რაღაცას დუდღუნებდა ცხვირში, ჰარი მუშტებმოკუმული იყურებოდა პირდაპირ.

„ჩვენ უნდა შეგვეძლოს ბრძოლა, – ფიქრობდა ის, – მოგვეცი ადგილი, სადაც სწავლას მოვახერხებთ... სადაც ვერ გვიპოვიან“.

– ჰარი! – წამოიკივლა ჰერმიონმა, როცა კედელთან მესამედაც ჩაიარეს.

კედელში მოპირკეთებული კარი გამოჩნდა. რონი დამფრთხალი შეჰყურებდა. ჰარიმ სპილენძის სახელურს ჩაავლო ხელი, კარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გააღო და პირველი შევიდა ჩირაღდნებით განათებულ ოთახში. ასეთი ჩირაღდნები მიწისქვეშეთში, შვიდი სართულის ქვემოთაც ენთო.

კედლების გასწვრივ წიგნის თაროები იყო ჩამწკრივებული. იატაკზე, სკამების ნაცვლად, დიდი ბალიშები ეწყო. მეორე ბოლოში, თაროებზე, ხელსაწყოები ელაგა – მავნოსკოპები, სიცრუის დეტექტორები და დიდი, გაბზარული მტრების ამომცნობი სარკე. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ეს სარკე ეკიდა შარშან თვითმარქვია მუდის კაბინეტში.

– ესენი გამოგვადგება, როცა დარეტიანებაში ვივარჯიშებთ, – რონმა დიდი მონდომებით წაჰკრა ფეხი ბალიშს.

– რამდენი წიგნია! – გაიხარა ჰერმიონმა და თითები გადაუსვა ტყავის გარეკანს: „პრაქტიკული შელოცვების გზამკვლევი...“ „როგორ დაამარცხო ბნელი ძალები“... „შელოცვით თავდაცვა“... უჰ! – სახეგაბრწყინებული შებრუნდა ჰარისკენ. ნათელი იყო, რომ წიგნის საუნჯემ, როგორც იქნა, დაარწმუნა ჰერმიონი ჩანაფიქრის სისწორეში, – საოცრებაა, ჰარი! აქ ყველაფერია, რაც გვჭირდება!

და ზედმეტი ლაპარაკის გარეშე თაროდან ჩამოიღო „შორს ავი თვალისგან“ და უახლოეს ბალიშზე დაჯდა.

კარზე დააკაკუნეს. ჰარი შებრუნდა. ჯინი, ნევილი, ლევენდერი, პარვატი და დინი მოვიდნენ.

– ოჰო, ეს რა ოთახია? – მიიხედ-მოიხედა დინმა.

ჰარიმ დაუწყო ახსნა, მაგრამ ვერ მოასწრო – სხვებიც მოვიდნენ და თავიდან მოუხდა დაწყება. რვა საათზე ყველა ბალიში დაკავებული იყო. ჰარი კართან მივიდა და გასაღები გადაატრიალა. გასაღებმა მშვიდად გაიჩხაკუნა, ყველანი გაჩუმდნენ და ჰარისკენ შებრუნდნენ. ჰერმიონმა წიგნი გადადო.

– აი, ჩვენ გამოვძებნეთ ადგილი მეცადინეობისთვის და, როგორც ვატყობ, მოგეწონათ, – ღელავდა ჰარი.

– მშვენიერია! – მოუწონა ჩომ და რამდენიმემ ხმადაბლა დაუდასტურა.

– საოცარია, – ფრედი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, – ერთხელ ფილჩს ვემალებოდით აქ, გახსოვს, ჯორჯ? მაშინ ეს ცოცხების საკუჭნაო იყო.

– ჰარი, ეს რა არის? – ოთახის მეორე ბოლოდან იკითხა დინმა და მტრების ამომცნობ სარკეზე და მავნოსკოპზე უჩვენა.

– ბნელი ძალების დეტექტორები, – აუხსნა ჰარიმ და ბალიშებს შორის იქით გაემართა, – პრინციპში, მტრებისა და ბნელი ჯადოქრების მოახლოებას აჩვენებენ, მაგრამ მათი მეტისმეტი ნდობაც არ შეიძლება – მათი მოტყუება არც ისე ძნელია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ სარკეში ჩაიხედა: იქ გაურკვეველი ლანდები მოძრაობდნენ, მაგრამ მათი ამოცნობა შეუძლებელი იყო და უკანვე გაბრუნდა.

– ახლა ვფიქრობ, რით დავიწყოთ... – ჰარიმ აწეული ხელი შენიშნა, – გისმენ, ჰერმიონ!

– მე ვფიქრობ, ხელმძღვანელი უნდა ავირჩიოთ.

– ხელმძღვანელი ჰარია, – უცებ გამოეპასუხა ჩო და ჰერმიონს ისე შეხედა, თითქოს თვალებით ეუბნებოდა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალეო.

ჰარის კუჭმა კიდევ ერთი მალაყი გააკეთა.

– ჰო, მაგრამ კენჭი უნდა ვუყაროთ ყველა წესის დაცვით, – არ დაიბნა ჰერმიონი, – მაშინ მისი უფლებამოსილება ოფიციალური იქნება. მაშ, ასე, ვინ არის მომხრე, რომ ხელმძღვანელი ჰარი იყოს?

ყველამ ასწია ხელი, ზაქარია სმიტმაც კი, თუმცა, მაინცდამაინც დიდი მონდომება არ გამოუმჟღავნებია.

– კარგი, გმადლობთ, – თქვა ჰარიმ და იგრძნო, როგორ წითლდებოდა, – და... კიდევ რა, ჰერმიონ?

– ვფიქრობ, რომ სახელწოდებაც გვჭირდება, – შემართული ხელით ხალისიანად თქვა ჰერმიონმა, – ეს კოლექტივიზმის სულს განამტკიცებს, ასე არ არის?

– იქნებ ამბრიჯის საწინააღმდეგო ლიგა დაგვერქმია, – იმედით თქვა ანჯელინამ.

– ანდა ჯგუფი „მაგიის სამინისტრო – გადაყრუებელი ბებრები“? – შესთავაზა ფრედმა.

– მე, მაგალითად, ისეთ სახელწოდებაზე ვფიქრობდი, რომელიც ვერაფერს ეტყვის გარეშე ხალხს, ჩვენ კი მშვიდად შეგვეძლება მისი მოხსენიება,– თქვა ჰერმიონმა და ცერად გახედა ფრედს.

– დაცვის არმია? – შესთავაზა ჩომ, – შემოკლებით **და**, ვერავინ ვერაფერს მიხვდება.

– ჰო, **და** გამოდგება. ოღონდ, მოდი, ის „დამბლდორის არმიას“ აღნიშნავდეს, რადგან სამინისტროს ყველაზე უფრო ამისი ეშინია.

პასუხად მოწონების შეძახილები და სიცილი გაისმა.

– ყველანი უჭერთ მხარს **და**-ს? – სერიოზულად იკითხა ჰერმიონმა და მუხლებით დადგა ბალიშზე, რომ ხმები დაეთვალა. უმრავლესობა თანახმაა. მიღებულია!

ოცდარვა კაცის ხელმოწერილი პერგამენტი კედელზე მიამაგრა და ზემოდან მსხვილი ასოებით დააწერა:

დამბლდორის არმია

– კარგი, – თქვა ჰარიმ, როცა ყველა დაჯდა, – იქნებ დავიწყოთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალბათ, განმაიარაღებელი შელოცვით, ექსპელიარმუსით, დაწყება ღირს. ვიცი, ძალიან მარტივია, მაგრამ ის მე მეხმარებოდა...

– თუ ღმერთი გწამს, ჰარი, – ზაქარია სმიტმა თვალები დახუჭა და ხელის გულები შეაერთა, – ნუთუ ფიქრობ, რომ ექსპელიარმუსი გვიშველის ჩვენ-რომ-ვიცით, იმის წინააღმდეგ?

– ივნისში მე თვითონ გამოვიყენე ეს შელოცვა მის წინააღმდეგ, – მშვიდად უპასუხა ჰარიმ, – მისი წყალობით გადავრჩი ცოცხალი.

ზაქარიამ პირი დააღო. ყველა ჩუმად იყო.

– მაგრამ თუ ფიქრობ, რომ შენთვის მეტისმეტად ადვილია, შეგიძლია წახვიდე.

სმიტი არ განძრეულა. არც დანარჩენები.

– კარგი, – თქვა ჰარიმ. იმის შეგრძნებამ, რომ ყველა მას უყურებდა, პირი გაუშრო, – მოდი, წყვილებად დავიყოთ და დავიწყოთ.

მისთვის ძალიან უჩვეულო იყო მითითებების მიცემა და კიდევ უფრო უჩვეულო – იმის ყურება, როგორ ასრულებდნენ ამ მითითებებს. ყველანი მაშინვე დაწყვილდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ნევილი პარტნიორის გარეშე დარჩა.

– ჩემთან იქნები, – უთხრა ჰარიმ, – აბა, სამ თვლაზე... ერთი, ორი, სამი...

ოთახი „ექსპელიარმუსის“ შეძახილებმა გაავსო. ჯადოსნური ჯოხებიდან გამოსროლილი სხივები ყველა მიმართულებით გაიფანტა. უმისამართო შელოცვები წიგნებს ხვდებოდა და აქეთ-იქით ფანტავდა. ნევილი ვერ მიჰყვებოდა ჰარის, ჯოხი ხელიდან გაუვარდა, ჭერს მიეჯახა, ნაპერწკლების წვიმა გადმოაფრქვია და რაკუნით დაეცა წიგნების თაროს, საიდანაც ჰარიმ გამოძახების შელოცვით გამოაძრო. ოთახი რომ მოათვალიერა, მიხვდა, რომ სწორად მოიქცა, როცა სულ მარტივიდან დაიწყო. გარშემო ჯადოქრობის დომხალი იდგა! ბევრი საერთოდ ვერ ახერხებდა მოწინააღმდეგის განიარაღებას – როცა სუსტი შელოცვა გვერდით ჩაუვლიდათ, შეკრთებოდნენ ან რამდენიმე ნაბიჯით უკან გადავარდებოდნენ ხოლმე.

– ექსპელიარმუს! – დაიძახა ნევილმა და ჰარიმ იგრძნო, როგორ ეცლებოდა ჯოხი ხელიდან.

– გამოვიდა! – იყვირა ნევილმა, – პირველად გამომივიდა!

– ყოჩაღ! – შეაქო ჰარიმ, მაგრამ არ დაუყოლებია, რომ რეალურ ორთაბრძოლაში მოწინააღმდეგე თვალების აქეთ-იქით ცეცებას არ მოჰყვება და არც ჯოხი ეჭირება მუხლებთან, – მისმინე, ნევილ, შეგიძლია, სამიოდე წუთს რიგრიგობით წაივარჯიშო რონთან და ჰერმიონთან? მანამდე ჩამოვივლი, შევხედავ, როგორ მიდის საქმეები.

შუა ოთახში გავიდა. ზაქარია სმიტს უცნაური რაღაც ემართე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა: ყოველთვის, როგორც კი ენტონი გოლდსტეინის განიარაღებას დააპირებდა, ჯოხი ხელიდან უვარდებოდა. ჰარის დიდხანს არ უმტვრევია თავი ამ ამოცანაზე. სმიტისგან რამდენიმე ნაბიჯზე ფრედი და ჯორჯი იდგნენ და მორიგეობით უმიზნებდნენ ზურგში ჯადოსნურ ჯოხს.

– მაპატიე, ჰარი, – თქვა ჯორჯმა, როცა მის მზერას წააწყდა, – თავი ვერ შევიკავე.

ჰარიმ სხვა წყვილებსაც ჩამოუარა და ცდილობდა, შეესწორებინა მათთვის, ვინც არასწორად მოქმედებდა. ჯინი მაიკლ კორნერის პირისპირ იდგა. ძალიან კარგად გამოსდიოდა. მაიკლი კი ან მართლა სუსტი იყო, ან არ უნდოდა ჯინის განიარაღება. ერნი მაკმილანი მეტისმეტად იქნევდა ჯადოსნურ ჯოხს, ასე რომ, მეტოქე ასწრებდა მისი დაცვის გარღვევას. ძმები ქრივები თავდავიწყებით იბრძოდნენ, მაგრამ უშედეგოდ – წიგნები თაროებიდან სწორედ მათი მცდელობის შედეგად ცვიოდა. ლუნაც გაუბედავად მოქმედებდა – ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლის ხან უვარდებოდა ჯოხი ხელიდან, ხანაც მხოლოდ თმა უდგებოდა ყალყზე.

– მორჩა, შეჩერდით, – დაიყვირა ჰარიმ, – შეჩერდით!

„სასტვენი მჭირდება“, – გაიფიქრა და მაშინვე შეამჩნია კიდეც წიგნების თაროზე. ხელი სტაცა და დაუსტვინა. ყველამ დაუშვა ჯადოსნური ჯოხი.

– ცუდი არ იყო, მაგრამ სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ შორსაა, – გულწრფელად გამოთქვა თავისი აზრი. ზაქარია სმიტი უკმაყოფილოდ შესცქეროდა.

– ერთხელ კიდევ ვცადოთ.

ისევ ჩამოიარა ოთახში, დროდადრო რჩევის მისაცემად ჩერდებოდა. ბავშვები თანდათან ზუსტად და გამოკვეთილად მოძრაობდნენ. თავიდან ჰარი გაურბოდა ჩოსა და მის მეგობართან მისვლას, მაგრამ, როცა ყველას ორჯერ შემოუარა, მეტი უყურადღებობის გამოჩენა აღარ შეიძლებოდა.

– ო, არა! – დაფაცურდა ჩო, როგორც კი ჰარი მიუახლოვდა, – „ექსპელიარმიოს“! უფრო სწორად, „ექსპელიმელიუს“! ოი, მაპატიე, მარიეტა!

მისი თმახუჭუჭა დაქალის სახელოს ცეცხლი მოედო. მარიეტამ თავისი ჯადოსნური ჯოხით ჩააქრო და მრისხანედ შეხედა ჰარის, თითქოს ის იყო დამნაშავე.

– შენ გამო ავნერვიულდი, – დამნაშავესავით თქვა ჩომ, – აქამდე ყველაფერი გამომდიოდა.

– არც ახლაა ცუდი, – შეაქო ჰარიმ, მაგრამ როგორც კი შენიშნა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აწეული წარბები, მაშინვე შეასწორა: – არა, ცუდია, რა თქმა უნდა, მაგრამ ვიცი, რომ სწორად აკეთებ, შორიდან გიყურებდი.

ჩომ გაიცინა. მარიეტამ უჟმური სახით შეხედა ორივეს და შებრუნდა.

– ნუ მიაქცევ ყურადღებას, – თქვა ჩომ, – მარიეტას საერთოდაც არ უნდოდა მოსვლა, მე დავითანხმე. მშობლებმა უთხრეს, ამბრიჯი არ გააღიზიანოო. იცი, დედამისი სამინისტროში მუშაობს.

– შენი მშობლები?

– ჩემებმაც მირჩიეს, მოვრიდებოდი, – თქვა ჩომ და ამაყად გაიმართა, – მაგრამ ტყუილად ფიქრობენ, რომ მას შემდეგ, რაც სედრიკს დამართა, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას არ შევებრძოლები...

ენა დაება. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარის ყურთან ტერი ბუტის ჯოხმა გაიწუილა და ალისია სმიტს შიგ ცხვირში მოხვდა.

– მამაჩემი კი მხარს უჭერს ყველაფერს, რაც სამინისტროს წინააღმდეგ ხდება! – ამაყად თქვა ლუნა ლავგუდმა. როგორც ჩანს, მათ საუბარს უსმენდა, სანამ ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლი აბურდული მანტიიდან დააღწევდა თავს, – ამბობს, რომ ფაჯისგან ყველაფერს შეიძლება მოელოდე, თუნდაც ის გავიხსენოთ, უკვე რამდენი გობლინი მოკლა! საიდუმლო დეპარტამენტში კი მისთვის საშინელ საწამლავს ამზადებენ. ფაჯი ყველას წამლავს, ვინც არ ეთანხმება. და ის, ამგაბელარ მფატრავი რომ ჰყავს...

ჩომ გაკვირვებისგან პირი დააღო.

– არ შეეკითხო, – წასჩურჩულა ჰარიმ და ჩომ ჩაიხითხითა.

– ეი, ჰარი, – გამოსძახა ოთახის მეორე ბოლოდან ჰერმიონმა, – დრო არ გაგვეპაროს!

ჰარიმ საათს დახედა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ უკვე ათის ათი წუთი იყო – ესე იგი, სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყვნენ საერთო ოთახში, რომ ფილჩს არ გამოეჭირა და დღის რეჟიმის დარღვევისთვის არ დაესაჯა ყველა.

– საერთო სურათს არა უშავს რა, მაგრამ ვაგვიანებთ, წასვლის დროა. ერთი კვირის შემდეგ აქვე, ამავე დროს შევხვდებით, – გამოაცხადა ჰარიმ.

– ცოტათი ადრე ხომ არ აჯობებდა? – შეეხვეწა დინ ტომასი. ბევრი თავის დაქნევით დაეთანხმა.

აქ ანჯელინა ჩაერთო:

– სათამაშო სეზონი იწყება, ვარჯიშიც ხომ გვინდა!

– მაშინ, ოთხშაბათს საღამოს. და დამატებითი დღეც შევარჩიოთ. ახლა კი წავედით, გამოაცხადა ჰარიმ, მერე ონავრების რუკა აიღო და შეამოწმა, მეშვიდე სართულზე ვინმე ხომ არ იყო. ამის შემდეგ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამ-სამი და ოთხ-ოთხი გაუშვა ოთახიდან, თან დაძაბული ადევნებდა თვალს შავი წერტილების მოძრაობას. უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ მშვიდობიანად მიაღწიეს თავიანთ საძინებლებამდე: ჰაფლეპაფელები მეორე სართულის დერეფანში იყვნენ, სამზარეულოსკენ მიმავალ გზაზე, რეივენქლოელები – ციხე-კოშკის დასავლეთ კოშკში, გრიფინდორელები – ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტიან დერეფანში.

– ყველაფერმა კარგად ჩაიარა, – თქვა ჰერმიონმა, როცა ბოლოს მარტონი დარჩნენ.

– ბრწყინვალედ! – კვერი დაუკრა რონმა. დერეფანში გაძვრნენ თუ არა, კარი მაშინვე ქვის კედელს შეერწყა, – ნახე, როგორ განვაიარაღე ჰერმიონი?

– მხოლოდ ერთხელ, – წყენით თქვა ჰერმიონმა, – მე უფრო მეტჯერ გამომივიდა.

– ერთხელ კი არა, სულ ცოტა, სამჯერ მაინც!

– ჰო, რა თქმა უნდა, თუ იმასაც ჩავთვლით, როცა ფეხზე ფეხი წამოიკარი და ჯოხი გამაგდებინე...

მთელი გზა კამათობდნენ, მაგრამ ჰარი მათ არ უსმენდა, ონავრების რუკას დაჰყურებდა და ჩოს სიტყვებზე ფიქრობდა: შენ გამო ავნერვიულდიო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრამეტე

ლომი და გველი

ორი კვირის განმავლობაში ჰარის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მკერდში თილისმას ატარებდა – ცეცხლოვან საიდუმლოს, რომელიც ამბრიჯის გაკვეთილების გაძლებაში ეხმარებოდა. ზრდილობიანადაც კი ულიმოდა, როცა საზიზღარ გადმოკარკლულ თვალებში შესცქეროდა. **და** და თვითონ ჰარი მის ცხვირწინ აკეთებდნენ იმას, რისიც ამბრიჯსა და სამინისტროს ყველაზე ძალიან ეშინოდათ. და იმის მაგივრად, რომ გაკვეთილებზე უილბერტ სლინკჰარდის სახელმძღვანელო ეკითხა, სიამოვნებით იხსენებდა ჯგუფის ბოლო შეკრებას; იხსენებდა, როგორ განაიარაღა ჰერმიონი ნევილმა; სამ მეცადინეობაზე გულმოდგინე ვარჯიშის შემდეგ როგორ აითვისა კოლინ ქრივმა დაბრკოლების შელოცვა; პარვატი პეტილი კი ისე დაეუფლა შემამცირებელ შელოცვას, რომ მტვრად აქცია მაგიდა თავის მავნოსკოპებთან ერთად.

და-ს შეკრებისთვის ერთი კონკრეტული დღის გამოყოფა ვერ მოხერხდა: უსათუოდ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ქვიდიჩში სამი გუნდი ცალ-ცალკე ვარჯიშობდა. ეს ვარჯიშები კი ცუდი ამინდის გამო არცთუ იშვიათად გადაიდებოდა ხოლმე. მაგრამ ჰარი ამაზე არ წუხდა, ალბათ, უკეთესიც იყო, ერთი კონკრეტული დღე რომ ვერ გამოყვეს, რადგან თუ უთვალთვალებდნენ, ასე უფრო აერეოდათ გზა-კვალი.

მალე ჰერმიონმა შეკრების დროის შეტყობინების ძალიან მახვილგონივრული ხერხი მოიგონა. სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები ხშირად რომ შეგროვილიყვნენ მოსალაპარაკებლად, ბევრს დააეჭვებდა. ამიტომ **და**-ს ყველა წევრს ჰერმიონმა ყალბი გალეონი დაურიგა (რონი სიხარულით გადაირია, როცა კალათა დაინახა, ეგონა, ოქროს არიგებდნენ).

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხედავთ ციფრებს მონეტების გარშემო? – ჰერმიონმა ბავშვებს ნიმუში უჩვენა. ჩირაღდნების შუქზე მონეტა მაცდურად ბრჭყვიალებდა ოქროსფრად, – ნამდვილ გალეონებზე ეს სერიული ნომერია, რომელიც უჩვენებს, რომელმა გობლინმა გამოჭედა. ამათზე კი ციფრები შეიცვლება ხოლმე, ისინი აჩვენებენ შემდეგი შეკრების რიცხვსა და საათს. როცა შეხვედრის დრო მოულოდნელად იცვლება, მონეტა გახურდება, ასე რომ, თუ ჯიბით ატარებთ, სიმხურვალეს უცებ იგრძნობთ. ყველამ თითო ავიღოთ. როცა ჰარი შეკრების თარიღს დანიშნავს, ის თავისაზე შეცვლის ციფრებს და რადგან მე მათ ცვალებადი ჯადოთი შევულოცე, თქვენზედაც შეიცვლება.

გამაოგნებელი დუმილი ჩამოწვა. ჰერმიონმა შეცბუნებულ მსმენელებს მოავლო თვალი და ყოყმანით თქვა:

– ვიფიქრე, კარგი საშუალებაა-მეთქი, იმ თვალსაზრისით, რომ თუ ამბრიჯი ჯიბეების ამოტრიალებას გიბრძანებთ, საეჭვოს ვერაფერს ნახავს. მაგრამ თუ... თუ არ გინდათ...

– შენ შეგიძლია ცვალებადი ჯადოს გამოყენება? – ჰკითხა ტერი ბუტმა.

– ჰო.

– მაგრამ ეს ხომ **კატა**-ს დონეა, – მიმქრალი ხმით აღნიშნა ბუტმა.

– ჰო, ისა... – ჰერმიონი ცდილობდა, მოკრძალებით სჭეროდა თავი, – შეიძლება... ალბათ...

– მაშინ, შენი ტვინის პატრონი, რეივენქლოში რატომ არა ხარ?– დაინტერესდა გაკვირვებული ბუტი.

– განაწილების დროს ჯადოსნური ქუდი მართლაც რეივენქლოში გაგზავნას მიპირებდა, – მხიარულად მიუგო ჰერმიონმა, – და მაინც გრიფინდორზე შეჩერდა. ჰა, რას იტყვით, ვისარგებლოთ გალეონებით?

გაისმა მოწონების შეძახილები, ყველამ კალათს მიაშურა. ჰარი ჰერმიონისკენ შებრუნდა.

– იცი, რას მაგონებს ეს ყველაფერი?

– რას?

– „სიკვდილის მხვრელების“ დამღას. ვოლდემორი შეეხებოდა ერთს და ყველას აეწვებოდა ხოლმე მკლავზე გამოსახული შავი ნიშანი – ასე უხმობდა მათ.

– ჰო... ეგრეა, – წყნარად დაუდასტურა ჰერმიონმა, – სწორედ მაგან გამიჩინა იდეა... მაგრამ ისიც უნდა აღიარო, რომ ციფრების ამოჭრა მე ლითონზე გადავწყვიტე და არა ცოცხალ ადამიანებზე.

– ჰო, შენი საშუალება უფრო ჰუმანურია, – ჰარიმ გაიღიმა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მონეტა ჯიბეში ჩაიდო, – ერთადერთი საშიშროება ის არის, რომ არ შემოგვეხარჯოს.

– შანსი არ არის, – რონმა სევდიანად შეათვალიერა თავისი ყალბი გალეონი, – მე ვერაფერში ამერევა.

ახლოვდებოდა სეზონის პირველი – გრიფინდორი-სლიზერინის – მატჩის დღე. ანჯელინა ლამის ყოველდღიურ ვარჯიშს მოითხოვდა. **და**-ს შეკრებებზე შესვენების დრო დადგა. რადგან თასი ქვიდიჩში დიდხანს არ გათამაშებულა, ამ თამაშს მომეტებული ინტერესით და ვნებათაღელვითაც კი ელოდნენ. დაინტერესებულები იყვნენ რეივენქლოელებიც და ჰაფლეპაფელებიც – ერთსაც და მეორესაც, ცხადია, ორივე გუნდთან მოუწევდათ თამაში. კლუბების ხელმძღვანელები ძალიან კი ცდილობდნენ, მათთვის შესაფერისი მიუკერძოებლობა შეენარჩუნებინათ, მაგრამ, სინამდვილეში, მთელი გულითა და სულით უსურვებდნენ გამარჯვებას საკუთარ გუნდს. ჰარი იმით მიხვდა, რომ პროფესორ მაკგონაგელისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო სლიზერინელების დამარცხება, რომ თამაშამდე ერთი კვირით ადრე საშინაო დავალებებს აღარ იძლეოდა.

– ვფიქრობ, უახლოეს დღეებში უამისოდაც ბევრი საქმე გექნებათ, – საზეიმოდ განუცხადა პროფესორმა მაკგონაგელმა ბავშვებს. მათ საკუთარ ყურებს არ დაუჯერეს. პროფესორმა დაჟინებით შეხედა ჰარისა და რონს და დაამატა: – მე მიჩვეული ვარ, რომ ქვიდიჩის თასი ჩემს კაბინეტშია, და სულაც არ ვაპირებ, პროფესორ სნეიპს დავუთმო. ასე რომ, კეთილი ინებეთ და დამატებით წაივარჯიშეთ.

თავისი გუნდის მიმართ არანაკლებ ყურადღებას იჩენდა სნეიპიც, ისე ხშირად ითხოვდა მოედანს სლიზერინელებისთვის, რომ გრიფინდორის გუნდი ზოგჯერ ვარჯიშსაც ვერ ახერხებდა. ის ყურსაც არ აბარტყუნებდა იმის გამო, რომ დერეფნებში სლიზერინელები ცდილობდნენ, მეტოქეები მოთმინებიდან გამოეყვანათ. ალისია სპინეტმა საავადმყოფო ფლიგელს მიაკითხა: წარბები ისე სწრაფად და ხშირად გაეზარდა, რომ მთლიანად დაუფარა თვალები და ჭამასაც კი უშლიდა. მიუხედავად იმისა, რომ თოთხმეტი მოწმე ამტკიცებდა, რომ ალისია უკნიდან მოაჯადოვა სლიზერინელთა მეკარე მაილს ბლეჩლიმ, როცა ალისია ბიბლიოთეკაში მეცადინეობდა, სნეიპმა მოსმენაც კი არ ისურვა და თქვა, ალბათ, თვითონ ცდილობდა თმის გაზრდის შელოცვის გამოყენებასო.

ჰარის მიაჩნდა, რომ გრიფინდორს გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, ისინი ერთხელაც არ დამარცხებულან მალფოის გუნდთან. რა თქმა უნდა, რონს ბევრი უკლდა ვუდამდე, მაგრამ დიდი გულმოდგინებით ვარჯიშობდა. მისი ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ შეცდომის შემდეგ საკუთარი თავის რწმენას კარგავდა. გოლს რომ გაუშვებდა, ისე აწრიალდებოდა, მერე უფრო იოლად უშვებდა კიდევ ერთ ბურთს. სხვა მხრივ, როცა ფორმაში იყო, აუღებელ ქუაფლებს იგერიებდა. ერთხელ, ვარჯიშზე, ცოცხიდან ჩამოხტა და ცალი ხელით ჩამოკიდებულმა, ისე ძლიერად მოიგერია ფეხით ქუაფლი, რომ ბურთმა მთელი მოედანი გადაიფრინა და მოპირდაპირე მხარეს შუათანა რგოლში გავარდა. მთელმა გუნდმა აღიარა, რომ ამ ფონზე ირლანდიის ნაკრების მეკარის, ბარი რაიანის, გმირობაც კი ფერმკრთალდებოდა: მან პოლონელთა საუკეთესო ჩეიზერის, ლადისლავ ზამოჟსკის ნატყორცნი ბურთი მოიგერია. თვით ფრედმაც კი თქვა, რომ ის და ჯორჯი, ალბათ, მალე იამაყებენ რონით და სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, რომ აღიარონ თავიანთი ნათესაური კავშირი მასთან, რასაც მთელ ოთხ წელიწადს უარყოფდნენ.

ერთი რამ აფიქრებდა ჰარის – სლიზერინელთა ტაქტიკა ხომ არ გამოიყვანდა წონასწორობიდან რონს. თვითონ ამ ოთხ წელიწადში შეეგუა მათ დაცინვას, ასე რომ, ასეთი შეძახილები: „ეი, პოტერ, უორინგტონმა დაიფიცა, რომ შაბათს ცოცხიდან ჩამოგაგდებს“, მხოლოდ ღიმილს ჰგვრიდა. „უორინგტონი ისეთი სნაიპერი გყავთ, აი, მეზობლისთვის რომ დაემიზნებინა, მაშინ კი შევფუცხუნდებოდი,“ – იგერიებდა ჰარი. რონი და ჰერმიონი ახარხარდებოდნენ, პენსი პარკინსონს კი სახიდან სულელური ღიმილი უქრებოდა.

რონი არ იყო შეჩვეული გამუდმებულ დაცინვას, შეურაცხყოფასა და მუქარას. როცა სლიზერინელები, ხანდახან მასზე გაცილებით უფროსი მეშვიდეკურსელებიც კი, დერეფანში ჩასჩურჩულებდნენ: „შეიგულე წინასწარ საწოლი საავადმყოფო ფლიგელში?“ – ის არ იცინოდა, სახე კი ნაზი სალათისფერი უხდებოდა. როცა დრაკო მალფოი გამოაჯავრებდა, როგორ უვარდება რონს ხელიდან ქუაფლი (ამას კი ყოველი შეხვედრისას აკეთებდა), რონს ყურები აუჭარხლდებოდა, ხელები კი ისე აუკანკალდებოდა, რომ მართლა გაუვარდებოდა ნებისმიერი ნივთი.

ოქტომბერი თავსხმა წვიმებსა და ქარის ღმუილში მიილია. მოვიდა ნოემბერი ისეთი სასტიკი სიცივით, დილის სუსხითა და ქარბუქით, ხელებსა და სახეს ცეცხლს უკიდებდა. დიდი დარბაზის ჭერში ცას ნაცრისფერი ბინდი გადაეფარა, ჰოგვორტსის გარშემო მთებმა თოვლის ქურქები წამოისხეს, ციხე-კოშკში კი ისე აცივდა, რომ შესვენებებზე მოსწავლეები დერეფნებში დრაკონის ტყავის სქელი ხელთათმანებით დადიოდნენ.

მატჩის დილა მოწმენდილი და სუსხიანი გათენდა. ჰარიმ გაიღვიძა და დაინახა საწოლზე წამომჯდარი რონი. მუხლებზე ხელები შემოეხვია და ერთ წერტილს მისჩერებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ავად ხომ არ ხარ?

რონს არ უპასუხია, მხოლოდ თავი გააქნია. ჰარის ის დღე მოაგონდა, როცა რონმა შემთხვევით თავის თავს ღებინების შელოცვა ესროლა – ზუსტად ასეთი ფერმკრთალი და გაოფლიანებული იყო, ზუსტად ასე ეშინოდა პირის დაღებისა.

– უნდა ვისაუზმოთ, – ხალისიანად თქვა ჰარიმ, – წავედით.

დიდი დარბაზი უცებ გაივსო ხალხით. მშვენიერი განწყობა ჰქონდათ, ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. როცა სლიზერინელთა მაგიდას ჩაუარეს, იქ ხმაური ატყდა. ჰარი შებრუნდა და დაინახა, რომ მომწვანო-მოვერცხლისფრო შარფებსა და შლაპებს გარდა, ყველას ვერცხლისფერი გვირგვინის ფორმის ნიშანი ეკეთა. სლიზერინელებმა რონს ხელი დაუქნიეს და ახარხარდნენ. ჰარი შეეცადა გაერჩია, რა ეწერა ნიშანზე, მაგრამ ვერ მოასწრო – რონი საჩქაროდ უნდა გაერიდებინა იქაურობისთვის.

გრიფინდორელები ერთი ამბით შეხვდნენ. ყველა მოოქრულ წითელ ფერებში იყო გამოწყობილი. მაგრამ ამ მხურვალე მისალმებამ არათუ გაამხნევა რონი, პირიქით, თითქოს უკანასკნელი ძალაც კი გამოაცალა. უახლოეს სკამზე ისე დაეხეთქა, გეგონებოდა, მისი ბოლო საუზმე იყო.

– ალბათ, შევიშალე, როცა გუნდში თამაში მოვინდომე, – ხრინწიანი ხმით წაიჩურჩულა, – ნამდვილად შევიშალე!

– ნუ სულელობ! – შეუტია ჰარიმ და ფაფა მიუჩოჩა, – ვიცი, რომ კარგად ითამაშებ, ნერვიულობა კი ჩვეულებრივი ამბავია.

– არარაობა ვარ, – დაიკნავლა რონმა, – რომ მომკლა, ვერ ვითამაშებ. ნეტავ რას ვფიქრობდი?

– გამაგრდი, თავი შეიკავე! – მკაცრად უთხრა ჰარიმ, – გაიხსენე, როგორი ბურთი მოიგერიე ამას წინათ, ფრედმა და ჯორჯმაც კი თქვეს – რა მაგარიაო!

რონმა გატანჯული სახით შეხედა:

– შემთხვევით გამომივიდა, მე არ ვაპირებდი... ცოცხიდან ჩამოხტომას, გადმოვვარდი... თქვენ, უბრალოდ, ვერ შეამჩნიეთ... როცა უკან აძრომა დავაპირე, შემთხვევით გავკარი ბურთს ფეხი.

– არა უშავს, – ჰარი სწრაფად მოერია ახალი ამბით გამოწვეულ უსიამოვნო გრძნობას, – ერთი-ორი ასეთი შემთხვევითობა, და გამარჯვებაც განაღდებული გვაქვს.

მათ წინ ჰერმიონი და ჯინი ჩამოსხდნენ, წითელ-ოქროსფერი შარფები ეკეთათ და ასეთივე ხელთათმანები ეცვათ. სამოსზე წითელ-ოქროსფერივე ემბლემები მიემაგრებინათ.

– როგორ გრძნობ თავს? – ჰკითხა ჯინიმ რონს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი ისე დასცქეროდა რძის ნარჩენს თავის თეფშზე, თითქოს შიგ თავის დახრჩობას აპირებსო.

– ნერვიულობს, – უპასუხა ჰარიმ.

– ეგ კარგი ნიშანია, – დაამშვიდა ჰერმიონმა, – შემჩნეული მაქვს, ყველაზე უკეთ მაშინ აბარებ გამოცდას, როცა ცოტა ნერვიულობ.

– გამარჯობა, – გაისმა ნამძინარევი ხმა მათ უკან. ჰარიმ თავი ასწია და რეივენქლოელი ლუნა ლავგუდი დაინახა. მათი მაგიდისკენ ბევრი იყურებოდა. ვილაც-ვილაცეები იცინოდნენ და თითსაც იშვერდნენ. ლუნას შლაპა ნატურალური ზომის ლომის თავისთვის მიემსგავსებინა და ვერ გაიგებდით, როგორ იჩერებდა თავზე.

– მე გრიფინდორს ვქომაგობ, – განაცხადა და შლაპაზე მიუთითა, რაც ნამდვილად ზედმეტი იყო, – ნახეთ, რა შეგვიძლია...

ჯადოსნური ჯოხი შლაპაზე მიიკაკუნა. შლაპამ ხახა დააფჩინა და ისე დაიღრიალა, რომ ახლომახლო ყველა შეკრთა.

– როგორია! – მხიარულად თქვა ლუნამ, – მინდოდა, რომ გველიც ჰქონოდა პირში გაჩრილი, მაგრამ დრო არ მეყო. მოკლედ, წარმატებას გისურვებ, რონ, – დაემშვიდობა და წავიდა. სანამ ისინი გონზე მოსვლას მოასწრებდნენ, მაგიდასთან ანჯელინა ჯონსონმა მიირბინა ქეითისა და ალისიას თანხლებით. გულმოწყალე მადამ პომფრის მცდელობით, ალისია ზედმეტი წარბებისგან გათავისუფლებულიყო.

– როცა მორჩებით, პირდაპირ მოედანზე მივდივართ. ვნახავთ, როგორი ამინდია და, მაშინვე გასახდელში, – თქვა ანჯელინამ.

– მალე მოვათავებთ, რონმა უნდა ისაუზმოს, – უთხრა ჰარიმ.

მაგრამ ათიოდე წუთში ცხადი გახდა, რომ რონი ვეღარაფერს შეჭამდა, ამიტომ ჰარიმ გადაწყვიტა, პირდაპირ გასახდელში წაეყვანა. სუფრიდან რომ ადგნენ, ჰერმიონმა ხელი მოჰკიდა ჰარის, განზე გაიყვანა და ჩურჩულით უთხრა:

– შეეცადე, რონმა არ ნახოს სლიზერინელთა სამკერდე ნიშნები.

ჰარიმ გაკვირვებულმა შეხედა, ჰერმიონმა კი თავი გააქნია:

დაბნეული და სასოწარკვეთილი რონი უკვე მათკენ მიდიოდა.

– წარმატებას გისურვებ, რონ, – უთხრა ჰერმიონმა, ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა, – შენც, ჰარი.

სანამ დიდ დარბაზში მიდიოდნენ, რონი ოდნავ გახალისდა. გაოცებული იყო, თითქოს ვერ მიხვდა, რა მოხდაო, იმ ადგილს შეეხო, სადაც ჰერმიონმა აკოცა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, აშკარად სხვაგან ქროდა მისი გონება და ირგვლივ ვერც ვერაფერს ამჩნევდა. როცა სლიზერინელთა მაგიდებს ჩაუარეს, ჰარიმ მაინც მოახერხა, მათ სამკერდე ნიშნებზე ამოეკითხა: „უისლი ჩვენი მეფეა“.

ჰარიმ იგრძნო, ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა და რონი სას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წრაფოდ ჰოლში გაიყვანა, იქიდან კი ეზოში გავიდნენ და სათამაშო მოედნისკენ წავიდნენ. ფეხქვეშ გაყინული ბალახი ხრაშუნობდა. ქარი არ ქროდა, ცას ნაცრისფერი ბურუსი გადაჰკვროდა, ხილვადობა კარგი იყო, არც მზე შეუჭყიტინებდათ თვალებში. ეს ყველაფერი ჰარიმ გზა-დაგზა აუხსნა რონს, მაგრამ ეჭვობდა, რომ მას რამე ესმოდა.

ანჯელინას უკვე სპორტული ფორმა ეცვა და როცა ისინი შევიდნენ, გუნდს უკანასკნელ მითითებებს აძლევდა. ჰარიმ და რონმა მანტიები გამოიცვალეს (რონი რამდენიმე წუთს უშედეგოდ ცდილობდა, უკულმა ჩაეცვა თავისი ფორმა, სანამ ალისიას არ შეეცოდა) და დასხდნენ, რათა მათაც მოესმინათ მითითებები.

გარეთ ყაყანი ძლიერდებოდა – მაყურებელთა ნაკადი სულ უფრო მატულობდა.

– ახლაღა გავარკვიე სლიზერინელთა საბოლოო შემადგენლობა, – თქვა ანჯელინა ჯონსონმა და პერგამენტს დახედა, – წინანდელი ბიტერები, დერიკი და ბოული, აღარ არიან, მონტეგიუმ მათ ადგილზე ჩვეულებრივი გორილები აიყვანა, მეეჭვება, რომ ფრენა იცოდნენ, მათი სახელებია კრაბი და გოილი, მე მათ კარგად არ ვიცნობ.

– ჩვენ ვიცნობთ, – ერთხმად უპასუხეს ჰარიმ და რონმა.

– ისეთი ბოთეები არიან, ძნელად თუ გაარჩევენ ცოცხის თავსა და ბოლოს, – თქვა ანჯელინამ და პერგამენტი ჯიბეში ჩაიდო, – თუმცა, ყოველთვის მიკვირდა, როგორ არ იკარგებიან ეს დერიკი და ბოული გზის მაჩვენებლების გარეშე-მეთქი.

– კრაბი და გოილიც მაგ ჯიშისანი არიან, – დაარწმუნა ჰარიმ.

გასახდელში გარკვევით ისმოდა ტრიბუნების კიბეებზე ამავალთა ფეხის ხმა და სიმღერა, მაგრამ სიმღერის სიტყვებს ჰარი ვერ არჩევდა. რა თქმა უნდა, ჰარიც ღელავდა, მაგრამ იცოდა, რომ მისი ღელვა არაფერი იყო რონის შიშთან შედარებით: მას ხელი მუცელზე მიეჭირა და გაფითრებული და ტუჩებმოკუმული მისჩერებოდა სიცარიელეს.

ანჯელინამ საათს დახედა და ხმადაბლა თქვა:

– დროა! წავედით... აბა, ყოჩაღად!

ცოცხები მხარზე გაიდეს და მწკრივად გავიდნენ მოედანზე. სტადიონი ღრიანცელით, მისასალმებელი შეძახილებითა და სტვენით შეეგება. ხმაურის მიუხედავად ჰარის მაინც ესმოდა სიმღერა, თუმცა სიტყვებს ვერ არჩევდა.

სლიზერინის გუნდი მოწყობილი ელოდა მათ – გვირგვინის ფორმის ვერცხლისფერი სამკერდე ნიშნები ეკეთათ. მათი ახალი კაპიტანი მონტეგიუ ტანით დადლი დერსლის ჰგავდა, ხელები ბალნიან ღორის ბარკლებს მიუგავდა, უკან მისნაირივე ოყლაყები – კრაბი და გოილი ედგნენ, ყეყეჩი გამომეტყველებით შესცქეროდნენ ცას და ჩოგნებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქნევდნენ. მალფოი გვერდზე იდგა, ფერმკრთალი მზე გახუნებულ ქერა თმაზე დაჰნათოდა. მალფოიმ ჰარის თვალი თვალში გაუყარა, გაიკრიჭა და სამკერდე ნიშანზე მიიკაკუნა.

– კაპიტნებო, ხელი ჩამოართვით, – გასცა განკარგულება მსაჯმა, მადამ ჰუჩმა, როცა ანჯელინა სლიზერინელთა გამწკრივებულ გუნდს მიუახლოვდა. ჰარიმ შენიშნა, როგორი გამეტებით მოუჭირა ხელი მონტეგიუმ, მაგრამ ანჯელინას თვალიც არ დაუხამხამებია, – შესხედით ცოცხებზე...

მადამ ჰუჩმა სასტვენი მოიმარჯვა და დაუსტვინა.

წამსვე ბურთები აუშვეს და თოთხმეტი მოთამაშე ჰაერში აიჭრა. ჰარიმ დაინახა, როგორ გაქანდა რონი თავისი გოლპოსტებისაკენ. თვითონ ზევით აფრინდა, ბლაჯერი აიცილა, მინდვრის გვერდით, ხაზის გასწვრივ ლივლივებდა და თან ათვალიერებდა, სადმე სნიჩმა ოქროსფრად ხომ არ გაიბრწყინაო. ზუსტად იგივე გააკეთა მალფოიმ მინდვრის მეორე მხარეს.

– ქუაფლს ჯონსონი დაეუფლა, რა მოთამაშეა ეს გოგონა, რამდენი წელიწადია, ამას ვამტკიცებ, მას კი არ სურს ჩემთან შეხვედრა...

– ჯორდან! – იყვირა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– სახალისო ფაქტია, პროფესორო, რეპორტაჟის გასაცოცხლებლად... გასცდა უორინგტონს, მოატყუა მონტეგიუ... აჰ... კრაბის ნატყორცნი ბლაჯერი ხვდება... ქუაფლს მონტეგიუ დაეუფლა და მეტოქის კარისკენ გაქანდა... მაგრამ არ იბნევა ბიტერი ჯორჯ უისლი, მისი ნატყორცნი ბლაჯერი პირდაპირ თავში ხვდება მონტეგიუს, მონტეგიუს ხელიდან უვარდება ქუაფლი, ბურთი ქეითი ბელს აქვს... გრიფინდორელი ქეითი ბელი ბურთიანად წინ მიიწევს, პასი – უკან, ალისია სპინეტს...

ლი ჯორდანის კომენტარები მთელ სტადიონზე ისმოდა, ჰარი დაძაბული უგდებდა ყურს, რამდენადაც ქარის წუილი, ყაყანი, შეძახილები და სიმღერა აძლევდა ამის საშუალებას.

– სპინეტმა გვერდი აუარა უორინგტონს, ბლაჯერი აიცდინა... კიდევ ცოტაც, სპინეტ... მაყურებლები აღტაცებულნი არიან. ერთი მოგასმენინათ, რას მღერიან!

ლიმ რეპორტაჟი შეწყვიტა, რათა სიმღერისთვის დაეგდო ყური. სლიზერინელ ქომაგთა მომწვანო-მოვერცხლისფრო ტრიბუნის თავზე ხმამაღლა და გარკვევით გაისმა:

„მეფეა რონალდ უისლი,
რონალდ უისლი გმირია,
ყარის წინ დაყუდებული
გრიფინდორელი ფილია!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეფეა რონალდ უისლი,
ნაგავში დაბადებული,
მისი წყალობით მოგება
გვაქვს უკვე განადღებული.”

– ...ალისია ქუაფლს ანჯელინას უბრუნებს! – იყვირა ლიმ. გაცეცხლებულმა ჰარიმ მკვეთრად მოუხვია. მიხვდა, რომ ლი სიმღერის სიტყვების ჩახშობას ცდილობდა: – ანჯელინა... მის წინ მხოლოდ მეკარეა... სტყორცნა!.. ოო-ო!

სლიზერინელთა მეკარემ ბურთი აიღო, უორინგტონს გადააწოდა, იმან ალისიას და ქეითს გვერდი აუარა და რაც უფრო უახლოვდებოდა რონს, სიმღერაც უფრო ხმამაღლა ისმოდა:

„მეფეა რონალდ უისლი,
რონალდ უისლი გმირია,
ჯარის წინ დაყუდებული
გრიფინდორელი ცილია!”

ჰარიმ ვერ მოითმინა. სნიჩის ძებნას თავი ანება, „ელვა“ შემოაბრუნა, რათა რონისთვის შეეხედა – სამი რგოლის წინ მარტოდმარტო ლივლივებდა მისი ფიგურა, მისკენ კი ყუმბარასავით მიექანებოდა ვეებერთელა უორინგტონი.

– ქუაფლი აქვს უორინგტონს, იგი უახლოვდება გოლპოსტს. ახლა უკვე ბლაჯერებითაც ველარ მისწვდებიან, მის წინ მხოლოდ მეკარეა...

სლიზერინელთა ტრიბუნამ იქუხა:

„ჯარის წინ დაყუდებული
გრიფინდორელი ცილია!”

– ...ეს გრიფინდორის ახალი მეკარის, ფრედ და ჯორჯ უისლების ძმის, ნიჭიერი ახალბედას პირველი გამოცდაა... მაგრად დადექი, რონ!

სლიზერინელთა ტრიბუნაზე აღტაცებული ღრიალი გაისმა: რონი გაშლილი ხელებით დაეშვა ქვევით, ქუაფლი ხელებშუა გაუძვრა და პირდაპირ შუა რგოლში შევარდა.

– სლიზერინი დაწინაურდა! – გაისმა ლის ხმა გულშემატკივართა ღრიანცელსა და სტვენაში, – ათით ნული, იგებს სლიზერინი... ყურებს ნუ ჩამოყრი, რონ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სლიზერინელები უფრო ხმამაღლა ამღერდნენ:

„მეფეა რონალდ უისლი,
ნაგავში დაბადებული...”

– ბურთი გრიფინდორს აქვს. ქეითი ბელი შეუჩერებლად მიიწევს წინ, – არ ცხრებოდა ლი, მაგრამ მისი ხმა ყურისწამღებ სიმღერაში იძირებოდა:

„მისი წყალობით მოგება
გვაქვს უკვე განაღდებული...”

– ჰარი, რას აკეთებ? – შეუყვირა ანჯელინამ და ქეითის დასახმარებლად გავარდა, – გაინძერი!

ჰარი ახლაღა მიხვდა, რომ თითქმის მთელ წუთს ჰაერში ეკიდა, თამაშს თვალყურს ადევნებდა და პირწმინდად დაავიწყდა სნიჩი. თავზარდაცემული დაეშვა ძირს და მოედნის თავზე დატრიალდა, ყურადღებას აღარ აქცევდა სლიზერინელთა გუნდს.

„მეფეა რონალდ უისლი,
რონალდ უისლი გმირია...”

სნიჩი არსად ჩანდა. მალფოიც მოედანს დასტრიალებდა. მინდვრის შუაგულისკენ გაფრინდნენ და ჰარიმ გაიგონა, როგორ მღეროდა:

„ნაგავში დაბადებული...”

– და ისევ უორინგტონი, – ღრიალებდა ლი, – პასი – პიუსის, პიუსიმ გვერდი აუარა სპინეტს... მიდი, ანჯელინა, უნდა ჩაკეტო... არ გამოვიდა... ფრედ უისლი კვლავ შესანიშნავად გზავნის ბლაჯერს მოწინააღმდეგისკენ, არა, ჯორჯი ყოფილა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, და უორინგტონს ქუაფლი ხელიდან უვარდება, ბურთი ქეითი ბელმა ჩაიგდო ხელში... ეეჰ, ისიც კარგავს... ქუაფლით მონტეგიუა, სლიზერინის კაპიტანი. მონტეგიუ ქუაფლით ხელში რგოლებისკენ მიქრის... დაბლოკეთ... გრიფინდორ... მიდით!

ჰარიმ სლიზერინის რგოლებს გადაუფრინა, რონისკენ გახედვის უფლება არ მისცა თავს. მეკარეს გაუსწორდა და მოესმა, როგორ მღეროდა ბლეჩლი ქომაგებთან ერთად:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და პიუსი ისევ უკან იტოვებს ანჯელინას და რგოლებისკენ მიექანება... ყურადღება, რონ!

ჰარის არც მიუხედავს, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო: გრიფინდორის ტრიბუნას კვნესა აღმოხდა, სლიზერინელთა მხრიდან ტაში და ყვირილი გაისმა. ქვევით ჩაიხედა. ბულდოგისსახიანი პენსი პარკინსონი ტრიბუნების წინ იდგა და ქომაგთა გუნდს დირიჟორობდა:

„მისი წყალობით მოგება
გვაქვს უკვე განაღდებული.”

ოცით ნული. არა უშავს, არც ისე ბევრია, სნიჩის დაჭერაც ხომ შეიძლება! რამდენიმე გოლი, და წინ გავლენ – როგორც ყოველთვის, თავს იმშვიდებდა ჰარი და ზიგზაგებით გაეკიდა ბრჭყვიალა ნივთს, რომელიც მონტეგიუს საათის სამაჯური გამოდგა.

მაგრამ რონმა კიდევ ორი ბურთი გაუშვა. ახლა სნიჩის ძებნას, ცოტა არ იყოს, პანიკაც დაერთო. ჩქარა მაინც დაიჭიროს და დაამთავროს თამაში!

– გრიფინდორელი ქეითი ბელი ფინტით ატყუებს პიუსის, მონტეგიუს ქვემოდან გაუსხლტა – შესანიშნავი მანევრია, ქეით! გვერდი აუარა უორინგტონს და რგოლებისკენ მიექანება, წინ, ანჯელინა... გოლია! ორმოცით ათი სლიზერინელთა სასარგებლოდ, ბურთი პიუსს აქვს...

გრიფინდორელთა ყვირილში ჰარის ლუნას ლომის უცნაური ღრიალიც მოესმა და გამხნევდა. კრაბის მიერ ნატყორცნი ბლაჯერი აიცდინა და სნიჩისა და მალფოის თვალთვალი განაგრძო – ხომ შეიძლებოდა, იმას პირველს დაენახა. მაგრამ მალფოი მასავით მინდვრის გარშემო დაფრინავდა, ისიც უშედეგოდ ეძებდა ოქროს ბურთს.

– ...პიუსი აწოდებს უორინგტონს, უორინგტონი – მონტეგიუს, მონტეგიუ პიუსს უბრუნებს... ჯონსონმა ჩაჭრა გადაცემა, მიაწოდა ბელს, მშვენიერია... მაგრამ, არა, გოილის მიერ ნატყორცნი ბლაჯერი წამოეწია და ბურთი ისევ პიუსს აქვს...

„...ნაგავში დაბადებული,
მისი წყალობით მოგება
გვაქვს უკვე განაღდებული.”

ბოლოს, როგორც იქნა, დაინახა – ერთი ბეწო ფრთიანი ოქროს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბურთი სლიზერინელთა კარის ახლოს მიწიდან ორმოციოდე სანტიმეტრზე ლივლივებდა.

მაშინვე ძირს დაეშვა...

მარცხნივ მოვერცხლისფრო მწვანე ლაქასავით მიქროდა მიწისკენ ცოცხს მიკრული მალფოი...

სნიჩმა ერთ-ერთ გოლპოსტს შემოუფრინა და მოპირდაპირე მხარეს გაფრინდა. კურსის ეს ცვლილება მალფოის აძლევდა ხელს. ახლა ის უფრო ახლოს იყო ბურთთან. ჰარიმ მოატრიალა თავისი „ელვა“ და ისინი უკვე გვერდიგვერდ მიფრინავდნენ.

მიწამდე ერთი მეტრიღა იყო, როცა ჰარიმ მარჯვენა უშვა ცოცხს და სნიჩისკენ გაიწვდინა. სნიჩისკენ მალფოის ხელიც მოიწევდა და გაფარჩხული თითებით ფხოჭნიდა ჰაერს...

თავგანწირვის, სასოწარკვეთისა და ყურებში ქარის წივილის კიდევ ორი წამი, და ყველაფერი დასრულდა. ჰარის თითები აფართხალებულ პატარა ბურთს მისწვდა. მალფოის ფრჩხილებმა დაგვიანებით გაუკაწრეს ხელი. ჰარიმ ხელში მაგრად ჩაბღუჯა მოუსვენარი სნიჩი და ცოცხი ზევით მიმართა. გრიფინდორის ტრიბუნაზე აღტაცების ყვირილმა იფეთქა. მნიშვნელობა აღარა აქვს, რამდენი გოლი გაუშვა რონმა, ხვალ ამას აღარავინ გაიხსენებს, მთავარია, რომ გრიფინდორმა გაიმარჯვა...

– ბახ!

ბლაჯერი ზუსტად წელში მოხვდა და ცოცხიდან გადმოაგდო. საბედნიეროდ, მიწამდე სულ ორი მეტრიღა იყო დარჩენილი. ჰარიმ სნიჩი თითქმის მიწის პირზე დაიჭირა, მაგრამ გაყინულ მინდორზე ზურგით დაეცა და სუნთქვა შეეკრა. წამსვე გაიგონა მსაჯის სასტვენის ხმა, აღშფოთებული შეძახილები და სტვენა, მერე – საკუთარი სხეულის ბრაგვანი და ანჯელინას შეშფოთებული შეძახილი:

– როგორ ხარ?

– რა თქმა უნდა, კარგად, – უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა და ხელი ჩაჰკიდა, რომ ფეხზე წამომდგარიყო.

მადამ ჰუჩი ერთ-ერთ სლიზერინელს დასტრიალებდა თავს, მაგრამ აქედან არ ჩანდა, ვის.

– ბანდიტი კრაბი იყო, – გაბრაზებულმა თქვა ანჯელინამ,

– ბლაჯერი მაშინ გესროლა, როცა სნიჩი უკვე ხელში გეჭირა. მაგრამ ჩვენ მოვიგეთ, ჰარი, მოვიგეთ!

უკნიდან ქშენა მოესმა. სნიჩი ხელიდან არ გაუშვია, ისე შებრუნდა. იქვე დრაკო მალფოი დაეშვა მიწაზე. რისხვისგან გაფითრებულმა ნაძალადევი ღიმილით უთხრა:

– გადაარჩინე უისლი შერცხვენისგან? ამაზე უარესი მეკარე არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მინახავს... თუმცა, ის ხომ ნაგავში დაიბადა. მოგეწონა ჩემი ლექსი, პოტერ?

ჰარის პასუხი არ გაუცია. თანაგუნდელებისკენ შებრუნდა – ერთიმეორის მიყოლებით ყიჟინითა და მუშტების ქნევით ეშვებოდნენ ძირს ყველანი, რონის გარდა, რომელიც ნელა დაეშვა, ცოცხიდან გადმოვიდა და მარტოდმარტო წალასლასდა გასახდელისკენ.

– ერთი-ორი სტროფის შეთხზვა კიდევ გვინდოდა, – იყვირა მალფოიმ. ალისია და ქეითი ჰარის ეხვეოდნენ, – მაგრამ „სქელსა“ და „მახინჯს“ რითმა ვერ მოვუძებნეთ, დედამისზე გვინდოდა გვემღერა...

– კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო... – ვალში არ დარჩა ანჯელინა და ზიზღით გახედა მალფოის.

– ...და ვერც „ხელმოცარული“ და „არაფრის მაქნისი“ მივუსადაგეთ ერთმანეთს, ეს, რა თქმა უნდა, – მამამისზე.

ფრედი და ჯორჯი ის იყო ჰარის ხელს ართმევდნენ, როცა ეს გაიგონეს. მაშინვე მალფოის მიუტრიალდნენ.

– დაანებეთ თავი! – ანჯელინამ ფრედს ხელზე სტაცა ხელი, – დაანებე თავი, იღრიალოს. გამწარებულია, რომ წააგო.

– მაგრამ შენ, მგონი, გიყვარს ეს ოჯახი, პოტერ, არა? – არ ცხრებოდა მალფოი, – არდადეგებს იქ ატარებ. მაინც როგორ უძლებ ამ სიმყრალეს, თუმცა, რა, მაგლებთან ცხოვრების მერე ნაგავიც სამოთხედ გეჩვენება.

ჰარი ჯორჯს იჭერდა, ანჯელინა, ალისია და ქეითი – ფრედს. მალფოისკენ იწევდნენ, ის კი სახეში შესცინოდათ. ჰარიმ თვალებით მადამ ჰუჩი მოძებნა, მაგრამ ის ჯერ ისევ კრაბს საყვედურობდა არასპორტული საქციელისთვის.

– ან იქნებ გახსოვს კიდეც, როგორი სუნი იდგა დედაშენის სახლში, – უკან-უკან იხევდა და ისე აგრძელებდა მალფოი, – და უისლის საღორეში ნაცნობი სუნი იკარი?

ჰარიმ ვერც იგრძნო, როგორ უშვა ხელი ჯორჯს. წამის შემდეგ ორივენი მალფოისკენ მირბოდნენ. სულ დაავიწყდა, რომ ეს ყველაფერი თითქმის ყველა მასწავლებლის თვალწინ ხდებოდა. მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მაგრად გაემწარებინა მალფოი. ჯადოსნური ჯოხის ამოღების დრო აღარც იყო, სნიჩიანი მუშტი მთელი ძალით ჩასცხო მუცელში.

– ჰარი! ჰარი! ჯორჯ! შეჩერდით!

ესმოდა გოგონების ყვირილი, მალფოის კვნესა, მსაჯის სასტვენის ხმა, ტრიბუნების ღრიალი, მაგრამ მისთვის სულერთი იყო. სანამ ვიღაცამ იქვე გვერდით არ დაიძახა „იმპედიმენტა!“ და შელოცვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძალით უკან არ გადააგდო, ჰარი მუშტებს უბრაგუნებდა მალფოის.

– რას აკეთებთ! – იყვირა მადამ ჰუჩმა.

ჰარი ფეხზე წამოდგა. როგორც ჩანს, მადამ ჰუჩმა წააქცია შელოცვით – ერთ ხელში სასტვენი ეჭირა, მეორეში – ჯადოსნური ჯოხი, რამდენიმე ნაბიჯს იქით მისი ცოცხი ეგდო. მალფოი მოკრუნჩხული იწვა მიწაზე, კვნესოდა და სლუკუნებდა, ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ჯორჯს ტუჩი გასივებოდა, ფრედს სამი თანაგუნდელი აკავებდა, მათ უკან კი კრაბი ხითხითებდა.

– არასდროს მინახავს ცხოვრებაში ასეთი საქციელი! აბა, მოუსვით ციხე-კოშკში, თქვენ, ორივემ, თქვენი ხელმძღვანელის კაბინეტში. წადით, ახლავე!

ჰარი და ჯორჯი უხმოდ გაეცალნენ მინდორს. ორივე მძიმედ სუნთქავდა. მაყურებელთა ყიჟინა ნელ-ნელა უკან დარჩა. ჰოლში რომ შევიდნენ, საკუთარი ფეხის ხმის გარდა არაფერი ესმოდათ. ჰარიმ მარჯვენა ხელში რაღაც ფართხალი იგრძნო, მუშტი მალფოის ყბებზე გადაუტყავდა, სნიჩის ვერცხლისფერი ფრთები თითებს შორის გამოსჩროდა და ფართხალებდა – ბურთს თავისუფლება უნდოდა.

პროფესორი მაკგონაგელი მათ თავისი კაბინეტის კართან დაეწია. გაფითრებულმა აკანკალებული ხელით მოიძრო მხრებზე შემოხვეული გრიფინდორის ემბლემიანი შარფი, კარზე უჩვენა და ბრძანა: შედით!

თავის მაგიდასთან შეჩერდა და რისხვისგან აცახცახებულმა შარფი იატაკზე მოისროლა.

– ასეთ უმსგავსობას არსად გადავყრივარ. ორნი ერთზე! რით გაიმართლებთ თავს?!

– მალფოიმ გამოგვიწვია, – ძლივს ამოთქვა ჰარიმ.

– გამოგიწვიათ? – იყვირა მაკგონაგელმა და ისე დასცხო მუშტი მაგიდას, რომ შოტლანდიურ სტილში მოხატული კუბოკრული კოლოფი ძირს გადმოვარდა, ხმაურით გასკდა და ჯანჯაფილიანი ტრიტონები იატაკზე გაიშალა, – ის დამარცხდა და, რა თქმა უნდა, თქვენი გაბრაზება უნდოდა! მაგრამ ისეთი რა უნდა ეთქვა, რომ ორივე...

– მალფოიმ შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს მშობლებს, – დაიღრინა ჯორჯმა, – და ჰარის დედას.

– და იმის ნაცვლად, მადამ ჰუჩისთვის მიგეცათ საშუალება, ყველაფერში გარკვეულიყო, გადაწყვიტეთ მაყურებლი მაგლური ცხვირ-პირის მტვრევით გაგერთოთ? წარმოგიდგენიათ კი, რა...

– უჰუ, უჰუ...

ჰარი და ჯორჯი ერთბაშად შებრუნდნენ. კარში დოლორეს ამბრი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯი იდგა. მწვანე ტვიდის მანტია კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის მსგავსებას გიგანტურ გომბეშოსთან. სახეზე საზიზღარი ღიმილი გადაჰკვროდა, რაც ჰარის უბედურების მეტს არაფერს ჰპირდებოდა.

– ვერაფრით დაგეხმარებით, პროფესორო მაკგონაგელ? – იკითხა გესლგარეული ალერსიანი ტონით. მაკგონაგელს სახეზე სისხლი მოაწვა.

– დამეხმარებით? – გაიმეორა ჩამქრალი ხმით, – რას ნიშნავს, „დამეხმარებით“?

იმავე საზიზღარი ღიმილით ამბრიჯი ოთახში შემოვიდა.

– ვიფიქრე, მადლიერების გრძნობით მიიღებდით ხელმძღვანელობის კიდევ ერთი წარმომადგენლის დახმარებას.

– სწორად ვერ იფიქრეთ, – მაკგონაგელმა ზურგი შეაქცია, – თქვენ ორმა კი ყურადღებით მომისმინეთ: ჩემთვის სულერთია, რანაირად უნდოდა მალფოის თქვენი პროვოცირება, თუნდაც შეურაცხყოფა მიეყენებინა თქვენი ოჯახების თითოეული წევრისთვის, თქვენი საქციელის გამართლება არაფრით არ შეიძლება, ერთი კვირით გტოვებთ გაკვეთილების შემდეგ! და ნუ მიყურებთ ასე, პოტერ, თქვენ ეს დაიმსახურეთ! და თუ ერთხელ კიდევ...

– უჰუ, უჰუ...

პროფესორმა მაკგონაგელმა თვალები დახუჭა, თითქოს ზეცას მოთმინებას შესთხოვსო და ამბრიჯისკენ შებრუნდა.

– დიახ.

– ვფიქრობ, უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებენ, – უფრო დაიტკბო ღიმილი ამბრიჯმა.

მაკგონაგელმა თვალი გაახილა.

– სამწუხაროდ, – დაიწყო მან და სცადა, ისეთივე ღიმილით ეპასუხა, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ როგორღაც უხერხულად მოეღრიცა ყბა, – აქ არსებითია ის, თუ რას ვფიქრობ მე, რადგან ეს ჩემი კლუბია, დოლორეს.

– იძულებული ვარ, გული გატკინოთ, მინერვა, – ამბრიჯს სულელურმა ღიმილმა მოუმანჭა სახე, – თქვენ ახლა დარწმუნდებით, რომ არსებითი ჩემი მოსაზრებაა. სად არის? კორნელიუსმა ახლახან გამომიგზავნა... – ყალბი სიცილით ააფათურა ხელი ჩანთაში, – მინისტრმა... ჰო, აი, ვიპოვე...

პერგამენტი ამოიღო და გაშალა. კაცმა არ იცის, რატომ ჩაახველა, მერე კითხვა დაიწყო:

– უჰუ, უჰუ... დეკრეტი N 25 განათლების შესახებ...

– კიდევ ერთი?! – წამოიძახა მაკგონაგელმა.

– დიახ, დიახ, – ღიმილით დაუდასტურა ამბრიჯმა, – და არსები-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თად, სწორედ თქვენ დამარწმუნეთ, მინერვა, რომ აუცილებლად ვსაჭიროებთ დამატებას... გახსოვთ, როგორ გაიტანეთ თქვენი, როცა არ მინდოდა გრიფინდორის გუნდის შემადგენლობის დამტკიცება? თქვენ ჩააყენეთ საქმის კურსში დამბლდორი და მან გუნდს თამაშის ნება დართო. მე ამას ვერ შევეგუებოდი. მაშინვე დავუკავშირდი მინისტრს, ის დამეთანხმა, რომ გენერალურ ინსპექტორს უფლება აქვს, ნებისმიერ მოსწავლეს ჩამოართვას პრივილეგიები, სხვაგვარად მას, – ესე იგი, მე, – უფრო ნაკლები უფლებები ექნება, ვიდრე რიგით მასწავლებელს! ახლა თქვენ ხედავთ, მინერვა, რამდენად მართალი ვიყავი, როცა უარს ვამბობდი გრიფინდორის გუნდის შემადგენლობის დამტკიცებაზე? საშინელი ხასიათებისანი არიან... თუმცა, ვკითხულობ დამატებას... უჰუ, უჰუ...

„დღეიდან გენერალურ ინსპექტორს ეძლევა გადამწყვეტი ხმა სასჯელის განსაზღვრისას, სანქციების დაწესებისას, აგრეთვე, პრივილეგიების ჩამორთმევისას, რომელიც ჰოგვორტსის მოსწავლეებისთვის არის განსაზღვრული, აგრეთვე, მასწავლებლების მიერ დადგენილი სასჯელის, სანქციებისა და პრივილეგიების შეზღუდვის შეცვლის უფლება“. ხელმოწერილია: კორნელიუს ფაჯი, მაგიის მინისტრი, მერლინის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი და ა.შ. და ა.შ.

პერგამენტი დაახვია და ისე, რომ ღიმილი არ მოუცილებია სახიდან, ჩანთაში შეინახა.

– მაშ, ასე... მე მიმაჩნია, რომ სამუდამოდ უნდა ავუკრძალოთ ამ ორ მოთამაშეს ქვიდიჩის თამაში, – განაცხადა და ხან ჰარის შეხედავდა, ხან – ჯორჯს.

ჰარიმ იგრძნო, რომ სნიჩი გამწარებული აუფართხალდა ხელში.

– ჩვენ უნდა აგვიკრძალოთ? – საკუთარი ხმა თითქოს შორიდან ესმოდა, – სამუდამოდ?

– დიახ, პოტერ, ვფიქრობ, სამუდამო დისკვალიფიკაცია სასიკეთოდ წაგადგებათ, – ამბრიჯი აკვირდებოდა, როგორ ცდილობდა ჰარი ნათქვამის აღქმას, თან ბოლომდე გარღვეული პირით იღიმებოდა, – თქვენც და ჯორჯ უისლისაც. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ საიმედოობისთვის ამ ახალგაზრდა კაცის ტყუპისცალსაც დავსჯით. დარწმუნებული ვარ, თანაგუნდელებს რომ არ დაეჭირათ, ისიც ეცემოდა მალფოის. მე მოვითხოვ, რომ მათ ცოცხებს კონფისკაცია გავუკეთოთ და ჩემს კაბინეტში შევინახოთ, რათა ცდუნებამ არ სძლიოთ და ხელი არ წაუცდეთ. მაგრამ მე ფანატიკოსი არა ვარ, პროფესორო, – ისევ მიმართა ყინულის ქანდაკებასავით გაშეშებულ მაკგონაგელს, – გუნდის დანარჩენ წევრებს შეუძლიათ, ითამაშონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათ არ გამოუვლენიათ ძალადობისკენ მიდრეკილება. კარგი... აბა, ბედნიერად...

და საოცრად კმაყოფილი ამბრიჯი კაბინეტიდან გავიდა, იქაურობა კი მდუმარებამ მოიცვა.

* * *

– აუკრძალეს, – დაიკვნესა ანჯელინამ, როცა საღამოს ერთად შეგროვდნენ საერთო ოთახში, – აუკრძალეს. სიკერისა და ბიტერების გარეშე დარჩენილი გუნდი რაღა გუნდია?

გამარჯვების განწყობა ხელის ერთი მოსმით ჩაქრა. საითაც უნდა გაეხედა ჰარის, ყველგან ნაღვლიან და გაბოროტებულ სახეებს ხედავდა. თვითონ გუნდის წევრები კი ნაცემებივით ეყარნენ სავარძლებში, ბუხრის წინ. ყველანი, რონის გარდა. ის მატჩის დამთავრების შემდეგ აღარც გამოჩენილა.

– ეს უსამართლობაა, – ამბობდა ჯავრით გულგასივებული ალისია, – კრაბმა სასტვენის შემდეგ ესროლა ბლაჯერი და ვითომცდა არაფერი!

– ჰო, – ნირწამხდარმა დაუდასტურა ჯინიმ (ის და ჰერმიონი ჰარის აქეთ-იქით ესხდნენ), – მხოლოდ ოდნავ დატუქსეს. გავიგონე, როგორ იცინოდა ვახშამზე მონტეგიუ.

– ფრედისგან რაღა უნდოდათ, მას ხომ არაფერი დაუშავებია! – მუშტი დაირტყა მუხლზე ალისიამ.

– ჩემი ბრალი არ არის, რომ არაფერი დამიშავებია, – აიჯაგრა ფრედი, – თქვენ რომ არ დაგეჭირეთ, გავსრესდი იმ გველის წიწილს.

ჰარიც ნირწამხდარი იყურებოდა ფანჯარაში. თოვდა. გათავისუფლებული სნიჩი ოთახში ტრიალებდა და ტრიალებდა, ბიჭები მონუსხულებივით შესცქეროდნენ, ბო სავარძელზე დახტოდა და ცდილობდა, დაეჭირა.

ანჯელინამ ძლივს ასწია წელი.

– წავალ, დავიძინებ, იქნებ ხვალ აღმოჩნდეს, რომ ეს ყველაფერი ცუდი სიზმარი იყო... ხვალ გამეღვიძება და აღმოჩნდება, რომ არც კი გვითამაშია.

მალე მას ალისია და ქეითიც მიჰყვნენ. მოგვიანებით საძინებელში ფრედი და ჯორჯი წალასლასდნენ. გზადაგზა ყველას უბღვერდნენ. მერე კი ჯინიც წავიდა. ბუხართან მხოლოდ ჰერმიონი და ჰარი დარჩნენ.

– ნახე რონი? – ხმადაბლა ჰკითხა ჰერმიონმა. ჰარიმ თავი გააქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მგონი, გაგვირბის, – უთხრა ჰერმიონმა, – როგორ ფიქრობ, სად უნდა იყოს?

იმავე წამს უკნიდან ჭრიალი მოესმათ. ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტი გვერდზე გაიწია და ხვრელში ფერმკრთალი, თმადათოვლილი რონი გამოჩნდა. მეგობრები რომ დაინახა, სარგადაყლაპულივით გაშეშდა.

ჰერმიონი წამოხტა.

– სად დადიხარ?

– ვსეირნობდი, – წაიბურტყუნა რონმა. ისევ სპორტული ფორმა ეცვა.

– სულ გათოშილხარ, დაჯექი ბუხართან, – უთხრა ჰერმიონმა.

რონს ჰარისთვის არ შეუხედავს, ისე დაჯდა ყველაზე მოშორებულ სავარძელში. უპატრონო სნიჩმა მათ თავებზე გაიწუილა.

– მაპატიე, – წაიდუდღუნა რონმა და იატაკს დააცქერდა.

– რა გაპატიო? – ჰკითხა ჰარიმ.

– ვფიქრობდი, რომ ქვიდიჩის თამაშს შევძლებდი. ხვალ დილიდან უარს ვიტყვი.

– უარს იტყვი?! – გაბრაზდა ჰარი, – გუნდში სამი კაციღა დარჩება, – და რონის გაკვირვებული გამოხედვის შემდეგ დაამატა: – ჩვენ სამუდამოდ გაგვაძევეს – მე, ჯორჯი და ფრედი.

– რა? – სუნთქვა შეეკრა რონს.

ჰერმიონმა ყველაფერი უამბო. ჰარის ამ ამბის ხელმეორედ მოყოლის თავი არ ჰქონდა. ამის მერე რონს ისედაც გატანჯული სახე კიდევ უფრო მოექუფრა.

– ყველაფერში მე ვარ დამნაშავე...

– შენ არ გითქვამს ჩემთვის, მალფოის ეციო, – გაბრაზებული შეედავა ჰარი.

– ...მე რომ არ შევრცხვენილიყავი ქვიდიჩზე...

– ეგ რა შუაშია?

– სიმღერაზე ავირიე...

– შენს ადგილზე ნებისმიერი აირეოდა...

ჰერმიონი ადგა, მოკამათეებს გაეცალა და ფანჯარასთან მივიდა. გარეთ ბარდნიდა.

– იცი რა, მორჩი! – აფეთქდა ჰარი, – შენი სინდისის ქენჯნაღა მაკლდა! ისედაც ცუდად ვარ!

რონი გაჩუმდა. მოღუშული დააცქერდა თავისი მანტიის სველ კალთას. ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

– ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამაგიეროდ, მარტო აღარ ხარ, – უპასუხა გაგულისებულმა ჰარიმ.

– მე მგონი, რაღაცით შემიძლია, განუგეშოთ, – ოდნავ აკანკალებული ხმით თქვა ჰერმიონმა.

– მაინც, რით? – წაიბუზღუნა ჰარიმ.

– აი, რით, – ფიფქებაკრულ შავ ფანჯარას მოსცილდა ღიმილით სახეგაბადრული ჰერმიონი, – ჰაგრიდი დაბრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოცე

ჰაგრიდის ნაამბობი

ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამისა და ონავრების რუკისთვის საძინებელში აირბინა და რონთან ერთად ისე სწრაფად დაბრუნდა უკან, რომ, სულ ცოტა, ხუთ წუთს კიდევ უცდიდნენ ჰერმიონს. ჰერმიონი შარფით, ხელთათმანებითა და ელფებისთვის მოქსოვილი ქუდით გამოეცხადათ.

– გარეთ ხომ ცივა! – მოიბოდიშასავით, როცა რონს მოუთმენლობა შეამჩნია.

პორტრეტის ხვრელში გაძვრნენ და სასწრაფოდ წამოისხეს უჩინმაჩინის მოსასხამი. რონი იმსიმაღლე გამხდარიყო, ფეხები რომ არ გამოსჩენოდა, ჩაცუცქულს მოუხდა სიარული. ფრთხილად მიდიოდნენ. ბევრი კიბე უნდა გაევლოთ. დროდადრო ჩერდებოდნენ და რუკაზე ამოწმებდნენ, სადმე შორიახლოს ფილჩი და მისის ნორისი ხომ არ დაძრწოდნენ. ბედის წყალობით მხოლოდ თითქმის უთავო ნიკს გადააწყდნენ. ჭერში დალივლივებდა და თავისთვის ანგარიშმიუცემლად ღიღინებდა რაღაც სიმღერას, რომელიც ძალიან ჰგავდა „მეფეა რონალდ უისლის“. ჰოლი გაიარეს და დათოვლილ მდელოზე გავიდნენ. ჰარის გული აუჩქროლდა – წინ ოქროსფერი სინათლე და ჰაგრიდის ქოხიდან ამოსული ბოლი მოჩანდა. აღელვებულმა ნაბიჯს აუჩქარა, რონი და ჰერმიონი ლამის ფეხებში ებლანდებოდნენ ერთმანეთს. როგორც იქნა, ხის კარამდე მიაღწიეს. ჰარიმ სამჯერ დააკაკუნა. ქოხიდან ძაღლის გაავებული ყეფა მოისმა.

– ჰაგრიდ, ჩვენა ვართ, – ჩასძახა ჰარიმ გასაღების ჭუჭრუტანაში.

– ვითომ არ ვიცი, რა, – უპასუხა უხეშმა ხმამ.

მოსასხამის ქვეშ შეყუჟულებმა სიხარულით გადახედეს ერთმანეთს – ჰაგრიდს ბუზღუნზეც კი ეტყობოდა, რომ მათი სტუმრობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ესიამოვნა: „სამი წამიც არ გასულა, რაც შინ დავბრუნდი. გამეცალე, ფენგ... გაიწი, შე უქნარა ძაღლო...“

ურდული გაიწია, კარმა გაიჭრიალა და ღიობში ჰაგრიდმა გამოყო თავი.

ჰერმიონმა შეჰკივლა.

– ჩუმად, ეშმაკმა დასწყევლოს! – დაუცაცხანა ჰაგრიდმა, – უჩინ-მაჩინის მოსასხამი გახურავთ? დროზე შემოდით, შემოდით!

– გვაპატიე, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, როცა ოთახში შეძვრნენ და მოსასხამი მოიხსნეს, – მე მხოლოდ... ვაიმე, ჰაგრიდ!

– არაფერია, არაფერია, – ჩაილაპარაკა ჰაგრიდმა, კარი მიხურა და სასწრაფოდ ფარდებიც ჩამოაფარა.

ჰერმიონი შეშფოთებული შეჰყურებდა. ჰაგრიდს სისხლით მოთხვრილი თმა ალაგ-ალაგ შესწებებოდა, მარცხენა ჩაშავებულ-ჩალურჯებული თვალი გასივებოდა და ძლივსღა ახელდა. სახე და ხელები დაკაწრული ჰქონდა, აქა-იქ სისხლიც სდიოდა და როგორღაც გვერდულად მოძრაობდა. ალბათ, ჩამტვრეული ნეკნები აწუხებსო, იფიქრა ჰარიმ. ეტყობა, სულ ახალი დაბრუნებული იყო. სკამის ზურგზე შავი, სქელი სამგზავრო ლაბადა ეკიდა. კედელზე, კართან, იმოდენა ზურგჩანთა მიეყუდებინა, შიგ რამდენიმე ბავშვი ჩაეტეოდა. ორი კაცის სიმაღლე ჰაგრიდი კოჭლობით მივიდა ბუხართან და სპილენძის ჩაიდანი შემოდგა ცეცხლზე. ფენგი მოუსვენრად ხტოდა და ცდილობდა, ბავშვებისთვის სახე გაელოკა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა ჰარიმ.

– არაფერი, – ჩვეული სიმხნევით მიუგო ჰაგრიდმა, – ჩაიზე დამეწვევით?

– შენთვის დაისხი, შენ უფრო გჭირდება. არ იტყვი, რა გჭირს? – უთხრა რონმა.

– ხომ გითხარით, არაფერი-მეთქი, – ჰაგრიდი წელში გაიმართა და სტუმრებს გაუღიმა, თუმცა სახე სულ ოდნავ შეეჭმუხნა, – რომ იცოდეთ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა. კარგად გაატარეთ ზაფხული?

– ჰაგრიდ, თავს დაგესხნენ, არა? – ჩაეძია რონი.

– მერამდენედ უნდა გითხრათ, არაფერია-მეთქი!

– ჩვენ რომ მოვსულიყავით შენთან ასე ცხვირპირდალეწილები, მაშინაც იტყოდი, არაფერიაო? – არ მოეშვა რონი.

– იქნებ მადამ პომფრისთან შეგვევლო, ჰაგრიდ, – ურჩია ჰერმიონმა, – სერიოზული ჭრილობებია.

– უექიმოდაც მივხედავ თავს, გასაგებია?! – მოუჭრა ჰაგრიდმა, ქოხის შუაში მდგარ ხის ვეებერთელა მაგიდასთან მივიდა და ჭურჭლის ტილო გადააძრო. ტილოს ქვეშ ავტომობილის საბურავი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სოდენა სიმწვანეშეპარული სისხლიანი ხორცის ნაჭერი აღმოჩნდა.

– შენ რა, ამის ჭამას აპირებ? – აიმრიზა რონი, – მოწამლულს ჰგავს.

– აბა, რას უნდა ჰგავდეს? დრაკონის ხორცია. საჭმელად არ მომიტანია.

ხელი დასტაცა, მარცხენა ლოყაზე მიიტყეპა და სიამოვნებისგან აკრუსუნდა. წვერზე მომწვანო ფერის სისხლი ჩამოეწვეთა.

– ახლა უკეთ ვარ. წვავს, მაგრამ ძაან შველის.

– ჰა, მოგვიყვები თუ არა, რა მოხდა? – ჰკითხა ჰარიმ.

– არ შემიძლია, ჰარი, საიდუმლოა. რომ მოვყვე, მარტო სამსახურიდან კი არ დამითხოვენ!

– თქვი, გოლიათებმა დაგამშვენეს, არა? – წყნარად ჰკითხა ჰერმიონმა.

– გოლიათებმა? – ჰაგრიდმა ლოყიდან ჩამოსრიალებული ბიფშტექსი დაიჭირა და ისევ მიიტყეპა სახეზე, – ვინ გითხრა, გოლიათებმაო? ვის ელაპარაკე? ვინ რა მოჩმახა? სად?.. ვინ წამოროშა, რომ მე... ჰა?

– ჩვენ თვითონ მივხვდით, – თითქოს მოუბოდიშა ჰერმიონმა.

– ა, მიხვდით... – ჰაგრიდი მკაცრად უცქეროდა იმ თვალით, რომელიც ხორცის ნაჭრით არ ჰქონდა დაფარული.

– რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა, – თქვა რონმა. ჰარიმაც კვერი დაუკრა. ჰაგრიდმა გაბრაზებულმა შეათვალიერა სტუმრები, ხორცი მაგიდაზე დააგდო და აშიშინებულ ჩაიდანთან მივიდა.

– ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი მოცლილი ბავშვები, – ბუზღუნებდა და თან ქაფქაფა წყალს ვედროს ფორმის ფინჯნებში ასხამდა, – მეტისმეტად ცნობისმოყვარეები ხართ. სადაც საჭირო არ არის, იქ ყოფთ ცხვირს.

მაგრამ ხშირ წვერში თითქოს ღიმილი გაუკრთა.

– მაშ, გოლიათებს ეძებდი? – ღიმილით ჰკითხა ჰარიმ და მაგიდასთან დაჯდა.

ჰაგრიდმა ფინჯნები დაუდგა ყველას, თვითონაც დაჯდა, თავისი ხორცის ნაჭერი აიღო და ისევ სახეზე მიიტყეპა.

– კარგი. ვთქვათ, ვეძებდი.

– მერე, იპოვე? – თითქმის ჩურჩულით ჰკითხა ჰერმიონმა.

– დიდად არ გამჭირვებია, ჯუჯები ხომ არ არიან.

– სად მიაგენი? – იკითხა რონმა.

– მთებში, – ჩაიდუდუნა ჰაგრიდმა.

– მერე, მაგლები მათ არასოდეს...

– როგორ არა, ოლონდ, ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობენ: უბედური შემთხვევა მოხდა მთებში, ალპინისტებს შეემთხვათ უბე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დურება... – შეაწყვეტინა ჰაგრიდმა და ხორცის ნაჭერი ყველაზე დიდი ჩალურჯებული ადგილისკენ გასწია.

– მიდი, ჰაგრიდ, მოყევი, რას აკეთებდი, – წააქეზა რონმა, – მოყევი, როგორ წაეჩხუბე გოლიათებს, ჰარი კი იმას მოგიყვება, დემენტორები როგორ დაესხნენ თავს.

ჰაგრიდს ჩაი სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა. დრაკონის კომპრესიც ჩამოუვარდა და იატაკზე მოადინა ტყაპანი. მაგიდა ჩაითა და სისხლით მოირწყო.

– რაო, რა თქვი? დემენტორებიო?

– შენ რა, არ იცოდი? – თვალები გაუფართოვდა ჰერმიონს.

– არაფერიც არ ვიცოდი, სანამ აქ არ ვიყავი. საიდუმლო დავალებას ვასრულებდი. არ შეიძლებოდა, რომ მთელი ეს დრო ბუებს ეფრინათ ჩემთან. წყეული დემენტორები! ხომ არ მატყუებთ?

– არა, რა თქმა უნდა. ლიტლ-უინგინგში მოვიდნენ, მე და ჩემს დეიდაშვილს დაგვესხნენ თავს, მერე კი მაგიის სამინისტრომ გამრიცხა...

– რაო?

– და მოსმენაზე გამომიძახა. მაგრამ ჯერ გოლიათებზე მოყევი...

– გაგრიცხეს?

– ჯერ შენ მოყევი, მთელ ზაფხულს რას აკეთებდი, და მერე მეც მოგიყვები.

ჰაგრიდი საღი თვალით მიაშტერდა. ჰარიმ გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო და ბოლომდე გაუძლო მის მზერას.

– კარგი, ეგრე იყოს, – ჰაგრიდი დაიხარა და ფენგს პირიდან დრაკონის ხორცი გამოჰგლიჯა.

– ჰაგრიდ, ასე როგორ შეიძლება! ეს ხომ არაჰიგიენურია... – დაიწყო ჰერმიონმა, მაგრამ ჰაგრიდმა ხორცი მაშინვე ჩალურჯებულ თვალზე მიიდო, ჩაი მოსვა და დაიწყო:

– ესე იგი, როგორც კი სწავლა დამთავრდა, მაშინვე გავემგზავრეთ...

– მადამ მაქსიმთან ერთად? – შეაწყვეტინა ჰერმიონმა.

– ჰო, აბა, – ჰაგრიდს ხორცით დაუფარავი სახის ნაწილი გაებადრა, – რა თქმა უნდა, ორნი წავედით. უნდა გითხრათ, რომ სულაც არ არის ნებიერა, ოლიმპზე გეუბნებით. ჰო, ლამაზი, მშვენიერი გარეგნობის ქალია... მე კი ვიცოდი, სადაც მივდიოდით, მაგრამ კლდეებზე ეს როგორ იბლოტიალებს, ღამის გათევა კი გამოქვაბულებში მოუწევსმეთქი, – ვფიქრობდი. მას კი... ერთხელაც არ დაუწუწუნია.

– შენ იცოდი, სადაც მიდიოდი? – ჰკითხა ჰარიმ, – იცოდი, სად ცხოვრობენ გოლიათები?

– დამბლდორმა მიგვასწავლა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმალებიან? – ჰკითხა რონმა, – არავინ იცის, სად ცხოვრობენ?

– რა სისულელეა, – ჰაგრიდმა გაბურძგნილი თავი გააქნია, – უბრალოდ, ჯადოქრებს გოლიათები სულ ფეხებზე ჰკიდიათ, ოღონდ მათგან შორს იყვნენ. მაგრამ იმ ადგილზე მისვლა, სადაც ისინი ცხოვრობენ, ძნელია, განსაკუთრებით კი – ადამიანებისთვის. ამიტომაც დაგვჭირდა დამბლდორის მითითებები. მთელ თვეს მოვუნდით.

– მთელ თვეს? – ისე გაიკვირვა რონმა, თითქოს ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის ამბავს პირველად ისმენდა, – თქვენც ამდგარიყავით და, პორტაჟით გესარგებლათ!

ჰაგრიდმა საღი თვალით მედიდურად გადახედა რონს:

– ჩვენ ხომ გვითვალთვალებენ, რონ!

– ეგ როგორ?

– რით ვერ გაიგე! სამინისტრო თვალყურს ადევნებს დამბლდორს და იმათაც, ვინც მასთან არის შეკრული, მათი აზრით, რა თქმა უნდა.

– ეგ ვიცით, – ჩაერია ჰარი, ერთი სული ჰქონდა, ამბის გაგრძელება მოესმინა, – ვიცით, რომ სამინისტრო დამბლდორს უთვალთვალებს.

– ესე იგი, ჯადოსნური ტრანსპორტით იქამდე ვერ მიაღწევდი? – ჩაეკითხა გაოგნებული რონი, – მთელი გზა მაგლივით გაიარე?

– როგორ აგიხსნათ, სუ მთელი გზა არა, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ჰაგრიდმა, – მაგრამ სიფრთხილე გვმართებდა. მე და ოლიმპი, ხო იცით, არც ისე ძნელი შესამჩნევები ვართ...

რონმა ჩაიფხუკუნასავით და სასწრაფოდ ფინჯანში ჩარგო ცხვირი.

– ...ჩვენი თვალთვალი ხომ ადვილია. თავი ისე დავიჭირეთ, თითქოს ერთად მივდიოდით შვებულებაში. ჩავედით საფრანგეთში და ვითომ ოლიმპის სკოლაში მივდივართ. ვიცით, ვილაც სამინისტროელი დაგვდევს. ჰოდა, მივდივართ ნელ-ნელა, მე ხომ ჯადოქრობის გამოყენება აკრძალული მაქვს. სამინისტრო კი მხოლოდ იმას ელის, რომ გამომიჭიროს. მაგრამ მდევარი მაინც მოვიცილეთ, დიჟონთან ახლოს...

– აუჰ, დიჟონთან? – გაუხარდა ჰერმიონს, – მე იქ არდადეგებზე ვიყავი. თუ ნახე იქაური... – მაგრამ რონის გამოხედვაზე გაჩუმდა.

– ამის შემდეგ კი ცოტა გავრისკეთ, წავიჯადოქრეთ და მშვიდობიანად მივედით ადგილზე. პოლონეთის საზღვარზე ორ შეშლილ ტროლს გადავეყარეთ, მინსკის ლუდხანაში ვამპირთან პატარა შელაპარაკება მოგვივიდა, თორემ დანარჩენმა ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. მოკლედ, მივედით იმ ადგილას და იმათ საძებნელად შევუყევით მთებს. ამის შემდეგ აღარ გვიჯადოქრია. ხომ იცით, გოლიათებს ჯადოქრები მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ. თანაც ისე ახლოს იყვნენ, რომ... აბა, იმათი გაბრაზება რაში გვჭირდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორმა გაგვაფრთხილა, გოლიათების ძებნას ჩვენ-რომ-ვიცით, ისიც დაიწყებსო. ალბათ, უკვე გაგზავნილიც ჰყავდა თავისი კაცი. გვითხრა: ფრთხილად იყავითო. როცა ახლოს მიხვალთ, ყურადღებას ნუ მიიქცევთ – „სიკვდილის მხვრელები“, შეიძლება, უკვე იქ იყვნენო.

ჰაგრიდი გაჩუმდა და ჩაი მოსვა.

– მერე? – ვეღარ მოითმინა ჰარიმ.

– ვიპოვეთ. ღამით მთაზე ავედით – ისინი ჩვენ ქვევით იყვნენ. კოცონები დაენთოთ, უზარმაზარი ჩრდილები საშინელი სანახავი იყო, თითქოს მთები აცეკვდნენო.

– რა სიმაღლისები არიან? – ჩუმად იკითხა რონმა.

– ექვსი მეტრი მაინც, – აუღელვებლად მიუგო ჰაგრიდმა, – უფრო დიდებიც არიან.

– რამდენი იყვნენ? – ჰკითხა ჰარიმ.

– რამდენიმე ათეული, ასე, შვიდი-რვა.

– მეტი არა? – შეწუხდა ჰერმიონი.

– არა, – ნაღვლიანად თქვა ჰაგრიდმა, – ოთხმოცდა დარჩა, არადა, რამდენი იყვნენ! ასამდე ტომი მაინც იყო ქვეყნად გაფანტული. ნელ-ნელა გადაშენდნენ. რა თქმა უნდა, ჯადოქრებმაც შეუწყვეს ხელი, მაგრამ მეტწილად ერთმანეთს ხოცავენ, ახლა კი განსაკუთრებით სწრაფად იხოცებიან. ერთად ცხოვრება უჭირთ, მიჩვეულები არ არიან. დამბლდორი ამბობს, რომ ჩვენი, ჯადოქრების, ბრალია, თავი-დან მოვიცილეთო. ჰოდა, როგორმე თავი რომ დაეცვათ, ერთად მოუხდათ ცხოვრება.

– კარგი, მერე? რომ იპოვეთ, რა ქენით? – ჰკითხა ჰარიმ.

– გათენებას დაველოდეთ. სიბნელეში მიახლოება არ გვინდოდა. სახიფათო იყო. ღამის სამ საათზე დაიძინეს, იქვე, სადაც ისხდნენ. ჩვენ დაძინებისა გვეშინოდა. ჯერ ერთი, ხომ შეიძლებოდა, რომე-ლიმეს გაღვიძებოდა და თავზე დაგვდგომოდა, მეორეც – ყურისწამ-ღებად ხვრინავდნენ. ის კი არა, დილით ამის გამო ზვავი ჩამოწვა. მოკლედ, გათენდა და თავზე დავადექით.

– როგორ, ეგრევე ადექით და პირდაპირ მიხვედით? – აღფრთოვან-და რონი, – პირდაპირ გოლიათების ბანაკში?

– ჰო, დამბლდორმა გვასწავლა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. ერთი სიტყვით, საჩუქრები უნდა მიგვერთმია გურგისთვის, პატივ-ისცემა გამოგვეხატა.

– ვისთვის უნდა მიგერთმიათ? – ჰკითხა ჰარიმ.

– გურგისთვის, ბელადისთვის, რა. ეგრე ჰქვია იმათ ბელადს.

– როგორ უნდა მიმხვდარიყავით, რომელი იყო გურგი? – დაიბნა რონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაგრიდი გახალისდა.

– ძალიან ადვილად: ყველაზე დიდი, ყველაზე მახინჯი და ყველაზე ზარმაცი ის არის. თვითონ ფეხს არ იცვლის, ზის და დანარჩენები მკვდარი თხებითა და ათასნაირი საჭმელ-სასმელით ამარაგებენ. კარკუსი ჰქვია. ასე, შვიდი მეტრი მაინც იქნება, რომ არ მოგატყუოთ, წონით კი ორ მოზრდილ სპილოს აიწონის. კანი მარტორქასავით სქელი აქვს.

– და შენ მასთან მიხვედი? – გულისფანცქალით ჰკითხა ჰერმიონმა.

– როგორ გითხრა... ჰო, ეგრე იყო. ღარტაფში იწვა, ოთხ საკმაოდ მაღალ გორაკს შორის, ტბასთან ახლოს. წევს ეს თქვენი კარკუსი და უყვირის დანარჩენებს, რომ საჭმელი მოართვან მას და მის ცოლს, ეგებ როგორმე მუცელი ამოიყოროს... ჰოდა, მე და ოლიმპი ფერ-დობზე დავეშვით...

– როცა დაგინახეს, თქვენი მოკვლა არ უცდიათ? – გაუკვირდა რონს.

– ზოგმა იფიქრა კიდეც, – ჰაგრიდმა მხრები აიჩეჩა, – მაგრამ ჩვენ ისე მოვიქეცით, როგორც დამბლდორმა გვირჩია, საჩუქარი მაღლა ასწიეთ და, გურგის გარდა, არავის შეხედოთო. დანარჩენები არც განძრეულან, გვიყურებდნენ, როგორ მივდიოდით. კარკუსთან მივედით, თავი დავუკარით და ფეხებთან საჩუქარი დავუდეთ.

– რა მიართვით, საჭმელი? – იკითხა რონმა.

– არა, საჭმელი იმდენი აქვს, რამდენიც მოუნდება. ჩვენ ჯადოს-ნური საჩუქარი მივართვით. გოლიათებს უყვართ ჯადოქრობა. მათ წინააღმდეგ რომ იყენებენ, ის არ მოსწონთ, თორემ ისე – უყვართ. მოკლედ, პირველ დღეს ცეცხლის რტო ვაჩუქეთ.

ჰერმიონმა წამოიკივლა, ჰარი და რონი კი ვერაფერს მიხვდნენ:

– რის რტო?

– მარადიული ცეცხლისა, – გაღიზიანდა ჰერმიონი, – დროა იცოდეთ, პროფესორმა ფლიტვიკმა, სულ ცოტა, ორჯერ ახსენა გაკვეთილებზე!

სანამ რონი რამეს უპასუხებდა, ჰაგრიდმა განაგრძო:

– მოკლედ, დამბლდორმა მოაჯადოვა ეს რტო, რათა მუდმივად ანთებული ყოფილიყო. ეს კი ყველა ჯადოქარს არ შეუძლია. ერთი სიტყვით, კარკუსის ფეხებთან თოვლზე ვდებ ამ რტოს და ვეუბნები: „ეს საჩუქარი გოლიათების გურგს ალბუს დამბლდორმა გამოუგ-ზავნა, საჩუქართან ერთად მოკრძალებულ სალამსაც გითვლით“.

– კარკუსმა რა თქვა? – დაინტერესდა ჰარი.

– არაფერი. ინგლისური არ იცის.

– არა?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიდი ამბავი, – მშვიდად უპასუხა ჰაგრიდმა, – დამბლდორმა გაგვაფრთხილა, რომ შესაძლებელია, ასე მოხდესო. კარკუსს იმის ტვინი კი ეყო, ერთი-ორი გოლიათი მოეხმო, ვისაც ჩვენებურად რამე გაეგებოდა, რომ ეთარგმნა.

– საჩუქარი მოეწონა? – ჰკითხა რონმა.

– მოეწონა რომელია! ლამის ხტუნვა დაიწყეს, როცა მიხვდნენ, რაც იყო, – ჰაგრიდმა დრაკონის ხორცის ნაჭერი გადააბრუნა, რათა დაუეჟილ თვალზე გრილი მხრიდან მიედო, – ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. მე კი ვეუბნები: „ალბუს დამბლდორი სთხოვს გურგს, მის წარგზავნილს ხვალ დაელაპარაკოს, როცა ის ახალი საჩუქრით მოვა“.

– ვითომ მაშინვე არ შეიძლებოდა დალაპარაკება? – გაუკვირდა ჰერმიონს.

– დამბლდორმა დაგვარიგა, ნელ-ნელა გაუშინაურდითო. დაანახვეთ, რომ სიტყვის ხალხი ხართო. თუ რამეს დაჰპირდები და სიტყვას არ გადახვალ, ეს კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, გასაგებია? მანამდე კი ჯერ პირველი გასინჯონ, დარწმუნდნენ, რომ კარგი რამეა და სხვაც მოუნდებათ. საერთოდ, ყველა გოლიათი კარკუსს ჰგავს. თუ მათ ტვინს მეტისმეტად გადატვირთავ ახალი ამბებით, მოგკლავენ, რათა უფრო გაიადვილონ ფიქრი. მოკლედ, დავემშვიდობეთ, მყუდრო გამოქვაბული ვიპოვეთ ღამის გასათევად, დილით კი უკანვე დავბრუნდით. ამჯერად კარკუსი იჯდა და მოუთმენლად გველოდა.

– და მოელაპარაკე?

– ჰო, აბა! ჯერ მშვენიერი საბრძოლო მუზარადი მივართვით, გობლინების ნამუშევარი, ტყვიაგაუმტარი, მერე კი სალაპარაკოდ დავსხედით.

– მერე, რა თქვა?

– ბევრი არაფერი. მეტწილად მისმენდა. მაგრამ ეს კარგი ნიშანია. დამბლდორის შესახებ გაუგონია, რომ ბრიტანეთში უკანასკნელი გოლიათების დახოცვის წინააღმდეგი იყო. და ისე ჩანდა, თითქოს აინტერესებდა, რისთვის მოვიდნენ მასთან დამბლდორის გამოგზავნილები. და კიდევ რამდენიმე მათგანი, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ინგლისური იცის, მოგვიახლოვდა და გვისმენდა. ასე რომ, იმ დღეს დაიმედებულები დავემშვიდობეთ და დავპირდით, ხვალაც საჩუქრით მოვალთო. ღამით კი ყველაფერი ჩაიშალა.

– როგორ თუ ჩაიშალა? – აღელდა რონი.

– ხომ გითხარით, შეგუებულები არ არიან ერთად ცხოვრებას, – ნაღვლიანად აუხსნა ჰაგრიდმა, – თან ამდენი ხალხი ერთად. ჩვევას ვერ ღალატობენ, თავს ვერ ერევიან. არ შეიძლება, ყოველ ორ-სამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვირაში ერთხელ ვინმე არ მოკლან. კაცები კაცებს ეჩხუბებიან, ქალები – ქალებს... გგონია, საჭმელი ვერ გაიყვეს ან კოცონი, ანდა ღამის გასათევი ადგილი?.. რა უტვინოები არიან, მთელი მათი ჯილაგი ლამის გადაშენდა და... რას ერჩიან ერთმანეთს?! – ჰაგრიდმა ამოიოხრა, – იმ ღამეს ჩხუბი ატყდა... ზემოდან ვხედავდით, გამოქვაბულიდან. დილამდე საშინელი აურზაური ისმოდა. განთიადისას გარშემო თოვლი სულ წითელი იყო, თავი კი ტბის ფსკერზე ეგდო.

– ვისი თავი? – დაიბნა ჰერმიონი.

– კარკუსისა, – ხაზგასმით თქვა ჰაგრიდმა, – მათ ახალი გურგი ჰყავთ, გოლგომათი. ჩვენ აბა რას ვიფიქრებდით, რომ ახალი გურგი ეყოლებოდათ, წინასთან სულ ორი დღის დამეგობრებულები ვიყავით. ვიცოდით, რომ ამ გოლგომათს მაინცდამაინც არ მოუნდებოდა ჩვენი მოსმენა, მაგრამ სხვა რა გზა იყო.

– და მასთან სალაპარაკოდ წახვედით? – გაოგნდა რონი, – მას შემდეგ, რაც თქვენ თვალწინ თავისიანს თავი მოაგლიჯა?

– წავედით, რა თქმა უნდა... აბა, იმ სიშორეზე იმისთვის წავეთრიეთ, რომ ორ დღეში უკან გამოვბრუნებულიყავით? კარკუსისთვის შეგულებული საჩუქარი წავუღეთ. ჯერ პირიც არ მქონდა გაღებული, უკვე მივხვდი, რომ არაფერი გამოვიდოდა. გოლგომათს კარკუსის მუზარადი ეხურა. მივედით თუ არა, კბილები დაკრიჭა. ერთი განახათ, რა ვეებერთელა!.. შავი თმა აქვს, კბილებიც თმის ფერი, ყელზე ძვლების მძივი ჰკიდია. ნაწილი, მე მგონი, ადამიანისა იყო. მაინც ვცადე. დრაკონის ტყავის დიდი გრაგნილი გავუწოდე და ვუთხარი: „საჩუქარი გოლიათების გურგს...“ მოხედვაც ვერ მოვასწარი, მისმა ორმა ძმაკაცმა ფეხებში ჩამავლო და თავდაყირა დამკიდა.

ჰერმიონმა პირზე ხელი მიიფარა.

– როგორ დააღწიე თავი? – იკითხა ჰარიმ.

– ოლიმპის გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. ჯადოსნური ჯოხი ისე სწრაფად დააძრო, ჩემს დღეში მსგავსი არაფერი მინახავს. საოცრება იყო. ჩემს თავდამსხმელებს თვალებში სთხლიშა კონიუნქტივიტის შელოცვა! იმათაც მაშინვე გამიშვეს ხელი. ჰოდა, სამწუხაროდ, ჯადოქრობის გამოყენება მოგვიხდა. გოლიათებს კი სწორედ ამიტომ სძულთ ჯადოქრები. იძულებულები გავხდით, გამოვქცეულიყავით. ახლა იმათ სადგომზე უკვე, რო იტყვიან, აღარ მიგვესვლებოდა.

– უჰ, შენი! – წაიჩურჩულა რონმა.

– აბა, ამდენ ხანს სად იყავით, თუ იქ მხოლოდ სამ დღეს დარჩით? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– სამ დღეს არ დავრჩენილვართ! – უკმაყოფილოდ თქვა ჰაგრიდმა, – დამბლდორმა საქმე გვანდო!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ შენ თვითონ არა თქვი, იმათ სადგომზე ველარ მივიდოდითო?

– დღისით ასეც იყო. ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდა. ორი დღე მოყუჩებული ვისხედით გამოქვაბულში, ვაკვირდებოდით. და რაც დავინახეთ, მაინცდამაინც არ მოგვეწონა.

– კიდევ ვინმეს მოაგლიჯა თავი? – სახე მოეღრიცა ჰერმიონს.

– არა, უარესი.

– რას გულისხმობ?

– დავინახეთ, რომ გოლგომათი ყველა ჯადოქრის წინააღმდეგ კი არა, მხოლოდ ჩვენ წინააღმდეგ იყო განწყობილი.

– „სიკვდილის მხვრელები“ ეწვივნენ? – მიხვდა ჰარი.

– ჰო, – მოიღუშა ჰაგრიდი, – ორნი ყოველდღე დადიოდნენ მასთან, გურგისთვის საჩუქრები მიჰქონდათ, ის კი თავდაყირა არ ჰკიდებდა.

– როგორ მიხვდით, რომ „სიკვდილის მხვრელები“ იყვნენ?

– დაინტერესდა რონი.

– ერთი ვიცანი, – დაიბუხუნა ჰაგრიდმა, – გახსოვთ მაკნერი? ბაკბიკის სიკვდილით დასასჯელად რომ გამოგზავნეს. ნამდვილი მანიაკია. გოლგომათზე ნაკლებად არ უყვარს სისხლი. გასაკვირი არაა, რომ ერთმანეთს გაუგეს.

– ესე იგი, მაკნერმა დაიყოლია გოლიათები, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მხარეს გადასულიყვნენ?

– მაცალე, რა, რონ, ჯერ არ დამიმთავრებია! – შეიღრინა ჰაგრიდმა, არადა, თავიდან არაფრის მოყოლას არ აპირებდა, ახლა კი მთლად ენად გაიკრიფა, – მე და ოლიმპმა ვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ: თუ გურგი კეთილგანწყობილია ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მიმართ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დანარჩენებიც ასე ფიქრობენ. სხვებს უნდა მოველაპარაკოთო, იმათ, ვინც გოლგომათის გურგად დაჯდომის წინააღმდეგი იყო.

– მერე, ასეთებს როგორ გამოარჩევდით? – იკითხა რონმა.

– როგორ და, ერთი მაგრად დათეთქვეს, – მოთმინებით აუხსნა ჰაგრიდმა, – ხოლო ისინი, ვისაც ცოტა რამ უყრია თავში, გაეცალნენ, ჩვენსავით ველის გარშემო გამოქვაბულში დასახლდნენ. გადავწყვიტეთ, ღამით მათთან მივსულიყავით

– იქნებ ვინმეს დაყოლიება მოგვეხერხებინა.

– გოლიათების საძებნად ღამით დაძრწოდით გამოქვაბულებში? – მოკრძალებით იკითხა რონმა.

– გოლიათებისა კი აღარ გვეშინოდა, „სიკვდილის მხვრელებს“ ვუფრთხოდით. დამბლდორმა გაგვაფრთხილა, რომ მათგან შორს დაგვეჭირა თავი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მათ უკვე იცოდნენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩვენი იქ ყოფნის ამბავი. ვფიქრობ, გოლგომათმა უამბო. იმ ღამით, როცა გოლიათებს ეძინათ, ჩვენ კი გამოქვაბულების შემოვლას ვაპირებდით, მაკნერი და ის მეორე გორებზე დაეხეტებოდნენ, ჩვენ გვეძებდნენ. ძლივს შევაჩერე ოლიმპი, რომ თავს არ დასხმოდა, – თქვა ჰაგრიდმა და გაბურძგნილ წვერშიც ჩანდა, რომ ჩაეღიმა, – როგორ იწევდა... უნდა ნახოთ, როცა გაბრაზდება... ცეცხლია... ფრანგული სისხლი იგრძნობა.

ჰაგრიდი გრძნობამორეული მიაშტერდა ცეცხლს. ჰარიმ ცოტა ხანს აცალა მოგონებებით ტკბობა, მერე კი ხმამაღლა ჩაახველა:

– მერე? მერე რა მოხდა? მიაღწიეთ გოლიათებამდე?

– რა თქვი? ჰო... ჰო, მივაღწიეთ. მესამე ღამეს, მას შემდეგ, რაც კარკუსი მოკლეს, გამოვძვერით ჩვენი გამოქვაბულიდან და დავეშვით ველზე. ყურები დაცქვეტილი გვქონდა, არ გვინდოდა „სიკვდილის მხვრელებს“ გადავყროდით. ხან ერთ გამოქვაბულში შევძვერით, ხან – მეორეში... მეექვსეში, როგორც იქნა, სამი გოლიათი ვიპოვეთ.

– ნამეტანი ხალვათად იქნებოდით, – იხუმრა რონმა.

– თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა.

– თავს არ დაგესხნენ, როცა დაგინახეს? – გაიკვირვა ჰერმიონმა.

– იქნებ დაგვსხმოდნენ კიდეც, მაგის თავი რომ ჰქონოდათ. მაგარი ნაცემები იყვნენ. გოლგომათის ბიჭებმა გონების დაკარგვამდე უხათქუნეს. გონს რომ მოვიდნენ, უახლოეს თავშესაფარში შეძვრნენ. ერთ მათგანს ცოტა ინგლისური ესმოდა და დანარჩენ ორს უთარგმნიდა. ეტყობა, მოსწონდათ ჩვენი ნათქვამი. მოკლედ, დავიწყეთ დაჭრილებთან სიარული. ლამის ექვსი თუ შვიდი დავიყოლიეთ.

– ექვსი თუ შვიდი? კარგად მოგიხერხებიათ – გაუხარდა რონს, – ესე იგი, დათანხმდნენ, აქ მოვიდნენ და ჩვენ-რომ-ვიცით, იმის წინააღმდეგ ჩვენთან ერთად იბრძოლონ?

– ჰაგრიდ, რატომ თქვი, „ლამისო“? – დაეჭვდა ჰერმიონი. ჰაგრიდმა სევდიანად შეხედა:

– გოლგომათის მომხრეები თავს დაესხნენ გამოქვაბულებს. იმათ კი, ვინც ცოცხალი გადარჩა, ჩვენთან საქმის დაჭერა აღარ უნდოდათ.

– ესე იგი... ესე იგი, გოლიათები არ მოვლენ, – ამოიკვნესა რონმა.

– არ მოვლენ, – ამოიოხრა ჰაგრიდმა, ხორცის ნაჭერი ისევ გადააბრუნა და გრილი მხრიდან მიიდო სახეზე, – რაც საჭირო იყო, ის გავაკეთეთ: დამბლდორის სიტყვები გადავეცით, ვილაც-ვილაცეებმა გაიგონეს და ვფიქრობ, დაიხსომებენ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ისინი, ვისაც გოლგომათთან ერთად ცხოვრება არ უნდათ, მთებიდან ჩამოვიდნენ და, კაცმა არ იცის, იქნებ ისიც გაახსენდეთ, რომ დამბლდორმა მეგობრობა შესთავაზა... ერთიც ვნახოთ და, გამოჩნდნენ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ ბარდნიდა. თოვლმა მინები დაფარა.

ჰარიმ იგრძნო, რომ ფეხები დასველებოდა – ფენგს მთელი ეს დრო მის მუხლებზე ედო დრუნჩი და ნერწყვი ჩამოსდიოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჰერმიონმა მორიდებით წამოიწყო:

– ჰაგრიდ...

– ჰო...

– იქ შენ არ... შენ არაფერი გაგიგონია... იქ დედაშენი არავის უხსენებია?

ჰაგრიდის საღი თვალი სერიოზულად მიაჩერდა ჰერმიონს და მან რატომღაც უხერხულად იგრძნო თავი.

– მაპატიე... დამავიწყდა...

– მოკვდა, – ჩაიბურტყუნა ჰაგრიდმა, – დიდი ხანია. იმათ მითხრეს.

– მართლა ძალიან ვწუხვარ, – მილეული ხმით თანაუგრძნო ჰერმიონმა.

ჰაგრიდმა ფართო მხრები აიჩეჩა.

– არ ღირს ამაზე ლაპარაკი. წესიერად არც კი მახსოვს. გადასარევი დედა ნამდვილად არ ყოფილა.

ისევ გაჩუმდნენ. ჰერმიონი დაძაბული შესცქეროდა ჰარისა და რონს – ერთი სული ჰქონდა, ხმა ამოეღოთ.

– მაგრამ შენ მაინც არ გითქვამს, ჰაგრიდ, ასე სად გაგალამაზეს, – რონმა დათეთქვილ სახეზე მიუთითა.

– და ამდენ ხანს რატომ არ დაბრუნდი, – დაამატა ჰარიმ, – სირიუსი ამბობს, საუკუნეა, რაც მადამ მაქსიმი დაბრუნდაო.

– გვითხარი, ვინ დაგესხა თავს? – ჩააცივდა რონი.

– არავინაც არ დამსხმია, – გაცხარდა ჰაგრიდი, – მე... სიტყვა კარზე კაკუნმა შეაწყვეტინა. ჰერმიონმა, ვაიო, იკივლა, ფინჯანი ხელიდან გაუვარდა და გატყდა. ფენგმა დაიყეფა. თხელ ფარდას ვიღაცის ტანდაბალი ჩრდილი მიადგა.

– ის არის! – წაიჩურჩულა რონმა.

– შემოძვერით! – ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამს დასტაცა ხელი, ჰერმიონსა და რონს გადააფარა და თვითონაც შიგ შეძვრა. სამივე ერთად კუთხეში მიყუჩდა. ფენგი გამწარებული უყეფდა კარს. ჰაგრიდი დაბნეული იდგა.

– ჰაგრიდ, ჩვენი ჭიქები დამალე! – დაიჩურჩულა ჰერმიონმა. ჰაგრიდმა ჭიქებს ხელი სტაცა და ფენგის კალათაში ჩაუძახა. თვითონ ფენგი კი კარს ახტებოდა.

ჰაგრიდმა ძაღლი ფეხით გასწია და კარი გააღო.

იქ პროფესორი ამბრიჯი იდგა მწვანე ტვიდის წამოსასხამითა და ასეთივე ქუდით. ჰაგრიდის დანახვაზე ტუჩები მოპრუწა და უკან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადაიხარა, რათა უკეთ დაენახა მისი სახე, რადგან ჭიპამდე ძლივს სწვდებოდა.

– აჰა! თქვენ ჰაგრიდი ხართ, არა? – ისეთი ხმით იკითხა ამბრიჯმა, თითქოს ყრუს ელაპარაკებაო.

პასუხისთვის არც დაუცდია, გადმოკარკლული თვალების ცეცებით შევიდა ქოხში.

ფენგი შეახტა, რომ მისთვის სახე აელოკა.

– მოშორდი აქედან, – შეუყვირა ძაღლს და ჩანთა მოუქნია.

– ეე... უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ იქნებ მითხრათ, ვინ ხართ, დასწყევლოს ღმერთმა!

– მე დოლორეს ამბრიჯი ვარ.

ამბრიჯმა თვალებით ქოხის ყველა კუთხე-კუნჭული გადაქექა. ორჯერ იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც რონსა და ჰერმიონს შორის მომწყვდეული ჰარი იდგა.

– დოლორეს ამბრიჯი? – იუცხოვა ჰაგრიდმა, – მე ვიფიქრე, თქვენც ერთ-ერთი იმათგანი ხართ, რა ჰქვია, სამინისტროდან. თქვენ ფაჯთან არ მუშაობთ?

– დიახ, მინისტრის პირველი მოადგილე ვიყავი, – თქვა ამბრიჯმა, თან ოთახში დადიოდა და ყურადღებით აკვირდებოდა ყველა ნივთს, კედელთან მიგდებული ზურგჩანთით დაწყებული, სამგზავრო წამოსასხამით დამთავრებული, – ახლა ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებელი ვარ...

– გაბედული ქალი ყოფილხართ, ახლა ამ თანამდებობაზე მუშაობის მსურველი ძალიან ცოტაა.

– ...და ჰოგვორტსის გენერალური ინსპექტორი, – ისე დაამთავრა, თითქოს არც არაფერი გაუგონიაო.

– ეგ რაღაა? – მოიღუშა ჰაგრიდი.

– სწორედ მაგის კითხვას ვაპირებდი, – თქვა ამბრიჯმა და იატაკზე მიმოფანტულ ჭიქის ნამსხვრევებზე მიუთითა.

– აა... – თქვა ჰაგრიდმა და უადგილოდ გააპარა თვალი ქოხის იმ კუთხისკენ, სადაც სტუმრები იყვნენ დამალულები, – აა, ეს... ფენგმა გამიტეხა და მეორე ავიღე, – და ის ფინჯანი აჩვენა, რომლიდანაც ჩაის სვამდა, მეორე ხელით კი დრაკონის ხორცს იკრავდა თვალთან. ახლა ამბრიჯი მის პირდაპირ იდგა, სახეში შეჰყურებდა და საგულდაგულოდ ათვალიერებდა.

– რაღაც ხმები მომესმა.

– ძაღლს ველაპარაკებოდი, – უთხრა ჰაგრიდმა.

– და ისიც გპასუხობდათ, არა?

– რავი, შეიძლება, ასეც ითქვას, – ყოყმანით დაეთანხმა ჰაგრიდი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხანდახან ვფიქრობ, რომ ფენგს ბევრი აღარაფერი უკლია ადამიანამდე.

– ნაფეხურების სამი მწკრივი ციხე-კოშკიდან თქვენს კარამდე მოდის, თოვლზე ეს გარკვევით ჩანს, – შემპარავი ხმით თქვა ამბრიჯმა.

ჰერმიონმა ხმაურით ჩაისუნთქა ჰაერი. ჰარიმ პირზე ხელისგული ააფარა. საბედნიეროდ, ფენგი ამ დროს პროფესორ ამბრიჯის კალთას ყნოსავდა და მოუსვენრად წკმუტუნებდა.

– შეიძლება, ვინმე მესტუმრა კიდეც, მაგრამ მე არ მინახავს, ესესაა, დავბრუნდი, – ჰაგრიდმა ვეებერთელა ხელი ზურგჩანთისკენ გაიშვირა.

– თქვენი ქოხიდან კვალი რომ არსად მიდის?!

– ვერაფერს გეტყვით... არ ვიცი, – ჰაგრიდმა ნერვიულად მოიქექა წვერი და ისევ იმ კუთხისკენ გააპარა თვალი, სადაც ბავშვები იდგნენ. თითქოს მათგან ელოდა შველას.

ამბრიჯი შებრუნდა და ოთახი კიდევ ერთხელ შემოიარა. ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა. დაიხარა, საწოლის ქვეშ შეიხედა, ბუფეტი გამოაღო. კედელზე აკრულ ბავშვებს რამდენიმე სანტიმეტრზე ჩაუარა. ჰარიმ მუცელიც კი შეზნიქა. ბოლოს ამბრიჯმა ვეებერთელა ქვაბში ჩაიხედა, მერე შემობრუნდა და ჰკითხა:

– რა დაგემართათ? სად დაშავდით ასე?

ჰაგრიდმა სასწრაფოდ მოიშორა სახიდან დრაკონის კომპრესი, რაც, ჰარის აზრით, შეცდომა იყო. ჩალურჯებულ-ჩაშავებული, სისხლშემხმარი თვალი ამბრიჯს უკეთ დაანახვა და ვერც მაინცდამაინც დამაჯერებლად მიუგო ამბრიჯს:

– ისე, არაფერი... პატარა ავარია მომივიდა.

– რას გულისხმობთ?

– მე... ვსეირნობდი... და... რაღაცას დავეჯახე.

– დაეჯახეთ? – ცივად გაიმეორა ამბრიჯმა.

– ჰო, ეგრე იყო... ვსეირნობდი და დავეჯახე... მეგობრის ცოცხს. მე თვითონ არ დავფრინავ. შემომხედეთ, რამხელა ვარ, რა ცოცხი გამიძლებს. ჩემი ერთი ნაცნობი აბრაქსანულ ცხენებს აშენებს – არ ვიცი, გინახავთ თუ არა – ვეებერთელა ცხოველები არიან, ფრთიანი. ერთ-ერთი მათგანით გავისეირნე და, აი...

– სად იყავით? – შეაწყვეტინა ამბრიჯმა.

– მე?..

– ჰო, თქვენ. სემესტრი ორი თვეა, დაიწყო. იძულებული გავხდით, სხვა მასწავლებელი გვეპოვა. ვერც ერთმა თქვენმა კოლეგამ ვერ მითხრა, სად იმყოფებოდით. მისამართი არ დაგიტოვებიათ. სად იყავით?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰაგრიდი ამბრიჯს გათავისუფლებული თვალით შეჰყურებდა. ჰარის ლამის ესმოდა, რა დაძაბულად მუშაობდა მისი ტვინი.

– სამკურნალოდ გავემგზავრე.

– სამკურნალოდ, – ამბრიჯმა გასივებულ, მოშავო-მოიისფრო სახეზე შეავლო თვალი. დრაკონის სისხლი ნელა წვეთავდა ჟილეტზე, – გასაგებია.

– დიახ, ცოტა სუფთა ჰაერი გადავყლაპე, – დააზუსტა ჰაგრიდმა.

– ჰო, რა თქმა უნდა, მეტყევეს სუფთა ჰაერი ნამდვილად აკლია, – ალერსით უთხრა ამბრიჯმა.

ჰაგრიდს სახის ის ნაწილი, რომელიც დალილავებული არ ჰქონდა, შეუწითლდა.

– ეე... გავიარ-გამოვიარე, თვალს წყალი დავალევინე.

– მთის ჰაერი ჩაყლაპეთ, – სწრაფად დაამატა ამბრიჯმა.

„ყველაფერი იცის", – სასოწარკვეთით გაიფიქრა ჰარიმ.

– მთის? – გაიმეორა ჰაგრიდმა, – არა, მეტწილად სამხრეთ საფრანგეთში. მზე, ზღვა...

– მართლა? რაღაც მზის კვალი არ გეტყობათ!

– ჰო... ისა... მგრძნობიარე კანი მაქვს და გარუჯვას ვერიდები, – ჰაგრიდმა საცოდავად გაიღიმა.

ჰარიმ შენიშნა, რომ ორი კბილი აკლდა. ამბრიჯი ყინულივით ცივი მზერით შეჰყურებდა. მაჯაზე ჩამოცურებული ჩანთა შეისწორა და ბრძანა:

– მე, რა თქმა უნდა, შევატყობინებ მინისტრს თქვენი დაგვიანების თაობაზე.

– რა თქმა უნდა, – ჰაგრიდმა თავი დაუქნია.

– ალბათ, უნდა იცოდეთ, რომ ჩემი, როგორც გენერალური ინსპექტორის, უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი მოვალეობაა ჩემი კოლეგა-მასწავლებლების კონტროლი. ასე რომ, ვიმედოვნებ, სულ მალე შევხვდებით, – მკვეთრად შებრუნდა და კარისკენ წავიდა.

– თქვენ ინსპექციას გვიტარებთ? – მიადევნა გაკვირვებულმა ჰაგრიდმა.

– ო, რა თქმა უნდა, – წაიჟღურტულა ამბრიჯმა, კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და ჰაგრიდს გამოხედა, – სამინისტროს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სკოლა არაკომპეტენტური მასწავლებლებისგან გაწმინდოს. ღამე მშვიდობისა, ჰაგრიდ, – და კარი გაიხურა.

ჰარის უჩინმაჩინის მოსასხამის მოხსნა უნდოდა, მაგრამ ჰერმიონის ჩურჩულმა შეაჩერა.

– მოიცა, შეიძლება, ჯერ კიდევ აქ არის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეტყობა, ჰაგრიდმაც იგივე გაიფიქრა. კართან მივიდა და ოდნავ გადასწია ფარდა.

– ციხე-კოშკისკენ წავიდა. წარმოგიდგენიათ?.. ხალხს ამოწმებს...

– ჰო, ასეა. ტრელოუნი გამოსაცდელი ვადით დატოვეს, – უთხრა ჰარიმ.

– ჰაგრიდ, რას გავივლით შენს გაკვეთილებზე? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– ამაზე ნუ წუხხარ, იმდენი რამ მოვიფიქრე, – გამოცოცხლდა ჰაგრიდი და მაგიდიდან დრაკონის ხორცი აიღო, – ერთი-ორი მხეცი მყავს შეგულებული თქვენი **ბუა**-ს გამოცდებისთვის. აი, ნახავ, რაღაც განსაკუთრებულია.

– მისმინე, ჰაგრიდ, – გაცხარდა ჰერმიონი, – პროფესორ ამბრიჯს ძალიანაც გაუხარდება, თუ გაკვეთილზე რაიმე სახიფათო არსებებს მოიყვან.

– სახიფათოს? – გულწრფელად გაუკვირდა ჰაგრიდს, – რა სისულელეა, არავითარ სახიფათოს მე თქვენ არ მოგიყვანთ. ჰო, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის დაცვა ნამდვილად შეუძლიათ...

– ჰაგრიდ, შენ წარმატებით უნდა გაიარო ინსპექცია და ჯობია ის გვასწავლო, როგორ მოვუაროთ ხოჭმაჭოებს; როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ნარლები და ზღარბები, ანდა რაღაც ამის მსგავსი...

– კარგი, რა, ჰერმიონ. მე თქვენთვის უფრო საინტერესო რაღაცეები მოვამზადე. რამდენი წელია, ვზრდი. მთელ ბრიტანეთში ერთადერთი მოშინაურებული გუნდია.

– ჰაგრიდ, ძალიან გთხოვ, ამბრიჯი ნებისმიერ საბაბს ეძებს, რომ დამბლდორის ახლობელი მასწავლებლები თავიდან მოიშოროს. გთხოვ, ჰაგრიდ, რამე მოსაწყენი გვასწავლე, ისეთი, რაც შეიძლება **ბუა**-ს გამოცდაზე შეგვხვდეს, – შეეხვეწა სასოწარკვეთილი ჰერმიონი.

ჰაგრიდმა ერთი ლაზათიანად დაამთქნარა და ოცნებით გახედა კუთხეში მიდგმულ ვეებერთელა საწოლს.

– უჰ, როგორ დავიღალე, გვიანია უკვე, – ჰერმიონს ალერსით მოუთათუნა ხელი, თან ისე ძლიერად, რომ სკამიდან ჩამოაგდო, – უჰ, მაპატიე, – მანტიაში ჩაავლო ხელი და წამოაყენა, – ჩემზე ნუ წუხხარ. აი, როგორც იქნა, დავბრუნდი და თქვენი გაკვეთილებისთვის გადასარევი ცხოველები შევარჩიე... ახლა კი, ბავშვებო, კოშკში დაბრუნდით. თან ნაკვალევის წაშლა არ დაგავიწყდეთ!

– არ ვიცი, გაიგო თუ არა, რაც უთხარი, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ რონმა, როცა დარწმუნდა, რომ გარშემო არავინ იყო. ისინი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ციხე-კოშკისკენ ღრმა თოვლში მიიკვლევდნენ გზას. ნაკვალევს კი წამშლელი შელოცვით ჰერმიონი აქრობდა.

– მაშინ, ხვალ კიდევ მოვალ, – მტკიცედ თქვა ჰერმიონმა, – და თუ საჭირო იქნება, გაკვეთილების გეგმასაც შევუდგენ. ჩემთვის სულერთია, გააგდებენ თუ არა ტრელოუნის, მაგრამ ჰაგრიდის გაგდებას არ დავუშვებ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მცდამეერთე

გველის თვალით

კვირა დილით ჰერმიონი ისევ მუხლამდე თოვლს მიარღვევდა ჰაგრიდის ქოხისკენ. რონსა და ჰარისაც უნდოდათ მასთან ერთად წასვლა, მაგრამ საშინაო დავალებები ისე დაუხვავდათ, რომ უხალისოდ დარჩნენ საერთო ოთახში და ცდილობდნენ, ყურადღება არ მიექციათ გარედან შემოსული მხიარული ჟივილ-ხივილისთვის. ზოგი ციგურებით სრიალებდა გაყინულ ტბაზე, ზოგი ციგებით დაქროდა, ყველაზე გამაღიზიანებელი კი ის იყო, რომ ზოგი მოჯადოებულ გუნდებს ისროდა გრიფინდორის ყველაზე მაღალი კოშკის ფანჯრებისკენ. ბოლოს და ბოლოს, რონმა მოთმინება დაკარგა, ფანჯარაში გაყო თავი და იღრიალა:

– ეი! მე პრეფექტი ვარ. კიდევ ერთი გუნდა თუ მოხვდება ფანჯარას... ვაი! – სწრაფად გამოსწია თავი, სახეზე თოვლი აჰკვროდა, – ფრედი და ჯორჯი ისვრიან! დამპლები! – გამოსცრა კბილებში და ფანჯარა მიაჯახუნა.

ჰერმიონი მხოლოდ სადილობის დროს დაბრუნდა ჰაგრიდისგან, მუხლებამდე დასველებულიყო და კანკალებდა.

– აბა? – მიეგება რონი, – შეუდგინე მეცადინეობის პროგრამა?

– შევეცადე, – ნაღვლიანად თქვა და ჰარის გვერდით სავარძელში ჩაჯდა. მერე ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ჰაერში რთული ფიგურა მოხაზა. ჯოხის წვერიდან წამოსული ცხელი ჰაერის ნაკადი ჰერმიონმა მანტიისკენ მიმართა, მანტიას მაშინვე ორთქლი აუვიდა, – სახლშიც კი არ დამხვდა. თითქმის ნახევარ საათს ვაკაკუნებდი. მერე ტყიდან გამოძუნძულდა...

ჰარიმ დაიკვნესა. აკრძალული ტყე სავსე იყო ისეთი არსებებით, რომელთა გამოც ჰაგრიდს, ალბათ, სულ მალე დაითხოვდნენ.

– არ უთქვამს, იქ ვის მალავს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა. ამბობს, რომ სიურპრიზის მოწყობა უნდა ჩვენთვის. შევეცადე ამეხსნა, რას წარმოადგენს ამბრიჯი; მაგრამ ვერაფერიც ვერ გაიგო. დაუჩემებია, მხოლოდ არანორმალურებს ურჩევნიათ ნარლებისა და ქიმერების შესწავლაო... არა, არა მგონია, ქიმერებს ზრდიდეს, – სასწრაფოდ დაამატა ჰერმიონმა, როცა ჰარისა და რონის თვალებში შიში ამოიკითხა, – მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უცდია. როგორც მისი ლაპარაკიდან შევიტყვე, მათი კვერცხების შოვნა ძალიან ძნელია. არ ვიცი, რამდენჯერ ვუთხარი, ჯობია, გრაბლი-პლენკის პროგრამას მიჰყვე-მეთქი. რატომღაც მგონია, რომ იმის ნახევარი, რაც ვუთხარი, ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა. რაღაც უცნაურ განწყობაზეა – არ უნდა, რომ თქვას, სად დაჩეჩქვეს.

ვახშმობისას მასწავლებელთა მაგიდასთან ჰაგრიდის გამოჩენას ყველა აღტაცებით არ შეხვედრია. ზოგიერთები, მაგალითად, ფრედი, ჯორჯი და ლი მხიარული შეძახილებით გაიქცნენ ხელის ჩამოსართმევად, სხვებმა, პარვატისა და ლევენდერისნაირებმა, მოღუშულებმა გადახედეს ერთმანეთს და თავი გადააქნიეს. ჰარიმ იცოდა, რომ ბევრ მათგანს გრაბლი-პლენკის გაკვეთილები ერჩივნა. უფრო უარესიც: თავის თავს გამოუტყდა, ამის საფუძველი ნამდვილად აქვთო. გრაბლი-პლენკის წარმოდგენით, სულაც არ არის აუცილებელი, საინტერესო მეცადინეობა რისკთან იყოს დაკავშირებული.

სამშაბათს საგულდაგულოდ ჩაფუთნული სამი მეგობარი, გულდამძიმებული წავიდა ჰაგრიდის გაკვეთილზე. ჰარის მარტო ჰაგრიდის მიერ მომზადებული სიურპრიზი არ აღელვებდა – არ იცოდა, როგორ მოიქცეოდნენ მოსწავლეები, განსაკუთრებით კი მალფოი და მისი დამქაშები, თუ მეცადინეობას ამბრიჯი დაესწრებოდა.

თუმცა, სანამ ისინი ღრმა თოვლში მიიკვლევდნენ გზას, გენერალური ინსპექტორი არ გამოჩენილა. ჰაგრიდი მარტო ელოდებოდა მათ აკრძალული ტყის პირზე. მაინცდამაინც მშვიდად ვერ გამოიყურებოდა – დალილავებულ სახეს ყვითელი და მწვანე ფერები შეჰპარვოდა, ზოგიერთი ჭრილობიდან ისევ სდიოდა სისხლი. ჰარი გაოცებული იყო – ისეთი რა შხამიანი არსება დაესხა თავს, რომ ჭრილობები დღემდე არ უხორცდებაო. დაბოლოს, ამ ხატოვან სურათს ჰაგრიდის მხარზე გადებული ნახევარი ძროხისმაგვარი რაღაცა აგვირგვინებდა.

– დღეს აქ ვიმეცადინებთ, – ხალისიანად შეეგება ჰაგრიდი ბავშვებს და ჩაბნელებული ტყისკენ გაიქნია თავი, – უფრო მყუდროდ ვიქნებით. თანაც, სიბნელე მეტად უყვართ.

– ვის უყვარს სიბნელე? – გაისმა მალფოის დაფეთებული ხმა. მერე კრაბსა და გოილს მიუბრუნდა: – რა თქვა, ვის უყვარს სიბნელეო, არ გაგიგონიათ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის ერთადერთი შემთხვევა ახსოვდა, როცა მალფოი აკრძალულ ტყეში შევიდა და იმ ერთხელაც დიდად ვერ ისახელა თავი. ჰარის ჩაეცინა – ქვიდიჩის მატჩის შემდეგ მალფოისთვის ნებისმიერ უსიამოვნებას ისურვებდა.

– მზადა ხართ? – მხიარულად იკითხა ჰაგრიდმა და მოსწავლეები შეათვალიერა, – ტყეში გასეირნება თქვენი სწავლის მეხუთე წლისთვის შემოვინახე. აბა, ახლა წავიდეთ და ვნახოთ ეს არსებები მათთვის ბუნებრივ გარემოში. დღეს საკმაოდ იშვიათი არსებები უნდა შევისწავლოთ. ვფიქრობ, მთელ ბრიტანეთში მარტო მე მოვახერხე მათი მოშინაურება.

– დარწმუნებული ხართ, რომ მოაშინაურეთ? – იკითხა ნირწამხდარმა მალფოიმ, – თორემ რამდენჯერ იყო, რომ ველური მხეცები დაგვახვედრეთ.

სლიზერინელებს შორის მოწონების ჩურჩულმა გაირბინა. თუმცა, გრიფინდორელთა შორისაც იყვნენ ისეთები, ვინც მალფოის მხარს უჭერდა.

– რა თქმა უნდა, მოვაშინაურე, – გული მოუვიდა ჰაგრიდს და მხრიდან ჩამოცურებული ძროხის ლეში გაისწორა.

– აბა, მაშ, სახეზე რა დაგემართათ? – ჩაეძია მალფოი.

– შენი საქმე არ არის! – შეუღრინა ჰაგრიდმა, – თუ მორჩით სულელურ შეკითხვებს, მომყევით.

შებრუნდა და ტყისკენ წავიდა. ბავშვებს მაინცდამაინც დიდი სურვილი არ ჰქონდათ, უკან გაჰყოლოდნენ. ჰარიმ ჰერმიონსა და რონს შეხედა. ორივემ ამოიოხრა, მაგრამ თავის დაქნევით უპასუხეს და ერთად აედევნენ ჰაგრიდს.

ათ წუთს იარეს და ჭალასთან შეჩერდნენ. ისეთი ხშირი ჭალა იყო, რომ ხეებქვეშ თვალგაუვალი სიბნელე მეფობდა და თოვლსაც კი ვერ ჩამოეღწია. ჰაგრიდმა ძროხის ლეში ძირს დააგდო, უკან დაიხია და ბავშვებისკენ შებრუნდა. ზოგიერთები ისევ ფეხს ითრევდნენ, თან შეშინებულები იყურებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს ყოველ წუთს თავდასხმას ელოდებიანო.

– მოდით, მოდით, – აგულიანებდა ჰაგრიდი, – ახლა იმათ ხორცის სუნი მოიზიდავთ, მაგრამ მე მაინც დავუძახებ, სიამოვნებთ ჩემი ხმის გაგონება.

შეტრიალდა, გაბურძგნილი თავი გააქნია, რომ სახიდან თმა გადაეყარა და რაღაც უცნაურად, ყურთასმენის წამღებად გაჰყივლა. ულრანმა ტყემ რომელიღაც საზარელი ფრინველის ხმის ექოდ დააბრუნა ეს ყივილი. მაგრამ სიცილის თავი არავის ჰქონდა, შიშისგან ერთ ადგილას გაშეშდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაგრიდმა ისევ გაჰყივლა. რაღაც უცნაური არსების გამოჩენის მოლოდინში ბავშვები შეშინებულები იცქირებოდნენ აქეთ-იქით და როცა ჰაგრიდმა მესამედ შეაქანა თავი და ღრმად ჩაისუნთქა, ჰარიმ იდაყვი წაჰკრა რონს და დახლანჯულ ურთხლებს შორის სიშავეზე მიუთითა.

სიბნელიდან წყვილი თეთრი, ანთებული თვალი უახლოვდებოდა. მერე ნელ-ნელა გამოიკვეთა დრაკონის დრუნჩი, კისერი და ბოლოს – ვეებერთელა შავი ფრთოსანი ცხენის ჩონჩხისმაგვარი სხეული. ერთხანს ათვალიერებდა ბავშვებს, აქეთ-იქით იქნევდა გრძელ შავ კუდს, მერე თავი დახარა და ბასრი ეშვებით ძროხის ლეშს ხორცი ააგლიჯა.

ჰარიმ შვებით ამოისუნთქა. როგორც იქნა, დარწმუნდა, რომ არაფერიც არ მოსჩვენებია. ჰაგრიდსაც სცოდნია მათი არსებობის ამბავი. მაშინვე ინტერესით შებრუნდა რონისკენ, მაგრამ ის ისევ ჭალაში იყურებოდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ჩურჩულით ჰკითხა:

– რატომ აღარ ეძახის?

მოსწავლეების უმრავლესობა რონივით გაკვირვებული და მოლოდინით გაშეშებული იდგა. ცხენს თითქმის არავინ უყურებდა. მხოლოდ ორმა დაინახა ფრთოსანი ურჩხული: გოილის უკან მდგომი გამხდარი სლიზერინელი ბიჭი ზიზღით უყურებდა, როგორ თქვლეფდა ცხოველი ლეშს, და ნევილი, რომელიც ცხენის გრძელი შავი კუდის მოძრაობას ადევნებდა თვალს.

– აი, კიდევ ერთი მოდის, – ამაყად გამოაცხადა ჰაგრიდმა. ხეებს შორის მეორე შავი ცხენი გამოჩნდა. აპკისებური ფრთები სხეულზე მიიკრა, თავი დახარა და იმანაც ხორცის გლეჯა დაიწყო, – აბა, ასწიეთ ხელი, ვინ ხედავთ!

გახარებულმა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამოიხსნება ამ ცხენების საიდუმლო, ჰარიმ ხელი ასწია. ჰაგრიდმა თავი დაუქნია.

– ჰო... ჰო, ვიცოდი, რომ შენ დაინახავდი. შენც, ნევილ, არა? და...

– მაპატიეთ, მაგრამ, თქვენი აზრით, მაინც რა უნდა დავინახოთ? – ღვარძლიანად იკითხა მალფოიმ.

პასუხის ნაცვლად, ჰაგრიდმა ძროხის ლეშზე მიუთითა. რამდენიმე წამს ყველა ლეშს დასცქეროდა, მერე ვილაცამ წამოიკვნესა, პარვატი კი აწკმუტუნდა. ჰარი მიხვდა, რატომაც: ხორცის ნაჭრები ძვალს სცილდებოდა და ჰაერში უჩინარდებოდა – ნამდვილად საოცარი სურათი იყო.

– რა ხდება? – თავზარდაცემული პარვატი უახლოეს ხეს ამოეფარა, – ვინ ჭამს ძროხას?

– თესტრალები, – ამაყად აუხსნა ჰაგრიდმა და ჰარის უკან მდგარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა ჰერმიონმა ხმადაბლა წამოიკივლა: ეს სიტყვა მისთვის რაღაცას ნიშნავდა, – ჰოგვორტსს მთელი რემა ჰყავს. აბა, ვინ იცის?..

– ისინი ხომ უბედურების მომტანნი არიან! – შეაწყვეტინა ჰაგრიდს შეშინებულმა პარვატიმ, – უბედურება მოაქვთ ყველასთვის, ვინც მათ დაინახავს. პროფესორმა ტრელოუნიმ ერთხელ მითხრა...

ჰაგრიდმა ჩაიცინა:

– არა, არა, ეს, უბრალოდ, ცრურწმენაა. არანაირი უბედურება არ მოაქვთ, ძალზე ჭკვიანები არიან! რა თქმა უნდა, ეს ჯიში მაინცდამაინც შრომისმოყვარე არ არის, მხოლოდ სკოლის ეტლებს დააქროლებენ აქეთ-იქით. და თუ დამბლდორს დასჭირდა სადმე შორს წასვლა და აპარაციის გამოყენება არ უნდა... შეხედეთ, კიდევ ერთი წყვილი...

მართლაც, ორი ცხენი მშვიდად გამოვიდა ჭალიდან, ერთმა სულ ახლოს ჩაუარა პარვატის. გოგონა შეკრთა და ხეს აეკრა:

– მგონი, რაღაც ვიგრძენი, ახლოს ჩამიარა!

– ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებს, – დაამშვიდა ჰაგრიდმა, – ახლა ვინ მეტყვის, რატომ ხედავს ზოგი, ზოგი კი – ვერა?

ჰერმიონმა ხელი ასწია.

– აბა, თქვი, – გაუხარდა ჰაგრიდს.

– თესტრალების დანახვა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც სიკვდილი უნახავს.

– სწორია, ყოჩაღ, – ზარ-ზეიმით შეაქო ჰაგრიდმა, – ათი ქულა გრიფინდორს. ესე იგი, თესტრალები...

– უჰუ, უჰუ...

პროფესორი ამბრიჯი მოსულიყო. ჰარის შორიახლოს იდგა. ისევ მწვანე ქუდი ეხურა და მწვანე მანტია ეცვა. ხელში ბლოკნოტი ეჭირა. ჰაგრიდს აქამდე არასდროს გაეგონა ამბრიჯის ყალბი ჩახველება, ამიტომ ცოტა არ იყოს, შეწუხდა, რადგან არ იცოდა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ხმა თესტრალებზე.

– უჰუ, უჰუ...

– ა, გამარჯობა! – გაუღიმა ჰაგრიდმა.

– მიიღეთ ბარათი, დილით რომ გამოგიგზავნეთ? – ჩვეულებისამებრ ხმამაღლა და დანაწევრებით წარმოთქვა ამბრიჯმა, თითქოს უცხოელს ელაპარაკება და თანაც – გონებაჩლუნგსო, – გწერდით, რომ თქვენს გაკვეთილს დავესწრებოდი საინსპექციოდ?

– დიახ, დიახ, – ხალისით დაუდასტურა ჰაგრიდმა, – მოხარული ვარ, რომ მოგვაგენით. თქვენ მათ... ისა... თქვენ მათ ხედავთ? დღეს ჩვენ თესტრალები გვყავს სტუმრად.

– მაპატიეთ, – ხმამაღლა თქვა ამბრიჯმა და ყურთან მიიტანა ხელი, – რა ბრძანეთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰაგრიდი ოდნავ დაიბნა:

– ეე... თესტრალები! იცით... დიდი... დიდი ფრთოსანი ცხენები!

თვალსაჩინოებისთვის თავისი ვეებერთელა ხელები მოიშველია. პროფესორმა ამბრიჯმა წარბი ასწია, ჩაიბუტბუტა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა:

– „უჭირს... აზრის... ჩამოყალიბება... იძულებულია... მიმართოს... ჟესტების... პრიმიტიულ... ენას“.

– კარგი, მაშ, ეს... – თქვა ჰაგრიდმა, შებრუნდა და მოსწავლეებს მიმართა, – ეე... რას ვამბობდი?

– „როგორც ჩანს... იოლად... კარგავს... თხრობის ძაფს“, – ბუტ-ბუტებდა ამბრიჯი, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა, რათა სხვებს გაეგონათ.

დრაკო მალფოი ისე გაიბადრა, თითქოს შობა ერთი თვით ადრე მოვიდაო, ჰერმიონი კი პირიქით, სიბრაზისგან წამოჭარხლდა.

– ჰო... რა თქმა უნდა, – ჰაგრიდმა დანაშაულზე წასწრებულივით გახედა ბლოკნოტს, მაგრამ გაბედულად განაგრძო:

– მინდოდა მომეთხრო თქვენთვის, როგორ შევაგროვეთ ეს რემა. დავიწყეთ ერთი ულაყითა და ხუთი ფაშატით. ამას, – ქედზე ხელი მოუთათუნა ცხენს, რომელიც პირველი მოვიდა, – ტენებრუსი ჰქვია, ყველაზე მეტად მიყვარს, პირველი დაიბადა აქ, ტყეში...

– თქვენთვის ცნობილია, რომ მაგიის სამინისტრომ თესტრალები „სახიფათო ჯადოსნურ არსებათა“ კატეგორიას მიაკუთვნა? – ხმა-მაღლა ჰკითხა ამბრიჯმა.

ჰარის გული შეეკუმშა. ჰაგრიდმა გულიანად გაიცინა.

– თესტრალები სახიფათონი არ არიან! რა თქმა უნდა, შეიძლება, გიკბინონ, თუ ძალიან გააბრაზე...

– „ავლენს... ძალადობისადმი... კეთილგანწყობის... ნიშნებს“, – ბუტბუტებდა ამბრიჯი, თან ბლოკნოტში გამალებული წერდა.

– კარგით, რა! – ოდნავ შეშფოთდა ჰაგრიდი, – ძაღლსაც ხომ შეუ-ძლია, გიკბინოთ... თესტრალებს ცუდი რეპუტაცია აქვთ სიკვდილზე ლაპარაკის გამო – ადამიანებს ცუდის ნიშნად მიაჩნიათ. ასე არ არის?

ამბრიჯს არ უპასუხია. წერა დაამთავრა, მერე ქვემოდან ახედა ჰაგრიდს და ისევ ხმამაღლა და ნელა თქვა:

– თუ შეიძლება, განაგრძეთ გაკვეთილი, მე მოსწავლეებს ჩამ-ოვუვლი და რაღაცას ვკითხავ, – ამბრიჯმა ჟესტებითაც აუხსნა ეს ყველაფერი, თითქოს ჰაგრიდი გონებაჩლუნგი იყო და ნათქვამს ვერ გაიგებდა. მალფოი და პენსი პარკინსონი ახვიხვინდნენ.

ჰაგრიდი გაკვირვებული შეაჩერდა, ვერ მიმხვდარიყო, ამბრიჯი ასე რატომ იქცეოდა. ჰერმიონს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბებერო ბოროტო ალქაჯო! – წაიჩურჩულა, როცა ამბრიჯი პენსი პარკინსონს მიუახლოვდა, – ვიცი, რაც ჩაიფიქრე, საზიზღარო, ბოროტო, უწმინდურო...

– აი, რა... – ჰაგრიდი მთელი ძალით ცდილობდა აზრის მოკრებას, – ჰო, თესტრალები. ჰო. მათ უამრავი კარგი თვისება აქვთ...

– აბა, რას მეტყვით, იგებთ რამეს, როცა პროფესორი ჰაგრიდი ლაპარაკობს? – ხმამაღლა ჰკითხა ამბრიჯმა პენსი პარკინსონს.

პენსი პარკინსონს, ისევე როგორც ჰერმიონს, ცრემლი ჰქონდა მომდგარი თვალზე, ოღონდ, მისგან განსხვავებით, სიცილისგან იგუდებოდა, ამიტომ ძლივს ამოთქვა:

– არა... იმიტომ, რომ... რაღაცას... ღმუის....

ამბრიჯმა პასუხი ბლოკნოტში ჩაიწერა. ჰაგრიდს სახის საღი ნაწილი ერთიანად გაუწითლდა, მაგრამ ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, თითქოს პენსი პარკინსონის სიტყვები არც კი გაუგონია.

– ჰო... თესტრალების კარგი თვისებები... როცა უკვე მოათვინიერებ, როგორც აი, ამათ, უკვე აღარასოდეს დაიკარგები. მშვენიერი ორიენტაცია აქვთ – ოღონდ უთხარი, სად გინდა...

– ჰო, თუ რამე გაიგეს თქვენი ლაპარაკიდან, – ხმამაღლა შენიშნა მალფოიმ და პენსი პარკინსონი ისევ ორად მოიკაკვა სიცილისგან.

ამბრიჯმა მოწყალედ გადახედა მათ და ნევილისკენ შებრუნდა:

– თქვენ ხედავთ თესტრალებს, ლონგბოტომ, არა?

ნევილმა თავი დაუქნია.

– ვის სიკვდილს შეესწარით? – გულგრილად ჰკითხა ამბრიჯმა.

– პაპაჩემის...

– და რას ფიქრობთ მათზე? – კოტიტა თითებით უჩვენა ცხენებზე, რომელთაც უკვე შეეჭამათ ლეშის ნახევარი.

– ისინი, – გაუბედავად დაიწყო ნევილმა და ჰაგრიდს გახედა, – ისინი... კარგები არიან...

– „მოსწავლეები... იმდენად... არიან... დამფრთხალნი... რომ... არ... აღიარებენ... რომ... ეშინიათ“, – გაახმოვანა თავისი ჩანაწერი ამბრიჯმა.

– არა! – აშკარად აირია ნევილი, – არა, მე მათი არ მეშინია!

– არა უშავს, არა უშავს, – მხარზე დაუტყაპუნა ხელი ამბრიჯმა და გულისხმიერად გაუღიმა, თუმცა, ამ ღიმილში ღვარძლი უფრო მეტი იყო. მერე ისევ ჰაგრიდისკენ შებრუნდა და ხმამაღლა და დანაწევრებით უთხრა: – კეთილი, საკმაოდ ბევრი რამ ვნახე. თქვენ ინსპექციის შედეგებს მიიღებთ ათი დღის შემდეგ, – ათი კოტიტა თითი გაფარჩხა და გომბეშოს ღიმილით გაეცალა მათ, ახარხარებული მალფოი და პენსი პარკინსონი, სიბრაზისგან აცახცახებული ჰერმიონი და დაბნეული ნევილი უკან მოიტოვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საზიზღარი, ცბიერი ბებერი ჭინკა, – ვერ მშვიდდებოდა ჰერმიონი, როცა მათ მიერვე გაკვალული ბილიკით ბრუნდებოდნენ ციხე-კოშკში, – მიხვდით, რას აპირებს? ხომ იცით, როგორ ეკეტება ჭკუა წმინდასისხლიანებზე? უნდა ისე წარმოადგინოს ჰაგრიდი, თითქოს ვიღაც უტვინო ტროლი იყოს. მიზეზი კი ის არის, რომ დედა გოლიათი ჰყავდა... ეს უსინდისობაა... გაკვეთილი კი არც ისე ცუდი იყო... რა თქმა უნდა, ისევ ცეცხლაკუდები რომ ყოფილიყო... მაგრამ თესტრალები შესანიშნავი არსებები არიან – გაკვეთილის თვალსაზრისით, ასე ვთქვათ...

– ამბრიჯმა თქვა, რომ სახიფათოაო, – შეეპასუხა რონი.

– ჰაგრიდმა თვითონვე თქვა, ვალში არავის დარჩებიანო. ჩემი აზრით, გრაბლი-პლენკივით ჩვეულებრივი მასწავლებელი **ბუა**-ს გამოცდებამდე არც კი გვაჩვენებდა. არა, ხომ მართლა საინტერესოები არიან – ვიღაცა ხედავს, ვიღაცა – ვერა. სიამოვნებით დავინახავდი.

– ჰო? – ჩუმად თქვა ჰარიმ.

ჰერმიონი მხოლოდ ახლაღა ჩაწვდა თავისი სიტყვების საშინელ აზრს.

– უჰ, ჰარი... მაპატიე... რა თქმა უნდა, არა! რა სისულელეს ვამბობ!

– ხდება ხოლმე, არა უშავს.

– მიკვირს, რამდენი ადამიანი ხედავს, მარტო ჩვენთან – სამი... – თქვა რონმა.

– ჩვენც გვიკვირს, უისლი, – მოესმათ უკნიდან ღვარძლიანი ხმა. თოვლში უხმოდ წამოსწეოდნენ მალფოი, კრაბი და გოილი, – შენ თვალწინ ვინმეს ფეხები რომ გაეფშიკა, იქნებ ქუაფლიც დაგენახა!

ხარხარით ჩაუარეს და ცოტა ხნის შემდეგ წამოიწყეს: „მეფეა რონალდ უისლი". რონს ყურები წამოუწითლდა.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ! – დაამშვიდა ჰერმიონმა. ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და შელოცვით ცხელი ჰაერი დაატრიალა, რათა თოვლით დაფარულ ველზე სათბურებისკენ მიმავალი ბილიკი გაედნო.

* * *

დეკემბერს უფრო მეტი თოვლი და საშინაო დავალებების ზვავი მოჰყვა. შობის მოახლოებასთან ერთად რონისა და ჰერმიონისთვის შემაწუხებლად იქცა პრეფექტის მოვალეობები. ისინი თვალყურს ადევნებდნენ კოშკის მორთვა-მოკაზმვას („შენ გირლიანდას რის ვაი-ვაგლახით კიდებ, პივსს კი მეორე ბოლოში ჩაუვლია ხელი და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დახრჩობას გიპირებს“, – ჩიოდა რონი), თვალი უნდა ედევნებინათ პირველ და მეორეკურსელებისთვის, რათა დასვენებებზე ყინვაში გარეთ არ გაცვენილიყვნენ („რა თავხედები არიან ეს ლაწირაკები, პირველ კურსზე ჩვენ ასეთი უტიფრები არ ვყოფილვართ“, – ბობოქრობდა რონი), მონაცვლეობით მორიგეობდნენ დერეფნებში არგუს ფილჩთან ერთად, რომელიც ვარაუდობდა, რომ წინასადღესასწაულოდ გახალისებული სტუდენტები ერთმანეთს დაერეოდნენ („ამას, ტვინის ნაცვლად, ნაგავი აქვს თავში“, – ბრაზობდა რონი). ისე იყვნენ საქმეში ჩაფლულები, რომ ჰერმიონმა ელფებისთვის ქუდების ქსოვაც კი შეწყვიტა. გული სწყდებოდა, რომ სამი ცალი დაუმთავრებელი დარჩა.

– კიდევ რამდენი საცოდავი არ გამითავისუფლებია. ახლა იძულებულნი უნდა იყვნენ, აქ იყურყუტონ შობის დღეებში, იმიტომ, რომ ქუდები ყველას არ ეყოფა!

ჰარის კი გამბედაობა არ ჰყოფნიდა ეთქვა, რომ მისი ყველა ქუდი დობიმ მოაგროვა და დარცხვენილს მაგიის ისტორიის დავალებაზე გადაჰქონდა ყურადღება. შობაზე ფიქრიც არ უნდოდა. მთელი ამ წლების მანძილზე წელს პირველად სურდა, არდადეგები ჰოგვორტსს გარეთ გაეტარებინა. გუნდიდან გარიცხვისა და იმის გამო, რომ ჰაგრიდს გამოსაცდელი ვადა ემუქრებოდა, სკოლა სულს უხუთავდა. ერთადერთი, რაც გაახარებდა, **და**-ს შეკრება იყო, მაგრამ არდადეგებზე არაფერი გამოვიდოდა – ბავშვები თავ-თავიანთ სახლებში გაემგზავრებოდნენ. ჰერმიონს თხილამურებით სრიალი ჰქონდა გადაწყვეტილი, რამაც რონი ძალიან გაამხიარულა:

პირველად გაიგონა, რომ თურმე მაგლები ფეხებზე ფიცრებს იკრავენ და გორებზე ისე სრიალებენ. რონი შინ, „ბუნაგში“ გამგზავრებას აპირებდა. რამდენიმე დღე ჰარის შური კლავდა, სანამ მის კითხვაზე, შინ რით გაემგზავრებიო, რონმა არ უთხრა: „შენც ხომ მოდიხარ! რა, აქამდე არ მითქვამს? დედამ ერთი თვის წინ მომწერა, დაპატიჟეო!“

ჰერმიონს თვალები დაუმრგვალდა, ჰარი კი მაშინვე გახალისდა – „ბუნაგში“ არდადეგების გატარება მშვენიერი რამ იყო, ერთადერთი ის აწუხებდა, რომ სირიუსი მასთან ერთად არ იქნებოდა. ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ დაეყოლიებინა ქალბატონი უისლი, რომ ნათლიაც დაეპატიჟებინა, მაგრამ დამბლდორი, ალბათ, ნებას არ დართავს სირიუსს, თან შეიძლება ქალბატონი უისლიც არ დათანხმდეს – მეტისმეტად ხშირად კამათობდნენ ის და სირიუსი. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გამოჩნდა ბუხარში, სირიუსს ხმა აღარ მიუწვდენია. ჰარის ესმოდა, რომ ამბრიჯი ფხიზლად ადევნებდა თვალს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაფერს, ამიტომ მასთან სტუმრობა დიდ რისკს უკავშირდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ სირიუსი მარტოდამარტო იჯდა დედისეულ ძველ სახლში და კრეჩერის გვერდით კლავდა დროს.

დღესასწაულის წინ, **და**-ს ბოლო შეხვედრაზე ჰარი „მიშველეოთახში“ ადრე მივიდა და ძალიანაც გაუხარდა, რადგან როცა ჩირაღდნები აინთო, დაინახა, რომ ვიღაცას ოთახი სადღესასწაულოდ მოერთო. აშკარად დობის ნახელავი იყო – მეტს არავის მოუვიდოდა აზრად, ჭერში ჰარისგამოსახულებიანი ასობით ოქროსფერი სათამაშო ჩამოეკიდებინა წარწერით: „გილოცავთ შობას! ჰარი-ჰარალი-ჰარალო!“

ძლივს მოასწრო ბოლო სათამაშოს ჩამოგლეჯა, რომ კარი გაიღო და ოთახში მარად მეოცნებე ლუნა ლავგუდი შემოვიდა.

– გამარჯობა, – მიესალმა და აქა-იქა შერჩენილი მორთულობა შეათვალიერა, – რა ლამაზია! შენ ჩამოკიდე?

– არა, დობიმ, შინაურმა ელფმა.

– ფითრი, – მთქნარებით გაიშვირა ხელი ზედ ჰარის თავს ზემოთ დაკიდებული თეთრი ნაყოფის ვეებერთელა მტევნისკენ. ჰარი განზე გახტა, – სწორად მოიქეცი, – მოუწონა ლუნამ, – ხშირად კბენია მახათყლაპიებითაა ხოლმე სავსე.

ამ დროს ანჯელინა, ქეითი და ალისია შემოვიდნენ და ჰარის აღარ დასჭირდა ეკითხა, კბენია მახათყლაპია რა არისო. გათოშილები სულს ძლივს ითქვამდნენ. ანჯელინამ მანტია მოიხსნა, კუთხეში მიაგდო და მოღუშულმა თქვა:

– ბოლოს და ბოლოს, გიპოვეთ შემცვლელი.

– შემცვლელი? – გაუკვირდა ჰარის.

– შენც, ჯორჯსაც და ფრედსაც, – გაბრაზებულმა დააზუსტა ანჯელინამ, – ახალი სიკერი ავიყვანეთ.

– ვინ?

– ჯინი უისლი.

ჰარი გაოგნებული შეჰყურებდა.

– ჰო, ვიცი, – ანჯელინამ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ხელში შეათამაშა, – მაგრამ ჯინის არა უშავს რა. მართალია, მთლად შენსავით კარგი ვერ იქნება, მაგრამ რადგან შენ ასეთი მიუწვდომელი გახდი...

ჰარის ერთი სული ჰქონდა, ეთქვა – „ნუთუ ფიქრობ, რომ შენზე ასჯერ უფრო მეტად არ მწყინს ჩემი გარიცხვაო?“, მაგრამ თავი შეიკავა და შეძლებისდაგვარად მშვიდად ჰკითხა:

– ბიტერები ვინ არიან?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ენდრიუ კერკი და ჯეკ სლოუპერი, – გუნება წაუხდა ანჯელინას, – ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ იმ იდიოტებთან შედარებით, ვისაც გუნდში მოხვედრა უნდოდა... რონის, ჰერმიონისა და ნევილის მოსვლასთან ერთად ეს უსიამოვნო საუბარი შეწყდა, ხუთიოდე წუთის შემდეგ კი ოთახი ისე გაივსო, რომ ჰარი ანჯელინას ანთებულ, საყვედურით სავსე თვალებს ადვილად დაემალა.

– კარგი, – თქვა მან და შეკრებილები გაჩუმდნენ, – დღეს გავიმეოროთ ის, რაც წინა მეცადინეობებზე გავიარეთ. ეს ბოლო შეხვედრაა არდადეგებამდე და რაღაც ახლის დაწყებას, როცა წინ სამკვირიანი შესვენებაა, აზრი არა აქვს.

– ახალი არაფერი იქნება? – ხმამაღალი ჩურჩულით, ყველას გასაგონად იკითხა უკმაყოფილო ზაქარია სმიტმა, – რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი.

– რა სამწუხაროა, რომ ჰარიმ არ გაგაფრთხილა, – თანაუგრძნო ფრედმა.

სხვა ბავშვებთან ერთად ჩომაც გაიცინა და ჰარის ისევ შეუქანდა გული, თითქოს ფეხებქვეშ მიწა გამოეცალა.

– დასაწყისისთვის ათი წუთით დაბრკოლების შელოცვაში ვივარჯიშებთ. მერე ბალიშებს გავშლით და დამარეტიანებელ შელოცვასაც ვცდით.

სტუდენტები დაწყვილდნენ. ჰარი, როგორც ყოველთვის, ნევილის წინ დადგა. ოთახი „იმპედიმენტას“ წამოძახილებმა გააყრუა. სანამ ერთი მეტოქე გაშტერებული იდგა, მეორე თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და სხვების ორთაბრძოლებს უყურებდა. ამასობაში პირველი გონს მოდიოდა და მოწინააღმდეგეს სტყორცნიდა შელოცვას.

ნევილი ისე დაოსტატდა, ველარ იცნობდით. ჰარიმ მასთან ცოტა ხანს წაივარჯიშა და მერე, ჩვეულებისამებრ, რონსა და ჰერმიონს გადააბარა, თვითონ კი შემოვლაზე წავიდა. როცა ჩოსთან მივიდა, გოგონამ ისე გაულიმა, რომ ძლივს მოერია თავს, კიდევ რამდენჯერმე არ ჩაევლო მის წინ.

ათი წუთის ვარჯიშის შემდეგ იატაკზე ბალიშები დააწყვეს და დარეტიანებაზე გადავიდნენ. ადგილი საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ ყველას ერთდროულად ევარჯიშა, ამიტომ ჯგუფის ერთი ნახევარი მეორეს უყურებდა, მერე კი ადგილებს ცვლიდნენ. ჰარი შესცქეროდა და სიამაყით ევსებოდა გული. მართალია, ნევილმა დინის მაგივრად გვერდით მდგომი პარვატი პეტილი გააბრუა, მაგრამ მთლად საშინლად არ ასცდენია მიზანს. დანარჩენებსაც წინანდელზე უფრო მეტი წარმატებით გამოსდიოდათ შელოცვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კმაყოფილმა ჰარიმ ვარჯიში შეაწყვეტინა.

– უკვე კარგად გამოგდით, როცა არდადეგებიდან დავბრუნდებით, რამე უფრო მაგარი ვცადოთ, მაგალითად, პატრონუსი. ამის გაგონებაზე სიხარულით აჟრიამულდნენ, შემდეგ კი ჯგუფ-ჯგუფად დაიძრნენ გასასვლელისკენ. დამშვიდობებისას ჰარის ბედნიერ შობას უსურვებდნენ. გახარებულმა ჰარიმ რონთან და ჰერმიონთან ერთად ბალიშების მოგროვება დაიწყო. ბოლოს მარტო დარჩა, რადგან ჩო შეყოვნდა და ჰარის იმედი ჰქონდა, იქნება მითხრას, „ბედნიერ შობას გისურვებო“.

– არა, შენ წადი, – უთხრა ჩომ თავის დაქალ მარიეტას და ჰარის ისე აუფართხალდა გული, ლამის საგულიდან ამოუხტა. მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ერთად დაწყობილ ბალიშებს ასწორებდა. ახლა ისინი მარტონი იყვნენ და ჰარი ელოდა, როდის დაიწყებდა ჩო ლაპარაკს. ამის ნაცვლად, ხმამაღალი ქსუტუნი მოესმა.

შებრუნდა და დაინახა, რომ ჩო შუა ოთახში იდგა, ლოყებზე კი ცრემლები ჩამოსდიოდა.

– რა მოხდა? – არ იცოდა, რა ექნა. ჩო იდგა და უხმოდ ტიროდა.

– რა მოხდა? – უმწეოდ გაიმეორა ჰარიმ.

ჩომ თავი გააქნია, ცრემლები სახელოთი შეიმშრალა და ჩახლეჩილი ხმით მიუგო:

– მაპატიე... ჩვენ აქ... ამ შელოცვებს ვსწავლობთ... და მე ვიფიქრე... მას რომ სცოდნოდა... ახლა ხომ ცოცხალი იქნებოდა... ჰარის გული მოეწურა, როგორ ვერ მიხვდა: გოგონას ხომ სედრიკზე უნდოდა ლაპარაკი.

– სედრიკმა ეს შელოცვა კარგად იცოდა. სხვანაირად ლაბირინთის ცენტრამდე ვერც მიაღწევდა. მაგრამ თუ ვოლდემორმა შენი მოკვლა განიზრახა, გადარჩენის არავითარი შანსი არა გაქვს.

ვოლდემორის ხსნებაზე ჩომ დაასლოკინა, მაგრამ ჰარისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ჩაილაპარაკა:

– შენ კი გადარჩი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე გაცილებით პატარა იყავი.

– ჰო... – დაღლილი ხმით მიუგო ჰარიმ და კარისკენ წავიდა, – არ ვიცი, რატომ, და არც არავინ იცის. ასე რომ, საამაყო არაფერია.

– არა, არ წახვიდე! – სლუკუნით სთხოვა ჩომ, – მაპატიე, თავი ვერ შევიკავე... არ მინდოდა... – და კიდევ დაასლოკინა. გოგონა ნამტირალევი თვალებითაც კი ძალიან ლამაზი იყო. ჰარი თავს უბედურად გრძნობდა. ნეტავ ჩოს უბრალოდ, ბედნიერი შობა ესურვებინა...

– მესმის, როგორ გიმძიმს ახლა, – ჩომ ცრემლები შეიმშრალა, – მე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სედრიკზე გელაპარაკები, ის კი შენ თვალწინ მოკვდა. შენ, ალბათ, ამის დავიწყება გინდა.

ჰარის არ უპასუხია. ჩო სწორად მიუხვდა, მაგრამ თვითონ ძალიან უჭირდა ამის აღიარება.

– შენ მართლა კარგი მასწავლებელი ხარ, – ცრემლიან თვალებში ღიმილი ჩაუდგა, – აქამდე გაბრუების შელოცვა არ გამომდიოდა.

– გმადლობ, – დაიმორცხვა ჰარიმ.

იდგნენ და ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ. ჰარის ერთი სული ჰქონდა, ოთახიდან გავარდნილიყო, მაგრამ ფეხებით თითქოს იატაკს შეეზარდა. ჩომ ჭერზე მიუთითა:

– ფითრი.

– ჰო, – ჰარის პირი გაუშრა, – მაგრამ, ალბათ, კბენია მახათ-ყლაპიებით არის სავსე.

– რა არის კბენია მახათყლაპია? – ჩო უფრო ახლოს მივიდა.

– წარმოდგენა არა მაქვს. ჯობს, ლავნი ლუნგედს ჰკითხო, მაპატიე, ლუნას...

ჩომ სასაცილო ხმა გამოსცა, ვერ გაიგებდი, ჩაიხითხითა თუ წაისლუკუნა, და ისე მიუახლოვდა, ჰარის მის ცხვირზე ჭორფლის დათვლაც კი შეეძლო.

– ძალიან მომწონხარ, ჰარი.

ჰარიმ მეტყველების უნარი დაკარგა. მთელი სხეული უცნაურად გაუშეშდა, ხელ-ფეხი წაერთვა, თითქოს აღარც ტვინი უმუშავდებდა.

ჩო მეტისმეტად ახლოს იდგა, ცრემლით დანამული წამწამები უბრწყინავდა...

ნახევარი საათის შემდეგ საერთო ოთახში დაბრუნებულ ჰარის რონი და ჰერმიონი ბუხრის წინ გემრიელად მოკალათებულები დაუხვდნენ. თითქმის ყველანი საძინებლებში გაკრეფილიყვნენ. ჰერმიონი უშველებელ წერილს წერდა. გრაგნილის ნახევარი უკვე შევსებული ჰქონდა, ბოლო კი ლამის იატაკზე დასთრევდა. რონი ხალიჩაზე გაგორებულიყო და ტრანსფიგურაციის დავალებას აჯახირებდა.

– სად ბრძანდებოდი? – ჰკითხა რონმა, როცა ჰარი ჰერმიონის გვერდით სავარძელში ჩაჯდა.

ჰარის არ უპასუხია, დაბნეული იყო. ძალიან უნდოდა, მეგობრებისთვის მოეთხრო, თუ რა გადახდა, მაგრამ თან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საიდუმლოს საფლავში წაღება.

– ავად ხარ? – ჰკითხა ჰერმიონმა და ბატის ფრთა გადადო. ჰარიმ მხრები აიჩეჩა. თვითონაც ვერ გაეგო, ავად იყო თუ არა.

– რა მოხდა? – ჩაეძია რონი და იდაყვზე წამოიწია, – რა დაგემართა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ არ იცოდა, საიდან დაეწყო, თან დარწმუნებულიც არ იყო, რომ ამ ამბის მოყოლა ნამდვილად უნდოდა. ბოლოს გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა. თუმცა, ამ დროს ჰერმიონმა თვითონ ითავა ყველაფრის გარკვევა.

– ჩო ნახე? – საქმიანად ჰკითხა, – მიგიმწყვდია კუთხეში, არა?

გაოგნებულმა ჰარიმ თავი დაუქნია. რონს ის-ის იყო, უნდა გასცინებოდა, მაგრამ ჰერმიონისა მოერიდა და მოჩვენებითი გულგრილობით ჰკითხა:

– ისე... ეე... რა უნდოდა?

– ისა... – გაბზარული ხმით დაიწყო ჰარიმ, მერე ჩაახველა და ისევ გაიმეორა: – ისა...

– აკოცეთ ერთმანეთს? – წაეშველა ჰერმიონი.

რონი ისე სწრაფად წამოჯდა, რომ სამელნე ხალიჩაზე გაუგორდა, თუმცა ყურადღება არ მიუქცევია, ხარბი თვალებით მიაშტერდა ჰარის:

– ჰა?

ჰარიმ რონის დამცინავი-ცნობისმოყვარე სახიდან გულისყურად ქცეულ ჰერმიონზე გადაიტანა მზერა და თავი დააქნია.

– ყოჩაღ! – აღტაცებულმა რონმა მუშტი აიქნია და ისე ახარხარდა, რომ ფანჯარასთან მდგომი ორი მეორეკურსელი დააფრთხო. ჰარისაც უნებურად გაეღიმა.

– ჰა, – როგორც იქნა, სული მოითქვა რონმა, – როგორი იყო?

ჰარი ოდნავ დაფიქრდა და პატიოსნად უპასუხა:

– სველი...

რონმა ისეთი ხმა გამოსცა, ვერ გაიგებდი, აღფრთოვანებას გამოხატავდა თუ ზიზღს.

– იმიტომ, რომ ტიროდა, – დაამატა ჰარიმ.

– ეე, – რონს ღიმილი ჩაუქრა, – ნუთუ ასე ცუდად იცი კოცნა?

– რა ვიცი, – ჰარის ეს აზრადაც არ მოსვლია და ცოტა შეფიქრიანდა, – შეიძლება.

– რა თქმა უნდა, ეგრე არ არის, – ჰერმიონს პერგამენტიდან თავი არ აუწევია.

– შენ საიდან იცი? – ყურები ცქვიტა რონმა.

– იმიტომ, რომ ჩო გამუდმებით ტირის, – აუხსნა ჰერმიონმა, – ჭამის დროსაც, ტუალეტშიც, ყველგან...

– იქნებ კოცნამ ცოტა გაახალისოს, – ჩაიცინა რონმა.

– რონ, – ჰერმიონმა ფრთა მელანში ჩააწო და დამრიგებლური ტონით თქვა, – შენ ყველაზე უგრძნობი ცხოველი ხარ მათ შორის, რომლის გაცნობაც, საუბედუროდ, წილად მხვდომია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვითომ რატომ? – გაგულისდა რონი, – თუ კოცნის დროს ცრემ-ლებს აღვარღვარებ, ესე იგი, ნამდვილი ადამიანი ხარ?

– რატომ ხდება ასე? – იკითხა ჰარიმ.

ჰერმიონმა მეგობრებს ლამის სიბრალულით გადახედა.

– ნუთუ თქვენთვის გაუგებარია, რას განიცდის ახლა ჩო?

– ჰო, – ერთხმად უპასუხა ორივემ. ჰერმიონმა ამოიოხრა და ფრთა განზე გადადო.

– აშკარაა, რომ ჩო ძალიან დამწუხრებულია სედრიკის სიკვდილით. გარდა ამისა, ვფიქრობ, დაბნეულია, რადგან ადრე სედრიკი მოსწონ-და, ახლა კი ჰარი მოსწონს, და ვერ გადაუწყვეტია, ვინ უფრო მეტად მოსწონს. გარდა ამისა, სინდისი ქენჯნის – ეჩვენება, რომ ჰარის კოცნით სედრიკის ხსოვნას შეურაცხყოფს და იმის გამო წუხს, რას იტყვიან მასზე, თუ ჰარის შეყვარებული გახდება. ამას ისიც ემატება, რომ ალბათ, ბოლომდე ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში – სედრი-კი ხომ ჰარის თვალწინ დაიღუპა. ასე რომ, ეს ყველაფერი მეტისმე-ტად რთული და მტკივნეულია. იმისიც ეშინია, რომ რეივენქლოელთა ქვიდიჩის გუნდიდან გარიცხავენ, რადგან ცუდად დაფრინავს.

ჰერმიონის ახსნა-განმარტებას გაშტერებულები უსმენდნენ. ბოლოს რონმა თქვა:

– ერთ ადამიანს არ შეუძლია, ერთბაშად ამდენ რამეს გრძნობ-დეს – გასკდება!

– თუ მთელი შენი გრძნობები ჩაის ერთ კოვზზე შეიძლება დაე-ტიოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებიც ასეთები არიან, – გესლიანად მიახალა ჰერმიონმა და ბატის ფრთა მოიმარჯვა.

– თვითონ დაიწყო, მე არც კი... უბრალოდ, მომიახლოვდა... ლამის ცრემლებში დამახრჩო... არ ვიცოდი, რა მექნა, – თავი იმართლასა-ვით ჰარიმ.

– თავს ნუ იდანაშაულებ, – რონმა თვალნათლივ წარმოიდგინა ეს შემაშფოთებელი სურათი.

ჰერმიონმა ისევ მოსწყვიტა თვალი პერგამენტს:

– შენ მას ფაქიზად უნდა მოჰქცეოდი. იმედია, ეს არ შეგეშლებოდა.

– როგორ ვთქვა, – ჰარიმ იგრძნო, რა უსიამოვნოდ აუხურდა სახე, – მგონი... ზურგზე წავუტყაპუნე.

კიდევ ცოტაც და, ჰერმიონი ცისკენ აღაპყრობდა თვალებს:

– მაგას კიდევ არა უშავს... გადაწყვეტილი გაქვს, რომ შეხვდე ხოლმე?

– ალბათ, მომიწევს, ჩვენ ხომ **და**-ს შეკრებები გვაქვს, ასე არ არის?

– კარგად იცი, რასაც გეკითხები, – გული მოუვიდა ჰერმიონს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის პასუხი არ გაუცია. ჰერმიონის სიტყვებმა დააფიქრა: წარმოიდგინა, როგორ მისეირნობს ჩოსთან ერთად სადღაც, მაგალითად, ჰოგსმიდში და მთელ დროს ერთად ატარებენ. რა თქმა უნდა, დღევანდელი შემთხვევის მერე ჩო სწორედ ამას ელოდება... ამის გაფიქრებაზე მუცელში რაღაც მტკივნეულად შეეკუმშა.

– კარგი, ამას როგორმე მოახერხებთ, – გულგრილად თქვა ჰერმიონმა და პერგამენტს მიუბრუნდა.

– მაგრამ თუ ჰარის არ უნდა? – რონი დაჟინებით მიაჩერდა მეგობარს.

– სისულელეს ნუ ლაპარაკობ, ჰარის დიდი ხანია ჩო მოსწონს.

ჰარის ხმა არ ამოუღია. ჩო მართლაც დიდი ხანია, მოსწონდა, მაგრამ მის ოცნებებში გოგონა ყოველთვის მხიარული და ხალისიანი იყო და არა ისეთი, როგორიც დღეს – მის მხარზე გულსაკლავად აქვითინებული.

– და, საერთოდ, ვის სწერ ამ რომანს? – ჰკითხა რონმა ჰერმიონს, თან შეეცადა, მაგიდიდან ჩამოკიდებული პერგამენტი წაეკითხა.

ჰერმიონმა ხელი წაჰკრა.

– ვიქტორს.

– კრამს?

– კიდევ რამდენი ვიქტორი გვყავს?

რონს არაფერი უთქვამს, მაგრამ უკმაყოფილო კი ჩანდა. ოც წუთს ყველანი ჩუმად იყვნენ. რონი ტრანსფიგურაციის დავალებას წერდა და დროდადრო გაღიზიანებული შლიდა და ხაზავდა ფრაზებს. ჰერმიონი დაუღალავად აგრძელებდა წერილის წერას. პერგამენტი რომ გაავსო, დაახვია და დაბეჭდა; ჰარი ცეცხლს შესცქეროდა, ოცნებობდა, სირიუსის თავი გამოჩენილიყო და რამე რჩევა მიეცა გოგოების თაობაზე. მაგრამ ცეცხლი ნელ-ნელა მინელდა, წითელი ნაკვერჩხლები ნაცრად იქცა და როცა ჰარიმ იქაურობა მოათვალიერა, დაინახა, რომ ისევ მარტონი დარჩენილიყვნენ ოთახში.

– ღამე მშვიდობისა, – ჰერმიონმა გემრიელად დაამთქნარა და გოგონების საძინებლისკენ აუყვა კიბეს.

– ნეტავ რა ნახა ამ კრამში? – თქვა რონმა, როცა კიბეზე ადიოდნენ.

ჰარი დაფიქრდა და უპასუხა:

– ალბათ, უფროსი რომ არის... და თავისი ქვეყნის ნაკრებში რომ თამაშობს.

– კარგი, მაგის გარდა? – შეწუხდა რონი, – ერთი უჟმური ვინმეა და მეტი არაფერი.

– ჰო, წაიუჟმურებს, – ისე დაეთანხმა ჰარი, თავი ისევ ჩოზე ფიქრით ჰქონდა გამოტენილი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმაამოუღებლად გაიხადეს და პიჟამები ჩაიცვეს. დინი, სიმუსი და ნევილი, ალბათ, უკვე მეათე სიზმარს ხედავდნენ. ჰარიმ სათვალე მოიხსნა, ტუმბოზე დადო და დაწვა. ფანჯარაში ვარსკვლავიანი ცა მოჩანდა. გუშინ ამას როგორ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ჩო ჩენგს აკოცებდა?

– ღამე მშვიდობისა, – ჩაიბურტყუნა რონმა.

– ღამე მშვიდობისა.

იქნებ სხვა დროს ჩო ასეთი სევდიანი აღარ იყოს, თუ, რა თქმა უნდა, მათი ურთიერთობა გაგრძელდება. „რამე უნდა მეთქვა, ალბათ ამას ელოდა ჩემგან და ახლა გაბრაზებულია... ან კიდევ წევს და სედრიკს დასტირის...“ ჰარიმ არ იცოდა, რა ეფიქრა. ჰერმიონის ახსნა-განმარტებებმა ვერაფერს მოჰფინა ნათელი, პირიქით, უფრო გააბუნდოვნა ყველაფერი.

„აი, რას უნდა გვასწავლიდნენ, – ფიქრობდა გვერდზე გადაბრუნებული, – როგორ მუშაობს გოგოების ტვინი... ეს წინასწარმეტყველებაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა“.

ნევილი ძილში აქსუტუნდა. სადღაც ბუმ იკივლა.

ჰარის ესიზმრა, რომ „მიშველე-ოთახში“ იყო. ჩო ადანაშაულებდა, რომ ყალბი დაპირებით შემოიტყუა აქ; რომ შოკოლადის ბაყაყის ას ორმოცდაათ სურათს შეჰპირდა, თუ მოვიდოდა... ჰარი აპროტესტებდა... ჩომ იყვირა: „სედრიკმა შოკოლადის ბაყაყის უამრავი სურათი მაჩუქაო!“ მანტიიდან მუჭით იღებდა სურათებს და ჰაერში ისროდა. მერე ჰერმიონად გადაიქცა და თქვა: „შენ ხომ შეჰპირდი, ჰარი. მე მგონი, სანაცვლოდ სხვა რამ უნდა მისცე... მაგალითად, შენი „ელვა“. ჰარი კი ეუბნებოდა, რომ არ შეეძლო თავისი „ელვის“ მიცემა, რადგან ის ამბრიჯს ჰქონდა. და, საერთოდ, ეს ყველაფერი სისულელეა, ის „მიშველე-ოთახში“ დობისთავიანი ბუშტების ჩამოსაკიდად მივიდა...

მეორე სიზმარი სხვანაირი იყო...

სხეული ძლიერი, მოქნილი, კრიალა ჰქონდა. ცივ და ბნელ იატაკზე ლითონის ბრჭყვიალა ძელებს შორის დასრიალებდა.. იატაკზე მუცლით ცურავდა... ბნელოდა, მაგრამ გარშემო უცნაურად მოციმციმე საგნებს ხედავდა... თავს აქეთ-იქით ატრიალებდა... ერთი შეხედვით, დერეფანი ცარიელი იყო... თუმცა, არა... წინ კაცი იჯდა, ყბა ჩამოვარდნოდა და სხეული ოდნავ ანათებდა სიბნელეში...

ჰარიმ ენა გამოყო... ადამიანის სუნი იგრძნო... ადამიანი ცოცხალი იყო, თვლემდა... დერეფნის ბოლოში, კარის წინ იჯდა.

ჰარის უნდოდა, ეკბინა ამ კაცისთვის... მაგრამ ახლა გრძნობებს არ უნდა აჰყოლოდა... წინ უფრო მნიშვნელოვანი საქმე ელოდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცი არ ინძრეოდა. უცებ ვერცხლისფერი ლაბადა მუხლებიდან იატაკზე ჩამოუცურდა. კაცი წამოხტა. მოციმციმე გაურკვეველი ფიგურა სულ უფრო ახლოვდებოდა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო... ჰარის არჩევანი არ ჰქონდა... იატაკიდან ავარდა და ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, კბილები ჩაასო იმ კაცს. იგრძნო, როგორ გაიტკაცუნა ნეკნმა და თბილმა სისხლმა გადმოჩქეფა...

კაცი ტკივილისგან აყვირდა... მერე უცებ გაჩუმდა... კედელზე ჩაცურდა... იქაურობა სისხლით მოითხვარა...

ჰარის აუტანლად ასტკივდა თავი... ლამის გაუსკდეს...

– ჰარი! ჰარი!

თვალი გაახილა. ცივ ოფლში ცურავდა. ზეწარი გიჟის პერანგივით ჰქონდა შემოხვეული, ეჩვენებოდა, რომ თავზე გავარვარებულ სალტეს უჭერდნენ.

– ჰარი!

შეშინებული რონი თავს წასდგომოდა. საწოლთან ვიღაცის ლანდები მოჩანდა. ჰარიმ თავზე იტაცა ხელი: ტკივილმა გონება დაუბნელა... საწოლიდან გადმოეკიდა და გული აერია.

– ავად არის, – მოისმა შეშინებული ხმა, – ვინმეს უნდა დავუძახოთ.

– ჰარი! ჰარი!

„რონს უნდა ვუთხრა, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვუთხრა...“ ძლივს სუნთქავდა, ტკივილისგან თითქმის ვეღარაფერს ხედავდა. როგორც იქნა, წამოჯდა. გულისრევისგან გაჭირვებით შეიკავა თავი.

– მამაშენი, რონ, – დაიხრიალა, – თავს დაესხნენ...

– რა? – ვერ მიუხვდა რონი.

– მამაშენი! ვიღაცამ დაკბინა. ცუდადაა საქმე. იქაურობა სისხლითაა მოსვრილი.

– წავალ, ვინმეს დავუძახებ, – ისევ ის შეშინებული ხმა გაისმა. ვიღაც ოთახიდან გავარდა.

– ჰარი, ჰარი! ეგ, უბრალოდ, ცუდი სიზმარი იყო, – რონი მის დამშვიდებას ცდილობდა.

– არა! – შეეწინააღმდეგა ჰარი, – ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ იყო. მე იქ ვიყავი, ჩემი თვალით ვნახე... ეს მე ჩავიდინე.

ესმოდა სიმუსისა და დინის ჩუმი ლაპარაკი, მაგრამ ყურს არ უგდებდა. თავის ტკივილი ნელ-ნელა მიყუჩდა, მაგრამ ისევ ოფლში ცურავდა და ცახცახებდა. ისევ მოეძალა გულისრევა, რონი უკან გადახტა.

– ჰარი, შენ ავად ხარ, – აკანკალებული ხმით თქვა, – ნევილი წავიდა, ვინმეს მოიყვანს.

– არა, კარგად ვარ! – წამოახველა და პირი პიჟამით მოიწმინდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საშინლად კანკალებდა, – არაფერი მიჭირს. მამაშენზე იფიქრე, უნდა გავარკვიოთ, სად არის. სისხლისგან იცლებოდა... მე... მე ვეებერთელა გველი ვიყავი.

წამოდგომა სცადა, მაგრამ რონმა არ დაანება. სადღაც ახლოს დინი და სიმუსი ჩურჩულებდნენ. ჰარიმ არ იცოდა, რამდენი დრო გავიდა... კანკალებდა და გრძნობდა, ნაიარევი ნელ-ნელა უყუჩდებოდა... მერე კიბეზე ჩქარი ნაბიჯებისა და ნევილის ხმა მოისმა:

– აქეთ, პროფესორო!

პროფესორი მაკგონაგელი სწრაფად შემოვიდა საძინებელში. შოტლანდიური კუბოკრული ხალათი ეცვა, სათვალე მოღრეცოდა.

– რა მოხდა, პოტერ? რა გტკივათ?

ჰარის ასე არასდროს გახარებია მისი დანახვა. ახლა მას სწორედ ფენიქსის ორდენის წევრი სჭირდებოდა და არა ის, ვინც ტყუილუბრალოდ იფუსფუსებდა და უსარგებლო ნაყენებით გაჭყიპავდა.

– რონის მამას გველი დაესხა თავს! ძალიან ცუდად იყო! ჩემი თვალით დავინახე.

– რას ნიშნავს „დაინახე“? – ჰკითხა მაკგონაგელმა და წარბი შეიკრა.

– არ ვიცი, მეძინა, მერე კი იქ მოვხვდი...

– გინდათ თქვათ, რომ დაგესიზმრათ?

– არა! – „ნუთუ ვერავინ გაიგებს?“ – გაიფიქრა შეწუხებულმა, – ჯერ სულ სხვა რაღაც მესიზმრებოდა, რაღაც სისულელე... ეს მერე მოხდა. ეს ნამდვილად მოხდა, ჩემს წარმოსახვაში კი არა. ბატონ უისლის იატაკზე ეძინა, ვეებერთელა გველი დაესხა თავს, ის სისხლისგან იცლებოდა. დაეცა. უნდა გავიგოთ, სად არის.

პროფესორმა მაკგონაგელმა შეძრწუნებულმა შეხედა.

– არ ვიტყუები, მე გიჟი არა ვარ, – ჰარი ლამის ყვიროდა, – გეუბნებით, დავინახე, როგორ მოხდა ეს!

– მე მჯერა თქვენი, პოტერ. ჩაიცვით, სასწრაფოდ დირექტორთან მივდივართ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეორე

წმინდა მუნგოს კლინიკა

ჰარის გაუხარდა, რომ მაკგონაგელმა სერიოზულად მიიღო მისი ნათქვამი, საწოლიდან ჩამოხტა, სასწრაფოდ ჩაიცვა და სათვალე გაიკეთა.

– უისლი, თქვენც უნდა წამოხვიდეთ, – თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა.

გაშეშებულ ნევილს, დინსა და სიმუსს ჩაუარეს და საძინებლიდან გავიდნენ. კიბით საერთო ოთახში ჩავიდნენ, იქიდან კი პორტრეტის ხვრელით მთვარით განათებულ დერეფანში აღმოჩნდნენ. ჰარის ეშინოდა, პანიკას არ მოეცვა, გაქცევა და დამბლდორის დაძახება უნდოდა. ბატონი უისლი სისხლისგან იცლება, ისინი კი დინჯად მიაბიჯებენ დერეფანში. ხომ შეიძლებოდა, კბილები (არ უნდოდა ეფიქრა, „ჩემი კბილებიო“) შხამიანი ყოფილიყო? ჩაუარეს მისის ნორისს, რომელმაც ლამპარივით თვალები შეანათა და ჩუმად აშიშინდა, მაგრამ პროფესორმა მაკგონაგელმა ერთი დაუცაცხანა და კატა სიბნელეში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დამბლდორის კაბინეტის წინ, ქვის ურჩხულთან შეჩერდნენ.

– შიშინა-ბზუილა, – დაიძახა პროფესორმა მაკგონაგელმა. ურჩხული გაცოცხლდა და განზე გახტა. კედელი გაიხსნა და ქვის კიბე გამოაჩინა: დაგრეხილი ესკალატორივით არბოდა ზევით. მოძრავ საფეხურებზე შედგნენ. კედელი ხმაურით დაიხურა. კიბე ტრიალით დაიძრა ზევით. და აი, გამოჩნდა მბზინავი მუხის კარი ურჩხულისთავიანი თითბრის ჩაქუჩით.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ კარს მიღმა ისეთი ყაყანი ისმოდა, იფიქრებდი, დამბლდორს უამრავი სტუმარი ჰყავსო.

პროფესორმა მაკგონაგელმა სამჯერ დააკაკუნა გრიფონის თავით. კარს მიღმა ხმაური ისე სწრაფად მიწყდა, თითქოს გამორთესო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი თავისით გაიღო და ჰარი და რონი პროფესორ მაკგონაგელს კაბინეტში შეჰყვნენ.

ოთახში ნახევრად ბნელოდა. ამჯერად ვერცხლის უცნაური ხელსაწყოები არ ზუზუნებდნენ და არც ბოლი ასდიოდათ. თავისთვის გაუნძრევლად იდგნენ. ჰოგვორტსის დირექტორების პორტრეტები თავ-თავიანთ ჩარჩოებში თვლემდნენ. დიდ, გედისოდენა, მოწითალო-ოქროსფერ საოცარ ფრინველს თავი ფრთებში შეემალა და კართან, ლატანზე თვლემდა.

– აჰ, ეს თქვენ ხართ, პროფესორო მაკგონაგელ... და... დამბლდორი საწერ მაგიდასთან, მაღალზურგიან სავარძელში იჯდა. წინ გადმოიხარა და სახეზე სანთლების შუქი დაეცა. თოვლივით ქათქათა ღამის პერანგს ზემოდან ალისფერ-ოქროსფერი, მშვენივრად მოქარგული ხალათი ეცვა, მაგრამ სულაც არ ჰგავდა ნამძინარევს. ცისფერი თვალები პროფესორ მაკგონაგელს მიაპყრო.

– პროფესორო დამბლდორ, პოტერს... კოშმარი ესიზმრა... ის ამბობს...

– ეს კოშმარი არ იყო, – შეაწყვეტინა ჰარიმ. პროფესორი მაკგონაგელი მოიღუშა.

– კარგი, პოტერ. თვითონ მოუყევით დირექტორს.

– მე... მართლა მეძინა, – ჰარი საშინელ დღეში იყო და ძალიან უნდოდა, ყველაფერი აეხსნა დამბლდორისთვის, თუმცა, მაინც-დამაინც არ ესიამოვნა, რომ დირექტორი მას კი არა, ერთმანეთზე გადაჭდობილ საკუთარ თითებს დაჰყურებდა, – მაგრამ ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ იყო... ეს სინამდვილეში მოხდა... მე თვითონ დავინახე... – ღრმად ჩაისუნთქა, – რონის მამას, ბატონ უისლის, გიგანტური გველი დაესხა თავს.

მისი სიტყვების ექო ოთახში როგორღაც უაზროდ და სასაცილოდაც კი გაისმა. სიჩუმე ჩამოვარდა. დამბლდორი სავარძელში უკან გადაწვა და ჩაფიქრებული მიაშტერდა ჭერს. ფერმკრთალი, შეძრწუნებული რონი ხან ჰარის უყურებდა, ხან – დამბლდორს.

– როგორ დაინახეთ? – მშვიდად იკითხა დამბლდორმა, მაგრამ ჰარისთვის მაინც არ შეუხედავს.

– არ ვიცი... – გაღიზიანდა ჰარი, აქაოდა, ამას რა მნიშვნელობა აქვსო, – როგორღაც, გონების თვალით...

– თქვენ ვერ გამიგეთ, მე გეკითხებით, გახსოვთ თუ არა, საიდან უყურებდით ამ თავდასხმას. მსხვერპლის გვერდით იდექით თუ ამ სცენას ზემოდან დაჰყურებდით? – მშვიდად აუხსნა დამბლდორმა.

ჰარი გაკვირვებული მიაშტერდა დირექტორს – მოეჩვენა, უკვე ყველაფერი იცისო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე გველი ვიყავი. მისი თვალებით ვიყურებოდი.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე დამბლდორმა, რომელიც ახლა ფერდაკარგულ რონს უყურებდა, იკითხა:

– არტური სერიოზულადაა დაჭრილი?

– დიახ! – მოუთმენლად დაიყვირა ჰარიმ. „რატომ არ ინძრევიან? ნუთუ ძნელი მისახვედრია, რამდენ სისხლს დაკარგავს ადამიანი, გვერდში იმსიგრძე კბილები რომ ჩაესობა? დამბლდორი რატომ მარიდებს თვალს?“

მაგრამ დამბლდორი ისე სწრაფად წამოდგა, რომ ჰარი შეკრთა. დირექტორი ჭერთან ახლოს დაკიდებულ ერთ-ერთ პორტრეტს მიუბრუნდა და მბრძანებლური კილოთი დაიძახა:

– ედვარდ! და თქვენც, დაილის!

მიწისფერსახიანმა, შავთმიანმა ჯადოქარმა და მისმა მეზობელმა, ხანში შესულმა ვერცხლისფერთმიანმა ქალმა, აქამდე თითქოს ღრმად რომ ეძინათ, უცებ გაახილეს თვალი.

– ისმენდით?

კაცმა თავი დაუქნია, ქალმა კი მიუგო:

– რა თქმა უნდა.

– უისლი წითური, სათვალიანი კაცია, ედვარდ, ატეხეთ განგაში, ყველაფერი იღონეთ, რომ ჩვენებმა იპოვონ... – უთხრა დამბლდორმა.

ორივემ თავი დაუკრა და გვერდულად გავიდნენ ჩარჩოებიდან, მაგრამ სხვა პორტრეტებზე არ გამოჩენილან, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე ჰოგვორტსში. უბრალოდ, გაქრნენ. ერთ სურათზე უკან ჩამოფარებული შავი ფარდა დარჩა, მეორეზე – ლამაზი ტყავის სავარძელი. ჰარიმ შეამჩნია, რომ აქამდე მშვიდად მთვლემარე სხვა დირექტორები მილულული თვალებით დროდადრო მალულად გამოხედავდნენ ხოლმე. ახლა უკვე გასაგები გახდა, ვინ ლაპარაკობდა კაბინეტში მათ მოსვლამდე.

– ედვარდი და დაილისი ჰოგვორტსის ყველაზე სახელგანთქმული დირექტორები იყვნენ, – თქვა დამბლდორმა და სწრაფად მიუახლოვდა კართან მძინარე მშვენიერ ფრინველს, – იმდენად სახელგანთქმული, რომ მათი პორტრეტები ჯადოქრების უამრავ დაწესებულებაში კიდია. ისინი თავისუფლად მოძრაობენ ამ პოტრეტების მეშვეობით და ამიტომ შეუძლიათ, ყველაფერი შეგვატყობინონ, რაც სხვაგან ხდება.

– მაგრამ როგორ გავიგებთ, ბატონი უისლი სადაა? – შეშფოთდა ჰარი.

– დასხედით სამივე, – დამბლდორმა კითხვას წაუყრუა, – ედვარდსა და დაილისს ცოტა შეაგვიანდებათ. პროფესორო მაკგონაგელ, თუ შეიძლება, სკამები გამოიხმეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროფესორმა მაკგონაგელმა ხალათის ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და გაიქნია. უცებ სამი სწორზურგიანი სკამი გაჩნდა, რომლებიც სულ არ ჰგავდა იმ მყუდრო ჩითის სავარძლებს, სამინისტროში მოსმენის დროს რომ გააჩინა დამბლდორმა. ჰარი დაჯდა და დამბლდორს მიაჩერდა. დირექტორი ფოუკსს ოქროსფერ ქოჩორზე ეფერებოდა. ფენიქსმა უცებ გაიღვიძა, ლამაზი თავი ასწია და ბრჭყვიალა მუქი თვალები შეანათა დამბლდორს.

– შენი დახმარება დაგვჭირდება, – მიეფერა დამბლდორი ფრინველს.

უცებ რაღაცამ იელვა და ფენიქსი გაქრა.

დამბლდორი სასწრაფოდ მივიდა ერთ ნატიფ ვერცხლის ხელსაწყოსთან, რომლის დანიშნულება ჰარიმ აქამდე არ იცოდა, მაგიდაზე გადაიტანა, დაჯდა და მსუბუქად მიუკაკუნა ჯადოსნური ჯოხის ბოლოთი.

ხელსაწყო წკრიალით გაცოცხლდა. ვერცხლის მილიდან მკრთალი მწვანე კვამლის ბოლქვები ამოვიდა. დამბლდორი ყურადღებით აკვირდებოდა კვამლს, წარბებს შორის ღრმა ნაოჭი გაუჩნდა. რამდენიმე წამის შემდეგ ბოლი თანაბარ ნაკადად წამოვიდა, შეიკუმშა და ჰაერში დატრიალდა. და, აი, გამოჩნდა კიდეც ხახადაფჩენილი გველის თავი.

„ჩემი მონათხრობის დადასტურება ხომ არ არის“, – გაიფიქრა ჰარიმ და დამბლდორს გახედა იმ იმედით, იქნებ რამე შევიტყოო. მაგრამ დამბლდორს თავი არ აუწევია.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – ბუტბუტებდა და კვამლს აკვირდებოდა, – მაგრამ არსებითად გაყოფილია?

ჰარიმ შეკითხვისა ვერც თავი გაიგო და ვერც ბოლო. ამასობაში კვამლის გველი ორად იქცა, ორივე საზარლად იკლაკნებოდა. პირქუში კმაყოფილების გამომეტყველებით დამბლდორმა ნელა მიუკაკუნა ჯადოსნური ჯოხი ხელსაწყოს. წკრიალი შენელდა და მიწყდა, კვამლის გველები გაფერმკრთალდნენ, ჰაერში გალღვნენ და ბოლოს სულ გაქრნენ.

დამბლდორმა ხელსაწყო ვიწრო მაგიდაზე დააბრუნა. ჰარიმ დაინახა, რომ ძველმა დირექტორებმა თვალი გააყოლეს, მაგრამ როგორც კი შენიშნეს, რომ მათ ჰარი უყურებდა, მაშინვე თავი მოიმძინარეს. ჰარის უნდოდა ეკითხა, რისთვის იყო განკუთვნილი ვერცხლის უცნაური ხელსაწყო, მაგრამ ამ დროს ზევიდან ყვირილი გაისმა – ჯადოქარი, სახელად ედვარდი, აქოშინებული შემოვარდა თავის ჩარჩოში.

– დამბლდორ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ამბებია? – მაშინვე გამოეხმაურა დამბლდორი.

– ვყვიროდი, სანამ ვილაცამ არ მოირბინა, – თქვა ჯადოქარმა და გაოფლილი შუბლი ფარდით შეიმშრალა, – ვუთხარი, რომ ქვევიდან რაღაც ხმები მომესმა... არ დამიჯერეს, მაგრამ მაინც ჩავიდნენ დასათვალიერებლად... სარდაფებს ვერ ვაკონტროლებთ, ხომ იცით, იქ პორტრეტები არ არის. მოკლედ, რამდენიმე წუთის შემდეგ ამოიყვანეს. მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურება, ერთიანად სისხლშია მოსვრილი. როცა წავიდნენ, ელფრიდა კრაგის პორტრეტში გადავირბინე, რათა უკეთ დამენახა...

– კარგი, – თქვა დამბლდორმა. რონი კი აცახცახებული წამოიწია, – ესე იგი, როცა მოიყვანენ, დაილსი დაინახავს...

წუთის შემდეგ ვერცხლისფერკულულებიანი ჯადოქარიც გამოჩნდა თავის პორტრეტზე, სავარძელში ჩაჯდა, ჩაახველა და თქვა:

– ჰო, წმინდა მუნგოს კლინიკაში წაიყვანეს... ჩემი პორტრეტის გვერდით გაიარეს... ძალიან ცუდად გამოიყურება...

– გმადლობ, – უთხრა დამბლდორმა და მაკგონაგელს მიუბრუნდა: – მინერვა, უისლების სხვა ბავშვებიც უნდა გავაღვიძოთ.

– რა თქმა უნდა...

პროფესორი მაკგონაგელი კარისკენ წავიდა. ჰარიმ თავზარდაცემულ რონს გახედა.

– დამბლდორ, შევატყობინოთ მოლის? – კართან შეჩერდა მაკგონაგელი.

– ამას ფოუკსი მიხედავს, როცა შეამოწმებს, დაუპატიჟებელი სტუმრები ხომ არ არიან ახლომახლო. შეიძლება, უკვე იცის კიდეც... იმ შესანიშნავი საათის წყალობით...

ჰარი მიხვდა, დირექტორი იმ საათს გულისხმობდა, რომელიც დროს კი არა, იმას უჩვენებდა, სად და როგორ იყვნენ უისლების ოჯახის წევრები, და გულისტკივილით გაიფიქრა, ბატონი უისლის ისარი, ალბათ, „სასიკვდილო საფრთხეზეა“ გაჩერებულიო. ქალბატონ უისლის ალბათ სძინავს და, ბუნებრივია, ვერც საათს ადევნებს თვალყურს. ჰარის გააცია იმის გახსენებაზე, როგორ მიიღო ბოგარტმა ბატონი უისლის უსულო და გასისხლიანებული სახე. მაგრამ ბატონი უისლი არ მოკვდება... არ შეიძლება, რომ მოკვდეს...

დამბლდორმა ბუფეტი მოქექა. იქიდან გამურული ჩაიდანი გამოიღო, ფრთხილად დადგა საწერ მაგიდაზე, ჯადოსნური ჯოხი შემართა და ხმადაბლა თქვა: „პორტუს!“ ჩაიდანი აძიგძიგდა, წამიერად ცისფრად განათდა, მერე კი, უწინდებურად გამურული, ისევ დამშვიდდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორი წაწვეტებულწვერიან და ჭკვიანი გამომეტყველების ჯადოქრის პორტრეტთან მივიდა. მას სლიზერინის შეფერილობის ვერცხლისფერი და მწვანე ტანისამოსი ეცვა და ისე ღრმად ეძინა, რომ დამბლდორის ძახილი არ ესმოდა.

– ფინეას, ფინეას, ფინეას!

დანარჩენი პორტრეტები შეეშვნენ თავის მომძინარებას, თავ-თავიანთ ჩარჩოებში ამოძრავდნენ, რათა უკეთ დაენახათ ყველაფერი. წაწვეტებულწვერიანი ისევ აგრძელებდა თავის მომძინარებას. ამიტომ სხვებიც აჰყვნენ დამბლდორს:

– ფინეას, ფინეას, ფინეას!

ფინეას სხვა რა გზა ჰქონდა, განზრახ შეკრთა და თვალი გაახილა:

– მეძახდა ვინმე?

– თქვენს მეორე პორტრეტთან კიდევ ერთხელ მოგიწევთ წასვლა, ფინეას, – უთხრა დამბლდორმა, – ახალი შეტყობინება მივიღე.

– ჩემი მეორე პორტრეტი მოვინახულო? – ფინეასმა ვითომ დაამთქნარა, თან სწრაფად მოათვალიერა ოთახი და მზერა ჰარიზე შეაჩერა, – არა რა, დამბლდორ, დღეს საშინლად დავიღალე.

ჰარის მისი ხმა ეცნო. ნეტავ სად გაუგონია? მაგრამ გახსენებაში კედლებზე ჩამოკიდებულმა სხვა პორტრეტებმა შეუშალეს ხელი – ფინეასის სიტყვებს აღშფოთებული შეძახილები მოჰყვა.

– ეს რა უპატივცემულობაა, სერ! – იღრიალა ჩასუქებულმა წითელცხვირიანმა ჯადოქარმა და მუშტი გაიქნია, – ეს ბრძანების უგულებელყოფაა!

– ჩვენი ვალია, დავემორჩილოთ ჰოგვორტსის ახლანდელ დირექტორს! – შესძახა დაჩაჩანაკებულმა ჯადოქარმა. ჰარიმ დამბლდორის წინამორბედი არმანდო დიპეტი შეიცნო, – გრცხვენოდეთ, ფინეას!

– დავიყოლიო, დამბლდორ? – ჰკითხა ჯადოქარმა ქალმა და საოცრად სქელი ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა.

– კარგი, – დათანხმდა ფინეასი, თან შიშით შესცქეროდა ჯადოსნურ ჯოხს, – თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ მან ისევე გაანადგურა ჩემი პორტრეტი, როგორც სხვა თავისი წინაპრებისა.

– სირიუსმა იცის, რომ არ უნდა გაანადგუროს თქვენი პორტრეტი, – დაამშვიდა დამბლდორმა და ჰარის მაშინვე გაახსენდა, სად გაიგონა ფინეასის ხმა: გრიმოს მოედანზე, საძინებელში დაკიდებულ ცარიელ ჩარჩოში, – გადაეცით, რომ არტურ უისლი მძიმედ არის დაჭრილი და რომ მისი ცოლი, ბავშვები და ჰარი პოტერი სულ მალე მასთან მივლენ სახლში. გასაგებია?

– არტურ უისლი დაჭრილია, ცოლი, ბავშვები და ჰარი პოტერი მას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თან დარჩებიან, კარგი, კარგი...– გულგრილად გაიმეორა ფინეასმა, პორტრეტის ჩარჩოს მიღმა ჩაყვინთა და თვალს მიეფარა.

იმავე წამს კაბინეტის კარი გაიღო. პროფესორ მაკგონაგელს ღამისტანისამოსიანი, გაჩეჩილი და გაოგნებული ფრედი, ჯორჯი და ჯინი შემოჰყვნენ.

– ჰარი, რა ხდება? – იკითხა შეშინებულმა ჯინიმ, – პროფესორი მაკგონაგელი ამბობს, რომ შენ დაინახე, როგორ დაჭრეს მამა...

– მამათქვენი ფენიქსის ორდენის დავალების შესრულების დროს დაიჭრა, – დაასწრო დამბლდორმა, – ის წმინდა მუნგოს სახელობის ჯადოქრული სნეულებებისა და ტრავმების კლინიკაში მიიყვანეს. ახლა სირიუსის სახლში გგზავნით, კლინიკასთან უფრო ახლოა, ვიდრე „ბუნაგი“. იქ დედას შეხვდებით.

– რით უნდა წავიდეთ? – იკითხა ფერდაკარგულმა ფრედმა, – ფლუ-ფხვნილით?

– არა, ახლა ეს სახიფათოა, ქსელს უთვალთვალებენ. თქვენ პორტაჟით გადახვალთ, – დამბლდორმა მაგიდაზე დადგმულ ძველ უბადრუკ ჩაიდანზე მიუთითა, – ჯერ ფინეას ნაიჯელუსის შეტყობინებას დაველოდოთ... სანამ თქვენ გაემგზავრებით, უნდა დავრწმუნდე, რომ გზა თავისუფალია.

შუა კაბინეტში წამით აალდა ცეცხლი და ოქროს ბუმბულად გადაიქცა, რომელიც ნელა დაეშვა ძირს.

– ეს ფოუკსის გაფრთხილებაა, – ბუმბული ჰაერში დაიჭირა დამბლდორმა, – პროფესორი ამბრიჯი გაიგებს, რომ საძინებელში არა ხართ... მინერვა, წადით და ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინეთ – რაც გინდათ, ის უთხარით.

მაკგონაგელმა აფრიალებული მანტიით გასწია კარისკენ.

– მან დამაბარა, რომ მოხარული იქნება, – გაისმა გულგრილი ხმა დამბლდორის ზურგს უკან. ჯადოქარი ფინეასი კვლავ გამოჩნდა თავის ჩარჩოში სლიზერინელთა დროშის ფონზე, – ჩემს შვილთაშვილს ყოველთვის უცნაური გემოვნება ჰქონდა სტუმრების შერჩევისას.

– მოდით აქ, – მიუბრუნდა დამბლდორი ჰარის და უისლებს, – სწრაფად, სანამ გამცილებლები არ გამოჩენილან.

ყველანი მაგიდასთან შეგროვდნენ.

– ხომ ყველას გისარგებლიათ პორტაჟით?

თავი დაუქნიეს და გამურული ჩაიდნისკენ გაიშვირეს ხელი.

– კარგი. სამ თვლაზე: ერთი... ორი...

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, მანამ, სანამ დამბლდორი „სამს“ იტყოდა. ჰარიმ შეხედა, ისინი გვერდიგვერდ იდგნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორის ნათელი ცისფერი თვალები ჰარის სახეს მიაჩერდა.

იმავე წამს, თითქოს ძველი ჭრილობა გაეხსნაო, ნაიარევზე ცეცხლივით დაუარა საშინელმა ტკივილმა. უცაბედმა და უმიზეზო სიძულვილმა იფეთქა მის სულში; ისეთმა დაუოკებელმა სიძულვილმა, რომ ახლა ქვეყნად ყველაზე უფრო ერთი რამ უნდოდა – ამ კაცს კბილებით სცემოდა და დაეფლითა...

– ...სამი.

ჰარიმ ჭიპს ქვემოთ ძლიერი ბიძგი იგრძნო, ფეხქვეშ იატაკი გამოეცალა, თითები ჩაიდანზე მიეწება და მალე ხუთივე მიქროდა სადღაც, ათასი ფერისა და ქარის ორომტრიალში.

– გამეცალეთ, უჯიშოებო, სისხლის შემრყვნელებო. მართალია, რომ მამათქვენი კვდება?

– გაეთრიე! – იღრიალა სხვა ხმამ.

ჰარი წამოხტა და მიმოიხედა. ისინი გრიმოს მოედანზე, ნომერ თორმეტი სახლის სამზარეულოში იყვნენ. ბუხარი და ჩამწვარი სანთელი მკრთალად ანათებდა ვახშმის ნარჩენებს. კრეჩერი შემოსასვლელი კარისკენ გარბოდა. სანამ მიიმალებოდა, ავად გამოხედა და თეძოზე შემოხვეული ჩვარი შეისწორა. მათკენ კი გაუპარსავი, მანდანგუსივით ალკოჰოლით აყროლებული, შეშფოთებული სირიუსი მოიჩქაროდა.

– რა მოხდა? – ჯინის ხელი გაუწოდა და წამოდგომაში მიეხმარა, – ფინეას ნაიჯელუსმა თქვა, არტურ უისლი მძიმედ არის დაჭრილიო.

– ჰარის ჰკითხე, – მიუგო ფრედმა.

– მეც მინდა, მოვისმინო, – ჩაურთო ჯორჯმა.

ტყუპები და ჯინი ჰარის მიუბრუნდნენ. კრეჩერის ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა.

– ეს იყო... – ჰარის მათთვის მოყოლა უფრო გაუჭირდა, ვიდრე დამბლდორისა და მაკგონაგელისთვის, – მე რაღაც... ზმანების მსგავსი... მქონდა.

ჰარიმ ყველაფერი უამბო, რაც ნახა, მაგრამ ისე შეცვალა ნაამბობი, თითქოს გველის თავდასხმას გვერდიდან უყურებდა და არა თავისი თვალებით. მიტკალივით გაფითრებულ რონს არაფერი უთქვამს. როცა ჰარიმ დაამთავრა მოყოლა, ფრედი, ჯორჯი და ჯინი ისევ უხმოდ შესცქეროდნენ. ვერ მიხვდა, მოეჩვენა თუ არა, მაგრამ მათ თვალებში გაკიცხვა ამოიკითხა და გაიფიქრა, კიდევ კარგი, არ ვთქვი, სიზმარში გველი მე რომ ვიყავიო.

ფრედი სირიუსს მიუბრუნდა:

– დედა აქ არის?

– მოლიმ შეიძლება, ჯერ არაფერი იცის. მთავარი იყო თქვენი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოგზავნა მანამ, სანამ საქმეში ამბრიჯი ჩაერეოდა. ახლა, ვფიქრობ, დამბლდორი შეატყობინებს.

– ახლავე წმინდა მუნგოს კლინიკაში მივდივართ, – თქვა ჯინიმ და პიჟამიან ტყუპებს შეხედა, – სირიუს, გვათხოვებ მანტიებს ან რაიმე ტანსაცმელს?

– მოიცადეთ, არ შეიძლება ასე უცებ კლინიკაში გაქანება! – თქვა მან.

– არა. ახლავე უნდა წავიდეთ, – გაჯიუტდა ფრედი, – მამაჩვენია, ბოლოს და ბოლოს!

– როგორ აუხსნით, საიდან შეიტყვეთ ეს ამბავი, როცა კლინიკას ჯერ ცოლისთვისაც კი არ უცნობებია?

– რა მნიშვნელობა აქვს?! – გაცეცხლდა ჯორჯი.

– ძალიან დიდი! – უპასუხა გაბრაზებულმა სირიუსმა, – ჩვენ არ გვინდა, ყველამ გაიგოს, რომ ჰარის ხილვები აქვს და ისეთ რამეებს ხედავს, რაც ასობით კილომეტრს იქით ხდება! წარმოგიდგენიათ, რა დასკვნებს გააკეთებს სამინისტრო?!

ფრედი და ჯორჯი ისე უყურებდნენ სირიუსს, თითქოს სულ ფეხებზე ეკიდათ, სამინისტროში რას იტყოდნენ. რონი ფერდაკარგული იდგა და ხმას არ იღებდა.

– ვინმე სხვას შეეძლო ჩვენთვის ეთქვა... აუცილებელი ხომ არაა, რომ ჰარის... – შეედავა ჯინი.

– მაინც, ვის? – გააწყვეტინა სირიუსმა, – ახლა კარგად მომისმინეთ. მამათქვენი დაშავდა, როცა ორდენის დავალებას ასრულებდა. ვითარება ისედაც საეჭვოა. თუ ამას ისიც დაემატება, რომ ბავშვებმა იმავე წუთს გაიგეს ეს ამბავი... ამან შეიძლება, ორდენი სერიოზულად დააზარალოს...

– მიგვიფურთხებია თქვენი სულელური ორდენისთვის! – გაშმაგდა ფრედი.

– მამა კვდება, თქვენ კი რაებს ლაპარაკობთ აქ! – დაიღრიალა ჯორჯმა.

– მამათქვენმა იცოდა, რაზეც მიდიოდა და არა მგონია, მადლობა გითხრათ, თუ ორდენს ავნებთ! – გაცეცხლდა სირიუსი, – აი, ეგრეა საქმე... აი, რატომ არა ხართ ორდენში... თქვენ არ გესმით... არის საქმე, რომლისთვისაც ღირს სიკვდილი.

– შენთვის იოლია აქ ჯდომა და ლაპარაკი, – დაიბღავლა ფრედმა, – რაღაც არ გეტყობა, რომ საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდე!

სირიუსის ფერმკრთალ სახეს მთლად მიწისფერი დაედო. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ცოტაც და, ფრედს დაარტყამსო, მაგრამ საოცრად მშვიდი ხმით უთხრა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიცი, ძნელია, მაგრამ ახლა ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს არაფერიც არ ვიცით. ჩუმად უნდა ვისხდეთ, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ დედათქვენისგან რამეს შევიტყობთ.

ფრედი და ჯორჯი ამან ვერ დაამშვიდა. ჯინი უახლოეს სავარძელში ჩაჯდა. ჰარიმ რონს შეხედა: იმან რაღაც გაურკვეველი ჟესტი გააკეთა, ვერ გაიგებდი, თავი დააქნია თუ მხრები აიჩეჩა, ეს კი იყო, ორივე ერთდროულად ჩაჯდა სავარძელში. ტყუპები ერთხანს ისევ თვალებით ბურღავდნენ სირიუსს, მერე კი ჯინის აქეთ-იქიდან მიუსხდნენ.

– კარგი, – შვებით ამოისუნთქა სირიუსმა, – მოდი... სანამ ველოდებით, რამე დავლიოთ. აკციო, ბურბურახი!

საკუჭნაოდან ბოთლები გამოფრინდნენ, მაგიდაზე გამოსრიალდნენ, მასპინძლის ვახშმის ნარჩენები მიყარ-მოყარეს და სტუმრების წინ სათითაოდ შეჩერდნენ. ყველანი ჩუმად სვამდნენ. დროდადრო მხოლოდ შეშის ტკაცუნი და მაგიდაზე დადგმული ბოთლის ხმა ისმოდა.

ჰარიმ ბოთლი მხოლოდ იმიტომ აიღო, რომ რაღაცით მაინც დაესაქმებინა ხელები. დანაშაულის გრძნობა წვავდა და შიგნიდან გლეჯდა. ის რომ არა, ახლა აქ არ ისხდებოდნენ, ყველანი მშვიდად იწვებოდნენ ლოგინში. ამაოდ არწმუნებდა თავის თავს, განგაში რომ არ ამეტეხა, ბატონ უისლის ასე მალე ვერ იპოვიდნენო. მაინც ვერაფრით მოეცილებინა ის საზარელი ფიქრი, რომ თვითონ დაესხა თავს მეგობრების მამას.

„ნუ სულელობ, შენ გველის კბილები არა გაქვს, – იმშვიდებდა თავს, მაგრამ ბოთლი მაინც უძაგძაგებდა ხელში, – შენ ლოგინში იწექი, არავისაც არ დასხმიხარ“.

მაგრამ დამბლდორის კაბინეტში რაღა მოხდა? მასზე თავდასხმაც ხომ დავაპირეო? ეკითხებოდა თავის თავს.

ბოთლი ხმაურით დადგა და მაგიდაზე დაემხო. არავის მიუქცევია ყურადღება. მერე ჰაერში ალი ავარდა და მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი ჭუჭყიანი ჭურჭელი გაანათა. ყველამ ერთად წამოიყვირა. მაგიდაზე ტყაპანით დაეცა პერგამენტის გრაგნილი, რასაც ქანაობით მოჰყვა ფენიქსის ოქროსფერი ბუმბული.

– ფოუკსი? – სირიუსმა პერგამენტს ხელი სტაცა, – დამბლდორის ხელი არ არის, ეს ალბათ დედაშენისგანაა. გამომართვი.

წერილი ჯორჯს მისცა. ჯორჯმა გახსნა და კითხვა დაიწყო:

„მამა ჯერ ცოცხალია. მე კლინიკაში მივდივარ. ფეხი არ მოიცვალოთ. როგორც კი მოვახერხებ, მოგწერთ. დედა“.

– ჯერ ცოცხალია... – ჯორჯმა დაბნეულად გადახედა დანარჩენებს, – ეს როგორ უნდა გავიგოთ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოლომდე თქმა საჭირო არ იყო. ჰარისთვის წერილის ამ ფრაზამ ისე გაიჟღერა, თითქოს ბატონ უისლის ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. რონი ისევ ისე გაფითრებული, თვალმოუშორებლად შესცქეროდა წერილს, თითქოს მისგან სანუგეშო სიტყვებს ელოდა. ფრედმა პერგამენტი გამოჰგლიჯა ჯორჯს და ჩუმად ჩაიკითხა, მერე ჰარის შეხედა. ჰარის ხელი უკანკალებდა და ბოთლს უფრო მაგრად მოუჭირა, რომ შეეჩერებინა.

ასე არასდროს გაწელილა ღამე. სირიუსმა როგორღაც ცალყბად შესთავაზა ყველას, დაწოლილიყვნენ. პასუხად უისლებმა ზიზღით შეხედეს. მეტწილად ჩუმად ისხდნენ და შეჰყურებდნენ, როგორ იღვენთებოდა სანთელი. ხანდახან ჭიქას მიიტანდნენ პირთან, ხანდახან ვილაც დროს იკითხავდა ანდა თავისთვის მკითხაობდა, რა ხდებოდა კლინიკაში, ან სხვების დამშვიდებას ცდილობდა, ამბობდა, საქმე ცუდად რომ იყოს, აუცილებლად შეგვატყობინებდნენ – დედა ხომ კარგა ხანია იქ არისო.

ფრედმა ჩათვლიმა, თავი მხარზე ჩამოუვარდა, ჯინი კატასავით მოიკუნტა სავარძელში, მაგრამ თვალები გახელილი ჰქონდა – ჰარი გოგონას თვალებში ცეცხლის ანარეკლს ხედავდა. რონი იჯდა, სახე ხელებში ჩაერგო – ვერ გაიგებდი, ეძინა თუ არა. ოჯახური მწუხარების დაუპატიჟებელი მოწმეები, ჰარი და სირიუსი, დროდადრო გადახედავდნენ ერთმანეთს. ისხდნენ და ელოდნენ... ელოდნენ...

ექვსის ათ წუთზე კარი გაიღო და სამზარეულოში ქალბატონი უისლი შემოვიდა. ფერმკრთალი იყო, მაგრამ როცა ყველანი მისკენ შებრუნდნენ, ჰარი, ფრედი და რონი კი წამოდგნენ, ოდნავ გაიღიმა და დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა:

– გადარჩება... მოგვიანებით წავალთ სანახავად. ახლა მასთან ბილია. დილით სამსახურში არ წავა.

ფრედი სავარძელში ჩაჯდა და სახეზე ხელები აიფარა. ჯორჯი და ჯინი დედას მოეხვივნენ. რონმა სულელურად გაიცინა და ერთბაშად გამოცალა ბოთლი.

– საუზმის დროც მოსულა! – მხიარულად გამოაცხადა სირიუსმა და წამოხტა, – სად არის ეს წყეული ელფი? კრეჩერ! კრეჩერ!

მაგრამ კრეჩერი არ გამოპასუხებია.

– კარგი, უშენოდაც გავალთ იოლად, – სტუმრები გადაითვალა, – მაშ, ასე, საუზმე... შვიდი კაცისთვის, ერბოკვერცხი ბეკონით, ჩაი, გახუხული პური...

ჰარი დასახმარებლად წამოხტა. არ უნდოდა, გახარებულ უისლებს თავი უხერხულად ეგრძნოთ, თან იმ წუთსაც უფრთხოდა, როცა ქალბატონი უისლი ხილვის მოყოლას სთხოვდა. მაგრამ ის-ის იყო,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თეფშები გამოიღო ბუფეტიდან, რომ ქალბატონმა უისლიმ ხელი გააშვებინა, გულში ჩაიკრა და ჩუმად თქვა:

– ჰარი, შენ რომ არა, არ ვიცი, რა მოხდებოდა; არ ვიცი, რამდენი საათის შემდეგ იპოვიდნენ და, ალბათ, უკვე გვიანაც იქნებოდა. არტური შენ გადაარჩინე. დამბლდორმა უკვე შეთხზა სარწმუნო ისტორია იმის ასახსნელად, რა უნდოდა არტურს იქ. წარმოდგენა არა გაქვს, რა უსიამოვნებები გველოდა, გახსოვს საწყალი სტარჯისი...

ჰარისთვის მტკივნეული იყო სამადლობელი სიტყვების მოსმენა, მაგრამ, საბედნიეროდ, ქალბატონმა უისლიმ ხელი უშვა და ახლა სირიუსს უხდიდა მადლობას ბავშვების შეფარებისთვის. სირიუსმა უპასუხა, რომ მოხარული ვარ, თუ რამეში გამოგადგებით და იმედი მაქვს, სანამ ბატონი უისლი კლინიკაშია, ჩემთან დარჩებითო.

– სირიუს, რომ იცოდე, როგორი მადლიერი ვარ შენი... მათთვის ახლა აქ ყოფნა ჯობია... ახლოა კლინიკასთან... შობასაც, ალბათ, შენთან შევხვდებით.

– რაც მეტნი ვიქნებით, მით უფრო მხიარულად გავატარებთ დროს! – ისე გულწრფელად გაუხარდა სირიუსს, რომ ქალბატონ უისლის სახე გაებადრა. მერე წინსაფარი შეიკრა და საუზმეს მიხედა.

– სირიუს, – უჩურჩულა ჰარიმ, რადგან მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, – რაღაცაზე მინდა, დაგელაპარაკო, შეიძლება? სასწრაფო საქმე მაქვს.

ჩაბნელებული საკუჭნაოსკენ წავიდა. სირიუსი უკან გაჰყვა. ჰარიმ მიკიბ-მოკიბვის გარეშე უამბო თავის ხილვაზე, არც ის დაუმალავს, რომ თვითონ იყო გველი, რომელიც ბატონ უისლის თავს დაესხა. როცა სულის მოსათქმელად შეჩერდა, სირიუსმა ჰკითხა:

– დამბლდორს უთხარი?

– ჰო, რა თქმა უნდა. მაგრამ არ უთქვამს, ეს რას უნდა ნიშნავდეს. საერთოდ, არაფერს მეუბნება.

– შეშფოთების მიზეზი რომ არსებობდეს, აუცილებლად გეტყოდა, – დაამშვიდა სირიუსმა.

– მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია, – განაგრძო ჰარიმ, – სირიუს, მე მგონი, ჭკუიდან ვიშლები. მის კაბინეტში, ზუსტად იმ დროს, როცა პორტაჟით უნდა წამოვსულიყავით, წამით ისევ გავიფიქრე, რომ გველი ვიყავი. გველად ვიგრძენი თავი. ნაიარევი ამეწვა, როგორც კი დამბლდორს შევხედე... სირიუს, მინდოდა, ყელში ვცემოდი!

ჩაბნელებულ ოთახში ჰარი სირიუსის სახეს კარგად ვერ ხედავდა.

– ალბათ, იმ შენი ხილვის შედეგია და მეტი არაფერი, – უთხრა სირიუსმა, – უბრალოდ, გაგახსენდა სიზმარი, თუ რა ვიცი, რა დავარქვა და...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, არა, – ჰარიმ თავი გააქნია, – შიგნით რაღაცამ გაიღვიძა, თითქოს გველი მეჯდა.

– უნდა დაიძინო. ისაუზმებ, მერე ზევით ახვალ დასაძინებლად, სადილის შემდეგ კი მათთან ერთად მოინახულებ არტურს. კარგად მესმის შენი, მესმის, რა საშინელება გადაიტანე, ჰარი. თავს მხოლოდ იმისთვის იდანაშაულებ, რომ ყველაფერი დაინახე. კიდევ კარგი, თორემ არტური შეიძლება, დაღუპულიყო. თავს ნუ იტანჯავ, – მხარზე წამოარტყა ხელი და საკუჭნაოდან გავიდა. ჰარი სიბნელეში მარტო დარჩა.

* * *

დილაადრიან ჰარის გარდა ჯერ კიდევ ყველას ეძინა. ჰარი და რონი იმ ოთახში იყვნენ, სადაც ზაფხულის ბოლო კვირები გაატარეს. რონს დაწოლისთანავე დაეძინა. ჰარი საწოლის თავზე მიყრდნობილი განგებ უხერხულად იჯდა, რომ არ ჩასძინებოდა. ეშინოდა, ძილში ისევ გველად არ ქცეულიყო; გაღვიძებულს კი არ ენახა, რომ რონი დაკბინა ან ვინმე სხვას დაესხა თავს.

როცა რონმა გაიღვიძა, ჰარიმ ისე დაიჭირა თავი, თითქოს თვითონაც კარგად გამოიძინა. სადილობისას ჰოგვორტსიდან მათი ჩემოდნები მოვიდა – ახლა შეეძლოთ, მაგლებად გადაეცვათ და წმინდა მუნგოს კლინიკაში წასულიყვნენ. ჰარის გარდა, ყველა ბედნიერი იყო, სანამ მაისურებსა და ჯინსებს იცვამდნენ, ენა არ გაუჩერებიათ. საავადმყოფოში გასაცილებლად ტონქსი და მრისხანეთვალა მუდი გამოცხადდნენ. ბავშვები მათ მხიარული შეძახილებით შეხვდნენ. მუდის ჯადოსნური თვალის დასამალად ლამის ცხვირამდე ჩამოეფხატა ქუდი. ამაზე ბავშვებმა ბევრი იცინეს და სრულიად სერიოზულად დაარწმუნეს, რომ მეტროში უფრო ნაკლებად შესამჩნევი იქნებოდა ტონქსი, მიუხედავად იმისა, რომ ისევ კაშკაშა ვარდისფერი თმა დაეყენებინა.

ტონქსს ძალიან უნდოდა, ჰარის ხილვების ამბავი მოესმინა, მაგრამ ჰარის ამ თემაზე საუბრის სურვილი ნამდვილად არ ჰქონდა.

– ნათელმხილველი წინაპრები ხომ არ გყოლია? – ჰკითხა მეტროში, სანამ ვაგონი ლონდონის ცენტრისკენ მიქროდა.

– არა, – გაბრაზდა ჰარი. ამ შეკითხვამ ტრელოუნი მოაგონა.

– არა? – ჩაფიქრდა ტონქსი, – თუმცა, ჰო, სინამდვილეში შენ ხომ არაფერი გიწინასწარმეტყველებია... ესე იგი, აწმყო დაინახე და არა მომავალი... უცნაურია, არა? მაგრამ ძალიან კი გამოგვადგა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის არ უპასუხია. საბედნიეროდ, თავიანთ გაჩერებას მალე მიაღწიეს. ჰარიმ საერთო არეულობაში როგორღაც ისე მოახერხა, რომ ესკალატორზე მასა და ტონქსს შორის ფრედი და ჯორჯი ჩააყენა. ყველაზე უკან ხისფეხა მუდი მობაკუნობდა, ქუდი ჩამოეფხატა და უბეში დამალული დასახიჩრებული ხელით ჯადოსნური ჯოხი ჩაებღუჯა. ჰარის მოეჩვენა, რომ ქვაბურა ქუდში შემალული თვალი ყურადღებით აკვირდებოდა მას. ხილვის თაობაზე ახალი შეკითხვები რომ აერიდებინა, ჰარიმ იკითხა, წმინდა მუნგოს კლინიკა სად არისო.

– უკვე ახლოა, – ჩახლეჩილი ხმით მიუგო მუდიმ, როცა სუსხიან ჰაერზე გამოვიდნენ.

თვალწინ მაღაზიებითა და საშობაო საყიდლებზე გამოსული ხალხით გადაჭედილი ქუჩა გადაეშალათ. მუდიმ ხელი წაჰკრა ჰარის, ააჩქარა, თვითონ კი ფეხდაფეხ მიჰყვა. ჰარიმ იცოდა, რომ ქუდქვეშ დამალული თვალი ახლა ყველა მიმართულებით ბრუნავდა.

– ძნელი გამოდგა კლინიკისთვის კარგი ადგილის მოძებნა. მრუდე ქუჩაზე სიმჭიდროვეა, სამინისტროსავით მიწისქვეშ დამალვა კი არ ვარგა – ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ბოლოს და ბოლოს, აქ შევიძინეთ შენობა, იმ ვარაუდით, რომ მაგლებში შერეული ავადმყოფი ჯადოქრები შეუმჩნევლად მოახერხებდნენ მისვლა-მოსვლას.

ჰარის მხარზე მოჰკიდა ხელი, რათა ელექტროხელსაწყოებისკენ დაძრულ მყიდველთა ტალღას ერთმანეთისგან არ დაეშორებინა.

– მოვედით, – თქვა მუდიმ ცოტა ხნის შემდეგ. ვეებერთელა, ძველმოდური წითელი აგურის უნივერმაღის წინ იდგნენ. უმსგავსი, მიტოვებული, მოუვლელი შენობა იყო. ვიტრინებში მოღრეცილ-პარიკიანი რამდენიმე გაქუცული მანეკენი იდგა. უსახური, მოდიდან ათი წლის წინათ გადასული ტანისამოსი ეცვათ. მტვრიან კარზე აბრა ეკიდა: „დაკეტილია სარემონტოდ“. ჰარიმ გარკვევით გაიგონა, როგორ უთხრა ერთმა ფაშფაშა ქალმა თანამგზავრს: „ამათ სულ გაუთავებელი რემონტი აქვთო“.

– აქეთ, – ტონქსმა იმ ვიტრინისკენ მოუხმო, სადაც ეულად იდგა მახინჯი მანეკენი. ხელოვნური წამწამები ასძრობოდა, ტანისამოსისგან კი მხოლოდ მწვანე ნეილონის წინსაფარიღა შერჩენოდა.

– მზად ხართ?

ყველანი ტონქსის გარშემო შეგროვდნენ. მუდიმ ისევ წაჰკრა ხელი ჰარის, რომ ახლოს მისულიყო, ტონქსი კი ისე ახლოს დაიხარა მანეკენისკენ, რომ ვიტრინა დაიორთქლა.

– ქალბატონო, არტურ უისლის სანახავად მოვედით.

„რა სისულელეა, – გაიფიქრა ჰარიმ, – რა უნდა გაიგოს მინის მილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მყოფმა მანეკენმა, როცა ქუჩაში ავტობუსები დაგრუხუნებენ და ამდენი ხალხი ყაყანებს“. თუმცა, იქვე ისიც გაიფიქრა, რომ მანეკენებს საერთოდაც არაფერი ესმით. წამის შემდეგ კი გაოცებისგან პირი დააღო. მანეკენმა ოდნავ დაუკრა თავი, თითით მოიხმო, ტონქსმა კი ხელი სტაცა ჯინისა და დედამისს, პირდაპირ მინაში შევარდა და გაუჩინარდა.

მათ ფრედი, ჯორჯი და რონი მიჰყვნენ. ჰარიმ ქუჩაში მოსიარულე ხალხს გახედა, კაციშვილს თავიც არ მიუბრუნებია უნივერმაღის უშნო ვიტრინისკენ, არავის შეუმჩნევია, როგორ აორთქლდა ჰაერში ექვსი ადამიანი.

– მიდი, – წასჩურჩულა მუდიმ, ისევ წაჰკრა ჰარის ხელი, რაღაც ცივი, წყლის ფარდისმაგვარი გაიარეს და შენობის შიგნით აღმოჩნდნენ.

აღარსად იყო არც მახინჯი მანეკენი და არც ვიტრინა. როგორც ჩანს, მიმღებ განყოფილებაში იყვნენ, მოყანყალებულ სკამებზე ჯადოქრები ისხდნენ. ზოგიერთები, სავსებით ნორმალური შესახედაობისანი, „კვირის ალქაჯის“ ძველ ნომრებს კითხულობდნენ, სხვები უცნაურად დამახინჯებულიყვნენ: ზოგს ცხვირი სპილოს ხორთუმივით დაჰგრძელებოდა, ზოგსაც მესამე ხელი პირდაპირ მკერდიდან ამოზრდოდა. ქუჩის მსგავსად, აქაც საშინელი ხმაური იდგა – პაციენტები საკმაოდ უცნაურ ხმებს გამოსცემდნენ. რიგის შუაში მჯდომი ოფლში გახვითქული ჯადოქარი ქალი „დილის მისნით“ ენერგიულად ინიავებდა სახეს და დროდადრო უსტვენდა, თან პირიდან ორთქლი გამოსდიოდა; კუთხეში მჯდომი ჩამოძონძილი ჯადოქარი ყოველ მოძრაობაზე ეჟვანივით წკრიალებდა და თავი ისე უცახცახებდა, სანამ ყურებზე არ წაივლებდა ხელს, ვერ იჩერებდა.

რიგებს შორის ჯადოქრები დაფაცურობდნენ, შეკითხვებს იძლეოდნენ და დიდ ბლოკნოტებში, ამბრიჯს რომ ჰქონდა, ისეთებში, რაღაცას ინიშნავდნენ. მათ მკერდზე ჰარიმ ამოქარგული ემბლემა შენიშნა – გადაჯვარედინებული ჯადოსნური ჯოხი და ძვალი.

– ესენი ექიმები არიან? – ხმადაბლა ჰკითხა რონს.

– ექიმები? – გაუკვირდა რონს, – შენ იმ დამთხვეულ მაგლებს გულისხმობ, ადამიანებს რომ ჩეხავენ? არა, ესენი მკურნალები არიან.

– აქეთ! – დაუძახა ქალბატონმა უისლიმ თავისიანებს და იმ მაგიდასთან დადგნენ რიგში, რომელსაც ფუშფუშა ქერათმიანი ქალბატონი უჯდა. მაგიდას აბრაც ჰქონდა მიკრული და ზედ ეწერა: „ცნობათა ბიურო“.

მის უკან კედელი მორთული იყო, დაახლოებით, ამ ტიპის პლაკატე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბით: „სუფთა ქვაბში სუფთა ნაყენია“, „ურეცეპტოდ გაცემული წამალი შეიძლება საწამლავად გექცეთ“. აქვე ეკიდა გრძელი ვერცხლისფერკულულებიანი ჯადოქარი ქალის პორტრეტი წარწერით:

დაილის დერვენტი

წმ. მუნგოს კლინიკის მკურნალი (1722-1741)
ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის
სკოლის დირექტორი (1741-1768)

დაილისი ისე ათვალიერებდა არტურ უისლის სტუმრებს, თითქოს ითვლისო. როცა ჰარი მის მზერას გადააწყდა, ქალმა ოდნავ შესამჩნევად ჩაუკრა თვალი და ჩარჩოში შეიმალა.

ამასობაში რიგის თავში ახალგაზრდა ჯადოქარი ადგილზე ცეკვა-ცეკვითა და ყოველ წამს ტკივილისგან შეყვირებით ცდილობდა, აეხსნა თავისი გასაჭირი მაგიდასთან მჯდომი ქერათმიანი ჯადოქრისთვის.

– ეს ფეხსაცმელი... ოი... ძმამ მომცა... უი... ლამის გამომხრან... აი... ფეხები... შეხედეთ, ალბათ... უუჰ... მოჯადოებულია... დეეე... გამხადეთ... – ისე ხტოდა ერთ ადგილზე, თითქოს გაღვივებულ ნაკვერჩხლებზე ცეკვავსო.

– ვფიქრობ, ფეხსაცმელი კითხვაში არ უნდა გიშლიდეთ ხელს, – ცივად უთხრა ქერათმიანმა და მის მარცხნივ ვეებერთელა განცხადებაზე მიუთითა, – თქვენ „შელოცვებით გამოწვეული სნეულებების განყოფილებაში“ უნდა მიბრძანდეთ, მეხუთე სართულზე. ხედავთ სართულის მაჩვენებელს? შემდეგი!

ახალგაზრდა კოჭლობით გავიდა განზე, უისლისთან მოსულებმა ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ და ჰარიმ მაჩვენებლის წაკითხვა შეძლო:

ხელქმნილი საგნებით მიყენებული ტრავმები

1-ლი სართული

ქვაბის აფეთქება, ჯადოსნური ჯოხის უკუქმედება, ცოცხის ავარია და სხვ.

ცოცხალი არსებებისგან დაშავება

მე-2 სართული

ნაკბენები, დამწვრობა, დაგესვლა, დაკაწვრა და სხვ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭადოსნური ვირუსები

მე-3 სართული

ინფექციური დაავადებები, კერძოდ: დრაკონის ყვავილი, ტაქრობის სენი და სხვ.

შხამ-წამლებითა და მცენარეებით მოწამვლა

მე-4 სართული

ტამონაყარი, ტულისრევა, დაუოკებელი სიცილი და სხვ.

შელოცვით გამოწვეული სნეულებანი

მე-5 სართული

აუხსნელი ფადო, ფადოს შეკვრა, ანასწორი შელოცვა და სხვ.

კლინიკის ბუფეტი და მაღაზია

მე-6 სართული

თუ არ იცით, ვის მიმართოთ,
არ შეგიძლიათ ნორმალური ლაპარაკი ან არ გახსოვთ,
რისთვის მოხვედით, მიმართეთ ჭადოქარ-დიასახლისს,
რომელიც სიამოვნებით დაგეხმარებათ.

მაგიდასთან წელში მოხრილი მოხუცი ჯადოქარი მივიდა, ხელში მოსასმენი აპარატი ეჭირა.

– მე ბროდერიკ ბოუდთან ვარ!

– ორმოცდამეცხრე პალატა. მაგრამ, ალბათ, ტყუილად დაკარგავთ დროს. გონება მთლად დაბინდული აქვს – ჯერ კიდევ ჩაიდანი ჰგონია თავი. შემდეგი!

გატანჯულ ჯადოქარს მაგრად ეჭირა თავისი პატარა ქალიშვილი კოჭით, ის კი პირდაპირ კომბინეზონიდან ამოზრდილი ვეებერთელა ფრთების ქნევით დასტრიალებდა თავს.

ქერათმიანს არაფერი უკითხავს, გულგრილად უთხრა:

– მეოთხე სართული, – ჯადოქარი იქვე, მაგიდასთან ახლოს ორფრთიან კარში გავიდა. ქალიშვილი საჰაერო ბუშტივით ეჭირა, – შემდეგი!

მაგიდასთან ქალბატონი უისლი მივიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გამარჯობა. ჩემი მეუღლე არტურ უისლი დილით სხვა პალატაში უნდა გადაეყვანათ. ვერ მეტყვით?

– არტურ უისლი? – ქერათმიანმა თითი ჩააყოლა გრძელ სიას, – დიახ, მეორე სართული, მეორე კარი მარჯვნივ. დალ ლეველინის პალატა.

– გმადლობთ. წავედით, ბავშვებო.

ორფრთიან კარში გავიდნენ. მერე ცნობილ მკურნალთა პორტრეტებითა და ჭერში მოლივლივე ბროლის ბუშტებით განათებულ ვიწრო დერეფანს გაუყვნენ. აქეთ-იქით კარები იღებოდა და მწვანეხალათიანი ჯადოქრები შედი-გამოდიოდნენ. ერთ-ერთი კარიდან ყვითელმა მყრალმა გაზმა გამოჟონა. დროდადრო საიდანღაც ყრუ კვნესა და კრუსუნი ისმოდა. კიბეზე ავიდნენ და ჯადოსნური არსებების მიერ დაშავებულთა განყოფილებაში შევიდნენ. მარჯვნივ, მეორე კარზე დაფა იყო გაკრული: „სახიფათოა. დალ ლეველინის პალატა. სერიოზული ნაკბენები". ქვეშ, თითბრის თხელ კოლოფში ბარათი იდო, ბარათზე ხელით წაეწერათ: „მორიგე მკურნალი ჰიპოკრატე სმეტვიკი. სტაჟიორი მკურნალი აუგუსტ რაი".

– მოლი, ჩვენ გარეთ დაგიცდით, არტურს არ სჭირდება ერთბაშად ამდენი სტუმარი... ჯერ ახლობლები შევიდნენ, – უთხრა ტონქსმა.

მრისხანეთვალამ მოწონების ნიშნად რაღაც ჩაიბურტყუნა და კედელს ზურგით მიეყრდნო, თან ჯადოსნურ თვალს ყველა მიმართულებით ატრიალებდა. ჰარიმაც უკან დაიხია, მაგრამ ქალბატონმა უისლიმ ხელი ჩაავლო და კარისკენ უბიძგა.

– ნუ სულელობ, ჰარი. არტურს შენთვის მადლობის გადახდა უნდა.

პალატა პატარა და უსახური იყო, კარის მოპირდაპირე კედელში, ზემოთ ერთადერთი ვიწრო ფანჯარა გამოეჭრათ. ოთახს ჭერში დაკიდებული ბროლისბურთულებიანი მტევანი ანათებდა. კედლები მუხით იყო მოპირკეთებული, ერთ-ერთ კედელზე მრისხანესახიანი ჯადოქრის პორტრეტი ეკიდა, ქვემოთ ეწერა: „ურკჰარტ რაქჰაროუ, 1612-1697, ნაწლავების გასასუფთავებელი შელოცვის გამომგონებელი".

ოთახში მხოლოდ სამი ავადმყოფი მოეთავსებინათ. ბატონი უისლი მეორე ბოლოში, ფანჯარასთან იწვა. ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა დაინახა, რომ ბატონი უისლი, ბალიშებზე დაყრდნობილი, სანახევროდ წამომჯდარი კითხულობდა „დილის მისანს". ერთადერთი მზის სხივი სწორედ მის საწოლს ეცემოდა. გაზეთს თვალი მოსწყვიტა და მოსულებს ხალისიანად მიესალმა:

– გამარჯობა! მოლი, ბილი ახლახან წავიდა, სამსახურს ვერ გააცდენდა. შემპირდა, მოგვიანებით შემოგივლიო.

– როგორ ხარ, არტურ? – ქალბატონი უისლი დაიხარა, ლოყაზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აკოცა და შეშფოთებით შეათვალიერა, – ჯერ კიდევ ვერ გამოიყ-ურები კარგად.

– მშვენივრად ვგრძნობ თავს, – ხალისიანად თქვა ბატონმა უისლიმ და ჯანმრთელი ხელი ჯინის მოხვია, – სახვევები რომ მოეხსნათ, შინ წამოვიდოდი.

– რატომ არ გხსნიან? – ჰკითხა ფრედმა.

– როცა მხსნიან, საშინელი სისხლდენა მეწყება, – მხიარულად თქვა ბატონმა უისლიმ და ტუმბოდან ჯადოსნური ჯოხი აიღო. მერე გაიქნია და ექვსი სკამი გააჩინა, – როგორც ჩანს, ამ გველს კბილებში საკმაოდ უცნაური შხამი ჰქონდა – ჭრილობებს შეხორცების საშუ-ალებას არ აძლევს. მაგრამ მარწმუნებენ, რაიმე შხამსაწინააღმდეგო წამალს გიპოვითო, მანამდე კი, საათში ერთხელ სისხლის აღმდგენ ნაყენს მასმევენ. ამ ჩემს მეზობელს, – ხმას დაუწია და მოპირდა-პირე საწოლისკენ გაიქნია თავი. მამაკაცს მიწისფერი ედო და ჭერს შესცქეროდა, – მაგას მაქციამ უკბინა. განკურნება შეუძლებელია.

– მაქციამ? – შეშფოთდა ქალბატონი უისლი, – საერთო პალატაში რატომ აჩერებენ? ცალკე არ უნდა იწვეს?

– მთვარის შევსებამდე კიდევ ორი კვირაა, – ჩუმად შეახ-სენა ბატონმა უისლიმ, – დღეს მკურნალები ესაუბრებოდნენ. ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ, რომ ნორმალური ცხოვრების გაგრძელებას შეძლებს. მე ვუთხარი, რომ პირადად ვიცნობ მაქციას, – რა თქმა უნდა, სახელი არ მიხსენებია, – უსაყვარლესი ადამიანია და მშვენივრად აუღო ალღო ვითარებას.

– და რა გიპასუხა? – ჰკითხა ჯორჯმა.

– რა და, თუ არ მოკეტავ, ახლა მე გიკბენო, – ნაღვლიანად თქვა ბატონმა უისლიმ, – აი, ის ქალი კი, – კართან მესამე საწოლზე აჩვენა, – არ ამბობს, ვინ უკბინა. ვეჭვობ, რომ აკრძალულ არსებას ინახავდა. ასეა თუ ისე, ფეხის დიდი ნაწილი მოაგლიჯა – როცა სახვევებს უცვ-ლიან, საზიზღარი სუნი დგება.

– მოგვიყვები თუ არა, რა დაგემართა? – ჰკითხა ფრედმა და სკამი საწოლთან მიაჩოჩა.

– თქვენ, ალბათ, უკვე იცით, არა? – ბატონმა უისლიმ მრავალმ-ნიშვნელოვნად გაუღიმა ჰარის, – სულ უბრალოდ მოხდა. დაღლილი ვიყავი, მორიგეობისას ჩამთვლიმა, მომეპარა და მიკბინა.

– „მისანში“ უკვე წერია ეს ამბავი? – ფრედმა განზე გადადებულ გაზეთზე უჩვენა.

– რა თქმა უნდა, არა, – ბატონმა უისლიმ ნაღვლიანად გაიღიმა, – სამინისტროს არ სურს, შეატყობინოს საზოგადოებას, რომ ვეე-ბერთელა საზიზღარი გველი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არტურ! – გააფრთხილა ქალბატონმა უისლიმ.

– ...თავს ...ეე ...დამესხა, – საჩქაროდ დაასრულა, მაგრამ ჰარიმ იგრძნო, რომ სულ სხვა რამის თქმას აპირებდა.

– სად დაგესხა თავს? – ჰკითხა ჯორჯმა.

– ეგ ჩემი საქმეა, – მოკლედ მოუჭრა ბატონმა უისლიმ, გაიღიმა, „მისანი" გაშალა და თქვა: – სანამ თქვენ მოხვიდოდით, უილი უიდერშინსის დაპატიმრების ამბავს ვკითხულობდი. აღმოჩნდა, რომ ზაფხულის ოინები მფრქვევ უნიტაზებზე მისი ნახელავი ყოფილა. ერთხელაც შელოცვა არ გამოუვიდა, უნიტაზი აფეთქდა და ნამტვრევებს შორის იპოვეს – თავიდან ფეხებამდე ამოსვრილი იყო...

– რომ ამბობ, ვმორიგეობდიო, – ხმადაბლა შეაწყვეტინა ფრედმა, – ესე იგი, რას აკეთებდი?

– ხომ გითხრა მამამ, – წაიჩურჩულა ქალბატონმა უისლიმ, – აქ ამის სალაპარაკო ადგილი არ არის! მაშ, როგორ იყო უილი უიდერშინსის საქმე, არტურ?

– ნუ მკითხავთ, როგორ, მაგრამ ტუალეტის საქმეზე ბრალდებისგან თავი დაიძვრინა, – მოიღუშა ბატონი უისლი, – ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ვიღაც-ვიღაცეები მოქრთამეს.

– შენ მას სდარაჯობდი? იარაღს, რომელსაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის ეძებს? – ჩუმად ჰკითხა ჯორჯმა.

– გეყოფა, ჯორჯ! – დაუყვირა დედამ.

– ერთი სიტყვით, – განაგრძო ბატონმა უისლიმ და ხმას აუწია, – ამჯერად უილის კბენია კარის სახელურებზე ჩაავლეს და მეეჭვება, თავი დაიძვრინოს – გაზეთში წერია, რომ ორმა მაგლმა თითები დაკარგა და აქ მოათავსეს ძვლების წასაზრდელად და მეხსიერების შესაცვლელად. წარმოგიდგენიათ – მაგლები წმინდა მუნგოს კლინიკაში! საინტერესოა, რომელ პალატაში არიან, – ისე მიმოიხედა, თითქოს დაფაზე წარწერილ გვარებს ეძებსო.

– ჰარი, შენ მგონი, ამბობდი, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას გველი ჰყავსო, – იკითხა ფრედმა, თან მამას აკვირდებოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა, – ვეებერთელაო. იმ ღამეს ნახე, როცა ის დაბრუნდა, ასე არ არის?

– გეყოფათ, – გაბრაზდა ქალბატონი უისლი, – მუდი და ტონქსი დერეფანში იცდიან, არტურ, შენი ნახვა უნდათ. თქვენ კი, ბავშვებო, გარეთ მოიცადეთ. დასამშვიდობებლად მერე შემოხვალთ.

ყველანი დერეფანში გამოცვივდნენ. მრისხანეთვალა და ტონქსი პალატაში შევიდნენ და კარი მიიხურეს. ფრედმა წარბი ასწია.

– მშვენიერია, – თქვა და ჯიბეში ჩაიყო ხელი, – თქვენი ნებაა, ნურაფერს გვეტყვით!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამას ხომ არ ეძებ? – ჯორჯმა ხორცისფერი ზონრების აბურ-დული გორგალი დაანახვა.

– პირდაპირ ჩემს აზრებს კითხულობ, – ჩაიცინა ფრედმა,

– აბა, ვნახოთ, ადევს თუ არა შეუღწევლობის ჯადო წმინდა მუნ-გოს კლინიკის კარს.

დახლართული ყურების დამაგრძელებლები დააცალკევეს და დანარჩენებს დაურიგეს. ჰარი შეყოყმანდა, აეღო თუ არა.

– აიღე, ჰარი! შენ მამაჩემი გადაარჩინე. შენ ნამდვილად გაქვს უფლება, ყველაფერი იცოდე.

ჰარის უნებურად გაეღიმა, ზონარი გამოართვა და, ტყუპების მსგავსად, ზონრის ერთი ბოლო ყურში გაირჭო.

– აბა, ამოძრავდით! – წაიჩურჩულა ფრედმა.

ჭიასავით დაკლაკნილი ხორცისფერი ზონრები კარის ქვეშ გაძ-ვრნენ. თავდაპირველად ჰარის არაფერი ესმოდა, მერე მოულოდ-ნელობისგან შეკრთა კიდეც – ტონქსის ჩურჩული ისე გარკვევით მოესმა, თითქოს გვერდით ედგა.

– იქაურობა გადავქექეთ, მაგრამ გველი ვერ ვიპოვეთ. თავს დაგ-ესხა და მერე თითქოს აორთქლდა, არტურ... მაგრამ ჩვენ-რომ-ვიც-ით, იმას, ალბათ, არ უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ იქ შეაღწევდა, არა?

– ვფიქრობ, დასაზვერად გამოგზავნა, – გამოსცრა მუდიმ, – აქა-მდე არაფერი გამოსდიოდა, ასე არ არის? მგონია, იმის გაგება უნდა, რასთან აქვს საქმე და, არტური რომ არა, ის ქვემძრომი ყველაფერს დაყნოსავდა. ესე იგი, პოტერი ამბობს, რომ ყველაფერი დაინახა?

– ჰო, – ბატონ უისლის დაძაბული ხმა ჰქონდა, – იცით, დამ-ბლდორი ლამის დარწმუნებული იყო, რომ ჰარი რაღაც ამის მაგვარს დაინახავდა.

– ჰო, ყველამ ვიცით, რომ ეს ბიჭი ცოტა უცნაურია...

– როცა დილით დამბლდორს ველაპარაკე, ჰარის გამო შფოთავდა, – წაიჩურჩულა ქალბატონმა უისლიმ.

– როგორ არ იქნებოდა, – წაიბუზღუნა მუდიმ, – ბიჭი ჩვენ-რომ-ვიცით, იმისი გველის თვალით ხედავს ყველაფერს. თვითონ შეი-ძლება არც იცის, რას ნიშნავს ეს, მაგრამ თუ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაეუფლება...

ჰარიმ ყურების დამაგრძელებელი გამოიძრო, გული საშინლად უცემდა, სისხლი თავში აუვარდა. ბიჭებს გახედა. ყველანი მას შეჰყ-ურებდნენ. დამაგრძელებლები ისევ ყურში ჰქონდათ გარჭობილი, თვალებში კი შიში ედგათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამესამე

შობა გრიმოს მოედანზე

აი, თურმე რატომ არ უყურებს დამბლდორი თვალებში! ეშინია, იქ ვოლდემორის მზერას არ გადააწყდეს; ეშინია, რომ მათი ღია მწვანე ფერი ალისფრად არ იქცეს, გუგები კი – ვიწრო ნაპრალებად. ჰარის გაახსენდა, როგორ ამოიზარდა პროფესორ ქვირელის კისრიდან ვოლდემორის გველისებური თავი და ხელი მოისვა კისერზე, თან შეეცადა წარმოედგინა, რას იგრძნობდა ვოლდემორი, მისი საყელოდან რომ ამოეყო თავი.

თავს უწმინდურად გრძნობდა, თითქოს სასიკვდილო მიკრობს ატარებდა და ღირსი არ იყო, მჯდარიყო ვაგონში სუფთა, სპეტაკ ადამიანებთან ერთად, რომელთა ტვინი და სხეული ვოლდემორის შხამს არ მოეწამლა... ის უბრალოდ კი არ ხედავდა გველს, თვითონ იყო გველი, ახლა უკვე დანამდვილებით იცოდა ეს...

საშინელმა აზრმა გაუელვა თავში – მეხსიერებაში კოშმარი ამოტივტივდა და შიგნით თითქოს გველები აუფუთფუთდნენ.

რა სჭირდება ვოლდემორს მომხრეების გარდა?

ის, რასაც შეიძლება, უჩუმრად დაეუფლოს... რაღაც... იარაღისმაგვარს. იმას, რაც ადრე არასოდეს ჰქონია.

„ეს იარაღი მე ვარ, – გაიფიქრა ჰარიმ და თითქოს შხამმა დაუარა ძარღვებში, ცივმა ოფლმა დაასხა. ვაგონი ბნელ გვირაბში მიქროდა, – მე ის ვარ, რისი გამოყენებაც ვოლდემორს უნდა. აი, რატომ მდარაჯობენ ყველგან, სადაც უნდა წავიდე – მე კი არა, სხვა ადამიანებს იცავენ, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, გაუთავებლად ხომ ვერ მიდარაჯებენ ჰოგვორტსში... ეს მე დავესხი თავს ბატონ უისლის. მე!!! ვოლდემორმა მაიძულა, შეიძლება, ახლა ჩემში ზის და ჩემს ფიქრებს კითხულობს...“

– ჰარი, საყვარელო, რა დაგემართა? – ჩურჩულით ჰკითხა ქალბა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტონმა უისლიმ, – ფერი აღარ გადევს. ავად ხომ არ ხარ? ჰარიმ თავი ენერგიულად გადააქნია და უძრავი ქონების დაზღვევის რეკლამას მიაშტერდა.

– ჰარი, მართლა არა ხარ ავად? – შეშფოთებით ჰკითხა ქალბატონმა უისლიმ, როცა გრიმოს მოედნის შუაში გაუკრეჭავ გაზონს მიადგნენ, – ისეთი ფერმკრთალი ხარ... წუხელ ხომ კარგად გეძინა? ახლავე წადი საძინებელში და ვახშმამდე ორიოდე საათი მაინც დაიძინე, კარგი?

ჰარიმ თავი დაუქნია. მშვენიერი საბაბი მიეცა, რომ არავის დალაპარაკებოდა, უკეთესს ვერც ინატრებდა. ამიტომ, გააღო თუ არა კარი ქალბატონმა უისლიმ, სწრაფად აუარა გვერდი ტროლის ფეხის მსგავს ქოლგების მისაყუდებელს და საძინებელში ავიდა.

ფინეას ნაიჯელუსის პორტრეტის ცარიელ ჩარჩოსა და საწოლებს შორის აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა, სულ ერთსა და იმავე კითხვებს უტრიალებდა და გონებაში სულ უფრო საზარელ სურათებს ხატავდა.

როგორ იქცა გველად? იქნებ ანიმაგუსია?.. არა, მაშინ ეცოდინებოდა... იქნებ ვოლდემორია ანიმაგუსი? ჰო, ეს უფრო ჰგავს სიმართლეს, ვოლდემორისთვის არაფერია გველად გადაქცევა...

„როცა მეუფლება, – ფიქრობდა ჰარი, – მაშინ ჩვენ ორივენი გველად ვიქცევით ხოლმე... მაგრამ მაინც გაუგებარია, როგორ მოვახერხე ხუთ წუთში ლონდონში წასვლა და საკუთარ საწოლში დაბრუნება... თუმცა, ვოლდემორი ყველაზე ძლევამოსილი ჯადოქარია დამბლდორის შემდეგ და მისთვის ძნელი არ არის, ასე გადააადგილოს ადამიანი, – ამის გაფიქრებამ შეაძრწუნა, – არა, ეს სრული სიგიჟეა: თუ ვოლდემორი უკვე დაეუფლა ჩემს სხეულს, ესე იგი, ფენიქსის ორდენის შტაბ-ბინასაც ხედავს! აი, ახლა, ამ წუთებში! გაიგებს, ვინ არიან ორდენის წევრები და სად იმყოფება სირიუსი... მე კი რამდენი რამ მოვისმინე, ისეთი, რაც არ უნდა მომესმინა – ყველაფერი, რასაც სირიუსი მომიყვა ჩემი აქ მოსვლის პირველ საღამოს...“

გამოსავალი ერთია: ახლავე უნდა წავიდეს გრიმოს მოედნიდან. შობას ჰოგვორტსში გაატარებს, დღესასწაულებზე მაინც აარიდებს ხიფათს თავისიანებს... არა, ასე არ ივარგებს. იქ აუარებელი ხალხია, ხომ შეიძლება, ისინი დაასახიჩროს, ანდა, სულაც დახოცოს? ხომ შეიძლება, რომ შემდეგი მსხვერპლი სიმუსი, დინი ან ნევილი გახდეს? ფინეას ნაიჯელუსის პორტრეტის ცარიელ ჩარჩოსთან შეჩერდა. სხეულში თითქოს ტყვია ჩაეღვარა. სხვა გზა არ არის, პრივიტ დრაივზე უნდა დაბრუნდეს, საბოლოოდ ამოიკვეთოს ფეხი ჯადოსნური სამყაროდან.

„თუ ასეა, ტყუილად ვკარგავ დროს,“ – გაიფიქრა ჰარიმ. ცდილობ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, არ ეფიქრა იმაზე, რას იზამდნენ დერსლები, როცა ექვსი თვით ადრე დაბრუნდებოდა მათთან. ჩემოდანი დაკეტა, და ჩვეულებისამებრ ჰედვიგს დაუწყო ძებნა. გაახსენდა, რომ ბუ ისევ ჰოგვორტსში იყო. კარგია, ერთი ნივთით ნაკლები მექნებაო. ჩემოდანს დაავლო ხელი და გასასვლელისკენ გაათრია, მაგრამ შუაგზაზე დამცინავმა ხმამ შეაჩერა:

– ვიპარებით, არა?

შემობრუნდა. პორტრეტიდან ჩარჩოს მიყრდნობილი ფინეას ნაიჯელუსი უყურებდა.

– არ ვიპარები, – მოკლედ მოუჭრა ჰარიმ და კიდევ ორ ნაბიჯზე გაათრია ჩემოდანი.

– ვფიქრობდი, რომ გრიფინდორელობა გამბედაობასაც გულისხმობდა, – ფინეას ნაიჯელუსმა წაწვეტებულ ნიკაპზე მოისვა ხელი, – მეჩვენება, რომ სლიზერინის კლუბი უფრო შეგეფერებათ. ჩვენ, სლიზერინელები, მამაცები ვართ, მაგრამ არა ბრიყვები. კერძოდ, როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ყოველთვის საკუთარი ტყავის გადარჩენას ვანიჭებთ უპირატესობას...

– მე საკუთარი ტყავის გადარჩენას არ ვცდილობ, – იუარა ჰარიმ, თან ჩრჩილისგან ამოჭმულ უსწორმასწორო ხალიჩაზე მიათრევდა ჩემოდანს.

– აჰ, გასაგებია, – ფინეას ნაიჯელუსი ისევ წვერზე ისვამდა ხელს, – ეს ლაჩრული გაქცევა არ არის, თქვენ გინდათ, კეთილშობილი იყოთ?!

ჰარი პასუხის გაცემას არ აპირებდა, უკვე კარის სახელურს ჩაავლო ხელი, რომ ფინეას ნაიჯელუსმა ისე, სხვათა შორის მიაძახა:

– დამბლდორმა რაღაც დამაბარა თქვენთან.

ჰარი შემოტრიალდა.

– რა?

– ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ!

– ჰოდა, აგერ ვდგავარ კიდეც! – თქვა ჰარიმ ისე, რომ სახელურისთვის ხელი არ გაუშვია, – მაინც, რა დაგაბარათ?

– სწორედ ახლა გადმოგეცით, ყეყეჩო, – ცივად უთხრა ფინეას ნაიჯელუსმა, – დამბლდორმა შემოგითვალათ, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოო!

– რატომ? – ჰარიმ ჩემოდანს ხელი უშვა, – რატომ უნდა დავრჩე? კიდევ რა თქვა?

– მეტი არაფერი, – უპასუხა ნაიჯელუსმა და წვრილი შავი წარბი ისე ასწია, თითქოს იმის თქმა უნდოდა, რა თავხედი ხარო. ჰარის სიბრაზისგან სახეზე სისხლი მოაწვა. ამ თორმეტი საათის განმავ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლობაში გაწამდა, დაიბნა, რა საშინელება აღარ გადაიტანა, მერე ისევ იგრძნო შვება და კვლავ ახალი საშინელება – დამბლდორმა მასთან პირადად დალაპარაკებაც კი არ ისურვა!

– ზუსტად ასე დაგაბარათ, არა? – ხმამაღლა თქვა, – „ადგილიდან ფეხი არ მოიცვალო!“ სულ ეს არის, რასაც მეუბნებიან მას შემდეგ, რაც დემენტორებიც დამესხნენ თავს. იჯექი შენთვის, ჰარი, უფროსები გაარკვევენ ყველაფერს. რა უნდა აგიხსნა – მაინც ვერ გაიგებ შენი პატარა ტვინით!

– იცი, – ხმას აუწია ფინეას ნაიჯელუსმა, – სწორედ ამიტომ არ მომწონდა მასწავლებლობა. ახალგაზრდებს ვერაფრით დაარწმუნებ, რომ რაღაცაში ცდებიან! ყველაფერში მართალი ჰგონიათ თავი. არასდროს არ მოგსვლიათ აზრად, საცოდავო ჭუკო, რომ ჰოგვორტსის დირექტორს შეიძლება საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდეს, თავისი გეგმის წვრილმანი დეტალები არ გაგიმხილოთ? საკუთარი გულისტკენის ლოლიაობაში ერთხელაც არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ დამბლდორის განკარგულებებს არასდროს მოუტანია თქვენთვის ზიანი?! რა თქმა უნდა, არ დაფიქრებულხართ – როგორც ყველა ახალგაზრდა, თქვენც აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ, რომ მარტო თქვენ გაქვთ ფიქრისა და შეგრძნების უნარი; რომ მხოლოდ თქვენ გრძნობთ ხიფათს; რომ მხოლოდ თქვენ გეყოფათ ჭკუა, ჩასწვდეთ ბნელი ბატონის ჩანაფიქრს...

– ესე იგი, იმას ჩემი გამოყენება აქვს ჩაფიქრებული? – სწრაფად იკითხა ჰარიმ.

– მე ეგ არ მითქვამს, – ფინეასმა ზანტად შეათვალიერა თავისი აბრეშუმის ხელთათმანები, – ახლა კი მაპატიეთ, უფრო საინტერესო საქმეებიც მაქვს, ვიდრე სულელი ბავშვების წუწუნის მოსმენაა. კარგად ბრძანდებოდეთ.

და პორტრეტიდან გავიდა.

– ჰოდა, წაბრძანდი! – დაუყვირა ჰარიმ ცარიელ ტილოს, – და გადაეცი დამბლდორს ჩემი მადლობა არაფრისთვის. ტილო ჩუმად იყო. გაცოფებულმა ჰარიმ ჩემოდანი უკანვე, საწოლის ფეხებთან მიათრია და ჩრჩილნაჭამ გადასაფარებელზე პირქვე დავარდა.

თვალები დახუჭა. დამძიმებული სხეული ტეხდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ათობით კილომეტრი გაიარა ფეხით... წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ სულ რაღაც ოცდაოთხი საათის წინ ჩო ჩენგი ჭერში ჩამოკიდებული ფითრის ქვეშ მიუახლოვდა... ისე დაიღალა... დაძინებისა ეშინოდა... მაგრამ არ იცოდა, დიდხანს გაძლებდა თუ არა ასე... დამბლდორმა თქვა, უნდა დარჩეო, ესე იგი, ალბათ, ძილიც შეიძლება... მაგრამ მაინც ეშინია, ისევ რომ განმეორდეს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნელ-ნელა სიბნელეში ჩაიძირა...

თითქოს ამას ელოდებაო, თავში კინოფირივით დაუტრიალდა ყველაფერი: უკაცრიელ დერეფანში მიაბიჯებდა შავი კარისკენ, უხეშად ნათალ ქვის კედლებსა და ჩირაღდნებს შორის. კარის ღიობს იქით, სადაც ქვის კიბე მარცხნივ და ქვევით ეშვებოდა...

შავ კართან მივიდა, მაგრამ გაღებას ვერ ახერხებდა. იდგა და სასოწარკვეთილი შეჰყურებდა... კარს მიღმა ის არის, რაც მთელი არსებით სწყურია... ნანატრი ჯილდო... ოღონდ კი ნაიარევი აღარ სტკიოდეს... მაშინ უფრო კარგად მოიფიქრებდა...

– ჰარი, – სადღაც შორიდან დაუძახა რონმა, – დედამ თქვა, ვახშამი მზად არისო, მაგრამ თუ ადგომა არ გინდა, შეგინახავს. ჰარიმ თვალი გაახილა, მაგრამ რონი უკვე აღარ იყო ოთახში.

„ჩემთან მარტო დარჩენა არ უნდა, – გაიფიქრა, – მას შემდეგ, რაც მუდისგან ეს ყველაფერი მოისმინა“.

არც არავის ენდომება მისი აქ ყოფნა, როცა იციან, რა საშინელი არსება უზის შიგნით.

არ წავა სავახშმოდ, თავისი იქ ყოფნით არ დაზაფრავს ხალხს. გვერდზე გადაბრუნდა და მალე ისევ ჩაეძინა. დიდხანს ეძინა, მხოლოდ მეორე დღეს, დილაადრიან გაეღვიძა. შიმშილისგან კუჭი ეწვოდა. მეორე საწოლში რონი ხვრინავდა. ის იყო, თვალი მოავლო იქაურობას, რომ ფინეას ნაიჯელუსის მუქი სილუეტი დაინახა პორ-ტრეტზე და გაიფიქრა, ალბათ, დამბლდორმა გამოგზავნა, რომ მე მითვალთვალოსო.

საკუთარი თავი უფრო მეტად შეზიზღდა. სადაცაა, ინანებდა კიდეც, რომ დამბლდორს დაუჯერა. თუ გრიმოს მოედანზე ასეთი ცხოვრება ელის, ალბათ, მართლა ჯობია პრივიტ დრაივზე დაბ-რუნება.

* * *

დილიდან ყველანი საშობაოდ რთავდნენ სახლს. ჰარის არასოდეს ენახა სირიუსი ასეთ კარგ გუნებაზე – საშობაო სიმღერებს მღეროდა და საოცრად უხაროდა, რომ შობას მარტო კი არა, სტუმრებთან ერთად შეხვდებოდა. მისი ხმა გათოშილი საძინებლის იატაკი-დან აღწევდა ჰარიმდე. ის კი მარტო იჯდა და უყურებდა, როგორ ედებოდა ცას მტრედისფერი და ნელ-ნელა ეუფლებოდა ველური სიხარული, რომ საშუალება მისცა დანარჩენებს, ენა მოექავებინათ მასზე ლაპარაკით. რაღა თქმა უნდა, ამ შესაძლებლობას მშვენივრად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოიყენებდნენ კიდეც. სადილზე ქალბატონმა უისლიმ ხმადაბლა დაუძახა ქვევიდან, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

საღამოს ექვსი საათისთვის კარზე დარეკეს და ქალბატონი ბლექი ისევ აჭყივლდა. ჰარიმ გაიფიქრა, ეს მანდანგუსი ან ორდენის სხვა წევრი იქნებაო და უფრო მოხერხებულად მოეწყო ბაკბიკის ოთახის კედელთან. აქ იმალებოდა და ჰიპოგრიფს მკვდარი ვირთხებით კვებავდა. თან ცდილობდა, როგორმე შიმშილი დაევიწყებინა. რამდენიმე წუთში ოთახის კარზე მაგრად დააკაკუნეს.

– ვიცი, რომ აქ ხარ, – გაისმა ჰერმიონის ხმა, – ძალიან გთხოვ, გამოდი, უნდა დაგელაპარაკო.

ჰარიმ კარი გააღო და გაკვირვებულმა იკითხა:

– აქ საიდან გაჩნდი?

ბაკბიკი იატაკზე, თივაში იქექებოდა, ვირთხის ნარჩენებს ეძებდა.

– მე მეგონა, თხილამურებით სრიალებდი მშობლებთან ერთად.

– მართალი გითხრა, თხილამურებით სრიალი ჩემი საყვარელი საქმიანობა არ არის. შობაზე აქ ჩამოვედი, – თმაში თოვლი უბრწყინავდა, სახე ყინვისგან ასწითლებოდა, – ოღონდ რონს არ უთხრა. ის სულ დამცინოდა, მე კი მაინც ვუმტკიცებდი, თხილამურებით სრიალი ძალიან სასიამოვნოა-მეთქი. დედა და მამა ცოტა გამინაწყენდნენ, მაგრამ ავუხსენი, რომ ყველა, ვინც პასუხისმგებლობით ეკიდება გამოცდებს, ჰოგვორტსში რჩება. უნდათ, რომ კარგად ჩავაბარო გამოცდები და გამიგეს. მოკლედ, შენს საძინებელში წავიდეთ, რონის დედამ იქ ბუხარი დაანთო და სენდვიჩები გამოგზავნა.

ჰარი მეორე სართულზე ჩაჰყვა. საძინებელში რონი და ჯინი დაუხვდნენ – ორივენი რონის საწოლზე ისხდნენ.

– „ღამის რაინდით“ ჩამოვედი, – უდარდელად გამოაცხადა ჰერმიონმა და ქურთუკი გაიხადა, – დამბლდორმა ჯერ კიდევ გუშინ დილით მითხრა, რაც მოხდა, მაგრამ სემესტრის დამთავრებას დავუცადე. ამბრიჯი ერთიანად გამწვანდა, როცა შეიტყო, როგორ დაუძვერით თვალსა და ხელს შუა. თუმცა, დამბლდორმა აუხსნა, რომ ბატონი უისლი წმინდა მუნგოს კლინიკაშია და თვითონ მოგცათ მისი ნახვის უფლება. ასე რომ...

ჰერმიონიც ჯინის გვერდით დაჯდა და ახლა სამივე ჰარის შესცქეროდა.

– როგორ ხარ? – ჰკითხა ჰერმიონმა.

– მშვენივრად, – ცივად უპასუხა ჰარიმ.

– ნუ მატყუებ! რონი და ჯინი ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან დაბრუნდი, ყველას ემალები.

– ჰოო? ასე ამბობენ? – ჰარიმ გაბრაზებულმა გადახედა და-ძმას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი თავის ფეხსაცმელს გულმოდგინედ ათვალიერებდა, ჯინი კი სულაც არ დაბნეულა.

– დიახაც, იმალები და არც არავისი დანახვა გინდა.

– მე კი არა, თქვენ არ გინდათ ჩემი დანახვა!

– იქნებ ხედავთ კიდეც ერთმანეთს, ოღონდ – რიგრიგობით, და დროში ვერ ემთხვევით? – ჩაიღიმა ჰერმიონმა.

– რა ენამოსწრებული ხარ, – წაიბუზღუნა ჰარიმ და განზე გაიხედა.

– აჰ, რა სასიამოვნოა, როცა ვერ გიგებენ, – კბილი გაჰკრა ჰერმიონმა, – იცი, მითხრეს, რომ ყურების დამაგრძელებლით უსმენდით.

– მართლა? – ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ჰარი ფანჯრიდან უყურებდა თოვას, – ყველაფერი თქვით ჩემზე? არა უშავს, ვეჩვევი.

– ჩვენ შენთან გვინდოდა ლაპარაკი, – უთხრა ჯინიმ, – მაგრამ სულ გვემალები.

– მე კი არ მინდა, რომ მელაპარაკონ, – უფრო გაღიზიანდა ჰარი.

– რა სისულელეს ლაპარაკობ?! შენი ნაცნობებიდან მე ერთადერთმა ვიცი, როგორია, როცა ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაგეუფლება. თუ გინდა, მოგიყვები.

ამ სიტყვებით გაოგნებული ჰარი წამით გაშეშდა.

– ეგ სულ დამავიწყდა.

– ყოჩაღ! – ცივად მიუგო ჯინიმ.

– მაპატიე, – მოუბოდიშა ჰარიმ და მართლა შერცხვა, – როგორ ფიქრობ... უკვე დამეუფლა?

– შეგიძლია, გაიხსენო ყველაფერი, რასაც მაშინ აკეთებდი? თუ იყო ისეთი მომენტები, როცა არ იცოდი, რას აკეთებდი? – ჰკითხა ჯინიმ.

ჰარი წვალებით ცდილობდა გახსენებას.

– არა.

– მაშინ ჯერ არ დაუფლებია შენს გონებას, – მტკიცედ თქვა ჯინიმ, – როცა ეს დამემართა, ყველაფერი გამიფრინდებოდა ხოლმე თავიდან, რასაც წინა საათებში ვაკეთებდი. სადღაც ამოვყოფდი თავს და არც კი ვიცოდი, როგორ აღმოვჩნდებოდი ხოლმე იქ.

ჰარიმ ბოლომდე ყველაფერი არ დაიჯერა, მაგრამ ცოტათი მაინც მოეშვა გულზე.

– იმ სიზმარს რა ვუყოთ, მამაშენსა და გველზე რომ ვნახე?

– ჰარი, შენ ადრეც გესიზმრებოდა მსგავსი რაღაცეები, – ჩაერია ჰერმიონი, – თუ გახსოვს, შარშანაც გრძნობდი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული ვოლდემორს.

ჰარიმ თავი გააქნია.

– არა, ამჯერად სხვანაირად მოხდა: მე გველში ვიყავი, თითქოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვითონ ვიყავი გველი... იქნებ ვოლდემორმა გადამიყვანა ლონდონში?

– ოდესმე, ალბათ, წაიკითხავ „ჰოგვორტსის ისტორიას“ – გაბრაზდა ჰერმიონი, – და შეიძლება შეიგნო კიდეც, რომ ჰოგვორტსის ტერიტორიიდან შეუძლებელია დისაპარაცია. თვით ვოლდემორსაც კი არ შეუძლია გაიძულოს, საძინებლიდან გაფრინდე.

– შენ შენი საწოლიდან არც კი ამდგარხარ, დამიჯერე, – დაარწმუნა რონმა, – წუთზე მეტხანს ფეხებს იქნევდი ძილში, სანამ გაღვიძებდით.

ჰარი ისევ მოჰყვა ოთახში სიარულს. მეგობრების ნათქვამმა დაამშვიდა – თან სიმართლესაც ჰგავდა. ანგარიშმიუცემლად დასტაცა ხელი სენდვიჩს და ლამის მთლიანად ჩაიტენა პირში.

„არა, მე არა ვარ იარაღი “, – გული სიხარულით აევსო და უკვე მზად იყო, თვითონაც აჰყოლოდა სირიუსს, რომელმაც კართან ჩაიარა და მთელი ხმით მღეროდა.

* * *

ნეტავ საიდან მოუვიდა თავში აზრად შობის დღესასწაულის პრივიტ დრაივზე გატარება? სირიუსს სტუმრების სიმრავლე ძალიან სიამოვნებდა. განსაკუთრებით უხაროდა ჰარის იქ ყოფნა, ისე რომ ნამდვილ გულუხვ მასპინძლად გადაიქცა, თავს არ ზოგავდა, რომ ბავშვებს შობა მხიარულად გაეტარებინათ და ჰოგვორტსიდან წამოსვლა სანანებლად არ დარჩენოდათ. სახლი საგულდაგულოდ დაასუფთავეს და მოკაზმეს. შობის წინადღეს იქაურობას ვეღარ იცნობდით: ძველებურ ჭაღებს ობობას ქსელები კი არა, ბაძგისა და ოქრო-ვერცხლის გირლანდები შემოხვეოდა; გაცრეცილ ხალიჩებზე ჯადოსნური თოვლი ბრწყინავდა; მანდანგუსის მოტანილი ცოცხალი ფერიებით მორთული ნაძვის ხე თითქმის ფარავდა სირიუსის საგვარეულო შტოს გობელენს; ელფების მოკვეთილ თავებსაც კი სანტა კლაუსის ქუდები ჩამოაცვეს და თეთრი წვერი მიაკრეს.

შობადილით ჰარიმ გაღვიძებისთანავე დაინახა საჩუქრების მთელი მთა. რონი უკვე თავის საჩუქრებს ხსნიდა. იმის საწოლთანაც კარგა მოზრდილი გორა იდგა.

– შესანიშნავი მოსავალია, – ქაღალდების გროვიდან გამოსძახა ჰარის, – მადლობა ცოცხის კომპასისთვის – ჰერმიონის საჩუქარს სჯობს. ნახე? საშინაო დავალებების დამგეგმავი მაჩუქა.

ჰარიმ თავისი საჩუქრები გახსნა და თვითონაც იპოვა ფუთა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელსაც ჰერმიონის წარწერა ამშვენებდა. ფუთაში დღიურის-მაგვარი წიგნი აღმოჩნდა, რომელიც გადაშლისას ხმამაღლა მღეროდა: „მედღეხვალიე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო“. სირიუსმა და ლუპინმა ჰარის წიგნების შესანიშნავი სერია აჩუქეს: „თავდაცვის მაგია და მისი გამოყენება ბნელი ძალების წინააღმდეგ“, შელოცვებისა და კონტრშელოცვების შესანიშნავი მოძრავი ილუსტრაციებით. ჰარიმ ყურადღებით გადაფურცლა პირველი ტომი – მშვენიერი რამ იყო **და**-ს მეცადინეობებისთვის. ჰაგრიდმა ტყავის ყავისფერი საფულე გამოუგზავნა. საკეტში ეშვები ჰქონდა ჩატანებული – ალბათ ქურდების წინააღმდეგ ჩაფიქრებული მოწყობილობა იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჰარიმ შიგ ფულის ჩადება ვერ მოახერხა: შეეშინდა, თითები არ მომაკვნიტოსო. ტონქსმა „ელვის“ პატარა მფრინავი მოდელი აჩუქა. ჰარი უყურებდა, როგორ დაფრინავდა მოდელი ოთახში და თავის ნამდვილ „ელვას“ მისტიროდა. რონისგან ვეებერთელა კოლოფით ყველანაირი გემოს კამფეტები მიიღო; ცოლქმარ უისლებისგან, როგორც ყოველთვის, ხელით ნაქსოვი ჯემპრი და ქიშმიშიანი და ნიგვზიანი ღვეზელები; დობისგან კი – საშინელი სურათი, როგორც ჩანს, თავისივე დახატული. ის იყო ჰარიმ ნახატი გადააბრუნა – იქნება, მეორე მხრიდან უკეთესიაო, – რომ ხმამაღალი ტკაცანით ოთახში ფრედი და ჯორჯი გაჩნდნენ.

– შობას გილოცავთ, – მიესალმა ჯორჯი, – ჯერ ნუ ჩახვალთ ქვევით.

– რატომ? – ჰკითხა რონმა.

– დედა ისევ ტირის, – მოილუშა ფრედი, – პერსიმ საშობაო საჩუქარი უკან მოუბრუნა.

– ბარათიც კი არ გამოუგზავნია, – დაამატა ჯორჯმა, – არც მამაზე უკითხავს რამე, სანახავადაც არ მიბრძანებულა – მოკლედ, არაფერი.

– ჩვენ ვცადეთ, დედა გვენუგეშებინა, – თქვა ფრედმა და საწოლს შემოუარა, რათა დობის ნახატისთვის შეეხედა, – ავუხსენით, რომ პერსი, უბრალოდ, აქოთებული ნეხვის გროვაა.

– არ გაჭრა, – ჩაილაპარაკა ჯორჯმა და შოკოლადის ბაყაყი გადაყლაპა, – ახლა ლუპინი შეგვენაცვლა. ასე რომ, ჯობს, ცოტა დავიცადოთ, სანამ გაართობს.

– ეს რაღაა? – ფრედი თვალებმოჭუტული უყურებდა ნახატს, – თვალებდაჭყეტილ გიბონს ჰგავს.

– ეს ჰარის პორტრეტია! – ჯორჯმა ნახატის უკანა მხარეზე მიუთითა, – შეხედეთ, ზედ აწერია.

– ღმერთო, რა დაუჯერებელი მსგავსებაა, – გაიკრიჭა ფრედი.

ჰარიმ თავისი ახალი დღიური ესროლა. დღიური კედელს მოხ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდა, იატაკზე დავარდა და მხიარულად წამოიძახა: „ჯობს ჯერ საქმე მოითავო, რომ თამამად იბურთაო“.

მთელ სახლში მხიარული საშობაო შეძახილები ისმოდა. რონმა და ჰარიმ ჩაიცვეს. ქვევით რომ ჩადიოდნენ, ჰერმიონს შეხვდნენ.

– გმადლობ წიგნისთვის, ჰარი. ასი წელი ვოცნებობდი „ნუმეროლოგიის ახალ თეორიაზე“! შენი სუნამოც არაჩვეულებრივია, რონ, გმადლობ.

– არაფერს... ეს ვისთვის არის? – რონმა ფუთაზე აჩვენა.

– კრეჩერისთვის!

– ფრთხილად, თუ ტანსაცმელს ჩუქნი... გახსოვს, რა თქვა სირიუსმა? კრეჩერმა მეტისმეტად ბევრი იცის, უფლება არა გვაქვს, გავათავისუფლოთო, – შეახსენა რონმა.

– არა, ტანსაცმელი არ არის. ისე, ჩემი ნება რომ იყოს, იმ ჭუჭყიანი ძონძების ნაცვლად, აუცილებლად მივცემდი რამეს. არა, ეს ფერადი ნაჭრებისგან შეკერილი გადასაფარებელია, ოდნავ მაინც გამოაცოცხლებს მის საძინებელ ოთახს.

– რომელ საძინებელს? – ხმადაბლა იკითხა ჰარიმ, რადგან ამ დროს სირიუსის დედის პორტრეტს ჩაუარეს.

– რა ვიცი, სირიუსი ამბობს, ეგ საძინებელი კი არა, ნამდვილი სოროაო, – თქვა ჰერმიონმა, – ეტყობა, ქვაბის ქვეშ სძინავს, სამზარეულოს გვერდით, საკუჭნაოში.

ქვევით ქალბატონი უისლის მეტი არავინ დახვედრიათ. ქურასთან იდგა და შობის დღესასწაული ისეთი ხმით მიულოცა ბავშვებს, თითქოს სურდო აქვსო. ბავშვებმა თვალი მოარიდეს.

– ესე იგი, აქ არის კრეჩერის საძინებელი? – რონი კუთხეში, საკუჭნაოს გვერდით, უსახურ კართან მივიდა. ჰარის ეს კარი ერთხელაც არ ენახა ღია.

– ჰო, ალბათ ჯობს, დავაკაკუნოთ, – შეყოყმანდა ჰერმიონი. რონმა დააკაკუნა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

– ალბათ, სადმე ზევით დაძრწის, – დაასკვნა რონმა და ბევრი აღარ უყოყმანია, კარი გააღო, – ფუ!

ჰარიმ საკუჭნაოში შეიხედა. იქაურობა ლამის მთლიანად ჩაეხერგა ძველებურ გამათბობელს. მილების ქვეშ კრეჩერს ბუდისმაგვარი რაღაც მოეწყო. იატაკზე ჭუჭყიანი პლედი და ძონძები ეყარა. პატარა ჩაღრმავებული ადგილი კი უთუოდ კრეჩერის საძინებელი იყო. აქა-იქ პურის ნამცეცები და დაობებული ყველის ნაჭრები მოჩანდა. კუთხეში პატარა საგნები და მონეტები ბრჭყვიალებდა, რომლებიც კრეჩერმა სირიუსის „დიდ დასუფთავებას“ გადაარჩინა და კაჭკაჭივით აქ შემოზიდა. ამას გარდა, იქვე დაეგროვებინა საგვარეულო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფოტოები, რომლებიც სირიუსმა ამ ზაფხულს გადაყარა. ფოტოებს მინები ჩამტვრეული ჰქონდა, თუმცა, პატარა შავ-თეთრი კაცუნები ჰარის მაინც ქედმაღლურად უცქეროდნენ. ჰარის გული შეუქანდა, შავთმიანი ქალბატონი იცნო – დამბლდორის საფიქრელაში ნანახი სასამართლო პროცესი გაახსენდა. ბელატრისა ლესტრეინჯი. როგორც ჩანს, კრეჩერი ამ ქალბატონს ყველაზე დიდ პატივს სცემდა – მისი ფოტო დანარჩენებზე წინ ედგა, თან უხეიროდ, მაგრამ მინა მაინც დაეწებებინა.

– ალბათ ჯობს, საჩუქარი აქ დავტოვო, – ჰერმიონმა ფრთხილად დადო ფუთა ჩაღრმავებულ ადგილას და კარი გამოიხურა, – არა უშავს, მოგვიანებით ნახავს.

ამ დროს სირიუსმა მოზრდილი ინდაური გამოიტანა და ბავშვებს ჰკითხა:

– სხვათა შორის, ვინმემ თუ ნახა კრეჩერი ამ ბოლო დროს?

– რაც აქ მოვედით და შენ სამზარეულოდან გააგდე, მას შემდეგ არ მინახავს, – თქვა ჰარიმ. სირიუსი მოიღუშა.

– ჰო... იცით, მას შემდეგ არც მე მინახავს... ალბათ, სადმე ზევით იმალება.

– ხომ არ წავიდოდა? – შეაპარა ჰარიმ, – შენ რომ უთხარი, გაეთრიეო, შეიძლება იფიქრა, რომ სახლიდან აგდებდი.

– არა, არა, შინაური ელფები სახლიდან არ მიდიან, სანამ ტანსაცმელს არ მისცემ. ეგრე ადვილად ვერ თმობენ ოჯახს.

– თუ ძალიან მოუნდებათ, თმობენ კიდეც. სამი წლის წინათ დობი მალფოების ოჯახიდან წამოვიდა, რომ გავეფრთხილებინე. მართალია, მერე თავი უნდა დაესაჯა, მაგრამ წამოსვლა მაინც შეძლო.

სირიუსს სახეზე შეშფოთებამ გადაურბინა, თუმცა, მაშინვე დააყოლა:

– კარგი, მერე მოვძებნი. ალბათ, სადმე ზევით ზის და ცრემლს ღვრის ჩემი დედიკოს პანტალონებზე. რა თქმა უნდა, შეიძლება, სავენტილაციო კარადაშიც შემძვრალიყო და მომკვდარიყო... მაგრამ ამის იმედი არა მაქვს.

ფრედმა, ჯორჯმა და რონმა გაიცინეს, ჰერმიონმა კი საყვედურით გამოხედა.

საშობაო სადილის შემდეგ უისლების ოჯახმა, ჰარიმ და ჰერმიონმა ბატონი უისლის მონახულება გადაწყვიტეს. რა თქმა უნდა, ლუპინი და მრისხანეთვალა გამცილებლებად გაჰყვნენ. მანდანგუსმა მათ დესერტზე მოუსწრო „ნათხოვარი“ მანქანით. დღესასწაულებზე მეტრო არ მუშაობდა და მანქანა აუცილებლად დასჭირდებოდათ. ჰარის ეჭვი ეპარებოდა, რომ მანქანა მისმა პატრონმა ნამდვილად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ათხოვა მანდანგუსს. ასე იყო თუ ისე, მანქანა შელოცვით გაადიდეს, როგორც ოდესღაც უისლების ფორდ-ანგლია, და თუმცა გარედან ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მანდანგუსის ჩათვლით, შიგ ათნი მოთავსდნენ. ქალბატონი უისლი კარგა ხანს ყოყმანობდა, სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა: ჯადოქრობის გარეშე მოგზაურობა დიდად არ უყვარდა, მაგრამ მანდანგუსთანაც არ უნდოდა წაკინკლავება. ბოლოს და ბოლოს, ყინვამ და ბავშვების მუდარამ გაჭრა, ქალბატონმა უისლიმ კეთილი ინება და მანქანაში ჩაჯდა.

წმინდა მუნგოს კლინიკაში სწრაფად მივიდნენ – ქუჩაში მოძრაობა შეთხელებულიყო. უკაცრიელ ქუჩაში კლინიკისკენ მხოლოდ ჯადოქრები მიაბიჯებდნენ. ყველანი ერთად გადმოვიდნენ მანქანიდან. მანდანგუსმა კი მანქანა კუთხეში გააჩერა და თქვა: აქ დაგელოდებითო. ვითომ აქ არაფერიაო, აუღელვებლად მიუახლოვდნენ ვიტრინას, სადაც მწვანეწინსაფრიანი მანეკენი იდგა, და სათითაოდ გავიდნენ მინაში.

მიმღები განყოფილება სადღესასწაულოდ მოერთოთ. ბროლის ბურთულები წითელ-ოქროსფრად ელავდა. ყველა კუთხეში ჯადოსნური თოვლითა და ლოლუებით მორთული ნაძვის ხე ბრჭყვიალებდა. ხალხი ამჯერად ცოტა იყო, მაგრამ კარისკენ წასულ ჰარის მაინც დაეჯახა ჯადოქარი ქალი, რომელსაც მარცხენა ნესტოში იაპონური ფინჯანი გასჩხეროდა.

– ოჯახური დავა, არა? – ჩაიცინა მაგიდასთან მჯდარმა ქერათმიანმა, – დღეს უკვე მესამე ხართ. „შელოცვით გამოწვეული სნეულებები“, მეხუთე სართული.

ბატონი უისლი ლოგინზე იჯდა. მუხლებზე ლანგარი ედგა. ეტყობოდა, ვახშმად ინდაური მიირთვა, ახლა კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რამე დააშავაო.

– როგორ ხარ, არტურ? – ჰკითხა ქალბატონმა უისლიმ მას შემდეგ, რაც მიესალმნენ და საშობაო საჩუქრები გადასცეს.

– ბრწყინვალედ, – მეტისმეტად ხალისიანად მიუგო ბატონმა უისლიმ, – მკურნალი სმეტვიკი ხომ არ გინახავს?

– არა. რატომ მეკითხები? – გაუკვირდა ქალბატონ უისლის.

– არაფერი, არაფერი, – სიტყვა ბანზე ააგდო და საჩუქრების გახსნა დაიწყო, – აბა, მომიყევით, როგორ გაერთეთ? თქვენ რა გაჩუქეს? ო, ჰარი, რა გადასარევი რამეა, – საჩუქარი გახსნა – ელექტროგაყვანილობის ზონარი და სახრახნისების კომპლექტი.

თუმცა, ქალბატონი უისლი ქმრის პასუხმა ვერ დააკმაყოფილა. თანაც ბატონი უისლი ჰარისთვის ხელის ჩამოსართმევად რომ დაიხარა, ღამის პერანგის შიგნით სახვევს მოჰკრა თვალი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არტურ, – ხაფანგის გატკაცუნებას ჰგავდა ქალბატონი უისლის ხმა, – სახვევი ერთი დღით ადრე რატომ შეგიცვალეს? მე მითხრეს, ხვალამდე საჭირო არ იქნებაო.

– რა? – დაიბნა ბატონი უისლი, – ოჰ, არა... ეს... ეს... როგორ გითხრა... ოღონდ არ გამიბრაზდე, მოლი... ავგუსტ რაის რაღაც იდეა აქვს... მკურნალი სტაჟიორია, ხომ იცნობ? საოცრად სასიამოვნო ახალგაზრდა კაცია და ძალიან აინტერესებს... როგორ გითხრა... ალტერნატიული მედიცინა... ძველ მაგლურ საშუალებებს ვგულისხმობ... ამას „ნაკერები“ ჰქვია, მოლი, ეს „ნაკერები“ მაგლებს ძალიან კარგად უხორცებს ჭრილობებს.

– რაო? – ქალბატონმა უისლიმ ავის მომასწავებლად დაიკივლა. ლუპინმა მაქციის საწოლისკენ გაიწია, რომელიც მოწყენილი შეჰყურებდა ბატონი უისლის გარშემო თავშეყრილ ხალხს – ის არავის მოუნახულებია. ბილმა ჩაილაპარაკა, კარგი იქნებოდა, ფინჯანი ჩაი დამელიაო. ფრედი და ჯორჯი ხალისით წამოხტნენ, ჩვენც გამოგყვებითო.

– იმის თქმა ხომ არ გინდა, – აწივლდა ქალბატონი უისლი. ყურადღებას არ აქცევდა, რომ მისი თანამგზავრები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, – რომ მაგლების წამლებით ერთობი?

– მოლი, ძვირფასო, ეს გართობა არ არის, – ჩაილუღლუღა ბატონმა უისლიმ, – ეს, უბრალოდ... უბრალოდ, მე და ავგუსტმა გადავწყვიტეთ, გვესინჯა... მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ ჭრილობებზე... ეს მეთოდი არც ისე კარგად მოქმედებს, როგორი იმედიც გვქონდა...

– ესე იგი...

– მოლი, ძვირფასო... შენ ხომ არ იცი, რა არის... რა არის ნაკერი?

– შენ, რა, კანის გაკერვა სცადე? სწორად მივხვდი? – სიბრაზისგან ლამის გასკდა ქალბატონი უისლი, – არა, არტურ, ასეთ სიბრიყვეს შენგანაც კი არ მოველოდი!

– მეც დავლევ ჩაის, – თქვა ჰარიმ და წამოხტა. ჰერმიონი, რონი და ჯინი ლამის სირბილით დაედევნენ. როცა კარი მიხურეს, ქალბატონი უისლის ყვირილი მოესმათ:

„რას ნიშნავს „ეს აღიარებული მეთოდია?!“

– მამა თავისას არ იშლის, – თავი გააქნია ჯინიმ, – ნაკერებიო... წარმოგიდგენია?..

– თუ ჭრილობა მაგიური არ არის, ნაკერები ძალიან სასარგებლოა, – შენიშნა ჰერმიონმა, – როგორც ჩანს, ამ გველის შხამში რაღაც ალღობს ნაკერებს. საინტერესოა, სად არის აქ ბუფეტი?

– მეექვსეზე, – ჰარის მიმღებში გაკრული მაჩვენებელი გაახსენდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დერეფანი გაიარეს, მერე – რამდენიმე ორმაგი კარიც და ძველი კიბის წინ აღმოჩნდნენ. კედლებზე ერთობ მკაცრსახიანი მკურნალების პორტრეტები ეკიდა. გზადაგზა მკურნალები უცნაურ დიაგნოზებს უსვამდნენ და მკურნალობის კიდევ უფრო უცნაურ საშუალებებს სთავაზობდნენ. რონი ძალიან გაბრაზდა, როცა შუა საუკუნეების ჯადოქარმა შეუძახა, რომ სირსველის მძიმე ფორმა აქვს და თითქმის ექვსი პორტრეტის მანძილზე სდია, თან იმ ჩარჩოების მობინადრეებს მუჯლუგუნებით იცილებდა გზიდან.

– ეგ რაღა ჯანდაბას ნიშნავს? – ვერ მოითმინა რონმა.

– კანის მძიმე დაავადებაა, ჩემო ახალგაზრდა ბატონო, უფრო მოგაფომფლოებს და დაგამახინჯებს...

– აბა, ენას კბილი დააჭირე! – ყურები გაუწითლდა რონს.

– ...გამოსავალი ერთია: უნდა აიღოთ გომბეშოს ღვიძლი, მიიმაგროთ ყელზე და სავსე მთვარის ღამეს შიშველი ჩადგეთ გველთევზას თვალებით სავსე კასრში.

– არავითარი სირსველი არ მჭირს!

– მაგრამ ეს ლაქები სახეზე, ჩემო ახალგაზრდა ბატონო...

– ეს ჭორფლია. დაბრუნდი შენს ჩარჩოში და თავი დამანებე! – იღრიალა რონმა და თანამგზავრებისკენ შებრუნდა. ისინი კი მთელი ძალით ცდილობდნენ, არ გასცინებოდათ, – ეს რომელი სართულია?

– მგონი, მეექვსე, – უპასუხა ჰერმიონმა.

– არა, მეხუთე, – შეუსწორა ჰარიმ, – კიდევ მაღლა უნდა ავიდეთ.

მაგრამ გავიდა თუ არა კიბის ბაქანზე, სარგადაყლაპულივით მიაჩერდა კარზე მიმაგრებულ დაფას, რომელზეც ეწერა: „შელოცვებით გამოწვეული სნეულებანი“. ამ კარს უკან განყოფილების დერეფანი იწყებოდა. კარში ჩატანებული პატარა ფანჯრიდან მინაზე ცხვირმიჭყლეტილი იყურებოდა ხუჭუჭა ქერათმიანი მამაკაცი. ცისფერი თვალები უაზროდ გაშტერებოდა და სულელურად იკრიჭებოდა.

– უჰ, შენი! – შეიკურთხა რონმა.

– შეუძლებელია! – სუნთქვა შეეკრა ჰერმიონს, – პროფესორი ლოკჰარტი!

ბნელი ძალებისგან თავდაცვის ყოფილმა მასწავლებელმა კარს ხელი ჰკრა და დერეფანში გამოვიდა. პროფესორს ლილისფერი გრძელი ხალათი ეცვა.

– მოგესალმებით! ვხედავ, ავტოგრაფის მისაღებად მოხვედით.

– ძალიან არ შეცვლილა, – წაიჩურჩულა ჰარიმ.

– ო-ო... როგორ გიკითხოთ, პროფესორო? – ოდნავ დარცხვენით ჰკითხა რონმა.

სწორედ მისი გაუმართავი ჯადოსნური ჯოხის წყალობით დაუზი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანდა მეხსიერება პროფესორს, რის გამოც წმინდა მუნგოს კლინიკაში ამოყო თავი. მაგრამ რადგან ეს იმ დროს მოხდა, როცა ლოკჰარტი ჰარისა და რონის მეხსიერების წაშლას ცდილობდა, ჰარი მაინცდამაინც დიდი თანაგრძნობით არ გამსჭვალულა.

– სრულიად ჯანმრთელი ვარ, გმადლობთ! – აღტაცებით ამცნო ლოკჰარტმა და ჯიბიდან გვარიანად გაქუცული ფარშევანგის ფრთა ამოიღო, – მაშ, ასე, რამდენი ავტოგრაფი გსურთ? იცით, მე უკვე ბეჭდური ასოებით შემიძლია წერა!

– გმადლობთ, ახლა არ გვჭირდება, – თქვა რონმა და თვალებგაფართოებული შებრუნდა ჰარისკენ.

– პროფესორო, დერეფანში რომ დადიხართ, არა უშავს? იქნებ პალატაში უნდა იწვეთ? – ჰკითხა ჰარიმ.

პროფესორ ლოკჰარტს ღიმილი ჩაუქრა. ერთხანს უხმოდ შესცქეროდა, მერე კი უთხრა:

– ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ?

– როგორ არა... შეიძლება, ასეც ითქვას. ჰოგვორტსში გვასწავლიდით, გახსოვთ?

– გასწავლიდით? – შეწუხდა ლოკჰარტი, – მე? მართლა?

მერე ისევ გაებადრა სახე – ისე უცბად, რომ ბავშვებს თითქმის შეეშინდათ.

– მე გასწავლეთ ყველაფერი, რაც კი იცით, ასეა, ხომ? მაშ, რა ვუყოთ ავტოგრაფებს? ზუსტად თორმეტ ცალს მაინც მოგცემთ, რომ თქვენს პატარა მეგობრებსაც აჩუქოთ და ნაწყენი არავინ დაგრჩეთ.

ამ დროს დერეფნის ბოლოში კარი გაიღო, ვილაცამ თავი გამოყო და დედობრივი მზრუნველობით მიმართა:

– გილდეროი, შე ცელქო ბიჭო, ეს სად გამოქცეულხარ? თმაზე ბრჭყვიალა გვირგვინდაკოსებული კეთილი სახის მკურნალი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა მათკენ და ალერსიანად იღიმებოდა.

– აჰ, გილდეროი, სტუმრები გყავს? რა სასიამოვნოა, თანაც, შობადღეს. საწყალი, იცით, არავინ აკითხავს. ვერ გამიგია, რატომ?! ისეთი საყვარელია!

– ავტოგრაფებს ვარიგებ, – ლოკჰარტმა თვალისმომჭრელად გაუღიმა, – საკმაოდ ბევრი მთხოვეს, უარს ხომ ვერ ვეტყვი? იმედია, ფოტოები გვეყოფა!

– ერთი ამას დამიხედეთ! – მკურნალმა ლოკჰარტს ხელკავი გამოსდო და ისე ნაზად გაუღიმა, თითქოს ორი წლის ბავშვს ეფერებაო, – რამდენიმე წლის წინათ ცნობილი ადამიანი იყო, ამ ბოლო დროს ისევ შეუყვარდა ავტოგრაფების დარიგება. ვიმედოვნებთ, რომ ეს გამოჯანმრთელების ნიშანია, ალბათ, მეხსიერება უბრუნდება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გთხოვთ, აქეთ მობრძანდეთ. იცით, იზოლატორში გვყავს. ეტყობა, სანამ საშობაო საჩუქრებს ვარიგებდი, გამოგვეპარა. კარი, როგორც წესი, დაკეტილი გვაქვს, იმიტომ კი არა, რომ საშიშია! მაგრამ... – ჩურჩულზე გადავიდა, – შეიძლება, საკუთარ თავს რამე აუტეხოს... საწყალი... არ ახსოვს, ვინ არის. სადმე თუ წავიდა, უკან დასაბრუნებელ გზას ვერ პოულობს... რა კარგია, რომ მოინახულეთ.

– ჩვენ... – შეწუხებულმა რონმა ჭერს ახედა, – ჩვენ... მაგრამ მკურნალი ისეთი მოლოდინით უღიმოდა მათ, რონის დაბნეული ბუტბუტი – „გვინდოდა, ჩაი დაგველიაო", – არც კი გაუგონია. რას იზამდნენ, დაღონებულებმა გადახედეს ერთმანეთს და ლოკჰარტსა და მკურნალს დერეფანში მიჰყვნენ.

– ოღონდ, – სულ ცოტა ხნით, – დაიჩურჩულა რონმა. მკურნალმა ჯადოსნური ჯოხი იანუს ტიკეის პალატის კარს მიუშვირა:

– ალოჰომორა!

კარი გაიღო. მკურნალმა ლოკჰარტი პალატაში შეიყვანა და საწოლთან მდგარ სავარძელში ჩასვა.

– ეს ხანგრძლივი მკურნალობის განყოფილებაა, – ჩუმად აუხსნა ბავშვებს, – გამოუსწორებელი დაზიანებები შელოცვებისგან. რა თქმა უნდა, იშვიათ შემთხვევებში ძლიერი შხამ-წამლებისა და ჯადოქრობის გამოყენებით ერთგვარ გაუმჯობესებას ვახერხებთ. გილდეროი, როგორც ჩანს, ნელ-ნელა მოდის გონს. აი, ბატონი ბოუდის შემთხვევაში კი შედეგი უფრო თვალსაჩინოა. ლაპარაკის უნარი უბრუნდება, თუმცა, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობ ენაზე ლაპარაკობს. კეთილი, მე საშობაო საჩუქრები მაქვს კიდევ დასარიგებელი, თქვენ კი მანამდე ისაუბრეთ.

ჰარიმ ოთახი მოათვალიერა. იგრძნობოდა, რომ პალატა პაციენტებისთვის მუდმივ საცხოვრებლად იყო მოწყობილი. საწოლთან გაცილებით მეტი პირადი ნივთი იდო, ვიდრე ბატონი უისლის პალატაში. კედელი ლოკჰარტის საწოლის თავთან თითქმის მთლიანად მისი ფოტოებით იყო დაფარული. ყველა მათგანიდან გაბადრული იღიმებოდა და მისალმების ნიშნად ხელს უქნევდა მომსვლელებს. ბევრ მათგანზე ბავშვური, ბეჭდური ასოებით ხელი მოეწერა და, როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის მიეძღვნა. როგორც კი მკურნალმა სავარძელში ჩასვა, გილდეროიმ ფოტოების ახალი დასტა მიიცურა თავისკენ, ფრთა აიღო და გამალებით შეუდგა ხელის მოწერას.

– შეგიძლიათ, კონვერტებში ჩააწყოთ, – ურჩია ჯინის და ავტოგრაფიან ფოტოებს მუხლებზე უყრიდა, – იცით, არავის დავვიწყებივარ, ისევ ვიღებ წერილებს ჩემი თაყვანისმცემლებისგან... გლედის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაჯენი ყოველკვირა მწერს... საინტერესო კია, რატომ... – ერთხანს გაკვირვებული გაყუჩდა, მერე ისევ გაიღიმა და ახალი ენერგიით შეუდგა ხელის მოწერას, – მიზეზი, ეტყობა, ჩემი მშვენიერი გარეგნობაა...

მოპირდაპირე მხარეს მგლოვიარე გამომეტყველების ჯადოქარი იწვა. სახეზე მიწისფერი ედო და ერთთავად ჭერში იყურებოდა. რაღაცას დუდღუნებდა ცხვირში და გარშემო მყოფებს თითქოს ვერც კი ამჩნევდა. ერთი საწოლის იქით ქალი იწვა. თავი მთლიანად ბალნით ჰქონდა დაფარული. ჰარის გაახსენდა, რომ რაღაც ამგვარი მეორე კურსზე ჰერმიონსაც დაემართა. საბედნიეროდ, მაშინ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. პალატის ბოლოში ორი საწოლი ყვავილებიანი ფარდებით იყო გამოყოფილი. ეტყობა, იმისთვის, რომ ავადმყოფებსა და მათ მნახველებს უცხო თვალისგან დაესვენათ.

– ეს შენ, აგნეს, – მხიარულად თქვა მკურნალმა და ბალნიან ქალს საშობაო საჩუქრების პატარა დასტა გადასცა, – ხედავ, არ გივიწყებენ. შვილმა ბუც გამოგიგზავნა. გწერს, რომ საღამოს გინახულებს. სასიამოვნოა, არა?

აგნესმა რამდენჯერმე დაიყეფა.

– შენ კი, ბროდერიკ, ხედავ, ქოთნის ყვავილი გამოგიგზავნეს. საოცრად ლამაზი კალენდარიც: ყოველი თვის დასაწყისში ნაირნაირი სასაცილო ჰიპოგრიფია გამოსახული. უფრო მხიარულად იქნები, ხომ ასეა?

მკურნალი მოდუდღუნე ჯადოქარს მიუახლოვდა. ტუმბოზე მახინჯი მოქანავე საცეცებიანი მცენარე დაუდგა და კალენდარი ჯადოსნური ჯოხის აქნევით კედელზე მიამაგრა.

– ო, ქალბატონო ლონგბოტომ, უკვე მიდიხართ?

ჰარიმ მიიხედა. პალატის ბოლოში ფარდები გაწეული იყო. საწოლებს შორის ორნი მოაბიჯებდნენ – წარმოსადეგი შესახედაობის მოხუცი ქალი, ჩრჩილისგან შეჭმული გრძელი მწვანე კაბითა და აწოწილი სვავისფიტულიანი შლაპით, და ნირწამხდარი ნევილი.

უცებ ჰარი მიხვდა, ვინ იწვა პალატის მეორე ბოლოში. მაშინვე თვალის ცეცებას მოჰყვა აქეთ-იქით, რომ მეგობრების ყურადღება რაღაცაზე გადაეტანა და ნევილს შეუმჩნევლად გაევლო, შეკითხვებით არ შეეწუხებინათ, მაგრამ ლონგბოტომის გაგონებაზე რონმაც მოიხედა და სანამ ჰარი შეაჩერებდა, დაიყვირა: „ნევილ!“

ნევილი შეკრთა და ისე მოიბუზა, თითქოს ყურთან ტყვიამ გაუწუილაო.

– ნევილ, ჩვენ ვართ! – წამოხტა რონი, – ნახე? ლოკჰარტი აქ არის! იმასთან იყავი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნევილ, ძვირფასო, შენი მეგობრები არიან? – თავაზიანად იკითხა ნევილის ბებიამ და მათკენ გაემართა.

ნევილს ისეთი სახე ჰქონდა, ერჩივნა, მიწა გასკდომოდა. ლოყები აუწითლდა და ცდილობდა, არავისთვის შეეხედა.

– ჰო, რა თქმა უნდა, – ბებიამ ჰარის შეხედა და დამჭკნარი, თითქმის ბრჭყალებიანი ხელი გაუწოდა, – რა თქმა უნდა, ვიცი, ვინც ხარ. ნევილი ძალიან გაფასებს.

– გმადლობთ, – ჰარიმ ხელი ჩამოართვა.

ნევილი არ უყურებდა. თავი დახარა და სახე კიდევ უფრო ჩაუმუქდა.

– თქვენ კი უეჭველად უისლები ხართ, – განაგრძობდა მოხუცი, – მეფურად გაუწოდა ხელი ჯერ რონს, მერე კი – ჯინის, – დიახ, ვიცნობ თქვენს მშობლებს, ახლოს არა, რა თქმა უნდა, – ღირსეული, ნამდვილად ღირსეული ადამიანები არიან. შენ კი, ალბათ, ჰერმიონ გრეინჯერი ხარ.

ჰერმიონი გააოცა იმან, რომ მოხუცმა ქალბატონმა მისი სახელიც იცოდა და ხელი მორჩილად გაუწოდა.

– ჰო, ნევილი თქვენზე მიყვებოდა. არაერთხელ დახმარებიხარ, ასე არ არის? ნევილი კარგი ბიჭია, – მოხუცმა მკაცრი, გამომცდელი თვალით შეხედა ნევილს, – მაგრამ ვფიქრობ, მამამისის ტალანტი არ გამოჰყოლია.

პალატის ბოლოს მდგარი საწოლებისკენ გაიქნია თავი. სვავის ფიტული შემაშფოთებლად შეირხა შლაპაზე.

– რა? – გაოცდა რონი (ჰარის უნდოდა, ფეხზე დაებიჯებინა, მაგრამ ჯინსი ეცვა და ყველანი დაინახავდნენ), – მამაშენი აქ წევს?

– ეს რა მესმის, ნევილ?! – მკაცრად თქვა მოხუცმა ქალბატონმა, – შენს მშობლებზე არაფერი მოგიყოლია მეგობრებისთვის?

ნევილმა ღრმად ამოიოხრა, ჭერს ახედა და თავი გააქნია. ჰარის არ ახსოვდა, რომ როდისმე ვინმე ასე შესცოდებოდა, მაგრამ ახლა ნევილს ვერაფრით დაეხმარებოდა.

– ამაში სამარცხვინო არაფერია, – გაბრაზებულმა თქვა ქალბატონმა ლონგბოტომმა, – შენ უნდა ამაყობდე შენი მშობლებით, ნევილ, ნამდვილად უნდა ამაყობდე! იმისთვის არ გაუწირავთ ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა, რომ ერთადერთ შვილს მათი რცხვენოდეს!

– მე არ მრცხვენია, – წაიბუტბუტა ნევილმა, მაგრამ ისევ თვალს არიდებდა მეგობრებს.

რონი ფეხის წვერებზე აიწია, რომ პალატის მეორე ბოლოში ავადმყოფები დაენახა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულ არ სცემ შენს მშობლებს პატივს, ნევილ! – თქვა ქალბატონმა ლონგბოტომმა და ქედმაღლურად შებრუნდა ჰარისა და დანარჩენებისკენ, – ჩვენ-რომ-ვიცით, იმისმა მომხრეებმა აწამეს და ჭკუიდან შეიშალნენ.

ჯინიმ და ჰერმიონმა ხელის გულები პირზე აიფარეს, რონი აღარ ცდილობდა ნევილის მშობლების დანახვას, მაშინვე ცხვირი ჩამოუშვა.

– ისინი აურორები იყვნენ და დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ჯადოქართა სამყაროში, – განაგრძობდა ქალბატონი ლონგბოტომი, – საოცრად ნიჭიერები, ორივენი. მე... ჰო, ალისა... რა იყო, ძვირფასო?

ამასობაში შეუმჩნევლად მოახლოვებოდათ ნევილის დედა. ღამის პერანგი ეცვა და სრულებით არ ჰგავდა იმ სიცოცხლით სავსე ბედნიერ ქალს, რომელიც მუდმ ფენიქსის ორდენის პირვანდელ ფოტოზე აჩვენა ჰარის. ჩამომდნარ და ჩამობერებულ სახეზე თვალები არაბუნებრივად გადიდებული მოუჩანდა, თმა გასჭაღარავებოდა, შესთხელებოდა და გახუნებოდა. თითქოს ლაპარაკიც არ უნდოდა, იქნებ არც შეეძლო და მხოლოდ მორიდებული მოძრაობით რაღაცას უწვდიდა ნევილს.

– ისევ? – დაღლილი ხმით თქვა დედამთილმა, – კარგი, ძვირფასო, კარგი... ნევილ, გამოართვი, რაც უნდა იყოს.

ნევილმა გაუწოდა ხელი და დედამ შიგ საუკეთესო ფეთქებადი საღეჭი რეზინის ცარიელი ქაღალდი ჩაუგდო.

– დიდი მადლობა, ძვირფასო, – თქვა ნევილის ბებიამ ნაძალადევი მხიარულებით და მხარზე მოეფერა რძალს.

ნევილმაც ჩაილაპარაკა:

– გმადლობ, დედა.

ალისა თავისი საწოლისკენ ღიღინით წაფრატუნდა. ნევილმა გამომწვევად შეხედა მეგობრებს: მიდით, აბა, იცინეთო. ჰარიმ კი გაიფიქრა, რომ ცხოვრებაში არაფერი ენახა ამაზე გულისმომკვლელი.

– კარგი, ჩვენი წასვლის დროა, – ამოიოხრა ქალბატონმა ლონგბოტომმა და გრძელი მწვანე ხელთათმანები წამოიცვა, – სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ახალგაზრდებო. ნევილ, ჩააგდე ქაღალდი ურნაში, უკვე იმდენი მოგცა, რომ ოთახში შპალერად გააკრავ.

მაგრამ ჰარიმ შენიშნა, როგორ ჩაიდო გასვლის წინ ნევილმა ქაღალდი ჯიბეში.

კარი მიიხურა.

– მე არ ვიცოდი, – ატირდა ჰერმიონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არც მე, – ჩახლეჩილი ხმით თქვა რონმა. ორივე ჰარის შესცქეროდა.

– მე ვიცოდი, – აღიარა ჰარიმ, – დამბლდორმა მიამბო, მაგრამ პირობა მივეცი, რომ არავის ვეტყოდი... ბელატრისა ლესტრეინჯი ამისთვის ჩასვეს აზკაბანში – კრუციატუსის წყევლით აწამებდა მათ, სანამ ორივე ჭკუიდან არ შეიშალა.

– ბელატრისა ლესტრეინჯი? – სუნთქვა შეეკრა ჰერმიონს, – მის ფოტოს ხომ კრეჩერი ინახავს თავის ბუნაგში?

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს გაბრაზებულმა ლოკჰარტმა დაიყვირა:

– ჰეი, მე რა, ტყუილად ვისწავლე ბეჭდური ასოებით წერა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეოთხე

ოკლუმენცია

სირიუსმა კრეჩერი კარგა ხნის შემდეგ სხვენში იპოვა. შინაური ელფი ერთიანად მტვერში იყო ამოგანგლული – ბლექების საოჯახო რელიკვიებს ეძებდა, რათა თავისთან, საკუჭნაოში გადაეთრია. სირიუსმა ეს ახსნა-განმარტება იკმარა, მაგრამ ჰარი მოუსვენრად იყო. კრეჩერს გუნება თითქოს გამოუკეთდა, იშვიათად ბუზღუნებდა, ბრძანებებს უყოყმანოდ ასრულებდა, მაგრამ ერთი-ორჯერ ჰარიმ მისი ხარბი მზერა იგრძნო, თუმცა, მაშინვე მოაცილებდა ხოლმე, როგორც კი დაინახავდა, რომ ჰარი უყურებდა.

ჰარი თავის ბუნდოვან ეჭვებს სირიუსს არ უმხელდა, მით უფრო, რომ შობის შემდეგ ნათლია მთლად კარგ გუნებაზე ვერ იყო. რაც უფრო ახლოვდებოდა ჰოგვორტსში მათი გამგზავრების დღე, სირიუსს მით უფრო ხშირად ემართებოდა „უჟმურობის შეტევები," – ასე ქალბატონი უისლი ამბობდა ხოლმე. უტყვი და გაღიზიანებული, საათობით მარტო იჯდა ჰიპოგრიფის ოთახში. მისი განწყობილება მთელ სახლს მოედო, მხუთავი აირივით ჟონავდა ყველგან და ყველას წამლავდა.

ჰარის არ უნდოდა კრეჩერთან სირიუსის მარტო დატოვება და ცხოვრებაში პირველად არ უხაროდა ჰოგვორტსში დაბრუნება. იქ გამგზავრება ისევ ამბრიჯის კლანჭებში ჩავარდნას ნიშნავდა. მათ არყოფნაში, ალბათ, ათამდე ახალი დეკრეტი მაინც გამოსცა. ქვიდიჩის თამაში აკრძალული აქვს, გამოცდები მოახლოვდა და საშინაო დავალებებში ჩაახრჩობენ. დამბლდორი კვლავინდებურად ერიდება. **და** რომ არა, სირიუსს სკოლის მიტოვების ნებართვას ვთხოვდი და გრიმოს მოედანზე დავრჩებოდიო, – ფიქრობდა ჰარი.

არდადეგების უკანასკნელ დღეს კი ისეთი რამ მოხდა, რომ ჰარის საერთოდ გაუქრა სკოლაში დაბრუნების სურვილი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, ძვირფასო, – საძინებელში შემოყო თავი ქალბატონმა უისლიმ, როცა ის და რონი ჯადოსნურ ჭადრაკს თამაშობდნენ, ჯინი, ჰერმიონი და ბო კი თვალს ადევნებდნენ, – შეგიძლია, სამზარეულოში ჩამოხვიდე? პროფესორ სნეიპს უნდა შენთან დალაპარაკება.

ჰარი უცებ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ – მისი ეტლი სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაება რონის პაიკთან და ჰარიც გულ-მოდგინედ აქეზებდა.

– მიდი, გასრისე, იდიოტო, პაიკს როგორ ვერ უნდა მოერიო! მაპა-ტიეთ, ქალბატონო უისლი, რა მითხარით?

– პროფესორი სნეიპი მოვიდა, საყვარელო, სამზრეულოშია და შენთან საუბარი უნდა.

ჰარიმ შიშისგან პირი დააღო და მეგობრებს გახედა – ისინიც გაო-ცებულები უყურებდნენ. ბომ დრო იხელთა, ჰერმიონს გაუსხლტა, მხიარულად ისკუპა დაფაზე და ხმაურით გაფანტა ფიგურები.

– სნეიპი? – უაზროდ გაიმეორა ჰარიმ.

– პროფესორი სნეიპი, – შეუსწორა ქალბატონმა უისლიმ, – ჩქარა წამოდი, გამაფრთხილა, ცოტა დრო მაქვსო.

– ნეტავ რა ჯანდაბა უნდა? – იკითხა გაოგნებულმა რონმა, როცა დედა ოთახიდან გავიდა, – მგონი, არაფერი დაგიშავებია.

– არა! – მიუგო ჰარიმ, თან გამალებული ფიქრობდა, რა უნდა დაეშავებინა ისეთი, რომ სნეიპი თავისი ფეხით მოადგა. ვითომ ბოლო საშინაო დავალების გამო უნდა გაეთათხა?

წუთის შემდეგ სამზარეულოს კარი შეაღო და გრძელ მაგიდასთან სირიუსი და სნეიპი დაინახა. დაძაბულები იყურებოდნენ სხვადასხვა მხარეს. ამ დამუხტულ დუმილში კეთილგანწყობის ნატამალიც კი არ იგრძნობოდა. სირიუსის წინ, მაგიდაზე, გახსნილი წერილი იდო.

ჰარიმ ჩაახველა.

სნეიპმა გასიპულ თმაზე ხელი გადაისვა და ჰარისკენ შებრუნდა.

– დაბრძანდით, პოტერ.

– იცი, სნეიპ, – ხმამაღლა დაიწყო სირიუსმა, სკამი უკანა ფეხებზე ააყირავა და ჭერს შეხედა, – თუ შეიძლება, ბრძანებებისგან თავი შეიკავე. არ დაგავიწყდეს, რომ ამ სახლში ჩემი სტუმარი ხარ.

სნეიპს ფერმკრთალი სახე საზარლად ჩაუმუქდა. ჰარი სირიუსის გვერდით დაჯდა და სნეიპს მიაჩერდა.

– თქვენთან პირისპირ საუბარი მინდოდა, პოტერ, – ტუჩები მოეღ-რიცა სნეიპს, – მაგრამ ბლექი..

– მე მისი ნათლია ვარ, – ხმას აუწია სირიუსმა.

სნეიპმა კი, სირიუსისგან განსხვავებით, უფრო ხმადაბლა და შხამიანად განაგრძო:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე აქ დამბლდორის დავალებით მოვედი, მაგრამ, რახან ასე გნებავს, სირიუს, დარჩი. ვიცი, ძალიან გიყვარს, როცა ყველაფერში მონაწილეობ...

– ეგ როგორ გავიგო? – სირიუსმა სკამი იატაკზე დაუშვა და წელში გაიმართა.

– ჰო, მესმის, შენ ალბათ... გულნატკენი უნდა იყო, რომ ორდენისთვის სასარგებლოს არაფერს აკეთებ... – ცოტა ხაზგასმით თქვა სიტყვა – „სასარგებლოს“.

ახლა სირიუსი აჭარხლდა. სნეიპმა გესლიანად ჩაიცინა და ჰარის მიუბრუნდა:

– დირექტორის სურვილია, რომ ამ სემესტრში ოკლუმენცია შეისწავლო.

– რა შევისწავლო? – ვერ გაიგო ჰარიმ. სნეიპს უფრო მეტად მოეღრიცა პირი:

– ოკლუმენცია, პოტერ. გონებაში გარედან შეღწევისგან დაცვა. ჯადოქრობის ნაკლებად შესწავლილი სფეროა, მაგრამ მეტისმეტად სასარგებლო.

ჰარის გამალებით აუძგერდა გული. დაცვა გარედან შეღწევისგან? მაგრამ ის ხომ არავის გავლენის ქვეშ არ არის, ყველანი ხომ ამ დასკვნამდე მივიდნენ...

– რატომ უნდა შევისწავლო ოკლუ... რა ჰქვია? – წამოისროლა უცებ.

– იმიტომ, რომ დირექტორს მიაჩნია საჭიროდ, – გულგრილად უპასუხა სნეიპმა, – თქვენ კვირაში ერთხელ ინდივიდუალურ გაკვეთილებს ჩაგიტარებენ, მაგრამ ამის შესახებ არავის ეტყვით, უპირველესად კი – დოლორეს ამბრიჯს. გასაგებია?

– დიახ. ვინ მამეცადინებს?

– მე.

ჰარის ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს შიგნეულობა უდნებოდა. დამატებითი გაკვეთილები სნეიპთან – რით დაიმსახურა ასეთი სასჯელი?

– თვითონ დამბლდორს რატომ არ შეუძლია? – შეუღრინა სირიუსმა, – მაინცდამაინც შენ რატომ უნდა ასწავლო?

– ეტყობა, იმიტომ, რომ შედარებით უსიამოვნო საქმის სხვებისთვის დავალება დირექტორის პრივილეგიაა, – შემპარავი ხმით უპასუხა სნეიპმა, – გარწმუნებ, მე არ მომითხოვია, – სნეიპი წამოდგა, – პოტერ, ორშაბათს, საღამოს ექვს საათზე, ჩემს კაბინეტში გელოდებით. თუ გკითხავენ რამეს, ეტყვით, რომ შხამ-წამლებს სწავლობთ. არავინ, ვისაც კი ჩემს გაკვეთილებზე დაუნახავხართ, არ დაეჭვდება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარისკენ სწრაფად წავიდა. შავი სამგზავრო ლაბადა აფრასავით გაებერა.

– მოიცა, – დაუძახა სირიუსმა.

– მეჩქარება, ბლექ, შენგან განსხვავებით, დასაკარგი დრო ნამდვილად არა მაქვს.

– მაშინ, პირდაპირ საქმეზე გადავალ, – სირიუსიც წამოდგა. გაცილებით მაღალი იყო სნეიპზე, რომელმაც ამ დროს ჯიბეში ხელი მომუშტა. ჰარის ეჭვი არ შეჰპარვია, რომ სნეიპს ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა, – თუ გავიგებ, რომ მაგ შენი ოკლუმენციის გაკვეთილებზე ჰარის დაჩაგრავ, ჩემთან გექნება საქმე.

– რა გულისამაჩუყებელია, – ჩაიცინა სნეიპმა, – მაგრამ იმედია, შეატყობდი, რომ ჰარი პირწავარდნილი მამამისია.

– მერე რა?

– მაშინ, ალბათ, იმასაც შეამჩნევდი, რამდენად ქედმაღალია.

სირიუსმა სკამი განზე მიაგდო და სნეიპისკენ წავიდა, ხელში ჯადოსნური ჯოხი ეჭირა. სნეიპმაც თავისი ამოაძრო. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ: სირიუსს მკვდრისფერი ედო, სნეიპიც ცივ მზერას არ აცილებდა.

– სირიუს! – შესძახა ჰარიმ, მაგრამ სირიუსს ყურადღება არ მიუქცევია.

– მე გაგაფრთხილე, სევერუს, – სახე ზედ ცხვირთან მიუტანა სნეიპს, – ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობს შენზე დამბლდორი, მე უკეთ გიცნობ!

– მაშინ, რატომ არ ეტყვი? – წაისისინა სნეიპმა, – თუ იმისი გეშინია, რომ სერიოზულად არ მიიღებს იმ კაცის რჩევას, რომელიც ნახევარი წელიწადია, დედის სახლში იმალება?

– შენ ის მითხარი, როგორაა ლუციუს მალფოი, ალბათ, კმაყოფილია, რომ მისი ერთგული გოშია ჰოგვორტსში მუშაობს?

– ჰო, გოშიაზე გამახსენდა: იცი თუ არა, რომ ლუციუს მალფოიმ გიცნო, როცა უკანასკნელად გაბედე და გარეთ გამოყავი ცხვირი? – გესლიანად თქვა სნეიპმა, – ეშმაკურად მოგიფიქრებია, ბლექ, უხიფათო ადგილას, სადგურის ბაქანზე გამოგემზეურებინა თავი. რას იტყვი, კიდევ გაბედავ შენი სოროდან ცხვირის გამოყოფას?

სირიუსმა ჯადოსნური ჯოხი შემართა.

– არა! – დაიყვირა ჰარიმ, მაგიდას გადაახტა და მათ შორის ჩადგა, – არა, სირიუს!

– როგორ მიბედავ, შე ნაძირალა! – იღრიალა სირიუსმა და თავისუფალი ხელით სცადა, გზიდან მოეშორებინა ჰარი, მაგრამ ფეხი ვერ მოაცვლევინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაო, ტყუილს ვამბობ? – ჩაიცინა სნეიპმა.

– ჰარი... ფეხებში ნუ მებლანდები! – ღმუოდა სირიუსი და ცდილობდა, ხელისკვრით გაეწია განზე.

ამ დროს კარი გაიღო და სამზარეულოში უისლების მთელი ოჯახი და ჰერმიონი შემოვიდნენ ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებულები. ჯგუფის შუაში ზოლებიან პიჟამაზე მაკინტოშშემოცმული ბატონი უისლი მოაბიჯებდა.

– მე უკვე გამოვკეთდი! – საზეიმოდ გამოაცხადა ბატონმა უისლიმ, – სრულიად ჯანმრთელი ვარ!

სამზარეულოში გათამაშებული სცენის შემხედვარე, ყველანი ადგილზე გაშეშდნენ. სირიუსსა და სნეიპს ჯადოსნური ჯოხები ერთმანეთისთვის მიეშვირათ და შემოსულებს უყურებდნენ, გამშველებლად მათ შორის გაჩხერილი ჰარი კი ხელებგაშლილი იდგა.

– ეშმაკმა დასწყევლოს! – ბატონ უისლის ღიმილი სახეზე შეეყინა, – რა ხდება აქ?

სირიუსმა და სნეიპმა ჯოხები დაუშვეს, ჰარი ხან ერთს შეხედავდა, ხან – მეორეს. ორივეს ზიზღი ეხატა სახეზე, მაგრამ მრავალრიცხოვან მოწმეთა უეცარმა გამოჩენამ, როგორც ჩანს, მეტოქეები გონს მოიყვანა. სნეიპმა ჯადოსნური ჯოხი ჯიბეში ჩაიდო და უხმოდ გაემართა გასასვლელისკენ. კართან შეჩერდა და სანამ გავიდოდა, ჰარის უთხრა:

– ორშაბათს, საღამოს ექვს საათზე, პოტერ!

– რა ხდება? – ისევ იკითხა ბატონმა უისლიმ.

– არაფერი, არტურ, – სირიუსი მძიმედ სუნთქავდა, თითქოს სულ ახლახან ბევრი ირბინაო, – უბრალოდ, ორი ძველისძველი ნაცნობის მეგობრული საუბარია, – თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, – ესე იგი, გამოკეთდი? მშვენიერი ამბავია, მშვენიერი.

– ხომ მართლა სასიხარულო ამბავია? – თქვა ქალბატონმა უისლიმ და მეუღლე სკამთან მიიყვანა, – მკურნალმა სმეტვიკმა მაინც მოახდინა საოცრება, საჭირო წამალს მიაგნო. არტურმა კი მშვენიერი გაკვეთილი მიიღო, ონავარი ბავშვივით აღარ წაეთამაშება მაგლების მედიცინას. ასე არ არის, არტურ? – თითქმის მუქარით ჰკითხა ბატონ უისლის.

– ჰო, ძვირფასო, – მორჩილად მიუგო ბატონმა უისლიმ. ვახშამი ამ საღამოს, წესითა და რიგით, მხიარული უნდა ყოფილიყო – ბატონი უისლი ისევ თავისიანებთან იმყოფებოდა. ჰარი ხედავდა, როგორ ცდილობდა სირიუსი, საერთო განწყობილებას აჰყოლოდა, მაგრამ როცა თავს არ აიძულებდა, ფრედისა და ჯორჯის ხუმრობებზე გასცინებოდა, ან როცა საჭმელს არ სთავაზობდა სტუმრებს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაფიქრებული და პირქუში ხდებოდა. მას და ჰარის შორის მანდანგუსი და მუდი ისხდნენ, რომლებიც არტურთან მისალოცად მოვიდნენ. ჰარის უნდოდა, დალაპარაკებოდა სირიუსს; უნდოდა ეთხოვა, რომ ყური არ ეგდო სნეიპისთვის; რომ სნეიპი განგებ აღიზიანებს, და რომ სინამდვილეში სულაც არ არის მშიშარა – გრიმოს მოედანზე დამალვა ხომ თვითონ დამბლდორმა ურჩია. მაგრამ ჰარის არა და არ მიეცა სირიუსთან დალაპარაკების საშუალება. მხოლოდ ის მოახერხა, რომ რონსა და ჰერმიონს წასჩურჩულა, ოკლუმენციის გაკვეთილებს სნეიპი ჩამიტარებსო.

– ეტყობა, დამბლდორს უნდა, დაგეხმაროს, რომ ვოლდემორი აღარ დაგესიზმროს, – უცბად მიხვდა ჰერმიონი.

– დამატებითი გაკვეთილები სნეიპთან, რა საშინელებაა! – თავზარი დაეცა რონს, – მე ისევ კოშმარებს ვარჩევდი!

მეორე დღეს ჰოგვორტსში „ღამის რაინდით“ უნდა დაბრუნებულიყვნენ ტონქსისა და ლუპინის თანხლებით.

დილით, როცა ჰარი, რონი და ჰერმიონი სამზარეულოში ჩავიდნენ, ტონქსი და ლუპინი უკვე საუზმობდნენ და რაღაცაზე ხმადაბლა საუბრობდნენ. ჰარი დაინახეს თუ არა, მაშინვე გაჩუმდნენ.

სახელდახელოდ ისაუზმეს, ქურთუკები და შარფები მოირგეს. გარეთ იანვრის სუსხიანი ამინდი იდგა. ჰარის გული მოეწურა, არ უნდოდა სირიუსთან გამომშვიდობება – არ იცოდა, როდისღა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, თან რაღაცნაირად უნდა გაეფრთხილებინა ნათლია, რამე სისულელე არ ჩაედინა. სანამ ამ ფიქრებში იყო, სირიუსმა თვითონ დაუძახა.

– ამას თან გაგატან, – უთხრა და დაუდევრად შეხვეული მცირე ზომის წიგნისოდენა რაღაც ჩასჩარა ხელში.

– ეს რა არის?

– ეს იმისთვის, რომ სწრაფად შემატყობინო, თუ სნეიპი შავ დღეში ჩაგაგდებს, – სირიუსმა ცერად გახედა ქალბატონ უისლის, რომელიც ნაქსოვი ხელთათმანების ჩაცმას აიძულებდა ტყუპებს, – ეჭვი მეპარება, რომ ქალბატონმა უისლიმ მოგვიწონოს, მაგრამ თუ დაგჭირდები, აუცილებლად ისარგებლე. შევთანხმდით?

– კარგი, – ჰარიმ ეს რაღაც ქურთუკის შიდა ჯიბეში შეინახა. თუმცა, იცოდა, რომ მას არასოდეს გამოიყენებდა. როგორც უნდა გააწამოს სნეიპმა ოკლუმენციის გაკვეთილებზე, ჰარი არავითარ შემთხვევაში არ მისცემს სირიუსს საბაბს, თავშესაფრიდან გამოვიდეს და თავი საფრთხეში ჩაიგდოს.

– აბა, ბედნიერად, – ნაღვლიანად გაუღიმა სირიუსმა და მხარზე ხელი დაუტყაპუნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ვერაფრის თქმა მოასწრო. ერთ წუთში მძიმე ჯაჭვითა და ურდულით დაკეტილ კართან იდგა უისლებთან ერთად.

– ნახვამდის, ჰარი, თავს გაუფრთხილდი, – მოეხვია ქალბატონი უისლი.

– აბა, კარგად, გველებს ადევნე თვალყური, – გულთბილად უთხრა ბატონმა უისლიმ და ხელი ჩამოართვა.

– კარგი, – დაბნეულად უპასუხა ჰარიმ.

ახლალა თუ მოვახერხებ მასთან დალაპარაკებასო, გაიფიქრა ჰარიმ. ნათლიას მიუბრუნდა და რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ ვეღარ მოასწრო: სირიუსი სწრაფად მოეხვია ცალი ხელით და ჩასჩურჩულა:

– ფრთხილად იყავი, ჰარი.

იმავე წამს უკვე გარეთ გაისროლეს, ტონქსი კი (დღეს ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილი მაღალი ჭაღარა ლედის გარეგნობა მიეღო) აჩქარებდა.

ნომერ თორმეტი სახლის კარი ხმაურით მიიხურა. ლუპინთან ერთად ყველანი ტროტუარზე ჩავიდნენ. ჰარიმ უკან მიიხედა. მეზობელ სახლებს შორის მოქცეული ბლექების სახლი სწრაფად იკუმშებოდა. წამიც და, გაქრა.

– წავედით, რაც უფრო ადრე ჩავსხდებით ავტობუსში, მით უკეთესი, – ტონქსმა ნერვიულად მოათვალიერა მოედანი. ლუპინმა მარჯვენა ხელი გაიქნია.

ბახ!

სადღაციდან კაშკაშა იისფერი სამსართულიანი ავტობუსი გაჩნდა. ფარნის ბოძმა განზე გახტომა მოასწრო, თორემ უეჭველად მას დაეჯახებოდა.

გამხდარი, მუწუკებიანი, იისფერუნიფორმიანი ყურპანტურა ყმაწვილი ძირს ჩამოხტა და ომახიანად დასჭექა:

– კეთილი იყოს...

– ვიცით, ვიცით, – მოუთმენლად შეაწყვეტინა ტონქსმა და ხელით უბიძგა ჰარის, – ადით, ადით...

– აა, ეს ხომ ჰარია!

– კიდევ ერთხელ წამოიძახებ ამ სახელს და მოუსავლეთში გაგგზავნი, – შეჰპირდა ტონქსი, რომელიც ახლა ჰერმიონსა და ჯინის აჩქარებდა.

– მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ამ ავტობუსით გასეირნებაზე, – თქვა გახარებულმა რონმა, ჰარის გვერდით ამოუდგა და სალონი მოათვალიერა.

იმ საღამოს, ჰარიმ „ღამის რაინდით“ პირველად რომ იმგზავრა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამივე სართული სპილენძის საწოლებით იყო გამოტენილი. ახლა, ამ სისხამ დილით, ავტობუსში სავარძლების ტევა არ იყო. როცა ავტობუსმა გრიმოს მოედანზე დაამუხრუჭა, რამდენიმე სავარძელი გადაყირავდა კიდეც. მგზავრები ჯერ კიდევ ბუზღუნებდნენ და იატაკზე გაფანტულ ბარგს აგროვებდნენ. ვიღაცის პაკეტი იატაკზე გასრიალდა და იქაურობა ბაყაყის ხიზილალით, ტარაკნებითა და მოხარშული კრემით მოისვარა.

– ეტყობა, ცალ-ცალკე დასხდომა მოგვიწევს, – ცარიელი სავარძლები შეათვალიერა ტონქსმა, – ფრედ, ჯორჯ, ჯინი, თქვენ უკან დასხდებით... რემუსიც თქვენთან ერთად იქნება.

თვითონ ჰარისთან, რონსა და ჰერმიონთან ერთად სულ ზევით ავიდა, სადაც ორი თავისუფალი სავარძელი წინ იყო, ორიც – ბოლოში. კონდუქტორი სტენ შანპაიკი ჰარისა და რონს მიჰყვა. მგზავრები ინტერესით ათვალიერებდნენ, მაგრამ როგორც კი ჰარი დაჯდა, ყველა დაწყნარდა.

ჰარიმ და რონმა სტენს თერთმეტ-თერთმეტი სიკლი გადაუხადეს და ავტობუსიც დაიძრა, გრუხუნით გადაიარა გრიმოს მოედანი, ხან ტროტუარს მიუყვებოდა, ხან სავალ ნაწილს, მერე ერთი გამაყრუებლად იფეთქა და წინ გავარდა. რონის სავარძელი აყირავდა, მუხლებზე დასკუპებული პიგი გალიიდან გამოფრინდა, კივილით გაიჭრა წინ და ჰერმიონს დააჯდა მხარზე. ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი. ფანჯარაში გაიხედა და მოეჩვენა, რომ ავტოსტრადაზე მიქროდნენ.

– ბირმინგემს ვუახლოვდებით, – მხიარულად აუხსნა სტენმა, – როგორ ხარ, ჰარი? ამ ზაფხულს შენზე ბევრს წერდნენ გაზეთებში, ოღონდ, კარგს არაფერს. ერნის ვეუბნები, როცა ჩვენთან ერთად მგზავრობდა, შეშლილს არ ჰგავდა, თორემ ნამდვილად შევატყობდით-მეთქი, – ბილეთები მისცა და აღტაცებული განაგრძობდა ჰარის თვალიერებას. როგორც ჩანს, სტენს სულ არ ადარდებდა ჰარის შეშლილობა, რაც მთავარია, მასზე გაზეთებში წერდნენ, ესე იგი, ცნობილი ვინმე იყო. „ღამის რაინდი“ სახიფათოდ მიიკვლევდა გზას მანქანების ნაკადში. ჰარიმ დაინახა, როგორ მიიფარა ჰერმიონმა თვალებზე ხელი. კმაყოფილი პიგი კი ისევ მხარზე ეჯდა.

ბახ!

სავარძლები ისევ გაცურდა უკან – „ღამის რაინდი“ ბირმინგემის ავტოსტრადიდან წყნარ, მიხვეულ-მოხვეულ შარაზე გადახტა. ღობეები ორივე მხარეს თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ აქეთ-იქით; მერე პატარა ქალაქის ხალხმრავალ ქუჩაზე შევარდა, იქიდან მთებით გარშემორტყმულ ველზე გაიჭრა, მერე კი – ზეგანზე, სადაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქარი დათარეშობდა. ყოველ ამგვარ ცვლილებას ხმამაღალი ბუთქუნი მოსდევდა.

– გადავიფიქრე, – ჩაიბუზღუნა რონმა, როცა მეექვსედ წამოდგა იატაკიდან, – აღარ მინდა ამ რაღაცით სეირნობა.

ამ დროს რწევა-რწევით მიუახლოვდათ სტენი:

– ამის შემდეგ ჰოგვორტსში ვჩერდებით. იმ თქვენმა გაბღენძილმა დეიდამ გვთხოვა, ჯერ ესენი მიიყვანეო. თან ცოტა ფულიც ჩაგვიკუჭა. ახლავე, ოღონდ ჯერ მადამ მარშს მივხედავთ... ცოტა შეუძლოდ არის, – ქვედა სართულიდან უსიამოვნო ხმები ისმოდა, ვიღაცას გული ერეოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ „ღამის რაინდმა“ მოხერხებულად აიცდინა შეჯახება და პატარა სამიკიტნოსთან დაამუხრუჭა. გაიგონეს, როგორ ჩააცილა სტენმა მადამ მარში და როგორ შვებით ამოისუნთქეს მისმა შეწუხებულმა თანამგზავრებმა. ავტობუსი დაიძრა, სიჩქარეს მოუმატა და...

ბახ!

ისინი უკვე ჰოგსმიდის დათოვლილ არემარეზე აღმოჩნდნენ. მოსახვევში „ღორის თავმა“ გაიელვა. თოვლის ფანტელები საქარე მინას ეხლებოდა. ბოლოს სკოლაც გამოჩნდა.

ლუპინი და ტონქსი ბარგის ჩატანაში დაეხმარნენ. მერე დასამშვიდობებლად გამოვიდნენ. ჰარიმ ავტობუსის სართულებს შეავლო თვალი – სამივე სართულიდან ფანჯრებზე ცხვირით მიკრული მგზავრები იყურებოდნენ.

– სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოდ იქნებით, – თქვა ტონქსმა და უკაცრიელ გზას გახედა, – აბა, თქვენ იცით, წარმატებებს გისურვებთ.

– კარგად იყავით, – ლუპინმა ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ბოლოს ჰარის მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა: – ყური დამიგდე, ვიცი, არ გიყვარს სნეიპი, მაგრამ ის შესანიშნავი ოკლუმენტია და ჩვენ ყველას, სირიუსის ჩათვლით, გვინდა, რომ თავის დაცვა ისწავლო. ასე რომ, ცოტა მოინდომე, კარგი?

– კარგი, შევეცდები, – ნაღვლიანად უპასუხა ჰარიმ და ნაადრევად დანაოჭებულ სახეზე შეხედა, – ნახვამდის.

ჩემოდნების თრევით გაუყვნენ ციხე-კოშკისკენ მიმავალ მოყინულ ბილიკს. ჰერმიონმა უკვე მოასწრო იმის თქმა, რომ დღეს საღამომდე აუცილებლად უნდა მოქსოვოს რამდენიმე ქუდი ელფებისთვის. როცა კოშკის მუხის კარს მიუახლოვდნენ, ჰარიმ უკან მიიხედა. „ღამის რაინდი“ გამქრალიყო. ხვალინდელი საღამოს გაკვეთილი რომ გაახსენდა, ინანა კიდეც, რომ ავტობუსში არ დარჩა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მთელი მომდევნო დღე ჰარი შიშით ელოდა საღამოს მეცადინეობას. დილით შხამ-წამლების ორმაგმა გაკვეთილმა კიდევ უფრო მოუშხამა გუნება – სნეიპი, ჩვეულებისამებრ, მტრულად იყო განწყობილი. **და**-ს წევრებმა ხომ მთლად გაუწყალეს გული გაუთავებელი შეკითხვებით.

– როგორც კი გადავწყვეტ, როდის გვექნება შეკრება, შეგატყობინებთ, – ძლივს იშორებდა აბეზრებს, – დღეს არ შემიძლია. მე... მოკლედ, შხამ-წამლებზე...

– შენ რა, შხამ-წამლებს გადიხარ? – ამრეზით იკითხა ზაქარია სმიტმა, როცა სადილის შემდეგ ჰოლში შეხვდა, – ღმერთო ჩემო, ნუთუ ასეთი სუსტი ხარ? როდიდან დაიწყო სნეიპმა დამატებითი გაკვეთილების ჩატარება?

სმიტი გაბღენძილი გაშორდა და რონმა ჯადოსნური ჯოხი ასწია, ბეჭებში დაუმიზნა და იკითხა:

– ვგლიჯო? აქედან ჯერ კიდევ მივწვდები.

– შეეშვი, – ნაღვლიანად თქვა ჰარიმ, – ყველა ასე იფიქრებს, შტერი ყოფილაო...

– გამარჯობა, ჰარი, – მოესმა უკნიდან ჩოს ხმა.

– გა... გამარჯობა, –ძლივს ამოილუღლუღა ჰარიმ და გული საშინლად აუძგერდა.

– ჰარი, ჩვენ ბიბლიოთეკაში ვიქნებით, – ჰერმიონმა რონს იდაყვში წაავლო ხელი და მარმარილოს კიბეებისკენ წაიყვანა.

– როგორ გაატარე შობა? – ჰკითხა ჩომ.

– ისე, რა.

– ჩვენთან, როგორღაც, შეუმჩნევლად ჩაიარა, – ჩო რატომღაც დარცხვენილი ჩანდა, – იცი... მომავალ თვეში ჰოგსმიდში გაგვიშვებენ... წაიკითხე განცხადება?

– რა? ჰო, არა, დაფა ჯერ არ მინახავს.

– წმინდა ვალენტინის დღეს.

– გასაგებია, – ჰარი ვერ ხვდებოდა, რატომ ეუბნებოდა ამას ჩო, – შენ, ალბათ...

– ოღონდ – თუ შენც... – აღარ დაასრულა ჩომ.

ჰარი დაიბნა და კინაღამ თქვა, „შენ, ალბათ, იმის გაგება გინდოდა, როდის იქნება **და**-ს შეკრებაო? მაგრამ გოგონა აშკარად სხვა რამეს გულისხმობდა.

– მე... არ ვიცი...

– რა თქმა უნდა, თუ არ გინდა... – ცხვირი ჩამოუშვა ჩომ, – არა უშავს... სხვა დროს შევხვდებით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩო წავიდა. ჰარიმ თვალი გააყოლა, თან დაძაბული ფიქრობდა და უცებ მიხვდა:

– ჩო! მოიცა... ჩო! – გაეკიდა და კიბემდე არც კი იყო მისული, რომ დაეწია.

– ჩემთან ერთად გინდა წასვლა ჰოგსმიდში წმინდა ვალენტინის დღეს?

– ჰო-ო-ო! – ჩომ გაიღიმა და გაწითლდა.

– კარგი, შევთანხმდით, – გახარებული ჰარი ლამის აფრინდა კიბეზე, რათა საღამოს მეცადინეობამდე რონი და ჰერმიონი ენახა.

თუმცა, საღამოს ექვს საათზე, როცა სნეიპის კაბინეტისკენ გაემართა, ჩოსთან სასიამოვნო შეხვედრით მოგვრილი სიხარული სულ გაუქრა და ააკანკალა.

კართან წამით შეჩერდა. ამქვეყნად ყველაზე საძულველი კარის წინ ღრმად ჩაისუნთქა, დააკაკუნა და შევიდა.

ჩაბნელებულ ოთახში თაროებზე უამრავი მინის ქილა ეწყო. ქილებში სხვადასხვა ფერის ნაყენში ცხოველებისა და მცენარეების სლიპინა ნაწილები დაცურავდა. ერთ კუთხეში ინგრედიენტებით გამოტენილი განჯინა იდგა, რომლის გაძარცვაში სნეიპმა, არცთუ უსაფუძვლოდ, ოდესღაც ჰარი დაადანაშაულა. თუმცა, მისი ყურადღება მაგიდაზე დადგმულმა ქვის პატარა საგნებითა და სიმბოლოებით მოჩუქურთმებულმა ჯამმა მიიპყრო, რომელსაც სანთლის შუქი ანათებდა. ჰარიმ უცებ იცნო დამბლდორის საფიქრელა და გაუკვირდა, აქ რატომ დევსო. სიბნელიდან სნეიპის ცივი ხმა მოესმა.

– კარი მიხურეთ, პოტერ.

ჰარიმ ისეთი გრძნობით მიხურა კარი, თითქოს თვითონვე ამწყვდევდა დილეგში საკუთარ თავს. სნეიპი სინათლეზე გამოვიდა და უხმოდ მიუთითა მაგიდის წინ მდგარ სავარძელზე. ჰარი დაჯდა. სნეიპი ერთხანს დაჟინებით უყურებდა ცივი, შავი თვალებით. სახეზე უკმაყოფილება ეტყობოდა.

– მაშ, ასე, პოტერ, იცით, რისთვისაც ხართ აქ. დირექტორმა მთხოვა, შეგასწავლოთ ოკლუმენცია. იმედი მაქვს, აქ უფრო მეტ შესაძლებლობებს გამოავლენთ, ვიდრე შხამ-წამლებში.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ჰარიმ.

– მართალია, ეს ჩვეულებრივი გაკვეთილი არ არის, პოტერ, – ავად მოჭუტა თვალები სნეიპმა, – მაგრამ, მიუხედავად ამისა, უწინდებურად თქვენი მასწავლებელი ვარ და ყოველი მომართვისას აუცილებლად დაამატებთ „სერ“ ან „პროფესორო“.

– დიახ... სერ, – თქვა ჰარიმ.

სნეიპი ისევ მოჭუტული თვალებით უყურებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშ, ასე, ოკლუმენცია. როგორც უკვე აგიხსენით თქვენი ძვირფასი ნათლიის სამზარეულოში, ჯადოქრობის ეს დარგი საშუალებას გვაძლევს, დავიცვათ გონება სხვისი შემოჭრის ან ზემოქმედებისგან.

– რატომ მიაჩნია დამბლდორს, რომ მე ეს მჭირდება? – იკითხა ჰარიმ. თან თვალებში შესცქეროდა სნეიპს, მაგრამ ეჭვობდა, რომ პასუხს მიიღებდა.

სნეიპი გაჩუმდა, მერე კი აგდებულად უპასუხა:

– ამას თვითონაც უნდა ხვდებოდეთ, პოტერ. ბნელი ბატონი ერთობ გათვითცნობიერებულია ლეგილიმენციაში...

– ეგ რაღაა, სერ?

– სხვისი გონებიდან გრძნობებისა და მოგონებების გამოწვევის უნარი...

– ის რა, სხვის ფიქრებს კითხულობს? – ჰარის სნეიპის სიტყვები ენიშნა.

– თქვენ სინატიფე გაკლიათ, პოტერ, – ნახევარბნელში სნეიპის მუქმა თვალებმა გაიელვა, – თქვენ ამ ფაქიზ განსხვავებას ვერ გრძნობთ. სხვათა შორის, ეს არის შხამ-წამლებში თქვენი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი.

სნეიპი გაჩუმდა, ცოტა ხანს საკუთარი ნათქვამით ტკბებოდა და მერე განაგრძო:

– მხოლოდ მაგლები ლაპარაკობენ „ფიქრების წაკითხვაზე". ტვინი წიგნი არ არის, როცა მოგეპრიანება, მაშინ გადაშალო. ფიქრები დაბეჭდილი არ არის თავის ქალის შიგნით, რომ ნებისმიერ ცნობისმოყვარეს შეეძლოს შესწავლა. ტვინი რთული და მრავალშრიანი ორგანოა – ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი ადამიანის ტვინი, პოტერ, – სნეიპმა ჩაიცინა, – თუმცა, ვინც დაუფლებულია ლეგილიმენციას, განსაზღვრულ პირობებში შეუძლია, შეიჭრას მსხვერპლის გონებაში და იქ მოპოვებული ინფორმაცია სწორად ახსნას. კერძოდ, ბნელი ბატონი თითქმის ყოველთვის ხვდება, როცა ვინმე ატყუებს. ასე რომ, მხოლოდ ოკლუმენციაში გაწაფულს შეუძლია გრძნობებისა და მოგონებების დაოკება და მისი მოტყუებაც კი ისე, რომ ბნელი ბატონი ვერაფერს მიხვდეს.

როგორც უნდა ეთქვა სნეიპს, ლეგილიმენცია მაინც ფიქრების წაკითხვას ჰგავდა და ჰარის ეს ძალიან არ მოსწონდა.

– ესე იგი, მას შეუძლია, გაიგოს, ჩვენ ახლა აქ რაზე ვფიქრობთ, სერ?

– ბნელი ბატონი აქედან კარგა შორს არის, ჰოგვორტსის ტერიტორია კი ბევრი უძველესი შელოცვითა და ჯადოთია დაცული, რათა უზრუნველყოს აქ მყოფთა ფიზიკური და სულიერი უსაფრთხოება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დრო და სივრცე ამიტომაცაა არსებითი, პოტერ. ლეგილიმენციისთვის ხშირად მხედველობითი კონტაქტია აუცილებელი.

– კარგი, მაგრამ მაშინ რაღად მჭირდება ოკლუმენციის შესწავლა?

სნეიპმა გრძელი ნატიფი თითი მოისვა ტუჩებზე.

– ჩვეულებრივი კანონები, როგორც ჩანს, თქვენზე არ ვრცელდება, პოტერ. წყევლამ, რომელმაც ვერ შეძლო თქვენი მოკვლა, ვფიქრობ, რაღაც კავშირი შექმნა თქვენსა და ბნელ ბატონს შორის. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროს, როცა თქვენი გონება ყველაზე უფრო მოშვებული და მოდუნებულია – მაგალითად, ძილში, – თქვენ ახერხებთ ბნელი ბატონის ემოციებისა და ფიქრების შეტყობას. დირექტორს სურს, რომ ამას ბოლო მოეღოს და ბნელმა ბატონმა თქვენს გონებაში შემოღწევა ვეღარ მოახერხოს.

ჰარის გულმა ცუდი უგრძნო.

– მაინც არ მესმის, რატომ უნდა პროფესორ დამბლდორს ეს? ერთხელ ხომ უკვე გამოგვადგა ჩემი უნარი? მე რომ არ დამენახა, არტურ უისლის გველი როგორ დაესხა თავს, მას ხომ ვერ გადაარჩენდნენ? არა ვარ მართალი, სერ?

სნეიპი ერთხანს ისევ ტუჩებზე ისვამდა თითს და ისე შეჰყურებდა ჰარის. მერე ნელა, დინჯად უპასუხა, თითქოს თითოეულ სიტყვას წონიდა:

– როგორც ჩანს, ამ ბოლო დრომდე ბნელ ბატონს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თქვენ შორის არსებულ კავშირზე. დღემდე თქვენ, როგორც ჩანს, ისე აღიქვამდით მის გრძნობებსა და ფიქრებს, რომ მან არაფერი იცოდა ამის შესახებ. მაგრამ ის ხილვა, რომელიც შობამდე...

– ბატონ უისლიზე თავდასხმას გულისხმობთ?

– ნუ მაწყვეტინებთ, პოტერ, – ცივად მოუჭრა სნეიპმა, – ვაგრძელებ: იმან, რაც შობამდე ცოტა ხნით ადრე ნახეთ, ისე ძლიერ იმოქმედა ბნელი ბატონის გონებაზე...

– მაგრამ მე გველის თვალებით ვიყურებოდი და არა ბნელი ბა...

– მგონი, გითხარით, არ შემაწყვეტინოთ-მეთქი.

მაგრამ ჰარის უკვე აღარ აშინებდა პროფესორის გულისწყრომა. როგორც იქნა, საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა. წინ გადაიხარა, ვერც შეამჩნია, რომ ისედაც სკამის კიდეზე იჯდა. ისე დაიძაბა, თითქოს აფრენას აპირებსო.

– როგორ ვიყურებოდი გველის თვალებით, თუ ვოლდემორის ფიქრები მქონდა?

– არ გაბედოთ ბნელი ბატონის სახელის ხსენება! – შეუღრინა სნეიპმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ორივეს მზერა საფიქრელაზე შეჩერდა.

– პროფესორი დამბლდორი ახსენებს ხოლმე მის სახელს, – ჩუმად თქვა ჰარიმ.

– დამბლდორი უდიდესი ჯადოქარია. მას შეუძლია, მისცეს თავს ამის უფლება... ჩვენ კი... – სნეიპმა უნებლიეთ გაისვა ხელი მარცხენა მაჯაზე. ჰარიმ იცოდა, რომ იქ შავი დამღა ჰქონდა.

– მე, უბრალოდ, მინდა, გავერკვე, – ჰარი ცდილობდა, რაც შეიძლება თავაზიანად ელაპარაკა, – რატომ...

– ალბათ, იმიტომ შეიჭერით გველის გონებაში, რომ იმ დროს იქ ბნელი ბატონი იყო, – განაგრძო სნეიპმა, – იმ დროს ის გველს იყო დაუფლებული. ამიტომაც დაგესიზმრათ, რომ თქვენც შიგ იყავით.

– და ვოლ... მან... იცის, რომ იქ ვიყავი?

– ალბათ, – ცივად თქვა სნეიპმა.

– საიდან იცით? – ჩაეკითხა ჰარი, – ეს მხოლოდ დამბლდორის ვარაუდია, თუ...

– ხომ გითხარით, – სნეიპი სავარძელში გასწორდა, თვალები დაუვიწროვდა, – როგორ უნდა მომმართოთ.

– დიახ, სერ, – სულმოუთქმელად განაგრძო ჰარიმ, – მაგრამ საიდან იცით...

– უბრალოდ, ვიცით და მორჩა! – მოუჭრა სნეიპმა, – ბნელი ბატონისთვის ცნობილია, რომ თქვენ მის გრძნობებსა და ფიქრებში აღწევთ – ეს არის მთავარი. ამას გარდა, მიხვდა, რომ თვითონაც შეუძლია, იგივე გააკეთოს – ანუ თქვენს გრძნობებსა და ფიქრებში შემოაღწიოს.

– და მაიძულოს ვაკეთო ის, რასაც მიბრძანებს? – ჰკითხა ჰარიმ და და საჩქაროდ დაამატა: – სერ?

– დიახ, – გულგრილად მიუგო სნეიპმა, – მოდით, ახლა ისევ ოკლუმენციას დავუბრუნდეთ.

მანტიის შიდა ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო. ჰარი დაიძაბა. სნეიპმა ჯოხი საფეთქელთან მიიტანა და წვერი გასიპული თმის ძირებს შეახო. როცა მოიშორა, ჯოხს ვერცხლისფერი ნივთიერება ჰქონდა მიკრული, რომელიც ჯერ სქელ, ჰაეროვან ნაწნავად გაიწელა, მერე გაწყდა, ნელა ჩაეშვა საფიქრელაში და დაბზრიალდა – არც აირი იყო, არც სითხე.

სნეიპმა ჯადოსნური ჯოხი კიდევ ორჯერ მიიტანა საფეთქელთან, ვერცხლისფერ ნივთიერებებს კი ქვის ჯამში ყრიდა. შემდეგ საფიქრელა ახსნა-განმარტების გარეშე გადაიტანა თაროზე და ჯადოსნური ჯოხით ხელში ისევ ჰარის მიუბრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ადექით, პოტერ, და აიღეთ თქვენი ჯადოსნური ჯოხი. ოდნავ აღელვებული ჰარი ადგა. ისინი მაგიდის მოპირდაპირე მხარეებიდან შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

– შეგიძლიათ, თქვენი ჯადოსნური ჯოხით განმაიარაღოთ ან ნებისმიერი საშუალებით დაიცვათ თავი, – თქვა სნეიპმა.

– თქვენ რას აპირებთ? – ჰარი სნეიპის ჯადოსნურ ჯოხს თვალს არ აცილებდა.

– შევეცდები, თქვენს გონებაში შემოვიჭრა, – ჩუმად აუხსნა სნეიპმა, – ვნახოთ, როგორ წინააღმდეგობას გამიწევთ. ვიცი, რომ იმპერიუსის წყევლას საკმაოდ კარგად უმკლავდებით. მსგავსი ძალისხმევა აქაც მოგიწევთ. ახლა მოემზადეთ – ლეგილიმენს!

ჰარიმ ძალების მოკრება ვერ მოასწრო. სნეიპმა კი არ აცალა. კაბინეტი გალღვა და გაქრა. როგორც აჩქარებულ ფილმში, ათასი სახე აირია თავში, ისეთი მკვეთრი და ცხადი, რომ გარშემო ყველაფერი გადაფარა.

ხუთი წლისაა, დადლი ახალთახალ წითელ ველოსიპედზე ზის და პედლებს ატრიალებს, ჰარი ლამისაა შურით გასკდეს... ახლა ცხრისაა. ბულდოგმა ბდღვირომ ხეზე ააძვრინა, დერსლები კი ძირს დგანან და იცინიან... გამანაწილებელი ქუდი ახურავს. ქუდი ეუბნება, რომ სლიზერინში მიაღწევდა წარმატებას... ჰერმიონი საავადმყოფო ფლიგელში წევს, სახეზე ხშირი, შავი ბალანი ამოსვლია... ასამდე დემენტორი უახლოვდება ბნელი ტბის პირას... ჩო ჩენგი და ის ფითრის ქვეშ დგანან...

„არა, – გაისმა თავში, როცა ჩოს მოგონება უფრო კაშკაშა გახდა, – შენ ამას ვერ დაინახავ, შენ ამას ვერ დაინახავ, ეს მხოლოდ ჩემია“.

ჰარიმ მწვავე ტკივილი იგრძნო მუხლში. სნეიპის კაბინეტი ისევ გამოჩნდა და ჰარი იატაკზე დაეცა. მუხლი მტკივნეულად დაარტყა პროფესორის მაგიდის ფეხს. ქვემოდან ახედა სნეიპს. პროფესორმა ჯოხი დაუშვა და მაჯა მოისრისა. კანი დამწვარივით გასწითლებოდა.

– მსუსხავი შელოცვით ცდილობდით თავის დაცვას? – მშვიდად ჰკითხა სნეიპმა.

– არა, – გაბრაზებულმა უპასუხა ჰარიმ და წამოდგა.

– ასეც ვიფიქრე, – ბოროტად ჩაიცინა სნეიპმა, – ძალიან ღრმად შემიშვით, კონტროლი დაკარგეთ.

– ყველაფერი დაინახეთ, რასაც მე ვხედავდი? – ჰკითხა ჰარიმ, თუმცა, დარწმუნებული არ იყო, რომ პასუხის გაგება ნამდვილად უნდოდა.

– გაკვრით, – ყბამოღრეცით ჩაიცინა სნეიპმა, – ბულდოგი ვისი იყო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მამიდა მარჯის, – ჰარის უფრო მეტად შესძულდა სნეიპი.

– დასაწყისისთვის არა უშავს. შეიძლებოდა, უფრო ცუდიც ყოფილიყო, – სნეიპმა ისევ შემართა ჯადოსნური ჯოხი, – სულ ბოლოს მოახერხეთ ჩემი შეჩერება, თუმცა, ტყუილუბრალოდ ხარჯავდით დროსა და ენერგიას ყვირილში. ყურადღება უნდა მოიკრიბოთ. შეეცადეთ, გონების თვალით ამისხლიტოთ და ჯადოსნური ჯოხი აღარ დაგჭირდებათ.

– ვცდილობ, – გაბრაზებული შეეპასუხა ჰარი, – მაგრამ თქვენ არ ამიხსენით, როგორ უნდა გავაკეთო.

– ნუ თავხედობთ, პოტერ, – მუქარით თქვა სნეიპმა, – ახლა თვალები დახუჭეთ.

ჰარიმ გაბრაზებულმა შეხედა, სანამ ბრძანებას შეასრულებდა. სულ არ უნდოდა, თვალდახუჭული მდგარიყო სნეიპის წინაშე.

– გაისუფთავეთ გონება, პოტერ, – გასცა ბრძანება ცივმა ხმამ, – მოიცილეთ ყველანაირი ემოცია.

ჰარის რისხვამ გველის შხამივით დაუარა ძარღვებში. ამ რისხვისგან გათავისუფლდეს? ძალიან გაუჭირდება...

– თქვენ არ მიჯერებთ, პოტერ... დისციპლინა არ გყოფნით... მოიკრიბეთ ყურადღება...

ჰარი შეეცადა, თავიდან მოეცილებინა ყველანაირი ფიქრი – არ უნდა იფიქროს, არ მოიგონოს, არ იგრძნოს...

– აბა, კიდევ ერთხელ, სამ თვლაზე... ერთი... ორი... სამი... ლეგილიმენს!

ცხვირწინ უზარმაზარი შავი დრაკონი აუფრინდა... დედა და მამა მოჯადოებული სარკიდან უქნევენ ხელს... სედრიკ დიგორი მიწაზე წევს და დაცარიელებული თვალებით მისჩერებია...

– არა-ა-ა-ა!

ჰარი ისევ მუხლებზე იდგა. ხელები სახეზე აეფარებინა, თავის ქალა ისე სტკიოდა, თითქოს სკალპს აძრობდნენ.

– ადექით! – უბრძანა სნეიპმა, – ადექით! თქვენ არ ცდილობთ, თავს ძალას არ ატანთ. იმ მოგონებებში მიშვებთ, რომლებისაც გეშინიათ. საკუთარი თავის წინააღმდეგ თვითონვე მაძლევთ იარაღს!

ჰარი ადგა. გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს მკვდარი სედრიკი მართლა ნახა. სნეიპი ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი და გაბრაზებული ჩანდა.

– მე... ვცდილობ... წინააღმდეგობა გაგიწიოთ, – კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

– გითხარით, ემოციებისგან გათავისუფლდით-მეთქი!

– ჰო? სათქმელად ადვილია, – შეულრინა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშინ, თქვენ ბნელი ბატონისთვის გემრიელ ლუკმად იქცევით, – გაცოფდა სნეიპი, – ბრიყვებს, რომლებსაც ყველასთვის გადაშლილი აქვთ გული, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი გრძნობების მოთოკვა, სევდიანი მოგონებებით ტკბებიან და ასე იოლად აძლევენ საკუთარი თავის ანკესზე წამოგების უფლებას, ერთი სიტყვით, სუსტ ადამიანებს, არავითარი შანსი არა აქვთ, წინააღმდეგობა გაუწიონ მას! ადვილად შემოიჭრება თქვენს გონებაში, პოტერ, ძალიან სუსტი ხართ!

– მე სუსტი არა ვარ! – ყრუდ თქვა ჰარიმ. ისე იყო გამძვინვარებული, უნდოდა, სნეიპს სცემოდა და შუაზე გაეგლიჯა.

– მაშინ დამიმტკიცეთ! – დაიღრინა სნეიპმა, – დაიოკეთ რისხვა და მოერიეთ თავს! კიდევ ერთხელ ვცადოთ! მოემზადეთ, ლეგილიმენს!

ძია ვერნონი საფოსტო ყუთს ლურსმნით აჭედებს... ასამდე დემენტორი ტბის მეორე ნაპირიდან მისკენ მიემართება... უფანჯრო დერეფანში გარბის ბატონ უისლისთან ერთად... დერეფნის ბოლოს შავ კარს უახლოვდებიან... ჰარი შიგ შესვლას ფიქრობს, მაგრამ ბატონ უისლის მარცხნივ, ქვის კიბეზე ჩაჰყავს...

– ვიცი! ვიცი!

ისევ მუხლებზე იდგა სნეიპის კაბინეტში, ნაიარევი წიწკნიდა, მაგრამ ამ წამოძახილში გამარჯვების ყიჟინა ისმოდა. წამოდგა. სნეიპს ჯადოსნური ჯოხი შემართული ეჭირა. როგორც ჩანს, შელოცვა მანამდე მოხსნა, სანამ ჰარი წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებდა.

– რა მოხდა, პოტერ? – ჰკითხა და დაჟინებით დააცქერდა.

– მე ვნახე... გამახსენდა, – სულს ძლივს ითქვამდა ჰარი, – ახლა უკვე მივხვდი...

– რას მიხვდით?

ჰარის მაშინვე არ უპასუხია. შუბლს ისრესდა და თავის აღმოჩენაზე ფიქრობდა.

დაკეტილი კარით დაბოლოებული უფანჯრო დერეფანი თვეობით ესიზმრებოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ ეს ადგილი რეალურად არსებობდა. ახლა კი, როცა მოგონებებში ისევ იხილა, იცნო: ეს იყო დერეფანი, რომელშიც ბატონ უისლისთან ერთად გარბოდა თოთხმეტ აგვისტოს, როცა სამინისტროში სადისციპლინო მოსმენაზე მიიჩქაროდნენ. დერეფანი საიდუმლო დეპარტამენტით მთავრდებოდა. სწორედ იქ იჯდა ბატონი უისლი, როცა ვოლდემორის გველი დაესხა თავს.

ჰარიმ სნეიპს შეხედა:

– რა ინახება საიდუმლო დეპარტამენტში?

– რა თქვით? – ხმადაბლა იკითხა სნეიპმა და ჰარიმ კმაყოფილებით შეამჩნია, რომ სნეიპი ანერვიულდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე გკითხეთ, საიდუმლო დეპარტამენტში რა ინახება-მეთქი, სერ.

– რაში გაინტერესებთ? – დრო გაწელა სნეიპმა.

– დერეფანი, რომელიც ახლახან ვნახე, უკვე თვეობით მესიზმრება... – ჰარი ყურადღებით აკვირდებოდა სნეიპის სახეს, – და ეს-ეს არის, ვიცანი: ეს დერეფანი საიდუმლო დეპარტამენტისკენ მიდის და ვოლდემორს სჭირდება რაღაც, რაც იქ ინახ...

– მე აგიკრძალეთ ბნელი ბატონის სახელის ხსენება!

გაბოროტებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ჰარის ნაიარევი ისევ აეწვა, მაგრამ ახლა ეს აღარ ანაღვლებდა.

– საიდუმლო დეპარტამენტში ბევრი რამ ინახება, პოტერ, მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი, რის გაგებაც თქვენ შეგიძლიათ, და თითქმის არაფერი, რაც თქვენ გეხებათ. გასაგებია? – სნეიპი ძლივს მალავდა აღელვებას.

– დიახ, – მიუგო ჰარიმ და ისევ მოისრისა ნაიარევი, რომელიც სულ უფრო მეტად სტკიოდა.

– მეცადინეობას მომავალ ოთხშაბათს, ამავე დროს გავაგრძელებთ.

– კარგი, – ჰარის ერთი სული ჰქონდა, სნეიპის კაბინეტიდან გასულიყო და რონსა და ჰერმიონს შეხვედროდა.

– ყოველდღე, ძილის წინ ემოციებისგან უნდა გათავისუფლდეთ, გაასუფთაოთ, დააცარიელოთ გონება, სრულ სიმშვიდეს უნდა მიაღწიოთ. გასაგებია?

– დიახ, – ჰარი თითქმის აღარ უსმენდა.

– გაფრთხილებთ, პოტერ, თუ არ ივარჯიშებთ, ამას მაშინვე მივხვდები!

– დიახ, სერ.

ჰარიმ ჩანთა აიღო, მხარზე გადაიკიდა და კარისკენ წავიდა. კარი რომ გააღო, სნეიპისკენ მიიხედა – ზურგით იდგა, საფიქრელადან ჯადოსნური ჯოხით თავის ფიქრებს იღებდა და თავში იდებდა. ჰარი უხმოდ გავიდა და კარი გაიხურა. ნაიარევი ყრუდ სტკიოდა.

რონი და ჰერმიონი ბიბლიოთეკაში იპოვა – ამბრიჯის მიერ მიცემულ საშინაო დავალებას წერდნენ. ფანჯრებს მიღმა ცა ჩამუქებულიყო. დანარჩენი მოსწავლეები ლამპებს მისხდომოდნენ, ცხვირი სახელმძღვანელოებში ჩაერგოთ და გაცხარებულები აწრიპინებდნენ ბატის ფრთებს. ამ წრიპინს მადამ პინსის ცალი ფეხსაცმლის ჭრაჭუნიც უერთდებოდა. ბიბლიოთეკარი მაგიდებს შორის დადიოდა და ძვირფას წიგნებზე თავდახრილ მოსწავლეებს მკაცრად დასცქეროდა.

ჰარის გააჟრჟოლა. ნაიარევი ისევ ტეხდა, თითქოს ციებ-ცხელება ეწყებოდა. მეგობრების წინ რომ ჩამოჯდა, ფანჯარაში თავის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანარეკლს მოჰკრა თვალი – გაფითრებული იყო, ნაიარევიც ჩვეულებრივზე მეტად ეტყობოდა.

– ჰარი, გაკვეთილმა როგორ ჩაიარა? – ჩურჩულით ჰკითხა ჰერმიონმა და თან შეწუხებულმა დაამატა: – ხომ კარგად ხარ?

– კარგად... რა ვიცი, – ჰარი დაიჯღანა, ნაიარევი ისევ აეწვა, – იცით, რაღაცას მივხვდი...

და ყველაფერი უამბო, რაც სნეიპის კაბინეტში ნახა და რა დასკვნაც გამოიტანა.

– ესე იგი, შენ ამბობ... – ჩაიჩურჩულა რონმა, რადგან ამ დროს მადამ პინსმა ჩაიარა, – რომ ეს იარაღი, რომელსაც ჩვენ-რომ-ვიცით, ის ეძებს, მაგიის სამინისტროშია?

– ჰო, საიდუმლოებების დეპარტამენტში უნდა იყოს, – ჩურჩულითვე უპასუხა ჰარიმ, – ჩემი თვალით დავინახე ის კარი, როცა მამაშენს მოსმენაზე მივყავდი – სწორედ ამ ოთახს იცავდა, როცა გველი დაესხა თავს.

ჰერმიონმა ძლივს ამოთქვა:

– რა თქმა უნდა.

– რა, „რა თქმა უნდა“? – მოუთმენლად იკითხა რონმა.

– დაფიქრდი... სტარჯის პოდმორი ცდილობდა მაგიის სამინისტროს საიდუმლო კარში შელწევას... როგორც ჩანს, ამ კარში. საეჭვო დამთხვევებია...

– რა უნდოდა სტარჯისს იქ, თუ ჩვენს მხარესაა? – გაიკვირვა რონმა.

– ეგ კი არ მესმის, – აღიარა ჰერმიონმა, – ცოტა უცნაურია...

– რა არის იქ, საიდუმლოებების დეპარტამენტში, არასოდეს უთქვამს მამაშენს?– ჰკითხა ჰარიმ რონს.

– მხოლოდ ის ვიცი, რომ იმ ადამიანებს, ვინც იქ მუშაობენ, „უტყვები“ შეარქვეს, – რონი მოიღუშა, – მე მგონი, არავინ იცის, იქ რას აკეთებენ. უცნაური ადგილია იარაღის შესანახად.

– არაფერი უცნაურიც არ არის. სწორედაც რომ კარგია, – არ დაეთანხმა ჰერმიონი, – სამინისტროში ალბათ რაღაც ზესაიდუმლო იარაღზე მუშაობენ, მე ასე ვფიქრობ... ჰარი, მართლა ავად ხომ არ ხარ?

ჰარიმ ორივე ხელი გაისვა შუბლზე.

– არა... ყველაფერი რიგზეა, – აკანკალებული ხელები ჩამოუშვა, – უბრალოდ, ცოტა... მაინცდამაინც არ მომეწონა ოკლუმენცია.

– წარმომიდგენია, ტვინში ამდენჯერ რომ შეგეჭრებიან, რა დღეში უნდა იყო, – თანაუგრძნო ჰერმიონმა, – მოდი, საერთო ოთახში წავიდეთ, იქ მეტი სიმყუდროვეა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ საერთო ოთახი ხალხით იყო სავსე და ხმამაღალი სიცილი ისმოდა: ფრედსა და ჯორჯს თავიანთი ოინების მაღაზიის ახალ-თახალი საქონლის პრეზენტაცია მოეწყოთ.

– უთავო შლაპა! – წამოიძახებდა ჯორჯი, ფრედი კი ვარდისფერი ფუმფულა ბუმბულით მორთულ წვეტიან შლაპას აქნევდა, – ცალი ორ გალეონად! შეხედეთ ფრედს.

სახეგაბრწყინებულმა ფრედმა შლაპა თავზე ჩამოიცვა. ერთხ-ანს ბრიყვული გამომეტყველება ჰქონდა, მერე შლაპაცა და თავიც გაუქრა.

რამდენიმე გოგონამ წამოიკივლა, დანარჩენები ახარხარდნენ.

– ახლა კი ვიხდით! – გამოაცხადა ჯორჯმა.

ფრედმა ხელები მხრებს ზევით ააფათურა, წამსვე მის ხელში შლაპა გამოჩნდა, და მხრებზე თავი გამოება.

– საინტერესოა, რა პრიციპით მუშაობს? – იკითხა ჰერმიონმა, – გასაგებია, რომ ეს გაუჩინარების რომელიღაც შელოცვაა, მაგრამ საინტერესოა, როგორ ვრცელდება მოჯადოებული ობიექტის საზ-ღვრებს მიღმა... ვფიქრობ, შელოცვა ხანგრძლივი მოქმედების არ უნდა იყოს.

ჰარის ხმა არ ამოუღია, ისე ცუდად იყო, არაფრის თავი არ ჰქონდა.

– ამას ხვალ მივხედავ, – თქვა და ამოღებული წიგნები ჩანთაში ჩატენა.

– მაშინ, საშინაო დავალებების დამგეგმავში ჩაიწერე, რომ არ დაგავიწყდეს! – ურჩია ჰერმიონმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. ჰარი ჩანთაში ჩაძვრა, დამგეგმავი ამოიღო და ყოყმანით გადაშალა.

– „მედღეხვალიე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო“, – დამრიგე-ბლური ტონით წაიმღერა დავალებების დამგეგმავმა, როცა ჰარიმ ამბრიჯის დავალების ჩაწერა დაიწყო.

ჰერმიონმა უსაზღვროდ კმაყოფილი სახე მიიღო.

– წავალ, დავიძინებ, – ჰარიმ დამგეგმავი ჩანთაში ჩადო და გულში გაიფიქრა, პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ბუხარში შევუძახებო.

საერთო ოთახი გაიარა, დაუსხლტა ჯორჯს, რომელიც უთავო შლაპის ჩამოცმას უპირებდა, და მარტო აუყვა საძინებლისკენ მიმა-ვალ წყნარ და გრილ კიბეს. გული ერეოდა. სწორედ ისე, როგორც იმ ღამეს, როცა გველი ესიზმრა, მაგრამ თუ დავწვები, შეიძლება გამიაროსო, – ფიქრობდა.

საძინებლის კარი გააღო და ფეხი შედგა თუ არა, ისეთმა ტკივილმა დაუარა, თითქოს თავის ქალა გაუპეს. ვერ გაეგო, სად იყო – იდგა თუ იწვა, თავისი სახელიც კი არ ახსოვდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქაურობა საზარელმა ხარხარმა გააყრუა... დიდი ხანია, ასეთი ბედნიერი არ ყოფილა... ზეიმობდა, აღტაცებული იყო... საუცხოო რამ მოხდა, შესანიშნავი რამ...

– ჰარი! ჰარი!

ვილაცამ სახეში გაარტყა. გიჟურ ხარხარს ვილაცის ყვირილი შეერია. ხარხარი არ წყდებოდა, თუმცა სიხარულის გრძნობა გაუქრა.

როგორც იქნა, თვალი გაახილა და მიხვდა, რომ თვითონ იცინოდა, და მაშინვე გაჩუმდა.

იატაკზე გაშხლართულიყო და მძიმედ სუნთქავდა, ჭერს შესცქეროდა. ნაიარევი აუტანლად უხურდა. თავზე შეშინებული რონი წამოსდგომოდა.

– რა მოხდა?

– არ ვიცი, – ძლივს მოითქვა სული ჰარიმ და წამოჯდა, – ბედნიერია, უზომოდ ბედნიერი...

– „ის-ვისი-სახელიც-არ-ითქმის"?

– რაღაც კარგი მოხდა, – ჰარი ისე ცახცახებდა, როგორც გველისა და ბატონი უისლის ხილვის შემდეგ, თან გულიც ერეოდა, – ის, რისი იმედიც ჰქონდა.

ზუსტად ისე, როგორც გრიფინდორელთა გასახდელში, ეს სიტყვები უნებურად თქვა, თითქოს მისი პირით სხვა ლაპარაკობდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს სიმართლე იყო. გული რომ არ არეოდა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა. უხაროდა – ამჯერად სიმუსი და დინი მაინც ვერ მხედავენო.

– ჰერმიონმა მთხოვა, შენს სანახავად მოვსულიყავი, – ჩუმად თქვა რონმა, თან წამოდგომაში ეხმარებოდა, – ისაო, თავდაცვითი ძალები ძალიან დაუქვეითდა მას შემდეგ, რაც სნეიპი მის ტვინში იჩხრიკებოდაო... მაგრამ, როცა კარგად ისწავლი, ძალიან გამოგადგება, არა?

რონმა ეჭვით შეხედა ჰარის და საწოლთან მიიყვანა. ჰარიმ უხალისოდ დაუქნია თავი და ბალიშებზე მიესვენა. ნაიარევი ისევ წიწკნიდა, მთელი სხეულიც სტკიოდა – ამდენი დაცემისგან ერთიანად დაბეგვილიყო; გრძნობდა, რომ ოკლუმენციის პირველმა გაკვეთილმა წინააღმდეგობის უნარი კი არ გაუძლიერა, პირიქით, შეუსუსტა. შეშინებულმა გაიფიქრა, ნეტავ ისეთი რა მოხდა, რომ ვოლდემორი ასეთი ბედნიერიაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეხუთე

ხოქოს დაბრუნება

პასუხი მეორე დღესვე მიიღეს, როცა „დილის მისანი“ მოვიდა. ჰერმიონმა პირველ გვერდს დახედა და ისე შეჰკივლა, რომ ყველა მისკენ შებრუნდა.

– რა მოხდა? – ერთხმად იკითხეს ჰარიმ და რონმა. პასუხის ნაცვლად, ჰერმიონმა გაზეთი წინ დაუდო და ათ შავ-თეთრ ფოტოსურათზე მიუთითა. მთელი პირველი გვერდი ჰქონდა დაკავებული. ცხრაზე ჯადოქრი მამაკაცი იყო გამოსახული, მეათეზე კი – ქალი. ზოგი უხმოდ იკრიჭებოდა, ზოგი თავხედურად არაკუნებდა თითებს თავისი ფოტოსურათის ჩარჩოზე. თითოეულის ქვეშ აღნიშნული იყო სახელი და დანაშაული, რის გამოც ეს ადამიანი აზკაბანში ჩასვეს.

„ანტონინ დოლოხოვი“, – ეწერა ფერმკრთალი, ყბამოღრეცილი ჯადოქრის სურათის ქვემოთ, – „გასამართლებულია გიდეონ და ფაბიან პრუეტების მხეცური მკვლელობისთვის“. დოლოხოვი დამცინავად უყურებდა ჰარის.

„ელჯერნონ რუკვუდი“, – ეს სახელი და გვარი ეწერა გაზიპულთმიანი ჩოფურა მამაკაცის ფოტოსურათის ქვემოთ. კაცი მოწყენილი მიჰყრდნობოდა სურათის კიდეს, – „გასამართლებულია იმისთვის რომ მაგიის სამინისტროს საიდუმლო ცნობები გადასცა „მას, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“.

მაგრამ ჰარის ყურადღება მთლიანად ქალმა მიიქცია. მაშინვე მოხვდა თვალში, როგორც კი გაზეთი გაშალეს. ადრე, როცა ეს ქალი ნახა, ახლანდელისგან განსხვავებით, თმა ხშირი და ბზინვარე ჰქონდა. გრძელი წამწამების ქვემოდან იყურებოდა და თხელ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. სირიუსივით მასაც შერჩენოდა ძველი სილამაზის კვალი, თუმცა, დრომ, ან იქნებ აზკაბანმა, თავისი ქნეს.

„ბელატრისა ლესტრეინჯი, გასამართლებულია ფრენკ და ალისა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლონგბოტომების წამებისთვის, რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მათ გონებას“.

ჰერმიონმა იდაყვი წაჰკრა ჰარის და ფოტოსურათებს ზემოთ მოთავსებულ სათაურზე უჩვენა, რომლის წაკითხვაც ჰარიმ ვერ მოასწრო.

„ჯგუფური გაქცევა აზკაბანიდან

სამინისტრო შიშობს, რომ ყოფილი „სიკვდილის მხვრელების“ შეთქმულების „სულისჩამდგმელი“ ბლექია.

– ბლექი? – წამოიყვირა ჰარიმ, – რანაირად?
– ჩშშ! – წასჩურჩულა ჰერმიონმა, – ჩუმად, შენთვის იკითხე!

„გუშინ გვიან ღამით მაგიის სამინისტრომ განაცხადა, რომ აზკაბანის ციხიდან ჯგუფური გაქცევა მოხდა.

თავის კაბინეტში რეპორტიორებთან საუბრისას მაგიის მინისტრმა კორნელიუს ფაჯმა დაადასტურა, რომ რამდენიმე საათის წინ მკაცრი რეჟიმის საკნიდან გაქცევა მოახერხა ათმა პატიმარმა, რის თაობაზეც უკვე აცნობა მაგლების პრემიერ-მინისტრს.

– სამწუხაროდ, გაიმეორდა სიტუაცია, რომელსაც ჩვენ შევეჩეხეთ ორ-ნახევარი წლის წინათ, როცა ციხიდან გაიქცა მკვლელი ბლექი, – განაცხადა წუხელ ფაჯმა, – და ამ მოვლენებს შორის არ შეიძლება, კავშირი არ დავინახოთ. ასეთი მასშტაბის გაქცევა გარედან დახმარების გარეშე, წარმოუდგენელია. უნდა გვახსოვდეს, რომ ბლექი, რომელმაც ისტორიაში პირველად მოახერხა აზკაბანიდან თავის დაღწევა, ადვილად მოახერხებდა გაქცევის ორგანიზებას. სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ გაქცეულ ბოროტმოქმედებს, რომელთა შორის ბლექის დეიდაშვილი, ბელატრისა ლესტრეინჯიც არის, ბლექი მეთაურობს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ დამნაშავეთა დასაჭერად და ჯადოქრულ საზოგადოებას ვთხოვთ, გამოიჩინოს სიფხიზლე და სიფრთხილე – არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ პირებთან მიახლოება.“

– ესეც შენი პასუხი, ჰარი, აი, თურმე რა უხაროდა გუშინ, – უთხრა რონმა.

– ვერ დამიჯერებია, ფაჯი გაქცევაში სირიუსს ადანაშაულებს! –აღშფოთდა ჰარი.

– სხვა რაღა დარჩენია? – ამოიოხრა ჰერმიონმა, – ხომ ვერ იტყ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვის: „მაპატიეთ, ქალბატონებო და ბატონებო, დამბლდორი მაფრთხილებდა, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო; რომ აზკაბანის მცველები ლორდ ვოლდემორს მიემხრნენ;

...ახლა კი მისი მომხრეებიც თავისუფლად დაპარპაშებენ?" ხომ გესმით, ფაჯი ექვსი თვის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ შენ და დამბლდორი მატყუარები ხართ.

ჰერმიონმა გაზეთი გადაშალა და კითხვა განაგრძო, ჰარიმ კი დარბაზი გაოცებით მოათვალიერა, ვერ მიმხვდარიყო, დანარჩენები რატომ არ დაფრთხნენ და ამ საშინელ ახალ ამბავზე არ ლაპარაკობდნენ. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ძალიან ცოტა ვინმე თუ იღებდა გაზეთს ყოველდღიურად. ქვიდიჩზე, საშინაო დავალებებსა და ათას სისულელეზე ლაყბობდნენ, ამ კედლებს მიღმა კი ვოლდემორის რაზმს კიდევ ათი „სიკვდილის მხვრელი" შეუერთდა.

ჰარიმ მასწავლებელთა მაგიდას გახედა. იქ სულ სხვაგვარი სურათი იყო. დამბლდორი მაკგონაგელს ელაპარაკებოდა, ორივეს სერიოზული სახე ჰქონდა. პროფესორ სპრაუტს „მისანი" კეტჩუპის ბოთლისთვის მიეყუდებინა და პირველ გვერდს ისე გულმოდგინედ კითხულობდა, რომ ვერ ამჩნევდა, ჰაერში გაშეშებული კოვზიდან როგორ ეწვეთებოდა მუხლებზე თოხლოდ მოხარშული კვერცხის გული. მაგიდის მეორე ბოლოში პროფესორი ამბრიჯი უხმოდ მიირთმევდა შვრიის ფაფას – უიშვიათესი შემთხვევა, როცა გომბეშოს თვალებს არ აცეცებდა წესრიგის დამრღვევის მოსაძებნად. წარბშეკრული ხარბად ჭამდა და დროდადრო ბოროტად გახედავდა ხოლმე საუბრით გართულ დამბლდორსა და მაკგონაგელს.

– ნამდვილი კოშმარია, – წამოიძახა ჰერმიონმა.

– კიდევ რა მოხდა? – შეშფოთდა ჰარი.

– საშინელებაა! – ხმა აუკანკალდა ჰერმიონს, გაზეთი მეათე გვერდზე მოკეცა და ჰარისა და რონს მიუცურა.

„სამინისტროს თანამშრომლის ტრაგიკული სიკვდილი

გუშინ საღამოს წმინდა მუნგოს კლინიკა დაგვპირდა, რომ დეტალურად გამოიძიებდა მაგიის სამინისტროს ორმოცდახუთი წლის თანამშრომლის, ბროდერიკ ბოუდის, დაღუპვის გარემოებებს. ბოუდი საკუთარ საწოლში დაახრჩო ოთახის მცენარემ. ადგილზე გამოძახებულმა მკურნალებმა ვერაფერი იღონეს. ბატონი ბოუდი სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე უბედური შემთხვევის შედეგად დაშავდა სამუშაო ადგილზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მკურნალი მირიამ სტრაუტი, რომელიც ამ შემთხვევის დროს მორიგეობდა პალატაში, გათავისუფლებულია სამსახურიდან ხელფასის შენარჩუნებით. ჟურნალისტებმა მასთან დაკავშირება ვერ მოახერხეს. კლინიკის წარმომადგენელმა განაცხადა:

– კლინიკა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ბოუდის გარდაცვალების გამო. სანამ ეს ტრაგიკული შემთხვევა მოხდებოდა, თითქმის უკვე გამოჯანმრთელებული იყო. ჩვენთან მკაცრი წესებით არის დადგენილი პალატის შემკობა, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, მკურნალმა სტრაუტმა, რომელიც შობასთან დაკავშირებული სამუშაოთი იყო გადატვირთული, ყურადღება არ მიაქცია ბატონი ბოუდის ტუმბოზე მოთავსებული მცენარის სახიფათო თვისებებს. ვინაიდან მეტყველება და მოძრაობის უნარი ბატონ ბოუდს უკვე აღუდგა, მკურნალმა სტრაუტმა მცენარის მოვლა მას მიანდო. ამ დროს მხედველობიდან გამორჩა, რომ ეს უვნებელი ფრთებფართხუნა მცენარე კი არა, „ეშმაკის ხაფანგი“ იყო, რომელმაც პირველი შეხებისთანავე გაგუდა თითქმის გამოჯანმრთელებული ბოუდი. წმინდა მუნგოს კლინიკის მესვეურთ ვერ აუხსნიათ, როგორ აღმოჩნდა მცენარე პალატაში, და ყველა ჯადოქარს სთხოვენ, თუ ინფორმაციას ფლობენ, აუცილებლად შეატყობინონ.“

– ბოუდი, – გაიმეორა რონმა, – ბოუდი. რაღაც მეცნობა ეს სახელი...

– ჩვენ რომ ვნახეთ, კლინიკაში, არ გახსოვს? – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – ლოკჰარტის პირდაპირ იწვა და ჭერს შესცქეროდა. ისიც დავინახეთ, როგორ მოიტანეს „ეშმაკის ხაფანგი“. მკურნალმა ქალმა თქვა, ეს საშობაო საჩუქარიაო.

ჰარიმ ერთხელ კიდევ დახედა სტატიას. ისე იყო შეძრწუნებული, სული ეხუთებოდა.

– როგორ ვერ ვიცანით „ეშმაკის ხაფანგი“? ჩვენ ხომ ადრეც გვინახავს?... ხელის შეშლა შეგვეძლო...

– ვინ იფიქრებდა, რომ „ეშმაკის ხაფანგს“ კლინიკაში შეიტანდა ვინმე? ჩვენ კი არა, ის ტიპია დამნაშავე, ვინც გამოგზავნა. ნამდვილი კრეტინია, ვერ ხედავდა, რას ყიდულობდა? – აბობოქრდა რონი.

– კარგი რა, რონ, – შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – ვილაცამ ქოთანში „ეშმაკის ხაფანგი“ ისე ჩარგო, რომ არ იცოდა, ამას რა შედეგიც მოჰყვებოდა? ეს... ეს მკვლელობა იყო... თანაც, ჭკვიანურად მოფიქრებული. თუ მცენარე უცნობმა გამოგზავნა, როგორ უნდა იპოვონ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ჰარი ახლა „ეშმაკის ხაფანგზე“ არ ფიქრობდა. გაახსენდა, როგორ ჩადიოდნენ მოსმენის დღეს ლიფტით სამინისტროს მეცხრე დონეზე და როგორ შემოვიდა ლიფტში სახეგაცრეცილი კაცი. მერე ჩუმად თქვა:

– მე ვიცნობ ბოუდს. მე და მამაშენი სამინისტროში შევხვდით.

რონს თვალები დაუმრგვალდა.

– მახსოვს, მამას შინაც უხსენებია! ის „უტყვი“ იყო, საიდუმლოებების დეპარტამენტში მუშაობდა!

ერთხანს ერთმანეთს შეჰყურებდნენ, მერე ჰერმიონმა გაზეთი მიიჩოჩა, დაკეცა, ზიზღით დახედა გაქცეულ „სიკვდილის მხვრელთა“ პორტრეტებს და წამოხტა.

– საით? – გაოცდა რონი.

– წერილს გავგზავნი, – ჰერმიონმა ჩანთა მხარზე გადაიკიდა, – არ ვიცი, გამოვა თუ არა... მაგრამ უნდა ვცადო... ჩემ გარდა, ამას ვერავინ გააკეთებს.

– ვერ ვიტან, როცა ასე იქცევა, – წაიბუზღუნა რონმა, ისინიც დიდი დარბაზის გასასვლელისკენ წავიდნენ, – მოკვდება, რომ თქვას, რას აპირებს? დიდი-დიდი, ათ წამს დაკარგავდა... აა, ჰაგრიდ...

ჰაგრიდი ჰოლში გასასვლელ კართან იდგა და რეივენქლოელებს ელოდებოდა. ისევ ჩალურჯებული ჰქონდა სახე, როგორც მივლინებიდან დაბრუნების დღეს, წარბებს შორის კი ახალი ჭრილობა აჩნდა.

– როგორა ხართ, ბიჭებო? – იკითხა და ღიმილის მაგივრად უცნაურად მოემანჭა სახე.

– შენ თვითონ როგორ ხარ, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰარიმ და კარამდე მიაცილა.

– კარგად, კარგად, – ნაძალადევი მხიარულებით უპასუხა ჰაგრიდმა, გვერდით მიმავალ პროფესორ ვექტორს ხელი გაჰკრა და კინაღამ დაარეტიანა, – საქმეები, საქმეები... გაკვეთილებისთვის უნდა მოვემზადო... წყვილ სალამანდრას ქაცვის ქეცი აქვს... მე გამოსაცდელი ვადა...

– გამოსაცდელი ვადა? – ისე ხმამაღლა იკითხა რონმა, რომ ბევრმა მათკენ მიიხედა, – მაპატიე... მართლა გამოსაცდელი ვადა მოგცეს? – ჩურჩულით გაიმეორა.

– ჰო... მართალი გითხრათ, სხვას არც ველოდი. თქვენ შეიძლება, ვერც შენიშნეთ – ინსპექტირებას ხომ მაინცდამაინც კარგად არ ჩაუვლია... ეგრეა... – ღრმად ამოიოხრა, – წავალ, წიწაკას წავუსვამ სალამანდრებს, თორე შეიძლება, კუდები დასძვრეთ. აბა, კარგად, ბიჭებო...

კარი გაიარა, ქვის კიბეზე ჩავიდა და სველ მიწაზე გაალაჯა. ჰარიმ გაიფიქრა, კიდევ ერთ ცუდ ამბავს ნამდვილად ვერ გადავიტანო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ჰაგრიდის გამოსაცდელი ვადით დატოვების ამბავი მთელ სკოლას მოედო. თუმცა, ეს თითქმის არავის სწყენია, რამაც ჰარი ძალიან აღაშფოთა. ზოგიერთები კი, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მალფოი, ძალიანაც გაახარა ამ ამბავმა. რაც შეეხება სამინისტროს რომელიღაც თანამშრომლის უცნაურ სიკვდილს წმინდა მუნგოს კლინიკაში, ამის შესახებ, როგორც ჩანს, ბევრს არ გაუგია და გულიც მხოლოდ ჰარის, რონსა და ჰერმიონს დასწყდათ. დერეფნებში ყველა ათი „სიკვდილის მხვრელის" გაქცევაზე ლაპარაკობდა – ამბავი იმათ გაავრცელეს, ვინც გაზეთს კითხულობდა. ხმა დადიოდა, რომ გაქცეულები ჰოგსმიდში ნახეს; რომ ქოთქოთა ქოხში იმალებიან და სირიუს ბლექივით ჰოგვორტსში შეღწევას აპირებენო.

ჯადოქრების ოჯახებში გაზრდილმა ბავშვებმა პატარაობიდანვე იცოდნენ „სიკვდილის მხვრელების" სახელები. ამ სახელებსაც ისეთივე შიშით წარმოთქვამდნენ, როგორითაც ბნელი ბატონისას. ვოლდემორის აღზევების დროს ჩადენილი მათი ბოროტმოქმედება ლეგენდად იყო ქცეული. ჰოგვორტსის დერეფნებში კი იმ საშინელი დროის მსხვერპლთა ახალგაზრდა ნათესავები დადიოდნენ. ახლა ისინი მოექცნენ არც მთლად სასიამოვნო ყურადღების ცენტრში. სუზენ ბონსმა, რომლის ბიძა, ბიცოლა და ბიძაშვილები ბოროტმოქმედებმა დახოცეს, ჰერბოლოგიის გაკვეთილზე სიმწრით დაიჩივლა, ახლა ვხვდები, როგორი ყოფილა ჰარის ადგილზე ყოფნაო.

– არ ვიცი, რანაირად ცხოვრობ ამ ტკივილით. რა საშინელებაა! – თქვა აღელვებულმა სუზენმა და მეტისმეტად ბევრი დრაკონის ნეხვი დაუყარა ნერგებს, რის გამოც ისინი აწრიალდნენ და უსიამოვნო წკმუტუნს მოჰყვნენ.

ჰარიც ისევ იქცა ყურადღებისა და გაცხოველებული ჭორაობის საგნად, თუმცა რაღაც ცვლილება მაინც შეიმჩნეოდა: ახლა ამ ჩურჩულში ცნობისმოყვარეობა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე მტრობა. რამდენჯერმე ყური მოჰკრა კიდეც, როგორ საუბრობდნენ მოსწავლეები, რაღაც არ გვჯერა „დილის მისანში" დაბეჭდილი ვერსიისა, „სიკვდილის მხვრელები" აზკაბანიდან გაქცევას ვერ მოახერხებდნენო. გაოცებულებსა და შეშინებულებს ერთადერთი გამოსავალი დარჩათ, დამბლდორისა და ჰარის სიტყვები დაეჯერებინათ.

თუმცა, მარტო მოსწავლეთა განწყობა არ შეცვლილა. დერეფნებში დროდადრო შეიძლებოდა, შეხვედროდით ორ-სამ პროფესორს, რომლებიც დაძაბულები ჩურჩულებდნენ, მაგრამ როგორც კი მოსწავლეებს დაინახავდნენ, მაშინვე წყვეტდნენ საუბარს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორც ჩანს, ისე თავისუფლად ვეღარ ლაპარაკობენ სამასწავლებლოში, როცა იქ ამბრიჯი ზის, – ჩუმად თქვა ჰერმიონმა. სამივემ გვერდით ჩაუარა შელოცვების კაბინეტის წინ მდგარ მაკგონაგელს, ფლიტვიკსა და სპრაუტს.

– ფიქრობთ, რამე ახალი გაიგეს? – რონმა პროფესორებს გახედა.

– რომ გაეგოთ კიდეც, ჩვენ ამას ვერ შევიტყობთ, – გაბრაზებული ტონით შეახსენა ჰარიმ, – განსაკუთრებით, იმ დეკრეტის მერე – რა ნომერია?..

საქმე ის იყო, რომ აზკაბანიდან ათეულის გაქცევის შემდეგ განცხადებების დაფაზე ახალი ბრძანება გამოჩნდა.

ჰოგვორტსის გენერალური ინსპექტორის

ბრძანება

მასწავლებლებს ეკრძალებათ, ტააცნონ მოსწავლეებს ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ არ ეხება საგანს, რის მასწავლებლადაც ისინი არიან მოწვეულნი.

საფუძველი: დეკრეტი № 26 ტანათლების შესახებ.

ხელმოწერილია: დოლორეს ჯეინ ამბრიჯი, ტენერალური ინსპექტორი.

ეს ბოლო დეკრეტი უამრავი ხუმრობის საგნად იქცა. ლი ჯორდანმა მიუთითა ამბრიჯს, რომ ახალი დეკრეტის შესაბამისად, მას უფლება არა აქვს, საკლასო ოთახიდან გააძევოს ფრედი და ჯორჯი იმის გამო, რომ კბენია ასაფეთქებლით თამაშობდნენ.

– პროფესორო, კბენია ასაფეთქებელი არ არის დაკავშირებული ბნელი ძალებისგან თავდაცვასთან. ამ ინფორმაციას არაფერი აქვს საერთო თქვენს საგანთან.

როცა ჰარი ამ ამბის შემდეგ ჯორდანს შეხვდა, ბიჭს ხელიდან სისხლი სდიოდა. ჰარიმ მრავალფეხას ნაყენი ურჩია.

ჰარის ეგონა, რომ აზკაბანიდან დამნაშავეთა გაქცევის შემდეგ ამბრიჯი ცოტათი მაინც მოთვინიერდებოდა, უხერხულად იგრძნობდა თავს იმის გამო, რომ ეს კატასტროფა პირდაპირ მისი ძვირფასი ფაჯის ცხვირწინ მოხდა. მაგრამ ნურას უკაცრავად, ამან თითქოს კიდევ უფრო გააძლიერა სურვილი, თავის კონტროლქვეშ მოექცია ჰოგვორტსის ცხოვრება. უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სულ ცოტა, ერთი პედაგოგი მაინც გაეძევებინა სკოლიდან. საკითხავი მხოლოდ ის იყო, ვინ უნდა გაეგდო პირველი – პროფესორი ტრელოუნი თუ ჰაგრიდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისნობისა და ჯადოსნურ არსებათა მოვლის გაკვეთილები ახლა მხოლოდ ამბრიჯისა და მისი ბლოკნოტის თანხლებით ტარდებოდა. ამბრიჯი ნელსაცხებლების სურნელით გაჟღენთილ კოშკის ოთახში ბუხართან მიდი-მოდიოდა, ტრელოუნის ისტერიულ ქადაგებებს აწყვეტინებდა რთული შეკითხვებით ჩიტმკითხაობასა და ჰეპტომოლოგიაზე; სთხოვდა დაემტკიცებინა, რომ ტრელოუნი მანამდე იგებს მოსწავლეთა პასუხებს, სანამ ისინი უპასუხებენ; ითხოვდა, რომ ტრელოუნის ეჩვენებინა ბროლის ბურთთან მუშაობის უნარი, ყავაზე და რუნებზე მკითხაობა. ჰარი ფიქრობდა, ასეთ წნეხს პროფესორი დიდხანს ვერ გაუძლებსო. რამდენჯერმე დერეფანში შეხვდა (რაც თავისთავად უცნაური იყო, რადგან პროფესორი ყოველთვის თავის კოშკში ჯდომას ამჯობინებდა), ციებ-ცხელებიანივით თავისთვის ბუტბუტებდა, თითებს იმტვრევდა და შეშინებული იყურებოდა უკან. ჰაგრიდის დარდი რომ არ ჰქონოდა, ძალიანაც შეეცოდებოდა, მაგრამ რაკი ამ ორიდან ერთ-ერთი მაინც უნდა გაეგდოთ, რა თქმა უნდა, ერჩივნა, ჰაგრიდი დარჩენილიყო.

სამწუხაროდ, ვერ იტყოდით, რომ ჰაგრიდი ტრელოუნიზე უკეთესად ატარებდა გაკვეთილებს. მართალია, ჰერმიონის რჩევას ყური უგდო და კრაპზე უფრო საშიში არსებები აღარ მოჰყავდა, მაგრამ როგორც ჩანს, შობისთვის მასაც უღალატა ნერვებმა. მეცადინეობაზე დაძაბული იყო, ხშირად იბნეოდა, მოსწავლეთა კითხვებს აცაბაცად პასუხობდა და ერთთავად შეშფოთებული გახედავდა ხოლმე ამბრიჯს. ამას გარდა, როგორღაც გაუუცხოვდა ჰარის, რონსა და ჰერმიონს და საღამოობით ქოხში სტუმრობა აუკრძალა.

– თუ გამოგიჭირათ, ცუდად გვექნება საქმე, – მიუკიბმოუკიბავად აუხსნა მათ ჰაგრიდმა. ბავშვებმაც, მისთვის რომ უსიამოვნება აეცილებინათ, საღამოობით უარი თქვეს ქოხში სტუმრობაზე.

ჰარი ხედავდა, რომ ამბრიჯი ნელ-ნელა სპობდა ყველაფერს, რის გამოც ჰოგვორტსში ცხოვრება უღირდა: ჰაგრიდთან ურთიერთობას, სირიუსის წერილებს, „ელვას“ და ქვიდიჩს. სამაგიეროს გადახდა მხოლოდ ერთი რამით შეეძლო – გაორმაგებული გულმოდგინებით ჩაეტარებინა **და**-ს შეკრებები.

გულში უხაროდა კიდეც, რომ ათი „სიკვდილის მხვრელის“ გაქცევამ მეცადინეობის წყურვილი ყველას გაუძლიერა, თვით ზაქარია სმიტსაც კი. ყველაზე მეტად მაინც ნევილი განიცდიდა. იმაზე ფიქრმა, რომ მისი მშობლების ჯალათები თავისუფლად დასეირნობენ, უცნაურად იმოქმედა მასზე. ნევილს ერთხელაც არ უხსენებია წმინდა მუნგოს კლინიკაში ჰარისთან, რონთან და ჰერმიონთან შეხვედრა. ისინიც ხმას არ იღებდნენ. ახლა ნევილი საერთოდ არ ლაპარაკობდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და-ს შეკრებებზე და დაუღალავად ამუშავებდა თითოეულ შელოცვასა და კონტრშელოცვას, მონდომებისგან ტუჩებს იკვნეტდა და შეცდომებსა და დაჟეჟილობებს არაფრად აგდებდა. ერთი სიტყვით, საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. როცა ჰარი დაცვით შელოცვებზე გადავიდა (საშუალო სიძლიერის შელოცვების არეკვლა ისე, რომ შელოცვა თავდამსხმელს დაუბრუნდეს), ნევილზე სწრაფად ამ საქმეს მხოლოდ ჰერმიონმა აუღო ალღო.

რას არ მისცემდა ჰარი, რომ ისეთივე წარმატებები ჰქონოდა ოკლუმენციაში, როგორიც ნევილს **და**-ს მეცადინეობებზე ჰქონდა. სნეიპისგან სახეირო ბევრი ვერაფერი ისწავლა. უფრო პირიქით, გრძნობდა, რომ დღითი დღე სუსტდებოდა.

სანამ ოკლუმენციის შესწავლას დაიწყებდა, ნაიარევი იშვიათად წიწკნიდა, მეტწილად – ღამით და მაშინ, როცა ვოლდემორის აზრებს კითხულობდა. ახლა ეს წვა ღამის მუდმივად თან სდევდა და ხშირად სრულიად უმიზეზოდ ეცვლებოდა განწყობილება. ისეთი საზიზღარი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს ვოლდემორის განწყობებზე მომართული თოჯინა იყო და არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ ამ შეგრძნებამ სნეიპთან ოკლუმენციის პირველივე გაკვეთილიდან დაიწყო ზრდა.

ახლა ჰარის ყოველღამ ესიზმრებოდა, როგორ მიდიოდა საიდუმლოებების დეპარტამენტის დერეფანში, სიზმარი კი იმით თავდებოდა, რომ სიგიჟემდე უნდოდა იმ შავსა და სადა კარში შეღწევა და ვერაფრით ახერხებდა.

– იქნებ ეს რაღაც ავადმყოფობისმაგვარი რამაა, – ივარაუდა ჰერმიონმა, თან შეწუხებული უყურებდა, როცა ჰარიმ თავისი ეჭვები გაუმხილა მას და რონს, – როგორც ციებ-ცხელება, – ჯერ ცუდად უნდა გახდე, რომ მერე შეგეშვას.

– სნეიპის გაკვეთილებისგან მხოლოდ ცუდად ვხდები, – დაბეჯითებით თქვა ჰარიმ, – მომბეზრდა ნაიარევის ტკივილი! მომბეზრდა ყოველღამ ამ დერეფნით სიარული! – გაბრაზებულმა გადაისვა შუბლზე ხელი, – ეს კარი მაინც გაღებულიყო. მომბეზრდა იქ ყურყუტი და ცქერა.

– ნუ იგონებ. დამბლდორს უნდა, რომ ეს კარი აღარ დაგესიზმროს. სხვაგვარად არაფერს დაავალებდა სნეიპს. უბრალოდ, მეტი უნდა მოინდომო.

– ვცდილობ! ძალიან ვცდილობ! – გაბრაზდა ჰარი, – გესინჯა აბა, როგორია... სნეიპი ტვინში გიძვრებოდეს, მაგარი სიამოვნებაა!

– რა იქნება, თუ... – ჩაილაპარაკა რონმა.

– რა „თუ“? – ჩაეძია ჰერმიონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ ჰარი არ არის იმაში დამნაშავე, რომ ვერ იცავს თავს, – მოიღუშა რონი.

– ამით რა გინდა, რომ თქვა? – იკითხა ჰერმიონმა.

– ხომ შეიძლება, სნეიპს სულაც არ უნდა, რომ მიეხმაროს ჰარის...

ჰარი და ჰერმიონი რონს მიაშტერდნენ. რონმა ჯერ ჰარის შეხედა, მერე – ჰერმიონს.

– იქნებ, – ხმას დაუწია, – სნეიპს მართლა უნდა, რომ პირიქით მოხდეს! იქნებ უნდა, რომ მეტად გაიხსნას და უფრო გაუადვილოს ჩვენ-რომ-ვიცით...

– გაჩუმდი, რონ, – შეუტია ჰერმიონმა, – რამდენ რამეს აბრალებდი სნეიპს, ერთხელ მაინც გამოდექი მართალი? დამბლდორი მას ენდობა, ის ორდენისთვის აკეთებს საქმეს, ეს საკმარისია.

– ის „სიკვდილის მხვრელი" იყო, – გაჯიუტდა რონი, – სად არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მართლა გადმოვიდა ჩვენკენ?

– დამბლდორი ენდობა მას, – გაიმეორა ჰერმიონმა, – და თუ ჩვენ დამბლდორსაც ვერ ვენდობით, მაშინ ვისღა უნდა ვენდოთ?

* * *

ამ ეჭვებსა და უამრავ საქმეში – საშინაო დავალებებში, რომლებიც იმდენი დაგროვდა, რომ მეხუთეკურსელები ლამის ათენებდნენ, **და**-ს საიდუმლო შეკრებებსა და სნეიპთან რეგულარულ მეცადინეობებში, იანვარი თვალსა და ხელს შუა გაილია. ჰარიმ მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ თოვლჭყაპიანი თებერვალი დადგა და ჰოგსმიდში მეორედ წასვლის შესაძლებლობაც გაჩნდა. მას შემდეგ, რაც ჰარი ჩოს სოფელში შეხვედრაზე შეუთანხმდა, მათ იშვიათად უწევდათ ერთმანეთთან დალაპარაკება. და აი, დადგა დრო, როცა მთელი ვალენტინის დღე მასთან ერთად უნდა გაეტარებინა.

თოთხმეტ თებერვალს, დილით, ჰარიმ განსაკუთრებული მონდომებით ჩაიცვა. ის და რონი საუზმეზე ზუსტად საფოსტო ბუების მოფრენის დროს მივიდნენ. ჰედვიგი მათ შორის არ იყო. თუმცა, არც ელოდებოდა. სამაგიეროდ, ჰერმიონმა გამოაძრო რაღაც წერილი უცნობი ბუს ნისკარტიდან.

– დროზე მომისწრო. დღეს რომ არ მოსულიყო... – მოუთმენლად გახსნა კონვერტი და პერგამენტის პატარა ნაგლეჯი ამოიღო. თვალები გარბოდნენ და გამორბოდნენ ფურცელზე, სახეზეც ნელ-ნელა პირქუში კმაყოფილება დაეტყო.

ბოლომდე წაიკითხა და ჰარის შეხედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი, ძალიან სერიოზული ამბავია! შეგიძლია შემხვდე „სამ ცოცხში“ შუადღისას?

– არ ვიცი, – შეყოყმანდა ჰარი, – ჩოს, ალბათ, იმედი აქვს, რომ მთელ დღეს ერთად გავატარებთ. თუმცა, ჯერ არ შევთანხმებულვართ, რა უნდა გავაკეთოთ.

– თუ ასეა, ისიც წამოიყვანე და აუცილებლად მოდი, კარგი? ხო მოხვალ?

– მოვალ, კარგი. რა მოხდა?

– ახლა ვერ მოვასწრებ, სასწრაფოდ უნდა მივწერო პასუხი, – ცალ ხელში წერილი ეკავა, მეორეთი გახუხული პური აიღო და დიდი დარბაზიდან გავარდა.

– შენ არ წამოხვალ? – ჰკითხა ჰარიმ რონს. რონმა ნაღვლიანად გააქნია თავი:

– საერთოდაც ვერ წამოვალ ჰოგსმიდში. ანჯელინას უნდა, რომ მთელ დღეს ვივარჯიშოთ. თითქოს ეს რამეს გვიშველიდეს. ჩვენს გუნდზე უარესი არაფერი მინახავს. ერთი განახა სლოუპერი და კერკი – საცოდავი სანახაობაა, ჩემზე უარესები არიან, – ღრმად ამოიოხრა, – არ მესმის, რისთვის ვუნდივარ ანჯელინას.

– როცა ფორმაში ხარ, კარგად თამაშობ, აი, რატომ.

ძნელი იყო დადარდიანებული რონის თანაგრძნობა, როცა თვითონ ყველაფერს მისცემდა, ოღონდ კი მომავალ მატჩში ჰაფლეპაფელებთან ეთამაშა. რონმა, ეტყობა, იგრძნო მისი მდგომარეობა, იმიტომ, რომ საუზმის ბოლომდე ქვიდიჩზე ხმა აღარ ამოუღია. ერთმანეთსაც მშრალად დაემშვიდობნენ. რონი სტადიონის გასახდელისკენ წავიდა, ჰარი კი ვარცხნილობის გასწორებას შეეცადა, თან გადაბრუნებულ ჩაის კოვზში იყურებოდა. მერე დერეფანში გავიდა, სადაც ჩოს უნდა შეხვედროდა. გულის ფანცქალით მიდიოდა, რადგან არ იცოდა, რაზე ელაპარაკა.

ჩო მუხის კარის გვერდით იდგა. ძალიან ლამაზი იყო. თმა ცხენის ძუასავით შეეკრა. უცებ ჰარის საკუთარი ფეხები უსაშველოდ დიდი მოეჩვენა და თავზარდაცემულმა ისიც წარმოიდგინა, რა სასაცილო ხელები აქვს – გრძელი და აქეთ-იქით უაზროდ დაკიდებული.

– გამარჯობა, – ისე თქვა ჩომ, თითქოს სულის მოთქმა ვერ მოასწროო.

– გამარჯობა.

რამდენიმე წამს ერთმანეთს უყურებდნენ, მერე ჰარიმ თქვა:

– კარგი... წავიდეთ, არა?

– წავიდეთ.

ფილჩი წამსვლელების სიას ადგენდა და მასთან რიგში ჩადგნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამსვლელებს აღრიცხავდა. დროდადრო ერთმანეთს გადახედავდნენ და უხმოდ იღიმებოდნენ. როცა ბოლოს და ბოლოს გარეთ გავიდნენ, ჰარიმ შვებით ამოისუნთქა – სიარულისას გაცილებით იოლი იყო ჩუმად ყოფნა, ვიდრე რიგში დგომისას. ქარიანი, ცინცხალი დღე იყო. სტადიონს რომ ჩაუარეს, ჰარიმ ტრიბუნის თავზე ჰაერში მოლივლივე ჯინი და რონი დაინახა. ახლა ძალიან უნდოდა მათთან ყოფნა.

– ძალიან გენატრება თამაში? – ჰკითხა ჩომ. შემობრუნდა. ჩო ყურადღებით შესცქეროდა.

– ჰო, – ამოიოხრა, – ძალიან.

– გახსოვს, მესამე კურსზე პირველად რომ ვითამაშეთ ერთმანეთის წინააღმდეგ?

– ჰო, – ღიმილით უპასუხა ჰარიმ, – შენ სულ თან დამდევდი.

– ვუდმა კი დაგიყვირა: „ჯენტლმენობის დრო არ არის! თუ საჭიროა, ჩამოაგდე ცოცხიდან!“ – ღიმილითვე თქვა ჩომ, – გავიგე, „პორტრის სიამაყეში“ აუყვანიათ, მართალია?

– არა, „პადლმერ იუნაიტედში“. შარშან ვნახე მსოფლიო ჩემპიონატზე.

– შენც გნახე მაშინ, გახსოვს? ერთ ბანაკში ვცხოვრობდით. კარგი იყო, არა?

მსოფლიო ჩემპიონატის თემა თითქმის კარამდე ეყოთ. ჰარის უკვირდა, რა ადვილი იყო მასთან ლაპარაკი – ისეთივე ადვილი, როგორც ჰერმიონთან და რონთან. უკვე დამშვიდდა და გახალისდა, მაგრამ ამ დროს სლიზერინელ გოგონათა გუნდი წამოეწიათ.

– პოტერი და ჩენგი, – დაიკივლა პენსიმ. პასუხად დანარჩენების დამცინავი სიცილი გაისმა, – ფუ, ჩენგ, ვფიქრობდი, უკეთესი გემოვნება გქონდა... დიგორი უფრო სიმპათიური მაინც იყო!

გუნდმა ხაზგასმულად ხმამაღალი ლაპარაკითა და ყვირილით ჩაიქროლა, თან ჰარისა და ჩოსკენ იყურებოდნენ.

ორივე ჩუმად იყო. ჰარიმ არ იცოდა, კიდევ რა შეიძლებოდა ეთქვა ქვიდიჩზე. აწითლებული ჩო ძირს იყურებოდა.

– სად წავიდეთ? – ჰკითხა ჰარიმ, როცა კარი გაიარეს. ზედა ქუჩაზე მოსწავლეები სეირნობდნენ, ვიტრინებში იჭყიტებოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ ტროტუარზე. ჩომ მხრები აიჩეჩა.

– რა ვიცი... იქნებ მაღაზიებში შევიაროთ?

„დერვიშ ენდ ბენგზთან“ გაჩერდნენ. ვიტრინაში ვეებერთელა პლაკატი იყო გაკრული. რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები ვიტრინას ათვალიერებდა. როცა ჰარი და ჩო მიუახლოვდნენ, ოდნავ განზე გადგნენ და ჰარიმ ისევ დაინახა ათი გაქცეული „სიკვდილის მხვრელის“ პორტრეტი. პლაკატი იუწყებოდა, რომ მაგიის სამინ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისტროს ბრძანებით, ჯილდოდ ათასი გალეონი იყო დაწესებული იმისთვის, ვინც ხელს შეუწყობდა აურორებს ნებისმიერი ძებნილი დამნაშავის დაჭერაში.

– უცნაურია, – ჩუმად თქვა ჩომ, – გახსოვს, როცა სირიუს ბლექი გაიქცა, დემენტორები მთელ ჰოგსმიდში ეძებდნენ. ახლა ათი „სიკვდილის მხვრელია“ გაქცეული, დემენტორები კი არსად ჩანან...

– ჰო, – დაეთანხმა ჰარი. ძლივს მოაცილა თვალი ბელატრისა ლესტრეინჯს და ზედა ქუჩა მოათვალიერა, – ჰო, უცნაურია.

მაინცდამაინც არ სწყინდა, რომ ახლომახლო დემენტორები არ იყვნენ, მაგრამ მათი არყოფნა, თუ დაფიქრდებოდა, რაღაცას ნიშნავდა. „სიკვდილის მხვრელები“ არა მარტო გაუშვეს ციხიდან, დიდი თავგამოდებითაც არ ეძებდნენ... როგორც ჩანს, დემენტორები უკვე აღარ ემორჩილებიან სამინისტროს. მთელ გზაზე ვიტრინებიდან ათი „სიკვდილის მხვრელი“ იყურებოდა. როცა ჰარი და ჩო „წეროს“ გაუსწორდნენ, წვიმა წამოვიდა. მძიმე ცივი წვეთები დაეცათ სახეზე და კისერზე. წვიმა ძლიერდებოდა და ჩომ მორიდებით იკითხა:

– ყავა ხომ არ დაგველია?

– დავლიოთ, – თქვა ჰარიმ და მიიხედ-მოიხედა, – სად?

– აქ, მოშორებით, კარგი ადგილია. არასოდეს ყოფილხარ მადამ პადიფუტთან?

მოსახვევი გაიარეს და ჩომ პატარა კაფესთან მიიყვანა. ეს კაფე ადრე ჰარის არც კი შეუნიშნავს. მართლაც ძალიან პატარა იყო. შიგნით ორთქლის ბული იდგა. ბაფთებითა და ჭრელაჭრულა რაღაცეებით მორთულმა ოთახმა ჰარის ამბრიჯის კაბინეტი მოაგონა.

– საყვარელი ადგილია, არა? – მხიარულად ჰკითხა ჩომ.

– აა... ჰო, – უგულოდ დაეთანხმა ჰარი.

– ხედავ, ვალენტინის დღისთვის მოურთავს! – ჩომ ოქროსფერ კუპიდონებზე ანიშნა, მრგვალი მაგიდების თავზე რომ ლივლივებდნენ და დროდადრო ფერად-ფერად ქაღალდებს აყრიდნენ მომსვლელებს.

უკანასკნელი თავისუფალი მაგიდა დაიკავეს დაორთქლილ ფანჯარასთან. სულ რაღაც ერთ ნაბიჯზე ლამაზ ქერათმიან გოგონასთან ხელჩაკიდებული იჯდა რეივენქლოელი როჯერ დევისი. მათ დანახვაზე ჰარიმ უხერხულად იგრძნო თავი, მით უფრო მაშინ, როცა მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ მთელი კაფე ხელიხელჩაკიდებული წყვილებით იყო სავსე.

– რით გაგიმასპინძლდეთ, ძვირფასებო? – როჯერ დევისისა და მათ მაგიდებს შორის ძლივს გამოეტია ქალბატონი პადიფუტი, ფაშფაშა ქალი, კეფაზე შეკრული შავი პრიალა თმით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ორი ყავა, თუ შეიძლება, – თქვა ჩომ.

სანამ ყავა მოდუღდებოდა, როჯერ დევისი და მისი გოგონა განუწყვეტლივ კოცნიდნენ ერთმანეთს. ჰარის ერჩივნა, რომ ეს არ მომხდარიყო: ისე გამოდიოდა, თითქოს დევისი მაგალითს აძლევდა. ჩო ალბათ ელოდება, რომ ჰარი იმავეს გაიმეორებს. იგრძნო, რომ სისხლი მოაწვა სახეზე, ფანჯარაში გახედვა სცადა, მაგრამ დაორთქლილ მინებს მიღმა ქუჩა არ ჩანდა. ჩოსთვის თვალებში შეხედვის დრო რომ გადაეწია, ჭერს ისე ახედა, თითქოს საღებავის ხარისხს ამოწმებსო და კუპიდონებისგან ქაღალდების ზალპიც მოხვდა სახეში.

ასე გავიდა რამდენიმე მტანჯველი წუთი. ბოლოს ჩომ რაღაც თქვა ამბრიჯზე. ჰარი გახარებული ჩაეჭიდა ამ თემას და ორივემ სიამოვნებით გამოლანძღა პროფესორი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – ამბრიჯის თემა ძირფესვიანად ჰქონდათ დამუშავებული **DA**-ს შეკრებებზე. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მეზობელი წყვილების კოცნის ხმა და სასიყვარულო ღუღუნი მაინცდამაინც არ ესალბუნებოდა ჰარის ყურს და გამწარებული ფიქრობდა, კიდევ რა ეთქვა.

– მისმინე, გინდა, ჩემთან ერთად წამოხვიდე შუადღისას „სამ ცოცხში“? ჰერმიონ გრეინჯერს უნდა შევხვდე.

ჩომ წარბები ასწია.

– ჰერმიონ გრეინჯერს უნდა შეხვდე? დღეს?

– ჰო. მთხოვა და მეც შევპირდი. წამოხვალ ჩემთან ერთად? ჰერმიონმა თქვა, ორივე მოდითო.

– აა... ჰო... კარგი...

მაგრამ ხმაზე შეეტყო, რომ ამაში კარგს ვერაფერს ხედავდა. სიტყვები ცივად გაისმა და თვითონ ჩოც როგორღაც გაცივდა.

კიდევ რამდენიმე წუთმა გაიარა სრულ სიჩუმეში. ჰარი ისე სწრაფად სვამდა ყავას, რომ მალე მეორეც დასჭირდებოდა. გვერდით კი როჯერ დევისი და მისი გოგონა ლამის ტუჩებით შეეწებნენ ერთმანეთს.

ჩოს ხელი მაგიდაზე, ფინჯანთან ახლოს იდო და ჰარის უფრო და უფრო ძალიან უნდოდა შეეხებოდა. „მოჰკიდე ხელი, – ეუბნებოდა საკუთარ თავს შიშგარეული აგზნებით, – გაიწვდინე ხელი და მოჰკიდე“. საოცარია, სნიჩის დაჭერასთან შედარებით რამდენად ძნელი იყო მაგიდაზე ხელის გაწვდენა.

მაგრამ როგორც კი მისი ხელი მაგიდაზე გასრიალდა, ჩომ თავისი დამალა. ახლა ჩო მორიდებული ცნობისმოყვარეობით უყურებდა, როგორ კოცნიდა როჯერი თავის გოგონას.

– იცი, როჯერმა მე დამპატიჟა, – ჩუმად თქვა ჩომ, – ორი კვირის წინათ. მაგრამ უარი ვუთხარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ საშაქრეს მოჰკიდა ხელი, რათა რითიმე გაემართლებინა ხელის მოძრაობა. თან უკვირდა, რისთვის დასჭირდა ჩოს ამის თქმაო. ნუთუ ნანობს, რომ ახლა იმ მაგიდასთან არ ზის და მას არ ჰკოცნის როჯერი? არადა, ხომ თვითონ მიახვედრა, ჰარი, თუ შენც გინდა, იქნებ ერთად გავისეირნოთო?

ჰარის არაფერი უთქვამს. კუპიდონმა ისევ გადმოყარა ქაღალდები. ნაწილი იმ ფინჯანში ჩაცვივდა, რომლის დალევასაც ასე ჩქარობდა.

– შარშან აქ სედრიკთან ერთად ვიყავი, – დაამატა ჩომ. სიტყვების აზრს მაშინვე ვერ მიხვდა ჰარი. მაგრამ როცა მიხვდა, ერთიანად გააცია. უცნაურია, ჩოს სედრიკზე სურდა ლაპარაკი, როცა გარშემო ერთ ამბავში არიან წყვილები, თავზე კი კუპიდონები დასტრიალებენ.

ჩომ ამჯერად უფრო ხმამაღლა თქვა:

– დიდი ხანია მინდოდა, მეკითხა... სედრიკი... მიხსენებდა სიკვდილის წინ?

ჰარის ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად ამ თემაზე საუბარი უნდოდა, განსაკუთრებით კი – ჩოსთან.

– არა... – ხმადაბლა თქვა, – მაშინ... იქ... საერთოდ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო... შენ... არდადეგებზე... ისა... აპირებ ქვიდიჩზე სიარულს? შენ ხომ „ტორნადოს“ გულშემატკივრობ, ასე არ არის?

თვითონაც გრძნობდა, რა ყალბად ჟღერდა მისი ვითომდა ხალისიანი ხმა. თავზარი დაეცა, როცა დაინახა, როგორ აევსო ჩოს თვალები ცრემლით, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, **და**-ს შობისწინა შეკრებაზე.

– იცი, – განწირული ხმით თქვა ჰარიმ და წინ გადაიხარა, რომ არავის გაეგონა, – მოდი, ახლა სედრიკზე ნუ ვილაპარაკებთ... სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ეს თხოვნა არ გაჭრიდა.

– მეგონა, შენ გა... გამიგებდი! მე უნდა ვილაპარაკო სედრიკზე! – ჩოს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუგორდა ლოყებზე, – შენც ხომ... შენც ხომ გჭირდება ამაზე ლაპარაკი! შენ ნახე, როგორ მოხდა... ხომ ასეა?

ყველაფერი კოშმარს დაემსგავსა. როჯერის გოგო კავალერსაც კი მოსცილდა, რათა ატირებული ჩოსთვის შეეხედა.

– ჰო... მე ვლაპარაკობდი ამაზე, – ჩურჩულით უთხრა ჰარიმ, – რონთან და ჰერმიონთან, მაგრამ...

– რა თქმა უნდა, ჰერმიონ გრეინჯერთან ლაპარაკობ! – ჩომ ლამის იწივლა, სახე ცრემლებისგან უპრიალებდა.

კიდევ რამდენიმე წყვილი მოშორდა ერთიმეორეს, რათა მათთვის შეეხედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემთან კი არ გინდა! იქნებ უ-უ-უკეთესია, თუ ახლა... თუ გადავიხდით, შენ კი ჰერმიონ გრეინჯერთან წახვალ, რადგან ასე გსურს!

მთლად დაბნეული ჰარი უყურებდა, როგორ აიღო ჩომ ხელსახოცი, როგორ შეიმშრალა ცრემლებით დასველებული სახე.

– ჩო! – ძლივს ამოიღო ხმა. ძალიან უნდოდა, როჯერი ისევ მოხვეოდა თავის გოგონას, რომ აქეთ აღარ ეცქირათ.

– ჰოდა, წადი! – ჩო ახლა ხელსახოცში ტიროდა, – არ მესმის, საერთოდ რატომ დამპატიჟე, თუ ჩემს შემდეგ სხვას უნიშნავდი პაემანს... კიდევ რამდენი გელოდება ჰერმიონის შემდეგ?

– არა, ასე არ არის! – როგორც იქნა, მიხვდა წყენის მიზეზს და ისეთი შვება იგრძნო, გაიცინა კიდეც. წამის შემდეგ კი დაინახა, რომ სიცილით ყველაფერი გააფუჭა, მაგრამ რაღას უშველიდა?!

ჩო წამოხტა. კაფეში ყველა გაჩუმდა და მათკენ შებრუნდა.

– ნახვამდის, ჰარი, – დრამატულად თქვა და სლოკინითა და სლუკუნით გაიქცა, კარი გააღო და თავსხმა წვიმაში გავარდა.

– ჩო! – დაიძახა ჰარიმ, მაგრამ კარი უკვე მიიხურა მელოდიური წკრიალით.

კაფეში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ჰარის უყურებდა. მაგიდაზე გალეონი დააგდო, მტკიცე ნაბიჯით მივიდა კართან და ქუჩაში გავიდა. კოკისპირულად წვიმდა. ჩო არსად ჩანდა. ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა. ნახევარი საათის წინ ხომ ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა.

– ოჰ, ეს ქალები! – გაბრაზებული ბუტბუტებდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიაბოტებდა წვიმაში, – მაინც რისთვის დასჭირდა სედრიკზე ლაპარაკი? რატომ იწყებს ხოლმე იმ თემაზე ლაპარაკს, რის გამოც ელეთმელეთი ემართება?

ჰარიმ მარჯვნივ გაუხვია და გუბეებში ტყაპატყუპით გაიქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ „სამი ცოცხის“ კარში შედიოდა. ჯერ ადრე იყო, ჰერმიონი იქ არ იქნებოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, ვინმე ნაცნობს შეხვდებოდა და გულს გადააყოლებდა. სველი თმა შუბლიდან გადაიწია და ლუდხანა მოათვალიერა. კუთხეში მარტოდმარტო იჯდა სევდიანი ჰაგრიდი. ჰარი ახლომახლო მდგარ მაგიდებს შორის გაძვრა, სკამი მასთან მიათრია და მიესალმა:

– ჰაგრიდს გაუმარჯოს!

ჰაგრიდი წამოხტა და ისე დახედა ზემოდან, თითქოს ვერ იცნოო. ჰარიმ სახეზე ორი ახალი ჭრილობა და რამდენიმე ჩალურჯებული ადგილი შეამჩნია.

– ა, ეს შენა ხარ, ჰარი? როგორ ხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგად, – იცრუა ჰარიმ. ნათეთქვ და დანაღვლიანებულ ჰაგრიდთან უხერხულიც კი იყო წუწუნი, – შენ როგორ ხარ?

– მე? მშვენივრად, ჰარი, მშვენივრად.

ჰაგრიდი თავის კასრისოდენა ლუდის კათხას ჩააცქერდა და ამოიოხრა. ჰარიმ არ იცოდა, რა ეთქვა. ორიოდე წუთს ჩუმად ისხდნენ. მერე ჰაგრიდმა მოულოდნელად თქვა:

– ხომ ვგავართ ერთმანეთს, ჰა, ჰარი?

– როგორ გითხრა...

– ჰო... რა თქმა უნდა... აკი გითხარი უკვე... როგორღაც გარიყულებივით ვართ, – ჩაფიქრებულმა დაიქნია თავი, – ორივე ობლები ვართ. ჰო... ობლები.

კათხიდან მოსვა.

– კაია, როცა წესიერი ოჯახი გაქვს. მე წესიერი მამა მყავდა. შენ დედაც და მამაც წესიერები გყავდა. ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, სულ სხვანაირად წავიდოდა შენი ცხოვრება, ხო ასეა?

– ჰო, ალბათ, – ფრთხილად დაეთანხმა ჰარი. უცნაური იყო ასეთი ჰაგრიდის ყურება.

– ოჯახი... – ნაღვლიანად განაგრძო ჰაგრიდმა, – რაც გინდა თქვი, სისხლი მაინც თავისას შვრება, – და თვალები შეიმშრალა.

– ჰაგრიდ, – თავი ველარ შეიკავა ჰარიმ, – ვინ გცემს ასე?

– აჰ? – გაუკვირდა ჰაგრიდს, – რას ნიშნავს, „მცემს“?

– რას და აი, ამას, – სახეზე უჩვენა ჰარიმ.

– ა-ა... ჩვეულებრივი კოპები და ნაფხაჭნებია, – ხელი აიქნია, – ასეთი უხეში სამუშაო მაქვს.

კათხა გამოცალა, მაგიდაზე დადო და წამოდგა.

– აბა, ნახვამდის, ჰარი, კარგად იყავი.

ტანჯული სახით გავიდა ბარიდან და თავსხმა წვიმაში გაუჩინარდა. ჰარიმ ნაღვლიანი მზერა გააყოლა. რაღაც უჭირს, რაღაცას მალავს და არ სურს, ვინმე დაეხმაროს. რა ხდება? დაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, ვიღაცამ დაუძახა.

– ჰარი, ჰარი, აქეთ!

დარბაზის მეორე ბოლოდან ჰერმიონი უქნევდა ხელს. წამოდგა და ხალხით გაჭედილ ლუდხანაში მისკენ წავიდა. ცოტა მიუახლოვდა და დაინახა, რომ ჰერმიონი მარტო არ იყო. ჰარის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, ისეთ უცნაურ კომპანიაში იჯდა – ლუნა ლავგუდთან და ჰერმიონისთვის ქვეყნად ერთ-ერთ ყველაზე საძულველ პიროვნებასთან, „დილის მისნის“ ყოფილ მიმომხილველ რიტა სკიტერთან ერთად.

– ადრე მოსულხარ! – თქვა ჰერმიონმა და ჩაიწია, რომ მისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა, – მეგონა, ჩოსთან ერთად მოხვიდოდი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩო? – წამსვე აფორიაქდა რიტა და მტაცებლის მზერა ჩაასო ჰარის, – გოგონა?

მერე უცებ ნიანგის ტყავის ჩანთას დაავლო ხელი.

– ას გოგონასთან ერთადაც რომ ყოფილიყო, ეს თქვენ არ გეხებათ, – ცივი წყალი გადაასხა ჰერმიონმა, – ასე რომ, ახლავე შეგიძლიათ, ეგ მოაშოროთ.

რიტა უკვე იღებდა ჩანთიდან დარიშხანისფერ ბატის ფრთას. თითქოს აყროლებული წვენი გადააყლაპესო, ისეთი სახით დაკეტა ჩანთა.

– რა ჩაიფიქრე? – ჰკითხა ჰარიმ, მაგიდასთან დაჯდა და ხან რიტას შეხედავდა, ხან – ლუნას.

– ჩვენი ნორჩი ჯადოქარი სწორედ ამის თქმას აპირებდა, – თქვა რიტამ და ხრუპუნით მოსვა ჭიქიდან, – ხომ მაქვს უფლება, დაველაპარაკო? – გესლიანად ჰკითხა ჰერმიონს.

– ვფიქრობ, გაქვთ, – ცივად უპასუხა ჰერმიონმა. უმუშევრობა მაინცდამაინც არ მოხდენოდა რიტას. ადრე საგულდაგულოდ დახვეული თმა დაუვარცხნელი ძენძივით ეკიდა. გრძელ ფრჩხილებზე წასმული ალისფერი ლაქი ალაგ-ალაგ გადაქერცლოდა, სათვალის ფართო ჩარჩოზე კი რამდენიმე ხელოვნური ქვა ეკიდა. რიტამ ისევ მოსვა ჭიქიდან და ლამის მოკუმული პირით იკითხა:

– ლამაზია, ჰარი?

– კიდევ ერთი სიტყვა ჰარის პირად ცხოვრებაზე და შეთანხმება ჩაშლილია, – დაემუქრა ჰერმიონი.

– რა შეთანხმება? – რიტამ ხელის ზურგით მოიწმინდა პირი, – ჯერ არაფერი შემოგითავაზებია, ჩემო მშვენიერო, შენ მხოლოდ მოსვლა მთხოვე. არა უშავს, ოდესმე... – ღრმად, კანკალით ჩაისუნთქა ჰაერი.

– ჰო, რა თქმა უნდა, ოდესმე ახალ საზიზღარ ისტორიებს შეთხზავ ჩვენზე.

– წლეულს უჩემოდაც არაერთი საზიზღარი ამბავი დაიწერა ჰარიზე, – ქვემოდან გახედა ჰარის, ჭიქა პირთან მიიტანა და სისინა ჩურჩულით იკითხა: – რას გრძნობდი, როცა კითხულობდი? ფიქრობდი, რომ ვერ გაგიგეს, გაგთათხეს, შეგარცხვინეს?

– გასაბრაზებელია, აბა, რა, – ხმამაღლა, მკაცრად თქვა ჰერმიონმა, – მაგიის მინისტრს სიმართლე უთხრა, ის კი ისეთი იდიოტია, რომ არ დაუჯერა.

– ესე იგი, შენ ისევ შენსაზე ხარ, ისევ ფიქრობ, რომ „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“ დაბრუნდა? – რიტამ ჭიქა დადგა და ჯიქურ შეხედა ჰარის, თან თითი თავისით გაცურდა ნიანგის ტყავის შესაკრავისკენ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისევ ეთანხმები დამბლდორის მონაჩმახს, ვითომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაბრუნდა და ვითომ შენ ხარ ერთადერთი მოწმე?

– მე ერთადერთი მოწმე არ ვყოფილვარ, – გაცეცხლდა ჰარი, – იქ ათზე მეტი „სიკვდილის მხვრელი“ იყო. გნებავთ მათი სახელები?

– სიამოვნებით მოვისმენ, – რიტამ ისევ ჩანთაში დაიწყო ქექვა, თან ისეთი აღტაცებით შეჰყურებდა ჰარის, თითქოს ამაზე მშვენიერი არაფერი ენახა ცხოვრებაში, – მსხვილი სასათაურო შრიფტით: „პოტერი ბრალს სდებს“. ქვესათაური: „ჰარი პოტერი ასახელებს მიმალულ „სიკვდილის მხვრელებს“. უფრო ქვემოთ კი – შენი დიდი ფოტო და წარწერა: „შეძრწუნებულმა ყმაწვილმა, თხუთმეტი წლის ჰარი პოტერმა, რომელსაც თავს დაესხა „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“, გუშინ ფურორი მოახდინა, როცა ჯადოსნური საზოგადოების პატივცემულ წევრებს ბრალი დასდო იმაში, რომ თვითონ არიან „სიკვდილის მხვრელები“.

ფრთა უკვე მომარჯვებული ჰქონდა, როცა აღტაცებული გამომეტყველება უცებ გაუქრა სახიდან და ჰერმიონს ისარივით დაასო მზერა:

– მაგრამ, ალბათ, არ მოისურვებთ, რომ ეს დაიბეჭდოს.

– პირიქით, – ნაზად ჩაილაპარაკა ჰერმიონმა, – ეს სწორედ ის არის, რაც თქვენს ნორჩ ჯადოქარს სურს.

რიტა გაკვირვებული მიაჩერდა. გაკვირვებული შესცქეროდა ჰარიც. ლუნა დაბნეული ღიღინებდა „მეფეა რონალდ უისლის“ და კოქტეილის ჩხირით ჭიქას ურევდა.

– შენ გინდა, გამოვაქვეყნო მისი მონათხრობი ჩვენ-რომ-ვიცით, იმაზე? – ჩუმად იკითხა რიტამ.

– დიახ, – დაუდასტურა ჰერმიონმა, – ნამდვილი ამბავი, ფაქტებით. ზუსტად ისე, როგორც ჰარი მოყვება. ის ყველა წვრილმანს გიამბობთ, სააშკარაოზე გამოიტანს, დაასახელებს ყველა „სიკვდილის მხვრელს“, რომლებიც იქ ნახა, აღწერს, როგორ გამოიყურება ვოლდემორი... თავი ხელში აიყვანეთ, – ზიზღით თქვა და ხელსახოცი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ისროლა, იმიტომ, რომ ბნელი ბატონის სახელის ხსენებაზე რიტა კინაღამ სკამიდან ჩამოვარდა, ნახევარი ჭიქა ცეცხლოვანი ვისკი კი ზედ გადაისხა.

რიტას ჰერმიონისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე შეიმშრალა ხელსახოცით გაქუცული ლაბადა და პირდაპირ თქვა:

– „მისანი“ ამას არ დაბეჭდავს. შენ შეიძლება, არც კი იცი, რომ მის მონაჩმახს არავინ იჯერებს. ყველას ჰგონია, რომ შეიშალა. მაგრამ თუ ნებას დამრთავ, ამ ამბავს ისეთი კუთხით შევხედო...

– ჩვენ არ გვჭირდება კიდევ ერთი ამბავი იმაზე, რომ ჰარი შეი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შალა! – შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – გმადლობთ, კმარა! მე მინდა, რომ მას საშუალება მისცენ, სიმართლე უთხრას ხალხს!

– ასეთ რამეზე მოთხოვნილება არ არის, – მშრალად თქვა რიტამ.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ ფაჯი არ მისცემს „მისანს“ ამის დაბეჭდვის ნებას? – გაღიზიანდა ჰერმიონი.

რიტამ ხანგრძლივი, ცივი მზერით უპასუხა. მერე მაგიდაზე გადაიხარა და საქმიანად განაგრძო:

– ჰო, ფაჯი აკონტროლებს გაზეთს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. „მისანი“ არ დაბეჭდავს სტატიას, რომელშიც ჰარი კარგად იქნება წარმოდგენილი. არავინ წაიკითხავს. საზოგადოება სხვაგვარად არის განწყობილი. საზოგადოება უკვე საკმაოდ დააშინა აზკაბანიდან „სიკვდილის მხვრელების“ გაქცევამ. ადამიანებს, უბრალოდ, არ სურთ დაიჯერონ, რომ „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“ დაბრუნდა.

– ესე იგი, „დილის მისანს“ მიაჩნია, რომ ადამიანებს მხოლოდ ის უნდა უთხრას, რის გაგონებაც სურთ? – გესლიანად იკითხა ჰერმიონმა.

რიტა წელში გაიმართა, წარბები ასწია და ერთბაშად გამოცალა ჭიქა.

– „მისანს“ მიაჩნია, რომ უნდა გაიყიდოს, ჩემო სულელო გოგონი.

– მამა ამბობს, რომ საზიზღარი გაზეთია, – უცებ ჩაერია საუბარში ლუნა, თან კოქტეილის ჩხირს წუწნიდა, თან რიტას შესცქეროდა გადმოკარკლული, ოდნავ შეშლილი თვალებით, – ის მნიშვნელოვან სტატიებს ბეჭდავს იმის თაობაზე, თუ რა უნდა იცოდნენ ადამიანებმა. მას ფული არ აინტერესებს.

რიტამ აგდებულად გახედა.

– მამაშენს, ალბათ, რომელიმე მიყრუებული სოფლის გაზეთი აქვს, დაახლოებით ასეთი ტიპის: „მაგლებთან ურთიერთობის გაბმის ოცდახუთი ხერხი“.

– არა, – თქვა ლუნამ და კოქტეილის ჩხირი უკანვე, ჭიქაში ჩაუშვა, – „ქარაგმების“ რედაქტორია.

რიტამ ისე ხმამაღლა დაიფრუტუნა, რომ მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი მათკენ შებრუნდნენ.

– მნიშვნელოვანი სტატიები იმის თაობაზე, თუ რა უნდა იცოდეს ხალხმა? – გაიმეორა დაცინვით, – ამ ჟურნალით ჩემი ბაღის განოყიერება შეიძლება.

– ჰოდა, აი, შანსიც, რომ ცოტათი მაინც ასწიოთ მისი დონე, – თავაზიანად ურჩია ჰერმიონმა, – ლუნა ამბობს, რომ მამამისი სიამოვნებით დაბეჭდავს ჰარისთან ინტერვიუს. მიდით და გამოაქვეყნეთ.

ერთხანს რიტა გოგონებს შესცქეროდა, მერე გულიანად გადაიხარხარა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– „ქარაგმებიო“, ფიქრობთ, ხალხი სერიოზულად მიიღებს იმას, რაც „ქარაგმებში“ დაიბეჭდება?

– ნაწილი – არა, – მშვიდად მიუგო ჰერმიონმა, – მაგრამ „მისანში“ დაბეჭდილ აზკაბანიდან გაქცევის ამბავში იმდენი გაურკვევლობაა, რომ ხალხი, ალბათ, ფიქრობს: შეიძლება ამ ამბავს სხვა, უფრო დამაფიქრებელი ახსნა აქვსო, და თუ მათ სხვა ვერსიას შევთავაზებთ, თუნდაც... – ცერად გახედა ლუნას, – ცოტა უცნაურ ჟურნალში, ვფიქრობ, ბევრი ინტერესით წაიკითხავს.

რიტა საკმაოდ დიდხანს იყო ჩუმად და გვერდზე თავგადახრილი შეჰყურებდა ჰერმიონს. მერე მოულოდნელად თქვა:

– კარგი, დავუშვათ, რომ დავწერე, რამდენს გადამიხდიან?

– მგონი, მამაჩემი არ უხდის მათ, ვინც მის ჟურნალში აქვეყნებს სტატიებს, – მეოცნებედ აღაპყრო თვალები ლუნამ, – ისინი იმიტომ წერენ, რომ ეს საპატიოა, თანაც უნდათ, თავიანთი სახელი იხილონ პრესაში.

რიტას ისეთი სახე გაუხდა, თითქოს ისევ აყროლებული წვენით გაუმასპინძლდნენო და ჰერმიონისკენ შებრუნდა.

– მე რა, უფასოდ უნდა დავწერო?

– რა თქმა უნდა, – გულგრილად დაუდასტურა ჰერმიონმა და ჭიქიდან მოსვა, – არადა, ალბათ ხვდებით – ხელისუფლებას ვაცნობებ, რომ არარეგისტრირებული ანიმაგუსი ხართ.

„მისანი“ ალბათ კარგად გადაგიხდით ციხის ცხოვრების შესახებ აზკაბანის საკნიდან მოწოდებული რეპორტაჟისთვის.

რიტამ ისე შეხედა, თითქოს ახლა ყველაზე მეტად ის უნდოდა, ჰერმიონის ჭიქიდან ქაღალდის ქოლგა გამოეძრო და მისთვის ცხვირში ეტაკებინა.

– როგორც ვატყობ, არჩევანი არ მაქვს, სწორად გაგიგეთ? – ჰკითხა რიტამ აკანკალებული ხმით. ისევ მოიმარჯვა ბატის ფრთა და ჩანთიდან პერგამენტის გრძელი ფურცელი ამოაცოცა.

– მამას გაუხარდება, – გამხიარულდა ლუნა. ჰერმიონი ჰარისკენ შებრუნდა.

– აბა, ჰარი, მზად ხარ, ხალხს სიმართლე მოუყვე?

– მგონი, – თქვა და რიტას შეხედა, რომელმაც ფრთა პერგამენტის თავზე შემართა.

– მიდი, რიტა, ჩააწიკწიკე, – მშვიდად თქვა ჰერმიონმა და ჭიქიდან ალუბალი ამოიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეექვსე

მოულოდნელი ამბები

ლუნამ ორჭოფულად გამოაცხადა, რომ ზუსტად არ იცის, როდის იქნება ჰარის ინტერვიუ „ქარაგმებში“. „მამა მოზრდილ სტატიას ელოდება რქაგრეხილი ციკლოპების შესახებ.

„რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი სტატიაა. ასე რომ, ჰარი, ალბათ შემდეგ ნომრამდე მოგიწევს ლოდინი“, – აუხსნა ლუნამ.

ჰარიმ აღმოაჩინა, რომ ძალიან გაუძნელდა ვოლდემორის დაბრუნების აღწერა. რიტა აიძულებდა იმ მოვლენების სულ მცირე დეტალების გახსენებასაც კი და რადგან ესმოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა, ქვეყნიერებისთვის ეუწყებინა სიმართლე, ყველაფერს მოუყვა, რისი გახსენებაც კი შეძლო. რა თქმა უნდა, არ იცოდა, როგორ მიიღებდა ხალხი ამ ამბავს. უმრავლესობა, ალბათ, საბოლოოდ ირწმუნებდა, რომ ის ჩამოყალიბებული გიჟია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ინტერვიუ რქაგრეხილ ციკლოპებზე დაწერილ აბდაუბდა სტატიას მოჰყვებოდა. მაგრამ ბელატრისა ლესტრეინჯისა და სხვა „სიკვდილის მხვრელების“ გაქცევამ ჰარის სურვილი გაუჩინა, რაღაც მოემოქმედებინა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინმეს რამეში დაარწმუნებდა თუ არა...

– საინტერესოა, როგორ შეხვდება ამბრიჯი შენს ამ სახალხო გამოსვლას, – თქვა დინმა შიშჩამდგარი ხმით ორშაბათს ვახშმობისას. შორიახლოს მჯდომი სიმუსი გემრიელად ილუკმებოდა – მადიანად მიირთმევდა ქათამსა და გახუხულ პურს, თუმცა, ჰარიმ იცოდა, ცალი ყური მათკენ ჰქონდა.

– შენ სწორად მოიქეცი, ჰარი, – უთხრა ნევილმა. გაფითრდა, მაგრამ მაინც ჰკითხა ხმადაბლა: – ალბათ ძნელი იყო... ამაზე ლაპარაკი, არა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, – ჩუმად დაუდასტურა ჰარიმ, – მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს ვოლდემორი, ასე არ არის?

– ასეა, – თავი დაუქნია ნევილმა, – და მისი „სიკვდილის მხვრელეებიც“... ხალხმა უნდა იცოდეს...

ნევილს არ დაუმთავრებია ფრაზა, ისე მიუბრუნდა შემწვარ კარტოფილს. სიმუსმა თავი ასწია, მაგრამ ჰარის მზერას შეეჩეხა და ისევ თეფშს დააცქერდა. მალე დინი, სიმუსი და ნევილი საერთო ოთახში წავიდნენ, ჰარი და ჰერმიონი კი მაგიდასთან დარჩნენ რონის მოლოდინში, რომელმაც ვარჯიშის გამო ვერ მოასწრო ვახშმობა.

დარბაზში ჩო ჩენგი შემოვიდა თავის მეგობარ მარიეტასთან ერთად. ჰარის მუცელში რაღაც უსიამოვნოდ ამოუტრიალდა, მაგრამ ჩოს გრიფინდორელთა მაგიდისკენ არც გაუხედავს, მისკენ ზურგით დაჯდა.

– ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, – ჰერმიონმა რეივენქლოელთა მაგიდისკენ ცერად გაიხედა და მხიარულად ჰკითხა, – როგორ ჩაიარა ჩოსთან პაემანმა? ასე მალე რატომ დაბრუნდი?

– ეე... მე... – წაიბუტბუტა ჰარიმ, რევანდის ნამცხვარი თავისკენ მისწია და მეორე ნაჭერი აიღო, – მოკლედ, ძალიან ცუდად ჩაიარა.

და ყველაფერი უამბო, რაც მადამ პადიფუტის კაფეში მოხდა.

– და ამ დროს, – დაასრულა რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა თეფშიდან ნამცხვრის უკანასკნელი ნამცეცებიც გაქრა, – წამოხტა და განაცხადა: „ნახვამდის, ჰარი!“ – და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა! – კოვზი დადო და ჰერმიონს შეხედა, – ამიხსენი, თუ შეიძლება, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, რა დაემართა?

ჰერმიონმა ჩოს გახედა, ამოიოხრა და ნაღვლიანად თქვა:

– ეჰ, ჰარი, მაპატიე, მაგრამ უბრალოდ ცოტა ტაქტი არ გყოფნის.

– მე არ მყოფნის ტაქტი? – აღშფოთდა ჰარი, – თავიდან ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა, მერე კი უცებ მიყვება, როგორ დაპატიჟა როჯერ დევისმა და როგორ დაჰყავდა სედრიკს ამ იდიოტურ კაფეში საკოცნელად. შენი აზრით, სასიამოვნოა ამის მოსმენა?

– იცი, არ უნდა გეთქვა, რომ მე უნდა შემხვედროდი, – ისეთი ადამიანის გამომეტყველებით თქვა ჰერმიონმა, თითქოს მეტისმეტად ემოციურ ბავშვს მოთმინებით უხსნის, რომ ერთს მივუმატოთ ერთი ორიაო.

– მაგრამ... – ენა დაება ჰარის, – მაგრამ შენ ხომ მთხოვე, თორმეტზე შეგხვედროდი და ისიც წამომეყვანა. როგორ უნდა წამოვსულიყავი, თუ არაფერს ვეტყოდი?

– სხვანაირად უნდა გეთქვა, – აუხსნა ჰერმიონმა ისეთივე მოთმინებით, – შენ უნდა გეთქვა, რომ საშინლად წუხხარ, მაგრამ მე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაიძულე შემპირებოდი, რომ მოხვიდოდი „სამ ცოცხში“ და, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ გინდა იქ წასვლა და ოცნებობდი, მთელი დღე მასთან გაგეტარებინა, როგორც ჩანს, საუბედუროდ, მაინც მოგიწევს ჩემთან შეხვედრა და თუ ერთად მივალთ, იქნებ მალევე ჩამოვიცილოთო... და კიდევ, ცუდი არ იქნებოდა გეთქვა, რომ მე მახინჯი ვარ, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაამატა ჰერმიონმა.

– მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ მახინჯი ხარ, – გაოგნდა ჰარი.

ჰერმიონმა ჩაიცინა.

– ოჰ, ჰარი, შენ რონზე უარესი ხარ... თუმცა, არა, – ამოიოხრა, რადგან ამ დროს ტალახში ამოგანგლული და ძალიან უკმაყოფილო რონი შემოვარდა, – გაიგე, შენ აწყენინე ჩოს, როცა ჩვენი შეხვედრის შესახებ უთხარი. მან კი სედრიკი ახსენა, აინტერესებდა, იეჭვიანებდი თუ არა. უნდოდა ამით გაერკვია, გულგრილი ხარ თუ არა მის მიმართ.

– აი, თურმე რა ყოფილა! – თქვა ჰარიმ, როცა რონი სკამზე დაეხეთქა და თავისკენ მისწია ყველა კერძი, რომელსაც კი მისწვდა, – ვითომ უფრო ადვილი არ იყო, უბრალოდ ეკითხა ჩემთვის, ვინ უფრო მეტად მომწონს, შენ თუ ის?

– გოგონები ასეთ კითხვებს იშვიათად სვამენ...

– ძალიანაც ცუდი! მაშინ მეც უბრალოდ ვეტყოდი, რომ ის მომწონს და აღარ მოუხდებოდა ცრემლების ღვარღვარი სედრიკის გამო!

– მე არც მითქვამს, რომ გონივრულად მოიქცა, – თავისი აზრი დააზუსტა ჰერმიონმა, როცა ჯინი შეუერთდათ, რონივით ტალახიანი და მასავით ცხვირჩამოშვებული, – მე მხოლოდ ვცდილობ აგიხსნა, რას გრძნობდა მაშინ ჩო.

– წიგნი დაწერე, – ურჩია რონმა ჰერმიონს და კარტოფილი გაჭრა, – და აღწერე, თუ რას გრძნობენ გოგოები, როცა სულელურად იქცევიან. მაშინ ბიჭები, ბოლოს და ბოლოს, შეძლებენ მათ გაგებას!

– ზუსტად, – თქვა ჰარიმ და რეივენქლოელთა მაგიდას გახედა. ჩო ის-ის იყო ადგა და მისკენ არც გაუხედავს, ისე გავიდა დიდი დარბაზიდან. ჰარი ნირწამხდარი შებრუნდა რონისა და ჯინისკენ, – აბა, როგორ ჩაიარა ვარჯიშმა?

– საშინლად, – წაიბურდღუნა რონმა.

– მორჩი, – შეუტია ჰერმიონმა და ჯინის შეხედა, – დარწმუნებული ვარ, არც ისე...

– ზუსტად ეგრე, – ამოიოხრა ჯინიმ, – საშინელება იყო. ბოლოს ანჯელინამ კინაღამ იტირა.

ვახშმის შემდეგ რონი და ჯინი შხაპის მისაღებად წავიდნენ, ჰარი და ჰერმიონი კი გრიფინდორის სასტუმრო ოთახში თავიანთ საშინაო დავალებებს დაუბრუნდნენ. ჰარი უკვე ნახევარი საათის გან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მავლობაში ებრძოდა ვარსკვლავების ახალ რუკას ასტრონომიის გაკვეთილისთვის, როცა ოთახში ფრედი და ჯორჯი შემოვიდნენ.

– რონი და ჯინი არ არიან? – იკითხა ფრედმა, მიიხედ-მოიხედა და სკამი მიიწია. ჰარიმ თავი გააქნია, – ჰოდა, ძალიანაც კარგი, ვნახე, როგორ ვარჯიშობდნენ. აუცილებლად ჩაფლავდებიან. უჩვენოდ არაფრის მაქნისები არ არიან.

– კარგი რა, ჯინი არც ისე ცუდად თამაშობდა, – დიდსულოვნად შენიშნა ჯორჯმა და გვერდით მიუჯდა, – მართალი გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს, სად ისწავლა ასე თამაში, ჩვენ ხომ არასოდეს დაგვყავდა სავარჯიშოდ.

– ექვსი წლიდან, ბაღში რომ ფარდული გაქვთ, იქ დაძვრება. როგორც კი დროს იხელთებს, რიგრიგობით აგწაპნით ხოლმე ცოცხებს, – ამოსძახა ჰერმიონმა უძველესი რუნების შემსწავლელი სახელმძღვანელოების მოყანყალებული ზვინის უკნიდან.

– მართლა? – უნებური პატივისცემით თქვა ჯორჯმა, – მაშინ ყველაფერი გასაგებია.

– რონი? ერთი ბურთი მაინც დაიჭირა? – დაინტერესდა ჰერმიონი და „მაგიური იეროგლიფებისა და ლოგოგრამების“ წიგნის ზემოდან გახედა ტყუპებს.

– ამას მხოლოდ მაშინ ახერხებს, როცა ჰგონია, რომ არავინ უყურებს, – თქვა ფრედმა და თვალები ამოატრიალა, – ამიტომ მაყურებელს უნდა ვთხოვოთ, რომ შაბათს, როცა ქუაფლი მისკენ გაფრინდება, შებრუნდნენ და ერთმანეთში საუბარი გააბან.

ფრედი მოუსვენრად იყო. ფანჯარასთან მივიდა და ბინდბუნდს გახედა.

– მე თუ მკითხავთ, ქვიდიჩი ერთადერთია, რის გამოც ამ სკოლაში ყურყუტი ღირს.

ჰერმიონმა მკაცრად შეხედა.

– თქვენ მალე ტესტირება-ატესტაცია გაქვთ!

– ხომ გითხარი, **კატა** სულ არ მაწუხებს-მეთქი, – არხეინად თქვა ფრედმა, – აი, იმის დრო კი დადგა, საშატალოე საუზმე გასაყიდად გავიტანოთ. ჩვენ უკვე გავარკვიეთ, როგორ უნდა მოვიცილოთ ის მუწუკები: საკმარისია მარტლაფის ნაყენის რამდენიმე წვეთი. სხვათა შორის, ლის იდეაა...

ჯორჯმა დაამთქნარა და მოღუშული მიაშტერდა ღამის ღრუბლიან ცას.

– ისიც კი არ ვიცი, მინდა თუ არა ამ მატჩზე წასვლა. ზაქარია სმიტმა რომ დაგვამარცხოს, შეიძლება თავიც კი მოვიკლა.

– ჯობია, ის მოკლა, – მტკიცედ თქვა ფრედმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, რით არის ქვიდიჩი ცუდი: მტრობასა და შუღლს თესავს კლუბებს შორის, – განმარტა რუნების ტექსტში თავჩარგულმა ჰერმიონმა, თარგმნას თავი ანება და ჯადოქრის ლექსიკონს მიუბრუნდა. ფრედი, ჯორჯი და ჰარი გაოცებულები შეაცქერდნენ.

– ასე არ არის? – გამომწვევად იკითხა ჰერმიონმა, – ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თამაშია!

– ჰერმიონ, – ჰარიმ თავი გააქნია, – შენ, რა თქმა უნდა, უკეთ იცი რა და როგორ, როცა საქმე გრძნობებს ეხება, მაგრამ წარმოდგენაც კი არა გაქვს, რა არის ქვიდიჩი.

– შეიძლება ასეცაა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბედნიერება ნამდვილად არ არის დამოკიდებული რონის ბურთის დაჭერის უნარზე, – გაბრაზებით მიუგო ჰერმიონმა და თავის თარგმანს მიუბრუნდა.

და თუმცა ჰარი უმალ ობსერვატორიის კოშკიდან გადმოხტებოდა, ვიდრე ჰერმიონს დაეთანხმებოდა, მაგრამ შემდეგ შაბათს, თამაშს რომ უყურებდა, მზად იყო, მთელი გროვა გალეონებისა გაეღო, ოღონდ კი გულგრილი ყოფილიყო ქვიდიჩის მიმართ.

მატჩის ერთადერთი ღირსება მისი სწრაფად დამთავრება იყო: გრიფინდორის ქომაგთა წამება მხოლოდ ოცდაორ წუთს გაგრძელდა. ყველაზე უხეირო მოთამაშის სახელზე, ჰარის აზრით, თანაბრად აცხადებდნენ პრეტენზიას სამნი – რონი, რომელმაც ოცდაოთხი ბურთი გაუშვა; სლოუპერი, რომელიც ბლაჯერს უმიზნებდა, ჩოგანი კი ანჯელინას მოარტყა სახეში; და კერკი, რომელიც ღრიალით ჩამოვარდა ცოცხიდან, როცა მისკენ ქუაფლით ხელში ზაქარია სმიტი გაქანდა. რაღაც სასწაულით ჰაფლეპაფმა მხოლოდ ათი ქულით გაიმარჯვა: ჯინიმ ზედ ცხვირთან ააცალა სნიჩი ჰაფლეპაფელ სიკერ სამერბის, ასე რომ, საბოლოოდ თამაში ორას ორმოცით ორას ოცდაათზე დამთავრდა.

– მშვენიერი იყო, – უთხრა ჰარიმ თავის წითურთმიან მემკვიდრეს საერთო ოთახში, სადაც საპანაშვიდო განწყობა სუფევდა.

– ბედმა გამიღიმა, – მხრები აიჩეჩა ჯინიმ, – სნიჩი არც ისე სწრაფად მოფრინავდა, სამერბი კი გაცივებულია, უდროო დროს დააცემინა და თვალები დახუჭა. ყველა შემთხვევაში, როცა გუნდში დაბრუნდები...

– ჯინი, მე სამუდამოდ ამიკრძალეს თამაში.

– შენ არ ითამაშებ, სანამ სკოლაში ამბრიჯი იქნება, – შეუსწორა ჯინიმ, – ეს სხვა რამეა. ასე რომ, როცა დაბრუნდები, მე ბიტერობას ვსინჯავ. ანჯელინასა და ალისიასთვის ბოლო წელიწადია, მე კი გოლების გატანა უფრო მომწონს, ვიდრე სნიჩის დაჭერა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ რონს შეხედა, რომელიც კუთხეში მოკუნტული იჯდა, ხელში ბურბურახი ეჭირა და მუხლებს დაჰყურებდა.

– ანჯელინას მაინც არ უნდა მისი გაშვება, – თითქოს ჰარის ფიქრები წაიკითხა ჯინიმ, – დარწმუნებულია, რომ აქვს შესაძლებლობები.

ჰარი მადლიერი იყო ანჯელინასი, რონის მიმართ ასეთი რწმენა რომ ჰქონდა, თუმცა, ამავე დროს უფრო გულმოწყალებად ჩაუთვლიდა, თუ გუნდიდან წასვლის ნებას დართავდა. რონმა „მეფეა რონალდ უისლის“ მორიგი კუპლეტის აკომპანემენტის თანხლებით დატოვა მოედანი. თასისთვის ბრძოლაში ფავორიტებად ქცეული სლიზერინელები კი დიდი ენთუზიაზმით მღეროდნენ.

– გახუმრების სურვილიც კი დამეკარგა, – თქვა ფრედმა, თან რონის ნაღვლიან ფიგურას უყურებდა, – იცით, როცა ოცდამეოთხე ბურთი გაუშვა... – დასახრჩობად განწირული ლეკვივით აფართხალდა, – კარგი, სხვა დროს იყოს...

მალე რონი საძინებელში წალასლასდა. ჰარიმ მის გრძნობებს ანგარიში გაუწია და მაშინვე არ გაჰყოლია, რათა თავის მომძინარების საშუალება მიეცა. და მართლაც, როცა ჰარი ოთახში ავიდა, რონი ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ხვრინავდა. ეს რომ არა, მართლა შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეძინა. ჰარი ლოგინში ჩაწვა და მატჩზე ფიქრმა გაიტაცა. ძალიან მოეწონა ჯინის თამაში, მაგრამ ისიც იცოდა, რომ უფრო ადრე შეეძლო სნიჩის დაჭერა... იყო მომენტი, როცა სნიჩი კერკის კოჭებთან ფართხალებდა და ჯინის რომ ემარჯვა, გრიფინდორი გაიმარჯვებდა.

ამბრიჯი ჰარისა და ჰერმიონისგან რამდენიმე რიგით ქვევით იჯდა. ერთი-ორჯერ ტლანქად შემობრუნდა. ჰარის მოეჩვენა, რომ გომბეშოს ფართო პირი ბოროტი, მოზეიმე ღიმილით გასწელოდა. ახლა, სიბნელეში რომ გაახსენდა, ბრაზი მოერია. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მოაგონდა, რომ ძილის წინ გონება ყველაფერი ზედმეტისგან უნდა გაითავისუფლოს. სნეიპი ხომ გაუთავებლად უმეორებდა ამას, ოკლუმენციის ყოველი გაკვეთილის შემდეგ.

დამშვიდება სცადა, მაგრამ აღშფოთებულმა იმდენი იფიქრა სნეიპზე, მანამდე კი ამბრიჯზე, რომ სიბრაზემ აიტანა. ცოტა ხნის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ეზიზღება ორივე. რონის ხვრინვა თანდათან შესუსტდა და მძინარე ადამიანის ნელმა, ღრმა სუნთქვამ შეცვალა. ჰარი ძალიან იყო დაღლილი, მაგრამ კიდევ კარგა ხანს ვერ მოახერხა დაძინება. ბოლოს, როგორც იქნა, ჩასთვლიმა.

დაესიზმრა, თითქოს ნევილი პროფესორ სნეიპთან ერთად ვალსს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცეკვავდა „მიშველე-ოთახში“, პროფესორი მაკგონაგელი კი სტვირს უკრავდა. ჯერ სიამოვნებით უყურებდა მათ, მერე კი გადაწყვიტა, **და**-ს სხვა წევრების მოსაძებნად წასულიყო.

მაგრამ ოთახიდან რომ გამოვიდა, შეშლილი ბარნაბას პორტრეტის ნაცვლად კედელზე მიმაგრებული ანთებული ჩირაღდანი დაინახა. თავი ნელა მიაბრუნა მარჯვნივ. იქ, უფანჯრო, ყრუ დერეფნის ბოლოში, უბრალო შავი კარი იყო.

კარისკენ წავიდა. უცნაური გრძნობა ჰქონდა, ეგონა, რომ ამჯერად, ბოლოს და ბოლოს, ბედი გაუღიმებდა და კარის გაღებას მოახერხებდა... რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა, როცა კარის მარჯვენა ნახევრის ქვეშ სუსტი ცისფერი სინათლის ვიწრო ზოლი დაინახა... კარი ოდნავ იყო შეღებული... ხელი გაიშვირა, რომ გაეღო და...

რონმა ხმამაღლა, ერთი ლაზათიანად დაიხვრინა და ჰარის გაეღვიძა – ხელი იმ კარის გასაღებად დარჩა გაშვერილი, რომელიც აქედან რამდენიმე ასეული კილომეტრით იყო დაშორებული. დანაშაულისა და იმედგაცრუების შერეული გრძნობით ჩამოუვარდა ხელი. იცოდა, რომ არ უნდა ენახა ეს კარი, მაგრამ, ამავე დროს, ცნობისმოყვარეობა კლავდა და უნებურად ჯავრი მოსდიოდა რონზე, რომელმაც ხელი შეუშალა შეეხედა კარს მიღმა... ვითომ ძნელი იყო კიდევ ნახევარ წუთს არ დაეხვრინა?!

* * *

მეგობრები ორშაბათ დილით დიდ დარბაზში საფოსტო ბუებთან ერთად გამოცხადდნენ. ჰერმიონი ერთადერთი არ იყო, ვინც მოუთმენლად ელოდა „დილის მისნის“ ახალ ნომერს. ყველას ერთი სული ჰქონდა, გაეგო ახალი ამბები: გაქცეული „სიკვდილის მხვრელები“ ჯერაც ვერ დაეჭირათ. ჰერმიონმა ბუს ქისაში კნატი ჩაუგდო და სანამ ჰარი ფორთოხლის წვენს ისხამდა, სასწრაფოდ გაშალა გაზეთი. მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში ჰარის მხოლოდ ერთი წერილი მოუვიდა. ამიტომ, როცა მის წინ ბუ დაფრინდა, წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ეს შეცდომა იყო.

– შენ ვისთან ხარ? – ჰკითხა ბუს, ფრთებს ქვემოდან ზანტად გამოაცალა წვენით სავსე ჭიქა, წინ დაიხარა და წაიკითხა:

„ჰარი პოტერს.
დიდი დარბაზი,
ჰოგვორტსის სკოლა“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოლუშულმა ჰარიმ წერილის გამორთმევა ვერ მოასწრო, რომ კიდევ სამი, ოთხი, ხუთი ბუ დაჯდა მაგიდაზე. ერთმანეთს ავიწროებდნენ, კარაქში ყოფდნენ ფეხებს, სამარილეებს აპირქვავებდნენ: ყველას უნდოდა, თავისი წერილი პირველს ჩაებარებინა.

– ეს რა ხდება? – გაოცდა რონი. ყველა გრიფინდორელი მობრუნდა და ამ დროს კივილითა და ფრთების ფართხუნით მაგიდაზე კიდევ შვიდი ფოსტალიონი დაჯდა.

ჰარიმ ყვითელი კონვერტი გახია. იქიდან მჭიდროდ მოკეცილი „ქარაგმების“ მარტის ნომერი გადმოვარდა. ჰარიმ გაშალა და თავისი პორტრეტი დაინახა, პორტრეტზე ჰარი მორიდებით იღიმებოდა. ფოტოსურათის გასწვრივ დიდი წითელი ასოებით ეწერა:

ჰარი პოტერი, როგორც იქნა, ალაპარაკდა!

სიმართლე „მასზე, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“ და მის დაბრუნებაზე!

მე ეს საკუთარი თვალით ვიხილე

– კარგია, არა? – თქვა გრიფინდორელთა მაგიდასთან მისულმა ლუნამ და ფრედსა და რონს შორის ჩაეკვეხა, – გუშინ გამოვიდა და მამაჩემს ვთხოვე, ერთი უფასო ეგზემპლარი შენთვის გამოეგზავნა. ეს, ალბათ, მკითხველთა წერილებია, – ბუებისკენ გააქნია თავი, რომლებიც ამაყად დააბოტებდნენ ჰარის წინ, მაგიდაზე.

– მეც ასე ვიფიქრე, – მოუთმენლად თქვა ჰერმიონმა, – ჰარი, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ ჩვენ...

– რას ამბობთ, – თქვა ოდნავ შეფიქრიანებულმა ჰარიმ. რონმა და ჰერმიონმა მაშინვე დაიწყეს კონვერტების გახსნა.

– ამ ტიპს მიაჩნია, რომ საბოლოოდ გააფრინე, – თქვა რონმა, როცა წერილი ჩაათვალიერა, – კარგი...

– ეს ქალბატონი კი გირჩევს, შოკური შელოცვების კურსი ჩაიტარო წმინდა მუნგოს კლინიკაში, – იმედგაცრუებულმა თქვა ჰერმიონმა და მეორე წერილი დაჭმუჭნა.

– სამაგიეროდ, აქ თითქოს ცუდი არაფერია, – თქვა ჰარიმ, რომელიც ჯადოქარ პაისლის გრძელ წერილს კითხულობდა, – ოჰო! ამბობს, რომ სჯერა ჩემი!

– ეს კი ყოყმანობს, – თქვა ფრედმა, რომელმაც კონვერტების გახსნას სხვებთან ერთად დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი, – იწერება, რომ რაღაც არ ჰგავხარ შეშლილს, მაგრამ არ უნდა იმის დაჯერება, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის აღდგა. ამიტომ არ იცის, როგორ მოიქცეს. ფუ, შენი! ტყუილად გაუფუჭებია ამსიგრძე პერგამენტი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, კიდევ ერთი, ვინც დაგიჯერა, ჰარი! – სიხარულით ლამის ხტოდა ჰერმიონი, – „როგორც კი ამ ამბის თქვენეული ვერსია წავიკითხე, დავასკვენი, რომ „მისანი“ უკიდურესად უსამართლოდ მოგექცათ... მართალია, მაინცდამაინც არ მინდა დავიჯერო, რომ „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“, დაბრუნდა, მაგრამ, იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ სიმართლეს ამბობთ...“ ეს ხომ შესანიშნავია!

– ეს კი ამბობს, რომ უბრალოდ აჭარბებ, – თქვა რონმა და დაჭმუჭნილი წერილი გადააგდო, – სამაგიეროდ, აი, ეს იწერება, რომ შენს მრწამსზე მოაქციე და ახლა ნამდვილ გმირად მიაჩნიხარ... შეხედე, ფოტოსურათიც კი გამოგიგზავნა, ვაჰ, რა მაგარია!

– აქ რა ხდება? – მოისმა უკნიდან წვრილი, დამტკბარი ხმა. ჰარიმ კონვერტების გროვიდან ასწია თავი. ფრედსა და ლუნას პროფესორი ამბრიჯი წამოსდგომოდათ თავზე და გომბეშოს თვალებით ბუების მიერ განადგურებულ მაგიდას ათვალიერებდა. ამბრიჯის უკან ცნობისმოყვარე მოსწავლეთა მთელი ჯგუფი იდგა.

– ვინ გამოგიგზავნათ ამდენი წერილი, პოტერ? – დაინტერესდა ამბრიჯი.

– რა, წერილების მიღება დანაშაულია? – ხმამაღლა იკითხა ფრედმა.

– ფრთხილად, უისლი, თორემ გაკვეთილების შემდეგ მოგიწევთ დარჩენა. აბა, გისმენთ, პოტერ!

ჰარი შეყოყმანდა, მაგრამ ვეღარაფერს დამალავდა – ადრე თუ გვიან ამბრიჯს „ქარაგმები“ მაინც მოხვდებოდა თვალში.

– ხალხი მწერს იმიტომ, რომ ინტერვიუ მივეცი იმის თაობაზე, თუ რა შემემთხვა შარშან ივნისში, – მოახსენა ჰარიმ.

ამას რომ ამბობდა, უნებურად მასწავლებელთა მაგიდისკენ გააპარა თვალი. ჰარის უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს წამის წინ დამბლდორი უყურებდა, მაგრამ დირექტორს რომ შეხედა, დარწმუნდა, რომ ის პროფესორ ფლიტვიკთან საუბარში იყო გართული.

– ინტერვიუ? – გაიმეორა ამბრიჯმა ჩვეულებრივზე უფრო წვრილი და საზიზღარი ხმით, – რას გულისხმობთ?

– იმას ვგულისხმობ, რომ რეპორტიორი შეკითხვებს მისვამდა, მე კი ვპასუხობდი, – აუხსნა ჰარიმ, – აი, ასე...

და მან „ქარაგმების“ ნომერი ამბრიჯს გადაუგდო. ამბრიჯმა დაიჭირა და გარეკანს დააცქერდა. გაცრეცილ დონდლო სახეზე საზიზღარი იისფერი ლაქები დააჩნდა.

– როდის მოასწარით? – იკითხა ოდნავ დაწეული ხმით.

– ვალენტინის დღეს, ჰოგსმიდში, – თქვა ჰარიმ.

ამბრიჯმა გაცოფებულმა შეხედა. კოტიტა თითებში ჟურნალი ცახცახებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამის შემდეგ აღარ წახვალთ ჰოგსმიდში, პოტერ, – წაისისინა ამბრიჯმა, – როგორ გაბედეთ... როგორ... – ღრმად ჩაისუნთქა, – როგორ არ ვცდილობდი, ტყუილს გადამეჩვიეთ. როგორც ჩანს, დღემდე ვერ შეითვისეთ გაკვეთილი. ორმოცდაათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, თქვენ კი დამატებითი მეცადინეობა ერთი კვირის განმავლობაში.

გაცოფებულმა ამბრიჯმა „ქარაგმები“ ჩაბღუჯა, შებრუნდა და წავიდა. ბავშვებმა თვალი გააყოლეს.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მთელ სკოლაში გიგანტური განცხადებები გააკრეს. არა მარტო კლუბების საერთო ოთახების სტენდებზე – დერეფნებშიც, საკლასო ოთახებშიც.

ჰოგვორტსის გენერალური დირექტორის ბრძანება

ნებისმიერი მოსწავლე, რომელიც მხილებულ იქნება ჟურნალ „ქარაგმების“ შენახვაში, დაუყოვნებლივ გაირიცხება სკოლიდან.

ხსენებული ბრძანების საფუძველია განათლების შესახებ დეკრეტი № 27.

ხელმოწერილია: დოლორეს ჯეინ ამბრიჯი, გენერალური ინსპექტორი.

ყოველთვის, როცა კი ჰერმიონი თვალს შეავლებდა ამ განცხადებას, პირდაპირ სიამოვნებისგან იფურჩქნებოდა.

– ნეტავ რა გახარებს? – ვერ მოითმინა ჰარიმ.

– ნუთუ ვერ ხვდები? – გაუკვირდა ჰერმიონს, – ძალიან რომ მოენდომებინა, სკოლაში უკლებლივ ყველა ბავშვს წაეკითხა ეს ჟურნალი, აკრძალვაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა!

ჰერმიონს არ ეშლებოდა. მართალია, ჰარის ერთხელაც არ დაუნახავს აკრძალული ჟურნალი, მაგრამ საღამოს უკვე ყველანი ერთმანეთს მხოლოდ მისი ინტერვიუს ნაწყვეტებს უყვებოდნენ. ჰარის ესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ მეცადინეობის წინ დერეფნებში, სადილზე და გაკვეთილებზეც კი. ჰერმიონმა კი უძველესი რუნებისადმი მიძღვნილი ლექციის წინ გოგონების ტუალეტიდან ამბავი მოიტანა, ყველა კაბინაში მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენო.

– მერე მე დამინახეს, – ცხადია, იციან, რომ გიცნობ, – და შეკითხ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვები დამაყარეს, – უყვებოდა თვალებგაბრწყინებული, – სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ შენი სჯერათ!

ამასობაში პროფესორი ამბრიჯი დერეფნებში მიდი-მოდიოდა, მოსწავლეებს აჩერებდა და აიძულებდა, წიგნები ჩანთიდან ამოეღოთ და ჯიბეები ამოებრუნებინათ. ჰარიმ იცოდა, რომ ამბრიჯი აკრძალულ ჟურნალს ეძებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა – ბავშვები ასწრებდნენ ინტერვიუს ფურცლების შელოცვას, ასე რომ, იქ სახელმძღვანელოებიდან ამოღებულ ნაწყვეტებს თუ წაიკითხავდა კაცი. ზოგი კი ჟურნალს სუფთა ფურცლებად აქცევდა და მაშინღა ხსნიდა შელოცვას, როცა ინტერვიუს გადაკითხვა მოუნდებოდა.

მასწავლებლებს განათლების შესახებ N 26 დეკრეტის თანახმად აკრძალული ჰქონდათ ინტერვიუს ხსენება, თუმცა, მაინც პოულობდნენ საშუალებას თავინთი გრძნობები გამოეხატათ. პროფესორმა სპრაუტმა გრიფინდორელები ოცი ქულით დაასაჩუქრა, როცა ჰარიმ ბაღის სარწყავი მიაწოდა. სახეგაბადრულმა პროფესორმა ფლიტვიკმა შელოცვის გაკვეთილის ბოლოს ხელებში ჩაუდო აწრუწუნებული შაქრის თაგვები, უთხრა, „ჩუო," და სწრაფად გაშორდა. პროფესორი ტრელოუნი კი თავის გაკვეთილზე ისტერიულად აქვითინდა და გაოცებულ კლასსა და ძალიან უკმაყოფილო ამბრიჯს განუცხადა: ჰარი არათუ არ მოკვდება ახალგაზრდა ასაკში, ღრმად მოხუცებულობამდე იცოცხლებს და მაგიის მინისტრი და თორმეტი შვილის მამა გახდებაო.

მაგრამ ჰარიმ ნამდვილად ბედნიერად მეორე დღეს იგრძნო თავი, როცა ჩო ტრანსფიგურაციის გაკვეთილის წინ დერეფანში დაეწია. გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ გოგონას ხელი მის ხელში აღმოჩნდა, ტუჩებმა კი ყურში წასჩურჩულეს:

„მაპატიე, თუ შეგიძლია. ასეთი ინტერვიუს მიცემას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა... რომ წავიკითხე, ტირილი ამივარდა". ჰარის იმაზე დასწყდა გული, რომ ჩოს კიდევ ერთი ულუფა ცრემლის დაღვრა მოუხდა, მაგრამ იმან გაახარა, რომ ისევ დაელაპარაკნენ ერთმანეთს. ხოლო, როცა ჩომ სწრაფად აკოცა ლოყაზე და ასევე სწრაფად გაეცალა, ნეტარების მწვერვალზე იგრძნო თავი. ტრანსფიგურაციის კაბინეტამდე რომ მიაღწია, ასეთივე შესანიშნავი და წარმოუდგენელი რამ მოხდა: თანაკურსელების ჯგუფს სიმუსი გამოეყო და მასთან მივიდა.

– მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ მჯერა შენი, – წაიბუტბუტა და ჰარის მარცხენა მუხლს დააშტერდა, – ჟურნალი დედასაც გავუგზავნე.

თუკი ჰარის სრული ბედნიერებისთვის კიდევ სჭირდებოდა რამე,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს მალფოის, კრაბისა და გოილის რეაქცია იყო. იმავე დღეს, საღამოს, ჰარიმ ისინი ბიბლიოთეკაში დაინახა. ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ და ჩუმად ლაპარაკობდნენ. მათთან კიდევ ერთი გამხდარი ბიჭი იყო. ჰერმიონმა უჩურჩულა, ეს თეოდორ ნოტიაო. ოთხივემ ჰარისკენ გაიხედა, როცა ის თაროზე ნაწილობრივი გაუჩინარების ინსტრუქციების წიგნს ეძებდა. გოილმა მუქარით გაატკაცუნა თითები, მალფოი კი გაავებული ჩასჩურჩულებდა რაღაცას კრაბს. ჰარიმ მშვენივრად იცოდა, რატომ იქცეოდნენ ასე: მათი მამები „სიკვდილის მხვრელებში“ დაასახელა.

– ყველაზე სასაცილო კი ის არის, – აღტაცებული ამბობდა ჰერმიონი, როცა ბიბლიოთეკიდან გამოვიდნენ, – რომ უარყოფასაც ვერ ბედავენ – ეს ხომ იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ აკრძალული ინტერვიუ წაიკითხეს!

ეს ყველაფერი კი იმით დაგვირგვინდა, რომ ლუნამ ვახშამზე უთხრა: „ქარაგმების“ ნომერი ასე სწრაფად არასოდეს გაყიდულაო.

– მამა დამატებით ტირაჟს ბეჭდავს! – ლუნამ აგზნებულმა გადმოკარკლა თვალები, – წარმოგიდგენია, ხალხს შენ უფრო აინტერესებ, ვიდრე რქაგრეხილი ციკლოპები!

იმ საღამოს გრიფინდორელთა ოთახში ჰარის ისე შეხვდნენ, როგორც გმირს. ფრედმა და ჯორჯმა თავხედურად გაადიდეს ჟურნალის გარეკანი, შეულოცეს და კედელზე დაკიდეს. ასე რომ, ჰარის გიგანტური თავი იქ მყოფთ თვალს მოავლებდა ხოლმე და ომახიანად დაიძახებდა: „სამინისტროში მხოლოდ იდიოტები არიან!“ ან: „ნეხვის გუდასავით გასკდი, ამბრიჯ“. ჰერმიონმა ეს მაინცდამაინც კარგ ხუმრობად არ ჩათვალა, გაღიზიანებულმა თქვა, აზრების მოკრების საშუალებას არ მაძლევენო და ადრე წავიდა დასაძინებლად. ერთიორი საათის შემდეგ ხუმრობა ჰარისაც მოსწყინდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა შელოცვა შესუსტდა და პლაკატზე გამოსახული თავი შემცირებული ინტერვალებითა და სულ უფრო მკივანა ხმით ცალკეულ სიტყვებსღა ისროდა: „ამბრიჯ!“ ანდა „იდიოტები!“ ბოლოს და ბოლოს, ჰარის თავი ასტკივდა, ნაიარევმა კი უსიამოვნოდ დაუწყო წიწკნა. ბიჭები კიდევ სთხოვდნენ, ჰოგსმიდში გატარებული ის ღირსშესანიშნავი დღე უკვე მეასედ აღეწერა, მაგრამ მან გამოაცხადა, რომ მეც ადრე უნდა დავწვეო, და ბიჭების საძინებლისკენ აუყვა კიბეს.

საძინებელში არავინ დახვედრია. ნაიარევის წვა რომ გაეყუჩებინა, წუთით შუბლით ფანჯრის მინას მიეკრა. მერე გაიხადა და დაწვა. ერთი სული ჰქონდა, როდის გაუვლიდა თავის ტკივილი. თან ოდნავ გულიც ერეოდა. გვერდზე გადაბრუნდა, თვალები დახუჭა და იმწამსვე ჩაეძინა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბნელ, ფარდებჩამოფარებულ ოთახში იდგა. ერთადერთ კანდელაბრში ენთო სანთლები. ხელებით სკამის ზურგს ეყრდნობოდა და მაგრად უჭერდა. გრძელი და თეთრი თითები ჰქონდა, თითქოს თავის დღეში მზეს არ დაუხედავსო. მუქი ხავერდის გადასაფარებლის ფონზე ფერმკრთალ ობობას მიუგავდა.

წინ, კანდელაბრის ქვეშ, შავმანტიიანი კაცი დაჩოქილიყო.

– ესე იგი, არასწორად მითხრეს, – თქვა ჰარიმ მკივანა, ცივი, რისხვაგარეული ხმით.

– ჩემო ბატონო, გთხოვთ მაპატიოთ, – დაიჩხავლა ერთიანად აცახცახებულმა დაჩოქილმა კაცმა, მოტვლეპილი კეფა სანთლების ცივ შუქზე ულაპლაპებდა.

– მე შენ არ გადანაშაულებ, რუკვუდ, – თქვა ჰარიმ ისევ ცივად და მკაცრად.

სკამს ხელი უშვა, შემოუარა და იატაკზე მობუზულ კაცს თავზე დაადგა. სიბნელეში როგორღაც ჩვეულებრივზე უფრო მაღლიდან დაჰყურებდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი სწორედ ასეა, რუკვუდ? – ჰკითხა ჰარიმ.

– დიახ, მილორდ, დიახ... მე ხომ თვითონ ვმუშაობდი ამ დეპარტამენტში...

– ეივერი მეუბნებოდა, ბოუდს შეუძლია იქიდან გამოიტანოსო.

– ბოუდი ვერასოდეს გამოიტანდა, ბატონო... მას უნდა სცოდნოდა ეს... ბოუდი სწორედ ამიტომაც უწევდა წინააღმდეგობას მალფოის მიერ დადებულ იმპერიუსის წყევლას...

– ადექი, რუკვუდ, – დაიჩურჩულა ჰარიმ.

დაჩოქილი კინაღამ დაეცა, ისე იჩქარა ბრძანების შესრულება. სახე ნაყვავილარი ჰქონდა, ნაკენკი ადგილები მკვეთრად ჩანდა კანდელაბრის შუქზე. ფეხზე წამომდგარიც კი ბოლომდე ვერ გაიმართა, ნახევრად მოკაკული გაშეშდა და ჩუმად აპარებდა შეშინებულ მზერას ზევით, ჰარისკენ.

– კარგად მოიქეცი, რომ მითხარი, – შეაქო ჰარიმ, – რას იზამ... როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ დავკარგე ამდენი თვე... თუმცა, არა უშავს... ახლა თავიდან დავიწყებთ. შენ ლორდ ვოლდემორის მადლობა დაიმსახურე, რუკვუდ...

– ო, მილორდ... გმადლობთ, მილორდ! – ძლივს ამოთქვა რუკვუდმა, ეტყობა, ცოტა მოეშვა გულზე.

– მე შენი დახმარება დამჭირდება, ყველანაირი ინფორმაცია დამჭირდება, რომელსაც კი მოიპოვებ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, მილორდ, რა თქმა უნდა... ყველაფერი, რასაც ინებებთ...

– ძალიან კარგი... ახლა შეგიძლია, წახვიდე და ეივერი გამომიგზავნო.

რუკვუდი წელში მოხრილი უკან-უკან წავიდა და კარს იქით გაუჩინარდა.

ოთახში მარტო დარჩენილი ჰარი კედლისკენ შებრუნდა. იქ, ჩრდილში, დალაქავებული, გაბზარული სარკე ეკიდა. ჰარიმ სარკისკენ გადადგა ნაბიჯი. მისი ანარეკლი გაიზარდა და უფრო ნათლად გამოიკვეთა ნახევრად ბნელში... სახე თავის ქალაზე უფრო თეთრი ჰქონდა... ორმოებში ჩასმული წითელი თვალები გუგების ნაცვლად...

– არა-ა-ა-ა-ა!

– რა მოხდა? – იკივლა ვიღაცამ გვერდით.

ჰარიმ განწირულივით ააფართხალა ხელები, საწოლის ფარდაში გაიხლართა და ძირს გადმოვარდა. რამდენიმე წამს ვერც კი მიხვდა, სად იყო. ეგონა, სადაცაა სიბნელიდან თეთრი, თავის ქალის მსგავსი სახე გამოხედავდა. სწორედ ამ დროს სულ ახლოს რონის ხმა მოესმა:

– თუ შეშლილივით ფართხალს მორჩები, მანდედან გამოგათრევ!

რონმა ფარდა ჩამოგლიჯა და ჰარი მთვარის შუქზე შეაცქერდა რონს. ზურგზე იწვა, ნაიარევი საშინლად სტკიოდა. რონი, როგორც ჩანს, დასაძინებლად ემზადებოდა, ცალი მკლავი უკვე გამოეყო მანტიიდან.

– ისევ ვინმეს დაესხნენ თავს? – ჰკითხა და ფეხზე წამოაყენა, – მამაჩემს? ისევ ის გველი?

– არა... ყველა კარგად არის... – წაიბუტბუტა ჰარიმ. შუბლზე ცეცხლი ეკიდა, – ისე... არ ვიცი, რა დაემართება ეივერის... ცრუ ინფორმაცია მიაწოდა... ვოლდემორი განრისხებულია...

ჰარიმ დაიკვნესა და ილაჯგაწყვეტილი დაეშვა ლოგინზე. იჯდა აკანკალებული და ნაიარევს იზელდა.

– მაგრამ რუკვუდი აპირებს დაეხმაროს... ახლა ის ისევ სწორ გზაზე დგას...

– რაზე ლაპარაკობ? – შეშინებულმა ჰკითხა რონმა, – შენ გინდა თქვა... რომ ეს-ეს არის ჩვენ-რომ-ვიცით, ის ნახე?

– მე ის ვიყავი, – თქვა ჰარიმ, სიბნელეში ხელები წინ გაიწოდა და მერე თვალებთან მიიტანა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ისეთივე მკვდრისფერი არ ედო და არც ძალიან გრძელი თითები ჰქონდა, – ის რუკვუდთან ლაპარაკობდა. რუკვუდი „სიკვდილის მხვრელია“, ისიც აზკაბანიდან გაიქცა, ხომ გახსოვს! რუკვუდმა ახლახან უთხრა, რომ ბოუდი ვერ მოახერხებდა ამას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რას „ამას“?

– რაღაცის აღებას... რუკვუდმა თქვა, ეივერის უნდა სცოდნოდა, რომ ბოუდი ვერასოდეს გამოიტანდა იმ რაღაცას... ბოუდი იმპერიუსის წყევლით შეკრეს... მე მგონი, იმან თქვა, რომ ეს მალფოის ნახელავია.

– ბოუდი მოაჯადოვეს, რომ რაღაც ნივთი აეღო? – იკითხა რონმა, – მაგრამ... ჰარი, ეს ალბათ...

– სწორედ ის იარაღია, – მის მაგივრად დაასრულა ჰარიმ, – ვიცი.

საძინებლის კარი გაიღო. დინი და სიმუსი შემოვიდნენ. ჰარი ისევ დაწვა ლოგინზე და მოიკუნტა. რადგან სიმუსმა სულ ცოტა ხნის წინათ ირწმუნა, რომ შეშლილი არ იყო, ალბათ, არ ღირდა გაეგო, რომ აქ განსაკუთრებული რაღაც მოხდა.

– შენ თქვი, რომ, – წაიბუტბუტა რონმა, მისკენ დაიხარა და თვალის ასახვევად ტუმბოზე მდგარი გრაფინიდან წყალი დაისხა, – რომ თვითონ იყავი ჩვენ-რომ-ვიცით, ის?

– ჰო, – ხმადაბლა თქვა ჰარიმ.

რონმა კანკალით მოიყუდა ჭიქა. ჰარიმ შენიშნა, როგორ ჩამოეღვარა წყალი ნიკაპსა და მკერდზე.

სანამ დინი და სიმუსი ხმაურით ემზადებოდნენ დასაწოლად, რონმა ჩურჩულით უთხრა:

– ჰარი, ვალდებული ხარ, მოჰყვე.

– არაფერი ვალდებულიც არა ვარ, – გადაჭრით იუარა ჰარიმ, – ოკლუმენცია რომ ამეთვისებინა, მსგავსს ვერაფერს ვნახავდი. იმათ ხომ უნდოდათ, გონება გამეთიშა.

სიტყვა „იმათში“ ჰარი დამბლდორს გულისხმობდა. გადაბრუნდა და გაიგონა, როგორ გაიჭრიალა მეგობრის საწოლმა – რონიც დაწვა. მალე ნაიარევი ისევ აეწვა და იძულებული გახდა, ბალიშის კუთხეს ჩაჰფრენოდა კბილებით, რომ კვნესა ჩაეხშო. იცოდა, სადღაც ეივერის აწამებდნენ.

* * *

მეორე დილით ჰარიმ და რონმა შესვენებამდე მოიცადეს, მერე ჰერმიონი ეზოში, მოფარებულ ადგილას გაიყვანეს, რომ არავის გაეგონა და იქ ჰარიმ სულ წვრილად უამბო წუხანდელი სიზმარი. როცა დაამთავრა, ჰერმიონი ერთხანს ჩუმად იყო, ჩაფიქრებული გაჰყურებდა ეზოს მოპირდაპირე მხარეს ფრედსა და ჯორჯს; ორივე უთავოდ იყო და თავიანთი ჯადოსნური შლაპებით ვაჭრობდნენ. ბოლოს და ბოლოს თვალი მოსწყვიტა ტყუპებს და ხმადაბლა თქვა:

– აი, თურმე რატომ მოკლეს. როცა ბოუდი იმ იარაღის მოპარვას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეეცადა, მას რაღაც დაემართა. ვფიქრობ, ეს იარაღი მოჯადოებულია და ხელის ხლება არ შეიძლება. ამიტომაც მოხვდა ბოუდი წმინდა მუნგოს კლინიკაში – მეხსიერებადაკარგული და ენაწართმეული. მაგრამ გახსოვთ, რა გვითხრა მკურნალმა? მისი მდგომარეობა უმჯობესდებაო. იმათ კი არ უნდოდათ მისი გამოჯანმრთელება, ხომ ასეა? ამ იარაღთან შეხებისას გადატანილ შოკს შეეძლო მალფოის მიერ დადებული ჯადოსთვის ძალა დაეკარგა. ლაპარაკის უნარი რომ დაბრუნებოდა, ხომ შეეძლო ყველაფერი მოეყოლა, რასაც აკეთებდა? და ყველა გაიგებდა, რომ ის იარაღის მოსაპარად გაგზავნეს. რა თქმა უნდა, ლუციუს მალფოის სულაც არ გაუჭირდებოდა ჯადოს შეკვრა – დღედაღამ ხომ სამინისტროშია!

– ჩემი მოსმენის დღესაც იქ იყო, – გაიხსენა ჰარიმ, – მოიცა... ის ხომ საიდუმლოებების დეპარტამენტის დერეფანში იდგა! მამაშენმა მითხრა, ალბათ იმის გაგება უნდოდა, რით დასრულდა შენი საქმის განხილვაო. მაგრამ...

– სტარჯისი! – თითქოს მეხი დაეცაო, ისე ამოიხრიალა ჰერმიონმა.

– რას ამბობ? – ვერ მიუხვდა რონი.

– სტარჯის პოდმორი აკრძალულ კარში შესვლის მცდელობისთვის დააპატიმრეს! – სასწრაფოდ განმარტა ჰერმიონმა, – ალბათ, ისიც ლუციუსმა მოაჯადოვა! ნაძლევს ჩამოვალ, რომ ეს იმ დღეს გააკეთა, როცა შენ ნახე, ჰარი. სტარჯისს მუდის უჩინმაჩინის მოსასხამი ჰქონდა, არა? ხომ შეიძლება, ის იქ იმ კარის დარაჯად იდგა მოსასხამში გახვეული, მალფოიმ კი გაიგონა, როგორ გაინძრა... ან იქნებ მიხვდა, რომ იქ ვიღაც იყო... ანდა სულაც ყოველი შემთხვევისთვის გამოიყენა იმპერიუსის წყევლა, იქნებ ვინმე გაებასო! და როცა სტარჯისს ისევ მიეცა საშუალება... უფრო სწორად, როცა ისევ დადგა მისი მორიგეობის ჯერი, აი, მაშინ სცადა დეპარტამენტში შეღწევა, რათა ვოლდემორისთვის იარაღი მოეპარა... დამშვიდდი, რონ... მაგრამ დაიჭირეს და აზკაბანში გაგზავნეს... – ჰერმიონმა ჰარის გადიდებული თვალებით შეხედა, – ახლა კი, ეტყობა, რუკვუდმა აუხსნა ვოლდემორს, როგორ შეიძლება ამ იარაღის გამოტანა...

– მთელი საუბარი არ მომისმენია, მაგრამ ეგრე უნდა იყოს,

– თქვა ჰარიმ, – რუკვუდი ხომ იქ მუშაობდა... ხომ შეიძლება, ახლა ვოლდემორმა სწორედ ის გაგზავნოს იარაღის მოსაპარად?

ჰერმიონმა თავი დაუქნია, ისევ თავის ფიქრებში იყო ჩაფლული. მერე უცებ გადაჭრით თქვა:

– მაგრამ შენ ეს ყველაფერი არ უნდა გენახა, ჰარი.

– რა? – განცვიფრდა ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ დაგავალეს, რომ ამგვარი რაღაცეებისგან გონების დაცვა გესწავლა, – შეახსენა ჰერმიონმა მკაცრი ტონით.

– ვიცი, – უპასუხა ჰარიმ, – მაგრამ...

– ასე რომ, ჩემი აზრით, უნდა შევეცადოთ, რაც ნახე, დავივიწყოთ, – მტკიცედ თქვა ჰერმიონმა, – შენ კი მეტი გულისყურით უნდა მოეკიდო ოკლუმენციის გაკვეთილებს.

შემდეგ დღეებში კარგი არაფერი მომხდარა. ჰარიმ კიდევ ორი „ც“ მიიღო შხამ-წამლებში; ისევ იტანჯებოდა გაურკვევლობით; ისევ ფიქრობდა ჰაგრიდის ბედზე... რონთან და ჰერმიონთან აღარ საუბრობდა თავის სიზმარზე, მაგრამ მაინც ვერაფრით ახერხებდა იმის დავიწყებას, რომ ვოლდემორი თვითონ იყო. ძალიან უნდოდა, სირიუსისთვის გაენდო ყველაფერი, მაგრამ ეს შეუძლებელი ჩანდა, ამიტომ ჰარი შეეცადა, სიზმარი მეხსიერების კუნჭულში შეემალა.

საუბედუროდ, ეს კუნჭულებიც აღარ იყო უწინდებურად საიმედო საცავი.

– ადექით, პოტერ.

სიზმრიდან ორიოდე კვირის შემდეგ ჰარიმ ისევ აღმოაჩინა, რომ დაჩოქილი იდგა სნეიპის კაბინეტში და აზრების მოკრებას ცდილობდა. სნეიპმა ახლახან გააღვიძა მასში ადრეული მოგონებების მთელი წყება, რომელიც ჰარისთვისაც კი საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზად იქცა. მეტი წილი მის დამცირებასთან იყო დაკავშირებული, რომელიც დადლისა და მისი ძმაკაცების გამო გადაიტანა დაწყებით სკოლაში.

– რას ეხება თქვენი უკანასკნელი მოგონება? – ჰკითხა სნეიპმა.

– არ ვიცი, – უპასუხა ჰარიმ დაღლილი ხმით და წამოდგა. სულ უფრო და უფრო უჭირდა ერთმანეთთან დაკავშირებული სურათებისა თუ სცენების გამოყოფა ხმებისა და სახეების ნაკადიდან, რომელიც თავს დაატყდებოდა ხოლმე სნეიპის ჯადოსნური ჯოხის აქნევისას, – თქვენ იმას გულისხმობთ, როგორ მკეტავდა ტუალეტში ჩემი დეიდაშვილი?

– არა, – რბილად თქვა სნეიპმა, – მე ბნელ ოთახში დაჩოქილ კაცს ვგულისხმობ...

– ა, ეს?.. არაფერს, – თქვა ჰარიმ.

სნეიპის შავი თვალები ლურსმანივით ჩაერჭო ჰარის. მას მაშინვე პროფესორის სიტყვები გაახსენდა, რომ მხედველობით კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლეგილიმენციაში და სასწრაფოდ აარიდა თვალი.

– როგორ აღმოჩნდა ეს კაცი და ეს ოთახი თქვენს გონებაში, პოტერ? – ჰკითხა სნეიპმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს... – თქვა ჰარიმ, თან ცდილობდა, თვალებში არ შეეხედა სნეიპისთვის, – ეს უბრალოდ... სიზმარია...

– სიზმარი? – ჩაეძია სნეიპი.

ერთხანს ორივე ჩუმად იყო. ჰარი დაჟინებით მიშტერებოდა მოწითალოსითხიან ქილაში მოცურავე მკვდარ ბაყაყს.

– ხომ იცით, რისთვისაც ვართ აქ, პოტერ? – თქვა სნეიპმა ჩუმი, მუქარაგარეული ხმით, – ხომ იცით, რატომ ვწირავ ჩემს საღამოებს ამ მოსაწყენ სამუშაოს?

– დიახ.

– აბა, შემახსენეთ, რატომ ვართ აქ, პოტერ.

– იმიტომ, რომ ოკლუმენციას უნდა დავეუფლო, – თქვა ჰარიმ და ახლა მკვდარ გველთევზას დააცქერდა.

– მართალია, პოტერ. და თქვენნაირი შტერიც კი – ჰარიმ ვერ შეიკავა თავი და სიძულვილით შეხედა სნეიპს, – ორთვენახევრის მანძილზე რაღაცას მაინც ისწავლიდა. კიდევ რამდენი სიზმარი ნახეთ ბნელ ბატონზე?

– მხოლოდ ეს, – იცრუა ჰარიმ.

– იქნებ, – სნეიპმა ოდნავ მოჭუტა ცივი და შავი თვალები, – იქნებ, უბრალოდ მოგწონთ ეს სიზმრები, პოტერ. იქნებ მათი წყალობით გეჩვენებათ, რომ რაღაც განსაკუთრებული ხართ?

– არა, არ მეჩვენება, – კბილებში გამოსცრა ჰარიმ და კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი ჯადოსნურ ჯოხს.

– ცხადია, ასეც უნდა იყოს, – ცივად თქვა სნეიპმა, – იმიტომ, რომ თქვენში მართლაც არაფერია განსაკუთრებული და სულაც არ არის თქვენი საქმე უსმინოთ, რას ეუბნება ბნელი ბატონი თავის „სიკვდილის მხვრელებს“.

– რა თქმა უნდა, ეს თქვენი საქმეა, ასე არ არის? – მიახალა ჰარიმ.

სულაც არ აპირებდა ამის თქმას, უნებურად წამოსცდა, რადგან მეტისმეტად იყო გაღიზიანებული. კარგა ხანს ერთმანეთს ხვრეტდნენ თვალებით. ჰარი გრძნობდა, რომ შორს შეტოპა, მაგრამ, როცა სნეიპმა დაილაპარაკა, სახეზე უცნაური, თითქმის კმაყოფილი გამომეტყველება ეკერა.

– დიახ, პოტერ, – თქვა თვალების კვესებით, – ეს ჩემი საქმეა. ახლა კი, თუ მზად ხართ, თავიდან დავიწყოთ, – სნეიპმა ჯოხი შემართა, – ერთი... ორი... სამი... ლეგილიმენს!

ასამდე დემენტორი მოსრიალებდა ჰარისკენ ტბის ზედაპირზე... ძლივძლივობით იკრებდა ძალებს... ისინი ახლოვდებოდნენ... უკვე მოჩანდა ბნელი ნაპრალები კაპიუშონების ქვეშ... ამავე დროს, სნეიპსაც ხედავდა, რომელიც მის წინ იდგა, სახეში შესცქეროდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და რაღაცას დუდღუნებდა... და რატომღაც სნეიპი სულ უფრო მკვეთრად ჩანდა, დემენტორები თითქოს გალღვნენ...

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი შემართა და შესძახა:

– პროტეგო!

სნეიპი შებარბაცდა, ჯადოსნური ჯოხის წვერი ზევით აუვარდა, ჰარისკენ აღარ იყო მიმართული. და უცებ ჰარის გონებაში აენთო მოგონება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა: მოკაუჭებულცხვირიანი მამაკაცი მობუზულ ქალს დაჰყვიროდა, პატარა ბიჭი კი კუთხეში ტიროდა... გაზიპულთმიანი ყმაწვილი მარტო იჯდა საძინებელში და ჯადოსნური ჯოხით ჭერიდან ყრიდა ბუზებს... ვიღაც გოგო დასცინოდა გამხდარ ბიჭს, რომელიც აცუნდრუკებულ ცოცხზე დაჯდომას ცდილობდა...

– საკმარისია!

ჰარის თითქოს მთელი ძალით ჰკრეს ხელი მკერდში. უკან წაბარბაცდა და კედლის გასწვრივ ჩარიგებულ თაროებს დაეჯახა. გაიგონა, როგორ გაიბზარა რაღაცა. სნეიპი საშინლად ფერდაკარგული იდგა და ოდნავ თრთოდა.

ჰარის ზურგზე მანტია დაუსველდა. თაროებთან დაჯახებისას, ერთი ქილა გაბზარულიყო და სითხე მოწვეთავდა.

– რეპარო, – წაისისინა სნეიპმა და ბზარი ქილაზე მაშინვე გაქრა, – კეთილი, პოტერ, ეტყობა, როგორც იქნა, რაღაც შეგაგნებინეთ... – სნეიპი მძიმედ სუნთქავდა. საფიქრელა გაასწორა – თითქოს ამოწმებდა, ისევ ადგილზე იყო თუ არა ყველა მოგონება, რომლებიც გაკვეთილის დაწყებამდე შეინახა, – არ მახსოვს, გირჩიეთ თუ არა დაცვითი შელოცვების გამოყენება... თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ეფექტური გამოდგა... ჰარი ჩუმად იყო. გრძნობდა, ახლა ხმის ამოღება საშიში იყო. მიხვდა, რომ სნეიპის გონებაში შელწევა მოახერხა და იქ მისი ბავშვობის სცენები დაინახა. შემაშფოთებელი იყო იმის შეგნება, რომ ის მტირალა ბიჭუნა, რომელიც უყურებდა, როგორ უყვიროდნენ ერთმანეთს მშობლები, ახლა მის წინ იდგა

ასეთი შეუფარავი სიძულვილით აღსავსე.

– კიდევ ერთხელ ვცადოთ, კარგი? – უთხრა სნეიპმა. ჰარი შეძრწუნდა. მშვენივრად ესმოდა, რომ სნეიპს სამაგიეროს გადახდა უნდოდა. ისევ დაიკავეს თავიანთი ადგილები პროფესორის მაგიდის ორივე მხარეს. ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამჯერად გაცილებით გაუჭირდებოდა გონების გაწმენდა ზედმეტი აზრებისგან.

– მაშ, ასე, სამ თვლაზე, – სნეიპმა ჯადოსნური ჯოხი შემართა, – ერთი... ორი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ვერც კი მოასწრო გონების გათავისუფლება ზედმეტი აზრებისგან, რომ სნეიპმა უკვე წამოიძახა:

– ლეგილიმენს!

ჰარი ტყვიასავით მიქრის დერეფანში საიდუმლოებების დეპარტამენტისკენ. უკან გარბიან შიშველი ქვის კედლები, ჩირაღდნები... სადა, შავი კარი თვალდათვალ იზრდება, სადაცაა დაეჯახება, ორიოდე ნაბიჯილა რჩება, ისევ დაინახა სუსტი ცისფერი სინათლის ვიწრო ზოლი...

და კარი გაიღო! როგორც იქნა, კარს მიღმა აღმოჩნდა – მრგვალ შავკედლებიან და შავჭერიან ოთახში. ცისფრად ანათებდა სანთლები, ირგვლივ კი მრავალი კარი იყო... გზა უნდა გაეგრძელებინა... მაგრამ რომელი კარი აირჩიოს?

– პოტერ!

ჰარიმ თვალი გაახილა. გვერდზე იწვა, წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ აღმოჩნდა იატაკზე. თან ისე სუნთქავდა, თითქოს მართლა გაირბინა საიდუმლოებების დეპარტამენტის მთელი დერეფანი და შავი კარი და მრგვალი ოთახიც იპოვა.

– ახლა რით გაიმართლებ თავს? – სნეიპი გავეშებული დასდგომოდა თავზე.

– მე... არ ვიცი, რა მოხდა, – პატიოსნად თქვა ჰარიმ და წამოდგა. კისერზე ძარღვი დაებერა, თავბრუ ეხვეოდა, – ადრე არასოდეს მინახავს. ხომ გითხარით, ეს კარი ადრეც მესიზმრა-მეთქი... მაგრამ არასოდეს იღებოდა...

– თქვენ უგულისყუროდ მუშაობთ!

რაღაც გამოუცნობი მიზეზით სნეიპი უფრო განრისხდა, ვიდრე ორიოდე წუთის წინ, როცა ჰარი მის მეხსიერებაში შეიჭრა.

– თქვენ ზარმაცი და უქნარა ხართ, პოტერ! გასაკვირი არ არის, რომ ბნელი ბატონი...

– ნება მიბოძეთ გკითხოთ, სერ, – გაცეცხლებულმა შეაწყვეტინა ჰარიმ, – რატომ ეძახით ვოლდემორს „ბნელ ბატონს?“ როგორც მახსოვს, ასე მხოლოდ „სიკვდილის მხვრელები“ უწოდებენ.

სნეიპმა პირი დააღო, რომ ხმა ჩაეწყვეტინებინა, მაგრამ ამ დროს სადღაც შორს ქალის კივილი გაისმა.

სნეიპმა თავი ასწია და ჭერს მიაშტერდა.

– რა ხდება?.. – წაიბუტბუტა.

ჰოლიდან რაღაც გაურკვეველი ხმაური ისმოდა. სნეიპი მოღუშული შეაცქერდა ჰარის.

– აქეთ რომ მოდიოდით, რამე უცნაურისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ თავი გააქნია. სადღაც, მათ ზემოთ, ისევ იკივლა ქალმა. სნეიპი კარისკენ წავიდა და გაუჩინარდა. ჰარიმ ცოტათი შეიცადა, მერე კი სნეიპს მიჰყვა.

ხმაური მართლა ჰოლიდან ისმოდა. ქვის კიბესთან რომ მიირბინა, უფრო გარკვევით მოესმა. ზემოთ აირბინა. იქაურობა ხალხით იყო სავსე. აღელვებული მოსწავლეები ჯგუფ-ჯგუფად გამოცვენილიყვნენ დიდი დარბაზიდან, სადაც ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო ვახშამი. მარმარილოს კიბეზეც ბევრი იდგა. ჰარიმ გაარღვია სლიზერინელების ჯგუფი და დაინახა, რომ ბავშვები შუაში წრედ იდგნენ. ზოგს აფორიაქებული სახე ჰქონდა, ზოგს – შეშინებული. მოპირდაპირე მხარეს ჰარიმ პროფესორი მაკგონაგელი დაინახა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ის, რაც მის თვალწინ ხდებოდა, ცოტაც და, გულს აურევდა.

შუა ჰოლში პროფესორი ტრელოუნი იდგა ცალ ხელში ჯადოსნური ჯოხი ეკავა, მეორეში – ხერესის ცარიელი ბოთლი. შეშლილის სახე ჰქონდა. თმა ყალყზე ედგა. სათვალე ისე მოღრეცოდა, რომ მარცხენა თვალი მარჯვენაზე დიდი მოუჩანდა. უთვალავი შარფი მხრებიდან ჩამოშლოდა. იატაკზე, წინასწარმეტყველის გვერდით, ორი ვეებერთელა ჩემოდანი იდო. ერთი თავდაყირა ეგდო – ეტყობა, კიბეზე დააგორეს. პროფესორი ტრელოუნი დამფრთხალი უყურებდა ვიღაცას. ალბათ, ის ვიღაცა კიბის ძირში იდგა და იმიტომ ვერ ხედავდა ჰარი.

– არა! – იყვირა ტრელოუნიმ, – არა! ეს შეუძლებელია... ასე არ შეიძლება... მე ამას ვერ დავიჯერებ!

– თქვენ რა, არ იცოდით, რომ ყველაფერი ამით დამთავრდებოდა? – შეეპასუხა წვნიკი ხმა, რომელშიც სასტიკი თვითკმაყოფილება იგრძნობოდა. ჰარიმ მარცხნივ გაიწია და დაინახა, რომ ადამიანი, რომელმაც ასეთ დღეში ჩააგდო ტრელოუნი, ამბრიჯი იყო, – მართალია, ისიც კი არ შეგიძლიათ, ხვალინდელი ამინდი იწინასწარმეტყველოთ, მაგრამ არა მგონია, ვერ მიმხვდარიყავით, რომ თქვენი მუშაობის უბადრუკი სტილი და ის უკმაყოფილება, რომელსაც აშკარად გამოვხატავდი ინსპექტირების დროს, თქვენს გათავისუფლებას გარდაუვალს გახდიდა!

– თქვენ ამას არ იზამთ! – იღრიალა პროფესორმა ტრელოუნიმ და ცრემლები ღვარად წამოუვიდა, – თქვენ ვერ გამათავისუფლებთ! მე აქ თექვსმეტი წელიწადი გავატარე! ჰოგვორტსი ჩემი მშობლიური სახლია!

– იყო თქვენი სახლი, – დაუზუსტა პროფესორმა ამბრიჯმა და ჰარიმ ზიზღით შენიშნა, როგორ გადაეკრა ავი ღიმილი გომბეშოსე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბურ სახეზე, როცა პროფესორი ტრელოუნი აქვითინებული დაეხეთქა ერთ-ერთ ჩემოდანს, – მაგრამ ერთი საათია აღარ არის. დიახ, დიახ, მას შემდეგ, რაც მინისტრმა თქვენი გათავისუფლების ბრძანებას მოაწერა ხელი. ახლა კი კეთილინებეთ და დატოვეთ ციხე-კოშკი. თქვენ ხელს გვიშლით.

პროფესორი ამბრიჯი ხარბი თვითკმაყოფილებით უყურებდა, როგორ ცახცახებდა და კვნესოდა პროფესორი ტრელოუნი; როგორი სასოწარკვეთილი ირწეოდა წინ და უკან. ჰარიმ ყრუ ქვითინი გაიგონა და შებრუნდა. ლევენდერი და პარვატი ერთმანეთს ჩახვეოდნენ და ჩუმად ტიროდნენ. მერე ნაბიჯების ხმაც მოესმა. პროფესორი მაკგონაგელი მაყურებლებს გამოეყო, ტრელოუნისთან მივიდა და წინასწარმეტყველის ნუგეშისცემას მოჰყვა. ნელა უტყაპუნებდა ხელს ზურგზე. მერე მანტიის ნაკეცებიდან დიდი ცხვირსახოცი ამოიღო.

– კარგი, სიბილ... კარგი, დამშვიდდი... აი, მოიწმინდე ცრემლები... საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც შენ ფიქრობ... ნუ გეშინია, არ წახვალ ჰოგვორტსიდან...

– ვითომ, პროფესორო მაკგონაგელ? – ცივი ხმით იკითხა ამბრიჯმა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, – ვისი სახელით აკეთებთ ამ...

– ჩემი, – გაისმა ძლიერი, მჟღერი ხმა.

შემოსასვლელი კარი გაიღო. ბავშვები აქეთ-იქით გადგნენ – გზა დაუთმეს დამბლდორს. ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, რისთვის იყო დირექტორი ეზოში. დამბლდორმა კარი ღია დატოვა და ჩემოდანზე მჯდარი ატირებულ-აცახცახებული ტრელოუნისა და მის გვერდით მდგარი მაკგონაგელისკენ გაემართა.

– თქვენი, პროფესორო დამბლდორ? – იკითხა ამბრიჯმა რაღაც განსაკუთრებით უსიამოვნო, მოკლე ჩაცინებით, – ვშიშობ, რომ ცუდად ერკვევით ვითარებაში. მე თან მაქვს, – და ამბრიჯმა მანტიის ნაკეცებიდან პერგამენტის გრაგნილი ამოიღო, – ჩემი და მინისტრის მიერ ხელმოწერილი ბრძანება გათავისუფლების შესახებ. განათლების შესახებ N 23 დეკრეტის თანახმად, ჰოგვორტსის გენერალურ ინსპექტორს უფლება აქვს, დაესწროს გაკვეთილებს, დანიშნოს გამოსაცდელი ვადა და, აგრეთვე, გაათავისუფლოს ნებისმიერი მასწავლებელი, რომლის მუშაობის მეთოდსაც ის – ესე იგი, მე – მაგიის სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმებთან შეუთავსებლად მიიჩნევს. მე დავასკვენი, რომ პროფესორი ტრელოუნი არაკომპეტენტური სპეციალისტია და გავათავისუფლე კიდეც დაკავებული თანამდებობიდან.

ჰარის გასაოცრად, დამბლდორი იღიმებოდა. მან დახედა ჩემო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დანზე მჯდარ პროფესორ ტრელოუნის, რომელიც ისევ მწარედ ქვითინებდა და თქვა:

– რა თქმა უნდა, თქვენ სავსებით მართალი ხართ, პროფესორო ამბრიჯ. როგორც გენერალურ ინსპექტორს, უფლება გაქვთ, გაათავისუფლოთ ჩემი მასწავლებლები. მაგრამ არ გაქვთ იმის უფლება, რომ ისინი ციხე-კოშკიდან გააძევოთ, – დამბლდორმა თავაზიანად დაუკრა თავი და განაგრძო, – ვშიშობ, რომ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება კვლავინდებურად მხოლოდ დირექტორს შეუძლია. მე კი მინდა, რომ პროფესორი ტრელოუნი ჰოგვორტსში დარჩეს საცხოვრებლად.

ამ სიტყვებზე პროფესორმა ტრელოუნიმ დაასლოკინა თუ ისტერიულად ჩაიცინა.

– ა-არა, მე წ...წავალ, დამბლდორ! მე დავ...ტოვებ ჰოგვორტსს და სადმე სს...ხვაგან ვცდი ბედს...

– არა, მე მინდა, რომ თქვენ დარჩეთ, სიბილ, – მოჭრა დამბლდორმა, მერე მაკგონაგელისკენ შებრუნდა, – შეიძლება გთხოვოთ, რომ სიბილი ზევით გააცილოთ, პროფესორო მაკგონაგელ?

– რა თქმა უნდა, წამოდექი, სიბილ...

იქ თავშეყრილებს სასწრაფოდ გამოეყო პროფესორი სპრაუტი და ტრელოუნის ხელი შეაშველა. ამბრიჯის წინ ჩაიარეს და მარმარილოს კიბეს აუყვნენ. უკან ფაციფუცით მიჰყვა პროფესორი ფლიტვიკი. გზადაგზა ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ბრძანა: „ლოკომოტორ, ჩემოდნებო!“ პროფესორ ტრელოუნის ბარგი ჰაერში აიწია და უკან გაედევნა ტრელოუნის.

ერთ ადგილზე გაქვავებული პროფესორი ამბრიჯი თვალს არ აცილებდა დამბლდორს, ის კი ისევ კეთილმოსურნედ იღიმებოდა.

– და რას უზამთ ტრელოუნის, როცა მისნობის ახალ მასწავლებელს დავნიშნავ, მას კი ოთახი დასჭირდება? – ამბრიჯის სისინი მთელ ჰოლში გაისმა.

– ამას მოევლება, – თავაზიანად უპასუხა დამბლდორმა, – საქმე ის არის, რომ უკვე ვიპოვე მისნობის მასწავლებელი. მას პირველ სართულზე ცხოვრება ურჩევნია.

– თქვენ... იპოვეთ? – დაიწრიპინა ამბრიჯმა, – თქვენ? ნება მომეცით, შეგახსენოთ, დამბლდორ, რომ ოცდამეორე დეკრეტის თანახმად...

– სამინისტროს აქვს უფლება, დაამტკიცოს შესაფერისი კანდიდატურა იმ – მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი ვერ იპოვის შესაფერისს, – შეახსენა დამბლდორმა, – მაგრამ მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ამ შემთხვევაში მე ეს მოვახერხე. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შებრუნდა ღიად დარჩენილი კარისკენ, საიდანაც ღამის მსუბუქი ნისლი შემოდიოდა.

ჰარის ფლოქვების ბაკუნი მოესმა. მოსწავლეებში შეშფოთებული ჩურჩული ატყდა. კართან ახლო მდგომებმა, უკან დაიწიეს. ზოგმა წაიფორხილა კიდეც, უნდოდათ, სწრაფად გაეთავისუფლებინათ გზა ახალი მასწავლებლისთვის.

ნისლში გამოჩნდა სახე, რომელიც ჰარიმ ერთხელ უკვე ნახა აკრძალულ ტყეში იმ საშინელ, უკუნ ღამეს. მაშინვე იცნო ცხენკაცის თოვლივით თეთრი ფაფარი და ღია საფირონისფერი თვალები.

– ეს ფლორენციაა, – გულღია ღიმილით უთხრა დამბლდორმა გაქვავებულ ამბრიჯს, – იმედია, შესაფერისი კანდიდატურაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეშვიდე

გამცემი

– ალბათ, ნანობ, მისნობაზე უარი რომ თქვი, არა, ჰერმიონ? – ჩაიცინა პარვატიმ.

საუზმის დრო იყო. პროფესორ ტრელოუნის გათავისუფლებიდან უკვე ორი დღე გავიდა. პარვატი ჯადოსნური ჯოხით იპრეხდა წამწამებს და კოვზში საკუთარ ორეულს უცინოდა. დღეს პირველი გაკვეთილი უნდა ჰქონოდათ ფლორენციასთან.

– არც ისე, – გულგრილად უპასუხა ჰერმიონმა. ხელში „დილის მისნის“ ახალი ნომერი ეჭირა, – არასოდეს მიყვარდა ცხენები.

გაზეთი გადაშალა და რუბრიკები ჩაათვალიერა.

– ეს ცხენი კი არა, კენტავრია! – შეუსწორა ლევენდერმა.

– თანაც, როგორი კენტავრი... – ამოიოხრა პარვატიმ.

– სულერთია. მაინც ოთხი ფეხი აქვს, – ცივად თქვა ჰერმიონმა, – და საერთოდ, მეგონა, რომ ტრელოუნის წასვლამ გული დაგწყვიტათ.

– რა თქმა უნდა, დაგვწყვიტა! – დაარწმუნა ლევენდერმა, – ჩვენ მოვინახულეთ, ნარცისები მივუტანეთ, ნამდვილი, ისეთი კი არა, სპრაუტს რომ გამოჰყავს, ჭყეტელა.

– როგორ არის? – იკითხა ჰარიმ.

– დარდობს, – თანაგრძნობით თქვა ლევენდერმა, – ტირის და ამბობს, რომ უწინამც სამუდამოდ წავა ციხე-კოშკიდან, ვიდრე აქ დარჩება, ამბრიჯთან. მე არ ვადანაშაულებ, ამბრიჯი ხომ მართლა საშინლად მოექცა!

– რატომღაც მგონია, რომ ამბრიჯი უფრო უარეს ამბებს დაატრიალებს, – თქვა ჰერმიონმა.

– შეუძლებელია, – რონმა თეფში ერბოკვერცხითა და ბეკონით გაივსო, – ჩემი აზრით, ამბრიჯი ამაზე უარესად ვეღარ მოიქცევა.

– დაიხსომეთ ჩემი სიტყვები. აუცილებლად მოინდომებს დამ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბლდორისთვის სამაგიეროს გადახდას, იმიტომ, რომ მასთან მოუთათბირებლად დანიშნა ახალი მასწავლებელი, – ჰერმიონმა გაზეთი დაკეცა, – თანაც, ნახევრად ადამიანი. გახსოვთ, როგორი სახე ჰქონდა, როცა ფლორენცია შემოვიდა!

ნასაუზმევს ჰერმიონი თავის არითმანტიაზე წავიდა, ჰარი და რონი პარვატისა და ლევენდერს გაჰყვნენ ჰოლში.

– ჩრდილოეთის კოშკში არ მივდივართ? – გაუკვირდა რონს, როცა პარვატიმ მარმარილოს კიბეს გვერდი აუარა.

პარვატიმ დამცინავად გამოხედა.

– შენი აზრით, როგორ ავიდოდა ფლორენცია ამ კიბეზე? მეთერთმეტე კაბინეტში მივდივართ, გუშინ დაფაზე განცხადება იყო გამოკრული.

მეთერთმეტე კაბინეტი პირველ სართულზე იყო. იქით მიდიოდა დერეფანი, რომელიც ჰოლში, დიდი დარბაზის კარის მოპირდაპირე მხარეს იწყებოდა. ჰარიმ იცოდა, რომ ამ ოთახში მეცადინეობები არარეგულარულად ტარდებოდა და ამიტომ ცოტა მოუვლელი იყო, საწყობსა თუ საკუჭნაოსავით გამოიყურებოდა. მაგრამ, როგორც კი შიგნით შევიდნენ, გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ ნამდვილ ტყის მდელოზე ამოყვეს თავი.

– ოოო, აი, ეს მესმის! – აღფრთოვანდა რონი.

ფეხქვეშ ხავსი რბილად იდრიკებოდა, გარშემო ხეები შრიალებდა. ხშირი ფოთლები ჩრდილავდა ფანჯრებსა და ჭერს. მხოლოდ აქა-იქ აღწევდა სინათლის ირიბი სხივი. ოთახში რბილი, მომწვანო ბინდი იდგა. ისინი, ვინც ადრე შემოვიდნენ, მიწურ იატაკზე ისხდნენ, ზურგით ხეს მიჰყრდნობოდნენ, ზოგს გულხელი დაეკრიბა, ზოგს მუხლებზე შემოეხვია ორივე ხელი. აშკარად ჩანდა, რომ ყველანი ოდნავ დაბნეულები იყვნენ. მდელოს შუაგულში, ყველაზე ღია ადგილას, ფლორენცია იდგა.

– ჰარი პოტერ! – დაინახა თუ არა ჰარი, ხელი გაუწოდა.

– ეე... გამარჯობა, – მიესალმა ჰარი და ხელი ჩამოართვა კენტავრს, რომელიც დაჟინებით, სერიოზულად შესცქეროდა თავისი საფირონისფერი თვალებით, – ეე... ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა.

– მეც, – უპასუხა კენტავრმა და თეთრი თავი დახარა, – ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ ისევ შევხვდებოდით.

ჰარიმ ფლორენციას მკერდზე ფლოქვის ფორმის თითქმის უკვე გამქრალი ნაკვალევი შენიშნა. შებრუნდა და დაჯდომა რომ დააპირა, თანაკლასელების სახეებზე მოკრძალებული შიში ამოიკითხა – უკვირდათ, რომ ჰარი ფლორენციას იცნობდა. ეტყობოდათ, აშკარად უფრთხოდნენ კენტავრს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა კარი მიიხურა და ბოლო მოსწავლეც ჩამოჯდა კუნძზე ნაგვის კალათის გვერდით, ფლორენციამ ისე მოატარა ხელი, თითქოს ოთახის კიდევ ერთხელ დათვალიერება შესთავაზაო. მერე დაიწყო:

– პროფესორმა დამბლდორმა, კეთილი ნება გამოხატა, როცა ეს ოთახი ჩემთვის ჩვეული გარემოს შესაბამისად მოაწყო. მე, რა თქმა უნდა, ვარჩევდი, გაკვეთილები აკრძალულ ტყეში ჩამეტარებინა, რომელიც ორშაბათამდე ჩემი ბინა იყო... მაგრამ ახლა ეს უკვე შეუძლებელია.

– მაპატიეთ... ეე... სერ... – პარვატიმ ხელი ასწია, – მაგრამ რატომ? ჩვენ იქ ჰაგრიდთან ერთად დავდიოდით, ჩვენ არ გვეშინია!

– საქმე თქვენს გამბედაობაში არ არის, – თქვა ფლორენციამ, – საქმე ისაა, რომ ტყეში ჩემი დაბრუნება შეუძლებელია. ჩემმა რემამ გამომაძევა.

– რემამ? – შეცბუნებულმა გაიმეორა ლევენდერმა და ჰარი მიხვდა, რომ გოგონამ ჩვეულებრივი ცხენები წარმოიდგინა, – უფრო სწორად... აა! – სახე გაუნათდა, – ესე იგი, თქვენ ბევრნი ხართ? – ეჭვით იკითხა ლევენდერმა.

– თესტრალებივით თქვენც ჰაგრიდმა გამოგზარდათ? – ცნობისმოყვარედ იკითხა დინმა.

ფლორენციამ ძალიან ნელა შეაბრუნა მისკენ თავი და დინი მაშინვე მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა.

– მე არ... არ მინდოდა... მაპატიეთ, – ძლივს ამოღერღა და გაჩუმდა.

– კენტავრები ადამიანების არც მსახურები არიან და არც სათამაშოები, – მშვიდად მიუგო ფლორენციამ. სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ პარვატიმ ასწია ხელი.

– მაპატიეთ, სერ... მაგრამ რატომ გამოგაძევეს კენტავრებმა?

– იმიტომ, რომ დამბლდორს დავთანხმდი, თქვენი მასწავლებელი გავმხდარიყავი. მათ ეს ღალატად ჩამითვალეს.

ახლაღა გაახსენდა ჰარის, თითქმის ოთხი წლის წინათ კენტავრი ბეინი როგორ უყვიროდა ფლორენციას, რომელმაც ზურგზე შეისვა ჰარი. მაშინ ბეინმა ფლორენციას „სახედარი“ უწოდა. „იქნებ სწორედ ბეინმა ჰკრა წიხლი მკერდში?“ – გაიფიქრა ჰარიმ.

– მოდი, დავიწყოთ, – თქვა ფლორენციამ. გრძელი თეთრი ძუა აიქნია, ფოთლოვანი ფარდისკენ შემართა ხელი და ნელა დაუშვა. ოთახში კიდევ უფრო ჩამობნელდა. თითქოს საღამოს ტყეში მოხვდნენ, ჭერში კი ვარსკვლავები აკიაფდა. ოთახში გაოცებით ამოიქშინეს, რონმა კი წაიჩურჩულა: „მაგარია!“

– დაწექით ზურგზე – მშვიდი ხმით თქვა ფლორენციამ, – და ცას შეხედეთ. მათ, ვისაც დანახვა შეუძლიათ, იქ ჩვენს ბედს წაიკითხავენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ხავსზე გულაღმა გაწვა და ჭერს მიაცქერდა. პატარა წითელმა ვარსკვლავმა თვალი ჩაუკრა.

– ვიცი, რომ შესწავლილი გაქვთ პლანეტებისა და მათი თანამგზავრების სახელები, – ისევ მოისმა ფლორენციას აუღელვებელი ხმა, – და რომ ცაზე ვარსკვლავების გადაადგილების რუკებიც გაქვთ შედგენილი. კენტავრები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ამ გადაადგილებების საიდუმლოს ამოცნობას. გამოცდილება გვასწავლის, რომ ზოგჯერ ციური სურათების მიხედვით შესაძლებელია მომავლის განჭვრეტა.

– პროფესორი ტრელოუნი გვასწავლიდა ასტროლოგიასაც! – თქვა გულაღმა გაწოლილმა პარვატიმ და ხელი ასწია, – მარსი იწვევს კატასტროფებს, დამწვრობებს და სხვა ამისთანა რამეებს, ხოლო როცა ისეთი კუთხით დგას სატურნის მიმართ, როგორც ახლა, – თავზემოთ მართი კუთხე მოხაზა, – ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ცხელ საგნებს...

– ეს ყველაფერი ადამიანების მიერ გამოგონილი სისულელეა, – მშვიდად თქვა ფლორენციამ.

პარვატის ხელი უღონოდ დაეტყეპა მიწას.

– პატარ-პატარა ტრავმები, წვრილმანი ადამიანური უბედურებები, – თქვა ფლორენციამ, თან რბილად დააბაკუნა ფეხები, – ვეებერთელა სამყაროსთვის ჭიანჭველას ფაციფუცს წააგავს და პლანეტების მოძრაობა მასზე არ მოქმედებს.

– პროფესორი ტრელოუნი... – ისევ დაიწყო გულნატკენმა და ოდნავ გაღიზიანებულმა პარვატიმ.

– მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია, – უბრალოდ თქვა ფლორენციამ, – და ამიტომაც ვერ გათავისუფლებულა სიბეცის ბორკილებისგან, რაც თქვენს ჯილაგს ხელს უშლის.

ჰარიმ ოდნავ მიაბრუნა თავი, რათა პარვატისთვის შეეხედა. ის და მის მეზობლად მწოლიარე რამდენიმე მოსწავლე შეურაცხყოფილები ჩანდნენ.

– შესაძლოა, სიბილ ტრელოუნის მართლაც აქვს წინასწარმეტყველების უნარი, – განაგრძო ფლორენციამ და აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა. ჰარის ესმოდა, რომ მისი კუდი მსუბუქი შხუილით აპობდა ჰაერს, – მაგრამ მეტწილად ტყუილუბრალოდ კარგავს დროს ადამიანური თვითკმაყოფილებით შობილ სულელურ მკითხაობაზე. მე კი აქ იმისთვის მოვედი, რომ კენტავრების მიუკერძოებელ და ობიექტურ სიბრძნეს გაზიაროთ. ჩვენ ცაში ვეძებთ დიადი ცვლილებების – ბოროტების მიქცევისა და მოქცევის – ნიშნებს, რომლებიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროდადრო იქ ირეკლება. ზოგჯერ იმის გაგებას, რასაც დღეს ვხედავთ, მხოლოდ ათეული წლების შემდეგ ვახერხებთ.

ფლორენციამ ზედ ჰარის თავზე ანთებულ წითელ ვარსკვლავზე მიუთითა.

– წინა ათწლეულში ნიშნები იმას გვამცნობდნენ, რომ ჯადოსნურ სამყაროში ორ დიდ ომს შორის მცირე შესვენების ხანა დადგა. მარსი, ბრძოლების მაცნე, ისე კაშკაშებს ჩვენს თავზე, რომ მალე ბრძოლა ისევ განახლდება. თუ როდის განახლდება, ამის გარკვევას კენტავრები ცდილობენ საგანგებოდ შერჩეული ბალახებისა და ფოთლების დაწვით და ალსა და კვამლზე დაკვირვებით.

ეს იყო ყველაზე არაჩვეულებრივი გაკვეთილი, როგორსაც კი ჰარი ოდესმე დასწრებოდა. ისინი მართლა წვავდნენ საკლასო ოთახის იატაკზე სალბისა და ბალბის ფოთლებს. ფლორენცია კი აიძულებდა, ეყურებინათ მწარე ბოლში და ეცადათ, შიგ განსხვავებული ფორმები და სახეები გამოერჩიათ. თუმცა, სულაც არ გაბრაზებულა, როცა ვერც ერთმა ვერ მოახერხა აღწერილი ნიშნებიდან თუნდაც ერთის დანახვა. მან თქვა, რომ ადამიანები იშვიათად ახერხებენ ამ ხელოვნების დაუფლებას; რომ კენტავრები ამას წლობით სწავლობენ. ბოლოს კი განაცხადა, რომ ამგვარ რაღაცეებზე მეტისმეტი მინდობა სისულელეა, რადგან კენტავრებიც კი ხშირად ცდებიან ხოლმეო. ფლორენცია არ ჰგავდა მის ნაცნობ არც ერთ მასწავლებელს. ისე გამოდიოდა, თითქოს მისთვის მთავარი ის კი არ იყო, სხვებისთვის ესწავლებინა, რაც თვითონ იცოდა, არამედ სურდა, როგორმე შთაეგონებინა მათთვის, რომ არავითარი ცოდნა, არაადამიანურიც კი, არ შეიძლება იყოს სრულყოფილი.

– ვერ ვიტყვი, რომ რაღაცაში მაინც ნამდვილად დარწმუნებულია, – ჩუმად თქვა რონმა, როცა ბალბის ფოთლებით დანთებულ კოცონს აქრობდნენ, – იმას ვგულისხმობ, რომ ურიგო არ იქნებოდა, რაღაც კონკრეტული მაინც გაგვეგო ამ მოახლოებული ომის შესახებ.

დერეფანში, ზედ საკლასო ოთახის თავზე, ზარმა დარეკა და ყველანი შეხტნენ. ჰარის სულ დაავიწყდა, რომ ისევ ციხე-კოშკში იმყოფებოდნენ და არა უღრან ტყეში. მოსწავლეებმა დერეფანს მიაშურეს. ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულიყვნენ.

ის იყო, ჰარი და რონი უკან უნდა მიჰყოლოდნენ დანარჩენებს, რომ მოულოდნელად ფლორენციამ დაიძახა:

– თუ შეიძლება, ჰარი, სულ ერთი წუთით.

ჰარი შებრუნდა. კენტავრმა მისკენ ნაბიჯი გადადგა. რონი შეყოყმანდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენც შეგიძლიათ, დარჩეთ, – უთხრა ფლორენციამ, – ოღონდ, კარი მიხურეთ.

რონმა მაშინვე შეუსრულა თხოვნა.

– თქვენ ხომ ჰაგრიდის მეგობარი ხართ, პოტერ? – ჰკითხა კენტავრმა.

– დიახ, – უპასუხა ჰარიმ.

– მაშინ, გააფრთხილეთ ჩემი სახელით. მისი გეგმა არ მუშაობს. სჯობს, ცდებს თავი დაანებოს.

– ცდებს თავი დაანებოს? – ბრიყვულად გაიმეორა ჰარიმ.

– დიახ, იმიტომ, რომ გეგმა არ მუშაობს, – თავის დაქნევით დაუდასტურა ფლორენციამ, – მე თვითონ გავაფრთხილებდი, მაგრამ მოკვეთილი ვარ – ტყესთან მიახლოება ახლა ჩემთვის უგუნურობის ტოლფასია... ჰაგრიდს ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს, სულაც არ სჭირდება კენტავრებთან ბრძოლა.

– მაგრამ... რას აპირებს ჰაგრიდი? – შეშფოთდა ჰარი. ფლორენციამ მშვიდად შეხედა.

– არცთუ დიდი ხნის წინათ ჰაგრიდმა დიდი სამსახური გამიწია, მანამდეც გულწრფელად ვცემდი პატივს ყველა ცოცხალი არსების მიმართ გამოჩენილი სიყვარულის გამო. მე მის საიდუმლოს ვერ გავცემ, მაგრამ ჰაგრიდი გონზეა მოსაყვანი. სისულელე აიხირა. უთხარით ეს, ჰარი პოტერ. წარმატებას გისურვებთ.

* * *

სიხარული, რომელიც „ქარაგმებში“ გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ მოჰგვარა ჰარის, კარგა ხანია, აორთქლდა. მოსაწყენი მარტი ქარიანმა აპრილმა შეცვალა, ჰარის ცხოვრება კი ისევ გაუთავებელ საზრუნავად და პრობლემებად იქცა.

ამბრიჯი ისევ ესწრებოდა ჯადოსნურ არსებათა მოვლის გაკვეთილებს, ამიტომ ფლორენციას დავალების შესრულება არც ისე იოლი იყო. ბოლოს როგორღაც მოახერხა. მოიმიზეზა, „ფანტასტიკური მხეცები და მათი ბინადრობის ადგილების“ წიგნი დამრჩაო და გაკვეთილის შემდეგ უკან დაბრუნდა. როცა ფლორენციას გაფრთხილება გადასცა, ჰაგრიდმა ჩალურჯებული და ოდნავ დაბნეული თვალებით შეხედა, თუმცა, მალევე მოეგო გონს.

– კაი ვინმეა ეს ფლორენცია, – ჩახლეჩილი ხმით თქვა, – მაგრამ თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს. ყველაფერი შესანიშნავადაა. ნუ მიყურებ ასე ეჭვით, ჩემო ბიჭო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ჩაიფიქრე, ჰაგრიდ? – სერიოზულად ჰკითხა ჰარიმ, – ხომ იცი, რომ ფრთხილად უნდა იყო. ამბრიჯმა უკვე გაათავისუფლა ტრელოუნი, ეს კი, ჩემი აზრით, ჯერ მხოლოდ დასაწყისია. თუ რამე აკრძალულს გააკეთებ, ამბრიჯი...

– უფრო მნიშვნელოვანი რამეც არსებობს, ვიდრე სამუშაოს შენარჩუნებაა, – თქვა ჰაგრიდმა, თუმცა, ხელები ოდნავ მაინც აუკანკალდა და ნარლების ნაკელით სავსე თასი იატაკზე გრუხუნით დავარდა, – შენ ჩემზე, ისა, ნუ დარდობ, საქმეს მიხედე, მართლა კაი ვინმეა, – დაამშვიდა ჰარი და იატაკზე გაფანტული ნაკელის შეგროვებას შეუდგა.

უნდოდა თუ არა, ჰარი იძულებული იყო, ჰაგრიდისგან წამოსულიყო. გულდამძიმებული გაუყვა გზას.

ამასობაში სულ უფრო ახლოვდებოდა **ბუა**-ს გამოცდები. ყველა მეხუთეკურსელი, მართალია, სხვადასხვა დოზით, მაგრამ მაინც ღელავდა. ჰანა ებოტმა პირველმა მიიღო მადამ პომფრისგან დამამშვიდებელი ნაყენი, როცა უცებ ატირდა ჰერბოლოგიის გაკვეთილზე და სლუკუნ-სლუკუნით თქვა, ისეთი შტერი ვარ, ცხოვრებაში ვერ ჩავაბარებ გამოცდებს და ამიტომ სკოლას ახლავე თავს ვანებებო.

და რომ არა, ვერც ჰარის საქმე იქნებოდა კარგად. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ „მიშველე-ოთახში“ გატარებული საათებისთვის ცოცხლობდა, იმ მომქანცველი, მაგრამ ნამდვილად სასიამოვნო სამუშაოსთვის. ყოველთვის, როცა თავის ამხანაგებს უყურებდა და ხედავდა, რა წარმატებებს მიაღწიეს, სიამაყის გრძნობა ეუფლებოდა. ზოგჯერ თავისთვის ფიქრობდა, როგორ მოიქცეოდა ამბრიჯი, როცა **და**-ს წევრები ბნელი ძალებისგან თავდაცვის გამოცდაზე უმაღლეს შეფასებას დაიმსახურებდნენ.

ბოლოს „პატრონუსის“ შელოცვამდეც მივიდა საქმე. ამაზე ხომ ყველა ოცნებობდა. თუმცა, ჰარი გამუდმებით ჩააგონებდა **და**-ს წევრებს, რომ პატრონუსის მოხმობა გაჩახჩახებულ საკლასო ოთახში გაცილებით იოლი იქნებოდა, ვიდრე, მაგალითად, დემენტორებთან შეხვედრისას.

– კარგი, რა, ნუ ჩაგვაშხამე, – მხიარულად შესძახა ჩომ, რომელიც თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა, როგორ დალივლივებდა „მიშველე-ოთახის“ ჭერში მისი პატრონუსი – ვერცხლისფერი გედი, – შეხედე, რა საყვარლები არიან!

– მთავარი ის კი არ არის, რომ საყვარლები არიან, მთავარი ისაა, როგორ დაგიცავენ, – მოთმინებით აუხსნა ჰარიმ, – აი, ბოგარტი ან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვინმე მისი მსგავსი რომ გვყავდეს... მე თვითონ პატრონუსს პირველად მაშინ მოვუხმე, როცა ბოგარტმა დემენტორად მომაჩვენა თავი... ამის წყალობით ვისწავლე...

– მაგრამ ეს საშიში იქნებოდა! – თქვა ლევენდერმა. მისი ჯადოსნური ჯოხის წვერი ვერცხლისფერი ბოლის ბოლქვებს ყრიდა, – მე... ახლაც არ გამომდის! – გაბრაზებულმა დაამატა.

ნევილსაც ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა. დაძაბულობისგან იჭყანებოდა, მაგრამ ჯადოსნური ჯოხიდან მხოლოდ ვერცხლისფერი ორთქლის სუსტი ნაკადი გამოდიოდა.

– აუცილებლად რაღაც ძალიან კარგზე უნდა იფიქრო, – შეახსენა ჰარიმ.

– ვცდილობ, – განწირული ხმით უპასუხა ნევილმა. მართლაც, ისე ცდილობდა, რომ სახე ოფლისგან უპრიალებდა.

– მგონი, გამომივიდა, ჰარი! – იღრიალა სიმუსმა, რომელიც დინმა იმ დღეს პირველად მოიყვანა **DA**-ს შეკრებაზე, – შეხედე... ფუ, შენი, წავიდა! მაგრამ კარგად ვერ დავინახე, რა იყო, ჰარი!

ჰერმიონის პატრონუსი, ვერცხლისფრად მოელვარე წავი, მხიარულად დახტოდა მის გარშემო.

– მართლა სიმპათიურები არიან, – თვალს ვერ აცილებდა წავს ჰერმიონი.

უცბად „მიშველე-ოთახის“ კარი გაიღო და ისევ მიიხურა. ჰარიმ გაიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ შეამჩნია, რომ კართან ახლოს მდგომნი გაჩუმდნენ და მაშინვე იგრძნო კიდეც, დაახლოებით მუხლის დონეზე ვიღაც როგორ ექაჩებოდა მანტიაზე. ძირს დაიხედა და გაოცდა – შინაური ელფი დობი, როგორც ყოველთვის, შალის შვიდი თუ რვა ქუდის ქვემოდან მიშტერებოდა.

– გამარჯობა, დობი, აქ რას... რა მოხდა?

ელფს თვალები შიშისგან კიდევ უფრო გადმოჰკარკლოდა. ერთიანად ცახცახებდა. ყველა ჩუმად იყო. მთელი ოთახი დობის მისჩერებოდა. ცოტა ხნის წინ გამოხმობილი რამდენიმე პატრონუსი ვერცხლისფერ ნისლად გადნა და ოთახში თითქოს ჩამობნელდა კიდეც.

– ჰარი პოტერ, სერ... – დაიწკმუტუნა აცახცახებულმა ელფმა, – ჰარი პოტერ, სერ... დობი თქვენს გასაფრთხილებლად მოვიდა... ყველა შინაურ ელფს გაჩუმება უბრძანეს...

თავი დახარა და კედლისკენ გაქანდა. ჰარისთვის უკვე ნაცნობი იყო დობის თვითგვემის ამბავი და მისი შეჩერება სცადა, მაგრამ შალის ქუდების წყალობით დობი ბურთივით აისხლიტა კედელმა. ჰერმიონმა და კიდევ რამდენიმე გოგონამ შეჰკივლა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა მოხდა, დობი? – ჰკითხა ჰარიმ, პაწაწინა მკლავში ჩაავლო ხელი და ცდილობდა, ისეთი რამეებისგან შორს დაეჭირა, რითაც დობი საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებას შეძლებდა.

– ჰარი პოტერ... ის... ის...

თავისუფალი მუშტი დობიმ მთელი ძალით ამოირტყა ცხვირში. ჰარიმ მეორე ხელიც დაუჭირა.

– ვინ „ის“, დობი?

მაგრამ მაშინვე მიხვდა. მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო, ასე დაეფრთხო დობი. ელფმა დაელმებული თვალებით შეხედა და რაღაც გაუგებარი წაიბუტბუტა.

– ამბრიჯი? – ჰკითხა ჰარიმ და ერთიანად გააცია.

დობიმ თავი დაუქნია და შეეცადა, თავი ჰარის მუხლისთვის დაეკრა. ჰარიმ ოდნავ განზე გასწია ელფი.

– მერე, დობი... ნუთუ გაიგო ამ... ჩვენს... **და**-ს შესახებ?

პასუხი ელფის შიშისგან მოღრეცილ პატარა სახეზე ამოიკითხა.

რადგან ჰარის ორივე ხელით ეჭირა, დობიმ ახლა საკუთარი თავის დაკბენა სცადა და მუხლებზე დაეცა.

– აქეთ მოდის? – ხმადაბლა ჰკითხა ჰარიმ.

– მოდის, ჰარი პოტერ, მოდის!

ჰარი გასწორდა და შიშით გაქვავებულ ბავშვებს შეხედა. ისინი ჰარის ხელებში აფართხალებულ ელფს თვალს არ აცილებდნენ.

– რას ელოდებით? – დაიღრიალა, – გაიქეცით!

ყველა კარს ეცა. იქ ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, მერე ვიღაცამ, როგორც იქნა, გააღწია გარეთ. ჰარის ესმოდა, როგორ მიტყაპუნებდნენ დერეფანში და იმედი ჰქონდა, რომ ეყოფოდათ ჭკუა, პირდაპირ თავ-თავიანთ საძინებლებში არ გაქცეულიყვნენ. ჯერ მხოლოდ ათი წუთი უკლდა ცხრას. კარგი იქნებოდა, თუ მოახერხებდნენ ცოტა ხნით მაინც ბიბლიოთეკაში ან საბუეში გაჩერებას...

– გავიქცეთ, ჰარი, – კარიდან იკივლა ჰერმიონმა.

ჰარიმ დობი ხელებში ჩაბღუჯა, – ის ისევ ცდილობდა, რაც შეიძლება მძიმე ტრავმა მიეყენებინა საკუთარი თავისთვის, – და გასასვლელთან რიგის ბოლოში დადგა.

– დობი, ეს ბრძანებაა! დაბრუნდი სამზარეულოში სხვა ელფებთან. თუ ის გკითხავს, ხომ არ გაგიფრთხილებივარ, უთხარი, რომ კრინტიც არ დაგიძრავს! და გიკრძალავ საკუთარი თავის წამებას! – დაამატა ჰარიმ და ხელი უშვა ელფს. როგორც იქნა, გადააბიჯა ზღურბლს და კარი მიხურა.

– გმადლობ, ჰარი პოტერ! – დაიწკმუტუნა დობიმ და მოკურცხლა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ აქეთ-იქით მიმოიხედა. მისი მეგობრები ისე სწრაფად გარბოდნენ, რომ დერეფნის ორივე ბოლოში ვიღაცის ქუსლებსღა მოჰკრა თვალი, თვითონ მარჯვნივ გაიქცა. იქ ბიჭების ტუალეტი იყო. თუ შესვლას მოასწრებდა, თავს ისე მოაჩვენებდა, ვითომ მთელი ეს დრო იქ იყო.

– ააჰ!

თითქოს ვიღაცა ფეხებში ეცა, ისე დაეხეთქა იატაკს და მუცლით გასრიალდა. უკან ვიღაცამ ჩაიხითხითა. ზურგზე გადაბრუნდა და დაინახა მალფოი, რომელიც დრაკონის ფორმის მახინჯი ლარნაკის უკან იმალებოდა.

– შელოცვა-კვანტი, პოტერ! – თქვა მალფოიმ, – ჰეი, პროფესორო, პროფესორო, ერთი აქ არის!

შორეული კუთხიდან აქოშინებული ამბრიჯი გამოვარდა, სახეზე გამარჯვებულის ღიმილი დასთამაშებდა.

– დაგიჭირე თუ არა?! – გახარებულმა წამოიძახა, როგორც კი იატაკზე გაშხლართული ჰარი დაინახა, – მშვენიერია, დრაკო, მშვენიერი! პირდაპირ შესანიშნავია – ორმოცდაათი ქულა სლიზერინს! მე თვითონ მოვუვლი... ადექით, პოტერ!

ჰარი წამოდგა. წარბშეკრულმა შეხედა ორივეს. ასეთი ბედნიერი ამბრიჯი არასოდეს ენახა. ჰარის მკლავში ჩაავლო ხელი, მარწუხივით მოუჭირა და სახეგაბადრულმა მისცა დავალება მალფოის:

– დრაკო, თქვენ გაიქეცით და შეეცადეთ, იქნებ კიდევ დაიჭიროთ ვინმე, თქვენებს უთხარით, ბიბლიოთეკა დაათვალიერონ... დაიჭირონ ყველა, ვინც კი მძიმედ სუნთქავს... ტუალეტებშიც შეიხედეთ, მის პარკინსონი გოგონების ტუალეტებს მიხედავს... აბა, წინ... თქვენ კი, – ახლა ჰარის მიუბრუნდა, – თქვენ, პოტერ, ჩემთან ერთად წამოხვალთ დირექტორის კაბინეტში, – უთხრა განსაკუთრებულად შემპარავი, ავის მომასწავებელი ხმით.

მალფოი წავიდა, ჰარი და ამბრიჯი კი რამდენიმე წუთის შემდეგ ქვის ურჩხულთან იდგნენ. ჰარი იმაზე ფიქრობდა, **და**-ს რამდენი წევრი ჩავარდა ტყვედ. რონზე გაიფიქრა, ქალბატონი უისლი ნამდვილად მოკლავსო; ჰერმიონზეც წუხდა, რა დაემართება, თუ ზედ **ბუა**-ს გამოცდების წინ გარიცხავენო. სიმუსი კი, სულაც, პირველად მოვიდა... რა კარგად გამოსდიოდა ნევილს ყველაფერი...

– მფრინავი შუშხუნა, – თქვა ამბრიჯმა. ქვის ურჩხული განზე გახტა. კედელი გაიხსნა და ქვის ხვეულ, მოძრავ კიბეზე შედგნენ. როცა მუხის კარს მიადგნენ, რომელსაც დრაკონისთავიანი თითბრის ჩაქუჩი ეკიდა, ამბრიჯს დასაკაკუნებლად თავი არ შეუწუხებია, ჰარისთვის ხელი არ შეუშვია, ისე შევიდა ოთახში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაბინეტი ხალხით იყო სავსე. დამბლდორი უშფოთველი გამომეტყველებით იჯდა თავის მაგიდასთან, თითის წვერები ერთმანეთისთვის მიებჯინა. გვერდით სახედაძაბული პროფესორი მაკგონაგელი გაშეშებულიყო. კორნელიუს ფაჯი, მაგიის მინისტრი, როგორც ჩანს, შექმნილი ვითარებით კმაყოფილი, ბუხრის წინ ფეხის წვერებზე ქანაობდა. კინგსლი შეკლბოლტი და ვიღაც ძალიან მოკლედ თმაშეკრეჭილი დაბალი ჯადოქარი დარაჯებივით იდგნენ კარის ორივე მხარეს. ჰარიმ ჯადოქარი ვერ იცნო. კედელთან ვეება პერგამენტითა და ბატის ფრთამომარჯვებული, სათვალიანი პერსი უისლი იდგა. ყოფილი დირექტორები არც კი ცდილობდნენ, თავი მოემძინარებინათ. შეკრებილთ ყურადღებით და სერიოზულად ათვალიერებდნენ. როცა ჰარი გამოჩნდა, ზოგიერთმა მეზობლის ჩარჩოში გადაინაცვლა და გამალებით აჩურჩულდა.

კარი მიიხურა. ამბრიჯმა ოდნავ მოუშვა თითები და ჰარიმ მკლავი გაითავისუფლა. კორნელიუს ფაჯმა თვითკმაყოფილი, ავი ღიმილით შეხედა.

– ასე, – თქვა მან, – ასე, ასე...

ჰარიმ, რამდენადაც შეეძლო, აგრესიული გამოხედვით უპასუხა. გული ფეთიანივით უცემდა, მაგრამ გონება საოცრად მშვიდი და ნათელი ჰქონდა.

– გრიფინდორის კოშკში აპირებდა გაქცევას, – დაიწიკვინა ამბრიჯმა. ხმაში ნაცნობი უხამსი აღტაცების ნოტები გაისმა. ამ ხმამ ჰარის გაახსენა, როგორ ტკბებოდა ამბრიჯი პროფესორ ტრელოუნის ტანჯვით ციხე-კოშკის ჰოლში, – უმცროსმა მალფოიმ დაიჭირა.

– რას ამბობთ! – კმაყოფილებით თქვა ფაჯმა, – აუცილებლად უნდა გადავცე ლუციუსს. მაშ ასე, პოტერ... ვფიქრობ, თქვენთვის ცნობილია, რატომ აღმოჩნდით აქ.

ჰარიმ პირი გააღო გამომწვევი „ჰოს“ სათქმელად, მაგრამ სანამ ამას იტყოდა, დამბლდორის სახეს მოჰკრა თვალი. დირექტორი ჰარის პირდაპირ არ უყურებდა. მისი მზერა რომელიღაც წერტილისკენ, ჰარის მარჯვენა მხარს ზემოთ იყო მიპყრობილი. მაგრამ ჰარიმ მაინც შეამჩნია, სულ ოდნავ როგორ გადააქნია თავი დამბლდორმა.

და ჰარიმაც სწრაფად დაიხია უკან.

– დ... არა.

– რა ბრძანეთ? – გაიკვირვა ფაჯმა.

– არა, – მტკიცედ გაიმეორა ჰარიმ.

– ესე იგი, თქვენთვის ეს ცნობილი არ არის.

– არა, არ არის ცნობილი.

ფაჯმა ეჭვით გადაიტანა მზერა ჰარიდან პროფესორ ამბრიჯზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ისარგებლა ამ წამით და კიდევ ერთხელ გააპარა თვალი დამბლდორისკენ. დირექტორმა თანხმობის ნიშნად ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი.

– როგორც ჩანს, თქვენ სულ მცირე წარმოდგენაც კი არა გაქვთ იმაზე, თუ რატომ მოგიყვანათ პროფესორმა ამბრიჯმა ამ კაბინეტში? არც ის იცით, რომ სკოლის წესები დაარღვიეთ? – დამცინავად ჩაეკითხა ფაჯი.

– სკოლის წესები? არა.

– იქნებ არც სამინისტროს მიერ შემოღებული დეკრეტები დაგირღვევიათ, – გაბრაზდა ფაჯი.

– ყოველ შემთხვევაში, მე ეს არ შემინიშნავს, – თავაზიანად მიუგო ჰარიმ.

გული ისევ გამალებით უცემდა. ფაჯისთვის ტყუილის თქმა თუნდაც იმიტომ ღირდა, რომ დაენახა, როგორ მოაწვა სისხლი სახეზე, მაგრამ ჰარის წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა დაეძვრინა თავი ამ მდგომარეობიდან. თუ ვინმემ **და**-ს შეკრებების შესახებ ამბრიჯთან დაასმინა, მაშინ იგი, მთავარი ორგანიზატორი, უკვე დროა, ჩემოდნებს ალაგებდეს.

– ესე იგი, თქვენთვის უცნობია, – ფაჯს სიბრაზისგან ხმაც კი ჩაეხრინწა, – რომ სკოლაში გამოაშკარავებულია მოსწავლეთა არალეგალური ორგანიზაცია?

– დიახ, უცნობია, – დაუდასტურა ჰარიმ და სახეზე უცოდველი გაკვირვება გადაიკრა.

– მინისტრო, მიმაჩნია, რომ საქმე უფრო სწრაფად წავა წინ, თუ აქ ინფორმატორს გამოვიძახებთ, – დათაფლული ხმით თქვა ამბრიჯმა.

– დიახ, რა თქმა უნდა, – თავი დაუქნია ფაჯმა. როცა ამბრიჯი ოთახიდან გავიდა, ფაჯმა მუქარით გადახედა დამბლდორს, – კარგ მოწმეზე უკეთესი არაფერია. ასე არ არის, დამბლდორ?

– აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, კორნელიუს, – სერიოზულად დაუკრა თავი დამბლდორმა.

რამდენიმე წუთს არც ხმა ამოუღიათ, არც ერთმანეთისთვის შეუხედავთ. ყველა იცდიდა. მერე ჰარის ზურგს უკან ისევ გაიღო კარი. გვერდით ამბრიჯმა ჩაუარა. მხარზე ხელმოხვეული მოჰყავდა ჩოს ხუჭუჭა მეგობარი მარიეტა. გოგონა სახეს ხელებში მალავდა.

– ნუ გეშინია, ძვირფასო, საშიში არაფერია, – დაუყვავა პროფესორმა ამბრიჯმა და მხარზე მოუტყაპუნა ხელი, – შენ სწორად მოიქეცი. მინისტრი ძალიან კმაყოფილია შენით. დედაშენს შევატყობინებთ, რა კარგი შვილი ჰყავხარ. იცით, მინისტრო, – ახლა მინისტრს მიუბრუნდა, – მარიეტას დედა მადამ ეჯკომბია, ჯადოსნური

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტრანსპორტის დეპარტამენტიდან. ფლუ-ფხვნილის სპეციალისტი, ის ჰოგვორტსის ბუხრების გაკონტროლებაში გვეხმარება.

– შესანიშნავია, შესანიშნავი! – აღტაცებით თქვა ფაჯმა, – შვილი პირდაპირ ალი-კვალი დედაა, არა? მოდი აქ, საყვარელო, შემომხედე, უფრო თამამად. აბა, რას გვეტყვი... აჰ, ეშმაკმა დასწყევლოს!

მარიეტამ თავი ასწია და შეძრწუნებული ფაჯი ისე გადახტა უკან, კინაღამ ბუხარში ჩავარდა. მანტიის კალთა აუბოლდა, შეიკურთხა და ფეხებით სცადა ჩაქრობა. მწარე ამოოხვრით მარიეტამ მანტიის საყელო თვალებამდე აიწია, მაგრამ ყველამ დაინახა, ალისფერი მუწუკებით როგორ ჰქონდა ამოქარგული ლოყებზე წარწერა „გამ-ცემი“.

– ამ ლაქებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ძვირფასო, – მოთმინება დაელია ამბრიჯს, – მანტიას შეეშვი და მინისტრს მოუყევი...

მაგრამ მარიეტას კიდევ ერთი ყრუ კვნესა აღმოხდა და გამწარე-ბული მოჰყვა თავის ქნევას.

– ჰო, კარგი, კარგი, ჩემო სულელო გოგო, მე თვითონ მოვყვები, – ამბრიჯმა მარიეტა კიდევ ერთი გულისამრევი ღიმილით დაასაჩუქრა და განაგრძო: – მაშ ასე, მინისტრო, დღეს საღამოს, ვახშმის შემდეგ, მის ეჯკომბი ჩემთან, კაბინეტში მოვიდა და მითხრა, რომ რაღაც უნდა ეცნობებინა. მითხრა, რომ, თუ მერვე სართულზე საიდუმლო ოთახში შევიხედავდი, რომელსაც ზოგი „მიშველე-ოთახს“ ეძახის, იქ ისეთ რამეს აღმოვაჩენდი, რაც ძალიან დამაინტერესებდა. ბოლოს კი გამომიტყდა, რომ რაღაც შეკრებას გულისხმობდა. სამწუხაროდ, ამ დროს ვიღაცამ შეულოცა, – ამბრიჯმა მანტიაში სახეჩამალულ მარი-ეტასკენ გაიშვირა ხელი, – რის შემდეგაც დაინახა თუ არა თავისი თავი სარკეში, ნერვები აეშალა და ველარ მოახერხა დამატებითი წვრილმანების შეტყობინება.

– აი, თურმე რა ყოფილა, – ფაჯი თვალებით ბურღავდა მარიეტას, რაც, მისი აზრით, მამობრივი სითბოსა და თანაგრძნობის გამოხატ-ულება იყო, – ეს ძალიან გაბედული საქციელია, საყვარელო. კარგი ქენი, რომ პროფესორ ამბრიჯთან მიხვედი. შენ აბსოლუტურად სწო-რად მოიქეცი. ახლა კი კეთილინებე და მომიყევი, რა ხდებოდა ამ თქვენს შეკრებებზე. რა იყო მისი მიზანი? ვინ ესწრებოდა?

მაგრამ მარიეტას ენა წაერთვა. ფაჯს ფართოდ გახელილი, შეშინებული თვალებით მიაჩერდა და ისევ გადააქნია თავი.

– არ შეიძლება, კონტრშელოცვა ვიხმაროთ, რომ მშვიდად ილაპარაკოს? – მოუთმენლად მიმართა მინისტრმა ამბრიჯს.

– ჯერჯერობით ვერ მოვახერხე, – უხალისოდ აღიარა ამბრიჯმა და ჰარი ჰერმიონის მაგივრად სიამაყის გრძნობით აივსო ასეთი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მზაკვრული შელოცვით მარიეტას შეკვრის გამო, – მაგრამ, თუ ხმას მაინც არ ამოიღებს, არაფერი უშავს. მე გავაგრძელებ მის მაგივრად. გახსოვთ, მინისტრო, ოქტომბერში ანგარიში გამოგიგზავნეთ, რომელშიც გატყობინებდით, რომ პოტერი თავის თანამზრახველთა ჯგუფს „ღორის თავში“ შეხვდა? ასე რომ...

– საიდან იცით ამ შეხვედრის ამბავი? – შეაწყვეტინა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– მე მოწმე მყავს, მინერვა. უილი უიდერშინსი შემთხვევით აღმოჩნდა ამ ლუდხანაში მათთან ერთად. მართალია, ერთიანად შებინტული იყო, მაგრამ ამის გამო კი არ დაყრუებულა, – თვითკმაყოფილებით აღნიშნა ამბრიჯმა, – პოტერის მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა მშვენივრად გაიგონა და მაშინვე მოაშურა სკოლას, რომ ჩემთვის ეცნობებინა...

– აი, თურმე რატომ არ გაასამართლეს მფრქვევი უნიტაზებისთვის! – წარბი ასწია მაკგონაგელმა, – შეხედეთ ერთი, რა საინტერესოდ მუშაობს ჩვენი სამართალდამცავი სისტემა!

– საძაგელი კორუფციონერები! – იღრიალა დამბლდორის მაგიდის თავზე დაკიდებულმა ზორბა, წითელცხვირა ჯადოქრის პორტრეტმა, – ჩვენს დროს სამინისტრო გარიგებაში არ შედიოდა აფერისტებთან, არა, სერ?

– გმადლობთ, ფორტესკიუ, საკმარისია, – რაც შეიძლება რბილად შეაჩერა დამბლდორმა.

– პოტერმა შეხვედრა დაუნიშნა თანაკლასელებს, – განაგრძო ამბრიჯმა, – რათა დაეყოლიებინა ისინი, რომ გაერთიანებულიყვნენ არალეგალურ საზოგადოებაში იმ შელოცვების შესასწავლად, რომლებიც სამინისტრომ სკოლის ასაკის ბავშვებისთვის მიზანშეუწონლად მიიჩნია...

– ჩემი აზრით, ამაში ცდებით, დოლორეს, – მშვიდად გამოხედა გრძელ, მოგრეხილ ცხვირზე წამოსკუპებული სათვალის ზემოდან დამბლდორმა.

ჰარი გაოცებული შეაცქერდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ აპირებდა დამბლდორი მის დახსნას. თუ „ღორის თავში“ უილი უიდერშინსმა ნამდვილად მოისმინა მისი თითოეული სიტყვა, ამ ამბიდან გამოძრომა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა.

– ოჰო! – წამოიძახა ფაჯმა და ისევ აქანავდა ფეხის წვერებზე, – აბა, მიდით, კიდევ ერთი თითიდან გამოწოვილი არაკი მოვისმინოთ პოტერის გადასარჩენად! გთხოვთ, დამბლდორ, განაგრძეთ. ალბათ, უილი უიდერშინსმა ტყუილი თქვა! ან იქნებ იმ დღეს ლუდხანაში პოტერი კი არა, მისი ტყუპისცალი იყო? თუ მარტივ ახსნას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემოგვთავაზებთ დროის მდევარზე, გაცოცხლებულ მიცვალებულზე ან წყვილ უჩინარ დემენტორზე?

პერსი უისლიმ მლიქვნელურად გაიცინა.

– მშვენიერია, მინისტრო, მშვენიერი!

ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, ისე უნდოდა, პანღური ამოეკრა პერსისთვის. მაგრამ ამ დროს, თავისდა გასაოცრად, შენიშნა, რომ დამბლდორიც იღიმებოდა.

– არა, ძვირფასო კორნელიუს, სულაც არ უარვყოფ, რომ ჰარი იმ დღეს „ღორის თავში“ იყო და მოსწავლეებს აგროვებდა ბნელი ძალებისგან თავდაცვის შესასწავლად. დარწმუნებული ვარ, არც ჰარი უარყოფს ამას. მე მინდა თქვენი ყურადღება მხოლოდ იმაზე მივაპყრო, რომ დოლორესი მართალი არაა, როცა ამბობს, ჯგუფი არალეგალური იყოო. თუ გახსოვთ, სამინისტროს ის დეკრეტი, რომელიც მოსწავლეებს საზოგადოებაში გაერთიანებას უკრძალავს, ჰოგსმიდში ორგანიზებული შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ შევიდა ძალაში. ასე რომ, მაშინ ჰარის კანონი არ დაურღვევია.

პერსის ისეთი სახე გაუხდა, თითქოს თავში ურო დაჰკრეს. ფაჯი ფეხის წვერებზე აწეული გაშეშდა, ქუსლებზე გადაწევა დაავიწყდა. ყბა ჩამოუვარდა.

პირველად ამბრიჯი მოეგო გონს.

– ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, დირექტორო, – თქვა ტკბილი ღიმილით, – მაგრამ ახლა N 23 დეკრეტის ძალაში შესვლის დღიდან თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა. თუ პირველი შეხვედრა უკანონო არ იყო, ყველა მომდევნო უკვე ნამდვილად უკანონო გახლდათ.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა დამბლდორი, თან თავაზიანი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა გადაჭდობილ თითებს ზემოდან, – რა თქმა უნდა, უეჭველად უკანონო იქნებოდა, თუ საერთოდ იმართებოდა ეს შეხვედრები. მაგრამ შეგიძლიათ კი, დაამტკიცოთ, რომ მოსწავლეები შეკრებებს განაგრძობდნენ?

სანამ დამბლდორი ლაპარაკობდა, ჰარის უკნიდან ძლივს გასაგონი ჩურჩული მოესმა – ეტყობა, კინგსლი შეკლბოლტი ჩურჩულებდა. და კიდევ: დაიფიცებდა, რომ ნამდვილად იგრძნო რაღაც სუსტი ნიავისმაგვარი ქროლა, თითქოს გვერდით ჩიტმა გაიფრინა. თუმცა, ძირს იყურებოდა და ამიტომ ვერაფერი დაინახა.

– დავამტკიცო? – გაიმეორა ამბრიჯმა და გომბეშოსებური პირი საზიზღარი ღიმილით გაეწელა, – თქვენ, რა, არ გვისმენთ, დამბლდორ? თქვენი აზრით, რატომ მოვიწვიეთ აქ მის ეჯკომბი?

– განა გოგონამ თქვა, რომ შეხვედრები ნახევარ წელიწადს გრძელ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დებოდაო? – წარბის აწევით იკითხა დამბლდორმა, – მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მის ეჯკომბმა მხოლოდ დღევანდელი შეხვედრის ამბავი შეგატყობინათ.

– მის ეჯკომბ, – მაშინვე მიუბრუნდა ამბრიჯი გოგონას, – გთხოვ, ძვირფასო, გვითხარი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს შეხვედრები? შეგიძლია, მხოლოდ დაიქნიო ან გაიქნიო თავი. დარწმუნებული ვარ, ამით შენი მუწუკები ამაზე უარესი ვერ გახდება. მაშ ასე, რეგულარულად ეწყობოდა ეს შეხვედრები ბოლო თვეების მანძილზე?

ჰარიმ იგრძნო, როგორ ჩასწყდა მუცელში რაღაც საოცრად მძიმე. ბოლოს მაინც მიადგნენ ჩიხს, რომლიდანაც დამბლდორიც კი ვერ გამოაღწევდა.

– უბრალოდ, დაიქნიე ან გააქნიე თავი, ძვირფასო, – თავს უქონავდა მარიეტას ამბრიჯი, – მიდი, ნუ გეშინია, ამაზე უარესი აღარაფერი მოხდება.

ყველა მარიეტას შეაცქერდა. მანტიის ზემოთ მხოლოდ თვალები და შუბლზე ჩამოშლილი ხუჭუჭი თმა მოუჩანდა. იქნებ ეს ბუხარში დანთებული ცეცხლის ათინათის ბრალი იყო, მაგრამ ჰარის მისი თვალები როგორღაც დაცარიელებული მოეჩვენა. და აი, უეცრად, მისდა გასაოცრად, მარიეტამ თავი გააქნია.

ამბრიჯმა სწრაფად შეხედა ფაჯს, მერე – ისევ მარიეტას.

– ალბათ, ვერ გაიგე შეკითხვა, საყვარელო. მე გეკითხები, ესწრებოდი თუ არა ექვსი თვის მანძილზე მსგავს შეხვედრებს. შენ ხომ ესწრებოდი, ასე არ არის?

მარიეტამ ისევ გააქნია თავი.

– ეს რას ნიშნავს, ძვირფასო? – გაღიზიანდა ამბრიჯი.

– ვფიქრობ, აქ ეჭვი უადგილოა, – მკვახედ თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, – გოგონას უნდა თქვას, რომ ამ ნახევარი წლის მანძილზე არავითარი საიდუმლო შეკრებები არ ყოფილა. მართალი ვარ, მის ეჯკომბ?

მარიეტამ თავი დაიქნია.

– მაგრამ დღეს ხომ ჰქონდათ შეხვედრა! – გაავდა ამბრიჯი, – „მიშველე-ოთახში“ მოეწყო. და ეს შენ თვითონ შემატყობინე, მის ეჯკომბ! და ამ შეხვედრას ხელმძღვანელობდა პოტერი, სწორედ ის, რომელიც... ისევ აქეთ-იქით რატომ აქიცინებ თავს, სულელო გოგო?

– როგორც წესი, ადამიანები მაშინ აქნევენ თავს, როცა „არას“ თქმა უნდათ, – ცივად შეახსენა მაკგონაგელმა, – ამიტომ, თუ მის ეჯკომბი არ სარგებლობს კაცობრიობისთვის აქამდე უცნობი ჟესტებით...

გააფთრებულმა ამბრიჯმა ხელი სტაცა მარიეტას, თავისკენ შეა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრუნა და გამეტებით დაუწყო ჯანჯღარი. იმავე წამს დამბლდორი წამოხტა და ჯადოსნური ჯოხი შემართა. კინგსლიმ წინ წამოიწია, ამბრიჯი კი მაშინვე მოსცილდა მარიეტას, ისე იქნევდა ხელებს ჰაერში, ფითქოს რაღაცაზე დაეწვაო.

– მე ვერ მოგცემთ ჩემი მოსწავლეების ცემა-ტყეპის უფლებას, დოლორეს, – დამბლდორს მთელი საღამოს მანძილზე პირველად დაეტყო გაბრაზება.

– როგორმე უნდა დამშვიდდეთ, მადამ ამბრიჯ, – ურჩია კინგსლიმ წყნარი, ძლიერი ხმით, – ნუთუ უსიამოვნებებს ეძებთ?

– დიახ, – ძლივს გასაგონად თქვა ამბრიჯმა და კინგსლის ახედა, – უფრო სწორად, არა... თქვენ მართალი ხართ, შეკლბოლტ... მე... მე თავს ვერ მოვერიე.

მარიეტა სარგადაყლაპულივით იდგა ერთ ადგილზე. როგორც ჩანს, ვერც ამბრიჯის გაავებული შეტევები იგრძნო და ვერც უეცარი გათავისუფლება. ისევ მანტიით იფარავდა ნახევარ სახეს, პირდაპირ მიმართული მზერა კი ისევ ისეთი ცარიელი ჰქონდა.

ჰარი რაღაცას მიხვდა – გაახსენდა კინგსლის ჩურჩული და ნიავისმაგვარი სუსტი ქროლა.

– დოლორეს, – ფაჯს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ რაღაცა გადაწყვიტაო, – დღევანდელი შეკრება, ის, რომელიც, თქვენი ინფორმაციით, მაინც მოეწყო...

– დიახ, – სიტყვა ჩამოართვა გონს მოსულმა ამბრიჯმა, – დიახ... ერთი სიტყვით, მის ეჯკომბმა მაცნობა და მეც რამდენიმე საიმედო მოსწავლის თანხლებით დაუყოვნებლივ გავემართე დანაშაულის ადგილზე მათ დასაჭერად. მაგრამ, ჩანს, ისინი გააფრთხილეს, რადგან, როგორც კი მერვე სართულზე ავედით, აღმოვაჩინეთ, რომ სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ. თუმცა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ყველა მათგანის სახელი ვიცი: მის პარკინსონმა შეიხედა „მიშველე-ოთახში“ სამხილის მოსაპოვებლად და ეს სამხილი იქ აღმოჩნდა.

ჰარის გააჟრჟოლა, როცა ამბრიჯმა ჯიბიდან „მიშველე-ოთახში“ გამოკრული სია ამოიღო და ფაჯს გაუწოდა.

– როგორც კი ამ სიაში პოტერის სახელი ამოვიკითხე, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, – ხმადაბლა დაასრულა ამბრიჯმა.

– შესანიშნავია, – თქვა ფაჯმა და სახეზე ღიმილი დაეფინა, – შესანიშნავია, დოლორეს, და... ეს რა არის?!

დამბლდორს შეხედა, რომელიც ისევ მარიეტას გვერდით იდგა და ჯადოსნური ჯოხი ძირს დაეშვა.

– ერთი ნახეთ, რა დაურქმევიათ, – დინჯად თქვა ფაჯმა, – **დამბლდორის არმია!**

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორი ფაჯთან მივიდა, პერგამენტი გამოართვა და ჰერმიონის მიერ ექვსი თვის წინათ შედგენილ სიას დახედა. ერთხანს თითქოს ლაპარაკის უნარი დაკარგა. მერე გაღიმებულმა ასწია თავი და უბრალოდ გამოაცხადა:

– რა გაეწყობა, თამაში დამთავრებულია, წერილობით აღიარებას ინებებთ, კორნელიუს, თუ საკმარისი იქნება ზეპირი განცხადება მოწმეთა თანდასწრებით?

ჰარიმ შეამჩნია, რომ მაკგონაგელმა და კინგსლიმ ერთმანეთს შეშფოთებულებმა გადახედეს. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. როგორც ჩანს, ვერც ფაჯი.

– აღიარება? – გაწელა მინისტრმა, – რა... არ ვიცი...

– ДАМБЛДОРИС АРМИА, კორნელიუს, – ღიმილით განაგრძო დამბლდორმა და სია ფაჯს ცხვირწინ აუფრიალა. პოტერისა კი არა, დამბლდორის.

– მაგრამ...

უცებ მინისტრს სახის გამომეტყველება შეეცვალა. ის ყველაფერს მიხვდა. შეშინებულმა დაიწია უკან, მერე კი ყვირილით მოსცილდა ბუხარს.

– თქვენ? – წაიჩურჩულა და ისევ ფეხით შესდგა აბოლებულ მანტიას.

– დიახ, მე, – თავაზიანად დაუდასტურა დამბლდორმა.

– ესე იგი, თქვენ ხართ ორგანიზატორი?

– მე გახლავართ, – დაუდასტურა დამბლდორმა.

– თქვენ მიიწვიეთ მოსწავლეები საკუთარ რაზმში?

– დღეს პირველი შეხვედრა გვქონდა, – აღიარა დამბლდორმა და თავი დაუკრა, – ისე, შესამოწმებლად, მოისურვებდნენ თუ არა ჩემთან ჩაწერას. რა თქმა უნდა, ახლა ვხედავ, რომ შევცდი, როცა მის ეჯკომბი მივიწვიე.

მარიეტამ თავი დააქნია. ფაჯმა ისევ დამბლდორს შეხედა. მრისხანებისგან გაიბერა და იღრიალა:

– მაშ, ეს ჩემ წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებაა?!

– სწორედ ასეა, – მხიარულად დაუდასტურა დამბლდორმა.

– არა! – დაიყვირა ჰარიმ.

კინგსლიმ მრავალმნიშვნელოვნად გამოხედა. მაკგონაგელმა მუქარით დაუბრიალა თვალები, მაგრამ ჰარი მიხვდა, რას აპირებდა დამბლდორი და არაფრით არ შეეძლო ამის დაშვება.

– არა... პროფესორო დამბლდორ!..

– ნუ ყვირი, ჰარი, თორემ ჩემი კაბინეტიდან გაგაძევებ, – მშვიდად გააფრთხილა დამბლდორმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხმა ჩაიწყვიტეთ, პოტერ! – შეჰყეფა ფაჯმა. ისევ თვალებგადმოკარკლული შეჰყურებდა დამბლდორს სიხარულნარევი შიშით, – ასეე... აქ პოტერის გასაგდებად მოვედი, მის ნაცვლად კი...

– მის ნაცვლად ჩემი დაპატიმრების საბაბი იშოვეთ, – ღიმილით თქვა დამბლდორმა, – ეს, დაახლოებით, იმას ჰგავს, კნატი რომ დაკარგოთ და გალეონი იპოვოთ, ასე არ არის?

– უისლი! – იყვირა აღტაცებისგან აცახცახებულმა ფაჯმა, – უისლი, ჩაიწერეთ ყველაფერი, რაც თქვა? ჩაიწერეთ მისი აღიარება?

– დიახ, ჩავიწერე, სერ! – ცოცხლად გამოეპასუხა პერსი. ისე სწრაფად აწიკწიკებდა სიტყვებს პერგამენტზე, ცხვირი მელნით ჰქონდა მოთხუპნილი.

– ისიც, რომ რაზმის შექმნას ცდილობდა სამინისტროსთან საბრძოლველად? ისიც ჩაწერეთ, რომ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა ჩემ წინააღმდეგ?

– დიახ, სერ, ყველაფერი ჩაწერილია! – გახარებულმა თქვა პერსიმ, თან თავის ჩანაწერებს ათვალიერებდა.

– შესანიშნავია, შესანიშნავი, – ფაჯის ხმაში საზეიმო ნოტები ჟღერდა, – ახლავე გაგზავნეთ თქვენი ჩანაწერების ასლი „დილის მისანში“, უისლი. თუ სწრაფ ბუს იშოვით, დილის გამოშვებას მივუსწრებთ, – პერსი ისარივით გავარდა ოთახიდან და კარი გაიჯახუნა. ფაჯი ისევ დამბლდორს მიუბრუნდა: – თქვენ კი ახლა ბადრაგის თანხლებით სამინისტროში წამობრძანდებით. იქ ოფიციალურ ბრალდებას წაგიყენებენ, სასამართლოს კი აზკაბანში დაელოდებით!

– აჰ, – ამოიოხრა დამბლდორმა, – ჰო. ასეც ვიცოდი, რომ ამ პატარა დაბრკოლებას გადავაწყდებოდით.

– დაბრკოლებას? – ფაჯის ხმა ისევ საზეიმოდ ჟღერდა, – ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ვხედავ, დამბლდორ!

– ძალიან ვწუხვარ, – დამნაშავესავით თქვა დამბლდორმა, – მაგრამ ვშიშობ, რომ მე ვხედავ.

– მართლა?

– დიახ. საქმე ის არის, რომ ცდებით, როცა ფიქრობთ, რომ მე – როგორ ამბობენ? – ჩემი ნებით წამოგყვებით. სულაც არ ვაპირებ, კორნელიუს, საკუთარი ნებით წამოსვლას. არავითარი სურვილი არ მაქვს, აზკაბანში ვიჯდე. რა თქმა უნდა, იქიდან გაქცევაც შემიძლია, მაგრამ რატომ დავკარგო დრო? გულწრფელად გეტყვით, რომ შემიძლია, დროის უფრო სასარგებლოდ გატარების მილიონი საშუალება მოვიფიქრო.

ამბრიჯს სახე თანდათანობით უწითლდებოდა. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ მდულარეს ასხამდნენ. ფაჯი სილაგაწნულივით სულე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლურად შეაცქერდა დამბლდორს. მერე ყელიდან რაღაც მოგუდული ხმა ამოუვიდა და კინგსლისა და მოკლეთმიან კაცს გახედა. მოკლეთმიანმა ხელი ჯიბისკენ წაიღო და წინ წამოვიდა.

– არ ღირს, დოულიშ, – ზრდილობიანად უთხრა დამბლდორმა, – დარწმუნებული ვარ, რომ ბნელი ძალების წინააღმდეგ შესანიშნავი მებრძოლი ხართ – ტყუილად ხომ არ მიგიღიათ უმაღლესი შეფასება **კატა**-ს ყველა გამოცდაზე – მაგრამ, თუ ძალის გამოყენებას შეეცდებით, იძულებული ვიქნები, შეგეწინააღმდეგოთ.

კაცმა, რომელსაც დოულიში ერქვა, თვალები აახამხამა. ბრიყვული გამომეტყველებით შეხედა ფაჯს. თითქოს არ იცის, რა უნდა ქნას და მინისტრის კარნახს ელოდებაო.

– ეს როგორ გავიგო, დამბლდორ, – ჩაიცინა გონს მოსულმა ფაჯმა, – იმედი გაქვთ, რომ მარტო გაგვიმკლავდებით დოულიშს, შეკლბოლტს, დოლორესსა და მე?

– არა, ვფიცავ მერლინის წვერს, – ღიმილით თქვა დამბლდორმა, – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაიძულებთ.

– ის მარტო არ არის! – ხმამაღლა თქვა მაკგონაგელმა და მანტიის ნაკეცებში ჩაიყო ხელი.

– არა, არა, მინერვა! ნუ ჩაერევით, თქვენ ჰოგვორტსს სჭირდებით!– მკაცრად გააფრთხილა დამბლდორმა.

– გეყოფათ მაიმუნობა, – თქვა ფაჯმა და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, – დოულიშ, შეკლბოლტ, აიყვანეთ!

ოთახში თითქოს ვერცხლისფერმა ელვამ იჭექა. იატაკი შეირყა. ჰარის ვიღაცამ საყელოში სტაცა ხელი და იატაკზე დასცა. ისევ იელვა ვერცხლისფრად. რამდენიმე პორტრეტმა შეჰყვირა. ფოუკსმა დაიწივლა. ჰაერში მტვრის ღრუბელი ავარდა. ჰარის ხველა აუტყდა, დაინახა, მის წინ როგორ დაეცა ხმაურით ვიღაც. გაისმა კვნესა, დარტყმის ხმა და ვიღაცის ყვირილი. ამას მოჰყვა ფანჯრის მინების მტვრევისა და ნაბიჯების ხმა, მერე – ისევ კვნესა და... სიჩუმე ჩამოვარდა.

ჰარიმ ძლივს მოაბრუნა თავი, რომ დაენახა, ვინ ჩაავლო კისერში ხელი. მოკუნტულ მაკგონაგელს ცალი ხელით ჰარი ეჭირა, მეორით – მარიეტა. ჰაერში ჯერ კიდევ იდგა მტვრის ბუღი. ჰარიმ დაინახა, როგორ გამოემართა მათკენ მაღალი ფიგურა.

– კარგად ხართ? – იკითხა დამბლდორმა.

– კარგად ვართ, – უპასუხა პროფესორმა მაკგონაგელმა, ადგა და ჰარი და მარიეტაც წამოაყენა.

მტვერი თითქმის უკვე დაჯდა. თვალწინ გაპარტახებული კაბინეტი წარმოუდგათ. დამბლდორის მაგიდა გადაბრუნებულიყო. წაქცეული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო მაღალფეხიანი პატარა მაგიდაც. ვერცხლის ხელსაწყოები აქეთ-იქით ეყარა. ფაჯი, ამბრიჯი, კინგსლი და დოულიში გაუნძრევლად იწვნენ იატაკზე. ფენიქსი ფოუკსი თავს დასტრიალებდათ – ჰარის ჩუმი სიმღერა შემოესმა.

– სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი, კინგსლიც მიმეყოლებინა, თორემ ეჭვს აიღებდნენ, – ხმადაბლა თქვა დამბლდორმა, – ძალიან სწრაფად გაერკვა, რა ხდებოდა და როცა ყველა შებრუნდა, მარიეტას მეხსიერება შეუცვალა, – ჩემგან მადლობა გადაეცით, კარგი, მინერვა? დანარჩენები მალე მოვლენ გონს. კარგი იქნება, თუ არ ეცოდინებათ, რომ დაგელაპარაკეთ. თავი ისე უნდა დაიჭიროთ, თითქოს ყველაფერი წამში მოხდა, ვითომ, უბრალოდ წააქციეს. ვერაფერს გაიხსენებენ...

– ახლა საით აპირებთ, დამბლდორ? – ჩურჩულით ჰკითხა მაკგონაგელმა, – გრიმოს მოედანზე?

– არა, არა, დამალვას არ ვაპირებ. ფაჯი სულ მალე ინანებს, რომ ჰოგვორტსიდან გამაძევა, გპირდებით, – პირქუში ღიმილით თქვა დამბლდორმა.

– პროფესორო დამბლდორ... – რაღაცის თქმა სცადა ჰარიმ, მაგრამ არ იცოდა, რით დაეწყო. ეთქვა, რომ რცხვენია **დ**ა-ს ჩამოყალიბებისთვის, რომელიც მთელი ამ უბედურების მიზეზად იქცა თუ ეცადა აეხსნა, როგორ სტკივა გული, რომ დამბლდორი მისი გადარჩენისთვის წირავდა თავს. მაგრამ სანამ ის აზრებს მოიკრებდა, დამბლდორმა მტკიცედ უთხრა:

– ყური მიგდე, ჰარი, ძალ-ღონე არ უნდა დაიშურო ოკლუმენციის შესასწავლად, გესმის? გააკეთე ყველაფერი, რასაც პროფესორი სნეიპი გეტყვის და ყოველდღე ივარჯიშე ძილის წინ კოშმარებისგან თავის დასაცავად... მალე გაიგებ, რისთვის არის ეს საჭირო. ახლა კი დამპირდი...

იატაკზე გაშხლართული დოულიში გაფაჩუნდა. დამბლდორმა ხელზე მოუჭირა ჰარის.

– გახსოვდეს, ვოლდემორს შენს გონებაში შეღწევის საშუალება არ უნდა მისცე...

მაგრამ როგორც კი დამბლდორის თითები შემოეჭდო მაჯაზე, ჰარიმ ტკივილი იგრძნო ნაიარევზე და ისევ დაეუფლა ის საშინელი, მოუთოკავი გველური სურვილი, სცემოდა დამბლდორს, დაეკბინა, დაეფლითა...

– ...მალე მიხვდები... – წაიჩურჩულა დამბლდორმა. ფოუკსმა კიდევ ერთი წრე დაარტყა და დამბლდორთან მიფრინდა. დამბლდორმა ხელი უშვა ჰარის და ფენიქსის გრძელ ოქროსფერ ბოლოს ჩამოეკიდა. იქაურობა უცებ განათდა და ორივე გაქრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სად არის? – იღრიალა ფაჯმა და იატაკიდან წამოხტა, – სად არის?!

– არ ვიცი, – თქვა კინგსლიმ და ისიც ადგა.

– რა იქნა? აპარაციას ვერ შეძლებდა! – იყვირა ამბრიჯმა, – ჰოგვორტსში შეუძლებელია აპარაცია!

– კიბე! – დაიძახა დოულიშმა. კარს ეცა, გამოაღო და გაუჩინარდა. კინგსლი და ამბრიჯიც გარეთ გაცვივდნენ. ფაჯმა შეიცადა, მერე აუჩქარებლად ჩამოიფერთხა მანტია. ხანგრძლივი, გულის გამაწვრილებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

– მაშ ასე, მინერვა, – ავის მომასწავებლად თქვა ფაჯმა და გახეული სახელო შეისწორა, – ვშიშობ, რომ ეს თქვენი მეგობარი დამბლდორის დასასრულია.

– თქვენ ასე ფიქრობთ? – ზიზღით გამოეპასუხა მაკგონაგელი.

ფაჯმა თითქოს ვერ გაიგონა. მინგრეულ-მონგრეული კაბინეტი მოათვალიერა. ზოგი პორტრეტი ავად აჩურჩულდა, ზოგმაც უხამსი მოძრაობით გამოხატა განწყობა.

– ეს ორი დასაძინებლად წაიყვანეთ, – ფაჯმა ისევ მაკგონაგელზე გადაიტანა მზერა და თავით ჰარისა და მარიეტაზე ანიშნა.

მაკგონაგელმა უხმოდ წაიყვანა ბავშვები კარისკენ. როცა კარი მიიხურა, ჰარიმ ფინეას ნაიჯელუსის ხმა გაიგონა:

– იცით, მინისტრო, ჩემი და დამბლდორის შეხედულებები ბევრ რამეში არ ემთხვევა ერთმანეთს... თუმცა, ვერ უარყოფთ, რომ ნამდვილად აქვს უნარი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცამეტე

სნეიპის ყველაზე ცუდი მოგონება

მაგიის სამინისტროს

ბრძანებულება

დოლორეს ჯეინ ამბრიჯი (ტენერალური ინსპექტორი) ინიშნება ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის დირექტორად ალბუს დამბლდორის ნაცვლად.

ამ ბრძანებულების საფუძველია ტანათლების შესახებ დეკრეტი №28.

ხელმოწერილია: კორნელიუს ოსვალდ ფაჯი, მაგიის მინისტრი.

დილით ეს განცხადებები მთელ სკოლაში იყო გაკრული. მაგრამ იქ ვერ იპოვიდით იმის ახსნას, თუ როგორ მოახერხა გაქცევა დამბლდორმა ბნელი ძალების წინააღმდეგ ორი მებრძოლის, გენერალური ინსპექტორის, მაგიის მინისტრისა და მისი უმცროსი თანაშემწის ძალისხმევის მიუხედავად. ყველგან, საითაც უნდა წასულიყო ჰარი, მხოლოდ ამ გაქცევაზე ლაპარაკობდნენ. მართალია, დეტალები მრავალჯერადი მოყოლის შედეგად ოდნავ შეიცვალა (ჰარიმ გაიგონა, როგორ არწმუნებდა ერთი მეორეკურსელი მეორეს, თითქოს ფაჯი ახლა წმინდა მუნგოს კლინიკაში იწვა და თავის მაგივრად გოგრა ჰქონდა), მხოლოდ გაკვირვებას იწვევდა ის, თუ რა სიზუსტით ყვებოდნენ ძირითად ფაქტებს. მაგალითად, ყველამ იცოდა, რომ დამბლდორის კაბინეტში იმყოფებოდნენ ჰარი და მარიეტა, როცა იქ ეს ამბები ხდებოდა, და რადგან მარიეტა საავადმყოფო ფლიგელში იწვა, ჰარი, როგორც მომხდარი ამბის ერთადერთი ხელმისაწვდომი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მომსწრე და თვითმხილველი, იძულებული იყო, ცნობისმოყვარეთა გაუთავებელ შეკითხვებზე ეპასუხა.

– დამბლდორი მალე დაბრუნდება, – დარწმუნებით თქვა ერნი მაკმილანმა, როცა ჰარის მონაყოლის შემდეგ ჰერბოლოგიის გაკვეთილიდან ბრუნდებოდნენ, – როცა მეორე კურსზე ვიყავით, მაშინ ვერ მოახერხეს დიდი ხნით გაგდება, არც ამჯერად გამოუვათ რამე. მსუქანმა ბერმა მითხრა, რომ – შეთქმულივით ისე დაუწია ხმას, ჰარი, რონი და ჰერმიონი იძულებულნი გახდნენ, ახლოს მისულიყვნენ, – გუშინ საღამოს, როცა ციხე-კოშკი და მთელი ტერიტორია გაჩხრიკეს, მაგრამ დამბლდორი მაინც ვერსად იპოვეს, ამბრიჯმა ისევ სცადა მის კაბინეტში შესვლა, თუმცა ქვის ურჩხულმა არ შეუშვა. ვერ მიართვეს დირექტორის კაბინეტი, – ერნიმ ჩაიცინა, – სიბრაზისგან, ალბათ, ლამის გასკდა!

– ჰო, ალბათ, ძილშიც ესიზმრებოდა, როგორ იჯდა დირექტორის მაგიდასთან, – ბოლმით თქვა ჰერმიონმა, როცა ქვის კიბეებით ციხე-კოშკის მთავარი შესასვლელისკენ ადიოდნენ, – ალბათ, ოცნებობდა, როგორ მოაჯდებოდა თავს დანარჩენ მასწავლებლებს ეს გამოთაყვანებული, გაბერილი, შურიანი ბებერი...

– მიდი, გრეინჯერ, გააგრძელე! რატომ გაჩუმდი?

კარიდან დრაკო მალფოი გამოხტა, უკან კრაბი და გოილი მოჰყვნენ. მალფოის ფერმკრთალი, წაწვეტებული სახე სიავით გაცისკროვნებოდა.

– ეტყობა, გრიფინდორისა და ჰაფლეპაფის რამდენიმე ქულით დაჯარიმება მომიწევს, – წაიმღერასავით დრაკომ.

– შენ უფლება არ გაქვს, პრეფექტი დააჯარიმო, – შეეპასუხა ერნი.

– ვიცი, რომ პრეფექტებს ერთიმეორის დაჯარიმების უფლება არა აქვთ, – თქვა მალფოიმ, – მაგრამ საინსპექციო რაზმის წევრებს...

– რა? – გამომწვევად იკითხა ჰერმიონმა.

– საინსპექციო რაზმი, გრეინჯერ, – მალფოიმ პრეფექტის ნიშნის ქვეშ მანტიაზე ამოქარგულ ციცქნა ვერცხლისფერ „ი"-ზე უჩვენა, – პირადად პროფესორ ამბრიჯის მიერ შერჩეული, მაგიის სამინისტროს მხარეს მყოფი მოსწავლეების განსაკუთრებული რაზმია. მოკლედ, საინსპექციო რაზმის წევრებს უფლება აქვთ, ჩამოართვან ქულები... ასე რომ, ხუთი საჯარიმო ქულა შენ, გრეინჯერ, ახალი დირექტორის მისამართით უხეში გამოთქმისათვის. ხუთი საჯარიმო ქულა მაკმილანს, რადგან შემეპასუხა. პოტერ, შენც ხუთ ქულას გაკლებ იმიტომ, რომ არ მომწონხარ. ვაჰ, უისლი, პერანგი გაქვს ამოჩაჩული? ესე იგი, შენც ხუთი ქულით დაჯარიმდები. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, მუქსისხლიანი რომ ხარ, გრეინჯერ, ასე რომ, კიდევ ათი საჯარიმო ქულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, მაგრამ ჰერმიონმა ხელი ჰკრა და წასჩურჩულა: „არ გინდა!“

– ბრძნული საქციელია, გრეინჯერ, – ჩაიცინა მალფოიმ, – ახალი დირექტორი – ახალი წესები... ჭკვიანად იყავი, პოტ... შენც, მეფე უისლი, – და საკუთარი თავით საშინლად კმაყოფილი, კრაბთან და გოილთან ერთად იქაურობას გაეცალა.

– გვატყუებს, – შეშინებული ხმა ჰქონდა ერნის, – არა მგონია, რომ ქულების დაკლების უფლება მიეცათ... ეს ხომ სასაცილოა... მაშინ რაღა აზრი აქვს პრეფექტების დანიშვნას და, საერთოდ...

მაგრამ ჰარი, რონი და ჰერმიონი ანგარიშმიუცემლად შებრუნდნენ კედლის ნიშებში ჩადგმული ქულების დამთვლელი ვეებერთელა ქვიშის საათების წყებისკენ. ყველა კლუბს თავისი საათი ჰქონდა. დილით პირველ ადგილს გრიფინდორი და რეივენქლო იყოფდნენ. ახლა მათ თვალწინ რამდენიმე ძვირფასი ქვა საათის ქვედა ნაწილიდან ზევით ასრიალდა. არაფერი შეცვლილა მხოლოდ ერთ, ზურმუხტით სავსე სლიზერინის საათში.

– ნახეთ? – მოისმა ფრედის ხმა.

ის და ჯორჯი ის-ის იყო ჩამოვიდნენ მარმარილოს კიბით და ქვიშის საათებთან გარინდებულ ჰარისთან, რონსა და ჰერმიონთან მივიდნენ.

– ახლახან მალფოიმ ოცდაათი ქულით დაგვაჯარიმა, – თქვა გააფთრებულმა ჰარიმ, თან უყურებდა, როგორ ამოტივტივდა გრიფინდორის საათში კიდევ რამდენიმე ქვა.

– ჰო, შესვენებაზე მონტეგიუც სწორედ ამას გვიპირებდა, – თქვა ჯორჯმა.

– რას ნიშნავს „გვიპირებდა“? – მაშინვე ჰკითხა რონმა.

– იმას, რომ ვერ მოასწრო ბოლომდე თქმა, – აუხსნა ფრედმა, – საქმე ის არის, რომ თვითონ შევტენეთ გაუჩინარების კარადაში პირველ სართულზე.

ჰერმიონს თავზარი დაეცა.

– ამისთვის მაგრად მოგხვდებათ!

– იმაზე ადრე არა, სანამ მონტეგიუ დაბრუნდება. ეს კი ნამდვილად არ მოხდება ამ ერთ-ორ კვირაში – არც კი ვიცით, საით გავგზავნეთ, – გულგრილად თქვა ფრედმა, – მაგრამ, ასეა თუ ისე, გადავწყვიტეთ, მეტი აღარ ვინერვიულოთ იმაზე, მოგვხვდება თუ არა.

– თითქოს ადრე ძალიან ნერვიულობდით, – თქვა ჰერმიონმა.

– რა თქმა უნდა, ვნერვიულობდით, – შეედავა ჯორჯი, – აქამდე ხომ არ გავურიცხივართ?

– ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, როდის უნდა შევჩერებულიყავით, – აუხსნა ფრედმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხანდახან ცოტა თუ გავერთობოდით ხოლმე, მაგრამ ნამდვილ მავნებლობამდე არასდროს მიგვყავდა საქმე, – დაამატა ჯორჯმა.

– ახლა? – ფრთხილად იკითხა რონმა.

– ახლა... – შეყოყმანდა ჯორჯი.

– როცა დამბლდორი აღარ არის... – მხარი აუბა ფრედმა.

– მიგვაჩნია, რომ ცოტაოდენი მავნებლობა...

– ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენი ძვირფასი ახალი დირექტორი იმსახურებს.

– ნუ იზამთ ამას! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა, – გთხოვთ, თავი შეიკავეთ! ძალიან ბედნიერი იქნება, თუ სკოლიდან გაგდების საბაბს მისცემთ!

– ნუთუ არ გესმის, ჰერმიონ? – ღიმილით თქვა ფრედმა, – სულაც არ გვინდა აქ დარჩენა. სიამოვნებით წავიდოდით თუნდაც ახლავე – უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ დამბლდორის გამო სამაგიერო უნდა გადავუხადოთ. მოკლედ, რაც უნდა მოხდეს, – საათს დახედა, – პირველი ეტაპი სადაცაა დაიწყება. თქვენ ადგილას სასწრაფოდ დიდ დარბაზში წავიდოდი სადილად. მაშინ ვერავინ იფიქრებს, რომ ამ საქმესთან რამე გაქვთ საერთო.

– რომელ „საქმესთან“? – შეშფოთდა ჰერმიონი.

– ნახავ, – უპასუხა ჯორჯმა, – წადით, რას დაყუდებულხართ.

ფრედი და ჯორჯი შებრუნდნენ და მარმარილოს კიბეზე ჩამომავალ ბავშვებს შეერივნენ. სადილის დრო იყო. მეტისმეტად შეფიქრიანებულმა ერნიმ რაღაც გაურკვეველი ჩაიბურტყუნა ტრანსფიგურაციაში დაუმთავრებელ საშინაო დავალებაზე და წავიდა.

– როგორც ჩანს, ჩვენც უნდა ვიჩქაროთ, – აღელდა ჰერმიონი, – ყოველი შემთხვევისთვის...

– წავედით, – თქვა რონმა და სამივემ დიდ დარბაზს მიაშურა, მაგრამ ჰარიმ გადააბიჯა თუ არა ზღურბლს და ჭერში მოძრავ თეთრ ღრუბლებს მოჰკრა თვალი, ვილაცამ მხარზე დაუტყაპუნა ხელი. შემობრუნდა და კინაღამ ცხვირით შეეჯახა ფილჩს. რამდენიმე ნაბიჯით სასწრაფოდ დაიწია უკან – ფილჩი შორიდან უფრო კარგად ჩანდა.

– დირექტორს შენი ნახვა სურს, პოტერ, – საძაგელი ღიმილით თქვა.

– ჩემი ბრალი არ არის, – უადგილოდ დააბრეხვა ჰარიმ. ტყუპების გაფრთხილება გაახსენდა. ფილჩს უხმო სიცილისგან ღაბაბი აუთახთახდა.

– სინდისი სუფთა არ გაქვს, არა? – ამოიხრიალა ფილჩმა, – მომყევი.

ჰარიმ რონსა და ჰერმიონს გახედა. ორივე შეფიქრიანებული ჩანდა. მხრები აიჩეჩა და ფილჩს უკან გაჰყვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფილჩი მშვენიერ გუნებაზე იყო. სანამ მარმარილოს კიბეზე ადიოდნენ, რაღაც სიმღერისმაგვარს დუდღუნებდა ცხვირში. კიბე რომ აიარეს, თქვა:

– ციხე-კოშკში დიდი ცვლილებებია, პოტერ.

– შევნიშნე, – ცივად უპასუხა ჰარიმ.

– ჰოო... რამდენი წელიწადია, ვეუბნები დამბლდორს, რომ მეტისმეტ თავისუფლებას გაძლევთ, – ისევ საზიზღრად გაიღიმა ფილჩმა, – პატარა ბინძურო მხეცებო, თქვენი გაშოლტვის უფლება რომ მქონოდა, მაშინ აღარ დაყრიდით ყველგან ამ მყრალ ნეხვის ბომბებს; ფიქრადაც ვერ გაივლებდით დერეფნებში კბენია თეფშების გაშვებას, ჩემს კაბინეტში თქვენი თავდაყირა დაკიდების უფლება რომ მქონდეს. მაგრამ როგორც კი ძალაში შევა დეკრეტი N 29, მაშინ, პოტერ, ამ ყველაფრის გაკეთების უფლება მექნება... ჰო, კიდევ, დირექტორმა მინისტრს სთხოვა, ხელი მოეწერა ბრძანებაზე პივსის გაძევების შესახებ... დაიცათ, ეს ახალი ხელმძღვანელობა ბევრ რამეს შეცვლის...

ამბრიჯს, როგორც ჩანს, ცდა არ დაუკლია, რომ ფილჩი გადაებირებინაო, დაასკვნა ჰარიმ. ცუდი ის იყო, რომ შეიძლებოდა, ფილჩი მართლაც ძვირფასი თანაშემწე გამხდარიყო ამბრიჯისთვის, რადგან იმაში, რაც საიდუმლო შესასვლელებსა და გამოსასვლელებს ეხებოდა, ფილჩი მხოლოდ ტყუპ უისლებს თუ ჩამოუვარდებოდა.

– აჰა, მოვედით, – ფილჩმა სამჯერ დააკაკუნა ამბრიჯის კაბინეტის კარზე და შეაღო, – პოტერი მოგიყვანეთ, მადამ.

მრავალრიცხოვანი დასჯის წყალობით ჰარისთვის ასე კარგად ნაცნობი ამბრიჯის კაბინეტი თითქმის არ შეცვლილიყო. ახალი ის იყო, რომ მაგიდაზე გარდიგარდმო იდო მასიური ფიცრის ნაჭერი და ზედ ეწერა: „დირექტორი“. ჰარის რაღაც ჩასწყდა მკერდში, როცა დაინახა, რომ მისი „ელვა“ და ფრედისა და ჯორჯის „ქლინსვიპები“ ჯაჭვებით მიებათ ამბრიჯის უკან, კედლიდან გამოჩრილ რკინის რგოლებზე. თვითონ ამბრიჯი მაგიდასთან იჯდა და ვერცხლისფერი პერგამენტის ნაგლეჯზე რაღაცას წერდა.

– გმადლობთ, არგუს, – დამტკბარი ხმით თქვა ამბრიჯმა.

– არაფრის, მადამ, არაფრის, – ფილჩი ისე ღრმად მოიხარა წელში, რამდენადაც რევმატიზმი ამის საშუალებას აძლევდა. მერე კარისკენ წავიდა.

– დაჯექით, – ამბრიჯმა სკამზე უჩვენა ჰარის. ჰარი დაჯდა. ერთხანს ამბრიჯი ისევ აგრძელებდა წერას. ჰარი კედელზე დაკიდებულ საზიზღარ კნუტებს შესცქეროდა და მკითხაობდა, ამჯერად რა საშინელი სიურპრიზი ელოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, – თქვა ბოლოს ამბრიჯმა და ბატის ფრთა გადადო. სახე განსაკუთრებით მადის აღმძვრელი ბუზის გადასაყლაპავად მომზადებულ გომბეშოს მიუგავდა, – რას დალევთ?

– რა? – იკითხა ჰარიმ. დარწმუნებული იყო, რომ მოესმა.

– რას დალევთ, პოტერ, – ჰკითხა და ფართოდ გაუღიმა, – ჩაის? ყავას? გოგრის წვენს?

სასმელებს რიგრიგობით ასახელებდა და თან ჯადოსნურ ჯოხს იქნევდა, რის შემდეგაც მაგიდაზე სავსე ჭიქა თუ ფინჯანი გაჩნდებოდა ხოლმე.

– გმადლობთ, არაფერს, – თქვა ჰარიმ.

– მაგრამ მე მინდა, რომ ჩემთან ერთად დალიოთ, – ხმა მეტისმეტად დაიტკბო, – ამოირჩიეთ.

– კარგი... მაშინ – ჩაი, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ.

ამბრიჯი ადგა და ჰარისკენ ზურგით შებრუნდა. ფინჯანში ჩაის დასხმის მთელი წარმოდგენა გაითამაშა. მერე ფინჯნით ხელში მაგიდას ბოროტი, დათაფლული ღიმილით შემოუარა.

– გთხოვთ, – ჰარის ფინჯანი გაუწოდა, – მიირთვით, სანამ ცხელია. მაშ ასე, პოტერ... ჩემი აზრით, ახლა, გუშინდელი სამწუხარო ამბების შემდეგ, უთუოდ ღირს დავილაპარაკოთ.

ჰარის ხმა არ ამოუღია. ამბრიჯი ისევ თავის სავარძელში ჩაჯდა. ერთხანს მოთმინებით იცდიდა. რამდენიმე გრძელმა წუთმა სიჩუმეში გაიარა. მერე კეკლუცად წამოიძახა:

– რატომ არ სვამთ?

ჰარიმ ფინჯანი ტუჩებთან მიიტანა და უცებ თავისდა უნებურად, ისევ დადგა. თეფშებზე გამოხატულ ერთ-ერთ საზიზღარ კნუტს დიდი მრგვალი ცისფერი თვალები ჰქონდა, ზუსტად მუდის ჯადოსნური თვალისნაირი. და ჰარიმ უცებ გაიფიქრა, რას იტყოდა მუდი, თუ გაიგებდა, რომ ჰარიმ სასმელი აშკარა მტრისგან მიიღო.

– რა ხდება? – თვალმოუშორებლად იკითხა ამბრიჯმა, – შაქარი ხომ არ გნებავთ?

– არა, – თქვა ჰარიმ.

ისევ ასწია ფინჯანი და ისე მიიტანა პირთან, თითქოს სვამდა, სინამდვილეში პირი არც კი მიუკარებია. ამბრიჯმა კიდევ უფრო ფართოდ გაიღიმა.

– კარგი, – წაიჩურჩულა, – ძალიან კარგი. ახლა კი... – ოდნავ წინ გადაიწია, – აბა, მითხარით, სად არის ალბუს დამბლდორი?

– წარმოდგენა არა მაქვს, – სწრაფად უპასუხა ჰარიმ.

– დალიეთ, დალიეთ, – ღიმილით თქვა ამბრიჯმა, – მაშ ასე, პოტერ, გვეყო ბავშვური თამაშები. მე ვიცი, რომ თქვენთვის ცნობილია, სად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წავიდა დამბლდორი. თქვენ იმთავითვე ერთად იყავით. იფიქრეთ თქვენს მდგომარეობაზე, პოტერ...

– არ ვიცი, სად არის, – გაიმეორა ჰარიმ თავი და ისე მოაჩვენა, თითქოს სვამდა.

– ძალიან კარგი, – უკმაყოფილო სახით თქვა ამბრიჯმა, – მაშინ კეთილინებეთ და მითხარით, სად იმყოფება ახლა სირიუს ბლექი...

ჰარის კუჭმა მალაყი გააკეთა, ხელი კი ისე აუკანკალდა, რომ ფინჯანი ლამბაქზე არაკუნდა. ფინჯანი პირთან მიიტანა და დაიხარა. ტუჩები ისევ მოკუმული ჰქონდა. ცხელი სითხე მანტიაზე ჩამოეღვარა.

– არ ვიცი, – თქვა მეტისმეტად სწრაფად.

– ძვირფასო პოტერ, ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ სწორედ მე კინაღამ დავიჭირე ბლექი გრიფინდორის საერთო ოთახის ბუხარში. მშვენივრად ვიცი, რომ მაშინ, ოქტომბერში, ის სწორედ თქვენ შეგხვდათ და დამამტკიცებელი საბუთი რომ მქონდეს, მერწმუნეთ, ვერც ერთი თქვენგანი თავისუფლად ვერ ისეირნებდა. მაშ ასე, ვიმეორებ, პოტერ, სად არის სირიუს ბლექი? – კითხვა გაუმეორა ამბრიჯმა.

– წარმოდგენა არა მაქვს, – ხმამაღლა თქვა ჰარიმ, – მიახლოებითაც კი არ ვიცი.

ისინი ისე დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს, რომ ჰარის თვალები აუცრემლდა. მერე ამბრიჯი წამოდგა.

– კეთილი, პოტერ, ამჯერად დაგიჯერებთ, მაგრამ იცოდეთ, ჩემ უკან სამინისტროს მთელი ძალმოსილება დგას. სკოლასთან კავშირის ყველა არხი კონტროლდება. ფლუ-ფხვნილის ქსელის დისპეტჩერი ჰოგვორტსის ყველა ბუხარს აკონტროლებს, ცხადია, ჩემი ბუხრის გარდა. ჩემი საინსპექციო რაზმი ხსნის ბუს მთელ ფოსტას, როგორც შემოსულს, ისე გასულს. მისტერ ფილჩი კი ციხე-კოშკში შემომავალ და აქედან გამავალ ყველა საიდუმლო გასასვლელს უთვალთვალებს. თუ ვიპოვი რაღაც სამხილის მსგავსსაც კი...

ბუმ!

იატაკი ისე შეირყა, ამბრიჯის სავარძელი კინაღამ გვერდზე გასრიალდა. შეშინებულმა დირექტორმა მაგიდას სტაცა ხელი.

– რა ამბავია?.. – და კარისკენ გაიხედა.

ჰარიმ მომენტით ისარგებლა და სავსე ფინჯანი უახლოეს გამხმარყვავილებიან ლარნაკში მოაპირქვავა. ქვედა სართულებიდან ყვირილი და ბრახაბრუხი ისმოდა.

– სასწრაფოდ – სადილზე, პოტერ! – უყვირა ამბრიჯმა, ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და თვალის დახამხამებაში გავარდა კაბინეტიდან. ჰარიმ ორიოდე წამს შეიცადა, მერე კი თვითონაც გარეთ გავიდა, რომ გაეგო, რა მოხდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაფერი საოცრად სწრაფად გაირკვა. ერთი სართულით ქვემოთ ნამდვილი ქაოსი დახვდა. ვიღაცას (ჰარი მიხვდა, ვისაც) გრანდიოზული ფეიერვერკი მოეწყო სკოლაში.

ჭერქვეშ მწვანე და ოქროსფერ ნაპერწკლებად ქცეული დრაკონები დაფრინავდნენ, გრუხუნით აფრქვევდნენ პირიდან ცეცხლს. ორი მეტრის დიამეტრის მომწვანო-მოვარდისფრო ცეცხლის ბორბლები საშინელი სტვენით მფრინავი თეფშებივით დაქროდნენ აქეთ-იქით. დერეფნებში კედლებს ეხეთქებოდნენ გრძელი, დამაბრმავებლად ვერცხლისფერი კუდიანი რაკეტები. შუშხუნები ჰაერში უხამს სიტყვებს წერდნენ. ყველგან, საითაც გაიხედავდით, ბომბებივით სკდებოდა სატკაცუნებლები. იმის ნაცვლად, რომ ჩამწვარიყო და შიშინით ჩამქრალიყო, მთელი ეს პიროტექნიკური ჯანყი სულ უფრო იკრებდა ძალას და წარმოუდგენელ რაღაცეებს სჩადიოდა.

შუა კიბეზე გაოგნებულები იდგნენ ფილჩი და ამბრიჯი. ერთ-ერთმა ყველაზე მოზრდილმა ცეცხლოვანმა ბორბალმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ქვევით საკმარისი ადგილი აღარ იყო და ავის მომასწავებელი ზუზუნით პირდაპირ მათკენ გაქანდა. ორივემ შიშით შეჰკივლა და განზე გახტა, ბორბალი კი მათ უკან, ფანჯარაში გაფრინდა და სტვენით გაუჩინარდა სადღაც მინდვრებში. ამასობაში რამდენიმე დრაკონმა და ვეებერთელა ღამურამ, რომელსაც ალისფერი ბოლის კვალი ასდევნებოდა, დერეფნის ბოლოში ღია კარით ისარგებლეს და ზედა სართულში აიჭრნენ.

– ჩქარა, ფილჩ, ჩქარა! – დაიკივლა ამბრიჯმა, – თუ ხელი არ შევუშალეთ, მთელ სკოლას გაავსებენ... გაშეშდი!

ჯადოსნური ჯოხის წვერიდან სინათლის წითელი სხივი გამოიჭრა და ერთ-ერთ რაკეტას მოხვდა. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჰაერშივე გაშეშებულიყო, ისეთი ძალით აფეთქდა, რომ სურათზე, რომელზეც ჯადოქარი ქალი მწვანე მდელოზე ნებივრობდა, ნახვრეტი გააჩინა. ქალმა დროზე მოასწრო გახტომა და მეზობელი სურათის ჩარჩოში ამოყო თავი, იქ კი ბანქოს თამაშით გართული ჯადოქრები სასწრაფოდ წამოხტნენ, რომ მისთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ.

– არ შეულოცოთ, ფილჩ! – გაბრაზებულმა დაიყვირა ამბრიჯმა, თითქოს ეს საწყალი ზედამხედველის ინიციატივა ყოფილიყო.

– არა, მადამ! – ამოიქოშინა ფილჩმა, თუმცა, მისთვის, როგორც სქვიბისთვის, გაცილებით იოლი იყო შუშხუნების გადაყლაპვა, ვიდრე შელოცვის გამოყენება. მერე უახლოეს საკუჭნაოს ეცა, იქიდან ცოცხი გამოათრია და ჰაერში ქნევას მოჰყვა, ცდილობდა, შუშხუნები ჩამოეყარა. წუთიც არ იყო გასული, რომ ცოცხის ღეროები აალდა.

ჰარიმ გადაწყვიტა, რომ კიბის თავში ყურყუტის დრო აღარ იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წელში მოხრილმა სიცილით გაირბინა დერეფანი გობელენამდე, რომლის იქით მისთვის ცნობილი საიდუმლო კარი იყო. კარს მიღმა ამბრიჯისა და ფილჩის ყმუილს უგდებდნენ ყურს და სიცილით იგუდებოდნენ ფრედი და ჯორჯი.

– ეფექტურია, – ხმადაბლა, სიცილით თქვა ჰარიმ, – ძალიან ეფექტური... დოქტორ ფლიბუსტიერს მშვიდად შეუძლია, პენსიაზე გავიდეს...

– ჰო, არა უშავს, – წაიჩურჩულა ჯორჯმა და სიცილისგან მოგვრილი ცრემლი მოიწმინდა, – იმედია, ამბრიჯი გაქრობის შელოცვას გამოიყენებს... ამის მერე შუშხუნების რაოდენობა ათჯერ გაიზრდება.

ტყუპების პიროტექნიკური შედევრები მთელ სკოლაში თითქმის საღამომდე დაქროდნენ და იქაურობას გვარიანად აზიანებდნენ, მაგრამ სხვა მასწავლებლებს, ეტყობა, ეს მაინცდამაინც არ აწუხებდათ.

– ოჰ, ოჰ, ოჰ, – ირონიულად წარმოთქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, როცა ერთ-ერთი დრაკონი ღმუილითა და ცეცხლის ფრქვევით შეიჭრა საკლასო ოთახში, რომელშიც გაკვეთილს ატარებდა, – მის ბრაუნ, თუ შეიძლება, გაიქეცით დირექტორთან და საქმის ვითარება გააცანით, უთხარით, საკლასო ოთახში ცეცხლისმფრქვეველი ჯადოსნური დრაკონი შემოგვივარდა-თქო.

ყველაფერ ამის შედეგად ის მოხდა, რომ ახლად გამომცხვარი დირექტორი მთელ დღეს მასწავლებლების გამოძახებაზე ზემოთ-ქვემოთ დარბოდა. რატომღაც ვერც ერთმა მათგანმა მისი დახმარების გარეშე ვერ მოახერხა შუშხუნებისა და სატკაცუნებლებისგან თავის დაღწევა. როცა უკანასკნელი ზარიც დაირეკა და გრიფინდორელებმა თავიანთ კოშკს მიაშურეს, ჰარიმ დიდი სიამოვნებით შეავლო თვალი პროფესორ ფლიტვიკის კლასიდან გამოსულ, ერთიანად გაოფლიანებულ და გაწუწულ-გამურულ ამბრიჯს.

– გმადლობთ, პროფესორო! – მოისმა ფლიტვიკის წრიპინა ხმა, – რა თქმა უნდა, მე თვითონაც შემეძლო ამ რაკეტების ჩაქრობა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ამის უფლება მქონდა.

და გაცისკროვნებული სახით მიუხურა კარი სიბრაზისგან დამანჭულ ამბრიჯს.

საღამოს ფრედსა და ჯორჯს გმირებივით შეხვდნენ გრიფინდორის საერთო ოთახში. ჰერმიონმაც კი აღტაცებით მიულოცა და შეაქო:

– ხარისხიანი ნამუშევარია.

– გმადლობ, – ჯორჯი გაკვირვებული და დიდად ნასიამოვნები დარჩა, – ეს ფანტასტიკური ფეიერვერკი იყო. სამწუხარო ის არის,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მთელი მარაგი დავცალეთ. ახლა ყველაფრის ნულიდან დაწყება მოგვიწევს.

– მაგრამ ნამდვილად ღირდა, – კმაყოფილება გამოთქვა ფრედმა და ახმაურებული ჯგუფელებისგან შეკვეთების მიღება განაგრძო, – თუ რიგის დაკავებას აპირებ, ჰერმიონ, გაითვალისწინე: ხუთი გალეონი – დამწყები ონავრის კომპლექტისთვის და ოცი – ბრწყინვალე ასაფეთქებელი ულუფისთვის...

ჰერმიონი ჰარისთან და რონთან დაბრუნდა. ისინი უკვე მაგიდას შემოსხდომოდნენ და თავ-თავიანთ ჩანთებს ჰიპნოზს უკეთებდნენ, თითქოს იმის იმედი ჰქონდათ, რომ საშინაო დავალება იქიდან თავისით ამოხტებოდა და თავისითვე შესრულდებოდა.

– ვითომ რატომ არ უნდა დავისვენოთ დღეს? – მხიარულად თქვა ჰერმიონმა, თან უყურებდა, როგორი კივილით მიქროდა ფანჯრის მიღმა უისლების ერთ-ერთი კუდიანი ვერცხლისფერი რაკეტა, – პარასკევს სააღდგომო არდადეგები იწყება – დრო თავსაყრელად გვექნება...

– ავად ხომ არ ხარ? – დაეჭვებულმა შეხედა რონმა.

– რადგან მკითხე, ბარემ ვაღიარებ, რომ რაღაც ისე... მეამბოხედ ვგრძნობ თავს, – ხალისიანად მიუგო ჰერმიონმა.

ერთი საათის შემდეგ, როცა დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ, სადღაც შორიდან ჰარის ჯერ კიდევ ესმოდა სატკაცუნებლების აფეთქების ხმა, ხოლო ლოგინში რომ წვებოდა, კოშკთან შუშხუნამ ჩაიქროლა და ჰაერში რამდენჯერმე მოხაზა „ბახ-ბახ“!

სათვალე მოიხსნა და მთქნარებით ჩაწვა ლოგინში. უსათვალოს ფანჯრებს მიღმა კაშკაშა აფეთქებები გადღაბნილ ლაქებად ეჩვენებოდა. ლაქები ძალიან ჰგავდა ღამის ცაში განათებულ ლამაზსა და იდუმალ ღრუბლებს. გვერდზე გადაბრუნდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ გუნებაზე იქნებოდა ახლა ამბრიჯი; როგორ გრძნობდა თავს დამბლდორის პოსტზე გატარებული პირველი დღის შემდეგ; როგორი რეაქცია ექნება ფაჯს, როცა გაიგებს, რომ სკოლა კინაღამ ნაცარტუტად იქცა. თავისთვის ჩაიცინა და თვალები დახუჭა. სკოლის ტერიტორიაზე ატეხილი ბათქაბუთქი ნელ-ნელა მიწყნარდა... ან იქნებ თვითონ მიქროდა სადღაც შორს, სივრცეში...

საიდუმლოებების დეპარტამენტის ნაცნობ დერეფანში აღმოჩნდა. სადა, შავი კარისკენ მიდიოდა... „გაიღე... გაიღე...“

და კარიც დაემორჩილა. მრგვალი ოთახი... უამრავი კარი... პირდაპირ წავიდა... ასეთივე კარის სახელურს შეეხო... კარი გაიღო...

ახლა გრძელ, მართკუთხა ოთახში იყო... კედლებზე სინათლის ათინათები დახტოდნენ. უცნაური წიკწიკი ისმოდა. გარკვევა არც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი უცდია, რა ანათებდა ან რა წიკწიკებდა... წინ უნდა წასულიყო...

ოთახის მეორე ბოლოშიც კარი იყო... როგორც კი შეეხო, ის კარიც გაიღო.

და აი, სუსტად განათებულ, ტაძარივით მაღალჭერიან და ვრცელ დარბაზში აღმოჩნდა. კედლებს უთვალავი თარო ფარავდა, რომლებზედაც მჭიდროდ ეწყო მტვრით დაფარული მინის პატარა ბურთულები... აღელვებისგან გული აუჩქარდა... ახლა იცოდა, საით უნდა წასულიყო... გაიქცა, მაგრამ ნაბიჯების ხმა ამ გიგანტურ, უკაცურ დარბაზში არც კი ესმოდა...

აქ ინახებოდა ის ნივთი, რომელიც მას ძალიან, ძალიან სჭირდებოდა...

ეს ნივთი მას სჭირდებოდა... თუ ვიღაც სხვას... ნაიარევი ასტკივდა...

ბახ!

უცებ გამოერკვა. დაბნეული და გაბრაზებული იყო. ბნელ საძინებელში ერთდროულად რამდენიმე კაცი იცინოდა.

– დაგლიჯა! – გადაიხარხარა ფანჯარასთან მდგარმა სიმუსმა, – მგონი, აი, ის ცეცხლოვანი ბორბალი რაკეტას შეეჯახა – თითქოს ერთმანეთს ებრძვიანო, უხ, შენი! შეხედე, რა მაგარია!

ჰარიმ გაიგონა, როგორ გამოძვრნენ ლოგინიდან რონი და დინი. ეტყობა, იმათაც მოუნდათ სანახაობით დატკბობა. ჰარი გაუნძრევლად, ჩუმად იწვა, სანამ ნაიარევის ტკივილმა არ გაუარა. უცბად საოცარმა იმედგაცრუებამ შეიპყრო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სულ უკანასკნელ წამს საოცნებო ნუგბარი გამოსტაცეს ხელიდან – ამჯერად ხომ ძალიან ახლოს იყო მიზანთან!

* * *

მთელი შემდეგი დღე ჰარი იმის ფიქრში იყო, რომ სნეიპი მიუხვდებოდა, რა ღრმად შეიჭრა საიდუმლოებების დეპარტამენტში. ისიც აწუხებდა, რომ მათი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ არც ერთხელ არ უვარჯიშია ოკლუმენციაში – მეტისმეტად ბევრი რამ მოხდა დამბლდორის გაქცევის შემდეგ. დარწმუნებული იყო, რომ როგორც უნდა მოენდომებინა, ვერაფრით მოახერხებდა გონების გათავისუფლებას ფიქრებისგან. თუმცა, ეჭვობდა, რომ სნეიპი ამას საკმარის გამამართლებელ მიზეზად ჩაუთვლიდა.

სინდისის დასაწყნარებლად სხვა გაკვეთილებზე ცდილობდა დაკარგულის ანაზღაურებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. საკმარისი იყო, მოდუნებულიყო, რათა თავიდან გამოედევნა ყველა ფიქრი და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრძნობა, რომ ჰერმიონი მაშინვე ეკითხებოდა, რა დაგემართაო. და საერთოდაც, აბა მიდი, სცადე გათიშვა, როცა წუთი არ გავა, რომ მასწავლებელმა საკონტროლო კითხვებით არ დაბომბონ მოსწავლეები!

ვახშმის შემდეგ უკვე ყველაზე ცუდი ამბისთვის მომზადებულმა სნეიპის კაბინეტს მიაშურა. ჰოლში ჩო წამოეწია.

– იქით წავიდეთ, – თქვა ჰარიმ. გაუხარდა, სნეიპთან დაგვიანების საბაბი მაინც რომ იპოვა. კუთხისკენ უჩვენა, სადაც ვეებერთელა ქვიშის საათები იდგა. გრიფინდორელებისაში თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო, – როგორ ხარ? ამბრიჯმა ხომ არ შეგაწუხა კითხვებით **და**-ს თაობაზე?

– არა, არა, – სწრაფად თქვა ჩომ, – მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა... უბრალოდ, ის მინდოდა მეთქვა... ჰარი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მარიეტას გაცემა შეეძლო...

– გასაგებია, – მოიღუშა ჰარი. მართლაც უნდოდა, რომ ჩოს უფრო დაკვირვებით შეერჩია მეგობრები. ჰარიმ იცოდა, რომ მარიეტა აქამდე საავადმყოფო ფლიგელში იმყოფებოდა და მადამ პომფრის ჯერ-ჯერობით ვერაფერი მოეხერხებინა მისი მუწუკებისთვის, თუმცა, ჰარი თვლიდა, რომ მარიეტა ამაზე გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდა.

– სინამდვილეში ძალიან კარგი გოგოა, – თქვა ჩომ, – უბრალოდ, შეცდომა მოუვიდა...

ჰარიმ გაკვირვებულმა შეხედა.

– კარგი გოგო? შეცდომა? მარიეტამ ყველა გაგვყიდა, მათ შორის – შენც!

– მაგრამ... ჩვენ ხომ ყველანი გამოვძვერით, ასე არ არის? – მუდარით თქვა ჩომ, – ხომ იცი, რომ დედამისი სამინისტროში მუშაობს, მისთვის ძალიან ძნელია...

– რონის მამაც სამინისტროში მუშაობს! – მოუჭრა ჰარიმ, – თუმცა, ალბათ, უკვე შენიშნე, რომ მას ლოყებზე „გამცემი“ არ აწერია...

– ჰერმიონი საძაგლად მოიქცა! – აენთო ჩო, – აუცილებლად უნდა ეთქვა ჩვენთვის, რომ სიას შეულოცა...

– ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი იდეა იყო, – ცივი წყალი გადაასხა ჰარიმ.

ჩო გაწითლდა, თვალები აუპრიალდა.

– ჰო, ეს ხომ შენმა ძვირფასმა ჰერმიონმა მოიფიქრა...

– ოღონდ ისევ არ აღრიალდე, – გააფრთხილა ჰარიმ.

– არც ვაპირებ! – იყვირა ჩომ.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი, – მოუწონა ჰარიმ, – უშენოდაც საკმარისი პრობლემები მაქვს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშინ წადი და მიხედე შენს პრობლემებს! – გააფთრებულმა იყვირა ჩომ, მკვეთრად შებრუნდა და ამაყად გაშორდა. სიბრაზისგან გაცეცხლებული ჰარი სნეიპის მიწისქვეშეთში ჩავიდა. კარგად იცოდა, რომ სნეიპს გაცილებით უფრო გაუადვილდებოდა მის გონებაში შეღწევა, თუკი ასეთი გაღიზიანებული და აღელვებული მივიდოდა მასთან, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა თავს. გზადაგზა იმაზე ფიქრობდა, კიდევ რა შეიძლებოდა ეთქვა ჩოსთვის მარიეტას შესახებ.

– დააგვიანეთ, პოტერ, – ცივად შეხვდა სნეიპი, როცა ჰარიმ კარი მიხურა.

სნეიპი ზურგით იდგა. როგორც ყოველთვის, აზრებს იღებდა თავიდან და ფრთხილად უშვებდა დამბლდორისგან ნათხოვარ საფიქრელაში. უკანასკნელი ვერცხლისფერი კულულიც ჩადო ქვის ჯამში და ჰარისკენ შებრუნდა:

– კარგი, ივარჯიშეთ დამოუკიდებლად?

– დიახ, – იცრუა ჰარიმ. ყოველი შემთხვევისთვის საწერი მაგიდის ფეხს თვალს არ აცილებდა.

– კეთილი, ამას მალე გავარკვევთ, – მშვიდად თქვა სნეიპმა, – ამოიღეთ ჯადოსნური ჯოხი, პოტერ.

ჰარიმ ჩვეული პოზიცია დაიკავა მაგიდის მეორე მხარეს. გული გამალებით უცემდა, ჯერ კიდევ გაბრაზებული იყო ჩოზე, თანაც ეშინოდა, რომ სნეიპი მეტისმეტად ბევრ რამეს დაინახავდა მის მეხსიერებაში.

– მაშ, სამ თვლაზე, – ზანტად თქვა სნეიპმა, – ერთი... ორი...

კაბინეტის კარი ხმაურით გაიღო და ოთახში დრაკო მალფოი შემოვარდა.

– პროფესორო სნეიპ, სერ... ოჰ, მაპატიეთ... მალფოი ხან სნეიპს შეხედავდა, ხან – ჰარის.

– არა უშავს, დრაკო, – სნეიპმა ჯოხი დაუშვა, – პოტერი აქ იმიტომ არის, რომ ზოგიერთი შხამ-წამლის მომზადება აითვისოს.

მალფოის სახეზე აშკარა კმაყოფილება დაეტყო. უკანასკნელად ასეთი გამომეტყველება ჰარიმ მაშინ შეამჩნია, როცა ამბრიჯი მოულოდნელად გამოცხადდა ჰაგრიდის გაკვეთილზე.

– არ ვიცოდი, – თქვა და გესლიანად ჩაიცინა. ჰარიმ იგრძნო, როგორ აელანძა ლოყები. რას არ მისცემდა, რომ ახლა სახეში მიეხალა მალფოისთვის მთელი სიმართლე, ან, კიდევ უკეთესი, რამე კარგი შელოცვით გამასპინძლებოდა.

– ჰო, დრაკო, აბა, რა მოხდა? – ჰკითხა სნეიპმა.

– პროფესორ ამბრიჯს თქვენი დახმარება სჭირდება, სერ, მონტეგიუ იპოვეს, ვიღაცას მეხუთე სართულის ტუალეტში შეუტენია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მონტეგიუმ თქვა, ვინ მოექცა ასე? – იკითხა სნეიპმა.

– არა, სერ, ეტყობა, აღარაფერი ახსოვს.

– კეთილი, სამწუხაროა, პოტერ, ხვალ საღამოსთვის მოგვიწევს მეცადინეობის გადადება, – მოუბოდიშა სნეიპმა ჰარის.

შებრუნდა და კაბინეტიდან გავიდა. სანამ უკან გაჰყვებოდა, მალფოიმ ხმადაბლა თქვა: „სამკურნალო შხამ-წამლები, არა?“ – და ჰარის ენა გამოუყო.

გაბრაზებულმა ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ჯიბეში ჩაიდო და ისიც კარისკენ გაემართა. ახლა, სულ ცოტა, ოცდაოთხი საათი მაინც ჰქონდა ოკლუმენციაში სავარჯიშოდ. იცოდა, რომ ბედისთვის მადლობა უნდა ეთქვა, თუმცა, ძვირი კი დაუჯდა – ახლა მალფოი მთელ სკოლას მოსდებს, რომ შხამ-წამლებში დამატებითი გაკვეთილები დაუნიშნეს.

უკვე კართან იყო, როცა მოულოდნელად სინათლის მოცახცახე ათინათი შენიშნა. შეჩერდა და დააცქერდა. რაღაცას იგონებდა... მერე გაახსენდა კიდეც – ეს ათინათი რაღაცით ჰგავდა იმას, წუხელ სიზმარში რომ ნახა, მეორე ოთახში, როცა საიდუმლოებების დეპარტამენტში მოგზაურობდა.

შემობრუნდა. სინათლე სნეიპის მაგიდაზე მდგარი საფიქრელადან მოდიოდა. მოთეთრო ვერცხლისფერი ნივთიერება ათასფრად ლივლივებდა შიგ.

ჰარი თვალს არ აცილებდა საფიქრელას, უფრო და უფრო უძლიერდებოდა ცნობისმოყვარეობა... ნეტავ რის დამალვა უნდოდა სნეიპს მისგან?

ვერცხლისფერი ათინათები ცახცახებდნენ კედელზე... ფიქრში ჩაძირულმა ნაბიჯი გადადგა მაგიდისკენ. მერე კიდევ უფრო ახლოს მივიდა. იქნებ ფიქრებს, რომლებსაც ასე ჯიუტად მალავს სნეიპი, რაღაც კავშირი აქვთ საიდუმლოებების დეპარტამენტთან?

ჰარიმ მიმოიხედა. გული ადრინდელზე უფრო ძლიერად უცემდა. რა დრო დასჭირდება სნეიპს ტუალეტიდან მონტეგიუს გამოსახსნელად? მაშინვე თავის კაბინეტში დაბრუნდება თუ საავადმყოფო ფლიგელში გააცილებს მონტეგიუს? ალბათ, წაიყვანს... მონტეგიუ ქვიდიჩში სლიზერინის გუნდის კაპიტანია და სნეიპი უთუოდ ბოლომდე უპატრონებს.

ჰარი მაგიდასთან მივიდა და საფიქრელასკენ დაიხარა. ჯამის ფსკერს დააცქერდა. შეიცადა, ყური მიუგდო. კაბინეტშიც და დერეფანშიც სრული სიჩუმე სუფევდა. მერე ჯადოსნური ჯოხი ისევ ამოიღო და წვერით ფრთხილად შეეხო ჯამში მოთავსებულ ნივთიერებას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერცხლისფერი ნივთიერება ძალიან სწრაფად დაბზრიალდა. ჰარი კიდევ უფრო ახლოს დაიხარა და დაინახა, რომ ნივთიერება გამჭვირვალე გახდა. თითქოს ზევიდან, ჭერში ამოჭრილი მრგვალი ფანჯრიდან იყურებოდა ქვევით. თუ არ ეშლებოდა, ეს დიდი დარბაზი უნდა ყოფილიყო.

ჰარის სუნთქვა ნისლივით მოეფინა სნეიპის აზრების ზედაპირს... თითქოს ნებისყოფა წაერთვა... თუ იმას გააკეთებს, რისკენაც ასე მიილტვის, ეს სრული სიგიჟე იქნება... ააკანკალა... სნეიპი შეიძლებოდა ყოველ წამს დაბრუნებულიყო... მაგრამ ჰარის გაახსენდა გაბრაზებული ჩო, მალფოის დამცინავი ღიმილი და სულში უგუნურმა გადაწყვეტილებამ იფეთქა.

ღრმად ჩაისუნთქა და სახე სნეიპის აზრებში ჩაყო. კაბინეტის იატაკი მაშინვე აყირავდა და ჰარი თავით გადაეშვა საფიქრელაში.

ცივ სიბნელეში ვარდებოდა, გამწარებული ფართხალებდა და უცებ...

ჰარი დიდი დარბაზის შუაგულში იდგა, მაგრამ აღარსად იყო ოთხი დიდი მაგიდა. მათ ნაცვლად, დარბაზში ასზე მეტი მერხი იდგა. მერხებთან მოსწავლეები ისხდნენ და თავდახრილები რაღაცას წერდნენ. სიჩუმეს მხოლოდ ბატის ფრთების წრიპინი და პერგამენტის ფურცლების შრიალი არღვევდა. ეტყობა, გამოცდა ტარდებოდა.

მაღალი ფანჯრებიდან მზის სხივები ნაკადებად ეღვრებოდა მერხებზე დახრილ ოქროსფერ, სპილენძისფერ, წაბლისფერ თავებს... ჰარიმ ფრთხილად მიმოიხედა. სადღაც აქ სნეიპი უნდა ყოფილიყო... ეს ხომ მისი მოგონებაა...

ის მართლაც აქ იყო, მერხთან იჯდა, იქვე, ჰარის უკან. ჰარი მონუსხულივით შესცქეროდა. ბიჭს ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა, სიბნელეში გაზრდილ ხეს ჰგავდა. სწორი, გაზიპული თმა მაგიდაზე დაჰფენოდა. მოკაუჭებული ცხვირი ლამის პერგამენტზე დაებჯინა. ჰარიმ ზურგიდან მოუარა და საგამოცდო ფურცელზე სათაური წაიკითხა: „ჯადოქრობის სწავლების სტანდარტები. ბნელი ძალებისგან თავდაცვა“.

ესე იგი, სნეიპი ახლა იმდენივე წლისაა, რამდენისაც ჰარი – თხუთმეტ-თექვსმეტისა. ხელი ლამის დაფრინავდა პერგამენტზე – თავის უახლოეს მეზობლებზე ორმოცი სანტიმეტრით მეტი მაინც ჰქონდა დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ წვრილად და მჭიდროდ წერდა.

– კიდევ ხუთი წუთი!

ჰარი კინაღამ შეხტა მოულოდნელობისგან. მობრუნებულმა იქვე ახლოს, რიგებს შორის ფლიტვიკის თავი შენიშნა. პროფესორმა აჩეჩილთმიან ბიჭს ჩაუარა გვერდით... ძალიან აჩეჩილი და ძალიან შავი თმა ჰქონდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ისე შეკრთა, სხეული რომ ჰქონოდა, მეზობელ მერხებს გადააბრუნებდა. ამის ნაცვლად, როგორც სიზმარში, ისე გასრიალდა ორი რიგიდან მესამეში. შავთმიანი ბიჭის ზურგი ახლოს იყო... აი, გასწორდა, ბატის ფრთა გადადო და პერგამენტი თავისკენ მიიწია, თითქოს ნაწერის გადაკითხვას აპირებსო...

ჰარი მერხის წინ გაჩერდა და ზემოდან დახედა თავის თხუთმეტი წლის მამას.

აღელდა, თითქოს საკუთარ თავს უყურებდა, მცირეოდენი განსხვავება იყო: თვალები ჯეიმსს ღია ნაცრისფერი ჰქონდა, ცხვირი – ოდნავ უფრო გრძელი, ვიდრე ჰარის, შუბლზე კი ნაიარევი აკლდა. მაგრამ ორივეს ერთნაირი ნატიფი ნაკვთები ჰქონდა – ერთნაირი ტუჩები, ერთნაირი თვალები. ჯეიმსს კეფაზე ზუსტად ისეთივე ქოჩორი ჰქონდა, როგორიც ჰარის. და ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ თუ მამა ადგებოდა, სიმაღლითაც ტოლები აღმოჩნდებოდნენ.

ჯეიმსმა დაამთქნარა და თმა კიდევ უფრო აიჩეჩა. მერე პროფესორ ფლიტვიკს გახედა, სკამზე შებრუნდა და ოთხი რიგით უკან მდგომ ბიჭს გაუცინა.

აღტაცების კიდევ ერთმა ტალღამ დაუარა ჰარის, როცა ჯეიმსის გაცინებაზე ცერშემართული სირიუსი დაინახა. სირიუსი ზანტად მიეყრდნო სკამს და ისე გადახარა, რომ ორ ფეხზე დააყენა. მშვენივრად გამოიყურებოდა: სწორი შავი თმა შუბლზე ისეთი დაუდევარი ელეგანტურობით ჩამოშლოდა, რაზეც ჰარი და ჯეიმსი ვერც კი იოცნებებდნენ. მის უკან მჯდარი გოგონა მოლოდინითა და იმედით შესცქეროდა სირიუსს, თუმცა, როგორც ჩანს, ის მას ვერ ამჩნევდა. კიდევ ორი მერხის იქით – ჰარის გულის კოვზთან ისევ შეუტოკდა რაღაც – რემუს ლუპინი იჯდა. ფერმკრთალი და დაღლილი სახე ჰქონდა (იქნებ სავსე მთვარე ახლოვდებოდა?), მუშაობით იყო გართული – დაწერილს კითხულობდა, ნიკაპს ბატის ფრთის ბოლოთი იქექავდა და ოდნავ იღუშებოდა.

ესე იგი, სადღაც ახლოს გრძელკუდაც უნდა იყოს... და მართლაც, რამდენიმე წამში ჰარიმ ისიც დაინახა – პაჭუა ცხვირიანი და თაგვისფერთმიანი გალეული ბიჭი. ისიც შეფიქრიანებული ჩანდა – პერგამენტს დაჰყურებდა, ფრჩხილებს იკვნეტდა და ფეხის წვერით იატაკს ჩიჩქნიდა. დროდადრო იმედით გადახედავდა ხოლმე მეზობლის გრაგნილს. ჰარი ერთხანს შესცქეროდა, მერე მზერა ისევ ჯეიმსზე გადაიტანა, რომელიც, საქმე რომ არაფერი ჰქონდა, პერგამენტის ნაგლეჯზე რაღაცას ხატავდა. ფურცელზე უკვე ეხატა სნიჩი. ახლა კი იქვე, გვერდით, ასოები „ლ.ე." გამოჰყავდა. ნეტავ რას ნიშნავდა?

– გადადეთ ბატის ფრთები, – დაიწრიპინა ფლიტვიკმა, – ეს თქვენც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გეხებათ, სტებინს! გთხოვთ, ადგილებზე დარჩეთ, სანამ თქვენს ნაშრომებს შევაგროვებ! აკციო!

ასზე მეტი პერგამენტის გრაგნილი აიჭრა ჰაერში, ხელგამოწვდილი პროფესორისკენ გაქანდა და პროფესორი ფლიტვიკი ძირს დასცა. გაისმა სიცილი. წინა მერხებიდან რამდენიმე მოსწავლე წამოხტა, პროფესორს იდაყვებზე მოჰკიდეს ხელი და წამოაყენეს.

– გმადლობთ, გმადლობთ, – ქოშინით თქვა ფლიტვიკმა, – ძალიან კარგი. ახლა ყველანი თავისუფლები ხართ!

ჰარიმ მამას დახედა. ჯეიმსმა სასწრაფოდ წაშალა ორნამენტებით მორთული წარწერა „ლ.ე.“, წამოხტა, ბატის ფრთა და საგამოცდო ბილეთი ჩანთაში ჩაჩურთა, ჩანთა ზურგზე მოიგდო და სირიუსს დაუცადა.

ჰარი შებრუნდა და შორიახლოს სნეიპი დაინახა, რომელიც კარისკენ მიდიოდა და თან თავის ბილეთს კითხულობდა. მხრებში ოდნავ მოხრილი და მოუქნელი სნეიპი როგორღაც ცეცებით, ობობასავით მიდიოდა. გასიპული თმა ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე უხტოდა.

მოჟღურტულე გოგონების გუნდმა სნეიპი ჯეიმსს, სირიუსსა და ლუპინს ჩამოაშორა. ჰარი შიგ გაერია, ცდილობდა, სნეიპი მხედველობიდან არ დაეკარგა, თან ჯეიმსისა და მისი მეგობრებისთვის ეგდო ყური.

– მოგეწონა მეათე კითხვა, მთვარეულავ? – ჰკითხა სირიუსმა ლუპინს, როცა ჰოლში გავიდნენ.

– აბა რა, – მხიარულად უპასუხა ლუპინმა, – „დაასახელეთ ხუთი ნიშანი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გამოვიცნოთ მაქცია“. მშვენიერი შეკითხვაა.

– დარწმუნებული ხარ, რომ სწორად ჩამოთვალე ყველა ნიშანი? – ვითომდა ძალზე დაინტერესებულმა იკითხა ჯეიმსმა.

– მე მგონი, არ შემშლია, – სერიოზულად უპასუხა ლუპინმა, როცა გასასვლელთან შეჯგუფებულ მოსწავლეებს შეუერთდნენ. ყველას ერთი სული ჰქონდა, მალე გასულიყო მზით განათებულ მდელოზე, – ნიშანი პირველი: ის ჩემს სკამზე ზის; ნიშანი მეორე: ჩემი ტანსაცმელი აცვია; ნიშანი მესამე: მისი სახელია რემუს ლუპინი. განა საკმარისი არ არის?!

გრძელკუდას გარდა ყველამ გაიცინა.

– მე მხოლოდ დრუნჩის ფორმაზე, გუგებსა და კუდის ფუნჯზე დავწერე, – აღელვებულმა თქვა გრძელკუდამ, – მეტი ვერაფერი მოვახერხე.

– შენ რა, სულ გამოსულელდი, გრძელკუდავ? – მოუთმენლად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქვა ჯეიმსმა, – თვეში ერთხელ მაქციასთან ერთად დასეირნობ მთელი ღამე...

– ნუ ყვირი, – შეევედრა ლუპინი.

ჰარიმ ისევ მიიხედ-მოიხედა. სნეიპი მათ ისევ ისე, კითხვით გართული მიჰყვებოდა უკან. მაგრამ ეს მისი მეხსიერება იყო და გარეთ გასასვლელი სხვა გზა რომ აერჩია, ჰარი, რაღა თქმა უნდა, ველარ დაუგდებდა ყურს ჯეიმსსა და მის მეგობრებს. საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ როცა ჯეიმსმა და მისმა სამმა მეგობარმა მდელოდან ტბის ნაპირს მიაშურეს, სნეიპიც მათ გაჰყვა – ვერაფრით შეეშვა თავის პერგამენტს და ნამდვილად ვერ ამჩნევდა, საით მიეხეტებოდა. ჰარი ოდნავ წინ მიდიოდა და ყურადღებით აკვირდებოდა ჯეიმსსა და დანარჩენებს.

– მე რომ მკითხოთ, ისეთი საკითხები იყო, უკეთესს ვერც ინატრებდი, – მოესმა სირიუსის ხმა, – გამიკვირდება, სულ ცოტა, „შესანიშნავი“ რომ არ მივიღო.

– მეც, – თქვა ჯეიმსმა. ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქიდან აფართხალებული ოქროს სნიჩი ამოიღო.

– სად იშოვე?

– ავწაპნე, – ვითომ აქ არაფერიო, თქვა ჯეიმსმა და სნიჩით დაიწყო თამაში. მკლავის სიგრძეზე გაუშვებდა და ისევ იჭერდა – ბრწყინვალე რეაქცია ჰქონდა. გრძელკუდა აღფრთოვანებული შესცქეროდა.

მეგობრები ტბის ნაპირზე იმ არყის ხის ჩრდილში შეჩერდნენ, სადაც ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა საშინაო დავალების შესრულებაში მთელი კვირადღე გაატარეს და ბალახზე გაგორდნენ. ჰარიმ კიდევ ერთხელ მიიხედა უკან და სიამოვნებით აღმოაჩინა, რომ სნეიპი შორიახლოს, ბუჩქების ჩრდილში მოეწყო. ისევ საგამოცდო მასალებს ათვალიერებდა. ჰარი მშვიდად ჩამოჯდა ბუჩქებსა და არყის ხეს შორის. ტბის ზედაპირზე კაშკაშა ათინათები დახტოდნენ, მზით განათებულ ნაპირზე კი დიდი დარბაზიდან გამოსული გოგონების ჯგუფი იდგა. წინდები და ფეხსაცმელები გაეძროთ, ცივ წყალში დატყაპუნებდნენ და იცინოდნენ.

ლუპინმა წიგნი ამოიღო და კითხვით გაერთო. სირიუსი გულგრილი და ქედმაღლური გამომეტყველებით ათვალიერებდა გარშემო მოსეირნე მოსწავლეებს, მაგრამ ქედმაღლობაც უხდებოდა და გულგრილობაც. ჯეიმსი ისევ სნიჩით თამაშობდა, სულ უფრო და უფრო შორს გაფრენის უფლებას აძლევდა, ისე შორს, რომ იფიქრებდით, სადაცაა ბურთი სამუდამოდ დააღწევს თავს ტყვეობასო, მაგრამ სულ უკანასკნელ წამს მოხერხებულად იჭერდა. გრძელკუდა პირდაღებული შესცქეროდა. ყოველთვის, როცა კი ჯეიმსი განსა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კუთრებით რთულად ასაღებ ბურთს მოიხელთებდა, გრძელკუდა აღტაცებისგან ტაშს უკრავდა. ხუთი წუთის შემდეგ ჰარის, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, რატომ არ ეუბნებოდა ჯეიმსი გრძელკუდას, ცოტა თავშეკავებულად მოქცეულიყო, მაგრამ ჯეიმსს, როგორც ჩანს, მოსწონდა სხვისი ყურადღება. ჰარიმ შენიშნა, რომ მამამისს ჩვევად ჰქონდა თმის აჩეჩა, თითქოს ეშინოდა, მისი ვარცხნილობა ვინმეს საგულდაგულოდ დაყენებული არ მოსჩვენებოდა. გარდა ამისა, ერთთავად წყალთან შეგროვილი გოგონებისკენ გაურბოდა თვალი.

– გეყოფა, – თქვა ბოლოს სირიუსმა, როცა ჯეიმსმა ისევ მარჯვედ დაიჭირა სნიჩი, გრძელკუდას კი მორიგი აღტაცების შეძახილი აღმოხდა, – თორემ გრძელკუდა სადაცაა ჩაიფსამს.

გრძელკუდა ოდნავ გაწითლდა, ჯეიმსმა კი ჩაიცინა.

– როგორც შენ იტყვი, – სნიჩი ჯიბეში ჩაიტენა. ჰარი რატომღაც თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სირიუსი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი გულისთვისაც ჯეიმსი შეწყვეტდა ამ ყელყელაობას.

– რა მოწყენილობაა, – თქვა სირიუსმა, – ბოლოს და ბოლოს, როდის იქნება სავსე მთვარე?

– მე კი უმისოდაც მშვენივრად გავალ იოლად, – დაბღვერილმა გამოხედა ლუპინმა, – სხვათა შორის, ტრანსფიგურაციაც ჩასაბარებელი გვაქვს. თუ ძალიან მოწყენილი ხარ, შეგიძლია გამომცადო, – და წიგნი გაუწოდა.

მაგრამ სირიუსმა ქედმაღლურად ჩაიცინა:

– შენთვის დაიტოვე, მთელი ეს სისულელე ზეპირად ვიცი.

– ახლავე გავერთობით, მაწანწალავ, – მშვიდად თქვა ჯეიმსმა, – შეხედე, ვინ არის აქ...

სირიუსმა თავი მიაბრუნა და გაინაბა, როგორც ძაღლი, რომელმაც ნადირის სუნი იკრა.

– მშვენიერია, – თქვა სირიუსმა, – ზლუქუნა. ჰარიც იქით შებრუნდა.

ბუჩქებთან ის-ის იყო სნეიპი წამოდგა და ფურცლებს ჩანთაში ინახავდა. როცა ჩრდილიდან მდელოზე გამოვიდა, სირიუსი და ჯეიმსი ადგნენ.

ლუპინი და გრძელკუდა იქვე დარჩნენ. ლუპინი ისევ წიგნში იყურებოდა, თუმცა ეტყობოდა, რომ არ კითხულობდა, წარბებს შორის ოდნავ შესამჩნევი ნაოჭი გაუჩნდა. გრძელკუდა ხან სირიუსსა და ჯეიმსს გახედავდა, ხან – სნეიპს. სახეზე ხარბი დაინტერესება ეწერა.

– როგორაა საქმე, ზლუქუნ? – ხმამაღლა ჰკითხა ჯეიმსმა. სნეიპის რეაქცია ისეთი სწრაფი იყო, თითქოს თავდასხმას ელოდაო: ჩანთა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დააგდო, ხელი ჯიბეში ჩაიყო და ის იყო ჯადოსნური ჯოხიც ამოიღო, რომ ჯეიმსმა შესძახა:

– ექსპელიარმუს!

სნეიპს ჯოხი ხელიდან გაუსხლტა და მდელოზე მოადინა ტყაპანი. სირიუსი გულიანად ახარხარდა.

– იმპედიმენტა! – თქვა და ჯოხი სნეიპისკენ მიმართა. თავისი ჯადოსნური ჯოხისკენ გაქანებული სნეიპი შუაგზაზე დაეცა.

მოსეირნეები მათკენ შებრუნდნენ. ზოგი სიამოვნებით უყურებდა მომხდარს, ზოგი კი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

სნეიპი ბალახზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა. ჯეიმსი და სირიუსი შემართული ჯადოსნური ჯოხებით მიუახლოვდნენ. გზადაგზა ჯეიმსი ტბის პირას შეგროვილი გოგონებისკენ აპარებდა მზერას. გრძელკუდაც წამოდგა და ხარბი ინტერესით შესცქეროდა.

– როგორ ჩაიარა გამოცდამ, ზლუქუნ? – ჰკითხა ჯეიმსმა.

– მე ვუყურებდი, ცხვირი პერგამენტზე ედო, – დამცინავად თქვა სირიუსმა, – მთელი ნაშრომი, ალბათ, ისე აქვს მოთხვრილი ცხიმის ლაქებით, ვერაფერს გაარჩევ!

მაყურებლებიდან ვილაცამ გაიცინა. ეტყობა, სნეიპი აშკარად არ უყვარდათ. გრძელკუდამ ჩაიხითხითა. სნეიპი ადგომას შეეცადა, მაგრამ შელოცვა ისევ მოქმედებდა და ისე იკლაკნებოდა, თითქოს უხილავი თოკებით შეკრესო.

– სამაგიეროს გადაგიხდით! – სიძულვილით სავსე თვალებით შეხედა ჯეიმსს, – გადაგიხდით!

– მაინც როგორ? – გულგრილად თქვა სირიუსმა, – გინდა, შენი წვინტლიანი ცხვირი შეგვაწმინდო?

სნეიპი წყევლა-კრულვას მოჰყვა. მისი ჯოხი პატრონისგან სამ ნაბიჯზე ეგდო და ვერაფრით სწვდებოდა, რომ აელო.

– აუ, რა მყრალი ენა გაქვს! – ზიზღით თქვა ჯეიმსმა, – ექსკურო!

სნეიპს პირიდან ვარდისფერი საპნის ქაფი წამოუვიდა, ტუჩები დაუფარა. სნეიპი საკუთარ ქაფში იხრჩობოდა.

– დაანებეთ თავი!

ჯეიმსმა და სირიუსმა მიიხედეს. ჯეიმსმა მაშინვე თმა აიჩეჩა. ტბიდან ხშირი, მუქჟოლათმიანი გოგონა ყვიროდა. თმა მხრებამდე ჩამოშლოდა. საოცრად მწვანე, ნუშის ფორმის თვალები ჰქონდა, ზუსტად ისეთი, როგორიც ჰარის. ეს დედა იყო.

– რა იყო, ევანს? – ჰკითხა ჯეიმსმა უფრო დაბალი, მელოდიური, მამაკაცური ხმით.

– დაანებეთ თავი, – გაიმეორა ლილიმ. ჯეიმსს გაბრაზებული უყურებდა, – რა დაგიშავათ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ თუ რა? – თქვა ჯეიმსმა იმ კაცის გამომეტყველებით, დასმულ შეკითხვაზე სერიოზულად რომ ფიქრობს, – საერთოდ რომ არსებობს, ეგ უკვე დანაშაულია...

ბევრმა, სირიუსისა და გრძელკუდას ჩათვლით, გადაიხარხარა, მაგრამ ლუპინს, რომელიც აქამდე ისე აჩვენებდა თავს, თითქოს გულმოდგინედ კითხულობდა, არც კი გაჰღიმებია. ლილიც მკაცრი გამომეტყველებით მისჩერებოდა ბიჭებს.

– ენამოსწრებული ბგონია თავი, – ცივად თქვა მან, – სინამდვილეში კი ტრაბახა და ჩხუბისთავი ხარ, პოტერ. თავი გაანებე, გესმის?

– დავანებებ, თუ გასეირნებაზე დამთანხმდები, ევანს, – სწრაფად უპასუხა ჯეიმსმა, – მოდი, გავისეირნოთ და ცხოვრებაში აღარასოდეს მივუშვერ ჯოხს ზლუქუნას.

ამასობაში შებორკვის შელოცვას ვადა გაუვიდა. სნეიპი ნელა მიცოცდა თავის ჯადოსნურ ჯოხთან, თან საპნის ქაფს აფურთხებდა, მაგრამ ჯეიმსი ამას ვერ ხედავდა.

– არც იოცნებო! შენთან სეირნობას მირჩევნია, გიგანტურ კალმარს ჩავეხუტო, – თქვა ლილიმ.

– ბედმა არ გაგიღიმა, ქორბუდა, – მხიარულად თქვა სირიუსმა და ისევ სნეიპისკენ შებრუნდა, – შეჩერდი!

მაგრამ გვიან იყო. სნეიპმა ჯადოსნური ჯოხი პირდაპირ ჯეიმსისკენ მიმართა. იელვა და ჯეიმსის ლოყაზე ღრმა ჭრილობა გაჩნდა. სისხლი მანტიაზე დაეწვეთა. კიდევ ერთი გაელვება და სნეიპი თავდაყირა დაეკიდა ჰაერში. მანტია თავზე წამოეხურა, ფერმკრთალი ფეხები და ჭუჭყიანი საცვლები გამოუჩნდა. ამ ამბავს ბევრი აღტაცების შეძახილით შეხვდა, სირიუსი, ჯეიმსი და გრძელკუდა კი კინაღამ დაიხრჩვნენ სიცილისგან.

ლილის ტუჩის კუთხეებში რაღაც შეუტოკდა. ჰარის წამით მოეჩვენა, რომ რისხვას მის სახეზე სადაცაა ღიმილი შეცვლიდა, მაგრამ ლილიმ ხმამაღლა თქვა:

– დაუშვი ძირს!

– ახლავე, – თქვა ჯეიმსმა და ჯოხი აიქნია.

სნეიპი მიწას ნაჭრებით გატენილ ტომარასავით დაებერტყა. მანტიის კალთებიდან თავი გაითავისუფლა და ჯოხით ხელში სწრაფად წამოხტა, მაგრამ სირიუსმა დაიძახა: პეტრიფიკუს ტოტალუს! – და სნეიპი ისევ ფიცარივით დაეტყეპა ძირს.

– დაანებეთ თავი, – დაიყვირა ლილიმ. იმასაც ჯადოსნური ჯოხი ეჭირა ხელში. ჯეიმსი და სირიუსი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს.

– ევანს, ნუ მაიძულებ შენთან შებრძოლებას, – სერიოზულად გააფრთხილა ჯეიმსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშინ, გაათავისუფლე!

ჯეიმსმა მძიმედ ამოიოხრა, სნეიპისკენ შებრუნდა და კონ-ტრშელოცვა წაიბუტბუტა.

– აი ასე, – თქვა, როცა სნეიპი ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე, – შენი ბედი, რომ ევანსია აქ, ზლუქუნ...

– მე არ მჭირდება დახმარება საზიზღარი მუქსისხლიანებისგან!

ლილიმ თვალები მოჭუტა.

– შესანიშნავია, – მშვიდად თქვა მან, – სხვა დროს აღარ ჩავერევი. სხვათა შორის, შენს ადგილზე, ზლუქუნ, საცვლებს გავირეცხავდი.

– ბოდიში მოუხადე ევანსს, – იღრიალა ჯეიმსმა და ჯადოსნური ჯოხი სნეიპისკენ მიმართა.

– არ მინდა, რომ ბოდიშის მოხდა აიძულო, – იყვირა ლილიმ, – შენ მაგაზე უკეთესი არაფრით ხარ!

– რა? – იყვირა ჯეიმსმა, – მე ხომ არასოდეს მითქვამს შენთვის... შენ თვითონაც იცი, რა!

– თმებს იჩეჩავ, რომ ყველას ეგონოს, თითქოს ახლახან გადმოხტი ცოცხიდან, ამ სულელური სნიჩით ბაქიბუქობ, დერეფნებში დაძრ-წიხარ და აწვალებ ყველას, ვინც არ მოგწონს... გაუგებარია, როგორ ძრავს შენი ცოცხი მაგ შენს თუჯის თავს! გული მერევა!

მკვეთრად შებრუნდა და წავიდა.

– ევანს! – დაუძახა ჯეიმსმა, – მოიცა, ევანს!

მაგრამ ლილი არც კი შემობრუნებულა.

– რა ბზიკმა უკბინა? –ჯეიმსი სულ ტყუილად ცდილობდა ისეთი გამომეტყველების მიღებას, თითქოს პასუხი ამ კითხვაზე სულაც არ აინტერესებდა.

– რატომღაც მგონია, რომ ყოყლოჩინად გთვლის, მეგობარო, – უთხრა სირიუსმა.

– კარგი რა, – ჯეიმსის ხმაში წყენა მოისმა. ისევ იელვა და სნეიპი ისევ დაეკიდა თავდაყირა.

– ვის უნდა ნახოს, როგორ გავაძრობ ზლუქუნას საცვლებს?

მაგრამ ჰარიმ ველარ გაიგო, შეასრულა თუ არა ჯეიმსმა თავისი მუქარა. ვილაცამ მარწუხივით მოუჭირა იდაყვს ცოტა ზემოთ. ტკი-ვილისგან კინალამ შეჰყვირა. შებრუნდა და – ამაზე საშინელს ვერც კი მოიფიქრებდა – უკან მეორე, უფროსი სნეიპი დაინახა რისხვისგან გაფითრებული სახით.

– ვერთობით, არა?

ჰარიმ იგრძნო, რომ ჰაერში ასწიეს. ზაფხულის დღე კვამლივით გადნა. ზევით მიქროდა ცივი სიბნელისკენ, სნეიპის ხელი კი ისევ უჭერდა. მერე წამით სუნთქვა შეეკრა და სნეიპის მიწისქვეშეთის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვის იატაკზე დაეცა. თავზარდაცემულმა გააცნობიერა, რომ ისევ ახლანდელ დროში, საფიქრელას გვერდით მდგარი შხამ-წამლების მასწავლებლის კაბინეტში იდგა.

– მაშ ასე, – თქვა სნეიპმა, თან ისე უჭერდა ხელს, რომ ჰარის მკლავი დაუბუჟდა, – მაშ ასე... მოგეწონათ, პოტერ?

– ა-არა, – უპასუხა ჰარიმ. თან ხელის გათავისუფლებას ცდილობდა. შეეშინდა: სნეიპს ტუჩები უკანკალებდა, სახე გაფითრებოდა, პირი ისე დაეღო, თითქოს სადაცაა საკბენად ეცემოდა.

– სასიამოვნო ადამიანი იყო მამაშენი, არა? – თქვა სნეიპმა და ისე შეანჯღრია ჰარი, რომ სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა.

– მე... მე არ...

სნეიპმა მთელი ძალით ჰკრა ხელი. ჰარი მთელი ძალით დაენარცხა ქვის იატაკზე.

– არც კი იფიქრო, ვინმეს მოუყვე, რაც ნახე, – დაიღრინა სნეიპმა.

– არა... არა... – წაიბუტბუტა ჰარიმ. წამოდგა და ცდილობდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო სნეიპისგან, – რა თქმა უნდა, არავის...

– გაეთრიე! და შენი ფეხი აღარ ვნახო აქ!

სნეიპმა მკვდარი ტარაკნებით სავსე ქილა ესროლა. ქილა კედელს შეასკდა და ზრიალით დაიმსხვრა. ჰარი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა კარისკენ და დერეფანში გავარდა. მაშინღა შეჩერდა, როცა მასა და სნეიპს შორის სამი სართული იყო. აქოშინებული მიეყრდნო კედელს და ჩალურჯებულ ხელს ზელა დაუწყო.

არ უნდოდა გრიფინდორის კოშკში ასე ადრე დაბრუნებულიყო და რონისა და ჰერმიონისთვის თავისი თავგადასავალი მოეთხრო.

ჰარის გუნება იმან კი არ გაუფუჭა, რომ უყვირეს და ტარაკნებით სავსე ქილა ესროლეს – მშვენივრად იცოდა, როგორია, როცა სხვების თანდასწრებით გამცირებენ. ზუსტად იცოდა, რას გრძნობდა სნეიპი, როცა მამამისი დასცინოდა და თუ საფიქრელაში ნანახით იმსჯელებს, სნეიპი სულაც არ აზვიადებდა, როცა მამამისს ქედმაღალს, ტრაბახასა და მეტიჩარას ეძახდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეცხრე

პროფესიის არჩევა

– რატომ აღარ დადიხარ ოკლუმენციის გაკვეთილებზე? – წარბი შეიკრა ჰერმიონმა.

– ხომ გითხარი, სნეიპს მიაჩნია, რომ ახლა, როცა უკვე შესწავლილია საფუძვლები, შემიძლია დამოუკიდებლად განვაგრძო, – წაიბუტბუტა ჰარიმ.

– ესე იგი, უცნაურ სიზმრებს აღარ ნახულობ?

– თითქმის არა, – თქვა ჰარიმ და თვალი მოარიდა.

– ჩემი აზრით, სნეიპს უფლება არა აქვს, შეწყვიტოს გაკვეთილები მანამ, სანამ საკუთარი სიზმრების სრულად გაკონტროლებას არ ისწავლი! – აღშფოთდა ჰერმიონი, – ვფიქრობ, უნდა მიხვიდე და ჰკითხო...

– არა, – გადაჭრით იუარა ჰარიმ, – მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, კარგი?

სააღდგომო არდადეგების პირველი დღე იყო და ჰერმიონმა, ჩვეულებისამებრ, დღის უდიდესი ნაწილი სამივესთვის საგამოცდო განრიგის შედგენას მოანდომა. ჰარი და რონი ხელს არ უშლიდნენ. ეს უფრო იოლი იყო, ვიდრე კამათში ჩაბმა. თანაც მისი შრომის ნაყოფი შეიძლებოდა, მართლაც სასარგებლო გამომდგარიყო. ამასთან, რონმა თავისდა გასაკვირად და სამწუხაროდ აღმოაჩინა, რომ გამოცდებამდე სულ რაღაც თვე-ნახევარი დარჩენილიყო.

– ეს როგორ დაგავიწყდა? – მკაცრად ჰკითხა ჰერმიონმა და ჯადოსნური ჯოხის წვერით რონის განრიგს შეეხო. ამ შეხებით პატარა კვადრატები პერგამენტის დახაზულ ფურცელზე რიგრიგობით ინთებოდა სხვადასხვა ფერად იმის მიხედვით, თუ რომელ საგანს ეკუთვნოდა.

– არ ვიცი, – თქვა რონმა, – იმდენი რამ მოხდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, გამომართვი, – თქვა ჰერმიონმა და განრიგი გაუწოდა, – ამის მიხედვით მოემზადე და ყველაფერი კარგად იქნება.

რონმა დაბღვერილმა დახედა პერგამენტს, მაგრამ მერე სახე გაუნათდა.

– ყოველ კვირას თითო თავისუფალი საღამო გამომიყავი?!

– ეს ქვიდიჩში ვარჯიშისთვის, – აუხსნა ჰერმიონმა. რონს ღიმილი ჩაუქრა.

– ეს ხომ უაზრობაა? – მოიღუშა, – წლეულს თასის მოგების ისეთივე შანსი გვაქვს, როგორიც მამაჩემს – მაგიის მინისტრობისა.

ჰერმიონმა არაფერი უპასუხა. ის კედელზე თვალმიშტერებულ ჰარის უყურებდა. ბო ჰარის ხელს უფხაჭნიდა და ყურის მოფხანას სთხოვდა, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა.

– რა დაგემართა, ჰარი?

– მე? არაფერი, – საჩქაროდ უპასუხა ჰარიმ.

„დაცვითი მაგიის თეორიას“ ხელი დაავლო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს სარჩევში რაღაცას ეძებსო. ბო მიხვდა, რომ ჰარისგან მოფერებას ვერ ელირსებოდა და ჰერმიონის სკამის ქვეშ მოკალათდა.

– დღეს ჩო ვნახე, – ფრთხილად დაიწყო ჰერმიონმა, – განაწყენებული მეჩვენა. თქვენ რა, ისევ იჩხუბეთ?

– ვიჩხ... ჰო, რა თქმა უნდა, – თქვა ჰარიმ. სიამოვნებით მოეჭიდა ახალ თემას.

– რატომ?

– მისი გამცემი მეგობრის, მარიეტას გამო, – გაუმხილა ჰარიმ.

– ჰო, მაშინ შენი ბრალი არ ყოფილა, – რონმა განრიგი გადადო, – ის რომ არა...

და რონი მთელი შემართებით მოჰყვა მარიეტა ეჯკომბის ლანძღვას. ჰარისაც ეს უნდოდა, ისღა დარჩენოდა, რომ გაბრაზებული სახით მჯდარიყო, თავი ექნია, დროდადრო ეთქვა „ჰო-ჰო!“ და „ზუსტად!“ როცა რონი სულს მოითქვამდა. ეს კი ფიქრებში ხელს არ უშლიდა, სულ უფრო ცუდ გუნებაზე აყენებდა იმის გახსენება, თუ რა ნახა საფიქრელაში.

გული სტკიოდა. მთელი ცხოვრება სწამდა, რომ მისი მშობლები შესანიშნავი ადამიანები იყვნენ. ამიტომ წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ სნეიპის ბოროტი გამოხდომები მამამისის მიმართ წმინდა წყლის ცილისწამება იყო. სხვებიც ხომ, მაგალითად, ჰაგრიდი და სირიუსი, ამასვე ეუბნებოდნენ, როგორი არაჩვეულებრივი იყო მამამისი?

– „ჰოო? – გაისმა თავში ვიღაცის დამცინავი ხმა, – ვითომ სირიუსი კი უკეთესად იქცეოდა?“

ჰო, ერთხელ შემთხვევით მოისმინა პროფესორ მაკგონაგელისგან,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მამამისი და სირიუსი სკოლაში სწავლისას ცნობილი ონავრები იყვნენ. ის ისე ლაპარაკობდა მათზე, როგორც ტყუპ უისლების წინამორბედებზე, ჰარის კი ვერ წარმოედგინა, რომ ფრედი და ჯორჯი ვიღაცას თავდაყირა დაკიდებდნენ უბრალოდ, გართობის მიზნით... თუ, რა თქმა უნდა, ძალიან საძაგელი ვინმე არ იქნებოდა... მაგალითად, მალფოის მსგავსი, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებდა.

ჰარიმ სცადა, თავი დაერწმუნებინა, რომ სნეიპმა დაიმსახურა თავს დამტყდარი წამება, მაგრამ ლილიმ ხომ იკითხა, „რა დაგიშავათო?" ჯეიმსმა კი უპასუხა, „რომ არსებობს, ეგ უკვე დანაშაულიაო". ნუთუ ჯეიმსმა ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ მოაწყო, რომ სირიუსმა მოწყენილობაზე დაიჩივლა? ჰარიმ გრიმოს მოედანზე ლუპინთან ძველი საუბარი გაიხსენა. ლუპინის თქმით, დამბლდორმა პრეფექტად იმიტომ დანიშნა, რომ ჯეიმსისა და სირიუსის მოთოკვაში დახმარებოდა... მაგრამ საფიქრელაში ის უბრალოდ იჯდა და თვალს ადევნებდა.

ჰარი ერთთავად ახსენებდა თავს, რომ ლილი მაინც ჩაერია საქმეში. დედა ღირსეულად მოიქცა. თუმცა, არც მისი სახის გამომეტყველება აძლევდა მოსვენებას, როცა ბიჭებს უყვიროდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ჯეიმსი ზიზღს იწვევდა მასში და ჰარის ვერაფრით აეხსნა, როგორ მოხდა, რომ ყოველივე ამის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ. ისიც კი გაიფიქრა, ჯეიმსმა ხომ არ აიძულა ლილი, ცოლად გაჰყოლოდაო.

თითქმის ხუთ წელიწადს მამა მისთვის შთაგონებისა და ნუგეშისცემის წყარო იყო. როცა ვინმე ეტყოდა, ჯეიმსს ჰგავხარო, ჰარი სიამაყით ივსებოდა. ახლა... ახლა მამის გახსენებაზეც კი გულ-მუცელი ეყინებოდა.

სააღდგომო არდადეგები დასასრულს უახლოვდებოდა. ამინდი სულ უფრო ქარიანი, თბილი და მზიანი ხდებოდა. მაგრამ ჰარი დანარჩენი მეხუთე-მეშვიდეკურსელების მსგავსად, ოთხკედელშუა იჯდა და სახელმძღვანელოებს ფურცლავდა. დროდადრო ბიბლიოთეკაშიც შეივლიდა ხოლმე. თავს იტყუებდა, თითქოს მისი უგუნებობა მოახლოებული გამოცდებით იყო გამოწვეული. და რადგან მისი თანატოლი გრიფინდორელებიც დილიდან საღამომდე წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ, მის უგუნებობაში განსაკუთრებულს ვერავინ ვერაფერს ხედავდა.

– შენ გეუბნები, ჰარი, არ გესმის?

– ჰა?

თავი ასწია. ეს ქარისგან თმაგაწეწილი ჯინი იყო. მივიდა და გვერდით მიუჯდა. კვირადღის გვიანი საღამო იყო. ჰერმიონი გრიფინ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დორის კოშკში უძველესი რუნების ისტორიის დასაზუთხად წავიდა, რონი კი ქვიდიჩის ვარჯიშზე იყო.

– გამარჯობა, – ჰარიმ წიგნები თავისკენ მისწია, – რატომ ვარჯიშზე არა ხარ?

– დამთავრდა, – თქვა ჯინიმ, – რონმა ჯეკ სლოუპერი საავადმყოფო ფლიგელში წაიყვანა.

– რატომ?

– ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ეტყობა, თავისივე ჩოგნით დაირეტიანა თავი. კარგი, რაც არი, არი... ამანათი მივიღე. ახლახან გაიარა შემოწმება ახალი წესების მიხედვით.

ჯინიმ მაგიდაზე ყავისფერ ქაღალდში გახვეული მოზრდილი პაკეტი დადო. ეტყობოდა, რომ გაეხსნათ და ისევ ფაქიზად შეეფუთათ. ჰარიმ წითელი მელნით ნაწერს დახედა: „შემოწმებულია და დაშვებულია მოხმარებისთვის. ჰოგვორტსის გენერალური ინსპექტორი“.

– ეს სააღდგომო კვერცხებია. დედამ გამოგვიგზავნა, – თქვა ჯინიმ, – ერთი ცალი შენთვისაც არის... აჰა, აიღე.

ჯინიმ სნიჩებით მოხატულ ქაღალდში გახვეული შოკოლადის ლამაზი კვერცხი გაუწოდა. შიგნითაც ასეთივე ლამაზი პაკეტი აღმოჩნდა. ჰარიმ დახედა და უცებ თითქოს ბურთი გაეჩხირა ყელში.

– ყველაფერი რიგზეა, ჰარი? – ჩუმად ჰკითხა ჯინიმ.

– ჰო, ყველაფერი მშვენივრადაა, – ძლივს წაილუღლუღა ჰარიმ და ნერწყვი გადაყლაპა. ვერ გაეგო, ასე რატომ იმოქმედა უბრალო სააღდგომო კვერცხმა.

– ბოლო დროს რაღაც ვერ ხარ, – თავისას არ იშლიდა ჯინი, – იცი, დარწმუნებული ვარ, ჩოს რომ დაელაპარაკო...

– ჩოსთან არაფერი მაქვს სალაპარაკო, – მკვახედ თქვა ჰარიმ.

– მაშ ვისთან?

– მე...

აქეთ-იქით გაიხედა, ხომ არავინ გვისმენსო. რამდენიმე თაროს იქით მადამ პინსი ჰანა ებოტს წიგნების მთელ დასტას აძლევდა.

– მე... სირიუსს უნდა დაველაპარაკო, – წაიჩურჩულა ჰარიმ, – მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლებელია.

ჭამა არ უნდოდა, მაგრამ რაღაც ხომ უნდა გაეკეთებინა და სააღდგომო კვერცხს ქაღალდი შემოაცალა, მოზრდილი ნაჭერი მოატეხა და პირში ჩაიდო.

– ჰო, – აუჩქარებლად თქვა ჯინიმ და თვითონაც დაიწყო კვერცხის ჭამა, – თუ მართლა გინდა სირიუსთან დალაპარაკება, შეგვიძლია ამის მოწყობა.

– კარგი ერთი, – კიდევ უფრო მოიღუშა ჰარი, – ამბრიჯი ყველა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბუხარს უთვალთვალებს, ჩვენს ყველა წერილსა და ამანათს ხსნის!

– თუ მთელი ცხოვრება ფრედთან და ჯორჯთან ცხოვრობ, – იდუმალი ხმით თქვა ჯინიმ, – ნელ-ნელა მიხვდები, რომ შეუძლებელი არაფერია ქვეყანაზე. საქმე ის არის, გეყოფა თუ არა გამბედაობა...

ჰარიმ ჯინის შეხედა. შეიძლება შოკოლადი იყო მიზეზი – ლუპინი ყოველთვის ურჩევდა ეჭამა დემენტორებთან შეხვედრის შემდეგ, – შეიძლება, უბრალოდ, გულზე მოეშვა, რაც ხმამაღლა თქვა თავისი სურვილი, მთელი კვირა რომ აწვალებდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, სულში ისევ აფუთფუთდა იმედი.

– რის უფლებას აძლევთ თავს?

– ფუ, შენი, – წაიჩურჩულა ჯინიმ და წამოხტა, – სულ დამავიწყდა...

მადამ პინსი მათკენ მოიჩქაროდა. დანაოჭებული სახე რისხვით დამანჭოდა.

– შოკოლადი ბიბლიოთეკაში! – წამოიძახა, – ახლავე გაეთრიეთ აქედან!

ჯოხი აიქნია და ჰარის წიგნები, ჩანთა და სამელნე მათ პატრონსა და ჯინის გაუყენა უკან, რომლებიც სასწრაფოდ გაეცალნენ ბიბლიოთეკას. ნივთები უკან მისდევდნენ, დროდადრო დაეწეოდნენ და კისერში წაუთაქებდნენ ხოლმე.

* * *

თითქოსდა იმისთვის, რომ ხაზი გაესვათ მოახლოებული გამოცდების მნიშვნელობისათვის, არდადეგების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გრიფინდორის კოშკში მაგიდებზე გამოჩნდა სხვადასხვა ჯადოსნური სპეციალობებისადმი მიძღვნილი ბროშურების დასტები, სარეკლამო ფურცლები და ბარათები. დაფაზე კი გამოაკრეს განცხადება, რომელიც იუწყებოდა:

კონსულტაცია პროფესიის შესარჩევად

ზაფხულის სემესტრის პირველი კვირის ფანმავლობაში ყველა მეხუთეკურსელმა უნდა ფაიაროს მოკლე ფასაუბრება თავისი კლუბის ხელმძღვანელთან მომავალი პროფესიის ასარჩევად. ფასაუბრების თარიღი და დრო თითოეული მოსწავლისთვის იხილეთ ქვემოთ.

ჰარიმ სიაში თავისი გვარი მოძებნა და გაარკვია, რომ პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტში უნდა გამოცხადდეს ორშაბათს, სამის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნახევარზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა გამოეტოვებინა მისნობის თითქმის მთელი გაკვეთილი. არდადეგების ბოლო შაბათ-კვირის დიდი ნაწილი სხვა მეხუთეკურსელებთან ერთად ჰარიმ ბროშურების შესწავლას მოანდომა.

– არ მინდა, მკურნალი ვიყო, – განაცხადა რონმა მეცადინეობის დაწყების წინა საღამოს. იმ ბროშურას კითხულობდა, რომლის გარეკანზეც წმინდა მუნგოს კლინიკის ემბლემა იყო გამოსახული – გადაჯვარედინებული ძვალი და ჯადოსნური ჯოხი, – აქ წერია, რომ, სულ ცოტა, „მ“ უნდა მიიღო **კატა**-ს შხამ-წამლებში, ჰერბოლოგიაში, ტრანსფიგურაციაში, შელოცვებსა და ბნელი ძალებისგან თავდაცვაში. რა ცოტას ითხოვენ, არა?

– ეს ხომ ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოა, – გამოეხმაურა ჰერმიონი. ის ყვითელ-ვარდისფერ ბროშურას კითხულობდა, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „გინდათ სცადოთ ბედი მაგლებთან კავშირის დეპარტამენტში?“ – ეტყობა, მაგლებთან ურთიერთობისთვის მაინცდამაინც მაღალი კვალიფიკაცია არ არის სავალდებულო. მხოლოდ **ბუა**-ს ჩაბარებაა საჭირო მაგლთმცოდნეობაში: „ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია თქვენი ენთუზიაზმი, მოთმინება და იუმორის გრძნობა“.

– ბიძაჩემთან ურთიერთობისთვის მარტო იუმორის გრძნობით შორს ვერ წახვალ, – წარბი შეიკრა ჰარიმ, – იქ უფრო კარგი რეაქცია დაგჭირდება, რათა დარტყმები აიცდინო, – უკვე სანახევროდ ჰქონდა გადაფურცლული საბანკო საქმისადმი მიძღვნილი ბროშურა, – ნახეთ ერთი, რას წერენ:

„თვალწარმტაცი მოგზაურობებით, სახიფათო თავგადასავლებითა და განძის აღმოჩენისთვის დამსახურებული გულუხვი ჯილდოებით სავსე ცხოვრებაზე ოცნებობთ? მაშინ, გამოგზავნეთ საბუთები ჯადოსნურ ბანკ „გრინგოტსში“, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობის შესანიშნავი პერსპექტივით შელოცვების ლიკვიდატორებს აგროვებს...“ სხვათა შორის, არითმანტიაა საჭირო. ესეც შენი საყვარელი საგანი, ჰერმიონ!

– მაინცდამაინც არ მიყვარს საბანკო საქმე, – იუარა ჰერმიონმა, რომელიც უკვე სხვა ბროშურის კითხვით იყო გართული:

„შეგწევთ თუ არა ტროლი-დარაჯების გაწვრთნის ძალა“.

– ჰეი, – დაიძახა ვიღაცამ ზედ ჰარის ყურთან. ფრედი და ჯორჯი მოსულიყვნენ, – გუშინ ჯინი გველაპარაკებოდა შენზე, – თქვა ფრედმა და ფეხები მაგიდაზე შეაწყო. სამინისტროს რამდენიმე ბროშურა იატაკზე გადმოვარდა, – გვითხრა, რომ სირიუსთან დალაპარაკება გინდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა? – ჰერმიონს ბარათისკენ გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა. ბარათს ეწერა: „დარეკეთ ჯადოსნური ავარიებისა და კატასტროფების დეპარტამენტში“.

– ჰო, – რაც შეიძლება, გულგრილად თქვა ჰარიმ, – ცუდი არ იქნებოდა.

– გეყოფა სისულელეები, – ჰერმიონმა ისე შეხედა ჰარის, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებსო, – შენ რა, არ იცი, რომ ამბრიჯი ყველა ბუხარში ყოფს ცხვირს და ჩვენს ყველა წერილში იქექება?

– როგორმე მოვახერხებთ ამ დაბრკოლების დაძლევას, – თქვა ჯორჯმა და გაიზმორა, – მხოლოდ და მხოლოდ მისი ყურადღების სხვა რამეზე გადატანაა საჭირო... ჰო, მართლა, შეამჩნიეთ, რომ არდადეგებზე განსაკუთრებით მორიდებულად ვიქცეოდით?

– გადავწყვიტეთ, რომ არ ღირდა, საკუთარი თავისთვის დასვენების დღეები გაგვეფუჭებინა, – განაგრძო ფრედმა, – თან არც იმათთვის გვინდოდა ხელი შეგვეშალა, ვინც გამოცდებისთვის ემზადება!

სასაცილოდ დაიჯღანა და რევერანსით დაასაჩუქრა ჰერმიონი. ჰერმიონს აშკარად შეეტყო, ტყუპებისგან თანასკოლელთა მიმართ ამგვარ მზრუნველობას არ ელოდა.

– მაგრამ ბიზნესი ბიზნესია და ხვალიდან ყველაფერი ისევ თავისი რიგით წავა, – მხიარულად თქვა ფრედმა, – და რადგან მაინც ვაპირებთ მცირე არეულობის მოწყობას, ვითომ რატომ არ უნდა დავეხმაროთ ჰარის სირიუსთან შეხვედრაში?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ამბრიჯის ყურადღების სხვა რამეზე გადატანაც რომ მოახერხოთ, სად შეძლებს ჰარი სირიუსთან დალაპარაკებას? – ისეთი ტონით თქვა ჰერმიონმა, თითქოს ჩამოყალიბებულ იდიოტებს ძალზე მარტივ რამეს უხსნისო.

– მის კაბინეტში, – ჩუმად თქვა ჰარიმ.

უკვე მთელი ორი კვირა ფიქრობდა ამაზე და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. თვითონ ამბრიჯმა უთხრა, რომ ერთადერთი ბუხარი, რომელიც არ კონტროლდება, მის კაბინეტშია.

– შენ... ჭკუიდან... შეიშალე, – ხმა ჩაუწყდა ჰერმიონს. რონმა ხელი უშვა სათბურში მოყვანილი სოკოებით ვაჭრობისადმი მიძღვნილ ბროშურას და მათ საუბარს მიუგდო ყური.

– სულაც არა... – ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– მაინც, როგორ აპირებ იქ შესვლას?

ამ კითხვაზე ჰარის მზად ჰქონდა პასუხი:

– სირიუსის დანის დახმარებით.

– რა-რაო?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შარშან შობაზე მაჩუქა, ნებისმიერი საკეტის გაღება შეუძლია, თუნდაც კარს ჯადო ჰქონდეს დადებული და ალოჰომორას შელოცვამ არ იმოქმედოს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება...

– აბა, რას იტყვი? – ჰერმიონის ეს მკაცრი შეკითხვა რონს ეკუთვნოდა და ჰარის უნებურად გაახსენდა თავისი პირველი ვახშამი გრიმოს მოედანზე, როცა ქალბატონმა უისლიმ ზუსტად ასეთი ტონით მიმართა მეუღლეს.

– არ ვიცი, – რონი, ცოტა არ იყოს, აირია, რადგან კონკრეტულ საკითხზე კონკრეტული აზრის გამოთქმა სთხოვეს, – ვფიქრობ, თუ ჰარის უნდა, რომ სცადოს, აქვს კიდეც ამის უფლება.

– ერთგული მეგობრისა და ჭეშმარიტი უისლის სიტყვებია, – ფრედმა ზურგზე ლაზათიანი წამოტყაპუნებით დაასაჩუქრა რონი, – მაშ ასე. ხვალ, გაკვეთილების შემდეგ შევუდგეთ საქმეს, როცა ყველანი დერეფანში იქნებიან. ზუსტად მაგ დროს შეიძლება მაქსიმალური ეფექტის მიღწევა. სადღაც, აღმოსავლეთ ფლიგელთან დავიწყებთ, რომ მაშინვე გამოვიტყუოთ ამბრიჯი კაბინეტიდან. ჰარი, ოცი წუთის გარანტიას მაინც გაძლევთ. შენ რას იტყვი? – ჯორჯს შეხედა.

– თავისუფლად, – დაუდასტურა ჯორჯმა.

– მაინც რით გაიტყუებთ? – იკითხა რონმა.

– ნახავ, ძამიკო, – დააიმედა ფრედმა და ორივენი წამოდგნენ, – მთავარია, გრეგორი მლიქვნელის დერეფანში მოხვიდე, დაახლოებით დღის ხუთ საათზე.

* * *

მეორე დღეს ჰარის ადრე გაეღვიძა. თავს ისე გრძნობდა, როგორც იმ დილით, როცა სადისციპლინო მოსმენა ჰქონდა დანიშნული მაგიის სამინისტროში. მას მხოლოდ ის კი არ აშინებდა, რომ ამბრიჯის კაბინეტში უნდა შეჭრილიყო და მისი ბუხრით ესარგებლა (თუმცა მარტო ესეც ნებისმიერს შეაშინებდა), ამ დღეს ჰარის კიდევ ერთი განსაცდელი ელოდა: შხამ-წამლების გაკვეთილი ჰქონდა და პირველად უნდა აღმოჩენილიყო სნეიპთან ახლოს მას შემდეგ, რაც მან კაბინეტიდან გააძევა.

ერთხანს ლოგინში იწვა და მოსალოდნელ ამბებზე ფიქრობდა. მერე ადგა და ნევილის საწოლის გვერდის ავლით პირდაპირ ფანჯარასთან მივიდა. მშვენიერი დილა იყო. ჰაერში თხელი, გამჭვირვალე ნისლი იდგა. ფანჯრიდან მაღალი არყის ხე ჩანდა, რომლის ქვეშაც ოდესღაც მამამისი სნეიპს აწვალებდა. არ იცოდა, როგორ შეძლებდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სირიუსი იმ შთაბეჭდილების გაქარწყლებას, რაც საფიქრელაში ნანახმა მოახდინა მასზე, მაგრამ ძალიან უნდოდა, ნათლიისგან შეეტყო იმ ამბების მისეული ვერსია – აუცილებლად იქნებოდა რაღაც შემამსუბუქებელი გარემოება, სულ ცოტა მაინც, რაც მამის საქციელს ახსნიდა...

ჰარის ყურადღება აკრძალული ტყის პირზე რაღაც მოძრაობამ მიიპყრო. თვალები მოჭუტა და ჰაგრიდი დაინახა, რომელიც ის-ის იყო, ტყიდან გამოვიდა. თითქოს კოჭლობდა. ჰარი უყურებდა, როგორ მილასლასდა თავის ქოხთან და შიგ გაუჩინარდა. რამდენიმე წუთს ქოხს უთვალთვალებდა. ჰაგრიდი აღარ გამოჩენილა, მაგრამ საკვამლე მილიდან ბოლი ამოვიდა. როგორც ჩანს, მეტყეევე არც ისე სერიოზულადაა დაჭრილი, რაკი ცეცხლის დანთება მოახერხა.

ჰარი ფანჯარას მოშორდა და ჩაცმა დაიწყო.

რადგან უნებართვოდ მოუწევდა ამბრიჯის კაბინეტში შელწევა, სულაც არ ვარაუდობდა, რომ დღე მშვიდობიანად ჩაივლიდა, თუმცა, არც იმისთვის იყო მზად, წინააღმდეგობა გაეწია ჰერმიონისთვის. ის კი დაჟინებული ცდილობდა, გადაეფიქრებინა განზრახულის აღსრულება. პროფესორი ბინსიც კი პირველად აღმოჩნდა უძლური, მიეპყრო ჰერმიონის ყურადღება. მაგიის ისტორიის გაკვეთილზე გოგონა შეუსვენებლად ჩასჩურჩულებდა ავის მომასწავებელ გაფრთხილებებს და ჰარის ძალიან უჭირდა, ყურადღება არ მიექცია მისი ჩიჩინისთვის.

– იქ რომ გამოგიჭიროს, მარტო სკოლიდან გაგდებას არ გაკმარებს. აუცილებლად მიხვდება, რომ ბომბორას ელაპარაკე და ამჯერად, დაიხსომე ჩემი სიტყვა, გაიძულებს სიმართლის ელექსირის დალევას და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას...

– ჰერმიონ, გეყოფა ტვინის ბურღვა! მოუსმენ პროფესორ ბინსს თუ მე თვითონ ვწერო კონსპექტები?– გაბრაზებულმა წაჩურჩულა რონმა.

– შეგიძლია სცადო, არ მოკვდები!

იმ დროისთვის, როცა მიწისქვეშეთს მიაღწიეს, ჰარი და რონი აღარ ელაპარაკებოდნენ ჰერმიონს, მაგრამ ის მაინც არ ცხრებოდა. მათი დუმილით ისარგებლა და ისევ მოჰყვა საშინელების წინასწარმეტყველებას.

ყველაფრით იგრძნობოდა, რომ სნეიპმა გადაწყვიტა, ისე დაეჭირა თავი, თითქოს ჰარი არც იყო კლასში. ჰარი შეჩვეული იყო ამგვარ ტაქტიკას – მას ხშირად მიმართავდა ძია ვერნონი. უხაროდა კიდეც, რომ ასე იოლად გადარჩა. უფრო მეტიც: ადრე სნეიპი მოსვენებას არ აძლევდა თავისი შხამიანი დაცინვითა და გესლიანი შენიშვნებით,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამიტომ მოქცევის ეს ახალი მანერა უფრო მისაღები აღმოჩნდა და სიამოვნებით დარწმუნდა იმაშიც, რომ გაუთავებელი ჯიჯღინის გარეშე გაცილებით იოლად ახერხებს მაცოცხლებელი ელექსირის მოხარშვას. გაკვეთილის ბოლოს ცოტაოდენი ნაყენი სინჯარაში ჩამოასხა, საცობი დაახურა და შესამოწმებლად მიიტანა სნეიპის მაგიდაზე. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად „დამაკმაყოფილებელს“ მაინც მიიღებდა.

ის იყო მაგიდას მოშორდა, რომ ზურგს უკან რაღაც დაიმსხვრა ზრიალით. მალფოიმ აღტაცების ყიჟინა დასცხო. ჰარი სწრაფად შებრუნდა და დაინახა, რომ მისი ნიმუშის ნამსხვრევები იატაკზე ეყარა, სნეიპი კი ბოროტი თვითკმაყოფილებით შესცქეროდა.

– რა სამწუხაროა, – რბილად თქვა სნეიპმა, – რას იზამთ, პოტერ, მორიგი „ცუდი“ დაიმსახურეთ.

სიბრაზისგან ჰარის ლაპარაკის უნარი წაერთვა. ფართო ნაბიჯებით წავიდა თავისი ქვაბისკენ, რათა ახალი სინჯარა შეევსო და სნეიპი იძულებული გაეხადა, შეემოწმებინა ელექსირი, მაგრამ დაინახა, რომ მთელი ნაყენი გამქრალიყო.

– მაპატიე, – ჰერმიონმა პირზე ხელი აიფარა, – თუ შეიძლება, მაპატიე, ჰარი! მეგონა, დაამთავრე და სულ გადავღვარე! ჰარიმ ხმა ვერ ამოიღო. როცა ზარი დაირეკა, ისე ავიდა ზევით, არსაით გაუხედავს, სადილზე კი განგებ ჩაჯდა ნევილსა და სიმუსს შორის, რათა საშუალება არ მიეცა ჰერმიონისთვის, ყურში ბურტყუნი გაეგრძელებინა.

როცა მისნობის გაკვეთილზე წასვლის დრომ მოაწია, ისეთ ცუდ გუნებაზე იყო, რომ სულ დაავიწყდა პროფესორ მაკგონაგელთან დანიშნული კონსულტაცია. მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, როცა რონმა ჰკითხა, აქ რატომ ხარო. ჰარი კისრისტეხით ავარდა ზევით და მხოლოდ რამდენიმე წუთით დაიგვიანა.

– მაპატიეთ, პროფესორო, – თქვა და კარი მიხურა, – დამავიწყდა.

– არა უშავს, პოტერ, – სწრაფად თქვა მაკგონაგელმა და იმავე წამს ჰარიმ გაიგონა, როგორ ჩაიცინა ვიღაცამ მის უკან, კუთხეში. ჰარი შებრუნდა.

იქ პროფესორი ამბრიჯი იჯდა. მუხლებზე გაშლილი ბლოკნოტი ედო. ყელს სულელური მაქმანიანი საყელო უმშვენებდა, ტუჩებზე კი საზიზღარი თვითკმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა.

– დაჯექით, პოტერ, – დაძაბული ხმით თქვა მაკგონაგელმა, მერე ბროშურების გროვა გაასწორა მაგიდაზე. ჰარიმ შეამჩნია, რომ ხელები ოდნავ უკანკალებდა.

ჰარი ამბრიჯისკენ ზურგშექცევით დაჯდა და შეეცადა, ყურ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადღება არ მიექცია მაშინვე ატეხილი ბატის ფრთის წრიპინისთვის. ამბრიჯი გამალებით იწერდა რაღაცას თავის ბლოკნოტში.

– მაშ ასე, პოტერ, ჩვენ იმიტომ შევხვდით, რომ მოვილაპარაკოთ თქვენს პროფესიულ პერსპექტივაზე; დაგეხმაროთ იმის გადაწყვეტაში, რომელი საგნები უნდა შეარჩიოთ შესასწავლად მეექვსე და მეშვიდე კურსებზე, გაქვთ რაიმე იდეა იმასთან დაკავშირებით, თუ რა საქმიანობას მიჰყოფთ ხელს ჰოგვორტსის დამთავრების შემდეგ? – ჰკითხა მაკგონაგელმა ჰარის.

– ე-ე... – მხოლოდ ამოღმუვლება მოახერხა ჰარიმ, გულის გამაწვრილებელი წრიპინი ზურგს უკან ხელს უშლიდა აზრების მოკრებაში.

– აბა, – დააჩქარა მაკგონაგელმა.

– ვფიქრობდი... იქნებ ბნელი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი გავხდე-მეთქი, – წაიბურტყუნა ჰარიმ.

– საამისოდ უმაღლესი ქულებია საჭირო, – უთხრა მაკგონაგელმა და მაგიდაზე დახვავებული ქაღალდის გროვიდან პატარა, მუქი ბროშურა გამოაძვრინა, – აი, ხედავთ? ისინი არანაკლებ ხუთ ** კატა**-ს თხოულობენ და ყოველ მათგანში არანაკლებ „მოსალოდნელზე უფრო მაღალი“ შეფასება უნდა დაიმსახუროთ. ამას გარდა, უნდა გაიაროთ ფსიქოლოგიური მდგრადობისა და პროფესიული ვარგისიანობის აუცილებელი ტესტები ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში. ეს ძალიან ძნელია, პოტერ. ისინი მხოლოდ საუკეთესოებს იღებენ. თუ არ ვცდები, ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთოდ არავინ მიუღიათ.

ამბრიჯმა ძლივს გასაგონად ჩაახველა, თითქოს ამოწმებდა, რამდენად შეუმჩნევლად მოახერხებდა ამას. პროფესორ მაკგონაგელს ყურადღება არ მიუქცევია.

– ალბათ, გინდათ გაიგოთ, რომელი საგნები უნდა აირჩიოთ, – ოდნავ აუწია ხმას მაკგონაგელმა.

– დიახ, ალბათ, ბნელი ძალებისგან თავდაცვა.

– რა თქმა უნდა, – მტკიცედ თქვა მაკგონაგელმა, – მე ასევე გირჩევდით...

ამბრიჯმა ისევ ჩაახველა, ამჯერად უფრო გარკვევით. მაკგონაგელმა წამით მოჭუტა თვალები, მერე ისევ გაახილა და ისე განაგრძო, თითქოს არაფერი მომხდარაო:

– მე ასევე გირჩევდით ტრანსფიგურაციას, რადგან აურორებს ხშირად უხდებათ ტრანსფიგურაციით სარგებლობა. სხვათა შორის, პოტერ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩემს ჯგუფში მხოლოდ იმ უფროსკლასელებს ვიყვან, ვინც **ბუა**-ს გამოცდებზე „მოსალოდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნელზე მაღალი“ ან კიდევ უფრო უკეთესი შეფასება დაიმსახურეს. ახლა, ჩემი აზრით, მხოლოდ „დამაკმაყოფილებელს“ იმსახურებთ. ასე რომ, გამოცდებზე ბევრი ოფლის ღვრა მოგიწევთ, თუ ჩემთან აპირებთ მეცადინეობის გაგრძელებას. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა აირჩიოთ შელოცვები, – ეს ყოველთვის გამოგადგებათ, და შხამ-წამლები. დიახ, პოტერ, შხამ-წამლები, – გაიმეორა მაკგონაგელმა და ღიმილისმაგვარმა გადაურბინა სახეზე, – თითოეული აურორი კარგად უნდა ერკვეოდეს შხამებსა და მის საწინააღმდეგო წამლებში. გაითვალისწინეთ, რომ პროფესორი სნეიპი კატეგორიულ უარს ამბობს მოსწავლეებზე, რომლებმაც **ბუა**-ს გამოცდებზე „შესანიშნავი“ არ მიიღეს, ამიტომ...

პროფესორმა ამბრიჯმა წინა ორზე უფრო ხმამაღლა ჩაახველა.

– ნება მომეცით, ხველების წამალი შემოგთავაზოთ, დოლორეს, – ისე თქვა მაკგონაგელმა, ამბრიჯისკენ არც გაუხედავს.

– არა, არა, არ არის საჭირო, გმადლობთ, – თქვა ამბრიჯმა თავისი ჩვეული გაპრანჭული ჩაცინებით, რაზეც ჰარის ყოველთვის აჟრიალებდა, – მე მხოლოდ მინდოდა მეკითხა, შეიძლება თუ არა, თქვენს საუბარს ერთი პატარა შენიშვნა ჩავურთო, მინერვა.

– როგორც ჩანს, უფლება არა მაქვს უარი გითხრათ, – კბილებში გამოსცრა მაკგონაგელმა.

– მხოლოდ და მხოლოდ ის მაინტერესებს, საკმარისი მონაცემები აქვს თუ არა პოტერს, რომ აურორი გახდეს, – ტკბილი ხმით გაიჟღურტულა ამბრიჯმა.

– აჰ, რას ბრძანებთ! – თქვა მაკგონაგელმა, – მაშ ასე, პოტერ, – ისე განაგრძო, თითქოს არც არავის შეუწყვეტინებია, – თუ თქვენი განზრახვა სერიოზულია, გირჩევთ, შეავსოთ თქვენი ცოდნა შხამ-წამლებსა და ტრანსფიგურაციაში. ვხედავ, რომ ბოლო ორ წელიწადს პროფესორი ფლიტვიკი ძირითადად „დამაკმაყოფილებელსა“ და „მოსალოდნელზე მაღალს“ გიწერთ. მოკლედ, შელოცვებში, ასე თუ ისე, ყველაფერი რიგზეა. რაც შეეხება ბნელი ძალებისგან თავდაცვას, თქვენი შეფასებები ყოველთვის საკმაოდ მაღალი იყო. პროფესორი ლუპინი იმასაც კი ამბობდა... იქნებ მაინც დაგელიათ ხველების მიქსტურა, დოლორეს?

– არა, არა, გმადლობთ, მინერვა, – თქვა ამბრიჯმა, რომელმაც ის-ის იყო ისევ ხმამაღლა ჩაახველა, – მაგრამ მე ერთი რამ მაშფოთებს: მიიღეთ თუ არა უკანასკნელი ნიშნები, რაც ჰარიმ ჩემს საგანში დაიმსახურა? დარწმუნებული ვარ, რომ გადმოგეცით.

– თქვენ ამას გულისხმობთ? – ზიზღით თქვა მაკგონაგელმა და ჰარის პირადი საქმიდან ვარდისფერი პერგამენტის ფურცელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოაძრო. დახედა, წარბები ოდნავ ასწია და ისევ საქაღალდეში შეინახა, კომენტარისგან კი თავი შეიკავა.

– მაშ ასე, პოტერ, როგორც უკვე ვთქვი, პროფესორი ლუპინი ამბობდა, რომ თქვენ ამ სფეროში საოცარი ნიჭით ხართ დაჯილდოებული, აურორისთვის კი, ბუნებრივია...

– თქვენ ჩემი ნაწერი ვერ გაარჩიეთ, მინერვა? – იკითხა ამბრიჯმა დაშაქრული ტონით, ოღონდ ამჯერად ჩახველება დაავიწყდა.

– ცხადია, გავარჩიე, – კბილებში ძლივს გამოსცრა მაკგონაგელმა.

– მაშინ, ვერ გამიგია... რატომ უნდა ჩავუსახოთ პოტერს ცრუ იმედები, თუ...

– ცრუ იმედი? – გაიმეორა მაკგონაგელმა, თან ისევ თვალს არიდებდა ამბრიჯს, – პოტერმა ბნელ ძალებთან ბრძოლის ყველა საკონტროლო სამუშაოში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა...

– ძალიან მეუხერხულება, არ დაგეთანხმოთ, მინერვა, მაგრამ, როგორც ჩემი ბარათიდან ჩანს, ჩემს გაკვეთილებზე ჰარიმ ცოდნის ძალიან დაბალი დონე გამოამჟღავნა...

– მაშინ, მე უფრო გასაგებად ვიტყვი, – განაცხადა მაკგონაგელმა, ბოლოს და ბოლოს, შებრუნდა და თვალი თვალში გაუყარა ამბრიჯს, – პოტერმა ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში უმაღლესი შეფასება მიიღო ყველა მასწავლებელთან, რომელთა კომპეტენტურობაც ეჭვს არ იწვევს.

ღიმილი უცებ გაქრა ამბრიჯის სახიდან. სკამის ზურგზე გადაწვა, თავის ბლოკნოტში ფურცელი გადაშალა და ისეთი სისწრაფით ჩააწიკწიკა, რომ თვალის გუგები აქეთ-იქით დაუხტოდა. პროფესორი მაკგონაგელი ისევ ჰარისკენ შებრუნდა. მრისხანებისგან თხელი ნესტოები უთრთოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

– შეკითხვები გაქვთ, პოტერ?

– დიახ, – მიუგო ჰარიმ, – რა სახის ტესტებს გვთავაზობს სამინისტრო, თუ პრეტენდენტს საკმაოდ მაღალი შეფასებები აქვს **ᲙᲐᲢᲐ**-ში?

– თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ შეგიძლიათ, წინააღმდეგობა გაუწიოთ ზეწოლას და ასე შემდეგ, – აუხსნა მაკგონაგელმა, – უჩვენოთ გამძლეობა და ჟინი, რადგან აურორის მომზადება კიდევ სამ წელს გრძელდება; ამასთან ერთად, პრაქტიკული თავდაცვის კარგი ჩვევებია საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ გულმოდგინედ უნდა იშრომოთ სკოლის გარეთაც, ასე რომ, თუ მზად არა ხართ იმისთვის, რომ...

– ვფიქრობ, უნდა გაითვალისწინოთ, – ჩაერთო ამბრიჯი, ამჯერად ძალიან ცივი ხმით, – რომ სამინისტრო დაინტერესდება იმათი წარსულით, ვისაც აურორობა უნდა. მე წარსულში მათ ნასამართლეობას ვგულისხმობ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ...თუ მზად არა ხართ იმისთვის, რომ ჰოგვორტსის დამთავრების შემდეგ ახალი გამოცდები ჩააბაროთ, ნამდვილად უკეთესი იქნება, მოძებნოთ სხვა...

– ამგვარად, ამ ბიჭს იმდენივე შანსი აქვს აურორად გახდომისა, რამდენიც დამბლდორს, ამ სკოლაში დაბრუნებისა.

– ესე იგი, საკმაოდ დიდი, – ცივად მიუგო მაკგონაგელმა.

– პოტერი სასამართლოს წინაშე წარდგა სამართლებრივი ბრალდებით, – ხმამაღლა თქვა ამბრიჯმა.

– და გამართლდა ყველა პუნქტში, – კიდევ უფრო ხმამაღლა თქვა მაკგონაგელმა.

პროფესორი ამბრიჯი ადგა. ისეთი დაბალი იყო, რომ ამან თითქმის ვერაფერი შეცვალა. მისი პრანჭია მანერები ცივ რისხვად გადაიქცა, რამაც მის ფართო, შეშუპებულ სახეს ავის მომასწავებელი გამომეტყველება შესძინა.

– პოტერს სულ მცირე შანსიც არა აქვს, აურორი გახდეს!

პროფესორი მაკგონაგელიც წამოდგა. მისი მხრიდან ეს უფრო შთამბეჭდავი ხერხი იყო: ახლა ის კოშკივით აღმართულიყო ამბრიჯის წინ. აღარ დააყოვნა და ძლიერი ხმით უთხრა ჰარის:

– პოტერ, მე მოგეხმარებით, რომ აურორი გახდეთ, თუნდაც ეს სულ უკანასკნელი იყოს, რის გაკეთებასაც მოვახერხებ! ღამღამობით გამეცადინებთ და ვიზრუნებ იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოთ!

– მაგიის მინისტრი არასოდეს მიიღებს სამუშაოდ ჰარი პოტერს! – გააფთრებულმა თქვა ამბრიჯმა.

– როცა პოტერს სამსახური დასჭირდება, მაგიის მინისტრის პოსტზე სულ იოლად შეიძლება, სხვა ვინმე აღმოჩნდეს! – იყვირა მაკგონაგელმა.

– აჰა! – იკივლა ამბრიჯმა და კოტიტა თითი მაკგონაგელისკენ გაიშვირა, – აი! აი, თურმე რა! რა თქმა უნდა! აი, თურმე რა გაწუხებთ, მაკგონაგელ! თქვენ გინდათ, რომ კორნელიუს ფაჯი ალბუს დამბლდორმა შეცვალოს! ფიქრობთ, რომ მაშინ ჩემი ადგილი თქვენ დაგრჩებათ, ასე არ არის? მინისტრის პირველ მოადგილეობასა და თან სკოლის დირექტორობაზე ოცნებობთ!

– თქვენ ბოდავთ! – უთხრა მაკგონაგელმა აუწერელი ზიზღით, – პოტერ, შეგიძლიათ, ჩვენი კონსულტაცია დასრულებულად ჩათვალოთ.

ჰარიმ ჩანთა მხარზე მოიგდო და სასწრაფოდ გაერიდა კაბინეტს, თან ცდილობდა ამბრიჯის მხარეს არ გაეხედა. დერეფანში ისევ ესმოდა, როგორ უყვიროდნენ ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამბრიჯს იმავე დღეს ჰქონდა ჩასატარებელი ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის გაკვეთილი. კლასში რომ შევიდა, ჯერ კიდევ ისე სუნთქავდა, თითქოს ახლახან გაირბინა ასი მეტრიო.

– იმედია, გონს მოეგე და მიხვდი, რომ არ ღირს ცეცხლთან თამაში, ჰარი, – წასჩურჩულა ჰერმიონმა, როგორც კი წიგნი ოცდამეთოთხმეტე თავზე გადაშალა, – დღეს ამბრიჯი რაღაც ვერ არის გუნებაზე!

დროდადრო ამბრიჯი მრისხანედ გამოხედავდა ხოლმე ჰარის. ის კი თავაუღებლივ დასცქეროდა „დაცვითი მაგიის თეორიას“ და ფიქრობდა და ფიქრობდა...

შეეცადა წარმოედგინა, რას იტყოდა პროფესორი მაკგონაგელი, თუ სულ რაღაც ორი საათის შემდეგ, რაც ის თავდებად დაუდგა, ჰარის ამბრიჯის კაბინეტში დაიჭერდნენ... ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, იმ იმედით დაბრუნდეს გრიფინდორის კოშკში, რომ ზაფხულის არდადეგებზე მოიხელთებს დროს და სირიუსს მაშინ გამოჰკითხავს ყველაფერს, რის მოწმეც საფიქრელას წყალობით გახდა... მაგრამ ამის გაფიქრებაზეც კი საშინელ სიმძიმეს გრძნობდა მუცელში... ესეც არ იყოს, ფრედმა და ჯორჯმა უკვე დაგეგმეს, როგორ გაიტყუონ ამბრიჯი, ჩანთაში კი თავის დროს ელოდება სირიუსის ნაჩუქარი ჯადოსნური დანა და მამისეული უჩინმაჩინის მოსასხამი.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – თუ დაიჭირეს...

– დამბლდორმა თავი გაწირა, რომ სკოლაში დარჩენილიყავი! – წიგნი აიფარა ჰერმიონმა და ისე წასჩურჩულა, რომ ამბრიჯს არ დაენახა, – და ეს ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ დღეს გაგაგდებენ!

ჰო, შეუძლია, შეცვალოს გეგმა და აღარ იფიქროს ოცი წლის წინ ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მამის მიერ ჩადენილ საქციელზე...

და უცბად გაახსენდა გრიფინდორის საერთო ოთახის ბუხარში სირიუსის ნათქვამი: „უფრო ნაკლებად ჰგავხარ მამაშენს, ვიდრე მეგონა, ჯეიმსს რისკი, შენგან განსხვავებით, არ აშინებდა.“

მაგრამ უნდა კი, რომ ჰგავდეს მამას?

– ჰარი, ნუ იზამ ამას! გთხოვ, ნუ იზამ! – სასოწარკვეთით ეხვეწებოდა ჰერმიონი გაკვეთილის შემდეგ.

ჰარის პასუხი არ გაუცია. თვითონაც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

რონმა, როგორც ჩანს, მტკიცედ გადაწყვიტა, თავისი აზრი არ გამოეთქვა. ამიტომ არაფერი ურჩია ჰარის, არც კი უყურებდა, მაგრამ როცა ჰერმიონმა კიდევ ერთხელ დააპირა რაღაცის თქმა, ჩუმად უთხრა:

– კარგი, რა, გაჩუმდი! თვითონ იცის თავისი საქმისა. როცა საკლასო ოთახიდან გამოვიდნენ, ჰარის გული გამალებით უცემდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დერეფნის შუაგულს რომ მიაღწია, შორეული ხმაური მოესმა, რაც იმას ადასტურებდა, რომ ტყუპები საქმეს შეუდგნენ. ყვირილი და გნიასი ექოდ ისმოდა სადღაც ზევიდან. სხვა ოთახებიდან გამოსული ბავშვები გასუსულები და შეშინებულები შესცქეროდნენ ჭერს...

საკლასო ოთახიდან ამბრიჯი გამოვარდა. იმდენად სწრაფად მიქროდა, რამდენადაც მოკლე ფეხები აძლევდნენ საშუალებას. გზადაგზა ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და იქით გაქანდა, საიდანაც ხმაური ისმოდა. და იმწამს ჰარი მიხვდა: ან ახლა, ან არასოდეს.

– ჰარი... გთხოვ... – დაიკნავლა ჰერმიონმა.

მაგრამ მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება. ჩანთის სახელური ჩაბლუჯა და სირბილით გაუყვა დერეფანს. თან გზადაგზა იცილებდა მოსწავლეებს, რომლებიც უკვე მოეგნენ გონს და ახლა აღმოსავლეთ ფლიგელისკენ მიიჩქაროდნენ.

დერეფანი, რომელშიც ამბრიჯის კაბინეტის კარი გამოდიოდა, ცარიელი იყო. კედელთან რაინდულ აბჯარს ამოეფარა. მუზარადი ჭრიალით შებრუნდა მისკენ. ჰარიმ ჩანთა გახსნა, სირიუსის დანა ამოიღო, უჩინმაჩინის მოსასხამში გაეხვა. მერე ნელა, ფრთხილად გამოძვრა თავშესაფრიდან და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ამბრიჯის კაბინეტს.

ჯადოსნური დანის პირი ღრიჭოში შეყო, ნელა ააცურა ჯერ ზევით, მერე ქვევით და უკანვე გამოაძრო. გაისმა ხმადაბალი ჩხაკუნი და კარი გაიღო. ჰარი კაბინეტში შეძვრა, სწრაფად მიხურა კარი და მიმოიხედა.

ოთახში ყველაფერი უძრავად იყო. მარტო საძაგელი კნუტები კოტრიალებდნენ ჩამორთმეულ ცოცხებს ზემოთ დაკიდებულ თეფშებზე.

ჰარიმ მოსასხამი გადაიძრო, ბუხართან მივიდა და რამდენიმე წამში იპოვა ის, რასაც ეძებდა – მკრთალად მოლაპლაპე ფლუ-ფხვნილის კოლოფი.

ბუხრის წინ მუხლებზე დადგა. ხელები უკანკალებდა. ადრე ეს არასოდეს გაეკეთებინა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ იცოდა, როგორ ემოქმედა. თავი პირდაფჩენილ ხვრელში შეყო, ერთი მუჭა ფხვნილი აიღო და ძირს კოხტად დაწყობილ შეშაზე დაყარა. კაშკაშა, ზურმუხტისფერი ალი ავარდა.

– გრიმოს მოედანი, თორმეტი! – თქვა ჰარიმ ხმამაღლა და გარკვევით.

ეს ერთ-ერთი ყველაზე უცნაური შეგრძნება იყო, რომელიც კი ოდესმე განეცადა. რა თქმა უნდა, ადრეც ემოგზაურა ფლუ-ფხვნილის საშუალებით, მაგრამ მაშინ ის მთლიანად მიფრინავდა ჯადოს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნურ ბუხრებში, რომლის ქსელი მთელ ქვეყანაში იყო გაბმული. ახლა მუხლებით ისევ ამბრიჯის კაბინეტის ცივ იატაკზე იდგა და მხოლოდ თავი მიქროდა სადღაც ზურმუხტისფერ ალში...

უცებ ფრენა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. ოდნავ ერეოდა გული და რაღაც მწვავედ წიწკნიდა, თითქოს თავზე მეტისმეტად თბილი ყურებიანი ქუდი ჩამოაცვესო. ჰარიმ თვალი გაახილა და აღმოაჩინა, რომ სამზარეულოს ბუხრიდან გრძელ ხის მაგიდას შეჰყურებს. იქ კი პერგამენტის გრაგნილის კითხვით გართული კაცი ზის.

– სირიუს!

კაცი ადგილზე შეხტა და მიმოიხედა. ეს სირიუსი კი არა, ლუპინი იყო.

– ჰარი! – წამოიძახა გაოცებულმა, – აქ საიდან გაჩნდი... რა მოხდა, ყველაფერი რიგზეა?

– დიახ, უბრალოდ მინდოდა... უფრო სწორად, მე... რაღაცაზე უნდა დაველაპარაკო სირიუსს, – უთხრა ჰარიმ.

– ახლავე დავუძახებ, – შეცბუნებული ლუპინმა წამოდგა, – მგონი ზევითაა, კრეჩერს ეძებს. ეტყობა, ისევ სხვენში დაიმალა.

თქვა და სამზარეულოდან გავიდა. ახლა ჰარის ისღა დარჩენოდა, მაგიდისა და სკამების ფეხებისთვის ეცქირა. გაიფიქრა, რატომ ერთხელაც არ გვითხრა სირიუსმა, რა უხერხულია ბუხარში დანთებული ცეცხლიდან ლაპარაკიო. მუხლები დაუბუჟდა და უკვე სტკიოდა ქვის იატაკზე დგომისგან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლუპინი დაბრუნდა, უკან ფეხდაფეხ მოჰყვა სირიუსი.

– რა მოხდა? – აღელვებულმა იკითხა, გრძელი შავი თმა თვალებიდან გადაიყარა და ბუხართან იატაკზე დაჯდა. ლუპინმაც მუხლებზე დაიჩოქა, სახეზე შეშფოთება ეწერა, – ყველაფერი რიგზეა? დახმარება ხომ არ გჭირდება?

– არა, მე არაფერი... უბრალოდ, მინდოდა, დაგლაპარაკებოდით... მამაჩემზე.

სირიუსმა და ლუპინმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ ჰარის მორცხვობისა და დროის გაჭიანურებისთვის არ ეცალა. მუხლების ტკივილი სულ უფრო უძლიერდებოდა, თანაც, ჯორჯის მიერ მისთვის გამოყოფილი ოცი წუთიდან, ალბათ, ხუთი უკვე გავიდა. და ჰარიმ მაშინვე დაიწყო იმის მოყოლა, თუ რა ნახა საფიქრელაში.

როცა დაამთავრა, სირიუსი და ლუპინი ერთხანს ჩუმად იყვნენ. მერე ლუპინმა ხმადაბლა თქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე მკაცრად არ განვსჯიდი მამაშენს იმის გამო, რაც ნახე, ჰარი. ის ხომ მხოლოდ თხუთმეტი წლისა იყო...

– მეც თხუთმეტისა ვარ! – აენთო ჰარი.

– ყური მიგდე, ჰარი, – მშვიდად დაიწყო სირიუსმა, – ჯეიმსმა და სნეიპმა პირველი შეხვედრისთანავე შეიძულეს ერთმანეთი. ხდება ხოლმე ასე. შენ ხომ შეგიძლია, გაიგო! ჯეიმსს ჰქონდა ყველაფერი, რაც ასე ძალიან უნდოდა სნეიპს: ის უყვარდათ მეგობრებს, შესანიშნავად თამაშობდა ქვიდიჩს – როგორ გითხრა, ყველაფერი ეხერხებოდა. სნეიპი კი ერთი უნდილი, უცნაური ვინმე იყო, ყურებამდე ჩაეფლო ბნელი ძალების შესწავლაში, ჯეიმსს კი – რაც უნდა იფიქრო მასზე, ჰარი, – ყოველთვის სძულდა ბოროტი ჯადოქრები.

– ჰო, მაგრამ ჩემ თვალწინ თავს დაესხა სნეიპს სრულიად უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ... მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მოწყენილი იყავი, – მობოდიშებასავით დაასრულა.

– მეც ბევრით ვერაფრით დავიტრაბახებ, – სწრაფად უპასუხა სირიუსმა.

ლუპინმა ცერად გახედა ჰარის და წყნარად უთხრა:

– მისმინე, ჰარი. ერთი რამ აუცილებლად უნდა გაიგო: სკოლაში მამაშენი და სირიუსი ყოველთვის და ყველაფერში საუკეთესოები იყვნენ. ძალიან ბევრს ისე უყვარდა ორივე, სულში ჩაიძვრენდნენ. და თუ ხანდახან ეს თავბრუს ახვევდათ...

– შენ გინდა თქვა, რომ თუ დროდადრო გატუტუცებული მეტიჩრებივით ვიქცეოდით, – ჩაურთო სირიუსმა.

ლუპინს გაეღიმა.

– ერთთავად თმას იჩეჩავდა, – გულისტკივილით დაამატა ჰარიმ.

სირიუსმა და ლუპინმა გაიცინეს.

– სულ დამავიწყდა... – სინაზე გაერია ხმაში სირიუსს.

– სნიჩითაც მაიმუნობდა? – ხარბად იკითხა ლუპინმა.

– ჰო, – უპასუხა ჰარიმ და გაკვირვებული მიაჩერდა ამ მოგონებებისგან სახეგაბრწყინებულ სირიუსსა და ლუპინს, – მე კი... მე ცოტა იდიოტურად მომეჩვენა.

– რა თქმა უნდა, იდიოტივით გამოიყურებოდა! მაშინ ჩვენ ყველანი იდიოტები ვიყავით! – დაუდასტურა სირიუსმა, მერე ლუპინს შეხედა და ალალად დაამატა: – თუმცა, მთვარეულას ეს ნაკლებად ეხება.

ლუპინმა თავი გადააქნია.

– ერთხელ მაინც მითქვამს თქვენთვის, სნეიპს შეეშვით-მეთქი? ვითომ ერთხელ მაინც მეყო იმის გამბედაობა, მეთქვა, მეტისმეტი მოგდით-მეთქი? – იკითხა ლუპინმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულერთია, ზოგჯერ გვაიძულებდი, საკუთარი თავისა შეგვრცხვენოდა... ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა... – თქვა სირიუსმა.

– და კიდევ... – ჯიუტად განაგრძო ჰარიმ, გადაწყვეტილი ჰქონდა, ბარემ ყველაფერი ეთქვა, რაც გულში ჰქონდა, – ერთთავად ტბის პირას თავშეყრილი გოგონებისკენ იყურებოდა – იმედი ჰქონდა, რომ ისინიც უყურებდნენ!

– ჰო, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვირივით იქცეოდა, თუ ლილი სადმე ახლომახლო ეგულებოდა! – მხრები აიჩეჩა სირიუსმა, – საკმარისი იყო თვალი მოეკრა, რომ მაშინვე მანჭვა-გრეხას იწყებდა.

– მერედა, რატომ გაჰყვა ცოლად? – იკითხა ჰარიმ და ძალიან უბედურად იგრძნო თავი, – ლილის ხომ სძულდა!

– ვინ მოგახსენა?! – შეედავა სირიუსი.

– მეშვიდე კურსზე მასთან ერთად დასეირნობდა, – თქვა ლუპინმა.

– მას შემდეგ, რაც ჯეიმსი ცოტა დასერიოზულდა, – დაამატა სირიუსმა.

– როცა თავი ანება აყალმაყალის ატეხას არაფრის გამო, – განაგრძო ლუპინმა.

– სნეიპსაც? – ჰკითხა ჰარიმ.

– როგორ გითხრა, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ლუპინმა, – სნეიპი განსაკუთრებული შემთხვევაა... ის ხომ არასოდეს უშვებდა ხელიდან შესაძლებლობას, რომელიმე შელოცვა ესროლა ჯეიმსისთვის. შენ ხომ ვერ მოსთხოვდი მამაშენს, მორჩილად გადაეტანა ეს ყველაფერი!

– და დედა მშვიდად ეგუებოდა ამას?

– სიმართლე გითხრა, მაინცდამაინც ბევრი რამ არც იცოდა, – აუხსნა ლუპინმა, – ალბათ ხვდები, რომ ჯეიმსი არასოდეს ეპატიჟებოდა სნეიპს პაემანზე ლილისთან ერთად და არც აჯადოებდა მას ლილის თანდასწრებით...

სირიუსი მოიღუშა, რადგან დაინახა, რომ ჰარი ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერში ბოლომდე გარკვეული და ერთხელ კიდევ სცადა რაღაცის ახსნა:

– მისმინე, მე არასოდეს მყოლია მამაშენზე უკეთესი მეგობარი. ის კარგი ადამიანი იყო. თხუთმეტი წლის ასაკში ყველანი იდიოტები ვიყავით, მაგრამ მამაშენი გაიზარდა და დასერიოზულდა.

– კარგი, უბრალოდ, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე სნეიპი შემეცოდებოდა,– თქვა ჰარიმ.

– ამ გახსენებაზე, – ლუპინს წარბებს შორის ვიწრო ნაპრალი გაუჩნდა, – შენ ალბათ გვარიანად მოგხვდა სნეიპისგან, როცა შეიტყო, რომ საფიქრელაში ჩაუძვერი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კაბინეტიდან გამომიძახა და მითხრა, რომ აღარასოდეს მამ-ეცადინებს ოკლუმენციაში, – გულგრილად თქვა ჰარიმ, – თითქოს ძალიან მინდოდეს...

– რა?! – ისე იყვირა სირიუსმა, რომ ჰარი შიშისგან შეხტა და პირი ჭვარტლით გამოევსო.

– ამას სერიოზულად ამბობ, ჰარი? – იკითხა ლუპინმა, – აღარ გიტარებს გაკვეთილებს?

– არა, – თავი გააქნია ასეთი მკვეთრი რეაქციით გაკვირვებულმა ჰარიმ, – მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ფეხებზე მკიდია, მართალი გითხრათ, დავისვე...

– თქვენთან წამოვალ და სნეიპს მოველაპარაკები, – სწრაფად შეაწყვეტინა სირიუსმა და ის იყო, წამოდგომა დააპირა კიდეც, რომ ლუპინმა გააჩერა.

– შენ კი არა, მე დაველაპარაკები სნეიპს! მაგრამ, ჰარი, მანამდე ჯერ შენ თვითონ უნდა მიხვიდე სნეიპთან და უთხრა, რომ განაახლოს გაკვეთილები. უფლება არა აქვს, შეწყვიტოს მეცადინეობა და თუ დამბლდორმა გაიგო...

– მე ვერ ვეტყვი, მომკლავს! – აღშფოთებით თქვა ჰარიმ, – თქვენ არ გინახავთ, როგორი სახე ჰქონდა, როცა საფიქრელადან ამომა-თრია!

– ოკლუმენციის გაკვეთილები უნდა გაგრძელდეს, ჰარი, – მკა-ცრად უთხრა ლუპინმა, – ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია. გესმის? არაფერი!

– კარგი, კარგი, – თქვა საბოლოოდ დაბნეულმა და განაწყენებ-ულმა ჰარიმ, – შევეცდები... შევეცდები, ვუთხრა რამე... ოღონდ არა...

გაჩუმდა, რადგან შორიდან ნაბიჯების ხმა მოისმა.

– კრეჩერი ჩამოდის?

– არა, – მიიხედ-მოიხედა სირიუსმა, – ეს, ალბათ, შენი მხრიდანაა, ჰარი.

ჰარის გულმა რეჩხი უყო.

– წავედი! – საჩქაროდ წამოიძახა და სირიუსის საგვარეულო სახლის ბუხრიდან უკანვე გაყო თავი. ორიოდე წამს ყველაფერი ბზრიალებდა, მერე თავბრუსხვევამ გაუარა და აღმოაჩინა, რომ ისევ მუხლებზე იდგა ამბრიჯის ბუხრის წინ და უყურებდა, როგორ ციმციმებდა ზურმუხტისფერი ალის ენები.

– ჩქარა, ჩქარა! – ხმაჩახლეჩილი ბუტბუტებდა ვილაც ზედ კაბი-ნეტის კართან, – აჰა, დაკეტვა დავიწყებია...

ჰარი უჩინმაჩინის წამოსასხამს ეცა და ძლივს მოასწრო შემოცმა. კაბინეტში ფილჩი შემოვარდა. საოცრად აღტაცებული იყო. ციებია-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნივით დუდუნებდა ცხვირში. ოთახი გადაკვეთა, ამბრიჯის მაგიდის ერთ-ერთი უჯრა გამოსწია და ქაღალდებში დაიწყო ქექვა.

– გაშოლტვის ნებართვა... გაშოლტვის ნებართვა... ბოლოს და ბოლოს, ჩავიგდებ ხელში... ავამღერებ ახლა მაგათ...

უჯრიდან პერგამენტის ნაგლეჯი ამოიღო, აკოცა და გულში ფურცელჩაკრული ისევ წაფრატუნდა გასასვლელისკენ.

ჰარი წამოხტა, მხარზე ჩანთა შეამოწმა, უჩინმაჩინის მოსასხამი საიმედოდ ჩამოიფარა, კარი გამოაღო და ფილჩს ფეხდაფეხ მიჰყვა.

ქვედა სართულზე ჩავიდა თუ არა, ჰარიმ იფიქრა, მოსასხამის გარეშეც შემიძლია გზის გაგრძელებაო. მოიხადა, ჩანთაში ჩატენა და დერეფანს გაუყვა. ჰოლიდან ხმაური და ყვირილი ისმოდა. მარმარილოს კიბე ჩაირბინა და დაინახა, რომ ქვევით ლამის მთელი სკოლა შეგროვილიყო.

სანახაობა, დაახლოებით, ისეთი იყო, როგორიც იმ დღეს, როცა ტრელოუნის აგდებდნენ. კედლების გასწვრივ მდგომ მოსწავლეებს უზარმაზარი წრე შეეკრათ (ჰარიმ შეამჩნია, რომ ზოგიერთი მათგანი მყრალი სითხით იყო მოთხვრილი). ბრბოში მასწავლებლები და მოჩვენებებიც იყვნენ. მეთვალყურეებში საინსპექციო რაზმის წევრები გამოირჩეოდნენ – ერთობ კმაყოფილები ჩანდნენ. ჭერქვეშ პივსი დასრიალებდა და ჰოლის შუაში მდგარ ტყუპ უისლებს დაჰყურებდა. აშკარა იყო, ფრედი და ჯორჯი, როგორც იქნა, მიიმწყვდიეს კუთხეში.

– მაშ ასე! – საზეიმოდ განაცხადა ამბრიჯმა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ჰარიმ, რომ ამბრიჯი მისგან სულ რამდენიმე საფეხურით ქვემოთ იდგა და სვავივით დასცქეროდა ტყუპებს, – მაშ ასე! თქვენ მიგაჩნიათ, რომ სკოლის დერეფნის ჭაობად გადაქცევა სასაცილოა?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასაცილოა, – ფრედმა უშიშრად გაუსწორა თვალი.

ფილჩმა მისწი-მოსწია ხალხი და ამბრიჯთან მივიდა. ბედნიერებისგან ლამის ტიროდა.

– მე დოკუმენტი მაქვს, დირექტორო, – ჩახლეჩილი ხმით თქვა და პერგამენტის ფურცელი ააფრიალა, რომელიც სულ ახლახან ჰარის თვალწინ ამოიღო ამბრიჯის მაგიდის უჯრიდან, – მე დოკუმენტი მაქვს, შოლტებიც მზად არის... ნება მომეცით დაუყოვნებლივ შევუდგე საქმეს...

– ძალიან კარგი, არგუს, – წაახალისა ამბრიჯმა, – თქვენ ორნი კი, – ფრედსა და ჯორჯს დახედა ზემოდან, – მალე გაიგებთ, რა მოელით წესრიგის დამრღვევებს ჩემს სკოლაში...

– იცით, რა? – შეაწყვეტინა ფრედმა, – ვშიშობ, რომ არაფერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოგივათ, – ძმას მიუბრუნდა: – ჯორჯ, მგონი, ჩვენ შემთხვევაში სასკოლო განათლების იდეამ ჭირი მოგვჭამა.

– ჰო, მეც ასეთივე გრძნობა მაქვს, – მხიარულად გამოეპასუხა ჯორჯი.

– დროა, ნამდვილ სამყაროში გამოვცადოთ თავი, შენ რას იტყვი? – ჰკითხა ფრედმა.

– თანახმა ვარ, – თქვა ჯორჯმა.

და სანამ ამბრიჯი სიტყვის თქმას მოასწრებდა, ტყუპებმა თავიანთი ჯადოსნური ჯოხები შემართეს და ერთად შესძახეს:

– აკციო, ცოცხები!

სადღაც შორს ხმამაღალი ტკაცანი გაისმა. ჰარიმ მარცხნივ გაიხედა და დროზე მოასწრო თავის დაღუნვა. ფრედისა და ჯორჯის ცოცხები თავიანთი პატრონებისკენ მოქროდნენ. ერთ-ერთ მათგანზე ისევ ქანაობდა რკინის კაუჭიანი მძიმე ჯაჭვი, რომლითაც ცოცხები იყო დაბმული. მარცხნივ შეუხვიეს, კიბეზე დაეშვნენ და მკვეთრად დაამუხრუჭეს ტყუპების წინ. ჯაჭვმა ხმამაღლა გაიჟღარუნა ქვით მოპირკეთებულ იატაკზე.

– იმედი მაქვს, აღარ შევხვდებით, – უთხრა ფრედმა პროფესორ ამბრიჯს და ცოცხზე ამხედრდა.

– თავს ნუ შეიწუხებთ წერილების მოწერით, – აჰყვა ჯორჯი და ისიც თავისას მოახტა.

ფრედმა რაღაცის მოლოდინით გაყუჩებულ მოსწავლეებს მოავლო თვალი.

– თუ ვინმეს მოუნდება, იყიდოს იმ ჭაობის მსგავსი, რომელიც ზევით არის წარმოდგენილი, უმორჩილესად გთხოვთ, გვეწვიოთ მრუდე ქუჩაზე, ნომერ ოთხმოცდაცამეტში, „უისლების ჯადოსნური ოინების“ მაღაზიაში, – ხმამაღლა თქვა, – ეს ჩვენი ახალი მისამართია!

– სპეციალური შეღავათებია ჰოგვორტსის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც შეგვპირდებიან, რომ ჩვენს პროდუქციას ამ ბებერი ვირთხის წინააღმდეგ გამოიყენებენ, – დაამატა ჯორჯმა და პროფესორ ამბრიჯზე მიუთითა.

– დაიჭირეთ! – იკივლა ამბრიჯმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. როცა საინსპექციო რაზმის წევრებმა ფრედისა და ჯორჯისკენ გაიწიეს, ისინი უკვე სამი მეტრის სიმაღლეზე დაფრინავდნენ. რკინის კაუჭი მრისხანედ ქანაობდა. ფრედმა ჰოლის მეორე მხარეს მათ გასწვრივ მოლივლივე პოლტერგეისტს გახედა.

– ჩვენი სახელით სეირი უჩვენე მაგას, პივს!

რაც ჰარის თავი ახსოვდა, პივსს ერთხელაც არ შეუსრულე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბია მოსწავლის თხოვნა, ამჯერად კი ეჟვნიანი შლაპა მოიხადა და სალუტის ნიშნად დაიქნია. ფრედმა და ჯორჯმა კი მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით ჰაერში ნახევარწრე შემოხაზეს და ღია კარიდან ჰორიზონტზე დაისის შესახვედრად გაფრინდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეათე

გრაუპი

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ისე ხშირად ყვებოდნენ ფრედისა და ჯორჯის გაქცევის ამბავს, რომ ჰარისთვის ცხადი გახდა: ეს ამბავი ჰოგვორტსის გადმოცემების ოქროს ფონდში შევიდოდა. ერთი კვირაც არ იყო გასული და ამ ამბის თვითმხილველებიც კი თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საკუთარი თვალით დაინახეს, როგორ დაეშვნენ ცოცხებზე ამხედრებული ტყუპები ამბრიჯისკენ, როგორ დააყარეს მას ნეხვის ბომბები და მხოლოდ ამის შემდეგ გაფრინდნენ კარიდან. ტყუპების წასვლის შემდეგ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ მათი საქციელი მისაბაძია. ჰარის ხშირად ესმოდა დაახლოებით ასეთი ფრაზა: „ნამდვილად გეუბნები, ზოგჯერ ძალიან მინდა, მოვახტე ცოცხს და რაც შეიძლება შორს მოვუსვა აქედან“; ანდა: „კიდევ ერთი ასეთი გაკვეთილი და მეც შევასრულებ „უისლების გამოსამშვიდობებელ“ ნომერს.“

ფრედმა და ჯორჯმა ყველაფერი იღონეს, რომ სკოლას დიდხანს ხსომებოდა მათი სახელები; ჯერ ერთი, არავისთვის აუხსნიათ, როგორ უნდა ამოეშროთ აღმოსავლეთ ფლიგელის მეექვსე სართულის დერეფანში წარმოქმნილი ჭაობი. ამბრიჯმა და ფილჩმა ათასნაირად სცადეს მისი დაშრობა, მაგრამ – უშედეგოდ. ბოლოს ჭაობი თოკებით შემოლობეს, ფილჩს კი დაევალა, მოსწავლეები საკლასო ოთახებში ბრტყელძირიანი ნავით გადაეყვანა ხოლმე, რასაც ის სიბრაზისგან კბილების კრაჭუნით ასრულებდა კიდეც. ჰარის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მაკგონაგელსა და ფლიტვიკს სულ იოლად შეეძლოთ ჭაობის გაქრობა, მაგრამ ახლაც, როგორც ტყუპების მიერ მოწყობილი ფეიერვერკის დროს, მხოლოდ შორიდან უცქეროდნენ ამბრიჯის ცოდვილობას.

ფრედისა და ჯორჯის „ქლინსვიპების“ წყალობით, ამბრიჯის კაბი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნეტის კარზე ორ ვეებერთელა, ცოცხის ფორმის ნახვრეტს დაელო პირი. ფილჩმა ძველი კარის ნაცვლად ახალი ჩამოკიდა, ჰარის „ელვა“ კი მიწისქვეშეთში გადაიტანა და, როგორც ამბობდნენ, ამბრიჯმა შეიარაღებული ტროლი დაუყენა მცველად. თუმცა, მისი საზრუნავი ამით არ დასრულებულა.

ფრედისა და ჯორჯის საქციელით ფრთაშესხმულმა მოსწავლეებმა ბრძოლა გააჩაღეს ჰოგვორტსის მთავარი ბუნტისთავის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. ვიღაცამ ახლად ჩამოკიდებულ კარშიც კი მოახერხა გაბანჯგლულდინგიანი ნიფლერის შეცურება. ნიფლერმა ამბრიჯის კაბინეტში ბრჭყვიალა საგნების ძებნისას მთელი ავეჯი გადაატრიალა, ხოლო, როცა ამბრიჯი შევიდა, ზედ შეახტა და შეეცადა, კოტიტა თითებზე წამოცმული ბეჭდები გამოელრღნა. ახლა ნეხვის ბომბებსა და მყრალ ბურთულებს ისე ხშირად ისროდნენ დერეფნებში, რომ მოდად იქცა გაკვეთილის შემდეგ თავბუშტუკის შელოცვის დადება – ეს ერთადერთი საშუალება იყო, სუფთა ჰაერი გესუნთქა, თუმცა ასე მოსიარულენი ერთობ ექსტრავაგანტურადაც გამოიყურებოდნენ, თითქოს თავზე წამოცმული აკვარიუმებით დასეირნობდნენ.

მათრახით შეიარაღებული ფილჩი დამნაშავეების დაჭერის იმედით ფეხის წვერებზე დაიპარებოდა დერეფნებში, მაგრამ მთელი სირთულე ის იყო, რომ ონავრების რიცხვი ძალიან გაიზარდა და ფილჩს ვერ გადაეწყვიტა, ჯერ საით გაქცეულიყო. საინსპექციო რაზმიც ცდილობდა, დახმარებოდა, მაგრამ ამ რაზმის წევრების თავს დროდადრო უცნაური ამბები ხდებოდა: სლიზერინელთა ქვიდიჩის გუნდის წევრი უორინგტონი კანის საშინელი დაავადებით საავადმყოფო ფლიგელში მოხვდა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს მთელ სხეულზე ბატიბუტი დააყარესო. მომდევნო დღეს პენსი პარკინსონმა გაკვეთილი გააცდინა, რადგან უეცრად თავზე პატარა რქები ამოუვიდა. ეს კი ყველაზე მეტად ჰერმიონს გაუხარდა.

ამასობაში ნათელი გახდა, რომ ჰოგვორტსის დატოვებამდე, ფრედსა და ჯორჯს საშატალოე საუზმის დიდი რაოდენობით გაყიდვაც მოესწროთ. შევიდოდა თუ არა ამბრიჯი საკლასო ოთახში, მოსწავლეებს პირღებინება და ციებ-ცხელება ეწყებოდათ, ზოგს გული მისდიოდა, ზოგსაც ორივე ნესტოდან სდიოდა სისხლი. ამბრიჯი სიბრაზისა და უძლურებისგან კიოდა და გამოუცნობი სიმპტომების წყაროს დადგენას ცდილობდა, მაგრამ ბავშვები ჯიუტად იმეორებდნენ, რომ „ამბრიჯიტი“ შეგვეყარაო. ამბრიჯმა დამატებით გაკვეთილებზე ზედიზედ ოთხი კლასიც კი დატოვა, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწია, იძულებული გახდა, უარი ეთქვა რეპრესიებზე და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაოფლიანებულ, გაფითრებულ და დასისხლიანებულ მოსწავლეებს ნება მისცა, ჯგუფ-ჯგუფად დაეტოვებინათ მისი გაკვეთილები.

ისე, საშატალოე საუზმის ბუნტიც კი ვერ მოვიდოდა იმასთან, რაც პივსმა, ქაოსისა და ოინის ამ განუმეორებელმა ოსტატმა ჩაიდინა. პოლტერგეისტმა ფრედის გამოსათხოვარი აღთქმა, როგორც ჩანს, ძალზე ახლოს მიიტანა გულთან – შეშლილი ხითხითით დაქროდა სკოლაში და მაგიდებს აბრუნებდა; ხან საკლასო დაფის უკნიდან გამოხტებოდა, იატაკზე ყრიდა ლარნაკებსა და ქანდაკებებს; მისის ნორისი ორჯერ ჩატენა რაინდის ცარიელ აბჯარში (ციხე-კოშკის გაცოფებულმა მეთვალყურემ ცოცხალი და უვნებელი, მაგრამ საშინლად აღრიალებული ამოათრია იქიდან); სათითაოდ ამტვრევდა ფარნებს და აქრობდა სანთლებს; ანთებული ჩირაღდნებით ჟონგლიორობდა დამფრთხალი მოსწავლეების თავზე; პერგამენტის დასტებს კი ეზოში, ანდა სულაც ცეცხლში ყრიდა, ბოლოს მეორე სართულზე ყველა პირსაბანის ონკანი გააღო და წყალდიდობაც კი მოაწყო; მაგრამ ამასაც არ დასჯერდა: მთელი ჩანთა ტარანტულები მოაგროვა და საუზმის წინ ჰოლში გაუშვა. ხოლო მაშინ, როცა სულის მოთქმა მოუნდებოდა, ამბრიჯს საათობით დასტრიალებდა თავს, ყველგან დასდევდა და როგორც კი ამბრიჯი პირს გააღებდა, სათაკილო ხმებს გამოსცემდა.

მომსახურე პერსონალიდან მხოლოდ ფილჩი ცდილობდა, დირექტორს დახმარებოდა. ფრედისა და ჯორჯის წასვლიდან ერთი კვირის თავზე ჰარიმ თავისი თვალით დაინახა, როგორ ჩაუარა პროფესორმა მაკგონაგელმა პივსს, რომელიც გულმოდგინედ ცდილობდა ბროლის ჭაღის ამოხრახნას და გადაუჩურჩულა: პირიქით დაატრიალეო.

მონტეგიუ ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს ტუალეტში დამწყვდევის შემდეგ. ისევ ერეოდა აზრები. სამშაბათ დილას სკოლის ეზოში მისი მშობლები გამოჩნდნენ. ძალიან გაბრაზებულები მიდიოდნენ ციხე-კოშკისკენ.

– იქნებ ჩვენც ჩავერიოთ? – შეწუხდა შელოცვების კლასში ფანჯრის მინაზე ლოყით მიყრდნობილი ჰერმიონი, რომელიც ბატონ და ქალბატონ მონტეგიუების დანახვას ცდილობდა, – ავუხსნათ, რა დაემართა. იქნებ ეს დაეხმაროს მადამ პომფრის მის განკურნებაში?

– კარგი ერთი, ისედაც მორჩება, – გულგრილად თქვა რონმა.

– არა უშავს, ამბრიჯს კიდევ ერთი თავსატეხი არ აწყენს, – კმაყოფილებით აღნიშნა ჰარიმ.

ბიჭებმა ერთდროულად მიუკაკუნეს ჯადოსნური ჯოხები ფინჯნებს, რომელთა მოჯადოებაც ევალებოდათ. ჰარის ფინჯანს ისეთი მოკლე ფეხები გამოება, მაგიდის ზედაპირსაც კი ვერ მისწვდნენ და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უაზროდ იკლაკნებოდნენ ჰაერში. რონის ფინჯანს კი პირიქით, ოთხი წვრილი და გრძელი ფეხი გამოება, ერთხანს შეიმაგრეს კიდეც ფინჯანი, მაგრამ მერე გადატყდნენ, ფინჯანი დავარდა და შუაზე გასკდა.

– რეპარო, – სწრაფად თქვა ჰერმიონმა, ჯოხი აიქნია და ფინჯანი ისევ გამთელდა, – ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ნუთუ მონტეგიუს სამუდამოდ დაუზიანდა ტვინი?

– რა ჩვენი საქმეა? – გაღიზიანდა რონი, თან უყურებდა, როგორ ცდილობდა მისი ფინჯანი წამოდგომას: მთვრალივით ქანაობდა, მუხლები უკანკალებდა, – აბა, რატომ აკლებდა გრიფინდორს ქულებს! თუ შესაცოდი არავინ გყავს, მე შემიცოდე, ჰერმიონ!

– შენ? – ჰკითხა ჰერმიონმა, მაგიდაზე მხიარულად მოხტუნავე ჩინური ფაიფურივით მოხატულ ფინჯანს სტაცა ხელი და ისევ წინ დაიდგა, – ვითომ რატომ უნდა შეგიცოდო?

– როცა დედაჩემის მორიგი წერილი შემოწმებას გაივლის, სერიოზული უსიამოვნება მელის, – ნაღვლიანად თქვა რონმა, თან თავის ფინჯანს მოცახცახე ფეხებზე დადგომაში შეეშველა, – არ გამიკვირდება, თუ ისევ ღრიალას გამომიგზავნის.

– მაგრამ...

– აი, ნახავ, ფრედისა და ჯორჯის გაქცევას მე დამაბრალებენ, – განაგრძო რონმა, – დედაჩემი იტყვის, რომ მე უნდა შემეჩერებინა – უნდა ჩავჭიდებოდი იმათ ცოცხებს და არ გამეშვა, ან კიდევ არ ვიცი, რა... აი, ნახე, მე დამადანაშაულებენ.

– რა უსამართლობაა, შენ რა შუაში ხარ?! დარწმუნებული ვარ, დედაშენი მსგავსს არაფერს იტყვის: შენს ძმებს თუ მართლა აქვთ საკუთარი შენობა მრუდე ქუჩაზე, მაშინ გამოდის, რომ დიდი ხნით ადრე დაუგეგმავთ ყველაფერი.

– ჰო, მართლა, ნეტავ როგორ ჩაიგდეს ხელში ეს შენობა? – იკითხა რონმა და ისე მაგრად მიუკაკუნა ჯოხი ფინჯანს, რომ ფინჯანი მაგიდაზე დაეცა და ოდნავღა ტოკავდა, – ეს ხომ არც ისე იოლია? მრუდე ქუჩაზე შენობის დაქირავება ძალიან ძვირია. დედა აუცილებლად შეეცდება იმის გარკვევას, როგორ იშოვეს ამდენი ფული.

– ეს მეც ვიფიქრე, – უპასუხა ჰერმიონმა და თავისი ფინჯანი ჰარის ფინჯნის გარშემო სახტუნაოდ გაუშვა. ჰარის ფინჯანი ჯერ კიდევ უაზროდ იქნევდა ჰაერში მოკლე სქელ ფეხებს, – ისიც კი გავიფიქრე, იქნებ მანდანგუსმა დაითანხმა, მოპარული ქვაბებით ევაჭრათ-მეთქი, ან კიდევ...

–არა! რა სისულელეა! – შეაწყვეტინა ჰარიმ.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებული? – ერთხმად ჰკითხეს რონმა და ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმიტომ, რომ... – ჰარი ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, რომ საიდუმლოს გამხელის დრო მოვიდა. რადგან ფრედისა და ჯორჯის საქციელში ეჭვი შეიტანეს, გაჩუმება უბრალოდ აღარ შეიძლებოდა, – ოქრო მე მივეცი შარშან, ივნისში – სამი ჯადოქრის ტურნირში მოგებული ჯილდო.

მოულოდნელობისგან ორივეს ენა ჩაუვარდა. ამ დროს ჰერმიონის ფინჯანმა მაგიდის კიდიდან ისკუპა, იატაკზე დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა.

– შეუძლებელია! – წამოიძახა ჰერმიონმა.

– არაფერიც არ არის შეუძლებელი! – გამომწვევად თქვა ჰარიმ, – და სულაც არ ვნანობ! მე ეს ფული არაფერში მჭირდებოდა, იმათ კი ჯადოსნური ნივთების მშვენიერი მაღაზია ექნებათ.

– აუ, რა კარგია! – წამოიძახა რონმა, – ესე იგი, მარტო შენ ხარ დამნაშავე და დედა მე ვერაფერს დამაბრალებს! წინააღმდეგი ხომ არ ხარ, რომ ვუთხრა?

– ჰო, ჯობია, რომ ვუთხრათ, – მოიღუშა ჰარი, – არ იფიქროს, რომ ბიჭები ნაქურდალი ქვაბებით ვაჭრობენ.

ჰერმიონს გაკვეთილის ბოლომდე აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ჰარი დარწმუნებული იყო, რომ მოთმინება დიდხანს არ ეყოფოდა. მართლაც, შესვენებაზე, როცა ციხე-კოშკიდან მაისის მზის ჯერ კიდევ სუსტ სხივებზე გასათბობად გავიდნენ, ჰერმიონმა გამგმირავი მზერა მიაპყრო მეგობარს და მის დასამოძღვრად მოემზადა. მაგრამ ჰარიმ ხმის ამოღება არ აცალა:

– თავს ნუ შეიწუხებ შეგონებებით, რაც მოხდა, მოხდა. ფრედმა და ჯორჯმა მიიღეს ფული და, როგორც ჩანს, მისი კარგა მოზრდილი ნაწილი უკვე დახარჯეს, ასე რომ, ფულს უკან ველარ დავიბრუნებ და არც ვაპირებ. ამიტომ ტყუილუბრალოდ ნუ გაირჯები, ჰერმიონ.

– არც ვაპირებ, ფრედზე და ჯორჯზე გელაპარაკო! – იწყინა ჰერმიონმა.

რონმა ეჭვით ჩაიცინა. ჰერმიონმა აგდებით შეხედა და გაბრაზებულმა განაგრძო:

– ჰო, შენ წარმოიდგინე, არ ვაპირებ! ჰარისთვის მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა, როდის ფიქრობს სნეიპთან მისვლას და ოკლუმენციის გაკვეთილების განახლებაზე მოლაპარაკებას!

ჰარის გულ-მუცელი გაეყინა. ერთი-ორი დღის წინ, მას შემდეგ, რაც ფრედისა და ჯორჯის გმირობის თემა ამოიწურა, რონსა და ჰერმიონს სირიუსის ამბების გაგება მოუნდათ. ჰარიმ თავდაპირველად დამალა სირიუსთან საუბრის ჭეშმარიტი მიზეზი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, პატიოსნად აღიარა, სირიუსმა ოკლუმენციის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაკვეთილების განახლება მირჩიაო. თუმცა, ეს აღიარება მერე სანანებელი გაუხდა: ჰერმიონი შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა, ჰარისთვის შეგონებებით გული არ გაეწყალებინა.

– და ნუ იტყუები, თითქოს აღარ ხედავდე კოშმარებს, – განაგრძო ჰერმიონმა, – რონმა მითხრა, რომ წუხელ ძილში ბუტბუტებდი!

ჰარიმ გაბრაზებით გახედა რონს, რომელიც, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი ჩანდა.

– სულ ცოტა წაიბუტბუტე, – დამნაშავესავით ამოილუღლუღა, – მარტო რაღაც ამის მსგავსი გავარჩიე: მიდი აბა, ცოტა კიდევო.

– დამესიზმრა, რომ ქვიდიჩს თამაშობდით, – ურცხვად იცრუა ჰარიმ, – გიყვიროდი, რომ ქუაფლი დაგეჭირა.

რონს ყურები აუწითლდა და ჰარიმ სამაგიეროს გადახდით სიამოვნება იგრძნო. რა თქმა უნდა, სულ სხვა რამ ესიზმრა. წუხელ ისევ საიდუმლოებების დეპარტამენტში იმოგზაურა. ჯერ მრგვალი ოთახი გაიარა, მერე – წიკწიკითა და მოცეკვავე ათინათებით სავსე ოთახი. შემდეგ ისევ თაროებით გაწყობილ ვეებერთელა დარბაზში აღმოჩნდა. თაროებზე მტვრიანი მინის ბურთულები ეწყო.

ჰარი პირდაპირ ოთხმოცდამეჩვიდმეტე რიგისკენ გაეშურა, მერე მარცხნივ შეუხვია და თაროების მწკრივს მიჰყვა... ალბათ მაშინ თუ წამოსცდა „კიდევ ცოტაც“... მაგრამ ბოლო რიგამდე მისვლა მაინც ვერ მოასწრო, ისე გამოფხიზლდა – ისევ თავის საწოლში იწვა და საწოლის ფარდას მისჩერებოდა.

– ნეტავ, შენი გონების დაცვას მაინც თუ ცდილობ? – მკაცრად ჰკითხა ჰერმიონმა, თან თვალებით ბურღავდა, – იყენებ ოკლუმენციას?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ჰარიმ, თან ცდილობდა, შეურაცხყოფილის ხმა ჰქონოდა, თუმცა, ჰერმიონის მზერას მაინც გაურბოდა. სინამდვილეში ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა განძი იმალებოდა მინის ბურთულებიან ოთახში. სწორედ ამიტომაც უნდოდა, რომ სიზმარი გაგრძელებულიყო.

მთავარი სიძნელე ის იყო, რომ **ბუა**-სთვის გაძლიერებული სამზადისის გამო საღამოობით თავი ისე ჰქონდა ხოლმე ინფორმაციით გამოტენილი, რომ დიდხანს იწვა თვალებდაჭყეტილი და დაძინებას კარგა ხანს ვერ ახერხებდა. ხოლო, როცა ჩაეძინებოდა, გადატვირთულ ტვინს მხოლოდ და მხოლოდ გამოცდებთან დაკავშირებული ამბები ესიზმრებოდა. გარდა ამისა, ეჭვობდა, რომ დერეფანში შავ კართან მიახლოებისთანავე გონების ნაწილი – სწორედ ის, რომელიც არცთუ იშვიათად ჰერმიონის ხმით ლაპარაკობდა – დანაშაულის გრძნობით იტანჯებოდა და სიზმრიდან გამოფხიზლებას მანამდე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აიძულებდა, ვიდრე თავისი მოგზაურობის მიზანს მიაღწევდა.

– იცი, თუ მონტეგიუ სლიზერინისა და ჰაფლეპაფის მატჩამდე ვერ მოვა გონს, ჩვენ თასის მოგების შანსი გვიჩნდება, – თქვა ყურებაწითლებულმა რონმა.

– ჰო, ალბათ, – თქვა სალაპარაკო თემის შეცვლით გახარებულმა ჰარიმ.

– იმას ვგულისხმობ, რომ ერთი მოვიგეთ და ერთიც წავაგეთ. თუ შემდეგ შაბათს ჰაფლეპაფი დაამარცხებს სლიზერინს...

– ჰო, ეგრეა, – ჰარის უკვე აღარ ესმოდა საუბრის შინაარსი და ველარ აცნობიერებდა, რას ეთანხმებოდა, – სწორედ ამ დროს ეზოში მათკენ დემონსტრაციულად ზურგშექცეულმა ჩო ჩენგმა გაიარა.

* * *

სეზონის დასკვნითი მატჩი გრიფინდორსა და რეივენქლოს შორის მაისის ბოლო კვირადღეს უნდა გამართულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰაფლეპაფელებმა სლიზერინის მინიმალური ანგარიშით დამარცხება შეძლეს, გრიფინდორელებს მაინც არ ჰქონდათ გამარჯვების იმედი წინა მატჩებში რონის საშინელი თამაშის გამო. თუმცა მას ამას არავინ ახსენებდა. თვითონ რონი კი ეტყობა, ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

– ადრინდელზე უარესად ხომ ვერ ვითამაშებ, – უთხრა ჰარისა და ჰერმიონს მატჩის დღეს, საუზმისას, – ესე იგი, დასაკარგიც არაფერი მაქვს!

– იცი, ჩემი აზრით, ახლა, როცა ფრედი და ჯორჯი აქ არ არიან, რონს უფრო გაუადვილდება თამაში. ძმებს მისი არასოდეს სჯეროდათ, – უთხრა ჰერმიონმა ჰარის მოგვიანებით, როცა აგზნებულ გულშემატკივრებთან ერთად მიდიოდნენ მინდორზე.

ლუნა ლავგუდი წამოეწიათ. თუ მხედველობა არ ატყუებდათ, შლაპაზე ნამდვილზე ნამდვილი, ცოცხალი არწივი ეჯდა, რომელიც დროდადრო ფრთებს იქნევდა.

– უიმე, სულ დამავიწყდა! – თქვა ჰერმიონმა, თან უყურებდა, როგორი უდარდელი სახით ჩაუარა ლუნამ სლიზერინელთა ჯგუფს, რომლებიც კინაღამ სიცილით დაიხოცნენ, – დღეს მგონი ჩოც თამაშობს, არა?

ჰარის ეს მშვენივრად ახსოვდა, მაგრამ მხოლოდ „ჰოსავით“ რაღაცა ჩაიბურტყუნა.

ჰარიმ და ჰერმიონმა ადგილები ტრიბუნის ბოლოსწინა რიგში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაიკავეს. მშვენიერი დარი იდგა. რონი უკეთესს ვერც ინატრებდა. ჰარის იმედი ჰქონდა, რომ დღეს მისი მეგობარი სლიზერინელებს დამცინავი ლექსების სიმღერის საბაბს არ მისცემდა.

კომენტატორის ჯიხური, როგორც ყოველთვის, ლი ჯორდანმა დაიკავა. სკოლიდან ტყუპების წასვლის შემდეგ ლის თავ-პირი ჩამოსტიროდა. როცა გუნდები მინდორზე გამოვიდნენ, უხალისოდ დაიწყო მოთამაშეთა ჩამოთვლა:

– ბრედლი, დევისი, ჩენგი...

ჰარიმ მინდორზე ჩო დაინახა, შავი თმა ოდნავ ეტალღებოდა ნიავზე. ჰარის კუჭი შეუფართხალდა. უკვე აღარ იცოდა, უნდოდა თუ არა მასთან ურთიერთობის გაგრძელება. ერთი რამ ცხადი იყო: ჩოსთან კამათი ყელში ამოუვიდა. მაშინაც კი, როცა ცოცხზე შესაჯდომად გამზადებული ჩო როჯერ დევისს გამოელაპარაკა, ჰარიმ მხოლოდ ეჭვიანობის ოდნავ შესამჩნევი ჩხვლეტა იგრძნო.

– მაშ ასე, მატჩი დაიწყო! – გამოაცხადა ლიმ, – ქუაფლს რეივენქლოელთა კაპიტანი, დევისი დაეუფლა... დაუსხლტა ჯონსონს, გაექცა ბელს, მერე სპინეტს... პირდაპირ კარისკენ მიემართება! სატყორცნელად ემზადება და... და... – ლიმ ხმამაღლა შეიკურთხა, – ანგარიში გაიხსნა!

ჰარიმ და ჰერმიონმა დანარჩენ გრიფინდორელებთან ერთად ამოიკვნესეს. და რა თქმა უნდა, მოპირდაპირე ტრიბუნაზე სლიზერინელებმა მაშინვე წამოიწყეს თავიანთი საზიზღარი სიმღერა:

„მისი წყალობით მოგება
გვაქვს უკვე განაღდებული."

– ჰარი, – გაისმა ვილაცის ჩახლეჩილი ხმა, – ჰერმიონ... ჰარიმ მიიხედა და სკამის ზურგებს შორის ჰაგრიდის ფართო, წვერიანი სახე დაინახა. ჰაგრიდი პირველ და მეორეკურსელებით გადაჭედილ რიგს მოარღვევდა. რატომღაც ორად იყო მოკაკული, თითქოს არ უნდოდა, რომ ვინმეს შეენიშნა, თუმცა, ეს მცდელობა წყლის ნაყვას ჰგავდა – დანარჩენებზე თითქმის ერთი მეტრით იყო მაღალი.

– ყური დამიგდეთ, – წაიჩურჩულა, – არ შეგიძლიათ, გამომყვეთ? ახლავე, სანამ ყველა თამაშს უყურებს.

– ე-ე... სულ ცოტას ვერ მოვიცდით, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰარიმ, – მატჩის დამთავრებამდე მაინც?

– ვერა, ვერა, ჰარი, ახლავე უნდა წამოხვიდეთ... სანამ ყველა სხვა მხარეს იყურება... გთხოვთ, წავიდეთ რა! – შეეხვეწა ჰაგრიდი.

ჰაგრიდს ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ორივე თვალი ჩალურჯე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა. სკოლაში დაბრუნების შემდეგ ჰარის ასე ახლოს ერთხელაც არ ენახა. ძალიან უბედურად გამოიყურებოდა.

– რა თქმა უნდა, – მაშინვე დათანხმდა, – წავედით.

ჰარი და ჰერმიონი უკმაყოფილო მაყურებლების ბუზღუნის თანხლებით გვერდულად გავიდნენ გასასვლელში.

– საოცრად მადლიერი ვარ თქვენი, მეგობრებო, სრულ სიმართლეს გეუბნებით, – თქვა ჰაგრიდმა, როცა კიბეზე ჩადიოდნენ. თან დროდადრო შეშფოთებული იყურებოდა აქეთიქით, – იმედია, ვერ შეამჩნიეს, რომ წამოვედით.

– ამბრიჯზე ამბობ? – ჰკითხა ჰარიმ, – ვერაფერს მიხვდება. ვერ დაინახე, როგორ მოისვა გვერდით მთელი საინსპექციო რაზმი? ეტყობა, სკანდალს ერიდება.

– ცოტა არეულ-დარეულობა არ აწყენდა, – თქვა ჰაგრიდმა, შეჩერდა და ტრიბუნის კიდიდან გაიხედა, ვინმე ხომ არ იყო მდელოზე.

– რა მოხდა, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰერმიონმა და შეშფოთებულმა ახედა. უკვე აკრძალული ტყის პირისკენ მიიჩქაროდნენ.

– ცოტა მოიცა, მალე ნახავ, – თქვა ჰაგრიდმა და ისევ გახედა სტადიონს, რადგან უცებ გულშემატკივართა ღრიალი მოისმა, – ოჰო! ეტყობა, ვიღაცამ გოლი გაიტანა.

– ალბათ რეივენქლომ, – მოიღუშა ჰარი.

– აბა, აბა, – როგორღაც გაფანტულად გამოეპასუხა ჰაგრიდი, – ძალიანაც კარგი...

სწრაფად მიდიოდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქეთ-იქით იცქირებოდა, ჰარი და ჰერმიონი სირბილით მისდევდნენ და მაინც ვერ ეწეოდნენ. ჰერმიონმა, ჩვეულებისამებრ, ქოხისაკენ გაუხვია. მაგრამ ჰაგრიდმა პირდაპირ ტყის პირისკენ განაგრძო გზა, ფოთლების ჩრდილში ხეზე მიყუდებული არბალეტი აიღო და ბავშვებს მიუბრუნდა:

– იქით უნდა წავიდეთ, – ჭალისკენ გაიქნია თავი.

– ტყეში? – შეფიქრიანდა ჰერმიონი.

– ჰო, – თქვა ჰაგრიდმა, – წავედით, სანამ გამოგვიჭირეს!

ჰარიმ და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს და ჰაგრიდს ტყეში შეჰყვნენ. ჰაგრიდს არბალეტი მხარზე მოეგდო და მომწვანო ბინდბუნდში მიალაჯებდა. ჰარი და ჰერმიონი სირბილით დაეწივნენ.

– რად გინდა იარაღი, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰარიმ.

– ყოველი შემთხვევისთვის, – უზარმაზარი მხრები აიჩეჩა ჰაგრიდმა.

– როცა თესტრალების სანახავად მიგყავდით, არბალეტი არ წამოგიღია, – მორიდებით შეახსენა ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშინ ასე ღრმად არ შევსულვართ, თანაც ეს მანამდე იყო, სანამ ფლორენცია წავიდოდა ტყიდან, – მიუგო ჰაგრიდმა.

– რა შუაშია ფლორენცია? – იკითხა ჰერმიონმა.

– იმ შუაშია, რო სხვა კენტავრები მაგრად გაბრაზდნენ ჩემზე, – ხმადაბლა თქვა ჰაგრიდმა და აქეთ-იქით მიმოიხედა, – არც ადრე იყვნენ მაინცდამაინც მეგობრულად განწყობილები, მაგრამ ავად თუ კარგად ერთმანეთს ვიტანდით. ისინი, რა თქმა უნდა, თავისთვის ცხოვრობდნენ, მაგრამ თუ რამე მქონდა სათქმელი, ყოველთვის მოდიოდნენ და მისმენდნენ. ახლა კი აღარ მოდიან.

ღრმად ამოიოხრა.

– ფლორენციაზე კი იმიტომ გაბრაზდნენ, რომ დამბლდორთან მუშაობაზე დათანხმდა, – განმარტა ჰარიმ და ყურადღებით დააკვირდა ჰაგრიდის სახეს.

– ჰო, ეგრე იყო, – დაუდასტურა ჰაგრიდმა, – კი არ გაბრაზდნენ, გამხეცდნენ. მე რომ არ ჩავრეულიყავი, სასიკვდილოდ ჩაწიხლავდნენ...

– თავს დაესხნენ? – შეძრწუნდა ჰერმიონი.

– ჰო, აბა, – ჩახლეჩილი ხმით უპასუხა ჰაგრიდმა, თან ძირს დაშვებულ ტოტებს ლაწალუწი აუტეხა, – თითქმის ნახევარი რემა. ყველა ცდილობდა...

– მერე, შენ შეაჩერე? – ჰარი გაოცებული და აღტაცებული იყო, – მარტომ?

– ჰო, აბა რა, სად შემეძლო, დავმდგარიყავი და მეცქირა, როგორ კლავდნენ?! – თქვა ჰაგრიდმა, – კიდევ კარგი, რო იქ ვიყავი... სხვათა შორის, ფლორენციას ეს მაინც უნდა გახსენებოდა და ჩემთვის სულელური გაფრთხილებები არ შემოეთვალა! – დაამატა თვალებანთებულმა ჰაგრიდმა.

ჰარიმ და ჰერმიონმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ განაწყენებულმა ჰაგრიდმა აღარ განაგრძო ამაზე ლაპარაკი.

– ასეა თუ ისე, ახლა კენტავრები კბილებს ჩემზე ილესავენ. უბედურება ის არის, რომ ტყეში მათ აზრს ანგარიშს უწევენ... ისინი ხომ აქ ყველაზე ჭკვიანები არიან.

– ახლა რა, იმათთან მიგყავართ, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰერმიონმა, – კენტავრებთან?

– არა, არა, – თავი გააქნია ჰაგრიდმა, – ისინი აქ არაფერ შუაში არიან. უფრო სწორად, შეუძლიათ, საქმე გამირთულონ, ეს ხო... მაგრამ მალე ყველაფერს შენი თვალით ნახავ.

ამ იდუმალი დაპირების შემდეგ გაჩუმდა და ფეხს აუჩქარა. მეგობრები აქამდეც ძლივს ეწეოდნენ, ახლა უკვე დიდი ჯაფა დაადგათ, რომ სულ არ ჩამორჩენოდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბილიკი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. ისეთი ხშირი ტყე იყო, ფოთლებში დღის სინათლე ძლივს აღწევდა. მალე ის მინდორიც უკან ჩამოიტოვეს, სადაც ჰაგრიდმა ადრე თესტრალები უჩვენათ, მაგრამ ჰარი მანამდე არ აფორიაქებულა, სანამ ჰაგრიდმა პირდაპირ ჭალისკენ არ გადაუხვია. ეტყობა, აკრძალული ტყის შუაგულისკენ ეჭირა გეზი.

– ჰაგრიდ! – ჰარი ძლივს მიიკვლევდა გზას ეკლიან ბარდებში, – სად მივდივართ?

– ცოტაც მოითმინე, – ჰაგრიდი არ შემობრუნებულა, ისე უპასუხა, – მოდი, მოდი... აქ ერთმანეთთან ძალიან ახლოს უნდა ვიაროთ.

ჰაგრიდის გვერდით სიარული არც ისე იოლი იყო, განსაკუთრებით წვრილი ტოტებისა და ეკლიანი ბარდების გამო. მეტყევე მარჯვედ უქცევდა გვერდს. ჰარი და ჰერმიონი კი ისე იხლართებოდნენ შიგ, რომ რამდენიმე წუთს ანდომებდნენ მანტიების გამოხსნას. მალე ჰარის ხელ-ფეხი გვარიანად დაეკაწრა. უკვე ისეთ უღრანში იყვნენ, რომ ჰარი ბინდბუნდში ჰაგრიდის ვეებერთელა ლანდსღა არჩევდა. ის ისევ წინ მიაბოტებდა. ტყის დაგუბებულ სიჩუმეში შემზარავად ისმოდა მცირე ჩქამიც კი. ხმელი ტოტები ხმამაღალი ტკაცანით იმტვრეოდა, ბუჩქებში სრულიად უწყინარი ჩიტის გაფართხალებისას კი ჰარი შიშით მისჩერებოდა ჩამუქებულ არემარეს. ადრე ასე ღრმად ტყეში არასდროს შესულა, რომ არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეხვედროდა, ამიტომ ეს უსიცოცხლო მდუმარება ჰარის ავის მომასწავებლად ეჩვენა.

– შეიძლება ჯოხები ავანთოთ, ჰაგრიდ? – ჩუმად იკითხა ჰერმიონმა.

– შეიძლება, – უთხრა ჰაგრიდმა, – ისე...

უცებ შეჩერდა და შემობრუნდა. ჰერმიონი დაეჯახა და კინაღამ წაიქცა. ჰარიმ დროზე შეაშველა ხელი.

– ჯობს, წუთით შევჩერდეთ აქ. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ აგიხსნათ რა ხდება, სანამ ადგილზე მივსულვართ, – თქვა ჰაგრიდმა.

– კარგი, – დაეთანხმა ჰერმიონი. მან და ჰარიმ ერთად წაიბუტბუტეს „ლუმოს!“ და ჯადოსნური ჯოხების წვერები აინთო. ჰაგრიდის სახე ორი მოციმციმე სინათლის წყალობით მკვეთრად გამოეყო სიბნელეს. ჰარი კვლავ გააოცა მეტყევის ნაღვლიანმა და შეშფოთებულმა გამომეტყველებამ.

– ჰო, იცით... მთელი ოინი ის არის... – დაიწყო ჰაგრიდმა და ხმამაღლა ამოიოხრა, – მოკლედ, ძალიან ადვილად შეიძლება, დღეს თუ არა ხვალ სამსახურიდან გამომაპანღურონ.

ჰარიმ და ჰერმიონმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ორივემ ისევ ჰაგრიდს შეხედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ აქამდე ხომ არავის გაუგდიხარ, – შეაპარა ჰერმიონმა, – რატომ ფიქრობ, რომ...

– ამბრიჯს ჰგონია, რომ ნიფლერი მე შევუგდე კაბინეტში.

– რა, შენ არ შეგიგდია? – უნებურად წამოსცდა ჰარის.

– რა თქმა უნდა, არა! – გაბრაზდა ჰაგრიდი, – უბრალოდ, სადმე ჯადოსნურმა არსებებმა თუ რამე მოიმოქმედეს, მაშინვე ფიქრობს, რო იქ ჩემი ხელი ურევია. ხომ იცით, მას შემდეგ, რაც დავბრუნდი, ერთთავად ჩემი გათავისუფლების საბაბს ეძებს. წასვლა არ მინდა, მაგრამ... მაგრამ განსაკუთრებული ვითარება რომ არა, რაშიც ახლა უნდა გაგარკვიოთ, ჩემი ნებით წავიდოდი და არ დაველოდებოდი, ტრეოლოუნივით მთელი სკოლის თვალწინ როდის გამაგდებდნენ.

ჰარი და ჰერმიონი შეეცადნენ, შეჰკამათებოდნენ, მაგრამ ჰაგრიდმა ვეებერთელა ხელის აწევით შეაჩერა.

– ჩემი წასვლით ქვეყანა არ დაიქცევა. მე სკოლის გარეთაც დავეხმარები დამბლდორს და შევეცდები, ორდენს რაღაც სარგებლობა მოვუტანო... თქვენ კი გრაბლი-პლენკი გამეცადინებთ. ასე რომ, გამოცდებს ჩააბარებთ... – ხმა აუკანკალდა და ჩაუწყდა, – ჩემზე ნუ იდარდებთ, – სწრაფად დაამატა, როცა ჰერმიონმა ხელზე ხელი წაატანა. ჟილეტიდან უზარმაზარი, დაკერებული ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა, – მისმინეთ. იძულებული რომ არ გავმხდარიყავი, ამას არავითარ შემთხვევაში არ გეტყოდით. უბრალოდ, როცა წავალ... არა, ისე ვერ წავალ, ვინმეს რომ არ ვუთხრა... იმიტომ, რომ მე... მე თქვენი დახმარება მჭირდება. რონისაც, თუ წინააღმდეგი არ იქნება.

– რა თქმა უნდა, დაგეხმარებით, – მაშინვე შეჰპირდა ჰარი, – რა უნდა გავაკეთოთ?

ჰაგრიდმა ხმამაღლა დაიქსუტუნა და რადგან საჭირო სიტყვები ვერ იპოვა, ისეთი ძალით მიუტყაპუნა ჰარის მხარზე ხელი, რომ ბიჭი ხეს მიეყრდნო, რომ არ დაცემულიყო.

– ვიცოდი, რომ დამთანხმდებოდით, – დაიბუბუნა ცხვირსახოცში, – მაგრამ მე არასდროს... ისა... არ დამავიწყდება... კარგი, წავედით, სულ ცოტაღა დარჩა... ფრთხილად, აქ ჭინჭარია...

თხუთმეტიოდე წუთს ჩუმად მიდიოდნენ. როცა ჰარიმ დააპირა, ეკითხა, კიდევ ბევრი დარჩა თუ არაო, ჰაგრიდმა მარჯვენა ხელი განზე გაშალა და ანიშნა, შეჩერებულიყვნენ.

– აქ ძალიან ფრთხილად... ფრთხილად... რაც შეიძლება, ჩუმად...

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს ფეხაკრეფით და ჰარიმ ჯაგნარს შორის ვეებერთელა, თითქმის ჰაგრიდის სიმაღლის, მოპრიალებული ბორცვი დაინახა. შიშით გაიფიქრა, ეს, ალბათ, რომელიმე გიგან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტური ცხოველის ბუნაგიაო. ბორცვის გარშემო ხეები ფესვებიანად მოეთხარათ და ღობედ თუ ბარიკადად შემოერტყათ ბორცვისთვის. სწორედ ამ ზღუდესთან შეჩერდნენ ჰარი, ჰერმიონი და ჰაგრიდი.

– სძინავს, – წაიჩურჩულა ჰაგრიდმა.

ჰარის მოგუდული რიტმული ქშენა მოესმა, თითქოს შორიახლოს მართლა გიგანტური საბერველი მუშაობსო. ცერად გახედა ჰერმიონს. ჰერმიონი შიშისგან პირდაღებული იდგა და ბორცვს თვალს არ აშორებდა.

– ჰაგრიდ, ეს ვინ არის? – ჩურჩულით, ძლივს გასაგონად იკითხა ჰერმიონმა.

ჰერმიონის შეკითხვა უცნაურად მოეჩვენა ჰარის. თვითონ აპირებდა, ეკითხა, „ეს რა არისო“.

– შენ ხომ გვითხარი, ჰაგრიდ, ხომ გვითხარი, წამოსვლაზე უარი თქვესო! – ამოიკნავლა ჰერმიონმა და ჰარიმ დაინახა, როგორ უცახცახებდა ხელები.

ჰარიმ ჰერმიონიდან ჰაგრიდზე გადაიტანა მზერა, მერე ისევ ჰერმიონს შეხედა. უცებ ყველაფერს მიხვდა, „უუჰო“, შეშინებულმა ძლივს გასაგონად ჩაიბუტბუტა და ისევ ბორცვს გახედა. ვეებერთელა ბორცვი, რომელზედაც სამივე თავისუფლად დაეტეოდა, თანაბრად, რიტმულად ადი-ჩადიოდა. ეს ბორცვი კი არა, ვილაცის ზურგი იყო!

– ჰო, ეგრეა... არც უნდოდა წამოსვლა, – ჰაგრიდის ხმაში სასოწარკვეთა ისმოდა, – მაგრამ აუცილებლად უნდა წამომეყვანა, ჰერმიონ, აუცილებლად!

– რატომ? – ლამის ტიროდა ჰერმიონი. – რატომ... რისთვის... ო, ღმერთო ჩემო!

– მინდოდა, რომ აქ დამეტოვებინა, – ჰაგრიდმაც თითქმის ტირილით უპასუხა, – და ცოტა ჭკუაზეც მომეყვანა.. შემდეგ გამოვიყვანდი ხალხში და დავამტკიცებდი, რომ სავსებით უწყინარია!

– უწყინარი! – დაიკივლა ჰერმიონმა. „ჩუო“, გამწარებულმა ჰაგრიდმა ხელები გააქნია. ვეებერთელა არსებამ ხმამაღლა დაიხვრინა და ოდნავ იცვალა გვერდი, – აი, თურმე ვინ დაგალურჯა! აი, თურმე საიდან გაქვს ამდენი ჭრილობა!

– თვითონ ვერ გრძნობს თავის ძალას! – დარწმუნებით თქვა ჰაგრიდმა, – ნელ-ნელა სწავლობს ქცევის წესებს და აღარც ისე ხშირად ჩხუბობს...

– ახლა გასაგებია, რატომ დაგჭირდა გზაში ორი თვე, – თქვა ჩაფიქრებულმა ჰერმიონმა, – აჰ, ჰაგრიდ, რატომ წამოიყვანე, თუ თვითონ არ უნდოდა? მაგისთვის უკეთესი არ იქნებოდა, თავისიანებთან ეცხოვრა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყველა ჩაგრავდა, ჰერმიონ, ასეთი პატარა როა, იმიტომ, – თქვა ჰაგრიდმა.

– პატარა? – გაუკვირდა ჰერმიონს, – ეს არის პატარა?

– ვერ მივატოვებდი, ჰერმიონ, – ჰაგრიდის ლურჯ-ყვითელი ლაქებით დაფარულ სახეზე ღვარად წამოსული ცრემლები წვერს შეერია, – ის... ის ჩემი ძმაა!

ჰერმიონი ჰაგრიდს მიაშტერდა, გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა.

– ჰაგრიდ! – ნელა დაიწყო ჰარიმ, – ჩემი ძმააო, რომ ამბობ, ეს იმას კი არ ნიშნავს...

– არა... უფრო სწორად, ერთი დედის შვილები ვართ, – დააზუსტა ჰაგრიდმა, – დედაჩემი მამაჩემის მიტოვების შემდეგ, როგორც ჩანს, სხვა გოლიათთან წავიდა და მასთან გრაუპი შეეძინა...

– გრაუპი? – იკითხა ჰარიმ.

– ჰო... ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე წარმოთქვამს თავის სახელს, – ანერვიულდა ჰაგრიდი, – ის მაინცდამაინც კარგად ვერ ლაპარაკობს... ვცადე, მესწავლებინა... მოკლედ, დედას, ჩემი არ იყოს, არც მაგაზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. ხომ გესმით, დედაგოლიათები ამაყობენ, თუ დიდ ბავშვს გააჩენენ, ეს კი, გოლიათის კვალობაზე სულ პატარა იყო... სულ რაღაც ხუთიოდე მეტრი.

– ჰო, რა, სულ ერთი ციცქნა! – დამცინავად თქვა ჰერმიონმა, – პირდაპირ მიკროსკოპული!

– იქ ყველა უხათქუნებდა... ვერაფრით დავტოვებდი.

– მადამ მაქსიმსაც უნდოდა მისი აქ წამოყვანა? – ჰკითხა ჰარიმ.

– იმან... იმან იცოდა, რომ ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, – ჰაგრიდი ნერვიულობისგან ვეებერთელა ხელებს იმტვრევდა, – მაგრამ... მაგრამ მერე, უნდა ვაღიარო, რომ ცოტა დაიღალა მისგან... ასე რომ, უკანა გზაზე დავშორდით... ისე, შემპირდა, არავის ვეტყვიო...

– საერთოდ, როგორ მოახერხე მისი აქ ისე მოყვანა, რომ ვერავის დაენახა?

– ამიტომაც დამჭირდა ამდენი დრო, – თქვა ჰაგრიდმა, – მხოლოდ ღამით მოვდიოდით და ისიც – ველური ადგილების გავლით. თუ სიარულის გუნებაზე იყო, ვერც კი ვეწეოდი, მაგრამ დროდადრო უკან გაბრუნებას დააპირებდა ხოლმე და...

– აჰ, ჰაგრიდ, ჰაგრიდ, რატომ არ გაუშვი! – ჰერმიონი მიწიდან ამოთხრილ ხეზე ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩამალა, – ახლა როგორ აპირებ ამ მძვინვარე გოლიათის მოვლას, რომელსაც აქ დარჩენაც კი არ უნდა?

– ეგ „მძვინვარე", ცოტა არ იყოს, მეტისმეტია, – უპასუხა ჰაგრიდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა ისევ ხელების მტვრევით, – ვაღიარებ, რომ ერთიორჯერ, როცა უგუნებოდ იყო, კარგადაც გამიმასპინძლდა, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთ იქცევა, გაცილებით უკეთ... უფრო მშვიდი გახდა...

– მაშ, რისთვის გჭირდება ეს ამოდენა თოკები? – ჰკითხა ჰარიმ.

ჰარიმ მხოლოდ სულ რაღაც წამის წინ შეამჩნია, რომ გრაუპი ყველაზე დიდ ხეებზე მსხვილი თოკებით იყო მიბმული.

– სულ დაბმული გყავს? – იკითხა ჰერმიონმა.

– ე-ე... საერთოდ, ჰო, – თქვა ჰაგრიდმა, – იცი, რა არი... ხომ გითხარი უკვე... მართლა წარმოდგენა არა აქვს, როგორი ძლიერია.

ახლა კი მიხვდა ჰარი, რატომ იყო ტყის ეს ნაწილი ასეთი უკაცრიელი.

– კარგი. ახლა ის გვითხარი, რას მოითხოვ ჩვენგან? – შიშით ჰკითხა ჰერმიონმა.

– მინდა, რომ თქვენ მიხედოთ, – ჰაგრიდს ხმაში ხრინწი გაერია, – როცა მე აღარ ვიქნები.

ჰარიმ და ჰერმიონმა განწირულებივით გადახედეს ერთმანეთს. ჰარის ცივმა ოფლმა დაასხა – ის ხომ უკვე დაჰპირდა ჰაგრიდს, რომ მის ნებისმიერ თხოვნას შეასრულებდა!

– იქნებ გვითხრა, როგორ უნდა მივხედოთ? – დაინტერესდა ჰერმიონი.

– არა, კვება არ სჭირდება, ეგ არ იდარდოთ! – სწრაფად დაამშვიდა ჰაგრიდმა, – თავის სამყოფ საკვებს თვითონ იშოვის – ჩიტები, ირმები და ასე შემდეგ... ეს მაგისთვის არაფერია. არა, მაგას საჭმელი კი არა, მეგობარი სჭირდება. სულ ეს არის. მე ოღონდ ვიცოდე, რომ ვიღაც ისევ ეხმარება... ცოტა რაღაცას ასწავლის, გესმით?..

ჰარის არაფერი უპასუხია, ისე შებრუნდა მათ წინ მდელოზე მძინარე გოლიათის უზარმაზარი სხეულისკენ. ჰაგრიდისგან განსხვავებით, რომელიც, უბრალოდ, უზარმაზარი ადამიანი იყო და მეტი არაფერი, გრაუპს უჩვეულო, არაპროპორციული აგებულება ჰქონდა. ის, რაც ჰარის გიგანტური, ხავსმოდებული ქვა ეგონა, გრაუპის თავი აღმოჩნდა. თავი, ტანთან შედარებით, ბევრად დიდი იყო და თითქმის ბურთივით მრგვალი, ძალიან ხშირი გვიმრისფერი ხუჭუჭი თმით ჰქონდა დაფარული. გოლიათს ძია ვერნონივით უკისრო, მხრებში ჩარგულ თავზე დიდი, ხორციანი ყურის ნაწილი მოუჩანდა. ფართო ზურგი მხეცის ტყავებით შეკერილი ჭუჭყიანი რუხი მოსასხამისმაგვარი რაღაცით ჰქონდა დაფარული. გრაუპს ფეხები შეეკეცა. ჰარი მხოლოდ ვეებერთელა, შიშველ და ჭუჭყიან, ერთმანეთზე შემოწყობილ ფეხისგულებს ხედავდა. თითოეული ტერფი საბავშვო ციგისოდენა იქნებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ გინდა, რომ ლაპარაკი ვასწავლოთ, – ჩამქრალი ხმით თქვა ჰარიმ. ახლა მიხვდა, რას ნიშნავდა ფლორენციას გაფრთხილება: „მისი გეგმა არ მუშაობს, სჯობს, მცდელობას თავი დაანებოს“. ბუნებრივია, აკრძალული ტყის სხვა ბინადრებს უკვე ეცოდინებოდათ ჰაგრიდის ამაო მცდელობის შესახებ, გრაუპისთვის როგორმე ლაპარაკი ესწავლებინა.

– ჰო, აბა! ხანდახან მაინც რო დაელაპარაკოთ... – იმედიანად დაიწყო ჰაგრიდმა, – აი, რას ვფიქრობ: თუ ადამიანებთან ლაპარაკს ისწავლის, მიხვდება, რომ ყველას გვიყვარს და გვინდა, აქ დარჩეს.

ჰარიმ ჰერმიონს შეხედა, მან კი სახეზე აფარებულ თითებს შორის გამოხედა.

– ამასთან შედარებით, ნორბერტი ნამდვილი ფინია იყო, – თქვა ჰარიმ. ჰერმიონმა ნერვიულად ჩაიცინა.

– ესე იგი, თანახმა ხართ? – იკითხა ჰაგრიდმა, რომელმაც, როგორც ჩანს, ვერ გაიგონა ჰარის ნათქვამი.

– როგორ გითხრა... ჩვენ შევეცდებით, ჰაგრიდ,– წაილუღლუღა ჰარიმ. მას ხომ უკვე პირობა ჰქონდა მიცემული.

– ვიცოდი, რომ შენი იმედი უნდა მქონოდა, ჰარი, – ჰაგრიდს ცრემლებით დასველებული სახე გაუბრწყინდა და ისევ ცხვირსახოცით შეიმშრალა, – არ მინდა, დიდი დრო წაგართვათ... კარგად მესმის, გამოცდები გაქვთ... ვთქვათ, კვირაში ერთხელ უჩინმაჩინის მოსასხამით რომ მოახერხოთ აქ მოსვლა და ცოტა წაესაუბროთ... აბა, მაშ, გავაღვიძებ, ხომ უნდა გაგაცნოთ!

– გაგვაცნო?.. ვაიმე, არა! – წამოხტა ჰერმიონი, – გთხოვ, ჰაგრიდ, არ გააღვიძო, მართლა არ გვჭირდება... მაგრამ ჰაგრიდმა უკვე გადააბიჯა ვეებერთელა წაქცეულ ხეს და გრაუპისკენ წავიდა. რომ მიუახლოვდა, მიწიდან მოტეხილი გრძელი ტოტი აიღო, მხარს ზემოდან გამოხედა ჰარის და ჰერმიონს, შემაგულიანებლად გაუღიმა და ტოტის ბოლოთი ზურგში ღონივრად უჩხვლიტა გოლიათს.

გრაუპის ღრიალმა ექოდ გადაუარა მდუმარე ტყეს. ხის კენწეროებზე ჩიტები შეფრთხიალდნენ და აქეთ-იქით გაფრინდნენ. ამასობაში ჰარისა და ჰერმიონის თვალწინ გოლიათი წამოიმართა – მიწა შეირყა, როცა უზარმაზარი ხელით ძირს დაეყრდნო, რომ მუხლებზე წამომდგარიყო, მერე მყუდროების დამრღვევისკენ მოაბრუნა თავი.

– რაო, გრაუპ, – მოჩვენებითი მხიარულებით თქვა ჰაგრიდმა, თან უკან დაიხია, ტოტი კი ყოველი შემთხვევისთვის მაინც მოიმარჯვა, ვინიცობაა, კიდევ დასჭირვებოდა, – კარგად გამოიძინე, არა?

ჰარიმ და ჰერმიონმა შეძლებისდაგვარად უკან დაიხიეს, თან შემთხვევით გადარჩენილ ორ ხეს შორის მუხლებზე მდგარ გოლიათს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალს არ აცილებდნენ. შესცქეროდნენ მის წარმოუდგენლად დიდ სახეს, ტყის ბინდბუნდში სავსე ნაცრისფერ მთვარეს რომ მიუგავდა. გეგონებოდათ, ადამიანის ნაკვთები ქვის ვეებერთელა ბურთზე ამოუჩორკნიათო. ცხვირი მოკლე და უფორმო ჰქონდა. გვერდზე მოქცეულ პირში ოკრობოკრო ყვითელი კბილები შუაზე გადამტვრეულ აგურებს მიუგავდა. ამხელა გოლიათს მისთვის შეუფერებლად პატარა, მღვრიე მომწვანო-მოყავისფრო თვალები ჰქონდა. გრაუპმა ტალახიანი მუშტებით ენერგიულად მოისრისა ნამძინარევი თვალები. მერე მოულოდნელად საოცარი სისწრაფითა და მოხერხებულობით წამოხტა.

– ვაი! – მოესმა ჰარის ჰერმიონის წამოძახილი.

ხეებმა, რომლებზეც გრაუპი მაჯებითა და კოჭებით იყო მიბმული, შემაშფოთებლად დაიჭრიალეს. როგორც ჰაგრიდი ამბობდა, გოლიათი ხუთი მეტრი მაინც იქნებოდა. ჯერ კიდევ დაბინდული მზერით გრაუპმა ქოლგისოდენა ხელით ვეებერთელა ფიჭვის კენწეროდან ფრინველის ბუდე აიღო და იმედგაცრუებულმა ღრიალით დაბერტყა. ბუდე ცარიელი იყო, მარტო კვერცხები გადმოცვივდა ძირს. ჰაგრიდმა თავზე წაიფარა ხელები.

– მისმინე, გრაუპ, – იყვირა ჰაგრიდმა და შიშით აიხედა ზევით, რომ დაბომბვისგან დაეცვა თავი, – მე აქ ჩემი მეგობრები მოვიყვანე, უნდა გაგაცნო. გახსოვს, რომ გიყვებოდი? გახსოვს, რომ გითხარი, ცოტა ხნით სამოგზაუროდ მივდივარ და მათ ვთხოვ, სანამ აქ არ ვიქნები, მოგხედონ-მეთქი? ხომ გახსოვს, გრაუპ?

პასუხად გრაუპმა ისევ შემზარავად დაიგრგვინა: ეტყობა, ან არ უსმენდა ჰაგრიდს, ანდა მის მიერ წარმოთქმულ ბგერებს სიტყვებად არ აღიქვამდა. უცებ ერთ-ერთი ფიჭვის კენწეროს ხელი ჩაავლო და მოღუნა, როგორც ჩანს, ცნობისმოყვარეობა კლავდა – ხელს როცა გავუშვებ, შორს გახტება თუ არაო.

– ეი, ეი, გრაუპ, არ გინდა! – დაიყვირა ჰაგრიდმა, – იცოდე, ესეც ამოიგლიჯება...

და მართლაც, ჰარიმ დაინახა, როგორ დასკდა მიწა ხის ფესვებთან.

– სტუმრები მოგიყვანე! – იყვირა ჰაგრიდმა, – გესმის, სტუმრები, ძირს დაიხედე, შე ხისთავიანო, მეგობრები მოგიყვანე!

– არა, ჰაგრიდ, – დაიკვნესა ჰერმიონმა, მაგრამ ჰაგრიდმა ისევ ასწია ტოტი და გრაუპს მუხლში ატაკა.

გოლიათმა ფიჭვს ხელი უშვა. ხე საეჭვოდ შეტორტმანდა და ჰაგრიდს წიწვების წვიმა დააყარა. გრაუპმა ძირს დაიხედა.

– შეხედე, – ჰაგრიდმა ჰარისთან და ჰერმიონთან მიირბინა, – ეს ჰარია, გრაუპ, ჰარი პოტერი! ის შენს სანახავად მოვა ხოლმე, როცა მე აქ არ ვიქნები, გაიგე?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გოლიათმა ახლაღა შენიშნა ჰარი და ჰერმიონი. ისინი სუნთქვაშეკრულები ელოდნენ, როდის დახრიდა გრაუპი კლდისმაგვარ თავს და ბრუციანი თვალებით დააშტერდებოდა.

– ეს კი ჰერმიონია, ხედავ? ჰერ... – ჰაგრიდს ენა დაება. ჰერმიონისკენ შებრუნდა და ჰკითხა: – წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ჰერმი რომ დაგიძახოს, ჰა? ნამეტანი გრძელი სახელი გაქვს, ვერ დაიხსომებს...

– ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, – ძლივს წაიბუტბუტა ჰერმიონმა.

– ეს ჰერმია, გრაუპ! ისიც მოვა ხოლმე და, საერთოდ! რა კარგია, არა? ახლა შენ ორი მეგო... არ გინდა, გრაუპ!

გრაუპის ტორი ჰერმიონისკენ გამოქანდა. ჰარიმ მოასწრო, ჰერმიონს ხელი სტაცა და ხის უკან მიაგდო. ასე რომ, გრაუპის ტორი მხოლოდ გაეხახუნა ხეს და ჰაერში შეიკრა მუშტად.

– ცუდი ბიჭი ხარ, გრაუპ! – მოესმათ ჰაგრიდის ხმა და შიშისგან აკანკალებული ჰერმიონი წკმუტუნით მიეკრა ჰარის, – ძალიან ცუდი! არ შეიძლება... უჰ!

ჰარიმ ხის უკნიდან გამოიხედა. ჰაგრიდი პირაღმა ეგდო მიწაზე და ცხვირზე ეკიდა ხელი. გრაუპი კი უდარდელად გაიმართა წელში, ისევ ფიჭვს წაავლო ხელი და სცადა, ბოლომდე მოეღუნა.

– კარგი, – გაურკვევლად წაიბუტბუტა ჰაგრიდმა და წამოდგა, ცალი ხელი დასისხლიანებულ ცხვირზე მოიჭირა, მეორით არბალეტი აიღო, – კარგი... ახლა გვეყოფა... თქვენ უკვე გაიცანით... ის გიცნობთ, როცა სანახავად მოხვალთ. ჰო... კარგი...

გრაუპს ახედა, რომელიც ისევ ფიჭვის მოღუნვით ერთობოდა. ლოდივით სახეზე გულუბრყვილო კმაყოფილება ეწერა.

– დღეს, ალბათ, საკმარისია, – თქვა ჰაგრიდმა, – ჰო, ალბათ, საკმარისია... ე-ე... უკან ხომ არ დავბრუნებულიყავით?

ჰარიმ და ჰერმიონმა თავი დაუქნიეს. ჰაგრიდმა არბალეტი მხარზე მოიგდო და ცხვირზე ხელმოჭერილი პირველი გაბრუნდა ჭალისკენ.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. არც მაშინ გაუღიათ ხმა, როცა შორიდან ლაწალუწის ხმა მოესმათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გრაუპმა, ბოლოს და ბოლოს, ფიჭვი ამოგლიჯა. ჰერმიონი გაფითრებული და შეფიქრიანებული იყო. ჰარის ათასი რამ უტრიალებდა თავში: რა მოხდება, თუ მაინც გაიგებენ, რომ ჰაგრიდი აკრძალულ ტყეში გრაუპს მალავს? რა სულელურად დათანხმდა ჰაგრიდს, რომ გააგრძელებდა გოლიათის განათლების აბსოლუტურად უაზრო მცდელობას! როდის იყო, ეშვებიანი ურჩხულები უწყინარ, საყვარელ არსებებად იქცეოდნენ ხოლმე; ან ჰაგრიდმა როგორ დაიჯერა, რომ გრაუპი ადამიანებთან ცხოვრებას შეძლებდა?

– შეჩერდით! – თქვა უცებ ჰაგრიდმა. ჰარი და ჰერმიონი ისევ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხშირ ბარდნარში მიიკვლევდნენ გზას. ჰაგრიდმა ბუდიდან ისარი ამოიღო და არბალეტში ჩადო. ჰარიმ და ჰერმიონმა ჯადოსნური ჯოხები შემართეს. ახლა, როცა გაჩერდნენ, მათაც გაიგონეს, როგორ აშრიალებდა ვიღაცა ტოტებს.

– აი, შარი, – ჩუმად თქვა ჰაგრიდმა.

– ჰაგრიდ! – გაისმა მამაკაცის ძლიერი ხმა, – მგონი, გაგაფრთხილეთ, რომ აქ აღარ მოსულიყავი!

მომწვანო ბინდბუნდში მათკენ მომავალი მამაკაცის შიშველი ტანი გამოჩნდა. მერე ბინდბუნდი გაიცრიცა და დაინახეს, რომ იგი წელს ქვემოთ ქურანა ცხენი იყო. კენტავრს ამაყი, მაღალღაწვებიანი სახე და გრძელი შავი თმა ჰქონდა. ჰაგრიდის მსგავსად, ისიც შეიარაღებული იყო – მხარზე დიდი მშვილდი და ისრებით სავსე კაპარჭი ეკიდა.

– როგორაა საქმე, მაგორიან? – ფრთხილად ჰკითხა ჰაგრიდმა.

უკან, ხეებს შორის, შრიალი გაისმა და კენტავრს კიდევ ოთხი თუ ხუთი თანამოძმე გამოჰყვა. ჰარიმ მათ შორის წვერიანი ბეინიც შენიშნა, რომელსაც ოთხი წლის წინათ იმ ღამეს შეხვდა, როცა ფლორენცია გაიცნო. ბეინმა იქნებ იცნო კიდეც ჰარი, მაგრამ არ შეიმჩნია.

– მაშ, ასე, – მუქარით თქვა ბეინმა და მაგორიანისკენ შებრუნდა, – თუ არ ვცდები, ჩვენ შევთანხმდით, რა უნდა გვექნა, თუ ეს კაცი ტყეში ოდესმე კიდევ გამოჩნდებოდა.

– გამოდის, თქვენთვის უკვე „ეს კაცი“ ვარ, არა? – მკვახედ იკითხა ჰაგრიდმა, – და მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლელობის უფლება არ მოგეცით?

– არ უნდა ჩარეულიყავი, ჰაგრიდ, – უთხრა მაგორიანმა, – ჩვენ ჩვენი წესები და კანონები გვაქვს, თქვენგან სრულიად განსხვავებული. ფლორენციამ გვიღალატა, შეგვარცხვინა.

– ვერ გამიგია, ეს საიდან დაასკვენით, – ვერ მოითმინა ჰაგრიდმა.

– ფლორენცია ადამიანების მონად იქცა! – თქვა ნაოჭებით სახედაღარულმა კენტავრმა.

– მონად?! – დაცინვით გაიმეორა ჰაგრიდმა, – მონად კი არ იქცა, პატივი დასდო დამბლდორს... სულ ეს იყო.

– ის ჩვენი ცოდნითა და საიდუმლოებებით ვაჭრობს, – მშვიდად აუხსნა მაგორიანმა, – ამგვარი დამცირების მოთმენა შეუძლებელია.

– თქვენი ნებაა, – ჰაგრიდმა მხრები აიჩეჩა, – მე კი მეჩვენება, რომ ძალიან ცდებით...

– შენ, ადამიანმა, როგორ გაბედე ჩვენს ტყეში მას შემდეგ დაბრუნება, რაც გაგაფრთხილეთ? – ჰკითხა ბეინმა.

– იცით, რა, ერთი ყური დამიგდეთ, – გაბრაზდა ჰაგრიდი, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისურვებდი, რომ უფრო იშვიათად მომესმინა ეს „ჩვენი ტყე“, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ხართ. თქვენი გადასაწყვეტი არ არის, ამ ტყეში ვინ მოვა და ვინ – არა...

– მაგრამ არც შენი, ჰაგრიდ, – შეედავა მაგორიანი, – დღეს ნებას დაგრთავ, შენი ბავშვების ხათრით...

– ისინი მისები არ არიან! – ზიზღით თქვა ბეინმა, – ისინი იმ სკოლის მოსწავლეები არიან, მაგორიან! შესაძლოა, რაღაც-რაღაცეები უკვე ისწავლეს კიდეც იმ არამზადა ფლორენციასგან.

– მიუხედავად ამისა, კვიცების დახოცვა უმძიმესი დანაშაულია, თანაც უდანაშაულოებს ჩვენ არაფერს ვერჩით, – ცივად ბრძანა მაგორიანმა, – ახლა, ჰაგრიდ, მშვიდობით წადი, მაგრამ მომავალში ამ ადგილებიდან შორს დაიჭირე თავი. შენ კენტავრებთან მეგობრობას უღალატე, როცა გამყიდველ ფლორენციას სასჯელისგან თავის დაღწევაში დაეხმარე.

– სულაც არ ვაპირებ ტყისგან თავის შორს დაჭერას, მით უმეტეს, თქვენნაირი ჯიუტი ჯორების გამო! – აენთო ჰაგრიდი.

– ჰაგრიდ, – ჰერმიონს შიშისგან ხმა გაუწვრილდა, როცა დაინახა, რომ ბეინი და რუხი კენტავრი ფლოქვებით თხრიდნენ მიწას, – ჰაგრიდ, წავიდეთ! გეხვეწები!

მეტყევე წამოვიდა, არბალეტი ისევ ზევით ჰქონდა შემართული და მაგორიანს მუქარით სავსე მზერას არ აშორებდა.

– ჩვენ ვიცით, რასაც მალავ ტყეში, ჰაგრიდ! – დაადევნა მაგორიანმა, როცა კენტავრები უკვე თითქმის აღარ ჩანდნენ, – იცოდე, ჩვენი მოთმინება უსაზღვრო არ არის.

ჰაგრიდი შებრუნდა, ეტყობოდა, ძლივს იკავებდა თავს, რომ ისევ მაგორიანისკენ არ გაქანებულიყო.

– მოგიწევთ მოთმენა, სანამ ის აქ არის. მას თქვენზე ნაკლები უფლება არა აქვს, ამ ტყეში იცხოვროს! – დაუღრიალა პასუხად.

ჰარი და ჰერმიონი თხუნელას ტყავის ჟილეტში ჩასჭიდებოდნენ ჰაგრიდს და ძლივს აკავებდნენ. ჯერ კიდევ დაბღვერილმა ჰაგრიდმა ძირს დაიხედა და რისხვა გაკვირვებით შეეცვალა. როგორც ჩანს, აქამდე ვერც კი იგრძნო მათი გამწარებული მცდელობა.

– დამშვიდდით, ბავშვებო, – თქვა და გზა განაგრძო. ჰარი და ჰერმიონი აქოშინებულები მიჰყვნენ უკან, – მართლა ჯიუტი ჯორები არიან, ასე არ არის?

– ჰაგრიდ, – ძლივს ამოიღო ხმა ჰერმიონმა, – თუ კენტავრებს არ უნდათ ტყეში ადამიანების გამოჩენა, გაუგებარია, როგორ მოვახერხებთ მე და ჰარი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ გაიგონე, რა თქვეს, ისინი კვიცებს არ ერჩიან... ესე იგი, ბავშვებს. და, საერთოდ, მაგათ ჭკუაზე უნდა ვიაროთ? – უდარდელად მიუგო ჰაგრიდმა.

– დამშვიდდი, – წასჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს.

როგორც იქნა, ისევ გავიდნენ ბილიკზე. ათი წუთის შემდეგ ჯაგნარი გაიშვიათდა, ხეებს შორის მტრედისფერი ნასვრეტები გაჩნდა, შორიდან კი ისევ გულშემატკივრების აგზნებული ყვირილი და შეძახილები მოისმა.

– რა, კიდევ ერთი გოლი გაიტანეს? – ჰაგრიდი ჩრდილში გაჩერდა, საიდანაც უკვე მოჩანდა სკოლის სტადიონი, – თუ უკვე დამთავრდა მატჩი? თქვენ როგორ გგონიათ?

– არ ვიცი, – უბედური ადამიანის ხმით მიუგო ჰერმიონმა. ჰარიმ შეხედა: ჰერმიონი ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა, თმაში წკირები და ფოთლები გახლართოდა, მანტია რამდენიმე ადგილას გახეოდა, ხელები და სახე დაკაწროდა. ალბათ, არც თვითონ გამოიყურებოდა უკეთესად.

– მგონი, დამთავრდა, ხედავთ, ხალხი უკვე გამოდის... თუ იჩქარებთ და ხალხში გაერევით, ვერავინ მიხვდება, რომ იქ არ იყავით! – თქვა ჰაგრიდმა.

– მშვენიერი იდეაა, – დათანხმდა ჰარი, – მაშ... აბა, დროებით, ჰაგრიდ!

– მე მისი არ მჯერა, – თქვა ჰერმიონმა და სასოწარკვეთილი თვალებით შეხედა ჰარის, როცა ჰაგრიდი შორს მოიტოვეს, – მე მისი არ მჯერა, მართლა არ მჯერა!

– დამშვიდდი, – უთხრა ჰარიმ.

– დავმშვიდდე? – გაცხარდა ჰერმიონი, – ტყეში გოლიათია! გოლიათია ტყეში! გესმის? და ჩვენ მისთვის ლაპარაკის სწავლებას ვაპირებთ! ესეც, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ სისხლმოწყურებული კენტავრების რემას ავუვლით გვერდს, ჯერ იქითობას, მერე– აქეთობას!

– ჯერჯერობით არაფერი გვაქვს გასაკეთებელი! – ჰარი მის დამშვიდებას შეეცადა. ჩუმად ლაპარაკობდა, რადგან ახლახან შეუერთდნენ გაცხარებით მოსაუბრე ჰაფლეპაფელთა ჯგუფს, რომლებიც უკან, ციხე-კოშკისკენ, მიდიოდნენ, – მას არ უთხოვია დავხმარებოდით მანამ, სანამ არ გააგდებენ. შეიძლება, არც არასდროს გააგდონ.

– კარგი, რა, გეყოფა, ჰარი, – გაბრაზებული ჰერმიონი უცებ შეჩერდა, – ჰაგრიდს აუცილებლად გააგდებენ... და იმ ყველაფრის შემდეგ, რაც დღეს ვნახეთ, ამბრიჯს ვერც გაამტყუნებ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორივე გაჩუმდა. ჰარი საყვედურით შესცქეროდა ჰერმიონს, რომელსაც ნელ-ნელა ცრემლით ევსებოდა თვალები.

– მე ვიცი, რომ შენ ასე არ ფიქრობ, – ხმადაბლა თქვა ჰარიმ.

– არა... ჰო... ალბათ... არა, რა თქმა უნდა, – თქვა და გაბრაზებულმა მოიწმინდა ცრემლი, – მაგრამ რატომ უნდა გაირთულოს ცხოვრება... და, მასთან ერთად, ჩვენც...

– არ ვიცი...

„მეფეა რონალდ უისლი,
რონალდ უისლი ურჩია,
ყარის წინ სალ ყლდეულ დამდგარი
გრიფინდორელთა ბურჯია."

– ნეტავ, როგორ არ მობეზრდათ ეს სულელური სიმღერა? – მიმქრალი ხმით იკითხა ჰერმიონმა, – აქამდე ცოტა დასცინეს?

ციხე-კოშკისკენ მიმავალ მწვანე ფერდობზე მატჩიდან დაბრუნებული მოსწავლეების დიდი ჯგუფი ამოდიოდა.

– ჩქარა წამოდი, სლიზერინელებს გავასწროთ, – თქვა ჰერმიონმა.

„ქუაფლს რონალდი არ უშვებს,
ყარის წინ სალ ყლდეულ დადგება,
მეყარეულ დაბადებული
გრიფინდორს გამოადგება."

– ჰერმიონ... – გაოგნდა ჰარი.

სიმღერა სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა, მაგრამ მწვანე-ვერცხლისფერში გამოწყობილი სლიზერინელები კი არა, წითელ-ოქროსფერი დიდი ჯგუფი მღეროდა და თან მხრებზე შესმული ვიღაც მოჰყავდა.

„მეფეა რონალდ უისლი,
რონალდ უისლი ურჩია,
ყარის წინ სალ ყლდეულ დამდგარი
გრიფინდორელთა ბურჯია."

– შეუძლებელია... – ხმადაბლა შეიცხადა ჰერმიონმა.

– რატომაც არა! – ხმამაღლა თქვა ჰარიმ.

– ჰარი! ჰერმიონ! – ვერცხლისფერი თასის ქნევით იყვირა ბედნიერებისგან გადარეულმა რონმა, – თასი ჩვენია! გავიმარჯვეთ!

სიხარულით გაცისკროვნებულმა მეგობრებმა ღიმილიანი მზერით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გააცილეს ციხე-კოშკისკენ. კართან საცობი წარმოიქმნა. რონი ერთი გემოზე მიახეთქეს თავით ჩარჩოზე, მაგრამ არავის უფიქრია მისი ძირს ჩამოსმა. გულშემატკივრები სიმღერ-სიმღერით შევიდნენ ჰოლში. ჰარი და ჰერმიონი გაბადრულები იდგნენ, სანამ სიმღერის უკანასკნელი ექოც არ მიწყდა. მერე ერთმანეთისკენ შებრუნდნენ. ღიმილი მაშინვე უკვალოდ გაქრა მათი სახეებიდან.

– ჩვენი ახალი ამბები ხვალამდე მოიცდის, თანახმა ხარ? – თქვა ჰარიმ.

– კარგი, – დაღლილი ხმით დაეთანხმა ჰერმიონი, – არსად მეჩქარება.

კიბეზე ერთად ავიდნენ. კარს რომ მიუახლოვდნენ, ორივე უნებურად შებრუნდა და აკრძალული ტყისკენ გაიხედა. ჰარის შეიძლება, მოეჩვენა კიდეც, მაგრამ ძალიან შორს, ხეების კენწეროების თავზე, თითქოს ჩიტების პატარა გუნდი აფრინდა, გეგონებოდათ, ის ხე, რომელზეც ისინი ბუდობდნენ, ვიღაცამ ფესვებიანად ამოგლიჯაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთერთმეტე

ბ. უ. ბ.

რონი ისეთი ბედნიერი იყო, რომ მატჩის მეორე დღეს გულს ვეღარაფერს უდებდა, გაუთავებლად სულ მატჩზე ქაქანებდა. ჰარიმ და ჰერმიონმა ვერაფრით მოახერხეს, გრაუპზე ეთქვათ რამე. თუმცა, მაინცდამაინც არ ცდილობდნენ ამაზე საუბრის დაწყებას – არ უნდოდათ, რონი ასე მკაცრად დაენარცხებინათ მიწაზე. ისევ ნათელი და თბილი დღე დადგა. მეგობრებმა რონი დაიყოლიეს, რომ გამოცდებისთვის ტბის ნაპირზე, არყის ხის ჩრდილში ემეცადინათ. იქ გაცილებით ნაკლები მიმყურადებელი ჰყავდათ, ვიდრე გრიფინდორის საერთო ოთახში. თავდაპირველად რონს მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდა ეს აზრი – კოშკში ჯდომა უფრო მოსწონდა, სადაც თანაგუნდელები მეგობრულად წამოარტყამდნენ ხოლმე ხელს და დროდადრო „მეფეა რონალდ უისლის“ შემოსძახებდნენ. თუმცა, ბოლოს მაინც დათანხმდა: სუფთა ჰაერზე გავლა არც მე მაწყენსო.

სახელმძღვანელოები არყის ხის ჩრდილში გაშალეს. ჰარი და ჰერმიონი რონისგან უკვე მეთორმეტედ ისმენდნენ, როგორ დაიჭირა პირველი ქუაფლი.

– მართალია, გავუშვი დევისის ნასროლი ბურთი, რადგან მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვიყავი, რომ დავიჭერდი, მაგრამ მერე, როცა ბრედლი ჩემკენ გამოქანდა (ვერც კი მივხვდი, საიდან გამოტყვრა), თავს შემოვუძახე, „შენ ამის აღებას შეძლებ-მეთქი“, და ერთ წამში მოვიფიქრე, საით გადავმხტარიყავი. იცით, თითქოს მარჯვენა რგოლს უმიზნებდა, ესე იგი, ჩემგან მარჯვენას, მისთვის – მარცხენას, მაგრამ შინაგანმა ხმამ მიკარნახა, რომ ფინტს მიკეთებდა. მეც გავრისკე და მარჯვნივ გავქანდი, ესე იგი, მისგან მარცხნივ, და ხომ ნახეთ, რაც მოხდა, – სრულიად უადგილოდ აიჩეჩა თმა და მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ იქვე, ერთმანეთში ჭორაობით გარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თულმა ჰაფლეპაფელებმა მისი სიტყვები გაიგონეს და განაგრძო:
– ხუთიოდე წუთის შემდეგ კი ვხედავ, ჩემკენ მთელი სისწრაფით მოქრის ჩემბერ... რა? – რონმა ფრაზა ველარ დაასრულა, რადგან ჰარის გამომეტყველება დაინახა, – რა იყო, რა გაცინებს?

– არაფერი, – სწრაფად უპასუხა ჰარიმ და ღიმილის დასაფარად ტრანსფიგურაციის კონსპექტში ჩაყო ცხვირი. სიმართლე კი ის იყო, რომ რონმა აშკარად მოაგონა ქვიდიჩის სხვა მოთამაშე, რომელიც ოდესღაც სწორედ ამ ხის ქვეშ იჩეჩავდა თმას, – უბრალოდ, მიხარია, რომ გავიმარჯვეთ, ეს არის და ეს.

– ჰო, – თქვა ბოლო სიტყვებით აღტაცებულმა რონმა, – ჩვენ გავიმარჯვეთ. დაინახე, როგორი სახე ჰქონდა ჩენგს, როცა ჯინიმ ზედ ცხვირწინ ააცალა სნიჩი?

– ალბათ, ატირდა, – თქვა ჰარიმ.

– ჰო... უფრო იმედგაცრუებისგან, ვიდრე... – რონი ოდნავ მოიღუშა, – მაგრამ ხომ დაინახე, როგორ მოისროლა ცოცხი, როცა ძირს დაეშვა?

– იცი... ე-ე... – ენა დაება ჰარის.

– მართალი გითხრა... არ დაგვინახავს, რონ, – ჰერმიონმა ამოიოხრა. მერე წიგნი გვერდზე გადადო და მოუბოდიშა, – გვაპატიე, მაგრამ ერთადერთი, რაც მე და ჰარიმ გუშინ სტადიონზე ვნახეთ, ეს დევისის გოლი იყო.

რონს სახე დაემანჭა.

– თქვენ რა, მატჩზე არ იყავით? – ხმაჩამწყდარმა იკითხა და დაბნეული შეაცქერდა ორივეს, – თქვენ ჩემი არც ერთი ნახტომი არ გინახავთ?

– ჰო... არა, – თქვა ჰერმიონმა და შესარიგებლად მკლავზე შეეხო, – რონ, იძულებულები გავხდით, სტადიონიდან წავსულიყავით!

– ჰო? – აჭარხლდა რონი, – მაინც, რატომ?

– ჰაგრიდის გამო, – უპასუხა ჰარიმ, – ახლა უკვე ვიცით, რატომ დადის ერთთავად ჩალურჯებული, რაც გოლიათებისგან დაბრუნდა. გვთხოვა, ტყეში წავყოლოდით. უარი ვერ ვუთხარით. ისე გვეხვეწებოდა... მოკლედ, მისმინე...

მთელი ამ ამბის მოყოლას ჰარიმ სულ ხუთი წუთი მოანდომა, რონს გაგულისება ეჭვით შეეცვალა:

– ერთ-ერთი მათგანი მართლა თან მოიყვანა და ტყეში დამალა?

– დიახ, – დაუდასტურა ჰარიმ.

– არაა, – ისე თქვა რონმა, თითქოს ამ უარით რეალობას შეცვლიდა, – არა, შეუძლებელია!

– სწორედაც, რომ მოიყვანა, – დაუდასტურა ჰერმიონმა, – გრაუპი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაახლოებით, ხუთი მეტრი სიმაღლისაა, უზარმაზარი ფიჭვების ამოგლეჯა უყვარს და მე მიცნობს, როგორც ჰერმის.

რონმა ნერვიულად გაიცინა.

– ...და ჰაგრიდს უნდა, რომ ჩვენ...

– ლაპარაკი ვასწავლოთ, – მის მაგივრად დაასრულა ჰარიმ.

– ალბათ, ჭკუიდან შეიშალა, – თავზარი დაეცა რონს.

– ჰო, – გაღიზიანებულმა ჰერმიონმა „საფეხურებრივი ტრანსფიგურაცია" გადაფურცლა და მოღუშული დააცქერდა ბუს ბინოკლად გადაქცევის დიაგრამებს, – გეთანხმები, მაგრამ, საუბედუროდ, მე და ჰარი დახმარებას შევპირდით.

– რას იზამ, მოგიწევთ პირობის დარღვევა, – მტკიცედ თქვა რონმა, – უფრო სწორად, ის მინდა, ვთქვა, რომ... გამოცდები კარზეა მომდგარი და იმის შანსი, რომ სკოლიდან არ გაგვრიცხავენ, ძალიან პატარაა. და, საერთოდაც... გახსოვთ ნორბერტი? ან არაგოგი? ერთხელ მაინც რამე მოვიგეთ ჰაგრიდის ძმაკაც ურჩხულებთან ნაცნობობით?

– მართალი ხარ, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ... შევპირდით, – საცოდავად თქვა ჰერმიონმა.

რონმა აჩეჩილი თმა გაისწორა და ჩაფიქრდა. ბოლოს ოხვრით თქვა:

– კარგი. ჰაგრიდი ხომ ჯერ არ გაუგდიათ! და რაკი ამდენ ხანს გაძლო, იქნებ სემესტრის ბოლომდეც არ გააგდონ. თუ არ გააგდეს, გრაუპთან მიახლოვებაც არ დაგვჭირდება.

* * *

ციხე-კოშკის შემოგარენი საგულდაგულოდ გარეცხილივით ბრწყინავდა მზეზე. ტბის ზედაპირი სარკესავით ირეკლავდა ულრუბლო ცას. მწვანე აბრეშუმის მსგავს მდელოებს დროდადრო ნიავი გადაურბენდა ხოლმე. დადგა ივნისი, რაც მეხუთეკურსელებისთვის მხოლოდ ერთს ნიშნავდა – გამოცდების ციებ-ცხელება იწყებოდა.

საშინაო დავალებებს აღარ აძლევდნენ. ყველა გაკვეთილზე მხოლოდ იმ საკითხებს იმეორებდნენ, რაც შეიძლებოდა, გამოცდაზე შეხვედროდათ. ამ ციებ-ცხელებიანი, თავაუღებელი მეცადინეობის დროს ჰარის ყველაფერი დაავიწყდა **ბუა**-ს გარდა. თუმცა, დროდადრო, განსაკუთრებით კი შხამ-წამლების გაკვეთილებზე, ერთი სული ჰქონდა, გაეგო, მოახერხა თუ არა ლუპინმა სნეიპთან დალაპარაკება ოკლუმენციის გაკვეთილების განახლების თაობაზე. თუმცა, სნეიპი, ალბათ, არც არაფრად ჩააგდებდა ლუპინის სიტყვებს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისევე როგორც ახლა არაფრად აგდებდა ჰარის. ისე, ჰარის ეს ხელსაც კი აძლევდა: სნეიპთან დამატებითი გაკვეთილების გარეშეც საკმაო საზრუნავი ჰქონდა. ჰერმიონიც, ჰარის სასიხარულოდ, იმდენად იყო დატვირთული, რომ შენიშვნების მიცემას ველარ ახერხებდა, თავისთვის დადიოდა, ერთთავად რაღაცას დუდღუნებდა და უკვე ტანისამოსსაც კი აღარ უტოვებდა ელფებს. ჰერმიონი ერთადერთი არ იყო, ვინც **ბუა**-ს გამოცდების წინ უცნაურად იქცეოდა. ერნი მაკმილანს ცუდი ჩვევა დასჩემდა: ყველას ეკითხებოდა, როგორ ემზადებოდნენ გამოცდებისთვის.

– დღეში რამდენ საათს უთმობთ გამოცდებისთვის სამზადისს? – თვალებალაპლაპებულმა ჰკითხა ჰარისა და რონს, როცა ერთად მიდიოდნენ ჰერბოლოგიაზე.

– რა ვიცი, რამდენიმეს, – მიუგო რონმა.

– რვაზე მეტს თუ ნაკლებს?

– ალბათ, ნაკლებს, – ოდნავ შეშფოთდა რონი.

– მე – რვას, – გაიბღინძა ერნი, – ხანდახან – ცხრასაც კი. ყოველ-დღე, საუზმის წინ, თითო საათს ვმეცადინეობ. ისე, საშუალოდ, მაინც რვას. უქმე დღეებში ათამდეც ავდივარ ხოლმე. მაგალითად, ორშა-ბათს ცხრა-ნახევარი გამომივიდა. სამშაბათს – არც ისე ბევრი, სამ-აგიეროდ, ოთხშაბათს...

სწორედ ამ დროს პროფესორმა სპრაუტმა სტუდენტები სათბურში მიიწვია და ერნი იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო. ჰარიმ შვებით ამოისუნთქა.

ამასობაში, დრაკო მალფოის წყალობით, სკოლაში ახალი პანიკა ატყდა:

– რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენი იცით, – მალფოი ხმამაღლა ეტრაბახებოდა კრაბსა და გოილს შხამ-წამ-ლების გაკვეთილზე, გამოცდებამდე რამდენიმე დღით ადრე, – მნიშ-ვნელოვანია ის, ვის იცნობთ. მამაჩემს დიდი ხანია, ახლო ურთიერ-თობა აქვს ბებრუხანა გრიზელდა მარჩბენქსთან, ჯადოსნური საგა-მოცდო კომისიის თავმჯდომარესთან. ჩვენთან ვახშამზეც კი არის ნამყოფი. და, საერთოდ...

– როგორ ფიქრობთ, მართალს ამბობს? – შეშფოთებით წასჩურ-ჩულა ჰერმიონმა ჰარისა და რონს.

– ასეც რომ იყოს, მაინც ვერაფერს გავხდებით, – მოიღუშა რონი.

– არა მგონია, სიმართლე იყოს, – მშვიდად თქვა ნევილ ლონგ-ბოტომმა, – საქმე ის არის, რომ გრიზელდა მარჩბენქსი ბებიაჩემთან მეგობრობს, მას არასდროს უხსენებია მალფოები.

– მაინც როგორია, ნევილ? – მაშინვე ჰკითხა ჰერმიონმა, – მკაცრია?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალალად თუ ვიტყვი, ბებიაჩემთან ბევრი რამ აქვს საერთო, – აღიარა ნირწამხდარმა ნევილმა.

– ასეთი ნაცნობობა, ყოველ შემთხვევაში, შენ მაინც არას გავნებს, – ხალისიანად შენიშნა რონმა.

– ეჭვი მეპარება, ამ ნაცნობობით რამე ვიხეირო, – კიდევ უფრო ნაღვლიანად თქვა ნევილმა, – ბებიაჩემი ერთთავად უმტკიცებს, რომ ბევრი მიკლია მამაჩემამდე... ისე, თქვენც ხომ ნახეთ ბებიაჩემი წმინდა მუნგოს კლინიკაში...

ნევილი მოღუშული დააცქერდა იატაკს. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ პასუხად ვერაფერი მოიფიქრეს. ნევილმა პირველად ახსენა ჯადოსნურ კლინიკაში მათთან შეხვედრა.

ამასობაში იატაკქვეშა ვაჭრობამ სხვადასხვა წამლით, რომლებიც გონების კონცენტრაციას უწყობდა ხელს, ზენიტს მიაღწია. ჰარი და რონი მაშინვე მოიხიბლნენ ჭკუისკოლოფას ელექსირით, რომელიც ინტელექტუალურ ზრდას უწყობდა ხელს. ეს ელექსირი მათ მეექვსეკურსელმა რეივენქლოელმა ედი კარმაიკლმა შესთავაზა. ირწმუნებოდა, რომ შარშან **ბუა**-ს გამოცდებზე სწორედ ამ ელექსირის წყალობით მიიღო ცხრა საგანში „შესანიშნავი“ და მზად იყო, ნახევარი ლიტრი დაეთმო მათთვის სულ რაღაც თორმეტ გალეონად. რონი შეჰპირდა ჰარის, რომ თავისი წილისთვის ვალს მაშინვე გადაუხდიდა, როგორც კი ჰოგვორტსს დაამთავრებდა და მუშაობას დაიწყებდა. მაგრამ სანამ შეთანხმების ნიშნად ხელს ხელზე დაჰკრავდნენ, ჰერმიონმა კარმაიკლს ბოთლი გამოსტაცა და ფანჯრიდან მოაპირქვავა.

– ჰერმიონ! ჩვენ ხომ ამის ყიდვას ვაპირებდით! – იღრიალა რონმა.

– ნამდვილი იდიოტები ხართ, – შეუღრინა ჰერმიონმა, – ბარემ ჰაროლდ დინგლისგანაც გეყიდათ დრაკონის ბრჭყალის ფხვნილი! კმარა!

– დინგლს დრაკონის ბრჭყალის ფხვნილი აქვს? – ხარბად იკითხა რონმა.

– უკვე აღარ აქვს, – ცივი წყალი გადაასხა ჰერმიონმა, – კონფისკაცია გავუკეთე. მთელი ეს რაღაც-რუღაცეები წმინდა წყლის ყალთაბანდობაა! გასაგებია?

– ოღონდ, დრაკონის ბრჭყალი არა! – წამოიძახა რონმა, – გენიალური რამეა. ისე კვებავს ტვინს, რომ მერე რამდენიმე საათს ჭკუით გატენილი დადიხარ... ჰერმიონ, სულ ცოტა მაინც მომეცი, გთხოვ, ხომ არაფერს მავნებს...

– შეიძლება, გავნოს კიდეც, – მშვიდად თქვა ჰერმიონმა, – შევამოწმე და, სინამდვილეში, დოკსის გამხმარი სკინტლი აღმოჩნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამის შემდეგ ჰარისა და რონს ტვინის სტიმულატორებზე „ნადირობის“ სურვილი სულ დაეკარგათ.

ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე გამოცდების განრიგი მიიღეს და მათი ჩატარების წესებს გაეცნენ.

– როგორც ხედავთ, **ბუა**-ს გამოცდები ორ კვირას გაგრძელდება, – თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა, როცა მოსწავლეებმა დაფიდან გადაიწერეს გამოცდების თარიღი და დრო, – დილის საათები წერითი სამუშაოებისთვის არის გამოყოფილი, სადილის შემდგომი – პრაქტიკული ჩვევების შესამოწმებლად. ასტრონომიის პრაქტიკული გამოცდა, ცხადია, ღამით ჩატარდება. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენს საგამოცდო ინვენტარზე ძალზე მკაცრი ტყუილსაწინააღმდეგო შელოცვებია დადებული. მოკარნახე, თვითმოპასუხე ბატის ფრთებისა და თვითგამსწორებელი მელნის გამოყენება აკრძალულია. სამწუხაროდ, თითქმის ყოველ წელიწადს მოიძებნება ხოლმე სკოლაში, სულ ცოტა, ერთი მოსწავლე მაინც, რომელსაც ჰგონია, რომ მოახერხებს ჯადოსნური საგამოცდო კომისიის თვალის ახვევას. ვიმედოვნებ, რომ გრიფინდორელებს შორის ასეთი არ აღმოჩნდება. ჩვენმა ახალმა დირექტორმა, – მაკგონაგელს ამ სიტყვების წარმოთქმისას ისეთივე გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც დეიდა პეტუნიას, ოთახის დალაგებისას ხალიჩაზე განსაკუთრებით ურჩ ლაქებს რომ მიადგებოდა ხოლმე, – კლუბების ხელმძღვანელებს სთხოვა, გაეფრთხილებინათ მოსწავლეები, რომ ყალთაბანდობა მკაცრად დაისჯება, რადგან, თვითონაც გესმით, რომ თქვენს შედეგებს შეუძლია, ჩრდილი მიაყენონ დირექტორის მიერ დამყარებულ ახალ წესრიგს...

პროფესორმა მაკგონაგელმა ჩუმად ამოიოხრა. ჰარიმ შეამჩნია, როგორ აუთრთოლდა ნატიფი ცხვირის ნესტოები.

– მიუხედავად ამისა, არავითარი მიზეზი არ არსებობს საიმისოდ, რომ სრულად არ გამოამჟღავნოთ თქვენი ცოდნა. თქვენ მომავალზე უნდა იფიქროთ.

– შეიძლება, გკითხოთ, პროფესორო? – ხელი ასწია ჰერმიონმა, – როდის გვეცოდინება შედეგები?

– თითოეული თქვენგანი ნიშნებს ბუს საშუალებით ივლისში შეიტყობს, – გამოაცხადა მაკგონაგელმა.

– მშვენიერია, – გაუხარდა დინ ტომასს, – ესე იგი, მშვიდად გავატარებთ არდადეგებს.

ჰარიმ წარმოიდგინა, თვე-ნახევრის შემდეგ **ბუა**-ს ნიშნების მოლოდინში როგორ იჯდებოდა პრივიტ დრაივზე და გაიფიქრა: რა გაეწყობა, სხვა თუ არაფერი, ამ ზაფხულს ერთი წერილი მაინც ხომ მაქვს განაღდებულიო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირველი გამოცდა, შელოცვის თეორიაში, ორშაბათს, დილით იყო დანიშნული. კვირას, ნასადილევს, ჰარი დათანხმდა, გამოეცადა ჰერმიონი, მაგრამ მაშინვე ინანა: ჰერმიონი საშინლად ღელავდა და დროდადრო ხელიდან სტაცებდა წიგნს, რათა შეემოწმებინა, შემთხვევით რაიმე უმნიშვნელო შეცდომა ხომ არ დაუშვა. მათი ერთობლივი მეცადინეობა იმით დასრულდა, რომ ჰარის კარგა ლაზათიანად მოხვდა ცხვირში „შელოცვითი მეცნიერების მიღწევების“ მძიმე წიგნი.

– შენ თვითონ მიხედე ამ საქმეს, – მტკიცედ უთხრა ჰერმიონს და აცრემლებული თვალების წმენდით წიგნი უკანვე დაუბრუნა.

ამასობაში რონს ყურები თითებით დაეცო და ტუჩების უხმო მოძრაობით ბოლო ორი წლის მანძილზე დაგროვილი შელოცვების კონსპექტებს კითხულობდა. მხართეძოზე წამოწოლილი სიმუს ფინიგანი დამოუკიდებელი შელოცვის განსაზღვრებას იმეორებდა, დინი კი მას მეხუთე კურსის „შელოცვების საერთო თეორიის“ მიხედვით ამოწმებდა. პარვატი და ლევენდერი მოძრაობის ძირითად შელოცვებს ამუშავებდნენ – თავიანთ საწერ მოწყობილობებს მაგიდაზე დაარბენინებდნენ.

საღამოს, ვახშმობისას, მოწყენილობა იგრძნობოდა. ჰარი და რონი თითქმის არ ლაპარაკობდნენ, მთელი დღის მოშიებულები მადიანად ილუკმებოდნენ. ჰერმიონი დროდადრო დანა-ჩანგალს გადადებდა, მაგიდის ქვეშ ჩაძვრებოდა, ჩანთიდან წიგნს იღებდა და საგულდაგულოდ ქექავდა ფურცლებს, რომ რაიმე ფაქტი ან ციფრი კიდევ ერთხელ შეემოწმებინა. რონმა ის იყო, დააპირა ეთქვა, ნორმალურად ჭამე, თორემ ვერ დაიძინებო, რომ ჰერმიონს მოულოდნელად ხელიდან ჩანგალი გაუვარდა. ჩანგალი ხმამაღალი წკრიალით დავარდა თეფშზე, ჰერმიონმა კი წაიბუტბუტა:

– ღმერთო ჩემო, – ის ჰოლისკენ იყურებოდა, – ნუთუ ისინი არიან? გამომცდელები?

ჰარი და რონი მაშინვე შეტრიალდნენ და ღია კარს მიაჩერდნენ. ჰოლში ამბრიჯი იდგა, მის გვერდით კი – კარგა მოფამფალებული მოხუცი ჯადოქრების ჯგუფი. ჰარიმ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ამბრიჯი აშკარად ნერვიულობდა.

– უფრო ახლოს ხომ არ მივსულიყავით? – იკითხა რონმა. ჰარიმ და ჰერმიონმა თავი დაუქნიეს და სამივე ღია კარისკენ გაეშურა. მერე ნაბიჯი შეანელეს და წყნარად ჩაუარეს საგამოცდო კომისიის წევრებს. ჰარიმ გაიფიქრა, რომ მხრებში მოხრილი ერთი ციცქნა ქალბატონი, რომელსაც ისე ჰქონდა სახე დანაოჭებული, თითქოს ობობას ქსელი გადაუკრავსო, და რომელსაც ამბრიჯი განსაკუთრებული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მონიწებით მიმართავდა, სწორედ პროფესორი მარჩბენქსი იყო. ეტყობა, პროფესორი მარჩბენქსი ცოტათი ყრუ იყო: გვერდით მდგარ ამბრიჯს ძალზე ხმამაღლა ესაუბრებოდა.

– მშვენივრად, მშვენივრად ვიმგზავრეთ. პირველად ხომ არ მოვედით აქ! – მოუთმენლად თქვა მან, – სხვათა შორის, კარგა ხანია, არაფერი მსმენია დამბლდორის შესახებ, – დაამატა და ისე მოათვალიერა დარბაზი, თითქოს ყოფილი დირექტორი აი, ამწუთას გამოვა ცოცხების შესანახი საკუჭნაოდანო, – ხომ არ იცით, ახლა სად არის?

– წარმოდგენა არა მაქვს, – ამბრიჯმა ავად გახედა კიბის ძირში გაჩხერილ ჰარის, რონსა და ჰერმიონს. რონმა ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ფეხსაცმლის გახსნილ ზონარს იკრავდა, – მაგრამ გავბედავ და ვივარაუდებ, რომ მაგიის სამინისტრო სულ მალე იპოვის.

– არა მგონია, – დაჰკივლა ერთი ციცქნა მარჩბენქსმა, – თუ, რა თქმა უნდა, თვითონ დამბლდორმა არ მოინდომა, რომ იპოვონ! ეგ მაინც ვიცი... მისგან თვითონ ჩავიბარე **კატა**-ზე ტრანსფიგურაცია და შელოცვები... უნდა გენახათ, რას აკეთებდა ჯადოსნური ჯოხით. მსგავსი არაფერი მინახავს ცხოვრებაში!

– მ-მ... ჰოო... – წაილუღლუღა ამბრიჯმა. ჰარი, რონი და ჰერმიონი ძლივს მიათრევდნენ ფეხებს მარმარილოს კიბეზე, – ნება მომეცით, სამასწავლებლოში გაგაცილოთ. უარს ხომ არ იტყვით ფინჯან ჩაიზე ასეთი მგზავრობის შემდეგ?

საღამოს დარჩენილმა ნაწილმა საკმაოდ უღიმღამოდ ჩაიარა. საგამოცდო საკითხების გამეორებას ყველა ცდილობდა, მაგრამ შედეგიანად ვერავინ ახერხებდა. ჰარი ადრიანად დაწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. პროფესიის ასარჩევ კონსულტაციასა და მაკგონაგელთან საუბარს იხსენებდა. პროფესორი დაჰპირდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაეხმარებოდა, რომ აურორი გამხდარიყო. ახლა, გამოცდების წინ, ჰარი ნანობდა, რომ კონსულტაციის დროს უფრო მოკრძალებული სურვილები არ გამოთქვა. იცოდა, რომ უძილობა მარტო მას არ აწუხებდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ბოლოს თანდათან ყველას ჩაეძინა.

დილით, საუზმობისას, მეხუთეკურსელები ისევ არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. პარვატი თავისთვის, ცხვირში დუდუნებდა შელოცვებს. სამარილე მის წინ ფეთიანივით ცახცახებდა. ჰერმიონი ისევ „შელოცვითი მეცნიერების მიღწევებს“ კითხულობდა. ნევილს ყოველ ნახევარ წუთში ერთხელ დანა ან ჩანგალი უვარდებოდა, ან ჯემით სავსე ლამბაქს გადააბრუნებდა ხოლმე.

საუზმის შემდეგ მეხუთე და მეშვიდეკურსელები ისევ ჰოლში დაყიალობდნენ. დანარჩენები კი აუდიტორიებში გაიკრიფნენ. ცხრის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნახევარზე ბავშვების ჯგუფ-ჯგუფად, კლასების მიხედვით გამოძახება დაიწყეს. დიდი დარბაზი, სადაც გამოცდა მიმდინარეობდა, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, საფიქრელაში რომ ნახა ჰარიმ. მაშინ **ბუა**-ს მამამისი, სირიუსი და სნეიპი აბარებდნენ. კლუბების ოთხი მაგიდა პატარა მერხებით შეეცვალათ. მასწავლებლების მაგიდასთან პროფესორი მაკგონაგელი იდგა. როცა ყველა თავის ადგილას დაჯდა და დამშვიდდა, მაკგონაგელმა გამოაცხადა: „მაშ ასე, დავიწყეთ“, და ვეებერთელა ქვიშის საათი გადააბრუნა. იქვე ეწყო სათადარიგო ბატის ფრთები, სამელნეები და პერგამენტის გრაგნილები.

ჰარიმ გულისფანცქალით აიღო ბილეთი. ჰერმიონი სამი რიგის დაშორებით, მეოთხე მერხზე იჯდა და უკვე შეშლილივით წერდა. ჰარიმ პირველი საკითხი წაიკითხა: „დაწერეთ ჯადოსნური სიტყვები და აღწერეთ ჯადოსნური ჯოხის მოძრაობა, რომელთა საშუალებითაც საგნებს ფრენას აიძულებთ“.

ჰარის მკრთალმა სურათმა გაუელვა თავში – ჰაერში მოლივლივე კეტი ჭახანით ეცემა ტროლს თავში... ოდნავ გაეღიმა, პერგამენტზე დაიხარა და წერა დაიწყო.

* * *

– აბა, არც ისე ძნელია, არა? – ორი საათის შემდეგ მოუსვენრად იკითხა ჰერმიონმა. საგამოცდო ფურცელი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, – თუმცა, დარწმუნებული არა ვარ, რომ სათანადოდ აღვწერე ყველა გასამხიარულებელი შელოცვა, უბრალოდ, დრო არ მეყო... თქვენ სლოკინის მოსახსნელი შელოცვა ახსენეთ? შემეშინდა, რომ ეს მეტისმეტი იქნებოდა... რაც შეეხება ოცდამესამე საკითხს...

– ჰერმიონ, რაც იყო, იყო. მოდი, რა, ნუღა მივუბრუნდებით ყველა შეკითხვას, პირადად მე ერთხელაც მეყო, – სთხოვა რონმა.

მეხუთეკურსელებმა სხვებთან ერთად ისადილეს (სადილობისას კლუბების მაგიდები ისევ დიდ დარბაზში დააბრუნეს), მერე კი მეზობელ ოთახში გავიდნენ, საიდანაც ზეპირ გამოცდაზე უნდა გამოეძახებინათ. მალე დაიწყო კიდეც პატარ-პატარა ჯგუფებად გამოძახება. ის, ვინც თავის რიგს ელოდებოდა, ხმადაბლა დუდუნებდა შელოცვებს და ჯადოსნური ჯოხის მოძრაობას ამუშავებდა, თან დროდადრო მეზობელს ხან ზურგში, ხანაც თვალში წაჰკრავდა ხოლმე.

ჰერმიონი ენტონი გოლდშტეინთან, გრეგორი გოილთან და დაფნა გრინგლასთან ერთად გამოიძახეს. გამოცდაგავლილები მოსაცდელ ოთახში აღარ ბრუნდებოდნენ, ასე რომ, ჰარიმ და რონმა არ იცოდნენ, რა ბედი ეწია ჰერმიონს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ღირს მაგაზე ნერვიულობა. გახსოვს, შელოცვების ტესტში ასიდან ას თორმეტი ქულა რომ მოაგროვა? – თავი დაიმშვიდა რონმა.

ათი წუთის შემდეგ პროფესორმა ფლიტვიკმა ამოიკითხა:

– პენსი პარკინსონი! პადმა პეტილი! პარვატი პეტილი! ჰარი პოტერი!

– აბა, შენ იცი! – ჩუმად გაამხნევა რონმა.

ჰარი დიდ დარბაზში შევიდა. ისე მაგრად უჭერდა ხელს ჯადოსნურ ჯოხს, ლამის უცახცახებდა.

– პროფესორი ტოფტი თავისუფალია, პოტერ, – დაიწრიპინა კარს უკან მდგარმა ფლიტვიკმა და შორეულ კუთხეში, პატარა მაგიდაზე მიუთითა. იქ ყველაზე მოხუცი, ყველაზე მელოტი გამომცდელი იჯდა. მის შორიახლოს პროფესორი მარჩბენქსი დრაკო მალფოის ცდიდა.

– ესე იგი, თქვენ ხართ პოტერი? – ჰკითხა პროფესორმა ტოფტიმ და ჯერ უწყისს ჩახედა, შემდეგ კი პენსნეს ზემოდან ახედა მისკენ მიმავალ ჰარის, – სწორედ ის სახელგანთქმული პოტერი?

ჰარიმ ცალი თვალი გვერდითა მაგიდისკენ გააპარა და გარკვევით დაინახა, როგორი გამანადგურებელი მზერა შეაგება მალფოიმ. ამასობაში ჭიქა, რომელიც მალფოის ლივლივის შელოცვით ჰაერში აეწია, იატაკზე დავარდა და ნამსხვრევებად იქცა. ჰარიმ თავი ვერ შეიკავა და ჩაიცინა. პროფესორმა ტოფტიმ თბილად გაუღიმა.

– კარგი, – შეეგება ჟღრიალა ბებრული ხმით, – არ ინერვიულოთ. თუ შეიძლება, აიღეთ ეს კვერცხის სადგამი და რამდენიმე მალაყი გააკეთებინეთ.

ჰარის მოეჩვენა, რომ გამოცდა ცუდად არ ჩაუბარებია. ლივლივის შელოცვაც მალფოიზე გაცილებით უკეთ გამოუვიდა. მართალია, ცოტა აურია ზრდისა და ფერის მაგიური ფორმულები, რის გამოც ვირთხა, ნარინჯისფრად რომ უნდა გადაექცია, მაჩვისოდენა გახდა, მაგრამ თვითონვე გამოასწორა შეცდომა და კმაყოფილი იყო იმით, რომ გვერდით ჰერმიონი არ ედგა და გამოცდის შემდეგ ამ ინციდენტზე კომენტარს არ გააკეთებდა. რონს კი მაინც უამბო. თვითონ რონმა თეფში ისე გადააქცია დიდ სოკოდ, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ მოახერხა.

საღამოს დასვენებისთვის არავის ეცალა. ვახშმის შემდეგ საერთო ოთახს მიაშურეს და ხვალინდელი ტრანსფიგურაციის გამოცდისთვის შეუდგნენ მზადებას. როცა ჰარი, ბოლოს და ბოლოს დაწვა, რთული მაგიური ფორმულებისა და დიაგრამებისგან თავბრუ ეხვეოდა.

დილით, წერით გამოცდაზე, ცვლილების შელოცვის განსაზღვრება ვერაფრით გაიხსენა, სამაგიეროდ, სადილის შემდეგ, ზეპირ გამოცდაზე იყოჩაღა. ყოველ შემთხვევაში, მთლიანად გააქრო თავისი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იგუანა, მაშინ როცა მეზობელ მაგიდაზე საწყალმა ჰანა ებოტმა ყველაფერი აურ-დაურია და თავისი ქრცვინი ფლამინგოების მოზრდილ გუნდად გადააქცია. ამის გამო გამოცდები ათი წუთით შეაჩერეს, რათა ყველა ფრინველი დაეჭირათ და დარბაზიდან გაეყვანათ.

ოთხშაბათს ჰერბოლოგიაში ჩააბარეს გამოცდა (თუ არ ჩავთვლით ჩხვლეტია ბალბას კბენას, ჰარისთვის ყველაფერმა შედარებით კარგად ჩაიარა), ხუთშაბათს კი ბნელი ძალებისგან თავდაცვის გამოცდა იყო დანიშნული. აქ ჰარიმ პირველად იგრძნო საკუთარი თავით კმაყოფილება. იოლად უპასუხა ყველა წერით შეკითხვას, ზეპირ გამოცდაზე კი განსაკუთრებული სიამოვნებით გამოიყენა დაცვითი შელოცვები ამბრიჯის თვალწინ, რომელიც კარიდან ცივად ადევნებდა თვალს.

– ბრავო! ბრავო! – წამოიძახა პროფესორმა ტოფტიმ (ამჯერადაც ის ცდიდა), როცა ჰარი მისი თხოვნით, ეფექტურად გაუსწორდა ბოგარტს, – შესანიშნავია! კარგი, ვფიქრობ, საკმარისია, პოტერ... ოღონდ... – ოდნავ წინ გადაიწია, – ჩემი უახლოესი მეგობრის, ტიბერიუს ოგდენისგან გამიგონია, რომ პატრონუსის გამოხმობა შეგიძლიათ... ხომ ვერ გვიჩვენებდით? რა თქმა უნდა, დამატებითი ქულების ფასად...

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი შემართა, ამბრიჯს თვალი თვალში გაუყარა და წარმოიდგინა, რომ სკოლიდან აგდებდნენ:

– ექსპექტო პატრონუმ!

ჯოხის წვერიდან ვერცხლისფერი ხარირემი გამოხტა და დარბაზის მეორე ბოლოსკენ გაჭენდა. საგამოცდო კომისიის წევრებმა თვალი გააყოლეს, ხოლო როცა ირემი ვერცხლისფერ კვამლად იქცა, აღტაცებულმა პროფესორმა ტოფტიმ თავისი ძარღვიანი, დანაოჭებული ხელებით ტაში შემოჰკრა.

– მშვენიერია! ძალიან კარგი, პოტერ, შეგიძლიათ, წახვიდეთ!

ამბრიჯს რომ ჩაუარა, ჰარიმ ისევ პირდაპირ თვალებში შეხედა. დირექტორს ფართო, გომბეშოს პირის კუთხეებში საზიზღარი ღიმილი უთამაშებდა, მაგრამ ჰარის აინუნშიც არ ჩაუგდია. თუ რაღაც სულ ცოტათი მაინც ესმოდა, ცხადი იყო, რომ მას სულ ახლახან დაუწერეს შეფასება „შესანიშნავი“. თუმცა, სულაც არ აპირებდა, თავისი წარმატებით სახალხოდ ეტრაბახა.

პარასკევს ჰარი და რონი ისვენებდნენ, ჰერმიონი კი უძველესი რუნების ისტორიას აბარებდა. რადგან წინ უქმეები ელოდათ, მეგობრებმა დასვენება გადაწყვიტეს. ღია ფანჯარასთან გაშოტილები, მთქნარებ-მთქნარებით თამაშობდნენ ჯადოსნურ ჭადრაკს. ფანჯრიდან ზაფხულის თბილი ნიავი უბერავდა. შორს, ტყის პირზე, ჰაგრიდის ლანდი მოჩანდა – უმცროსკლასელებს უტარებდა გაკვეთილს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი შეეცადა, გამოეცნო, რა არსებებს სწავლობდნენ, და დაასკვნა, რომ გაკვეთილზე სტუმრად ცალრქიანი ცხენები ჰყავდათ, რადგან ბიჭები გოგონებზე უკან იდგნენ. ამ დროს პორტრეტის ხვრელიდან ოთახში ჰერმიონი შემოვიდა. საშინელ გუნებაზე იყო.

– როგორაა საქმე? – მთქნარებით ჰკითხა რონმა და გაიზმორა.

– არასწორად ვთარგმნე „ეჰვაზი“, – თავის თავზე ბრაზობდა ჰერმიონი, – „ამხანაგობას“ ნიშნავს და არა „დაცვას“.

„ეიჰვაზში“ ამერია.

– კარგი რა, – ისევ მთქნარებით შეეპასუხა რონი, – ერთ შეცდომას არა უშავს. შენ მაინც „შესანიშნავს“ მიიღებ.

– მოკეტე! – შეუტია ჰერმიონმა, – ზოგჯერ ერთ შეცდომაზეა დამოკიდებული მთელი გამოცდის ბედი. და კიდევ, ვიღაცამ ამბრიჯს ისევ შეუცურა კაბინეტში ნიფლერი. ვერ გამიგია, როგორ მოახერხეს ახალთახალ კარში... ახლახან კაბინეტს ჩავუარე და ამბრიჯის ღრიალი გავიგონე. ისე გაჰკიოდა, იფიქრებდი, ნიფლერი ფეხის მოჭმას უპირებსო...

– აუ, რა მაგარია! – ერთხმად შესძახეს ჰარიმ და რონმა.

– სულაც არა! – აენთო ჰერმიონი, – თქვენ რა, დაგავიწყდათ? ამბრიჯი ფიქრობს, რომ სულ ჰაგრიდის ოინებია! თუ გააგდებენ, სატირლად გაგვიხდება საქმე!

– ჰაგრიდი ახლა გაკვეთილზეა. ასე რომ, მას ვერაფერს დააბრალებს, – თქვა ჰარიმ და ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი.

– ზოგჯერ შენი გულუბრყვილობა მართლა მაოცებს, ჰარი. შენ რა, გგონია, რომ ამბრიჯს ალიბი სჭირდება? – ჰერმიონი ვერ მშვიდდებოდა. მერე გოგონების საძინებლისკენ წავიდა და ხმაურით მიიჯახუნა კარი.

– საყვარელი გოგონაა, შესანიშნავი ხასიათი აქვს, – წაიბუტბუტა რონმა და თავისი დედოფალი ჰარის ერთ-ერთი მხედრისკენ გასწია.

თითქმის მთელი უქმეები ჰერმიონი ცხვირჩამოშვებული დადიოდა. თუმცა ჰარისა და რონს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ: შაბათისა და კვირის დიდი ნაწილი ორშაბათისთვის დანიშნული შხამ-წამლების გამოცდის სამზადისს მოანდომეს. ყველაზე მეტ უსიამოვნებას ჰარი სწორედ ამ გამოცდისგან ელოდა. დარწმუნებული იყო, რომ მის წარმატებებს აქ დაესმებოდა წერტილი. წერითი დავალება, მართლაც, საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა, „მრავალწვნიანი სასმელის“ შესახებ შეკითხვაზე ჰარიმ მაინც მაქსიმალური ქულები მოაგროვა. მეორე კურსზე თვითონ გასინჯა ეს აკრძალული სასმელი და ამიტომაც დაწვრილებით მოახერხა მისი მოქმედების აღწერა.

სადილის შემდეგ ისიც გაირკვა, რომ არც პრაქტიკული გამოცდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო საშიში – როცა სნეიპი გვერდით არ ედგა, ქვაბთან გაცილებით თავისუფლად გრძნობდა თავს. ჰარისთან სულ ახლოს მჯდარი ნევილიც ბევრად უფრო მხიარულად გამოიყურებოდა, ვიდრე შხამწამლების გაკვეთილებზე. როცა პროფესორმა მარჩბენქსმა გამოაცხადა, გთხოვთ, მოშორდეთ ქვაბებს, თქვენი დრო ამოიწურაო, ჰარიმ, თითქმის დარწმუნებულმა, რომ ჩაჭრას მაინც გადაურჩა, ნიმუშს საცობი მოარგო.

– მხოლოდ ოთხი გამოცდა დაგვრჩა, – დაღლილი ხმით თქვა პარვატი პეტილმა, როცა გრიფინდორის საერთო ოთახისკენ გასწიეს.

– მხოლოდ! – გამოაჯავრა ჰერმიონმა, – არითმანტია ჯერ არ ჩაგვიბარებია. ამაზე ძნელი კი, ალბათ, არაფერია!

ყველას ეყო ჭკუა, არ შეპასუხებოდა. ასე რომ, ჰერმიონმა ვერავიზე ვეღარ გადმოანთხია რისხვა და იმითღა დაკმაყოფილდა, რომ პირველკურსელებს გაუჯავრდა ხმამაღალი ხითხითისთვის.

სამშაბათს ჯადოსნური არსებების მოვლაში ჰქონდათ გამოცდა. ჰარის ძალიან უნდოდა, რაც შეიძლება, კარგად ჩაებარებინა, რათა ჰაგრიდისთვის რისხვა აეცილებინა. პრაქტიკული გამოცდა მწვანე მდელოზე, აკრძალული ტყის პირას მოეწყო. მოსწავლეებს ჩვეულებრივ ზღარბებს შორის ნარლის ამოცნობა დაევალათ. სწორი მეთოდი რძის შეთავაზება იყო. ნარლები, რომელთა ნემსებს ბევრი ჯადოსნური თვისება აქვს, მეტისმეტად ეჭვიანი არსებები არიან. რძის შეთავაზებისას ცოფდებიან, რადგან ჰგონიათ, რომ მოწამვლას უპირებენ, ზღარბები კი მაშინვე იწყებენ რძის ხვრეპას; გარდა ამისა, უნდა ეჩვენებინათ, როგორ უნდა მოექცნენ ტყისკაცუნებს; გამოეკვებათ და გაესუფთავებინათ ცეცხლაკუდა, თანაც ისე, რომ სერიოზული დამწვრობა თავიდან აეცილებინათ; და ბოლოს, უამრავი საკვებიდან ისეთი უნდა შეერჩიათ, რომელიც ზიანს არ მიაყენებდა ავადმყოფ ცალრქიან ცხენს.

ჰარიმ შეამჩნია, როგორი აღელვებული აკვირდებოდა მათ თავისი ქოხის ფანჯრიდან ჰაგრიდი. როცა გამომცდელმა, სიმპათიურმა პუტკუნა ჯადოქარმა გაუღიმა და უთხრა, რომ თავისუფალი იყო, ჰარიმ შეუმჩნევლად უჩვენა ჰაგრიდს ცერი, მერე კი ციხე-კოშკისკენ გაემართა.

წერითმა გამოცდამ ასტრონომიაში ოთხშაბათ დილას უსიამოვნო სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. ჰარი დარწმუნებული არ იყო, რომ სწორად დაასახელა იუპიტერის ყველა თანამგზავრი, თუმცა, დანამდვილებით იცოდა, რომ თაგვები არც ერთ მათგანზე არ ცხოვრობდნენ. პრაქტიკული ასტრონომია საღამოს დანიშნეს, სადილის შემდგომი დრო კი მისნობას დაეთმო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ დიდი ხნის წინათ დაკარგა ამ მეცნიერების ათვისების იმედი და ახლა ადვილად მიხვდა, რომ ძალიან ცუდად ჩააბარა გამოცდა. მისთვის უფრო იოლი იყო მოძრავი სურათების დანახვა ცარიელ მაგიდაზე, ვიდრე მაგიურ კრისტალში, რომელიც ჯიუტად გამჭვირვალე რჩებოდა. სულ დაიბნა ჩაის ფოთლით მკითხაობისას და განაცხადა, რომ პროფესორი მარჩბენქსი მალე შეხვდება სქელ, მუქკანიან და ერთიანად გალუმპულ უცნობს; ამის შემდეგ პროფესორის ხელზე ერთმანეთში აერია სიცოცხლისა და გონების ხაზები და უთხრა, რომ გასულ სამშაბათს უნდა მომკვდარიყო.

– რას იზამ, აქ ნამდვილად უნდა ჩავფლავებულიყავით, – თქვა წარბშეკრულმა რონმა, როცა მარმარილოს კიბეს მიუყვებოდნენ. რონმა ისიც უამბო, თუ როგორ დაწვრილებით აღწერა ცხვირზე მეჭეჭდასკუპებული საშინელი კაცის გარეგნობა, რომელიც მის მაგიურ კრისტალში გამოჩნდა, მერე კი თავი ასწია და აღმოაჩინა, რომ ეს მისი გამომცდელის ანარეკლი იყო. მისმა ნაამბობმა ჰარის გუნება გამოუკეთა.

– სულ ტყუილად ავირჩიეთ ეს იდიოტური საგანი, – თქვა ჰარიმ.

– სამაგიეროდ, ახლა შეგვიძლია, მასზე საბოლოოდ ვთქვათ უარი.

– ჰო, – დაეთანხმა ჰარი, – აღარ დაგვჭირდება თავის მოჩვენება, თითქოს ძალიან გვაღელვებს, რა მოხდება, თუ იუპიტერი და ურანი მეტისმეტად მიუახლოვდებიან ერთმანეთს.

– მე კი ყურსაც არ შევიბერტყავ, თუ ჩემს ფინჯანში ჩაის ფოთლებით დაიწერება: „რონ, შენ მალე მოკვდები“! უბრალოდ, ავიღებ და ნაგვის ყუთში მოვისვრი, ასე მოუხდებათ!

ჰარიმ გაიცინა. სწორედ ამ დროს დაეწია მათ ჰერმიონი და ჰარი მაშინვე გაჩუმდა, უფრო არ გავაღიზიანოო.

– მგონი, არითმანტია ნორმალურად ჩავაბარე, – თქვა ჰერმიონმა და ორივემ შვებით ამოისუნთქა, – ახლა შეგვიძლია, ვახშმობამდე სწრაფად გადავათვალიეროთ ვარსკვლავური რუკები...

თერთმეტ საათზე ობსერვატორიაში რომ ავიდნენ, დარწმუნდნენ, რომ ვარსკვლავებზე დაკვირვებისთვის იდეალური ღამე იყო – წყნარი და ულრუბლო. ციხე-კოშკის შემოგარენი მთვარის ვერცხლისფერ შუქში გახვეულიყო და ირგვლივ მაცოცხლებელი, გრილი და სასიამოვნო ჰაერი ტრიალებდა. ტელესკოპები მომართეს და, პროფესორ მარჩბენქსის ნიშანზე, ცარიელი რუკების შევსება დაიწყეს.

პროფესორები – მარჩბენქსი და ტოფტი მათ შორის მიმოდიოდნენ და აკვირდებოდნენ, როგორ განსაზღვრავდნენ მოსწავლეები ტელესკოპში შემჩნეული ვარსკვლავებისა და პლანეტების ზუსტ კოორდინატებს. საჩუმეს მხოლოდ რუკების შრიალი, ტელესკოპის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემთხვევითი ჭრიალი და პერგამენტზე უამრავი კალმის წრიპინი არღვევდა. გავიდა ნახევარი საათი, მერე – საათიც, და მიწაზე არეკლილი სინათლის ოქროსფერი პატარა კვადრატები ერთიმეორის მიყოლებით ჩაქრა – ციხე-კოშკში სინათლე ჩააქრეს.

როცა ჰარიმ რუკაზე გადაიტანა ორიონის თანავარსკვლავედი, ციხე-კოშკის მთავარი შესასვლელი სწორედ იმ მოაჯირის ქვეშ გაიღო, სადაც ის იდგა. ქვის კიბესა და მდელოზე სინათლე დაიღვარა და ჰარიმაც ტელესკოპი იქით მიმართა. სანამ კარი ისევ დაიხურებოდა და ირგვლივ ისევ სიბნელე გამეფდებოდა, გაჩახჩახებულ მდელოზე ვიღაცეების დაგრძელებული ჩრდილები შენიშნა, სულ ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ.

ჰარი ისევ აეკრა ოკულარს და ტელესკოპი გამართა – ახლა ვენერას აკვირდებოდა. ძირს რომ დაიხედა რუკაზე პლანეტის გადასატანად, მზერა ქვევით გაექცა და მდელოზე მოძრავი ფიგურები შენიშნა. ჩრდილები უმოძრაოდ რომ ყოფილიყვნენ, ჰარი სიბნელეში ვერც ვერავის გაარჩევდა. მაგრამ მთვარის შუქზე ამ სიშორიდანაც კი მშვენივრად იცნო ხუთ კაცთან ერთად ჰაგრიდის ქოხისკენ მიმავალი ამბრიჯი.

ვერ მიმხვდარიყო, რაში დასჭირდა ამბრიჯს შუაღამისას სასეირნოდ გასვლა. ამ დროს ჰარის უკან ვიღაცამ ჩაახველა და მაშინვე გაახსენდა, რომ გამოცდაზე იყო. უკვე დავიწყებოდა ვენერას კოორდინატები. სასწრაფოდ ეცა ტელესკოპს, ვენერა მოძებნა და როცა რუკაზე ისევ დააპირა კოორდინატების გადატანა, სადღაც შორიდან კაკუნი მოესმა, რომელიც ექოდ გახმიანდა სკოლის დაცარიელებულ ტერიტორიაზე. ამ ხმას მაშინვე ძაღლის მოგუდული ყეფა მოჰყვა.

თავი ასწია. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჰაგრიდის ქოხის ფანჯრებში სინათლე ენთო და მის ფონზე მდელოზე მიმავალი ადამიანების სილუეტები იკვეთებოდა.

ქოხის კარი გაიღო და ნათლად დაინახა, როგორ გადააბიჯა ზღურბლს ექვსმა ლანდმა. მერე კარი ისევ დაიხურა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ჰარის გული მოეწურა. უნდოდა, შებრუნებულიყო და შეემოწმებინა, შეამჩნიეს თუ არა რამე რონმა და ჰერმიონმა, მაგრამ უკნიდან პროფესორი მარჩბენქსი წამოადგა თავს და ჰარი სასწრაფოდ დაიხარა რუკისკენ, ცალი თვალი კი ისევ ჰაგრიდის ქოხისკენ ეჭირა. უმოძრაოდ იჯდა, ეშინოდა, გამომცდელებმა არ იფიქრონ, რომ სხვის ნამუშევარში ვიჭყიტებიო. ქოხში შესული ადამიანები დროდადრო გაკრთებოდნენ ხოლმე ფანჯრებში. ჰარი ისევ ტელესკოპს მიუბრუნ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და და მთვარეს მიაჩერდა. არადა, მთვარის მდებარეობა, სულ ცოტა, ერთი საათის წინ გაარკვია. გრძნობდა, როგორ უხვრეტდა მზერით კეფას პროფესორი მარჩბენქსი. მაგრამ როგორც კი პროფესორი მის მაგიდას მოშორდა, შორეული ქოხიდან ისეთი ღრიალი მოისმა, რომ ობსერვატორიის მაღალ კოშკსაც კი მისწვდა. ჰარის რამდენიმე მეზობელი ტელესკოპს მოსწყდა და სიბნელეში ჰაგრიდის ქოხის მიაშტერდა.

– მეგობრებო, გთხოვთ, ყურადღებით იყოთ, – პროფესორმა ტოფ-ტიმ თბილად გააფრთხილა ბავშვები.

მოსწავლეების დიდი ნაწილი ტელესკოპებს დაუბრუნდა. ჰარიმ მარცხნივ გაიხედა – ჰერმიონიც ჰაგრიდის ქოხისკენ იყურებოდა.

– ჰმ... დარჩა ოცი წუთი, – შეახსენა პროფესორმა ტოფტიმ.

ჰერმიონი გამოფხიზლდა და მაშინვე თავისი რუკისკენ დაიხარა. ჰარიმ თავისას დახედა და აღმოაჩინა, რომ შეცდომით მარსისთვის ვენერა ეწოდებინა. სასწრაფოდ შეუდგა შეცდომის გასწორებას.

ქვემოთ რაღაცამ დაიბრახუნა. რამდენიმე მოსწავლე შეკრთა და – ვაიო! – წამოიძახეს, როცა თვალით ტელესკოპს შეეჯახნენ.

ქოხის კარი გაიღო, იქიდან სინათლის ნაკადი გამოვარდა და ბავშ-ვებმა გარკვევით დაინახეს, როგორ იქნევდა მუშტებს ჰაგრიდი, ირგვლივ კი ექვსი კაცი ეხვია და მისკენ მიმართული წითელი სხივე-ბით თუ ვიმსჯელებთ, დამარეტიანებელი შელოცვით ცდილობდნენ მის წაქცევას.

– არამზადები! – იყვირა ჰერმიონმა.

– აბა, აბა, ძვირფასო! – აღშფოთდა პროფესორი ტოფტი, – გამოცდაზე ხართ!

მაგრამ ვარსკვლავების რუკებს ყურადღებას უკვე აღარავინ აქცევდა. წითელი სინათლის სხივები ისევ დაბორიალობდნენ ქოხ-თან, მაგრამ ჰაგრიდი როგორღაც ისხლეტდა მათ. ის ისევ გამარ-თული იდგა და თავდამსხმელებს იგერიებდა. ყვირილი და კვნესა სკოლის მთელ ტერიტორიაზე ისმოდა. ვიღაცამ დაიძახა: „ცოტა გონივრულად მოიქეცით, ჰაგრიდ!“

– კიდევ რა გინდა, დოულიშ! ასე უბრალოდ ვერ დაგნებდებით! – დაიღრიალა პასუხად ჰაგრიდმა.

ჰარი ფენგის ერთი ბეწო სილუეტს ხედავდა, რომელიც გარშემორ-ტყმული ჯადოქრებისგან პატრონის დაცვას ცდილობდა, მაგრამ სულ მალე შელოცვა ესროლეს და გაშეშებული დაეცა ძირს. გამ-წარებულმა ჰაგრიდმა ერთი დაიღრიალა, დამნაშავეს ხელი სტაცა და მოისროლა; იმან კარგა მანძილზე იფრინა, მიწას დაასკდა და აღარც ამდგარა. ჰერმიონმა – ვაიო, – და პირზე მიიფარა ხელი. ჰარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონისკენ შებრუნდა. ისიც შეშინებული ჩანდა. აქამდე არც ერთს არ ენახა მართლა გაბრაზებული ჰაგრიდი.

– შეხედეთ! – დაიწრიპინა პარვატიმ, მოაჯირს დაეყრდნო და ხელი ციხე-კოშკის მთავარი შესასვლელისკენ გაიშვირა. კარი კვლავ გაიღო, ჩაბნელებულ მდელო ისევ განათდა და ჰაგრიდის ქოხისკენ კიდევ ერთი მაღალი ფიგურა წავიდა.

– რა უმსგავსობაა! – შესძახა აღელვებულმა პროფესორმა ტოფ-ტიმ, – სულ თექვსმეტი წუთიღა დარჩა!

მაგრამ ბავშვებმა ყური არ ათხოვეს მის შეძახილს. ყველა ამ ამბის ახალ მონაწილეს უყურებდა, რომელიც მთელი სისწრაფით მიქროდა ბრძოლის ველისკენ.

– როგორ ბედავთ! – დაიყვირა ამ ადამიანმა, – როგორ ბედავთ!

– ეს მაკგონაგელია! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– თავი დაანებეთ! ახლავე! – გაისმა სიბნელეში მაკგონაგელის ხმა, – რა უფლებით ესხმით თავს? არაფერი ჩაუდენია, რაც იმის საბაბად...

ჰერმიონი, პარვატი და ლევენდერი ერთხმად აკივლდნენ, როცა ქოხთან შეკრებილებმა მათი კლუბის ხელმძღვანელისკენ სულ ცოტა, ოთხი დამარეტიანებელი შელოცვა გაგზავნეს. ქოხისკენ მიმავალ მაკგონაგელს წითელი სხივები ეძგერა. წამით მისი სხეული შიგნი-დან წითლად განათდა, მერე პროფესორი გულაღმა დაეცა და აღარ განძრეულა.

– ღმერთო ჩემო! – დაიძახა პროფესორმა ტოფტიმ. როგორც ჩანს, მასაც დაავიწყდა გამოცდა, – ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე! ეს აღმაშფოთებელია!

– ლაჩრებო! – დაიღრიალა ჰაგრიდმა. მისი სიტყვები აქ, მაღალ კოშკშიც, კარგად ისმოდა. ციხე-კოშკში კიდევ რამდენიმე ფანჯარა განათდა, – საცოდავო ლაჩრებო! აი, თქვენ! აი, მიიღეთ!

– ოჰ, ღმერთო! – ამოიკვნესა ჰერმიონმა.

ჰაგრიდმა მასთან ახლოს მდგომი ორი მოწინააღმდეგე ძლიერი დარტყმებით დასცა ძირს. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ დაენარცხნენ მიწას, აშკარად გათიშულები იყვნენ. ჰარიმ დაინახა, როგორ მოიკაკვა ჰაგრიდი და გაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს, შელ-ოცვებით დაამარცხესო. მაგრამ შეცდა: წამის შემდეგ ჰაგრიდი ისევ გაიმართა. ახლა ზურგზე რაღაც ტომრის მსგავსი ჰქონდა მოგდე-ბული. ჰარი მიხვდა, რომ ეს ფენგი იყო.

– დაიჭირეთ! დაიჭირეთ! – გაჰკიოდა ამბრიჯი. მაგრამ მისი თანაშ-ემწე მაინცდამაინც არ ჩქარობდა ჰაგრიდის მუშტების გაცნობას. პირიქით, ისე სწრაფად იხევდა უკან, რომ ფეხი წამოჰკრა უგონოდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაშოტილ ამხანაგს და დაეცა. ჰაგრიდი შებრუნდა და ზურგზე მოკიდებულ ფენგთან ერთად გაიქცა. ამბრიჯმა კიდევ ერთი დამარეტიანებელი შელოცვა სტყორცნა, მაგრამ ააცილა და ჰაგრიდი სიბნელეში გაუჩინარდა.

ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე, რომელიც მთელ წუთს გაგრძელდა. თავზარდაცემულ მოსწავლეებს თვალი ვერ მოეშორებინათ სიბნელისთვის. მერე პროფესორ ტოფტის სუსტი ხმა გაისმა:

– ე-ე... გთხოვთ, კიდევ ხუთი წუთი გაქვთ.

იმის მიუხედავად, რომ ჰარის რუკის სულ ორი მესამედი ჰქონდა შევსებული, გამოცდის დასრულებამდე გული ვეღარაფერს დაუდო. დარჩენილი ხუთი წუთიც გავიდა თუ არა, ბავშვებმა ტელესკოპებს ბუდეები ჩამოაფხატეს და სპირალისებურ კიბეზე დაეშვნენ. არავინ ფიქრობდა დასაძინებლად წასვლას – კიბის ძირში იმ ამბებს არჩევდნენ, რომელთა მოწმენიც ათი წუთის წინ გახდნენ.

– რა უმსგავსობაა! – ჰერმიონი ისე იყო გაბრაზებული, რომ ენას ძლივს იმორჩილებდა, – შუაღამისას მიუცვივდნენ კაცს!

– როგორც ჩანს, ამბრიჯს ამჯერად სცენების გარეშე უნდოდა იოლად გასვლა, გახსოვთ ტრელოუნი? – მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა ერნი მაკმილანმა.

– რა ყოჩაღი ყოფილა ჰაგრიდი! – რონს გამომეტყველება უფრო შეშფოთებული ჰქონდა, ვიდრე აღტაცებული, – ნეტა როგორ ისხლეტდა შელოცვებს?

– ალბათ, გოლიათის სისხლმა უშველა, – აკანკალებული ხმით თქვა ჰერმიონმა, – საერთოდ, გოლიათების შელოცვით დარეტიანება ძალიან ძნელია. ისინი ტროლებივით შეუღწევადები არიან... მაგრამ, საწყალი მაკგონაგელი... ოთხი დამარეტიანებელი წყევლა პირდაპირ მკერდში, ახალგაზრდა ხომ აღარ არის!

– საშინელებაა, საშინელება, – აჰყვა ერნი თავის გაქნევით, – კარგი, მე დასაძინებლად მივდივარ. აბა, კარგად!

ბავშვები ნელ-ნელა იშლებოდნენ, თან დანახულსა და გაგონილზე მსჯელობდნენ.

– ყოველ შემთხვევაში, ჰაგრიდის აზკაბანში ჩასმა ვერ მოახერხეს, – თქვა რონმა, – ალბათ, დამბლდორთან გაემგზავრა. თქვენ რას ფიქრობთ?

– ალბათ, – დაეთანხმა ჰერმიონი. ცოტაც და, ატირდებოდა, – რა საშინელებაა! იმედი მქონდა, რომ დამბლდორი მალე დაბრუნდებოდა, ამის მაგივრად კი ჰაგრიდიც დავკარგეთ!

გრიფინდორის საერთო ოთახისკენ წალასლასდნენ. იქ ისეთი ამბავი იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. მეტყევის ქოხთან ატეხილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმაურმა რამდენიმე კაცი გააღვიძა, იმათ კი მეგობრები წამოყარეს ფეხზე. სიმუსი და დინი, რომლებმაც ჰარის, რონსა და ჰერმიონს საერთო ოთახში შესვლა დაასწრეს, უკვე ყვებოდნენ იმაზე, რაც ობსერვატორიიდან დაინახეს და გაიგონეს.

– მაგრამ რაში სჭირდება ჰაგრიდის გაგდება? – თავის ქნევით იკითხა ანჯელინა ჯონსონმა, – ის ხომ ტრელოუნი არ არის – წლეულს გაცილებით უკეთეს გაკვეთილებს ატარებდა, ვიდრე ოდესმე!

– ამბრიჯი ვერ იტანს ნახევრად ადამიანებს, – ნაღვლიანად თქვა ჰერმიონმა და სავარძელში ჩაჯდა, – უკვე დიდი ხანია, მის გაგდებას ცდილობს.

– და კიდევ, ეჭვი ჰქონდა, რომ კაბინეტში ჰაგრიდი უგზავნიდა ნიფლერებს, – სიტყვა შეაწია ქეითი ბელმა.

– ფუ შენი... – შეიგინა ლი ჯორდანმა და მაშინვე პირზე აიფარა ხელი, – იმ ნიფლერებს ხომ მე ვუტენიდი. ფრედმა და ჯორჯმა რამდენიმე ცალი დამიტოვეს. ჰოდა, მეც ლივლივის საშუალებით ფანჯრიდან შემყავდა.

– სულერთია, მაინც გააგდებდა, – თქვა დინმა, – ჰაგრიდი დამბლდორის უახლოესი მეგობარი იყო.

– რაც მართალია, მართალია, – თქვა ჰარიმ და ჰერმიონის პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა.

– იმედია, პროფესორი მაკგონაგელი სერიოზულად არ დაშავებულა, – ლამის ტირილით თქვა ლევენდერმა.

– ციხე-კოშკში მოიყვანეს, საძინებლის ფანჯრიდან დავინახეთ, – თქვა კოლინ ქრივმა, – მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა.

– მადამ პომფრი გამოაჯანმრთელებს, – დარწმუნებით თქვა ალისია სპინეტმა, – მშვენიერი მკურნალია.

საერთო ოთახი მხოლოდ დილის ოთხი საათისთვის დაცარიელდა. ჰარის ძილი არ ეკარებოდა. სულ თვალწინ ედგა, როგორ გარბოდა ჰაგრიდი. ამბრიჯი რომ ახსენდებოდა, ისე ბრაზდებოდა, რომ შესაფერისი სასჯელი ვერც კი მოეფიქრებინა, თუმცა რონის წინადადებაზე, მოდი, წვინტლით სავსე ორმოში ჩავაგდოთო, სერიოზულად ფიქრობდა. სასტიკ შურისძიებაზე ფიქრებში ჩაეძინა კიდეც და სამი საათის შემდეგ ისე ადგა ლოგინიდან, რომ სულაც არ გრძნობდა თავს დასვენებულად.

ბოლო გამოცდა მაგიის ისტორიაში ნასადილევს იყო დანიშნული. საუზმის შემდეგ ჰარი ისევ სიამოვნებით იწვებოდა ლოგინში, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გაემეორებინა გავლილი მასალა. თავზე ხელებშემოწყობილი მთელი ძალით ცდილობდა გამოფხიზლებას, საერთო ოთახში ფანჯარასთან დაჯდა და ჰერმიონისგან ნათხოვარი კონსპექტების გადათვალიერება დაიწყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შუადღის ორ საათზე მეხუთეკურსელები დიდ დარბაზში

შევიდნენ და ბილეთების გადაბრუნების ნებართვის მოლოდინში ადგილები დაიკავეს. ჰარი გრძნობდა, როგორ საშინლად იყო დაღლილი, მხოლოდ ერთი რამ უნდოდა – ჩქარა დასრულებულიყო ეს ყველაფერი და დასაძინებლად წასულიყო. ხვალ კი რონთან ერთად სტადიონზე წავიდოდა რონის ახალი ცოცხის შესამოწმებლად და თავისუფლებით დატკბებოდა...

– თუ შეიძლება, გადააბრუნეთ ბილეთები, – თქვა პროფესორმა მარჩბენქსმა, – მაშ, ასე, დავიწყეთ!

ჰარი უაზროდ დააშტერდა პირველ საკითხს. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა, რომ არც ერთი სიტყვა არ ესმოდა. სადღაც ზევით, მაღალი ფანჯრის კუთხეში ბუზი მინაზე დაცოცავდა და მისი ბზუილი აზრებს უფანტავდა. ძალიან ნელა, წვალებით, როგორც იქნა, გულისყური მოიკრიბა და პასუხის წერა დაიწყო.

ძალიან უჭირდა სახელების გახსენება, თარიღებიც ერთმანეთში ერეოდა. მეოთხე საკითხი სულ გამოტოვა („როგორ ფიქრობთ, რა გავლენა მოახდინა მეთვრამეტე საუკუნეში გობლინების აჯანყებაზე ჯადოსნური ჯოხების შესახებ მიღებულმა ახალმა კანონმა?") – იმ იმედით, რომ მოგვიანებით დაუბრუნდებოდა ამ საკითხს, თუ, რა თქმა უნდა, დრო დარჩებოდა. გაბედულად შეუტია მეხუთე კითხვას („როგორ დაირღვა საიდუმლოებების შენახვის კანონი 1749 წელს და რა ზომები იქნა მიღებული, რათა აეცილებინათ მისი შემდგომი დარღვევა?"), მაგრამ ეჭვი შეუჩნდა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი დაავიწყდა. ბუნდოვნად სულ გრძნობდა, რომ ამ ისტორიაში როგორღაც ვამპირები იყვნენ გარეული.

მოუთმენლად ელოდა საკითხს, რომელსაც უეჭველად უპასუხებდა და თვალი მეათე შეკითხვაზე შეაჩერა: „აღწერეთ გარემოება, რომელმაც ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის შექმნა გამოიწვია და ახსენით, რატომ განაცხადეს უარი მასში შესვლაზე ლიხტენშტეინის ჯადოქრებმა", – ამას ხომ დღეს დილით კითხულობდა!

წერა დაიწყო. დროდადრო ქვიშის დიდ საათს შეხედავდა ხოლმე. ჰარი პარვატი პეტილის უკან იჯდა. მისი გრძელი შავი თმა სკამის ზურგზე გადმოფენილიყო პირდაპირ ჰარის ცხვირწინ. ორ-სამჯერ ჰარის პარვატის თმაზე ათამაშებული პაწაწკინტელა ოქროსფერი ათინათებისკენ გაექცა თვალი და თავი რამდენჯერმე შეანჯღრია, რომ ყურადღება ისევ საგამოცდო საკითხზე გადაეტანა.

„ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის პირველი პრეზიდენტი პიერ ბონაკორდი იყო, მაგრამ მისი არჩევა გააპროტესტა ლიხტენშტეინის საზოგადოებრიობამ, რადგან..."

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის გარშემო გულმოდგინედ წრიპინებდნენ ბატის ფრთები – ისეთი ხმები ისმოდა, თითქოს დარბაზში ვირთხების ურდოები დარბოდნენ. მზე კეფას უწვავდა. მაინც იმისთანა რა აწყენინა ამ ბონაკორდმა ლიხტენშტეინელ ჯადოქრებს? ჰარის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ეს ყველაფერი ტროლების გარეშე ვერ მოხდებოდა... ისევ უაზროდ დააცქერდა პარვატის თმას. აი, ლეგილიმენცია რომ აეთვისებინა, პარვატის კეფაში პატარა სარკმელს გამოჭრიდა და წაიკითხავდა, როგორ მოახერხეს ტროლებმა შუღლის ჩამოგდება პიერ ბონაკორდსა და ლიხტენშტეინელ ჯადოქრებს შორის!

ჰარიმ თვალები მაგრად დახუჭა და სახე ხელებში ჩამალა. ალისფერი ნათება ქუთუთოებს შიგნით გაქრა და ირგვლივ სიბნელემ და სიცივემ დაისადგურა. ბონაკორდს ტროლებზე ნადირობის აკრძალვა და მათთვის თავისუფლების მინიჭება უნდოდა... მაგრამ ლიხტენშტეინს განსაკუთრებით მთის ბოროტი ტროლები აწუხებდნენ... აჰა, გაახსენდა!

თვალი გაახილა და პერგამენტის დამაბრმავებელი სითეთრისგან თვალები ცრემლებით აევსო. ნელა დაწერა ორი სტრიქონი ტროლებზე. მერე გადახედა ყველაფერს, რის დაწერაც უკვე მოესწრო. ჰო, მის ნაშრომში არც ისე ბევრი ფაქტი და დეტალი იყო. აი, ჰერმიონმა კი, ალბათ, უკვე უამრავი ფურცელი გაავსო...

ისევ დახუჭა თვალები. შეეცადა, წარმოედგინა ეს ფურცლები, შეეცადა, გაეხსენებინა... კონფედერაციის პირველი ყრილობა საფრანგეთში გაიმართა – ჰო, ეს უკვე დაწერა... გობლინები ყრილობაზე გამოცხადდნენ, მაგრამ გააძევეს... ამაზეც დაწერა... ლიხტენშტაინიდან კი არავინაც არ ჩამოვიდა...

„იფიქრე“, – უბრძანა თავის თავს და სახეზე ხელები აიფარა. გარშემო ისევ წრიპინებდნენ ბატის ფრთები, ისევ აწიკწიკებდნენ პასუხებს, ქვიშა კი წვრილ ნაკადად ჩაედინებოდა საათში...

ისევ გრილსა და ბნელ დერეფანში მიდიოდა საიდუმლოებების დეპარტამენტისკენ. მტკიცედ და მიზანდასახულად მიაბიჯებდა. ხანდახან მირბოდა კიდეც, დარწმუნებული იყო, რომ ახლა მაინც მიაღწევდა თავის მიზანს... შავი კარი, როგორც ყოველთვის, ღია დახვდა და ჰარი მრავალკარიან ოთახში აღმოჩნდა.

იატაკი ქვის იყო. მეორე კარისკენ მიიჩქაროდა... კედლებსა და იატაკზე სინათლის ათინათები თამაშობდა, ის უცნაური მექანიკური წიკწიკიც ისმოდა, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო...

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მესამე კართან მიირბინა და ისიც დანარჩენებივით გაიღო...

ისევ ტაძარივით მაღალ, კედლის გასწვრივ ჩარიგებული თაროე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბითა და მინის ბურთულებით სავსე დარბაზში აღმოჩნდა... გული ძალიან ჩქარა უცემდა... როგორც იქნა, იქ შევა, სადაც საჭიროა... ოთხმოცდამეჩვიდმეტე რიგს რომ მიაღწია, მარცხნივ შეუხვია და თაროებს შორის ვიწრო გასასვლელში გავიდა...

შიშისა და მღელვარებისგან ჰარის გული შეეკუმშა. გასასვლელის ბოლოს, იატაკზე, შავი ფიგურა ეგდო და დაჭრილივით იკრუნჩხებოდა.

და უცებ მაღალი, გულგრილი, ყოველგვარ ადამიანურ სითბოს მოკლებული ხმით აღმოხდა:

– აიღე და მომეცი... აიღე-მეთქი... მე ვერ ვწვდები... შენ კი შეგიძლია...

იატაკზე მოკრუნჩხული შავი ფიგურა შეტოკდა. ჰარის თვალწინ გრძელთითებიანი თეთრი ხელი გაჩნდა, ჯადოსნური ჯოხი ეჭირა – ეს მისი ხელი იყო... და ისევ მოესმა ცივი, მკივანა ხმა:

– კრუციო!

იატაკზე გართხმულმა კაცმა ტკივილისგან დაიყვირა, წამოდგომა სცადა, მაგრამ მოიკრუნჩხა და ისევ ძირს დაენარცხა. ჰარი იცინოდა. ჯადოსნური ჯოხი ძლიერად დაიქნია და კაცმა ისევ დაიკვნესა, მაგრამ აღარ განძრეულა.

– ლორდი ვოლდემორი იცდის!

კაცი აკანკალებულ ხელებს დაეყრდნო, ძალიან ნელა ასწია თავი და მხრები. გამხდარი, დასისხლიანებული სახე ტანჯვისგან დამანჭოდა, მაგრამ ზედ დაუმორჩილებლობის გამომეტყველება შეჰყინოდა...

– ჩემი მოკვლა მოგიწევს, – წაიჩურჩულა სირიუსმა.

– ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, – უპასუხა ცივმა ხმამ, – მაგრამ მანამდე შენ მას გადმომცემ, ბლექ... გგონია, უკვე იცი, რა არის ტკივილი? კარგად დაფიქრდი... წინ რამდენიმე გრძელი საათი გვაქვს და შენს ყვირილს ვერავინ გაიგონებს... ის-ის იყო ვოლდემორმა ჯოხი დაუშვა, რომ ვიღაცამ განწირული ხმით იყვირა და მაგიდიდან ცივ იატაკზე დაეცა. დაცემისთანავე ჰარის გაელვიძა, მაგრამ ჯერ ისევ ყვიროდა. ნაიარევი აუტანლად ეწვოდა, საიდუმლოებების დეპარტამენტის ნაცვლად კი ისევ დიდ დარბაზში იმყოფებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მცდამეთორმეტე

ამბრიჭის ხაფანგი

– არ მინდა... არ მინდა საავადმყოფო ფლიგელში... გთხოვთ... – ბუტბუტებდა ჰარი და პროფესორ ტოფტისგან გათავისუფლებას ცდილობდა, რომელსაც უკვე მოესწრო მისი ჰოლში გაყვანა და ახლა შეშფოთებული შესცქეროდა. ირგვლივ ცნობისმოყვარეები შეგროვდნენ.

– მე არაფერი მიშავს... ყველაფერი რიგზეა, სერ, – ენის ბორძიკით იმართლა თავი ჰარიმ და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, – მართლა... უბრალოდ, ჩამეძინა და კოშმარი მესიზმრა...

– ნერვიული დაძაბულობა! – თანაგრძნობით თქვა მოხუცმა ჯადოქარმა და აკანკალებული ხელი მხარზე მოუტყაპუნა, – ხდება, ყმაწვილო, ხდება! ახლა კი – ერთი ყლუპი ცივი წყალი, და დიდ დარბაზში დაბრუნებასაც შეძლებთ. გამოცდა სადაცაა დამთავრდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემას მაინც მოასწრებთ...

– დიახ, – დაბნეულად თქვა ჰარიმ, – უფრო სწორად, არა... მე უკვე... მგონი, ყველაფერი დავწერე, რაც შემეძლო...

– კეთილი, კეთილი, – თბილად მიუგო მოხუცმა ჯადოქარმა, – წავალ, თქვენს ნამუშევარს ავიღებ, თქვენ კი წადით და დაისვენეთ.

– დიახ, სერ, – ენერგიულად დაუქნია თავი ჰარიმ, – დიდი მადლობა!

როგორც კი მოხუცი ჯადოქრის მანტიის კალთები კარს მიეფარა, ჰარიმ მარმარილოს კიბე აირბინა და ისეთი სისწრაფით გაიქცა დერეფნებში, რომ კედლებზე ჩამოკიდებული პორტრეტები უკმაყოფილოდ აბუზღუნდნენ; კიდევ რამდენიმე ნახტომი კიბეზე, და გრიგალივით შეიჭრა საავადმყოფო ფლიგელში. მადამ პომფრიმ შიშით შეჰკივლა.

– ხომ არ შეიშალეთ, პოტერ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აუცილებლად უნდა ვნახო პროფესორი მაკგონაგელი! – ქოშინებდა ჰარი, – ახლავე! ეს საჩქაროა!

– აქ არ არის, პოტერ, – ნაღვლიანად მიუგო მადამ პომფრიმ, – დღეს დილით წმინდა მუნგოს კლინიკაში გადაიყვანეს. ოთხი დამარეტიანებელი წყევლა პირდაპირ მკერდში მოხვდა, თანაც – მის ასაკში! უცნაურია, საერთოდ, ცოცხალი რომ გადარჩა...

– აქ... არ არის? – ჰარი შეძრწუნდა.

კარს იქით ზარი დარეკეს. ზედა და ქვედა სართულების დერეფნებში მოსწავლეების ფეხის ხმა გაისმა. ჰარი კი მადამ პომფრის შეჰყურებდა და ადგილიდან ვერ იძვროდა. საშინელი გრძნობა დაეუფლა.

ისე გამოვიდა, რომ ველარავის ჰკითხავდა რჩევას. დამბლდორი სკოლიდან წავიდა. ჰაგრიდიც. მაგრამ ჰარის ყოველთვის ჰქონდა პროფესორ მაკგონაგელის იმედი. პროფესორი, მართალია, ფიცხი და მკაცრი იყო, მაგრამ ნდობას ყოველთვის იმსახურებდა...

– მესმის, რომ შეძრწუნებული ხართ, პოტერ, – თანაგრძნობით თქვა მადამ პომფრიმ, – აბა, ერთი რომელიმე მათგანს დღისითმზისით გაებედა მინერვა მაკგონაგელთან პირისპირ შებრძოლება! სიმხდალე! აი, რა ჰქვია ამას... უსაზიზღრესი სიმხდალე! მე თქვენი, მოსწავლეების, დარდი რომ არ მქონდეს, პროტესტის ნიშნად, ახლავე დავტოვებდი სკოლას!

– დიახ, – უსიცოცხლოდ დაუდასტურა ჰარიმ. გავიდა ხალხით სავსე დერეფანში და გაჩერდა. გამვლელ-გამომვლელები ეჯახებოდნენ, მაგრამ თვითონ ადგილიდან ვერ იძვროდა. დაბნეული იყო, პანიკამ დარია ხელი, თავბრუ ესხმოდა...

„რონი და ჰერმიონი“, – უკარნახა შინაგანმა ხმამ.

ისევ გაიქცა, ხელის კვრით იშორებდა მოსწავლეებს და ყურადღებას არ აქცევდა უკმაყოფილო შეძახილებს. ორი სართულით ქვევით ჩაირბინა და მარმარილოს კიბის ზედა ბაქანზე დაინახა, რომ რონი და ჰერმიონი მის შესახვედრად მოიჩქაროდნენ.

– ჰარი, – იკივლა შეშინებულმა ჰერმიონმა, – რა მოხდა? რა გჭირს? ავად ხარ?

– სად იყავი? – ჰკითხა რონმა.

– წამოდით, – სასწრაფოდ თქვა ჰარიმ, – წამოდით, რაღაც უნდა გითხრათ.

დერეფანში გაუხვია და პირველსავე ცარიელ საკლასო ოთახში შევარდა. როგორც კი რონმა და ჰერმიონმა ზღურბლს გადააბიჯეს, კარი მიხურა და ზურგით მიეყრდნო.

– ვოლდემორმა სირიუსი შეიპყრო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა?

– შენ საიდან...

– დავინახე. ახლახან. როცა გამოცდაზე დამეძინა.

– მაგრამ... მაგრამ სად? როგორ? – ჰერმიონი შიშისგან გაფითრდა.

– არ ვიცი, როგორ, – თქვა ჰარიმ, – სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, სად. საიდუმლოებების დეპარტამენტში თაროებიანი ოთახია. ამ თაროებზე მინის ბურთულები აწყვია. ვოლდემორი სირიუსთან ერთად ოთხმოცდამეჩვიდმეტე რიგის ბოლოშია... მას უნდა, რომ აიძულოს სირიუსი, იქიდან რაღაც ისეთი აიღოს, რაც ძალიან სჭირდება... აწამებს... დაემუქრა, მოგკლავო!

ჰარიმ იგრძნო, რომ მარტო მუხლები კი არა, ხმაც უკანკალებდა. მერხთან მივიდა და დაჯდა; ცდილობდა, დამშვიდებულიყო.

– იქ როგორ უნდა შევიდეთ? – იკითხა უიმედოდ. ერთხანს ყველა დუმდა. მერე რონმა წაილუღლუღა:

– ს-სად?

– საიდუმლოებების დეპარტამენტში, სირიუსი ხომ უნდა გადავარჩინოთ! – წამოიძახა ჰარიმ.

– მაგრამ... ჰარი... – ძლივძლივობით ამოღერღა რონმა.

– რა?! რა?!

ჰარის ვერ გაეგო, რატომ უყურებდა ორივე ისე, თითქოს რაღაც წარმოუდგენელი ეთქვას.

– ჰარი, – ჰერმიონის ხმაში შიში ჩაბუდებულიყო, – მაგრამ როგორ... როგორ მოახერხა ვოლდემორმა საიდუმლოებების დეპარტამენტში ასე შეუმჩნევლად შეღწევა?

– მე რა ვიცი, – დაიღრინა ჰარიმ, – მთავარია, იქ როგორმე შევაღწიოთ!

– მაგრამ... დაფიქრდი, ჰარი... – ჰერმიონი ახლოს მივიდა, – ახლა ხუთი საათია... მაგიის სამინისტრო ხალხით არის სავსე... ნუთუ ვოლდემორი და სირიუსი ისე შევიდნენ იქ, რომ ვერავინ დაინახა? ჰარი... მათ დაჭერაზე დიდი ჯილდოა დაწესებული... შენ მართლა გგონია, რომ შეუმჩნევლად შევიდნენ აურორებით სავსე შენობაში?

– არ ვიცი, იქნებ ვოლდემორმა უჩინმაჩინის მოსასხამით ან სხვა რამით ისარგებლა! – იყვირა ჰარიმ, – თანაც, მე თვითონ ბევრჯერ ვყოფილვარ საიდუმლოებების დეპარტამენტში და იქ სულიერი არ ჭაჭანებდა!

– შენ იქ არასოდეს ყოფილხარ, ჰარი, – ჩუმად თქვა ჰერმიონმა, – ეს ყველაფერი მხოლოდ გესიზმრებოდა.

– ეს ჩვეულებრივი სიზმრები არ არის! – მიახალა ჰარიმ. წამოდგა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უნდოდა, მხრებში ეტაცა ხელი და ერთი მაგრად შეენჯღრია, – მაშინ როგორ ახსნი იმას, რაც რონის მამას დაემართა? შენი აზრით, საიდან გავიგე?

– ჰარი მართალია, – მშვიდად დაადასტურა რონმა.

– მაგრამ ეს ხომ... ეს ხომ წარმოუდგენელია! – განწირული ხმით წამოიძახა ჰერმიონმა, – ერთი მითხარი, როგორ მოახერხა ვოლდემორმა სირიუსის შეპყრობა, თუ სირიუსი მთელი ამ ხნის განმავლობაში გრიმოს მოედანზე იყო?

– ალბათ, სირიუსმა ვერ გაძლო და ორიოდე წუთით გარეთ გასვლა გადაწყვიტა, – რონი ძალიან ღელავდა, – ალბათ, ყელში ამოუვიდა ამ სახლში ჯდომა, ადგა და...

– მაგრამ რატომ, – ჯიუტად განაგრძობდა ჰერმიონი, – ამიხსენით, რაში სჭირდება ვოლდემორს მაინცდამაინც სირიუსი? უიმისოდ რატომ ვერ პოულობს იარაღსა თუ იმ რაღაცას?

– არ ვიცი. ათასი მიზეზი შეიძლება, არსებობდეს! – დაუღრიალა ჰარიმ, – იქნებ, ვოლდემორს სირიუსის ტანჯვა სიამოვნებს...

– მისმინეთ, აი, რა ვიფიქრე, – ხმას დაუწია რონმა, – სირიუსის ძმა ხომ „სიკვდილის მხვრელი“ იყო? იქნებ მან ჩაუკაკლა სირიუსს იარაღის შექმნის საიდუმლო?

– ჰო-ჰო... დამბლდორმა, ალბათ, ამიტომაც გამოკეტა სირიუსი, – დაასკვნა ჰარიმ.

– მოიცათ! – წამოიძახა ჰერმიონმა, – ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ორივე სისულელეს როშავთ. ჩვენ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ გაგვაჩნია; იმაშიც კი არ ვართ დარწმუნებულები, რომ სირიუსი და ვოლდემორი ნამდვილად იქ არიან...

– ჰერმიონ! ჰარიმ თავისი თვალით ნახა ორივე! – შეუღრინა რონმა.

– კარგი, – თქვა ჰერმიონმა შიშით, მაგრამ მტკიცედ, – ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ...

– რა?

– რომ შენ... მე არ გაკრიტიკებ, ჰარი! მაგრამ შენ, ცოტა არ იყოს... როგორ აგიხსნა... არ გეჩვენება, რომ რაღაც ისეთი ბზიკი გყავს შეჩენილი, რომელიც ერთთავად ვიღაცის გადასარჩენად გიბიძგებს?

ჰარი გაბრაზებული შეაჩერდა.

– რას ბოდავ? რას ნიშნავს „ვიღაცის გადასარჩენად“?

– შენ... ისა... – ჰერმიონს ენა უფრო დაება, თითქოს ეშინოდა იმის თქმისა, რაც გულში ჰქონდა, – აი, მაგალითად... თუნდაც შარშან... ტბაში... ტურნირზე... შენ ხომ ვალდებული არ იყავი... შენგან არავინ ითხოვდა დელაკურის დის გადარჩენას... შენ კი ცოტა... როგორ ვთქვა... თითქოს რაღაცამ გაგიტაცა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი მართლა განრისხდა: როგორ არ რცხვენია ჰერმიონს ამ შემთხვევის შეხსენება?

– გეთანხმები, ეს, შენი მხრიდან, კეთილშობილური საქციელი იყო, – სწრაფად დაამატა ჰერმიონმა. ჰარის სახის გამომეტყველებამ კარგა მაგრად შეაშინა, – ყველა ფიქრობდა, რომ შენ ნამდვილი...

– ძალიან საინტერესოა, – ჰარის ხმა გაებზარა, – მშვენივრად მახსოვს რონის სიტყვები, შენ რა, გმირობა მომინდომეო! ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ?!

– არა, არა, არა! – წამოიძახა ჰერმიონმა, – მაგას არ ვგულისხმობდი!

– აბა, რას გულისხმობდი? ტყუილად ვკარგავთ დროს! – დაიღრიალა ჰარიმ.

– აი, რას... ვოლდემორი გიცნობს, ჰარი! მან ჯინი საიდუმლო ოთახში შენს შესატყუებლად წაიყვანა. ასეთ ეშმაკობებს ხშირად მიმართავს ხოლმე, რადგან იცის, რომ შენ აუცილებლად მიხვალ მისახმარებლად. სირიუსის შემთხვევაშიც ასეა. იქნებ, უბრალოდ, შენი შეტყუება უნდა საიდუმლოებების დეპარტამენტში?

– რა მნიშვნელობა აქვს, ასეა თუ ისე! მაკგონაგელი წმინდა მუნგოს კლინიკაში წაიყვანეს, ჰოგვორტსში არ დარჩა ფენიქსის ორდენის არც ერთი წევრი, რომლისთვისაც შეიძლებოდა, ყველაფერი გვეთქვა. და თუ ჩვენ არ წავალთ მაგიის სამინისტროში, სირიუსი მოკვდება!

– მაგრამ, ჰარი... რა იქნება, თუ შენი სიზმარი... მხოლოდ სიზმარი იყო?

ჰარიმ ისე დაიღმუვლა, რომ შეშინებულმა ჰერმიონმა უკან დაიხია.

– როგორ არ გესმის! – დაუყვირა ჰარიმ, – ეს არც კოშმარებია და არც ჩვეულებრივი სიზმრები! როგორ ფიქრობ, რატომ დავდიოდი ოკლუმენციის გაკვეთილებზე? რატომ უნდოდა დამბლდორს, რომ ასეთი რამეები აღარ დამსიზმრებოდა? იმიტომ, რომ სიზმრები რეალურია, ჰერმიონ! სირიუსი შეიპყრეს, ჩემი თვალით ვნახე! ის ვოლდემორს ჰყავს და ამის შესახებ ჩემ გარდა არავინ იცის. ასე რომ, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია მისი გადარჩენა. შენ თუ მონაწილეობის მიღება არ გსურს, ეგ შენი საქმეა, მაგრამ მე მივდივარ, გასაგებია? თუ მეხსიერება არ მღალატობს, როცა დემენტორებისგან გიცავდი, მაშინ არ წუწუნებდი, რომ ერთთავად ვილაცის საშველად მიმიწევს გული. არც შენ, – მიუბრუნდა რონს, – არც შენ გიწუწუნია, როცა შენს დას ბასილისკოსგან ვიცავდი...

– მე არც ახლა ვწუწუნებ, – ფიცხლად იუარა რონმა.

– მაგრამ ახლა შენ თვითონ თქვი, ჰარი, რომ დამბლდორს უნდოდა, გესწავლა, როგორ დაგეცვა გონება მაგ სიზმრებისგან! – გაცხარდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონი, – როგორც საჭირო იყო, ისე რომ გესწავლა ოკლუმენცია, შენ ვერც კი ნახავდი...

– შენ თუ ფიქრობ, რომ შემიძლია, ისე მოვიქცე, თითქოს არაფერი მინახავს...

– სირიუსიც გეუბნებოდა, საკუთარი გონების დაცვა უნდა ისწავლო, ამაზე მნიშვნელოვანი არაფერიაო!

– იცი, რა! ახლა, ალბათ, სულ სხვა რამეს მეტყოდა. ოთახის კარი გაიღო. რონი და ჰერმიონი იმწამსვე შებრუნდნენ. შემოვიდა ჯინი. უცნაური გამომეტყველება ჰქონდა. უკან ლუნა მოსდევდა. ლუნას, როგორც ყოველთვის, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს აქ შემთხვევით აღმოჩნდაო.

– გამარჯობა, – თქვა ჯინიმ, – ჰარის ხმა გავიგონეთ. რატომ ყვიროდი?

– შენი საქმე არ არის, – მოუჭრა ჰარიმ.

– მე მგონი, ასეთ უხეშობას არ ვიმსახურებ, – წარბი შეიკრა ჯინიმ, – უბრალოდ, მინდოდა, მეკითხა, დახმარება ხომ არ გჭირდება-მეთქი.

– არა, არ მჭირდება, – მიუგო ჰარიმ.

– დღეს რაღაც მეტისმეტად უხეში ხარ, – მშვიდად აღნიშნა ლუნამ.

ჰარი შებრუნდა. ახლა ყველაზე ნაკლებად ლუნა ლავგუდთან საუბარი უნდოდა.

– მოიცათ, – თქვა უცებ ჰერმიონმა, – მოიცათ... ჰარი, მათ მართლა შეუძლიათ დახმარება.

ჰარიმ და რონმა ერთდროულად შეხედეს ჰერმიონს.

– მისმინეთ, – დაჟინებით გაიმეორა, – ჩვენ ხომ იმის გარკვევა გვინდა, არის თუ არა სირიუსი შტაბ-ბინაში!

– ხომ გითხარი, ვნახე-მეთქი...

– გთხოვ, ჰარი, გემუდარები, გთხოვ!.. სანამ ლონდონში წავალთ, მოდი, დავრწმუნდეთ, რომ სირიუსი შინ არ არის. თუ მართლა არ არის, გეფიცები, ხელს აღარ შეგიშლი, შენთან ერთად წამოვალ და ყველაფერს გავაკეთებ მის გადასარჩენად! – შეჰფიცა ჰერმიონმა.

– სირიუსს უკვე აწამებენ! – იყვირა ჰარიმ, – დრო აღარ გვაქვს!

– თუ ვოლდემორი გვატყუებს? არა, ჰარი, აუცილებლად უნდა შევამოწმოთ!

– როგორ? შენი აზრით, როგორ უნდა შევამოწმოთ?!

– კიდევ ერთხელ ვისარგებლოთ ამბრიჯის ბუხრით, – ურჩია ჰერმიონმა, თან ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თვითონვე ეშინოდა თავისი ნათქვამისა, – ისევ უნდა გავიტყუოთ ამბრიჯი. ჯინი და ლუნა მეთვალყურეებად დადგებიან.

ჯინის წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თანხმობის ნიშნად თავი მაინც დააქნია. ლუნამ კი გულუბრყვილოდ იკითხა:

– ვინ არის სირიუსი?

არავინ უპასუხა.

– კარგი, – გაბრაზებული ჰარი ჰერმიონს დაეთანხმა, – თუ მოიფიქრებ, როგორ მოახერხებ ამას ასე ჩქარა, წინააღმდეგი არა ვარ, თუ არადა, ახლავე მივდივარ საიდუმლოებების დეპარტამენტში.

– საიდუმლოებების დეპარტამენტში? – გაუკვირდა ლუნას, – როგორ აპირებ იქ შელწევას?

ჰარიმ არც ახლა ათხოვა ყური ლუნას ნათქვამს.

– კარგი, – ნერვიულად მოიფშვნიტა ხელები და მაგიდებს შორის დაიწყო სიარული ჰერმიონმა, – კარგი... ერთ-ერთმა ამბრიჯი უნდა მოძებნოს და... სადმე შორს გაიტყუოს. შეგვიძლია, ვუთხრათ... რომ პივსმა ისევ რაღაც სისაძაგლე ჩაიფიქრა...

– მე წავალ, – ხელად იკისრა ამის შესრულება რონმა, – ვეტყვი, რომ პივსი ტრანსფიგურაციის კაბინეტს ანადგურებს. ეს კაბინეტი ხომ ამბრიჯის კაბინეტიდან ძალიან შორსაა. ისე, თუ პივსი სადმე გზაში შემხვდა, შემიძლია, დავიყოლიო კიდეც.

ჰერმიონს პროტესტი არ გამოუთქვამს პროფესორ მაკგონაგელის საკლასო ოთახის დარბევაზე, საქმე მეტისმეტად სერიოზული იყო.

– კარგი, – თქვა მან და შუბლშეკრული ისევ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა, – მერე მოსწავლეებიც უნდა გავიტყუოთ მისი კაბინეტიდან, თორემ რომელიმე სლიზერინელი აუცილებლად დაგვაბეზღებს.

– მე და ლუნა დერეფნის ორივე ბოლოში დავდგებით და ყველას გავაფრთხილებთ, რომ იქით არ წავიდნენ, ვითომ ვიღაცამ მხუთავი აირის სატკაცუნო ააფეთქა, – თქვა ჯინიმ და ჰერმიონს შეხედა. ჰერმიონი აშკარად გაოცებული იყო ჯინის სწრაფი აზროვნებით, – ფრედი და ჯორჯი აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს.

– კარგი, – ნება დართო ჰერმიონმა, – მე და შენ კი, ჰარი, უჩინმაჩინის მოსასხამში დავიმალებით და ამბრიჯის კაბინეტში შევალთ, რომ სირიუსს დაელაპარაკო.

– სირიუსი იქ არ არის, ჰერმიონ!

– მინდოდა, მეთქვა, შევამოწმოთ-მეთქი, იქ არის თუ არა. მე გიდარაჯებ, რომ არ გამოგვიჭირონ. ამბრიჯის კაბინეტში მარტო შესვლა არ ღირს: ლიმ, როცა ნიფლერებს უშვებდა, უკვე დაამტკიცა, რომ მისი ფანჯარა არც ისე საიმედო ადგილია.

გაღიზიანებისა და მოუთმენლობის მიუხედავად, ჰარი მადლიერი იყო ჰერმიონისა, რომ მოინდომა, მასთან ერთად წასულიყო ამბრი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯის კაბინეტში. ჰერმიონის მხრიდან ეს ნამდვილად მეგობრული საქციელი იყო.

– მე... კარგი, გმადლობ, – წაიბუტბუტა ჰარიმ.

– მაშ, ასე... და ეს ყველაფერი ხუთ წუთში უნდა მოვასწროთ, – გულზე მოეშვა ჰერმიონს, რადგან ჰარიმ მისი გეგმა მიიღო, – იქ ყოველ წამს შეიძლება, თავზე დაგვადგეს ფილჩი ან ვინმე იმ საზიზღარი საინსპექციო რაზმიდან.

– ხუთი წუთი გვეყოფა, – დაამშვიდა ჰარიმ, – წავედით...

– უკვე? – შეშფოთდა ჰერმიონი.

– რა თქმა უნდა, – გაბრაზდა ჰარი, – აბა, რას გვთავაზობ, ჯერ ვისაუზმოთ? გაიგე, ბოლოს და ბოლოს, სირიუსს აწამებენ!

– მე... კარგი, – განწირული ხმით თქვა ჰერმიონმა, – შენ უჩინმაჩინის მოსასხამი მოიტანე, ამბრიჯის კაბინეტის დერეფანში შევხვდეთ. შევთანხმდით?

ჰარი მაშინვე გავარდა ოთახიდან. ბავშვებით სავსე დერეფნებში ძლივს მიიკვლევდა გზას. ორი სართულით ზემოთ სიმუსი და დინი შეხვდნენ, ხალისიანად მიესალმნენ და შეატყობინეს, რომ გამოცდების დამთავრებასთან დაკავშირებით, საერთო ოთახში ზეიმის მოწყობას აპირებდნენ. ზეიმი, ალბათ, დილამდე გასტანსო. ჰარის არც გაუგონია, რას ეუბნებოდნენ. სანამ ისინი დავობდნენ, რამდენი ბოთლი ბურბურახი ეყიდათ იატაკქვეშა მოვაჭრეებისგან, ჰარი პორტრეტის ხვრელში გაძვრა და უკან რომ ბრუნდებოდა, მაშინლა შეამჩნიეს მისი არყოფნა.

– ორიოდე გალეონს ხომ არ შეელეოდი, ჰარი? ჰაროლდ დინგლმა მიგვანიშნა, რომ ცოტა ცეცხლოვან ვისკის მოგვყიდის...

მაგრამ ჰარი უკვე დერეფანში მიქროდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბოლო კიბეც აირბინა და რონთან, ჰერმიონთან, ჯინისა და ლუნასთან აღმოჩნდა. ყველა უკვე დათქმულ ადგილას ელოდა.

– წავედით, – თქვა ქოშინით, – მზად ხართ?

– ჰო, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა იმის შიშით, რომ არ გაეგონათ მეექვსეკურსელებს, რომლებმაც ჯგუფად ჩაიარეს და ხმამაღლა ყაყანებდნენ, – რონ, ესე იგი, შენ ამბრიჯს გაიტყუებ... ჯინი და ლუნა დერეფანს გაათავისუფლებენ... მე და ჰარი უჩინმაჩინის მოსასხამს წამოვისხამთ და როცა გზა თავისუფალი იქნება, დავიძვრებით...

რონი წავიდა. სანამ დერეფნის ბოლოსკენ მიიკვლევდა გზას, მისი წითური თმა ისევ მოჩანდა. ჯინის არანაკლებ თვალშისაცემი თავი დერეფნის მეორე მხარეს მოსწავლეებს შორის გამოკრთებოდა ხოლმე. მის გვერდით კი ლუნას თეთრი თავი ჩანდა.

– აქეთ, – წასჩურჩულა ჰერმიონმა, ჰარის ხელი მოჰკიდა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვარცხლბეკზე დადგმული შუა საუკუნეების მახინჯი ჯადოქრის მობუტბუტე ბიუსტის უკან, ნიშაში შეიყვანა, – დარწმუნებული ხარ... დარწმუნებული ხარ, რომ კარგად ხარ, ჰარი? ფერი არ გადევს.

– ყველაფერი რიგზეა, – დაამშვიდა ჰარიმ და ჩანთიდან უჩინმაჩინის მოსასხამი ამოიღო. სინამდვილეში ნაიარევი ისევ სტკიოდა. თუმცა, იმაზე ფიქრი უფრო აწუხებდა, რომ შეიძლება, ვოლდემორმა უკვე ესროლა სირიუსს სასიკვდილო წყევლა. მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, როცა ბნელი ბატონი ეივერის კლავდა, ნაიარევი მაშინ უფრო ძლიერად მტკიოდაო...

– მოდი, – წაიჩურჩულა და მოსასხამი გადაიფარა. ორივე გაყუჩდა, გარედან შემოსულ ხმაურს უსმენდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ ბიუსტს, რომელიც გაუთავებლად ბუტბუტებდა ლათინურად.

– იქით არ შეიძლება, – ხმამაღლა აფრთხილებდა ჯინი დერეფნის წინ შეგროვილ მოსწავლეებს, – არა, არა, მაპატიეთ, მაგრამ მბრუნავი კიბის მხრიდან მოუარეთ – ვიღაცამ სულ ახლახან მხუთავი აირი შემოუშვა...

ბავშვები უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა:

– ვერავითარ აირს ვერ ვხედავ.

– ის ხომ უხილავია, – ერთობ დამაჯერებლად გაითამაშა გაღიზიანება ჯინიმ, – მაგრამ თუ ასე გინდა, მიბრძანდი! შემდეგ იდიოტს, რომელიც არ დაგვიჯერებს, შენს უსულო გვამს ვაჩვენებთ.

ბრბო ნელ-ნელა შეთხელდა. მხუთავი აირის ამბავი მთელ სკოლას მოედო. ბოლოს, როცა დერეფანი მთლიანად დაცარიელდა, ჰერმიონმა თქვა:

– მგონი, წასვლის დროა, ჰარი. უკეთეს მომენტს ველარ შევარჩევთ.

უჩინმაჩინის მოსასხამში შემალულები ამბრიჯის კაბინეტისკენ წავიდნენ. დერეფნის ბოლოს ლუნა იდგა. როცა ჯინის ჩაუარეს, ჰერმიონმა უჩურჩულა:

– ყოჩაღ... ნიშნის მიცემა არ დაგავიწყდეს.

– რა ნიშნის? – ჩუმად ჰკითხა ჰარიმ, როცა ამბრიჯის კაბინეტის კარს მიუახლოვდნენ.

– როგორც კი ამბრიჯი გამოჩნდება, ხმამაღლა უნდა წამოიწყონ „მეფეა რონალდ უისლი“.

ჰარიმ სირიუსის დანის წვერი კარის ჭუჭრუტანაში შეყო. საკეტმა დაიჩხაკუნა და კარი გაიღო. კაბინეტში შევიდნენ.

თეფშებზე დამსხდარი საძაგელი კნუტები ჩამავალი მზის თბილ სხივებზე ნებივრობდნენ. თუმცა, ოთახში, ისევე როგორც წინა შემ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თხვევაში, სრული სიჩუმე და სიცარიელე გამეფებულიყო. ჰერმიონმა შვებით ამოისუნთქა.

– მეშინოდა, რომ მეორე ნიფლერის შემდეგ უსაფრთხოების დამატებით ზომებს მიიღებდა.

მოსასხამი გადაიძრეს. ჰერმიონი ფანჯარასთან მივიდა და სკოლის ტერიტორია ფრთხილად მოათვალიერა. ჰარი ბუხარს ეცა, ფლუფხვნილის ჯამი აიღო და ცოტაოდენი ცეცხლში მოაბნია. ბუხარში ზურმუხტისფერი ალი ავარდა. ჰარიმ სწრაფად დაიჩოქა, თავი მოცეკვავე ალში შეყო და დაიძახა:

– გრიმოს მოედანი, თორმეტი!

თავბრუ ისე დაეხვა, თითქოს ატრაქციონების კარუსელიდან ჩამოვარდნილიყოს. მუხლებით კი ისევ კაბინეტის ცივ იატაკზე იდგა. თვალები დახუჭა, ჭვარტლით რომ არ ამოვსებოდა. როცა თავბრუსხვევამ გაუარა, ისევ გაახილა. წინ გრიმოს მოედანზე მდებარე სახლის სამზარეულოს გრძელი მაგიდა იდგა.

ოთახში არავინ იყო. ამას ელოდა, მაგრამ ცარიელი ოთახის დანახვისას მაინც პანიკური შიში დაეუფლა.

– სირიუს! – დაიყვირა, – სირიუს, სად ხარ?

ხმა ექოდ დაირხა სამზარეულოში, მაგრამ არავინ უპასუხა. მხოლოდ ბუხრიდან მარჯვნივ რაღაც აშრიალდა.

– ვინ ხარ? – იკითხა თითქმის დარწმუნებულმა, რომ იქ ჩვეულებრივი თაგვი ფაჩუნობდა.

მერე მის წინ შინაური ელფი, კრეჩერი, გამოიჭიმა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ხელი შეხვეული ჰქონდა (ეტყობა, სულ ახლახან კარგა მაგრად მოხვდა), რაღაცით მეტისმეტად კმაყოფილი ჩანდა.

– ბუხარში ბიჭუნა პოტერის თავია, – აცნობა კრეჩერმა ცარიელ სამზარეულოს, თან უცნაური საზეიმო განწყობილებით მალულად გამოხედა ჰარის, – საინტერესოა, ნეტავ რისთვის გამოგვეცხადა?

– სად არის სირიუსი, კრეჩერ?

შინაურმა ელფმა ყრუდ ჩაიცინა.

– პატრონი შინ არ არის, ჰარი პოტერ.

– სად წავიდა? სად წავიდა, კრეჩერ?

კრეჩერმა პასუხად მხოლოდ ჩაიხითხითა.

– გაფრთხილებ! – დაემუქრა ჰარი, თუმცა, მშვენივრად იცოდა, რომ ელფს ამჯერად ვერაფერს დააკლებდა, – ლუპინი? მრისხანეთვალა? რომელიმე მაინც არის სახლში?

– კრეჩერის გარდა, არავინ! – საზეიმო ხმით განაცხადა ელფმა, ჰარის ზურგი შეაქცია და ნელა წავიდა სამზარეულოს კარისკენ, – ახლა კრეჩერი წავა და დიასახლისთან ილაქლაქებს, – ჰო-ჰო, მას,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდი ხანია, არ ჰქონია ასეთი შესაძლებლობა, პატრონი ახლოსაც არ აკარებდა...

– სად წავიდა სირიუსი? – დაუღრიალა ჰარიმ, – კრეჩერ! საიდუმლოებების დეპარტამენტში წავიდა?

კრეჩერი ადგილზე გაშეშდა. სამზარეულოში ბევრი სკამი იყო და ამ სკამის ფეხებს შორის ჰარი მხოლოდ კრეჩერის მელოტ თავს ხედავდა.

– პატრონი თავის გეგმებს არ უზიარებს კრეჩერს, – მშვიდად გამოაცხადა კრეჩერმა.

– მაგრამ შენ იცი! – დაუყვირა ჰარიმ, – ასე არ არის? შენ იცი. სად არის?

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მერე შინაურმა ელფმა წელანდელზე უფრო გაბედულად ჩაიცინა.

– პატრონი არ დაბრუნდება საიდუმლოებების დეპარტამენტიდან! – ისევ საზეიმოდ განაცხადა, – კრეჩერი და დიასახლისი ისევ მარტო დარჩნენ!

და სასწრაფოდ გაუჩინარდა დერეფანში გამავალ კარს იქით.

– უჰ, შენი...

მაგრამ შეგინება ველარ მოასწრო. საშინელი ტკივილი იგრძნო კეფაში. ჭვარტლის მთელი ღრუბელი შეისუნთქა და ხველა აუტყდა. იგრძნო, რომ ცეცხლიდან სადღაც მიათრევდნენ. უცებ საშინელი სიცხადით დაუდგა თვალწინ პროფესორ ამბრიჯის გაფითრებული ფართო სახე. ამბრიჯს თმაში ჩაევლო მისთვის ხელი და მთელი ძალით ექაჩებოდა.

– შენ ფიქრობ, რომ ორი ნიფლერის შემდეგ კიდევ ერთ საძაგელ წრუწუნას საშუალებას მივცემ, ჩემი ნებართვის გარეშე შევიდეს ჩემს კაბინეტში? სულელო ბიჭო! მეორე ნიფლერის შემოგდების შემდეგ, კარს ქურდების საწინააღმდეგო განსაკუთრებული შელოცვა დავადე! გამოართვით ჯოხი, – უბრძანა ამბრიჯმა ვიღაცას, ვისაც ჰარი ვერ ხედავდა, და მანტიის შიდა ჯიბეში უცხო ხელი ჩაცურდა, – და იმასაც!

ჰარის კართან ჯაჯგურის ხმა მოესმა და მიხვდა, რომ ჰერმიონსაც წაართვეს ჯადოსნური ჯოხი.

– აბა, რას აკეთებთ ჩემს კაბინეტში? – ჰკითხა ამბრიჯმა და ჩაბღუჯული თმით ისე შეანჯღრია, ჰარი კინაღამ წააქცია.

– მე... მე ჩემი „ელვის“ აღება მინდოდა, – დაიხრიალა ჰარიმ.

– მატყუარა! – ისევ შეანჯღრია ამბრიჯმა, – თქვენი ცოცხი მიწისქვეშეთშია და გაძლიერებული დაცვა სდარაჯობს. ეს მშვენივრად იცით, პოტერ. თქვენ ჩემი ბუხრის წინ იდექით და თავი შიგ გქონდათ შეყოფილი. ვის ელაპარაკებოდით?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არავის... – ჰარიმ დასხლტომა სცადა. ამბრიჯს ჰარის ერთი ბღუჯა თმა შერჩა ხელში.

– მატყუარა! – იყვირა ამბრიჯმა და ხელი ჰკრა. ჰარი მაგიდას დაეჯახა. ახლაღა დაინახა, რომ ჰერმიონი მილისენტ ბულსტროდს ჰყავდა კედელთან მიმწყვდეული. მალფოი ფანჯრის რაფას მიყრდნობოდა და ჰარის ჯადოსნურ ჯოხს სიცილით ათამაშებდა ჰაერში.

გარედან სწრაფი ნაბიჯების ხმა მოისმა. ოთახში რამდენიმე ზორბა სლიზერინელი შემოვიდა. თან რონი, ჯინი, ლუნა და, ჰარისდა გასაოცრად, ნევილიც მოიყვანეს. კრაბი ხელებს ისე უჭერდა ნევილს ყელზე, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა, დაეხრჩო. ტყვეებისთვის პირში ჩვარი ჩაეჩურთათ.

– ყველა დავიჭირეთ, – თქვა უორინგტონმა და რონს ოთახის შუაგულისკენ უბიძგა, – ეს კი, – მსხვილი თითით ანიშნა ნევილზე, – იმის დაჭერაში მიშლიდა ხელს, – ჯინიზე უჩვენა, რომელიც ერთ ზორბა გოგოს ჩაებღუჯა, ჯინი კი ცდილობდა, მისთვის როგორმე წიხლი ჩაერტყა. – ასე რომ, ესეც წამოვიყვანეთ.

– შესანიშნავია, შესანიშნავი, – შეაქო ამბრიჯმა, თან ჯინის კლაკვნას უყურებდა, – ვიმედოვნებ, ჰოგვორტსი სულ მალე გათავისუფლდება უისლების მთელი ოჯახისგან!

მალფოიმ ხმამაღლა გაიცინა. თვითკმაყოფილმა ამბრიჯმა ფართოდ გაიღიმა, აუჩქარებლად ჩაბრძანდა ფერადგადასაკრავიან სავარძელში და ყვავილნარში ჩამჯდარი გომბეშოსავით თვალის დაუხამხამებლად მიაჩერდა ტყვეებს.

– მაშ, ასე, პოტერ, – თქვა ბოლოს, – თქვენ ჩემი კაბინეტის წინ მეთვალყურეები დააყენეთ და ჩემს მოსატყუებლად ეს კლოუნი გამოგზავნეთ (მალფოიმ კიდევ უფრო ხმამაღლა გაიცინა), არადა მშვენივრად ვიცოდი, რომ პოლტერგეისტი სულ სხვა რამეს აკეთებდა იმ დროს: მისტერ ფილჩმა ახლახან შემატყობინა, რომ ის შავი საღებავით ღებავდა სკოლის ტელესკოპების ოკულარებს. გამოდის, რომ თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვიღაცასთან დალაპარაკება. იქნებ, ალბუს დამბლდორთან? ან იქნებ იმ ნახევრადადამიან ჰაგრიდთან? ნაკლებსავარაუდოა, რომ მინერვა მაკგონაგელთან გდომებოდათ. როგორც ჩემთვის ცნობილია, მას ჯერ არ შეუძლია საუბარი.

მის ნათქვამზე მალფოიმ და საინსპექციო რაზმის რამდენიმე წევრმა ისევ გაიცინეს. ჰარიმ კი სიძულვილითა და რისხვით აკანკალებულმა შეუღრინა ამბრიჯს:

– თქვენი საქმე არ არის, ვის ველაპარაკებოდი. ამბრიჯს მომჭკნარი სახე ოდნავ დაეძაბა.

– ძალიან კარგი, – თქვა ბოროტად დამტკბარი ხმით, – ძალიან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარგი, პოტერ... მე დანაშაულის საკუთარი ნებით აღიარების შანსი მოგეცით. თქვენ უარი თქვით. ახლა მხოლოდ ერთი – იძულების გზა მრჩება... დრაკო! პროფესორ სნეიპს მოუხმეთ.

მალფოიმ ჰარის ჯადოსნური ჯოხი მანტიის შიდა ჯიბეში შეინახა და სიცილით გავიდა ოთახიდან, მაგრამ ჰარის ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ახლაღა გაახსენდა რაღაც და საკუთარმა სიბრიყვემ გააოცა – როგორ დაავიწყდა? ეგონა, რომ ორდენის ყველა წევრი, ყველა, ვისაც კი სირიუსის გადარჩენაში დახმარება შეეძლო, სკოლიდან წავიდა. თურმე ცდებოდა. ფენიქსის ორდენის ერთი წევრი ისევ ჰოგვორტსში იმყოფებოდა. ეს სნეიპი იყო.

კაბინეტში გამეფებულ სიჩუმეს დროდადრო ჯაჯგურის ხმა და სლიზერინელების ქშენა არღვევდა. ისინი რონსა და დანარჩენებს თავის დახსნის საშუალებას არ აძლევდნენ. რონი უორინგტონის მარწუხებიდან გათავისუფლებას ცდილობდა, ტუჩი გახეთქოდა, სისხლი ამბრიჯის ხალიჩაზე წვეთავდა; ჯინის ერთი სული ჰქონდა, როგორმე ფეხზე ფეხი დაედგა მეექვსეკურსელისთვის, რომელსაც მაგრად ეჭირა ორივე ხელით; გალურჯებული ნევილი კრაბის თათებში ფართხალებდა; ჰერმიონი კი ამაოდ ცდილობდა მილისენტის მოცილებას. მხოლოდ ლუნა იდგა წყნარად სლიზერინელი გოგოს გვერდით და ისე იყურებოდა ფანჯარაში, თითქოს აუტანელ მოწყენილობას შეუპყრიაო. ჰარიმ მზერა ამბრიჯზე გადაიტანა, რომელიც ყურადღებით უთვალთვალებდა. როცა დერეფანში ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა, შეეცადა, რაც შეიძლება, მშვიდი და გულგრილი გამომეტყველება მიეღო. მალფოი ოთახში სნეიპს შემოუძღვა.

– ჩემი ნახვა გსურდათ, დირექტორო? – იკითხა სნეიპმა და საოცრად გულგრილი მზერა მოავლო მოძიძგილავე წყვილებს.

– აჰ, პროფესორო, – გაიღიმა ამბრიჯმა და წამოდგა, – დიახ, მე სიმართლის ელექსირის კიდევ ერთი შუშა მჭირდება. და რაც უფრო სწრაფად მომაწვდით, მით უკეთესი.

– თქვენ ბოლო შუშა მაშინ გამომართვით, როცა პოტერის დაკითხვა გინდოდათ, – ცივად შეხედა სნეიპმა. ცხიმიანი თმა თვალებზე ჩამოშლოდა, – როგორ, სულ დახარჯეთ? თუ არ ვცდები, მე გითხარით, სამი წვეთი საკმარისია-მეთქი.

ამბრიჯი გაწითლდა.

– მაგრამ, ხომ შეგიძლიათ, კიდევ მოიტანოთ? – გაღიზიანებულს ხმა ყოველთვის უფრო ეთაფლებოდა.

– რა თქმა უნდა, – სნეიპმა მოკუმულ ტუჩებში გამოსცრა, – ეს ნაყენი მთვარის მთელი ციკლის განმავლობაში უნდა იდგეს. ასე რომ, თქვენ მას, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ მიიღებთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ერთი თვის შემდეგ? – იკივლა ამბრიჯმა და გომბეშოსავით გაიბერა, – ერთი თვის შემდეგ? მაგრამ მე დღეს მჭირდება, სნეიპ! ახლახან ჩემი ბუხრის წინ პოტერი აღმოვაჩინე, რომელიც დაუდგენელ პირს თუ პირებს ესაუბრებოდა!

– მართლა? – სნეიპმა პირველად გაამჟღავნა ოდნავი ინტერესი იქაურობის მიმართ. შემობრუნდა და ჰარის შეხედა, – რას იზამ, სულაც არ მიკვირს. პოტერი არასოდეს გამოირჩეოდა დისციპლინით.

ჰარი ვერ შეაკრთო მისი ცივი, მუქი თვალების ბურღვამ, მთელი ძალით ცდილობდა, მხოლოდ იმაზე ეფიქრა, რაც სიზმარში ნახა, რათა სნეიპი იძულებული გაეხადა, ეს მის გონებაში წაეკითხა, მიმხვდარიყო...

– მე მისი დაკითხვა მინდა! – იყვირა ამბრიჯმა. სნეიპმა ისევ ამბრიჯის სიბრაზისგან აკანკალებულ სახეზე გადაიტანა მზერა, – მე მინდა, რომ იმ წამლით მომამარაგოთ, რომელიც სიმართლის დადგენაში დამეხმარება!

– უკვე გითხარით, რომ სიმართლის ელექსირი აღარ მაქვს, – მშვიდად მიუგო სნეიპმა, – თუ არ გინდათ, რომ მოწამლოთ პოტერი (სხვათა შორის, გარწმუნებთ, რომ თქვენს ამგვარ განზრახვას დიდი სიხარულით შევხვდებოდი), მაშინ თქვენი დახმარება არ შემიძლია. ზოგიერთი შხამი, სამწუხაროდ, მეტისმეტად სწრაფად მოქმედებს და მსხვერპლს აღიარების დროს არ უტოვებს.

სნეიპმა ისევ ჰარის გადახედა. მან კი ისევ გაუსწორა თვალი და მთელი ძალით შეეცადა, თავისი აზრები სნეიპისთვის უსიტყვოდ გადაეცა.

„ვოლდემორმა სირიუსი შეიპყრო და საიდუმლოებების დეპარტამენტში ჰყავს, – გამწარებული იმეორებდა თავისთვის, – ვოლდემორმა სირიუსი შეიპყრო...“

– მე თქვენ გამოსაცდელ ვადას გინიშნავთ! – იღრიალა ამბრიჯმა და სნეიპმა ისევ მასზე გადაიტანა მზერა, თან ოდნავ ასწია წარბი, – თქვენ განზრახ ამბობთ უარს დახმარებაზე! მე სულ სხვას მოველოდი, რადგან ლუციუს მალფოი ყოველთვის უდიდესი პატივისცემით ლაპარაკობდა თქვენზე! ახლა კი მიბრძანდით ჩემი კაბინეტიდან!

სნეიპმა დამცინავად მოიდრიკა ქედი და კარისკენ შებრუნდა. ჰარი მიხვდა, რომ სირიუსის გადარჩენის უკანასკნელი შანსი ახლა შხამწამლების პროფესორთან ერთად ტოვებდა კაბინეტს.

– მან მაწანწალა შეიპყრო! – იყვირა ჰარიმ, – იქ ჰყავს, სადაც ის არის დამალული!

კარისკენ ხელგაწვდილი სნეიპი ადგილზე გაშეშდა.

– მაწანწალა? – წამოიძახა ამბრიჯმა და ხარბი მზერა ჰარიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სნეიპზე გადაიტანა, – რა მაწანწალა? რა არის იქ დამალული? რას ამბობს, სნეიპ?

სნეიპი შემობრუნდა. სახეზე ისევ არაფერი ეწერა. ჰარიმ ვერ გაიგო, მიხვდა თუ არა სნეიპი მის მინიშნებას, მაგრამ ამბრიჯის თანდასწრებით უფრო ნათლად ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

– წარმოდგენა არა მაქვს, – ცივად მიუგო სნეიპმა, – როცა სისულელეების ლაპარაკი მოგბეზრდებათ, იქნებ შემატყობინოთ, პოტერ. შენ კი, კრაბ, ცოტა შეუშვი ხელი. თუ ლონგბოტომს დაახრჩობ, უამრავი საბუთის შევსება მომიწევს. ეგეც არ იყოს, თუკი ოდესმე მუშაობის დაწყებას გადაწყვეტ, იძულებული გავხდები, შენს დახასიათებაში ამ ფაქტის შესახებ ჩავწერო.

გავიდა და კარი გაიჯახუნა. ჰარი კი წინანდელზე მეტად აფორიაქდა – სნეიპი ხომ მისი უკანასკნელი იმედი იყო. იმედგაცრუებულ ამბრიჯს კი მკერდი უძლური მრისხანებისგან აუდ-ჩაუდიოდა.

– მაშ, კარგი, ძალიან კარგი, – თქვა და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, – შესანიშნავია... არჩევანს არ მიტოვებენ... ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სასკოლო დისციპლინა... ეს სამინისტროს დონეზე უსაფრთხოებას ეხება... დიახ... დიახ...

თითქოს საკუთარი თავის გამართლებას ცდილობდა. ნერვიულად ცქმუტავდა ადგილზე, ჰარის გახედავდა, ჯოხს ხელისგულზე დაიტყაპუნებდა და მძიმედ ქშინავდა. ჯადოსნური ჯოხის გარეშე ჰარი მის წინაშე უსუსურად გრძნობდა თავს.

– თქვენ მე მაიძულებთ, პოტერ... მე ეს არ მინდა, – ამბრიჯი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, – მაგრამ ზოგჯერ მიზანი ამართლებს... დარწმუნებული ვარ, მინისტრი გამიგებს, რადგან სხვა გზა არ მქონდა...

მალფოი ხარბი მოუთმენლობით შესცქეროდა ამბრიჯს.

– კრუციატუსის წყევლა ენას ამოგადგმევინებთ, – ხმადაბლა თქვა ამბრიჯმა.

– არა! – იყვირა ჰერმიონმა, – პროფესორო ამბრიჯ... ეს კანონით არის აკრძალული!

ამბრიჯს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სახეზე საზიზღარი ხარბი აგზნება ეწერა. ამბრიჯმა ჯოხი შემართა.

– მინისტრი არ მოგცემდათ კანონის დარღვევის უფლებას! – იყვირა ჰერმიონმა.

– ამას კორნელიუსი ვერც ვერასდროს შეიტყობს, – თქვა ამბრიჯმა. თითქმის სუნთქვა ეკვროდა, როცა ჯოხს ჰარის სხეულის სხვადასხვა ნაწილს უმიზნებდა, აშკარად ყველაზე სუსტ ადგილს ეძებდა, – მან ხომ აქამდე ვერ გაიგო, რომ შარშან ზაფხულს მე მივუგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზავნე პოტერს დემენტორები, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა, როცა მისი გარიცხვის შესაძლებლობა მიეცა.

– ესე იგი, თქვენ იყავით? – წამოიძახა ჰარიმ, – ეს თქვენ მომიქსიეთ დემენტორები?

– ვიღაცას ხომ უნდა ემოქმედა, – წაიჩურჩულა ამბრიჯმა და ჯადოსნური ჯოხი პირდაპირ ჰარის შუბლს დაუმიზნა, – შენი გაჩუმება ყველას უნდოდა... როგორმე უნდა გაგტეხოდა სახელი... მაგრამ მარტო მე გადავდგი რეალური ნაბიჯი... მართალია, მაშინ თავი დაიძვრინე, პოტერ, მაგრამ დღეს ამას ვერ მოახერხებ... – ღრმად ჩაისუნთქა და შესძახა: – კრუციო...

– არა! – მთელი ხმით იყვირა ჰერმიონმა მილისენტ ბულსტროდის მხარს უკნიდან, – არა... ჰარი... უნდა ვთქვათ!..

– არასოდეს! – იღრიალა ჰარიმ.

– სხვა გზა არ არის, ჰარი, თუ არადა, ძალით ამოგვგლეჯს, მაშ, აბა, რა ვქნათ...

ჰერმიონი მილისენტის ზურგს სახით მიეყრდნო და ჩუმად ატირდა. მილისენტი მაშინვე ზიზღით გაეცალა.

– კეთილი, კეთილი, – გაიხარა ამბრიჯმა, – ბოლოს და ბოლოს, ჩვენი პატარა მის ყოვლისმცოდნისგანაც რაღაც-რაღაცეებს გავიგებთ! აბა, მიდი, საყვარელო!

– ჰე... მი... ონ... არა! – დაიღმუვლა პირში ჩვარჩაჩრილმა რონმა.

ჯინი ისე შეაჩერდა ჰერმიონს, თითქოს პირველად ხედავსო. ჯერ ისევ ახროტინებული ნევილიც თვალს არ აშორებდა. მაგრამ ჰარიმ მაინც შეამჩნია ერთი რამ: მართალია, ჰერმიონი ხელებში სახეჩარგული სასოწარკვეთილი ქვითინებდა, მაგრამ ლოყებზე ცრემლის კვალიც კი არ აჩნდა.

– მე... მაპატიეთ, მე ყველაფერს... – წაიბუტბუტა ჰერმიონმა, – მაგრამ... მე ამას ვერ გავუძლებ...

– სწორია, სწორია, გოგონი! – ამბრიჯმა მხრებში ჩაავლო ხელი, გათავისუფლებულ ფერად სავარძელში ჩაახეთქა და თავზე დაადგა, – აბა? ვის უკავშირდებოდა პოტერი ბუხრის საშუალებით?

– ის... – წამოიტირა სახეზე ხელებაფარებულმა ჰერმიონმა, – ის პროფესორ დამბლდორთან ცდილობდა დაკავშირებას.

რონი თვალებდაჭყეტილი გაშეშდა. ჯინიმ შეწყვიტა წიხლების ქნევა. ლუნაც კი ოდნავ გაკვირვებული ჩანდა. საბედნიეროდ, ამბრიჯისა და მისი ერთგული მსახურების ყურადღება მთლიანად ჰერმიონისკენ იყო მიპყრობილი და ვერავინ შეამჩნია ეს საეჭვო ნიშნები.

– დამბლდორთან? – ხარბად იკითხა ამბრიჯმა, – ესე იგი, თქვენთვის ცნობილია, სად იმყოფება დამბლდორი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა... არა! – ატირდა ჰერმიონი, – ჩვენ „გახვრეტილ კარდალას“ ვამოწმებდით მრუდე ქუჩაზე, „სამ ცოცხსა“ და „ღორის თავსაც“ კი...

– უტვინო გოგო! დამბლდორი ლუდხანაში როგორ დაჯდება, როცა მთელი სამინისტრო ნადირობს მასზე! – დაიყვირა ამბრიჯმა. მისი ჩამომჭკნარი სახის თითოეული ნაოჭიდან იმედგაცრუება გამოსჭვიოდა.

– მაგრამ... ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი უნდა შეგვეტყობინებინა! – ისევ აზლუქუნდა ჰერმიონი, თან სულ უფრო მაგრად იჭერდა ხელისგულებს თვალებზე, მაგრამ ჰარი ხვდებოდა, რომ მაინცდამაინც არ იტანჯებოდა. უბრალოდ, ცრემლების არარსებობის დამალვა უნდოდა.

– აი, თურმე რა! – თქვა ამბრიჯმა მხნეობის ახალი მოზღვავებით, – მაინც, რის თქმა გინდოდათ?

– ჩვენ... ჩვენ გვინდოდა, გვეთქვა, რომ ის მზად... არის!

– რა არის მზად? – დაჟინებით იკითხა ამბრიჯმა, მხრებში ხელები ჩაავლო და შეანჯღრია, – რა? მიპასუხე!

– ია... იარაღი, – ამოღერღა ჰერმიონმა.

– იარაღი? – წამოიძახა ამბრიჯმა. გაოცებისგან თვალები შუბლზე აუცვივდა, – მაშ, თქვენ წინააღმდეგობის გაწევას გეგმავდით? სამინისტროს წინააღმდეგ გინდოდათ იარაღის გამოყენება? რაღა თქმა უნდა, პროფესორ დამბლდორის წაქეზებით?

– დ-დიახ, – აღიარა ჰერმიონმა, – მაგრამ იარაღის გამზადებამდე მოუხდა სკოლიდან წასვლა. ახლა იმის თქმას ვაპირებდით, რომ საქმე ჩვენ მივიყვანეთ ბოლომდე.

– და რა იარაღია ეს? – სწრაფად იკითხა ამბრიჯმა, თან მაგრად უჭერდა კოტიტა თითებს მხრებზე.

– მართალი გითხრათ, თვი-თვითონაც არ ვიცით, – თქვა ჰერმიონმა და ხმამაღლა დაიქსუტუნა, – ჩვენ მხოლოდ იმას ვა-ვაკეთებდით, რასაც პროფესორი დამბლდორი გვე-გვეუბნებოდა!

ამბრიჯი გამარჯვებული გასწორდა წელში.

– წამიყვანე და მიჩვენე იარაღი, – უბრძანა ჰერმიონს.

– არ მინდა, ამათაც ნახონ, – იკივლა ჰერმიონმა და თითებშუა საინსპექციო რაზმის წევრებისკენ გაიხედა.

– შენს ადგილზე, მე პირობებს არ წამოვაყენებდი, – ამბრიჯს ხმა ისევ გაუმკაცრდა.

– კარგი, – კვლავ აზლუქუნდა ჰერმიონი, – კარგი... მაგათაც ნახონ. იმედია, მომავალში თქვენ წინააღმდეგაც გამოიყენებენ! ასე უკეთესიც არის. რაც შეიძლება, მეტ ხალხს დაუძახეთ, რომ მოვიდნენ და ნახონ! მ-მაშინ დამსახურებულად მიიღებთ თ-თქვენსას. მთელმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სკოლამ გ-გაიგოს, სად არის ის და როგორ უნდა ისარგებლონ. მაშინ საკმარისი იქნება, ვინმეს აწყენინოთ, რომ მაშინვე ს-სამაგიეროს გადაგიხდიან!

ამ სიტყვებმა ამბრიჯზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეჭვით შეათვალიერა თავისი მხლებლები. მისი გადმოკარკლული თვალები მალფოიზე შეჩერდა, რომელიც ჯერჯერობით ვერაფერს მიმხვდარიყო და, ბუნებრივია, სახეზე ისევ მოუთმენლობა და სიხარბე ეწერა. ამბრიჯმა კიდევ ცოტა ხანს იფიქრა, მერე კი დედასავით მზრუნველი ტონით განაგრძო:

– კარგი, საყვარელო, კარგი. მარტო მე და შენ ვიქნებით... პოტერიც თან წავიყვანოთ, არა? აბა, წამოდექი.

– პროფესორო, – მიმართა მალფოიმ, – პროფესორო ამბრიჯ, ვფიქრობ, რაზმის წევრებიდან ვინმე აუცილებლად უნდა გამოგყვეთ, რომ მიხედონ...

– მე სამინისტროს მაღალკვალიფიციური მუშაკი ვარ, მალფოი! თქვენი აზრით, მარტო ვერ გავუმკლავდები ჯადოსნური ჯოხების გარეშე დარჩენილ ორ მოზარდს? მიმაჩნია, რომ ეს იარაღი სკოლის მოსწავლეებმა არ უნდა ნახონ. თქვენ აქ ჩემს დაბრუნებამდე დაიცდით და იმაზე იზრუნებთ, რომ ამათგან, – ხელით ანიშნა რონზე, ჯინიზე, ნევილსა და ლუნაზე, – არავინ გაიქცეს.

– კარგი, – მოიღუშა გაწბილებული მალფოი.

– თქვენ ორნი კი წინ წახვალთ და გზას მიჩვენებთ, – ამბრიჯმა ჯადოსნური ჯოხი ჰარისა და ჰერმიონს დაუმიზნა, – აბა, გამიძეხით!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრამეტე

კენტავრები და თესტრალები

ჰარის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ჩაიფიქრა ჰერმიონმა ან ჩაიფიქრა თუ არა რამე საერთოდ. არც ის იცოდა, ახლა სად მიდიოდნენ, მაგრამ ამბრიჯს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეგრძნო ეს. ამიტომ, როცა კაბინეტიდან გავიდნენ და დერეფანს გაუყვნენ, ზუსტად ნახევარი ნაბიჯით ჩამორჩა მეგობარს. ჰერმიონთან დალაპარაკებას ვერ ბედავდა – ამბრიჯი ისე ახლოს მიჰყვებოდათ, რომ მისი არათანაბარი სუნთქვაც კი ესმოდათ.

ჰერმიონს კიბეზე ჩაჰყვნენ და ჰოლში შევიდნენ. დიდი დარბაზის ორფრთიანი კარიდან მხიარული ხმები და დანა-ჩანგლის წკარუნი ისმოდა. ჰარის უცნაურად მოეჩვენა, რომ სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯზე ადამიანები სიამოვნებით ვახშმობდნენ, გამოცდების დამთავრებას ზეიმობდნენ, სადარდებელი კი არაფერი ჰქონდათ...

ჰერმიონი პირდაპირ მუხის მთავარი კარისკენ გაემართა და ქვის კიბეზე დაეშვა. საღამოს გრილი ნიავი ქროდა. მზე უკვე აკრძალული ტყის მიღმა ეშვებოდა და ჰარის, საქმიანად მიმავალი ჰერმიონისა და მათ კვალზე დამდგარი ამბრიჯის ჩრდილები გრძელი შავი მანტიებივით მისრიალებდნენ ბალახზე.

– ჰაგრიდის ქოხშია დამალული, არა? – მოუთმენლად იკითხა ამბრიჯმა.

– რა თქმა უნდა, არა, – გესლიანად უპასუხა ჰერმიონმა, – ჰაგრიდს ხომ შეეძლო, უნებურად აემოქმედებინა.

– ეჭვი არ მეპარება, – ამბრიჯის მღელვარება საზღვარს გადადიოდა, – აუცილებლად აამოქმედებდა ნახევარადამიანი, უტვინო, უჯიშო ვირგლა! – დაამთავრა დახასიათება და გაიცინა.

ჰარიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ ყელში არ სწვდომოდა. საღამოს გრილ ჰაერზე ნაიარევი ტეხდა, მაგრამ ჯერ აუტანლად არ სტკიოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაც იმას ნიშნავდა, რომ ვოლდემორი ჯერ კიდევ არ იყო ჩართული თამაშში.

– მაშინ... სად? – ხმაში ყოყმანი შეეპარა ამბრიჯს, თუმცა მაინც მიჰყვა ტყისკენ მიმავალ ჰერმიონს.

– ბუნებრივია, იქ, – ჰერმიონმა ჩამუქებულ ხეებზე მიუთითა, – თუ დამალვაა, ისეთ ადგილზე უნდა დამალო, რომ ბავშვებმა შემთხვევით ვერ აღმოაჩინონ.

– ჰო, რა თქმა უნდა, – ცოტა შეფიქრიანდა ამბრიჯი, – თავისთავად... კარგი, კარგი... წინ გამიძეხით.

– რადგან ჩვენ წინ მივდივართ, შეიძლება, თქვენი ჯადოსნური ჯოხი მოგვცეთ? – იკითხა ჰარიმ.

– აჰ, არავითარ შემთხვევაში, პოტერ, – დამტკბარი ხმით უთხრა უარი ამბრიჯმა და ჯოხის წვერი ზურგში ატაკა, – ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ სამინისტრო ჩემს სიცოცხლეს უფრო აფასებს, ვიდრე თქვენსას?

როცა ტყის სიგრილეში შევიდნენ, ჰარიმ ჰერმიონისკენ გააპარა მზერა. ტყეში ჯადოსნური ჯოხების გარეშე სიარული უფრო წინდაუხედავი ნაბიჯი იყო, ვიდრე ის, რაც იმ საღამოს მოიმოქმედეს. ჰერმიონმა მხოლოდ სიძულვილით გადახედა ამბრიჯს და მტკიცე ნაბიჯით შევიდა ჭალაში, თან ისე სწრაფად მიდიოდა, რომ ამბრიჯი თავისი მოკლე ფეხებით ძლივს ეწეოდა. ბოლოს მაინც იკითხა:

– კიდევ შორს არის? – მისი მანტია ერთთავად ეკალბარდებს ედებოდა.

– შორს არის, – უპასუხა ჰერმიონმა, – ძალიან კარგად არის დამალული.

ჰარი უკვე მართლა შეშფოთდა. ჰერმიონმა გრაუპისკენ მიმავალ ბილიკს გვერდი აუარა და იმ ბილიკს დაადგა, რომელმაც სამი წლის წინათ ჰარი ურჩხულ ობობა არაგოგის ბუნაგთან მიიყვანა. მაშინ ჰერმიონი მასთან ერთად არ იყო და, ალბათ, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა საშიშროება ელოდათ გზის ბოლოს.

– მ-მ... დარწმუნებული ხარ, რომ სწორად მივდივართ? – მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა ჰერმიონს.

– ჰო, დარწმუნებული ვარ, – ფოლადის ხმით უპასუხა ჰერმიონმა და ხმაურით გაძვრა ბუჩქებში. უკან მიმავალმა ამბრიჯმა ხეს ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. ჰარი და ჰერმიონი მისაშველებლად არც კი შეჩერებულან. ჰერმიონი ნაბიჯის შეუნელებლად მიტრიალდა და მთელი ხმით იყვირა:

– უფრო ღრმად უნდა შევიდეთ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰერმიონ, ცოტა ჩუმად, – წაიბუტბუტა ჰარიმ, თან ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა, – შეიძლება, ისეთმა ვინმემ გაიგონოს...

– სწორედ ეგ მინდა, რომ გაიგონონ, – გადაუჩურჩულა ჰერმიონმაც, სანამ ამბრიჯი ერთი ლაწალუწითა და შრიალით დაეწეოდათ, – მოიცა, ნახავ...

კიდევ კარგა ხანს მიდიოდნენ და ბოლოს ისეთ უღრანში აღმოჩნდნენ, სადაც ხეების სქელ საფარქვეშ სინათლე ვერ აღწევდა. ჰარის, როგორც ყოველთვის, ახლაც უცნაური განცდა დაეუფლა, – თითქოს ვიღაც უხილავი უთვალთვალებდა.

– კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ? – მოისმა უკნიდან ამბრიჯის გაბრაზებული ხმა.

– ცოტაღა დარჩა! – იყვირა ჰერმიონმა და ნესტიან, ბურუსით მოცულ მდელოზე გავიდა, – სულ რაღაც ორი ნაბიჯი...

ჰაერში ისარმა გაიზუზუნა და ჰერმიონის თავს ზემოთ ხეს ჩაესო. უცებ იქაურობა ფლოქვების თქარუნმა გააყრუა. ჰარიმ იგრძნო, როგორ შეზანზარდა მიწა. ამბრიჯმა დაიკივლა, ჰარის ხელი სტაცა და წინ ფარივით დაიყენა.

ჰარიმ ხელი გააშვებინა და მიმოიხედა. ყველა მხრიდან კენტავრები უახლოვდებოდნენ. ორმოცდაათამდე იქნებოდნენ. მოზიდული მშვილდები მდელოს შუაში გახევებული ჰარისთვის, ჰერმიონისა და ამბრიჯისთვის დაემიზნებინათ. შიშით შეპყრობილი ამბრიჯი როგორღაც უცნაურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლუკუნებდა. ჰარიმ ჰერმიონს გახედა და მის სახეზე გამარჯვების ღიმილი შენიშნა.

– ვინ ხარ, ადამიანო? – გაისმა ხმა.

ჰარიმ მარცხნივ მიიხედა. ქურანა მაგორიანი კენტავრების წრეს გამოეყო და სასროლად შემართული მშვილდით მათკენ წამოვიდა. ამბრიჯი ისევ სლუკუნებდა, მოახლოებული კენტავრისკენ მიმართული ჯადოსნური ჯოხი აქეთ-იქით უხტოდა.

– მე გკითხე, ვინ ხარ-მეთქი! – უხეშად გაიმეორა მაგორიანმა.

– დოლორეს ამბრიჯი ვარ, – დაიკნავლა ამბრიჯმა საოცრად შეშინებული ხმით, – მაგიის მინისტრის პირველი მოადგილე, ჰოგვორტსის დირექტორი და გენერალური ინსპექტორი!

– შენ მაგიის სამინისტროდან ხარ? – ჰკითხა მაგორიანმა. გარს შემორტყმული კენტავრებიდან ბევრი უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

– სწორედაც! – ამბრიჯს ხმა დაუწვრილდა, – დაფიქრდით, რას აკეთებთ. ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტის მიერ დადგენილი კანონის თანახმად, თქვენნაირი ნახევრად ადამიანების ნებისმიერი თავდასხმა ადამიანზე...

– რა გვიწოდე? – წამოიძახა შავმა, ამაყმა კენტავრმა, რომელშიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ბეინი იცნო. ყოველი მხრიდან დრტვინვა მოისმა, მშვილდ-ისრის ლარები კიდევ უფრო დაიჭიმა.

– ასე ნუ უწოდებთ მათ! – იყვირა გააფთრებულმა ჰერმიონმა, მაგრამ ამბრიჯს არ გაუგონია. ისევ მაგორიანისკენ მიმართა ჯოხი და განაგრძო:

– მეთხუთმეტე მუხლის „ვ" პუნქტი ნათლად ამბობს, რომ ნებისმიერი თავდასხმა იმ ჯადოსნური არსებების მხრიდან, რომელთა ინტელექტიც ადამიანთანაა მიახლოებული, ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობას ექვემდებარება...

– ადამიანთანაა მიახლოებული? – გაიმეორა მაგორიანმა. დანარჩენები მძვინვარებდნენ და ფლოქვებით თხრიდნენ მიწას, – ჩვენთვის ეს უდიდესი შეურაცხყოფაა, ადამიანო! ჩვენი ინტელექტი, საბედნიეროდ, ბევრად აჭარბებს თქვენსას!

– რას აკეთებთ ჩვენს ტყეში? – მკვახედ შესძახა ერთ-ერთმა კენტავრმა, რომელიც ჰარიმ და ჰერმიონმა წინა მოსვლისას ნახეს, – რა გინდათ აქ?

– თქვენს ტყეში? – ამბრიჯი მარტო შიშისგან კი არა, აღშფოთებისგანაც აცახცახდა, – არ დაგავიწყდეთ, რომ აქ მაგიის სამინისტროს მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ცხოვრობთ...

და ისარმა ისე ახლოს ჩაუწუილა, რომ მის თმას შეეხო. ამბრიჯმა შემზარავად დაიყვირა და ხელები თავზე იტაცა. კენტავრების ერთი ნაწილი მოწონების ნიშნად აღრიალდა, სხვები ახარხარდნენ. მათი ხმა, მათი ველური ჭიხვინი და ფლოქვების ცემა ექოდ მოედო დაბინდულ მდელოს.

– მაშ, ვისია ეს ტყე, ადამიანო?! – დაიგრგვინა ბეინმა.

– საზიზღარო ჯორებო! – უკან არ დაიხია ამბრიჯმა, ხელები ჯერ კიდევ თავზე ჰქონდა წავლებული, – მხეცებო! უგუნურო ცხოველებო!

– გაჩუმდით! – დაუყვირა ჰერმიონმა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ამბრიჯმა მაგორიანს ჯადონური ჯოხი დაუმიზნა:

– ინკარცერო!

ჯოხიდან გამოსული გველ-თოკები კენტავრს მჭიდროდ შემოეხვივნენ მკერდსა და ხელებზე. მაგორიანი ყალყზე შედგა, მძვინვარედ ღმუოდა და გათავისუფლებას ცდილობდა. სხვები შეტევაზე გადავიდნენ.

ჰარიმ ჰერმიონს მოხვია ხელი და მიწაზე დააგდო. თავადაც ბალახზე პირქვედამხობილმა საშინელი შიში იგრძნო, როცა სულ ახლოს ფლოქვების თქარათქური გაისმა, მაგრამ არავინ შეხებია – ზოგი მრისხანე ჭიხვინით გადაახტა თავზე, ზოგმაც გვერდით ჩაურბინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა-აა! – მოესმა ამბრიჯის ყვირილი, – ა-ა-ა!.. მე პირველი მოადგილე ვარ... უფლება არ გაქვთ... გამიშვით, მხეცებო, გესმით?.. არა-ა-ა!

ჰარიმ წითელი ნათება დაინახა და მიხვდა, რომ ამბრიჯი ცდილობდა, ერთ-ერთი კენტავრი შელოცვით დაერეტიანებინა. მერე კი განწირული ღრიალი მოისმა. ჰარიმ თავი ოდნავ ასწია: ბეინს უკნიდან ხელებით შეებოჭა ამბრიჯი და ჰაერში აეწია. დირექტორი ამაოდ იკლაკნებოდა და განწირული კიოდა. ჯადოსნური ჯოხი ძირს ეგდო. ჰარის მაშინვე გული მოეცა. მთავარია, მისწვდეს...

მაგრამ აღება დააპირა თუ არა, ჯოხზე მაშინვე კენტავრის ფლოქვი დაეშვა და შუაზე გადატეხა.

– აბა! – დაიღრინა უხეშმა ხმამ და მსხვილმა, ბალნიანმა ხელმა ძალით წამოაყენა ჰარი ფეხზე. ჰერმიონიც წამოაგდეს. ჰარიმ დაინახა, როგორ მიჰყავდა ბეინს ამბრიჯი ჭალაში. განწირული კივილი სულ უფრო და უფრო სუსტად ისმოდა, ბოლოს ფლოქვების თქარუნმა სულაც ჩაახშო.

– ამათ რა ვუყოთ? – იკითხა უხეშსახიანმა კენტავრმა, რომელსაც ჰერმიონი ეჭირა.

– ესენი ჯერ ახალგაზრდები არიან, – ჩაილაპარაკა ჰარის ზურგს უკან პირქუშმა ხმამ, – ჩვენ კვიცებს არ ვერჩით.

– ის მაგათ მოიყვანეს აქ, რონან, – შეეპასუხა კენტავრი, რომელსაც ჰარი ეჭირა, – და არც მთლად ბავშვები არიან... აი, ეს სულ მალე დაკაცდება.

ჰარის მანტიის საყელოში წაავლო ხელი და შეანჯღრია.

– გთხოვთ, – შეეხვეწა ჰერმიონი, – გთხოვთ, ნურაფერს დაგვიშავებთ. ჩვენ ამბრიჯივით არ ვფიქრობთ თქვენზე. ჩვენ არც სამინისტროში ვმუშაობთ! აქ მხოლოდ იმიტომ მოვედით, რომ თქვენი დახმარებით მისი მოცილება გვინდოდა.

კენტავრს, რომელსაც ჰერმიონი ეჭირა, გამომეტყველება შეეცვალა და ჰარი უცებ მიხვდა, რომ ჰერმიონმა საშინელი შეცდომა დაუშვა. კენტავრმა მრისხანედ დააბაკუნა უკანა ფლოქვები, თავი ასწია და დაიღრიალა:

– ხედავ, რონან? ისინი უკვე თავიანთი მოდგმის ქედმაღლობით არიან მოწამლულნი. თურმე თქვენ ნაცვლად ჩვენ უნდა შევასრულოთ შავი სამუშაო! ასეა, ადამიანის შვილო? ჩვენ თქვენ უნდა გემსახუროთ, მტრები დაგიფრთხოთ, როგორც თვინიერმა ძაღლებმა!

– არა! – დაიკნავლა ჰერმიონმა, – გთხოვთ... მე ამას არ ვგულისხმობდი! მხოლოდ ის ვიფიქრე, რომ თქვენ დახმარება შეგეძლოთ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ამ სიტყვებით ჰერმიონმა, როგორც ჩანს, უფრო გააფუჭა საქმე.

– ჩვენ არ ვეხმარებით ადამიანებს! – დაიყვირა კენტავრმა, რომელსაც ჰარი ეჭირა. კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა ხელები და ყალყზე შედგა. ჰარი მოულოდნელად მიწას მოსწყდა, – ჩვენ განმარტოებით ვცხოვრობთ და ვამაყობთ ამით. ასე რომ, აქედან ვერ წახვალთ და ვერც იმით იტრაბახებთ, რომ თქვენს დაკრულზე გვაცეკვეთ!

– ტრაბახს არც ვაპირებთ! – შესძახა ჰარიმ, – გვესმის, რომ თქვენ ჩვენი მოთხოვნების შესრულება არ გიფიქრიათ...

მაგრამ მას არავინ უსმენდა.

უკანა რიგში წვერიანმა კენტავრმა იღრიალა:

– აქ დაუპატიჟებლად მოვიდნენ და ახლა ამაზე პასუხი აგონ.

კენტავრები თანხმობის ნიშნად ახმაურდნენ. ერთმა მათგანმა, ნაცრისფერმა კი დაიღრიალა:

– ესენიც იმ ქალს მივაყოლოთ!

– თვითონ არ თქვით, უდანაშაულოებს არ ვერჩითო?! – ატირდა ჰერმიონი. ამჯერად ღაპაღუპით მოსდიოდა ცრემლები, – თქვენთვის ხომ არაფერი დაგვიშავებია, არც დაგმუქრებივართ და არც ჯადოსნური ჯოხები გამოგვიყენებია. ჩვენ მხოლოდ სკოლაში დაბრუნება გვინდა. გთხოვთ, გაგვიშვით...

– ჩვენ მოღალატე ფლორენციასნაირები არა ვართ, ადამიანის შვილო! – წამოიძახა კენტავრმა, – შენ, ალბათ, მხოლოდ გასართობი მოლაპარაკე ცხენები გგონივართ. ჩვენ, რომ იცოდე, უძველესი დროიდან ვარსებობთ და ვერ მოვითმენთ ჯადოქრების თავდასხმასა და შეურაცხყოფას! არ ვცნობთ თქვენს კანონებს და არ ვაპირებთ, უპირატესობა მოგანიჭოთ, ჩვენ...

კენტავრებს საკუთარი მოდგმის სრულად დახასიათება არ დასცალდათ, რადგან სწორედ ამ დროს მდელოს განაპირას ისეთი გამაყრუებელი ჭახანი გაისმა, რომ ყველა – ორი მოსწავლეც და ხუთი ათეული კენტავრიც – მოულოდნელობისგან შეხტა. კენტავრმა, რომელსაც ჰარი ეჭირა, ბიჭს ხელი უშვა და მშვილდ-ისარი მოიმარჯვა. ჰერმიონსაც შეუშვეს ხელი და ჰარი მისკენ გავარდა. ამასობაში ორი მსხვილი ხე აქეთ-იქით გაიწია და მათ შორის გოლიათ გრაუპის საშინელი ფიგურა გამოჩნდა. მის წინ მდგარმა კენტავრებმა უკან დაიხიეს. მდელო ზევით აღმართული ისრების ტყეს დაემსგავსა. ბუმბერაზი მიწისფერი სახე მრისხანედ იცქირებოდა კენწეროების ხშირი საფარიდან. გრაუპს მოღრეცილი პირი შტერივით დაეღო. ბინდბუნდში მისი აგურისოდენა კბილები ყვითლად ელავდა, მღვრიე ჭაობისფერი მოჭუტული თვალები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი ფეხებში გაბლანდულ წვრილ-წვრილ არსებებს დასცქეროდა. ორივე კოჭზე მსხვილი თოკის ნაგლეჯები დასთრევდა.

გრაუპმა ნაბიჯი გადადგა, პირი უფრო ფართოდ დააღო და დაიბუხუნა:

– ჰაგერ.

ჰარი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა ან რა ენაზე იყო ნათქვამი, მაგრამ ამისთვის არც ეცალა, გაოცებული დაჰყურებდა უზარმაზარ ტერფებს. ჰერმიონი მკლავში ჩაჰფრენოდა ჰარის, კენტავრებიც გასუსულიყვნენ და ქვემოდან შესცქეროდნენ გოლიათს, რომელიც თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს რაღაც დაუვარდა და ეძებსო.

– ჰაგერ! – უფრო მკაცრად გაიმეორა მან.

– წადი აქედან, გოლიათო, – დაუყვირა მაგორიანმა, – აქ არაფერი გესაქმება!

ამ სიტყვებმა გრაუპზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ოდნავ მოიხარა და დაიღრიალა:

– ჰაგერ!

ზოგიერთი კენტავრი აშკარად შეშფოთდა. ჰერმიონმა კი პირიქით, შვებით ამოისუნთქა.

– ჰარი! – წასჩურჩულა, – მე მგონი, „ჰაგრიდის“ თქმა უნდა!

იმავე წამს გრაუპმა კენტავრების ზღვაში ორი ადამიანი შეამჩნია. დაჟინებით დააცქერდა და თავი კიდევ ცოტათი დახარა. ჰარიმ იგრძნო, რომ ჰერმიონი აკანკალდა. გრაუპმა ისევ ფართოდ დააღო პირი და წამოიბრდღვინა:

– ჰერმი.

– გაიგონე? – წამოიძახა ჰერმიონმა. მაგრად მოუჭირა ხელი ჰარის და ლამის გულწასულმა ძლივს ამოილუღლუღა: – მას... მას ახსოვს!

– ჰერმი, – დაიგრგვინა გრაუპმა, – სად არის ჰაგერი?

– არ ვიცი, – დაიწკმუტუნა საშინლად შეშინებულმა ჰერმიონმა, – ძალიან ვწუხვარ, გრაუპ, მაგრამ არ ვიცი!

– გრაუპი უნდა ჰაგერი!

გოლიათმა მძლავრი ხელი მათკენ წაიღო. აკივლებულმა ჰერმიონმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და დაეცა. ჯადოსნური ჯოხის გარეშე დარჩენილი ჰარი წიხლებით, კბილებითა და ფრჩხილებით ბრძოლისთვის მოემზადა... ამასობაში ხელი სწრაფად წამოვიდა მისკენ და გზად თოვლივით თეთრი კენტავრი წააქცია.

ეს კი მისმა თანამოძმეებმა ვეღარ მოითმინეს. გრაუპის გაფარჩხული თითები თითქმის უკვე შეეხო ჰარის, როცა ზევით გაფრენილი ხუთი ათეული ისარი გიგანტის ვეებერთელა სახეს შეერჭო. გრაუპი ტკივილისა და სიბრაზისგან აღმუვლდა. წელში გაიმართა, ბუმბერაზ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახეზე ხელებს ისვამდა, – ისრებს ამტვრევდა და ბუნიკები უფრო ღრმად ერჭობოდა კანში.

მთელი ხმით ღმუოდა და ვეებერთელა ფეხებს ატყაპუნებდა. კენტავრები აქეთ-იქით გაიფანტნენ. ჰარის წვიმასავით დააცვივდა გოლიათის სისხლის წვეთები. ჰერმიონი ფეხზე წამოაყენა და მასთან ერთად დაიმალა ხის ქვეშ. მერე მიდამო მოათვალიერეს. გასისხლიანებული გრაუპი ბრმად იქნევდა ხელებს, ცდილობდა, ერთი კენტავრი მაინც დაეჭირა, მაგრამ ცხენ-კაცები უკვე უწესრიგოდ გარბოდნენ და მდელოს გაღმა, ხეებში იკარგებოდნენ. გრაუპმა კიდევ ერთხელ მძვინვარედ დაიღმუვლა და ხეების ლაწალუწით კენტავრებს გამოუდგა.

– არა-ა! – დაიკვნესა აცახცახებულმა ჰერმიონმა და უღონოდ დაჯდა მიწაზე, – რა საშინელებაა! შეიძლებოდა, ყველა დაეხოცა!

– მე, მართალი გითხრა, ეს სულ არ მაღელვებს, – ცივად უპასუხა ჰარიმ.

კენტავრების ფლოქვების ხმა და ვარაუდით მიმავალი გოლიათისგან ატეხილი ჭახაჭუხი ნელ-ნელა მიწყდა. ჰარი გაყუჩდა. უცებ ბევრად უფრო ძლიერი ტკივილი იგრძნო ნაიარევზე და შიშმა შეიპყრო.

რამდენი დრო დაიკარგა ტყუილუბრალოდ! სირიუსის გადარჩენის შანსი ახლა უფრო ნაკლებია, ვიდრე გამოცდაზე ჩაძინებისას იყო. ახლა არც ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა და ჰერმიონთან ერთად აკრძალული ტყის შუაგულშიც გაიჩხირა.

– ჭკვიანური გეგმა იყო, ვერაფერს იტყვი! – კბილებში გამოსცრა ჰარიმ, მთელი ბოლმა ჰერმიონზე გადმოანთხია, – უფრო ჭკვიანურს ვერც მოიფიქრებ. ახლა სად უნდა წავიდეთ?

– ციხე-კოშკში უნდა დავბრუნდეთ, – მისუსტებული ხმით თქვა ჰერმიონმა.

– მაგ დროისთვის სირიუსი, ალბათ, უკვე მკვდარი იქნება, – გამწარებულმა ჰარიმ მთელი ძალით ამოსცხო წიხლი ხეს. უკნიდან ჭყივილი გაიგონა. თავი ასწია და გაბრაზებული ტყისკაცუნა დაინახა, რომელსაც მისთვის გრძელი, წკირისმაგვარი თითები დაემიზნებინა.

– ჯადოსნური ჯოხების გარეშე მაინც ვერაფერს გავხდებით, – უიმედოდ ჩაილაპარაკა ჰერმიონმა და ადგომას შეეცადა, – ჰო, მართლა, ჰარი, როგორ აპირებდი ლონდონამდე მისვლას?

– ახლა ჩვენც სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით, – ზურგს უკან ნაცნობი ხმა გაისმა.

ჰარი და ჰერმიონი უნებურად მიეკვრნენ ერთმანეთს და ხეებს შორის სიბნელეს გახედეს.

ჯერ ტუჩგახეთქილი რონი გამოჩნდა. მის უკან სწრაფად მოაბი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯებდნენ ჯინი, ნევილი და ლუნა. არც ისინი გამოიყურებოდნენ უკეთესად: ჯინის ლოყაზე რამდენიმე გრძელი ნაფხაჭნი ემჩნეოდა, ნევილს კი მარჯვენა თვალი დალილავებოდა. ამის მიუხედავად, მშვენიერ გუნებაზე ჩანდნენ.

– აბა, – თქვა რონმა, – რამე ხომ არ მოგიფიქრებიათ? ჩამოწეული ტოტი ხელით გასწია და ჰარის ჯადოსნური ჯოხი გაუწოდა.

– როგორ მოახერხეთ გამოქცევა? – გაოცებულმა ჰარიმ ჯოხი გამოართვა.

– ორი-სამი დამარეტიანებელი შელოცვა; ერთიც – განმაიარაღებელი; დროული დამაბრკოლებელი შელოცვაც ნევილისგან და... – ვითომც არაფერიო, ისე ჩამოთვალა რონმა და ჯადოსნური ჯოხი ჰერმიონს გადასცა, – მაგრამ ვინც მართლა გამოიჩინა თავი, ეს ჯინი იყო. მალფოის ღამურები მიუსია – დიდი ფრთიანი არსებები – მთელ სიფათზე აეწებნენ. ფანჯრიდან დავინახეთ, რომ ტყისკენ მიდიოდით და ჩვენც აქეთ წამოვედით. რა უყავით ამბრიჯს?

– კენტავრებმა წაათრიეს, მთელი რემა იყო აქ,– თქვა ჰარიმ.

– თქვენ რა, დაგტოვეს? – გაოცდა ჯინი.

– სხვა გზა არ ჰქონდათ, იმიტომ, რომ გრაუპი დაედევნათ.

– გრაუპი ვინ არის? – დაინტერესდა ლუნა.

– ჰაგრიდის უმცროსი ძმა, – უპასუხა რონმა, – მაგრამ ამაზე – მერე. ჰარი, რა გაარკვიე? ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მართლა შეპყრობილი ჰყავს სირიუსი?

– ჰო, – თქვა ჰარიმ და ისევ იგრძნო მწვავე ტკივილი ნაიარევზე, – დარწმუნებული ვარ, სირიუსი ცოცხალია, მაგრამ როგორ უნდა მივაღწიო იქამდე და როგორ მივეხმარო, არ ვიცი. ყველანი შეშინებულები გაჩუმდნენ. ამოცანა დაუძლეველი ჩანდა.

– გაფრენა მოგვიწევს, – ჩაილაპარაკა ლუნამ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ხმით.

– ჰო, მაშ! – ეცა გაღიზიანებული ჰარი, – ჯერ ერთი, თუ საკუთარ თავსაც გულისხმობ – არაფრის გაკეთება არ „მოგვიწევს“, და მეორეც: რონის გარდა, ყველას ცოცხს ტროლი სდარაჯობს. ამიტომ...

– მე მაქვს ცოცხი! – თქვა ჯინიმ.

– გაქვს, მაგრამ შენ არსად არ გაფრინდები, – გაბრაზდა რონი.

– ბოდიში, მაგრამ სირიუსის ბედი მე შენზე ნაკლებად არ მაწუხებს! – შეეპასუხა ჯინი და ისე მოკუმა პირი, საოცრად დაემსგავსა ფრედსა და ჯორჯს.

– შენც... – დაიწყო ჰარიმ, მაგრამ გაცეცხლებულმა ჯინიმ სასწრაფოდ შეაწყვეტინა:

– მე იმაზე სამი წლით უფროსი ვარ ახლა, ვიდრე შენ იყავი მაშინ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ებრძოდი ფილოსოფიური ქვისთვის! და მინდა, კარგად იცოდე, რომ სწორედ მე განვაიარაღე მალფოი ამბრიჯის კაბინეტში, მე მივუსიე ვეებერთელა ღამურები...

– ჰო, მაგრამ...

– „დამბლდორის არმიაში" ყველანი ერთად ვიყავით, – ჩუმად თქვა ნევილმა, – განა, ჩვენ-რომ-ვიცით, იმასთან საბრძოლველად არ ვემზადებოდით? აი, ახლა პირველად გაგვიჩნდა რაღაცის ნამდვილად გაკეთების შანსი. იქნებ, შენი აზრით, **და** მხოლოდ თამაში იყო?

– არა... რა თქმა უნდა, თამაში არ ყოფილა... – უხალისოდ დაეთანხმა ჰარი.

– მაშინ, ყველანი ერთად წავალთ, – უბრალოდ თქვა ნევილმა, – ჩვენ გვინდა, რომ დაგეხმაროთ.

– სწორია, – მხარი აუბა ლუნამ ბედნიერი ღიმილით. ჰარიმ რონს გადახედა. იცოდა, რონიც ამასვე ფიქრობდა:

მისი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, **და**-ს რომელ წევრებს მიეღოთ მონაწილეობა სირიუსის გადარჩენაში, ის არც ჯინის, არც ნევილსა და არც ლუნას წაიყვანდა.

– თუმცა, სულ ტყუილად ვლაპარაკობთ, – წაიბუტბუტა ნირწამხდარმა ჰარიმ, – მაინც არ ვიცით, როგორ უნდა მივიდეთ იქ...

– მე ვიფიქრე, ეს გადაწყვეტილია-მეთქი, – ჩაერია ლუნა, – გავფრინდეთ!

ამ სიტყვებმა რონი მართლა გააცოფა.

– ყური დამიგდე, – თავს ძლივს იკავებდა, – შენ იქნებ შეგიძლია კიდეც ცოცხის გარეშე ფრენა, მაგრამ ჩვენ, დანარჩენებს, რას გვიბრძანებ, ფრთები გამოვისხათ?

– ფრენა, ცოცხების გარდა, სხვა რამითაც შეიძლება, – უშფოთველად აუხსნა ლუნამ.

– მაგალითად, რით, შენი რქაგრეხილი ციკლოპებით? – დაინტერესდა რონი.

– რქაგრეხილი ციკლოპები არ დაფრინავენ, – ამაყად შეეპასუხა ლუნა, – აი, ესენი კი დაფრინავენ, თანაც ძალიან სწრაფად. ჰაგრიდი ხომ ამბობდა, სულ იოლად მიგიყვანენ იქ, სადაც გინდაო.

ჰარი მკვეთრად შეტრიალდა. ორ ხეს შორის მოჩვენებასავით იდგა ორი თვალებგადმოკარკლული თესტრალი. ისე შესცქეროდნენ მოჩურჩულე ჯგუფს, თითქოს ყველაფერი ესმოდათ.

– არის! – წაჩურჩულა და მათკენ წავიდა. თესტრალებმა თავები ასწიეს და გრძელი შავი ფაფარი შეარხიეს. ჰარიმ ხელი გაიწვდინა და ახლო მდგომს მოციმციმე ფაფარზე მოეფერა. ნეტავ აქამდე როგორ მიაჩნდა მახინჯებად?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა, ეს იდიოტური ცხენები? – ეჭვით იკითხა რონმა და ჰარი რომ ეფერებოდა, იმ თესტრალისგან ოდნავ მარცხნივ მიაპყრო მზერა, – თუ ვინმემ შენ თვალწინ ფეხები არ გაფშიკა, ვერც კი დაინახავ!

– ჰო, – თქვა ჰარიმ.

– რამდენია?

– ორი.

– ჩვენ კი სამი გვჭირდება, – თქვა ჰერმიონმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, მაგრამ მათთან ერთად წასვლა უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი.

– სამი კი არა, ოთხი, – შეუსწორა გაბრაზებულმა ჯინიმ.

– მე მგონი, აქ ექვსნი ვართ, – მშვიდად თქვა ლუნამ და სათითაოდ გადაითვალა ყველა.

– სისულელეა! ყველა ვერ გავფრინდებით! – ისევ აფეთქდა ჰარი, – ასე რომ, თქვენ სამნი, – ნევილს, ჯინისა და ლუნას უთხრა, – თქვენ არ მონაწილეობთ, თქვენ არ...

ამ სიტყვებს უფრო მძაფრი პროტესტი მოჰყვა. ჰარის ნაიარევმა ახლა უფრო მტკივნეულად შეახსენა თავი. ყოველი წამი შეიძლება, გადამწყვეტი ყოფილიყო. კამათის დრო არ იყო.

– კარგი, როგორც გინდათ, თქვენი ნებაა, – მოკლედ მოჭრა ჰარიმ, – მაგრამ თუ სხვა თესტრალებს ვერ ვიპოვით, თქვენ ვერ...

– სხვებიც მოვლენ, ეჭვი არ შეგეპაროს, – დაარწმუნა ჯინიმ, რომელიც რონივით სხვა მხარეს იყურებოდა.

– ვითომ რატომ გგონია?

– იმიტომ, რომ შენ და ჰერმიონი, სხვათა შორის, სისხლით ხართ მოთხუპნილები, ჩვენ კი ვიცით, რომ ჰაგრიდი თესტრალებს უმი ხორცით იტყუებს. აი, ამიტომ გამოჩნდა ეს ორიც, – მშვიდად განმარტა ჯინიმ.

ჰარიმ მანტიაზე ნაზი შეხება იგრძნო და ძირს დაიხედა – ერთი თესტრალი გრაუპის სისხლით დასველებულ სახელოს ულოკავდა.

– კარგი, – ჰარიმ უცებ რაღაც მოიფიქრა: – მე და რონი ამ ორზე დავსხდებით და წინ გავფრინდებით. ჰერმიონი კი თქვენთან დარჩება დანარჩენების მოსატყუებლად...

– არაფერიც! მე არ დავრჩები! – თქვა გააფთრებულმა ჰერმიონმა.

– არავის მოუწევს დარჩენა, – გაიღიმა ლუნამ, – შეხედეთ, აი, კიდევ მოდიან... ალბათ, მთელ ტყეში იკრეს სუნი... ჰარი შებრუნდა. მათკენ ხეებს შორის კიდევ ექვსი თუ შვიდი თესტრალი მოემართებოდა. ვეებერთელა აპკიანი ფრთები ტანზე მჭიდროდ მიეკრათ და სიბნელეში თვალები უელავდათ. მორჩა, სხვა საბაბს ველარ იპოვიდა.

– კარგი, – თქვა გაბრაზებულმა, – ამოირჩიეთ, დასხედით და წავედით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთოთხმეტე

საიდუმლოებების დეპარტამენტი

ჰარი მაგრად ჩაეჭიდა ერთ-ერთი თესტრალის ფაფარს, ხელზე დაიხვია, კუნძზე შედგა და ძლივს შეაფოფხდა აბრეშუმივით სრიალა ზურგზე. ცხენი არ შეწინააღმდეგებია, მხოლოდ თავი მოაბრუნა და კბილებდაკრეჭილმა ისევ სცადა მანტიის ალოკვა. ჰარი მუხლებით დაეყრდნო მფრინავი ცხენის ფრთის ძირებს – ასე ჯდომა გაცილებით მოსახერხებელი აღმოჩნდა. ჰარიმ მეგობრებს გახედა. ნევილი უკვე მუცლით გაწოლილიყო თესტრალის ზურგზე, მაგრამ თავისი მოკლე ფეხი მეორე მხარეს ვერაფრით გადაჰქონდა. ლუნა ცხენზე გვერდულად შემჯდარიყო და მშვიდად ისწორებდა მანტიას, თითქოს ამგვარი მოგზაურობა ჩვეულებრივი რამ იყო მისთვის. რონი, ჰერმიონი და ჯინი ჯერ კიდევ პირდაღებულნი იყურებოდნენ სივრცეში და ადგილიდან არ იძვროდნენ.

– რა იყო? – იკითხა ჰარიმ.

– შენი აზრით, როგორ უნდა შევსხდეთ, თუკი ვერ ვხედავთ? – ძლივძლივობით ამოღერღა რონმა.

– ძალიან იოლია, – ლუნა სწრაფად ჩამოსრიალდა თესტრალიდან და მათთან მივიდა, – მოდით აქ...

სამივე თავისუფალ თესტრალებთან მიიყვანა, რიგრიგობით შესვა ზედ და ფაფარი მოაძებნინა. თან ურჩია, ხელი მაგრად ჩასჭიდეთო, და თავის თესტრალთან დაბრუნდა. სამივეს შეშინებული სახე ჰქონდა.

– რა სიგიჟეა, – წაიბუტბუტა რონმა და ცალი ხელით ცხენის კისერს მოეფერა, – სიგიჟე... ეჰ, დანახვა მაინც შეიძლებოდეს...

– პირიქით, კარგია, რომ ვერ ხედავ, ჩათვალე, რომ ბედმა გაგიღიმა, – მოიღუშა ჰარი, – აბა, ყველანი მზად ხართ?

პასუხად ხუთივემ თავი დაუქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, მაშინ... – თესტრალის შავად ალაპლაპებულ თავს დახედა და ნერწყვი გადაყლაპა, – მაშინ მაგიის სამინისტროს შესასვლელი... ლონდონში... – ენის ბორძიკით თქვა, – ე-ე... თუ, რა თქმა უნდა, გზა იცით...

რამდენიმე წამს თესტრალი არ განძრეულა. მერე ძლიერი ფრთები ისე გაშალა, რომ ჰარი კინაღამ ძირს გადმოაგდო, ოდნავ ჩაჯდა და ჰაერში აიჭრა. ჰარი მთელი სხეულით გაეკრა ცხენის გაძვალტყავებულ ზურგს, რომ არ ჩამოცურებულიყო. თვალები დახუჭა და სახე აბრეშუმისებრ ფაფარში ჩამალა. ამასობაში ტყეს ასცდნენ და ცაში აიჭრნენ.

ჰარის მოეჩვენა, რომ არასოდეს უფრენია ასე სწრაფად. თესტრალს ფრთები არც კი დაუქნევია, ისე გადაუფრინა ციხე-კოშკს. ცივი ჰაერი სახეში სცემდა. თვალებმოჭუტული მობრუნდა და უკან ცხენების ზურგებზე გაკრული მეგობრები დაინახა. ქარისგან თავის დასაცავად ყველას ფაფარში ჩაეყო ცხვირი.

ჯერ სკოლის ტერიტორიას გადაუფრინეს, მერე – ჰოგსმიდს... ქვემოთ მთები და ხევები ენაცვლებოდა ერთმანეთს. რამდენიმე სოფელსაც გადაუფრინეს. უკვე ბნელდებოდა და ფანჯრებიდან სანთლის მოლიცლიცე შუქი გამოკრთოდა. მერე დაკლაკნილი გზა გამოჩნდა, გორაკებს შორის ერთადერთი მანქანა მისრიალებდა..

– აი, საოცრება! – უკნიდან რონის ძლივს გასაგონი ყვირილი მოესმა და გაიფიქრა, მართლაც უცნაური უნდა იყოს ცაში აი, ასე, უჩინარი ტრანსპორტით ფრენაო.

დაღამდა. მათ თავზე ვერცხლისფერი, პაწაწკინტელა ვარსკვლავები აინთო. ახლა ფრენის სიჩქარისა და სიმაღლის ერთადერთი ორიენტირი მაგლების ქალაქები იყო. ფაფარს მაგრად ჩაფრენილი ჰარი ჩურჩულით ევედრებოდა ცხენს: უფრო სწრაფად! ნეტავ, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ის საშინელი სიზმარი ნახა? ეყოფა კი სირიუსს ძალა, გაძლოს მშველელთა მისვლამდე? თუმცა, იმაში ნამდვილად იყო დარწმუნებული, რომ სირიუსი ჯერ ისევ ცოცხალია და არც ვოლდემორის თხოვნა შეუსრულებია – წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად იგრძნობდა ვოლდემორის რისხვას ან სიხარულს, ნაიარევიც ისევე ასტკივდებოდა, როგორც ბატონ უისლიზე თავდასხმის ღამეს.

სულ უფრო და უფრო შორს მიფრინავდნენ, ცაც სულ უფრო და უფრო მუქდებოდა. ჰარის სიცივისგან სახე გაეყინა, თესტრალზე მჭიდროდ შემოჭერილი ფეხები კი დაუბუჟდა, მაგრამ ჩამოცურებისა ეშინოდა და მდგომარეობის შეცვლას ვერ ბედავდა. ღამის სუსხიანი ქარის წუილისგან ყურები დაუგუბდა, ტუჩები გაუშრა და გაეყინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანძილის შეგრძნება დაეკარგა, მხოლოდ მფრინავი ცხენის იმედზელა იყო. ის კი ფრთების ოდნავი მოძრაობით მიქროდა წინ, ღამის წყვდიადში.

ოღონდ არ დააგვიანდეს.

ვიცი, ჯერ კიდევ ცოცხალია, ჯერ კიდევ იბრძვის...

თუ ვოლდემორი მიხვდება, რომ სირიუსი არ ნებდება... მე ამას აუცილებლად ვიგრძნობდი...

მუცელი აუბუყბუყდა. თესტრალი მოულოდნელად მკვეთრად დაეშვა ქვევით და ჰარი რამდენიმე სანტიმეტრით კისერთან ჩაცურდა. როგორც იქნა, ეშვებიან... უკნიდან ვიღაცის ყვირილი გაიგონა, გარისკა და სწრაფად შებრუნდა, მაგრამ ცხენიდან გადმოვარდნილი ვერავინ დაინახა... ალბათ, ისინიც მასავით მკვეთრმა დაშვებამ შეაშინა.

სინათლის წერტილები სულ უფრო იზრდებოდა და მრგვალდებოდა. უკვე სახლის სახურავების, მანქანების ფარებისა და ფანჯრების მკრთალი ყვითელი კვადრატების გარჩევაც კი შეიძლებოდა. თესტრალი ქვაფენილისკენ მკვეთრად დაეშვა. ჰარიმ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ფაფარში ჩააფრინდა და დაცემის მოლოდინში მოიბუზა, მაგრამ თესტრალი მსუბუქად, ჩრდილივით შეეხო მიწას. ჰარი ძირს ჩაცურდა. გარშემო მიმოიხედა. ნაგვის კონტეინერი ძველებურად ტელეფონის დამტვრეული ჯიხურის გვერდით იდგა. ფარნების მკრთალ, ნარინჯისფერ სინათლეზე ჯიხური და ნაგვით გადავსებული კონტეინერი შავად მოჩანდა.

რონი მისგან შორიახლოს დაეშვა და თავისი თესტრალიდან ტომარასავით გადმოვარდა.

– პირველი და უკანასკნელია ჩემთვის... – ბუტბუტით წამოდგა ფეხზე, უხილავი ცხენის გავას მიეჯახა და კინაღამ ისევ წაიქცა, – მსგავსი საშინელება...

ჰერმიონი და ჯინი მის ახლოს დაეშვნენ. ისინი, რონთან შედარებით, უფრო მოხერხებულად ჩამოხტნენ. ფეხი დაადგეს თუ არა მიწას, შვებით ამოისუნთქეს. ნევილი ერთიანად აკანკალებული გადმოხტა ცხენიდან. აი, ლუნა კი სული იოლად ჩამოსრიალდა ქვაფენილზე.

– ახლა საით? – ჰკითხა ჰარის ზრდილობიანი ცნობისმოყვარეობით, თითქოს სადმე საინტერესო ექსკურსიაზე იყვნენ.

– აქეთ, – ჰარიმ მადლობის ნიშნად თესტრალს ქედზე მოუთათუნა ხელი, ტელეფონის ჯიხურთან მიირბინა და კარი გამოაღო, – სწრაფად! – ააჩქარა ზოზინით მიმავალი მეგობრები.

რონი და ჯინი მორჩილად შევიდნენ ჯიხურში, შემდეგ ჰერმიონი, ნევილი და ლუნა შეეკვეხნენ. ჰარიმ კიდევ ერთხელ გახედა თეს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტრალებს, რომლებმაც ნაგავში საჭმელს დაუწყეს ქექვა, და ლუნას მიჰყვა.

– ვინ არის მანდ ახლოს აპარატთან? აკრიფეთ ექვსი, ოცდაოთხი, ორმოცდაორი!

რონმა ამ ჭყლეტაში ძლივს გაითავისუფლა ხელი და დისკს მისწვდა. როცა ბოლო ციფრიც აკრიფა, ჯიხურში ქალის ცივი ხმა გაისმა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მაგიის სამინისტროში. თუ შეიძლება, დაასახელეთ ვინაობა და მოსვლის მიზანი.

– ჰარი პოტერი, რონ უისლი, ჰერმიონ გრეინჯერი, – სხაპასხუპით დაიწყო ჰარიმ, – ჯინი უისლი, ნევილ ლონგბოტომი, ლუნა ლავგუდი... ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ გადავარჩინოთ ადამიანი, თუ ამას ჩვენზე ადრე სამინისტრო არ იზამს!

– გმადლობთ, – თქვა ქალის ცივმა ხმამ, – თუ შეიძლება, აიღეთ ნიშნები და მანტიაზე წინიდან მიიმაგრეთ.

გამოუყენებული მონეტების დასაბრუნებელი ხვრელიდან სამკერდე ნიშნები ჩამოიყარა. ჰერმიონმა მოხვეტა და ჯინის თავზემოთ ჰარის გადააწოდა. სულ ზემოთაზე წაიკითხა: „ჰარი პოტერი, გადარჩენის მისია“.

– ძვირფასო სტუმრებო, თქვენ უნდა გაიაროთ შემოწმება და ატრიუმის მეორე ბოლოში მორიგე ჯადოქართან დაარეგისტრიროთ თქვენი ჯადოსნური ჯოხები.

– კარგი! – ხმამაღლა თქვა ჰარიმ. ნაიარევმა ისევ გაკენწლა, – ახლა შეიძლება, შემოვიდეთ?

ტელეფონის ჯიხურის იატაკი შეზანზარდა და ჯიხური ქვევით დაეშვა. ნაგავში ცხვირჩაყოფილი თესტრალები აღარ ჩანდნენ. ექვსი მეგობრის თავზე წყვდიადი შეიკრა. ყრუ ღრჭიალით მაგიის სამინისტროს წიაღში ჩაეშვნენ.

მალე წყვდიადი ფეხებთან მოციმციმე ოქროსფერმა სხივმა გაანათა, სხივი ნელ-ნელა გაფართოვდა და ზევით აცურდა. ჰარიმ ყოველი შემთხვევისთვის ჯადოსნური ჯოხი მოიმარჯვა. თუმცა, დარბაზში აბსოლუტური სიცარიელე დახვდათ. თანაც ახლა უფრო სუსტად იყო განათებული, ვიდრე დღისით. კედლების გაყოლებით ბუხრებში ცეცხლი არ ენთო. როცა ლიფტი რბილად გაჩერდა, ჰარიმ ისიც შეამჩნია, რომ ლურჯცისფრად მოლივლივე ჭერზე ოქროს სიმბოლოები კვლავინდებურად ირხეოდა.

– მაგიის სამინისტრო სასიამოვნო საღამოს გისურვებთ, – გაისმა ქალის ხმა.

ტელეფონის ჯიხურის კარი გაიღო. ჰარი, ნევილი და ლუნა გარეთ გადაცვივდნენ. ატრიუმში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ოქროს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შადრევანში წყლის დგაფუნი არღვევდა – წყალი აუზში ჯადოქრების ჯოხებიდან, კენტავრის ისრის ბუნიკიდან, გობლინის შლაპის წამახული წვერიდან და შინაური ელფის ყურებიდან მორაკრაკებდა.

– წავედით, – ხმადაბლა თქვა ჰარიმ და ყველანი დარბაზის ბოლოსკენ გაემართნენ. ჰარი წინ მიაბიჯებდა. შადრევანი გაიარეს და იმ მაგიდას მიადგნენ, რომელთანაც ადრე მორიგე ჯადოქარმა ჰარის ჯადოსნური ჯოხი აწონა. ახლა ეს ადგილი ცარიელი იყო.

ჰარი შეშფოთდა. მორიგის არყოფნა ავის მომასწავებლად ენიშნა. ცუდი წინათგრძნობა ოქროს კარის გავლის შემდეგ კიდევ უფრო გაუძლიერდა. მეგობრები ლიფტთან შეჩერდნენ. ჰარიმ ქვევით მიმართულ ისრიან ღილაკს თითი დააჭირა. გაისმა ღრჭიალი და კაბინა იმწამსვე მათ წინ გაჩერდა. გრუხუნით გაიხსნა ოქროს გისოსები და ექვსივემ ლიფტში შეაბიჯა. ჰარიმ მეცხრე ღილაკს დააჭირა თითი. კაბინა გრუხუნითვე დაიკეტა და ზრიალით დაეშვა ქვემოთ. პირველად, როცა აქ ბატონ უისლისთან ერთად მოვიდა, ჰარიმ ვერც კი შენიშნა, როგორ ხმაურობდა ლიფტები. ახლა გაიფიქრა, რომ ასეთი ხმაური, ალბათ, მთელი შენობის დაცვას დააყენებდა ფეხზე. ამ დროს ლიფტი გაჩერდა და ისევ ქალის ხმა გაისმა: „საიდუმლოებების დეპარტამენტი“. გისოსები აქეთ-იქით გაიწია. დერეფანში შევიდნენ. ყველაფერი უმოძრაოდ იყო, მხოლოდ ლიფტიდან წამოსულმა ნიავმა შეარხია უახლოესი ჩირაღდნების ალი.

ჰარიმ იმ სადა შავი კარისკენ აიღო გეზი, მრავალი თვის მანძილზე რომ ხედავდა სიზმარში.

– წავედით, – დაიჩურჩულა და დერეფანში გაიყოლა დანარჩენები. უკან ლუნა მიჰყვებოდა და პირდაღებული იყურებოდა აქეთ-იქით, – კარგი, ახლა მისმინეთ, – კარიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა, – იქნებ... იქნებ ჯობს, ერთი-ორი კაცი აქ დარჩეს... და თუ რამე მოხდა...

– მაგრამ როგორ გავიგებთ, რა მოხდა, – წარბი ასწია ჯინიმ, – იმ დროს შეიძლება, აქედან ძალიან შორს იყო...

– ჩვენც შენთან ერთად წამოვალთ, ჰარი, – თქვა ნევილმა.

– დროს ტყუილად ვკარგავთ, – მტკიცედ დაამატა რონმა. ჰარის არ უნდოდა ყველას წაყვანა, მაგრამ არჩევანი არ დაუტოვეს. ისევ შებრუნდა კარისკენ, ახლოს მივიდა და, როგორც სიზმარში, კარი თავისით გაიღო.

უზარმაზარ მრგვალ ოთახში აღმოჩნდნენ. აქ ყველაფერი შავი იყო, იატაკი და ჭერიც კი. ირგვლივ თანაბრად დაშორებული თორმეტი ერთნაირი შავი კარი იყო გამწკრივებული სახელურებისა და წარწერების გარეშე. მათ შორის კედლებზე დამაგრებულ შანდლებში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანთლების ცისფერი ალი ციმციმებდა. ცივი სინათლე მარმარილოს მოსარკულ იატაკზე ირეკლებოდა – გეგონებოდათ, ფეხქვეშ მუქი წყალი დგასო.

– რომელიმემ კარი მოხურეთ, – ჩუმად თქვა ჰარიმ, მაგრამ მაშინვე ინანა:

შეუსრულა თუ არა ნევილმა თხოვნა, ოთახში სიბნელემ დაისადგურა და ცისფრად მოცახცახე ალის ენებისა და იატაკზე საკუთარი აჩრდილების ანარეკლის გარდა, აღარაფერი ჩანდა. სიზმარში ჰარი ყოველთვის თამამად გადაივლიდა ხოლმე ოთახს და მოპირდაპირე კარში შედიოდა. მაგრამ აქ ათზე მეტი კარი იყო. სანამ იმას გადაწყვეტდა, რომელში შესულიყო, ყრუ გუგუნი გაისმა და შანდლებში ჩასმული სანთლები განზე

გასრიალდა. მრგვალი ოთახი ბრუნავდა.

ჰერმიონმა ჰარის მკლავზე სტაცა ხელი, შეეშინდა, რომ ფეხქვეშ იატაკიც ამოძრავდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. აი, კედლები კი ისე სწრაფად დატრიალდნენ, რომ ცისფერი ალი მათ გარშემო ერთ მთლიან, განათებულ ზოლად იქცა. მერე ასევე მოულოდნელად გუგუნი შეწყდა და ყველაფერი ადგილზე გაქვავდა.

ჰარის თვალებში ჯერ კიდევ ცისფერი ზოლები ედგა – ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ხედავდა.

– რას უნდა ნიშნავდეს? – შეეშინდა რონს.

– ალბათ, იმას, რომ დაგვავიწყდეს, რომელი კარით შემოვედით, – დაიჩურჩულა ჯინიმ.

ჰარი მაშინვე დაეთანხმა ჯინის. ახლა ნახშირივით შავ იატაკზე ნემსის პოვნა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე გასასვლელი კარისა. ის კარი კი, რომელიც სირიუსთან მიიყვანდა, ამ თორმეტიდან ნებისმიერი შეიძლებოდა, ყოფილიყო. არადა, სირიუსი აუცილებლად უნდა ეპოვათ.

– აქედან როგორ გავალთ? – იკითხა შეშინებულმა ნევილმა.

– ამას ჯერჯერობით მნიშვნელობა არა აქვს, – გადაჭრით თქვა ჰარიმ, თან თვალებს ახამხამებდა, რომ ცისფერი ზოლები მოეშორებინა, ჯადოსნურ ჯოხს კი ადრინდელზე უფრო მაგრად უჭერდა ხელს, – აქედან მანამ არ წავალთ, სანამ სირიუსს არ ვიპოვით...

– დაძახება არ გაბედო! – აღელდა ჰერმიონი, თუმცა, რჩევა უადგილო იყო. ინტუიცია უიმისოდაც კარნახობდა ჰარის, რომ რაც შეიძლება, ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ.

– ახლა საით, ჰარი? – ჰკითხა რონმა.

– მე არ... – დაიწყო ჰარიმ და ნერწყვი გადაყლაპა, – სიზმარში ლიფტიდან დერეფნის ბოლოს, კარისკენ მივდიოდი. იქიდან ბნელ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთახში ვხვდებოდი, აი, სწორედ ამაში, მერე კი მომდევნოში, სადაც თითქოს ათინათები თამაშობდნენ. რამდენიმე კარი უნდა მოვსინჯოთ, – ნაჩქარევად დაამატა, – თუ დავინახავ, ვიცნობ კიდეც იმ ოთახს. წავედით.

მეგობრებთან ერთად მოპირდაპირე კარისკენ გაემართა. მარცხენა ხელი ცივ პრიალა ზედაპირს შეახო, მარჯვენით, ყოველი შემთხვევისთვის, ჯადოსნური ჯოხი შემართა, მერე კი ხელი ჰკრა კარს.

კარი იოლად გაიღო.

პირველ ოთახში გამეფებული სიბნელის მერე ამ გრძელ, სწორკუთხა ოთახში ლამის იატაკამდე დაშვებულ ოქროს ჯაჭვებზე დაკიდებული ჭაღების შუქი მეტისმეტად კაშკაშებდა. მაგრამ აქ არსად ჩანდა ის მოცეკვავე ათინათები, ჰარი სიზმარში რომ ხედავდა. ოთახი თითქმის ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მაგიდასა და შუა ოთახში მოთავსებულ მუქი მწვანე სითხით სავსე აკვარიუმს. აკვარიუმი ისეთი დიდი იყო, რომ შიგ ექვსივე თავისუფლად იბანავებდა. კარგად რომ დააკვირდნენ, შეამჩნიეს: აკვარიუმში ზანტად დაცურავდა რამდენიმე მოთეთრო-მარგალიტისფერი გუნდა.

– ეს რაღაა? – წაიჩურჩულა რონმა.

– არ ვიცი, – თქვა ჰარიმ.

– იქნებ თევზებია, – ივარაუდა ჯინიმ.

– წყალმსუნთქავი მატლები! – თქვა აგზნებულმა ლუნამ, – მამა ამბობდა, რომ სამინისტროში გამოჰყავთ...

– არა, – თქვა ჰერმიონმა რაღაც უცნაური ხმით. აკვარიუმს მიუახლოვდა და შიგ შეიხედა, – ეს ტვინია.

– ტვინი?

– ჰო... ნეტავ რაში სჭირდებათ?

ჰარი აკვარიუმს მიუახლოვდა. ჰერმიონი არ ცდებოდა. ტვინები ხან ავის მომასწავებელი ლაპლაპით ამოტივტივდებოდნენ მწვანე სითხის სიღრმიდან, ხანაც უჩინარდებოდნენ. ფერადი კომბოსტოს სლიპინა თავებს წააგავდნენ.

– წავედით აქედან, სხვა ოთახია, – თქვა ჰარიმ.

– აქაც არის კარი, – რონმა ოთახის გარშემო მოატარა ხელი. ჰარის გულმა რეჩხი უყო – მაინც რამხელაა ეს საიდუმლოებების დეპარტამენტი!

– სიზმარში ბნელი ოთახიდან მაშინვე მეორეში აღმოვჩნდებოდი ხოლმე, უკან უნდა დავბრუნდეთ და იქიდან ვცადოთ, გადაწყვიტა ჰარიმ.

ისევ მრგვალი ოთახის წყვდიადში დაბრუნდნენ. ახლა ცისფერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზოლების ნაცვლად ჰარის თვალწინ ტვინის გუნდების აჩრდილები დაცურავდნენ.

– შეჩერდით, – თქვა უცებ ჰერმიონმა, სანამ ლუნა აკვარიუმებიანი ოთახის კარს მიხურავდა, – ფლაგრეიტ!

ჯადოსნური ჯოხი აიქნია და კარზე ცეცხლოვანი ჯვარი გაჩნდა. კარი მიიხურა თუ არა, ისევ გაისმა ყრუ გუგუნი და კედლები ისევ დატრიალდა. თუმცა ახლა მკრთალი ცისფერი ზოლის ფონზე კაშკაშა მოწითალო-ოქროსფერიც გაჩნდა. როცა ყველაფერი ისევ მიჩუმდა, ვეებერთელა ცეცხლოვანი ჯვარი კვლავ ანათებდა და მიანიშნებდათ, რომელი კარიდან გამოვიდნენ სულ ახლახან.

– ყოჩაღ, – მოუწონა ჰარიმ, – კარგი, მოდი, ახლა ეს ვნახოთ...

ისევ გადაიარა ოთახი და ჯოხშემართულმა მოპირდაპირე კარს ჰკრა ხელი. მეგობრები მიჰყვნენ.

სწორკუთხა, სუსტად განათებული ეს ოთახი წინანდელზე დიდი იყო. ქვის საფეხურები ძირს ეშვებოდა და ვეებერთელა ქვის ორმოს ქმნიდა. ისინი ამ ციცაბო კიბის თავში იდგნენ. ქვის საფეხურები ამფითეატრივით ეშვებოდა ოთხივე კედლიდან. ჰარის ის დარბაზი გაახსენდა, სადაც მას ვიზენგამოტი ასამართლებდა. ოღონდ აქ, ორმოს ფსკერზე, ჯაჭვებიანი სკამის ნაცვლად ქვის ბაქანი აღმართულიყო, მის უკან კი – ქვისავე დაბზარული თაღი, რომლის სიძველემაც ჰარი გააოცა. თაღის ღიობს დაფლეთილი შავი ფარდა ფარავდა. მიუხედავად უჰაერობისა, ეს ფარდა ოდნავ ირხეოდა, თითქოს სულ ახლახან შეეხნენო.

– არის აქ ვინმე? – იკითხა ჰარიმ და შემდეგ საფეხურზე ჩახტა. პასუხი არავის გაუცია, თაღზე ჩამოკიდებული ფარდა კი ისევ ისე ირხეოდა, თითქოს ნიავი უბერავსო.

– ფრთხილად, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

ჰარი კიბეზე დაეშვა, ორმოს ფსკერამდე ჩავიდა და ბაქნისკენ გაემართა. თან ნაბიჯების ხმა ექოდ ისმოდა. კონუსისებური თაღი ქვემოდან გაცილებით მაღალი ჩანდა. ფარდა ისევ რბილად ირხეოდა, თითქოს წამის წინ ვიღაცამ გაიარაო.

– სირიუს, – დაიძახა ჰარიმ. ამჯერად უფრო ხმადაბლა, რადგან ძალიან ახლოს იყო თაღთან.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფარდის უკან ვიღაც იდგა. ჯოხს მაგრად მოუჭირა ხელი, ბაქნისკენ გაემართა და შავ ფარდას მეორე მხრიდან მოუარა, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა.

– წავიდეთ, – დაუძახა ჰერმიონმა, რომელიც ამფითეატრის ნახევრამდე ჩამოსულიყო, – აქ რაღაც ისე არ არის, ჰარი, ჯობს, წავიდეთ აქედან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეშინებული ჩანდა, უფრო მეტად შეშინებული, ვიდრე აკვარიუმებიან ოთახში ყოფნისას. ჰარის მოეჩვენა, რომ ამ თაღში, მისი სიძველის მიუხედავად, თავისებური მომხიბვლელობაც იყო. თაღმა მასში ცნობისმოყვარეობა გააღვიძა – ძლიერი სურვილი გაუჩნდა, ბაქანზე ასულიყო და ამ რბილ საბურველში გაევლო.

– წავიდეთ, ჰარი, გთხოვ! – უფრო დაჟინებით სთხოვა ჰერმიონმა.

– ახლავე, – თქვა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. მის ყურს უცნაური ხმები მისწვდა. ეს სუსტი ჩურჩული იყო, თითქოს ფარდის მიღმა ვიღაცეები ჩუმად საუბრობდნენ, – მანდ ვინ ლაპარაკობს? – ისე ხმამაღლა იკითხა, რომ მისი სიტყვები ექოდ დაირხა.

– არავინაც არ ლაპარაკობს, ჰარი! – ჰერმიონი კიდევ ერთი საფეხურით ჩავიდა ქვევით.

– ვიღაც ჩურჩულებს იქ, ფარდის უკან, – მოღუშულმა ჰარიმ განზე გაიწია, რომ ჰერმიონს ხელი არ ჩაევლო მისთვის, – შენ ხარ, რონ?

– ჰო, მე ვარ, – რონი ბაქნის გვერდიდან გამოჩნდა.

– ნუთუ არაფერი გესმით? – იკითხა გაკვირვებულმა ჰარიმ, რადგან ჩუმი ჩურჩული თუ ბუზღუნი ძლიერდებოდა. უცებ ჰარიმ შეამჩნია, რომ ცალი ფეხით უკვე ბაქანზე იდგა.

– მეც მესმის, – თქვა ლუნამ და მეორე მხრიდან მიუახლოვდა მათ. თვალს არ აცილებდა ფარდას, – იქ, შიგნით, ვიღაც არის!

– რას ნიშნავს „შიგნით“? – იკითხა გაბრაზებულმა ჰერმიონმა და სულ ქვედა საფეხურიდან ჩამოხტა, – იქ არავითარი „შიგნით“ არ არსებობს, ეს მხოლოდ თაღია, იქ ვერავინ დაეტევა. გეყოფა, ჰარი, წავიდეთ აქედან...

იდაყვზე წაავლო ხელი, მაგრამ ჰარიმ წინააღმდეგობა გაუწია.

– ჰარი, ჩვენ აქ სირიუსისთვის მოვედით! –შეუძახა დაძაბული ხმით.

– სირიუსისთვის... – გაიმეორა ჰარიმ, თან მონუსხულივით მისჩერებოდა ფარდას, – ჰო-ჰო...

უცებ გამოერკვა, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა – სირიუსი ტყვედ ჰყავთ, აწამებენ, ის კი აქ ამ თაღს მისჩერებია... ბაქნიდან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ძლივს მოაცილა თვალი ფარდას და თქვა:

– წავიდეთ!

– სწორედ მაგას... კარგი, წავიდეთ! – თქვა ჰერმიონმა და პირველი ავიდა ქვის საფეხურებზე. ამფითეატრის მეორე მხარეს ჯინი და ნევილი იდგნენ, ისინიც მონუსხულები შესქეროდნენ ფარდას. ჰერმიონმა უხმოდ წაავლო ხელი ჯინის, რონმა კი – ნევილს, და ერთად წავიდნენ კარისკენ.

– როგორ გგონია, რა თაღია ეს? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონს, როცა ისევ მრგვალ, ბნელ ოთახში აღმოჩნდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საშიშია, – მტკიცედ თქვა ჰერმიონმა და მორიგი კარი მონიშნა ცეცხლოვანი ჯვრით.

კიდევ ერთხელ დატრიალდა ოთახი. ჰარიმ ალალბედზე აარჩია მესამე კარი და ხელი ჰკრა. კარი არ გაიღო.

– რა ხდება? – იკითხა ჰერმიონმა.

– დაკეტილია, – თქვა ჰარიმ და მთელი ტანით მიაწვა კარს, მაგრამ უშედეგოდ.

– ალბათ, ეს არის, არა? – თქვა რონმა და ჰარისთან ერთად სცადა კარის შემტვრევა, – დარწმუნებული ვარ, ეს არის, სხვანაირად არც შეიძლება, იყოს!

– გაიწიე! – თქვა ჰერმიონმა და ჯადოსნური ჯოხი იმ ადგილს დაუმიზნა, სადაც ჩვეულებრივ კარებს საკეტები აქვთ და თქვა: – ალოჰომორა!

არაფერიც არ მოხდა.

– მე ხომ დანა მაქვს! – წამოიძახა ჰარიმ, მანტიიდან სირიუსის დანა ამოიღო და კედელსა და კარს შორის ღრიჭოში შეყო. დანარჩენები მოუთმენლად ელოდნენ, როგორ ჩამოუსვა ნაპრალში ზემოდან ქვემოთ, როგორ გამოიღო და როგორ ჰკრა მხარი კარს. მაგრამ ის ისევ მაგრად იყო დაკეტილი. დანის პირი კი გამდნარიყო.

– კარგი, ამ კარს გამოვტოვებთ, – თქვა ჰერმიონმა.

– მაგრამ ეს თუ სწორედ ის კარია? – იკითხა რონმა, რომელიც ერთდროულად შიშითა და საშინელი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა კარს.

– შეუძლებელია, ჰარი, სიზმარში ხომ თავისუფლად გადიოდი ყველგან, – თქვა ჰერმიონმა და კიდევ ერთი კარი მონიშნა ცეცხლოვანი ჯვრით.

ჰარიმ გაფუჭებული დანის ტარი ისევ ჯიბეში ჩაიდო.

– იქნებ რამეს მალავდნენ იქ? – იკითხა თვალებანთებულმა ლუნამ, როცა კედლები ისევ ამოძრავდა.

– ალბათ, რაღაც გულისამრევს, – ჩაილაპარაკა ჰერმიონმა. ნევილმა ნერვიულად ჩაიცინა.

კედლები გაჩერდა და ჰარიმ უკვე სასოწარკვეთით გააღო მომდევნო კარი.

– აი, ისიც!

მაშინვე იცნო ეს ადგილი მოცეკვავე ათინათებით. როცა თვალები ბრწყინვას შეაჩვია, ყოველ მხარეს უამრავი სხვადასხვა ზომის საათის ციფერბლატი დაინახა: ზოგი წიგნის თაროებს შორის ეკიდა, ზოგი მაგიდაზე ეწყო, ზოგიც მთელი ოთახის გასწვრივ გაემწკრივებინათ. მათი საქმიანი, გულისგამაწვრილებელი წიკწიკი ისე ისმოდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთახში, როგორც მარშით მიმავალი პაწაწინა არმიის ფეხის ხმა. მოცეკვავე ნაირფერი სინათლე ოთახის მეორე ბოლოში მდგარი მაღალი, გუმბათისებრი მინის ჭურჭლიდან მოდიოდა.

– აქეთ!

ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, სწორი გზა იპოვეს, ჰარის გამალებით აუძგერდა გული. სწრაფად გაიარა მაგიდებს შორის და, როგორც სიზმარში, პირდაპირ სინათლის წყაროსკენ წავიდა. სინათლე ჰარის სიმაღლის ბროლის ჭურჭლიდან იფრქვეოდა, რომელიც მაგიდაზე იდგა და ნაპერწკლებმფრქვევი გრიგალით სავსე გეგონებოდა.

– შეხედეთ! – წამოიძახა ჯინიმ, ახლოს მივიდა და ბროლის ჭურჭლის შუაგულზე უჩვენა.

იქ, ნაპერწკლების ნაკადში, ერთი ციცქნა კვერცხი ძვირფას ქვასავით ბრწყინავდა. კვერცხი ნელ-ნელა ამოტივტივდა, შუაზე გაიპო და იქიდან კოლიბრი გამოიჩეკა, რომელიც ზევით-ზევით წავიდა, მაგრამ მერე ჰაერის ნაკადმა ქვევით გაიტაცა, ჩიტს ფრთები დაუსველდა, ჩვარივით ჩამოეკიდა და ბოლოს ჭურჭლის ფსკერზე ისევ ნაჭუჭში გაუჩინარდა.

– არ შეჩერდე! – დაუძახა ჰარიმ ჯინის, რომელიც კოლიბრის კვერცხიდან ხელახლა გამოჩეკას დიდი ინტერესით ელოდებოდა.

– შენ თვითონ რამდენ ხანს იდექი იმ შენს დაცხავებულ თაღთან, – გაანჩხლდა ჯინი, მაგრამ მაინც წავიდა ერთადერთი კარისკენ.

– აი ისიც! – ჰარის გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, რომ ლაპარაკს უშლიდა, – აქეთ...

მეგობრებს გამოხედა. ჯადოსნური ჯოხი ყველას მზად ჰქონდა. ყველანი სერიოზულები და აღელვებულები ჩანდნენ. ისევ შებრუნდა კარისკენ და ხელი ჰკრა. კარი გაიღო.

ბოლოს და ბოლოს, იპოვეს რასაც ეძებდნენ – ტაძარივით მაღალჭერიანი დარბაზი, სადაც აურაცხელი თაროებისა და მინის ბურთულების მეტი არაფერი იყო. აქა-იქ თაროებზე ანთებული შანდლები მიემაგრებინათ, ბურთულები მკრთალად ბზინავდა სანთლის შუქზე. აქ, ისევე როგორც მრგვალ ოთახში, სანთლები ცისფერი ალით ენთო. დარბაზში ძალიან ცივოდა.

ჰარიმ ფრთხილად გადადგა ნაბიჯი და თაროებს შორის ერთერთ ჩაბნელებულ გასასვლელში შეიხედა. არაფერი გაუგონია, სულ ოდნავი მოძრაობაც კი არ შეუმჩნევია.

– შენ თქვი, რომ ოთხმოცდამეჩვიდმეტე გვჭირდება, – დაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– ჰო, – ჩურჩულითვე უპასუხა ჰარიმ და უახლოეს რიგში განაპირა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თაროს შეხედა. აქ, ცისფრად აალებული შანდლის ქვეშ, ვერცხლისფერი ციფრები – ხუთიანი და სამიანი ბზინავდა.

– მგონი, მარჯვნივ უნდა წავიდეთ, – დაიჩურჩულა ჰერმიონმა, – ჰო... აი, ორმოცდამეთოთხმეტე რიგი...

– ჯოხები მზად გქონდეთ, – გააფრთხილა ჰარიმ.

ჩუმად მიდიოდნენ. გზადაგზა თაროების რიგებს შორის ბნელ გასასვლელებში იხედებოდნენ. თითოეული მინის ბურთულის ქვეშ გაყვითლებული აბრა იყო მიმაგრებული. ზოგიერთ თაროზე შემოდებული ბურთულა ავის მომასწავებელი წითელი ფერით ანათებდა. ზოგი კი გადამწვარი ნათურასავით ჩამქრალიყო.

ოთხმოცდამეოთხე რიგს ჩაუარეს... მერე ოთხმოცდამეხუთეს... ჰარი სულგანაბული ცდილობდა, ოდნავი ფაჩუნიც კი არ გამოჰპარვოდა: ხომ შეიძლებოდა, სირიუსისთვის ჩვარი ჩაეჩარათ პირში, ანდა სულაც გონი დაეკარგა...

„ვაიმე, იქნებ... იქნებ უკვე მკვდარია..." – გაუელვა გონებაში.

„შეუძლებელია, ამას აუცილებლად ვიგრძნობდი, – შეახსენა თავის თავს, – უკვე მეცოდინებოდა..."

– ოთხმოცდაჩვიდმეტი! – წაიჩურჩულა ჰერმიონმა. ყველანი ერთად შეგროვდნენ და ცდილობდნენ, რამე გაერჩიათ. გასასვლელში არავინ იყო.

– მეორე ბოლოშია, – ჰარის პირი გაუშრა, – აქედან რას დავინახავთ...

ყველანი მინისბურთულებიან მაღალ თაროებს გაუყვნენ. ზოგი ბურთულა მკრთალად ანათებდა...

– სადღაც აქ უნდა იყოს, – დაიჩურჩულა ჰარიმ. ყოველ წამს იატაკზე მოკრუნჩხული სირიუსის დანახვას ელოდა, – სადაცაა, მივალთ... უკვე სულ ახლოს ვართ...

– ჰარი, – ფრთხილად დაუძახა ჰერმიონმა, მაგრამ ჰარის პირი გაუშრა და პასუხის გაცემას ვეღარ ახერხებდა.

– მგონი... სადღაც... უნდა იყოს... – თქვა ჰარიმ.

სანთლით მკრთალად განათებული რიგის ბოლოს მიაღწიეს. არავინ ჩანდა.

– იქნებ აქეთ არის... – ჩახლეჩილი ხმით წაიჩურჩულა ჰარიმ და მეორე გასასვლელში შეიხედა, – ან აქეთ... – სწრაფად შებრუნდა სხვა გასასვლელისკენ.

– ჰარი, – ისევ ფრთხილად დაუძახა ჰერმიონმა.

– რა გინდა? – წაიბუზღუნა.

– არა მგონია, სირიუსი აქ იყოს...

დანარჩენები ჩუმად იყვნენ. ჰარი თვალს ვეღარავის უსწორებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საზიზღრად გრძნობდა თავს. ვერ გაეგო, რატომ არ იყო აქ სირიუსი. ის აქ უნდა ყოფილიყო! ზუსტად ეს ადგილი არ ნახა სიზმარში?!

გაიქცა, რიგრიგობით იხედებოდა თითოეულ გასასვლელში. ყველგან სიცარიელე დახვდა... შებრუნდა და ახლა მეორე მხარეს გაიქცა. სირიუსის კვალი არსად ჩანდა, ვერც ბრძოლის კვალი შენიშნა.

– ჰარი, – დაუძახა რონმა.

– რა?

ჰარის არ უნდოდა გაეგონა, როგორ ეტყოდა რონი, სულელი ხარო, და ჰოგვორტსში დაბრუნებას შესთავაზებდა. გრძნობდა, როგორ უხურდა სახე. ახლა სიამოვნებით განმარტოვდებოდა სადმე ბნელ ადგილას. ერჩივნა, დიდხანს, დიდხანს მჯდარიყო იქ, ვიდრე სინათლით გაჩახჩახებულ ატრიუმში ასულიყო და მეგობრების საყვედურით სავსე თვალები დაენახა.

– ეს ნახე? – ჰკითხა რონმა.

– რა? – წამსვე დაინტერესდა ჰარი, იფიქრა, ალბათ, რაღაც ნიშანი სირიუსის აქ ყოფნაზე მიუთითებს, ანდა, სულაც, მთელი ამ გამოცანის გასაღებიაო. ოთხმოცდამეჩვიდმეტე რიგის ბოლოს დანარჩენებთან მიირბინა. რონი თაროზე ერთ-ერთ მტვრიან მინის ბურთულას მისჩერებოდა.

– რა არის? – მოღუშულმა იკითხა.

– აქ... აქ შენი სახელია, – უთხრა რონმა.

ჰარი ახლოს მივიდა. რონი მტვრის სქელი ფენით დაფარულ მინის პატარა ბურთულაზე უჩვენებდა. ბურთულა შიგნიდან მკრთალად ციმციმებდა, ჩანდა, რომ მრავალ წელიწადს მისთვის ხელი არავის ეხლო.

– ჩემი სახელი? – გაოცდა ჰარი.

კიდევ უფრო ახლოს მივიდა და, რადგან რონზე დაბალი იყო, კისერი წაიგრძელა, რომ მინის ბურთულის ქვემოთ მიკრულ გაყვითლებულ აბრაზე წარწერა წაეკითხა. იქ წვრილი, გაკრული ხელით ეწერა, დაახლოებით, თექვსმეტი წლის წინანდელი თარიღი, ქვეშ კი:

ბნელი ბაყონი და
(?) ჰარი პოტერი

ჰარი იარლიყს დააშტერდა.

– ეს რას ნიშნავს? – დამფრთხალი ხმით წაიჩურჩულა რონმა, – აქ რა უნდა შენს სახელს?

ჰარიმ იმავე თაროზე მიკრული სხვა აბრებიც მოათვალიერა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქ არც მე ვარ, არც დანარჩენები, – დაიბნა რონი.

– ჰარი, ჯობს, ხელი არ ახლო! – მკაცრად თქვა ჰერმიონმა, როცა ჰარიმ ბურთულის აღება დააპირა.

– რატომაც არა? ამას ხომ რაღაც კავშირი აქვს ჩემთან. რა, ასე არ არის?

– არ გინდა, ჰარი, – თქვა უცებ ნევილმა. ჰარიმ ახლა მას გადახედა. ნევილს მრგვალი სახე ოფლისგან ოდნავ უპრიალებდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სადაცაა, ყველა ნერვი დააწყდებოდა.

– მაგრამ აქ ჩემი სახელია, – თქვა ჰარიმ.

და გაუცნობიერებელ ლტოლვას დამორჩილებული თითებით შეეხო მტვრიანი ბურთულის ზედაპირს. ეგონა, რომ ცივი იქნებოდა, მაგრამ, პირიქით, ისეთი თბილი იყო, თითქოს რამდენიმე საათი მზეზე იდოო; თითქოს შინაგანი ნათება ათბობდა. იმის მოლოდინში, რომ ახლა მოულოდნელი, ამაღელვებელი რაღაც მოხდებოდა, ჰარიმ თაროდან ბურთულა აიღო და დახედა.

არაფერიც არ მოხდა. მეგობრები გარს შემოეხვივნენ და უყურებდნენ, როგორ ასუფთავებდა ბურთულას მტვრისგან.

და, აი, ამ დროს მათ ზურგს უკან ხმა გაისმა. ვიღაცამ მშვიდად, ლამის დამარცვლით თქვა:

– ძალიან კარგი, პოტერ. ახლა კი შემობრუნდი ძალიან ნელა, და სისულელეები არ გაბედო. ეგ კი მე მომეცი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთხუთმეტე

ფარდის მიღმა

ჰარისა და მის მეგობრებს საიდანღაც გამომტყვრალი შავი ლანდები ყოველი მხრიდან შემოერტყნენ და ერთბაშად მოუჭრეს გასაქცევი გზა. კაპიუშონიდან მხოლოდ აბრჭყვიალებული თვალები მოუჩანდათ. მშვიდად იდგნენ და ათამდე ჯადოსნური ჯოხის ანთებული წვერი პირდაპირ მათი გულებისკენ დაემიზნებინათ.

– მომეცი, პოტერ, – ჰარიმ იცნო ლუციუს მალფოის ხმა. ჰარის მთელი შიგნეული ამოუბრუნდა. ისინი მახეში გაებნენ და თითოეულზე ორი მოწინააღმდეგე, ორი სასტიკი „სიკვდილის მხვრელი“ მოდიოდა.

– გელოდები, პოტერ, – თქვა ისევ მალფოიმ.

– სად არის სირიუსი? – ჰკითხა ჰარიმ.

რამდენიმე „სიკვდილის მხვრელმა“ გაიცინა. მერე ჰარისგან მარცხნივ ქალის უხეშმა ხმამ პირქუში ნეტარებით თქვა:

– ბნელმა ბატონმა ყველაფერი იცის!

– საკმარისია, – ექოდ გამოეპასუხა მალფოი, – ახლა კი მომეცი წინასწარმეტყველება, პოტერ!

– მინდა, ვიცოდე, სად არის სირიუსი!

– „მინდა, ვიცოდე, სად არის სირიუსი!“ – გამოაჯავრა ქალმა.

„სიკვდილის მხვრელებმა“ წრე შეავიწროვეს. ჰარისა და მის მეგობრებს ახლა მათგან სულ ორიოდე ნაბიჯიღა აშორებდათ. მათი ჯადოსნური ჯოხების კაშკაშა სინათლე თვალებს აბრმავებდა.

– ის თქვენ შეიპყარით! – ჰარი თავის დამშვიდებას ამაოდ ცდილობდა, – ვიცი, რომ აქ არის.

– ცვენმა პაწაწინამ სესინებულმა გაიგვიძა და იფიქლა, ლომ სიზმალი სიმალთლეა, – საზიზღრად გაიცინა ქალმა. ჰარიმ შენიშნა, როგორ შეტოკდა გვერდით რონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ გინდა, – ჩუმად წაიბუტბუტა ჰარიმ, – ჯერ არა... ქალმა ხრინწიანი ხმით გადაიხარხარა.

– გაიგონეთ? არა, გაიგონეთ? თავხედობა ჰყოფნის და სხვა ბავშვებსაც მითითებებს აძლევს, თითქოს ჩვენთან ბრძოლას აპირებდეს!

– შენ პოტერს ისე არ იცნობ, ბელატრისა, როგორც მე, – ხმაშეპარვით თქვა მალფოიმ, – განდიდების მანია სჭირს და ეს მშვენივრად იცის ბნელმა ბატონმა. ახლა კი მომეცი წინასწარმეტყველება, პოტერ!

– ვიცი, რომ სირიუსი აქ არის, – არ დანებდა ჰარი, თუმცა, შიშისგან ისე შეეკუმშა გული, რომ ძლივს ჩაისუნთქა, – ვიცი, რომ შეიპყარით!

რამდენიმე „სიკვდილის მხვრელმა“ ისევ გაიცინა, ქალმა კი – ყველაზე ხმამაღლა.

– დროა სიზმარსა და ცხადს შორის განსხვავება ისწავლო, პოტერ, – თქვა მალფოიმ, – მომეცი წინასწარმეტყველება, თორემ...

– მაშინ, მიდით, – თქვა ჰარიმ და ჯადოსნური ჯოხი შემართა. ორივე მხარეს ჰაერში მაშინვე კიდევ ხუთი ჯოხი აიჭრა – რონის, ჰერმიონის, ნევილის, ჯინისა და ლუნასი. ჰარის ცივმა ოფლმა დაასხა და სიცივემ თავიდან ფეხებამდე დაუარა: თუ სირიუსი მართლაც არ არის აქ, გამოდის, რომ მეგობრები სულ უმიზეზოდ გაწირა...

მაგრამ „სიკვდილის მხვრელები“ თავდასხმას არ ჩქარობდნენ.

– თუ წინასწარმეტყველებას მომცემ, არაფერი დაგიშავდებათ, – ცივად თქვა მალფოიმ.

ახლა ჰარის ჯერი დადგა, სიცილით ეპასუხა:

– ჰო, რა თქმა უნდა! მე მოგცემთ ამას... წინასწარმეტყველებას, და თქვენ მშვიდობიანად გაგვიშვებთ შინ, არა?

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ „სიკვდილის მხვრელმა“ ქალმა დაისისინა:

– აკციო, წინას...

ჰარიმ დროზე მოასწრო: „პროტეგო!“ მანამ იყვირა, სანამ ბელატრისა შელოცვას დაასრულებდა. ბურთულა კინაღამ ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ მაინც მოახერხა მისი შეჩერება.

– ერთი შეხედეთ, რა ცქვიტია ეს ციცქნა პოტერი, – ქალს თვალები შეშლილივით აუელვარდა, – კარგი, რა გაეწყობა, მაშინ...

– ახლავე შეწყვიტე! – შეუღრინა ლუციუს მალფოიმ, – თუ დაამსხვრევ...

ჰარის ფიქრები ქარბორბალასავით დაუტრიალდა თავში. გამოდის, რომ ეს მტვრიანი მინის ბურთულა „სიკვდილის მხვრელებს“ ძალიან სჭირდებათ, მას, მაინცდამაინც – არა. მხოლოდ ის უნდა, რომ მისი ყველა მეგობარი ცოცხალი გავიდეს აქედან და პასუხი არ აგოს ჰარის სისულელის გამო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალი თავის თანამოძმეებს გამოეყო, წინ გავიდა და კაპიუშონი გადაიძრო. აზკაბანის ციხეს ბელატრისა ლესტრეინჯისთვის სახე გამოეშრო – ძალიან გამხდარიყო, ძვალი და ტყავი იყო, მაგრამ თვალები ციებიანივით უელავდა.

– ესე იგი, წინააღმდეგობის გაწევას აპირებთ? – მკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა, – მშვენიერია. ყველაზე პატარა აიყვანეთ, – უბრძანა გვერდით მდგომ „სიკვდილის მხვრელებს“, – ნახოს, როგორ ვაწამებთ პატარა ცუგრუმელას. მე თვითონ მივხედავ ამ საქმეს.

მეგობრები ჯინის გარშემო შემოეხვივნენ. ჰარი ჯინის წინ აეფარა, ბურთულა მკერდზე მიიკრა და მტკიცე ხმით თქვა:

– ბურთულა მაშინვე დაიმსხვრევა, როგორც კი ხელს ახლებთ რომელიმე ჩვენგანს! არა მგონია, თქვენი ბატონი კმაყოფილი დარჩეს, თუ ხელცარიელები დაბრუნდებით.

ბელატრისა ადგილიდან არ დაძრულა. ჰარისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ნერვიულად გაილოკა თხელი ტუჩები.

– კარგი, – განაგრძო ჰარიმ, – იქნებ ამიხსნათ, რა წინასწარმეტყველებაა ეს?

საუბრის გაგრძელებაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. ნევილს მის მკლავზე ეკიდა აკანკალებული ხელი. დანარჩენების გახშირებული სუნთქვაც ესმოდა. ჰარის მეგობრების იმედი ჰქონდა. დარწმუნებული იყო, რომელიმე აუცილებლად იპოვიდა გამოსავალს ჩიხიდან. თვითონ სულ დაეკარგა აზროვნების უნარი.

– რა წინასწარმეტყველება? – ბელატრისა აღარ იცინოდა, – შენ რა, ხუმრობ, ჰარი პოტერ?

– სულაც არა, – ჰარი თვალებით ჭამდა „სიკვდილის მხვრელებს“. სუსტ ადგილს ეძებდა, ისეთს, რომლის გარღვევაც შესაძლებელი იქნებოდა, – რისთვის დასჭირდა ვოლდემორს?

რამდენიმე „სიკვდილის მხვრელს“ შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

– შენ მისი სახელის ხსენებას ბედავ კიდეც? – წაიჩურჩულა ბელატრისამ.

– რატომაც არა? – არ შედრკა ჰარი. კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი მინის ბურთულას და გულზე მიიხუტა: „სიკვდილის მხვრელებისგან“ თავდასხმა ყოველ წამს იყო მოსალოდნელი, – მე სულაც არ მიჭირს, ვუწოდო ვოლდე...

– ხმა ჩაიწყვიტე! – დაუღრიალა ბელატრისამ, – როგორ ბედავ მისი სახელის ხსენებას შენი უღირსი პირით! როგორ ბედავ ჩვენი ბატონის წაბილწვას მუქსისხლიანის საძაგელი ენით! როგორ...

– თქვენ რა, არ იცოდით, რომ თავადაც მუქსისხლიანია?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოურიდებლად ჰკითხა ჰარიმ. გვერდით მდგომმა ჰერმიონმა ჩუმად დაიკვნესა, – მაგ თქვენს ვოლდემორს დედა ჯადოქარი ჰყავდა, მაგრამ მამამისი მაგლი იყო! იქნებ მოგატყუათ, წმინდა სისხლის ჯადოქარი ვარო?

– გაშეშ...

– არა!

ბელატრისას ჯადოსნურმა ჯოხმა წითლად იელვა, მაგრამ მალფოიმ სხივს მიმართულება შეუცვალა და შელოცვა ჰარის მარცხნივ თაროს მოხვდა. მინის რამდენიმე ბურთულა დაიმსხვრა. ნამსხვრევებიდან რძისფერი კვამლივით დაკლაკნილი ორი ფიგურა მოჩვენებასავით წამოიმართა და ერთდროულად ალაპარაკდა. მათი ხმები ერთმანეთში ირეოდა და მალფოისა და ბელატრისას ყვირილში მხოლოდ ნაწყვეტების გარჩევა შეიძლებოდა.

– ბუნიობაზე ახალი მოვა... – ამბობდა წვერიანი მოხუცის ფიგურა.

– კმარა! ჩვენ წინასწარმეტყველება გვჭირდება!

– როგორ გაბედა... როგორ!.. – უთავბოლოდ ღრიალებდა ბელატრისა, – საზიზღარი, უწმინდური მუქსისხლიანი...

– მოიცადე, სანამ წინასწარმეტყველებას ჩავიგდებთ ხელში! – უყვირა მალფოიმ.

– და არავინ მოვა მას შემდეგ... – წინასწარმეტყველებდა ახალგაზრდა ქალის რძისფერი ფიგურა.

დამსხვრეული მინის ბურთულებიდან გაჩენილი ორივე ფიგურა ჰაერში გადნა. არაფერი დარჩა. იატაკზე მხოლოდ ნამსხვრევები ეყარა. მაგრამ ჰარისთვის ეს საკმარისი იყო, შესანიშნავი იდეა გასჩენოდა. ახლა ამ იდეის სხვებისთვის გაზიარების საშუალება უნდა მოეძებნა.

– იქნებ მაინც ამიხსნათ, რით არის განსაკუთრებული ეს წინასწარმეტყველება, – თქვა დროის მოგების იმედით. მერე შეუმჩნევლად გააცურა ფეხი და შეეცადა, რომელიმე მეგობრის ფეხი ეპოვა.

– ნუ გვეხუმრები, პოტერ, – შეუღრინა მალფოიმ.

– სულაც არ ვხუმრობ, – თქვა ჰარიმ. მთელი ყურადღება ფეხზე ჰქონდა გადატანილი. თან საუბრის გაგრძელებასაც ცდილობდა. როგორც იქნა, ვიღაცის ფეხს შეეხო და ფეხსაცმელზე ფეხი დააჭირა. ეს ჰერმიონის ფეხი იყო.

– რა? – წასჩურჩულა ჰერმიონმა.

– ნუთუ დამბლდორს არასოდეს უთქვამს შენთვის, რომ მაგ ნაიარევის მიზეზი საიდუმლოებების დეპარტამენტში იმალება? – ჩაიცინა მალფოიმ.

– მე... რა? – წამოსცდა ჰარის. წამით თავისი გეგმაც კი დაავიწყდა, – რა შუაშია აქ ჩემი ნაიარევი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა იყო? – კიდევ უფრო დაჟინებით წასჩურჩულა უკნიდან ჰერმიონმა.

– შენ რა, არაფერი იცი? – ჰკითხა მალფოიმ ბოროტი ღიმილით.

„სიკვდილის მხვრელებმა“ გადაიხარხარეს. ჰარიმ დრო იხელთა და ჰერმიონს გადაუჩურჩულა:

– თაროები დაამტვრიეთ... მალფოიმ განაგრძო:

– ესე იგი, დამბლდორს არასოდეს უთქვამს? მაშინ გასაგებია, რატომ არ მოხვედი უფრო ადრე, ჰარი პოტერ. ბნელ ბატონს გაუკვირდა კიდეც...

– ...როცა გეტყვი „მიდი“...

– ...რომ მაშინვე კისრისტეხით არ გამოიქეცი, როცა ეს ადგილი გიჩვენა, სადაც შენი საამაყო ნაიარევის მიზეზია დამალული. ბნელ ბატონს შენი ცნობისმოყვარეობის იმედი ჰქონდა...

– აი, თურმე რა? – თქვა ჰარიმ. არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ გადასცემდა ჰერმიონი მის სიტყვებს დანარჩენებს და თან საუბრის გაგრძელებას ცდილობდა, რათა „სიკვდილის მხვრელთა“ ყურადღება მიეპყრო, – ესე იგი, მას უნდოდა, რომ აქ მოვსულიყავი და ეს რაღაც ამეღო. რატომ?

– რატომ? – მალფოის ხმაში გაკვირვება და ეჭვი შეეპარა, – იმიტომ, პოტერ, რომ საიდუმლოებების დეპარტამენტიდან წინასწარმეტყველების აღება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ეს წინასწარმეტყველება ეკუთვნის. ბნელმა ბატონმა ეს მაშინ გაარკვია, როცა სხვებს გზავნიდა მოსაპარად, იმათ კი არაფერი გამოსდიოდათ.

– მაგრამ რაში სჭირდებოდა ამ წინასწარმეტყველების მოპარვა?

– რაო, პოტერ, არასოდეს გიკითხავს საკუთარი თავისთვის, რატომ ცდილობდა ბნელი ბატონი შენს მოკვლას, როცა ჯერ კიდევ სულ პატარა იყავი?

კაპიუშონის ჭრილს მიღმა მალფოის რუხი თვალები ლაპლაპებდა. ნუთუ ამ წინასწარმეტყველებაში იმალება მისი მშობლების სიკვდილის მიზეზი, რომლის გამოც შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი დარჩა? ნუთუ ის, რაც ახლა ხელში უჭირავს, ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს?

– ესე იგი, უკვე დიდი ხანია, აქ ვიღაცის წინასწარმეტყველება ინახება ჩემზე და ვოლდემორზე? – მშვიდად იკითხა. თან ლუციუს მალფოის შესცქეროდა და მაგრად უჭერდა ხელს მინის ბურთულას. ბურთულა ზომით სნიჩზე დიდი არ იყო, ზედაპირი მტვრისგან ხაოიანი ჰქონდა, – და ვოლდემორმა შემომიტყუა აქ, რომ ამეღო და მისთვის მიმეცა? მაგრამ თვითონ რატომ არ მოვიდა?

– თვითონ? – შემზარავად გაისმა ბელატრისას კივილი „სიკვდი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის მხვრელების“ ხრინწიან სიცილში, – შენ სთავაზობ ბნელ ბატონს, მოვიდეს სამინისტროში, სადაც მისი დაბრუნება არავის უნდა? სთავაზობ, საკუთარი ნებით ჩაუვარდეს ხელში აურორებს, რომლებიც ჯერჯერობით ჩემს ძვირფას დეიდაშვილზე კარგავენ დროს?

– გამოდის, რომ მის მაგივრად თქვენ ასრულებთ ჭუჭყიან სამუშაოს! – დააზუსტა ჰარიმ, – ჯერ სტარჯისი გამოგზავნა... მერე – ბოუდი...

– ძალიან კარგი, პოტერ, ძალიან კარგი, – გაწელა მალფოიმ, – მაგრამ ბნელმა ბატონმა იცის, რომ შენ არც ისე სულე...

– მიდი, – იყვირა ჰარიმ.

ხუთმა სხვადასხვა ხმამ ერთდროულად დაიძახა: „რედუქტო!“ ხუთი შელოცვა გამოფრინდა ჯადოსნური ჯოხების წვერებიდან, ხუთივე სხვადასხვა მიმართულებით, და მეზობელი თაროები ნამსხვრევებად აქცია. უამრავი მინის ბურთულა ერთდროულად აფეთქდა და ჰაერი მაშინვე რძისფერი ფიგურებით გაივსო. აჩრდილები აბუტბუტდნენ და მათი ხმები – ვინ იცის, როდინდელი წარსულის ექო – მინის მსხვრევის ზრიალსა და ხის მტვრევის ხმებს შეერია. ნაფოტები მინის ნამსხვრევებთან ერთად წვიმად წამოვიდა იატაკზე...

– გავიქცეთ! – დაიყვირა ჰარიმ, როცა დაინახა, რომ ერთ-ერთი თარო სახიფათოდ გადმოქანდა და ბურთულები გადმოცვივდა. ცალი ხელი ჰერმიონს სტაცა მანტიაზე, მეორე ხელით კი ნამსხვრევებისგან იცავდა თავს. რომელიღაც „სიკვდილის მხვრელი“ მტვრის კორიანტელიდან პირდაპირ მათკენ გამოქანდა. ჰარიმ ძლიერად ამოსცხო იდაყვი ნიღბით დაფარულ სახეში. გარშემო ისმოდა ყვირილი, კივილი, თაროები გრუხუნით ეცემოდა ერთმანეთს და ამ ხმაურს თან ერთვოდა მინის ბურთულებიდან თავდაღწეულ წინასწარმეტყველთა საუბრის ნაწყვეტები...

ჰარიმ დაინახა, რომ წინ გზა თავისუფალი იყო. თავზეხელებწაფარებულმა რონმა, ჯინიმ და ლუნამ გვერდით ჩაუქროლეს. ჰარის რაღაც მძიმე მოხვდა ლოყაზე, მაგრამ არ შეჩერებულა, კიდევ უფრო მოიკუნტა და სიჩქარეს უმატა. ვიღაცამ მხარში ჩაავლო ხელი და მაშინვე ჰერმიონის შეძახილიც მოესმა: – „გაშეშდი!“ „სიკვდილის მხვრელმა“ მაშინვე ხელი უშვა ჰარის მხარს...

უკვე ოთხმოცდამეჩვიდმეტე რიგის ბოლოს მიაღწიეს. ჰარიმ მარჯვნივ შეუხვია და მთელი ძალით გაიქცა გასასვლელისკენ. უკნიდან ვიღაცის ნაბიჯებისა და ჰერმიონის ხმა ესმოდა, რომელიც ნევილს აჩქარებდა. წინ ღია კარი მოჩანდა, იმის იქით კი – მინის ჭურჭლის ნაირფერი ნათება. ზღურბლზე გადაირბინა, ხელში ისევ წინასწარმ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეტყველება ჰქონდა ჩაბლუჯული. მოიცადა, სანამ მისი მეგობრებიც გამოვიდოდნენ, და კარი მიხურა...

– კოლოპორტუს! – ძლივს ამოთქვა ჰერმიონმა და კარი უცნაური წკაპუნით ჩაირაზა.

– სად... სად არიან დანარჩენები? – დაიჩურჩულა ჰარიმ. ეგონა, რომ რონმა, ჯინიმ და ლუნამ გამოასწრეს და უკვე ამ ოთახში ელოდნენ, მაგრამ აქ არავინ ჩანდა.

– ალბათ, სხვა მხარეს გაიქცნენ! – შეშფოთდა ჰერმიონი.

– ჩუმად!.. – წამოიძახა ნევილმა.

ჩარაზული კარის მიღმა ვიღაცის ფეხის ხმა და ყვირილი ისმოდა. ჰარიმ კარს ყური მიადო და მალფოის ღრიალი გაიგონა:

– თავი დაანებეთ ნოტს, დაანებეთ თავი, გესმით? მისი ჭრილობები ბნელი ბატონისთვის არაფერია წინასწარმეტყველების დაკარგვასთან შედარებით. ჯაგსონ, დაბრუნდი, ორგანიზებულად უნდა ვიმოქმედოთ! წყვილებად დავიყოთ და ისე ვეძებოთ. არ დაგავიწყდეთ, პოტერს გაუფრთხილდით, სანამ წინასწარმეტყველება მის ხელშია. დანარჩენები დახოცეთ, თუ საჭირო იქნება... ბელატრისა, როდოლფუს, თქვენ მარცხნივ წახვალთ; კრაბი და რაბასატნი – მარჯვნივ; ჯაგსონი და დოლოხოვი – წინ, იმ კარისკენ; მაკნერი და ეივერი – აქეთ; რუკვუდი – იქით; მალსიბერ, შენ ჩემთან ერთად წამოხვალ!

– რა ვქნათ? – ჰკითხა აცახცახებულმა ჰერმიონმა ჰარის.

– ჯერ ამ კარს უნდა მოვცილდეთ. არ ღირს აქ დგომა და ლოდინი, როდის გვიპოვიან.

ისინი უხმაუროდ გაიქცნენ, ბრჭყვიალა ჭურჭელს ჩაურბინეს (ჩიტი ისევ გამოჩეკილიყო ერთი ციცქნა კვერცხიდან და ახლა უკანვე ბრუნდებოდა) და მრგვალი ოთახის კარისკენ გაცვივდნენ. თითქმის მიაღწიეს კიდეც იქამდე, და ამ დროს ჰარიმ მძიმე დარტყმა გაიგონა კარზე, რომელიც ჰერმიონმა მოაჯადოვა.

– გაიწიე! – იყვირა უხეშმა ხმამ, – ალოჰომორა!

კარი კი გაიღო, მაგრამ ჰარიმ, ჰერმიონმა და ნევილმა მოასწრეს მაგიდის ქვეშ შეძრომა. იმავე წამს მანტიის კალთები გამოჩნდა – მათ სწრაფი ნაბიჯით ორი „სიკვდილის მხვრელი“ უახლოვდებოდა.

– ალბათ, ჰოლისკენ გაიქცნენ, – გაისმა უხეში ხმა.

– მაგიდის ქვეშ შეამოწმე, – ურჩია მეორემ.

ჰარიმ დაინახა, როგორ მოიხარა ერთ-ერთი მდევრის მუხლები. მაგიდის ქვეშიდან ჯადოსნური ჯოხი გამოყო და დაიძახა: გაშეშდი!

წითელი სხივი უახლოეს „სიკვდილის მხვრელს“ ეძგერა. ის უკან გადავარდა და დასადგმელი საათიც წააქცია. მისი მეწყვილე განზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გახტა, ჰარის შელოცვა აიცილა და ჯოხი სამალავიდან ნახევრად გამომძვრალ ჰერმიონს დაუმიზნა.

– ავადა...

ჰარი თვალის დახამხამებაში ეცა და ხელები მუხლებზე შემოხვია. „სიკვდილის მხვრელი“ იატაკს დაენარცხა და, რა თქმა უნდა, მიზანს ააცილა. ნევილმა მაგიდა გადააბრუნა, თავისი ჯადოსნური ჯოხი წაქცეულებისკენ მიმართა და დაიყვირა:

– ექსპელიარმუს!

ორივეს, ჰარისაც და „სიკვდილის მხვრელსაც“, ჯოხები ხელიდან დაუსხლტათ და უკან, წინასწარმეტყველების დარბაზის კარისკენ გასრიალდა. ორივე ერთდროულად წამოხტა და ჯოხებს გაეკიდა – „სიკვდილის მხვრელი“ წინ გარბოდა, ჰარი უკან მისდევდა, შეძრწუნებული ნევილი კი ფეხდაფეხ მიჰყვებოდათ.

– გაიწიე, ჰარი, – იყვირა ნევილმა და შეცდომის გამოსწორება სცადა.

ჰარი განზე გახტა, ნევილმა კი ჯოხი ისევ აიქნია და იყვირა:

– გაშეშდი!

წითელი სხივი რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა „სიკვდილის მხვრელს“ და კედელზე დაკიდებულ სხვადასხვა ფორმის საათებით სავსე შემინულ კარადას მოხვდა. კარადა ჯერ გადმობრუნდა და დაიმტვრა, მერე ისევ გამთლიანებული კედელზე შეხტა, ბოლოს კიდევ ერთხელ ჩამოვარდა და ნაწილებად დაიშალა...

„სიკვდილის მხვრელმა“ იატაკზე დაგდებულ ჯოხს ხელი სტაცა და ჰარისკენ შემობრუნდა. ჰარი სასწრაფოდ მეორე მაგიდის ქვეშ შეძვრა. „სიკვდილის მხვრელს“ ნიღაბი გვერდზე მოჰქცეოდა და კარგად ვერ ხედავდა. გაცოფებულმა კაპიუშონი თავისუფალი ხელით ჩამოიგლიჯა და იყვირა:

– გაშ...

– გაშეშდი! – დაასწრო ჰერმიონმა. წითელი სხივი „სიკვდილის მხვრელს“ შიგ მკერდში მოხვდა. ხელაწეული გაშეშდა, ჯოხი ხელიდან გაუვარდა და იატაკზე გაგორდა. თვითონ კი უკან, ზედ მინის ჭურჭელზე დაეცა. მაგრამ, დარტყმის ნაცვლად, თავმა მბრწყინავი ქარით სავსე ჭურჭელში ისე გაიარა, როგორც საპნის ბუშტში, ტანი კი გულაღმა გაიშოტა მაგიდაზე და ასევე დარჩა.

– აკციო, ჯოხი! – შესძახა ჰერმიონმა, ჰარის ჯადოსნური ჯოხი ბნელი კუთხიდან გამოფრინდა გოგონას პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა. იმან კი პატრონს გადაუგდო.

– გმადლობ, – თქვა ჰარიმ, – ახლა კი აქედან უნდა გავაღ...

– შეხედეთ! – შეძრწუნებული ნევილი „სიკვდილის მხვრელის“ მინის ჭურჭელში ჩადებულ თავს მიშტერებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისევ შემართეს ჯადოსნური ჯოხები, მაგრამ ხმა არც ერთს ამოუღია. პირდაღებულები შესცქეროდნენ იმას, რაც „სიკვდილის მხვრელის“ თავს ემართებოდა.

თავი მათ თვალწინ დაპატარავდა და გამელოტდა. შავი თმა ჯერ დამოკლდა, მერე კი სულაც ჩაიკარგა თავის ქალაში. ლოყები სლიპინა გაუხდა, დამრგვალებული მელოტი თავი კი ნაზი ბუსუსებით დაეფარა... და მათ თვალწინ სულ მალე ახალშობილის თავად იქცა, რომელიც უცნაურად გამოიყურებოდა სქელ, დაკუნთულ კისერზე. „სიკვდილის მხვრელი“ ფართხალით ცდილობდა წამოდგომას. სანამ ისინი ამ უცნაურ მეტამორფოზას უყურებდნენ, თავმა ისევ ნორმალური ზომები მიიღო, ნიკაპზე და კეფაზე ისევ წამოიზარდა შავი, სქელი თმა.

– ეს დროა, – თქვა ჰერმიონმა მოწიწებანარევი შიშით, – დრო...

„სიკვდილის მხვრელმა“ შეაქანა თავისი საზიზღარი თავი და ჭურჭლიდან ამოსვლას შეეცადა, მაგრამ ვერ მოასწრო, ისევ დაპატარავება და ბავშვობაში დაბრუნება დაიწყო...

მეზობელი ოთახიდან ყვირილი მოისმა, ამას რაღაცის მტვრევის ხმა და განწირული კივილი მოჰყვა.

– რონ! – იყვირა ჰარიმ და გასაცოდავებულ „სიკვდილის მხვრელს“ თვალი მოარიდა, – ჯინი! ლუნა!

– ჰარი, – იკივლა ჰერმიონმა.

„სიკვდილის მხვრელმა“, როგორც იქნა, ამოყო თავი ჭურჭლიდან. უცნაური და საზარელი სანახავი იყო – ახალშობილის ციცქნა თავი გულსაკლავად ტიროდა, დაკუნთული მსხვილი ხელები კი უაზროდ ებრძოდნენ ჰაერს ყველა მიმართულებით. ჰარიმ ძლივს აიცილა ერთი დარტყმა. მაშინვე ასწია ჯადოსნური ჯოხი, მაგრამ ჰერმიონმა შეაჩერა.

– არ შეიძლება ბავშვის ხელის ხლება!

კამათის დრო არ იყო. წინასწარმეტყველების დარბაზიდან ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა. ჰარი გვიან მიხვდა, რომ ყვირილით დანარჩენ „სიკვდილის მხვრელებს“ თავიანთი ადგილსამყოფელი აცნობა.

– გავიქცეთ! – ჩვილისთავიან მახინჯს, რომელიც კივილით დაბანცალებდა, ზურგი აქციეს და ღია კარისკენ გაიქცნენ.

ბნელ ოთახში კიდევ ორი „სიკვდილის მხვრელი“ დაინახეს. ისინი მათკენ მორბოდნენ. მეგობრებმა მკვეთრად გაუხვიეს მარცხნივ, რომელიღაც პატარა მტვრიან საკუჭნაოში შეძვრნენ, და კარი მიხურეს.

– „კოლო...“ – დაიწყო ჰერმიონმა, მაგრამ ვერ დაამთავრა. კარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაილო და საკუჭნაოში ორი „სიკვდილის მხვრელი“ შემოვარდა. მათ გამარჯვების ყიჟინა დასცეს და ორივემ ერთად იყვირა:

– იმპედიმენტა!

ნევილი მაგიდას გადააფრინდა და სადღაც გაუჩინარდა. ჰერმიონი წიგნის კარადას შეასკდა და სქელი ტომები თავზე დაემხო. ჰარი კეფით მიეჯახა ქვის კედელს, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა და ლამის გონება დაკარგა.

– ავიყვანეთ! – იღრიალა ჰარის ახლოს მდგომმა „სიკვდილის მხვრელმა“, – ის საკუჭ...

– სილენციო! – დაიძახა ჰერმიონმა და ბოროტი ჯადოქარი დამუნჯდა. ტუჩებს ისევ ამოძრავებდა, მაგრამ – უხმოდ. მეორემ თავისი მეწყვილე გვერდზე გასწია.

– პეტრიფიკუს ტოტალუს! – დაიყვირა ჰარიმ, როგორც კი შემართულ ჯადოსნურ ჯოხს მოჰკრა თვალი. „სიკვდილის მხვრელს“ ერთბაშად მოუდუნდა ხელ-ფეხი, ხალიჩაზე დავარდა და აღარც განძრეულა.

– კარგია, ჰა...

მაგრამ ჰერმიონისგან დამუნჯებულმა „სიკვდილის მხვრელმა“ უცებ გეზად გაიქნია ჯოხი და ჰერმიონს წითელმა ელვამ გადაუარა მკერდზე. გოგონამ ჩუმად, თითქოს გაკვირვებულმა, შეჰკივლა და უგონოდ ჩაიკეცა.

– ჰერმიონ!

ჰარიმ ჰერმიონის უსიცოცხლო სხეულთან დაიჩოქა. ამ დროს თავისი ჯადოსნური ჯოხით ხელში მაგიდის ქვეშიდან ნევილი გამოძვრა. ახალი მტერი შენიშნა თუ არა, „სიკვდილის მხვრელმა“ წიხლი ჩასცხო სახეში. ნევილს ჯოხი შუაზე გადაუტყდა, ტკივილისგან დაიღმუვლა, ხელი ცხვირ-პირზე აიფარა და უკანვე გახოხდა. ჰარი შებრუნდა, ჯოხი ასწია და დაინახა, რომ ნიღაბმოხსნილი „სიკვდილის მხვრელი“ თავის ჯოხს ახლა მას უმიზნებდა. ჰარის გაახსენდა, რომ ეს ვიწრო, ფერმკრთალი და მოღრეცილი სახე „დილის მისანში“ ჰყავდა ნანახი. მის წინ ანტონინ დოლოხოვი – პრუეტების მკვლელი იდგა.

დოლოხოვმა ჩაიცინა. თავისუფალი ხელით წინასწარმეტყველებაზე ანიშნა, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა ჰარის, მერე – საკუთარ თავზე და ჰერმიონზე. მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი აღარ შეეძლო, მისი ჟესტების აზრი სრულიად ნათელი იყო: ახლავე მომეცი წინასწარმეტყველება, თორემ შენც იგივე დაგემართება, რაც მასო.

– როცა ამას მიიღებ, ხელს არც ერთს გვახლებ? – ჰკითხა ჰარიმ. ხელი ჯერ კიდევ თბილი ჰერმიონის მხარზე ედო და სასოწარკვეთილი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გონებაში ეჩურჩულებოდა მეგობარს: „ოღონდ არ მოკვდე, გთხოვ, არ მოკვდე! ღმერთო ჩემო, ჩემი ბრალია... ეს რა დღეში ჩაგყარეთ...“

– დაც დინდა, ქენი, ოონდ არ მისცე! – მაგიდის ქვეშიდან გამოსძახა გაავებულმა ნევილმა. ნევილს ცხვირი გატეხილი ჰქონდა, ტუჩები და ნიკაპი – სისხლში მოსვრილი.

უკნიდან ხმაური მოისმა და დოლოხოვმა ოდნავ მიაბრუნა თავი. კარში ჩვილისთავიანი „სიკდილის მხვრელი“ გამოჩნდა. თავი ისევ გამწარებული ჩხაოდა, ვეებერთელა მუშტები კი ხან რას ხვდებოდა, ხან – რას. ჰარიმ დრო იხელთა და იყვირა:

– პეტრიფიკუს ტოტალუს!

შელოცვა მანამდე მოხვდა დოლოხოვს, სანამ თავის დაცვას მოასწრებდა, და ზედ თავის მეწყვილეზე გაიშხლართა. ახლა ორივე პარალიზებული იყო. ჩვილისთავიანი „სიკვდილის მხვრელი“ ისევ სადღაც გაქრა.

– ჰერმიონ, – ჰარი მაშინვე მეგობარს მიუბრუნდა და შეანჯღრია, – თვალი გაახილე, ჰერმიონ...

– რა გაუგედა? – იკითხა ნევილმა, მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა და მანაც ჰერმიონთან დაიჩოქა. ცხვირი თანდათან უსივდებოდა და სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა.

– არ ვიცი...

ნევილმა ჰერმიონს მაჯაზე წაავლო ხელი.

– პულში აგვს, ჰარი, დადმუნებული ვარ.

ჰარიმ ისეთი შვება იგრძნო, რომ წამით თავბრუც კი დაეხვა.

– ცოცხალია?

– მგონი, კი.

ერთხანს ხმა არ ამოუღიათ. ჰარი სმენად იყო ქცეული, მაგრამ სიჩუმეს მხოლოდ მეზობელი ოთახიდან გამოსული ჩვილისთავიანი „სიკვდილის მხვრელის“ ტირილი და გაუბედავი ნაბიჯების ხმა არღვევდა.

– ნევილ, გასასვლელი შორს არ არის, – დაიჩურჩულა ჰარიმ, – მრგვალი ოთახი აქვეა... იქამდე მისვლა რომ მოასწრო და გარეთ გასასვლელი კარიც სწორად მოძებნო, სანამ სხვა „სიკვდილის მხვრელები“ გამოჩნდებიან, დერეფანში ლიფტამდე გაათრევდი ჰერმიონს, იქ კი ვინმეს იპოვიდი... განგაშს ატეხდი...

– შენ რაგას გააგედებ? – სახელოთი მოიწმინდა სისხლი და მოღუშული შეაცქერდა ჰარის.

– შევეცდები, დანარჩენები ვიპოვო, – უთხრა ჰარიმ.

– მაშინ მეც მოვდებნი, – მტკიცედ თქვა ნევილმა.

– მაგრამ ჰერმიონი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეგვიდლია, დან დავიგვანოდ, – გადაჭრით თქვა ნევილმა, – მე გამოვიგვან, შენ ჩემზე გარგად ჩუბობ...

წამოდგა და ჰერმიონს იდაყვზე წაავლო ხელი. ჰარი ჯერ შეყოყმანდა, მერე მეორე მკლავში ჩაავლო ხელი და ნევილს გრძნობადაკარგული ჰერმიონის წამოკიდებაში მიეხმარა.

– მოიცა, – ჰარიმ იატაკიდან ჰერმიონის ჯადოსნური ჯოხი აიღო და ნევილს გაუწოდა, – აიღე, გამოგადგება.

ნევილმა თავისი ჯოხის ნამტვრევები ფეხისკვრით მოიშორა და ნელა წავიდნენ გასასვლელისკენ.

– ბებია მომგლავს, – ჩახლეჩილი ხმით თქვა ნევილმა. ცხვირიდან სისხლის დენას ვერაფრით იჩერებდა, – ეს მამაჩემის დველი დოხი იგო.

ჰარიმ თავი გაყო კარში და ფრთხილად მიმოიხედა. ჩვილისთავიანი „სიკვდილის მხვრელი“ ისევ ეჯახებოდა ავეჯს, ისევ აყირავებდა მაგიდებსა და საათებს, შემინული კარადა კი – ჰარი ახლაღა მიხვდა, რომ იქ დროის ქანქარა ინახებოდა, – ისევ ისე ვარდებოდა, იმტვრეოდა და მთელდებოდა.

– ვერ შეგვამჩნიეს, – წაიჩურჩულა ჰარიმ, – წამო, ოღონდ არ ჩამორჩე...

საკუჭნაოდან გამოვიდნენ და ბნელ ოთახში ფეხაკრეფით გავიდნენ. აქ კაცის ჭაჭანება არ იყო. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს და დროის ოთახის კარი მიიხურა. კედლები ისევ დატრიალდა. ჰერმიონწამოკიდებული ნევილი ოდნავ ბარბაცებდა. ჰარის თავბრუ დაეხვა, თვალები დახუჭა და მანამდე არ გაახილა, სანამ ოთახი არ გაჩერდა. უცებ გულის კანკალით შენიშნა, რომ ჰერმიონის ჯვრები კარებიდან გაქრნენ.

– შენი აზრით, ახლა საით...

მაგრამ სანამ რამეს გადაწყვეტდნენ, მარჯვნივ პირველივე კარი გაიღო და იქიდან სამნი გამოცვივდნენ.

– რონ! – შეჰყვირა ჰარიმ და მათკენ გავარდა, – ჯინი!

როგორ...

– ჰარი, – წაიბუტბუტა რონმა ხითხითით, შეტორტმანდა, ჰარის მანტიაში ჩაავლო ხელი და დაელმებული თვალებით მიაჩერდა, – აი, თურმე სად ყოფილხარ... ჰი-ჰი-ჰი... რა სასაცილოდ გამოიყურები, ჰარი... შენს თავს არ ჰგავხარ...

რონის მკვდრისფერი ედო სახეზე, პირის კუთხიდან რაღაც მუქი სითხე ჩამოსდიოდა. კიდევ წამიც და, ფეხები მოეკვეთა, მაგრამ ჰარის მანტიისთვის ხელი არ შეუშვია.

– ჯინი, – შეშინებულმა იკითხა ჰარიმ, – რა მოხდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯინიმ მხოლოდ გადააქნია თავი და კედლიდან ჩაცურდა. მძიმედ სუნთქავდა, ხელი კოჭზე ეჭირა.

– მგონი, ფეხი მოიტეხა. ტკაცანი გავიგონე, – წაიჩურჩულა ლუნამ. მარტო ის არ დაშავებულიყო, – ისინი ოთხნი იყვნენ და რაღაც ბნელ, პლანეტებიან ოთახში შეგვრეკეს. უცნაური ადგილია, ხანდახან სიბნელეში ჰაერში დავლივლივებდით.

– ჰარი, ჩვენ ურანი დავინახეთ, ძალიან ახლოდან! – ისევ ჩაიხითხითა რონმა და ტუჩის კუთხეში გამობერილი სისხლიანი ბუშტუკი გაუსკდა, – გესმის, ჰარი? ჩვენ ურანი დავინახეთ... ჰი-ჰი-ჰი...

– ...მოკლედ, ერთ-ერთმა მათგანმა ჯინის ფეხში სტაცა ხელი, მე შემამცირებელი შელოცვა გამოვიყენე და პლუტონი სახეში ვთხლიშე, მაგრამ...

ლუნამ უღონოდ გაიშვირა ხელი ჯინისკენ, რომელიც თვალდახუჭული იჯდა იატაკზე და მძიმედ სუნთქავდა.

– რონს რაღა დაემართა? – შეშფოთებით იკითხა ჰარიმ. რონი ისევ მანტიაში ჩაჰფრენოდა და ხითხითებდა.

– არ ვიცი, რა შელოცვა გამოიყენეს, მაგრამ რაღაც უცნაურად იქცევა. ძლივს მოვიყვანე აქამდე, – ნაღვლიანად აუხსნა ლუნამ.

– ჰარი, – რონმა ხითხითით ჩაუჩურჩულა ყურში ჰარის, – იცი, ვინ არის ეს გოგო, ჰარი? ეს ხომ სულელუნაა... ჰი-ჰი-ჰი...

– აქედან უნდა წავიდეთ, ლუნა, მიეხმარები ჯინის? – ჰკითხა ჰარიმ ლუნას.

– ჰო, – თქვა ლუნამ და ჯადოსნური ჯოხი ყურს უკან გაირჭო. მერე ჯინის წელზე მოხვია ხელი და წამოაყენა.

– არაფერია, მე თვითონ ავდგები! – გაღიზიანდა ჯინი, მაგრამ წაბარბაცდა და, რომ არ დაცემულიყო, ლუნას ჩაავლო ხელი.

ჰარიმ რონს გადახვია ხელი და გაახსენდა, რომ შარშან ზაფხულს შეშინებული დადლი ზუსტად ასე მიჰყავდა შინ. ოთახს მოავლო თვალი. გარშემო თორმეტი კარი იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი მიდიოდა სამინისტროს გასასვლელისკენ.

რონი კარისკენ წაათრია. იქამდე სულ რამდენიმე ნაბიჯილა რჩებოდა, როცა მოპირდაპირე მხარეს სხვა კარი გაიღო და ოთახში სამი „სიკვდილის მხვრელი“ შემოვარდა ბელატრისა ლესტრეინჯის მეთაურობით.

– გაებით? – შესძახა კმაყოფილმა ბელატრისამ.

იელვეს დამარეტიანებელმა შელოცვებმა. ჰარიმ უახლოესი კარი შეანგრია, რონი უბოდიშოდ შეაგდო შიგნით და უკანვე გაბრუნდა ნევილისა და ჰერმიონის დასახმარებლად. იმათ ძლივს მოასწრეს ზღურბლზე გადმოსვლა და ბელატრისას ზედ ცხვირწინ მიუხურეს კარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კოლოპორტუს! – შესძახა ჰარიმ და გაიგონა, როგორ მოასკდა სამი სხეული კარს იქითა მხრიდან.

– არა უშავს! – დაიძახა მამაკაცის ხმამ, – იქ სხვა გზითაც შევალთ... გამოვიჭირეთ... აქ არიან!

ჰარიმ მიმოიხედა. ისევ ტვინების ოთახში იყვნენ. და, მართლაც, ამ ოთახში რამდენიმე კარი შემოდიოდა. ესმოდა, კედლის იქით როგორ მირბოდა ვიღაც მთელი ძალით. „სიკვდილის მხვრელებს“ დამატებითი ძალები შეუერთდნენ.

– ლუნა... ნევილ... მოგვეხმარეთ!

სამივემ ოთახის შემოვლა დაიწყო და გზადაგზა კარებს რაზავდნენ. სიჩქარეში ჰარი მაგიდას დაეჯახა და დაეცა.

კედლის იქით ბრაგაბრუგი ისმოდა. დროდარო ვიღაც მთელი ტანით მიეხეთქებოდა ჩარაზულ კარს და ააჭრიალებდა. და სწორედ იმ დროს, როცა თითქმის ყველა კარი ჩარაზეს, ჰარის ლუნას ყვირილი მოესმა:

– კოლო... ა-ა-ა-ა-ა!

ჰარი იმწამსვე შებრუნდა და ჰაერშიღა მოჰკრა თვალი: ხუთი „სიკვდილის მხვრელი“ ოთახში იმ კარით შემოიჭრა, რომლის დაბეჭდვა ლუნამ ვერ მოასწრო. ლუნა ჯერ მაგიდაზე დაეცა, ზედ გასრიალდა, მერე იატაკზე ჩამოვარდა და გაუნძრევლად გაიშოტა.

– პოტერი დაიჭირეთ! – იყვირა ბელატრისამ. ჰარი განზე გახტა და გაიქცა: მას არაფერი ემუქრებოდა, სანამ წინასწარმეტყველება ეჭირა ხელში...

– ეი! – რონი ძლივს წამოდგა ფეხზე, ბარბაცითა და ხითხითით ჰარისკენ წაბანცალდა, – ეი, ჰარი! იქ, შიგნით, ტვინია. რა უცნაურია, არა?

– ჩამომეცალე, რონ! იატაკზე დაწექი...

მაგრამ რონმა უკვე მიმართა ჯოხი აკვარიუმისკენ.

– მართლა გეუბნები, ჰარი, იქ ტვინია... შეხედე... აკციო, ტვინი!

ყველა, ვინც ოთახში იყო, წამით გაშეშდა. ჰარი, ჯინი, ნევილი და ხუთივე „სიკვდილის მხვრელი“ უნებურად აკვარიუმისკენ შებრუნდა. ამ დროს მწვანე სითხიდან ტვინი ამოხტა, წამით ჰაერში გაირინდა, მერე რონისკენ გასრიალდა. გზადაგზა ბზრიალებდა, შიგნიდან კი მოძრავგამოსახულებიანი ლენტები მოცურავდა და კინოფირის ხვეულასავით იშლებოდა...

– ჰი-ჰი-ჰი, ჰარი, ერთი შეხედე... – ახითხითდა ტვინის ფერადი შიგთავსით აღფრთოვანებული რონი, – მოდი, აქ, აი, საოცრება!

– არა, რონ!

ჰარიმ არ იცოდა, რა დაემართებოდა რონს, თუ ტვინს შეეხებოდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ახლა კარგი არაფერი მოხდებოდა. წინ გავარდა, მაგრამ რონს უკვე ორივე ხელით ეჭირა ტვინი.

როგორც კი რონის თითები ტვინს შეეხო, საცეცები მაშინვე თოკებივით შემოეხვა მაჯაზე.

– ჰარი, შეხედე... არა... არა! ეს მე არ მომწონს! ეი, თქვენ, გეყოფათ... გაჩერდით...

მაგრამ წვრილი ლენტები ახლა მკერდზე შემოერტყა. რონი გლეჯდა მათ, ტვინი კი რვაფეხასავით ეწებებოდა.

– დიფინდო! – იყვირა ჰარიმ. ეგონა, საცეცებს დაგლეჯდა, მაგრამ შელოცვამ არ გაჭრა. რონი დაეცა და თავგანწირვით ცდილობდა ბორკილებისგან გათავისუფლებას.

– დაახრჩობს, ჰარი, – დაიყვირა ჯინიმ. გატეხილი კოჭი ადგომას უშლიდა. უცებ რომელიღაც „სიკვდილის მხვრელის“ ნატყორცნი წითელი სხივი პირდაპირ სახეში მოხვდა. ჯინი დაეცა და გაყუჩდა.

– გაშეშდი! – იღრიალა ნევილმა და ჰერმიონის ჯოხით თავდამსხმელისკენ შებრუნდა, – გაშეშდი! გაშეშდი!

მაგრამ არაფერიც არ მოხდა.

ერთ-ერთმა „სიკვდილის მხვრელმა“ ნევილს საპასუხო შელოცვა ესროლა და სულ რაღაც სამი სანტიმეტრით ააცილა. ჰარი და ნევილი მარტონი დარჩნენ ხუთი თავდამსხმელის პირისპირ. ორი მათგანი ვერცხლისფერ ისრებს ისროდა ჯადოსნური ჯოხებიდან. ისრები კედელს ხვდებოდა და ორმოებს ტოვებდა. ჰარიმ წინასწარმეტყველება თავზემოთ ასწია და გაიქცა. მხოლოდ იმაზელა ფიქრობდა, როგორ გაეტყუებინა „სიკვდილის მხვრელები“. ეს მეგობრების გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

ჩანაფიქრმა გაჭრა. ყველა ჰარის დაედევნა. გზადაგზა აქეთიქით ისროდნენ სკამებსა და მაგიდებს, მაგრამ იმის შიშით, რომ წინასწარმეტყველება დაზიანდებოდა, შელოცვის გამოყენებას ვერ ბედავდნენ. ჰარიმ ამით ისარგებლა და ერთადერთ ღიად დარჩენილ კარში გავარდა – სწორედ იმ კარში, საიდანაც „სიკვდილის მხვრელები“ შემოცვივდნენ. თან გამწარებული ფიქრობდა, იქნებ ნევილს რონი არ დაავიწყდეს და მისი გათავისუფლება მოახერხოსო. სულ რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა ამ ოთახში და უცებ ფეხქვეშ იატაკი გამოეცალა...

თავდაყირა დაეშვა ქვის კიბეებზე, რიგრიგობით ეხეთქებოდა ყოველ მომდევნო საფეხურს და ბოლოს ისეთი ძალით დავარდა ზურგზე, რომ კინაღამ სული გასძვრა. თვალი რომ გაახილა, ვეებერთელა ორმოში იწვა, რომლის შუაგულში ბაქანი აღმართულიყო უკვე ნაცნობი ქვის თაღით. მთელი ოთახი აზანზარდა „სიკვდილის მხვრელების“ ხარხარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე. ჰარიმ დაინახა, რომ ის ხუთნი, ტვინების ოთახში რომ იყვნენ, უკვე ქვემოთ ეშვებოდნენ, სხვა კარებიდან კი სხვები შემოდიოდნენ. ჰარი წამოდგა, მაგრამ ფეხები ისე უკანკალებდა, კინაღამ ისევ დავარდა. წინასწარმეტყველება სასწაულებრივად გადარჩა. მარცხენა ხელში ეჭირა, მარჯვენაში კი ჯადოსნური ჯოხი ჩაებღუჯა და ასე იხევდა უკან-უკან, თან გაფაციცებული იყურებოდა აქეთ-იქით, ცდილობდა, მტრები მხედველობის არეში ჰყოლოდა. რაღაც მაგარს მიეჯახა. ეს თაღიანი ბაქანი იყო. არც შებრუნებულა, ისე ავიდა ზედ.

„სიკვდილის მხვრელები" შეჩერდნენ.

ყველა მას უყურებდა. ზოგიერთი მასავით მძიმედ სუნთქავდა. ერთი დასისხლიანებულიც იყო. დოლოხოვი შელოცვისგან გათავისუფლებულიყო, ახლა თავისი ჯადოსნური ჯოხი ჰარისთვის პირდაპირ სახეში დაემიზნებინა და იცინოდა.

– მორჩა, წააგე, ჰარი, – ხმადაბლა თქვა მალფოიმ და ნიღაბი ჩამოიხსნა, – ახლა კი ცელქობას თავი დაანებე, ბიჭუნი, და მომეცი წინასწარმეტყველება.

– და... დანარჩენები გაუშვით და მოგცემთ! – განწირული ხმით თქვა ჰარიმ.

რამდენიმე „სიკვდილის მხვრელმა" გაიცინა.

– შენ ადგილზე ვაჭრობას არ დავიწყებდი, პოტერ, – მალფოის ფერმკრთალი სახე სიამოვნებისგან აუვარდისფრდა, – საქმე ის არის, რომ ჩვენ ათნი ვართ, შენ კი – ერთი... რა, დამბლდორმა თვლა მაინც ვერ გასწავლა?

– იშ მალდო არ არის! – გაისმა ზევიდან ვილაცის ხმა, – მე მაშთან ვარ!

ჰარის გული მოეწურა. ჰერმიონის ჯადოსნური ჯოხით ხელში ქვის საფეხურებზე ნევილი ჩამოდიოდა.

– ნევილ, არ გინდა, რონთან დაბრუნდი...

– გაშეშდი! – დაიყვირა ნევილმა და ჯოხი რიგრიგობით მიმართა „სიკვდილის მხვრელებისკენ", – გაშეშდი! გა... ერთმა ვირგლა „სიკვდილის მხვერლმა" უკნიდან შემოხვია ხელები ნევილს. ნევილი აფართხალდა. „სიკვდილის მხვრელებმა" ისევ სიცილი ატეხეს.

– ეს ლონგბოტომი არ არის? – ჩაიცინა ლუციუს მალფოიმ, – რა გაეწყობა. ბებიაშენი შეჩვეულია დიადი მიზნებისთვის თავგანწირული ოჯახის წევრების დაკარგვას... მისთვის არც შენი სიკვდილი იქნება მაინცდამაინც მოულოდნელი.

– ლონგბოტომი? – გაიმეორა ბელატრისამ და დანაოჭებულ სახეზე საზიზღარი ღიმილი გაუკრთა, – პატივი მქონდა, შენს მშობლებს პირადად გავცნობოდი, ბიჭუნი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიჩი! – იღრიალა ნევილმა და ისეთი გაშმაგებით გაიბრძოლა, რომ „სიკვდილის მხვრელმა“, რომელსაც ის ეჭირა, იყვირა:

– დაარეტიანეთ რომელიმემ!

– არა, არა, – თქვა ავად აგზნებულმა ბელატრისამ. ჯერ ჰარის გახედა, მერე – ისევ ნევილს, – არა, ჯერ ვნახოთ, რამდენს გაუძლებს ლონგბოტომი, სანამ თავისი მშობლებივით მოტყდება... თუ, რა თქმა უნდა, პოტერი წინასწარმეტყველების მოცემას არ მოისურვებს.

– არ მიდდე იშ მაგად, – ისევ იღრიალა ნევილმა. გაცოფებული იქნევდა წიხლებს და დასხლტომას ცდილობდა. ჯოხშემართული ბელატრისა კი უკვე უახლოვდებოდა მას და მის დამტყვევებელს, – არ მიდდე იშ მაგად, ჰარი!

ბელატრისამ ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა.

– კრუციო!

ნევილმა შემზარავად შეჰყვირა. ისე მოიკუნტა, რომ ფეხებით იატაკს მოსწყდა. „სიკვდილის მხვრელმა“ ხელი უშვა და აძაგძაგებული ნევილი ყვირილით დაეხეთქა ძირს.

– ეს ჯერ არაფერია, – თქვა ბელატრისამ და ჯოხი დაუშვა. ნევილმა ყვირილი შეწყვიტა და ახლა აქვითინებული დავარდა მის ფეხებთან.

– აბა, პოტერ, – ჰარის მიუბრუნდა ბელატრისა, – ან წინასწარმეტყველება მოგვეცი, ან უყურე, როგორი ტანჯვით კვდება შენი პატარა მეგობარი.

ჰარის სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა. თბილი, თითქმის ცხელი ბურთულა მაღლა ასწია და ხელი გაშალა. მალფოიმ ბურთულის დასაჭერად ისკუპა და ამ დროს:

მაღლა, სულ ზევით, ჯერ ერთი კარი გაიღო, მერე მეორე, და ოთახში კიდევ ხუთი კაცი შემოვარდა: სირიუსი, ლუპინი, მრისხანეთვალა, ტონქსი და კინგსლი.

მალფოი მაშინვე შებრუნდა და ჯოხი შემართა, მაგრამ ტონქსმა დაასწრო. ჰარის აღარ დაუნახავს, მოხვდა თუ არა მიზანს დამარეტიანებელი შელოცვა. სასწრაფოდ ბაქნიდან ჩამოხტა, რომ ხელი არ შეეშალა. „სიკვდილის მხვრელები“ გააოგნა ორდენის წევრების უეცარმა გამოჩენამ. ისინი საფეხურებზე ჩამოდიოდნენ და სეტყვასავით ისროდნენ შელოცვებს. ამ არეულობაში ჰარი ნევილისკენ გახოხდა.

– როგორა ხარ? – ყვირილით ჰკითხა და იმავე წამს პირდაპირ მათ თავზე კიდევ ერთმა შელოცვამ იელვა.

– არა მიჩავს, – უპასუხა ნევილმა და წამოდგომა სცადა.

– რონი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მგონი, გაგად არის. დერ გიდევ ებდოდა დვინს, როცა დამოვედი...

მათ წინ ჰაერში ქვის ფხვნილის შადრევანი ავარდა და იატაკზე პატარა ორმო გაჩნდა. ნევილმა ძლივს მოასწრო ხელის გაწევა. მეგობრები ხოხვით გაეცალნენ სახიფათო ადგილს. ამ დროს, კაცმა არ იცის საიდან, ვილაცის მსხვილი ხელი ქეჩოში სწვდა ჰარის და ისე ასწია, რომ ბიჭი ფეხის წვერებით ძლივს სწვდებოდა იატაკს.

– მომეცი, – შეუღრინა ყურის ძირში ვილაცამ, – მომეცი წინასწარმეტყველება...

საყელო ისე წაეჭირა ჰარის ყელში, ლამის დაიხრჩო. თვალზე ცრემლმომდგარმა მოშორებით „სიკვდილის მხვრელებთან“ ბრძოლაში ჩართული სირიუსი დალანდა. კინგსლი ერთბაშად ორს უმკლავდებოდა. ტონქსი ბელატრისას უშენდა სხივებს. ვერავინ ხედავდა, რომ ჰარი იხრჩობოდა. მან ჯადოსნური ჯოხი უხილავ მეტოქეს გვერდში დაუმიზნა, მაგრამ შელოცვის წარმოთქმისთვის ძალა არ ეყო. „სიკვდილის მხვრელი“ კი თავისუფალი ხელით უკვე წინასწარმეტყველებისკენ მიიწევდა.

– ა-ა-ა!

ისევ ნევილმა გადაარჩინა. არც მას შეეძლო შელოცვის წარმოთქმა, სამაგიეროდ, მთელი ძალით ატაკა ჰერმიონის ჯოხი კაპიუშონის ჭრილში. „სიკვდილის მხვრელმა“ ტკივილისგან დაიღმუვლა და მაშინვე ხელი უშვა ჰარის. გათავისუფლდა თუ არა, ჰარი იმავე წამს შებრუნდა და ამოიხრიალა:

– გაშეშდი!

„სიკვდილის მხვრელი“ მოცელილივით დავარდა, ნიღაბი ჩამოუცურდა. ეს მაკნერი იყო, რომელმაც ოდესღაც კინაღამ მოკლა ბაკბიკი. ცალი თვალი ჩალურჯებოდა და სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

– გმადლობ! – დაიყვირა ჰარიმ და ნევილი განზე გაათრია, რათა ადგილი გაეთავისუფლებინა სირიუსისა და მისი მეტოქისთვის, რომლებიც ერთმანეთს გაავებით ებრძოდნენ. მერე ჰარიმ ფეხქვეშ რაღაც მრგვალი და მაგარი იგრძნო და კინაღამ დავარდა. ჯერ წინასწარმეტყველება შეამოწმა, ხომ არ დაზიანდაო, ამის მერეღა შეამჩნია, როგორ მიბზრიალებდა მისკენ მუდის ჯადოსნური თვალი.

თვალის პატრონი წაქცეულიყო და სისხლისგან იცლებოდა. მისი დამმარცხებელი კი უკვე ჰარისა და ნევილისკენ მიქროდა – ეს იყო ველური აღტკინებისგან სახედამანჭული დოლოხოვი.

– ტარანტალეგრა! – დოლოხოვმა ჯოხი ნევილს დაუმიზნა. ნევილი დამთხვეულივით აცეკვდა, მერე წონასწორობა დაკარგა და ისევ იატაკზე დაეცა, – აბა, პოტერ... – და ისევ მკვეთრად გაიქნია ჯოხი, როგორც მაშინ, როცა ჰერმიონი დაჭრა. მაგრამ ჰარიმ დაასწრო:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პროტეგო!

ჰარიმ იგრძნო, როგორ გადაუსერა სახე რაღაცამ, როგორც ბლაგვმა დანამ. დარტყმის ძალა ისეთი იყო, რომ ნევილის ფეხს წამოედო და ზედ დაეცა მეგობარს, მაგრამ დაცვითმა შელოცვამ უფრო მეტი დაზიანებისგან იხსნა.

დოლოხოვმა ისევ ასწია ჯოხი.

– აკციო, წინას...

დასრულება ვერც ახლა მოასწრო: სირიუსი მხრით დაეჯახა და იატაკზე დააგდო. ჰარიმ წინასწარმეტყველების შეჩერება მოახერხა. სირიუსსა და დოლოხოვს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ჯადოსნური ჯოხები დაშნებივით ელავდნენ...

დოლოხოვი იმავე შელოცვისთვის ემზადებოდა, რომელიც ჰარისა და ჰერმიონის წინააღმდეგ გამოიყენა. ჰარი წამოხტა და დაიძახა:

– პეტრიფიკუს ტოტალუს!

დოლოხოვს ისევ შეეკრა ხელ-ფეხი და გაშეშებული დაეხეთქა ზურგზე.

– კარგი იყო! – შესძახა სირიუსმა და ჰარის დროზე დააწევინა თავი, რადგან იმ ადგილას წყვილმა დამარეტიანებელმა შელოცვამ გადაიქროლა, – ახლა კი აქედან გაიქე...

ორივე ერთდროულად დაიხარა. მწვანე სინათლის სხივი კინაღამ სირიუსს მოხვდა. ჰარიმ დაინახა, როგორ დავარდა ტონქსი ოთახის მეორე მხარეს შუა ამფითეატრში და ქვის საფეხურებზე დაცურდა, გამარჯვებულმა ბელატრისამ კი მას თავი ანება და ბრძოლის შუაგულში შეიჭრა.

– ჰარი! აიღე წინასწარმეტყველება, მოკიდე ხელი ნევილს და გაიქეცით! – იყვირა სირიუსმა და ბელატრისასკენ გაიქცა.

ჰარის არ დაუნახავს, რა მოხდა. მერე მის თვალწინ კინგსლი გაჩნდა, რომელიც რუკვუდს ებრძოდა. რუკვუდს ნაყვავილარ სახეს ნიღაბი აღარ უფარავდა. კიდევ ერთმა მწვანე სხივმა გადაუქროლა ჰარის, როცა ნევილს ეცა...

– შეგიძლია, ადგე? – შიგ ყურში ჩასძახა ნევილს. მისი ფეხები ისევ მოუსვენრად ტოკავდნენ, – კისერზე მომხვიე ხელი...

ჰარი დაიძაბა და ნევილიც ადგომას შეეცადა, თუმცა ფეხები მაინც ცეკვას განაგრძობდნენ და ვერაფრით იმორჩილებდა. უცებ თავს ვილაც დააცხრათ. ორივე უკან გადავარდა. ნევილი გადაბრუნებული ხოჭოსავით იქნევდა ფეხებს, ჰარიმ კი მარცხენა ხელი მაღლა ასწია და მინის ბურთულის გადარჩენას შეეცადა.

– წინასწარმეტყველება, პოტერ! მომეცი! – ყურში ჩაჰყვირა მალფოიმ და გვერდში ჯადოსნური ჯოხის წვერი მიაბჯინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა... გამიშვი... ნევილ, დაიჭირე!

ჰარიმ ბურთულა იატაკზე დადო და ნევილისკენ გააგორა, ზურგზე გადაბრუნებულმა ნევილმა დაიჭირა და მკერდზე მიიკრა. მალფოიმ ჯოხი ახლა ნევილს მიუშვირა, მაგრამ ჰარიმ თავისი ჯოხი შემართა და დაიძახა:

– იმპედიმენტა!

შელოცვა ისეთი ძლიერი იყო, რომ მალფოი უკან გადავარდა და ზურგით ბაქანს შეასკდა, რომელზეც გაცხარებული ბრძოლა გაემართათ სირიუსსა და ბელატრისას. მალფოიმ ისევ დაუმიზნა ჯოხი, მაგრამ სანამ ჩაისუნქავდა, მათ შორის ლუპინი აღიმართა.

– ჰარი, მოძებნე ყველა და აქედან გაიქეცი!

ჰარი მხრებში სწვდა ნევილს და ქვის საფეხურების პირველ რიგამდე მიათრია. ნევილი ისევ იქნევდა ფეხებს და ვერაფრით ახერხებდა წამოდგომას. ჰარიმ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ნევილი ბოლო საფეხურამდე აიყვანა...

უცებ ვიღაცის შელოცვა ქვას მოხვდა, საფეხურის ნაწილი ჩამოტყდა და ჰარი ისევ პირველ რიგში ჩაცურდა. ნევილი ძირს გაიშოტა, ფეხები ისევ ცეკვავდნენ ჰაერში. ჰარიმ წინასწარმეტყველება ჯიბეში ჩაუდო...

– ადექი! – გამწარებულმა დაუყვირა და მანტიაზე მოქაჩა, – ცოტათი მაინც დაეყრდენი ფეხებს...

კიდევ ერთი მცდელობა და ნევილის მანტია მარცხნივ მთლიანად გაირღვა. პატარა მინის ბურთულა ჯიბიდან გადმოვარდა და ნევილის ფეხებთან აღმოჩნდა. ნევილმა შემთხვევით მოცეკვავე ფეხი გაჰკრა, ბურთულამ სამი მეტრი გაიფრინა და ქვედა საფეხურზე დაიმსხვრა. ორივე მეგობარი შეძრწუნებული შეაჩერდა კატასტროფის ადგილს. ჰაერში რძისფერი ფიგურა აიჭრა არაბუნებრივად გადიდებული თვალებით. მათ გარდა ის არავის დაუნახავს. ჰარი ხედავდა, როგორ მოძრაობდა ტუჩები, რომლებიც, ალბათ, წინასწარმეტყველებას წარმოთქვამდნენ, მაგრამ ყვირილში ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგონა. ფიგურამ ლაპარაკი დაასრულა და ნელა გალღვა ჰაერში.

– მაბადიე, ჰარი! – ნევილის სახე ტანჯვას დაემანჭა, ფეხები კი ისევ შეუჩერებლად ცეკვავდნენ, – დამადავე ვარ, ჰარი, არ მიდოდა...

– არა უშავს! – დაიყვირა ჰარიმ, – შეეცადე, ადგე, აქედან უნდა წავიდეთ...

– დაბდორ! – ნევილს გაოფლილი სახე უცებ შეეცვალა.

– რა?

– დაბდორი!

ჰარიმ იქით გაიხედა, საითაც ნევილი იყურებოდა. პირდაპირ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათ თავზემოთ, ტვინების ოთახში გამავალი კარის ზღურბლზე, ჯოხშემართული ალბუს დამბლდორი იდგა. სახე მრისხანებისგან გასთეთრებოდა. ჰარიმ უზარმაზარი შვება იგრძნო – გადარჩნენ!

დამბლდორი ჰარისა და ნევილის გვერდით საფეხურებზე დაეშვა. ბიჭები აღარ ფიქრობდნენ გაქცევაზე. მათი სკოლის დირექტორმა თითქმის ყველა საფეხური რომ ჩაათავა, ზოგიერთმა „სიკვდილის მხვრელმა“ მაშინლა შეამჩნია. ერთ-ერთი ისე დაფრთხა, რომ მაშინვე გაიქცა და მოპირდაპირე მხარეს ქვის საფეხურებზე მაიმუნივით აბობღდა, მაგრამ დამბლდორმა სულ იოლად ჩამოიყვანა იქიდან, თითქოს უხილავი საიდუმლო შელოცვა გამოიყენაო...

მოწინააღმდეგეთა მხოლოდ ერთი წყვილიღა იბრძოდა. გარშემო არაფერს აქცევდნენ ყურადღებას. სირიუსმა ბელატრისას ნატყორცნი წითელი სხივი სულ იოლად აიცდინა – სირიუსი აშკარად დასცინოდა.

– მიდი, აბა, ერთი ვნახოთ, რა შეგიძლია! – დაიძახა სირიუსმა. მისი ხმა ექოდ გაისმა ვეებერთელა ოთახში.

მორიგი წითელი სხივი პირდაპირ მკერდში მოხვდა.

სახე ჯერ კიდევ ულიმოდა, მაგრამ თვალები გაოცებისგან გაუფართოვდა.

ჰარიმ ვერც კი იგრძნო, როგორ შეუშვა ხელი ნევილს. ისევ ერთი საფეხურით ჩახტა ქვევით და ჯოხი ამოიღო. დამბლდორიც ბაქნისკენ შებრუნდა.

ჰარის მოეჩვენა, რომ სირიუსი უსასრულოდ დიდხანს ვარდებოდა, სანამ თაღზე ჩამოფარებულ დაფლეთილ ფარდაში გაუჩინარდებოდა.

ჰარიმ თავისი ნათლიის ნატანჯ, ოდესღაც ლამაზ სახეზე შიშისა და გაოცების დანახვა მოასწრო. წამიც, და სირიუსი უძველესმა თაღმა ჩაყლაპა. ფარდა ძლიერად შეირხა, თითქოს უცაბედმა ქარმა დაქროლაო, და ისევ დამშვიდდა.

ბელატრისა ლესტრეინჯმა გამარჯვების ყიჟინა დასცა, მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ საშიში არაფერი იყო. სირიუსი ხომ ფარდის უკან დავარდა და სადაცაა თაღის მეორე მხრიდან გამოჩნდებოდა...

მაგრამ სირიუსი აღარ გამოჩენილა.

– სირიუს! – იყვირა ჰარიმ, – სირიუს!

ქვის ორმოს ფსკერზე იდგა და ისე ეკვროდა სუნთქვა, რომ ყელი სტკიოდა. სირიუსი სადღაც აქვე ეგულებოდა; ახლა ჰარი ფარდის იქიდან ამოათრევდა.

მაგრამ ბაქანზე შეხტომა ვერ მოასწრო – ლუპინმა ხელები შემოხვია და შეაჩერა.

– ველარაფერს იზამ, ჰარი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უშველეთ, გადაარჩინეთ, ის ხომ ახლახან აქ იყო...

– ...უკვე გვიანაა, ჰარი.

– ახლავე გამოიყვანეთ... – გამწარებული ჰარი ხელიდან დასხლტომას ცდილობდა, მაგრამ ლუპინთან გამკლავება არც ისე იოლი იყო.

– ველარაფერს იზამ, ჰარი... ველარაფერს... მას ველარ დააბრუნებ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთექვსმეტე

ერთადერთი, ვისიც მუდამ ეშინოდა

– არსადაც არ წასულა! – იყვირა ჰარიმ.

არ შეეძლო ამის დაჯერება და არც უნდოდა. ამიტომაც მთელი ძალით უწევდა წინააღმდეგობას ლუპინს; ლუპინმა, ეტყობა, არ იცის – იქ, ფარდის მიღმა ხალხი მხოლოდ იმალება. ჰარის ხომ ესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ, როცა პირველად შემოვიდა ამ ოთახში. სირიუსიც დამალულია, ის მხოლოდ თვალს მიეფარა...

– სირიუს! – ისევ იყვირა ჰარიმ, – სირიუს!

– ის იქიდან ველარ დაბრუნდება, ჰარი, – ლუპინს ხმა ჩაუწყდა, – ის ველარ დაბრუნდება, იმიტომ, რომ მოკვდა...

– არ მომკვდარა! – იღრიალა ჰარიმ, – სირიუს!

გარშემო რაღაც ხდებოდა, ყველანი უთავბოლოდ ფაციფუ-ცობდნენ. წარამარა ფეთქდებოდა შელოცვები, მაგრამ ჰარისთ-ვის ყველაფერი უკვე სულერთი იყო. ყურადღებას აღარ აქცევდა აქეთ-იქით გაელვებულ სხივებს. ამქვეყნად აღარაფერს ჰქონდა აზრი, გარდა ერთისა: შეწყვიტოს ლუპინმა იმის მტკიცება, თითქოს სირიუსი, რომელიც მათგან ორიოდე ნაბიჯზე დგას ამ დაცხავებული ფარდის მიღმა, აღარასოდეს გამოვა იქიდან. არა, ის ახლა გამოვა, შავ თმას შუბლიდან გადაიყრის და ისევ ბრძოლაში ჩაებმება!

ლუპინმა ჰარი ბაქნიდან გაათრია. ჰარი ისევ თაღს მისჩერებოდა, თან ბრაზი ერეოდა, სირიუსი ასე რომ ეხუმრებოდა... მართალია, ლუპინის ხელებიდან დასხლტომას ისევ ცდილობდა, მაგრამ სადღაც, გონების კუნჭულში ხვდებოდა, რომ უბედურება მოხდა – სირიუსი ხომ ადრე არასოდეს ალოდინებდა! პირიქით, ყოველთვის ყველაფერს რისკავდა, ოღონდ კი ჰარი ენახა, დახმარებოდა... და თუ არ გამოდის ფარდიდან ახლა, როცა ასე განწირული ევედრება ჰარი, მხოლოდ ერთი რამით აიხსნება: ესე იგი, არ შეუძლია დაბრუნება... ესე იგი, ნამდვილად...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორმა გადარჩენილი „სიკვდილის მხვრელები“ ოთახის შუაგულში შეაგროვა. მრისხანეთვალა მუდი იატაკზე გაწოლილ ტონქსთან მიხოხდა და მისი გონზე მოყვანა სცადა. ბაქანს იქით ისევ ელავდა სხივები, ისევ შეძახილები და ქშენა ისმოდა – სირიუსის ნაცვლად ახლა კინგსლი ებრძოდა ბელატრისას.

– ჰარი!

ნევილი ნელა ჩამობობღდა ქვის საფეხურებზე და ჰარისთან მივიდა. ჰარი უკვე აღარ უწევდა წინააღმდეგობას ლუპინს, მაგრამ ლუპინს, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც იდაყვში ჩაევლო ხელი.

– ჰარი... დალიან ვდუხვარ... – თქვა ნევილმა, ფეხები ისევ არ ემორჩილებოდა, – იშ კაჩი... შირიუში... იშ შენი მეგობარი იგო?

ჰარიმ თავი დაუქნია.

– ახლავე, – მშვიდად თქვა ლუპინმა და ჯადოსნური ჯოხი ნევილის ფეხებისკენ მიმართა, – ფინიტა ინკანტატუმ! – ჯადო მოიხსნა. ფეხების ქნევა შეწყდა და ნევილი გამართულად დადგა იატაკზე, – ახლა კი... ახლა დანარჩენები უნდა ვიპოვოთ. სხვები სად არიან, ნევილ?

ლუპინმა ზურგი შეაქცია თაღს. გაფითრებული იყო და ისე ლაპარაკობდა, თითქოს თითოეული სიტყვა ტკივილს აყენებდა.

– გველანი იგ არიან, – თქვა ნევილმა, – დვინი რონს დავს დაეთქა, მაგრამ ვბიგრობ, გველაბერი რიგდეა. ჰერბიოდი უგოდოდ არის, მაგრამ პულში აგვს...

ბაქანს იქიდან ხმამაღალი ტკაცანი და ყრუ გოდება მოისმა. ჰარიმ დაინახა, როგორ დაეცა კინგსლი იატაკზე. ბელატრისა ლესტრეინჯი მაშინვე შებრუნდა და გაიქცა. დამბლდორი თვალის დახამხამებაში შებრუნდა და შელოცვა მიაყოლა, მაგრამ ბელატრისამ აიცილა და ქვის საფეხურებზე სწრაფად აირბინა.

– ჰარი, შეჩერდი! – იყვირა ლუპინმა, მაგრამ ჰარიმ იმით ისარგებლა, რომ ლუპინი ოდნავ მოეშვა, და ხელი გამოჰგლიჯა.

– მაგან სირიუსი მოკლა! – იყვირა ჰარიმ, – მაგან სირიუსი მოკლა! მე კი მას მოვკლავ!

ჰარი ბელატრისას გამოედევნა. უკნიდან რაღაცას უყვიროდნენ, მაგრამ ყურადღებას არავის აქცევდა. ბელატრისას მანტიის კალთები კარს მიეფარა, ჰარიც თან მიჰყვა ტვინების ოთახში...

ბელატრისამ შელოცვა სტყორცნა ისე რომ, არც შემობრუნებულა. ტვინებით სავსე აკვარიუმი შეხტა და გადაბრუნდა. ჰარის მწვანე მყრალი სითხე შეესხა. ტვინები მის გარშემო აფუთფუთდნენ და გრძელი, ფერადი საცეცები გამოუშვეს, მაგრამ ჰარიმ შესძახა: „ვინგარდიუმ ლევიოსა!“ და ისინიც აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფეხი უცურდებოდა, სხმარტალებდა და მაინც გარბოდა კარისკენ. გადაახტა ლუნას, რომელიც იატაკზე კვნესოდა; ჩაურბინა ჯინის, რომელმაც – რა ხდება, ჰარიო, ამის კითხვაღა მოასწრო; მერე – მოხითხითე რონს, უგრძნობლად მიგდებულ ჰერმიონს; მერე მოსწია კარის სახელური, რომელიც მრგვალ ოთახში გადიოდა და დაინახა, როგორ გაუჩინარდა ბელატრისა მოპირდაპირე კარში – იქ დერეფანი იყო, რომელიც ლიფტებით მთავრდებოდა.

ჰარი იქით ეცა, მაგრამ ბელატრისამ კარის დახურვა მოასწრო და კედლებმა ტრიალი დაიწყეს. ყველაფერი გაქრა, გარდა ცისფერი ზოლებისა, რომლებსაც სანთლების ალი ტოვებდა.

– სად არის გასასვლელი? – სასოწარკვეთილმა დაიძახა, როცა გუგუნი შეწყდა და ოთახი ისევ გაირინდა, – როგორ გავიდე აქედან?

ოთახი თითქოს ამ შეკითხვას ელოდებოდა. მის წინ კარი გაიღო და ჩირაღდნებით გაჩახჩახებული დერეფანი გამოჩნდა, სწორედ ის, რომელიც სჭირდებოდა. იქ კაცის ჭაჭანება არ იყო. ჰარი ისევ გაიქცა...

ლიფტების გუგუნი ესმოდა. სიჩქარეს უმატა, კუთხეში შეუხვია და მეორე კაბინის გამოსაძახებელ ღილაკს დაჰკრა მუშტი. კაბინა ღრჭიალითა და ზრიალით ჩამოეშვა. გისოსები აქეთ-იქით გაიწია, ჰარი შიგ შევარდა და ატრიუმის ღილაკს დააჭირა თითი. კარი დაიხურა და ლიფტი დაიძრა.

გისოსების ბოლომდე გახსნისთვის არც კი დაუცდია, გარეთ გამოვარდა. აქეთ-იქით მიმოიხედა. ბელატრისა უკვე დარბაზის ბოლოში, ტელეფონის ჯიხურთან იყო. მდევარი რომ დაინახა, კიდევ ერთი შელოცვა ესროლა. ჰარი ჯადოქრული საძმოს შადრევანს ამოეფარა. შელოცვამ გვერდით ჩაუქროლა და ატრიუმის ბოლოში ოქროს ჭიშკარს მოხვდა. კარი ზარივით აგუგუნდა. ბელატრისას ნაბიჯების ხმა მიწყდა. ჰარი მოიკუნტა და სმენა დაძაბა.

– გამოდი, გამოდი, ბიჭუნი, – წაიმღერა ბელატრისამ მკივანა, დამცინავი ხმით, – აბა, რიღასთვის მომდევდი? მეგონა, ჩემი ძვირფასი დეიდაშვილის გამო შურისძიება გინდოდა!

– მინდოდა! – იყვირა ჰარიმ და მისმა ათობით ლანდ-ორეულმა მთელ დარბაზში გაიმეორა: „მინდოდა! მინდოდა! მინდოდა!..“

– აააააჰ... ალბათ, ძალიან გიყვარდა არა, ბიჭუნი?

ჰარი ისეთმა სასტიკმა სიძულვილმა შეიპყრო, როგორიც აქამდე არასოდეს ეგრძნო. შადრევნის უკნიდან გამოვარდა და დაიღრიალა:

– კრუციო!

ბელატრისამ შეჰკივლა. ჰარის შელოცვამ ძირს დასცა, მაგრამ ნევილივით კრუნჩხვა და კლაკვნა არ დაუწყია, იმწამსვე წამოხტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მძიმედ სუნთქავდა და აღარ იცინოდა. ჰარი ისევ ამოეფარა ოქროს შადრევანს. საპასუხო შელოცვით ბელატრისამ კეთილშობილი ჯადოქრის ქანდაკებას წააგდებინა თავი. თავი რახარუხით გაგორდა და იატაკზე ღრმა ნაკაწრი დატოვა.

– შენ არასოდეს გამოგიყენებია მომაკვდინებელი წყევლა, ასე არაა, ბიჭუნი? – იყვირა ბელატრისამ, – შენ ძალიან უნდა გინდოდეს, რომ მათ იმოქმედონ, პოტერ! უნდა გინდოდეს ტკივილის მიყენება და ამით ტკბობა. ისე არაფერი გამოგივა. სამართლიანი, უბიწო მრისხანება ვერაფერს დამაკლებს! მე გიჩვენებ, როგორ კეთდება ეს, კარგი? ასე ვთქვათ, გაკვეთილს ჩაგიტარებ...

ჰარიმ მეორე მხრიდან შემოუარა შადრევანს, როცა ბელატრისამ დაიკივლა: „კრუციო!“ და იძულებული გახდა, ისევ ჩაცუცქულიყო. კენტავრის მშვილდიანი ხელი გრუხუნით დაეცა ჯადოქრის ოქროს თავთან.

– შენ ვერ დამამარცხებ, პოტერ! – იყვირა ბელატრისამ. ჰარი მიხვდა, რომ ბელატრისამ მარჯვნივ გადაინაცვლა, ამიტომ თვითონ უკან დაიხია, კენტავრის ფეხებს მოეფარა. თავი ახლა შინაური ელფის დონეზე ჰქონდა.

– მე ყოველთვის ვიყავი და ახლაც ვრჩები ბნელი ბატონის ერთგულ მსახურად. მან ბნელ ძალებს მაზიარა. მე ისეთი ძალის შელოცვები ვიცი, რომ შენ, საბრალო ბიჭუნი, ვერასოდეს გამიტოლდები...

– გაშეშდი! – იყვირა ჰარიმ. ახლა გობლინისკენ გადაინაცვლა, რომელიც ისევ სხივმოსილი ღიმილით შეჰყურებდა უთავო ჯადოქარს, და ბელატრისას ზურგში დაუმიზნა... რეაქცია ისეთი სწრაფი იყო, რომ ჰარიმ ძლივს მოასწრო დამალვა.

– პროტეგო!

წითელი სხივი, თავისივე გაშვებული დამარეტიანებელი შელოცვა, უკან დაუბრუნდა. ჰარი შადრევნის უკან მიიკუნჭა. გობლინის ერთერთი ოქროს ყური კი დარბაზის მოპირდაპირე მხარეს გაფრინდა.

– ერთ შანსს მოგცემ, პოტერ! – შესძახა ბელატრისამ, – მომეცი წინასწარმეტყველება! ჩემკენ გამოაგორე და სიცოცხლეს შეგინარჩუნებ!

– მაშინ შენ ჩემი მოკვლა მოგიწევს, იმიტომ, რომ წინასწარმეტყველება აღარ არსებობს! – გამოეპასუხა ჰარი და იმავე წამს აუტანელი ტკივილი იგრძნო – ნაიარევს თითქოს ცეცხლი წაეკიდა და ჰარიმ სულ სხვაგვარი რისხვის მოზღვავება იგრძნო, – და მანაც გაიგო ეს! – ჰარიმ გიჟივით გადაიხარხარა, – შენმა ძვირფასმა ვოლდემორმა გაიგო, რომ წინასწარმეტყველება დაიმსხვრა! არა მგონია, ამისთვის თავზე გადაგისვას ხელი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა? რას ამბობ? – იკივლა ბელატრისამ და ჰარიმ პირველად შეამჩნია მის ხმაში გარეული შიში.

– წინასწარმეტყველება მაშინ დაიმსხვრა, როცა ნევილს ზევით მივათრევდი. როგორ ფიქრობ, რას იტყვის ამაზე ვოლდემორი?

ნაიარევი უხურდა... ტკივილისგან თვალებზე ცრემლი მოადგა...

– მატყუარა! – მთელი ხმით იკივლა ბელატრისამ, მაგრამ ამ კივილში შიში ისმოდა, – ის შენ გაქვს, პოტერ, და აუცილებლად მომცემ! აკციო, წინასწარმეტყველება! აკციო, წინასწარმეტყველება!

ჰარიმ ისევ გაიცინა, რათა უფრო გაეცოფებინა. ნაიარევი კი ისე საშინლად ასტკივდა, რომ მოეჩვენა, თავი საცაა გამისკდებაო. ცარიელი ხელი ცალყურა გობლინის მხარს ზემოთ შეათამაშა და მაშინვე დამალა, როგორც კი ბელატრისამ კიდევ ერთი მწვანე სხივი ესროლა.

– ხედავ, არაფერი მაქვს! – დაიყვირა ჰარიმ, – შენ ვერაფერსაც ვერ მიიღებ! დაიკარგა და ვერავინ გაიგებს, რა იყო მასში. სწორედ ასე გადაეცი შენს მბრძანებელს!

– არა! – კიოდა ბელატრისა, – ეს სიმართლე არ არის, იტყუები! ჩემი ბრალი არ არის, ბატონო... მე ვცდილობდი... ნუ დამსჯით...

– ტყუილად ცოდვილობ! – ჰარიმ გაუსაძლისი ტკივილისგან თვალები დახუჭა, – აქედან მაინც ვერ მიაწვდენ ხმას!

– მართლა, პოტერ? – გაისმა მაღალი ცივი ხმა. ჰარიმ თვალი გაახილა.

მაღალი, გამხდარი, შავკაპიუშონიანი, გაფითრებულ-ჩამომხმარი, საზიზღარი გველური სახე; შავნაპრალებიანი, წითელი თვალები... შუა დარბაზში ვოლდემორი იდგა მისკენ მიმართული ჯადოსნური ჯოხით. ჰარი ადგილზე გაშეშდა.

– მაშ, შენ დაამსხვრიე ჩემი წინასწარმეტყველება? – ხმაშეპარვით იკითხა ვოლდემორმა და ჰარის თავისი წითელი, სასტიკი თვალები მიაბჯინა. – არა, ბელა, ის არ იტყუება... მე მის უმაქნის ტვინში სიმართლეს ვხედავ... ამდენი ხნის მზადება, ამდენი ძალისხმევა... და თქვენ, „სიკვდილის მხვრელებმა“, საშუალება მიეცით ჰარი პოტერს, ისევ ჩაეშალა ჩემი გეგმები...

– მაპატიეთ, ბატონო, არ ვიცოდი! იმ დროს მე ანიმაგუს ბლექს ვებრძოდი! – აქვითინდა ბელატრისა და ვოლდემორის ფეხებთან დაემხო, – თქვენ ხომ იცით, ბატონო...

– გაჩუმდი, ბელა, – ვოლდემორის ხმაში მუქარა გაისმა, – როგორ ფიქრობ, მაგიის სამინისტროში შენი სულელური ზლუქუნის მოსასმენად შემოვაღწიე?

– მაგრამ, ბატონო... ის აქ არის... ქვევით...

ვოლდემორს ყურადღება არ მიუქცევია მისი სიტყვებისთვის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენთვის მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, პოტერ, – მშვიდად თქვა მან, – ისედაც ძალიან დიდი ხანია, ხელს მიშლიდი. ავადა კედავრა!

ჰარის იმის ძალაც კი არ ეყო, პირი გაეღო, რომ რაღაცით თავი დაეცვა; თავი დაუცარიელდა და ჯადოსნური ჯოხი უნიათოდ შერჩა ხელში.

სამაგიეროდ, უთავო ჯადოქრის ოქროს ქანდაკება უცებ გაცოცხლდა, კვარცხლბეკიდან გადმოხტა და გრუხუნით დაეშვა იატაკზე ჰარისა და ვოლდემორს შორის. შელოცვა სწორედ მისი მკერდიდან ასხლტა. ქანდაკებამ ხელები გაშალა, რათა ჰარი ახალი თავდასხმისგან დაეცვა.

– რა ხდება... – შესძახა ვოლდემორმა და გაცოფებულმა მიმოიხედა. უცებ აღმოხდა: – დამბლდორ!

ჰარი მიბრუნდა და გული კინაღამ საგულედან ამოუხტა. ოქროს ჭიშკრის წინ დამბლდორი იდგა.

ვოლდემორმა ჯოხი შემართა და მწვანე სხივი პირდაპირ დამბლდორისკენ გაფრინდა. ჭაღარა ბრძენი მკვეთრად შებრუნდა და საკუთარი მანტიის გრიგალში გაუჩინარდა. იმავე წამს უკვე ვოლდემორის ზურგს უკან იდგა. დამტვრეული შადრევნისკენ მიმართა ჯოხი და ყველა ქანდაკებას სიცოცხლე შთაბერა. ჯადოქარი ქალის ქანდაკება ბელატრისას ეკვეთა. ბელატრისა ყვიროდა და ამაოდ ისროდა შელოცვებს. ქანდაკებამ შებოჭა და იატაკს გააკრა. ამასობაში გობლინი და შინაური ელფი კედლის ბუხრებისკენ გაიქცნენ, ცალხელა კენტავრი ნავარდით გაჭენდა ვოლდემორისკენ, რომელიც ახლა შადრევნის გვერდით იდგა. უთავო ქანდაკებამ ჰარის ხელი სტაცა და ბრძოლის შუაგულს მოაშორა. დამბლდორი ვოლდემორისკენ დაიძრა, კენტავრი კი მათ გარშემო უვლიდა წრეს.

– შენი მხრიდან ნამდვილი სისულელე იყო დღეს აქ მოსვლა, ტომ, – მშვიდად უთხრა დამბლდორმა, – აურორები ახლავე აქ გაჩნდებიან...

– იმ დროისთვის აქ აღარ ვიქნები, შენ კი მკვდარს გიპოვიან! – შეუღრინა ვოლდემორმა და დამბლდორს მორიგი სასიკვდილო შელოცვა ესროლა, მაგრამ ააცილა. მორიგე ჯადოქრის მაგიდა ფიჩხის გროვასავით აალდა.

დამბლდორმა ძლივს შესამჩნევად გაიქნია ჯოხი. შელოცვა ისეთი სიძლიერისა იყო, რომ თავის მცველს ამოფარებულ ჰარის თმა ყალყზე დაუდგა: მის მოსაგერიებლად ვოლდემორს ამჯერად ჰაერში ვერცხლისფრად მოელვარე ფარის გაკეთება მოუხდა. ფარი არ დაზიანებულა, მხოლოდ გონგივით დაიგუგუნა. ამ ხმაზე ჰარის ურუანტელმა დაუარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ ჩემს მოკვლას არ აპირებ, დამბლდორ? – ვოლდემორმა წითელი თვალები დამცინავად მოჭუტა, – საკუთარ თავს ამგვარ სისასტიკეს არ აკადრებ?

– ორივემ ვიცით, რომ ადამიანის განადგურების სხვა საშუალებაც არსებობს, ტომ, – ხმადაბლა თქვა დამბლდორმა. თან ისე უახლოვდებოდა ვოლდემორს, თითქოს ქვეყნად არაფერს შეეძლო მისი შეშინება. მტრის ვერავითარი ძალისხმევა ვერ შეძლებდა ამ მშვიდი და მტკიცე სვლის შეჩერებას, – ვაღიარებ, რომ ვერავითარ სიამოვნებას ვერ მივიღებდი, აი, ასე, უბრალოდ რომ წამერთმია შენთვის სიცოცხლე...

– არაფერია სიკვდილზე უარესი, დამბლდორ! – შეუღრინა ვოლდემორმა.

– ცდები, – დამბლდორი თანდათან უახლოვდებოდა. ისეთი დაუდევარი კილო ჰქონდა, თითქოს კათხა ლუდზე ეპატიჟებოდა ვოლდემორს. ჰარი შიშითა და გაოცებით შესცქეროდა დამბლდორს. უნდოდა, დაეყვირა, გაეფრთხილებინა, მაგრამ უთავო დამცველმა კედელთან მიამწყვდია და საშველს არ აძლევდა, – რას იზამ, შენი მიუხვედრელობა, რომ ქვეყნად სიკვდილზე გაცილებით უარესი რაღაცეებიც არსებობს, ყოველთვის შენი მთავარი სისუსტე იყო...

კიდევ ერთი მწვანე სხივი გამოიჭრა. ახლა ის ცალხელა კენტავრმა მიიღო, რომელმაც ნავარდით გადაურბინა დამბლდორს წინ, და ჰაერშივე ნამსხვრევებად იქცა, მაგრამ იატაკზე დაცემაც ვერ მოასწრო, რომ დამბლდორმა უკან წაიღო ჯადოსნური ჯოხი და მათრახივით დაიქნია. ჯოხის წვერიდან ცეცხლის გრძელი, წვრილი ენა გამოფრინდა და ვოლდემორს შემოეხვა. ჰარის წამით მოეჩვენა, რომ გამარჯვება დამბლდორს დარჩა, მაგრამ ცეცხლოვანი თოკი მაშინვე გველად იქცა, ვოლდემორს თავი ანება და ავი სისინით შებრუნდა დამბლდორისკენ.

ვოლდემორი გაქრა. გველი კი საბრძოლველად მოემზადა... ჰაერში რაღაცამ იფეთქა და იმავე წამს ვოლდემორი ისევ გაჩნდა დამბლდორს ზემოთ, შადრევნის კვარცხლბეკზე, სადაც სულ ახლახან ხუთი ქანდაკება იდგა.

– ფრთხილად! – იყვირა ჰარიმ.

ყვირილთან ერთად დამბლდორისკენ ვოლდემორის ჯოხიდან გამოტყორცნილი მწვანე სხივი გაფრინდა. გველიც შეტევაზე გადავიდა...

მაღლიდან ფოუკსი დაეშვა ზედ დამბლდორის წინ, ნისკარტი გააღო, მწვანე სხივის ნაკადი მთლიანად ჩაყლაპა, აალდა და იატაკზე დავარდა დაპატარავებული, დანაოჭებული, უმოძრაო. დამბლდორ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა მაშინვე ჯადოსნური ჯოხი გაიქნია. გველი, რომელმაც კინაღამ ჩაასო კბილები, აალდა და შავი კვამლის ზოლად იქცა, შადრევანში კი წყალმა აიწია და საპნის ბუშტივით გარს შემოერტყა ვოლდემორს.

რამდენიმე წამის განმავლობაში ვოლდემორი უცნაური, გაურკვევლი მოძრაობით ცდილობდა თავის დაღწევას. მერე გაქრა და წყალი ხმაურით ჩაიღვარა აუზში, ნაწილი კი გაკრიალებულ იატაკზე გადმოიღვარა.

– ბატონო! – წამოიკნავლა ბელატრისამ.

ჰარიმ იფიქრა, რომ ყველაფერი დასრულდა; რომ ვოლდემორი, ბოლოს და ბოლოს, გაიქცა, და თავისი ოქროს დარაჯის საფარიდან გამოხტომა დააპირა, მაგრამ დამბლდორმა დაიგრგვინა:

– არ გაინძრე, ჰარი!

დამბლდორის ხმაში პირველად გაისმა შეშფოთებული კილო. ჰარიმ მისი შეშფოთების მიზეზი ვერ გაიგო: დარბაზში, ჯადოქარი ქალის მიერ იატაკზე მილურსმული, აქვითინებული ბელატრისასა და შადრევანთან უხმოდ მოფართხალე, დასახიჩრებული ფენიქსის გარდა, აღარავინ დარჩა...

და უცბად ჰარის ნაიარევი ისეთი ძალით ასტკივდა, მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა. ეს წარმოუდგენელი, აუტანელი ტანჯვა იყო...

ჩვენ-რომ-ვიცით, ის აქ, დარბაზში, თითქოს აღარ იყო. ჰარის გარშემო რგოლებად შემოხვეოდა წითელთვალებიანი არსება. ისე მაგრად ჰქონდა შებოჭილი ხელ-ფეხი, რომ ვეღარ იგებდა, სად მთავრდებოდა მისი საკუთარი სხეული და სად იწყებოდა ამ არსებისა – ისინი ტკივილით შეკრულნი შეერწყნენ ერთმანეთს და ხსნის გზა აღარ ჩანდა...

მერე ეს არსება ჰარის პირით ალაპარაკდა. ტანჯვით გათანგული ჰარი ამას საკუთარი ტუჩების მოძრაობით მიხვდა:

– მომკალი, დამბლდორ...

დაბრმავებული და სასიკვდილოდ განწირული ჰარი სხვის ხელში ისევ იარაღად იქცა...

– თუ სიკვდილი არაფერია, მოკალი ბიჭი, დამბლდორ!

„ოღონდ კი შეწყდეს ეს ტკივილი, – ფიქრობდა ჰარი, – ჯობია, მოგვკლას... გადაწყვიტე, დამბლდორ... სიკვდილი მართლა არაფერია ამ... და მე ისევ ვნახავ სირიუსს...“

და როცა ჰარის გული სითბოთი აივსო, რგოლები გაწყდა და ტკივილი გაქრა... ჰარი პირქვე ეგდო, უსათვალოდ, ისე ცახცახებდა, თითქოს ყინულზე წევსო...

დარბაზში ხმები ექოდ ისმოდა, იმაზე მეტი, ვიდრე უნდა ყოფილ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო... ჰარიმ თვალი გაახილა და თავისი სათვალე უთავო ქანდაკების ფეხებთან დაინახა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იცავდა, ახლა კი ძირს ეგდო დამსკდარი და უძრავი. სათვალე გაიკეთა, თავი ასწია და პირველი, რაც დაინახა, დამბლდორის გრძელი, კეხიანი ცხვირი იყო.

– როგორ ხარ, ჰარი?

– კარგად, – თქვა ჰარიმ. ისე ძაგძაგებდა, რომ თავს ვერ იმაგრებდა, – კარგად, მე... სად არის ვოლდემორი, სად... ესენი ვინ არიან... რა უნდათ...

ატრიუმი ხალხით იყო სავსე. კედლის გასწვრივ დანთებული ბუხრების მწვანე-ზურმუხტისფერი ალი იატაკზე ირეკლებოდა. ბუხრებიდან უწყვეტ ნაკადად გამოდიოდნენ ჯადოქრები. ჰარი დამბლდორის დახმარებით წამოდგა ფეხზე. შინაური ელფისა და გობლინის ერთი ციცქნა ოქროს ფიგურებს ხელკავით მოჰყავდათ კორნელიუს ფაჯი. მაგიის მინისტრი გაოგნებული ჩანდა.

– ის აქ იყო! – წამოიძახა გრძელთმიანმა, ალისფერ მანტიაში გამოწყობილმა კაცმა. დარბაზის მეორე მხარეს ოქროს ნამტვრევებზე უჩვენებდა, სადაც სულ რაღაც ხუთი წუთის წინ დატყვევებული ბელატრისა იწვა, – მე ის დავინახე, ბატონო ფაჯ! ვფიცავ, ჩვენ-რომ-ვიცით, ის იყო – ქალი გაიტაცა და გაუჩინარდა!

– ვიცი, უილიამსონ, ვიცი, თვითონაც დავინახე... – წაიბლუკუნა ფაჯმა, მანტიის ქვეშ ზოლიანი პიჟამა მოუჩანდა და ისე ქშინავდა, თითქოს სულ ახლახან გაირბინა რამდენიმე კილომეტრიო, – მერლინის წვერს ვფიცავ... აქ... აქ, მაგიის სამინისტროში!.. ეს როგორ... როგორ დავიჯერო... ეს როგორ მოხდა!... ამასობაში დამბლდორმა კარგად დაათვალიერა ჰარი, ეტყობა, მისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და ფაჯს მიუბრუნდა:

– თუ ინებებთ და საიდუმლოებების დეპარტამენტში ჩამომყვებით, კორნელიუს, – დაიწყო და მისკენ ნაბიჯი გადადგა. ახალმოსულებმა ახლაღა მიაქციეს ყურადღება (ზოგიერთმა ჯადოსნური ჯოხი შემართა; ზოგი, უბრალოდ, გაკვირვებით შესცქეროდა. ელფისა და გობლინის ქანდაკებებმა ტაში დაუკრეს. ფაჯი ისე შეხტა მოულოდნელობისგან, რომ კინაღამ ფოსტლები გასძვრა), – ანტიაპარაციის შელოცვით შებოჭილ რამდენიმე დატყვევებულ „სიკვდილის მხვრელს“ ნახავთ, რომელთა ბედიც ახლა თქვენს ხელშია.

– დამბლდორ! – ამოიხრიალა გაოცებისგან გაოგნებულმა ფაჯმა, – თქვენ... აქ... მე... მე...

გაცოფებულმა გახედა თავის მხლებელ აურორებს და უცებ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მის ტუჩებს სადაცაა, დასცდებოდა: „შეიპყარით!“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე მზად ვარ, შევებრძოლო თქვენს ხალხს, კორნელიუს, და კვლავ დავამარცხო, – დაიგრგვინა დამბლდორმა, – მაგრამ რამდენიმე წუთის წინ თქვენი თვალით ნახეთ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ბოლო ერთ წელიწადს სიმართლეს გეუბნებოდით. ლორდი ვოლდემორი აღდგა. თქვენ თვეების განმავლობაში სულ სხვა ადამიანს უჯერებდით. ბოლოს და ბოლოს, გონს მოდით!

– მე... არ... კარგი, – ჩაილაპარაკა ფაჯმა და აქეთ-იქით უმწეოდ მიმოიხედა, თითქოს ელოდა, რომ ვინმე უკარნახებდა, როგორ მოქცეულიყო. მაგრამ ყველა ჩუმად იყო და ისიც იძულებული გახდა, გაეგრძელებინა, – კარგი... დოულიშ! უილიამსონ! საიდუმლოებების დეპარტამენტში წადით და შეამოწმეთ... თქვენ კი, დამბლდორ, ყველაფერს დაწვრილებით მომიყვებით... ჯადოქრული საძმოს შადრევანი... მაინც რა მოხდა აქ? – ლამის ტირილით დაამატა, როცა ჯადოქარი ქალის, კეთილშობილი ჯადოქრისა და კენტავრის ოქროს ნამსხვრევები შეამჩნია.

– ჩვენ ამაზე მას შემდეგ ვისაუბრებთ, როცა ჰარის უკან, ჰოგვორტსში, გავგზავნი, – უთხრა დამბლდორმა.

– ჰარი... ჰარი პოტერს?

ფაჯი უცებ შებრუნდა და ჰარის მიაჩერდა.

–... აქ არის? მაგრამ რატომ... რას ნიშნავს ეს?

– ყველაფერს მოგვიანებით აგიხსნით, როცა ჰარი ისევ სკოლაში დაბრუნდება, – მოთმინებით გაიმეორა დამბლდორმა. მერე ჯადოქრის ქანდაკებიდან მომძვრალ და კარგა შორს გაგორებულ ოქროს თავს მიუახლოვდა, ჯადოსნური ჯოხი დაუმიზნა და ჩუმად წარმოთქვა: „პორტუს!“ თავი ცისფრად აციმციმდა, აძაგძაგდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ისევ ჩაქრა და გაირინდა.

– ერთი წუთით, დამბლდორ! – წამოიძახა ფაჯმა, როცა დაინახა, რომ დამბლდორმა თავი აიღო და ჰარისკენ წავიდა, – თქვენ არ გაქვთ ოფიციალური ნებართვა ამ პორტაჟზე! თქვენ არ გაქვთ უფლება, ასეთი რამეები აკეთოთ მაგიის მინისტრის თვალწინ. ეს... ეს...

მაგრამ დამბლდორმა თავისი ნახევარმთვარე სათვალის ზემოდან ისე გახედა, ფაჯმა მაშინვე გაკმინდა ხმა.

– თქვენ გასცემთ ბრძანებას, რომ ჰოგვორტსის სკოლას მოშორდეს დოლორეს ამბრიჯი, – მშვიდად უთხრა დამბლდორმა, – ასევე, უბრძანებთ თქვენს აურორებს, რომ შეწყვიტონ ჯადოსნურ არსებათა მოვლის მასწავლებლის დევნა, რომ ის თავის სამუშაოს დაუბრუნდეს. ამ საღამოს მე თქვენ დაგითმობთ... – დამბლდორმა თორმეტისრიანი საათი ამოიღო ჯიბიდან და ყურადღებით დახედა, – ნახევარ საათს, რომელიც სავსებით საკმარისი იქნება ყველაფრის განსახილველად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამის შემდეგ მე სკოლაში დავბრუნდები. თუ შემდგომში ისევ დაგჭირდებათ ჩემი დახმარება, მე, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები, დაგეხმაროთ ჰოგვორტსიდან გაუსვლელად. შეგიძლიათ, მომწეროთ იქ, დირექტორის სახელზე.

ფაჯმა წელანდელზე უფრო მეტად გადმოკარკლა თვალები და გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა, მრგვალ სახეზე კი ვარდისფერმა გადაჰკრა.

– მე... თქვენ...

დამბლდორმა ზურგი შეაქცია.

– პორტაჟს ჩაეჭიდე, ჰარი.

დამბლდორმა ქანდაკების ოქროს თავი გაუწოდა და ჰარიმ ხელი ზედ დაადო. ახლა მისთვის სულერთი იყო, რა მოხდებოდა ან საით გაემგზავრებოდა.

– ნახევარი საათის შემდეგ შევხვდებით, – ხმადაბლა უთხრა დამბლორმა, – ერთი... ორი... სამი!

გაპრიალებული პარკეტი ფეხქვეშ გამოეცალა, ატრიუმი, ფაჯი და დამბლდორი გაქრნენ და ჰარი ფერებისა და ხმების გრიგალმა გაიტაცა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეჩვიდმეტე

დაკარგული წინასწარმეტყველება

ფეხებით რაღაც მაგარს დაეხეთქა, მუხლები მოეკეცა და ოქროს ჯადოქრის თავი ყრუ ხმაურით დავარდა იატაკზე. მიმოიხედა. პორტაჟს დამბლდორის კაბინეტში გადმოეყვანა.

კაბინეტს პირვანდელი სახე დაებრუნებინა. თითისტარისფეხება მაგიდებზე ნატიფი ვერცხლის ხელსაწყოები ისევ საქმიანად ზუზუნებდნენ და წკრიალებდნენ. კედლებზე დაკიდებული ყოფილი დირექტორების პორტრეტებიდან ზოგს სავარძლის ზურგზე, ზოგსაც ჩარჩოზე მიედო თავი და თვლემდა. ჰარიმ ფანჯარაში გაიხედა. ჰორიზონტზე ღია მწვანე ზოლი გაჩნდა – სადაცაა გათენდებოდა.

ჰარისთვის აუტანელი იყო უძრაობა და სიჩუმე, რომელსაც დროდადრო რომელიმე მძინარე პორტრეტის ქსუტუნი ან ხვრინვა არღვევდა. მის ადგილას, ალბათ, სურათებიც კი იყვირებდნენ ტკივილისგან. მძიმედ სუნთქავდა, ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, მაგრამ ისინი მაინც არ ასვენებდნენ...

ფიქრობდა, რომ სწორედ მის გამო დაიღუპა სირიუსი. სირიუსის სიკვდილში მხოლოდ თვითონ იყო დამნაშავე. ვოლდემორის ანკესზე ასე ბრიყვულად რომ არ წამოგებულიყო; ასე დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო თავისი სიზმრების სინამდვილეში; ჰერმიონისთვის რომ დაეჯერებინა და წამით მაინც დაეშვა, რომ ვოლდემორმა მართლაც გადაწყვიტა, გამოეყენებინა მისი ჩვეულება: გმირად წარმოედგინა თავი...

ტანჯვა აუტანელი ხდებოდა... მის სულში თითქოს უზარმაზარი უფსკრული გაჩნდა, რომელში ჩახედვისაც ეშინოდა... უფსკრული, რომელმაც ცოტა ხნის წინ სირიუსი შთანთქა. ჰარის არ შეეძლო მარტოდმარტო ყოფნა ამ მდუმარე, საზარელ სიცარიელეში.

უცებ ზურგს უკან, კედლიდან განსაკუთრებით ხმამაღალი ხვრინვა მოესმა და ცივმა ხმამ თქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ა... ჰარი პოტერ...

ფინეას ნაიჯელუსმა ტკბილად დაამთქნარა, გაიზმორა და მოჭუტული თვალებით გამჭრიახი მზერა მიაპყრო. დიდხანს უყურებდა დაჟინებით. მერე, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

– ასე ადრე რამ მოგიყვანათ? წესების თანახმად, კანონიერი დირექტორის გარდა, აქ შემოსვლა ყველასთვის აკრძალულია. თუ თვითონ დამბლდორმა გამოგგზავნათ? მოიცათ, არაფერი თქვათ... – ისევ გემრიელად დაამთქნარა, – ეს მორიგი დავალებაა ჩემი არაფრის მაქნისი შვილთაშვილისთვის?

ჰარი ხმას არ იღებდა. ფინეას ნაიჯელუსმა არ იცოდა, რომ სირიუსი დაიღუპა, მაგრამ ჰარი ამას ვერ ეტყოდა – ამის ხმამაღლა თქმა მის საბოლოოდ აღიარებას ნიშნავდა.

კიდევ რამდენიმე პორტრეტი ამოძრავდა. შესაძლო დაკითხვის შიშით ჰარიმ ოთახი გადაჭრა და კარის სახელური ჩამოსწია.

სახელური არ მოძრაობდა. კარი დაკეტილი იყო.

– იმედია, – თქვა დირექტორის მაგიდის თავზე დაკიდებული პორტრეტიდან ზორბა, წითელცხვირა ჯადოქარმა, – ეს იმას ნიშნავს, რომ დამბლდორი სულ მალე ჩვენთან იქნება? ჰარი მისკენ შებრუნდა. ჯადოქარი ინტერესით აკვირდებოდა. ჰარიმ თავი დაუქნია, მერე ისევ მოსინჯა სახელური, მაგრამ არც ახლა დაემორჩილა.

– მშვენიერია, – გაიხარა ჯადოქარმა, – უმისოდ აქ მოწყენილობაა... მეტისმეტი მოწყენილობა, – მერე მოხერხებულად მოეწყო მაღალზურგიან მდიდრულ სავარძელში, მოწყალედ გაუღიმა ჰარის და განაგრძო:

– გეცოდინებათ, რომ დამბლდორს ძალიან მოსწონხართ, – გულთბილად თქვა, – დიახ, დიახ, ერთობ ღირსეულ ახალგაზრდად მიაჩნიხართ.

ჰარის დანაშაულის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა, მწარედ ჩხვლეტდა გულში. ფიქრებთან გამკლავება შეუძლებელი იყო, აღარ შეეძლო საკუთარ თავთან მარტო დარჩენა... ასე მწვავედ არასოდეს უგრძნია მარტოობა და უმწეობა. ასე ძლიერ არასოდეს ნდომებია სხვა ადამიანად ქცევა...

ცარიელ ბუხარში ზურმუხტისფერი ალი აინთო. ჰარიმ ცეცხლში ადამიანის ფიგურა დაინახა და კარს მოსცილდა. სანამ დამბლდორი ბუხრიდან გამოდიოდა, პორტრეტებზე გამოსახულმა ყველა ჯადოქარმა გაიღვიძა. გაისმა მისასალმებელი შეძახილები.

– გმადლობთ, – ხმადაბლა თქვა დამბლდორმა. ჰარისთვის არც შეუხედავს, ისე წავიდა კარისკენ, მანტიის შიდა ჯიბიდან პაწაწინა დაჩეხილ-დამახინჯებული ჩიტის ბუმბულშემოცლილი სხეული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამოიღო და ფრთხილად დადო ოქროს ქანდარის ქვეშ, ფაფუკნაცრიან ლანგარზე, იქ, სადაც ჩვეულებრივ ფოუკსი იჯდა ხოლმე. მერე ჰარის მიუბრუნდა:

– აბა, ჰარი, ალბათ, გაგიხარდება იმის გაგება, რომ წუხანდელმა ამბებმა სერიოზული ზიანი ვერ მიაყენა შენს მეგობრებს. ისინი მალე გამოჯანმრთელდებიან.

ჰარის უნდოდა ეთქვა, კარგიაო, მაგრამ კრინტი ვერ დაძრა. ამ ყველაფერში ხომ თვითონ იყო დამნაშავე. იმის მიუხედავად, რომ დამბლდორი უკვე თვალებში უყურებდა, თანაც – უფრო ალერსით, ვიდრე საყვედურით, – ჰარიმ მაინც ვერ გაბედა, თამამად შეეგებებინა მზერა.

– მადამ პომფრი ყველა დაჭრილს სწრაფად დააყენებს ფეხზე, – განაგრძო დამბლდორმა, – შესაძლოა, ნიმფადორა ტონქსს ერთხანს წმინდა მუნგოს კლინიკაში მოუხდეს ყოფნა, თუმცა, მალე ისიც სრულიად გამოჯანმრთელდება.

ჰარიმ უხმოდ დაუქნია თავი. დარწმუნებული იყო, ყველა პორტრეტი ყურდაცქვეტილი ისმენდა დამბლდორის თითოეულ სიტყვას და იმის გამოცნობას ცდილობდა, სად შეიძლებოდა, ყოფილიყვნენ ის და ჰარი და სად დაშავდა ამდენი ხალხი.

– მესმის, ახლა რასაც გრძნობ, ჰარი, – ძალიან ჩუმად უთხრა დამბლდორმა.

– არა, არ გესმით, – მოულოდნელად ხმამაღლა და მტკიცედ შეეპასუხა ჰარი. მასში დაუოკებელი რისხვა აბობოქრდა – დამბლდორი საერთოდ ვერ ერკვეოდა მის გრძნობებში!

– ხედავთ, დამბლდორ? – ირონიულად გაიღიმა ფინეას ნაიჯელუსმა, – ნურასოდეს ეცდებით, გაუგოთ მოსწავლეებს. ისინი ამას ვერ მოითმენენ. მათ ურჩევნიათ, იყვნენ უბედურები, მათი არავის ესმოდეს, დატკბნენ საკუთარი თავისადმი სიბრალულით, იგორაონ საკუთარ...

– კმარა, ფინეას, – შეაწვეტინა დამბლდორმა.

ჰარიმ ზურგი შეაქცია დამბლდორს და ფანჯრიდან გაიხედა. შორს ქვიდიჩის სტადიონი მოჩანდა. იქ ერთხელ სირიუსი გამოცხადდა გაბურძგნილი შავი ძაღლის სახით, რათა ჰარის თამაში ენახა... ალბათ, იმის გაგება უნდოდა, ისევე კარგად თამაშობდა თუ არა ჰარი, როგორც თავის დროზე – ჯეიმსი... ჰარის ეს მისთვის არ უკითხავს...

– არ უნდა გრცხვენოდეს საკუთარი გრძნობებისა, ჰარი, – ისევ გაისმა დამბლდორის ხმა, – პირიქით... შენი ასეთი ტკივილი შენსავე სიძლიერეზე მეტყველებს.

ჰარი გრძნობდა, როგორ ივსებოდა საშინელი სურვილით, დაესაჯა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამბლდორი ამგვარი სიმშვიდისა და უსარგებლო სიტყვებისთვის.

– ჩემს სიძლიერეზე, არა? – ჰარის ხმა უკანკალებდა, თვალმოუშორებლად იყურებოდა სტადიონისკენ, რომელსაც უკვე ველარ ხედავდა, – თქვენ არ შეიძლება, იცოდეთ... საიდან იცით...

– რა არ ვიცი? – მშვიდად ჰკითხა დამბლდორმა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ჰარი სიბრაზისგან აცახცახებული შემობრუნდა.

– მოდით, ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რას ვგრძნობ და რას – არა.

– ჰარი, შენი განცდები ამტკიცებს, რომ ადამიანად რჩები! ტკივილი ადამიანთა ხვედრია!

– მაშინ-მე-არ-მინდა-ვიყო-ადამიანი! – იღრიალა ჰარიმ, მაღალ მაგიდაზე მდგარ ვერცხლის ნატიფ ხელსაწყოს სტაცა ხელი და ოთახის მეორე ბოლოსკენ ისროლა. ხელსაწყო კედელს მიენარცხა და წკრიალით დაიმსხვრა. რამდენიმე პორტრეტმა სიბრაზისა თუ შიშისგან შეჰყვირა, არმანდო დიპეტის პორტრეტმა კი ჩაილაპარაკა: „ოჰო!“

– ჩემთვის სულერთია! – იყვირა ჰარიმ, ახლა მთვარესკოპს დაავლო ხელი და ბუხარში შეუძახა, – მეტი აღარ შემიძლია, საკმარისია, გამიშვით აქედან, მომბეზრდა, ჩემთვის ახლა სულერთია...

მერე მაგიდას ეცა, რომელზეც წუთის წინ ვერცხლის ხელსაწყო იდგა. ძირს დაეხეთქა თუ არა, თითისტარისფეხება მაგიდა დაიშალა, გრძელი და წვრილი ფეხები კი სხვადასხვა მხარეს გაგორდა.

– არ არის სულერთი, – თქვა დამბლდორმა ისე, რომ არც კი განძრეულა; არც კი უცდია, შეეჩერებინა. სრულიად მშვიდი სახე ჰქონდა, ლამის არაამქვეყნიური, – ახლაც კი არ არის სულერთი შენთვის. იმდენად არ არის სულერთი, რომ მზად ხარ, მოკვდე, ოღონდ კი ეს ტანჯვა შეწყდეს...

– სულერთია! – ისე იღრიალა ჰარიმ, რომ ხმა ჩაეხლიჩა. ერთი სული ჰქონდა, ყელში სცემოდა დამბლდორს, ოღონდ კი არ ეყურებინა ამ მშვიდი, დანაოჭებული სახისთვის, შეენჯღრია, ტკივილი მიეყენებინა, რათა იმასაც ეგრძნო იმ საშინელების სულ მცირე ნამცეცი მაინც, რომელსაც მთელი მისი არსება გაევსო.

– არ არის სულერთი, – თქვა დამბლდორმა კიდევ უფრო მშვიდად, – შენ დედაც დაკარგე, მამაც, ახლა კი – ისიც, ვისაც ლამის ღვიძლი შვილივით უყვარდი. რა თქმა უნდა, შენთვის სულერთი არ არის.

– საიდან უნდა იცოდეთ, რას ვგრძნობ! – იყვირა ჰარიმ, – თქვენ... აქ დგახართ... თქვენ...

მაგრამ სიტყვები აღარ ეყო. მთელი კაბინეტიც რომ თავდაყირა დაეყენებინა, შვებას ვერ იგრძნობდა. აქედან გაქცევა უნდოდა, უკან-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუხედავად გაქცევა, სადმე დამალვა, რომ აღარ დაენახა ეს ნათელი ცისფერი თვალები, ეს საძულველი, მშვიდი სახე. კარისკენ გავარდა, ისევ სტაცა ხელი სახელურს და გაცოფებული დაეჯაჯგურა.

კარი ისევ არ იღებოდა.

თავით ფეხებამდე აცახცახებული ჰარი ისევ დამბლდორს მიუბრუნდა:

– თუ შეიძლება, გამიღეთ.

– არა, – აუღელვებლად თქვა დამბლდორმა. ერთხანს უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

– თუ შეიძლება, გამიღეთ, – გაიმეორა ჰარიმ.

– არა.

– თუ თქვენ არ... თუ აქ გამაჩერებთ... თუ არ გამიშვებთ...

– მე არ გიშლი ჩემი ნივთების განადგურებას, – უშფოთველად უთხრა დამბლდორმა, – განაგრძე, კიდევ საკმაოდ ბევრი მაქვს.

ჰარისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე შემოუარა მაგიდას და სავარძელში ჩაჯდა.

– გამიშვით, – ახლა ჰარი ისევე მშვიდად ლაპარაკობდა, როგორც დამბლდორი.

– მანამ არ გაგიშვებ, სანამ არ მომისმენ.

– თქვენ გგონიათ... ფიქრობთ, მე მინდა... თქვენი აზრით... საერთოდ არ მაინტერესებს, რას იტყვით! – ისევ იყვირა ჰარიმ, – არაფრის გაგონება არ მინდა!

– გინდა, – მტკიცედ თქვა დამბლდორმა, – იმიტომ, რომ შენ ისე ძლიერ არა ხარ გაბრაზებული ჩემზე, როგორც უნდა იყო. თუ შენ მართლა გადმოხვალ შეტევაზე, მე კი ვგრძნობ, რომ არც ისე შორსა ხარ ამისგან, მინდა, ვაღიარო, რომ ეს დავიმსახურე.

– რას გულისხმობთ?

– სირიუსის სიკვდილი ჩემი ბრალია, – მკაფიოდ თქვა დამბლდორმა, – უმთავრესად ჩემი ბრალია. არ ღირს მეტისმეტი ქედმაღლობის გამოჩენა და მთლიანი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. სირიუსი ჭკვიანი, მამაცი და ენერგიული ადამიანი იყო, ასეთები კი იშვიათად თანხმდებიან შინ, თბილად ყოფნაზე მაშინ, როცა სხვებს საფრთხე ემუქრება. მინდა გითხრა, რომ საიდუმლოებების დეპარტამენტში შენი გუშინდელი ვიზიტი ვოლდემორის ხრიკი იყო. მე რომ უფრო გულახდილი ვყოფილიყავი, ჰარი – სამწუხაროდ, საამისო გამბედაობა არ მეყო – შენ უკვე კარგა ხნის წინათ გეცოდინებოდა, რომ ვოლდემორი საიდუმლოებების დეპარტამენტში შენს შეტყუებას შეეცდებოდა, და წუხელ მის ანკესს არ წამოეგებოდი. მაშინ აღარც სირიუსს მოუწევდა შენს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დასახმარებლად იქ მოსვლა. ასე რომ, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. მხოლოდ მე!

ჰარი ისევ უჭერდა ხელს კარის სახელურს, მაგრამ უკვე ანგარიშმიუცემლად. თვალს არ აცილებდა დამბლდორს და სუნთქვაშეკრული უსმენდა, თუმცა აზრის გაგება უჭირდა.

– დაჯექი, თუ შეიძლება, – თქვა დამბლდორმა. ეს უფრო თხოვნა იყო, ვიდრე ბრძანება.

ჰარი შეყოყმანდა, მერე ნელა გაიარა ვერცხლის ნაწილებითა და ხის ნამტვრევებით მოფენილ იატაკზე და მაგიდასთან დამბლდორის პირისპირ დაჯდა.

– ესე იგი, – გაისმა მარცხნივ ფინეას ნაიჯელუსის აუჩქარებელი ხმა, – ჩემი შვილთაშვილი, ბლექების უკანასკნელი წარმომადგენელი, ცოცხალი აღარ არის?

– ასეა, ფინეას, – უპასუხა დამბლდორმა.

– არ მჯერა, – მკვახედ თქვა ფინეასმა.

ჰარიმ იმის დანახვა მოასწრო, როგორ გავიდა ნაიჯელუსი პორტრეტიდან. იმასაც მიხვდა, რომ ის გრიმოს მოედანზე გაემგზავრა. ალბათ, სირიუსის ძებნაში მთელი სახლის სურათებს მოივლიდა...

– მე ვალდებული ვარ, აგიხსნა, ჰარი, – განაგრძო დამბლდორმა, – ჩემი შეცდომები მოხუცი კაცის შეცდომებია. ახლა ვხედავ, ყველაფერი, რაც გავაკეთე ან არ გავაკეთე, სიბერის ბრალია. ახალგაზრდებს არ შეუძლიათ, გაიგონ, რას ფიქრობენ ან რას გრძნობენ მოხუცები. მაგრამ მოხუცები დამნაშავენი არიან, თუ ავიწყდებათ, რას ნიშნავს ახალგაზრდობა... ბოლო ხანებში, როგორც ჩანს, მეც მავიწყდება ეს...

ნარინჯისფერი მზე უკვე გამოჩნდა მთებს ზემოთ. გათენდა. დამბლდორს შევერცხლილ წარბებსა და წვერზე, ღრმა ნაოჭებით დაღარულ სახეზე მზის სხივი დაეცა.

– დაახლოებით, თხუთმეტი წლის წინათ, როცა პირველად შევნიშნე ნაიარევი შენს შუბლზე, ყველაფერს მივხვდი. ამ ნაიარევში ღრმა კავშირი დავინახე შენსა და ვოლდემორს შორის.

– ეს ერთხელ უკვე მითხარით, პროფესორო, – შეაწყვეტინა ჰარიმ. იცოდა, რომ უხეშად იქცეოდა, მაგრამ მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. ახლა მას საერთოდ ცოტა რამ აღელვებდა.

– ჰო, – დაეთანხმა დამბლდორი, – მაგრამ საქმე ის არის, რომ მე სწორედ შენი ნაიარევიდან მჭირდება საუბრის დაწყება. მას შემდეგ, რაც ისევ დაუბრუნდი ჯადოსნურ სამყაროს, ნათელი გახდა, რომ მართალი ვიყავი: ნაიარევი გაუწყებდა ვოლდემორის სიახლოვეს და მის განწყობას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიცი, – დაღლილი ხმით თქვა ჰარიმ.

– და ეს შენი ნიჭი, გრძნობდე თუნდაც სხვის ტყავში შეფარებულ ვოლდემორს, და იცოდე, რას განიცდის, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რაც უფრო მეტ ძალას იკრებდა ვოლდემორი.

ჰარის თავიც არ დაუქნევია, ეს ყველაფერი ისედაც იცოდა.

– დროთა განმავლობაში, – განაგრძო დამბლდორმა, – უფრო და უფრო მეუფლებოდა შიში, რომ ვოლდემორი გაიგებდა თქვენ შორის არსებული კავშირის შესახებ. და მართლაც, შენ ისე ღრმად შეიჭერი მის გონებასა და ფიქრებში, რომ მან აშკარად იგრძნო – შენ მისი აზრების თანაზიარი იყავი. მე იმ ღამეს ვგულისხმობ, როცა შენ უისლიზე თავდასხმის მოწმე გახდი.

– დიახ, სნეიპმა მითხრა, – წაიდუდღუნა ჰარიმ.

– პროფესორმა სნეიპმა, ჰარი, – მშვიდად შეუსწორა დამბლდორმა, – არასოდეს დაინტერესებულხარ, მე თვითონ რატომ არ აგიხსენი ეს? მე თვითონ რატომ არ შეგასწავლე ოკლუმენცია? რატომ გავურბოდი მრავალი თვის მანძილზე შენს გამოხედვას?

ჰარიმ თავი ასწია. დამბლდორს ნაღვლიანი და დაღლილი სახე ჰქონდა.

– დიახ, – წაიბუტბუტა ჰარიმ, – ეს მეც მაკვირვებდა.

– ვიცოდი, რომ ვოლდემორი აუცილებლად შეეცდებოდა, ძალით შემოჭრილიყო შენს გონებაში, რათა ემართა შენი აზრები. არ მინდოდა, საბაბი მიმეცა მისთვის. დარწმუნებული ვიყავი, თუკი გაიგებდა, რომ ჩვენი ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულებაზე მეტი იყო, აუცილებლად შეეცდებოდა ჩემზე სათვალთვალოდ შენს გამოყენებას. მეშინოდა, რომ დაგეუფლებოდა, დაგიმორჩილებდა. ვფიქრობ, არ ვცდებოდი. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, მე შენი თვალების სიღრმეში მის ლანდს ვხედავდი.

ჰარის გაახსენდა, რომ დამბლდორთან შეხვედრისას ყოველთვის უცნაური გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე: თითქოს მასში მთვლემარე გველი იღვიძებდა და თავდასხმისთვის ემზადებოდა.

– როგორც წუხანდელმა ღამემ დაადასტურა, ვოლდემორს შენი დაუფლება შენივე განადგურებისთვის უნდოდა. მან ცოტა ხნით შენში ჩაიბუდა, ვარაუდობდა, რომ მისი მოკვლის სურვილით შენც გაგწირავდი. როგორც ხედავ, როცა ჩვენს შორის დისტანციას ვინარჩუნებდი, მეგონა, რომ შენ გიცავდი, ჰარი. მოხუცი კაცის შეცდომა იყო...

დამბლდორმა ამოიოხრა. მის სიტყვებს ერთი ყურიდან მეორეში ატარებდა ჰარი. ერთი-ორი თვის წინ უდიდესი ინტერესით მოის-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მენდა ამას, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უაზრობად ეჩვენებოდა იმ სიცარიელესთან შედარებით, რომელიც სირიუსის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა მის სულში. დამბლდორის სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა...

– სირიუსმა შემატყობინა, რომ იმ ღამეს, როცა არტურ უისლი დაშავდა, იგრძენი, როგორ იღვიძებდა შენში ვოლდემორი. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ყველაზე ცუდი წინათგრძნობა გამართლდა: ვოლდემორი მიხვდა, რომ შეეძლო შენი გამოყენება. შენი გონება ვოლდემორისგან რომ დამეცვა, ამიტომ პროფესორ სნეიპთან ოკლუმენციის გაკვეთილები დაგინიშნე.

დამბლდორი წამით გაჩუმდა. ჰარი მონუსხულივით დასცქეროდა დირექტორის მაგიდის პრიალა ზედაპირს და თვალს ადევნებდა, როგორ თამაშობდა მზის სხივი მაგიდაზე; როგორ აელვარდა ლამაზი ალისფერი კალამი და ვერცხლის სამელნე... ჰარიმ იცოდა, რომ კედელზე დაკიდებულ პორტრეტებს არ ეძინათ, ისინი ყურადღებით უსმენდნენ დამბლდორს. დროდადრო მის ყურამდე მანტიის შრიალი ან ვიღაცის ჩუმი ჩახველება აღწევდა. ფინეას ნაიჯელუსი ჯერ კიდევ არ ჩანდა...

– პროფესორმა სნეიპმა გაარკვია, – განაგრძო დამბლდორმა, – რომ დიდი ხნის განმავლობაში გესიზმრებოდა საიდუმლოებების დეპარტამენტის რომელიღაც კარი. თავისი მომავლის გაგების სურვილი იმ დღიდან სდევდა ვოლდემორს, რაც საკუთარი სხეული დაიბრუნა. როცა ის კარს წარმოიდგენდა, შენც დეპარტამენტის კარს ხედავდი სიზმარში. მაგრამ ვერაფერს ხვდებოდი. მერე რუკვუდი ნახე, რომელიც დაპატიმრებამდე საიდუმლოებების დეპარტამენტში მუშაობდა. მან უთხრა ვოლდემორს ის, რაც ჩვენ უკვე ვიცოდით – რომ წინასწარმეტყველებანი საიმედოდ არის დაცული მაგიის სამინისტროში. თაროდან მისი აღება მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც ეს წინასწარმეტყველება ეკუთვნით. მომპარავი ჭკუიდან შეიშლება. ასე რომ, ვოლდემორი ან თვითონ უნდა მისულიყო მაგიის სამინისტროში და, ბოლოს და ბოლოს, გაეცა თავი, ანდა იძულებული გაეხადე, მისთვის წამოგელო წინასწარმეტყველება. სწორედ ამიტომაც გახდა აუცილებელი, ოკლუმენციის საშუალებით თავის დაცვა გესწავლა.

– მაგრამ მე მაინც ვერაფერი ვისწავლე, – ჩაილაპარაკა ჰარიმ. უფრო კი იმიტომ თქვა, რომ ოდნავ მაინც შეესუსტებინა დანაშაულის გრძნობა: აღიარება, ალბათ, შეუმსუბუქებდა მძიმე ტვირთს, – მე არ ვვარჯიშობდი, ჩემთვის სულერთი იყო. ალბათ, შემეძლო ჩემი სიზმრებიდან გათავისუფლება... ჰერმიონი ერთთავად ჩამჩიჩინებდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამას, და რომ დამეჯერებინა, ვერც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერასდროს ვნახავდი თაროებიან ოთახს და... მაშინ სირიუსი... მაშინ სირიუსი...

რაღაც ხდებოდა ჰარის სულში. ჰარი თავის მართლებას შეეცადა:

– მინდოდა, შემემოწმებინა, მართლა შეიპყრო თუ არა სირიუსი. ამბრიჯის კაბინეტში შევიპარე, ბუხრიდან ველაპარაკე კრეჩერს. მითხრა, სირიუსი შინ არ არის, სადღაც წავიდაო!

– კრეჩერმა მოგატყუა, – მშვიდად თქვა დამბლდორმა, – შენ მისი პატრონი არა ხარ და ამ ტყუილისთვის თავის დასჯაც კი არ იყო საჭირო. კრეჩერს უნდოდა, რომ შენ მაგიის სამინისტროში წასულიყავი.

– მაშ... მან განგებ გამგზავნა იქ?

– ჰო, ასეა. კრეჩერი უკვე რამდენიმე თვეა, თავის კანონიერ პატრონს არ ემსახურება.

– ეგ როგორ? – გაოცდა ჰარი, – ის ხომ წლების განმავლობაში გრიმოს მოედანზე ცხოვრობდა!

– კრეჩერმა თავისი შანსით შობის წინ ისარგებლა. გახსოვს, როგორ დაუყვირა სირიუსმა, გაეთრიეო? სიტყვაზე დაიჭირა სირიუსი და ეს სახლის დატოვების ბრძანებად მიიღო. ბლექების ოჯახის ერთადერთ წევრთან გაემგზავრა, იმასთან, ვინც ჯერ კიდევ იმსახურებდა მის პატივისცემას: ბლექის დეიდაშვილ ნარცისასთან, ბელატრისას დასა და ლუციუს მალფოის ცოლთან.

– საიდან იცით ეს ყველაფერი? – ჰკითხა ჰარიმ და გული აუფანცქალდა, როცა გაახსენდა, როგორ გაუკვირდა კრეჩერის უცნაური გაუჩინარება შობის დღესასწაულზე; გაახსენდა, როგორ მიაგნეს მერე სხვენში...

– კრეჩერმა თვითონ მიამბო გუშინ საღამოს, – აუხსნა დამბლდორმა, – როგორც კი გაიგონა შენი უცნაური გაფრთხილება, პროფესორი სნეიპი მიხვდა, რომ კოშმარში, რომელშიც სირიუსი საიდუმლოებების დეპარტამენტში დატყვევებული ნახე, ვოლდემორის ხელი ერია, და მანაც შენსავით მაშინვე სირიუსთან დაკავშირება სცადა – სხვათა შორის, ფენიქსის ორდენის წევრებს კავშირის უფრო საიმედო საშუალება აქვთ, ვიდრე დოლორეს ამბრიჯის ბუხარია... პროფესორმა სნეიპმა გაიგო, რომ საღსალამათი სირიუსი გრიმოს მოედანზე იმყოფებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც შენ ამბრიჯთან ერთად აკრძალულ ტყეში გაუჩინარდი, პროფესორი სნეიპი შეფიქრიანდა და მაშინვე ორდენის რამდენიმე წევრს შეატყობინა, რომ შენ სირიუსი ისევ ვოლდემორის ტყვედ მიგაჩნდა, – დამბლდორმა მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო: – როცა დაგვიკავშირდა, შტაბში ალასტორ მუდი, ნიმფადორა ტონქსი, კინგსლი შეკლბოლტი და რემუს ლუპინი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყვნენ. ყველამ მაშინვე გადაწყვიტა შენს დასახმარებლად წამოსვლა. პროფესორმა სნეიპმა დაიჟინა, რომ სირიუსი შტაბ-ბინაში დარჩენილიყო – მე წუთი წუთზე უნდა მივსულიყავი იქ და ვიღაცას ხომ უნდა შეეტყობინებინა ჩემთვის უკანასკნელი ამბები. თვითონ კი, ამასობაში, აკრძალულ ტყეში აპირებდა შენს მოძებნას.

მაგრამ სირიუსი გასაჭირში ვერ მიგატოვებდა. კრეჩერს უბრძანა, რომ ჩემთვის ყველაფერი ეთქვა, თვითონ კი ორდენის სხვა წევრებთან ერთად წავიდა. სულ ცოტა ხანში გრიმოს მოედანზე მეც მივედი და ელფმა სიცილ-ხარხარით მაცნობა, სად გაემგზავრა სირიუსი.

– ესე იგი, იცინოდა? – ყრუდ იკითხა ჰარიმ.

– ჰო, იცინოდა, – დაუდასტურა დამბლდორმა, – საქმე ის არის, რომ კრეჩერს არ შეეძლო ჩვენი ყველა საიდუმლოს გაცემა. ის არ შედის ორდენის საიდუმლოს მცველთა წევრების რიცხვში და მალფოებმა მისგან ვერც ჩვენი მისამართი და ვერც სამომავალო გეგმები შეიტყვეს – ამ საიდუმლოს გახმაურების უფლება მას არა აქვს. როგორც ყველა შინაური ელფი, ისიც თავის პატრონთან ჯადოსნური ძაფებით არის დაკავშირებული და არ შეუძლია პატრონის პირდაპირი ბრძანების დარღვევა. თუმცა, ნარცისას მაინც მიაწოდა ვოლდემორისთვის ერთობ მნიშვნელოვანი ცნობები – სირიუსს არ აუკრძალავს მისთვის ამაზე ლაპარაკი, რადგან საიდუმლოდ არ მიაჩნდა.

– რას გულისხმობთ? – იკითხა ჰარიმ.

– მაგალითად, იმას, რომ სირიუსს ამქვეყნად შენზე ძვირფასი არავინ ჰყავდა, – მშვიდად თქვა დამბლდორმა, – და კიდევ, რომ სირიუსი ერთდროულად მამობასა და ძმობას გიწევდა. რა თქმა უნდა, ვოლდემორმა უკვე იცოდა, რომ სირიუსი ორდენის წევრია და შენთვის ცნობილია, სადაც იმყოფება, მაგრამ კრეჩერისგან მიღებული ინფორმაცია იმის გაგებაში დაეხმარა, რომ სირიუს ბლექის გადასარჩენად შენ ნებისმიერ რისკზე წახვიდოდი.

ჰარის პირი გაუშრა და ტუჩებს ვეღარ იმორჩილებდა.

– ესე იგი... როცა გუშინ კრეჩერს ვკითხე, სირიუსი შინ არის თუ არა-მეთქი...

– მალფოებმა – უეჭველად ვოლდემორის დარიგებით – კრეჩერს უბრძანეს: თუ შენ შეამოწმებდი, შინ იყო თუ არა სირიუსი, თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, თითქოს პატრონი სადღაც იყო წასული. გუშინ კრეჩერმა ბაკბიკი დაასახიჩრა. იმ დროს, როცა შენ მათ ბუხარში გაჩნდი, სირიუსი სხვენში ჰიპოგრიფს მკურნალობდა.

ჰარის ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

– კრეჩერმა ეს გიამბოთ და თან იცინოდა?

– აღიარება არ უნდოდა, – უპასუხა დამბლდორმა, – მაგრამ მე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საკმაოდ კარგად ვფლობ ლეგილიმენციას და იოლად ვარჩევ ტყუილ-მართალს, ასე რომ... როგორ ვთქვა... ვაიძულე, სიმართლე ეთქვა ჩემთვის, რის შემდეგაც სასწრაფოდ საიდუმლოებების დეპარტა-მენტში წამოვედი.

– ჰერმიონი კი... – ჰარიმ მუხლებზე დაწყობილი გაყინული ხელები მუშტებად შეკრა, – ჰერმიონი კი სულ გვეუბნებოდა, უფრო ალერ-სიანად მოექეცითო...

– სავსებით მართალი იყო, ჰარი, – თქვა დამბლდორმა, – როცა გრიმოს მოედნის ნომერ თორმეტი სახლი ჩვენს შტაბ-ბინად ვაქციეთ, მე დავარიგე სირიუსი, რომ კრეჩერს გულთბილად და პატივისცემით მოჰქცეოდა. ამას გარდა, გავაფრთხილე, რომ კრეჩერი ჩვენთვის შეი-ძლება საშიში ყოფილიყო. მაგრამ სირიუსმა ეს გაფრთხილება არაფრად ჩააგდო – ის არასოდეს მიიჩნევდა კრეჩერს მგრძნობიარე არსებად...

– ნუ ადანაშაულებთ... ნუ ადანაშაულებთ სირიუსს!.. იმას, თითქოს... – ჰარის სუნთქვა შეეკრა, ენა ებმოდა. ისევ აივსო რისხ-ვით: დამბლდორს არ ჰქონდა სირიუსის გაკრიტიკების უფლება! – კრეჩერი მატყუარაა... ვერაგი მატყუარა... ის იმსახურებს...

– კრეჩერი ისეთია, როგორიც ის ჯადოქრებმა შექმნეს, ჰარი, – აუხსნა დამბლდორმა, – ჰო, რა თქმა უნდა, სიბრალულს იმსახურებს. მისი არსებობა ისეთივე უღიმღამო იყო, როგორიც შენი კეთილი მეგობრის, დობისა. კრეჩერი არ შეიძლებოდა, არ დამორჩილებოდა ბლექების გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის ნებას, თუმცა ის არასდროს ყოფილა სირიუსის ერთგული. და რაოდენ დიდიც უნდა იყოს კრეჩერის დანაშაული, სირიუსს თითიც არ გაუნძრევია, რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მისი ხვედრი...

– ნუ ადანაშაულებთ სირიუსს! – ისევ შეჰყვირა ჰარიმ და გაცეცხ-ლებული წამოხტა. ამ წუთში საოცრად სძულდა დამბლდორი, რომელიც საერთოდ ვერ უგებდა სირიუსს, არ იცოდა, როგორი მამაცი იყო, როგორ იტანჯებოდა...

– სნეიპზე რაღას იტყვით? – სიბრაზისგან ცახცახებდა ჰარი, – მასზე რატომ არაფერს ამბობთ?! როცა ვუთხარი, ვოლდემორმა სირ-იუსი შეიპყრო-მეთქი, როგორც ყოველთვის, ირონიულად ჩაიცინა...

– თვითონაც იცი, ჰარი, სნეიპი იძულებული იყო, თავი სხვანაირად მოეჩვენებინა ამბრიჯისთვის, – გამოექომაგა დამბლდორი, – მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, რამდენადაც შეეძლო, სწრაფად შეატყობინა ორდენს ის, რაც შენგან მოისმინა. სწორედ ის მიხვდა, სად უნდა მოგვეძებნე, როცა აკრძალული ტყიდან აღარ დაბრუნდი. სწორედ მან მისცა პროფესორ ამბრიჯს ყალბი სიმართლის ელექსირი, როცა შენგან სირიუსის ადგილსამყოფელის გაგება სურდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ცალ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა ეს ყველაფერი. სნეიპის დადანაშაულება სიამოვნებას ჰგვრიდა, ამით თითქოს საკუთარი დანაშაულის შეგრძნებას იმსუბუქებდა. ძალიან უნდოდა, დამბლდორიც დასთანხმებოდა.

– სნეიპი... სნეიპი დასცინოდა სირიუსს, რომ მას გარეთ გამოსვლა აკრძალული ჰქონდა... მშიშარა ხარო, ეუბნებოდა...

– სირიუსი საკმაოდ ჭკვიანი იყო საიმისოდ, რომ ყურადღება არ მიექცია დაცინვისთვის, – თქვა დამბლდორმა.

– სნეიპმა ოკლუმენციის გაკვეთილები შემიწყვიტა! – შეიღრინა ჰარიმ, – კაბინეტიდან გამომაგდო!

– ვიცი, – წყნარად უთხრა დამბლდორმა, – კიდევ ერთხელ გიმეორებ: ვნანობ, რომ მე არ მოვკიდე ხელი შენს მეცადინეობას. თუმცა იმ ხანებში დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერი იყო იმაზე სახიფათო, ვიდრე ის, რომ შენი გონება ვოლდემორისთვის ჩემი თანდასწრებით გადამეშალა...

– სნეიპის გამო ყველაფერი გაუარესდა: მისი გაკვეთილების შემდეგ ნაიარევი ყოველთვის უფრო მეტად მტკიოდა... – ჰარის გაახსენდა, რას ეუბნებოდა რონი, და სიტყვები ნიაღვარივით წამოვიდა: – საიდან იცით, რომ ის ვოლდემორის დახმარებას არ ცდილობდა? საიდან იცით, რომ არ უადვილებდა ჩემს...

– მე ვენდობი სნეიპს, – უბრალოდ თქვა დამბლდორმა, – მაგრამ დავივიწყე – აი, მოხუცი ადამიანის კიდევ ერთი შეცდომა, რომ არსებობს ძალიან ღრმა ჭრილობები, რომლებსაც დროც კი ვერ კურნავს. მეგონა, რომ პროფესორი სნეიპი მოახერხებდა მამაშენის მიმართ სიძულვილის გადალახვას... მაგრამ შევცდი.

– და თქვენ ეს არ გაღელვებთ, არა? – წამოიყვირა ჰარიმ. ყურადღება არ მიუქცევია კედლებზე დაკიდებული პორტრეტების უკმაყოფილო სახეებისა და გამკიცხავი ბუზღუნისთვის, – ესე იგი, სნეიპს უფლება აქვს, სძულდეს მამაჩემი, სირიუსს კი კრეჩერი – არა?

– სირიუსს არ სძულდა კრეჩერი. ის მისი მსახური იყო. არც ინტერესისა და არც განსაკუთრებული ყურადღების ღირსად არ თვლიდა. გულგრილობა და უგულებელყოფა კი ხშირად უფრო დიდი ზიანის მომტანია, ვიდრე დაუფარავი ზიზღი... შადრევანი, რომელიც დღეს დავამსხვრიეთ, სიმართლეს არ შეესაბამება. თავს ყოველთვის ელფებზე მაღლა ვაყენებდით. ჩვენ, ჯადოქრები, ძალიან დიდხანს ვამცირებდით და შეურაცხვყოფდით ჩვენს თანამოძმეთ, ახლა კი ნაყოფს ვიმკით...

– მაშ, თქვენი აზრით, სირიუსს დამსახურებულად მიეზღო, არა? – იღრიალა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ეს არ მითქვამს, შენ ჩემგან ამას ვერასდროს გაიგონებ, – აუღელვებლად თქვა დამბლდორმა, – სირიუსი სასტიკი არ იყო, ელფებს, საერთოდ, კარგად ექცეოდა. აი, კრეჩერი იმიტომ არ უყვარდა, რომ მის საძულველ ოჯახს ახსენებდა.

– დიახ, სძულდა! – ჰარის ხმა ჩაუწყდა და ზურგი შეაქცია დამბლდორს. ახლა ოთახი უკვე მზის სინათლით იყო სავსე. ყველა პორტრეტი მას მისჩერებოდა, ის კი ვერაფერს ხედავდა და არც ის იცოდა, რას აკეთებდა, – თქვენ გამოამწყვდიეთ იმ სახლში, რომელიც სძულდა. აი, რატომ ვერ შეძლო წუხელ იქ დარჩენა...

– მე სირიუსს ხიფათისგან ვიცავდი, – ხმადაბლა აუხსნა დამბლდორმა.

– ადამიანებს არ მოსწონთ, როცა ამწყვდევენ! – გაცოფებული შებრუნდა დამბლდორისკენ, – თქვენ მეც ასე მომექეცით, გახსოვთ, შარშან ზაფხულს?

დამბლდორმა თვალები დახუჭა და სახეზე ხელები აიფარა. მაგრამ ვერც ამ უჩვეულო ჟესტმა, რომელიც დარდისა თუ უსაშველო დაღლილობის გამოძახილი იყო, გული ვერ მოულბო ჰარის. პირიქით, უფრო მეტად გააცოფა იმან, რომ დამბლდორი სისუსტის ნიშნებს ამჟღავნებდა. მას არ ჰქონდა სისუსტის უფლება მაშინ, როცა ჰარის იქაურობის მილეწვ-მოლეწვა უნდოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ დამბლდორმა სახიდან ხელები მოიშორა და თავისი ნახევარმთვარისებური სათვალიდან გამოხედა ჰარის.

– უკვე დადგა დრო, გითხრა ის, რაც ხუთი წლის წინათ უნდა მეთქვა. ახლა შენ ყველაფერს გაიგებ. მხოლოდ ერთს გთხოვ, ცოტა მოითმინე. როცა დავამთავრებ, რამდენიც გინდა და როგორც გინდა, ისე იბობოქრე; რაც გინდა, ის ქენი; მე არ შეგაჩერებ...

ჰარი ერთხანს ისევ ბურღავდა თვალებით, მერე მაინც დაჯდა დამბლდორის პირდაპირ და მოსასმენად მოემზადა.

დამბლდორმა ფანჯრიდან მზით განათებულ მდელოებს გახედა, მერე ჰარისკენ შებრუნდა და დაიწყო:

– ხუთი წლის წინათ შენ ჰოგვორტსში, როგორც ვვარაუდობდი, ცოცხალი და საღსალამათი მოხვედი. თუმცა, არცთუ მაინცდამაინც ჯანმრთელი. ბევრი ტანჯვა გადაიტანე; ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა, როცა დეიდაშენისა და ბიძაშენის სახლის პარმაღთან გტოვებდი. ვიცოდი, რომ ათწლიანი წვალებისა და წამებისთვის გწირავდი.

შეყოვნდა. ჰარი ჩუმად იყო.

– შეიძლება, მკითხო, რატომ მოვიქეცი ასე და რატომ არ მიგაშვილე რომელიმე ჯადოქრის ოჯახს? ბევრი სიხარულითაც დათანხმდებოდა და დიდ პატივად ჩათვლიდა შვილივით შენს აღზრდას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემი პასუხი ასეთია: უპირველეს ყოვლისა, მე შენთვის სიცოცხლის შენარჩუნება მინდოდა. მხოლოდ მე ვიცოდი, რა დიდი საშიშროება გემუქრებოდა. ვოლდემორი რამდენიმე საათის წინ იყო დამარცხებული, მაგრამ მისი მომხრეები – ბევრი მათგანი ისეთივე საშინელია, როგორც მათი წინამძღოლი – ჯერ კიდევ რჩებოდნენ გარეთ, გამძვინვარებულები, სასოწარკვეთილები და სასტიკები. ამას გარდა, როცა გადაწყვეტილებას ვიღებდი, მომავალიც უნდა გამეთვალისწინებინა. რა თქმა უნდა, არ მჯეროდა, რომ ვოლდემორი სამუდამოდ გაქრა. არ ვიცოდი, რამდენი წელიწადი გავიდოდა მის დაბრუნებამდე, ათი, ოცი თუ ორმოცდაათი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ, ადრე თუ გვიან დაბრუნდებოდა. თანაც კარგად ვიცოდი, რომ არ დამშვიდდებოდა, სანამ არ მოგკლავდა. ბნელ ძალებში ვოლდემორი გაცილებით უკეთ იყო განსწავლული, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჯადოქარი. ვიცოდი, რომ ჩემი ყველაზე ძლიერი და რთული დაცვითი შელოცვებიც კი ვერ დაგიცავდა, თუ ის თავის პირვანდელ ძალას დაიბრუნებდა. თუმცა, ჩემთვის ვოლდემორის სისუსტეებიც იყო ცნობილი და ამიტომაც გადავწყვიტე, რომ შენ დაგიცავდა უძველესი ჯადო, რომლის შესახებაც მან, მართალია, იცოდა, მაგრამ ეზიზღებოდა და, თავისდა საუბედუროდ, არ აფასებდა. შენი გადარჩენისთვის დედაშენმა თავი რომ გაწირა, ისეთი საიმედო დაცვა დაგიტოვა, რომელზეც ვოლდემორს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, და ეს დღემდე გიცავს შენ. ამგვარად, მე გადავწყვიტე, დედის სისხლს მივნდობოდი. და მის დასთან წაგიყვანე, რადგან ლილის სხვა ნათესავები არ დარჩა.

– დეიდაჩემს არ ვუყვარვარ, – მაშინვე ჩაურთო ჰარიმ, – არაფრად მაგდებს...

– მაგრამ მან მიგიღო, – შეაწყვეტინა დამბლდორმა, – ჰო, უხალისოდ, გულის კანკალით, სიმწრით და რისხვითაც კი, მაგრამ მიგიღო და ამგვარად გაამაგრა ჩემ მიერ შეკრული შელოცვა. დედაშენის თავგანწირვის წყალობით, სისხლისმიერი კავშირები ყველაზე უფრო დაუძლეველ დაცვად იქცა, რომელიც კი მე შემეძლო, მომეცა.

– მე მაინც ვერ...

– სანამ შენ საკუთარ სახლად მიგაჩნია დედაშენის ნათესავების სახლი, ვოლდემორი ვერაფერს დაგაკლებს, თითსაც კი ვერ დაგაკარებს. მან დედაშენის სისხლი დაღვარა, მაგრამ ის კვლავ ცოცხლობს შენში და მის დაში. მისი სისხლი შენს მფარველად იქცა. მართალია, იქ წელიწადში მხოლოდ ერთხელ ბრუნდები, მაგრამ სანამ იმ ადგილს ჯერ კიდევ საკუთარ სახლს ეძახი, ვოლდემორი ვერაფერს დაგაკლებს. დეიდაშენმა ეს იცის. მე ყველაფერი ავუხსენი წერილში,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც კართან შენ გვერდით დავტოვე. მან იცის, რომ, როცა ჭერქვეშ შეგიფარა, სიცოცხლე შეგინარჩუნა.

– მოიცადეთ, ერთი წუთით მოიცადეთ.

ჰარი სკამზე გაიმართა და პირდაპირ შეხედა დამბლდორს.

– ესე იგი, თქვენ გამოუგზავნეთ ღრიალა. თქვენ გააფრთხილეთ, არ დავიწყებოდა... ეს თქვენი ხმა იყო...

– ვიფიქრე, – დამბლდორმა ოდნავ დახარა თავი, – რომ ღირდა, შემეხსენებინა ჩვენი პირობა, რომელზეც ის თანახმა იყო, როცა ოჯახში მიგიღო. ვშიშობდი, რომ დემენტორების თავდასხმა თვალს აუხელდა ხიფათზე, რაც იმ სახლში შენს ყოფნასთან იყო დაკავშირებული.

– ასეც გამოვიდა, – ჩუმად დაუდასტურა ჰარიმ, – უფრო სწორად... ძია ვერნონი გაცოფდა და ქუჩაში გაგდება დამიპირა, მაგრამ ამ დროს ღრიალა მოვიდა და დეიდაჩემმა... დეიდაჩემმა თქვა, რომ მე უნდა დავრჩენილიყავი, – ჰარი იატაკს ჩააშტერდა, მერე კი დაამატა: – მაგრამ რა კავშირი აქვს ამას...

ვერ შეძლო, სირიუსის სახელი ეხსენებინა.

– მაშ ასე, ხუთი წლის წინათ, – ისე განაგრძო დამბლდორმა, თითქოს არც შეუწყვეტინებიათო, – შენ ჰოგვორტსში მოხვედი, იქნებ არც ისეთი ბედნიერი და განებივრებული, როგორიც მინდოდა, რომ მენახე, სამაგიეროდ, ცოცხალი და, ასე თუ ისე, ჯანმრთელიც. ჰო, შენ განებივრებული პატარა უფლისწული კი არა, სრულიად ჩვეულებრივი ბიჭი იყავი, რაც წესით, მხოლოდ სასიხარულო უნდა ყოფილიყო. იქამდე ყველაფერი ჩემი გეგმის მიხედვით მიდიოდა. მერე კი... თუმცა ჩემზე უკეთ გახსოვს, რა მოხდა ჰოგვორტსში პირველ წელს. შენ შესანიშნავად უპასუხე გამოწვევას და ძალიან ჩქარა – გაცილებით ჩქარა, ვიდრე მოველოდი – დაუპირისპირდი ვოლდემორს და კვლავ გადარჩი. მეტიც, შენ კარგა ხნით გადაავადე მისი დაბრუნება. ეს ზრდასრული ჯადოქრის შესაფერი გმირობა იყო. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვამაყობდი შენით. თუმცა, ჩემს შესანიშნავ გეგმას ერთი ნაკლი ჰქონდა, – განაგრძო დამბლდორმა, – ერთობ თვალსაჩინო ნაკლი, რომლის გამოც შეიძლებოდა, ყველაფერი წყალში ჩაყრილიყო. მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემი გეგმის წარმატებით დასრულება, რომ დავიფიცე, ვერავითარი ნაკლი ვერ დაასამარებდა მას. მხოლოდ მე შემეძლო ამის თავიდან აცილება, შესაბამისად, მე უნდა გამომეჩინა ძალა და სიმტკიცე. და ეს იყო ჩემი პირველი გამოცდა, როცა ვოლდემორთან ორთაბრძოლის შემდეგ დასუსტებული იწექი საავადმყოფო ფლიგელში.

– არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ, – თქვა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გახსოვს, რომ მკითხე, რატომ ცდილობდა ვოლდემორი შენს მოკვლას, როცა სულ პატარა იყავი?

ჰარიმ თავი დაუქნია.

– როგორ ფიქრობ, რა უნდა მეპასუხა მაშინ?

ჰარიმ ცისფერ თვალებში შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. გული ისევ გამალებით უცემდა.

– შენ აქამდე ვერ ამჩნევ ჩემი გეგმის ნაკლს? ვერა, ალბათ, ვერ ხედავ. კარგი... მაშინ მე არაფერი გიპასუხე. ვფიქრობდი, თერთმეტი წლის ბავშვისთვის ნაადრევი იქნებოდა ასეთი გულახდილობა. მანამდე ფიქრადაც არ მომსვლია საიდუმლოს გამჟღავნება. მეშინოდა, რომ ამის ცოდნა აუტანელ ტვირთად დაგაწვებოდა. თუმცა, ვალდებული ვიყავი, მაშინვე დავფიქრებულიყავი. რატომ არ შემაშფოთა შენმა შეკითხვამ?! ოდესმე აუცილებლად მომიწევდა საზარელი პასუხის გაცემა. უნდა გამოვტყდე: ძალიან გამიხარდა, რომ იმ დღეს გაჩუმების შესაძლებლობა მომეცა... შენ ჯერ ნორჩი იყავი, მეტისმეტად ნორჩი. ჰოგვორტსში სწავლის მეორე წელიწადს შენ ისევ გადააწყდი სიძნელეებს, რომლის დაძლევის თავი ბევრ მოზრდილ ჯადოქარსაც კი არა აქვს; ისევ გაიარე ეს გამოცდა, თან ისეთი წარმატებით, როგორზეც ვერც კი ვიოცნებებდი. მაშინ აღარ გაგიმეორებია შეკითხვა, რატომ დაგასვა ვოლდემორმა შუბლზე ეს ნიშანი. ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ ვისაუბრეთ ამ ნაიარევზე... ძალიან ახლოსაც მივედით აკრძალულ თემასთან, მაგრამ მაშინაც თავი შევიკავე. მეჩვენებოდა, რომ ამგვარი საუბრისთვის არც თორმეტი წელი იყო საუკეთესო ასაკი. მე წასვლის ნება მოგეცი, გატანჯულსა და დასისხლიანებულს, მაგრამ ბედნიერს. მართალია, სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, რომ ყველაფერში ვერ გამოგიტყდი, მაგრამ მაინც იოლად და სწრაფად დავიმშვიდე თავი. თან არც ის მინდოდა, რომ დღესასწაული ჩამეშხამებინა შენთვის... ახლა გესმის, ჰარი? ახლა ხომ ხედავ ამ მშვენიერი გეგმის ნაკლს? მე იმ მახეში გავები, რომლის შესახებ ადრეც ვიცოდი და პირობაც მქონდა დადებული, რომ გვერდს ავუვლიდი. ვალდებული ვიყავი, გვერდი ამევლო.

– მე ვერ...

– შენ ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი ხარ, – უბრალოდ თქვა დამბლდორმა, – მე შენი ბედნიერებისთვის უფრო ვზრუნავდი, ვიდრე იმისთვის, რომ სიმართლე გცოდნოდა. შენი სულიერი სიმშვიდე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი გეგმა; შენი სიცოცხლე კი – იმ ადამიანებზე ძვირფასი, რომელთა გაწირვაც მომიწევდა გეგმის ჩავარდნის შემთხვევაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ზუსტად ისე ვიქცეოდი, როგორსაც ყოველთვის მოელოდა ვოლდემორი იმ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბრიყვებისგან, ვისაც სიყვარულის ნიჭი აქვს. გგონია, თავს ვიმართლებ? ვითომ ჩემ ადგილზე ვინმე სხვას ეყოფოდა იმის გამბედაობა, რომ ამდენი ტანჯვის შემდეგ კიდევ ერთი ტკივილი მოეყენებინა შენთვის? ან რაში მენაღვლებოდა ის უსახელო, უსახური ადამიანები და სხვა არსებები, რომლებიც შესაძლოა, ბურუსით მოცულ მომავალში დაღუპულიყვნენ, როცა შენ იმ წუთებში ცოცხალი, ჯანმრთელი და მხიარული იყავი? ამასობაში შენ მესამე კურსზე გადახვედი. შორიდან გადევნებდი თვალს, როგორ სწავლობდი დემენტორების მოგერიებას, როგორ შეხვდი სირიუსს, და როცა მის უდანაშაულობაში დარწმუნდი, სიკვდილს გადაარჩინე. ნუთუ მაშინ უნდა გამოგტყდომოდი, როცა ნათლია ტრიუმფით დაიხსენი სამინისტროს ბრჭყალებიდან? მას შემდეგ, რაც ცამეტი წლისა გახდი, ჩემი მტკიცებულებები უფრო ნაკლებ დამაჯერებლად მეჩვენა. მართალია, ჯერ ისევ პატარა იყავი, მაგრამ შენი განსაკუთრებულობა უკვე დაამტკიცე. სინდისი დამშვიდების საშუალებას არ მაძლევდა, ჰარი. ვიცოდი, რომ მალე დადგებოდა დრო... მაგრამ შარშან შენ ლაბირინთს დააღწიე თავი, სედრიკ დიგორის სიკვდილს შეესწარი და კინაღამ თვითონაც დაიღუპე... მე კი ისევ არაფერი გითხარი, თუმცა, ვიცოდი, რომ ახლა, ვოლდემორის დაბრუნების შემდეგ, მეტის გაჭიანურება აღარ შეიძლებოდა. და, აი, წუხელ მივხვდი, რომ შენ უკვე კარგა ხანია, მზად ხარ იმ ცოდნისთვის, რომელსაც ამდენ ხანს გიმალავდი. დღეს შენ დაამტკიცე, რომ ამ ტვირთის ტარება ადრეც შეგეძლო. მე ერთადერთი გამართლება მაქვს: ვხედავდი, როგორ ძლევდი ისეთ წინააღმდეგობებს, როგორსაც მთელი ჰოგვორტსის არსებობის მანძილზე არც ერთი მოსწავლე არ შესჯახებია, და არ შემეძლო, კიდევ ერთი, ყველაზე ძნელი წინააღმდეგობაც დამემატებინა.

ჰარი იცდიდა, მაგრამ დამბლდორი არ ჩქარობდა მთავარზე გადასვლას.

– მე მაინც არაფერი მესმის.

– ვოლდემორმა შენი მოკვლა სცადა, როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყავი, იმ წინასწარმეტყველების გამო, რომელიც შენს დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე გაჟღერდა. მან ამ წინასწარმეტყველების მხოლოდ ნახევარი იცოდა, ამიტომ, როცა შენი მშობლების სახლში შენს მოსაკლავად წამოვიდა, ეგონა, რომ მოგკლავდა და ამით წინასწარმეტყველებას აასრულებდა; მაგრამ შენკენ მომართული შელოცვა უკანვე დაუბრუნდა და მიხვდა, რომ შეცდა. ხოლო შარშან, როცა მან ისევ დაიბრუნა საკუთარი სხეული და ძლიერება, ხოლო შენ მაინც დაუსხლტი ხელიდან, მთლიანად ერთმა ფიქრმა შეიპყრო: როგორმე გაეგო წინასწარმეტყველების სრული შინაარსი. სწორედ ეს არის ის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იარაღი, რომლის დაუფლებასაც ასე შეუპოვრად ცდილობდა დაბრუნების შემდეგ – ცოდნა იმისა, როგორ დაგამარცხოს შენ.

მზე უკვე ძალიან მაღლა იდგა. დამბლდორის კაბინეტი მის სხივებში ცურავდა. მინის ყუთი, რომელშიც გოდრიკ გრიფინდორის მახვილი ინახებოდა, რძისფრად ელავდა, ხელსაწყოების ნამტვრევები წვიმის წვეთებივით ბრჭყვიალებდნენ, ფენიქსის ბარტყი კი ჰარის ზურგს უკან ჩუმად ჟღურტულებდა თავის ნაცრის ბუდეში.

– წინასწარმეტყველება დამსხვრეულია, – თქვა ჰარიმ გულგრილად, – ნევილს ზევით, საფეხურებზე მივათრევდი იმ ოთახში, სადაც... სადაც თაღი დგას, მანტია გაეხა და ჯიბიდან გადმოუვარდა...

– ის, რაც დაიმსხვრა, მხოლოდ და მხოლოდ მაგიის სამინისტროს არქივის ჩანაწერი იყო. თვითონ წინასწარმეტყველება კი ერთი პიროვნების თანდასწრებით გაკეთდა და მას შეუძლია, ზუსტად გაიხსენოს ყველაფერი.

– ვინ არის ეს პიროვნება? – იკითხა ჰარიმ, თუმცა პასუხი უკვე იცოდა.

– მე, – დაუდასტურა დამბლდორმა, – ეს თექვსმეტი წლის წინათ მოხდა, ცივ, სუსხიან ღამით „ღორის თავის“ ზედა ოთახში. იქ მისნობის მასწავლებლის თანამდებობაზე ერთ-ერთი კანდიდატის გასაცნობად მივედი, თუმცა იმხანად საერთოდ არ ვაპირებდი სკოლის პროგრამაში ამ საგნის შენარჩუნებას. მაგრამ ზემოხსენებული კანდიდატი სახელგანთქმული, ერთობ ნიჭიერი მისნის შვილთაშვილი იყო და მე მიმაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა შევხვედროდი მას, თუნდაც, უბრალოდ, თავაზიანობის გამო. იმედგაცრუებული დავრჩი. მომეჩვენა, რომ მას იმ ნიჭის ნიშანწყალიც კი არ გააჩნდა, რომელიც მისი ბებიის ბებიას ჰქონდა. მე მას ვუთხარი – ვფიქრობ, საკმაოდ თავაზიანად – რომ არ გამოდგებოდა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, და კარისკენ შევბრუნდი.

დამბლდორი ადგა და შავი კარადისკენ წავიდა, რომელიც ფოუკსის ბუდესთან იდგა. დაიხარა, საკეტი გასწია და რუნებით დაფარული ქვის არც ისე ღრმა ჯამი გამოიღო. სწორედ ის, რომელშიც ჰარიმ დაინახა, როგორ დასცინოდა მამამისი სნეიპს. მერე მაგიდასთან დაბრუნდა, საფიქრელა ზედ დადგა და ჯადოსნური ჯოხის წვერით საფეთქელს შეეხო. იქიდან ფიქრების ვერცხლისფერი ძაფები ჩამოეშვა. დამბლდორმა რამდენიმე კულული ამოარჩია და ჯამში ჩაუშვა. მერე ღრმად ამოიოხრა და მსუბუქად გაჰკრა ჯოხი საფიქრელაში მოთავსებულ მასას. ჯამიდან შალებში გახვეული ფიგურა ამოიზარდა. სქელ ლინზებს მიღმა ვეებერთელა თვალები

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუჩანდა. ფიგურამ ისე დაიწყო ტრიალი, ჯამს არ მოსცილებია. როცა სიბილ ტრელოუნიმ პირი გააღო, კაბინეტში მისი ჩვეული იდუმალი, არაამქვეყნიური კი არა, უხეში და ხრინწიანი ხმა გაისმა. ჰარის მისი ასეთი ხმა ერთხელ უკვე ჰქონდა მოსმენილი.

– მოვა ის, ვისაც ეყოფა ძლევამოსილება, დაამარცხოს ბნელი ბატონი... შობილი მათგან, ვინც სამჯერ გამოიწვია იგი, შობილი მეშვიდე თვის მიწურულს... და ბნელი ბატონი აღბეჭდავს მას, როგორც თანასწორს, თუმცა არ ეცოდინება სრული ძალა მისი... და ერთი მათგანი უნდა აღესრულოს მეორის ხელით, რამეთუ ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ცოცხალი იქნება მეორე... ის, ვინც საკმარისად ძლევამოსილია საიმისოდ, რომ სძლიოს ბნელ ბატონს, ქვეყანას მოევლინება მეშვიდე თვის მიწურულს.

პროფესორ ტრელოუნის ფიგურა ნელი ტრიალით უკანვე, ვერცხლისფერ მასაში ჩაიძირა.

კაბინეტში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არც დამბლდორს, არც ჰარის და არც კედლებზე ჩამოკიდებულ პორტრეტებს კრინტი არ დაუძრავთ. ფოუკსიც კი გაყუჩდა.

– პროფესორო დამბლდორ, – ძალიან ხმადაბლა თქვა ჰარიმ, რადგან დამბლდორი მთლიანად თავის ფიქრებში იყო ჩაძირული, – ეს... ნუთუ... რას ნიშნავს ეს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ბნელი ბატონის საბოლოოდ დამარცხება შეუძლია, დაიბადა ივლისის ბოლოს, თითქმის თექვსმეტი წლის წინათ. მანამდე კი მისმა მშობლებმა სამჯერ გამოიწვიეს ვოლდემორი, – უპასუხა დამბლდორმა.

ჰარის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მახეში გამოამწყვდიეს. ისევ გაუძნელდა სუნთქვა.

– ესე იგი, ეს მე ვარ?

დამბლდორმა ამოიოხრა. მერე დაყვავებით განაგრძო:

– ყველაზე უცნაური ის არის, ჰარი, რომ ეს, შეიძლება, სულაც არ იყო შენ. სიბილის წინასწარმეტყველება შეიძლება ორ ჯადოქარ ბიჭს ეხებოდეს – ორივე იმ წლის ივლისის ბოლოს დაიბადა; ორივეს მშობლები ფენიქსის ორდენის წევრები იყვნენ და სამჯერ სასწაულით გადაურჩნენ ვოლდემორის ხელით სიკვდილს. ამ ორი ბიჭიდან ერთი, რა თქმა უნდა, შენ ხარ, მეორე – ნევილ ლონგბოტომი.

– მაგრამ მაშინ... მაშინ, რატომ ეწერა წინასწარმეტყველებაზე ჩემი და არა მისი სახელი?

– აბრაზე შენი სახელი მაშინ დააწერეს, როცა ვოლდემორი ჯერ კიდევ ძალიან პატარას დაგესხა თავს, – აუხსნა დამბლდორმა, – წინასწარმეტყველების დარბაზის დარაჯმა იფიქრა, რომ ვოლდე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მორმა იცოდა, ვის გულისხმობდა სიბილი, და ამიტომაც ცდილობდა სწორედ შენს მოკვლას.

– მაშ, შეიძლება, ეს მე არ ვიყო? – იკითხა ჰარიმ.

– მე მგონი, ეჭვი არ არის, რომ ეს შენ ხარ! – დამბლდორი ისე ნელა ამბობდა სიტყვებს, თითქოს თითოეული მათგანის წარმოთქმას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

– მაგრამ თქვენ თქვით... ნევილიც ხომ ივლისის ბოლოს დაიბადა... და მისი მშობლებიც...

– შენ წინასწარმეტყველების მეორე ნაწილი გავიწყდება, ის, სადაც უკანასკნელი ნიშანია მოცემული იმ ბიჭისა, რომელსაც ვოლდემორის დამარცხება შეუძლია: „ბნელი ბატონი აღბეჭდავს მას, როგორც თანასწორს“. და მან ეს გააკეთა, ჰარი. მან შენ აგირჩია და არა ნევილი. მან ნაიარევით აღგბეჭდა – ეს კურთხევა და წყევლაა ერთ-დროულად.

– ხომ შეიძლება, შეცდა? – წამოიძახა ჰარიმ, – ხომ შეიძლება, ის არ აღბეჭდა, ვინც საჭირო იყო?

– მან აირჩია ბიჭი, რომელიც ყველაზე სახიფათოდ მიაჩნდა. თანაც არა წმინდა სისხლის ჯადოქარი, არამედ ნარევისა, ისეთისა, როგორიც თვითონ არის. მიუხედავად იმისა, რომ მუქსისხლიანებზე, მისი პრინციპების თანახმად, საერთოდ არ ღირს ყურადღების გამახ-ვილება. მან შენში საკუთარი თავი მანამდე ამოიცნო, სანამ გნახავდა, ხოლო მისი წარუმატებელი თავდასხმის წყალობით, შენ ისეთი ძალა შეიძინე, რომელმაც შემდგომში საშუალება მოგცა, მარტო ერთხელ კი არა, ოთხჯერ დასხლტომოდი ხელიდან. სხვათა შორის, მსგავსი რამ ვერც შენმა, ვერც ნევილის მშობლებმა და, საერთოდ, ვერავინ მოახერხა.

– მაშინ რატომ გააკეთა ეს? – ჰარი ვეღარ გრძნობდა საკუთარ ხელ-ფეხს, თითქოს ყინულმა შეუბოჭაო, – რატომ ცდილობდა ჩემს მოკვლას თავიდანვე, რატომ არ მოიცადა, სანამ მე და ნევილი წამოვ-იზრდებოდით? მაშინ ხომ დაინახავდა, ჩვენ შორის ვინ უფრო საშიში იყო, და იმას მოსპობდა...

– შეიძლება, ასე უფრო ლოგიკური ყოფილიყო, – დაეთანხმა დამ-ბლდორი, – მაგრამ შენ გავიწყდება, რომ ვოლდემორმა წინასწარ-მეტყველების მხოლოდ მიახლოებითი შინაარსი იცოდა. სიბილის მიერ შერჩეული „ღორის თავი“, სიიაფის წყალობით, კარგა ხანს იზიდავდა სხვადასხვა ჯურის უფრო მეტ კლიენტს, ვიდრე „სამი ცოცხი“. შენ და შენი მეგობრები თავადაც დარწმუნდით – ამ ლუდხა-ნაში ვერასოდეს იქნები დარწმუნებული, რომ არ გითვალთვალებენ. რა თქმა უნდა, როცა სიბილ ტრელოუნისთან შესახვედრად მივ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიოდი, იმედი არ მქონდა, რომ იქ მნიშვნელოვან რამეს მოვისმენდი. მაგრამ მე, უფრო სწორად, ჩვენ, ბედმა გაგვიღიმა. ის, ვინც გვითვალთვალებდა, თითქმის მაშინვე გამოვააშკარავეთ და წიხლისკვრით გავაგდეთ იქიდან.

– ესე იგი, მან მხოლოდ...

– მხოლოდ დასაწყისი მოისმინა, სადაც იმაზეა საუბარი, რომ ბიჭი ივლისში დაიბადება და იმ ადამიანებს შეეძინებათ, რომლებიც სამჯერ გამოიწვევენ ვოლდემორს. ამგვარად, მას არ შეეძლო, გაეფრთხილებინა თავისი პატრონი, რომ მის მიერ ჩაფიქრებული თავდასხმა საკუთარი ძალის ერთი ნაწილის შენთვის გადმოცემის და შენი, როგორც თანასწორის, აღბეჭდვის რისკთან იყო დაკავშირებული. ვოლდემორს ფიქრადაც არ გაუვლია, რა საშიშროებას უქადდა შენზე თავდასხმა; რომ უფრო ჭკვიანური იქნებოდა მოცდა და მეტის გაგება. წინასწარმეტყველების თანახმად, მან მართლაც „არ იცის სრული ძალა შენი...“

– მაგრამ ეს ხომ ტყუილია! – ძლივს ამოთქვა ჰარიმ, – მე არ გამაჩნია ძალა, რომლის შესახებ მან არაფერი იცის; მე არ შემიძლია ისე ბრძოლა, როგორც თვითონ იბრძოდა გუშინ... მე არ შემიძლია სხვის სხეულში შეძრომა და... ადამიანების ხოცვა...

– საიდუმლოებების დეპარტამენტში არის ოთახი, რომელიც მუდამ დაკეტილია. იქ ინახება ძალა, ერთდროულად უფრო საოცარი და უფრო საშინელი, ვიდრე სიკვდილია, ვიდრე ადამიანის გონებაა, ვიდრე ბუნების ძალაა. ამასთან, დეპარტამენტში შენახულ ყველა საუნჯეზე უფრო იდუმალიცაა. სწორედ ამ ძალას ფლობ უხვად, ვოლდემორს კი, პირიქით – საერთოდ არ აბადია. ამ ძალის წყალობით, შენ გუშინ სირიუსის გადასარჩენად წახვედი. ამავე ძალამ გიხსნა და ვოლდემორმა სრულად ვერ დაგიმორჩილა, რადგან ვოლდემორს არ შეუძლია იმ სხეულში ყოფნა, რომელშიც მისთვის ასე საძულველი ამდენი ძალაა. ბოლოს და ბოლოს, მნიშვნელობა დაკარგა იმანაც, რომ შენ მაინც ვერ ისწავლე შენი გონების დაცვა. ამ იდუმალი და საოცარი ძალის სახელი სიყვარულია.

ჰარიმ თვალები დახუჭა. სირიუსის გადასარჩენად რომ არ წასულიყო, ის ახლა ცოცხალი იქნებოდა... სირიუსზე ფიქრების თავიდან მოსაშორებლად, ჰარიმ შეკითხვა დასვა, თუმცა პასუხი მაინცდამაინც არ აინტერესებდა:

– წინასწარმეტყველების ბოლო? „რამეთუ ვერც ერთი ვერ პოვებს სიმშვიდეს...“ როგორაა მერე?

– „...სანამ ცოცხალია მეორე“, – დაასრულა დამბლდორმა.

– და ეს ნიშნავს, – ისე თქვა ჰარიმ, თითქოს სიტყვებს სულში გაჩე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნილი სასონარკვეთის უფსკრულიდან მოათრევსო, – ეს ნიშნავს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ჩვენგანი იძულებული იქნება, მოკლას მეორე?

– დიახ, – დაუდასტურა დამბლდორმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. არც ერთი იღებდა ხმას. სადღაც შორს, კაბინეტის კედლებს მიღმა, რაღაც ხმები ისმოდა – ალბათ, მოსწავლეები დიდ დარბაზში საუზმეზე ჩადიოდნენ. თითქოს წარმოუდგენელი იყო, რომ ქვეყნად კიდევ არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც ისევ უნდოდათ ჭამა, ისევ იცინოდნენ; მათთვის სულერთი იყო, რომ სირიუს ბლექი სამუდამოდ წავიდა. ჰარის ეჩვენებოდა, რომ სირიუსი აქედან სადღაც ძალიან შორს იმყოფებოდა. ახლაც კი გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ საკმარისი იყო გადაეწია ის ფარდა და სირიუსი თავისი ჩვეული, ყეფისმაგვარი სიცილით შეეგებებოდა.

– ვგრძნობ, რომ კიდევ ერთი რამ უნდა აგიხსნა, – ყოყმანით თქვა დამბლდორმა, – შეიძლება, გიკვირდა კიდეც, რატომ არ დაგნიშნე პრეფექტად. მართალი გითხრა... მიმაჩნდა, რომ პასუხიმგებლობის ტვირთი, რომელსაც შენ ატარებდი, ისედაც მძიმე იყო.

ჰარიმ ახედა და შეამჩნია, როგორ ჩაიკარგა დამბლდორის გრძელ ვერცხლისფერ წვერში ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეთვრამეტე

მეორე ომი იწყება

„ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“, დაბრუნდა

მოკლე განცხადებაში, რომელიც პარასკევ საღამოს გაკეთდა, მაგიის მინისტრმა კორნელიუს ფაჯმა დაადასტურა, რომ „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“ ჩვენს ქვეყანაში დაბრუნდა და ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი.

იძულებული ვარ, შეგატყობინოთ, რომ ჯადოქარი, რომელიც თავის თავს „ლორდს“ უწოდებს, – ალბათ, ხვდებით, ვისაც ვგულისხმობ, – დაბრუნდა და ისევ ჩვენ შორის იმყოფება, – თქვა რეპორტიორებით გარშემორტყმულმა, დაღლილმა და შეწუხებულმა მინისტრმა, – სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ აზკაბანის დემენტორები აჯანყდნენ და უარი თქვეს სამინისტროს შემდგომ სამსახურზე. ჩვენი ვარაუდით, დემენტორები ამჟამად ზემოხსენებული ლორდის ბრძანებებს ემორჩილებიან. ყველას მოვუწოდებთ, გამოიჩინონ სიფხიზლე. ახლა სამინისტრო გამოსაცემად ამზადებს ცნობარს „როგორ დავიცვათ ოჯახი და საკუთარი თავი – დაცვის ელემენტარული მეთოდები“. უახლოეს მომავალში მას ყველა ჯადოქარი უფასოდ მიიღებს.

მინისტრის განცხადებას ჯადოქართა საზოგადოება შეშფოთებითა და გაკვირვებით შეხვდა – ჯერ კიდევ წინა ოთხშაბათს სამინისტროს წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ „მოარული ხმები იმის თაობაზე, ჩვენ-რომ-ვიცით, ის ისევ ჩვენ შორის არის და თავის შავბნელ საქმეებს განაგრძობს, არავითარი საფუძველი არ გააჩნიაო“.

დაწვრილებით იმის თაობაზე, რამაც ჩინოვნიკებს თავისი შეხედულებების შეცვლა აიძულა, ისევ არაფერია ცნობილი, თუმცა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამინისტროში არავინ უარყოფს, რომ ოთხშაბათს, ღამით, „ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის“ და მის უახლოეს თანამზრახველთა ბანდა, „სიკვდილის მხვრელთა“ სახელით რომ არის ცნობილი, სამინისტროში შეიჭრა.

ალბუს დამბლდორს, რომელიც ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის დირექტორისა და აგრეთვე ვიზენგამოტის უმაღლესი მსაჯულის პოსტზე აღადგინეს, ჯერჯერობით არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია მომხდარის შესახებ. შარშან მთელი წლის განმავლობაში ის ირწმუნებოდა, ჩვენ-რომ-ვიცით, ის მკვდარი არ არის და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ისევ აგროვებს მომხრეებსო. ამასობაში ბიჭი, რომელიც ცოცხალი გადარჩა...“

– აი, ესეც შენ, ჰარი. ვიცოდი, რომ აუცილებლად გახსენებდნენ, – ჰერმიონმა გაზეთის ზემოდან გამოხედა.

ისინი საავადმყოფო ფლიგელში იყვნენ. ჰარი რონის საწოლის კიდეზე იჯდა. ჰერმიონი „დილის მისნის“ პირველ გვერდს კითხულობდა და ორივენი მას უსმენდნენ. ჯინი, რომელსაც მადამ პომფრიმ ხელად მოურჩინა კოჭი, ჰერმიონს ფერხთით ეჯდა. ნევილი, რომლის ცხვირსაც ნორმალური ფორმა და ზომა დაუბრუნეს, ორ საწოლს შორის სკამზე მოკალათებულიყო, ლუნას კი, რომელმაც წუთით შემოირბინა მეგობრებთან „ქარაგმების“ უკანასკნელი ნომრით, უკვე მოესწრო ჟურნალის თავდაყირა გაშლა და ჰერმიონის წაკითხულიდან არც ერთი სიტყვა არ ესმოდა.

– ჰო, რა თქმა უნდა, ახლა მათთვის ისევ „ბიჭი, რომელიც ცოცხალი გადარჩა“ ხარ, – მოიღრუბლა რონი, – რა ჩქარა დაავიწყდათ, როგორ გეძახდნენ ტვინნაღრძობ მეტიჩარას!

მისი საწოლის ტუმბოზე შოკოლადის ბაყაყების მთელი გროვა იდგა. მუჭით აიღო, რამდენიმე ჰარის, ჯინისა და ნევილს გადაუგდო, მერე კი თავისას კბილებით შემოახია ქაღალდი. ხელებზე ჯერ კიდევ ემჩნეოდა ტვინის საცეცებისგან დატოვებული წითელი ნაწიბურები. მადამ პომფრის თქმით, საცეცებით მიყენებული ჭრილობები შედარებით გვიან ხორცდება, თუმცა, დოქტორ აბლის აბლივიოსის მალამოს მოზრდილი დოზების წყალობით, რონს ხელები თითქმის უკვე მოურჩინა.

– ჰო, პირდაპირ აღტაცებით ლაპარაკობენ შენზე, – სტატიის ჩათვალიერების შემდეგ თქვა ჰერმიონმა, – „სიმართლის ეული ხმა... ეს ბიჭი შეშლილად მიაჩნდათ, მაგრამ ის ერთხელაც არ შემდრკალა დაცინვისა და ცილისწამების სეტყვაში...“ ეჰ... – მოიღუშა ჰერმიონი, – რატომღაც ვერსად ვხედავ ერთ სიტყვასაც კი, რომ ეს დამცინავი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ცილისმწამებლური განცხადებები სწორედ „მისნის“ ფურცლებზე ჩნდებოდა...

ხელისგული ნეკნებზე მიიდო და წარბები შეჭმუხნა. დოლოხოვის წყევლამ მთელი ძალით ვერ იმოქმედა მასზე, რადგან დოლოხოვმა ვერ მოასწრო მისი ხმამაღლა წარმოთქმა, თუმცა, ჰერმიონის გასინჯვისას მადამ პომფრი არც ისე კმაყოფილი დარჩა. ჰერმიონს ყოველდღე უხდებოდა ათობით სამკურნალო ნაყენის მიღება, ასე რომ, საქმე საკმაოდ სწრაფად მიდიოდა გამოჯანმრთელებისკენ და ჰერმიონიც მოუთმენლად ელოდა, როდის გაუშვებდნენ საავადმყოფო ფლიგელიდან.

– „როგორ მიიწევდა ხელისუფლების სათავეებისკენ ჩვენ-რომვიცით, ის“ – მეორიდან მეოთხე გვერდის ჩათვლით, „რაზე დუმდა სამინისტრო“ – მეხუთე გვერდი, „რატომ არავინ არ უგდებდა ყურს ალბუს დამბლდორს“ – მეექვსიდან მერვე გვერდამდე; ექსკლუზიური ინტერვიუ ჰარი პოტერთან – მეცხრე გვერდზე... ჰო, რა თქმა უნდა, – ჰერმიონმა გაზეთი დაკეცა და ტუმბოზე დააგდო, – ახლა დიდხანს ექნებათ საწერი... და სულაც არ არის ეს ინტერვიუ ექსკლუზიური – „ქარაგმებში“ რამდენიმე თვის წინათ დაიბეჭდა...

– მამიკომ მიჰყიდა, – დაბნეულად თქვა ლუნამ და „ქარაგმების“ გვერდი გადაფურცლა, – და კარგადაც გადაუხადეს. ამ ზაფხულს იმ ფულით ექსპედიციას ვაწყობთ სკანდინავიაში. საინტერესოა, დავიჭერთ თუ არა თუნდაც ერთ რქაგრეხილ ციკლოპს.

ჰერმიონი ერთხანს თავს იკავებდა, მერე კი თქვა:

– წარმატებას გისურვებთ!

ჯინიმ ჰარის მზერა დაიჭირა და სწრაფად შებრუნდა, რომ ღიმილი არავის შეემჩნია.

– კარგი, – ჰერმიონი წელში გასწორდა და ისევ შეიჭმუხნა, – ახალი რა არის სკოლაში?

– ჯერ ერთი, ფლიტვიკმა გააქრო ჭაობი, რომელიც ფრედმა და ჯორჯმა გააჩინეს, – დაიწყო ჯინიმ, – სულ სამი წამი დასჭირდა. თუმცა, ფანჯრის ქვეშ ერთი პატარა ადგილი ხელუხლებელი დატოვა და თოკით შემოლობა...

– რატომ? – გაუკვირდა ჰერმიონს.

– თქვა, სანიმუშო ჯადოქრობააო, – მხრები აიჩეჩა ჯინიმ.

– მგონი, გადაწყვიტა, რომ სკოლაში ფრედსა და ჯორჯს ძეგლი დაუდგას, – რონს პირი შოკოლადით ჰქონდა სავსე და სიტყვები გაურკვევლად ისმოდა, – სხვათა შორის, ეს მათ გამოგვიგზავნეს, – მიუბრუნდა ჰარის და თავის გვერდით ბაყაყების გროვაზე უჩვენა, – ეტყობა, შემოსავლიანი მაღაზია აქვთ, არა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონმა უკმაყოფილოდ გახედა.

– ესე იგი, დამბლდორის დაბრუნების შემდეგ ყველა უსიამოვნება დამთავრდა?

– ჰო, – თქვა ნევილმა, – ყველაფერი ისევ რიგზეა.

– ფილჩი, ალბათ, სიხარულით მეშვიდე ცაზეა, – ჩაიქირქილა რონმა და წყლის სურას შოკოლადის ბაყაყიდან ამოღებული დამბლდორის პატარა სურათი მიაყუდა.

– არა მგონია. – შეედავა ჯინი, – ჩემი აზრით, პირიქით, საშინელ გუნებაზეა... – მერე ლამის ჩურჩულზე გადავიდა: – დროდადრო იმეორებს, ჰოგვორტსს არასოდეს ჰყოლია ამბრიჯისნაირი შესანიშნავი დირექტორიო.

ექვსივემ ერთ მხარეს მიიხედა. პროფესორი ამბრიჯი გაუნძრევლად იწვა მოპირდაპირე საწოლზე და ჭერს მიშტერებოდა. მის გასათავისუფლებლად დამბლდორი მარტო წავიდა ტყეში კენტავრებთან. როგორ მოახერხა იქიდან ამბრიჯთან ერთად დაბრუნება, ისე რომ ნაფხაჭნიც არ ეტყობოდა, არავინ იცოდა. თვითონ ამბრიჯსაც არაფერი უთქვამს. ციხე-კოშკში დაბრუნების შემდეგ მას, რამდენადაც ბავშვებისთვის იყო ცნობილი, კრინტი არ დაუძრავს. ყოველთვის საგულდაგულოდ დავარცხნილი თაგვისფერი თმა ახლა გასწეწოდა და შიგ ჯერ კიდევ შერჩენოდა წვრილი წკირები და ფოთლები. ისე, საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებოდა.

– მადამ პომფრი ამბობს, ნერვიული შერყევა აქვსო, – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– მე კი მგონია, რომ, უბრალოდ, იბუტება, – თქვა ჯინიმ.

– ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ მაშინ დაეტყობა ხოლმე, როცა აი, ეს ესმის, – რონმა ენა გააწკლაპუნა. ამბრიჯი ლოგინიდან წამოხტა და ველური მზერა მოატარა აქეთ-იქით.

– მოხდა რამე, პროფესორო ამბრიჯ? – კაბინეტიდან თავი გამოყო მადამ პომფრიმ.

– არა, არა, – წაიბუტბუტა ამბრიჯმა და ისევ ბალიშზე დადო თავი, – მგონი, მომეჩვენა...

ჰერმიონმა და ჯინიმ წაიფხუკუნეს და პირზე ხელი აიფარეს.

– ჰო, კენტავრებზე მინდოდა, მეთქვა, – იკითხა ჰერმიონმა, – მისნობას ვინ გვასწავლის ახლა? ფლორენცია დარჩა ჩვენთან?

– ვფიქრობ, არჩევანი არ აქვს, – თქვა ჰარიმ, – დანარჩენი კენტავრები დაბრუნების უფლებას არ მისცემენ.

– იქნებ ტრელოუნისთან ერთად ჩაგვიტაროს გაკვეთილები? – ივარაუდა ჯინიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაგრამ, მე ვფიქრობ, დამბლდორს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ტრელოუნის თავიდან მოცილება, – მეთოთხმეტე შოკოლადის ღეჭვით თქვა რონმა, – მე თუ მკითხავთ, სულელური საგანია, ფლორენციაც კი ვერაფერს უშველის...

– როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი! – აღშფოთდა ჰერმიონი, – უკვე ყველანი დავრწმუნდით იმაში, რომ მართლაც არსებობს ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება!

ჰარი აღელდა. მას არაფერი უთქვამს საიდუმლოებების დეპარტამენტის წინასწარმეტყველების შესახებ არც რონისთვის, არც ჰერმიონისთვის და საერთოდ არავისთვის. ნევილმა ყველას უამბო, რომ ის შემთხვევით დაიმსხვრა სიკვდილის ოთახში. ჰარის აქამდე ამ ნათქვამისთვის არაფერი დაუმატებია. ვერ გაბედა, მოეყოლა, რომ ან თვითონ უნდა მომკვდარიყო, ან ვოლდემორი უნდა მოეკლა.

– სამწუხაროა, რომ დაიმსხვრა, – ჩუმად თქვა ჰერმიონმა და თავი გადააქნია.

– ჰო, – დაეთანხმა რონი, – ისე, ჩვენ-რომ-ვიცით, იმან მაინც ვერ გაიგო, რა იყო ამ წინასწარმეტყველებაში... საით გაგიწევია? – დაამატა გაკვირვებულმა, როცა დაინახა, რომ ჰარი ადგა.

– ე-ე... ჰაგრიდთან, – მიუგო ჰარიმ, – ახლახან დაბრუნდა. შევპირდი, შემოგივლი-მეთქი. თან თქვენს ამბებსაც მოვუყვები.

– კარგი, – ჩაიბუტბუტა რონმა, შურით გახედა ფანჯარაში ფირუზისფერ ცას, – ეჰ, ჩვენც რომ შენთან ერთად შეგვეძლოს...

– მოკითხვა გადაეცი ჩვენგან, – დაადევნა ჰერმიონმა კარისკენ მიმავალ ჰარის, – და ჰკითხე, როგორ გრძნობს თავს მისი... მისი პატარა მეგობარი!

ჰარიმ ხელი აიქნია, აგრძნობინა, რომ ყველაფერი გაიგონა და კარს იქით გაუჩინარდა.

ციხე-კოშკში კვირადღის კვალობაზეც კი უცნაური სიჩუმე იდგა. ბავშვები, ალბათ, მზით განათებულ მდელოზე გაიკრიფნენ, გამოცდები დაუმთავრდათ და უკვე შეეძლოთ, სემესტრის დარჩენილი დღეები თავის ნებაზე გაეტარებინათ. ჰარი აუჩქარებლად მიდიოდა ცარიელ დერეფანში, თან ფანჯრებიდან გარეთ იყურებოდა. ვიღაც ცოცხზე ამხედრებულიყო და სტადიონის თავზე სწრაფად აფრენის სხვადასხვა ხერხს ამუშავებდა, ვიღაც ტბაში დაცურავდა და სულაც არ ეშინოდა, რომ შეიძლებოდა, იქ გიგანტურ კალმარს გადაჰყროდა.

ჰარის ვერაფრით გადაეწყვიტა, რა ჯობდა ახლა მისთვის – განმარტოებულიყო თუ ხალხში გარეულიყო. ხალხში მარტო ყოფნის სურვილი ეუფლებოდა, მარტოობაში კი მეგობრები ენატრებოდა. ჰო,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალბათ, მართლა ღირდა ჰაგრიდის ნახვა – მისი დაბრუნების შემდეგ ხომ ხეირიანად ერთხელაც არ უსაუბრიათ.

ის იყო, მარმარილოს კიბით ჰოლში ჩავიდა, რომ მარჯვენა, სლიზერინელთა საერთო ოთახის კარიდან მალფოი, კრაბი და გოილი გამოვიდნენ. ჰარი გაშეშდა. კართან შეჩერდნენ მალფოი და მისი მეგობრებიც. სიჩუმეს მხოლოდ ღიად დარჩენილი კარიდან შემოსული მხიარული ხმები არღვევდა.

მალფოიმ მიმოიხედა. ჰარი მიხვდა: ამოწმებდა, შორიახლოს მასწავლებლები ხომ არ იყვნენ. მერე ისევ ჰარისკენ შებრუნდა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

– ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ, პოტერ. ჰარიმ წარბი ასწია.

– არ გამაცინო! ჰო, აი, ახლავე გავფშეკ ფეხებს.

ასეთი გაავებული მალფოი არასოდეს ენახა. ამ ფერმკრთალ, ბოღმისგან შეშლილ, ცხვირწაწვეტებულ სახეს რომ უყურებდა, თავისებურ სიამოვნებასაც კი გრძნობდა.

– იცოდე, გაზღვევინებ, – ხმას აუწია მალფოიმ, – სამაგიეროს გადაგიხდი იმისთვის, რაც მამაჩემს გაუკეთე...

– გული არ გამიხეთქო, – არ ჩამორჩა ჰარი, – ვოლდემორთან შეხვედრა მსუბუქი წავარჯიშება იყო იმასთან შედარებით, რასაც თქვენ სამნი მიპირებთ, არა? რა მოხდა, – დაამატა, როცა შენიშნა, რომ ბნელი ბატონის სახელის ხსენებაზე მალფოი, კრაბი და გოილი მეხდაცემულებივით გაშეშდნენ, – ის ხომ შენი მამიკოს ძმაკაცია! რაო, ხო არ გეშინია?

– გგონია, ძალიან მაგარი ხარ, პოტერ? – მალფოი თავის ძმაბიჭებთან ერთად ჰარისკენ დაიძრა, – მოიცა, გაგისწორდები. არ გამოგივა მამაჩემის ციხეში ჩასმა.

– მე კი მგონია, რომ უკვე ჩავსვი, – თქვა ჰარიმ.

– დემენტორებმა აზკაბანი მიატოვეს, – მშვიდად თქვა მალფოიმ, – თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ მამაჩემი თავის მეგობრებთან ერთად ისევ გარეთ იქნება.

– ჰო, ალბათ, – დაეთანხმა ჰარი, – მაგრამ ის მაინც ხომ გაიგო ყველამ, რა ნაძირლებიც არიან...

მალფოიმ ჯიბისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ჰარიმ დაასწრო – ჯადოსნური ჯოხი მანამდე ამოიღო, სანამ მალფოი მანტიაში ჩაიყოფდა ხელს.

– პოტერ!

ექოსავით გაისმა ჰოლის თაღქვეშ. მიწისქვეშეთში მიმავალ კიბეზე სნეიპმა ამოყო თავი და ჰარის იმწამსვე დაუარა სიძულვილის ისეთმა ტალღამ, რომელიც ბევრად აღემატებოდა მალფოისადმი ზიზღს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაც უნდა ეთქვა დამბლდორს, ის ვერასდროს აპატიებს სნეიპს... ვერასდროს...

– რას აკეთებთ, პოტერ? – როგორც ყოველთვის, ცივად იკითხა სნეიპმა და მათკენ წავიდა.

– ვფიქრობ, რომელი შელოცვით გავუმასპინძლდე მალფოის, სერ, – მიახალა გაცეცხლებულმა ჰარიმ.

სნეიპი დაჟინებით მიაცქერდა.

– ახლავე შეინახეთ ჯოხი, – მკაცრად უბრძანა მან, – ათი საჯარიმო ქულა გრიფ... – კედელთან მდგარ გიგანტურ ქვიშის საათს შეხედა და სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა, – აი, თურმე რა. ვხედავ, გრიფინდორის საათში აღარც კი არის წასართმევი ქულები. მაშინ, პოტერ, იძულებული ვარ, უბრალოდ...

– ახლები დაამატოთ?

ამ დროს პროფესორი მაკგონაგელიც შემოვიდა ციხე-კოშკში. ცალ ხელში კუბოკრული ხელჩანთა ეჭირა, მეორეში – ხელჯოხი, რომელსაც სიარულისას ეყრდნობოდა. გამომეტყველებისა და სახის ფერის მიხედვით, ალბათ, არც ისე ცუდად გრძნობდა თავს.

– პროფესორო მაკგონაგელ! – სნეიპმა წინ გადმოინაცვლა, – ვხედავ, საავადმყოფოდან გამოგწერეს!

– დიახ, პროფესორო სნეიპ, – დაუდასტურა მაკგონაგელმა და მხრის მსუბუქი მოძრაობით მოიხსნა სამგზავრო ლაბადა, – მშვენივრად ვგრძნობ თავს... ეი, თქვენ, კრაბ, გოილ!

მაკგონაგელმა მბრძანებლურად მოუხმო ორივეს. კრაბი და გოილი უხალისოდ მიუახლოვდნენ ვეებერთელა ფეხების ფლატუნით.

– აი, – პროფესორმა მაკგონაგელმა ხელჩანთა კრაბს მიაჩეჩა ხელში, ლაბადა კი – გოილს, – თუ შეიძლება, ჩემს კაბინეტში წაიღეთ.

ორივე შებრუნდა და ზლაზვნით აუყვა მარმარილოს კიბეს.

– მაშ, ასე... – მაკგონაგელმა ქვიშის საათს შეხედა, – მიმაჩნია, რომ პოტერმა და მისმა მეგობრებმა ორმოცდაათ-ორმოცდაათი ქულა დაიმსახურეს. მათი წყალობით, მთელმა მსოფლიომ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ ვოლდემორი აღდგა! თქვენ რას ფიქრობთ, პროფესორო?

– რა? – წამოიძახა სნეიპმა, თუმცა ჰარი მიხვდა, რომ მშვენივრად გაიგონა ყველაფერი, – ო, რა თქმა უნდა... მეგონა...

– ესე იგი, ორმოცდაათ-ორმოცდაათი ქულა პოტერს, ორივე უისლის, ლონგბოტომს და მის გრეინჯერს, – თქვა მაკგონაგელმა და გრიფინდორელთა საათის ქვედა ნახევარში ლალის წვიმა წამოვიდა, – ჰო, ორმოცდაათიც – მის ლავგუდს, – დაამატა მან და რეივენქლოს საათში ერთი მუჭა საფირონი ჩაიყარა, – ახლა კი, თქვენ, თუ არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვცდები, პოტერისთვის ათი ქულის ჩამოკლება გინდოდათ, პროფესორო, არა? ერთი წუთით მაცალეთ...

რამდენიმე ლალი საათის ზედა ნახევარში ახტა, მაგრამ ქვედა გროვას ბევრი არაფერი მოჰკლებია.

– პოტერ, მალფოი, ასეთ მშვენიერ ამინდში, ვფიქრობ, სუფთა ჰაერზე გასეირნება მოგიხდებათ, – ხალისიანად განაგრძო მაკგონაგელმა.

ჰარის ამის გამეორება აღარ დასჭირვებია, ჯადოსნური ჯოხი მანტიის ჯიბეში შეინახა და ციხე-კოშკის მთავარი შესასვლელისკენ წავიდა ისე რომ, აღარც სნეიპისთვის შეუხედავს და აღარც მალფოისთვის.

ცხელი მზის სხივები თვალს სჭრიდა. ეზოში უამრავი ბავშვი გამოშლილიყო. ბალახზე გაწოლილები მზეს ეფიცხებოდნენ, ყბედობდნენ, „დილის მისანს“ კითხულობდნენ, ტკბილეულს შეექცეოდნენ. ბევრი ესალმებოდა ჰარის, ზოგი გაეხუმრა კიდეც. აშკარად ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, რომ ეთანხმებოდნენ „მისანს“ და თვითონაც ლამის გმირად მიაჩნდათ თავიანთი სახელგანთქმული თანასკოლელი. ჰარი არავის გამოპასუხებია. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იცოდნენ სამი დღის წინ მომხდარი ამბების შესახებ. ჯერ კიდევ ახერხებდა შეკითხვებისგან თავის დაღწევას და ამით ძალიან კმაყოფილი იყო.

ჰაგრიდის ქოხის კარზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ის იყო, იფიქრა, მასპინძელი შინ არ არისო, რომ სახლის კუთხიდან გამომხტარმა გახარებულმა ფენგმა კინაღამ წააქცია. ჰაგრიდი ბოსტანში ლობიოს კრეფდა.

– ჰარის გაუმარჯოს! – სახეგაბადრული შეეგება, როცა ჰარი ღობეს მიუახლოვდა, – წამო სახლში, თითო ჭიქა ბაბუაწვერას წვენი დავლიოთ... აბა, რა არი ახალი? – ჰკითხა, როცა მაგიდას მიუსხდნენ ცივი წვენის დასალევად. – ჰო... ეე... ხო კარგად ხარ?

ჰაგრიდს ისეთი შეშფოთებული სახე ჰქონდა, ჰარი მიხვდა, რომ მეტყველ სულაც არ გულისხმობდა მის ფიზიკურ მდგომარეობას.

– ნორმალურად, – სწრაფად უპასუხა. იცოდა, რასაც გულისხმობდა ჰაგრიდი და ამაზე ლაპარაკის დაწყებისა ეშინოდა, – შენ სად იყავი?

– მთებში ვიმალებოდი, – თქვა ჰაგრიდმა, – ერთ გამოქვაბულში, სირიუსივით, როცა ის...

სიტყვა გაუწყდა. მერე ხმამაღლა ჩაახველა, ჰარის შეხედა და მოზრდილი ყლუპი მოსვა ჭიქიდან.

– დავბრუნდი, როგორც ხედავ, – წაიბურტყუნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისე... უკეთესად გამოიყურები, – ჰარიმ გადაწყვიტა, ნებისმიერ რამეზე ელაპარაკა, ოღონდ არა სირიუსზე.

– რაო? – ვეებერთელა ხელით მოისრისა ლოყა, – ა, ჰო... ჰო. გრაუპიკო ახლა უკეთ იქცევა, შედარებაც კი არ არი. მართალი გითხრა, ძალიან გაუხარდა, რო დამინახა. საერთოდ, კარგი ყმაწვილია... ხანდახან მეფიქრება, გოგო ხო არ მოვუყვანო-მეთქი.

მსგავსი რამ ადრე რომ მოესმინა, ჰარი მაშინვე შეეცდებოდა, გადაერწმუნებინა ჰაგრიდი. ტყეში მეორე გოლიათის გამოჩენა, მით უმეტეს, თუ გრაუპზე უფრო ველური და მძვინვარე იქნებოდა, ნებისმიერს ააღელვებდა, თუმცა, ახლა ჰარის კამათის თავი არ ჰქონდა. ისევ მარტო ყოფნა მოუნდა, ამიტომ ჭიქა ერთბაშად გადაჰკრა, რომ აქედან მალე წასულიყო.

– ახლა ყველამ იცის, რო სიმართლეს ამბობდი, – თბილად უთხრა ჰაგრიდმა, – ასე გაცილებით უკეთესია, არა?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– მისმინე... – ჰაგრიდი მაგიდაზე გადაიხარა, – მე სირიუსს შენზე ადრე ვიცნობდი... ის ბრძოლაში მოკვდა, ზუსტად ეგრე უნდოდა...

– არაფერიც არ უნდოდა! – შეუღრინა ჰარიმ. ჰაგრიდმა ვეებერთელა გაჩეჩილი თავი ჩაქინდრა.

– ალბათ, მართალი ხარ, – ხმადაბლა დაეთანხმა, – მაგრამ მაინც, ჰარი... ის იმათ არ ჰგავდა, ვინც შინ იმალება, როცა მეგობრები იბრძვიან. შენს დასახმარებლად რომ არ წამოსულიყო, მერე სინდისის ქენჯნა მოკლავდა...

ჰარი წამოხტა.

– საავადმყოფო ფლიგელში მივდივარ, რონი და ჰერმიონი უნდა ვნახო, – მოიმიზეზა ალალბედზე.

– აა, – გუნება გაუფუჭდა ჰაგრიდს, – ჰო, რა თქმა უნდა... რას იზამ... თავს გაუფრთხილდი და როცა გეცლება, შემოიარე...

– კარგი... გმადლობ...

ჰარი საჩქაროდ მივიდა კართან, გამოაღო და ჰაგრიდმა გამომშვიდობებაც ვერ მოასწრო, უკვე მზით განათებულ მდელოზე მიაბიჯებდა. ისევ შეუძახეს აქეთ-იქიდან. წამით დახუჭა თვალები. ძალიან მოუნდა, გარშემო ყველა გამქრალიყო და მარტო დარჩენილიყო...

რამდენიმე დღის წინ, სანამ გამოცდები დამთავრდებოდა და ვოლდემორის ნაკარნახევ სიზმარს ნახავდა, ყველაფერს მისცემდა, ოღონდ კი ჯადოსნურ სამყაროს დაეჯერებინა მისი სიტყვები, აღარ დაეჭვებულიყო ვოლდემორის დაბრუნებაში და დარწმუნებულიყო, რომ ჰარი მატყუარა და ჭკუიდან შეშლილი არ არის, მაგრამ ახლა...

ტბის ნაპირს გაუყვა. ბუჩქებს ამოეფარა, რომ ცნობისმოყვარეთა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მზერას გაჰქცეოდა, ბალახზე დაჯდა, ტბის ლაპლაპა ზედაპირს მიაჩერდა და ჩაფიქრდა.

დამბლდორთან საუბრის შემდეგ არავის დანახვა აღარ უნდოდა, გამუდმებით მარტოობას ეძებდა. თითქოს უხილავმა ბარიერმა მოკვეთა დანარჩენი სამყაროსგან. რა გაეწყობა, ბედმა დიდი ხნის წინათ დაასვა თავის დაღი, თუმცა ადრე არც კი იცოდა, საბოლოოდ რას უქადდა ეს ყველაფერი...

და მაინც, აქ, ტბის ნაპირზე, დანაშაულის გრძნობით დამძიმებული და თავისი ნათლიის მონატრებით გატანჯული, მომავლის მიმართ რაღაც განსაკუთრებულ შიშს ვერ გრძნობდა. მზე ანათებდა, ირგვლივ მისი თანასკოლელების ჟრიამული ისმოდა და, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ისე შორს გრძნობდა თავს, თითქოს სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, მაინც ვერაფრით დაეჯერებინა, თუ ოდესმე იძულებული იქნებოდა, მოეკლა ვინმე ან თვითონ მომკვდარიყო...

დიდხანს იჯდა ტბის პირას და წყალს შესცქეროდა. ცდილობდა, არ ეფიქრა თავის ნათლიაზე, მაგრამ მაინც ახსენდებოდა, მის წინ, მოპირდაპირე ნაპირზე ასამდე დემენტორის მოგერიებისას როგორ დაკარგა გრძნობა სირიუსმა...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა მიხვდა, რომ შესცივდა. ადგა და ციხე-კოშკისკენ წავიდა, თან გზადაგზა სახელოთი იწმენდდა ცრემლიან სახეს.

* * *

სემესტრის დამთავრებამდე სამი დღით ადრე რონი და ჰერმიონი სავსებით გამოჯანმრთელებულები გამოუშვეს საავადმყოფო ფლიგელიდან. ჰერმიონი დროდადრო სირიუსზე საუბრის დაწყებას ცდილობდა, მაგრამ სახელს წარმოთქვამდა თუ არა, რონი მაშინვე ჩქმეტდა. ჰარიმ ისევ არ იცოდა, აება მხარი თავის ნათლიაზე საუბრისთვის თუ არა. სურვილები გუნება-უგუნებობის მიხედვით ეცვლებოდა. თუმცა, ერთ რამეში დარწმუნებული იყო: მიუხედავად იმისა, რომ ახლა ძალიან უჭირდა, რამდენიმე დღის შემდეგ, პრივიტ დრაივის ოთხ ნომერში რომ დაბრუნდებოდა, საშინლად მოენატრებოდა ჰოგვორტსი. მართალია, ახლა უკვე იცოდა, რატომ უნდა დაბრუნებულიყო იქ ყოველ ზაფხულს, მაგრამ ეს, რა უცნაურიც უნდა ყოფილიყო, სულაც არ შველოდა, პირიქით, ასე ძალიან არასოდეს შეშინებია შინ დაბრუნებისა.

პროფესორი ამბრიჯი სემესტრის დამთავრებამდე ერთი დღით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადრე წავიდა ჰოგვორტსიდან. საავადმყოფო ფლიგელიდან საუზმის დროს გამოვიდა. ეტყობა, ვარაუდობდა, რომ შეუმჩნევლად გაემგზავრებოდა, მაგრამ საუბედუროდ, გზაზე პივსს გადაეყარა. იმანაც ხელიდან არ გაუშვა ბოლო შანსი, შეესრულებინა ფრედის დანაბარები, და მხიარული შეძახილებითა და ცარცით გატენილი წინდის ცემით გამოეკიდა. ბავშვები ჰოლში გამოცვივდნენ, რათა ენახათ, როგორ გარბოდა ციხე-კოშკიდან ყოფილი გენერალური ინსპექტორი. მასწავლებლები ბავშვების დაშოშმინებას ცდილობდნენ, თუმცა, ეტყობა, მხოლოდ ყასიდად. მაგალითად, ხანმოკლე და ფუჭი შეგონებების შემდეგ პროფესორი მაკგონაგელი უკან გაბრუნდა, თავის საყვარელ სავარძელში ჩაჯდა და წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ არ შეეძლო, თვითონაც სტვენა-სტვენითა და ყიჟინით გამოჰკიდებოდა ამბრიჯს, რადგან თავისი ხელჯოხი პივსს ათხოვა.

დადგა სასწავლო წლის ბოლო საღამო. ბავშვებმა წინასწარ ჩაალაგეს ჩემოდნები და უკვე დიდ დარბაზში გამოსათხოვარ ვახშამზე იკრიბებოდნენ. ჰარის კი ჯერ ბარგი არ ჩაელაგებინა.

– კარგი რა, შეეშვი, ხვალაც მოასწრებ! – დაუყვირა რონმა კარიდან, – წამო, თორემ ჭიპი ხერხემალზე ამეკრა!

– ახლავე... წადი და დაგეწევი...

მაგრამ ჰარის არც უცდია აჩქარება. ყველაზე ნაკლებად ახლა სადღესასწაულო სუფრასთან ჯდომა უნდოდა. ეშინოდა, რომ დამბლდორი თავის სიტყვაში უთუოდ მოიხსენიებდა. დირექტორი დუმილით ხომ ვერ აუვლიდა გვერდს ვოლდემორის დაბრუნებას, ბოლოს და ბოლოს, ამაზე ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს ლაპარაკობდა.

ჰარიმ ჩემოდნიდან დაჭმუჭნილი მანტიები ამოიღო, რომ დაკეცილები ჩაელაგებინა, და ჩემოდნის კუთხეში ქაღალდში ნაუცბათევად გახვეული საგანი შენიშნა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო და იქ საიდან გაჩნდა. დაიხარა, კედებს ქვემოდან გამოაძრო და ხელში შეატრიალა.

ორიოდე წამის შემდეგ ყველაფერი გაახსენდა: ეს „რაღაც“ გრიმოს მოედნის თორმეტ ნომერში, ჰოლში, სირიუსმა მისცა. აუცილებლად გამოიყენე, თუ დაგჭირდებაო. საწოლზე ჩამოჯდა და ქაღალდი შემოაცალა. პატარა, სწორკუთხა ძველისძველი სარკე გადმოვარდა. ძალიან ჭუჭყიანი იყო. ჰარიმ შიგ ჩაიხედა და საკუთარი თავის მეტი ვერაფერი დაინახა.

სარკე გადააბრუნა. მეორე მხარეს სირიუსს დანის წვერით ამოეფხაჭნა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ეს გამჭოლი სარკეა, მისი მეორე ნახევარი მე მაქვს. თუ ჩემთან დაკავშირება მოგინდება, საკმარისია, ჩემი სახელი ახსენო. ძაში შენ ჩემს სარკეში გამოჩნდები, მე კი – შენსაში. ამით მე და ჯეიმსი ვსარგებლობდით ხოლმე, როცა სხვადასხვა კაბინეტში გვცოვებდნენ გაკვეთილების შემდეგ."

გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. გაახსენდა, ოთხი წლის წინათ სილივრუს სარკეში თავისი დაღუპული მშობლები რომ ნახა. ახლა კი, აი, ამწუთას მას შეუძლია, სირიუსს დაელაპარაკოს. ჰო, შეუძლია, ნამდვილად შეუძლია...

თავი ასწია და ოთახი მოათვალიერა. მის გარდა არავინ იყო. მერე აკანკალებულმა ისევ სარკეში ჩაიხედა და ხმამაღლა თქვა:

– სირიუს!

სარკის ზედაპირი დაიორთქლა. ძვირფასი საჩუქარი კიდევ უფრო ახლოს მიიტანა – სიხარულის გრძნობა ჩიტივით უფართხალებდა მკერდში, მაგრამ სარკიდან მხოლოდ თავისი ორეული უმზერდა.

სარკის ზედაპირი ხელით გადაწმინდა და მთელი ხმით გაიმეორა:

– სირიუს ბლექ!

არაფერი შეცვლილა. სარკიდან უწინდებურად ისევ ის იმედგაცრუებული სახე – თავისი სახე – შესცქეროდა... როცა სირიუსი თაღში გაუჩინარდა, მას თან არ ჰქონდა ამ სარკის მეორე ცალი, გაუელვა თავში. აი, რატომ არ გამოდის არაფერი...

კიდევ რამდენიმე წამს იჯდა გაუნძრევლად. მერე სარკე ისევ ჩემოდანში ჩააგდო. სარკე გატყდა. თითქმის მთელი წუთის განმავლობაში – რა მშვენიერი იყო ეს წუთი – სჯეროდა, რომ ისევ ნახავდა სირიუსს, ისევ დაელაპარაკებოდა...

იმედგაცრუებულს ბოღმა ახრჩობდა. წამოხტა და ნივთები, დაუდევრად დააყარა გატეხილ სარკეს...

უეცრად მოულოდნელმა აზრმა გაუელვა... ეს უკეთესია, ვიდრე სარკე... გაცილებით უკეთესი... უფრო ადრე როგორ ვერ მოიფიქრა? რატომ ერთხელ მაინც არ ჰკითხა?

საძინებლიდან გამოვარდა და ხვეული კიბით დაეშვა ძირს. აქეთიქით ეხეთქებოდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა. დაცარიელებული საერთო ოთახი გადაჭრა, პორტრეტის ხვრელში გაძვრა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დერეფანში გაიქცა. ყურადღება არ მიუქცევია ფუშფუშა ქალბატონისთვის, რომელმაც მიაძახა: ბანკეტი მალე დაიწყება, მაგრამ, ალბათ, მოასწრებო.

ჰარის ბანკეტზე წასვლის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. რატო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაა, რომ ეს ციხე-კოშკი ყოველთვის სავსეა მოჩვენებებით, როცა ისინი არ გჭირდება, ახლა კი...

ზევით-ქვევით დარბოდა ცარიელ კიბეებსა და დერეფნებში. ეტყობა, ყველანი უკვე დიდ დარბაზში არიან. შელოცვების კაბინეტის წინ შეჩერდა აქოშინებული და დადარდიანებული ფიქრობდა, ალბათ, დღესასწაულის დამთავრებამდე დაცდა მომიწევსო.

მაგრამ იმედი საბოლოოდ რომ გადაეწურა, დერეფნის ბოლოს სწორედ მაშინ შეამჩნია ნახევრად გამჭვირვალე ლანდი.

– ეი... ეი, ნიკ! ნიკ!!!

კედლიდან მდიდრულად მორთული, ბუმბულებით შემკული შლაპა და წკიპზე ჩამოკიდებული სერ ნიკოლას დე მიმსი-პორპინგტონის თავი გამოვიდა.

– საღამო მშვიდობისა, – ჰარის გაუღიმა და კედლიდან სხეულის დარჩენილი ნაწილიც გამოათრია, – ესე იგი, მარტო მე არ ჩამოვრჩი ცხოვრებას? თუმცა, – ამოიოხრა, – ჩემთვის ამას ცოტა განსხვავებული მნიშვნელობა აქვს...

– ნიკ, შეიძლება, რაღაც გკითხო?

თითქმის უთავო ნიკს სახეზე ძალიან უცნაურმა გამომეტყველებამ გადაუარა. აღელვებული იმდენ ხანს ისწორებდა მაქმანებიან საყელოს, რომ თითქმის მოკვეთილი თავი კინაღამ სულ მოსძვრა.

– ე... ახლა, ჰარი? – შეცბუნებულმა იკითხა, – იქნებ, ბანკეტის მერე?

– არა... ნიკ, გთხოვ. მართლა სასწრაფოდ უნდა დაგელაპარაკო. მოდი, აქ შევიდეთ.

ჰარიმ კარი შეაღო. თითქმის უთავო ნიკმა ამოიოხრა.

– კარგი, რა გაეწყობა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის რაღაც ისეთი მოულოდნელი ამბავია...

ჰარიმ კარი დაიჭირა, მაგრამ ნიკმა კედელში გაძრომა არჩია.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ჰარიმ და კარი მიხურა.

– ვიცოდი, რომ ძებნას დამიწყებდი, – თქვა ნიკმა და ფანჯარასთან მიცურდა. ციხე-კოშკის გარშემო უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო, – ეს მაშინ ხდება... როცა ადამიანები ვინმეს კარგავენ.

– გასაგებია, – ჰარი აშკარად არ აპირებდა უკან დახევას, – შენ მართალი ხარ. ნამდვილად გეძებდი და გიპოვე კიდეც. ნიკი დუმდა.

– აი, რა... – ჰარის არ ეგონა, რომ ასე გაუძნელდებოდა საუბრის დაწყება, – შენ ხომ... მოკვდი, არა? მაგრამ ისევ აქ ხარ.

ნიკმა ამოიოხრა. ისევ ფანჯარაში იყურებოდა.

– ასე არ არის? – არ შეეშვა ჰარი, – შენ მოკვდი, მაგრამ მე და შენ ვსაუბრობთ... შენ ჰოგვორტსში დახეტიალობ და ასე შემდეგ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, მართალი ხარ, მე დავხეტიალობ და ვლაპარაკობ, – ხმადაბლა დაუდასტურა ნიკმა.

– რაკი შენ დაბრუნდი, ესე იგი, ადამიანები ხანდახან ბრუნდებიან. ისინი მოჩვენებად იქცევიან, მაგრამ მთლიანად არ ქრებიან. მართალი ვარ? – იმედიანად დაასკვნა ჰარიმ, მაგრამ ნიკმა არაფერი უპასუხა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს თითქმის უთავო ნიკმა დუმილი დაარღვია:

– ყველა ვერ იქცევა მოჩვენებად.

– რას გულისხმობ? – სწრაფად ჰკითხა ჰარიმ.

– მხოლოდ... მხოლოდ – ჯადოქარი.

– ჰოო?! – ჰარის გულზე მოეშვა, – ჰო, მაშინ ყველაფერი რიგზეა. ადამიანი, რომელზეც გელაპარაკები, ჯადოქარია. ესე იგი, მას დაბრუნებაც შეუძლია, არა?

ნიკმა სევდიანად შეხედა ჰარის.

– ის ვერ დაბრუნდება.

– ვინ?

– სირიუს ბლექი, – თქვა ნიკმა.

– მაგრამ შენ ხომ დაბრუნდი! – გაბრაზდა ჰარი, – მართალია, მოკვდი, მაგრამ ისევ აქ ხარ... შენ ხომ არ გამქრალხარ!

– ჯადოქრებს შეუძლიათ, დატოვონ მიწაზე თავიანთი მოჩვენებითი სახე და ის იმ ადგილებში იხეტიალებს, სადაც სიცოცხლეში დადიოდა, – სევდიანად თქვა ნიკმა, – მაგრამ ძალიან ცოტანი ირჩევენ ამ გზას.

– რატომ? – იკითხა ჰარიმ, – სირიუსს არასოდეს ეშინოდა, გამორჩეული ყოფილიყო. ის დაბრუნდება, ვიცი, რომ დაბრუნდება!

და ისე ძალიან იყო დარწმუნებული, რომ ჰარიმ თავიც კი მიაბრუნა კარისკენ – წამით მოეჩვენა, რომ ახლა იქ სირიუსს დაინახავდა, რძისფერსა და გამჭვირვალეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გაღიმებულს.

– არ დაბრუნდება, – გაიმეორა ნიკმა, – ის... გზას გააგრძელებს.

– რას ნიშნავს „გააგრძელებს?“ – მაშინვე იკითხა ჰარიმ, – საით? მისმინე, საერთოდ, რა ხდება, როცა კვდები? სად ხვდება ადამიანი სიკვდილის შემდეგ? ყველა რატომ არ ბრუნდება? ეს ციხე-კოშკი რატომ არ არის მოჩვენებებით სავსე? რატომ...

– არ შემიძლია, გითხრა, – თქვა ნიკმა.

– მაგრამ შენ ხომ მოკვდი! – გაცეცხლდა ჰარი, – აბა, სხვამ ვინ უნდა მითხრას, თუ არა შენ!

– მე მეშინოდა სიკვდილისა, – ხმადაბლა თქვა ნიკმა, – და დაბ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რუნება ვამჯობინე. ხანდახან ვფიქრობ, ხომ არ შევცდი-მეთქი... იცი, მე ახლა არც აქ ვარ, არც იქ... თუ სიმართლე გინდა, არაფერიც არ ვარ, – ნაღვლიანად ჩაიცინა, – მე არაფერი ვიცი სიკვდილის საიდ-უმლოების შესახებ, ჰარი, რადგან სიცოცხლის უბადრუკი იმიტაცია ვარჩიე. ამ პრობლემას შეიძლება, რომელიმე ან რამდენიმე ბრძენი სწავლობდეს საიდუმლოებების დეპარტამენტში...

– ნუ მახსენებ იმ ადგილს! – გაცხარდა ჰარი.

– მაპატიე, რომ ვერაფრით დაგეხმარე, – მშვიდად თქვა ნიკმა, – ახლა კი... თუ შეიძლება, მაპატიე... დღეს ხომ ბანკეტია...

და ჰარი ისევ მარტო დარჩა. უაზროდ მიაშტერდა კედელს, რომელშიც ახლახან გაუჩინარდა თითქმის უთავო ნიკი.

ახლა, როცა სირიუსის ნახვისა და მასთან დალაპარაკების იმედი გაუქრა, ჰარის ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ნათლია ხელმეორედ დაკარგა. დამწუხრებული წალასლასდა ცარიელ დერე-ფანში. ეჩვენებოდა, რომ აღარასოდეს დაუბრუნდებოდა სიცოცხლის ხალისი.

დერეფანში ვილაცის ფიგურა დაინახა. კარგად რომ დააკვირდა, ლუნა იცნო – დაფაზე რაღაც ქაღალდს აკრავდა. დამალვით ვეღარ დაიმალებოდა, ლუნამ, ალბათ, უკვე გაიგონა ნაბიჯების ხმა. თან ეშმაკობის თავიც აღარ ჰქონდა.

– გამარჯობა, – ჩვეულებრივ მიესალმა ლუნა, ნაბიჯი უკან გადად-გა და დაფა შეათვალიერა.

– ბანკეტზე რატომ არ ხარ? – ჰკითხა ჰარიმ.

– თითქმის ყველაფერი დავკარგე, – თქვა ლუნამ, – მგონი, ბიჭებმა დამიმალეს, მაგრამ დღეს ბოლო საღამოა, უნდა მოვემზადო. აი, განცხადებასაც იმიტომ ვაკრავ...

დაფაზე უჩვენა, სადაც მართლა იყო ჩამოთვლილი ყველა დაკარ-გული ნივთი და თხოვნა, რომ დაებრუნებინათ.

რაღაც უცნაური გრძნობით აევსო გული. ეს არც რისხვა იყო და არც სევდა, რომელიც სირიუსის სიკვდილის შემდეგ არ შორდებოდა. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა – ლუნა შეეცოდა.

– რატომ გიმალავენ ნივთებს? – მოიღუშა ჰარი.

– რა ვიცი... – მხრები აიჩეჩა, – მიაჩნიათ, რომ ცოტა უცნაური ვარ. ხომ იცი, ზოგიერთები სულელუნას მეძახიან.

ჰარის გული შეეკუმშა.

– ეს მიზეზი არ არის, რომ ნივთები წაგართვან, – გადაჭრით თქვა, – გინდა, პოვნაში დაგეხმარო?

– ო, არა, – გაუღიმა ლუნამ, – გამოჩნდება, ადრე თუ გვიან,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოჩნდება. უბრალოდ, დღეს მინდოდა, ჩამელაგებინა. ისე... შენ თვითონ რატომ არ ხარ ბანკეტზე?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– უბრალოდ, არ მინდა.

– იცი, – ლუნა დაჟინებით მიაცქერდა წამობურცული, ოდნავ დანისლული თვალებით, – მე მგონი, მართალს არ ამბობ. „სიკვდილის მხვრელებმა“ რომ მოკლეს, შენი ნათლია იყო, არა? ჯინიმ მითხრა.

ჰარიმ თავი დაუქნია, სირიუსის ხსენებამ ამჯერად რატომღაც არ გააჯავრა. უცებ გაახსენდა, რომ ლუნაც ხედავდა თესტრალებს.

– შენც... – დაიწყო, – ის მინდა ვთქვა, რომ... შენც მოგიკვდა ვინმე?

– ჰო, – უბრალოდ თქვა ლუნამ, – დედა. სრულიად ჩვეულებრივი ჯადოქარი იყო, მაგრამ ექსპერიმენტები უყვარდა და ერთ-ერთი შელოცვისას უბედურება მოხდა. მაშინ მხოლოდ ცხრა წლისა ვიყავი.

– ძალიან ვწუხვარ, – წაიბუტბუტა ჰარიმ.

– ჰო, საშინელება იყო, – ისე მშვიდად თქვა ლუნამ, თითქოს ამინდზე ლაპარაკობდა, – დღემდე ძალიან მენატრება, მაგრამ მამა დამრჩა. და, საერთოდაც, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დედაჩემს ველარასოდეს შევხვდები. ასე არ არის?

– რა... არ ნიშნავს? – გაიმეორა შეცბუნებულმა ჰარიმ. ლუნამ თავი გადააქნია.

– კარგი, რა. შენ ხომ საკუთარი ყურით ისმენდი იქ, ფარდის მიღმა.

– შენ იმას გულისხმობ...

– ჰო, იმ ოთახს, თაღი რომ დგას. ისინი, უბრალოდ, არ ჩანან. სულ ეს არის. მაგრამ შენ მათი გესმოდა.

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. ლუნა ოდნავ იღიმებოდა. ჰარიმ არ იცოდა, რა ეფიქრა. ლუნას სჯეროდა ასეთი ფანტასტიკური რამეებისა... მაგრამ მას ხომ ნამდვილად ესმოდა ხმები ფარდის უკნიდან.

– ესე იგი, მართლა არ გინდა, რომ დაკარგული ნივთების პოვნაში დაგეხმარო? – ჰკითხა ჰარიმ.

– არა, რა თქმა უნდა, – თქვა ლუნამ, – არ არის საჭირო. ახლა ქვევით ჩავალ და ერთ ნაჭერ პუდინგს შევჭამ. მანამდე ყველა ნივთი თვითონვე მოინახება... როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე... აბა, ბედნიერ არდადეგებს გისურვებ, ჰარი.

– გმადლობ, შენც.

დერეფანს გაუყვა. ჰარიმ თვალი გააყოლა. ლოდი, რომელიც გულზე ედო, თითქოს შემსუბუქდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მგზავრობა სკოლიდან ჰოგვორტსის ექსპრესით რამდენიმე მოვლენით აღინიშნა. ჯერ ერთი, მალფოი, კრაბი და გოილი, რომლებიც მთელი კვირა ელოდნენ შემთხვევას, რომ ჰარისთვის სამაგიერო გადაეხადათ, **და**-ს წევრებით სავსე კუპესთან ჩაუსაფრდნენ. რომ არა მათი წინდაუხედაობა, მათივე ჩანაფიქრი შეიძლებოდა, წარმატებითაც დაგვირგვინებულიყო: **და**-ს წევრებმა სარკმლიდან დაინახეს, როგორ დაესხნენ სლიზერინელები თავს ჰარის, და ყველა მის მისაშველებლად გამოვარდა. იმ დროისთვის, როცა ერნი მაკმილანმა, ჰანა ებოტმა, სუზენ ბონსმა, ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლიმ, ენტონი გოლდშტეინმა და ტერი ბუტმა ჰარის მიერ ნასწავლი შელოცვების მთელი თავიანთი მდიდარი არსენალი გამოსცადეს, მალფოი, კრაბი და გოილი სკოლის ფორმაში გაკვეხებულ გიგანტურ ლოქორებს დაემსგავსნენ. ჰარიმ, ერნიმ და ჯასტინმა ისინი ბარგის დასაწყობ თაროზე შეყარეს. საცოდავ სლიზერინელებს წურწურით გასდიოდათ ყავისფერი ლორწო.

– ერთი სული მაქვს, ვნახო, როგორი სიფათი ექნება მალფოის დედიკოს, როცა თავის ძვირფას შვილს დაინახავს, – თქვა ერნიმ, თან კმაყოფილი უყურებდა, როგორ იწლაწნებოდა დრაკო. ერნიმ მაინც ვერ აპატია მალფოის ჰაფლეპაფისთვის ჩამორთმეული ის რამდენიმე ქულა, როცა სკოლაში საინსპექციო რაზმი ბატონობდა.

– სამაგიეროდ, გოილის დედას ნაღდად გაუხარდება, – თქვა რონმა, რომელიც ხმაურზე თავისი კუპედან მოვიდა, – ჩემი აზრით, ძალიან დამშვენდა... ჰო, ჰარი, აი, საჭმლის ურიკაც შემოაგორეს, რამე ხომ არ გინდა?

ჰარიმ მადლობა გადაუხადა ყველას, რონთან ერთად თავის კუპეში დაბრუნდა და უზარმაზარი კექსი და მთელი ქვაბი გოგრის წვენი იყიდა. ჰერმიონმა ისევ „დილის მისანში“ ჩაყო ცხვირი, ჯინი „ქარაგმებში“ დაბეჭდილ კროსვორდს ხსნიდა, ნევილი კი თავის „მიმბულუს მიმბლეტონიას“ ეფერებოდა, რომელიც ამ ხნის მანძილზე გვარიანად გაზრდილიყო და ჩუმად კრუტუნებდა, როცა ხელს შეახებდნენ.

ჰარი და რონი თითქმის მთელი გზა ჯადოსნური ჭადრაკის თამაშით ერთობოდნენ. დროდადრო ჰერმიონი „მისნიდან“ თითო-ოროლა ფრაზას კითხულობდა ხმამაღლა – გაზეთი სავსე იყო სტატიებით იმის შესახებ, როგორ მოვიგერიოთ დემენტორები; ისტერიული წერილებით, რომელთა ავტორი ამტკიცებდა, რომ ვოლდემორმა სწორედ ამ დილით ჩაიარა მის სახლთან...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

–ჯერჯერობით სერიოზული არაფერი ხდება, – ამოიოხრა ჰერმიონმა, როცა ბოლო გვერდიც გადაათვალიერა, – მაგრამ ბევრიც აღარ დარჩა...

– ეი, ჰარი, – რონმა დერეფანში გამავალ სარკმელზე აჩვენა.

ჰარი შებრუნდა და მათი კუპესკენ მომავალი ჩო და ნაქსოვჩაფხუტიანი მარიეტა ეჯკომბი დაინახა. ჰარისა და ჩოს თვალები სულ ერთი წამით შეხვდა ერთმანეთს. ჩო გაწითლდა, მაგრამ არ შეჩერებულა. ჰარიმ ისევ დაფას დახედა – რონის მხედარმა მისი ერთ-ერთი პაიკი გააძევა უჯრიდან.

– რა... ე... რა ხდება ახლა თქვენ შორის? – ჩუმად ჰკითხა რონმა.

– არაფერი, – პატიოსნად უპასუხა ჰარიმ.

– მე... ე... მე კი გავიგე, რომ ვიღაცას ხვდება, – ფრთხილად შეაპარა ჰერმიონმა.

ჰარის გაუკვირდა, რომ ამ ცნობამ არც კი ააღელვა. ჩოსთვის თავის მოწონების სურვილი და ეჭვიანობა თითქოს წარსულში დარჩა. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო სხვა უამრავ სურვილზე, რომელიც სირიუსის სიკვდილამდე ჰქონდა. ნათლია უკანასკნელად სულ რაღაც ერთი კვირის წინ ნახა, მაგრამ ეს კვირა თითქოს მთელ საუკუნედ გაიწელა და ორ სხვადასხვა სამყაროს დაუდო საზღვარი – ერთ მათგანში სირიუსი იყო, მეორეში კი – არა...

– ჰოდა, ძალიანაც კარგი, – ხაზგასმით თქვა რონმა, – მართალია, ჩო ლამაზიც არის და ასე შემდეგ, მაგრამ ჯობს, მხიარული ვინმე მოძებნო.

– თავის ახალ ნაცნობთან, შეიძლება, მხიარულიც არის, – მხრები აიჩეჩა ჰარიმ.

– მაინც, ვინ არის ეგ ახალი? – ჰკითხა რონმა ჰერმიონს, მაგრამ პასუხი ჯინისგან მიიღო:

– მაიკლ კორნერი.

– მაიკლ... მაგრამ... – რონი ისე მკვეთრად შებრუნდა ჯინისკენ, კინაღამ კისერი იღრძო, – მაგრამ მას ხომ შენ მოსწონდი!

– მოვწონდი, – სწრაფად თქვა ჯინიმ, – მას შემდეგ, რაც გრიფინდორმა რეივენქლოს მოუგო, ერთთავად დაბოღმილი დადიოდა. მეც ავდექი და უარი გამოვუცხადე. ისიც სასწრაფოდ ჩოს სანუგეშებლად გაიქცა, – ჯინიმ ბატის ფრთის წვერით ცხვირი მოიქექა, მერე „ქარაგმები“ გადააბრუნა და პასუხების შემოწმება დაიწყო. რონი აშკარად კმაყოფილი დარჩა.

– მე თუ მკითხავთ, ყოველთვის ცოტათი წაიიდიოტებდა, – თქვა და დედოფალი ჰარის აცახცახებული ეტლისკენ გასწია, – სწორად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოქცეულხარ, დაიკო. სხვა დროს ვინმე უკეთესი შეარჩიე, – და ამ სიტყვებზე რატომღაც მალულად გახედა ჰარის.

– უკვე შევარჩიე. დინ ტომასი. მიწონებ? – სასხვათაშორისოდ უპასუხა ჯინიმ.

– რა? – იღრიალა რონმა და დაფა ამოატრიალა. ბო ჭადრაკის ფიგურებს გაეკიდა. ზედა თაროზე შემოდგმულ გალიებში კი ჰედვიგმა და პიგმა გაბრაზებით ააფართხუნეს ფრთები.

როცა მატარებელი კინგს ქროსის სადგურს მიუახლოვდა და სვლა შეანელა, ჰარიმ იგრძნო, რომ ვაგონიდან ჩასვლა არ უნდოდა. ისიც კი გაიფიქრა, პირველ სექტემბრამდე ამ მატარებელში დავრჩები და მერე უკან, ჰოგვორტსში, დავბრუნდებიო. მაგრამ, როცა მატარებელი გაჩერდა, ჰარიმ მორჩილად აიღო თავისი გალია და ბაქანზე მძიმე ჩემოდნის გასათრევად მოემზადა.

გამცილებლის ნიშანზე ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა მეცხრე და მეათე ბაქნებს შორის ჯადოსნური ზღუდე გაიარეს. იქ კი აღმოჩნდა, რომ სიურპრიზი ელოდათ: ჰარის შესახვედრად ისეთი ხალხი მოსულიყო, რომელთა დანახვასაც არავინ ელოდა.

აქ იყო ფართო სამგზავრო ლაბადაში გამოწყობილი მრისხანეთვალა მუდი – გრძელი ხელჯოხითა და ავად მომზირალ ჯადოსნურ თვალზე ჩამოფხატული ქუდით; გვერდით ტონქსი ედგა – დაკერებული ჯინსითა და ჯადოქრისემბლემიანი იისფერი მაისურით. კაშკაშა ვარდისფერი თმა სადგურის მინის ჭუჭყიანი სახურავიდან ჩამოჭრილ მზის სხივებზე უბზინავდა; ლუპინიც აქ იყო – ფერმკრთალი, ჭაღარათმიანი, გრძელი გაცრეცილი ლაბადა ძლივს უფარავდა მოძველებულ შარვალსა და ჯემპრს. და, რაც მთავარია, მაგლების საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილი ბატონი და ქალბატონი უისლები და მოლურჯო-მომწვანო ქსოვილის ახალთახალქურთუკიანი ფრედი და ჯორჯი.

– რონ! ჯინი! – ქალბატონი უისლი თავის შვილებს გადაეხვია, – ჰარი, ძვირფასო, როგორ ხარ?

– კარგად, – იცრუა ჰარიმ. ქალბატონმა უისლიმ ისიც გულში ჩაიკრა. მხარს ზემოდან ჰარი ხედავდა, როგორი თვალებით შესცქეროდა რონი ტყუპების ჩაცმულობას.

– ეს რაღაა? – ჰკითხა რონმა ძმებს და ქურთუკზე უჩვენა.

– საუკეთესო დრაკონის ტყავი, ძამიკო, – ფრედმა ოდნავ ჩაიხსნა შესაკრავი, – ბიზნესი ყვავის და გადავწყვიტეთ, ჩვენი თავისთვის მეტი ფუფუნების უფლება მიგვეცა.

– ჰარის გაუმარჯოს, – მიესალმა ლუპინი, როცა ქალბატონი უისლი ჰერმიონისკენ შებრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გამარჯობა, – მიესალმა ჰარიც, – არ მეგონა... აქ რას აკეთებთ?

– როგორ გითხრა, – ლუპინს ღიმილი გაუკრთა ტუჩებზე,

– გადავწყვიტეთ, სანამ შინ წაგიყვანენ, ცოტა დავლაპარაკებოდით ბიძაშენსა და დეიდაშენს.

– მე მგონი, არ ღირს, – თქვა ჰარიმ.

– ჩემი აზრით, ღირს, – ჩაიბურტყუნა მუდიმ და ფეხის თრევით მიუახლოვდა ჰარის, – აი, ისინი არიან, არა, პოტერ? ცერით ზურგს უკან უჩვენა. ეტყობა, ჯადოსნური თვალი კეფისა და ქუდის მიღმაც უთვალთვალებდა ყველაფერს. ჰარიმ მუდის მხარს ზემოთ გაიხედა და მართლა დაინახა სამივე დერსლი – როგორღაც დამფრთხალები შეჰყურებდნენ ჰარის გარშემო მდგარ დელეგაციას.

– აბა, ჰარი! – თქვა ბატონმა უისლიმ მას შემდეგ, რაც ჰერმიონის მშობლებს გულთბილად მიესალმა – კარგი, იქნებ დაგვეწყო, არა?

– მიდი, არტურ, – დაეთანხმა მუდი.

ისინი ბაქანზე მილურსმულებივით მდგარი დერსლებისკენ დაიძრნენ. ჰერმიონმა დედის მკლავებიდან გაითავისუფლა თავი და დანარჩენებს მიჰყვა.

– გამარჯობა, – ბატონი უისლი პირდაპირ ძია ვერნონის ცხვირწინ შეჩერდა და მოკრძალებით მიესალმა, – ალბათ, გახსოვართ. მე არტურ უისლი ვარ.

და რადგან ბატონმა უისლიმ ერთხელ საკუთარი ხელით გაანადგურა დერსლების სასტუმრო ოთახი, ჰარის ძალიან გაუკვირდებოდა, ძია ვერნონს რომ დავიწყებოდა. არც შემცდარა. ძია ვერნონს სახე მუქი აგურისფერი გაუხდა და ბატონ უისლის მრისხანედ შეხედა, თუმცა მაინც გაჩუმება არჩია. შეიძლება, იმიტომაც, რომ გარშემო უამრავი ჯადოქარი იყო. დეიდა პეტუნია დამფრთხალი და დარცხვენილი ჩანდა. თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, თითქოს ეშინოდა, ამ საეჭვო საზოგადოებაში არ შემნიშნონო. დადლი კი ცდილობდა, რაც შეიძლება, პატარად და უმნიშვნელოდ მოეჩვენებინა თავი, თუმცა ამგვარი გმირობა აშკარად აღემატებოდა მის ძალებს.

– სულ ერთი წუთით გვინდოდა ჰარიზე დაგლაპარაკებოდით, – მოკრძალებული ღიმილითვე განაგრძო ბატონმა უისლიმ.

– დიახ, – დაიბუხუნა მუდიმ, – იმის თაობაზე, თუ როგორ ექცევით შინ.

ძია ვერნონს სიბრაზისგან ულვაშები აეჯაგრა და პირდაპირ მუდის მიმართა:

– არ ვიცოდი, რომ ჩემი შინაური საქმეები თქვენ გეხებოდათ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ყველაფერი რომ ჩავიწეროთ, რაც თქვენ არ იცით, მთელი ბიბლიოთეკა გამოვა, ვერნონ, – დაიღრინა მუდიმ.

– მთავარი ეს არ არის, – ჩაერია ტონქსი, რომლის ვარდისფერი თმა დეიდა პეტუნიას ყველაზე მეტად აშფოთებდა. თვალებიც კი დახუჭა, რომ აღარ დაენახა, – საქმე სხვა რამეა. თუ გავიგებთ, რომ ჰარის ცუდად ექცევით...

– ჩვენ კი ყველაფერს გავიგებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ, – ზრდილობიანად ჩაურთო ლუპინმა.

– ჰო, – დაამატა ბატონმა უისლიმ, – თუნდაც ფელეტონით სარგებლობას თუ აუკრძალავთ...

– ტელეფონით, – წასჩურჩულა ჰერმიონმა.

– მოკლედ, ყურიც რომ მოვკრათ, რომ პოტერს ცუდად ეპყრობით, პასუხს გაგებინებთ, – გააფრთხილა მუდიმ.

ძია ვერნონი საეჭვოდ გაიბერა. რისხვამ ამ არანორმალურების ბანდის წინაშე შიშიც კი დაავიწყა.

– მემუქრებით, სერ? – ისე ხმამაღლა მოუვიდა, რომ რამდენიმე გამვლელი გაკვირვებული შემობრუნდა.

– დიახ, გემუქრებით! – უპასუხა მრისხანეთვალამ, ძალიან კმაყოფილმა იმით, რომ ძია ვერნონი ასე სწრაფად ჩასწვდა საქმის არსს.

– თქვენი აზრით, მე იმ ადამიანს ვგავარ, ვისი შეშინებაც შესაძლებელია? – ისევ შეჰყეფა ძია ვერნონმა.

– კარგი... – თქვა მუდიმ, ქვაბურა ქუდი უკან გადასწია და ავად დაბზრიალებული ჯადოსნური თვალი გამოაჩინა. შეშინებული ძია ვერნონი უკან გადახტა და საბარგო ურიკას დაეჯახა, – როგორც ჩანს, შესაძლებელია, დერსლი, – ჰარისკენ შებრუნდა, – მაშ, ასე, პოტერ... როცა დაგჭირდებით, შეგვატყობინე. თუ ზედიზედ სამი დღის განმავლობაში ვერ დაგვიკავშირდები, ვინმეს გამოვგზავნით...

დეიდა პეტუნიას წკმუტუნისმაგვარი ხმა აღმოხდა. უეჭველად გაიფიქრა, რას იტყოდნენ მეზობლები, თუ ამგვარ პიროვნებებს დაინახავდნენ მათ ეზოში.

– აბა, კარგად, პოტერ, – მუდიმ თავისი გაძვალტყავებული ხელები ჰარის მხრებზე მოუჭირა.

– თავს გაუფრთხილდი, ჰარი, – ჩუმად უთხრა ლუპინმა, – არ დაიკარგო.

– როგორც კი მოვახერხებთ, მაშინვე წაგიყვანთ აქედან, – ჩასჩურჩულა ქალბატონმა უისლიმ და ისევ მოეხვია.

– მალე შევხვდებით, მეგობარო, – რონის ხმაში შეშფოთება იგრძნობოდა. მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა მალე, ჰარი, – სერიოზულად დაადასტურა ჰერმიონმა, – გპირდებით.

ჰარიმ თავი დაუქნია. სიტყვებს ვერ პოულობდა, რომ ეთქვა, რასაც გრძნობდა. მხოლოდ გაიღიმა, დამშვიდობების ნიშნად ხელი ასწია, შებრუნდა და პირველი წავიდა სადგურის შენობიდან მზით განათებული ქუჩისკენ. ძია ვერნონი, დეიდა პეტუნია და დადლი კი წამითაც აღარ შეყოვნებულან, ისე მიჰყვნენ უკან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/